

თამაზ გამყრელიძე  
ზაზა კიკნაძე, ინგა შალური, ნანა შენგელაია

თეორიული  
ენათმეცნიერების  
კურსი



წიგნში განხილულია თანამედროვე ენათმეცნიერების ზოგადი პრობლემატიკა: ენობრივი სისტემის სემიოტიკური ასპექტები, სინქრონიული და დიაქრონიული ანალიზის უახლესი პრინციპები და მეთოდები; ბუნებრივ ენათა ტაქსონომიური და წარმოშობის მოდელები მსოფლიოს ენათა განსხვავებულ ლინგვისტურ ტიპებად კლასიფიკაციის საფუძვლები; ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების თეორიული წინამძღვრები და ენობრივი რეკონსტრუქციის თანამედროვე კონცეფციები; გამოყენებითი ენათმეცნიერების ძირითადი საკითხები.

წარმოდგენილი მონოგრაფია საინტერესო უნდა იყოს მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისათვის, უწინარეს ყოვლისა — პუბლიცისტური პროფილის სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის; იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო თანამედროვე თეორიული ენათმეცნიერების საფუძვლების შესასწავლად.



**რედაქტორები:**

*ფილოლ. მეცნ. დოქტორი ბურაბ ლებანიძე*

*ფილოლ. მეცნ. დოქტორი ირინე მელიქიშვილი*

**რეცენზენტები:**

*ფილოლ. მეცნ. დოქტორი რუსუღან ასათიანი*

*ფილოლ. მეცნ. დოქტორი ეთერ სოსელია*

*ფილოლ. მეცნ. დოქტორი მარია ჯიქია*

**თანარედაქტორი:** ნოდარ ვიოშვილი

**კომპიუტერული უზრუნველყოფა:** ირაკლი შეშელიძე

# წინასიტყვაობა

წინამდებარე «თეორიული ენათმეცნიერების კურსს» საფუძვლად დაედო ჩვენი ლექციები *სტრუქტურულ ენათმეცნიერებაში*. ეს ლექციები გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული ეკითხებოდათ როგორც ძირითადი ლინგვისტური დისციპლინა *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის* ჯერ *ფილოლოგიის ფაკულტეტის «მათემატიკური ლინგვისტიკის»*, ხოლო შემდეგ *კიბერნეტიკის (ამჟამად – გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა) ფაკულტეტის «სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის განყოფილების»*, დასაეღეთ *ვეროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის*, აგრეთვე *აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის* ფილოლოგიური პროფილის სტუდენტებსა და ასპირანტებს.

ამ ვრცელი, ექვსსემესტრიანი სალექციო კურსის პირველ მსმენელებს შორის იყვნენ ჩვენი თანაავტორებიც, რომლებიც ახლა თვითონ უძღვებიან ხსენებულ კურსს. მათი დახმარებით მაშინდელი კურსი გადამუშავდა, არსებითად განახლდა და შეივსო მსოფლიო და ქართული ენათმეცნიერების უახლესი მიღწევებისა და შედეგების გათვალისწინებით.

მოგვიანებით აღნიშნული სალექციო კურსის მსმენელები გახდნენ ამ წიგნის რეცენზენტებიც; მათ ისეთი შრომა გასწიეს წინამდებარე „*კურსის*“ შევსებისა და გაუმჯობესების თვალსაზრისით, რომ ისინი სრული უფლებით შეიძლება ჩვენს თანაავტორებადაც მივიჩნიოთ; იგივე ითქმის წიგნის რედაქტორებზე, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი სახელმძღვანელოს სრულყოფასა და მისთვის საბოლოო სახის მიცემაში.

ამ წიგნის მოამბავთა შორის არ შეიძლება მადლიერებით არ მოვიხსენიო იე. ჯაფახიშვილის *სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის «ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის»* უკლებლივ ყველა წევრი, რომლებმაც ამ კურსის სხვადასხვა ნაკვეთის წინასწარი წაკითხვის შემდეგ ანგარიშგასაწევი შენიშვნები მოგვაწოდეს; იგივე შეიძლება ითქვას *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის «ზოგადი ფონეტიკისა და აღმოსავლურ ენათა ტიპოლოგიის ლაბორატორიის»* თანამშრომლებზეც.

ამგვარად, წინამდებარე „*თეორიული ენათმეცნიერების კურსი*“ შეიძლება განხილული იქნეს როგორც გარკვეული აზრით შემაჯამებელი კოლექტიური ნაშრომი, რომელიც ამ ეტაპზე ერთგვარად ასრულებს ქართული ორიგინალური ზოგადლინგვისტური სახელმძღვანელოების შექმნის მრავალ-

წლიან ტრადიციას; ამ ტრადიციის სათავეებთან გიორგი ახელედნიანი იღვა და სწორედ მის ხსოვნას ეძღვნება ჩვენი სახელმძღვანელო.

ჩვენს „კურსში“ გათვალისწინებულია აგრეთვე რუსულსა და დასავლურ ენათმეცნიერებაში შექმნილი ძირითადი ლინგვისტური ენციკლოპედიები და სახელმძღვანელოები, რომლებიც ასახავენ თანამედროვე ენათმეცნიერებაში არსებულ მიმდინარეობებსა და ზოგადლინგვისტურ თეორიებს.

თავის დროზე ჩვენს სალექციო კურსს ერქვა „თანამედროვე ენათმეცნიერების საფუძვლები“; იგი განიხილავდა იმ დროისათვის ახალ მიმდინარეობებს ენათმეცნიერებაში. მსოფლიო ენათმეცნიერების დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მივიჩნიეთ წინამდებარე განახლებული და შევსებული კურსისათვის, რომელიც თანამედროვე ენათმეცნიერების ზოგად პრობლემატიკას ეხება — როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიურ-პრაქტიკული თვალსაზრისით — „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“ გვეწოდებინა.

წიგნში შეძლებისდაგვარად სრულად განიხილება ენის როგორც სემიოტიკური სისტემის აგებულებისა და ფუნქციონირების ზოგადი პრინციპები, სინქრონიული და დიაქრონიული ანალიზის უახლესი მეთოდები; ბუნებრივ ენათა ტაქსონომიური და დინამიკური (ე.წ. „წარმოშობი“) მოდელები; მსოფლიოს ენათა განსხვავებულ ლინგვისტურ ტიპებად კლასიფიკაციის საფუძვლები; ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების თეორიული წინამძღვრები და კომპარატივისტიკის, სტრუქტურული ტიპოლოგიისა და უნივერსალიათა ლინგვისტიკის ორგანული ურთიერთკავშირის თანამედროვე კონცეფციები; ენათმეცნიერების ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური, ანთროპოლოგიური, გამოყენებითი ასპექტები.

ამის შესაბამისად განისაზღვრა მონოგრაფიის არქიტექტონიკაც: სახელდობრ, წიგნის დიაქრონიული ნაწილი (თავი IX) ისეა შედგენილი, რომ შესაძლებელი იყოს მისი წაკითხვა და შესწავლა სხვა ნაწილებისაგან დამოუკიდებლად. ეს იმ მიზნით კეთდება, რომ ენობრივი დიაქრონიის, კულტურის ლინგვისტური პალეონტოლოგიისა და ენობრივი მიგრაციებისადმი მიძღვნილი ეს ნაკვეთი, რომელიც საინტერესო უნდა იყოს არა მხოლოდ ლინგვისტებისათვის, არამედ აგრეთვე ანთროპოლოგების, ისტორიკოსების, არქეოლოგების, ეთნოლოგებისა და სხვა კუმანიტარულ დისციპლინათა წარმომადგენლებისთვისაც, ავტონომიური და გასაგები იყოს მკითხველისათვის წიგნის წინა, სინქრონიულ-ლინგვისტური ნაწილების წინასწარი გაცნობისა და შესწავლის გარეშეც.

ამდენად, წარმოდგენილი მონოგრაფია ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისათვის, უწინარეს ყოვლისა კი — კუმანიტარული პროფილის სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის; იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საფუძვლების შესასწავლად.

ქართული და მსოფლიო ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე დონე მეტ-ნაკლები სისრულით ასახულია წიგნის ბოლოს დართულ «*დამატებითი ლიტერატურის*» ვრცელ სიაში – *ბიბლიოგრაფიაში*, რომელიც მოიცავს უპირატესად მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომებს ქართულ, რუსულსა და დასავლურ ენებზე, რაც წინამდებარე სახელმძღვანელოს ერთგვარად ენციკლოპედიურ ხასიათს ანიჭებს; ჩვენი „*კურსის*“ თავებისა და პარაგრაფების მიხედვით თემატურად დალაგებული ეს სპეციალური ლიტერატურა შეიძლება გამოყენებული იქნეს მკითხველისათვის საინტერესო ამა თუ იმ საკითხის უფრო მიზანდასახული, საფუძვლიანი და ღრმა შესწავლისათვის; ეს ლიტერატურა მკითხველს არსებით ინფორმაციას მიაწვდის ამ წიგნში წარმოდგენილ თეორიულსა თუ პრაქტიკულ ლინგვისტურ პრობლემათიკასზე.

მინდა მადლიერებით აღვნიშნო, რომ წიგნზე მუშაობა და მისი გამოსაცემად მომზადება ნაწილობრივ დაფინანსდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის სახელმწიფო გრანტით; მადლობას მოვახსენებთ აგრეთვე *Volkswagen*-ის ფონდს, რომლის ფინანსური ხელშეწყობით შესაძლებელი გახდა ჩვენი „*თეორიული ენათმეცნიერების კურსის*“ ინტერნეტში განთავსება [URL <http://armazi.uni-frankfurt.de>], რამაც იგი მისაწვდომი გახდა ამ საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტების ფართო წრისათვის (განსაკუთრებით „*კურსის*“ *ბიბლიოგრაფიული ნაწილი*).

საგანგებოდ აღვნიშნის ღირსია «*თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის უნივერსიტეტი*» თანამშრომლის *ირაკლი შეშელიძის* ღვაწლი, რომელმაც მალაპროფესიულ დონეზე კომპიუტერზე ააწყო და დააკაბადონა სახელმძღვანელოს რთული ტექსტი.

მინდა მადლიერებით მოვიხსენიო აგრეთვე წიგნის თანარედაქტორი, «*ქართული ენციკლოპედიის*» რედაქციის გამგე *ნოდარ გიოშვილი*, რომლის ხელშიც საბოლოოდ გაიარა ამ წიგნმა.



აკად. თამაზ ბამყრელიძე

«*ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრა*»,  
«*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*»

თბილისი, 2003 წლის ოქტომბერი.

# შინაარსი

წინასიტყვაობა	5
უემოკლებაები	16
უესავალი	17
თავი პირველი	19
ენა და მეცნიერება ენის უესახებ	19
1. ენათმეცნიერების საგანი	19
2. სინქრონია და დიაქრონია	21
3. პოსტულატები და „დედუქციური სისტემა“	21
4. ობიექტი-ენა და მეტაენა	22
5. ენა როგორც ნიშანთა სისტემა. სინტაგმატური და პარადიგმატული მიმართებები	23
6. ენა და მეტყველება	27
7. ბუნებრივი ენა და ცხოველთა საკომუნიკაციო სისტემები	28
8. სემოტიკა. ნიშანთა სისტემის შესწავლის სამი ასპექტი	29
9. ენობრივი ნიშნის „ღირებულება“. ენობრივი ნიშანი და დამოკიდებულება „აღმნიშვნელსა“ და „აღსანიშნს“ შორის. ფერდინანდ დე სოსიური და ნიშნის „პირობითობის“ თეზისი. ენის შინაარსისა და გამოხატულების პლანი	31
• ნიშანთა კლასიფიკაცია აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის არსებული მიმართებების მიხედვით. „ვერტიკალური“ მიმართებები	32
• ენობრივი ნიშნის პირობითობა და „პორიზონტალური“ მიმართებები	34
10. ფორმალური სისტემები. სისტემის სპეციფიკაცია და ინტერპრეტაცია	36
11. სრული და არასრული სისტემები	37
12. სისტემის სინთეზისა და ანალიზის წესები	42
13. ელემენტთა განაწილება სისტემაში. ელემენტის დისტრიბუცია	43
14. ენობრივი მოდელები და მოდელების თეორია	45
15. კომუნიკაცია და შეტყობინება. ნიშანთა სისტემა როგორც კოდი. კოდირება და დეკოდირება	45
16. შეტყობინება და ინფორმაცია	47
17. ინფორმაციის რაოდენობა და ალბათობა	48
18. საინფორმაციო სისტემის ენტროპია და სიჭარბე	54

**თავი მეორე** 59

**ფონეტიკა** 59

- 1. ზოგადი ფონეტიკის საგანი 59
- 2. სამეტყველო ბგერათა კლასიფიკაციის პრინციპები 60

**არტიკულაციური ფონეტიკა** 60

- 3. სამეტყველო ორგანოები და მათი მოქმედება 60
- 4. სამეტყველო ბგერათა რაგვარობა 66
- 5. საარტიკულაციო ბაზისი 69
- 6. ბგერათა სიმბოლური ჩაწერა 69
- 7. ხმოვანთა არტიკულაციური კლასიფიკაცია 71
- 8. „ნახვეარხმონები“ ანუ აპროქსიმანტები 76
- 9. კონარტიკულაცია და ხმოვანთა ძირითადი მოდიფიკაციები 78
- 10. თანხმოვანთა არტიკულაციური კლასიფიკაცია 80
- 11. თანხმოვანთა ძირითადი მოდიფიკაციები 82
- 12. სამეტყველო ბგერის წარმოქმნის ფაზები 85
- 13. ბგერათა პროსოდიული მახასიათებლები 88
- 14. ბგერათდაკავშირება. ღია და დახურული გადასვლა 92

**აკუსტიკური ფონეტიკა** 93

- 15. ბგერის ფიზიკური მახასიათებლები 93
- 16. რეზონანსის მოვლენა. რეზონანტული და არარეზონანტული ბგერები 98
- 17. ბგერათა ვიზუალური წარმოდგენა. ოსცილოგრამა 102
- 18. სპექტროგრამა. ფორმანტის ცნება. ხმოვანთა აკუსტიკური დახასიათება 105
- 19. თანხმოვანთა ასახვა სპექტროგრამაზე. გარდამავალი ფორმანტები 108
- 20. „თეთრი ხმაურის“ აკუსტიკური ეფექტი 110
- 21. თანხმოვანთა და ხმოვანთა აკუსტიკური კლასიფიკაცია 112

**თავი მესამე** 116

**ფონოლოგია** 116

- 1. ფონოლოგიური და არაფონოლოგიური ბგერითი დაპირისპირებები 116
- 2. ფონემური ანალიზის ამოცანები 119
- 3. ფონემის ცნება. ფონემა და ბგერა 121
- 4. ფონემა, ფონი, ალოფონი 123

5. ფონემური ანალიზის წესები	124
6. ფონემა როგორც დიფერენციალურ ნიშანთა ერთობლიობა	126
7. ენის ფონემური ანალიზის პროცედურები	133
8. ფონემა და არქიფონემა	141
9. ოპოზიციის ნეიტრალიზაცია: ნეიტრალიზაციის პოზიცია და პარპონიული კომპლექსები ქართულში	141
10. ერთგანზომილებიანი და მრავალგანზომილებიანი ოპოზიციები	143
11. სუპრასეგმენტური ფონემები	145
12. ფონემური ანალიზის საილუსტრაციო მაგალითი	146
13. ფონემათა დისტრიბუციული კლასები	150
14. ფონემათა დისტრიბუციის ზოგადი აღრიცხვის მათემატიკური მოდელი	159
15. ფონემურ ოპოზიციათა ძირითადი ტიპები	165
16. კორელაცია. კორელაციური წყვილი. კორელაციური კონა	168
17. ფონოლოგიურ დაპირისპირებათა ფუნქციური დატვირთვა	170
18. მარკირების იერარქიული მიმართება ენის ფონოლოგიურ სისტემაში. ხშული ფონემების კლასები და „ცარიელი უჯრედები“	171
19. მარკირების მიმართება და ფონემის დიფერენციალური ნიშნები	174

**თავი მეოთხე** 178

**მორფოლოგია** 178

1. მორფის ცნება და მორფემული ანალიზი. თავისუფალი და ბმული ფორმები	178
2. მორფოლოგიური კონსტრუქცია. ფლექსია და დერივაცია	180
3. ძირი, აფიქსი, ფუძე. პარადოგმა. დერივაციული და ფლექსიური პარადოგმები	181
4. პარადოგმატულ ერთეულთა დაპირისპირების საშუალებები. აფიქსაცია და აფიქსთა სახეები	183
5. მორფების ფონემური შედგენილობის მოდიფიკაცია: ალტერნაცია და ალტერნაციის სახეობები. მორ(ფო)ფონოლოგიური მონაცვლეობა	185
6. პარადოგმატული დაპირისპირებები და ნულოვანი აფიქსი	188
7. მორფემა და ალომორფები	189
8. მორფემული ანალიზის პრინციპები: მორფემათა ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობები. მორფოლოგიური ხმოვანთმონაცვლეობა	190
• მორფემული ანალიზის პირველი პრინციპი	190
• მორფემული ანალიზის მეორე პრინციპი და ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფები	193
• ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფები და „ფონეტიკური პროცესები“	195
• მორფემული ანალიზის მესამე პრინციპი და მორფოლოგიურად შეპირობებული ალომორფები	199
• მორფემული ანალიზის მეოთხე პრინციპი და შემნაცვლებელი მორფები. მორ(ფო)ფონოლოგია	201



- აბლაუტი ანუ აპოფონია 203
- მორფემული ანალიზის მეხუთე პრინციპი და ჰომოფონური მორფები 204
- მორფემული ანალიზის მეექვსე პრინციპი და თავისუფლად მონაცვლე ალომორფები 205
- მორფემის კანონიკური ფორმა. ძირითადი კანონიკური ფორმები 206
- 9. სიტყვათა ძირითადი პარადიგმატული კლასები 206
- 10. ფუძეთა სტრუქტურული კლასები სხვადასხვა ტიპის ენებში 210
- 11. სუბსტიტუცია და სუბსტიტუციის ტიპები 213
- 12. მორფოლოგიური კატეგორიები 214
- 13. მორფოლოგიური დიფერენციალური ნიშანი. გრამემა და გრამატიკული კატეგორია 221
- 14. გრამემათა ნეიტრალიზაცია და არქონგრამემა 224
- 15. მორფემათა დისტრიბუცია. მორფემის რანგი 226
- 16. გამონათქვამის სეგმენტაცია მორფებად. ფორმათა კვადრატი 228
- 17. სიტყვის ოპერაციული განსაზღვრა 233
- 18. ენობრივი ფორმის უშუალო შემადგენლები 237
- 19. ენობრივი ფორმის უშუალო შემადგენლებად დაშლის პრინციპები. ენდოცენტრული და ეგზოცენტრული კონსტრუქციები 242

**თავი მეხუთე** 246

**სინტაქსი** 246

- 1. წინადადება. წინადადების წევრები 246
- 2. „მოქმედი-მოქმედება“ ტიპის წინადადებები 247
- 3. სიტყვათა შორის კავშირის სახეები წინადადებაში 249
- 4. ენდოცენტრული და ეგზოცენტრული სინტაქსური კონსტრუქციების კლასიფიკაცია 257
- 5. გრამატიკულად სწორი და არასწორი ფრაზები. „აზრიანი“ და „უაზრო“ გამონათქვამები 260
- 6. ფრაზის გრამატიკული სისწორის განსაზღვრის პროცედურები 261
- 7. ეკვივალენტურ სიტყვაფორმათა კლასები. ფრაზის S-სტრუქტურა 263

**წარმომშობ გრამატიკათა თეორია** 266

- 8. გრამატიკა როგორც წარმომშობი შექანიზმი. წინადადებათა „წარმოქმნა“ და „წარმოშობა“ 266
- 9. წარმომშობი გრამატიკების თეორია. გრამატიკების შეფასების კრიტერიუმები — სისრულე, ადეკვატურობა, ეკონომიურობა, სიმარტივე 268
- 10. სისტემის ელემენტთა ურთიერთდამოკიდებულების სხვადასხვა სახე 271
- 11. გრამატიკა მდგომარეობათა სასრული რაოდენობით 274
- 12. (Σ, F) ტიპის გრამატიკის აგებულება. ტერმინალური ენა 282
- 13. სიღრმის ჰიპოთეზა 292

14. (Σ, F) ტიპის გრამატიკის უკმარისობა ბუნებრივი ენის წინადადებათა წარმოშობის თვალსაზრისით. კონსტრუქციული ომონიმია	301
15. გრამატიკული ტრანსფორმაციები. ბირთვული და არაბირთვული წინადადებები	306
16. სხვადასხვა ტიპის წინადადებათა წარმოშობა ტრანსფორმაციული წესების მეშვეობით	313
17. ტრანსფორმაციული გრამატიკა როგორც (Σ,F)- და T-კომპონენტების ერთობლიობა. ლინგვისტური თეორიის დონეები	323
18. ზედაპირული და სიღრმისეული სტრუქტურები	327
19. ნოამ ჩომსკის „სტანდარტული მოდელი“ და თანამედროვე სინტაქსური თეორიები	329
20. რიჩარდ მონტეგიუს ფორმალური ფილოსოფია	332

## თავი მეექვსე 335

### სემანტიკა . ლექსიკოლოგია 335

1. სემანტიკის საგანი. ენის სემანტიკური სისტემა. რეფერენცია	335
2. მნიშვნელობათა ლოგიკური კლასიფიკაცია	337
3. მნიშვნელობათა ლინგვისტური ტიპოლოგია. სემა და სემანტემა	343

### ლექსიკური სემანტიკა და ლექსიკოლოგია 347

4. ლექსემის ცნება. ლექსიკა როგორც სისტემა. მიმართებები ლექსიკურ ერთეულებს შორის. ლექსიკონის სტრუქტურა	347
5. სახელდება. პოლისემია. ლექსიკური მნიშვნელობის გარდაქმნის ფორმები	353
6. ლექსიკური ომონიმია	362
7. ლექსიკური სინონიმია. სინონიმური რიგები	365
8. ანტონიმური წყვილები	369
9. ფრაზეოლოგია	374
10. ლექსიკის სტილისტური დიფერენციაცია. ექსპრესიული ლექსიკა	379
11. აქტური და პასიური ლექსიკა. ლექსიკის ქრონოლოგიური ფენა	385
12. ლექსიკურ ერთეულთა სესხება და კალკირება	389
13. ტერმინოლოგია. ტერმინთსისტემების მახასიათებლები	394

<b>თავი მეშვიდე</b>	<b>399</b>
<b>ენათმეცნიერების ახალი დარბები</b>	<b>399</b>
<b>I. ენათა სტრუქტურული ტიპოლოგია და ლინგვისტური უნივერსალები</b>	<b>399</b>
1. ენათა იზომორფიზმი და ალომორფიზმი. ენათა ტიპოლოგიური კლასები	399
2. ლინგვისტური უნივერსალები	401
3. ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია	409
4. ძირეული მორფემბისა და დამხმარე ელემენტების ტიპოლოგია	413
5. ენათა ტიპოლოგია და „უნივერსალური გრამატიკა“	418
6. ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია და სინტაქსური უნივერსალები	421
7. ენათა კონტენსიურ-ტიპოლოგიური კლასიფიკაცია	424
8. კონტრასტიული ლინგვისტიკა	432
<b>II. ტექსტის ლინგვისტიკა</b>	<b>434</b>
1. ტექსტის ლინგვისტიკის საგანი და ამოცანები	434
2. ტექსტის შესწავლის ასპექტები	435
3. მნიშვნელობათა ტიპები ტექსტში	437
4. კონტექსტის მნიშვნელობა ტექსტისათვის	438
5. თემა და რემა	443
6. ლინგვისტიკა და პოეტიკა	444
7. ფატიკური კომუნიკაცია	446
8. პარალინგვისტიკა	448
<b>III. სოციოლინგვისტიკა</b>	<b>449</b>
1. ენა და საზოგადოება	449
2. დიალექტოლოგია და ლინგვისტური გეოგრაფია	458
3. ორენოვნება და დიგლოსია	459
4. ენა და კულტურა	461
5. ლინგვისტური დეტერმინიზმი და რელატივიზმი	463
<b>IV. კოგნიტიური ლინგვისტიკა</b>	<b>465</b>
<b>V. ფსიქოლინგვისტიკა. ბიოლინგვისტიკა</b>	<b>472</b>
1. ფსიქოლინგვისტიკის საგანი	472
2. ბავშვის ენობრივი განვითარება	473
3. ენა და აზროვნება	482
4. ენა და მეხსიერება	485
5. ბიოლინგვისტიკა. ენობრივი უნარი და გენეტიკური კოდი	486

VI. ენათმეცნიერების გამოყენებითი დარგები	488
1. გამოყენებითი ენათმეცნიერება. მათემატიკური და კომპიუტერული ლინგვისტიკა	488
<b>თავი მერვე</b>	492
<b>ენა და დამწერლობა</b>	492
1. დამწერლობა როგორც სემიოტიკური სისტემა	492
2. წერითი სისტემის „შინაარსისა“ და „გამოხატულების“ პლანი	493
3. დამწერლობის „პარადომატიკა“ და „სინტაგმატიკა“	506
4. წერის ანბანური სისტემის შექმნა	507
5. დამწერლობის რიცხვ-ნიშანთა სისტემა	509
6. ანბანური სისტემის წარმოქმნის ტიპოლოგია	511
7. ქართული დამწერლობის წარმოშობა	515
8. ბერძნული ანბანიდან მომდინარე ქრისტიანული ანბანის სისტემების ტიპოლოგია	520
9. „მწიგნობრობა ქართული“ და „ალოგლოტოგრაფია“	520
<b>თავი მესამე</b>	522
<b>ენის ცვალებადობა და ენობრივი დიაქრონია</b>	522
1. ენის ცვალებადობა დროში და დიაქრონული ენათმეცნიერება	522
2. ენობრივი სისტემა და დიაქრონული ლინგვისტიკის წინამძღვრები	526
3. საერთო ენობრივი სისტემის პრობლემა და მისი რეკონსტრუქციის მეთოდები	537
4. რეკონსტრუქცია და ტიპოლოგია	539
5. ქართველური და ინდოევროპული რეკონსტრუქციები	542
6. საერთო-ინდოევროპული კონსონანტიზმის რეინტერპრეტაცია და „ინდოევროპული გლოტალური თეორია“	548
7. ინდოევროპული წინარე ენის ვოკალიზმი და „ლარინგალური თეორია“. შინაგანი რეკონსტრუქციის პრინციპი	558
8. სემანტიკური რეკონსტრუქციის პრობლემები	565
9. რეკონსტრუირებული ენობრივი სისტემა სივრცესა და დროში	566
10. საერთო ენის გავრცელების თავდაპირველი ტერიტორიისა და მისი დიალექტების მფლობელთა მიგრაციების გზების განსაზღვრა. ლინგვისტური და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით აღდგენილი კულტურების ურთიერთდაკავშირების პრობლემა	572

- 11. ლექსიკურ-სემანტიკური რეკონსტრუქცია და კულტურის ლინგვისტური პალეონტოლოგია. დიალექტური და საერთო-ენობრივი ლექსიკა როგორც წინარე ენის სემანტიკური ლექსიკონის რეკონსტრუქციის საფუძველი. რეკონსტრუირებული ლექსეშების სემანტიკის შეთანადება «საგანთა სამყაროსთან». 575
- 12. ფუძე-ენის სემანტიკური ლექსიკონი და კულტურის რეკონსტრუქცია. სემანტიკური ლექსიკონი როგორც პროტო-კულტურის ასახვა. 578
- 13. საერთო-ინდოევროპული ფუძე-ენის მყლობელთა წინარე სამშობლოს ლოკალიზაცია სივრცესა და დროში. ინდოევროპული ენის კონტაქტები ქართველურთან და სემიტურთან 580
- 14. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება და „ნოსტრათიკა“ 588
- 15. გლოტოქრონოლოგია და ლექსიკოსტატისტიკა 589

**თავი მათე** 602

**მსოფლიოს ენები. ენათა არეალური და გენეალოგიური კლასიფიკაცია. ენობრივი კავშირები და ენათა ოჯახები** 602

*I. ენათა არეალური კლასიფიკაცია* 602

- 1. ენობრივი კავშირი. ენათა კონტაქტები და ინტერფერენცია 602
- 2. მიჯინ-ენები და კრეოლური ენები 611

*II. ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია* 613

- 1. მონათესავე ენები. ენათა ოჯახები 613
- 2. ევროპის ენები 614
- 3. სამხრეთ აზიის ენები 617
- 4. ჩრდილოეთ აზიის ენები 619
- 5. სამხრეთ-დასავლეთ აზიის ენები 621
- 6. აღმოსავლეთ აზიის ენები 623
- 7. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ენები 625
- 8. აფრიკის ენები 628
- 9. ამერიკის ენები 630
- 10. მსოფლიოს ენათა კლასიფიკაცია (რუკა) 634

**ბიბლიოგრაფია** 637

- ბიბლიოგრაფიის ინდექსი* 638
- დამატებითი ლიტერატურა* 639

**საკმეზღები** 753

- საძიებლების ინდექსი* 754
- სავნობრივი საძიებელი* 755
- პირთა (ავტორთა) საძიებელი* 782
- სარჩევი** 795

# შემოკლებები

ქვემოთ მოგვყავს ძირითადად ის შემოკლებანი და გრამატიკული სიმბოლოები, რომლებიც არ არის სპეციალურად ახსნილი საკუთრივ ტექსტში

## A. ენები და დიალექტები

- ავესტ. — ავესტა  
 ამერ.-ინგლ. — ამერიკული ინგლისური  
 არაბ. — არაბული  
 ბერძნ. — ბერძნული  
 გერმ. — გერმანული  
 გოთ. — გოთური  
 დას.-ქართვ. — დასავლურ-ქართველური  
 დორ. — დორიული ბერძნული  
 ესპ. — ესპანური  
 იაპ. — იაპონური  
 ი.-ე. — ინდოევროპული  
 ინგლ. — ინგლისური  
 ირლ. — ირლანდიური  
 იტალ. — იტალიური  
 ლაზ. — ლაზური  
 ლათ. — ლათინური  
 ლიტვ. — ლიტვიური  
 მეგრ.-ლაზ. — მეგრულ-ლაზური  
 ოსკ. — ოსკური  
 სვან. — სვანური  
 სომხ. — სომხური  
 სპარს. — სპარსული  
 ს.-ქართვ. — საერთო-ქართველური  
 ტოქ. — ტოქარული  
 ფრ. — ფრანგული  
 ქართ. — ქართული  
 ქართვ. — ქართველური  
 შვედ. — შვედური  
 შვეიც.-გერმ. — შვეიცარიული გერმანული  
 შუმერ. — შუმერული  
 ძვ.-ზ.-გერმ. — ძველი ზემოგერმანული  
 ძვ.-ინდ. — ძველი ინდური  
 ძვ.-ირლ. — ძველი ირლანდიური  
 ძვ.-ისლ. — ძველი ისლანდიური  
 ძვ.-საქს. — ძველი საქსონური  
 ძვ.-სლავ. — ძველი სლავური  
 ძვ.-ქართ. — ძველი ქართული  
 ხეთ. — ხეთური  
 ხუნდ. — ხუნდური

## B. გრამატიკული ტერმინოლოგია

- აკუზ. — აკუზატივი  
 აორ. — აორისტი  
 გარდამ. — გარდამავალი  
 გენ. — გენეტივი  
 მამრ. სქ. — მამრობითი სქესი  
 მდედრ. სქ. — მდედრობითი სქესი

- მრ. რ. — მრავლობითი რიცხვი  
 მხ. რ. — მხოლოდობითი რიცხვი  
 ნათ. ბრ. — ნათესაობითი ბრუნვა  
 პერფ. — პერფექტი  
 სახ. ბრ. — სახელობითი ბრუნვა  
 სრ. ასპ. — სრული ასპექტი  
 წარს. — წარსული  
 A — „აქტიური კლასის სახელი“  
 A, Adj. — Adjective — „ზედასართავი სახელი“  
 abl. — ablative — „გამოსვლითი ბრუნვა“  
 acc. — accusative — „ბრალდებითი ბრუნვა“  
 Aux — Auxiliary — „დამხმარე ზმნა“  
 gen. — genitive — „ნათესაობითი ბრუნვა“  
 „id.“ — ლათ. *idem* „ოგივე“  
 In — „ინაქტიური კლასის სახელი“  
 inst. — instrumental — „ინსტრუმენტალისი“  
 intr. — intransitive — „გარდაუვალი“  
 M — Modal verb — „მოდალური ზმნა“  
 O — Object — „ობიექტი“. „დამატება“  
 N — Noun — „არსებითი სახელი“  
 nom. — nominative — „სახელობითი ბრუნვა“  
 NP — Noun Phrase — „სახელური ფრაზა“  
 P — Phrase — „ფრაზა“  
 pl. — plural — „მრავლობითი რიცხვი“  
 prep. — preposition — „წინდებული“  
 Pron. — Pronoun — „ნაცვალსახელი“  
 refl. — reflexive — „უკუქცევითი“  
 S — Subject — „ქვემდებარე“  
 sing. — singular — „მხოლოდობითი რიცხვი“  
 T — Transformation — „ტრანსფორმაცია“  
 tr. — transitive — „გარდამავალი“  
 V — Verb — „ზმნა“  
 VP — Verb Phrase — „ზმნური ფრაზა“

- \* A — 1) ენაში დაუმოწმებელი ფორმა ან ფრაზა A  
 2) ისტორიულად რეკონსტრუირებული ფორმა A

$$\left. \begin{array}{l} a \rightarrow b \\ a > b \end{array} \right\} \text{„} a \text{ გარდაიქმნება როგორც } b \text{“};$$

$$\left. \begin{array}{l} b \leftarrow a \\ b < a \end{array} \right\} \text{„} b \text{ მიიღება } a \text{-დან“};$$

$x \rightarrow y$  : „x გადაიწერება როგორც y“.

# შესავალი

“ზირველითგან იყო სიტყუად,  
და სიტყუად იგი იყო ღმერთისა თანა,  
და ღმერთი იყო სიტყუად იგი.”

«თანჯს სანარქა», თაჯო I, 1.

“და იყო უოველი ქუეუანა ბაჯე ერთ და ჳმა ერთ უოველთა...  
და თქუა უფალმან ღმერთმან: აჰა ნათესავი ერთ და ბაჯე ერთ უოველთა...  
მოვედით, გარდავიდეთ და შეურინეთ მათ ენანი მუნ, რადთა არა  
ესმოდის თჯთუელსა ჳმაჯ მოუუსისა. და განთესნა იგინი  
უფალმან მუნით ჰირსა ჴედა უოვლისა ქუეუანისასა.”

«შესაჳბისა», თაჯო XI, 1-8.

1. ძაცობრიობამ დიდი ხანია შეიცნო ენის განსაკუთრებული ძალა და მნიშვნელობა; ამიტომ განსაკვირი არ არის, რომ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მსოფლმხედველობრივი ტრადიციები ენას სამყაროს *პარკვლსაწყისჯ* მიიჩნევენ და მას *ჯებუნჯბრიე წარმობაჯლობას* მიაწერენ.

ბიბლიაში, რომელიც თავდაპირველად ძველ ებრაელთა რწმენას ასახავდა, ნათქვამია, რომ *ადამა* დედამიწაზე მცხოვრებ არსებებს სახელები ღვთის კარნახით დაარქვა; ძველ ინდოეთში გავრცელებული რწმენის მიხედვით, მეტეველება ღმერთმა გამოიგონა...

*ბაბილონის გოდოლის* ბიბლიურ თქმულებაში მოცემულია ენის შესახებ იმდროინდელი შეხედულებები და იმის ასსნა, თუ რატომ ლაჰარაკობენ ადამიანები ერთმანეთისათვის გაუგებარ, განსხვავებულ ენებზე და რამ შექმნა ენათა მრავალფეროვნება.

2. მნის წარმომავლობაზე ძველად ბევრს დავობდნენ, მაგრამ ამ საკითხზე მხოლოდ ჰინოთეზების დონეზე თუ შეიძლებოდა მსჯელობა; მეცნიერები ვარაუდს გამოთქვამდნენ იმ ჰირობების შესახებ, რომლებშიც უნდა ჩასახულიყო და განვითარებულიყო ენა; ხალხი თავის წარმოდგენებში კიდევ უფრო შორს მიდიოდა და ცდილობდა აღმოეჩინა და აღედგინა კაცობრიობის *პირვანდელი*, „საწყისი“ ენა.

3. ადამიანის ბუნებრივი ბგერითი ენა ასაკობრივად უოველ შემთხვევაში *Homo sapiens sapiens*-ის თანატოლი უნდა იყოს (ანთროპოლოგიურ მეცნიერებათა ბოლოდროინდელი მონაცემებით — დაახლოებით 70.000 წლისა) და, ამდენად, წერითი ენის უძველესი ნიმუშები, რომლებიც სულ რაღაც ხუთი-ექვსი ათასწლეულის წინათ არის შექმნილი, შეუძლებელია ასახავდეს ადამიანის ენის წარმოშობისა და განვითარების საწყის ეტაპებს.

ზოგიერთი მეცნიერი მეტყველების ჩანასახებს ხედავდა ცხოველთა ხმების იმიტაციაში ან ადამიანის სინარულისა თუ წუსილის გამომხატველ შეძახილებში.

4. პრაქტიკულ უცდიათ კაცობრიობის უძველესი ენის სტატუსი რომელიმე ცოცხალი ენისათვის მიენიჭებინათ. ასე, მაგალითად, ჰეროდოტე გადმოგვცემს, რომ *ეგვიპტის ფარაონმა ფსამეტიქემ* ბრძანა ისე აღეხარათ ბავშვი, რომ მისი თანდასწრებით არც ერთი სიტყვა არ წარმოეთქვათ, და ერთხელ, როდესაც ბავშვმა მიიღბინა მცველთან, რომელმაც მას ჰური მიუტანა, მან თურმე წამოიძახა: „ბეკოს, ბეკოს!“; ამის საფუძველზე კაცობრიობის უძველეს ენად *ფრიგიული* იქნა მიჩნეული, რომელზეც ჰურს *bekos* ჰქვია. ასეთი გულუბრველო ცდა ენის წარმოშობის ახსნისა სხვა დროს და სხვაგანაც იქნა განმეორებული; ქრისტიანულ ევროპაში *ებრაულის*, როგორც *ძველი ჯოშის* ენის, სტატუსმა განაპირობა საუკუნეების მანძილზე მისი აღიარება იმ ენად, რომელზეც *ღმერთი ადამს* მიმართავდა, ე.ი. კაცობრიობის ენათა *წინაპრად* ეს შეხედულება გარკვეულ წრეებში XIX ს. შუა წლებამდე იყო გაბატონებული, მაგრამ შემდეგ მას დაუპირისპირდა ენის ცვალებადობისა და გარდაქმნის უნივერსალური პრინციპი, რაც ენის მეცნიერული შესწავლის შედეგად იქნა დადგენილი.

5. თეორიული ენათმეცნიერების წინამდებარე „კუჩხის“ ამოცანას შეადგენს, წარმოვადგინოთ თანამედროვე მეცნიერებაში შემუშავებული ზოგადი შეხედულებები და თეორიები ადამიანის ბუნებრივი ენისა და დამწერლობის სტრუქტურის შესახებ, აგრეთვე ენობრივ სისტემათა და დამწერლობათა მრავალფეროვნების, მათი დროში ცვალებადობისა და წარმომავლობის თაობაზე.



## ენა და მეცნიერება ენის შესახებ

### 1. ენათმეცნიერების საგანი

1.1. მანამდე როგორც ენათმეცნიერების, მისი თეორიული პრინციპებისა და ამოსავალი დებულებების შესახებ მსჯელობა უნდა დავიწყოთ საზოგადოდ ენის როგორც თავისთავადი ფენომენის განსაზღვრით.

რა მოვლენაა ენა, როგორ უნდა გავიგოთ მისი ბუნება და არსი?

შეიძლება ითქვას, რომ ბუნებრივი ენა განსაკუთრებული, უმნიშვნელოვანესი ფენომენია, რომელიც პიროვნების, ადამიანთა საზოგადოების, ერისა და თვით კაცობრიობის პირველადსა და სრულიად აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს.

ენის როგორც აზრის გამოხატვისა და საკომუნიკაციო (ლათ. *communicatio* „შეტყობინება“) საშუალების გარეშე წარმოუდგენელია ადამიანთა საზოგადოების არსებობა. ყოველი ნორმალური ადამიანი მთლიანად დამოკიდებულია ენაზე, მის ფუნქციონირებაზე; კომუნიკაციის სხვა საშუალებები – ჟესტ-მიმიკა, სხვადასხვა ხასიათის სიგნალები და თვით დამწერლობაც – საზოგადოებაში კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით ან არასაკმარისი საშუალებებია, ან მათი ეფექტიანობა იმით აიხსნება, რომ ისინი დამოკიდებულნი არიან ბგერით ენაზე, მის ერთგვარ ასახვას წარმოადგენენ.

საზოგადოების ნორმალური წევრებისათვის ენის ფლობა, ურთიერთგაგებინება და აზრთა გაცვლა-გამოცვლა ენის მეშვეობით იმდენად ბუნებრივია, ენით სარგებლობა იმდენად ავტომატური, რომ მას ყურადღებას არც კი ვაქცევთ, ისევე როგორც, მაგალითად, ჩვეულებრივ ვითარებაში სუნთქვას ან გულისცემას.

მაგრამ ზოგიერთ სიტუაციაში ენა, ენობრივი აქტივობა უნებლიეთ იპყრობს ჩვენს ყურადღებას. ასე ხდება, მაგალითად, როდესაც სხვის მეტყველებაში ვამჩნევთ ჩვენი სამეტყველო ჩვევებისაგან განსხვავებულ თავისებურებებს, ან ნორმისგან გადახრას უცხოელისა თუ ბავშვის მეტყველებაში.

ამათგან განსხვავებით, ვინც ენას მხოლოდ ურთიერთგაგებინების საშუალებად იყენებს (შეუცნობლად და ავტომატურად), ზოგიერთი პრო-

ფესიის წარმომადგენლებს ენის შესახებ სპეციალური ცოდნა, ინფორმაცია სჭირდებათ. ამ სპეციალისტთა შორის არიან:

*მწერალი, პოეტი* ვისთვისაც ენა თვითგამოსატყვის საშუალებაა და რომლებიც არა მხოლოდ ფლობენ ენას, არამედ ქმნიან და თხზავენ საჭიროებისდა მიხედვით მის ცალკეულ ელემენტებს;

*ენის მასწავლებელი*, რომელმაც მოსწავლეს უნდა გადასცეს მშობლიური ენის წესები ან უცხო ენის ახალი სამეტყველო ჩვევები;

*ისტორიკოსი*, რამდენადაც ისტორიული წყაროები კონკრეტულ ენაზე ფიქსირებულ წერილობით მასალას შეიცავენ, ხოლო ამ ენის მფლობელი ხალხის ისტორიის სიღრმისეული მომენტები უპირატესად ენაშია ასახული;

*ფსიქოლოგი*, რომელიც მეტყველების ფსიქოლოგიურ ასპექტებს შეისწავლის და ბევრით ენას განიხილავს როგორც ცხოველთა ქცევისაგან ადამიანთა ქცევის ერთ-ერთ ძირითად განმასხვავებელ ნიშანს;

*ფილოსოფოსი*, რომელიც იკვლევს ლოგიკისა და სემანტიკის საკითხებს, ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების პრობლემებს;

*ტელეკომუნიკაციის სპეციალისტი*, რომლის ამოცანაა შეტყობინებათა მანიპულაცია გადაცემაზე უპირადად (ტელეფონით, რადიოთი) ან წერილობით (ტელეგრაფითა და სხვა უახლესი ელექტრონული საშუალებებით);

*ინფორმატიკოსი*, რომელიც ქმნის ფორმალურ ენებს ხელოვნური ინტელექტის სხვადასხვა ამოცანის განსახორციელებლად;

*ექიმი-ლოგოპედი*, რომელიც ასწორებს მეტყველების თანდაყოლილ ან ტრავმით გამოწვეულ დეფექტებს.

შეიძლება დავასახელოთ კიდევ მრავალი სხვა დარგის სპეციალისტები, რომლებიც ენას იყენებენ საშუალებად გარეენობრივი (ექსტრა-ლინგვისტური) ამოცანების გადასაწყვეტად.

ამათგან განსხვავებით, სპეციალისტთა ერთი ჯგუფისათვის ენის შესწავლას თავისთავადი ღირებულება აქვს; მათთვის ენობრივი კვლევის ძირითადი მიზანია ენის ბუნების გარკვევა. სპეციალისტთა ამ ჯგუფს *ენათმეცნიერები* ანუ *ლინგვისტები* (ლათ. *lingua* „ენა“) ეწოდება, ხოლო მათი კვლევა-ძიების შედეგად მიღებულ დებულებათა ორგანიზებულ სისტემას, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას ენის ბუნებისა და მისი ფუნქციონირების შესახებ, — *ენათმეცნიერება* ანუ *ლინგვისტიკა*.

1.2. ჩვენ ამ ეტაპზე ენას, როგორც თავისთავად ობიექტს, შევისწავლით მხოლოდ ენათმეცნიერის და არა, ვთქვათ, ისტორიკოსის, ფსიქოლოგის ან რომელიმე სხვა სპეციალური დარგის წარმომადგენლის თვალსაზრისით. ჩვენთვის ამჟამად ღირებულია ერთადერთი — წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისი; ენის ამგვარი შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც გამოყენებითი მიზნებისათვის (ავტომატური თარგმანი, ხელოვნური ენების

შექმნა და სხვ.), ისე ზოგადთეორიული თვალთახედვით: ენობრივი ფენომენი, რომელიც არსებით როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში, ადამიანთა საზოგადოებაში, ყოველმხრივ და შექლებისდაგვარად სრულად უნდა იქნეს შესწავლილი. რაც უფრო ღრმად ჩავწვდებით იმას, თუ რას წარმოადგენს ენობრივი სისტემა, როგორია მისი აგებულება და როგორ ფუნქციონირებს იგი, მით უკეთ შევიცნობთ ჩვენს თავს და ჩვენს ადგილს სამყაროში.

## 2. სინქრონია და დიაქრონია

2.1. შნა შესაძლებელია აღიწეროს და შესწავლილ იქნეს ორი განსხვავებული თვალსაზრისით – *სინქრონიულად* (ბერძნ. *syn-* „თან“, *chrónos* „დრო“; „თანადროულობა“) და *დიაქრონიულად* (ბერძნ. *dia-* „გავლით“), ანუ გარკვეული დროის პერიოდში მისი ცვალებადობის გათვალისწინებით. ენის *სინქრონიული* შესწავლა გულისხმობს ენობრივი სისტემის აღწერასა და კვლევას დროის ერთ განსაზღვრულ მონაკვეთში. მაგრამ სინქრონიული ანალიზი არ ნიშნავს მხოლოდ მკვლევრის თანადროული ენობრივი სისტემის ანალიზს; შეიძლება აგრეთვე მოცემული ენის რომელიმე ისტორიული პერიოდის მახასიათებლების შესწავლაც, ოღონდ ეს კვლევა უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ერთი გარკვეული ისტორიული პერიოდით. *სინქრონიულად* შესაძლებელია შევისწავლოთ გადაშენებული ანუ „მკვდარი“ ენებიც.

## 3. პოსტულატები და „დედუქციური სისტემა“

3.1. *სოველი* მეცნიერება არის განსახილველი ობიექტის ამა თუ იმ თვალსაზრისით შესწავლის შედეგად მიღებულ დებულებათა სისტემა. ყველა მეცნიერებაში განისაზღვრება გარკვეული ცნებები. ეს გულისხმობს მათ განმარტებას, დეფინიციას სხვა ცნებების საშუალებით. ყოველი ასეთი განმარტება, თავის მხრივ, შეიცავს ცნებებს, რომლებიც კვლავ განმარტებას, დეფინიციას მოითხოვს; ახალი განმარტებაც ისევ განსამარტავ ცნებებს უნდა დაემყაროს და ა.შ. ეს პროცესი დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს. ამიტომ, ყოველი მეცნიერული სისტემის აგებისას, ახალ ცნებათა განმარტებისას უნდა დავეყრდნოთ რაღაც ამოსავალ, ელემენტარულ ცნებებს, რომლებსაც მივიღებთ განსაზღვრის, დეფინიციის გარეშე. ეს ცნებები დაედება საფუძვლად უფრო რთულ ცნებათა და დებულებათა დეფინიციას და ამ გზით აიგება მთელი მეცნიერული სისტემა, რომელსაც შეიძლება *დედუქციური* სისტემა ეწოდოს (ლათ. *de-*


*ductio* „გამოყვანა“). ამჯერად ვისაუბრებთ სწორედ ამგვარი *ამოსავალი* განსაზღვრის გარეშე მიღებული *ცნებებისა* და *დებულებების* (პოსტულატების) შესახებ.

#### 4. ობიექტი-ენა და მეტაენა

4.1. საკვლევ ობიექტთა აღწერისა და შესწავლის დროს ჩვეულებრივ იყენებთ რაღაც ენას; მეცნიერული დებულება ყოველთვის გარკვეულ ენაზე გამოითქმის და ყალიბდება. მაგალითად, მათემატიკა, რომელიც სწავლობს აბსტრაქტულ სისტემებსა და ამ სისტემათა ელემენტებს შორის არსებულ მიმართებებს, ბუნებრივ ენასთან ერთად იყენებს განსაკუთრებულ *სიმბოლურ ენას*, რომლის მეშვეობითაც იგი აღწერს მოცემულ სისტემებს. მათემატიკური ლოგიკა თავის ენად იყენებს აგრეთვე ხელოვნურად შექმნილ სპეციალურ სიმბოლოებს.

ლინგვისტიკასაც აქვს ენა, რომელზეც იგი აყალიბებს მეცნიერულ დებულებებს, მიღებულს თავისი ობიექტის — ბუნებრივი ენის — აღწერა-შესწავლის შედეგად. მაშასადამე, ენათმეცნიერებისათვის ფუნქციურად გასარჩევია ორი ენა: ის, რომელსაც იგი აღწერს, შესწავლის, და ის, რომელზეც აღწერს, რომლის ტერმინებითაც იგი აყალიბებს საკვლევ ობიექტის შესწავლის შედეგად მიღებულ დებულებებს. პირველ მათგანს შეიძლება ვუწოდოთ *ობიექტი-ენა*, ხოლო მეორეს — *მეტაენა* (ბერძნ. *metā* „ფარგლებს გარეთ“). ფუნქციურად ისინი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ობიექტი-ენასა და მეტაენას შორის არსებული მიმართება სქემატურად შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:



დაბკვირვებელი (ლინგვისტი) აკვირდება ობიექტი-ენის გამონათქვამებს, აღწერს მის ერთეულებს, ქმნის ამ ენობრივი ფაქტების შესახებ ჰიპოთეზებს და მეტაენაზე გამოხატავს მათ. მაშასადამე, ჰიპოთეზები, თეორიები, მოსაზრებები ბუნებრივი ენის შესახებ მეტაენობრივი კატეგორიებია, რომელთა საშუალებითაც აღიწერება ემპირიულად (ცდისმიერად) მიღებული ენობრივი ფაქტები.

ზოგ შემთხვევაში მეტაენა ემთხვევა ობიექტი-ენას, ან, უფრო ზუსტად, ერთი და იგივე ენა შეიძლება გამოყენებული იქნეს ერთდროულად როგორც შესწავლის ობიექტი და როგორც აღმწერი ენა. მაგალითად, ქართული ენა შეიძლება აღიწეროს ქართულსავე ენაზე; მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ქართული გამონათქვამები, რომლებიც ობიექტი-ენას ასახავენ, იმ გამონათქვამებისგან, რომლებიც მეტაენას განეკუთვნებიან. ასე, მაგალითად, გამონათქვამი *კაცი მიდის ობიექტი-ენის* გამონათქვამია, ხოლო გამონათქვამი *„კაცი მიდის“ თხრობითი წინადადებაა — მეტაენას* განეკუთვნება.

## 5. ენა როგორც ნიშანთა სისტემა. სინტაგმატური და პარადიგმატული მიმართებები

5.1. აქამდე არაფერი გვითქვამს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ენა, როგორ უნდა გვესმოდეს მისი არსი და რა ამოსავალი დებულებები (პოსტულატები) უნდა დავუდოთ საფუძვლად ამ ფენომენის შესწავლას.

ბუნებრივი ენა შეიძლება დავახასიათოთ მისი სპეციფიკური ნიშნებით, ჩამოვყალიბოთ მახასიათებლები, რომლებითაც იგი განსხვავდება სხვა საკომუნიკაციო სისტემებისაგან.

აღამიანის ენა შეიძლება დახასიათდეს როგორც *პირობით ბგერით ნიშანთა სისტემა, რომელიც გამოიყენება ადამიანთა საზოგადოებაში აზრების გამოხატვისა და კომუნიკაციის, ინფორმაციისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალებად*. ამ დახასიათებაში ხაზგასმულია ენის როგორც ნიშანთა სისტემის ოთხი არსებითი თავისებურება:

1. *ენა არის სისტემა*. ენის სისტემურობის ჩვენებას ეძღვნება არსებითად მთელი ჩვენი კურსი. ამჯერად ამ საკითხს მხოლოდ ზოგადად მიმოვიხილავთ.

გამოთქმა *„ენა სისტემა“* გულისხმობს იმას, რომ ენა არის არა რაღაც ერთეულების მოუწესრიგებელი სიმრავლე, არამედ ისეთი ელემენტების ერთობლიობა, რომელთა შორის გარკვეული მიმართებები და კავშირები არსებობს. ეს ელემენტები თავისებურ *სტრუქტურებს* (ლათ. *structura* „აგებულება“) ქმნიან. ასეთი სტრუქტურა შეიძლება ამოვიც-

ნოთ მისი რაღაც ნაწილის მიხედვით ისევე, როგორც, მაგალითად, შეგვიძლია ავაგოთ სამკუთხედი, თუ მოცემულია მისი ერთი გვერდი და ორი კუთხე (ისინი სამკუთხედის დანარჩენ ელემენტებს ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავენ).

ენის ერთეულები ქმნიან სისტემას ანუ ერთიანობას, რომელშიც ყოველი ერთეული გარკვეულ კავშირშია ყველა სხვა ერთეულთან. სისტემაში რომელიმე ერთეულის შეცვლა იწვევს ამ სისტემის ყველა სხვა ერთეულის გარკვეულ სახეცვლას.

ერთეულის მიმართება სისტემის სხვა ერთეულებთან შეიძლება იყოს *სინტაგმატური* (ბერძნ. *syntagma* „თანწყობა“, „შეკავშირება“) ან *პარადიგმატური* (ბერძნ. *parádeigma* „ნიმუში“) ანუ *ასოციაციური* (ლათ. *associatio* „შეერთება“). *სინტაგმატურ* მიმართებას ერთეული ამყარებს მიმდევრობაში წინამავალ ან მომდევნო ერთეულებთან. *პარადიგმატური* მიმართება გვაქვს, როდესაც მოცემული ერთეული რაღაც თვალსაზრისით უბირისპირდება სხვა ერთეულებს სისტემაში (და არა მიმდევრობაში). ზოგადად, თუ სისტემაში გვაქვს რაღაც [aktu], [agtu], [antu] გამოსახულებები, მაშინ [k] ელემენტი სინტაგმატურ მიმართებაშია [a], [t], [u] ელემენტებთან და პარადიგმატურ მიმართებაში — [g], [n] ელემენტებთან, რომლებიც იმავე გარემოცვაში (პოზიციაში) გვხვდება.

პარადიგმატურ მიმართებათა არსებობა განაპირობებს იმას, რომ ენობრივ ერთეულთა სიმრავლე არის არა უბრალო ერთიანობა, არამედ — სისტემა. მაშასადამე, პარადიგმატური მიმართებები სისტემის არსებით საფუძველს წარმოადგენს.

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანის ენისათვის დამახასიათებელია ე.წ. სტრუქტურები — ენობრივი გამონათქვამები, რომელთა ყოველი ელემენტი (წევრი) განსაზღვრავს მეორის თვისებებს; სტრუქტურის წევრებს შორის მყარდება სინტაგმატური მიმართებები. სისტემურობის გარკვეული გამოვლინება ესეც არის. წინადადებაში სიტყვების ერთმანეთთან კავშირი ისეთია, რომ ერთის ფორმა განაპირობებს მეორის ფორმას. ეს განპირობებულობა ზოგჯერ იმდენად მკაცრია, რომ გამონათქვამის ნაწილიც კი საკმარისია ამ გამონათქვამის სხვა შემადგენლების სწორი ფორმის წარმოსადგენად.

განვიხილოთ ქართული „არასრული“ წინადადება:

— *ააშენა* —

ქართულის ყველა მცოდნე უყოყმანოდ აღადგენს ამ წინადადების ორ შესაძლო შემადგენელს: *კაცმა* და *სახლად* მოცემული ზმნის ფორმა ქართულში აუცილებლად მოითხოვს ქვემდებარის გაფორმებას მოთხრობითი ბრუნვის სუფიქსით, ხოლო დამატებისას — სახელობითი ბრუნვის სუფიქსით. ზმნის სხვა, მაგალითად, *ააშენებს* ფორმით შეცვლისას,

სტრუქტურის მოთხოვნის თანახმად, დანარჩენი ორი შემადგენლის ფორმებიც შეიცვლება.

მაშასადამე, ამ სიტყვების ფორმები ურთიერთგანპირობებულია და ქმნიან *სტრუქტურას*.

*სტრუქტურის* უმნიშვნელოვანესი თვისება, გარდა შემადგენელთა ფორმების ურთიერთგანპირობებულობისა, არის ის, რომ მისი წევრი სიტყვები შეიძლება ისე ჩავანაცვლოთ მოცემული ენის ამავე ფორმის სხვა სიტყვებით, რომ ფორმალური მიმართება არ დაირღვეს. მაგალითად, ჩვენს წინადადებაში *კაცმა* შეიძლება ჩავანაცვლოთ *ქალმა*, *ბავშვმა* ან *მაგდამ* და სხვა ფორმებით. ყველა ამ შემთხვევაში მივიღებთ იმავე მიმართებებს ფორმებს შორის, ე.ი. იმავე *სტრუქტურის* მქონე წინადადებაებს. ასევე შეიძლება ჩავანაცვლოთ სხვადასხვა სახელი სიტყვა *სახლს* მაგივრად. თუ ჩანაცვლების შედეგად არ შეიცვლება მოცემული სტრუქტურის შემქმნელი მიმართებები, სტრუქტურა შენარჩუნებული იქნება. ჩანაცვლების შედეგად შეიძლება მივიღოთ ერთი და იმავე სტრუქტურის მქონე უსასრულოდ ბევრი სხვადასხვა წინადადება. მაშასადამე, სტრუქტურას ქმნის ფორმათა გარკვეული მიმართება.

ჩანაცვლების პროცედურა, ბუნებრივი ენის გარდა, არც ერთ სხვა საკომუნიკაციო სისტემას არ ახასიათებს: ცხოველისათვის ყოველი შეტყობინება არის არა სტრუქტურა, არამედ მთლიანობა, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ არის მოცემული და ცვლილებას არ ექვემდებარება. თუთიყუში, რომელიც იმეორებს ადამიანის ენის წინადადებას, წარმოთქვამს მათ როგორც მთლიანობებს და ვერ ახერხებს აამოქმედოს ამ წინადადების საფუძველში მყოფი სტრუქტურა. ფაქტობრივად სტრუქტურა წარმოადგენს გარკვეულ ადგილთა მიმართებას და ეს ადგილები მოლაპარაკეს სურვილისამებრ შეუძლია შეავსოს სხვადასხვა კონკრეტული ერთეულით. მოცემული სასრული რაოდენობის სტრუქტურებით შეგვიძლია შევადგინოთ წინადადებათა უსასრულო რაოდენობა:

2. *ენა არის ნიშანთა სისტემა*. ენობრივ გამონათქვამებს ყოველთვის გარკვეული შინაარსი აქვს. ისინი ღირებულია იმდენად, რამდენადაც მიუთითებენ რაღაცაზე გარეენობრივ (ექსტრალინგვისტურ) სამყაროში — აღნიშნავენ საგნებს, მოვლენებს, თვისებებს. ენობრივი ფორმის, ე.ი. სიტყვის, სიტყვათა კომბინაციის, ასევე სიტყვის ნაწილის მნიშვნელობას ქმნის მისი მიმართება გარეენობრივი სამყაროს საგნებსა და მოვლენებთან. სწორედ ეს მიმართება, მითითება ექსტრალინგვისტური სამყაროს სიტუაციებზე, მათი აღნიშვნა არის ენობრივი ნიშნის ძირითადი ფუნქცია. მაშასადამე, მნიშვნელობის მქონე ყოველი ელემენტი ენობრივ სისტემაში არის *ნიშანი*;

ნიშანს აქვს ორი მხარე — *აღმნიშვნელი* და *აღსანიშნი*. *აღმნიშვნელი* არის ნიშნის მატერიალური მხარე, ბევრთი სუბსტანცია, ფორმა, ხო-

ლო ის, რასაც იგი აღნიშნავს — საგნის, თვისებისა თუ მოვლენის ამსახველი ცნება — არის *აღსანიშნა* კავშირი ნიშნის ამ ორ მხარეს შორის მყარდება გარკვეული მიმართებების საფუძველზე და ეს მიმართებები ქმნიან ნიშნის *მნიშვნელობას*.

3. *ენა არის ბგერით ნიშანთა სისტემა*. ენობრივი ნიშანი ბგერითი სუბსტანციისაგან შედგება. სხვა საკომუნიკაციო სისტემების ნიშნები ხშირად არაბგერითია. არსებობს სმენითი ნიშნების (დოლის დაკვრა, სტვენა, ზარის შემოკვრა), ვიზუალური ნიშნების (სასიგნალო დროშები, სატრანსპორტო შუქნიშნები, ფესტ-მიმიკა) და სხვა სახის ნიშანთა სისტემები. არც ერთ მათგანს აქ არ განვიხილავთ როგორც საკუთრივ *ენას*, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის საკმაოდ რთული საკომუნიკაციო სისტემებიც გვხვდება. ჩვენ ენას ამ შემთხვევაში ვუწოდებთ ისეთ ნიშანთა სისტემებს, რომლებიც ბგერითი სუბსტანციისაგან შედგება და წარმოიქმნება ადამიანის სამეტყველო ორგანოებით;

4. *ენა არის პირობით ნიშანთა სისტემა*. ენობრივი სისტემის ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი გულისხმობს, რომ კავშირი აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის *პირობითია*: აღმნიშვნელის ბგერითი სახე, ფორმა არ განისაზღვრება იმ საგნისა თუ მოვლენის ბუნებით, რომელზედაც იგი მიუთითებს. ამით აიხსნება მსოფლიოში მრავალი ენის არსებობა — ის, რომ ერთი და იგივე საგნები და მოვლენები სხვადასხვა ენაში ერთმანეთისაგან განსხვავებული ბგერითი ფორმის მქონე სიტყვებით აღინიშნება. მაგალითად, ნივთიერება, რომელიც ქიმიის სიმბოლურ ენაზე გამოისახება ფორმულით  $H_2O$ , ქართულ ენობრივ სისტემაში აღინიშნება როგორც *წყალი* ინგლისურში — water, გერმანულში — Wasser, ლათინურში — aqua და ა.შ. რასაკვირველია, ყოველ ენაში არსებობს ე.წ. ხმაბაძვითი ანუ ონომატოპოეტური სიტყვები, რომელთა აღმნიშვნელი ნაწილობრივ ასახავს სათანადო საგნისა თუ მოვლენის ფიზიკურ ბუნებას, მაგრამ ისინიც განსხვავებულია ენების მიხედვით. მაგალითად, ძაღლის ყეფას ინგლისელი ბაძავს bow-wow ფორმით, გერმანელი — wau-wau, ფრანგი — gnaf-gnaf, იაპონელი — wan-wan, რუსი — ay-ay ფორმით და ა.შ. ეს სიტყვები ენაში მცირერიცხოვან ჯგუფს ქმნიან და არ ასახავენ ენობრივ ნიშანთა მთელ სიმრავლეს, რომელიც ძირითადად სწორედ პირობითი ნიშნებისაგან შედგება.



### 6. ენა და მეტყველება


6.1. შნათმეცნიერების ობიექტს ორი მხარე აქვს. ყველაფერი, რასაც ადამიანები წარმოთქვამენ, რაც ინდივიდუალურია და დამოკიდებულია მოლაპარაკის ნებაზე, წარმოადგენს მეტყველებას (ფრ. parole). ეს არის კერძო სამეტყველო აქტების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ფიზიკურ-ფიზიოლოგიური (ბგერათა წარმოთქმა) და ფსიქიკური (გადასვლა აღსანიშნიდან აღმნიშვნელზე) ხასიათის მოვლენებს.

მოცემული ენობრივი კოლექტივის წევრებს, ე.ი. მოცემულ ენაზე მოლაპარაკე პირებს, აქვთ მეტყველების უნარი, რომლის გამოვლენას, ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ენა (ფრ. langue). მეტყველება არის ენის რეალიზაცია. ენობრივი სისტემა არსებობს მთელი ენობრივი კოლექტივის ფსიქიკაში შესაძლებლობათა სახით. იგი სამეტყველო აქტის იმ მონაკვეთშია, სადაც აღმნიშვნელი უკავშირდება აღსანიშნს. სწორედ ამ კავშირის (და ენობრივ ნიშნებს შორის კავშირების) არსებობის გამო თანამოსაუბრეებს დაახლოებით ერთნაირი ფსიქიკური ხატები უყალიბდებათ. მაშასადამე, ენა ფსიქიკური ფენომენია.

ენა კოლექტივში დამკვიდრებული სავალდებულო კავშირების, წესების ერთობლიობას წარმოადგენს; იგი სოციალური ფენომენია.

მეტყველებისაგან განსხვავებით, ენა სასრული სისტემაა. მისი არსებობა აუცილებელია იმისათვის, რათა მეტყველება გასაგები და, ამდენად, კომუნიკაციისათვის გამოსადეგი იყოს. ამავე დროს, მეტყველება ენის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა. ცნებას ვერ დავაკავშირებთ აკუსტიკურ ხატთან (მაგალითად, სიტყვასთან), თუ ეს კავშირი წინასწარ არ გამოვლინდა სამეტყველო აქტში. ამდენად, ენა მეტყველების საფუძველიც არის და მისი პროდუქტიც.

ამგვარად, ენასა და მეტყველებას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, ისინი ერთმანეთს განაპირობებენ. ამის შესაბამისად, პროცესს, რომელიც გულისხმობს ენის როგორც სისტემის ცალკეულ სამეტყველო აქტებში — მეტყველებაში (ფერდინანდ დე სოსიური) რეალიზაციას, შეიძლება ენობრივი აქტივობა (ფრ. langage) ეწოდოს. ეს შეიძლება პირობითად შემდეგი სქემით გამოიხატოს:



## 7. ბუნებრივი ენა და ცხოველთა საკომუნიკაციო სისტემები

7.1. ადამიანის ენას ხშირად ახასიათებენ როგორც *ბუნებრივ ენას* — ხელოვნური ენების საპირისპიროდ. იგი არის ადამიანის სიმბოლური აქტივობის უმაღლესი და ურთულესი ფორმა. ბუნებრივი ენის საშუალებით ადამიანი გადასცემს ან იღებს ინფორმაციას, გარკვეულ შეტყობინებებს. ენის დახმარებით ადამიანს შეუძლია სხვას გაუზიაროს თავისი განცდა, განწყობა, გადაწყვეტილება, აღწეროს დროსა და სივრცეში მომხდარი მოვლენები.

რამდენადაც ადამიანის ენა ბგერითი ენაა, კომუნიკაცია ხდება ბგერითი სუბსტანციის საშუალებით. ადამიანს აქვს სხვა საკომუნიკაციო საშუალებებიც — უესტ-მიმიკა, წერილობითი ენა და სხვა, მაგრამ ყველა ეს საკომუნიკაციო საშუალება ადამიანის ბგერით ენაზეა დაფუძნებული და ამიტომ ისინი მეორეულ სისტემებს წარმოადგენენ.

ცხოველთა საკომუნიკაციო საშუალებებისაგან ადამიანის ენა უნდა განვასხვაოთ იმ არსებითი მახასიათებლებით, რომლებიც მხოლოდ მისი კუთვნილებაა.

*ცხოველებში საკომუნიკაციო საშუალებების ცოდნა გენეტიკურად გადაეცემა შთამომავლობას*, საკომუნიკაციო საშუალების ხმარება ცხოველისათვის ფიზიოლოგიური და იმთავითვე მოცემული თვისებაა. *ადამიანს*, ცხოველისაგან განსხვავებით, აქვს *თანდაყოლილი უნარი საკომუნიკაციოდ აითვისოს (ან შეისწავლოს) ესა თუ ის კონკრეტული ენა*.

ბუნებრივ ენას აქვს სპეციფიკური მახასიათებლები, რომლებითაც იგი არსებითად განსხვავდება ცხოველთა საკომუნიკაციო სისტემებისაგან. ესენია — ენობრივი სისტემის *დუალობა* და *პროდუქტიულობა* (*ჩარლზ ჰოკეტი*).

7.2. *ღუალობის* წყალობით მოლაპარაკეს შეუძლია მცირე ერთეულების დალაგებით, მათი გარკვეული შეერთების გზით წარმოქმნას უფრო რთული, გრძელი ერთეულები; მაგალითად, მნიშვნელობას მოკლებული ბგერითი ერთეულებისაგან შექმნას უფრო რთული, მნიშვნელობის მატარებელი ერთეულები — სიტყვები; სიტყვების გაერთიანებით ააგოს წინადადება. მაშასადამე, გვაქვს, ერთი მხრივ, ბგერითი გამოხატულების მქონე ერთეულები, ხოლო მეორე მხრივ — ამ ერთეულთა გაერთიანების, კომბინირების წესები, ე.წ. გრამატიკა. ცხოველს შეუძლია გადასცეს მხოლოდ გარკვეული მზა ნიშანი, მას არ ძალუძს დააღაგოს, გააერთიანოს ან გაართულოს თავისი „საკომუნიკაციო ენის“ ნიშნები.

*დუალობის* თვისება საშუალებას იძლევა ადამიანის ენის სასრული რაოდენობის ერთეულთაგან შეიქმნას, წარმოიქმნას უსასრულო რაოდენ-

ნობის გამონათქვამები ამ ერთეულების სხვადასხვაგვარი დალაგების გზით.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ბუნებრივი ენის კიდევ ერთი არსებითი ნიშანი — *სისტემის პროდუქტიულობა* — შესაძლებლობა, გადაიცეს ახალი ინფორმაცია, ე.ი. გამონათქვამის აგებისას ისეთი შინაარსი გადაიცეს, რომელიც ადრე არავის არ შეუქმნია და არ გადაუცია. მოცემული ერთეულების ახალი დალაგებით (ამასთან, კომბინაციის წესების დაცვით) ადამიანს უნარი აქვს შექმნას ახალი ინფორმაცია, რომელსაც მსმენელი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე აღიქვამს (*პროდუქტიულობა*, საზოგადოდ, ახალი ერთეულების შექმნის მაღალ უნარს ნიშნავს).

ენის დუალობისა და პროდუქტიულობის თვისებების წყალობით ადამიანს ძალუძს „წარსული ამბების“ უსასრულოდ დიდი რაოდენობის შეტყობინებათა შექმნა, რომელთაგან ზოგიერთს შეიძლება ჰქონდეს ისეთი შინაარსი, რომელიც არსებულ სიტუაციასა და გარემოცველ რეალურ სამყაროს საერთოდ არ შეესაბამება. ეს არ შეუძლია ცხოველს (არ შეუძლია არც მოტყუება, არც გამოგონება, არც წარსულის გახსენება). ცხოველთა საკომუნიკაციო სისტემებში არ ხდება არც ნიშნის მნიშვნელობის ცვლა.

ადამიანს შეუძლია გადასცეს ინფორმაცია მისგან *დროითა* და *სივრცით* დაშორებულ მოვლენათა შესახებ. ცხოველთა კომუნიკაცია ხდება ყოველთვის უშუალო გარემოს საპასუხოდ, ადამიანი კი აღწერს როგორც წარსულ, ისე აწმყო და მომავალ გარემოებებს, რაც ქმნის ისტორიას, კულტურას, ცივილიზაციას. ბუნებრივი ენის ეს თვისება უზრუნველყოფს *კულტურის ტრანსმისიას* (გადაცემას).

## 8. სემიოტიკა. ნიშანთა სისტემის შესწავლის სამი ასპექტი

8.1. მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია ადამიანის ბგერითი ენის შედარება სხვა საკომუნიკაციო საშუალებებთან; ეს უფრო მკვეთრად გამოავლენს მის, როგორც ნიშანთა სისტემის, თვისებურებებს, დაგვანახვებს, თუ რა არის სპეციფიკური, დამახასიათებელი მხოლოდ ადამიანის ენისათვის. მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის საზოგადოდ ნიშანთა სისტემებს, იკვლევს სხვადასხვა სახის ნიშანთა სისტემების საერთო მახასიათებლებს, ეწოდება *სემიოტიკა* (ბერძნ. *sēma, semeion* „ნიშანი“) ანუ მეცნიერება ნიშნების შესახებ. ამ თვალსაზრისით ენათმეცნიერება გვევლინება სემიოტიკის დარგად, რომელიც შეისწავლის ნიშანთა სისტემებს შორის ერთ-ერთ ყველაზე რთულსა და მნიშვნელოვან სისტემას — ადამიანის ბგერით ენას.


სემიოტიკა განარჩევს ნიშანთა სისტემის შესწავლის სამ ძირითად ასპექტს. ისინი განისაზღვრება ნიშნის ბუნებით: ურთიერთმიმართებით სისტემის ნიშნებს შორის, აღსანიშნავა და აღმნიშვნელს შორის მიმართებით, აგრეთვე, ნიშნის მომხმარებლის (წარმოქმნელის) დამოკიდებულებით ნიშანთან. ეს სამი ასპექტია:

**სინტაქტიკა** (ბერძნ. *syntaxis* „შედგენა“, „თანწყობა“) — შესწავლის ნიშანთა შორის არსებულ წრფივ მიმართებებს, ნიშანთა განაწილებას მიმდევრობაში. ეს ასპექტი არ ითვალისწინებს არც ნიშნის მომხმარებელს და არც ნიშანში *აღსანიშნავა* და *აღმნიშვნელს* შორის არსებულ მიმართებას.

**სემანტიკა** (ბერძნ. *sēmantikós* „მნიშვნელობის მქონე“) ანუ სემანტიკური ასპექტი — ასახავს აბსტრაქციის მეორე საფეხურს. იგი ითვალისწინებს მიმართებას აღსანიშნავა და აღმნიშვნელს შორის, მაგრამ უგულებელყოფს ნიშნის მომხმარებელს.

**პრაგმატიკა** (ბერძნ. *prágma* „საქმე“) — შესწავლის ნიშნის მომხმარებლის დამოკიდებულებას ნიშანთან. პრაგმატიკული ასპექტი ყველაზე ფართოა; იგი მოიცავს როგორც სინტაქტიკურ, ისე სემანტიკურ ასპექტებს. პრაგმატიკა განიხილავს ბიროვნულ ფაქტორებს და შეძლებისდაგვარად სრულად ახასიათებს ნიშანთა სისტემაში რეალურად არსებულ მიმართებებს.

სემიოტიკის სამ ასპექტს ანუ აბსტრაქციის სამ საფეხურს შორის დამოკიდებულებები სქემატურად შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:



ამ სქემიდან ჩანს, რომ შეიძლება გვექონდეს (ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ხელოვნურად შევქმნათ) სისტემები, რომლებშიც მოცემული იქნება ელემენტთა განაწილების წესები, მაგრამ ეს ელემენტები მოკლებული იქნება მნიშვნელობას. ასეთ სისტემებში მხოლოდ სინტაქტიკური წესები იმოქმედებს. ნიშანთა სისტემა მხოლოდ ბირობითად შეიძლება განვიხილოთ სემანტიკური ასპექტის, მნიშვნელობის გარეშე. როგორც ითქვა, მნიშვნელობას ქმნის ნიშნის ორი მხარის ურთიერთმიმართება, ამიტომ სემანტიკურ წესებს მოკლებული სისტემა სინამდვილეში არც არის

ნიშანთა სისტემა. მაგრამ პირობითად შეიძლება განვიხილოთ ნიშანთა სისტემის მხოლოდ სინტაქტიკური მხარე — ელემენტთა განაწილების წესები. სემანტიკური ასპექტი, ისევე როგორც პრაგმატიკული, აუცილებლად გულისხმობს სინტაქტიკურს; არ არსებობს სისტემა სინტაქტიკური წესების გარეშე — ელემენტთა სიმრავლე სისტემად იქცევა მხოლოდ მაშინ, როდესაც მასში მყარდება გარკვეული მიმართებები ელემენტთა შორის, შემოდის ელემენტთა დალაგების წესები.

**9. ენობრივი ნიშნის „ღირებულება“. ენობრივი ნიშანი და დამოკიდებულება „აღმნიშვნელსა“ და „აღსანიშნს“ შორის ფერდინანდ დე სოსიური და ნიშნის „პირობითობის“ თეზისი ენის შინაარსისა და გამომხატულების პლანი**

**9.1.** სხვადასხვა ენაში ნიშნები განსხვავებულ მიმართებებს ამყარებენ ერთმანეთთან. მაგალითად, ქართულ სიტყვას *თავი* რუსულში ГОЛОВА შეეფარდება, ინგლისურში — head და ა.შ. ამ ნიშანთა აღმნიშვნელობიდან და აღსანიშნებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან. ასე, მაგალითად, გამოთქმაში *თავი მოიკლა*, სიტყვის *თავი* აღსანიშნი არ ემთხვევა არც რუსული ГОЛОВА სიტყვის და არც ინგლისური head სიტყვის აღსანიშნს. ქართული *თავი* სიტყვის მიმართებები სისტემის სხვა ნიშნებთან არ არის ისეთივე, როგორც რუსული ГОЛОВА სიტყვის მიმართებები რუსულ ენობრივ სისტემაში, ან ინგლისური head სიტყვისა — ინგლისურში.

ენობრივი ნიშნის მიმართება სისტემის სხვა ნიშნებთან და მისი აღმნიშვნელის მიმართება აღსანიშნთან ერთობლივად განსაზღვრავს ამ ნიშნის *ღირებულებას* (ფრ. *valeur*). თვით ნიშანი შეიძლება უცვლელი იყოს, მაგრამ მას სხვა *ღირებულება* ექნება, თუ შეიცვლება სისტემის სხვა ნიშნები, რომლებთანაც ის გარკვეულ მიმართებებს ქმნის. თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებლის *ფერდინანდ დე სოსიურის* თანახმად, *ღირებულება* არის ნიშნის თვისება — იყოს ის, რაც მას სხვა ნიშნისაგან განასხვავებს. სხვადასხვა ენობრივ სისტემებში ერთნაირი მოვლენებისა და ობიექტების აღმნიშვნელ ნიშნებსაც კი ყოველთვის განსხვავებული ღირებულება აქვთ.

**9.2.** ღვეუბრუნდეთ თანამედროვე სემიოტიკის ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემას — ნიშნის *პირობითობას*. როგორც ითქვა, ენათმეცნიერება სემიოტიკის უმთავრესი დარგია და მისი მონაცემები ნიშნის ბუნების შესახებ მეტად საგულისხმოა საერთოდ ნიშანთა სისტემების შესწავლისას.

მეცნიერები უძველესი დროიდან ცდილობდნენ დაედგინათ, თუ როგორია კავშირი სიტყვის ფორმასა და შინაარსს შორის. ერთნი მიიჩნევდნენ, რომ ეს კავშირი მყარდება „ბუნების ძალით“ (ანტიკური თეორია *phýsei*), მეორენი — რომ იგი „შეთანხმების“ შედეგია (თეორია *théseis*). დავა ენობრივი ნიშნის არსის გარშემო ახალი დროის ლინგვისტიკაშიც გრძელდება.

ტერმინი **აღსანიშნი** (ფრ. *signifié*, ლათ. *de<sup>1</sup>signatum*, რუს. *означаемое*) არ გულისხმობს უშუალოდ გარეენობრივი სამყაროს საგნებსა და მოვლენებს. აღსანიშნი ენისაგან დამოუკიდებლად არ არსებობს. ეს არის არა საგანი, არამედ ცნება, იდეა საგნისა თუ მოვლენის შესახებ, უფრო ზუსტად, საგანთა თუ მოვლენათა მთელი კლასის შესახებ. მაგალითად, „წიგნის“ ცნება არსებობს ცნობიერებაში, იგი აბსტრაქტულია; ენის (და ფსიქიკის) გარეთ მას რეალურ ობიექტთა კლასი შეესაბამება. „აღსანიშნი“ უპირისპირდება, ერთი მხრივ, *აღმნიშვნელს* (ფრ. *signifiant*, ლათ. *signans*, რუს. *означающее*), მეორე მხრივ კი *დენოტატს* (ლათ. *denotatum*, ითარგმნება აგრეთვე როგორც „აღსანიშნი“) — გარეენობრივი რეალობის ობიექტთა ერთობლიობას, რომელიც შეიძლება კონკრეტული ენობრივი ერთეულით იქნეს გადმოცემული. *აღსანიშნი* უპირისპირდება *დენოტატს* როგორც ფსიქიკური — მატერიალურს, შიდაენობრივი — გარეენობრივს (*დენოტატს* სინონიმად ზოგჯერ *რეფერენტს* ხმარობენ — ლათ. *referens* „შემფარდებელი“).

„აღსანიშნთა“ ერთობლიობა ქმნის ენის შინაარსის ძლანს, ხოლო „აღმნიშვნელთა“ ერთობლიობა — ენის გამოსატყულების ძლანს.

### 9.3. ნიშანთა კლასიფიკაცია აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის არსებული მიმართებების მიხედვით. „გერტიკალური“ მიმართებები

თანამედროვე სემიოტიკური თეორია გამოყოფს ნიშანთა სამ ტიპს — „ხატებს“, „ინდექსებს“ და „სიმბოლოებს“ (*ჩარლზ პერსი*).

**ხატი** ისეთი ნიშანია, სადაც აღმნიშვნელი აღსანიშნის მსგავსია. მაგალითად, ბურთის ნახატი როგორც ნიშანი, როგორც სემიოტიკური ერთეული წარმოადგენს ნიშანთა მოცემული კლასიფიკაციის მიხედვით ხატს. ყოველგვარი ჩანახატი — როგორც ნიშნები, ასევე სახვითი ხელოვნების ნიმუშები — სემიოტიკური თვალსაზრისით წარმოადგენს ხატს;


**ინდექსი** ისეთი ნიშანია, რომლის აღმნიშვნელი აღსანიშნს უკავშირდება მიზეზშედეგობრივი კავშირით; მაგალითად, *კვამლი* ინდექსი-ნიშანია *ცეცხლისა*.

სიმბოლო ისეთი ნიშანია, რომელშიც აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის კავშირი პირობითია, არამოტივირებულია და ხორციელდება გარკვეული წესისა და ტრადიციის ძალით.

ერთი შეხედვით ცხადია, რომ ბუნებრივ ენებში ბგერითი ნიშნის ორ განუყოფელ მხარეს — აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის კავშირი პირობითია, კონვენციონალურია, რომ აქ ეს ნიშნები სიმბოლოებს წარმოადგენენ. მართლაც, თითოეული აღსანიშნი შეიძლება არსებითად ნებისმიერი ისეთი ბგერითი მიმდევრობით იქნეს გამოხატული, რომელიც დასაშვებია მოცემულ ენაში. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერიმენტულად შეიძლება დადგინდეს ბგერათა და მნიშვნელობათა საყოველთაო, შედარებით უნივერსალური შესატყვისობები, ბუნებრივი ენების აღმნიშვნელებში ბგერათა განაწილება არ ასახავს ამ შესატყვისობებს. ფსიქოლოგების გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ, მაგალითად, ფართო ა ხმოვნის მსგავს ბგერებს უფრო ხშირად „დიდის“ გაგება უკავშირდება, ხოლო ვიწრო ი ხმოვნის მსგავს ბგერებს — „პატარას“ გაგება, მაგრამ კონკრეტულ ენებში მრავლად არის საპირისპირო მაგალითებიც, ვთქვათ, ქართული დიდი-პატარა ინგლ. big „დიდი“-small „პატარა“, რუს. великий „დიდი“-малый „პატარა“ და სხვ.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ცალკე აღებულ, იზოლირებულ ენობრივ ნიშანში (სიტყვაში) კავშირი აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის პირობითია იმ აზრით, რომ დენოტატის ბუნება არ ასახება აღმნიშვნელის ბგერით შედგენილობაში (გარდა მცირერიცხოვანი ხმაბაძვითი, ონომატოპოეტური სიტყვებისა). მაგალითად, ქართული მაგიდა სიტყვის ბგერითი შედგენილობა აღსანიშნი ობიექტის ბუნებით კი არ განისაზღვრება, არამედ აღსანიშნთან პირობით, არამოტივირებულ კავშირს ავლენს. ამდენად, ბუნებრივი და ნორმალურია ის, რომ ერთი და იგივე დენოტატი სხვადასხვა ენაში, როგორც წესი, განსხვავებული ბგერითი შედგენილობის აღმნიშვნელებით გამოიხატება: შდრ. რუს. стол, გერმ. Tisch, ინგლ. table და ა.შ. სწორედ ეს გარემოება წარმოადგენს განსხვავებულ ენათა არსებობის წინაპირობას.

ეს გერტიკალური პირობითი მიმართება აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის ცალკე აღებულ ნიშანში შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სქემის სახით:




### 9.4. ენობრივი ნიშნის პირობითობა და „ჰორიზონტალური“ მიმართებები

ნიშნის პირობითობაზე მსჯელობისას უნდა განვასხვაოთ ამ პრობლემის განხილვა სინტაქტიკურ, სემანტიკურ და პრაგმატიკულ ასპექტებში. ნიშნის მომხმარებლის თვალსაზრისით, აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის მჭიდრო, ბუნებრივად განსაზღვრული კავშირი არსებობს. მოლაპარაკისა და მსმენელისათვის აღსანიშნი არის აღმნიშვნელის აზრობრივი ეკვივალენტი, ხოლო აღმნიშვნელი — სათანადო ცნების, იდეის ბგერითი გამოსატყულება. მაგალითად, ნიშნის მომხმარებლის ცნობიერებაში ცნება domus („სახლი“) სხვადასხვა ენაში უკავშირდება გარკვეულ განსხვავებულ ბგერათმომდევრობებს — აღმნიშვნელებს; იმავდროულად, ვთქვათ, ქართულად მოლაპარაკეთათვის ბგერათმომდევრობა ს-ა-ხ-ლ-ი ერთადერთი შესაძლებელი ბგერათმომდევრობაა domus ცნების გამოსახატავად. ამ აზრით, კავშირი ნიშნის ორ მხარეს შორის არ არის პირობითი და კონვენციონალური (ემილ ბენვენისტი).

გარდა ამისა, ნიშნის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია კავშირი არა მარტო აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის ერთი ნიშნის ფარგლებში, არამედ მოცემული ნიშნის მიმართებაც სისტემის სხვა ნიშნებთან როგორც აღსანიშნთა, ისე აღმნიშვნელთა დონეზე, ე.ი. მიმართებები აღსანიშნებსა და სათანადო აღმნიშვნელებს შორის; მათ შეიძლება ჰორიზონტალური მიმართებები ვუწოდოთ. ვერტიკალური მიმართებებისაგან, ე.ი. ერთი ნიშნის აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის არსებული მიმართებებისაგან განსხვავებით, ისინი ორპლანინანია.

ენობრივ ნიშანთა განხილვა კომბინირებულად სემანტიკისა და სინტაქტიკის პლანში შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სქემის სახით:



საკითხისადმი ასეთი მიდგომის დროს მოიხსნება წინააღმდეგობა ნიშნის პირობითობაზე ორ, ერთი შეხედვით, საპირისპირო თვალსაზრისს შორის. ორივე მათგანი „სწორია“, მაგრამ არასრული, რადგან ცალ-ცალკე




ისინი არ ითვალისწინებენ ყველა იმ მიმართებას, რომლებიც ენობრივ ნიშნებს ახასიათებს.

მნიშვნელობით მსგავსი, ერთი „სემანტიკური ჯგუფის“ სიტყვები შეიძლება მსგავსი ბგერითი შედგენილობისა იყოს. მაგალითად, ასეთია ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები: ინგლ. father „მამა“ — mother „დედა“ — brother „ძმა“ და სხვ. ყველა ენაში არსებობს აღსანიშნებს შორის ფუნდამენტური მიმართებები — რაოდენობისა („ერთი“—„ბევრი“), სიგრცესა და დროში სიახლოვე-სიშორისა („ახლოს“—„შორს“, „ადრე“ — „გვიან“), სიდიდისა („დიდი“—„პატარა“) და სხვ. ნიმუშად განვიხილოთ მხოლოებითი და მრავლობითი რიცხვის ფორმებს შორის განსხვავება გამოსატყულების პლანში (აღმნიშვნელებში): არ არსებობს ენა, სადაც მხოლოდებითი რიცხვის ფორმა მრავლობითი რიცხვის ფორმიდან იწარმოებოდა აფიქსის დამატებით; ჩვეულებრივ, პირიქით ხდება, ე.ი. აღსანიშნებს შორის მიმართება „ერთი“—„ბევრი“ თავისებურად აისახება აღმნიშვნელებში: უფრო მოკლე ბგერითი მიმდევრობა შეესატყვისება მხოლოდებით რიცხვს, უფრო გრძელი — მრავლობითს (მაგალითად, ქართ. *სახლო—სახლები, მთა—მთანი, მთები* და სხვა). ანალოგიური თანაფარდობა გვაქვს მრავალი ენის ზედსართავ სახელთა ხარისხებში: უფრო გრძელი ფორმა შეესაბამება თვისების უფრო მაღალ ინტენსივობას (მაგალითად, ლათ. *altus* „მაღალი“ — *altior* „უფრო მაღალი“ — *altissimus* „ყველაზე მაღალი“). როგორც ვხედავთ, „ჰორიზონტალურ“ მიმართებათა სფეროში *მოტივირებულობა* თავისებურია (*რომან იაკობსონი*).

მიმართებათა ერთი რიგი — მიმართებები აღსანიშნებს შორის — აისახება სათანადო აღმნიშვნელებს შორის მიმართებებში. ეს აისახვა ვლინდება საკმაოდ ზოგადი ხასიათის თავისებურებებში: ბგერითი მიმდევრობის სიგრძეში, აღმნიშვნელთა სპეციფიკურ ბგერით მსგავსებაში და სხვა. ამ დამოკიდებულებას პირობითი ხასიათი აქვს. შეიძლება ითქვას, რომ აღსანიშნებს შორის გარკვეული მიმართებები იწვევს სათანადო აღმნიშვნელებს შორის თავისებურ მიმართებებს, და სწორედ ამ აზრით შეიძლება ვილაპარაკოთ ნიშანთა *მოტივირებულობაზე*.

ზემოთქმულის შემდეგ გასაგები ხდება ფსიქოლოგების ერთი ცნობილი ცდის შედეგები: ცდისპირებს უჩვენებდნენ ორ გეომეტრიულ ფიგურას — ტალღოვანს და კუთხოვანს (იხ. სურათი); მათ უნდა შეერჩიათ თითოეული ფიგურისათვის ორი არარსებული „სიტყვიდან“ — *takete* და *maluma* — ერთ-ერთი. ცდისპირთა დიდი უმრავლესობა კუთხოვან ფიგურას *takete* მიმდევრობას უკავშირებდა, ტალღოვანს კი — *maluma*-ს (*დიმიტრი უზნაძე; ვოლოფანგ კოელერი*); აქაც „ჰორიზონტალური“ მიმართებები გვაქვს, მიმართებები ორი ნიშნის აღსანიშნებსა და აღმნიშვნელებს შორის.



ამგვარად, ენობრივი ნიშნის ბუნების სრულად დასახასიათებლად იგი უნდა განვიხილოთ ორ პლანში — როგორც „ვერტიკალურ“ და „ჰორიზონტალურ“ მიმართებათა ერთიანობა.

ამდენად, თანამედროვე ენათმეცნიერებაში გავრცელებული ორი საპირისპირო თვალსაზრისი: „ენობრივი ნიშანი პირობითია (კონვენციონალურია)“ და „ენობრივი ნიშანი მოტივირებულია“ — არა ერთმანეთის გამომრიცხავი (*კონტრადიქტორული*), არამედ ურთიერთშემაჯავებელი (*კომპლემენტარული*) დებულებებია (*ნილს ბორისეული გაგებით*).

## 10. ფორმალური სისტემები. სისტემის სპეციფიკაცია და ინტერპრეტაცია

10.1. სისტემას, რომელშიც მხოლოდ სინტაქტიკური წესებია მოცემული, შეიძლება ვუწოდოთ *არაინტერპრეტირებული* ანუ *ფორმალური სისტემა*. მას აგრეთვე *აღრიცხვას* უწოდებენ. სწორედ ასეთ სისტემებს შეისწავლის მათემატიკა. არაინტერპრეტირებულ სისტემაში შეიძლება განსაზღვრული იყოს ელემენტთა ფიზიკური ბუნება (მაგალითად, რიცხვები, ბგერები, ანბანის ასოები თუ სხვა). ასეთ სისტემას *სპეციფიზირებულ* (ლათ. *specificus* „თავისებური“) *სისტემას* ვუწოდებთ. თუ ელემენტთა სპეციფიკაცია არ არის მოცემული, მაშინ სისტემა *აბსტრაქტულია*.

როგორც ითქვა, სისტემის არსებობისათვის აუცილებელია გვქონდეს ელემენტთა სიმრავლე და სინტაქტიკური წესები.

რიცხვს, რომელიც გამოხატავს სისტემაში ელემენტთა რაოდენობას, ეწოდება *სისტემის ხარისხი* მაგალითად, თუ სისტემა ხუთ ელემენტს შეიცავს, მისი ხარისხი იქნება 5.

თუ სპეციფიზირებულ სისტემაში შეტანილია სემანტიკური წესები, ასეთ სისტემას *ინტერპრეტირებული* (ლათ. *interpretatio* „ახსნა“) *სისტემა* ეწოდება.

ერთი აბსტრაქტული სისტემის სხვადასხვაგვარი სპეციფიკაციის შედეგად მიღებული სისტემები ელემენტთა ერთნაირ რაოდენობას შეიცავს და დამოკიდებულება ელემენტებს შორის ურთიერთცალსახაა — ერთი სისტემის ყოველ ელემენტს შეიძლება შევუსაბამოთ ერთადერთი ელემენტი მეორე სისტემიდან, და პირიქით.

ვთქვათ, გვაქვს ქართული ტექსტი, ჩაწერილი ქართული ასოებით, და იგივე ტექსტი, ჩაწერილი ლათინური ასოებით, მაგალითად, *კაცი მოვა ხვალ* და *kaci mova xval*, სადაც კს ურთიერთცალსახად შეესაბამება k:  $k \leftrightarrow x$ , ასევე  $a \leftrightarrow a$  და ა.შ. აქ ცხრა განსხვავებული ელემენტია, ამასთან, მათი რიგი განსაზღვრულია.

ისეთ ორ სისტემას, რომლებიც ერთი აბსტრაქტული სისტემის სხვადასხვა სპეციფიკაციის შედეგად არის მიღებული, ეწოდება *იზომორფული* (ბერძნ. *ἴσος* „ტოლი“, *morphē* „ფორმა“, „სახე“) *სისტემები*.

თუ მოვახდენთ აბსტრაქტული სისტემის ელემენტთა სპეციფიკაციას ბგერითი სუბსტანციის მეშვეობით, ამ სისტემის ინტერპრეტაციამ შეიძლება მოგვცეს ნიშანთა ისეთი სისტემა, როგორც არის ადამიანის ბგერითი ენა.

## 11. სრული და არასრული სისტემები

11.1. ელემენტთა კომბინაციას, რომელიც შედგენილია სისტემაში მოქმედი წესების მიხედვით, ვუწოდოთ ამ სისტემის *გამოსახულება*. გამოსახულებაში ელემენტთა რაოდენობას ეწოდება *გამოსახულების სიგრძე*.

თუ ერთი სისტემის ყოველი გამოსახულება ამავე დროს მეორე სისტემის გამოსახულებაა და პირიქით, — ეს სისტემები *იზენტური* ანუ *იზომორფიკი*.

როგორც გამოსახულებათა, ისე ელემენტთა რაოდენობა სისტემაში შეიძლება იყოს სასრული ან უსასრულო. თუ გამოსახულებათა რაოდენობა სისტემაში უსასრულოდ დიდია, ასეთ სისტემას *უსასრულო სისტემა* ეწოდება. ადვილი საჩვენებელია, რომ თუ სისტემაში უსასრულოდ ბევრი ელემენტია, მაშინ მასში გამოსახულებათა რაოდენობაც შეუზღუდავია.

მართლაც, აღვნიშნოთ სისტემის ხარისხი  $n$ -ით, ხოლო გამოსახულების სიგრძე  $l$ -ით. შეიძლება ვაჩვენოთ, რომ  $n$ -ელემენტიან სისტემაში  $l$

სიგრძის მქონე თეორიულად შესაძლებელი ყველა კომბინაციის რაოდენობაა  $n^l$ . მაგალითად, სამელებენტიან სისტემაში, რომლის ელემენტებია  $a, b, c$ , შეგვიძლია შევადგინოთ ცხრა ორელებენტიანი კომბინაცია — გამოსახულება:  $aa, bb, cc, ab, ac, ba, bc, ca, cb$ . ეს არის კომბინაციათა მაქსიმალური რაოდენობა, როდესაც  $n=3$  და  $l=2$ : ე.ი.  $n^l=3^2=9$ . აქედან ჩანს, რომ, თუ  $n$  უსასრულოდ დიდია, გამოსახულებათა რაოდენობაც ნებისმიერი  $l$ -ის შემთხვევაში უსასრულოდ დიდი იქნება. თუ  $l$  განუსაზღვრელია, უსასრულოა, მაშინ გამოსახულებათა რაოდენობა ამ სისტემაში უსასრულოა: ნებისმიერი  $n$ -ისთვის  $n^l \rightarrow \infty$ . ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს ოთხი სახის სისტემები: 1)  $n$  სასრულია,  $l$  — განსაზღვრული, 2)  $n$  სასრულია,  $l$  კი განუსაზღვრელი ( $l \rightarrow \infty$ ), 3)  $n$  უსასრულოა,  $l$  — განსაზღვრული, 4)  $n$  უსასრულოა და  $l$  განუსაზღვრელია. პირველი შემთხვევის გარდა, ყველა დანარჩენ შემთხვევაში სისტემა უსასრულოა.

ამგვარად, იმისათვის, რომ სისტემა *სასრული* იყოს, ე.ი. არ იყოს უსასრულო, მისი ხარისხი უნდა გამოიხატებოდეს გარკვეული რიცხვით და გამოსახულებათა სიგრძე უნდა იყოს განსაზღვრული, ე.ი. ასეთ სისტემაში უნდა არსებობდეს მაქსიმალური სიგრძის გამოსახულება.

ერთნაირად სპეციფიზირებულ სისტემებს *ჰომოგენური სისტემები* ეწოდება (ბერძნ. *hómos* „მსგავსი“, „იგივე“, *génos* „სახეობა“, „გვარი“, „წარმოშობა“). თუ სპეციფიკაციები განსხვავებულია, სისტემები *ჰეტეროგენულია* (ბერძნ. *héteros* „სხვა“, „განსხვავებული“). მაგალითად, ჰომოგენურია სისტემები, რომელთაგან ერთის ელემენტებია  $a, b, c$ , მეორისა კი  $a, b, c, d, e$ . ორივე მათგანის მიმართ ჰეტეროგენულია სისტემა, რომლის ელემენტებია 1, 2, 3, 4, 5.

სისტემას, რომლის გამოსახულებები შედგენილია სასრული რაოდენობის ელემენტების განსაზღვრული სიგრძის თეორიულად შესაძლებელი ყველა კომბინაციით, *სრული სისტემა* ეწოდება. თუ სისტემა სრული არ არის, იგი *არასრულად* იწოდება. *არასრული სისტემა* შეიძლება განვიხილოთ როგორც *სრული სისტემა*, რომლიდანაც გარკვეული წესით (ან წესებით) ამოღებულია რაღაც გამოსახულებები. ამრიგად, არასრული სისტემა შეიძლება მივიღოთ სრული სისტემიდან, თუ მის გამოსახულებებს ამა თუ იმ სახის შეზღუდვები დაედება.


მაგალითად, ზემოთ განხილული გეჰონდა სამელებენტიანი სრული სისტემა, რომელიც შეიცავდა ცხრა ორელებენტიან გამოსახულებას. თუ შემოვიტანთ შეზღუდვას, ვთქვათ, აგკრძალავთ გამოსახულებებში სიმბოლოს გამეორებას, მაშინ მივიღებთ არასრულ სისტემას ექვსი გამოსახულებით:  $ab, ac, ba, bc, ca, cb$ . მაშასადამე, ელემენტთა გამოსახულებებად კომბინირების წესები არასრულ სისტემაში არსებითად ის შეზღუდვებია, რომლებიც ედება სათანადო სრული სისტემის გამოსახულებებს.

სწორედ შესლუდვათა ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ელემენტთა განაწილების წესებს, ქმნის *სტრუქტურებს*.


**11.2.** სანამ სისტემათა სხვა მახასიათებლებს შევეხებოდეთ, უნდა განვმარტოთ ზოგიერთი ცნება სიმრავლეთა თეორიიდან. თვითონ *სიმრავლის* ცნება პირველადია, იგი არ განისაზღვრება. ეს არის გარკვეულ ელემენტთა ერთობლიობა, მაგალითად, ადამიანთა სიმრავლე, პლანეტების სიმრავლე, წიგნების სიმრავლე კარადაში და სხვა.

თუ რომელიმე A სიმრავლის ყოველი ელემენტი ამავე დროს B სიმრავლის ელემენტია და პირიქით, მაშინ A და B სიმრავლეები *ტოლია*:  $A=B$ .


თუ A სიმრავლის ყოველი ელემენტი შედის B-ში (არის მისი ელემენტი), მაგრამ B-ში არსებობს ელემენტი, რომელიც არ შედის A-ში, მაშინ A არის B *სიმრავლის ნაწილი* ანუ *ქვესიმრავლე*. ამ შემთხვევაში ვიტყვით, რომ A *ჩართულია* B-ში:  $A \subset B$ , B მოიცავს A-ს:  $B \supset A$ ;



A და B სიმრავლეთა *გაერთიანება* ანუ *ჯამი* არის სიმრავლე იმ ელემენტებისა, რომლებიც განეკუთვნება A-ს და/ან B-ს:  $A \cup B$ ;




A და B სიმრავლეთა *თანაკვეთა* ანუ *ნამრაველი* არის ისეთი სიმრავლე, რომელშიც შედის A და B სიმრავლეების მხოლოდ საერთო ელემენტები:  $A \cap B$ ;




თუ  $A$  და  $B$  სიმრავლეებს არც ერთი საერთო ელემენტი არ გააჩნიათ, მაშინ ვიტყვით, რომ  $A$  და  $B$  არათანამკვეთებია ანუ მათი თანაკვეთა არის ცარიელი სიმრავლე:  $\emptyset$ .

თუ რომელიმე  $U$  სიმრავლე მთლიანად დაყოფილია არათანამკვეთ ნაწილებად — ქვესიმრავლეებად, მაშინ მას უნივერსალური სიმრავლე ეწოდება.

თუ  $A$  სიმრავლე არის უნივერსალური  $U$  სიმრავლის ქვესიმრავლე, მაშინ  $A$ -ს დამატება  $U$ -ში ეწოდება  $U$ -ს ყველა იმ ელემენტის სიმრავლეს, რომლებიც  $A$ -ში არ შედის:  $\bar{A}=U-A$ ;



$A$  და  $B$  სიმრავლეების სიმეტრიული სხვაობა  $A/B$  არის სიმრავლე, რომელიც შეიცავს  $A$  სიმრავლისა და  $B$  სიმრავლის ყველა ელემენტს იმ ელემენტების გარდა, რომლებიც მათ საერთო აქვთ:  $A/B=(A \cup B) - (A \cap B)$ ;



**11.3.** ქველათფერი, რაც აქ სიმრავლეების შესახებ ითქვა, შეიძლება გავიმეოროთ სისტემების — როგორც გამოსახულებათა სიმრავლეების — მიმართ. ადვილი დასანახია, რომ ყოველი სასრული სისტემა ჩართულია ჰომოგენურ უსასრულო სისტემაში, მის ნაწილს შეადგენს. ასევე, ყოველი არასრული სისტემა შესაბამისი სრული სისტემის ნაწილია, ჩართულია მასში.

წესები, რომელთა საშუალებითაც სრული სისტემიდან ახალ, არასრულ სისტემას ვიღებთ, შეიძლება იყოს ორი ძირითადი ტიპისა:

ელემენტთა გაშეორების წესები განსაზღვრავენ იმას, თუ რამდენჯერ უნდა შევიდეს ელემენტი გამოსახულებაში. შეიძლება განისაზღვროს

გამოსახულებაში ელემენტის ხმარების მინიმუმი ან მაქსიმუმი, შესაბამისად გვექნება *მინიმუმის* ან *მაქსიმუმის* წესი.

ზემოთ (იხ.11.1) გამოვიყენეთ მაქსიმუმის წესი, როდესაც ორელემენტიან გამოსახულებებში ავკრძალეთ ელემენტის გამეორება, ანუ ერთზე მეტჯერ შესვლა (სრული სისტემიდან ამოვიღეთ aa, bb, cc გამოსახულებები). ამავე სრულ სისტემაში შეიძლება შემოვიტანოთ წესი, რომლის თანახმად, ახალი სისტემის გამოსახულებებად ჩაითვლება ელემენტთა მხოლოდ ისეთი კომბინაციები, რომლებშიც მოცემული ელემენტი აუცილებლად გამეორდება (შევა სულ ცოტა ორჯერ); მაშინ დაგვრჩება მხოლოდ სამი გამოსახულება: aa, bb, cc. ეს არის მინიმუმის წესი.

*ელემენტთა თანმიმდევრობის წესები* განსაზღვრავენ იმას, თუ რა თანმიმდევრობით შეიძლება შევიდნენ ელემენტები გამოსახულებაში. აქაც ორი სახეობა გვაქვს — *უშუალო* და *დისტანციური* თანმიმდევრობის წესები. პირველ შემთხვევაში განისაზღვრება ელემენტი (ელემენტები), რომელიც მოცემული სისტემის გამოსახულებებში უშუალოდ წინ უნდა უსწრებდეს ან მოსდევდეს რომელიღაც (კონკრეტულ) ელემენტს. მაგალითად, განვიხილოთ სისტემა, რომლის ელემენტებია a, b, c, ხოლო  $\ell=3$ . სრულ სისტემაში გვექნება  $3^3=27$  გამოსახულება. ახალი არასრული სისტემის გამოსახულებებად მივიჩნით ის კომბინაციები, რომლებშიც ყოველ a ელემენტს უშუალოდ მოსდევს მხოლოდ b (და არა რომელიმე სხვა) ელემენტი. უშუალო თანმიმდევრობის ამ წესის თანახმად სისტემაში გვექნება 4 გამოსახულება: abb, abc, bab, cab.

*დისტანციური* თანმიმდევრობის წესი განსაზღვრავს ელემენტს (ელემენტებს), რომელიც მოცემული სისტემის გამოსახულებებში გარკვეულ მანძილზე აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს ან მოსდევდეს რომელიმე (კონკრეტულ) ელემენტს. მაგალითად, განხილულ სრულ სისტემაში შეიძლება შემოვიტანოთ წესი, რომლის თანახმად ნებისმიერ ელემენტს სისტემის ყოველ გამოსახულებაში აუცილებლად უნდა მოსდევდეს იგივე ელემენტი, მაგრამ არა უშუალოდ, არამედ ერთი ელემენტის შემდეგ. არასრულ სისტემაში დაგვრჩება 6 გამოსახულება: aba, aca, bab, bcb, cac, cbc. *დისტანციური* თანმიმდევრობის წესი მოქმედებს, მაგალითად, წერილობით ტექსტებში ბრჭყალების ხმარებისას: ცალბრჭყალიანი ჩანაწერი უაზრობაა, ბრჭყალის გახსნის შემდეგ გარკვეულ მანძილზე საჭიროა მისი დახურვა.

სინტაქტიკური წესები ზოგჯერ შეიძლება ჩამოვყალიბოთ როგორც წართქმითი (პოზიტიური), ისე უკუთქმითი (ნეგატიური) ფორმით. მაგალითად, ნეგატიური ფორმისაა წესი: „თუ რაღაც კომბინაციაში a ელემენტს გარკვეულ მანძილზე მოსდევს b ელემენტი, მაშინ ასეთი კომბინაცია მოცემულ სისტემაში გამოსახულებად არ ჩაითვლება“.

სისტემას შეიძლება ერთდროულად დაედოს რამდენიმე შეზღუდვა; მაშინ მიღებული არასრული სისტემა იქნება იმ სისტემების თანაკვეთა, რომლებშიც ეს შეზღუდვები (წესები) ცალ-ცალკე მოქმედებენ. მაგალითად, ბოლოს განხილულ სრულ სისტემაში, სადაც  $n=3$  და  $l=3$ , შემოვიტანოთ ორი წესი: 1) აკრძალოთ ნებისმიერი ელემენტის გამეორება (დაგვრჩება  $n$  გამოსახულება:  $abc, acb, bac, bca, cab, cba$ ); 2) მოვიტხოვოთ, რომ გამოსახულებაში  $a$  ელემენტს უშუალოდ მოსდევდეს მხოლოდ  $b$  (ამჯერად დაგვრჩება შემდეგი გამოსახულებები:  $abc, abb, bab, cab$ ). ორივე წესის ერთდროული მოქმედების შედეგად მივიღებთ სისტემას ორი გამოსახულებით:  $abc, cab$ .

სინტაქტიკური წესები შეიძლება მოქმედებდეს არა მარტო ცალკეულ ელემენტებზე, არამედ ელემენტთა გარკვეულ მიმდევრობებზეც, რომლებსაც სისტემის ერთეულებად მივიჩნევთ. მაშინ სისტემის ხარისხი ასეთ ერთეულთა რაოდენობის ტოლი იქნება და გამოსახულებები წარმოგვიდგება ამ მიმდევრობათა კომბინაციების სახით.

## 12. სისტემის სინთეზისა და ანალიზის წესები

**12.1.** სემიოტიკური სისტემის შესწავლა შეიძლება ორი საპირისპირო პროცედურის — ანალიზისა და სინთეზის მეშვეობით. *სინთეზის* (ბერძნ. *synthesis* „შედგენა“) დროს მოცემულია ელემენტთა კომბინირების, სინთეზირების წესები, რომელთა მიხედვით აიგება სისტემის გამოსახულებები. *ანალიზის* (ბერძნ. *analysis* „გახსნა“, „ამოხსნა“) დროს მოცემულია სისტემის გამოსახულებები და უნდა გამოვიყვანოთ, დაგადგინოთ ის წესები, რომლებიც ამ გამოსახულებებს უდევს საფუძვლად.

ბგერითი ენა, როგორც ნიშანთა სისტემა, შეიძლება შევისწავლოთ უშუალო დაკვირვების გზით: გამოვყოთ ენის ელემენტები, გავარკვიოთ მათ შორის არსებული მიმართებების ხასიათი — ეს ანალიზის ანუ დანაწევრების პროცედურაა. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბუნებრივი ენის ტიპის ემპირიულ სისტემათა შესწავლისას. სწორედ ამ გზას მიმართავს ადწერითი ანუ დესკრიფციული ენათმეცნიერება.

კვლევის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ანალიზის დროს ზოგჯერ შესაძლებელია სისტემის სხვადასხვაგვარი დახასიათება. ერთი და იგივე მოვლენა (არა მარტო ენათმეცნიერებაში) ხშირად აღიწერება სულ სხვადასხვა ტერმინით, სხვადასხვა წესის საშუალებით, რაც იმას როდი ნიშნავს, რომ ამ აღწერებიდან რომელიღაც უფრო „სწორია“, „უფრო შეესაბამება სინამდვილეს“. საკითხი ასე არ უნდა დაისვას, რადგან თუ ანალიზი მართებულად არის ჩატარებული, ამოსავალი დებულებებისა და ფორმული-



რებული წესების თანმიმდევრული გამოყენებით, მაშინ ყველა აღწერა სწორი და მისაღებია. აღწერათა შეფასებისას უნდა დაგადგინოთ, თუ რომელი მათგანია ადეკვატური (შესატყვისი) და მისაღები, მიზანშეწონილი მოცემული მიზნისათვის. სხვადასხვა მიზანს შეიძლება სხვადასხვა აღწერა შეესაბამებოდეს.

შემთხვევას, როდესაც ერთსა და იმავე სისტემას ანალიზის დროს სხვადასხვა წესით ახასიათებენ, ეწოდება *ჰეტერონომია* (ბერძნ. *héteros* „სხვა“, *nómos* „კანონი“, „წესი“). მის ილუსტრირებას მოვახდენთ მარტივი მაგალითით. ვთქვათ, სრული სისტემა შედგება  $a$ ,  $b$  ელემენტებისაგან ( $n=2$ ) და გამოსახულების სიგრძე  $l$  ლუწი რიცხვია. ამ სისტემის იდენტურია სისტემა, რომლის ერთეულებია  $a$  და  $b$  ელემენტებისაგან შედგენილი ყველა წყვილი ( $aa, bb, ab, ba$ ), ხოლო გამოსახულების სიგრძე  $l'$  ორჯერ ნაკლებია თავდაპირველზე; მაგალითად, თუ  $l=6$ , მაშინ  $l'=3$ . ერთი და იგივე გამოსახულება, ვთქვათ,  $abbaab$  სხვადასხვაგვარად დახასიათდება — ერთ შემთხვევაში მისი სიგრძე იქნება  $n$  (ელემენტებია  $a$  და  $b$ ), მეორეში კი  $3$  (რადგან მისი ელემენტებია  $a$ -სა და  $b$ -საგან შედგენილი წყვილები).

### 13. ელემენტთა განაწილება სისტემაში. ელემენტის დისტრიბუცია

13.1. *ელემენტის პოზიცია* ვუწოდოთ გამოსახულებაში მის ადგილს სხვა ელემენტის მიმართ. მაგალითად,  $abcde$  გამოსახულებაში  $a$  ელემენტი გვხვდება პირველ ადგილზე — თავკიდურ პოზიციაში  $b$ -ს წინ,  $b$  ელემენტი გვხვდება  $a$ -ს შემდეგ და  $c$ -ს წინ და ა.შ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სრულ სისტემაში ელემენტთა პოზიციებზე საუბარს აზრი არა აქვს, რადგან იქ თითოეული ელემენტი შეიძლება ნებისმიერ ადგილას შეგვხვდეს. გამოსახულებებში ელემენტთა ადგილის განსაზღვრა საჭიროა არასრულ სისტემაში, სადაც ზოგიერთი კომბინაცია აკრძალულია. ელემენტთა პოზიციების კვლევა სწორედ იმის გარკვევას გულისხმობს, თუ რომელი გამოსახულებებია დასაშვები მოცემულ არასრულ სისტემაში.

სიმბოლურად ჩავწერთ თითოეული ელემენტის პოზიციები. # („პაუზა“) სიმბოლოთი აღვნიშნოთ გამოსახულების თავი და ბოლო, ხოლო ჩვენთვის საინტერესო ელემენტის ადგილისათვის გამოსახულებაში ვიზმაროთ „—“ სიმბოლო. მაშინ, მაგალითად,  $abcde$  გამოსახულებაში  $a$  ელემენტის პოზიცია იქნება #— $b$  (თავკიდური),  $e$  ელემენტისა:  $d$ —# (ბოლოკიდური),  $b$  ელემენტისა:  $a$ — $c$  და ა.შ.

სისტემის გამოსახულებებში მოცემული ელემენტისათვის დამახასიათებელ პოზიციათა სიმრავლეს ამ ელემენტის დისტრიბუცია ანუ განაწილება ეწოდება (ლათ. *distributio* „განაწილება“). მაგალითად, თუ სისტემა შედგება ოთხი ასეთი გამოსახულებისაგან:  $abcd$ ,  $acbd$ ,  $dabc$ ,  $badc$ , მაშინ  $a$  ელემენტის დისტრიბუცია არის სიმრავლე, რომელშიც შედის შემდეგი პოზიციები:  $\#-b$ ,  $\#-c$ ,  $d-b$ ,  $b-d$ ;  $b$  ელემენტის დისტრიბუცია არის  $a-c$ ,  $c-d$ ,  $\#-a$  პოზიციების ერთობლიობა და ა.შ.

**13.2.** სისტემაში ელემენტთა დისტრიბუციებს შორის შეიძლება არსებობდეს შემდეგი დამოკიდებულებები: 1) ერთი ელემენტის დისტრიბუცია იდენტურია მეორე ელემენტის დისტრიბუციისა, ე.ი. მათი პოზიციების სიმრავლეები ტოლია; 2) ერთი ელემენტის დისტრიბუცია მეორე ელემენტის დისტრიბუციის ნაწილია, ქვესიმრავლეა; 3) ორი ელემენტის დისტრიბუციები ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს, ამ ელემენტებს ერთნაირი პოზიციებიც აქვთ და განსხვავებულიც, მათი პოზიციების სიმრავლეთა თანაკვეთა არ არის ცარიელი სიმრავლე; 4) ერთი ელემენტის დისტრიბუცია მთლიანად განსხვავებულია მეორე ელემენტის დისტრიბუციისაგან, ამ ელემენტებს არც ერთი საერთო პოზიცია არ გააჩნიათ. თუ ამ უკანასკნელ შემთხვევაში დისტრიბუციათა ჯამს უნივერსალურ სიმრავლედ განვიხილავთ, მაშინ თითოეული ელემენტის დისტრიბუცია შეიძლება დაგანასიათოთ როგორც დამატებითი სიმრავლე მეორე ელემენტის დისტრიბუციის მიმართ (გავიხსენოთ სიმრავლის დამატება უნივერსალურ სიმრავლეში). ასეთ დისტრიბუციებს ერთმანეთის მიმართ *დამატებითი* შეიძლება ვუწოდოთ, ხოლო იმ ელემენტების შესახებ, რომლებსაც არც ერთი საერთო პოზიცია არ გააჩნიათ, ვიტყვით, რომ ისინი ერთმანეთის მიმართ *დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში* იმყოფებიან. ზემოთ განხილულ მაგალითში ასეთია  $a$  და  $b$ ,  $a$  და  $d$ ,  $b$  და  $c$ ; დანარჩენ შემთხვევებში ამ სისტემის ელემენტთა ( $a$  და  $c$ ,  $c$  და  $d$ ,  $b$  და  $d$ ) დისტრიბუციები ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს.

თუ ორი ელემენტი გვხვდება ერთნაირ პოზიციებში, ე.ი. თუ მათი დისტრიბუციები დამატებითი არ არის, მაშინ ვიტყვით, რომ ისინი ერთმანეთის მიმართ *კონტრასტული დისტრიბუციის დამოკიდებულებაში* იმყოფებიან.

თუ გამოსახულებაში რომელიმე ერთეულის — ელემენტის ან მიმდევრობის — სხვა ერთეულით ჩანაცვლებისას ამავე სისტემის გამოსახულებას ვღებულობთ, მაშინ ჩანაცვლებაში მონაწილე ერთეულების შესახებ ვიტყვით, რომ ისინი ქმნიან *კონტექსტურ* (ლათ. *contextus* „დაკავშირება“, „შეერთება“) კლასს. მაგალითად, თუ  $axb$  და  $ayb$  არის მოცემული სისტემის გამოსახულებები, მაშინ  $x$  და  $y$  ქმნიან კონტექსტურ კლასს.

ცხადია, ერთეულების ჩანაცვლება ხდება გარკვეულ გარემოცვაში კონტექსტში კონტექსტური კლასი განისაზღვრება არა მარტო ჩანაცვლებაში მონაწილე ელემენტებით, არამედ იმ გარემოცვითაც, რომელშიც ეს ჩანაცვლება ხდება.

## 14. ენობრივი მოდელები და მოდელირების თეორია

14.1. შადრესად საინტერესოა ადამიანის ბგერითი ენის შესწავლა მოდელების აგების გზით. ეს გულისხმობს ისეთი აბსტრაქტული სისტემების (მოდელების) შექმნას, რომელთა შემდგომი სპეციფიკაციისა და ინტერპრეტაციის შედეგად მივიღებთ განსახილველ ენებს. ცხადია, ასეთი მოდელები ერთგვარად იდეალიზებულ ენობრივ სქემებს მოგვცემს, მაგრამ იდეალიზებული თბიექტების აგება ემპირიულ მეცნიერებაში რეალურ თბიექტთა შესწავლის აუცილებელი პირობაა: ეს თბიექტები ხშირად მეტად რთულია, მათი კვლევა შეუძლებელია გამარტივებისა და იდეალიზაციის გარეშე. მაგალითად, ფიზიკოსი ან ქიმიკოსი აგებს თავის თეორიებს არა რეალური თბიექტების მიმართ, არამედ ერთგვარი პირობითი სამყაროს მიმართ, რომელშიც რეალობა მეტ-ნაკლებად გამარტივებულია. ფიზიკოსი შესწავლის რეალურ აირს არა მასზე უშუალო დაკვირვების, არამედ ე.წ. იდეალურ აირთან მისი შედარების გზით.

ენათმეცნიერმაც, ანალოგიურად, შეიძლება ააგოს იდეალიზებული ენობრივი მოდელი და დაახასიათოს რეალური ენები ამ მოდელთან შედარების გზით. ენის, როგორც ნიშანთა სისტემის, ბუნების გარკვევა, მისი სტრუქტურის შესწავლა ჩვენ სწორედ ყველაზე მარტივი სისტემების განხილვით დაფიქვით. ასეთი სისტემების თავისებურებათა დახასიათება საშუალებას მოგვცემს, უფრო ნათლად და მკაფიოდ წარმოვიდგინოთ ნიშანთა ისეთი რთული სისტემის აგებულება, როგორიც არის ადამიანის ბგერითი ენა.

## 15. კომუნიკაცია და შეტყობინება. ნიშანთა სისტემა როგორც კოდი. კოდირება და დეკოდირება

15.1. ბქამდე ზოგადად ვახასიათებდით ნიშანთა სისტემებს სინტაქტიკურ ასპექტში; ახლა ვნახოთ, თუ როგორ გამოიყენება ისინი კომუნიკაციის განსახორციელებლად, როგორ გადაიცემა შეტყობინებები ნიშანთა სისტემების მეშვეობით.

*კომუნიკაცია* (ლათ. *commūnicatio* — „ურთიერთობა“; „გაცვლა-გამოცვლა“; „შეტყობინება“) არსებითად სოციალური მოვლენაა და ადამიანთა საზოგადოებაში უპირატესად *შეტყობინებათა* (ინგლ. *message*) გაცვლა-გამოცვლას გულისხმობს. ისტორიულად მრავალი საკომუნიკაციო სისტემა ჩამოყალიბდა, რაც შესაძლებელს ხდის საზოგადოების ნორმალურ არსებობასა და ფუნქციონირებას.

ამგვარ საკომუნიკაციო სისტემათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და გამორჩეულია ადამიანის ბუნებრივი ენა, რომელიც *შეტყობინებათა* გაცვლა-გამოცვლის ძირითადი საშუალებაა; სხვა საკომუნიკაციო საშუალებები ადამიანთა საზოგადოებაში მეორეული წარმომავლობისაა და, ჩვეულებრივ, ბუნებრივ ენას ემყარება.

**15.2.** პირობით ნიშანთა სისტემას, რომლის საშუალებითაც შეიძლება რაღაც *შეტყობინების* გაგზავნა, *კოდი* ეწოდება. ცხადია, ასეთ სისტემაში გვაქვს როგორც სინტაქტიკური, ისე სემანტიკური წესები. კოდის ნიშნებს შეიძლება სხვადასხვა ფიზიკური ბუნება ჰქონდეთ — ეს შეიძლება იყოს რადიოტალღები, ელექტროიმპულსები, წერილობითი ნიშნები და სხვ. ბუნებრივი ენაც არსებითად კოდს წარმოადგენს, რომელშიც ბგერითი ნიშნებია გამოყენებული.

თუ რაღაც სისტემის ნიშნებით გამოხატული გამონათქვამები ანუ *შეტყობინებები* გადაიცემა სხვა სისტემის ელემენტებით გარკვეული წესების შესაბამისად და ეს წესები გადამცემსა და მიმღებს შორის ისეა შეთანხმებული, რომ შეიძლება *შეტყობინების* დაბრუნება თავდაპირველ სისტემაზე, მაშინ ვიტყვი, რომ ვახდენთ *შეტყობინებათა კოდირებას*. საპირისპირო ოპერაციას, ე.ი. კოდირებული *შეტყობინების* გამოხატვას თავდაპირველი სისტემის ნიშნებით, *დეკოდირება* ეწოდება. ამრიგად, დეკოდირების დროს ვუბრუნდებით ამოსავალ სისტემას. ეს ორი ოპერაცია ფაქტობრივად გულისხმობს ნიშანთა ერთი სისტემიდან სხვა, მის იზომორფულ სისტემაზე გადასვლას, და პირუკუ.

**15.3.** კოდირების ერთ-ერთი მაგალითია ბგერით ენაზე რეალიზებული გამონათქვამის წერილობითი ფორმით გამოხატვა, ე.ი. ზეპირი *შეტყობინების* ჩაწერა, ხოლო ჩანაწერის წაკითხვა დეკოდირებაა. ერთი სისტემიდან მეორეზე ასეთი გადასვლების საჭიროება გამომდინარეობს საკომუნიკაციო პროცესის პირობებიდან. მაგალითად, ახლო მანძილზე მყოფ თანამოსაუბრეს შეიძლება დაველაპარაკოთ, ე.ი. *შეტყობინება* გავუგზავნოთ ბგერით ენაზე კოდირებული ნიშნებით. უფრო შორ მანძილზე *შეტყობინებათა* გასაგზავნად ისინი სხვა, მაგალითად, წერილობითი ნიშნებით უნდა გამოვხატოთ, მოვახდინოთ მათი კოდირება სხვა სისტემის საშუალებით.

გარემოს, რომელშიც ხდება შეტყობინების გაგზავნა, არხი ეწოდება. არხის თავისებურებები განსაზღვრავს იმას, თუ რა ნიშნებით უნდა მოგვანდინოთ კოდირება: ბგერებით, ფერებით, ასოებით თუ სხვ.

## 16. შეტყობინება და ინფორმაცია

16.1. ყოველი შეტყობინება, როგორც წესი, გვაძლევს ახალ ცოდნას, ატარებს რაღაც ინფორმაციას („ინფორმაცია“ პირველადი ცნებაა, ლათ. *informatio* - „განმარტება“, „ახსნა“). ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს არჩევანი — გვაქვს ერთზე მეტი შეტყობინება. სისტემაში ერთადერთი შეტყობინების არსებობისას ინფორმაციას ვერ მივიღებთ, ახალს ვერაფერს გავიგებთ. მაგალითად, ლატარიის ბილეთის მფლობელი, რომელსაც აინტერესებს, მოიგო მისმა ბილეთმა თუ არა, ორი შესაძლებელი შეტყობინებიდან ერთ-ერთს მიიღებს — პასუხი იქნება დადებითი ან უარყოფითი. მაგრამ თუ ბილეთის მფლობელმა წინასწარ იცის, მოიგებს მისი ბილეთი თუ არა, ე.ი. თუ შეტყობინებათა სიმრავლე ერთი ელემენტისაგან შედგება, მაშინ ასეთ შეტყობინებას არავითარი ინფორმაცია არ მოაქვს.

ამავე დროს, ინფორმაცია, რომელსაც ცალკეული შეტყობინება ატარებს; არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა აგებულებისაა, შინაგანად რა ხასიათისაა ეს შეტყობინება; იგი დამოკიდებულია მხოლოდ მოსალოდნელ შეტყობინებათა სიმრავლეზე.

ვთქვათ, უცხოეთში მყოფი ორი ადამიანი შინ ორ ერთნაირ შეტყობინებას აგზავნის: „კარგად ვარ“. ცნობილია, რომ პირველ მათგანს შეეძლო გამოეგზავნა ერთ-ერთი შემდეგი სამი შეტყობინებიდან: „კარგად ვარ“, „ავად ვარ“, „არა მიშავს“; მეორეს შეეძლო გამოეგზავნა მხოლოდ ერთი შეტყობინება — „კარგად ვარ“, ან სულ არაფერი არ გამოეგზავნა, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ იგი კარგად არ არის; შეტყობინების გაუგზავნელობა აქ გარკვეული შეტყობინების ტოლფასია. ცხადია, რომ ერთი და იგივე ფრაზა ამ ორ შემთხვევაში სხვადასხვა ინფორმაციას ატარებს. ამგვარად, ინფორმაცია დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ სიმრავლეს ეკუთვნის მოცემული შეტყობინება.

## 17. ინფორმაციის რაოდენობა და ალბათობა

17.1. იმისათვის, რომ ინფორმაციის რაოდენობაზე ვიმსჯელოთ, საჭიროა განვიხილოთ *ალბათობის* ცნება.

ალბათობის თეორიაში, ისევე როგორც სხვა მეცნიერულ დისციპლინებში, არის ამოსავალი ცნებები. მათ შორის არის „ცდა“ და „მოვლენა“ ანუ „ხდომილება“. *ცდა* არის რაღაც ოპერაცია, რომელიც შეიძლება მრავალგზის განხორციელდეს გარკვეულ პირობებში. ყოველ მის შედეგს *ხდომილება* ანუ *მოვლენა* ეწოდება. მაგალითად, მონეტის აგდება არის ცდა, ხოლო „რიცხვის“ ამოსვლა ხდომილებაა.

ხდომილებები შეიძლება იყოს *თანაბრად მოსალოდნელი* ანუ *ტოლალბათური* ესეც პირველადი ცნებაა. მაგალითად, ნორმალური, სიმეტრიული მონეტის აგდებისას „რიცხვის“ ან „გერბის“ გამოჩენა შეიძლება ტოლალბათურად მივიჩნიოთ; თითოეული თანაბრად არის მოსალოდნელი ცდის რეალიზაციის შედეგად. ორ ხდომილებას *შეუთავსებადი ხდომილებები* ეწოდება, თუ ისინი ერთდროულად ვერ განხორციელდება. მაგალითად, ერთდროულად „გერბისა“ და „რიცხვის“ ამოსვლა ერთი მონეტის აგდებისას შეუძლებელია. შეუთავსებადი ხდომილებები, რომელთაგან ერთ-ერთი აუცილებლად ხორციელდება ყოველი ცდის დროს, ქმნიან *ხდომილებათა სრულ ჯგუფს*. თუ ხდომილება არ ხორციელდება ცდის არც ერთი რეალიზაციის დროს, მას *შეუძლებელი ხდომილება* ეწოდება (ჩვეულებრივ იგი V ასოთი აღინიშნება: ფრ. *vide „ცარიელი“*). ხდომილებას *უცილობელი* ეწოდება, თუ იგი ხორციელდება ცდის ნებისმიერი რეალიზაციის დროს (ასეთი ხდომილება U ასოთი აღინიშნება; შდრ. უნივერსალური სიმრავლე). თუ ხდომილება არც შეუძლებელია და არც უცილობელი, მას *შესაძლებელი* ანუ *შემთხვევითი ხდომილება* ეწოდება.

*ალბათობა* არის სიდიდე, რომელიც ახასიათებს ხდომილების განხორციელების სიხშირეს. იგი გამოიხატება დადებითი რიცხვით 0-დან 1-მდე და გვიჩვენებს, თუ რამდენად მოსალოდნელია ესა თუ ის ხდომილება. იშვიათ მოვლენათა ალბათობა ნაკლებია უფრო გავრცელებულ მოვლენათა ალბათობაზე. შეუძლებელი ხდომილების ალბათობა ნულის ტოლია, უცილობელ ხდომილებას 1-ის ტოლი ალბათობა აქვს, ხოლო შესაძლებელ ხდომილებათა ალბათობა წესიერი წილადაა. ალბათობას აღნიშნავენ P ასოთი (ფრ. *probabilité* „ალბათობა“). ამგვარად, რომელიმე A ხდომილების ალბათობა P(A) არის დადებითი რიცხვი:  $0 \leq P(A) \leq 1$ . რაც უფრო დიდია P(A), მით უფრო მოსალოდნელია A მოვლენა.

სრულ ჯგუფში შემაჯავალი ყველა ხდომილების ალბათობათა ჯამი 1-ის ტოლია, რადგან ყოველი ცდის ჩატარებისას აუცილებლად ხორციელდება ერთ-ერთი მათგანი; მაშასადამე, აქ უცილობელ ხდომილებას-

თან გვაქვს საქმე. მაგალითად, მონეტის აგდებისას იგულისხმება, რომ იგი აუცილებლად დაფარდება ან „ზურგზე“, ან „შუბლზე“. აქედან გამომდინარე, თუ სრული ჯგუფი შედგება ორი საპირისპირო მოვლენისაგან, რომლებიც ტოლალბათურია, ე.ი. თანაბრად მოსალოდნელი, მაშინ თითოეული მათგანის ალბათობა  $1/2$ -ის ტოლი იქნება (ჯამში  $1$ -ს მივიღებთ). ასეთია, მაგალითად, „ზურგის“ ამოსვლა მონეტის აგდებისას (ასევე „შუბლის“).

გთქვათ,  $A_1, A_2, \dots, A_n$  ტოლალბათური ხდომილებები (მათი რაოდენობაა  $n$ ) ქმნიან სრულ ჯგუფს. ცხადია, თითოეული მათგანის ალბათობა იქნება  $1/n$ . მაგალითად,  $n$ -წახნაგა კამათლის გაგორებისას ერთ-ერთ წახნაგზე მისი დაჯდომის ალბათობაა  $1/n$ .

არსებობს ალბათობის სტატისტიკური განსაზღვრება, რომელსაც საფუძვლად უდევს ხდომილების ფარდობითი სიხშირის ცნება. წილადს, რომლის მნიშვნელია ჩატარებულ ცდათა საერთო რაოდენობა, ხოლო მრიცხველი — იმ ცდების რიცხვი, რომელთა შედეგად განხორციელდა მოცემული ხდომილება, ეწოდება ამ ხდომილების *ფარდობითი სიხშირე*. თუ ცდები ერთნაირ პირობებში ტარდება, მაშინ მათი სერიების ზრდისას ფარდობითი სიხშირის მნიშვნელობები უახლოვდება მუდმივ სიდიდეს, რომელსაც მოცემული ხდომილების *სტატისტიკური ალბათობა* (ან, მარტივად, *ალბათობა*) ეწოდება. მაგალითად, მონეტის ძალიან ბევრჯერ აგდებისას „გერბი“ ამოვა დაახლოებით იმდენჯერვე, რამდენჯერაც „რიცხვი“, და თითოეული მათგანის ფარდობითი სიხშირე მიუახლოვდება  $1/2$ -ს.

**17.2.** თუ მოვლენის ალბათობა  $1$ -ის ტოლია, მაშინ იგი არავითარ ინფორმაციას არ ატარებს, რადგან წინასწარ არის ცნობილი, რომ იგი ნამდვილად განხორციელდება (გავიხსენოთ ლატარიის მაგალითი).

გთქვათ, სრულ ჯგუფში რვა ტოლალბათური მოვლენა გვაქვს:  $A, B, C, D, E, F, G, H$ . თითოეულის ალბათობა იქნება  $1/8$ . წარმოვიდგინოთ, რომ ეს მოვლენები შეტყობინებებია, რომლებსაც უშუალოდ ვერ გადაცემთ — საჭიროა მათი კოდირება. დავუშვათ, რომ კოდირებას ვახდენთ უმარტივესი სისტემით, რომელიც ორ ელემენტს შეიცავს. ასეთ ორელემენტოვან სისტემებს ეწოდება *ბინარული (ორობითი) სისტემები* (ლათ. *binarius* „ორობითი“) ანუ *ბინარული კოდები*. ისინი ფართოდ არის გავრცელებული ბუნებაში, ტექნიკაშიც გამოიყენება. ბუნებრივ ენებში რაღაც საგნებსა და მოვლენებს ხშირად ვახასიათებთ როგორც „კარგს“ ან „ცუდს“, „ლამაზს“ ან „უშნოს“, „ჭკუმიარიტს“ ან „ყალბს“ და სხვა. ეს სწორედ ბინარული დაპირისპირებებია, მათში მონაწილეობს ელემენტთა წყვილები. ორობითობის პრინციპზე აგებული სტრუქტურები ბუნებრივ ენებში მრავლად გვხვდება.

17.3. ღავებრუნდეთ ჩვენს რვაელემენტის სისტემას და ვცადოთ გადავიყვანოთ ის ორობით სისტემაზე ისე, რომ მიმღებმა შეძლოს რვავე შეტყობინების ამოცნობა. ამის გაკეთება სხვადასხვა გზით შეიძლება. მაგალითად, ჩამოგწეროთ შეტყობინებები სვეტის სახით და დავსვათ კითხვა: არის გადასაცემი სიმბოლო სვეტის ზედა ნახევარში თუ არა? დადებითი პასუხი 1-ით აღვნიშნოთ, უარყოფითი კი 0-ით. ამ კითხვაზე პასუხი გაანახევრებს „უცოდინარობას“ გადასაცემი შეტყობინების შესახებ. თუ ანალოგიურ შეკითხვას დავსვამთ მიღებული ორი დანაყოფის მიმართ, მაშინ თითოეული მათგანი კიდევ ორ ტოლ ნაწილად დაიყოფა. მესამე შეკითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ ყოველი სიმბოლოს გასწვრივ მივიღებთ სამელებმენტის მიმდევრობებს, შედგენილს 1-ებისა და 0-ებისაგან; არც ერთი მათგანი არ გამეორდება. ამ გზით ცალსახად განისაზღვრება თითოეული შეტყობინება.

შეტყობინება	I შეკითხვა	II შეკითხვა	III შეკითხვა
A	1	1	1
B	1	1	0
C	1	0	1
D	1	0	0
E	0	1	1
F	0	1	0
G	0	0	1
H	0	0	0

ჩვენ მოვახდინეთ რვაელემენტის სისტემის კოდირება ბინარული კოდით. ასეთი კოდის ერთეულებს *ორობითი ერთეულები* ანუ *ბიტები* ეწოდება (სიტყვა *ბიტი* მიღებულია ინგლ. *binary digit*-იდან, რაც „ორობით ერთეულს“ ნიშნავს). რვა შეტყობინების კოდირებისათვის დაგვჭირდა სამი ბიტი, ე.ი. ორობით ერთეულთა სამელებმენტის კომბინაციები; ოთხი შეტყობინების კოდირებისათვის საკმარისია ბიტების ორელებმენტის მიმდევრობები, ხოლო ორი შეტყობინების კოდირებისათვის საჭიროა თითო ბიტი, 1 ან 0. ყველა ამ შემთხვევაში გამოყენებული იყო ბიტების ყველანაირი (თეორიულად შესაძლებელი) კომბინაცია (სივრძით 3, 2 და 1, შესაბამისად). მაშასადამე, ბიტების ერთელებმენტის მიმდევრობების საშუალებით შეიძლება გადავცეთ ორი შეტყობინება:  $2=2^1$ ; ორელებმენტის მიმდევრობების საშუალებით — ოთხი შეტყობინება:  $4=2^2$  (ხარისხის ფუძე 2-ია, რადგან კოდირებას ორობითი სისტემით ვახდენთ); სამელებმენტის მიმდევრობის საშუალებით გადაიცემა რვა შეტყობინება:  $8=2^3$  და ა.შ. ზოგადად,  $M=2^x$  რაოდენობის შეტყობინებათა



გადასაცემად საჭიროა ბიტების  $x$ -ელემენტური მიმდევრობები, ანუ  $x$  სიგრძის მქონე კომბინაციები.  $2^x = M$  ფორმულიდან ვღებულობთ:  $x = \log_2 M$ . აქედან ჩანს, რომ შეტყობინებათა რაოდენობა ( $M$ ) განსაზღვრავს ბიტების იმ რაოდენობას ( $x$ -ს), რომელიც საჭიროა თითოეული შეტყობინების კოდირებისათვის. ჩვენს მაგალითში  $x = \log_2 8 = 3$ .

ბიტების რაოდენობას, რომელიც საჭიროა თითოეული შეტყობინების კოდირებისათვის, ეწოდება შეტყობინების ინფორმაციის ზომა ანუ ინფორმაციის რაოდენობა. ისეთ რვაელემენტურ სისტემაში, სადაც შეტყობინებები ტოლალბათურია, თითოეული შეტყობინების ინფორმაციის ზომა 3 ბიტს უდრის.

გავისწავლოთ ალბათობის ცნება და წარმოვიდგინოთ, რომ ტოლალბათური შეტყობინებები გადასაცემა გვაქვს კოდირებული სახით. თუ მათი რაოდენობაა  $M$ , მაშინ თითოეულის ალბათობა იქნება  $P = 1/M$ , საიდანაც  $M = 1/P$ . ინფორმაციის ზომის ფორმულაში  $M$ -ის ამ მნიშვნელობის ჩასმის შედეგად მივიღებთ:  $x = \log_2 M = \log_2 1/P = \log_2 1 - \log_2 P = 0 - \log_2 P = -\log_2 P$ . საბოლოოდ,  $x = -\log_2 P$ . ეს ფორმულა გვიჩვენებს, რომ შეტყობინების ინფორმაციის რაოდენობა განისაზღვრება ამ შეტყობინების ალბათობის ლოგარითმით  $2$ -ის ფუძით. ადვილი საჩვენებელია, რომ  $-\log_2 P$  არის დადებითი რიცხვი ან ნული. მართლაც, თუ  $P = 1$ , მაშინ  $-\log_2 P = -\log_2 1 = 0$ . თუ  $P$  წესიერი წილადია, მაშინ მისი ლოგარითმი უარყოფითი რიცხვია ( $P$  ასეთ შემთხვევაში შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც  $m/n$ , სადაც  $m < n$  და  $\log_2 m/n = \log_2 m - \log_2 n$ . ეს რიცხვი უარყოფითია, რადგან აქ საკლები ნაკლებია მაკლებზე). ვთქვათ,  $P = 1/4$ , მაშინ  $x = -\log_2 1/4 = -(\log_2 1 - \log_2 4) = \log_2 4 = 2$ .

ზემოთ მოყვანილი ფორმულიდან ჩანს, რომ სხვადასხვა ალბათობის მქონე შეტყობინებები ინფორმაციის რაოდენობითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან. ის შეტყობინება, რომელსაც მეტი ალბათობა აქვს, ნაკლებ ინფორმაციას ატარებს. რაც უფრო დიდია  $P$ , ე.ი., რაც უფრო მეტად უახლოვდება იგი  $1$ -ს, მით უფრო მცირეა  $x$ . ცხადია, რომ შეტყობინება, რომელსაც ძალიან ხშირად ვღებულობთ, მცირე ინფორმაციას ატარებს, ახალს თითქმის არაფერს გვეუბნება —  $x$  უახლოვდება  $0$ -ს. პირიქით, შეტყობინება, რომელსაც ნაკლებად ველოთ, დიდ ინფორმაციას ატარებს. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ ლატარიის მაგალითი. მოგება, როგორც წესი, გაცილებით უფრო იშვიათია, ვიდრე წაგება და იგი, წაგებასთან შედარებით, მეტ ინფორმაციას ატარებს ხოლმე.

17.4. შეტყობინებად შეიძლება მივიჩნიოთ ელემენტის შესვლა ნიშანთა სისტემის გამოსახულებებში. მაგალითად, ქართული ანბანის ყველა ასო ტექსტში ერთნაირი სიხშირით რომ გვხვდებოდეს, მაშინ თითოეული მათ-

განის გამოჩენის ალბათობა იქნებოდა  $1/33$ , ხოლო ინფორმაციის ზომა  $x = -\log_2 1/33 = \log_2 33$  (ეს რიცხვი 5 ბიტს ოდნავ აღემატება). სინამდვილეში ასობის სისწორე ტექსტში არ არის ერთნაირი და ამიტომ მათ სხვადასხვა ალბათობები მიეწერება.

ვთქვათ, სრულ ჯგუფში შემავალი  $A_1, A_2, \dots, A_n$  შეტყობინებების ალბათობებია შესაბამისად  $P_1, P_2, \dots, P_n$  (მათი ჯამი 1-ის ტოლია დეფინიციით, ე.ი. განსაზღვრებიდან გამომდინარე). ისეთ სისტემაში, რომელშიც ალბათობები განსხვავებულია, საინტერესოა შეტყობინებათა ინფორმაციის საშუალო რაოდენობის დადგენა.

**17.5.** ტდის ყოველ შედეგს ზოგჯერ შეესაბამება რაღაც ცვლადი სიდიდე, რომლის მნიშვნელობებსაც ვერ ვიწინასწარმეტყველებთ, რადგან ისინი სხვადასხვა (გაუთვალისწინებელ) მიზეზზეა დამოკიდებული. ასეთ სიდიდეს ეწოდება *შემთხვევითი სიდიდე*. მაგალითად, დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთში გზაზე შეიძლება გაიაროს სხვადასხვა რაოდენობის მანქანამ — წინასწარ არ ვიცით, რამდენმა. ეს რაოდენობა შემთხვევითი სიდიდეა. კერძოდ, იგი შეიძლება ნულის ტოლიც იყოს. ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ისეთ შემთხვევით სიდიდეებს, რომელთა მნიშვნელობების სიმრავლე განსაზღვრულია, ე.ი. მათ შეუძლიათ ცალკეული მნიშვნელობების მიღება (ესაა ე.წ. დისკრეტული შემთხვევითი სიდიდეები).

არსებობს *შემთხვევითი სიდიდის საშუალო მნიშვნელობის* გამოსათვლელი ფორმულა, რომლის თანახმად, ამ სიდიდის თითოეული მნიშვნელობა უნდა გავამრავლოთ სათანადო ალბათობაზე და ნამრავლები შევკრიბოთ. თუ შემთხვევითი სიდიდის მნიშვნელობებია  $x_1, x_2, \dots, x_n$ , ხოლო მათი ალბათობებია შესაბამისად  $p_1, p_2, \dots, p_n$ , მაშინ  $\bar{x}$  (ე.ი.  $x$  სიდიდის

საშუალო მნიშვნელობა) ტოლია 
$$\sum_{k=1}^n x_k p_k = x_1 p_1 + x_2 p_2 + \dots + x_n p_n$$
 (  $\sum_{k=1}^n$  აღ-

ნიშნავს ჯამს;  $k$  ინდექსი იცვლება 1-დან  $n$ -მდე).

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ მშვილდოსნის მაგალითი. ვთქვათ, იგი ასჯერ ისერის მიზანში, ე.ი. მოცემულ სერიაში ცდების რაოდენობა —  $n=100$ . დავეუშვათ, რომ 3-ქულიან მიზანში მშვილდოსანი 4-ჯერ ახვედრებს ისარს, ე.ი.  $x_1=3$  ქულას აგროვებს  $n_1=4$ -ჯერ; ვთქვათ, 4-ქულიან მიზანში ( $x_2=4$ ) იგი  $n_2=26$ -ჯერ ახვედრებს ისარს, 5-ქულიანში ( $x_3=5$ ) ახვედრებს  $n_3=46$ -ჯერ, 6-ქულიანში ( $x_4=6$ ) კი  $n_4=24$ -ჯერ. ასი გასროლის შედეგად ( $n_1+n_2+n_3+n_4=n=100$ ) იგი მოაგროვებს  $n_1 x_1 + n_2 x_2 + n_3 x_3 + n_4 x_4 = 490$  ქულას. საშუალოდ თითოეულ გასროლაში მშვილდოსანი მიიღებს  $490:100=4,9$  ქულას, ე.ი.  $\bar{x}=(n_1 x_1 + n_2 x_2 + n_3 x_3 + n_4 x_4):n$ .

ასეთი საშუალო მაჩვენებლების მიხედვით მშვილდოსნები შეიძლება შეადარონ ერთმანეთს და შეაფასონ; უკეთესია ის, ვისაც უფრო მაღალი საშუალო მაჩვენებელი აქვს.

მშვილდოსანი 100 გასროლიდან ოთხჯერ ახვედრებს ისარს 3 ქულიან მიზანში, ე.ი. ამ ხდომილებს — 3-იანში მოხვედრის — ალბათობა  $n_1:n=4:100$ . ანალოგიურად, დანარჩენი სამი ხდომილების (4-იანში, 5-იანში და 6-იანში მოხვედრის) ალბათობებია შესაბამისად  $n_2:n=26:100$ ,  $n_3:n=46:100$ ,  $n_4:n=24:100$ . აქ  $p_1=n_1:n$ ,  $p_2=n_2:n$ ,  $p_3=n_3:n$  და  $p_4=n_4:n$ , საიდანაც  $n_1=np_1$ ,  $n_2=np_2$ ,  $n_3=np_3$ , და  $n_4=np_4$ . თუ ამ გამოსახულებებს ჩავსვამთ ქულათა საშუალო რაოდენობის აღმნიშვნელ ფორმულაში, მივიღებთ:  $\bar{x}=[n(p_1x_1+p_2x_2+p_3x_3+p_4x_4)]:n=p_1x_1+p_2x_2+p_3x_3+p_4x_4$ , ე.ი.  $\bar{X}=\sum_{k=1}^n p_k x_k$ .

განხილულ მაგალითში შემთხვევითი სიდიდე იყო მშვილდოსნის მიერ დაგროვილი ქულების რაოდენობა. შემთხვევით სიდიდედ შეიძლება განვიხილოთ აგრეთვე ბიტების რაოდენობა, რომელიც საჭიროა სვადასხვა ალბათობის მქონე შეტყობინებათა კოდირებისათვის. ამ სიდიდის მნიშვნელობები დამოკიდებულია, როგორც ვნახეთ, კონკრეტული შეტყობინებების ალბათობებზე. თუ შემთხვევითი სიდიდის საშუალო მნიშვნელობის ფორმულაში ყოველი  $x_k$  ნაცვლად ჩავსვამთ  $-\log_2 p_k$  გამოსახულებას, ე.ი.  $p_k$  ალბათობის მქონე შეტყობინების ინფორმაციის ზომას, მივიღებთ ინფორმაციის საშუალო რაოდენობის ფორმულას:

$$H = - \sum_{k=1}^n p_k \log_2 p_k$$

ტოლალბათური შეტყობინებების შემთხვევაში  $H$  თავის მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს; აღვნიშნოთ იგი  $H_{\max}$ -ით. როგორც ვიცით,  $H_{\max} = -\log_2 P$ . მაგალითად, თუ სისტემაში ოთხი ტოლალბათური შეტყობინებაა, მაშინ თითოეული მათგანის ალბათობა იქნება  $1/4$  და  $H_{\max} = -\log_2 1/4 = 2$ . თუ შეტყობინებათა ალბათობებია, ვთქვათ,  $1/2$ ,  $1/4$ ,  $1/8$  და  $1/8$ , მაშინ

$$H = - \sum_{k=1}^n p_k \log_2 p_k = - (1/2 \log_2 1/2 + 1/4 \log_2 1/4 + 1/8 \log_2 1/8 + 1/8 \log_2 1/8) = 1/2 + 1/2 + 3/8 + 3/8 = 1 3/4. \text{ ე.ი. } H < H_{\max}$$

## 18. საინფორმაციო სისტემის ენტროპია და სიჭარბე

18.1. როგორც აღვნიშნეთ, ქართულ ტექსტში ასოები სხვადასხვა სიხშირით გვხვდება, მათი დისტრიბუციები არ არის ერთნაირი. მაგალითად,  $\mathcal{A}$  ასო არ გვხვდება არც ერთი თანხმოვნის შემდეგ,  $\mathcal{B}$  თანხმოვანი —  $\mathcal{C}$  თანხმოვნის შემდეგ და სხვ., ასეთ პოზიციებში ამ ასოების გამოჩენის ალბათობა ნულის ტოლია. სისტემა არასრულია. იგივე ითქმის ტექსტში სამეტყველო ბგერათა განაწილების შესახებ. ბუნებრივ ენებში ელემენტთა კომბინაციებს მნიშვნელოვანი შეზღუდვები ედება; არც ერთი ენა არ არის სრული სისტემა.

ალბათობის თეორიაში ზოგჯერ სინონიმურად ხმარობენ ტერმინებს *სრული ჯგუფი* და *სრული სისტემა*. ტერმინოლოგიური სიჭრელის თავიდან ასაცილებლად აქ ამ ორ ცნებას განვასხვავებთ — *სრულ სისტემებს* ვუწოდებთ ისეთ სრულ ჯგუფებს, რომლებშიც შეტყობინებები ტოლალბათურია. ეს ეთანხმება ამ ტერმინის ზემოთ მოცემულ განმარტებას.


სრულ სისტემებში ერთი ელემენტის გამოჩენა გამოსახულებაში არ ახდენს გავლენას სხვა ელემენტების გამოჩენაზე; მათი ალბათობები ტოლია, ისინი ერთმანეთზე არ არიან დამოკიდებულნი. ისეთ ხდომილებებს, რომელთაგან ერთ-ერთის განხორციელება არ არის დამოკიდებული მეორის განხორციელებასა თუ განუხორციელებლობაზე, ეწოდება *დამოუკიდებელი ხდომილებები* ცდის მრავალჯერ გამეორების შემთხვევაში დამოუკიდებელ ხდომილებათა სიხშირეები დაახლოებით ერთნაირი იქნება, რადგან მათ შორის კავშირი ან არ არის, ან იგი ირელევანტურია (არაღირებული). მაგალითად, მონეტის ორჯერ აგდებისას პირველი ცდის შედეგი არაა დამოკიდებული მეორე ცდის შედეგზე, ხოლო თუ ცდას მრავალჯერ გაგიმეორებთ, „რიცხვი“ და „გერბი“ დაახლოებით ერთნაირი სიხშირით ამოვა. შეიძლება საპირისპირო მაგალითიც მოვიტანოთ: თუ საქალაქდიდან, რომელშიც ერთნაირი რაოდენობის ფერადი და შავ-თეთრი ფოტოსურათები დევს, ნებისმიერად ამოვიღებთ ერთ სურათს, მაშინ ცდის გამეორებისას (ამოღებული სურათის დაუბრუნებლად) შავ-თეთრი ან ფერადი ფოტოს ამოღების ალბათობა დამოკიდებული იქნება პირველი ცდის შედეგზე; მაგალითად, ჯერ თუ ფერადი ფოტო გვქონდა ამოღებული, მაშინ მეორე ცდის დროს ისევ ფერადის ამოღების ალბათობა უფრო მცირეა, ვიდრე შავ-თეთრის ამოღებისა.

18.2. ბანგნილოთ სამელემენტო სრული სისტემა, რომლის ელემენტებია  $a, b, c$ , ხოლო გამოსახულების სიგრძე  $\ell=2$ . ელემენტთა დისტრიბუციები იდენტურია, ამიტომ გამოსახულებაში რომელიმე ელემენტის გამოჩენა არ არის დამოკიდებული სხვა ელემენტების გამოჩენაზე. შეზღუდვით განაწილება, მაგალითად, შემოვიტანოთ წესი, რომელიც

კრძალავს გამოსახულებაში ნებისმიერი ელემენტის გამეორებას. დაგვრჩება ექვსი გამოსახულება:  $ab, ba, ac, ca, bc, cb$ . ამ კომბინაციებში  $a$  ელემენტი ორჯერ გვხვდება პირველ ადგილზე, ე.ი. მისი ალბათობაა  $\frac{2}{6} = \frac{1}{3}$ . რა არის ალბათობა იმისა, რომ თუ  $a$  ელემენტი პირველ ადგილზე გამოსახულებაში, მეორე ადგილზეც  $a$  იქნება? მოცემულ არასრულ სისტემაში ასეთი გამოსახულება არა გვაქვს, ე.ი. ჩვენთვის საინტერესო ხდომილების ალბათობა ნულის ტოლია. ამავე პირობის დაცვით გამოვიანგარიშოთ  $b$  ელემენტის მეორე ადგილზე გამოჩენის ალბათობა.  $a$  მხოლოდ ორ გამოსახულებაშია პირველ ადგილზე და მათგან  $b$  ერთადერთში მოხდევს  $a$ -ს, ამიტომ საძიებელი ალბათობა იქნება  $\frac{1}{2}$ .

$B$  ხდომილების პირობითი ალბათობა —  $P_A(B)$  არის  $B$  ხდომილების ალბათობა იმ შემთხვევაში, თუ ცნობილია, რომ  $A$  აუცილებლად ხორციელდება. პირობით ალბათობას სხვაგვარად გარდამავალ ალბათობასაც უწოდებენ.

სრულ სისტემაში პირობით ალბათობებზე საუბარს აზრი არა აქვს, რადგან იქ ისინი „უპირობო“ ალბათობებს ემთხვევა — ხდომილებები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია. არასრულ სისტემაში ხდომილებები ზოგჯერ არ არის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი. განხილულ არასრულ სისტემაში ელემენტთა ალბათობები შეიძლება გრაფიკულად ასე წარმოვადგინოთ:



შემოთქმულიდან ჩანს, რომ სისტემაში შეზღუდვების შეტანისას კლებულობს მისი განუზღვრელობა. სრულ სისტემაში ვერ ვიწინასწარმეტყველებთ, თუ რომელი ელემენტია უფრო მოსალოდნელი მოცემულ გარემოცვაში, ე.ი. სისტემის განუზღვრელობა მაქსიმალურია; შეზღუდვები ამცირებს „უცოდინარობას“ გამოსახულებაში ელემენტთა განაწილების შესახებ. ამავე დროს, სრულ სისტემაში გამოსახულებები (შეტყობინებები) ტოლალბათურია, ხოლო შეზღუდვათა შემოტანისას ტოლალბათურობა ირღვევა. უკვე ითქვა, რომ სისტემათა ამ თვისებას უკავშირდება ინფორმაციის საშუალო რაოდენობა, ამიტომ  $H$  სიდიდეს განი-

ხილავენ როგორც *სისტემის განუზღვრელობის ზომას* ანუ *ენტროპიას* (ბერძნ. *en-* „ში“, *tropé* „გადაქცევა“, „მობრუნება“).

შეიძლება დავამყაროთ თანაფარდობა სისტემაში თითოეული შეტყობინების ინფორმაციის საშუალო რაოდენობასა და თეორიულად შესაძლებელ მაქსიმალურ რაოდენობას შორის (იგი ალბათობათა გათანაბრების შემთხვევაში გვექნება. როგორც ვნახეთ, სრულ სისტემაში ხდომილებები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია და ალბათობები ტოლია). გამოსახულებას  $H_0 : H_{max}$ , სადაც  $H_0$  მოცემული სისტემის ენტროპიას აღნიშნავს, ეწოდება *ფარდობითი ენტროპია*. მისი მაქსიმალური მნიშვნელობა გვაქვს სრულ სისტემაში:  $H_0 = H_{max}$  და  $H_0 : H_{max} = 1$ .

საკომუნიკაციო სისტემათა ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია შეფარდება  $(H_{max} - H_0) : H_{max}$  ანუ  $1 - (H_0 : H_{max})$ ; მას სისტემის *სიჭარბე* ეწოდება. ეს მახასიათებელი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბუნებრივ ენებში. ყოველ სისტემას, რომელშიც შეზღუდვებია შეტანილი, აქვს სიჭარბის რაღაც ხარისხი. სრულ სისტემაში სიჭარბე ნულის ტოლია, სისტემა *ჭარბი* არ არის:  $1 - (H_{max} : H_{max}) = 0$ . შეზღუდვათა ზრდა იწვევს სიჭარბის ზრდას.

ბუნებრივ ენებში სიჭარბის ხარისხი საკმაოდ მაღალია (იგი დაახლოებით 50%-ს აღწევს). მაგალითად, განვიხილოთ ასოების განაწილება წერილობით ტექსტში. შეზღუდვები, რომლებიც ამ განაწილებას ედება, განსაზღვრავს ტექსტის სტრუქტურებს (გამოსახულებებს). ქართულ ანბანში 33 ასოა და მათი ყველა კომბინაცია რომ ყოფილიყო გამოყენებული სიტყვებად, რომელთა სიგრძე, დავუშვათ, 2, 3, 4 და 5 ასოს ტოლია, მაშინ მივიღებდით სიტყვათა ძალიან დიდ რაოდენობას ( $33^2 + 33^3 + 33^4 + 33^5$ ). რეალურად ქართულ ენაში გაცილებით ნაკლები სიტყვაა. მათ შესადგენად საგრძნობლად უფრო ღარიბი ანბანი იქნებოდა საკმარისი, ასოების ყველანაირი კომბინაცია რომ გამოგვეყენებინა; მაგრამ მაშინ ნებისმიერი შეცდომა, ანუ გამოსახულებაში ერთი ელემენტის ნაცვლად მეორის ხმარება, გამოიწვევდა შეტყობინების დამახინჯებას, ე.ი. გაუგებრობას. არასრულ სისტემებში, კერძოდ, ბუნებრივ ენებში, ასეთი შეცდომები ჩვეულებრივ ადვილი გასასწორებელია: თუ შეცდომის შედეგად მივიღებთ ელემენტთა ისეთ კომბინაციას, რომელიც დაუშვებელია მოცემულ სისტემაში, მაშინ შესაძლებელი იქნება შეცდომის გასწორება და შეტყობინების აღდგენა.

ვთქვათ, მივიღეთ დებუშა, რომელშიც წერია: *გილიცავთ ახას წელშ*. ჩვენ ადვილად გავასწორებთ ამ ტექსტს, რადგან ქართულში არ არსებობს ასოების ასეთი კომბინაციებით შედგენილი სიტყვები. სრულ სისტემაში ისინიც იარსებებდნენ და გამოგზავნილ შეტყობინებას ვერ აღვადგენდით.

იგივე შეიძლება ითქვას ზეპირი მეტყველების შესახებ. სიჭარბის პირობებში სწრაფი მეტყველება, რომლის დროსაც ბევრი ბგერა არ ისმის ან სათანადოდ არ გამოითქმის, ჩვეულებრივ არ იწვევს გაუგებრობას და ინფორმაციის დაკარგვას. რაც უფრო დაბალია სიჭარბე, მით მეტია კომუნიკაციის დარღვევის, არასწორი გაგების ალბათობა შეცდომით გადაცემული შეტყობინების გამო. ასეთ შემთხვევებში მსმენელი სთხოვს ხოლმე მოლაპარაკეს, უფრო მკაფიოდ გაიმეოროს ნათქვამი, რადგან სწრაფად ან გაურკვევლად ლაპარაკისას ბგერათა ისეთი კომბინაციები შეიძლება გავიგონოთ, რომლებიც სისტემაში არ არსებობს.

ყოველგვარ დაბრკოლებას (შეცდომებს, დამახინჯებას და სხვა), რომლებიც კომუნიკაციის პროცესში ხელს უშლის შეტყობინების სწორად გადაცემას, გაგებინებას, ხმაური ეწოდება.

18.3. ბავისსენოთ ზემოთ (17.3) განხილული რვაელემენტიანი სისტემა, რომლის კოდირება მოვახდინეთ ბინარული კოდით. ეს კოდი სრული სისტემაა, რადგან მასში 1-ებისა და 0-ების ყველანაირი კომბინაციაა გამოყენებული, ე.ი. სიჭარბე ნულის ტოლია. ასე კოდირებულ შეტყობინებათა გადაცემისას ყოველი შეცდომა გამოიწვევს გადასაცემი შეტყობინების დამთხვევას ამავე სისტემაში არსებულ ამა თუ იმ შეტყობინებასთან და მიმღები შეცდომას ვერ აღმოაჩენს — კომუნიკაცია დაირღვევა.

ვთქვათ, ბიტების თითოეულ მიმღევრობას ამ კოდში ერთ ჭარბ ბიტს მივუწერთ, ე.ი. კოდირებას მოვახდენთ ისეთი სისტემით, რომლითაც შეგვეძლო გადაგვეცა არა რვა, არამედ თექვსმეტი შეტყობინება; სისტემა არასრული იქნება. მაგალითად,

- A 1111
- B 1100
- C 1010
- D 1000
- E 0110
- F 0100
- G 0010
- H 0000

ვთქვათ, 1111 (A) მიმღევრობა ხმაურის გამო გაიგზავნა როგორც 1110, ან როგორც 1101. ასეთი გამოსახულებები კოდში არ არსებობს. მიმღები მიხედება, რომ გადაცემის დროს მოხდა შეცდომა, მაგრამ ვერ გაასწორებს მას, ვერ გაიგებს, თუ რომელი გამოსახულების დამახინჯების შედეგია იგი. გადაცემისას შეცდომებისაგან თავის დასაზღვევად სისტემას სიჭარბის უფრო მაღალი ხარისხი უნდა ჰქონდეს, რათა მიმღებმა შეძლოს უშეცდომოდ დეკოდირება. სწორედ ასეთი მდგომარეობა გვაქვს ბუნებრივ ენებში.

ენის დესკრიფციული შესწავლის ტექნიკა შეტყობინების დეკოდირების, კერძოდ, დეშიფრირების ტექნიკის მსგავსია. დეშიფრირების დროს მოცემულია უცნობი სისტემის ნიშნებით შედგენილი ერთი ან რამდენიმე შეტყობინება და, იშვიათად, გარკვეული ცოდნა ამ შეტყობინებათა მნიშვნელობის შესახებ. ამის საფუძველზე ანალიტიკოსი აღადგენს კოდს — სისტემას, რომელშიც კოდირებული იყო მოცემული შეტყობინება.

---



## ფონეტიკა

### 1. ზოგადი ფონეტიკის საგანი

1.1. ბამოხატულების ფიზიკური ბუნების თვალსაზრისით ნიშნები შეიძლება ორ ძირითად კლასად დაიყოს — ნიშნები დროში და ნიშნები სივრცეში. პირველ კლასს განეკუთვნება, მაგალითად, ბუნებრივი ენის ბგერითი ნიშნები, მუსიკა და სხვა. მეორე კლასისაა წერილობითი ნიშნები, ნახატები, სივრცეში ფიქსირებული სხვა ნიშნები. წიგნის ამ თავში ჩვენ განვიხილავთ *სამეტყველო ბგერებით* გამოხატულ ნიშნებს, რომლებიც დროშია მოცემული. ამჟამად ჩვენი ამოცანაა მათი ფიზიკური ბუნების აღწერა იმის გაუთვალისწინებლად, თუ რა ფუნქციას ასრულებენ ისინი ენაში, რა „ღირებულება“ აქვთ ენობრივ სისტემაში.

ენათმეცნიერების იმ დარგს, რომელიც შეისწავლის ადამიანის ბუნებრივი ენის ნიშანთა ფიზიკურ სუბსტანციას ანუ სამეტყველო ბგერებს, ეწოდება *ფონეტიკა* (ბერძნ. *phōnētikós* „ბგერითი“).

*ზოგადი ფონეტიკის* ამოცანაა იმ სამეტყველო ბგერათა მაქსიმალურად ზუსტი, დეტალური აღწერა, რომლებიც ადამიანის სამეტყველო ორგანოებით წარმოიქმნება; ამ ორგანოებს შეუძლია უამრავი ბგერის წარმოქმნა, რომელთა ფიქსირება ჩამწერზეა დამოკიდებული. ამდენად, მეტყველების უწყვეტ ნაკადში ამა თუ იმ ენის ბგერითი ერთეულების გამოყოფა, ანუ *მეტყველების სეგმენტაცია*, რეალურად არსებული ვითარების ერთგვარ გამარტივებას, სინამდვილესთან გარკვეულ მიახლოებას გულისხმობს.

მეორე მხრივ, სამეტყველო ბგერათა ზოგადი ფონეტიკური აღწერის დროს არ უნდა შემოვიფარგლოთ ისეთი ბგერების დახასიათებით, რომლებიც წარმოდგენილია მხოლოდ გარკვეული ჯგუფის ენებში, არ უნდა უგულებელვყოთ ის ბგერები, რომლებიც მეტად იშვიათად გვხვდება. ზოგადი ფონეტიკის ამოცანაა, დაახასიათოს ყველა ის ბგერა, რომელთა წარმოქმნა შეუძლია ადამიანის სამეტყველო აპარატს, და აღწეროს ისეთი ბგერითი ერთეულებიც, რომლებიც რეალურად შეიძლება არც კი იყოს დადასტურებული აქამდე ცნობილ ენებში. ფონეტიკოსს უნდა მოეპოვებოდეს საშუალებები სამეტყველო ბგერების შექმნის დაგვარად ზუსტი დახასიათებისა და კლასიფიკაციისათვის; მისთვის მოულოდნელი არ უნდა იყოს რომელიმე ენაში ახალი, მანამდე უცნობი ბგერის აღმოჩენა.

## 2. სამეტყველო ბგერათა კლასიფიკაციის პრინციპები

2.1. მნის მეცნიერული ანალიზის პირველი და აუცილებელი ეტაპია მეტყველების უწყვეტი ბგერითი ნაკადის დანაწევრება, მასში ცალკეულ ბგერათა გამოყოფა და მათი კლასიფიკაცია. მეტყველების ნაკადის სეგმენტაცია შეუძლებელია ადამიანის სამეტყველო ბგერათა ზოგადი დახასიათებისა და იმ მექანიზმების ცოდნის გარეშე, რომელთა მეშვეობითაც წარმოიქმნება ეს ბგერები.

სამეტყველო ბგერა არის ფიზიკური მოვლენა, რომლის შესწავლა შეიძლება ძირითადად სამი თვალსაზრისით: 1. ფიზიოლოგიურად, ანუ იმ სამეტყველო ორგანოების მიხედვით, რომელთა მოქმედების შედეგადაც წარმოიქმნება მოცემული ბგერა; 2. აკუსტიკურად (ბერძნ. *akustikós* „სმენითი“), ანუ ბგერის ფიზიკური თვისებების მიხედვით: სამეტყველო ორგანოების გარკვეული მოქმედება წარმოქმნის ჰაერის ნაწილაკების რხევებს პირისა და ცხვირის ღრუში; ეს რხევები ვრცელდება ტალღების სახით და მსმენელის სასმენ აპკს გადაეცემა; 3. სმენითი შთაბეჭდილების, პერცეფციის (ლათ. *perceptio* „აღქმა“) მიხედვით: ბგერითი ტალღები იწვევენ მსმენელის სასმენი აპკის რხევას, ეს რხევა აღიზიანებს სასმენ ნერვს, რომელიც გაღიზიანებას გადასცემს თავის ტვინის გარკვეულ ცენტრს, რის შედეგადაც ხდება ბგერის აღქმა. ბგერათა შესწავლის ეს სამი თვალსაზრისი შეიძლება საფუძვლად დაედოს მათ აღწერა-კლასიფიკაციას.

2.2. ქვემოთ, ორ სპეციალურ ქვეთავში, დეტალურად აღვწერთ ბგერათა შესაბამისად ფიზიოლოგიურ და ფიზიკურ მახასიათებლებს მათი პერცეფციული ეკვივალენტების ჩვენებით, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ბგერის არტიკულატორულ-აკუსტიკურ თავისებურებებთან.

## არტიკულაციური ფონეტიკა

### 3. სამეტყველო ორგანოები და მათი მოქმედება

3.1. ბგერათა პრაქტიკული დახასიათებისათვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რომელი სამეტყველო ორგანოებით წარმოიქმნებიან ისინი. აქ ზოგადად აღვწერთ ამ ორგანოთა ტიპებსა და მათ მოქმედებას.

სამეტყველო ბგერათა წარმოქმნა არ ყოფილა ამ ორგანოთა პირვანდელი ბიოლოგიური ფუნქცია. თავდაპირველად მათ ფიზიოლოგიური,

სასიცოცხლო (სუნთქვის, ჭამის) დანიშნულება ჰქონდათ. ჩვენთვის საინტერესო სამეტყველო ფუნქცია ამ ორგანოებისათვის ისტორიულად უფრო გვიანდელია.

სამეტყველო ორგანოები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად — არტიკულატორებად ანუ აქტიურ, მოძრავ ორგანოებად, და არტიკულაციის წერტილებად ანუ პასიურ, უძრავ ორგანოებად. არტიკულატორები უახლოვდებიან ან ეხებიან არტიკულაციის წერტილებს. მაგალითად, ენის წვერი არტიკულატორია, რადგან მას შეუძლია პირის ღრუში სხვადასხვა მხარეს იმოძრაოს და ეს მოძრაობა არსებითია ბგერათა წარმოქმნისათვის. წინა ზედა კბილები არტიკულაციის წერტილია, მათ ენის წვერი ეხება სხვადასხვა ბგერის წარმოსაქმნელად.

ერთი და იმავე ორგანოებით წარმოქმნილ ბგერებს ჰომორგანული ბგერები ეწოდება, სხვადასხვა ორგანოებით წარმოქმნილებს კი — ჰეტერორგანული ბგერები.


3.2. სამეტყველო ორგანოების აღწერა გულისხმობს არტიკულატორების ჩამოთვლას მათთვის დამახასიათებელი მოძრაობების აღნიშვნითა და სათანადო არტიკულაციის წერტილების განხილვით (იხ. სქემა).

1. ქვედა ბაგე (არტიკულატორი) შეიძლება შეეხოს ზედა ბაგეს და გამოიწვიოს პირის ღრუს დახშვა ამ წერტილში (მაგალითად, ქართ. ფ, პ, ბ, მ); იგი შეიძლება მხოლოდ მიუახლოვდეს ზედა ბაგეს (როგორც არტიკულაციის წერტილს) და შექმნას ვიწრო ნაპრალი (მაგალითად, ესპ. albar „თეთრი“). ასეთ ნაპრალს შეიძლება მიეცეს მომრგვალებული ფორმა ბაგეების ოდნავ წინ წამოწევით (მაგალითად, ქართ. უ, ინგლ. well „კარგად“). ქვედა ბაგე შეიძლება მიუახლოვდეს წინა ზედა კბილებს და შექმნას ვიწრო ნაპრალი (მაგალითად, ქართ. გ, რუს. фOH „ფონი“, ინგლ. very „ძალიან“, fat „მსუქანი“).

ბგერებს, რომლებიც იწარმოება ქვედა ბაგით როგორც არტიკულატორით, ეწოდება ბაგისმიერი ანუ ლაბიალური (ლათ. labiales) ბგერები. ეს ბგერები წყვილბაგისმიერია ანუ ბილაბიალური (ლათ. bi(s)- „ორ-“) — როდესაც არტიკულაციის წერტილია ზედა ბაგე; ან კბილბაგისმიერი ანუ დენტოლაბიალური (ლათ. dentalis „კბილისმიერი“), იგივე ლაბიოდენტალური — როდესაც არტიკულაციის წერტილია წინა ზედა კბილები;

2. ენა სამეტყველო ორგანოთა შორის ყველაზე უფრო მოძრავი არტიკულატორია, იგი მონაწილეობს თითქმის ყველა ბგერის წარმოქმნაში. ენის წინა ნაწილი — წინა ენა — უფრო მოძრავია, ვიდრე მისი უკანა ნაწილი — უკანა ენა, რომელიც მიმაგრებულია ქვედა ყბისა და ენისქვეშა

ძვლებზე. ენა იმდენად აქტიური ორგანოა, რომ მისი ნაწილები შეიძლება განვიხილოთ როგორც ცალკეული არტიკულატორები:




- nasal cavity - ცხვირის ღრუ
- alveolar ridge - ნუნა
- lips - ბაგეები (ზედა და ქვედა)
- teeth - კბილები
- dome (hard palate) - მაგარი სასა
- velum (velum palati) - რბილი სასა
- uvula - ნაქი
- tongue - ენა
- tip - ენის წვერი (apex)
- blade (front) - წინა ენა
- center (mid) - შუა ენა
- dorsum - უკანა ენა
- root - ენის ძირი
- epiglottis - ხორხსარქველი
- pharynx - ხახა
- vocal cords - სახმო სიმები
- larynx (glottis) - ხორხი
- esophagus - საყლაპავი

ენის წვერი ანუ აპექსი (ლათ. apex „წვერი“, „კენწერო“) ყველაზე უფრო ელასტიური არტიკულატორია. ის შეიძლება შეეხოს ზედა კბილებს და გამოიწვიოს სრული ხშვა (მაგალითად, ქართ. თ, ტ, დ, ნ; რუს. дом „სახლი“, нет „არა“, ფრ. tout „ყველაფერი“, doux „ტკბილი“). ენის წვერი შეიძლება შეეხოს ზედა კბილების ნუნებს (მაგალითად, ინგლ. tell „თქმა“, do „გაკეთება“, new „ახალი“). უფრო მაღლა აწევისას აპექსი შეიძლება შეეხოს მაგარ სასას (მაგალითად, ამერ. ინგლ. harder „უფრო მძიმე“). ენის წვერი შეიძლება მიუახლოვდეს ამავე წერტილს და შექმნას გასწვრივი ნაპრალი, ან გამოშვერილი იყოს კბილებს შორის (მაგალითად, ინგლ. thin „თხელი“, then „მაშინ“). ამავე საარტიკულაციო წერტილში შეიძლება შექმნას მომრგვალებული ნაპრალი (მაგა-

ლითად, ქართ. ს, ზ). ენის წვერით ხშვა შეიძლება მოხდეს პირის ღრუს გასწვრივ ისე, რომ ჰაერნაკადი გაივლოს ენასა და ლოყებს შორის (მაგალითად, ქართ. ლ, რუს. ЛЕС „ტყე“, ЛУЧ „სხივი“). ჰაერნაკადმა შეიძლება აათრთოლოს ზედა კბილების ან ნუნების მიმართ ოდნავ აწნეპილი აპექსი (მაგალითად, ქართ. რ, რუს. РЫБА „ხელი“, გერმ. ROT „წითელი“). ენის წვერით წარმოქმნილ ბგერებს *აპიკალური* (ლათ. *apicales*) ბგერები ეწოდება. არტიკულაციის წერტილების გათვალისწინებით ისინი შეიძლება იყოს *დენტალური* ანუ *კბილისმიერი*, კერძოდ, *ინტერდენტალური* (ლათ. *inter* „შორის“, *dentalis* „კბილისმიერი“) — წარმოქმნილი ზედა კბილებთან ან ზედა და ქვედა კბილებს შორის; *პოსტდენტალური* (ლათ. *postdentales*; *post* „შემდეგ“) — ზედა კბილების შიდა მხარესთან წარმოქმნილი; *ნუნისმიერი* ანუ *ალვეოლარული* (ლათ. *alveoli* „ნუნები“); *კაკუმიანალური* (ლათ. *cacumen* „მწვერვალი“) ანუ *ცერებრალური* (ლათ. *cerebrum* „ცვინი“);

3. *სამეტყველო ორგანოთა ინდიფერენტული მდგომარეობის* დროს (ე.ი. არტიკულაციის დაწყებამდე) ენის უფრო მოძრავი ნაწილი — *წინა ენა* — მდებარეობს მაგარი (უძრავი) სასის პირდაპირ, ე.ი. პირის ღრუს იმ ნაწილის პირდაპირ, რომელიც მოთავსებულია ნუნების უკან. წინა ენა უფრო ხშირად სწორედ მაგარი სასის მიმართ მოძრაობს — უახლოვდება ან ეხება მას. მაგარ სასასთან, როგორც არტიკულაციის წერტილთან, შესაძლებელია ენით სრული ხშვა (მაგალითად, ფრ. *agneau* „კრაგი“, იტალ. *ogni* „ყოველი“) ან მომრგვალებული ნაპრალის შექმნა (მაგალითად, ქართ. შ, ჟ). ხშვისას პირის ღრუს ორივე მხარეს შეიძლება დარჩეს ნაპრალი (მაგალითად, იტალ. *egli* „ოგი“, *doglia* „ტანჯვა“, „ტკივილი“). ენის წინა ნაწილით წარმოქმნილ ბგერებს *წინაენისმიერი* (ლათ. *praelinguales*) ანუ *ფრონტალური* (ფრ. *frontales*, ლათ. *frōns* „წინა მხარე“) ბგერები ეწოდება, ხოლო არტიკულაციის წერტილის გათვალისწინებით — *მაგარი სასისმიერი* ანუ *პალატალური* (ლათ. *palatum* „სასა“) ბგერები იმის მიხედვით, თუ მაგარი სასის რომელ ნაწილში იწარმოება ბგერა, ოგი შეიძლება იყოს *პრეპალატალური* (ლათ. *prae* „წინა“), *მედიოპალატალური* (ლათ. *medio-* „შუა“) ან *პოსტპალატალური* (ლათ. *post* „შემდეგ“, „უკანა“). წინა ენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა პირის ღრუს ფორმის ცვლა ხმოვანთა არტიკულაციის დროს;

4. *უკანა ენა* (ლათ. *dorsum* „ზურგი“) — სამეტყველო ორგანოთა ინდიფერენტული მდგომარეობის დროს ენის ნაკლებ მოძრავი ნაწილი — მოთავსებულია *რბილი (მოძრავი) სასის* პირდაპირ. რბილი სასა მდებარეობს მაგარ სასასა და *ნაწს* ანუ *უვულას* (ლათ. *uvula*) შორის. რბილ სასას უწოდებენ აგრეთვე *სასის ფარდას* (ლათ. *velum palati*; *velum* „აფრა“, „ფარდა“). უკანა ენა შეიძლება შეეხოს რბილ სასას და წარ-




1. წყვილბაგისმიერი (ბილაბო-ალური).
2. კბილბაგისმიერი (ლაბიოდენტალური).
3. კბილისმიერი (დენტალური და ინტერდენტალური).
4. ნუნისმიერი (ალვეოლარული).
5. ნუნა-სასისმიერი (პოსტალვეოლარული).
6. მაგარი სასისმიერი (პალატალური).
7. რბილი სასისმიერი (ველარული).
8. ნაქისმიერი (უველარული).
9. ხახისმიერი (ფარინგალური).
10. ხორხისმიერი (ლარინგალური ანუ გლოტალური).

მოქმნას ხშვა (მაგალითად, ქართ. კ, გ, ქ; ინგლ. good „კარგი“, cat „კატა“). რბილი სასის სხვადასხვა წერტილში უკანა ენით შეიძლება შეიქმნას გასწვრივი ნაპრალი (მაგალითად, ქართ. ხ, ღ; გერმ. Bach „წყარო“, ფრ. rouge „წითელი“ — პარიზულ წარმოთქმაში). ენის უკანა ნაწილის აწევას ჰაერნაკადმა შეიძლება ათროთლოს ნაქი — წარმოიქმნება *ნაქისმიერი* ანუ *უველარული ბგერები* (ლათ. *uvulares*) (მაგალითად, ფრ. rouge „წითელი“ — პროვანსულ დიალექტში). ენის ზურგით (უკანა ენით) წარმოიქმნილ ბგერებს უკანაენისმიერი ანუ *დორსალური* (ლათ. *dorsales*), აგრეთვე *გუტურალური ბგერები* (ლათ. *gutturales*; *guttur* „ხახა“, „ყელი“) ეწოდება, ხოლო არტიკულაციის წერტილის გათვალისწინებით — *ველარული ბგერები* (ლათ. *velares*). რბილი სასის სხვადასხვა ნაწილის მიხედვით განარჩევენ *პრეველარულ*, *მედიოველარულ* და *პოსტველარულ ბგერებს*. ხმოვანთა არტიკულაციის დროს პირის ღრუს ფორმას ენის ზურგიც ცვლის.

როდესაც სასის ფარდა იმდენად არის აწეული, რომ ცხვირის ღრუ დახშულია და ჰაერნაკადი მხოლოდ პირის ღრუში მიედინება, წარმოიქმნება *პირისმიერი* ანუ *ორალური ბგერები* (ლათ. *orales*). თუ სასის ფარდა დაშვებულია, ჰაერნაკადის ნაწილს საშუალება ეძლევა გაიაროს ცხვირის ღრუში. ასე წარმოიქმნება *ნაზალური ბგერები*.

5. როდესაც *ენის ძირი* მოქმედებს *ხახის* ანუ *ფარინქსის* (ლათ. *pharynx*) კედლის მიმართ, წარმოიქმნება *ხახისმიერი* ანუ *ფარინგალური ბგერები* (ლათ. *pharyngales*). ხახის უკანა კედელთან ენის ძირის შეხებისას სრული ხშვა არ ხდება; ენის ძირი საკმაოდ უახლოვდება ხახის უკანა კედელს, ან თვით ხახის კედელი იკუმშება და რჩება ვიწრო ნაპრალი (მაგალითად, ქართ. ყ, ძვ. ქართ. ჳ);

6. ფილტვებიდან ამომდინარე ჰაერნაკადი გაივლის *ხორხს* ანუ *ლარინქსს* (ლათ. *larynx*), რომლის შიგნით მდებარეობს ელასტიკური ბოჭკოვანი კუნთები — *სახმო სიმები* ანუ *მბვერი იოგები*. ჩვეულებრივი სუნთქვის, *რესპირაციის* (ლათ. *respiratio* „სუნთქვა“) დროს სახმო სიმები მოდუნებულია და დაცილებულია ერთმანეთს ისე, რომ ჰაერნაკადი თითქმის შეუფერხებლად ამოედინება მათ შორის. როდესაც სახმო სიმები უახლოვდება ერთმანეთს და ქმნის ნაპრალებს, წარმოიქმნება *ხორხისმიერი* ანუ *ლარინგალური* (ლათ. *larynx* „ხორხი“, *laryngales* „ხორხისმიერი“) ნაპრალოვანი ბგერები (მაგალითად, ქართ. ჰ). სახმო სიმების სრული ხშვა-სკდომით მიიღება *ლარინგალური ხშულ-მსკდომი* ბგერა (მაგალითად, ე.წ. მაგარი შემართვა, *Knacklaut* გერმანულში, მაგალითად, 'aber „მაგრამ“, 'anders „სხვაგვარად“ და სხვ.).




სახმო სიმების მდგომარეობა:  
 ა) მჟღერი თანხმოვნის არტიკულაციისას;  
 ბ) ყრუ თანხმოვნის არტიკულაციისას

თუ ფილტვებიდან ამომდინარე ჰაერნაკადი აათრთოლებს ერთმანეთთან მიახლოებულ სახმო სიმებს, მიიღება ტონი. სახმო სიმების ვიბრაციის, როგორც ბგერის წარმოქმნის თანხმლები თვისების, ქონა-არქონის მიხედვით განიხილება *მჟღერი* და *ყრუ* ბგერები (მაგალითად, ქართ. ბ, დ, გ, ზ, უ, ლ მჟღერი ბგერებია; შესაბამისი ყრუ ბგერებია ფ, თ, ქ, ს, შ, ხ). სახმო სიმების ვიბრაცია შეიძლება თან სდევდეს ყოველი ბგერის არტიკულაციას, ლარინგალური ხშულის არტიკულაციის გარდა.

ყრუ თანხმოვნების წარმოქმნისას ჰაერნაკადი ამოედინება ერთმანეთს დაცილებულ მოდუნებულ სახმო სიმებს შორის (გლოტალური სპირანტიებიც შეიძლება იყოს მჟღერი და ყრუ). ხმოვნები, როგორც წესი, მჟღე-

რი ბგერებია, თუმცა ზოგ ენაში ყრუ ხმოვნებიც დასტურდება (ამაზე — ქვემოთ).

თუ სახმო სიმები უფრო ფართო ნაპრალს ქმნიან, ვიდრე ეს საჭიროა მჟღერი ბგერის წარმოსაქმნელად, ისინი ოდნავ ათრთოლდება, მაგრამ ჰაერნაკადი შედარებით თავისუფლად გაივლის მათ შორის, რაც ბგერის „ოდნავ მჟღერობას“ იწვევს. ასეთი „სანახევრო მჟღერობა“ გვაქვს ხმადაბლა ლაპარაკის დროს. ჩურჩულის დროს სახმო სიმების მდგომარეობა ისეთივეა, როგორიც ნორმალური ლაპარაკის დროს, მაგრამ ისინი იმდენად დაჭიმულია, რომ ჰაერნაკადი მათ ვერ ათრთოლებს, რის გამოც მჟღერობა იკარგება.



▲  
სახმო სიმების ოთხი მდგომარეობა

ამგვარად, სახმო სიმების მოქმედება თანმხლები არტიკულაციაა მჟღერ ბგერათა წარმოქმნისას, ეს არის ხორხში მათი სახეცვლილება, მოდიფიკაცია; ლარინგალური ბგერების არტიკულაციის დროს კი სახმო სიმები ძირითად არტიკულატორს წარმოადგენს.

იმ სამეტყველო ორგანოებს, რომლებიც ხორხის ზემოთ, ხახა-ცხვირ-პირის ღრუებშია მოთავსებული, *სუპრაგლოტალური* (ლათ. *suprà* „ზემოთ, ზემოდან“) *ორგანოები* ეწოდება.


#### 4. სამეტყველო ბგერათა რაგვარობა

4.1. ბანგინილოთ სამეტყველო ბგერები მათი წარმოქმნის, *არტიკულაციის* (ლათ. *articulatio* < *articulō* „ვანაწევრებ“, „გამოკვეთილად წარმოვთქვამ“) მიხედვით, ე.ი. დავახასიათოთ *არტიკულაციური* (*არტიკულატორული*) *ფონეტიკის* ტერმინებით.

ადამიანის სამეტყველო მექანიზმი შეიძლება შევადაროთ სასულე ინსტრუმენტს (მაგალითად, სალაპურს, კლარნეტს), რომელშიც მუსიკალური ბგერები წარმოიქმნება ჰაერნაკადის შეფერხებითა და ცვლილებით იმ ღრუებში, სადაც იგი მიედინება. საფონაციო (ბგერათწარმომქმნელი) ჰაერნაკადი, ჩვეულებრივ, ამოიდევნება ფილტვებიდან დიაფრაგმის მეშვეობით და გაივლის სასუნთქ მილს. ამოსუნთქული ჰაერნაკადი *ხორხში* (ლათ. *larynx*), *ხახაში* (ლათ. *pharynx*), *პირისა* და/ან *ცხვირის ღრუებში* გარკვეულ ცვლილებებს განიცდის; ჰაერნაკადს შეიძლება შეხვდეს დაბრკოლება სხვადასხვა წერტილში, ღრუთა ფორმაც შეიძლება სხვა-



დასხვაგვარად შეიცვალოს. ძირითადად ასე წარმოიქმნება ყველა სამეტყველო ბგერა.



▲  
ადამიანის სამეტყველო აპარატი


nasal tract — ცხვირის ღრუ  
oral tract — პირის ღრუ  
larynx — ხორხი

4.2. ზოგ შემთხვევაში ბგერათა წარმოქმნა ხდება ჰაერის არა ამოსუნთქვით, ექსპირაციით (ლათ. *expiratio*), არამედ შესუნთქვით, ინსპირაციით (ლათ. *inspiratio*). იმის მიხედვით, თუ როგორ გაივლის ამოსუნთქული ჰაერნაკადი გზას ფილტვებიდან ბაგეებამდე ან ცხვირის ნესტოებამდე, გამოიყოფა ბგერათა არტიკულაციის შემდეგი ტიპები:

1. საარტიკულაციო ორგანოების ხშვის, ჩაკეტვის შედეგად შესადგამი მილის (ე.ი. ხახა-ცხვირ-პირის ღრუების) ერთ-ერთ წერტილში ჰაერნაკადი სრულ დაბრკოლებას აწყდება, რასაც ჩვეულებრივ განხშვა, სკდომა მოსდევს. ასე წარმოიქმნილ ბგერებს ხშულები ანუ ხშულ-მსკდომები (ლათ. *occlusivae*) ეწოდება (მაგალითად, ქართული ბ, დ, გ; პ, ტ, კ; ფ, თ, ქ).

2. შესადგამი მილის ერთ-ერთ წერტილში ხდება არა სრული ხშვა, არამედ საარტიკულაციო ორგანოების ერთმანეთთან ძლიერი მიახლოება. მათ შორის რჩება სხვადასხვა ფორმის ნაპრალი, საიდანაც ჰაერნაკადი გამოედინება. ასე წარმოიქმნება ნაპრალოვანი ბგერები, სპირანტები (ლათ. *spirans* „ამომსუნთქველი“) ანუ ფრიკატივები (ლათ. *fricatio* „ხახუნი“). ამ ბგერებს ზოგჯერ გაელოთ ბგერებსაც (ლათ. *rimales*) უწოდებენ. ნაპრალოვნები შეიძლება წარმოვთქვათ დაყოვნებით, გაგრძელებ-

ბით, რაც მათ არსებითად განასხვავებს ხშულებისაგან (ნაპრალოგნებია, მაგალითად, ქართული ს, ზ; შ, ყ; ხ, ღ).



3. პირის ღრუ დახშულია ენით, ჰაერნაკადი გამოედინება ღრუს ერთ-ერთ მხარეს ან ერთდროულად ორივე მხარეს — ენის გვერდებსა და ლოყების კედლებს შორის შექმნილ ნაპრაალში. ასეთ ბგერებს *გვერდითი ბგერები* ანუ *ლატერალები* (ლათ. *laterales*) ეწოდება (მაგალითად, ქართული ღ).

4. ჰაერნაკადი იწვევს ერთ-ერთი მოძრავი სამეტყველო ორგანოს თრთოლას, ვიბრაციას. ასე წარმოქმნილ ბგერებს *მთრთოლი ბგერები* ანუ *ვიბრანტები* (ლათ. *vibrans* „მთრთოლი“) ეწოდება (მაგალითად, ქართული რ).

5. რბილი სასა დაშვებულია, ჰაერნაკადი ნაწილობრივ გაივლის პირის ღრუში, ნაწილობრივ კი — ცხვირის ღრუში. ასეთ ბგერებს *ცხვირისმიერი ბგერები* ანუ *ნაზალები* (ლათ. *nasales*) ეწოდება (მაგალითად, ქართული მ, ნ).

6. ჰაერნაკადი დაუბრკოლებლად ამოედინება ფილტვებიდან და გაივლის პირისა და ცხვირის ღრუებს; პირის ღრუს ფორმა იცვლება ენისა და ბაგეების სხვადასხვაგვარი მოძრაობის შესაბამისად. ასე წარმოქმნილ ბგერებს *ხმოვნები* ანუ *ვოკაიდები, ვოკალები* (ლათ. *vocales*) ეწოდება (მაგალითად, ქართული ა, ე, ო, ო, უ). დანარჩენი ტიპის ბგერები *თანხმოვნებია* ანუ *კონტოიდები, კონსონანტები* (ლათ. *consonantes*).

ჩვენ გამოვყავით საწარმოთქმო დაბრკოლებათა ტიპები, რაც ბგერებს ახასიათებს *რაგვარობის* მიხედვით. ერთნაირი რაგვარობის მქონე ბგერებს *ჰომოგენური ბგერები* ეწოდება, ხოლო სხვადასხვა რაგვარობის ბგერები ერთმანეთის მიმართ *ჰეტეროგენულია*.

## 5. საარტიკულაციო ბაზისი

5.1. რომელიმე ორი ენა (მაგალითად, ქართული და რუსული, ქართული და ინგლისური, გერმანული და ფრანგული და სხვ.) მეტ-ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისაგან სამეტყველო ორგანოების ინდიფერენტული მდგომარეობით, რომელიც უშუალოდ წინ უძღვის ბგერათა წარმოთქმას — სამეტყველო ორგანოების აქტივიზაციას. ეს არის ამ ენათა *საარტიკულაციო ბაზისი*, რომელიც სპეციფიკურია თითოეული ენისათვის და რომელიც თავს იჩენს, მაგალითად, უცხოურ ენაზე მოლაპარაკის „აქცენტში“, როდესაც ის ამ ენის ბგერათა სწორ წარმოთქმას დაუფლებული არ არის: უცხოური ენის ბგერათა წარმოთქმას ის იყენებს თავისი მშობლიური ენის საარტიკულაციო ბაზისს. უცხოური ენის წარმოთქმის დაუფლება გულისხმობს სწორედ ამ ენის საარტიკულაციო ბაზისის ათვისებას.

საარტიკულაციო ბაზისის დახასიათება შეიძლება აგრეთვე საწარმოთქმო ჩვევების მიხედვით; მაგალითად, ინგლისურად სწორად წარმოთქმელს ქვედა ყბა ოდნავ წინ აქვს წამოწეული, ენა — უკან და მოდუნებული; ფრანგულად წარმოთქმელს კი — პირიქით: ქვედა ყბა ოდნავ უკან, ხოლო ენა — წინ და დაჭიმული. ამდენად, კონკრეტული ენის საარტიკულაციო ბაზისი არის საწარმოთქმო ჩვევების ერთობლიობა, შემუშავებული ამ ენის განვითარების მანძილზე და მასში ტრადიციით დამკვიდრებული; იგი არის საწარმოთქმო ორგანოების *აქტივიზირებული ინდიფერენტული მდგომარეობა (ვიორგი ახელედანი)*.

## 6. ბგერათა სიმბოლური ჩაწერა

6.1. სანამ ცალკეულ ბგერათა კლასიფიკაციაზე გადავიდოდეთ, დახასიათებული ბგერების ჩასაწერად აუცილებელია გარკვეული სიმბოლოების შემოღება. სხვადასხვა ანბანის, მაგალითად, ქართული, რუსული ან ლათინური ანბანის მარტივი სიმბოლოები არ იქნება ამისათვის საკმარისი, რადგანაც ადამიანის სამეტყველო ორგანოებით წარმოქმნილ ბგერათა რაოდენობა საგრძნობლად აღემატება ნებისმიერი ანბანის სიმბოლოთა რაოდენობას. შემთხვევითი არ არის, რომ ბევრ დამწერლობაში ერთი და იმავე სიმბოლოთი ხშირად სხვადასხვა ბგერას აღნიშნავენ. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ინგლისურში, სადაც, მაგალითად, „ა“ სიმბოლოთი შეიძლება ხუთი სხვადასხვა ხმოვანი იყოს აღნიშნული. ამიტომ ჩვენ გამოვიყენებთ ერთ-ერთი ანბანის — ლათინურის — სიმბოლოებს, შემოვიტანთ ზოგიერთ დამატებით ნიშანს (მაგალითად, γ, ζ, ρ და სხვ.) და მო-

ვასდენტ არსებულ სიმბოლოთა მოდიფიკაციას; გარდა ამისა, მარტივ სიმბოლოებს მიეწეროთ დანართ პირობით ელემენტებს — დიაკრიტიკულ (ბერძნ. *diakritikós* „განმასხვავებელი“) ნიშნებს (მაგალითად, ρ', ϛ, ὀ და სხვ.).

იმისათვის, რომ განვასხვაოთ ლათინური ანბანის სიმბოლო ფონეტიკური აღნიშვნისაგან, ამ უკანასკნელს ჩავსვამთ კვადრატულ ფრჩხილებში. ასე, მაგალითად, α სიმბოლო არის ლათინური ანბანის ასო-ნიშანი (რომელიც, მაგალითად, ინგლისურ დამწერლობაში, როგორც ითქვამს, ხუთ სხვადასხვა ბგერას გამოხატავს), ხოლო [a] არის ფონეტიკური სიმბოლო, რომელიც გამოხატავს ერთადერთ ხმოვანს. მაშასადამე, ანბანის ასო და ფონეტიკური სიმბოლო სხვადასხვა ნიშანია, ისინი ფუნქციით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ყოველი ფონეტიკური სიმბოლოსათვის უნდა განვსაზღვროთ, თუ რა თვისებების მქონე ბგერას აღნიშნავს იგი, ხოლო იმას, თუ რომელ სიმბოლოს ავირჩევთ კონკრეტული ბგერის აღსანიშნავად, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ეს შეთანხმების საფუძველზე ხდება. საერთაშორისო ფონეტიკური ტრანსკრიფცია ლათინურ ანბანს ემყარება და ამიტომ აქაც ამ ანბანს გამოვიყენებთ. მთავარია, ბგერათა დახასიათება თანმიმდევრულად იქნეს ჩატარებული და თითოეული ბგერისათვის გამოვიყენოთ ერთი კონკრეტული სიმბოლო; ეს შეიძლება სულაც არ იყოს რომელიმე ანბანის ასო, არამედ იყოს, მაგალითად, ციფრი. ბგერათა აღნიშვნა ანბანის ასოებით მიღებული ტრადიციისა და ჩვენც ამ ტრადიციას გავყვებით.

გამონათქვამების ფონეტიკური ჩაწერა ანუ *ფონეტიკური ტრანსკრიფცია* (ლათ. *transcriptio* „გადაწერა“) გულისხმობს ყველა იმ ბგერითი თავისებურების დაწვრილებით აღნუსხვას, რომლებიც ჩამწერმა შეიძლება გაიგონოს და გაარჩიოს მეტყველების ნაკადში. რაც უფრო გამოცდილია ფონეტიკოსი, მით უფრო ზუსტად, დეტალურად დააფიქსირებს იგი იმ მრავალრიცხოვან თავისებურებებს, რომლებითაც ხასიათდება ბგერები მეტყველების უწყვეტ ნაკადში. მაგრამ ბგერითი ერთეულების უზუსტესი, ძალიან დაწვრილებითი ჩანაწერებიც კი ვერ ჩაითვლება ამა თუ იმ ენაში რეალურად არსებული ბგერების თავისებურებათა უტყუარ ანასახად, რადგან მეტყველებაში ბგერებს უამრავი ელფერი აქვთ. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირის მიერ წარმოთქმული ბგერები თავისებურია, ამიტომ მათ შორის არსებული ყველა განსხვავების აღნუსხვა და ჩაწერა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამასთანავე, ადამიანს შეუძლია გაიგონოს, გაარჩიოს ბგერებს შორის მხოლოდ ისეთი განსხვავებები, რომლებიც არსებობს მის მშობლიურ ენაში, ან რომლებიც მან ფონეტიკის დახმარებით შეისწავლა. ამიტომ მეტყველების ყოველი ფონეტიკური ჩანაწერის სიზუსტე, ის, თუ რა თავისებურებებია მასში აღნუსხული, დამოკიდებულია ჩამწერის ფონეტიკურ მომზადებაზე, მისი სმენის გაწაფუ-

ლობაზე. ძნელია ორი ისეთი ფონეტიკოსის მოძებნა, რომლებიც უცნობი ენის მეტ-ნაკლებად გრძელ გამონათქვამებს ზუსტად ერთნაირად ჩაიწერენ. ამიტომ ფონეტიკური ჩანაწერი ყოველთვის იმპრესიონისტულია (შთაბეჭდილებას ემყარება); იგი ასახავს მხოლოდ იმას, თუ როგორ გაიგონა ჩამწერმა მოცემული გამონათქვამი, რა ბგერები მოესმა მასში. ფონეტიკური სიმბოლო აღნიშნავს მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ბგერათა რაღაც სიმრავლეს და არა ცალკეულ, ინდივიდუალურ ბგერას.

6.2. ამ წინასწარი შენიშვნების შემდეგ შეიძლება გადავიდეთ ბგერათა ზოგად არტიკულაციურ კლასიფიკაციაზე, რაც გულისხმობს პრაქტიკულად შესაძლებელი ყველა ბგერითი კატეგორიის აღწერასა და დაჯგუფებას გარკვეული ნიშნების მიხედვით მსგავსება-განსხვავების საფუძველზე.

ზემოთ უკვე შევეხეთ ბგერათა ორ დიდ კლასს — ხმოვნებსა და თანხმოვნებს (ხმოვანთა სისტემას *ვოკალიზმი* ეწოდება, თანხმოვანთა სისტემას — *კონსონანტიზმი*). ამ ორ კლასს შორის მკვეთრი ზღვარი არ არსებობს. ზოგიერთი ხმოვნის, მაგალითად, ქართული [ი] ან [უ] ბგერის წარმოქმნას ენა ისე მაღლა აიწევს სასისკენ, რომ მისი კიდევ ოდნავ აწევისას უკვე სპირანტის მისაღებად საჭირო ნაპრალი წარმოიქმნება. ხმოვნებსა და თანხმოვნებს შორის განსხვავება არტიკულატორულად შეიძლება დახასიათდეს როგორც განსხვავება ღიაობის მიხედვით.

## 7. ხმოვანთა არტიკულაციური კლასიფიკაცია

7.1. ხმოვანი ბგერების კლასიფიკაცია შეიძლება მოვახდინოთ სამი ძირითადი ნიშნის მიხედვით. ისინი ქმნიან სამ კონკრეტულ კრიტერიუმს, რომელთა საშუალებითაც ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრება თითოეული ხმოვანი ბგერა. ეს ნიშნებია: ენის ნაწილი, რომელიც მოქმედებს როგორც არტიკულატორი; ენის აწეულობა; ბაგეების მდგომარეობა ხმოვნის არტიკულაციის დროს.

*წინა რიგის* (პალატალური, ფრონტალური) *ხმოვნები* წარმოიქმნება წინა ენის მეტ-ნაკლებად აწევით მაგარი სასის მიმართ.

წინა რიგის დაბალი აწეულობის [a] ხმოვნის წარმოქმნისას ენა მაქსიმალურად დაბალ მდგომარეობაშია და ოდნავ წამოწეულია წინ (რუს. *матъ* „დედა“, ფრ. *patte* „თათი“); წინა რიგის საშუალო აწეულობის [ε] ხმოვანი წარმოიქმნება წინა ენის ოდნავ წინ წამოწევით და ზევით აწევით მაგარი სასის მიმართ (ქართ. ერთი,

რუს. место „ადგილი“, ფრ. t $\acute{e}$ te „თავი“, ინგლ. there „იქ“); წინა რიგის საშუალოზე მაღალი აწეულობის [e] ხმოვანი წარმოიქმნება წინა ენის კიდევ უფრო წინ და ზემოთ აწევით მაგარი სასის მიმართ (ფრ. t $\acute{e}$ t $\acute{e}$  „ზაფხული“, რუს. эти „ესენი“, გერმ. See „ზღვა“); წინა ენის კიდევ უფრო წინ და მაგარი სასის მიმართ კიდევ უფრო მაღლა აწევით წარმოიქმნება წინა რიგის მაღალი აწეულობის [i] ხმოვანი (ქართ. თფთ რუს. пить „სმა“).

ამგვარად, წინა რიგის ხმოვნებში გამოიყოფა აწეულობის ოთხი ხარისხი: დაბალი, საშუალო, საშუალოზე მაღალი და მაღალი ადვილი დასანახავია, რომ ეს ოთხი საფეხური პირობითად არის გამოყოფილი, ისინი „კონტინუუმს“ (უწყვეტი თანმიმდევრობის) ნაწილებია, და შეგვეძლო მათ შორის კიდევ რამდენიმე საფეხური გამოგვეყო, მაგრამ აქ წარმოდგენილი დანაწევრება საკმარის საფუძველს იძლევა ხმოვანთა შემდგომი კლასიფიკაციისათვის.


ენის მოძრაობას მაღალი აწეულობის მდგომარეობიდან დაბალი აწეულობის მდგომარეობისაკენ თან სდევს ხოლმე ქვედა ყბის დაწევა; ამიტომ უფრო მაღალი აწეულობის ხმოვნები ხშირად ხასიათდება როგორც უფრო ვიწრო, ხოლო უფრო დაბალი აწეულობის ხმოვნები — როგორც უფრო ფართო ბგერები, ე.ი. ისინი ერთმანეთისაგან ღიაობის ხარისხით განსხვავდებიან.

ანალოგიურად შეიძლება მოვახდინოთ უკანა რიგის ხმოვნების კლასიფიკაცია — იმის მიხედვით, თუ რამდენად უახლოვდება ენის ზურგი რბილ სასას. უკანა რიგის ხმოვანთა არტიკულაციას, როგორც წესი, თან სდევს ბაგეების მომრგვალება ანუ ლაბიალიზაცია (ეს ტერმინი აღნიშნავს არა ძირითად, არამედ თანმხლებ არტიკულაციას). [a], [ɛ], [e], [i] ხმოვნები ბაგეთა მოუმრგვალებლად წარმოიქმნება, ისინი არალაბიალიზებული ხმოვნებია.

7.2. ჰერ განვიხილოთ უკანა რიგის ლაბიალიზებული ხმოვნები. ესენია:

უკანა რიგის დაბალი აწეულობის ლაბიალიზებული [ɒ] ხმოვანი (ინგლ. not „არ“, dog „ძაღვი“); უკანა რიგის საშუალო აწეულობის ლაბიალიზებული [ɔ] ხმოვანი (ქართ. თხი, რუს. most „ხიდი“); უკანა რიგის საშუალოზე მაღალი აწეულობის ლაბიალიზებული [o] ხმოვანი (ფრ. beau „მშვენიერი“, გერმ. rot „წითელი“); უკანა რიგის მაღალი აწეულობის ლაბიალიზებული [u] ხმოვანი (ქართ. გული, რუს. пуха „ხელი“).

წინა რიგის ხმოვნებსაც შეიძლება ახლდეს ლაბიალიზაცია; წინა ენის აწეულობის ყოველ საფეხურზე შეიძლება მივიღოთ შესაბამისი ლაბიალიზებული ხმოვნები:



▲  
 ხმოვანთა არტიკულაცია ენის აწეულობის მიხედვით

წინა რიგის მაღალი აწეულობის ლაბიალიზებული [ü] ხმოვანი (ფრ. lune „მთვარე“, გერმ. kühl „გრილი“); წინა რიგის საშუალოზე მაღალი აწეულობის ლაბიალიზებული [ö] ხმოვანი (ფრ. peu „ცოტა“, გერმ. böse „ბრაზიანი“); წინა რიგის საშუალო აწეულობის ლაბიალიზებული [ɥ] ხმოვანი (ფრ. peur „შიში“, peuple „ხალხი“). შეიძლება წარმოვიდგინოთ წინა რიგის დაბალი აწეულობის ლაბიალიზებული [ɷ] ხმოვანიც, თუმცა იგი ჩვენთვის ცნობილ არც ერთ ენაში არ დასტურდება.

უკანა რიგის ხმოვნები შეიძლება წარმოითქვას ბაგეების მონაწილეობის გარეშეც. ასეთია, მაგალითად, უკანა რიგის საშუალო აწეულობის არალაბიალიზებული [ɛ] ხმოვანი (ინგლ. cut

„გაჭრა“, რუნ „სირბილი“). თეორიულად დასაშვებია უკანა რიგის სხვა არალაბიალიზებული ხმოვნებიც;

შუა რიგის ხმოვნები წარმოიქმნება შუა ენის მოქმედებით სასის შუა ნაწილის მიმართ (ენისა და სასის ნაწილებად დაყოფა, ცხადია, პირობითია). შუა რიგის მაღალი აწეულობის არალაბიალიზებული ხმოვანი წარმოიქმნება [i] და [i] ხმოვნებს შორის (რუს. ня и „იყო“, თურქ. кarı „კარი“), შუა რიგის მაღალი აწეულობის ლაბიალიზებული ხმოვანი — [ü] და [u] ხმოვნებს შორის (შვედ. hus „სახლი“, ამერ. ინგლ. moon „მთვარე“, shoe „ფეხსაცმელი“), შუა რიგის საშუალო აწეულობის ხმოვანი — [ɛ] და [ɛ̃] ხმოვნებს შორის (ინგლ. bird „ჩიტი“, worm „ჭია“), შუა რიგის დაბალი აწეულობის ხმოვანი — [a] და [ä] ხმოვნებს შორის (ქართ. ათი, რუს. дать „მიცემა“).

ამგვარად, ჩვენ მოვახდინეთ 24 ტიპის ხმოვანთა კლასიფიკაცია. არტიკულატორის მიხედვით გამოიყო სამი რიგი: წინა, შუა და უკანა; ენის აწეულობის მიხედვით — ოთხი საფეხური: დაბალი, საშუალო, საშუალოზე მაღალი და მაღალი ბაგეთა მონაწილეობის მიხედვით — ორი ტიპი: ლაბიალიზებული და არალაბიალიზებული ხმოვანთა უფრო დაწვრილებითი კლასიფიკაცია გვექნება, თუ აწეულობის თითოეულ საფეხურზე კიდევ განვასხვავებთ ვიწრო და ფართო ხმოვნებს: დაბალი აწეულობის ვიწრო ხმოვანი უფრო მაღალი აწეულობისა იქნება, ვიდრე დაბალი აწეულობის ფართო ხმოვანი, ხოლო დაბალი აწეულობის ვიწრო ხმოვანი — უფრო დაბალი აწეულობისა, ვიდრე საშუალო აწეულობის ფართო ხმოვანი და ა.შ. ასეთი კლასიფიკაციის დროს ხმოვანთა რიცხვი 36-ს მიაღწევს. არც ერთ ენაში ყველა ეს ხმოვანი ერთად არ გვხვდება. ზოგი მათგანი საერთოდ არ არის დადასტურებული ამჟამად ცნობილ ენებში, მაგრამ ამ ხმოვანთა წარმოთქმა ფიზიოლოგიურად შესაძლებელია. არ არის გამორიცხული, რომ აქ განხილული თითოეული ხმოვანი დადასტურდეს რომელიმე (ჯერჯერობით უცნობ) ენაში.

შეიძლება წარმოვადგინოთ ხმოვანთა კიდევ უფრო დეტალური კლასიფიკაცია.

ქვემოთ მოყვანილია ტაბულა, რომელშიც წინა რიგის არალაბიალიზებული და უკანა რიგის ლაბიალიზებული ხმოვნები აღნიშნულია ძირითადი სიმბოლოებით (სულ 12 ასეთი სიმბოლოა). წინა რიგის ლაბიალიზებული ხმოვნებისათვის გამოყენებულია შესაბამისი აწეულობის უკანა რიგის ლაბიალიზებულ ხმოვანთა ნიშნები თავზე ორი წერტილით, ხოლო უკანა რიგის არალაბიალიზებული ხმოვნებისათვის — წინა რიგის არალაბიალიზებულ ხმოვანთა ნიშნები — ასევე ორი წერტილით. შუა რიგის ხმოვნები აღნიშნულია ძირითადი სიმბოლოებით, რომლებსაც თავ-



ზე ერთი წერტილი აქვთ; არალაბიალიზებული ხმოვნებისათვის აღებულია წინა რიგის ხმოვანთა სიმბოლოები, ლაბიალიზებული ხმოვნებისათვის - უკანა რიგისა. იმის გამო, რომ ძირითად [i] სიმბოლოს თავზე უკვე აქვს წერტილი, შუა რიგში ეს ნიშანი გადამკვეთი ხაზითაა წარმოდგენილი.

		წინა რიგი		შუა რიგი		უკანა რიგი	
		არალაბიალიზებული	ლაბიალიზებული	არალაბიალიზებული	ლაბიალიზებული	არალაბიალიზებული	ლაბიალიზებული
მაღალი აწეულობის	ვიწრო	i	ü	ɨ	ʊ	ɯ	u
	ფართო	ɪ	ʊ̯	ɨ̯	ʊ̯	ɯ̯	u
საშუალო აწეულობის	ვიწრო	e	ö	ɛ̥	ɔ̥	ɛ̥̯	o
	ფართო	ɛ	ɔ̯	ɛ̯	ɔ̯	ɛ̯̯	ɔ̯
დაბალი აწეულობის	ვიწრო	æ	ɶ	æ̥	ɶ̥	æ̥̯	ɶ̯
	ფართო	a	ɶ̯	ä̯	ɶ̯	ä̯̯	ɶ̯

აქ მოცემული აღნიშვნები საყოველთაოდ მიღებული არ არის, მაგრამ მათ ადვილად შეიძლება შევუსაბამოთ სხვა სისტემის სიმბოლოები. ამჯერად ჩვენს ამოცანას შეადგენდა კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპების დადგენა. სხვა სისტემებში მიღებული აღნიშვნებიდან მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმეს: [y]=[ü], [ʌ]=[ɛ̥], [ɔ]=[ɔ̯], [ə]=[ɛ̥̯], [ø]=[ö̯], [ɑ]=[ä̯] და სხვ.

## 8. „ნახევარხმოვნები“ ანუ აპროქსიმანტები

8.1. სამეტყველო ბგერები ერთმანეთისაგან აკუსტიკურად მეტ-ნაკლები სონორობით (ლათ. sonorus „ხმამაღალი“, „უღერადი“) ანუ ხმიერობით განსხვავდებიან. ბგერის სონორობა უკავშირდება გარკვეულ მანძილზე მის სმენადობას. რაც უფრო ღიაა ბგერა, ე.ი. რაც უფრო დაწვეულია ქვედა ყბა და ენა დაშორებულია სასას, მით უფრო სონორია იგი. ამიტომ დაბალი აწვეულობის ხმოვნებს უფრო მეტი სონორობა ახასიათებთ, ვიდრე მაღალი აწვეულობის ხმოვნებს, ხოლო თანხმოვნებს — ხმოვნებზე ნაკლები. ამგვარად, ბგერათმომდევრობებში მონაცვლეობენ სონორობის მაღალი და დაბალი ხარისხის მქონე ბგერები. იმ ბგერას, რომელიც მიმდევრობაში სონორობის მწვერვალს ქმნის, მარცვლოვანი ანუ სილაბური (ბერძნ. *syllabē* „მარცვალი“) ბგერა ეწოდება. ბგერათა მიმდევრობა (გამონათქვამი) იმდენ მარცვალს შეიცავს, რამდენი მარცვლოვანი ბგერაც არის მასში.

ხმოვანი, რომელსაც ცალკე ან თანხმოვნებთან ერთად წარმოვთქვამთ, ყოველთვის მარცვლოვანია: ორმა ხმოვანმა, როდესაც ისინი მიყოლებით, პაუზის გარეშე წარმოითქმის, შეიძლება შექმნას სონორობის ორი მწვერვალი, ე.ი. ორი მარცვალი (მაგალითად, ქართ. *მხ, ჯუგი*). თუ მწვერვალი ერთია, მაშინ ხმოვანთა მიმდევრობა შეადგენს ერთ მარცვალს, რომელსაც ქმნის უფრო სონორი ხმოვანი; ეს ხმოვანი მარცვლოვანი იქნება, მეორე კი უმარცვლო. მაგალითად, ფრანგულ *pays* [peɪ] „ქვეყანა“ სიტყვაში ორივე ხმოვანი მარცვლოვანია, ინგლისურ *pay* [peɪ] „გადახდა“ სიტყვაში კი, სადაც ხმოვანთა ანალოგიური მიმდევრობაა, მხოლოდ პირველი ხმოვანი ქმნის მარცვალს. მარცვლოვანი და უმარცვლო ხმოვნის კომბინაციას *დიფთონგი* (ბერძნ. *di(s)-* „ორჯერ“, *phthóngos* „ხმა“) ეწოდება. მაგალითად, ინგლისურში [ei], [au] ხმოვანთა კომბინაციები დიფთონგებია, ფრანგულში კი ორმარცვლიან მიმდევრობებს წარმოადგენენ. ზოგიერთ ენაში სამხმოვნიანი და ერთმარცვლიანი კომბინაციები, *ტრიფთონგებიც* არსებობს.

უმარცვლო ხმოვნები შეიძლება დიაკრიტიკული ნიშნით შემდეგნაირად ჩაიწეროს: [i], [ɪ] და სხვ.

ენის აწვეულობის მიხედვით უმარცვლო ხმოვნები, ჩვეულებრივ, უფრო მაღალია, ვიდრე დიფთონგის მარცვლოვანი ელემენტები და სწორედ ეს იწვევს მათ ნაკლებ სონორობას. უფრო დაბალი აწვეულობის ხმოვანს შეიძლება ნაკლები სონორობა ახასიათებდეს, თუ მას მეზობელ ხმოვანთან შედარებით უფრო სუსტი მახვილი აქვს. მაგალითად, ინგლისურ *here* [hiə] „აქ“ სიტყვაში [ə] უმარცვლო ხმოვანია.

უმარცვლო ხმოვანი შეიძლება დახასიათდეს როგორც *ნახევარხმოვანი*.

*ნახევარხმოვანი* ზოგჯერ წინ უსწრებს ხმოვანს. მაგალითად, ინგლისურ *yes* „დიახ“, *you* „თქვენ“, *well* „კარგად“, *wall* „კედელი“ სიტყვებში თავკიდური ბგერები უმარცვლო ხმოვნებია. ეს ბგერები შეიძლება თანხმოვანთა კლასის წევრებადაც მივიჩნიოთ. მაშასადამე, მკვეთრი ზღვარი ხმოვნებსა და თანხმოვნებს შორის არ არსებობს. არტიკულატორულად *ნახევარხმოვნები* შეიძლება დახასიათდეს როგორც ფართო ნაპრალის მქონე სპირანტები ანუ *აპროქსიმანტები* (ლათ. *aproximare* „მიახლოება“).

*ნახევარხმოვნის* წარმოქმნისას ენა არა მარტო უფრო მაღლაა აწეული, ვიდრე მეზობელი ხმოვნის წარმოთქმის დროს, არამედ უფრო წინ ან უფრო უკან არის გადაწეული, ხოლო ბაგეების მდგომარეობა შეიძლება იგივე იყოს ან განსხვავებული. მაგალითად, ინგლისურ სიტყვებში *yes* „დიახ“, *woo* „არშიყობა“ ბაგეთა მდგომარეობა ერთნაირია, *you* „თქვენ“, *well* „კარგად“ სიტყვებში კი განსხვავებული.

არტიკულატორული მახასიათებლების თვალსაზრისით გამოიყოფა *ნახევარხმოვანთა* ოთხი ძირითადი ჯგუფი:

1. [j] - არალაბიალიზებული; ენა უფრო მაღლაა აწეული და უფრო წინ წამოწეული, ვიდრე მეზობელი ხმოვნის წარმოთქმისას;

2. [ɥ] - ლაბიალიზებული; დანარჩენი - იგივე, რაც [j]-ს შემთხვევაში;

3. [ɰ] - არალაბიალიზებული; ენა უფრო მაღლაა აწეული და უფრო უკან გადახრილი, ვიდრე მეზობელი ხმოვნის წარმოთქმისას. [ɰ] უფრო დაბალი აწეულობისაა, ვიდრე [j];

4. [w] - ლაბიალიზებული; დანარჩენი - იგივე, რაც [ɰ]-ს შემთხვევაში. [w] უფრო დაბალი აწეულობისაა, უფრო წინა წარმოებისაა და ნაკლებად ლაბიალიზებულია, ვიდრე [ɥ].

მაგალითები:

[j] - ინგლ. *year* „წელიწადი“, *boy* „ბიჭი“; ფრ. *fier* „ამაყი“;

[ɥ] - ფრ. *huit* „რვა“, *lui* „იგი“;

[ɰ] - ინგლ. *yawn* „მთქნარება“;

[w] - ინგლ. *wet* „სველი“, *how* „როგორ“; ფრ. *oui* „დიახ“; გერმ. *aus* „-დან“.

*ნახევარხმოვანი* შეიძლება იყოს მჟღერი ან ყრუ; მაგალითად, ყრუა [j] - ინგლ. *huge* „უზარმაზარი“, *cute* „საზრიანი“; ყრუა [w] - ინგლ. *why* „რატომ“, *twice* „ორჯერ“ და სხვ.

როგორც ითქვა, ზემოთ წარმოდგენილ კლასიფიკაციაში მოცემული 36 ერთეულით არ ამოიწურება ადამიანის საარტიკულაციო ორგანოებით

ხმოვანთა წარმოქმნის შესაძლებლობები. თითოეულმა ხმოვანმა შეიძლება განიცადოს მოდიფიკაცია, გაიჩინოს დამატებითი ნიშნები.

## 9. კოარტიკულაცია და ხმოვანთა ძირითადი მოდიფიკაციები

9.1. იმ სამეტყველო ორგანოების გარდა, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ბგერათა არტიკულაციაში, ამა თუ იმ ბგერის წარმოქმნისას შეიძლება გვექონდეს სხვა ორგანოთა *თანამოქმედება*, რაც იწვევს ამ ბგერის საგრძნობ ცვლილებას. ასეთ თანამოქმედებას შეიძლება *თანმხლები (დამატებითი) არტიკულაცია*, *თანაარტიკულაცია* ანუ *კოარტიკულაცია* (ლათ. *co(n)-* „თან“) ვუწოდოთ. თანმხლები არტიკულაცია განასხვავებს ერთი და იმავე ძირითადი ორგანოებით წარმოქმნილ ბგერებს; მას უკვე შეეგხეთ მჟღერი და ყრუ ბგერების დახასიათებისას. ტერმინოლოგიურად ერთმანეთისაგან განვასხვავებთ *ლაბიალურ* (ძირითადი არტიკულაცია) და *ლაბიალიზებულ* (კოარტიკულაცია) ბგერებს, *პალატალურ* და *პალატალიზებულ* ბგერებს და ა.შ.

განვიხილოთ ხმოვანთა ძირითადი მოდიფიკაციები:

1. *რეტროფლექსია* (ლათ. *retro* „უკან“, *flexio* „მოხრა“). ენის წინა, შუა და უკანა ნაწილით ხმოვანთა წარმოქმნისას ენის წვერი საზოგადოდ პასიურია, მაგრამ მას დამოუკიდებელი მოძრაობის უნარი შესწევს — შეუძლია ზედა კბილებისაკენ აწევა ან აზნეკა ნუნებისა და მაგარი სასისკენ. ასე წარმოქმნილ ხმოვნებს *რეტროფლექსიური* (ლათ. *retroflexae*) ხმოვნები ეწოდება. მათი აღნიშვნა შეიძლება ძირითადი სიმბოლოსთვის სპეციალური დიაკრიტიკული ნიშნის მიწერით, მაგალითად, [a̠]. ასეთი ხმოვნები ხშირია ამერიკულ ინგლისურში, მაგალითად, *hard „ძიძე“, poor „ღარიბი“*; განსაკუთრებით გაფრცელებულია საშუალო აწეულობის რეტროფლექსიური ხმოვანი: ამერ. ინგლ. *bird „ჩიტი“, worm „ჭია“* (ამ ბგერას ჩვეულებრივ [ɜ:] სიმბოლოთი აღნიშნავენ).

2. *ნაზალიზაცია*. ყოველი ხმოვანი შეიძლება წარმოითქვას *ნაზალიზაციით*, როგორც თანმხლები არტიკულაციით. შედეგად ვიღებთ ე.წ. *ნაზალიზებულ (ცხვირისმიერ) ხმოვნებს*. განსხვავებით *პირისმიერი* ანუ *ორალური ხმოვნებისაგან*, რომელთა წარმოებისას ჰაერნაკადი მხოლოდ პირის ღრუს გზით გამოდის, *ნაზალიზებული ხმოვნებს* წარმოქმნისას ჰაერნაკადი გადის როგორც პირის, ისე ცხვირის ღრუში. ნაზალიზებული ხმოვნები ბევრ ენაშია გაფრცელებული. ხმოვნებს შეიძლება ჰქონდეს *ნაზალიზაციის სხვადასხვა ხარისხი*. მაგალითად, ინგლ. *man „კაცი“* სიტყვაში ხმოვანი ოდნავ ნაზალიზებულია, ხოლო ფრ. *vin „ღვინო“, cent „ასი“* სიტყვებში ხმოვანთა ნაზალიზაციის ხარისხი მაღალია. ნაზალიზე-

ბული ხმოვნები შეიძლება აღვნიშნოთ „~“ ნიშნით ძირითადი სიმბოლოს თავზე, მაგალითად, [ā].

3. *ინტენსივობა*. ხმოვანი შეიძლება წარმოითქვას სამეტყველო ორგანოების მეტ-ნაკლები დაძაბვით. მაგალითად, ინგლ. see „დანახვა“ და ფრ. si „თუ“ სიტყვებში დაახლოებით ერთნაირი ხმოვნებია — ესაა მაღალი აწეულობის წინა რიგის [i]; ინგლ. do „გაკეთება“ და ფრ. doux „ტკბილი“ სიტყვებში უკანა რიგის მაღალი აწეულობის [u] ხმოვანია წარმოდგენილი, მაგრამ ფრანგულში ეს ბგერები სამეტყველო ორგანოების მეტი დაძაბვით, უფრო ინტენსიურად წარმოითქმის, რაც ფრანგულ ხმოვანთა სპეციფიკური თვისებაა, ხოლო ინგლისურ ხმოვანთა წარმოქმნისას სამეტყველო ორგანოები უფრო მოდუნებულია. ინტენსივობის თვალსაზრისით დაახლოებით ასეთივე განსხვავება გვაქვს ქართულ და რუსულ ხმოვნებს შორის — რუსული (მახვილიანი) ხმოვნები უფრო ინტენსიურია, ვიდრე ქართული. განსხვავება *ინტენსიურ*, *ძლიერ* ანუ *დაძაბულ* (ლათ. *fortes* „ძლიერნი“) და *არაინტენსიურ* ანუ *სუსტ* (ლათ. *lenes*) ხმოვნებს შორის ერთი ენის ფარგლებშიც გვხვდება. მაგალითად, ინგლისურ სიტყვებში fool „სულელი“, feel „შეგრძნება“ ხმოვნები უფრო დაძაბულია, ვიდრე full „სავსე“, fill „ავსება“ სიტყვებში; ფრანგულში ხმოვანთა ინტენსივობა სიტყვათა მნიშვნელობას განასხვავებს: შდრ. ფრ. pâte „ცომი“ (ინტენსიური) — patte „თათი“ (არაინტენსიური), las „დაღლილი“ (ინტენსიური) — là „იქ“ (არაინტენსიური).

ხმოვანთა ინტენსივობა (ანუ დაძაბულობა, სიძლიერე) შეიძლება აღვნიშნოთ წერტილით ძირითადი სიმბოლოს ქვეშ, მაგალითად, [ȧ].

4. *სახმო სიმების მოქმედება*. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ხმოვანთა არტიკულაციის დროს სახმო სიმები, როგორც წესი, ვიბრირებენ, მაგრამ არსებობს ყრუ ხმოვნებიც. მაგალითად, [h] თანხმოვანი, რომელიც ზემოთ დავახასიათეთ როგორც გლოტალური სპირანტი, შეიძლება მივიჩნიოთ ყრუ ხმოვნადაც, ან საზოგადოდ ყველა ხმოვნის ყრუ სახესხვაობად: ქართ. ჰაერი, ინგლ. hē „იგი“ სიტყვებში ენა და ბაგეები იმავე მდგომარეობაშია, როგორშიც მომდევნო ხმოვნის წარმოთქმისას; ამიტომ, ზემოთ მოყვანილი განსაზღვრების თანახმად, [h] შეიძლება ხმოვნადაც მივიჩნიოთ. ამ ბგერის თანხმოვნად განხილვა ხშირად ნაკარნახევია სხვადასხვა პრაქტიკული მოსაზრებით, რომლებიც უფრო ბგერათა განაწილების საკითხებს ითვალისწინებს, ვიდრე მათ არტიკულატორულ დახასიათებას.

## 10. თანხმოვანთა არტიკულაციური კლასიფიკაცია

10.1. ზემოთ ჩვენ განვიხილეთ თანხმოვანთა ხუთი ძირითადი სახეობა — ხშულები, სპირანტები, ლატერალები, ნაზალები და ვიბრანტები. შეიძლება მოვასდინოთ თანხმოვანთა მარტივი კლასიფიკაცია რაგვარობისა და მათი არტიკულაციისათვის საჭირო ორგანოების გათვალისწინებით.

როგორც ითქვა, გლოტალური ხშულის გარდა ყველა თანხმოვანი შეიძლება იყოს მჟღერი ან ყრუ; ყველა თანხმოვანი შეიძლება წარმოიქმნას ორალურად — პირის ღრუში, ან ნაზალურად — ცხვირის ღრუში. ნაზალურ, ლატერალურ და ვიბრანტ თანხმოვნებს *ნარნარა თანხმოვნებსაც* უწოდებენ.

თანხმოვანთა კლასიფიკაცია მოცემულია შემდეგ ტაბულაში:

	ლაბიალური	აპიკალური	ფრონტალური	დორსალური	გლოტალური
ხშულები	p b	t d	ʈ ɖ	k g	ʔ
სპირანტები	ɸ β, f v	θ ð, s z	ʃ ʒ	x ɣ	ħ
ნაზალები	m	n	ɲ	ŋ	-
ლატერალები	l	l	ʎ	L	-
ვიბრანტები	ʀ	r	-	R	-

ტაბულის რიგებში თანხმოვნები განსხვავდება რაგვარობის ნიშნით, ხოლო სვეტებში ისინი დაყოფილია ხუთი არტიკულატორის მიხედვით: ქვედა ბაგე, ენის წვერი, წინა ენა, უკანა ენა, სახმო სიმები. ტაბულის 25 უჯრედში წარმოდგენილი ბგერათა თეორიულად შესაძლებელი ტიპებიდან სხვადასხვა ენაში მხოლოდ 21 დასტურდება, რადგან არტიკულაციურად შეუძლებელია წარმოიქმნას წინაენისმიერი ანუ ფრონტალური ვიბრანტი და გლოტალური ნაზალი, ლატერალი და ვიბრანტი; რამდენიმე უჯრედში მოხვედრილია ერთზე მეტი თანხმოვანი; ესენია, პირველ რიგში, ყრუ თანხმოვანი და შესაბამისი მჟღერი (ლარინგალური ხშული, როგორც ითქვა, არ შეიძლება იყოს მჟღერი). იქ, სადაც მხოლოდ მჟღერი თანხმოვნის სიმბოლო გვაქვს, შესაბამისი ყრუ თანხმოვანი შეიძლება აღვნიშნოთ დიაკრიტიკული ნიშნით, მაგალითად [ɹ]. [ɸ] და [β] ბილაბიალური სპირანტებია, ხოლო [f] და [v] — დენტოლაბიალური სპირანტები. [θ] და [ð] არის გასწვრივი ნაპრალით წარმოქმნილი ბგერები, როგორც წესი, — დენტალური; [s] და [z] სპირანტები წარმოიქმნება ენის წვერის ზედაპირის ღარისებრ მომრგვალებული ნაპრალით.

თანხმოვანთა მრავალფეროვნება აქ ჩამოთვლილი ტიპებით არ ამოიწურება. ასე, მაგალითად, აპიკალური [t] ხშულის სიმბოლო გულისხმობს როგორც ალვეოლარულ (ინგლ. 100 „აგრეთვე“), ისე დენტალურ (ფრ. 100t „ყველაფერი“) ბგერებს. გავიხსენოთ, რომ აქ ნახმარი ნებისმიერი სიმბოლო ამა თუ იმ ბგერის ქვესახეობების განუსაზღვრელ რაოდენობას აღნიშნავს და კლასიფიკაციაში ბგერათა რაოდენობის გაზრდა ყოველთვის არის შესაძლებელი. ჩვენ მიახლოებით ვახასიათებთ ბგერებს, რათა ზოგადი წარმოდგენა შევიქმნათ მათ სიმრავლეზე.

**10.2. მიზანშეწონილია გამოვყოთ თანხმოვანთა კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც ტაბულაში არ არის ასახული.**

ჰაერნაკადმა შეიძლება ძალიან ხანმოკლედ, ერთადერთხელ შეატოკოს რომელიმე სუპრაგლოტალური ორგანო და მაშინ მივიღებთ ბგერებს, რომელთაც *ტყლაშუნა* ანუ *დარტყმითი* (ინგლ. *flaps*) *ბგერები* ეწოდება. ისინი სპარტიკულაციო წერტილთან არტიკულატორის მყისიერი შეხებით წარმოიქმნებიან. მაგალითად, ინგლ. very „ძალიან“, marry „დაქორწინება“; ამერ. ინგლ. matter „საქმე“ და სხვ. ასეთი ბგერები საკმაოდ გავრცელებულია.

აპიკალური [t], [d] ხშულებისაგან განსხვავებით, ტყლაშუნა თანხმოვანი წარმოიქმნება არა ენის წვერის ზედაპირის ნუნებთან ან სასასთან ხშვით, არამედ ენის წვერის ქვედა მხარის შეხებით კბილებთან, ნუნებთან ან სასასთან.

*მარცვლოვანი თანხმოვნები* თანხმოვანი შეიძლება ქმნიდეს მარცვალს, თუ იგი უფრო სონორია, ვიდრე მეზობელი თანხმოვნები, ან თუ მას წინ უსწრებს ან მოსდევს პაუზა. მაგალითად, ორმარცვლიანია ინგლ. able „შემძლე“, bottle „ბოთლი“, rhythm „რითმი“, button „ღილი“ სიტყვები, რომლებშიც წინამაგვალ ხშულებსა და სპირანტებზე უფრო სონორი [l], [m], [n] თანხმოვნები მარცვალს ქმნიან (ამ სიტყვათა მეორე მარცვლებში ხმოვანი არ არის). მარცვლოვანი შეიძლება იყოს ყოველი თანხმოვანი, თუ იგი სხვა თანხმოვნებთან შედარებით სონორობის მწვერვალს ქმნის.

მარცვლოვანი თანხმოვნების აღნიშვნა შეიძლება ძირითადი სიმბოლოს ქვეშ რგოლის მიწერით: [l̥], [m̥], [n̥] და სხვ. ხმოვნის მეზობლად თანხმოვანი, ცხადია, მარცვლოვანი ვერ იქნება, რადგან ამ შემთხვევაში სონორობის მწვერვალს ხმოვანი ქმნის.

## 11. თანხმოვანთა ძირითადი მოდიფიკაციები

**11.1. შოველმა თანხმოვანმა, ისევე როგორც ხმოვანმა, შეიძლება განიცადოს სხვადასხვაგვარი მოდიფიკაცია. ზემოთ უკვე განვიხილეთ თანხმოვანთა მჟღერობა-სიყრუისა და ნაზალიზაციის კოარტიკულაციები. ის, რაც ხმოვანთა ინტენსივობის შესახებ ითქვა, შეიძლება გავიმეოროთ თანხმოვნების მიმართაც — სამეტყველო ორგანოთა მეტი დაძაბვით წარმოიქმნება ძლიერი ანუ ინტენსიური თანხმოვნები; მათი არტიკულაცია უფრო მკაფიოა, ხშულებს უფრო ენერგიული განხშვა ახასიათებთ. სუსტი თანხმოვნები უფრო მოდუნებულად წარმოითქმის.**

განვიხილოთ კოარტიკულაციის კიდევ რამდენიმე ტიპი (ერთი და იმავე ბგერის წარმოთქმისას ზოგჯერ ერთდროულად ორი ან მეტი კოარტიკულაცია ვლინდება).

**ლაბიალიზაცია.** ყველა ბგერა, ლაბიალური ბგერების გამოკლებით, შეიძლება წარმოიქმნას ბაგეების თანხმლები მომრგვალებით ანუ ლაბიალიზაციით, რასაც ძირითადი სიმბოლოსათვის დიაკრიტიკული ნიშნის — [°] მიწერით აღვნიშნავთ, მაგალითად, [t°], [h°]. თუ ბაგეების მომრგვალება ძირითად არტიკულაციასთან ერთად არ ხდება, მიიღება არა ლაბიალიზებული თანხმოვნები, არამედ ორი თანხმოვნის მიმდევრობა, მაგალითად, [tw], [hw] და მისთ.

**რეტროფლექსია.** კოარტიკულაციის ამ ტიპზე უკვე გვქონდა საუბარი. ყველა თანხმოვანი, აპიკალური თანხმოვნების გამოკლებით, შეიძლება წარმოიქმნას ენის წვერის თანხმლები მოძრაობით — იგი ზემოთ და უკან გადანიშნდება.

**პალატალიზაცია.** ყველა ბგერა, პალატალური ბგერების გამოკლებით, შეიძლება წარმოიქმნას წინა ენის თანხმლები აწევით მაგარი სასისკენ. წინა ენის აწეულობის ხარისხის მიხედვით განიჩევა ძლიერ პალატალიზებული, უფრო სუსტად პალატალიზებული, სუსტად პალატალიზებული თანხმოვნები და ა.შ. პალატალიზაციის ხარისხის ზრდის შესაბამისად ძირითად სიმბოლოს ინდექსად მივუწერთ [i], [e], [j] ნიშნებს. მაგალითად, გერმ. [i:] — Liebe „სიყვარული“, ინგლ. [ɛ] — let „ნების დართვა“, რუს. [j] — люди „ადამიანები“. საერთაშორისო ფონეტიკურ ტრანსკრიფციაში პალატალიზაცია აღინიშნება ['] სიმბოლოთი, მაგალითად, [i'].

**ველარიზაცია.** ყველა ბგერა, დორსალური (ველარული) ბგერების გამოკლებით, შეიძლება წარმოიქმნას უკანა ენის თანხმლები აწევით რბილი სასისკენ. მაგალითად, ინგლისურ სიტყვაში little „პატარა“ პირველი [l] პალატალიზებულია, მეორე — ველარიზებული. შდრ. აგრეთვე პალატალიზებული და ველარიზებული თანხმოვნები რუსულ სიტყვებში



МИЛО „სასიაპოგნო“ — МЫЛО „საპონი“, ДАЛЬ „სიშორე“ — ДАЛ „მისცა“. შეიძლება განვასხვაოთ ველარიზაციის სხვადასხვა ხარისხი. მათ აღსანიშნავად ძირითად სიმბოლოს ინდექსად მივუწერთ [o], [u], [x] ნიშნებს, მაგალითად, [bo], [bu], [bx] და სხვ. საერთაშორისო ფონეტიკურ ტრანსკრიფციაში ველარიზაცია აღინიშნება ძირითადი სიმბოლოს გადახაზვით, მაგალითად, [b̄].

**ფარინგალიზაცია.** ყველა ბგერის წარმოქმნას, ფარინგალური ბგერების გამოკლებით, შეიძლება თან ახლდეს ხახის უკანა კედელთან ენის ძირის მიახლოება და ხახის კედლების შემჭიდროება. ასეთი თანხმობები დასტურდება, მაგალითად, არაბულში.


**ლარინგალიზაცია.** ყველა ბგერა, ლარინგალური ბგერების გამოკლებით, შეიძლება წარმოიქმნას ხორხის დაძაბვით, რაც ლარინგალიზებულ თანხმობებს გვაძლევს.

**ღიაობის ხარისხი.** სპირანტები ხშირად ერთმანეთისაგან განსხვავდება ნაპრაღის ზომით — მანძილით სამეტყველო ორგანოებს შორის. ასე, [s] ბგერა წარმოითქმის მომრგვალებული ნაპრაღით. ეს ნაპრაღი, ჩვეულებრივ, ვიწროა და ხახუნი, რომელსაც ჰაერნაკადი მასში გავლისას იწვევს, სისინის აკუსტიკურ ეფექტს ქმნის. ინგლისური [θ] ბგერის წარმოითქმისას გასწვრივი ნაპრაღი უფრო ფართოა, ხახუნი თითქმის არ შეიმჩნევა. კიდევ უფრო ფართოა დანიური [ð]. სხვადასხვა სიდიდის ნაპრაღი შეიძლება ჰქონდეთ ლატერალებსა და ვიბრანტებსაც. ამის გათვალისწინებით სპირანტები ორ ჯგუფად დაიყოფა — ვიწრონაპრაღოვნებად და ფართონაპრაღოვნებად. ცხადია, ასეთი დაყოფა მეტად პირობითია, ჯგუფებს შორის მკვეთრ ზღვარს ვერ გავავლებთ, მაგრამ ზოგ ენაში ამ განსხვავებებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ღიაობის ხარისხი შეიძლება სპეციალური დიაკრიტიკული ნიშნებით გამოიხატოს.

**შინაგანი ხშვა; გლოტალიზებული ხშულები** ხშულ თანხმობანთა არტიკულაციის დროს გარეგანი ორალური ხშვის წერტილთან ერთად გამოყოფენ შინაგანი ხშვის წერტილს. ეს წერტილები განსაზღვრავენ ამოსუნთქული ჰაერნაკადის გზას. ჩვეულებრივ, შინაგანი ხშვის წერტილი ფილტვების ძირშია, ჰაერნაკადი ამოედინება დიაფრაგმის მეშვეობით გარეგანი ხშვის წერტილამდე, სადაც ხდება ხშული თანხმობის არტიკულაცია. ასეთია ე.წ. *სუნთქვიერი, პულმონარული* (ლათ. *pulmo* „ფილტვი“) *ხშულები* (ქართ. *დ, თ, გ, ქ* და სხვ.).

გარკვეულ შემთხვევებში ხშვას სუპრაგლოტალურ ორგანოებში შეიძლება დაერთოს სახმო სიმების ჩაკეტვა ანუ *ყელხშვა*; მაშინ შინაგანი ხშვის წერტილი გადაინაცვლებს *ხორხში* (ლათ. *glottis*) და, ამდენად, საფონაციო ჰაერნაკადის გზა განისაზღვრება მანძილით ხორხსა და გარეგანი ხშვის წერტილს შორის. გარეგანი ხშვა ამ შემთხვევაში დაიძლევა ზესადგამ მილში არსებული ჰაერის მარაგით. ეს არის *უსუნთქველი*

**ბგერათწარმოება** — გლოტალიზაცია. ასეთი თანხმოვნები ტოვებენ მყისიერი წყვეტის შთახეჭდილებას, ამიტომ მათ *ყელხშულებსაც*, ან კიდევ *აბრუპტივებს* (ლათ. *abruptio* „მოწყვეტა“; *გიორგი ახვლედიანის* ტერმინი), აგრეთვე *მკვეთრებს*, *ეიექტივებს* (ლათ. *ejectio* „გამოდევნა“) და *გლოტალიზებულ ბგერებს* უწოდებენ. ეს ბგერები ფრიად გავრცელებულია ჩრდილოკავკასიურ და ქართველურ ენებში, სომხურში, აგრეთვე ამერიკის ინდიელთა და აფრიკის ენებში (შდრ., მაგალითად, ქართ. *პ, ტ, კ, წ, ჭ*). გლოტალიზებულ ხშულებს, ბუნებრივია, მუღერობა ვერ ექნება. გლოტალიზებულ თანხმოვნებს აღნიშნავენ [ʔ] დიაკრიტიკული ნიშნით, მაგალითად, [pʔ], [tʔ], [kʔ] და სხვ.



გლოტალიზებული [kʔ] ბგერის არტიკულაცია:

1. უკანა ენა აწარმოებს ხშვას რბილ სასასთან;
2. დახშული სახმო სიბები ზემოთ აიწვეს;
3. ხახის ღრუში მოთავსებული ჰაერი იწინებება ჩაკეტილ რბილ სასასა და სახმო სიბებს შორის;
4. უკანა ენა დაიწვეს და ათავისუფლებს ხახის ღრუში ჩაკეტილ ჰაერნაკადს;
5. განხშვება სახმო სიბება.


**11.2. წკლაპუნა ბგერები** გარეგანი ხშვის დაძლევა ანუ განხშვა შეიძლება განხორციელდეს როგორც ჰაერის გამოდევნით პირის ღრუდან, ისე მისი გარედან შეწოვით. სუნთქვიერი *შეწოვნითი ხშული* წარმოიქმნება შესუნთქვით, ინსპირაციით (ხშირად ასეთია, მაგალითად, [k] ინგლისურ გამოთქმაში O.K. „ყველაფერი რიგზეა“, „კარგი“). ექსპირაციული სუნთქვიერი ბგერებია, მაგალითად, ქართული *ფ, თ, ჯ, დ, გ*, რუსული ხშულები, აგრეთვე, ჩვეულებრივ, ინგლისური ხშულები და სხვ. გლოტალიზებული განდევნითი ხშულებისაგან ანუ აბრუპტივებისაგან განსხვავებით, გლოტალიზებული შეწოვნითი ხშულები წარმოიქმნება ხორხის არა აწევით, არამედ დაწევით, და ასეთი ბგერები შეიძლება იყოს როგორც მუღერი, ისე ყრუ. ველარული შეწოვნითი ხშულები წარმოიქმნება ენის ზურგის უკან გაწევით და ჰაერის შეწოვით პირის ღრუში. ამ ბგერებს *წკლაპუნა თანხმოვნები* (ინგლ. *clicks*) ეწოდება. წკლაპუნაა აგრეთვე ბილაბიალური შეწოვნითი ბგერა, რომელიც კოცნის დროს წარმოიქმნება, ასევე, მაგალითად, ქართულში უარყოფის გამომხატველი *ნწ* და სხვ.

წკლაპუნა ბგერები ფართოდაა გავრცელებული სამხრეთ აფრიკის ზოგიერთ ენაში.

შეწონითი ბგერები შეიძლება აღვნიშნოთ [ $\text{>}$ ] დიაკრიტიკული ნიშნით, მაგალითად, [ $\text{p>}$ ].

## 12. სამეტყველო ბგერის წარმოქმნის ფაზები


12.1. ცალკეული ბგერის წარმოქმნის პროცესს განყენებულად თუ წარმოვიდგენთ, მასში განირჩევა სამი ძირითადი მომენტი: (a) *შემართვა* ანუ *ექსკურსია* (ლათ. *excursio* „გასვლა“), (b) *მწვერვალი* ანუ *დაყოვნება* და (c) *დამართვა* ანუ *რეკურსია* (ლათ. *recursio* „დაბრუნება“). ეს მომენტები შემდეგნაირად შეიძლება დასასიათდეს: სამეტყველო ორგანოები გამოდიან ინდიფერენტული მდგომარეობიდან, რომელიც უშუალოდ წინ უძღვის არტიკულაციას, და მოეწყობიან ბგერის წარმოსათქმელად; ეს წარმოქმნის პირველი მომენტი. მეორე მომენტში სამეტყველო ორგანოები ასრულებენ ბგერის წარმოსათქმელად საჭირო მოძრაობას. ეს მომენტი უფრო ხანგრძლივია. მესამე მომენტში სამეტყველო ორგანოები უბრუნდებიან ინდიფერენტულ მდგომარეობას.



ბგერის წარმოქმნის სამი ფაზის სქემატური დიაგრამა

ხშულ თანხმოვანთა წარმოქმნისას განირჩევა შემდეგი სამი ფაზა: 1. ხშვის მომენტი — *იმპლოზია* (ფრ. *implosion* „ჩაგუბება“), 2. ხშვითი დაყოვნება — *ოკლუზია* (ფრ. *occlusion* „დაკეტვა“) და 3. განხშვის მომენტი — *ექსპლოზია* (ფრ. *explosion* „აფეთქება“, „სკდომა“).

გაბმულ მეტყველებაში შემართვისა და დამართვის მომენტი არ არის სრული:



ამით აიხსნება მეზობელ ბგერათა ურთიერთგავლენა.

როდესაც ხშულის გარეგანი ხშვა სკდომას ანუ ექსპლოზიას განიცდის, არტიკულატორი შეიძლება მკვეთრად მოსცილდეს არტიკულაციის წერტილს და დაიწყოს მომდევნო ბგერის წარმოქმნა; ასეთ შემთხვევაში ხშულის ექსპლოზიას უშუალოდ მოსდევს მომდევნო ბგერის შემართვა. სხვა შემთხვევებში ხშულსა და მომდევნო ბგერას შორის ჩნდება გარდამავალი ბგერები. მკვეთრი განხშვით ხასიათდება, მაგალითად, ესპანური [d] ბგერა ხმოვნის წინ: *donde* „სად“, ხოლო სიტყვის ბოლოში ხმოვნის შემდეგ ამავე ბგერას სუსტი განხშვა აქვს: შდრ. ესპ. *libertad* „თავისუფლება“.

ორ მეზობელ თანხმოვანს დაყოვნების ფაზა შეიძლება საერთო ჰქონდეს. ასეთია ე.წ. ჰარმონიული თანხმოვანთკომპლექსები ქართულში, მაგალითად, *დგ, თქ* და სხვ. ამ მიმდევრობებში ორივე თანხმოვანი მჟღერი, ყრუ ფშვინგიერი ან გლოტალიზებულია (ჰარმონიული თანხმოვანთკომპლექსების შესახებ დაწვრილებით ქვემოთ, მესამე თავში ვისაუბრებთ).

## 12.2. ხშულ თანხმოვანთა ზოგიერთი ტიპისათვის დამახასიათებელია თავისებური ექსპლოზია.

*ასპირაცია* სუნთქვიერი განდევნითი ხშულების წარმოქმნისას ჰაერნაკადი შეიძლება სუსტი იყოს, რაც სუსტ ექსპლოზიას იწვევს. როდესაც დიაფრაგმა ფილტვებს ძლიერად აწევს და ჰაერნაკადი მძლავრად ამოედინება ფილტვებიდან, მაშინ განხშვას თან ახლავს სახმო სიმებზე ჰაერნაკადის სახუნით გამოწვეული ჩქამი. მას *ფშვინვა* ანუ *ასპირაცია* (ლათ. *aspiratio* „ქროლა“, „სუნთქვა“) ეწოდება, ხოლო ამგვარად წარმოქმნილ ხშულებს — *ფშვინგიერი* ანუ *ასპირირებული ხშულები*. ასპირაცია უფრო ხშირად ყრუ ხშულებს ახლავს, თუმცა არსებობს ასპირირებული მჟღერი ხშულებიც (ისინი გავრცელებულია ინდურ ენებში). ასპირაციის ხარისხების აღნიშვნა შეიძლება დიაკრიტიკული ნიშნებით: ძლიერ ასპირირებულთათვის — [ʰ], საშუალოდ ასპირირებულთათვის — [ˈ], არაასპირირებულთათვის — ძირითადი სიმბოლო დიაკრიტიკული ნიშნის გარეშე: მაგალითად, [tʰ] (ქართ. თ), [tˈ] (ინგლ. *till* „სანამ“), [t] (ინგლ. *still* „წყნარი“).

*აფრიკატები* თუ ხშვის შემდეგ არტიკულატორი ნელა სცილდება არტიკულაციის წერტილს ისე, რომ წარმოიქმნება ნაპრალი, დამახასიათებელი ჰომორგანული, ე.ი. იმავე წერტილში იმავე ორგანოებით წარმოქმნილი სპირანტისათვის, მაშინ მიიღება *რთული თანხმოვანი* ანუ *აფ-*

**რიკატი** (ლათ. *affricāre* „ხეხვა“). ასეთ ბგერებს შემართვა ხშულისა აქვთ, დამართვა კი — *ჰომორგანული* და *ჰომოგენური* სპირანტისა, ამიტომ აფრიკატები უნდა ჩავთვალოთ *შერეული, ხშულ-ნაპრალოვანი* რაგვარობის თანხმობებად. ისინი ფრიად გავრცელებულია სხვადასხვა ენაში. ასე, მაგალითად, ქართულ [ჰ], [ც], [ც'], [ჭ], [წ], [წ'] სამეულთა შემადგენლობაში პირველ კომპონენტებად ხშული [d], [t], [t'] თანხმობები, ხოლო მეორე კომპონენტებად *ჰომოგენური სპირანტები* უნდა ვივარაუდოთ, კერძოდ: [ჰ], [ც], [ც'] სამეულში — [z], [s], [s'], ხოლო [ჭ], [წ], [წ'] სამეულში — [ʒ], [ʃ], [ʃ']. აფრიკატები შეიძლება აღვნიშნოთ ხშულის სიმბოლოსათვის ინდექსის სახით სათანადო სპირანტის სიმბოლოს მიწერით, მაგალითად, [tʰ] (ქართ. ტ, რუს. т *„მიზანი“*), [tʰ] (ქართ. ჩ, რუს. ч *„საათი“*, ინგლ. child *„ბავშვი“*), [dʒ] (ქართ. ძ, ინგლ. jam *„მურაბა“*), [pʰ] (გერმ. Apfel *„ვაშლი“*) და სხვ. გავრცელებულია განსხვავებული აღნიშვნებიც: [c]=[tʰ], [č]=[tʰ], [ç]=[dʒ], [ç]=[dʒ] და სხვ. დენტალურ და ალვეოლარულ სპირანტებსა და აფრიკატებს დამახასიათებელი ჩქამის გამო *სისინა* და *შიშინა ბგერებს* ან *სიბილანტებს* (ლათ. *sibilans* „შიშინა“, „სისინა“) უწოდებენ.

**ნაზალური ექსპლოზია** გვაქვს, როდესაც ხშულის განხშვამდე რბილი სასა იმდენად არის დაწეული, რომ ჰაერნაკადის ნაწილი განხშვის დროს ცხვირის ღრუშიც გაივლის. ნაზალური განხშვა შეიძლება აღვნიშნოთ ხშულის სიმბოლოსათვის [ʰ] დიაკრიტიკული ნიშნის მიწერით, მაგალითად, [dʰ].

**ლატერალური ექსპლოზიის** დროს ხშულის დამართვას ლატერალური განხშვის სახე აქვს. ასეთი ექსპლოზია შეიძლება აღვნიშნოთ ხშულის სიმბოლოსათვის [lʰ] ინდექსის მიწერით, მაგალითად, [lʰ]. იმ შემთხვევაში, როდესაც ლატერალური ექსპლოზია არ არის დამოკიდებული მომდევნო თანხმობაზე, *ლატერალური აფრიკატი* ვლინდება. ასეთი ბგერები გვხვდება ჩრდილოკავკასიურ ენებში. თუ ნაზალური და ლატერალური ექსპლოზიის შემთხვევები გამოწვეულია მომდევნო თანხმობებით (მაგალითად, ინგლ. button *„ღილი“*, atlas *„ატლასი“* და სხვ.), მაშინ ამგვარი ექსპლოზიისათვის სპეციალური სიმბოლოების ხმარება არ არის საჭირო.

ორი ხშულის ერთნაირი მიმდევრობები ზოგჯერ განსხვავდება ექსპლოზიის სახეებით. მაგალითად, ფრანგულ acte *„ქმედება“* სიტყვაში [k] ხშულს განხშვა ახასიათებს, ინგლისურ act *„ქმედება“* სიტყვაში კი [k]-ს განხშვა არ გააჩნია.

ხშულებს შემართვა ანუ იმპლოზიაც შეიძლება სხვადასხვაგვარი ჰქონდეთ. ხშულთა შემართვის სახეობები დამართვის სახეობების მსგავსია და მათ აქ სპეციალურად არ განვიხილავთ. აღვნიშნავთ ხშულთა იმპლოზიის მხოლოდ ერთ სახეობას, *პრეასპირაციას*. ეს არის ხანმოკლე

ჩქამი, გამოწვეული სახმო სიმებზე ჰაერის ხახუნით უშუალოდ ხშვამდე; ოგი შეიძლება აღვნიშნოთ [h] ინდექსით ძირითადი სიმბოლოს მარცხნივ, მაგალითად, [h].

### 13. ბგერათა პროსოდული მახასიათებლები

13.1. ზემოთ ჩვენ განვიხილეთ სამეტყველო ორგანოთა მოქმედება ცალკეულ ბგერათა არტიკულაციის დროს და მოვანდინეთ ამ თვალსაზრისით ბგერების კლასიფიკაცია. ახლა განვიხილოთ სამეტყველო ბგერათა ისეთი თვისებები, რომლებიც მნიშვნელოვანია მეტყველების ნაკადში გამოყოფილი ბგერითი სეგმენტების დასახასიათებლად. ეს მახასიათებლები ქმნიან *ბგერის პროსოდიულ* (ბერძნ. *prosōdia* „მახვილი“, „მისამღერი“) ანუ *სუპრასეგმენტურ* (ლათ. *suprā* „ზემოთ“, „ზემოდან“, *segmentum* „მონაკვეთი“) *ნიშნებს* (ისინი თითქოს ზემოდან ედება ბგერას).

ახლა შევვებით სამ პროსოდულ მახასიათებელს: ბგერათა ხანგრძლივობას, სიმაღლესა და სიძლიერეს.

*ბგერათრაოდენობა* ბგერათა შეფარდებით ხანგრძლივობას *ბგერათრაოდენობა* ანუ *ბგერათა სიგრძე-სიშოკლე* ეწოდება. ერთი და იმავე სარტიკულაციო ორგანოებით წარმოქმნილი ბგერა სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება მეტ-ნაკლებად ხანგრძლივად ჟღერდეს. ეს ეხება როგორც ხმოვნებს, ისე თანხმოვნებს. მაგალითად, იტალიურ სიტყვაში *fato* „ბედისწერა“ [a] შედარებით გრძელია, [t] — შედარებით მოკლე, ხოლო სიტყვაში *fatto* „შექმნილი“ — პირიქით, [a] შედარებით მოკლეა, [t] კი გრძელი. საზოგადოდ, შეიძლება ვილაპარაკოთ გრძელ და მოკლე ბგერებზე. ეს დაყოფა, ცხადია, პირობითია, რადგან უმოკლეს და უგრძეს ბგერებს შორის შეიძლება გამოვყოთ ხანგრძლივობის მრავალი საფეხური. აწეულობის მიხედვით ხმოვანთა დასახასიათებლისა ჩვენ რაღაც პირობითი საფეხურები გამოვყავით და მათ საფუძველზე მოვანდინეთ ხმოვანთა კლასიფიკაცია; შეიძლება ასევე გამოვყოთ ბგერათრაოდენობის პირობითი ხარისხები, რომლებიც ამოსავალი იქნება *ბგერათა კვანტიტატური* ანუ *რაოდენობრივი* დასახასიათებლისათვის. ამავე დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ ბგერათა სიგრძე-სიშოკლის ხარისხების გამოყოფა უნივერსალურ საკლასიფიკაციო საფუძველს არ იძლევა: ყოველთვის არის შესაძლებელი უფრო დეტალიზებული აღწერა. ერთი რომელიმე ენის აღსაწერად ზოგჯერ საკმარისია მხოლოდ ორი ხარისხის — მოკლე და გრძელი ბგერების გარჩევა, სხვა ენაში შეიძლება მეტი დეტალიზაცია დაგჭირდეს, მაგალითად: გრძელი, ნახევრად გრძელი, მოკლე, ნახევრად მოკლე ბგერები და ა.შ. მოკლე ბგერებს, ჩვეულებრივ, სპეციალურად არ

აღნიშნავენ, შესაბამის გრძელ ბგერებს კი მიეწერება დიაკრიტიკული ნიშნები, მაგალითად, გრძელი — [ā] ან [a:]; ნახევრად გრძელი — [ā̃] (ზოგჯერ დიაკრიტიკული ნიშნით განასხვავებენ მოკლე ბგერასაც, მაგალითად, [ā̃]).

**13.2. მახვილი** ის სირთულეები, რომლებსაც ბგერათა სიგრძე-სიძოკლის მიხედვით დახასიათებისას ვაწყდებით, თავს იჩენს მახვილის ხარისხების დადგენის დროსაც. ზოგიერთი ბგერითი სეგმენტი მეტყველების პროცესში გამოიკვეთება მეტად გამოჩინების მიზნით, რაც გამოიხატება ამ ელემენტის გაძლიერებულ ან უფრო ხმამაღალ წარმოთქმაში. ბგერითი ელემენტების სიძლიერე-სიძალდით გამოყოფას *მახვილი* (ლათ. *accentus*) ეწოდება. სიძლიერით გამოჩინებისას გვაქვს *ძლიერი* ანუ *დინამიკური* (*ინტენსიური*, *ექსპრატორული*) *მახვილი* (ინგლ. *stress*), სიძალდით გამოჩინებისას კი *მუსიკალური* ანუ *ტონური მახვილი* (ინგლ. *pitch*). გაბმულ მეტყველებაში ბგერის სიძლიერის და/ან სიძალდის ხარისხები უწყვეტ თანმიმდევრობას ქმნის. ის, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ კონტინუუმის დანაწევრება, ბგერათა სიძლიერე-სიძალდის რამდენი და რა ხარისხები უნდა გამოიყოს, დამოკიდებულია კონკრეტულ პირობებზე და იმ მიზნებზე, რომლებსაც ვისახავთ ამა თუ იმ ენის აღწერისას.

დინამიკური მახვილის მქონე ბგერები წარმოიქმნება ფილტვებიდან ჰაერნაკადის უფრო ძლიერი ამოსუნთქვით და სამეტყველო ორგანოთა მეტი დაძაბვით შესაბამის უმახვილო ბგერებთან შედარებით. შეიძლება გამოვყოთ დინამიკური მახვილის სხვადასხვა ხარისხი.

ზოგ ენაში დინამიკური მახვილი განასხვავებს სიტყვებს. მაგალითად, რუსულ სიტყვებში *мыká* „ფქვილი“, *зámók* „კლიტი“ მეორე ხმოვანი აშკარად გამოიყოფა სიძლიერით, ე.ი. დინამიკური მახვილით; მახვილის გადატანით პირველ ხმოვანზე სხვა სიტყვები მიიღება: *мы́ка* „ტანჯვა“, *зámók* „ციხე-სიმაგრე“. შდრ. აგრეთვე ინგლ. *import* „შემოტანა“ (არს. სახელი) — *impórt* „შემოტანა“ (ზმნა), *invalid* „ხეიბარი“ — *inválid* „გაუქმებული“ და სხვა.

ერთზე მეტმარცვლიან სიტყვაში ერთი მარცვალი შეიძლება დანარჩენი მარცვლებისაგან გამოიყოს სიძლიერის ნიშნით. ასეთ მარცვალს *მახვილიანი მარცვალი* ეწოდება. სიძლიერით გამოჩინებული მარცვლის მახვილს ერთზე მეტმარცვლიან სიტყვებში ეწოდება *მთავარი მახვილი*. მთავარმახვილიანი მარცვალი სიტყვის დანარჩენ მარცვლებს უპირისპირდება; ისინი, თავის მხრივ, ერთმანეთისაგან სიძლიერით განსხვავდებიან. მაგალითად, ინგლისურ *óperator* „ოპერატორი“ სიტყვაში მესამე მარცვალი აშკარად უფრო ძლიერია, ვიდრე მეორე და მეოთხე, თუმცა იგი პირველ მარცვალზე უფრო სუსტია. მთავარმახვილიან მარცვალზე უფ-

რო ნაკლებ წარმოჩინებულ მარცვალს *თანამახვილი* ანუ *მეორეხარისხოვანი* (მეორეული) *მახვილი* აქვს. მას მახვილიანი მარცვლის წინ დასმული [r] ნიშნით გამოვხატავთ, მთავარ მახვილს — მსგავსი ნიშნით ხმოვნის თავზე [ʹ], ხოლო უფრო სუსტ მარცვლებს უნიშნოდ დავტოვებთ; მაგალითად, ინგლ. discrimination „დისკრიმინაცია“: [dis,krimi-néiʃŋ].

ზოგიერთი ენის სიტყვებში მთავარი მახვილი რიგით რომელიმე ფიქსირებულ მარცვალზე მოდის, ზოგში კი — სხვადასხვა მარცვალზე. პირველ შემთხვევაში მახვილს *ფიქსირებულს* უწოდებენ, მეორეში — *თავისუფალს*, *არაფიქსირებულს*. ფიქსირებული მახვილის მქონე ენათა ტიპობრივი ნიმუშია ფრანგული ენა, სადაც მთავარი მახვილი, როგორც წესი, სიტყვის ბოლო მარცვალზე მოდის. მახვილი თავისუფალია, მაგალითად, რუსულში, ინგლისურში. თანამედროვე ქართულში, ზოგიერთი მონაცემის თანახმად, ორმარცვლიან სიტყვებში მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზეა, მრავალმარცვლიან სიტყვებში კი — ბოლოდან მესამეზე. არსებობს სხვა თვალსაზრისიც, რომლის თანახმად, მთავარი მახვილი ქართულში სიტყვის პირველ მარცვალზე მოდის.

მახვილი შეიძლება იყოს *მოძრავი* ან *უძრავი* — იმის მიხედვით, იცვლება მისი ადგილი ერთი სიტყვის ფარგლებში თუ არა. მაგალითად, რუს. вода [vadá] „წყალი“ ~ воды [vódi] „წყლები“.

სიტყვათმახვილისაგან (ასევე მარცვალთმახვილისაგან) შეიძლება განსხვავდებოდეს შესიტყვების მახვილი. ასე, მაგალითად, ცალკე წარმოთქმულ ერთმარცვლიან სიტყვებში მთავარი მახვილი ამ ერთადერთ მარცვალზე მოდის, შესიტყვებაში კი ამ სიტყვებმა შეიძლება დაკარგონ მახვილი და მიეკედლონ მომდევნო ან წინამავალ მახვილიან სიტყვას. ხშირად ასეთია ე.წ. ნაწილაკები. თუ ისინი მიეკედლებიან წინამავალ მახვილიან სიტყვას, მათ *ენკლიტიკები* (ბერძნ. *enklitikón* < *enklínō* „ვიხრები“) ეწოდება, ხოლო მომდევნო სიტყვას მიეკედლებულ უმახვილო სიტყვებს — *პროკლიტიკები* (ბერძნ. *proklitikón* < *proklínō* „წინ ვიხრები“) ეწოდება. მაგალითად, რუსულ გამონათქვამში Ты ведь ещё не забврал „შენ ხომ ჯერ არ გისაუზმია“ ведь „ხომ“ ენკლიტიკაა, не „არ“ — პროკლიტიკა. ენკლიტიკაზე და პროკლიტიკაზე შეიძლება თანამახვილი მოდიოდეს. მაგალითად, რუსულ გამონათქვამში сáд ,перед дóмом „ბაღი სახლის წინ“ პროკლიტიკა перед „წინ“ თანამახვილს ატარებს.

ენკლიტიკებისა და პროკლიტიკების საერთო სახელწოდებაა *კლიტიკები*



13.3. ტონური ანუ მუსიკალური მახვილი, როგორც ითქვა, ხმოვნის სიმაღლეს უკავშირდება და სახმო სიმების დაძაბვაზეა დამოკიდებული. რაც უფრო მეტია სახმო სიმების რხევათა რაოდენობა დროის გარკვეულ მონაკვეთში, მით უფრო მაღალია ბერა (ამაზე დაწვრილებით მოგვიანებით ვისაუბრებთ). ტონური მახვილი მრავალ ენაში იმავე როლს ასრულებს, რასაც დინამიკური მახვილი სხვა ენებში (მაგალითად, რუსულში, ინგლისურში). ვთქვათ, იაპონური [hana] სიტყვა, წარმოთქმული მარცვლების ერთნაირი სიმაღლით, „ცხვირს“ ნიშნავს, პირველი მარცვლის ამაღლებით — „დაწყებას“, მეორე მარცვლის ამაღლებით კი „ყვავილს“. ისეთ ენებში, როგორც არის ქართული, ინგლისური, რუსული, მუსიკალური მახვილი ცალკეული სიტყვის ფარგლებში არავითარ როლს არ ასრულებს, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია შესიტყვებებში, რადგან განსაზღვრავს მათ ინტონაციურ (ლათ. *intonāre* „ხმამაღლა წარმოთქმა“) სტრუქტურას. შდრ., მაგალითად, *კაცი მოვიდა* და *კაცი მოვიდა?* გამონათქვამები ინტონაციის თვალსაზრისით. მეორე გამონათქვამში ბოლო მარცვალზე ტონი მკვეთრად მაღლდება.

მუსიკალური მახვილის შემთხვევაშიც შეიძლება გამოვყოთ ტონის სიმაღლის ხარისხები და აღვნიშნოთ ისინი, ვთქვათ, ციფრებით: ყველაზე მაღალი ტონი — (4)-ით, ყველაზე დაბალი — (1)-ით. ასეთი აღნიშვნისას (2)-ით გამოიხატება ხმის საშუალო სიმაღლე, რომელიც ეტალონად გამოდგება სხვა ტონების შედარებისას. სახელდობრ, (1) მასზე დაბალია, (3) — მასზე მაღალი, (4) კი — უმაღლესი (ცხადია, ასეთი გრადაცია არააბსოლუტურია). მაგალითად, #*დღეს გიორგი სკოლაში წავიდა*# გამონათქვამი იწყება (2) ტონით, მაღლდება *სკოლაში* სიტყვაზე (3) ტონამდე, ბოლოში კი — პაუზის წინ — ეცემა (1) ტონამდე. ამგვარი მიმდევრობა ბოლოში ტონის დაცემით — (2 3 1) — დამახასიათებელია ქართული (ასევე რუსული, ინგლისური და სხვ.) თხრობითი წინადადებისათვის.

ტონების ისეთი მიმდევრობა, რომელშიც ერთი მწვერვალის გამოიყოფა, განსაზღვრავს წინადადების ინტონაციურ კონტურს. ტონის გარკვეული სიმაღლე ვრცელდება გამონათქვამის რაღაც მონაკვეთზე, შემდეგ იგი აიწვეს ან დადაბლდება, ან შეიძლება გაგრძელდეს იმავე დონეზე.

მეტყველების ჩაწერისას საკმარისია ტონის სიმაღლის აღნიშვნა მხოლოდ რამდენიმე წერტილში. ერთ-ერთი ასეთი წერტილია მთავარი დინამიკური მახვილის მატარებელი ის მარცვალი, რომელიც ინტონაციური კონტურის მწვერვალს ქმნის და, როგორც წესი, უფრო მაღალი ტონით წარმოითქმის. მისი წინამავალი მარცვლები, ჩვეულებრივ, (2) ტონით წარმოითქმის. აღსანიშნავია აგრეთვე წინადადების ბოლო მარცვლის ტონი. ამგვარად, ტონის სიმაღლეს უფრო ხშირად აფიქსირებენ გამო-

ნათქვამის პირველ, მთავარ, და ბოლო მარცვლებზე. თუ მწვერვალი პირველ მარცვალზე მოდის, ტონი აღინიშნება მხოლოდ ორ წერტილში, მაგალითად, *გიორგიც სკოლაში წავიდა* (3 1). ქართულ კითხვით გამო-ნათქვამებში, რომლებიც ე.წ. კითხვით სიტყვებს („ვინ“, „როდის“, „რო-გორ“, „რა“ და მისთ.) შეიცავენ, ტონი დაბლდება ბოლო მარცვალზე, ხოლო თუ ასეთი სიტყვები არა გვაქვს, ტონი მკვეთრად მაღლდება გა-მონათქვამის ზმნურ ნაწილზე: *რა გქვია?* (3 2); *გიორგი გქვია?* (2 3).

(4) ტონი უფრო იშვიათია, ქართულში ის ძირითადად ჩაკითხვისას გვხვდება და, საზოგადოდ, მაშინ, როდესაც მოლაპარაკეს სურს რომე-ლიმე სიტყვის ხაზგასმა. მაგალითად: *რა გქვია?* (ჩაკითხვა) — (2 4); ან კიდევ შენიშვნაზე — *შენ ამას არ აკეთებ?* ასეთი პასუხი: *მე ხომ ვაკეთებ ამას!* (2 4 2).

## 14. ბგერათდაკავშირება. ღია და დახურული გადასვლა

14.1. როგორც ითქვა, ზოგჯერ ჭირს გაბმული მეტყველების დანაწევ-რება ცალკეულ ბგერებად. მეტყველების ნაკადში ბგერათა დაკავშირე-ბის დროს თავს იჩენს სხვადასხვა თავისებურება — ზოგიერთ ენაში ერთი ბგერიდან მეორეზე გადასვლა მკაფიოდ არის გამონატული, სხვებში კი — არა. ბგერიდან ბგერაზე მკაფიო თუ არამკაფიო გადასვლები შეიძლე-ბა მოცემული ენის ფონეტიკური სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი იყოს და სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია ჰქონდეს. ასეთი მოვლენები ცნობილია როგორც *ბგერათდაკავშირება*, *ბგერათშერ-წყმა* ანუ *სანდჰი* (ძვ.-ინდ. *sandhi* „შერწყმა“), აგრეთვე როგორც *გა-დასვლა* (ინგლ. *junction* „შეერთება“).

თუ ერთი ბგერიდან მეორეზე გადასვლა მკაფიოდ არის გამონატული, მაშინ *ღია გადასვლა* (ინგლ. *open juncture*) გვაქვს, წინააღმდეგ შემ-თხვევაში — *დახურული გადასვლა* (ინგლ. *closed juncture*). დახურულ გადასვლას სპეციალური აღნიშვნა არ სჭირდება, ღია გადასვლა კი შე-იძლება დეფისით აღვნიშნოთ. მაგალითად, ინგლისური a name „სახელი“ გამონათქვამი ბგერათა იმავე მიმდევრობას შეიცავს, რასაც an aim „მი-ზანი“, მაგრამ [n] ბგერის დაკავშირება მომდევნო ხმოვანთან ამ ორ გა-მონათქვამში განსხვავებულია: [æ-neim], [æn-eim]. ანალოგიური ვითა-რებაა ინგლისურ გამონათქვამებში: night-rate [najt-reit] „ღამისთვის ქირა“ და nitrate [najtreit] „ნიტრატი“; კერძოდ, night-rate სიტყვაში პირველი [t] უფრო ხანგრძლივი და ასპირირებულია, ვიდრე nitrate სიტ-ყვის პირველი [t].

14.2. ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი ბგერათა არტიკულატორული აღწერა და კლასიფიკაცია შესაძლებელია სხვადასხვა სატრანსკრიფციო სისტემით იყოს გამოხატული. სასურველია განსხვავებულ სატრანსკრიფციო სისტემათა უნიფიცირება და რაღაც ერთიან სისტემაზე გადასვლა, რაც კარგ საფუძველს შექმნის ენათა ფონეტიკური ურთიერთშედარება-შეპირისპირებისათვის.

მომდევნო გვერდზე მოგვყავს „საერთაშორისო ფონეტიკური ასოციაციის“ მიერ შემუშავებული ბოლოდროინდელი უნივერსალური „ფონეტიკური სატრანსკრიფციო ანბანი“, რომელიც ამგვარ უნიფიცირებულ ფონეტიკურ სატრანსკრიფციო სისტემად შეიძლება მივიჩნიოთ.

## აკუსტიკური ფონეტიკა


### 15. ბგერის ფიზიკური მახასიათებლები

15.1. ზემოთ ჩვენ ვახასიათებდით ბგერებს არტიკულატორული ფონეტიკის ტერმინებით, ე.ი. ბგერათა წარმოქმნაში მონაწილე საწარმოთქმო ორგანოების მოქმედების მიხედვით. ტრადიციული არტიკულატორული ფონეტიკის გვერდით გაჩნდა *აკუსტიკური ფონეტიკა* — შედარებით ახალი დისციპლინა, რომელიც შეისწავლის სამეტყველო ბგერების ფიზიკურ, აკუსტიკურ თვისებებს. სამეტყველო ბგერათა ფიზიკური დახასიათებისათვის უნდა ვიცოდეთ ზოგი რამ საერთოდ ბგერის როგორც ფიზიკური მოვლენის შესახებ.

თავისი ფიზიკური ბუნებით სამეტყველო ბგერა სხვა ბგერებისაგან არ განსხვავდება, ამიტომ ბგერათა დახასიათების ტექნიკა, შემუშავებული აკუსტიკოსების მიერ, შეიძლება გამოვიყენოთ სამეტყველო ბგერათა დახასიათებლადაც.



როდესაც რაიმე ფიზიკური სხეული ირხევა, მისი რხევა გადაეცემა გარშემო მყოფი ჰაერის ნაწილაკებს, რომლებიც რხევას გადასცემენ უფრო შორეულ ნაწილაკებს და ა.შ. ბგერა სწორედ ჰაერის ნაწილაკთა რხევითი მოძრაობაა. იგი მერხვეი სხეულის გარშემო ყველა მიმართულ-ბით ვრცელდება ტალღების სახით. ეს ტალღები მსმენელის სასმენი აპკის რხევას იწვევენ, რაც, თავის მხრივ, აღიზიანებს სასმენ ნერვს — მსმენელი შეიგრძნობს, აღიქვამს ბგერას.



სასმენი მექანიზმის სქემატური დიაგრამა

მბგერი (მერხვეი) სხეულისაგან, ბგერის წყაროსაგან, დაშორებისას ჰაერის ნაწილაკების რხევა ანუ ბგერითი ტალღები თანდათან სუსტდება და ქრება.

ჩვენი სმენა ყველა ბგერას აღიქვამს ტონის ან ჩქამის სახით. ტონს შევიგრძნობთ, როდესაც მბგერი სხეული პერიოდულად, ე.ი. ერთი და იმავე სიხშირით ირხევა, დროის ერთსა და იმავე ერთეულში ერთი და იმავე რაოდენობის რხევებს ასრულებს.


მერხვეი სხეულის მოძრაობას წონასწორობის (უძრაობის) წერტილიდან ერთ მხარეს, შემდეგ — იმავე წერტილის გავლით — საპირისპირო მხარეს, და ამოსავალ წერტილში დაბრუნებას სრული რხევა ეწოდება. მბგერი სხეულის რხევა გრძელდება კლებადი ძალით, სანამ არ ამოიწურება მისი ენერჯია. უძრაო მდგომარეობიდან მერხვეი სხეულის გადახრის სიდიდეს რხევის ამპლიტუდა (ლათ. *amplitudo* „სიფართოვე“, „განვრცობა“) ეწოდება, ხოლო სრული რხევის ხანგრძლივობას — რხევის პერი-

ოღო ერთ წამში ერთი სრული რხევა მიღებულია რხევითი მოძრაობის სიხშირის მახასიათებელ ერთეულად და მას *ჰერცი* ეწოდება.

ამავე გვერდზე წარმოდგენილ ნასატზე გამოსახულია მარტივი მბგერი სხეული — კამერტონი. ისრები გვიჩვენებს მისი კბილის მაქსიმალურ გადახრას, რაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სიძლიერით ვუბიძგებთ კამერტონის კბილს. თუ კამერტონი ერთ წამში, ვთქვათ, 200 სრულ რხევას ასრულებს, ვიტყვით, რომ მისი რხევის სიხშირეა 200 ჰერცი: 200~.

**15.2. მბგერი სხეულის უძრავი მდგომარეობიდან გამოსვლასა და ამ მდგომარეობაში დაბრუნებას შორის გასულ დროს *რხევის ხანგრძლივობა* ეწოდება.**

როგორც ითქვა, პერიოდულ რხევებს აღვიქვამთ როგორც *ტონს*, არაპერიოდულს კი — როგორც *ჩქამს*, მაგალითად, როგორც შრიალს, ჭრიალს, გრგვინვას, ჩუხჩუხს...



*კამერტონის მიერ გამოწვეული ჰაერის ნაწილაკთა რხევის დიაგრამული სურათი*

*ტონური ბგერა* მხოლოდ ტონისაგან შედგება, *ჩქამიერი* — მხოლოდ ჩქამისაგან. არსებობს შერეული ბგერებიც, რომლებშიც ჭარბობს ტონი ან ჩქამი. მუსიკალური ბგერები, კამერტონის, აგრეთვე ადამიანის სახმო სიმების პერიოდული რხევის შედეგად მიღებული ბგერები წმინდა ტონ-

ნებს, ჩქამშეურეველ ბგერებს წარმოადგენენ. მათ *მუსიკალურ ტონებს* უწოდებენ. სამეტყველო ბგერათა დიდი ნაწილი ჩქამიერია, ე.ი. უმთავრესად (ან მხოლოდ) არაპერიოდული რხევების შედეგად მიიღება. ასეთია ჩურჩულით წარმოთქმული ყველა ბგერა, ყველა ყრუ თანხმოვანი (როგორც ვიცით, მათ წარმოქმნაში სახმო სიმები არ მონაწილეობს).

რხევის ამპლიტუდა განსაზღვრავს *ბგერის სიძლიერეს* ანუ *ინტენსივობას*, რაც უფრო დიდია მბგერი სხეულის რხევის ამპლიტუდა, მით უფრო ძლიერ ბგერას აღვიქვამთ. ბგერის სიძლიერე პირდაპირპროპორციულია ამპლიტუდის კვადრატისა (როდესაც, მაგალითად, კამერტონს შევარხევთ, დასაწყისში უფრო ძლიერ ტონს გავიგონებთ, ვიდრე შემდგომ, რადგან რხევის ამპლიტუდა თანდათან მცირდება). სამეტყველო ბგერათა სიძლიერე დამოკიდებულია სახმო სიმების რხევათა ამპლიტუდაზე. დინამიკური მახვილის მქონე მარცვალში ხმოვანი, ჩვეულებრივ, მეტი სიძლიერით წარმოთქმის.

რხევათა სიხშირე განსაზღვრავს *ბგერის სიმაღლეს*, ჩვენს ყურს შეუძლია შეიგრძნოს რხევითი მოძრაობა, რომლის სიხშირე მეტია 16<sup>-</sup>-ზე და ნაკლებია 20000<sup>-</sup>-ზე. ამ დიაპაზონში მეტი სიხშირის მქონე რხევას აღვიქვამთ როგორც უფრო მაღალ ბგერას.

თუ რომელიმე მუსიკალური ინსტრუმენტის სიმს, რომელსაც შეუძლია 128<sup>-</sup> სიხშირით რხევა, ისე დაეჭიმავთ, რომ რხევათა სიხშირე ორჯერ გაიზრდება, ე.ი. გახდება 256<sup>-</sup>, მაშინ იგი ორჯერ უფრო მაღალ ტონს გამოსცემს. ამავე ეფექტს მივიღებთ, თუ სიმის სიგრძეს შევამცირებთ ორჯერ — შესაბამისად ორჯერ უფრო *მაღალი* ტონი წარმოიქმნება. მაშასადამე, ტონის სიმაღლე უკუპროპორციულია სიმის სიგრძისა.

ტონის სიმაღლეზე გავლენას ახდენს მბგერი სხეულის არა მარტო სიგრძე და დაჭიმულობა, არამედ მისი სიმკვრივე და სიმსხოც — ერთი და იმავე დაჭიმულობის პირობებში უფრო მსხვილი სხეული უფრო დაბალ ტონს გამოსცემს. ამიტომ არის ბავშვის ხმა ზრდასრული ადამიანის ხმაზე უფრო მაღალი: ბავშვის სახმო სიმები უფრო წვრილი და მოკლეა. სახმო სიმები შეგვიძლია დავცაბოთ ან მოვადუნოთ და ამით შევცვალოთ მათი სიგრძე; ისინი შესაბამისად სხვადასხვა სიხშირით ირხევიან და სხვადასხვა სიმაღლის ტონებს წარმოქმნიან. მეტყველების დროს მათი რხევების სიხშირემ შეიძლება 320<sup>-</sup>-ს მიაღწიოს.

სამეტყველო ტონის სიმაღლე მნიშვნელოვან როლს თამაშობს მუსიკალური მახვილის მქონე ენებში. ტონის სიმაღლე ვახსენეთ აგრეთვე წინადადების ინტონაციური კონტურის განხილვისას.

თუ მბგერ სხეულს ერთბაშად, სწრაფი ბიძგიტ შევარხევთ, რხევა თანდათან კი არ შესუსტდება, არამედ უცებ შეწყდება, რაც აღიქმება როგორც წყვეტილი ბგერა. ასეთია, მაგალითად, დოლის, დაირის, მიწაზე დავარდნილი სხეულის ხმა; ასევე აღიქმება ხშულ-მსკდომი თანხმოვნები.

თუ მბგერი სხეულის რხევა გრძელდება გარკვეულ ხანს და თანდათან სუსტდება, გაბმულ ბგერას შევივარძნობთ. ასეთ ბგერებს გამოსცემს, მაგალითად, ვიოლინო. სამეტყველო ბგერებს შორის ასეთია ხმოვნები და ნაპრალოვანი თანხმოვნები. როგორც წყვეტილი, ისე გაბმული ბგერები სხვადასხვა ხანგრძლივობით ხასიათდება. ეს განსაკუთრებით არსებითია ხმოვანთა წარმოქმნისას: გრძელი ხმოვანი მოკლე ხმოვანთან შედარებით უფრო ხანგრძლივია.

ამგვარად, ბგერათა ის თავისებურებები, რომლებიც შეიძლება სმენით აღვიქვათ, სამ ძირითად ფაქტორზეა დამოკიდებული. ესენია: *რხევების სიხშირე* — აღიქმება როგორც ბგერის *სიმაღლე*, *რხევის ამპლიტუდა* — აღიქმება როგორც ბგერის *სიძლიერე*, და *რხევის ხანგრძლივობა* — აღიქმება როგორც ბგერის *ხანგრძლივობა*. ბგერათა ყველა სხვა თავისებურება შეიძლება აღვწეროთ ამ სამი მახასიათებლით.

## 16. რეზონანსის მოვლენა. რეზონანტული და არარეზონანტული ბგერები

16.1. სამეტყველო ბგერათა აკუსტიკური დახასიათებისათვის აუცილებელია ერთი განსაკუთრებული მოვლენის — *რეზონანსის* (ფრ. *résonance* „გამომძახილი“) გაცნობა.

ვთქვათ, გვაქვს სამი კამერტონი, რომელთა სიმაღლე ანუ რხევის სიხშირე არის 200<sup>~</sup>, 300<sup>~</sup> და 400<sup>~</sup>. თუ მათ მანლობლად ავათრთოლებთ მეთხე კამერტონს, რომლის სიხშირეა 200<sup>~</sup>, იგი არა მარტო გამოსცემს ამ სიხშირის შესაბამისი სიმაღლის ტონს, არამედ თავის რხევას გადასცემს აქამდე უმოქმედო სხვა კამერტონს — იმას, რომლის სიხშირეა 200<sup>~</sup>, — და აათრთოლებს მას (დანარჩენი ორი კამერტონი არ ათრთოლდება). სწორედ ამ მოვლენას ეწოდება *თანაბგერადობა* ანუ *რეზონანსი* ამგვარად, *რეზონანსი* არის აკუსტიკური მოვლენა, რომელიც გულისხმობს იმას, რომ მბგერი სხეულის რხევა გამოწვეულია არა მასზე უშუალო ზემოქმედებით, არამედ მისთვის რომელიმე სხვა სხეულისგან რხევის გადაცემით. იმ სხეულს, რომელიც *თანარხევას* ანუ *სიმპათიკურ* (ბერძნ. *sympathés* „თანამგრძნობი“) *ვიბრაციას* განიცდის, *რეზონატორი* ეწოდება.

რეზონატორი შეიძლება იყოს არა მარტო ფიზიკური სხეული, არამედ სივრცეც, რომელშიც ჰაერის ნაწილაკების თანარხევაა შესაძლებელი. რეზონანსის გამოწვევაც ძირითად მბგერ სხეულს *სონატორი* (ლათ. *sonāre* „უღერა“) ეწოდება. რეზონატორის ამოქმედება ხდება სონატო-



რის ამოქმედებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ; თანარხევა გრძელდება მაშინაც, როდესაც სონატორი უკვე აღარ ირხევა და უმოქმედოა.

რეზონანსის მოვლენა უნდა განგასწავლოთ ბგერითი ტალღის არეკვლისაგან, *რევერბერაციისაგან* (ლათ. *reverberare* „არეკვლა“) ანუ *ექოსაგან*. რევერბერაცია გვაქვს, როდესაც ბგერითი ტალღა აირეკლება ზედაბირიდან, რომელიც მას არ შთანთქავს. რევერბერაციის გარკვეული ხარისხი აუცილებელია საკონცერტო დარბაზების კარგი აკუსტიკისათვის. იქ, სადაც ექო სასურველი არ არის (მაგალითად, ხმის ჩამწერ სტუდიაში), კედლებზე ბგერითი ტალღების შთანთქავ მასალას აკრავენ.

ზესადგამი მილი რეზონატორია ყველა იმ ბგერითი რხევისათვის, რომლებსაც საწარმოთქმო ორგანოები, განსაკუთრებით სახმო სიმები, წარმოქმნიან.

**16.2.** ზემოთ მუსიკალური ტონის შესახებ ვსაუბრობდით. დასავლურ მუსიკაში მიღებულია გამის ტონების ლათინური ასოებით აღნიშვნა A-დან G-მდე. სტანდარტული A „ლა“-ს სიხშირე, 1889 წლის „ვენის კონვენციის“ თანახმად, არის 435<sup>~</sup>, ამერიკაში — 440<sup>~</sup>. როგორც ვხედავთ, მუსიკალური ტონების აბსოლუტური სიმაღლე პირობითი, კულტურული სტანდარტია და არა ბუნებრივი. კომპოზიტორი მუსიკალურ ნაწარმოებში სანოტო აღნიშვნით აფიქსირებს ტონების მხოლოდ ფარდობით სიმაღლეს; ფიქსირებული შეფარდებები შენარჩუნებულია ტონების აბსოლუტური სიმაღლის შეცვლის შემთხვევაშიც, ამიტომ მუსიკალური ნაწარმოები ასეთ ვითარებაშიც არ იცვლება და იმავე ნაწარმოებად რჩება. მეტყველებაში ბგერებს შორის არსებული განსხვავებებიც ფარდობითია და არა აბსოლუტური.

**16.3.** ტონი შეიძლება იყოს მარტივი ან რთული. *მარტივი ტონი* ქანქარისებრი მონოლითური სხეულის მარტივი, მუდმივი სიხშირის მქონე რხევის შედეგია. ასეთია, მაგალითად, კამერტონის ტონი.

კამერტონის ტონს მისი სიწმინდისა და სიმარტივის გამო ტონის სიმაღლის სტანდარტად იყენებენ მუსიკალური ინსტრუმენტების აწყობისას, ზოგჯერ — აკომპანემენტის გარეშე სიმღერის დაწყების წინ (a cappella ქოროში და სხვ.). აბსოლუტური სმენის მქონე ადამიანს უნარი შესწევს გამოიცნოს და წარმოქმნას ზუსტად განსაზღვრული სიმაღლის ტონი.

მარტივი ტონი იშვიათია. ბგერათა უმრავლესობა, მათ შორის მუსიკალური ინსტრუმენტებით წარმოქმნილი ტონები, სამეტყველო ბგერები და სხვ., *რთულია* და შედგება ორი ან მეტი სიმაღლის ბგერისაგან, რომლებიც ისეა შერწყმული, რომ ერთი ბგერის შთაბეჭდილებას ქმნიან.

მბგერი სხეული, მაგალითად სიმი, ჩვეულებრივ ირხევა როგორც მთლიანად, ისე თავისი ნაწილებით. მთლიანად რხევას იგი უფრო დაბალ ტონს გამოსცემს; მას *ძირითადი* ანუ *ფუნდამენტური ტონი* ეწოდება. ნაწილების რხევით უფრო მაღალი ტონები — *თანატონები* ანუ *ობერტონები* (გერმ. *Oberton* „ზედა ტონი“) წარმოიქმნება. რთულ ტონს აღვიქვამთ როგორც ერთ ბგერას, რომლის სიმაღლე ძირითადი ტონის სიმაღლეს შეესაბამება. ფუნდამენტური ტონი ჩვეულებრივ უფრო ძლიერია, ვიდრე ობერტონები. რთულ ტონში შემაჯავალ ყველა ტონს *ნაწილობრივი* ანუ *პარციალური* (ლათ. *partialis* „ნაწილობრივი“) ტონები ეწოდება.

თუ პარციალური ტონების სიხშირეები ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც ერთი შეეფარდება მთელ რიცხვებს, მაგალითად, 1:2:3 ან 1:3:5, ეს ტონები *ჰარმონიულ* (ბერძნ. *harmonía* „თანაფარდობა“) *თანაჟღერადობას* ქმნის (მაგალითად, საეკლესიო ზარის რეკვა). სხვა შემთხვევაში თანაჟღერადობა *დისჰარმონიულია* (მაგალითად, ტაშის გრიალი). თუ ერთდროულად ავაჟღერებთ 440<sup>~</sup> და 220<sup>~</sup> სიხშირის მქონე კამერტონებს (სტანდარტულ A-ს და მასზე ერთი ოქტავით უფრო დაბალ A-ს), მივიღებთ ჰარმონიულ თანაჟღერადობას (შეფარდება 2 : 1 ან; რაც იგივეა, 1 : 2), ხოლო 440<sup>~</sup> და 415.3<sup>~</sup> სიხშირეები (ეს უკანასკნელი „ლა ბემოლის“ სიხშირეა) დისჰარმონიულ თანაჟღერადობას იძლევა.

ჰარმონიულ პარციალურ ტონებს (ფუნდამენტური ტონის გარდა) *ჰარმონიკები* ეწოდება. მაშასადამე, ჰარმონიკების სიხშირეები ძირითადი ტონის სიმაღლის განმსაზღვრელი სიხშირის მთელ რიცხვზე ნამრავლის ტოლია.

16.4. სხვადასხვა მბგერი სხეული განსხვავებულ რთულ ტონებს გამოსცემს მაშინაც კი, როდესაც ძირითადი ტონის სიმაღლე და სიძლიერე ერთნაირია. ეს განსხვავებები გამოწვეულია თანატონებით, რომლებიც რთული ტონის *ტემბრს* (ფრ. *timbre*), *ელფერს* ქმნიან. ბგერის ამ თვისებით განსხვავდება ერთმანეთისაგან მუსიკალური ინსტრუმენტების ტონები, აგრეთვე ერთი ადამიანის ხმა — მეორის ხმისაგან. სხვადასხვა სიძლიერის ბგერითი რხევების განსხვავებული კომბინაციები ტემბრულ სხვაობებად აღიქმება. მაგალითად, ვიოლინოს 16 პარციალური ტონი აქვს, ფორტეპიანოს — 6; ფორტეპიანოს ხმაში დაბალი თანატონები ჭარბობს (ამიტომ იგი „რბილ“ ხმად აღიქმება), ვიოლინოს ხმაში — მაღალი. თუ ვთქვათ, ერთი რთული ტონის ჰარმონიკების სიხშირეებია 200<sup>~</sup>, 400<sup>~</sup> და 600<sup>~</sup>, ხოლო მეორე რთული ტონის ჰარმონიკებისა — 200<sup>~</sup>, 400<sup>~</sup>, 600<sup>~</sup>, 800<sup>~</sup> და 1000<sup>~</sup>, მაშინ ამ ორი რთული ტონის სიმაღლე ერთნაირი იქნება. ტემბრი კი განსხვავებული.

**16.5.** ჰდამიანის სახმო სიმები ირხევა როგორც მთლიანად, ისე ნაწილ-ბით. ისინი გამოსცემენ რთულ ტონს, რომელიც მრავალ ჰარმონიკას შეიცავს. ზოგი ჰარმონიკა იმდენად ძლიერია, რომ განსაზღვრავს სახმო სიმების რხევით წარმოქმნილი ტონის ანუ გლოტალური ტონის ხარისხს. ადამიანს შეუძლია სახმო სიმების მეტ-ნაკლები დაძაბვით ნებისმიერად შეცვალოს გლოტალური ტონის ბუნებრივი სიმაღლე (რომელსაც ფუნდამენტური ტონის სიხშირე განაპირობებს), მაგალითად, ააძაბლოს ტონი კითხვითი ინტონაციის დროს. მოლაპარაკეს შეუძლია აგრეთვე სუპრაგლოტალური ღრუების მოცულობისა და ფორმის სხვადასხვაგვარი შეცვლა, ე.ი. სხვადასხვა რეზონატორის შექმნა. როდესაც გლოტალური ტონი ზესადგამი მილის ღრუებში გაივლის, მისი ძლიერი ჰარმონიკები იქ ჰაერის ნაწილაკთა თანარხევას იწვევენ. რეზონატორის, კერძოდ, პირის ღრუს სხვადასხვა მოყვანილობის დროს გამოიყოფა და ძლიერდება გლოტალური ტონის მხოლოდ ის ობერტონები, რომლებიც ამ პირობებში პირის ღრუში მყოფი ჰაერის ნაწილაკების ბუნებრივი რხევის სიხშირეს შეესაბამება. გლოტალური ტონის შედარებით სუსტი ჰარმონიკები ამ რეზონანსის შედეგად შეიძლება გაძლიერდეს ან, პირიქით, შესუსტდეს და გაქრეს; ტონი არსებითად შეიცვლება (მაგალითად, ცარიელ ყუთზე მბგერი კამერტონის მოთავსებისას ტონი საგრძნობლად ძლიერდება — იზრდება რხევის ამპლიტუდა, სამაგიეროდ, მცირდება რხევის ხანგრძლივობა).

**16.6.** რეზონანსს უკავშირდება ერთი საინტერესო აკუსტიკური მოვლენა. წარმოვიდგინოთ ისეთი კამერტონების მთელი წყება, რომელთა სიხშირეები ერთმანეთისაგან 50%-ით განსხვავდება: 50<sup>-</sup>, 100<sup>-</sup>, 150<sup>-</sup>, 200<sup>-</sup>, 250<sup>-</sup>, 300<sup>-</sup>. ვთქვათ, რაღაც მბგერი სხეული გამოსცემს რთულ ტონს (ეს ტონი არ გვესმის), რომლის პარციალური ტონები ააჟღერებენ მეორე, მესამე და მეოთხე კამერტონს, ხოლო დანარჩენები არ აჟღერდება. თითოეული რეზონატორი-კამერტონი რთული ტონიდან მხოლოდ შესაბამისი სიხშირის პარციალურ ტონს გამოყოფს, ე.ი. ფილტრის როლს ასრულებს. რთული ტონის შემადგენელი პარციალური ტონების ამგვარ გამოყოფასა და გაძლიერებას ფილტრაცია ეწოდება.

ჰარმონიკებით მდიდარი რთული გლოტალური ტონიდან სწორედ ფილტრაციის შედეგად გამოიყოფა და ძლიერდება ზოგიერთი ობერტონი. ის ობერტონები, რომელთა სიხშირეები არ შეესაბამება ჰაერის ნაწილაკების რხევის სიხშირეს ზესადგამ მილში, იკარგება. ფილტრების როლს სუპრაგლოტალური ღრუები ასრულებს. ამ ღრუების მოცულობისა და მოყვანილობის ცვლის შედეგად მიიღება ნაირგვარი ფილტრები, რომელთა მოქმედება გვაძლევს სხვადასხვა ტემბრის ხმოვნებს.

**16.7.** იმ ბგერებს, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ წარმოიქმნება სუპრაგლოტალურ ღრუებში გლოტალური ტონის გარდაქმნის შედეგად, *რეზონანტები* ეწოდება. ესენია, პირველ რიგში, ხმოვნები, აგრეთვე ნახევარხმოვნები, ნაზალები, ვიზრანტები და ლატურალები. ამ ბგერებს სხვადასხვა ხარისხის მუდგრობა ახასიათებთ. რეზონანსის ეფექტი ყველაზე ძლიერია ხმოვანთა არტიკულაციის დროს. შეიძლება ითქვას, რომ ისინი წარმოიქმნებიან წმინდა გლოტალური ტონისაგან, რომელიც მოდიფიცირებულია სუპრაგლოტალური რეზონანსის შედეგად.

არახმოვანი რეზონანტები ხმოვნებისგან განსხვავდებიან როგორც გლოტალური ტონის მოდიფიკაციებით, ისე იმ ჩქამით, რომელსაც სუპრაგლოტალურ ორგანოებში წარმოქმნილი დაბრკოლებები იწვევს.


ხმოვანთა თვისებები დიდად არის დამოკიდებული რეზონატორის — პირის ღრუს — ფორმაზე. ხმოვნებს შორის განსხვავებას მთლიანად რეზონანსი განსაზღვრავს და არა სახმო სიძევის სხვადასხვაგვარი ვიზრაცია. მაშასადამე, ხმოვნები ერთმანეთისაგან *ტემბრით, ობერტონული* შემადგენლობით განსხვავდებიან.

არარეზონანტული ბგერების კლასში შედის ხშული და ნაპრალოვანი თანხმოვნები. ისინი სუპრაგლოტალურ ღრუებში რეზონანსის გარეშე წარმოიქმნებიან.


## 17. ბგერათა ვიზუალური წარმოდგენა. ოსცილოგრაფა

**17.1.** ბკუსტიკოსს შეუძლია ბგერას უშუალოდ დააკვირდეს და თავისი სმენითი შთაბეჭდილებები აღწეროს, მაგრამ ასეთი დაკვირვების შედეგი ძალზე არაზუსტი იქნება. ბგერა წარმაგალია და თუ არ მოხდა მისი დაფიქსირება, იგი დაიკარგება. ბგერის ძირითად ფიზიკურ თვისებათა მეტ-ნაკლებად სრული ასახვისათვის, ობიექტური აღწერისა და გაზომვისათვის საჭიროა ბგერითი ტალღების ვიზუალური სურათის შექმნა, მათი ვიზუალური ტრანსფორმაცია (გარდაქმნა).

განვიხილოთ ბგერათა ჩაწერის ზოგიერთი მეთოდი.




ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მყოფი კაპერტონის კბილზე მიმავრებული კალამი (სტილოსი) კაპერტონის ვიბრაციის შედეგად ქალაღდზე გარკვეულ მრუდს მოხაზავს. ეს მრუდი იმდენჯერ მოიხაზება, რამდენჯერაც ათრთოლდება კაპერტონის კბილი, ე.ი. სანამ ვიბრაციები არ გაქრება. თუ ამავე დროს ქალაღდს ვამოძრავებთ მარჯვნიდან მარცხნივ, კალამი მოხაზავს ე.წ. *სინუსოიდურ* (ლათ. *sinus* „რკალი“, ბერძნ. *eĩdos* „სახეობა“) მრუდს და კაპერტონის ვიბრაცია გრაფიკულად წარმოგვიდგება დროში. ასე მიღებულ მრუდს *ოსცილოგრამა* (ლათ. *oscillāre* „რხევა“, ბერძნ. *gráphō* „ვწერ“) ეწოდება.



დიაგრამაზე AB მანძილი რხევის ამპლიტუდას გამოხატავს, ე.ი. ბგერის სიძლიერეს შეესაბამება; OQ გვიჩვენებს რხევის პერიოდს. თუ ვთქვათ, ერთი სრული რხევა სტილოსით 1/400 წამში მოიხაზება, მაშინ მრუდი გრაფიკულად წარმოგვიდგენს 400<sup>-</sup> სიხშირის რხევას (და სათანადო ტონს). ადვილი დასანახავია, რომ აქ გვაქვს მარტივი ტონის ოსცილოგრამა. რთული ტონი, როგორც ითქვა, ერთ ბგერად აღიქმება, ამიტომ მისი ოსცილოგრამა შედგენილია არა უბრალოდ რამდენიმე სინუსოიდისაგან, არამედ იგი უფრო რთული მრუდია. ამავე დროს, ეს მრუდი მარტივი სინუსოიდური მრუდების შერწყმის შედეგია და გარკვეული ანალიზის ჩატარების შემდეგ დაიშლება შემადგენელ სინუსოიდებად (რადგან რთული ტონი მარტივი ტონებისაგან შედგება).

ვთქვათ, ავაუღერეთ ორი მარტივი ტონი — 200<sup>-</sup> და 600<sup>-</sup>, რომელთა შესაბამისი A და B სინუსოიდები მოცემულია ნახატზე:



წყვეტილი ხაზით აღნიშნული C მრუდი სინუსოიდი არ არის; ის ასახავს 200 სიხშირის ტონს, ეს არის ფუნდამენტური A ტონის სიმაღლე. შეიძლება ვაჩვენოთ, რომ C მრუდი A და B სინუსოიდების შერწყმის შედეგია (იგი მიღებულია A და B მრუდების გაერთიანებით). ეს სურათი ეთანხმება აკუსტიკურ კანონს, რომლის მიხედვით B იკარგება ტონის სიმაღლის თვალსაზრისით, მაგრამ ის განაპირობებს A და C მრუდებს შორის განსხვავებას, რაც ობერტონებში, ბგერათა ტემბრში განსხვავებას ასახავს. C მრუდი, რომელიც A და B მრუდების გაერთიანებას, სინთეზს წარმოადგენს, საპირისპირო პროცედურით შეიძლება დაიშალოს A და B მრუდებად. ამ პროცესს *ჰარმონიკული ანალიზი* ეწოდება. მისი მიზანია რთული ტონის კომპონენტების (ფუნდამენტური ტონისა და ობერტონების) სიხშირეთა განსაზღვრა, ე.ი. ბგერის სიმაღლისა და ტემბრის დადგენა.


აქ განვიხილოთ უმარტივესი შემთხვევა, როდესაც რთული ტონი ორი პარციალური ტონისაგან — ძირითადი ტონისა და ერთი ობერტონისაგან შედგება.

ჰარმონიკული ანალიზი, ე.ი. რთული მრუდის სინუსოიდებად დაშლა, შესაძლებელია პერიოდული რხევების ამსახველი მრუდების (მუსიკალური ტონისა და არა ჩქამის) შემთხვევაში. იდეალურ პირობებში პერიოდული რხევა დაუსრულებელია, ის უსასრულოდ უნდა ვრცელდებოდეს ატმოსფეროში (ამ რხევის შინაგან სტრუქტურაში არაფერია ისეთი, რაც მის შეწყვეტას გამოიწვევდა). ეს ასე რომ ყოფილიყო, ჩვენ გავიგონებდით ათასწლეულების წინ გამოცემულ ბგერით ტალღებს, მაგრამ რეალურად სხვაგვარად ხდება: იდეალური პირობების არარსებობის გამო ბგერითი ტალღები სხვადასხვა შეფერხების შედეგად თანდათან სუსტდება და ქრება.

**18. სპექტროგრამა. ფორმანტის ცნება. ხმოვანთა აკუსტიკური დახასიათება**

18.1. პრსებობს ბგერათა ვიზუალური წარმოდგენის სხვა საშუალებაც, რომელიც ლინგვისტიკისათვის მრავალი თვალსაზრისით უფრო გამოსადეგია, ვიდრე ოსცილოგრამა. ბგერათა ჩაწერა შეიძლება სპეციალური აპარატის — *სპექტროგრაფის* საშუალებით, რომელშიც შეჰყავთ ბგერები მათი სპექტრის სურათის — *სპექტროგრამის* მისაღებად. *სპექტრი* (ლათ. *spectrum* „დასანახი“) არის ფიზიკური სხეულის მიერ გამოცემული ტალღების ერთობლიობა.


ნახატზე მოცემულია მარტივი (ფუნდამენტური) ტონების მიმდევრობის მეტად გამარტივებული სპექტროგრამა. პორიზონტალური ხაზების სიგრძე აღნიშნავს ბგერის ხანგრძლივობას, სიმაღლე — ბგერის სიმაღლეს (იგი ვერტიკალურად აითვლება). ბგერის სიძლიერეს შეესაბამება უფრო მუქი ხაზი, რაც გარკვეულ სიხშირეებზე ენერჯის კონცენტრაციას ასახავს. ამგვარად, სპექტროგრამა ბგერის სამგანზომილებიანი ვიზუალური ანასახია. მესამე განზომილება — ხაზის მეტ-ნაკლები სიმუქე — ერთმნიშვნელოვნად ვერ ამოიკითხება. ის ბგერის მხოლოდ ფარდობით სიძლიერეზე მიგვითითებს. მაშასადამე, ბგერის ინტენსივობის ხარისხს სპექტროგრამის მიხედვით ზუსტად ვერ დავადგენთ.



სპექტროგრამა ბგერის იმავე მახასიათებლებს წარმოგვიდგენს, რასაც მუსიკალური ჩანაწერი, კერძოდ: ბგერათა სიმაღლეს ნოტების ადგილი (სიმაღლე) შეესაბამება (სპექტროგრამაზე C უფრო მაღალი სისშირის გამომხატველია, ვიდრე A, B და D; შესაბამისად, მუსიკალურ აღნიშვნაში შესაბამე ტონი უფრო მაღალია, ვიდრე პირველი, მეორე და მეოთხე); ხანგრძლივობას — ნოტების სპეციალური მახასიათებლები (სპექტროგრამაზე B ორჯერ უფრო გრძელია, ვიდრე A, C და D; შდრ. შესაბამისად სანოტო აღნიშვნაში  $= B$  და  $= A, C, D$ ).

სპექტროგრამაზე ხაზის სიმუქე-სიმკრთალე ისევე არ არის ბგერის სიძლიერის ანუ რხევის ამპლიტუდის ზუსტი მახასიათებელი და შეფარდებითია, როგორც მუსიკალური აღნიშვნები *p* (იტალ. *piano* "ჩუმაღ") და *f* (იტალ. *forte* „ძლიერად“). *D* უფრო ინტენსიურია, ვიდრე A, B ან C; მაგრამ ხაზის სიმუქის მიხედვით ძნელი დასადგენია, თუ რამდენად უფრო ინტენსიურია იგი, ე.ი. რამდენად უფრო დიდია *D*-ს ამპლიტუდა A, B ან C რხევათა ამპლიტუდაზე. ასევეა სანოტო აღნიშვნაში: *f* უფრო ხმა მაღალია, ვიდრე *p*, მაგრამ რამდენად — ეს დამოკიდებულია შემსრულებლის ინტერპრეტაციაზე.

18.2. ზემოთ ნაჩვენები იყო მარტივი ტონების მიმდევრობის სპექტროგრამა. ვნახოთ რთული ტონის სპექტროგრამის გამარტივებული სქემა:



ჰორიზონტალური ხაზები გვიჩვენებენ ენერჯის კონცენტრაციას (მუქ მიდამოებს) ტონის სხვადასხვა ჰარმონიკებთან. როდესაც ძირითადი ტონი ეცემა, ჰარმონიკების ამსახველი ხაზები ქვემოთ იწევენ (მარცხნიდან მარჯვნივ) და ერთმანეთს უახლოვდებიან; ძირითადი ტონის ამძლეობისას — პირიქით, ხაზები აიწევენ და სცილდებიან ერთმანეთს, რაც გარკვეული მანძილიდან მუქი გადაშკვითი ზოლის სახით ჩანს. ასეთ ზოლს *ფორმანტი* (ლათ. *formans* „წარმომქმნელი“) ეწოდება. იგი ასახავს გარკვეული სისშირის ჰარმონიკების შედარებით მეტ ინტენსივობას.




ხმოვნები ერთმანეთისაგან განსხვავდება სხვადასხვა სიხშირის ჰარმონიკების ფორმანტთა განაწილებით. ხმოვნის სპექტროგრამა ფორმანტების მთელ სერიას გვიჩვენებს. თითოეული ფორმანტი სამეტყველო აპარატის ამა თუ იმ ნაწილში წარმოქმნილ რეზონანსს შეესაბამება. მაგალითად, [i] ხმოვნის წარმოქმნას წინა ენა პირის ღრუს ორ ნაწილად ყოფს; ირკვევა, რომ ეს ორი ნაწილი უკავშირდება [i] ხმოვნის ორ ქვედა ფორმანტს: პირველი ფორმანტი წარმოიქმნება რეზონანსით ხახასა და პირის ღრუს უკანა ნაწილში, მეორე — პირის ღრუს წინა ნაწილში. პირველი ორი ფორმანტის მდგომარეობა ხმოვანთა არსებით თვისებებს უკავშირდება. ქვემოთ მოგვყავს სიხშირეების მიხედვით ამ ფორმანტების განაწილების მიახლოებითი მონაცემები ცალ-ცალკე წარმოთქმული ინგლისური ხმოვნებისათვის.

[i] — 400 <sup>~</sup> , 2100 <sup>~</sup> ;	[ɨ] — 300 <sup>~</sup> , 1500 <sup>~</sup> ;	[u] — 450 <sup>~</sup> , 1000 <sup>~</sup> ;
[e] — 500 <sup>~</sup> ; 1800 <sup>~</sup> ;	[ə] — 600 <sup>~</sup> , 1300 <sup>~</sup> ;	[o] — 550 <sup>~</sup> , 900 <sup>~</sup> ;
[æ] — 650 <sup>~</sup> , 1700 <sup>~</sup> ;	[a] — 700 <sup>~</sup> , 1100 <sup>~</sup> ;	[ɔ] — 650 <sup>~</sup> , 800 <sup>~</sup> ;

ადვილი დასანახავია, რომ პირველი ფორმანტების სიხშირეთა განაწილება ასახავს ხმოვნების ღიაობას, მეორე ფორმანტებისა კი — ხმოვანთა რიგს. მეორე ფორმანტების სიხშირეები კლებულობს წინა რიგის ხმოვნებიდან შუა და უკანა რიგის ხმოვნებზე გადასვლისას ერთი და იმავე აწეულობის ხმოვნებში. ერთი და იმავე რიგის ხმოვნებში პირველი ფორმანტის სიხშირეები მატულობს მაღალი აწეულობის ხმოვნებიდან უფრო დაბალი აწეულობის ხმოვნებზე გადასვლისას. თუ ფორმანტების სიხშირეებს გადავიტანთ ორგანზომილებიან დიაგრამაზე, დავინახავთ, რომ მაღალი აწეულობისა და წინა რიგის ხმოვნები უფრო მაღლა და წინ მოთავსდება, ვიდრე საშუალო და დაბალი აწეულობისა და შუა და უკანა რიგის ხმოვნები. მაშასადამე, ხმოვანთა ფორმანტული სტრუქტურა შეესაბამება მათ არტიკულატორულ მახასიათებლებს.

დიაგრამაზე ვერტიკალურად გამოსახულია პირველი ფორმანტის სიხშირეები, ჰორიზონტალურად — მეორე ფორმანტისა.



## 19. თანხმოვანთა ასახვა სპექტროგრამაზე. გარდამავალი ფორმანტები

19.1. ყველა მეღერ ბგერას განსაზღვრული ჰარმონიკული სტრუქტურა აქვს. როგორც ვნახეთ, ხმოვნები მკაფიო ჰარმონიკული შედგენილობით გამოირჩევა. მეღერ თანხმოვანთა არტიკულაციის დროს სახმო სიმების ვიბრაცია უფრო სუსტი და ხანმოკლეა, ამიტომ მათი გლოტალური ტონის ასახვა სპექტროგრამაზე უფრო მოკლე და მკრთალია. არახმოვანი რეზონანტები (ნარნარა ბგერები) სპექტროგრამაზე რეზონანსულ არეებს გვიჩვენებს; ჩქამიერ თანხმოვნებს უწესრიგო ლაქების სახე აქვთ. ხშულეზის არტიკულაცია ძალიან ხანმოკლეა, თუ არ ჩავთვლით იმ „სიჩუმეს“, რომელიც ოკლუსიურ დაყოფნებაზე მოდის. ეს ფაზა სპექტროგრამაზე ცარიელი არეების სახით აღიბეჭდება. მეღერ ხშულთა წარმოქმნას სახმო სიმები მოქმედებენ როგორც დაყოფნების, ისე განხშვის დროს, რაც აღიბეჭდება „ხმის ბარიერის“ — მუქი ზოლის სახით, რომელიც სპექტროგრამის ქვედა ნაწილს გასდევს.

ცარიელი არეები სპექტროგრამაზე თავისთავად არ იძლევა თანხმოვნის ამოცნობის საშუალებას, მაგრამ მათი ამოცნობა ხერხდება მეზობელი ბგერების დახმარებით.


19.2. ხშული თანხმოვნის მომდევნო ან წინამავალი ხმოვანი გვიჩვენებს ფორმანტული სტრუქტურის გარკვეულ ცვლილებებს — ჩნდება ე.წ. გარდამავალი ფორმანტები, რომლებიც გვეხმარება მეზობელი ხშულის

ბუნების გარკვევაში. მაგალითად, [kæk] მიმდევრობის წარმოქმნას სპექტროგრამაზე ხშულებს ცარიელი არეები შეესაბამება, ხმოვანს — სათანადო ფორმანტები. დაბალი აწეულობის [æ] ხმოვნისათვის დამახასიათებელი მდგომარეობის მისაღებად [k] ბგერის წარმოქმნის შემდეგ (ე.ი. ენის ზურგის რბილ სასასთან შეხების შემდეგ) ენამ ქვემოთ მოძრაობისას უნდა გაიაროს ყველა ის წერტილი, რომლებიც უფრო მაღალი აწეულობის ხმოვნებისთვის არის დამახასიათებელი. [æ]-დან ბოლოკიდურ [k]-ზე გადასვლისას ენა გაივლის უფრო მაღალი აწეულობის ხმოვნებისათვის დამახასიათებელ ყველა წერტილს. ეს გადასვლები სპექტროგრამაზე *გარდამავალი ფორმანტების* სახით აღიბეჭდება.

მსგავსი სურათი გვექნება სხვა ხშულების (მაგალითად, [p], [t] ხშულების) შემთხვევაშიც. როგორც ჩანს, ხშული თანხმოვნები განირჩევა მხოლოდ მეზობელ ხმოვანთა ფორმანტების მდებარეობით და თანხმოვნიდან ხმოვანზე ან ხმოვნიდან თანხმოვანზე გადასვლის სხვა თავისებურებებით.

ყრუ ხშულების ამოცნობა, ჩვეულებრივ, შეიძლება მხოლოდ იმ ზეგავლენის გათვალისწინებით, რომელსაც ისინი მეზობელ ხმოვანზე ახდენენ, რაც სპექტროგრამაზე გარდამავალი ფორმანტების სახით წარმოგვიდგება. მეზობელი ბგერების ურთიერთგავლენა იმით აიხსნება, რომ მეტყველების ნაკადს ბგერათა საწყისი და საბოლოო ელემენტების მიმდევრობის სახე აქვს: ერთი ბგერის დასასრული ემთხვევა მეორე ბგერის დასაწყისს.

**19.3.** ბარდამავალი ფორმანტები შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს ბგერათა მიმდევრობის მარცვლებად დანაწევრების დროს. ცნობილია, რომ მარცვალი ენობრივი რეალობაა, ბგერათა ყოველი ბუნებრივი მიმდევრობა მარცვლებად დაიყოფა; მაგრამ დღემდე არ არსებობს მარცვლის საყოველთაოდ მიღებული მეცნიერული განსაზღვრება. ურთულეს ამოცანას წარმოადგენს მარცვალთა შორის საზღვრის დადგენაც. მაგალითად, როგორ უნდა დაიმარცვლოს მიმდევრობა აგა — როგორც ა-გა თუ როგორც აგ-ა? პასუხის მოძებნაში შეიძლება გარდამავალი ფორმანტები დაგვეხმაროს: თუ ისინი პირველ ა-სთან ჩნდება, მაშინ აგ-ა გვექნება, ხოლო თუ მეორე ა-სთან — მაშინ ა-გა.




## 20. „თეთრი ხმაურის“ აკუსტიკური ეფექტი

20.1. ხშულების ექსპლოზიას თან სდევს ჩქამი, რომელიც არ აისახება სინუსოიდის სახით. სპექტროგრამაზე ჩქამს სპეციფიკური ლაქები (და არა ფორმანტები) შეესაბამება. ისინი მიუთითებენ ენერჯის კონცენტრაციაზე სხვადასხვა შემთხვევით სიხშირეებზე. სიხშირეთა ასეთ მოუწესრიგებელ განაწილებას ფიზიკაში *თეთრ ხმაურს* უწოდებენ (იგი აღიქმება როგორც ხახუნი, ხმაური, ტყლაშუნი). „თეთრი ხმაური“ განსაკუთრებით ყრუ ნაპრალოვანი თანხმოვნებისათვის არის დამახასიათებელი; მათ შორის განსხვავებას განაპირობებს „თეთრი ხმაურის“ ადგილი სპექტრში (მჟღერი სპირანტების შემთხვევაში „თეთრ ხმაურს“ ჰარმონიკები ერთვის). მაგალითად, [θ] ბგერის წარმოქმნისას „თეთრი ხმაური“ უფრო მაღალ სიხშირეებზე მოდის, ვიდრე [s] ბგერის წარმოქმნისას; [f] და [θ] ბგერებს შორის განსხვავებას გაბმული მეტყველების დროს ხშირად ვერც კი დავადგენთ, მათ ამოცნობაში მხოლოდ კონტექსტი (მეზობელ ხმოვანთა გარდამავალი ფორმანტების ჩათვლით) თუ დაგვეხმარება.

20.2. სხვადასხვა სიხშირეზე წარმოდგენილი „თეთრი ხმაურის“ აკუსტიკური ეფექტის შემოწმებას ისახავდა მიზნად ერთი საინტერესო ექსპერიმენტი.

ბგერის სინთეზირების აპარატში, რომელშიც სპექტროგრამის შეყვანისას შესაბამისი ბგერა წარმოიქმნება, შეჰყავდათ ამგვარი ხელოვნური სპექტროგრამა:



შავი ლაქები ამ სპექტროგრამაზე ასახავენ განხშვის ჩქამს, ხაზები — პირველ ორ ფორმანტს. ცდისპირებს ასმენინებდნენ სინთეზირებულ ბგერებს, რომელთა მიმდევრობები უმრავლესობამ აღიქვა როგორც [pij], [kij], [pa], [ka]. შავი ლაქა ყველა შემთხვევაში ხშულად იქნა აღქმული,

ორი ჰორიზონტალური ხაზი კი — ხმოვნებად. საგულისხმოა, რომ [p] ხშულის ვიზუალური ანასახი [pʲ]—ში იდენტურია [k] ხშულის ანასახისა [kʰ]—ში. ამ ფაქტის დადგენა მხოლოდ სპექტროგრამის საშუალებით ხერხდება. მაგრამ ჩვენი გამოცდილება ამას ეწინააღმდეგება: [p] ხშული [pʲ]—ში ჩვენთვის ისევე ჟღერს, როგორც, ვთქვათ, [pʰ]—ში და არა როგორც [k] ხშული [kʰ]—ში. ჩვენ რატომღაც განსხვავებულად აღვიქვამთ იდენტურ ოდენობებს, განსხვავებულებს კი — ერთნაირად. როგორც ჩანს, ამ პროცესში ჩართულია ადამიანის მიერ ფიზიკური სინამდვილის აღქმის რთული მექანიზმი. ადამიანისაგან განსხვავებით, სპექტროგრაფი დროის წინა და შემდგომ მონაკვეთებს ვერ ითვალისწინებს, ის აფიქსირებს მხოლოდ მოცემულ მომენტში არსებულ ბგერას და არა უფრო ვრცელ სემანტიკებს, ხოლო აღქმა ამ შემთხვევაში მომდევნო ხმოვანზეა დამოკიდებული. ამასთანავე, ადამიანს ესმის საკუთარი მეტყველება, გრძნობს საარტიკულაციო ორგანოთა მდგომარეობასა და მოძრაობებს. საკუთარი მეტყველების მოსმენა და შეგრძნება განაპირობებს ერთგვარ უკუკავშირს, რომლის საშუალებითაც მოლაპარაკე კონტროლს უწევს, ასწორებს თავის მეტყველებას. სიყრუის შემთხვევაში სმენითი უკუკავშირი ირღვევა და არტიკულაცია შეიძლება დამახინჯდეს. იგივე ითქმის მოძრაობათა შეგრძნებაზეც — აქაც უკუკავშირი ირღვევა. ნორმალურ პირობებში ეს უკუკავშირები ერთმანეთს ავსებენ და ადამიანთა ხანგრძლივი გამოცდილება ზუსტ შესაბამისობას ამყარებს მათ შორის.

სხვისი მეტყველების მოსმენის დროს ბგერითი სიგნალები მსმენელთათვის დაახლოებით იმავე ნიშნებით ხასიათდება, რითაც თვით ამ მსმენელის მიერ წარსულში წარმოქმნილი ანალოგიური სიგნალები. არტიკულაციის შეგრძნებასა და მისი შედეგის აღქმას (მოსმენას) შორის არსებული მიჯიდრო კავშირის გამო სავარაუდოა, რომ მსმენელი ბგერითი სიგნალის მიღებისას მის ელემენტებს ნაწილობრივ მაინც უდარებს იმ აკუსტიკურ ეფექტს, რომელსაც იგი მიაღწევდა საარტიკულაციო ორგანოების ამა თუ იმ მოძრაობების საშუალებით.

**20.3.** *0*-უ ზემოთ აღწერილ ექსპერიმენტს დაგუბრუნდებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცდისპირი [pʲ] მიმდევრობაში თავკიდურ ჩქამს აიფიქვებდა ისეთ ჩქამთან, როგორსაც იგი მოცემულ გარემოცვაში ბილაბიალური მოძრაობით წარმოქმნიდა, და ამიტომ მას [p] ბგერას უკავშირებდა. სხვა გარემოცვაში ამავე სიხშირეზე წარმოდგენილ ჩქამს იგი დორსოველარულ მოძრაობასთან აკავშირებდა და [k] ბგერად აღიქვამდა. ამ ექსპერიმენტიდან ჩანს, რომ ბგერათა შესწავლისას მნიშვნელოვანია როგორც აკუსტიკური, ისე არტიკულატორული ფონეტიკის მეთოდების გამოყენება, ისინი ერთმანეთს ავსებენ. არტიკულატორულ ტერმინებში ბგერათა აღწერა ნაკარნახევია არა მარტო პრაქტიკული მოსაზრებით,

არამედ იმითაც, რომ არტიკულატორული მახასიათებლები ხშირად ასახვენ იმ საფუძველს, რომელსაც ემყარება ბგერის აღქმა მსმენელის მიერ.

როგორც ვნახეთ, სპექტროგრამაზე აისახება ბგერათა ის თვისებები, რომლებიც სმენით აღიქმება. ამავე დროს, იგი გვიჩვენებს, თუ რა ფიზიკურ ცვლილებებს იწვევს ბგერაში ესა თუ ის არტიკულაცია. მაშასადამე, შესაძლებელია ბგერის ფიზიკურ ასახვასა და არტიკულატორულ თავისებურებებს შორის შესაბამისობის დადგენა. ეს დაგვეჩვენება იმის გარკვევაში, თუ როგორ აღვიქვამთ ბგერებს და როგორ წარმოვიქმნით გაგონილს, რაც ენის, როგორც ბგერით ნიშანთა სისტემის, შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა. ამ პრობლემის სხვადასხვა ასპექტი ლინგვისტიკის ფარგლებს სცილდება, ისინი საზიაროა ლინგვისტიკისა და მეცნიერების სხვა დარგებისათვის.

## 21. თანხმოვანთა და ხმოვანთა აკუსტიკური კლასიფიკაცია

21.1. ზემოთ საუბარი გვიქონდა ბგერათა აკუსტიკურ მახასიათებლებზე. როგორც ითქვა, თანხმოვანთა აკუსტიკურ აღწერას ართულებს ის, რომ მათ მკვეთრად გამოხატული ფორმანტული სტრუქტურა არ გააჩნიათ. ახლა განვიხილოთ თანხმოვანთა კლასები, რომლებიც მათი აკუსტიკური თავისებურებების საფუძველზე გამოიყოფა.

უკვე აღვნიშნეთ, რომ თანხმოვნები შეიძლება იყოს წყვეტილი ანუ *მკესეული* (ინგლ. *interrupted, discontinuous*), ან გაგრძელებული ანუ *მყოფარი* (ინგლ. *continuous*). მკესეულ თანხმოვნებს (ხშულებს) ახასიათებთ მკაფიო, მკვეთრი შემართვა, რაც იწვევს მეზობელ ხმოვანთა ფორმანტული სტრუქტურის ცვლას. შემართვას სრული სიჩუმის (ოკლუზიის) პერიოდი მოსდევს. მყოფარ თანხმოვნებს (ფრიკატივებს) თანდათანობითი შემართვა აქვთ.

*გლოტალიზებულ თანხმოვნებს* (ინგლ. *checked*) ახასიათებთ ტალღის მოჭრილი ბოლო, სპექტროგრამაზე — მკვეთრი დასაწყისი; მათი დამართვა *არაგლოტალიზებულ* (ინგლ. *unchecked*) თანხმოვნებთან შედარებით მყისიერია.

იმ თანხმოვნებს, რომლებსაც უფრო ინტენსიური ჩქამი აქვთ, *მძაფრი* (ინგლ. *strident*) თანხმოვნები ეწოდება. მათი ტალღა არარეგულარული ფორმისაა, სპექტროგრამაზე შეიმჩნევა შავი ლაქების შემთხვევითი განაწილება. *არამძაფრი* (ინგლ. *mellow*) თანხმოვნების სპექტროგრამაზე შავ არეებს ჰორიზონტალური და ვერტიკალური ზოლების სახე აქვთ. მძაფრი თანხმოვნების გაძლიერებული ჩქამი გამოწვეულია უფრო რთული დაბრკოლების არსებობით არტიკულაციის დროს (კბილები და ნაქი და-

მატებით დაბრკოლებებს ქმნიან). მაგალითად, ლაბიოდენტალები მძაფრია ბილაბიალურ ბგერებთან შედარებით, სიბილანტები - დენტალურ და პალატალურ სპირანტებთან შედარებით, უვულარული თანხმოვნები - ვულარებთან შედარებით. უფრო რთული დაბრკოლება ჰაერნაკადის უფრო მოუწესრიგებელ მოძრაობას იწვევს, რაც აძლიერებს ჩქამს, ამიტომ აფრიკატები მძაფრი ბგერებია.

**21.2.** ბგერის წყარო განაპირობებს თანხმოვანთა ისეთ მახასიათებლებს, როგორიც არის: *მულერო-არამულერი, მძაფრო-არამძაფრო გლოტალიზებული-არაგლოტალიზებული, მეყსეული-მყოვარი* ხმოვანთა და თანხმოვანთა ერთნაირ ტერმინებში დახასიათება შეიძლება *რეზონანსული მახასიათებლების* საშუალებით.

*კომპაქტურ* (ინგლ. *compact*, ლათ. *compactus* „მკვრივი“) ბგერათა სპექტროგრამაზე დომინირებს ცენტრალური ფორმანტული არე, ხოლო *დიფუზურ* (ინგლ. *diffuse*, ლათ. *diffusio* „გაშლა“, „გაფანტვა“) ბგერათა სპექტროგრამაზე - არაცენტრალური არე. ხმოვნების შემთხვევაში ამ მოვლენას პირველი ფორმანტის მდებარეობა გამოხატავს. თუ ის ახლოს არის უფრო მაღალ ფორმანტებთან, ე.ი. უფრო მაღლაა მოთავსებული, ხმოვანი უფრო კომპაქტურია: [a], [e], [o] კომპაქტურია, [i] და [u] - დიფუზური. თანხმოვნების შემთხვევაში კომპაქტურობა გამოიხატება მთავარი ფორმანტული არის ცენტრალური მდებარეობით, ხოლო დიფუზურობა - არაცენტრალურით (იგულისხმება გარდამავალი ფორმანტების განლაგება). მაგალითად, [k], [g] თანხმოვნები კომპაქტურია, [p], [b] - დიფუზური. ეს ფაქტი გვეხმარება ზემოთ აღწერილი ექსპერიმენტის შედეგების გაგებაში: დიფუზური [i] ხმოვნის წინ ხელოვნურად სინთეზირებული ერთი და იგივე ჩქამიერი თანხმოვანი აღქმულ იქნა დიფუზურ [p] თანხმოვნად, ხოლო კომპაქტური [a] ხმოვნის წინ - კომპაქტურ [k] თანხმოვნად.

ძირითადი არტიკულატორული განსხვავება კომპაქტურ და დიფუზურ ბგერებს შორის დაკავშირებულია რეზონანსული ღრუების ფორმასა და სიდიდესთან. თანხმოვნების შემთხვევაში მოცემული განსხვავება ვლინდება არტიკულაციის წერტილის წინ და მის უკან არსებული სარეზონანსო არეების მოცულობათა შეფარდებაში. ეს შეფარდება უფრო დიდია კომპაქტური ბგერების შემთხვევაში, ამიტომ ვულარული და პალატალური თანხმოვნები უფრო კომპაქტურია, ვიდრე პირის ღრუს წინა ნაწილში წარმოქმნილი თანხმოვნები. ხმოვნების შემთხვევაში კომპაქტურობა მატულობს ენის დაწვეასთან ერთად: მაქსიმალურად ღია [a] ხმოვანი ყველაზე უფრო კომპაქტურია.

**21.3.** რეზონანსულ მახასიათებელთა რიცხვს განეკუთვნება *ტონალური ნიშნების* ჯგუფი. განვიხილოთ თითოეული ნიშანი ამ ჯგუფიდან.

თუ სპექტროგრამაზე ჭარბობს სპექტრის ქვედა ნაწილი, ბგერა *დაბალი ტონალობისაა* (ინგლ. *grave*), ხოლო თუ ზედა ნაწილი ჭარბობს, ბგერა *მაღალი ტონალობისაა* (ინგლ. *acute*). ამ ნიშნის განმსაზღვრელია მეორე ფორმანტის მდებარეობა — თუ ის ახლოს არის პირველ ფორმანტთან, ბგერა დაბალია, ხოლო თუ ის მესამე და უფრო მაღალ ფორმანტებთან არის ახლოს, ბგერა მაღალია. თანხმოვნების შემთხვევაში აქაც გარდამავალ ფორმანტებს ვითვალისწინებთ. დაბალი ბგერები წარმოიქმნება უფრო დიდი მოცულობისა და ნაკლებად დანაწევრებულ პირის ღრუში. ესენია: ლაბიალური თანხმოვნები — დენტალურის საპირისპიროდ, ველარები — პალატალების საპირისპიროდ, უკანა რივის სმოვნები — წინა რივის სმოვნების საპირისპიროდ;

*ბემოლურ* (ინგლ. *flat*) ბგერათა სპექტროგრამაზე დაწეულია რამდენიმე ან ყველა ფორმანტი (შდრ. ბემოლი მუსიკაში) *მარტივ* (ინგლ. *plain*) ბგერებთან შედარებით: ბემოლურ ბგერებს არტიკულატორულად ახასიათებთ პირის ღრუს წინა ნაწილის დავიწროება და ამის გამო ხანუნი ზრდა ბაგეების არეში. ანალოგიურ ბემოლურ ეფექტს იძლევა ხანის ღრუს დავიწროება ანუ ფარინგალიზაცია. აღსანიშნავია, რომ სიტყვათა სესხებისას იმ ენებში, რომლებშიც არ დასტურდება ფარინგალიზებული თანხმოვნები, ხდება მათი შენაცვლება ლაბიალიზებული თანხმოვნებით, რაც მიუთითებს ფარინგალიზაციისა და ლაბიალიზაციის მსგავსებაზე აღქმის თვალსაზრისით. ეს ორი მოვლენა ერთსა და იმავე ენაში არასდროს არ გვხვდება.

მეორე და მასზე უფრო მაღალი ფორმანტების აწევა დამახასიათებელია *დიეზური* (ინგლ. *sharp*) ბგერებისათვის (შდრ. დიეზი მუსიკაში). დიეზურ ბგერათა წარმოქმნისას წინა ენა აიწევს მაგარი სასისაკენ, პირის ღრუ დანაწევრებულია; ასეთი ბგერები პალატალიზებული ბგერებია. დიეზურ ბგერებს *მარტივი* ბგერები უპირისპირდება.

**21.4.** ჩამოთვლილი ნიშნების გარდა, რეზონანსულ მახასიათებელთა რიცხვს განეკუთვნება *დაძაბულობა* — *არადაძაბულობა* და *ნაზალიზაცია*. სათანადო ბგერათა არტიკულატორულ თავისებურებებზე უკვე ვისაუბრეთ, ახლა მათ აკუსტიკურ თავისებურებებს შევვებით.

*დაძაბულ* (ინგლ. *tense*) ბგერათა სპექტროგრამაზე ნეიტრალური მდგომარეობიდან ფორმანტების ჯამური გადახრა უფრო მეტად არის გამოხატული, ვიდრე *არადაძაბული* (ინგლ. *lax*) ბგერების სპექტროგრამაზე, რაც სუპრაგლოტალური ორგანოების მეტ დეფორმაციას უკავშირდება. მაგალითად, ფშვინვიერი თანხმოვნები უფრო დაძაბულია არა-



ფშვინგიერ თანხმოვნებთან შედარებით, ყრუ თანხმოვნები — მჟღერებთან შედარებით. ამ ნიშნით განსხვავდება, ვთქვათ, თავკიდური ბგერები ისეთ ინგლისურ სიტყვებში, როგორიცაა pill „აბი“ — bill „კანონპროექტი“; შდრ., აგრეთვე, დაძაბული და არადაძაბული ხმოვნები: ფრ. saute [sɔt] „გადახტი“ — sotte [sɔt] „ბრიყვი“, იტალ. torta [tɔrta] „ტორტი“ — torta [tɔrta] „მრუდე“.

ნაზალიზაციას სპექტროგრამაზე ფორმანტების მეტი სიმჭიდროვე ახასიათებს. პირველი და მეორე ფორმანტების ინტენსივობა მცირდება, მათ შორის ჩნდება დამატებითი ფორმანტი. ნაზალიზაციისათვის დამახასიათებელ ფორმანტებს ჰორიზონტალური წრფეების სახე აქვთ, გადასვლა მეზობელ ბგერებზე მკვეთრია. ნაზალიზაციით ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგალითად, ფრ. banc [bã] „სკამი“ — bas [ba] „დაბალი“, ინგლ. ding [diŋ] „ზარის ხმა“ — dig [dig] „თხრა“ და სხვ.

## ფონოლოგია

### 1. ფონოლოგიური და არაფონოლოგიური ბგერითი დაპირისპირებები

1.1. ბქამდე ჩვენ ვახასიათებდით ბგერათა ფიზიოლოგიურ და აკუსტიკურ ბუნებას, მაგრამ არ შევხებივართ არც მათ ფუნქციებს ენობრივ სისტემაში და არც ბგერითი ელემენტების ურთიერთმიმართებებს.

ენაში სამეტყველო ბგერათა ფუნქციონირებას შეისწავლის ენათმეცნიერების დარგი, რომელსაც *ფონოლოგია* (ბერძნ. *phōnē* „ბგერა“, *lógos* „სიტყვა“, „მოძღვრება“) ეწოდება.

როგორც ითქვა, ბგერათა გარკვეული მიმდევრობები ქმნიან ენობრივ ერთეულებს, ნიშნებს. რასაც ერთსა და იმავე ბგერებად აღვიქვამთ, სინამდვილეში განსხვავებული ოდენობებია. მაგალითად, ქართულ სიტყვებში *ბარი*, *ბურთი*, *ბირთვი* თავკიდური თანხმოვანი გვესმის როგორც ერთი და იგივე ბგერა, მაგრამ რეალურად აქ აკუსტიკურად განსხვავებული ბგერები დასტურდება. კერძოდ, სიტყვაში *ბირთვი* გვაქვს ოდნავ პალატალიზებული [b<sub>i</sub>], სიტყვაში *ბურთი* — ველარიზებული [b<sub>v</sub>], ხოლო სიტყვაში *ბარი* — არაპალატალიზებული და არაველარიზებული [b], მაგრამ ქართულად მოლაპარაკე ამ განსხვავებებს ვერ ამჩნევს. ასევე, მაგალითად, სიტყვაში *ჩანგი* მეორე ბგერა ოდნავ ნაზალიზებულია (ის პირობითად შეიძლება [ǰ] სიმბოლოთი აღვნიშნოთ), ხოლო სიტყვაში *ჩარხი* — არ არის ნაზალიზებული; ქართულად მოლაპარაკისათვის ეს განსხვავებაც შეუმჩნეველია.

ფონეტიკის ნაწილში აღვნიშნეთ, რომ ერთი და იმავე ბგერის ორჯერ წარმოთქმა შეუძლებელია: ბგერა მომენტალური აქტია, რომელიც ზუსტად ერთი და იმავე სახით არასდროს არ მეორდება. ისმის კითხვა: რა მარეგულირებელი პრინციპით ხდება ენაში ბგერებს შორის არსებული უამრავი განსხვავების უგულებელყოფა, აღქმაში მათი გაერთიანება? რატომ აღიქმება სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადამიანის მიერ სხვადასხვა ვითარებაში წარმოთქმული ბგერები ერთნაირად?

ქართული ენის თვალსაზრისით თავკიდურ ბგერებს შორის განსხვავება, ერთი მხრივ, სიტყვებში *ბარი*, *ბურთი*, *ბირთვი* და, მეორე მხრივ, სიტყვებში *ბარი*, *ფარი* სხვადასხვაგვარია.

ნებისმიერი ორი ერთმანეთთან დაკავშირებული ობიექტი ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათ შორის არსე-

ბობს დაპირისპირების ანუ ოპოზიციის (ლათ. *oppositio*) მიმართება (მას „~“ სიმბოლოთი აღვნიშნავთ). ისეთ წყვილებში, როგორიც არის ბარო-ფარი, ბერო-ფერი, ბარო-ბერი, ფარი-ფერი, სიტყვებს შორის არსებული შინაარსობრივი სხვაობა მხოლოდ [b]~[p'] და [a]~[ɛ] დაპირისპირებით არის გამოხატული. ქართულში [b] ისე უპირისპირდება [p']-ს და [a] ისე უპირისპირდება [ɛ]-ს, რომ ამ დაპირისპირებებით შეიძლება გამოხატოს განსხვავება გამონათქვამებს შორის.

ისეთ ორ სიტყვას (ნიშანს), რომლებიც ერთმანეთისაგან მხოლოდ ერთი ბგერით განსხვავდებიან, მინიმალური წყვილი ეწოდება. საიდან ჩანს, რომ, მაგალითად, ბარო-ფარი და ბერო-ფერი წყვილები ერთმანეთისაგან მხოლოდ ერთი ბგერით, ერთი ელემენტით არიან განსხვავებულნი? აქ რომ ერთზე მეტი განსხვავებული ელემენტი ყოფილიყო, როგორც, მაგალითად, ბარი-ფერი სიტყვების შემთხვევაში, ქართულში უნდა გვქონოდა მოცემული სიტყვებისაგან უფრო ნაკლებ განსხვავებული მესამე სიტყვა; ამ სიტყვას უნდა ჰქონოდა ბარი სიტყვასთან ისეთი საერთო ბგერა, რომელიც მას ფარი სიტყვისაგან განასხვავებდა, და ფარი სიტყვასთან ისეთი საერთო ბგერა, რომელიც მას ბარი სიტყვისაგან განასხვავებდა. ქართულში ასეთ მესამე სიტყვას ვერ აღმოვაჩინთ. ანალოგიური ვითარება გვაქვს ბარო-ბერი, ფარი-ფერი, ვალო-ველი და სხვა წყვილებში. მაშასადამე, ისინი მინიმალური წყვილებია.

სულ სხვა ვითარებაა ბარი, ბურთი, ბირთვი სიტყვების შემთხვევაში. ქართულში არ არსებობს სიტყვათა არც ერთი ისეთი წყვილი, რომლის წევრებს შორის განსხვავება [b]~[b<sub>u</sub>] ან [b]~[b<sub>i</sub>], ან კიდევ [b<sub>u</sub>]~[b<sub>i</sub>] დაპირისპირებით იქნებოდა გამოხატული. ანალოგიური ვითარებაა ჩანგა, ჩარხი სიტყვების შემთხვევაში. ამიტომ [b]~[p<sup>h</sup>], [a]~[ɛ] დაპირისპირებებს ქართულში მნიშვნელობის განმასხვავებელი ფუნქცია აქვს; მათი მეშვეობით ერთი გამონათქვამი შეიძლება განვასხვაოთ მეორისაგან, მაშინ როდესაც [b]~[b<sub>u</sub>], [b]~[b<sub>i</sub>], [b<sub>u</sub>]~[b<sub>i</sub>], [ā]~[a] დაპირისპირებები მოკლებულია ამ ფუნქციას.

ბგერითი დაპირისპირება ერთ ენაში შეიძლება ასხვავებდეს გამონათქვამთა მნიშვნელობას, სხვა ენაში — არა. მაგალითად, ზემოთ მოყვანილი [ā]~[a] დაპირისპირება ქართულში, როგორც ვნახეთ, არ არის მნიშვნელობის განმასხვავებელი, ე.ი. არ მოიძებნება ისეთი მინიმალური წყვილები, რომელთა წევრებს შორის განსხვავება მხოლოდ ამ დაპირისპირებით გამოიხატება. ფრანგულში ამავე დაპირისპირებას სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია აქვს: შდრ. ფრ. cent [sā] „ასი“~sa [sa] „მისი“, lent [lā] „ნელი“~là [la] „იქ“ და სხვ. როგორც ვხედავთ, ფიზიკურად დაახლოებით ერთნაირი ბგერების ღირებულება სხვადასხვა ენაში განსხვავებულია, ისინი იქ სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ. ასევე, მაგალითად,

[l]~[r] დაპირისპირება ფუნქციურად არ არის ღირებული იაპონურში, ხოლო ქართულში, რუსულში, ინგლისურში და ბევრ სხვა ენაში ის ასხვავებს სიტყვათა მნიშვნელობებს; ასე, მაგალითად, ქართულში გვაქვს *ქალი* - *ქარი*, *ცლის* - *ცრის*, *მოლი* - *მორი* და სხვ.

ბგერით დაპირისპირებას, რომლის საშუალებითაც ხდება ენობრივ ნიშანთა (სიტყვათა) ერთმანეთისაგან განსხვავება, *ფონოლოგიურად ღირებული* ანუ *ფონოლოგიურად რელევანტური* (ინგლ. *relevant*) ან, მარტივად, *ფონოლოგიური* (აგრეთვე: *მნიშვნელობის განმასხვავებელი*, *დისტინქციური* - ლათ. *distinctio* „განსხვავება“) დაპირისპირება ეწოდება. ამის საპირისპიროდ, *ფონოლოგიურად არელევანტური*, *არაღირებული* ანუ *არაფონოლოგიური დაპირისპირება* მნიშვნელობას ვერ ასხვავებს.

1.2. ბგერებს შორის განსხვავება ხშირად დამოკიდებულია მათ გარემოცვაზე, იმ პოზიციებზე, რომლებშიც ისინი დასტურდება. ბგერები შეიძლება იყოს ურთიერთშენაცვლებადი ან ურთიერთგამომრიცხავი. *ურთიერთშენაცვლებადი* ისეთი ბგერები, რომლებიც მოცემულ ენაში კონტრასტული დისტრიბუციით ხასიათდება, ე.ი. ისინი შეიძლება ერთსა და იმავე ფონეტიკურ გარემოცვაში შეგვხვდეს. მაგალითად, ქართული [b] და [p'] (*ბარი* - *ფარი*) ურთიერთშენაცვლებადი ბგერებია. *ურთიერთგამომრიცხავი* ბგერები, რომელთაც დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულება ახასიათებთ, ე.ი. ისინი ერთსა და იმავე ფონეტიკურ გარემოცვაში არასდროს არ დასტურდება. ასეთია, მაგალითად, [f] და [v] ბგერები ქართულში: პირველი მათგანი გვხვდება მხოლოდ ყრუ თანხმოვნებისა და პაუზის წინ (ანუ სიტყვის ბოლოში), მეორე — დანარჩენ ფონეტიკურ გარემოცვებში; *შდრ.* *ეთესაფ* [ft'esaf] ~ *ველი* [veli], *ვზივარ* [vzivar] და სხვ. ადვილი დასანახავია, რომ ურთიერთგამომრიცხავი ბგერები ვერ შექმნიან ფონოლოგიურ დაპირისპირებებს, რადგან გამორიცხულია მხოლოდ ამ ბგერებით დაპირისპირებული *მინიმალური წყვილების* არსებობა. ცხადია, შეიძლება მოიძებნოს სიტყვები, რომელთა შორის განსხვავება გამომხატული იქნება ურთიერთგამომრიცხავი ბგერებით, მაგრამ ეს სიტყვები მინიმალურ წყვილს ვერ შეადგენენ. მაგალითად, *ეთლი* [ft'li] და *ვალი* [vali] სიტყვებს შორის განსხვავება ემყარება არა [f]~[v] დაპირისპირებას, არამედ ფონოლოგიურად რელევანტურ [t']~[a] დაპირისპირებას. ამგვარად, დაპირისპირება ფონოლოგიურია, თუ ის მოცემულ ენაში გამოიყენება ორი სიტყვის (ნიშნის) ერთადერთ განმასხვავებელ საშუალებად. მაშასადამე [v] და [f] ქართულში ურთიერთგამომრიცხავი ბგერებია, რომელთა მეშვეობით ვერ შეიქმნება მინიმალური წყვილები. განსხვავებული ვითარებაა, მაგალითად, ინგლისურში, სადაც

[f]~[v] ფონოლოგიურად რელევანტური დაპირისპირებაა: შდრ. ინგლ. van [væn] „ვაგონი“~fan [fæn] „მარაო“ და სხვ.

## 2. ფონემური ანალიზის ამოცანები

2.1. ფონეტიკოსი ტექსტის ჩაწერისას აღნიშნავს ბევრ ისეთ ბგერით განსხვავებას, რომლებიც ამ ენაზე მკვიდრი მოლაპარაკეების უმრავლესობისათვის შეუმჩნეველია (ეს ეხება თუნდაც [v]~[f] განსხვავებას ქართულში), რადგან ეს ბგერები ურთიერთგამომრიცხავია; ისინი ფონოლოგიურ დაპირისპირებას მოცემულ ენაში ვერ ქმნიან.

ბგერათა ანალიზს, რომლის მიზანია ენაში ფონოლოგიურ დაპირისპირებათა გამოყოფა, *ფონემური ანალიზი* ეწოდება. იგი საშუალებას გვაძლევს გაფართიანოთ მოცემული ენის ბგერები სასრული რაოდენობის მკაცრად განსაზღვრულ კლასებად. ყოველი ასეთი კლასის თითოეული წევრი უპირისპირდება (ე.ი. რაღაც ფონეტიკური ნიშნით განსხვავდება) ამავე კლასის სხვა წევრებს ისე, რომ ეს დაპირისპირება არ არის ფონოლოგიურად ღირებული; ამავე დროს, იგი ფონოლოგიურად უპირისპირდება სხვა კლასების წევრებს. მაშასადამე, კლასის შიგნით ბგერები ურთიერთგამომრიცხავია, სხვადასხვა კლასში შემაჯავალი ბგერები კი ურთიერთშენაცვლებადი. მაგალითად, ქართულში ურთიერთგამომრიცხავი [v] და [f] ბგერები ერთ კლასში შედის, ხოლო ურთიერთშენაცვლებადი [b] და [p'] ბგერები — სხვადასხვა კლასში.

რა უპირატესობა აქვს ასეთ ანალიზს ენის ბგერითი შედგენილობის დეტალურ ფონეტიკურ აღწერასთან შედარებით? ჯერ ერთი, როგორც ითქვა, ყველა სამეტყველო ბგერის აბსოლუტურად ზუსტი აღწერა პრინციპულად შეუძლებელია მათი პრაქტიკულად უსასრულო სიმრავლის გამო. გარდა ამისა, როგორც ვნახეთ, ბგერათა შორის განსხვავებებს ენაში სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვა აქვთ და წმინდა ფონეტიკური აღწერა არ იძლევა საშუალებას, გამოვყოთ არსებითი იმ არაარსებითისაგან, რაც ყოველ ენობრივ გამონათქვამშია წარმოდგენილი. თუ ფონოლოგიურად ირელევანტური, სოციალურად არაარსებითი განსხვავებები-საგან აბსტრაქტიზებას არ მოვახდენთ, სრულ წარმოდგენას ვერ შევიქმნით ჩვენი საკომუნიკაციო სისტემის — ენის — ფუნქციონირების შესახებ.

როდესაც რაღაც ობიექტების კლასიფიკაციას ვახდენთ, ჩვენ მათ ვაჯგუფებთ გარკვეული თვალსაზრისით არსებითი თვისებების მიხედვით და უგულებელვყოფთ არაარსებითს, იმას, რაც შეიძლება საერთო ჰქონდეს სხვადასხვა ჯგუფის (კლასის) ობიექტებს. ასე, მაგალითად, „წიგნების“ კლასში ობიექტების გაერთიანებისას ვითვალისწინებთ არა მათ

ფერს, ფორმას, ყდის მასალას და სხვა არაარსებით ნიშნებს, არამედ ისეთ ნიშნებს, როგორიც არის მათი შინაარსი და დანიშნულება.

ენაში არსებითია ბგერათა ის ნიშნები, რომლებიც მნიშვნელობის განმასხვავებელ დაპირისპირებებს ქმნიან. თუ მათ სრულად გამოვყოფთ და ამომწურავად დავახასიათებთ, ენის ფუნქციონირების ერთ-ერთ ძალიან მნიშვნელოვან მხარეს აღვწერთ. ლინგვისტიკის ამოცანაა *მეტყველების* ფაქტების ანალიზის საფუძველზე *ენის* სისტემის გამოვლენა.

სისტემაში ერთი და იმავე ღირებულების მქონე ბგერათა კლასების გამოყოფა ასახავს იმ კანონზომიერებებს, რომლებიც მოცემულ ენაში მოქმედებს. სწორედ ამიტომ აღიქმება ერთმანეთისაგან ობიექტურად განსხვავებული, მაგრამ საერთო კლასში შემაგალი ბგერები ერთსა და იმავე ბგერად, ამიტომ ვერ ხედავს მკვიდრი მოლაპარაკე მათ შორის განსხვავებას.

**2.2. ჰეწოდოთ ფონოლოგიური ერთეული** ფონოლოგიურად რელევანტური დაპირისპირების წევრს. განსაზღვრებიდან გამომდინარე, ფონოლოგიური ერთეულები შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავებული იყოს მოცულობით. მაგალითად, *ღობე-ნალი* ობოზიციაში არ არის არც ერთი საერთო სეგმენტი, ეს სიტყვები გამონატულების თვალსაზრისით მთლიანად განსხვავებულია. ნაკლებია განსხვავება, ვთქვათ, *ნალი-ხელი* სიტყვებს შორის, რომელთაც ბოლო სეგმენტები ერთნაირი აქვთ. ამ ობოზიციაში მონაწილე ფონოლოგიური ერთეულები შეიძლება დაგშალოთ ერთმანეთს მიყოლებულ უფრო მცირე ერთეულებად. ასე, *ნალი-ხელი*, *ნალი-ვალი* მინიმალური წყვილებიდან გამოიყოფა [a], [E], [n] ერთეულები; *ხელი-ხალი*, *ხელი-ხელი* წყვილების შეპირისპირების შედეგად გამოცალკევდება [E], [a], [x], [n] ფონოლოგიური ერთეულები, რომლებსაც ქართულში უფრო მცირე წრფივ, სეგმენტურ ერთეულებად ვეღარ დავშლით. მართალია, ფონეტიკური თვალსაზრისით ეს ბგერები შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც გარკვეულ ნიშანთა ერთობლიობა, მაგალითად, [E] დავახასიათოთ როგორც *საშუალო აწეულობის წინარიგის არაღაბიალიზებული ხმოვანი*; მაგრამ ასეთ ნიშნებს დამოუკიდებელ სეგმენტურ ფონოლოგიურ ერთეულებად ვერ მივიჩნევთ, რადგან ისინი ერთმანეთს დროში კი არ მისდევენ, არამედ ერთდროულად არიან წარმოდგენილნი. ამას მინიმალურ წყვილებზე შემოთ ჩატარებული ოპერაციებიც გვიჩვენებენ. მაშასადამე, [E] უმცირესი ფონოლოგიური ერთეულია. იგივე ითქმის [a], [x], [n] ერთეულებისა და მსგავსი პროცედურით მიღებული სხვა ერთეულების შესახებ.

თუ მოცემული ბგერითი დაპირისპირება სხვა მინიმალურ წყვილებშიც დასტურდება, მაშინ უფრო მეტი დამაჯერებლობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ უმცირეს ფონოლოგიურ ერთეულებთან გვაქვს საქმე.

### 3. ფონემის ცნება. ფონემა და ბგერა

3.1. ფონოლოგიურ ერთეულს, რომელიც მოცემულ ენაში აღარ დაიშლება დროში ერთმანეთის მომდევნო უფრო მცირე ფონოლოგიურ ერთეულებად, *ფონემა* (ბერძნ. *phōnēma* „ბგერა“, „ხმა“) ეწოდება. ამ განსაზღვრებას დაავაზუსტებთ, როდესაც უკეთ გავცნობით ენის გამოხატულების პლანის ერთეულთა ბუნებასა და ფუნქციონირებას. შეიძლება აღვნიშნოთ, რომ *ფონემა* არის ენის ბგერითი მხარის ელემენტი, რომელსაც ვიყენებთ ერთი გამონათქვამის მეორისაგან განსასხვავებლად. ფონოლოგიის საგანს სწორედ *ფონემათა* სხვადასხვა თვალსაზრისით შესწავლა შეადგენს.

ამგვარად, ფონემა ენის უმცირესი სეგმენტური ფონოლოგიური ერთეულია. თითოეული სიტყვა შეიძლება ფონემათა მიმდევრობის სახით წარმოვადგინოთ. ეს ისე როდი უნდა გავფიქროთ, თითქოს ფონემები აგურები იყოს, რომლებსგანაც სიტყვათა აგება შეიძლება. ენობრივ სისტემაში ყოველი სიტყვა სტრუქტურული მთლიანობაა, მსმენელი მას სწორედ მთლიან ოდენობად აღიქვამს (ისევე, როგორც ნაცნობს ქუჩაში ვცნობთ არა მისი ცალკეული ნაკვთებისა თუ თვისებების მიხედვით, არამედ საერთო გარეგნობის მიხედვით). სიტყვა სტრუქტურაა, ხოლო სტრუქტურის ამოცნობა, *იდენტაფიკაცია* გულისხმობს სხვა სტრუქტურებისაგან რაღაც ნიშნებით მის განსხვავებასაც. გამოხატულების პლანში სიტყვები ერთმანეთისაგან სწორედ ფონემებით განსხვავდება. თითოეული სიტყვა უნდა შეიცავდეს იმდენ ფონემას და ისეთი თანმიმდევრობით, რომ შევძლოთ იგი სხვა სიტყვებისაგან განვასხვაოთ. ამავე დროს, თითოეული ფონემა წარმოდგენილი იქნება განმასხვავებელ ნიშნად რომელიმე სხვა მიმდევრობაში, ამავე ენობრივი სისტემის სხვა სიტყვებში. სიტყვები ფონემათა ერთი და იმავე სისტემის ელემენტთა განსაზღვრული კომბინაციებით გამოიხატება და ამიტომ ფონემათა რაოდენობა ენებში სიტყვათა რაოდენობაზე გაცილებით ნაკლებია.

ზემოთქმული არ ეწინააღმდეგება დებულებას, რომლის მიხედვით, სიტყვა უფრო მეტია, ვიდრე ფონემათა ჯამი. სიტყვა შეიძლება შევადაროთ მუსიკალურ მელოდიას, რომელიც შემადგენელ ტონებად დაიშლება, მაგრამ ამ ტონების უბრალო ჯამს არ წარმოადგენს; მას აქვს კიდევ რაღაც თვისება, რომელიც მელოდიას მთლიანობად, მუსიკალურ სტრუქტურად აქცევს.

თავის მხრივ, მეტყველების ნაკადი შეიძლება შევადაროთ მუსიკალურ ნაწარმოებს, რომელსაც აქვს როგორც მელოდური — ჰორიზონტალური, ისე ჰარმონიული — ვერტიკალური სტრუქტურა. პირველს ქმნის ტონების მიმდევრობა დროში, მეორეს კი — მათი თანადროული უღერადობა. ფონემა თანაუღერადობის, აკორდის მსგავსია, ხოლო დიფერენციალური ნიშნები — აკორდის შემაღვენილი ტონებისა.

**3.2.** ფონოლოგიურ ოპოზიციაში ბგერების მონაწილეობა განპირობებულია მათი ფონოლოგიურად ღირებული (რელევანტური, დისტინქციური, ფონოლოგიური) ანუ დიფერენციალური (ლათ. *differentia* „განსხვავება“) ნიშნებით. მაგალითად, ქართული ხმოვნებისათვის ნაზალიზაცია არ არის ფონოლოგიურად ღირებული ნიშანი, იგი ვერ ქმნის ფონოლოგიურ ოპოზიციას.

როგორც ვნახეთ, [b]-[p'] დაპირისპირება ქართულში ფონოლოგიურად რელევანტურია. [b] არის წყვილბაგისმიერი მჟღერი თანხმოვანი ორალური ხშვით, [p'] — წყვილბაგისმიერი ყრუ ასპირირებული თანხმოვანი ორალური ხშვით. მათ შორის დაპირისპირება იმას ემყარება, რომ [b] ბგერის წარმოქმნას სახმო სიმების ვიბრაცია ანლავს, იგი მჟღერია, ხოლო [p'] ბგერის წარმოქმნას სახმო სიმები უმოქმედოა, [p'] ყრუ ბგერაა. სწორედ მჟღერობა-სიყრუის თვალსაზრისით უპირისპირდება ეს ორი ბგერა ერთმანეთს, ე.ი. მათთვის ეს ნიშანია ფონოლოგიურად ღირებული. იმის გამო, რომ ფონემა აუცილებლად ფონოლოგიური ოპოზიციის წევრია, იგი ხასიათდება მოცემული ბგერის მხოლოდ ფონოლოგიურად ღირებული ნიშნებით. მაშასადამე, ფონემა არის კონკრეტული ბგერის ფონოლოგიურად რელევანტურ ნიშანთა ერთობლიობა.

**3.3.** მეტყველებისას წარმოქმნილი (და გაგონილი) ყოველი ბგერა ფონოლოგიურად ღირებული ნიშნების გარდა არაფონოლოგიურ ნიშნებსაც შეიცავს. მაგალითად, [ã] ქართულ სიტყვაში *ჩანგი* შეიცავს ქართული ხმოვნებისათვის ისეთ ფონოლოგიურად ირელევანტურ ნიშანს, როგორც არის ნაზალიზაცია.


მაშასადამე, ფონემისა და ბგერის ცნებები ერთმანეთს არ ფარავენ; არც ერთი კონკრეტული ბგერა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ფონემა, ის არის გარკვეული ფონემის გამოვლინება (რეალიზაცია, მანიფესტაცია — ლათ. *manifestatio* „გამოვლენა“, რეპრეზენტაცია — ლათ. *representatio* „გამოხატულება“), გამოხატულება მეტყველებაში. ამა თუ იმ ფონემის გამოვლინებები კონკრეტულ პირობებში (ვთქვათ, სხვა ბგერებთან მეზობლობის გაფლენით) სხვადასხვა სახისაა, მაგრამ მათ, ამავე



დროს, ყოველთვის ახასიათებთ ფონოლოგიურად რელევანტური ნიშნები. სწორედ ისინი შეადგენენ ამ ბგერებით წარმოდგენილი ფონემის არსს.

ამგვარად, მეტყველების ნაკადში გამოვლენილი ბგერები უფრო მაღალი დონის ენობრივ ერთეულთა — ფონემათა მატერიალური განხორციელებაა. მაგალითად, ქართულში ფონემა, რომელიც მეტყველებაში ვლინდება ფონეტიკურად განსხვავებული [b], [b<sub>ა</sub>] და [b<sub>ი</sub>] ბგერების სახით, ამ ბგერებისათვის საერთო ფონოლოგიური ნიშნებით უპირისპირდება სხვა ფონემებს. კერძოდ, ეს არის ბაგეების ხშვა, ცხვირის ღრუს ჩაკეტვა, სახმო სიმების ვიბრაცია. ყველა სხვა თვისება (მაგალითად, ენის მდებარეობა) ამ ფონემისათვის ირელევანტურია.

მეტყველების უწყვეტი ნაკადი შეიძლება წარმოდგინოთ როგორც სამეტყველო ბგერათა მიმდევრობა დროში, ე.ი. ამ ნაკადის ცალკეულ წერტილებში გამოვყოთ ბგერათა ფონოლოგიურად რელევანტური ნიშნების „კონები“, რომელთაგან თითოეულს შეესაბამება გარკვეული ფონემა. ყოველი ასეთი წერტილი შეიძლება განვიხილოთ სათანადო ფონემის რეალიზაციად. იმავე წერტილში გამოიყოფა ბევრი არაფონოლოგიური ნიშანიც, განპირობებული ბგერათა ურთიერთგავლენით ან ამა თუ იმ მოლაპარაკის არტიკულაციის თავისებურებებით; ფონოლოგიურ ნიშნებთან ერთად ისინი შეადგენენ სამეტყველო ბგერას. მაშასადამე, მეტყველების ნაკადში ბგერათა მიმდევრობის სახით წარმოდგენილია ფონემათა გარკვეული მიმდევრობა. ქვემოთ სქემატურად არის ნაჩვენები ფონემისა და მისი წარმომადგენელი ბგერის ურთიერთდამოკიდებულება.



#### 4. ფონემა, ფონი, ალოფონი

4.1. მეტყველების ნაკადის ბგერებად დანაწევრების, სეგმენტაციის შედეგად გამოყოფილ ფონეტიკურ ელემენტს შეიძლება *ფონი* (ბერძნ. *phōnē* „ბგერა“) ვუწოდოთ. ყველა იმ ფონს (ბგერას), რომელთა სახითაც ვლინდება მოცემული ფონემა, ეწოდება ამ ფონემის *ალოფონები* (ბერძნ. *állos* „სხვა“) ანუ *ვარიანტები*. ისინი საერთო ფონემურ კლასს ქმნიან და ერთმანეთისაგან არაფონოლოგიური ნიშნებით განსხვავდებიან.

მეტყველებაში მოცემული ბგერითი მიმდევრობის უკან ფონემური რიგი უნდა დავინახოთ.

მაშასადამე, ფონემა ენის ერთეულია, რომელიც მეტყველებაში კონკრეტული ბგერების, *ალოფონების* სახით, ფონემის *ფონეტიკური ვარიანტების* სახით ვლინდება. იმისათვის, რომ ჩაწერისას ფონემა განეასხვაოთ მისი რეალიზაციებისაგან, ალოფონებისაგან, და ვაჩვენოთ, თუ რომელი ფონემის წარმომადგენელია ესა თუ ის ბგერა, ფონემისათვის შემოვიტანთ დამატებით სიმბოლოს — დასრილ ფრჩხილებს. ამ ფრჩხილებში ჩავსვამთ მოცემული ფონემის ერთ-ერთი ალოფონის ნიშანს. ცხადია, ეს აღნიშვნა პირობითია; შეიძლება ფონემებისა და ალოფონებისათვის სრულიად განსხვავებული სიმბოლოები გვესმარა, მაგრამ პრაქტიკულად უფრო მოსახერხებელია ფონემის აღნიშვნისას მისი რომელიმე ალოფონის სიმბოლოს გამოყენება. ალოფონების სიმბოლოებს შორის ფონემის წარმომადგენლად, მის *ძირითად ალოფონად* ჩვეულებრივ უფრო მარტივ ალოფონს ირჩევენ. მაგალითად, ქართ. [b], [b<sub>a</sub>] და [b<sub>i</sub>] ბგერები ერთი ფონემის ალოფონებია; ეს ფონემა შეიძლება /b/ სიმბოლოთი აღვნიშნოთ.

ფონოლოგიის იმ ნაწილს, რომელიც შეისწავლის ბგერათა (ალოფონების) ფონემებად გაერთიანებას, *ფონემიკა* ეწოდება.

## 5. ფონემური ანალიზის წესები

5.1. ბანვიხილოთ ფონემური ანალიზის წესები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს გამოვყოთ ფონემური ერთეულები მეტყველების უწყვეტ ნაკადში (*ნიკოლოზ ტრუბეცკოი*).

I წესი: თუ რომელიმე ენაში ორი ბგერა შეიძლება ერთსა და იმავე პოზიციაში შეგვხვდეს (ე.ი. იყოს ურთიერთშენაცვლებადი) სიტყვის მნიშვნელობის ცვლის გარეშე, მაშინ ეს ბგერები ერთი და იმავე ფონემის *თავისუფალი, ფაკულტატიური* (ლათ. *facultas* „შესაძლებლობა“) *ვარიანტებია*.

ფაკულტატიური ვარიანტები შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან საყოველთაოდ გავრცელებული. ინდივიდუალური ვარიანტები ცალკეული მოლაპარაკებებისთვის არის დამახასიათებელი და ზოგჯერ ნორმის ფარგლებს სცდება, ხოლო საყოველთაოდ გავრცელებულ ვარიანტებს ენაში თავისუფლად ხმარობენ — ისე, რომ ისინი შეცდომად, ნორმიდან გადახრად არ აღიქმება. მაგალითად, ხმოვანთა დაგრძელებას ქართულში ემოციური ელფერი აქვს (*დიიდი მადლობა!* ან: *რააა?* და სხვ.). ეს ვარიანტები საყოველთაოდ არის გავრცელებული, ხოლო ჩიფჩიფი ან წინაენისმიერი [r] თანხმოვნის ნაცვლად უგულარული ვიბრანტის წარმოთქმა, ქართულში მეტყველების დეფექტს წარმოადგენს.

ბგერები შეიძლება სრულიად თავისუფლად, სიტყვის მნიშვნელობის ცვლის გარეშე მონაცვლეობდეს ენაში. ასეთია, მაგალითად, იაპონური [r] და [l].

ფაკულტატიური ვარიანტები შეიძლება იყოს სტილისტურად ღირებული (არანეიტრალური) ან არაღირებული. სტილისტურად ღირებული ვარიანტები გამოხატავენ განსხვავებებს მეტყველების სტილებს შორის (ფამილიარული, ოფიციალური და სხვ.); ისინი ასახავენ აგრეთვე ენობრივ კოლექტივში სხვადასხვა სოციალური დაჯგუფების წევრთა მეტყველების თავისებურებებს. სტილისტური ვარიანტების დახასიათება მეტყველების სტილისტიკის ამოცანას შეადგენს და აქ მათზე აღარ შეგჩერდებით.

ყველა ფაკულტატიური ვარიანტის არსებობას განაპირობებს ბგერის არაფონოლოგიური, „თავისუფალი“ ნიშნები, რომლებიც არ გამოიყენება სიტყვათა მნიშვნელობის განსასხვავებლად.

II წესი: თუ ორი ბგერა შეიძლება ერთსა და იმავე პოზიციაში შეგვხვდეს (ე.ი. ურთიერთშენაცვლებადია) და ერთის მეორით შენაცვლება აუცილებლად იწვევს სიტყვის მნიშვნელობის ცვლას ან მის დამახინჯებას, მაშინ ეს ორი ბგერა წარმოგვიდგება როგორც ორი სხვადასხვა ფონემის რეალიზაცია. მაგალითად, ქართულ სიტყვაში *ხარი* თავკიდური [x] ბგერის შენაცვლება [γ] ბგერით გვაძლევს სიტყვას *ღარა* [s] ბგერით შენაცვლება — სიტყვას *სარა* [r'] ბგერით შენაცვლება — სიტყვას *თარა* ყველა ეს ბგერა სხვადასხვა ფონემას წარმოადგენს. ამავე სიტყვაში *ხარი* თავკიდური [x] ბგერის [r] ბგერით შენაცვლებისას მივიღებთ *რარი* მიმდევრობას, რომელიც ქართულში სიტყვის გამოსახატავად არ არის გამოყენებული (როგორც ვიცით, ბუნებრივი ენა არასრული სისტემაა, ელემენტთა ყველა კომბინაცია მასში გამოსახულებას არ იძლევა). უკვე ამ მაგალითის მიხედვით, [x] ~ [r] დაპირისპირება ფონოლოგიურად რელევანტურია, რადგან მისი ერთი წევრის მეორით შენაცვლებამ დაამახინჯა სიტყვა. გარდა ამისა, ასეთივე შენაცვლება სიტყვაში *ტახი* გვაძლევს მიმდევრობას *ტარი*, რომელიც ქართულში სიტყვას წარმოადგენს.

III წესი: თუ აკუსტიკურად (ან არტიკულატორულად) მსგავსი ორი ბგერა არასდროს არ გვხვდება ერთსა და იმავე პოზიციაში, მაშინ ისინი ერთი და იმავე ფონემის *კომბინატორული* ან *პოზიციური ვარიანტებია*. აქ შეიძლება საში შემთხვევა გვექონდეს:

ა) მოცემულ ენაში არსებობს ისეთ  $\alpha_1, \alpha_2, \alpha_3, \dots$  ბგერათა ჯგუფი, რომლებიც გვხვდება გარკვეულ პოზიციაში, და ერთადერთი  $\alpha$  ბგერა, რომელიც ამ პოზიციაში არ გვხვდება. მაშინ საერთო ფონემის კომბინატორული ვარიანტებია  $\alpha$  და ის ბგერა  $\alpha_1, \alpha_2, \alpha_3, \dots$  ჯგუფიდან, რომელთანაც  $\alpha$  ყველაზე უფრო ახლოს არის ფონეტიკური (აკუსტიკურ-

არტიკულატორული) თვალსაზრისით. მაგალითად, კორეულში [s] და [r] არ დასტურდება სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში, [l] კი მხოლოდ იქ გვხვდება. აკუსტიკურად [l] და [r] უფრო ახლოს არის ერთმანეთთან (ჰომოგენურია), ვიდრე [l] და [s], ამიტომ სწორედ [l] და [r] განიხილება ერთი ფონემის კომბინატორულ ვარიანტებად, ხოლო [s] სხვა ფონემის წარმომადგენლად ჩაითვლება;

ბ) ბგერათა ერთი ჯგუფი მოცემულ ენაში გვხვდება გარკვეულ პოზიციაში, ხოლო მეორე ჯგუფი იქ არ დასტურდება. ასეთ შემთხვევაში ერთი ფონემის კომბინატორულ ვარიანტებად მივიჩნევთ ბგერათა წყვილს, შედგენილს პირველი ჯგუფის ერთ-ერთი ბგერისა და მეორე ჯგუფის იმ ბგერისაგან, რომელიც მასთან ფონეტიკურად უფრო ახლოსაა. მაგალითად, ესპანურში [β], [χ], [ð] ბგერები არ დასტურდება სიტყვის თავში ხმოვნის წინ და [n] ბგერის შემდეგ; იქ გვხვდება [b], [g], [d] ბგერები. ფონეტიკურად [β] უფრო ახლოსაა [b]-სთან, [χ] — [g]-სთან, ხოლო [ð] — [d]-სთან. ცალკეული ფონემების კომბინატორულ ვარიანტებად სწორედ ამ წყვილებს განვიხილავთ;

გ) ერთი ბგერა მოცემულ ენაში ისეთ პოზიციაში გვხვდება, რომელშიც მეორე არ დასტურდება და ისინი ფონეტიკურად ძალიან განსხვავებულია ერთმანეთისაგან (არ მოეპოვებათ საერთო აკუსტიკურ-არტიკულატორული ნიშნები). ასეთ შემთხვევაში ამ ბგერებს ორი სხვადასხვა ფონემის წარმომადგენლებად მივიჩნევთ. მაგალითად, ინგლისური [h] ყოველთვის სიტყვის თავშია, [ŋ] კი — სიტყვის ბოლოში. მათ საერთო ფონეტიკური ნიშნები არ გააჩნიათ (გარდა იმისა, რომ ორივე თანხმოვანია). ამიტომ ამ ბგერებს ორი სხვადასხვა ფონემის წარმომადგენლებად ჩავთვლით.

ეს წესები მოვიყვანეთ, რათა უკეთ გვეჩვენებინა განსხვავება ბგერასა და ფონემას შორის. მოგვიანებით უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ოპერაციებს, რომლებიც ფონემური ანალიზის დროს გამოიყენება.

## 6. ფონემა როგორც დიფერენციალურ ნიშანთა ერთობლიობა

6.1. როგორც ითქვა, ფონემა დიფერენციალურ ნიშანთა ერთობლიობაა. იმისათვის, რომ ერთი ფონემა მეორისაგან განვასხვაოთ, აუცილებელი და საკმარისია, ისინი ერთი დიფერენციალური ნიშნით უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. მაგალითად, ქართულში [E] განსხვავდება [i]-საგან იმით, რომ [E] საშუალო აწეულობისაა, [i] კი — მაღალი აწეულობისა.

საკომუნიკაციო სისტემათა განხილვისას აღვნიშნეთ, რომ გამოსახულებაში ერთი ელემენტის მეორით შენაცვლებისას შეიძლება მივიღოთ ამავე სისტემის სხვა გამოსახულება. ფონემათა მიმდევრობაში — სიტყვაში — ერთი ფონემის მეორით შენაცვლება ზოგჯერ სხვა სიტყვას იძლევა, მაგრამ თითოეული ფონემური ელემენტი, თავის მხრივ, შეიძლება განვიხილოთ როგორც რაღაც ელემენტებისაგან, სახელდობრ, დიფერენციალური ნიშნებისაგან შემდგარი. მათი საშუალებით ფონემა ცალსახად დახასიათდება. გასარკვევია, თუ რამდენი და როგორი დიფერენციალური ნიშნებია საჭირო მოცემული ენის ყველა ფონემური ერთეულის დასახასიათებლად, ნებისმიერი გამონათქვამის სხვა გამონათქვამისაგან განსასხვავებლად.


განვიხილოთ რუსული სიტყვები: (1) [bɪt] „ყოფა“, (2) [b'it] „ნაცემი“, (3) [bɪt'] „ყოფნა“, (4) [b'it'] „ცემა“. (1) და (2) სიტყვას განასხვავებს უფრო წინა წარმოების [i] და უფრო უკანა წარმოების [ɪ], აგრეთვე პალატალიზებული [b'] და არაპალატალიზებული [b]. (3) და (4) სიტყვაში [b']-სა და [b]-ს შორის ანალოგიური განსხვავებაა, ხოლო [i] უფრო წინა წარმოებისაა, ვიდრე [ɪ]. (1) და (3) სიტყვას განასხვავებს პალატალიზებული [t'] და არაპალატალიზებული [t], აგრეთვე უფრო ვიწრო [ɪ] და უფრო ფართო [i]. (2) და (4) სიტყვაში ანალოგიური განსხვავებაა [t']-სა და [t]-ს შორის და [i] უფრო ვიწროა, ვიდრე [ɪ]. თუ გავითვალისწინებთ, რომ მხოლოდ პალატალიზაციის ნიშნით არის დაპირისპირებული, მაგალითად, რუსული [dan] „მიცემულია“ ~ [dan'] „ძღვენი“, [v'es] „წონა“ ~ [v'es'] „მთელი“ და სხვა სიტყვები, პალატალიზაცია რუსულში უნდა გამოიყოს როგორც დამოუკიდებელი დიფერენციალური ნიშანი. რაც შეეხება ხმოვნის ვიწრო და ფართო ვარიანტებს, აგრეთვე უფრო წინა და უკანა წარმოებას, ისინი დამოკიდებულია პალატალიზებული ან არაპალატალიზებული თანხმოვნების მეზობლობაზე. მაშასადამე, ეს ნიშანი პოზიციურად არის შეპირობებული, იგი ფონოლოგიურად რელევანტური არ არის.

ასეთი ანალიზის შედეგად გამოიყოფა დიფერენციალური ნიშნები, რომელთა გარკვეული კომბინაციები ფონემებს შეადგენენ.

6.2. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბგერათა აღწერა შეუძლებელია უსასრულოდ გაგრძელდეს, სადაღაც უნდა შევჩერდეთ, უარი ვთქვათ შემდგომ დეტალიზაციაზე მაშინ, როდესაც მიღებული ინფორმაცია საკმარისი იქნება ჩვენი მიზნებისათვის. ეს ნებისმიერი ობიექტების აღწერას ეხება.


ობიექტის დახასიათებას სასრული რაოდენობის ნიშნებით *კვანტიზაცია* (ლათ. *quantum* „რამდენი(ც)“, „გარკვეული რაოდენობა“) ეწოდება. ვთქვათ, გვსურს ვინმეს დავუხასიათოთ ადამიანი, რომელსაც კარგად

ვიცნობთ. ამისათვის შეიძლება გამოვიყოს ისეთ ნიშანთა ერთობლიობა, როგორც არის სიმაღლე, თმის ფერი, ცხვირის მოყვანილობა. თუ მეტი სიზუსტეა საჭირო, სხვა ნიშნებსაც გამოვიყენებთ, ვთქვათ, ასაკს, წონას და სხვ. ასეთი აღწერა შეიძლება გრაფიკულად წარმოვადგინოთ:



სურათზე მოცემულია ურთიერთპერპენდიკულარული ღერძები, რომლებიც ქმნიან ე.წ. მახასიათებელთა (ანუ ატრიბუტულ) სამგანზომილებიან სივრცეს. იგი პიროვნებას სამი ნიშნის — სიმაღლის, წონისა და ასაკის მიხედვით ახასიათებს (გრაფიკულად სამზე მეტგანზომილებიან სივრცეს ვერ წარმოვადგენთ).

მიემართოთ უმარტივეს დაყოფას — გავყოთ თითოეული ღერძი ორ ნაწილად, ე.წ. ბინარულ კვანტებად. ამის შედეგად განიჩნევა ორ-ორი კატეგორია: სიმაღლეში — „მაღალი“ და „დაბალი“, წონაში — „მძიმე“ და „მსუბუქი“, ასაკში — „ახალგაზრდა“ და „ხნერი“. მივიღებთ ადამიანთა  $2^3=8$  კატეგორიას. სივრცეში მათ შეიძლება შევუსაბამოთ ე.წ. კვანტური უჯრედები (კუბები). მაგალითად, ერთ-ერთი უჯრედი დაახასიათებს ადამიანს როგორც „დაბალს, მძიმეს, ხნერს“:



**სამგანზომილებიანი ატრიბუტული სივრცის კვანტური უჯრედები**

ღერძები შეიძლება უფრო მცირე ერთეულებად დაფყოთ და ადამიანები უფრო დეტალურად აღვწეროთ მოცემული სამი ნიშნის მიხედვით; მაგრამ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჩვენს აზროვნებასა და ენაში ფართოდ არის გავრცელებული სწორედ ბინარული დაპირისპირება-დახასიათება.

**ნ.3.** ბავიხსენოთ შეტყობინებები, რომელთა კოდირება ჩვენ მოვახდინეთ ბინარული კოდის მეშვეობით — თითოეულ შეტყობინებას შევუსაბამეთ გარკვეული მიმდევრობა, შედგენილი ალტერნატიულ კითხვებზე დადებითი ან უარყოფითი პასუხებისაგან, ვთქვათ, 1 და 0 ბინარული სიმბოლოებისაგან. დადებითი და უარყოფითი პასუხების ასეთი მიმდევრობების საშუალებით ობიექტის დახასიათებას ეწოდება **ლოგიკური დახასიათება**.

ლინგვისტის წინაშე მეტად რთული ამოცანა დგას: მან უნდა აღწეროს ათასობით პიროვნების მეტყველებაში გამოვლენილი სისტემის აგებულება. ამ სისტემის ყველა ძირითადი მახასიათებლის წარმოსადგენად მკვლევარმა უნდა შეიმუშაოს აღწერის მარტივი და თანმიმდევრული მეთოდები. ერთ-ერთი ასეთი მეთოდი გულსხმობს ენის ლოგიკურ დახასიათებას. იგი ხორციელდება ბინარულ ტერმინებში, თუმცა ამ ლოგიკური მეტაენისგან განსხვავებით, ობიექტი-ენის მოვლენებს ბინარული ხასიათი შეიძლება არც ჰქონდეთ.

ახლა ჩვენს ამოცანას შეადგენს ენის ფონემური ერთეულების ლოგიკური აღწერა.

ყოველი დიფერენციალური ნიშანი შეიძლება განვიხილოთ როგორც შეკითხვა, რომელზეც გაიცემა დადებითი ან უარყოფითი პასუხი. მაგა-

ლითად, რომელიმე ფონემის შესახებ შეიძლება ვიკითხოთ, ხმოვანია იგი თუ არა, თანხმოვანია თუ არა და ა.შ., სანამ არ ამოვწურავთ ყველა დიფერენციალურ ნიშანს. საბოლოოდ, თითოეული ფონემა დახასიათდება ამ კითხვებზე დადებითი და უარყოფითი პასუხების მიმდევრობით. ზემოთ ადამიანის ლოგიკური დახასიათებისათვის სამი დიფერენციალური ნიშანი გვექონდა გამოყოფილი. ენის ფონემათა ლოგიკური აღწერისათვის გამოყოფენ თორმეტ ნიშანს, რომლებიც მიღებულია სამეტყველო ბგერათა აკუსტიკური თვისებების სპექტროგრაფიული ანალიზის საფუძველზე. ამ ნიშნების გამოყენება შეიძლება ნებისმიერი ენის ფონემათა აღსაწერად, ისინი უნივერსალურია (რომან იაკობსონი).


ჩამოვთვალოთ ეს თორმეტი ნიშანი:

1. ვოკალური-არავოკალური (ინგლ. *vocalic-non-vocalic*), 2. კონსონანტური ~ არაკონსონანტური (ინგლ. *consonantal-non-consonantal*), 3. მკვეთელი ~ მყოფარი (ინგლ. *interrupted-uninterrupted*), 4. გლოტალიზებული ~ არავოკალიზებული (ინგლ. *checked-unchecked*), 5. მძაფრი ~ არამძაფრი (ინგლ. *strident-mellow*), 6. მკლერი ~ არამკლერი (ინგლ. *voiced-unvoiced*), 7. კომპაქტური ~ დიფუზური (ინგლ. *compact-diffuse*), 8. დაბალი ტონალობისა-მაღალი ტონალობისა (ინგლ. *grave-acute*), 9. ბემოლური ~ მარტივი (ინგლ. *flat-plain*), 10. დიეზური ~ მარტივი (ინგლ. *sharp-plain*), 11. დაძაბული ~ არადაძაბული (ინგლ. *tense-lax*), 12. ნაზალური ~ ორალური (ინგლ. *nasal-oral*).

ეს არ არის ფონემათა დახასიათების ერთადერთი შესაძლებელი სისტემა. ჩამოთვლილი ნიშნები გამოიყო ექსპერიმენტული ფონეტიკის მიღწევების საფუძველზე, რათა სხვადასხვა ენის რთული ბგერითი სტრუქტურები მარტივად აღწერილიყო ერთი და იმავე დიფერენციალური ნიშნების ტერმინებით.

ზემოთ წარმოდგენილი გვექონდა ადამიანის მახასიათებელთა სამგანზომილებიანი სივრცე. ახლა შეგვიძლია წარმოვადგინოთ ფონემები მახასიათებელთა თორმეტგანზომილებიან სივრცეში. ასეთ სივრცეს ვიზუალურად ვერ გამოვსახავთ, მაგრამ საილუსტრაციოდ შეგვიძლია ავაგოთ ატრიბუტული სივრცე სამი დიფერენციალური ნიშნის საფუძველზე. როგორც ვიცით, თორმეტი მახასიათებლიდან თითოეულს აქვს ორი ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობა, რომელთაგან ერთი დადებითია, ხოლო მეორე — უარყოფითი. ამიტომ სულ  $2^{12} = 4096$  კვანტური უჯრედი მიიღება; 12 ბინარული დიფერენციალური ნიშნით შეიძლება დავახასიათოთ 4096 ფონემური ერთეული.





ბუნებრივ ენათა უმრავლესობაში მხოლოდ სამი-ხუთი ათეული ფონემა დასტურდება და ამიტომ 12 დიფერენციალური ნიშანი უადრესად ჭარბ სისტემას იძლევა. მაგალითად, 28 სეგმენტური ფონემის დასახასიათებლად ინგლისურში საკმარისი იქნებოდა 10გ28, ე.ი. დაახლოებით ხუთი დიფერენციალური ნიშანი, მაგრამ ინგლისურ ფონემათა აღწერაში ცხრა ნიშანია გამოყენებული. მაშასადამე, თითოეული ფონემა გაცილებით მეტი ნიშნით არის დახასიათებული, ვიდრე ეს აუცილებელია ლოგიკური თვალსაზრისით. თუ გავიხსენებთ, რომ სიჭარბე შეცდომების აღმოჩენის საშუალებას იძლევა, გასაგები გახდება მისი როლი დიფერენციალურ ნიშანთა შემთხვევაშიც — ჭარბი ნიშნები დამახინჯებული ინფორმაციის გასწორებაში გვეხმარება.

ფონემათა დიფერენციალური ნიშნების სივრცულ მოდელთან ერთად შეიძლება წარმოვადგინოთ მათი ტაბულური (მატრიცული) მოდელი. ქვემოთ მოცემულია ინგლისურ ფონემათა დახასიათება ცხრა დიფერენციალური ნიშნით. თითოეული ბინარული სიმბოლო („+“ ან „-“) მიიგივითითებს იმაზე, ახასიათებს ეს ნიშანი მოცემულ ფონემას, თუ არა. თითოეულ ფონემას ცალსახად განსაზღვრავს „+“ და „-“ სიმბოლოების სვეტი. ყოველი ამგვარი სვეტი ერთი ნიშნით მაინც განსხვავდება სხვა სვეტებისაგან. მაგალითად, /b/ და /d/ ერთმანეთისაგან მხოლოდ დაბალი-მაღალი ტონალობის ნიშნით განსხვავდება, /s/ და /z/ — დაძაბულობა-არადაძაბულობის ნიშნით, /b/ და /l/ — ხსენებული ორი დიფერენციალური ნიშნით და ა.შ.

ფონემის ისეთი *დახასიათება*, როდესაც იგი ნებისმიერი სხვა ფონემისაგან ორი ნიშნით მაინც განსხვავდება, *ჭარბია*. ტაბულაში ვხვდებით შეუესებელ ადგილებს — *ცარიელ უჯრედებს*, რომლებიც მოცემული ფონემისათვის ჭარბ მახასიათებლებს ასახავენ; ასეთი ფონემის იდენტიფიკაციისათვის არ არის აუცილებელი დადებითი ან უარყოფითი პასუხის გაცემა კითხვაზე, ახასიათებს თუ არა მას მოცემული თვისება. ხაზგასასმელია, რომ ტაბულა არ ასახავს ინგლისურ ბგერათა წარმოთქმის თავისებურებებს, ის მხოლოდ ინგლისურ ფონემათა შორის არსებულ მინიმალურ განსხვავებებს გვიჩვენებს (მაგალითად, გარკვეულ პოზიციებში ინგლისურ ხმოვნებს შეიძლება ახასიათებდეს ნაზალიზაცია, მაგრამ ეს ნიშანი არაფონოლოგიურია, ჭარბია და ტაბულაში არ აისახება). ცარიელი უჯრედების შევსების შემთხვევაში ტაბულის სვეტები მაინც განსხვავებული იქნება ერთმანეთისაგან.

	o	a	e	u	ɔ	i	l	ŋ	ɟ	ʃ	k	ʒ	ʒ	g	m	f	p	v	b	n	s	θ	t	z	ð	d	h
1. ვოკალიზაცია	+	+	+	+	+	+	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2. კონსონანტი	-	-	-	-	-	-	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	-
3. სიმბოლო	+	+	+	-	-	-		+	+	+	+	+	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
4. დაბალი ტონი	+	+	-	+	+	-								+	+	+	+	+	+	-	-	-	-	-	-	-	-
5. ბგერა	+	-		+	-																						
6. ნაზალიზაცია								+	-	-	-	-	-	-	+	-	-	-	-	+	-	-	-	-	-	-	-
7. დაბალი ანაფალი									+	+	+	-	-	-		+	+	-	-		+	+	+	-	-	-	+
8. მუცელი									+	-	-	+	-	-		+	-	+	-		+	+	-	+	+	-	
9. მსაყრდენი										+	-		+	-							+	-		+	-		

ცარიელი უჯრედები ამ ბინარულ დახასიათებას, ამ კოდს სამნიშნად არ აქცევს, რადგან სათანადო კითხვები შეიძლება პასუხის გარეშე დაგტოვოთ; აღწერა მკაცრად ბინარულია. ცარიელი უჯრედები ტაბულას შეიძლება მოგაცილოთ დიფერენციალურ ნიშანთა თანამიმდევრობის გარკვეული გარდაქმნის შედეგად. ამისათვის უნდა შევქმნათ რამდენიმე ტაბულა, სადაც ფონემები ცალკე ჯგუფებად იქნება წარმოდგენილი. ამ ტაბულებში შევა მხოლოდ ფონემათა სათანადო ჯგუფის დახასიათებისათვის აუცილებელი ნიშნები. ვთქვათ, შეიძლება გამოვყოთ ხმოვანთა ტაბულა და მასში შევიტანოთ მხოლოდ პირველი ხუთი დიფერენციალური ნიშანი; შემდეგ გამოვყოთ /h/, /s/, /ç/, /k/, /ʒ/, /ʒ/, /g/ ფონემები და გამოვტოვოთ მეოთხე და მეხუთე დიფერენციალური ნიშანი; მაშინ ცარიელი უჯრედი ტაბულაში მხოლოდ [ ] ფონემას ექნება. ეს უჯრედი ბოლოში გადაინაცვლებს.

## 7. ენის ფონემური ანალიზის პროცედურები

7.1. როგორც ზემოთ გვექონდა აღნიშნული, ფონეტიკურად მსგავსი ბგერები, რომელთა შორის განსხვავებას მოლაპარაკე და მსმენელი მოცემულ ენაში ვერ ამჩნევენ (ან უგულებელყოფენ), და რომლებიც არ ქმნიან მნიშვნელობის განმასხვავებელ დაპირისპირებებს, გაერთიანდება ერთმანეთის მიმართ ეკვივალენტური ბგერების (ალოფონების) საერთო კლასში, რომელსაც *ფონემას* ვუწოდებთ. ფონემა დახასიათდება იმ ნიშნებით, რომლებიც საერთოა მისი ალოფონებისათვის.

ბგერათა დაჯგუფება ფონემურ კლასებად გარკვეული პროცედურების ჩატარებას გულისხმობს. ლინგვისტური ანალიზისათვის ერთადერთი ობიექტური მონაცემია მეტყველების უწყვეტი ნაკადი. მასში ბგერითი ერთეულების გამოყოფის შემდეგ ხდება მათ შორის მსგავსება-განსხვავების დადგენა. ენის მფლობელმა „იცის“ თავისი ენის ფონემური ერთეულები, რადგან მისი, როგორც მოლაპარაკისა და მსმენელის, ქცევა შეესაბამება ენის ფონოლოგიურ სისტემას. მაგრამ თუ მას სპეციალური განათლება არა აქვს მიღებული, ის ვერ აღწერს ამ ფონემურ ერთეულებს, ვერ განსაზღვრავს, თუ რომელი დაპირისპირებაა მის ენაში ფონოლოგიურად ღირებული და რომელი — არა. ამიტომ ენის ფონემური სისტემის აღსაწერად მხოლოდ ენის მცოდნის პასუხები საკმარისი არ არის, აუცილებელია ფონემური ანალიზის სპეციალური ტექნიკის შემუშავება. ყველაზე უფრო ხელსაყრელ პირობებს ფონემური ანალიზისათვის ქმნის უშუალო კონტაქტი მკვიდრ მოლაპარაკესთან — *ინფორმანტთან*. მისთვის შეკითხვების დასმით თანდათან ზუსტდება ენის ბგერითი მხარის

აღწერა. თუ ბგერები მხოლოდ წერიითი სახით არის შემონახული, მაშინ ენის ბგერითი მხარის შესახებ ცოდნა გაცილებით ნაკლებ საიმედო იქნება.

7.2. სანამ ფონემური ანალიზის პროცედურებს გავცნობოდეთ, განვსაზღვროთ ზოგიერთი ცნება, რომლებსაც აქამდე განმარტების გარეშე ვიყენებდით.

*გამონათქვამი* არის მეტყველების რაღაც ნაწილი პაუზიდან პაუზამდე. ზოგჯერ ის ცალკე სიტყვისაგან ან ფრაზისაგან შედგება, ზოგჯერ წინადადებას ემთხვევა. *ფრაზა* (ბერძნ. *phrasis* „გამონათქვამი“) ეწოდება ინტონაციურ-აზრობრივ მთლიანობას, რომელიც პაუზებით არის შემოსაზღვრული. იგი შეიძლება დაემთხვეს წინადადებას ან მის ნაწილს.

გამონათქვამი შეიძლება დაფიქსირდეს დისკრეტულ ნაწილებად, *სეგმენტებად* (ლათ. *segmentum* „მონაკვეთი“). თითოეულ სეგმენტში ვლინდება გამონათქვამის რაღაც თვისება, *ენობრივი ელემენტი* სეგმენტში შეიძლება გამოვლინდეს ერთი ენობრივი ელემენტი ან ენობრივ ელემენტთა მიმდევრობა.

*ორი სეგმენტი ეკვივალენტურია* (ლათ. *aequivalens* „ტოლფასი“) ანუ ერთმანეთის *გამოორებას* წარმოადგენს, თუ ისინი ერთმანეთთან თავისუფლად მონაცვლეობენ, ე.ი. ის, რაც ითქმის ერთის შესახებ, თანაბრად ვრცელდება მეორეზეც. გამონათქვამი არ იცვლება მასში შემავალი სეგმენტის ეკვივალენტური სეგმენტით შეცვლისას. *ორი გამონათქვამი ეკვივალენტურია*, თუ ურთიერთეკვივალენტურია მათში შემავალი ყველა სეგმენტი და თუ ამ სეგმენტების თანამიმდევრობაც ერთნაირია. მაგალითად, *ბარი* და *ფარი* გამონათქვამები ეკვივალენტურია ყველა სეგმენტში პირველის გარდა, ამიტომ ეს გამონათქვამები მთლიანობაში არ არის ეკვივალენტური.

ელემენტების გარემოცვაზე ანუ კონტექსტზე უკვე გვქონდა საუბარი სემიოტიკურ სისტემათა განხილვისას. *სეგმენტის გარემოცვას* შეადგენენ გამონათქვამში ამ სეგმენტის გარშემო მყოფი სხვა სეგმენტები და/ან ინტერვალი, *პაუზა* (თუ სეგმენტი იზოლირებულია, მაშინ ორი პაუზა გვექნება თავსა და ბოლოში). ეკვივალენტური და არაეკვივალენტური სეგმენტების გამოყოფის შედეგად გამონათქვამები იყოფა ბგერით ერთეულებად.

7.3. აღწეროთ პროცედურები, რომელთა საშუალებითაც ხდება ბგერითი ერთეულების ფონემურ კლასებად გაერთიანება.

ფონემური ანალიზი ძირითადად ორი ტიპის პროცედურისაგან შედგება: 1) მასალის, მონაცემების შეკრება და 2) მონაცემების შედარება-შეჯერება.

პირველი პროცედურა გულისხმობს გამონათქვამების ცალკეულ ბგერით სეგმენტებად წარმოდგენას და მათ ფონეტიკურ ჩაწერას, ტრანსკრიბირებას. მეორე ეტაპზე ამ სეგმენტების შეპირისპირების საფუძველზე გამოიყოფა ბგერითი კლასები — ფონემები. ამ პროცედურებს ძირითადად მათი მიზნები განასხვავებს. არ უნდა ვიფიქროთ, რომ მეორე პროცედურა იწყება მაშინ, როდესაც დასრულდება პირველი; ხშირად ერთის მონაცემები აზუსტებს მეორეს, და პირუკუ. ზოგიერთი ბგერითი განსხვავება გამოვლინდება სეგმენტების შეპირისპირების შემდეგ. პირველ ეტაპზე ჩამწერმა შეიძლება ბევრი შეცდომა დაუშვას, მაგრამ მან დეტალურად უნდა დააფიქსიროს ყველა შემჩნეული განსხვავება. მკვლევარმა უნდა აღნიშნოს არა მარტო ბგერები, არამედ პაუზებიც. დასაწყისში ჯობს მოკლე (ორი-სამი მარცვლის შემცველი) გამონათქვამების ჩაწერა: ფონეტიკოსმა, რომელსაც საველე პირობებში ინფორმანტისაგან ესმის გამონათქვამები მისთვის უცნობ ენაზე, უნდა შეაჩვიოს სმენა ამ ენას, სანამ უფრო გრძელი ტექსტის სეგმენტებად დაყოფას შეძლებს. მან უნდა სცადოს, თვითონ წარმოთქვას ანალოგიური ბგერები, გაგონილი გაიმეოროს და ინფორმანტს შეამოწმებინოს. ერთი და იგივე ბგერითი სეგმენტი აუცილებლად ერთნაირად უნდა იქნეს ჩაწერილი.

უცნობი ენის გამონათქვამებში ბგერების გამოყოფა და ფიქსირება უნდა ხდებოდეს არა რომელიმე სხვა ენის ფონეტიკური ერთეულების გაგონით, არამედ დამოუკიდებლად. ჩაწერა უნდა ემყარებოდეს მხოლოდ მკვლევარის გამახვილებულ ფონეტიკურ სმენას, რომლის გამომუშავებისათვის საჭიროა ხანგრძლივი ვარჯიში და მრავალი ენის ბგერითი სისტემის ცოდნა. ფონეტიკურად გაუწვრთნელი პირის მიერ შესრულებული ჩანაწერი უამრავ უზუსტობასა და შეცდომას შეიცავს, მასში ხშირად არის გამოტოვებული არსებითი ბგერითი განსხვავებები, რაც ართულებს ან შეუძლებელს ხდის ფონემური ანალიზის ჩატარებას.

ჩაწერილი ტექსტის სეგმენტაციის მკაცრად განსაზღვრული წესები არ არსებობს. მკვლევარმა ასეთი წესები თავისი გამოცდილების საფუძველზე თვითონ უნდა გამოიმუშაოს უცნობი ენის გამონათქვამთა ჩაწერის პროცესში.

ვთქვათ, ტექსტი შეძლებისდაგვარად ამომწურავად და თანმიმდევრულად ჩაწერეთ და მოვახდინეთ მასში ცალკეული ბგერითი სეგმენტების — ფონემების გამოყოფა. მეტყველების ნაკადში ფონემის ფიქსირების შემდეგ იწყება ფონემური ანალიზის მეორე, ძირითადი ეტაპი: ფონემებს შორის არსებული მიმართებების გამოვლენა და ცალკეული ფონემების კლასებად — ფონემებად გაერთიანება. აქ ბევრი კითხვა ჩნდება: რა პრინციპების მიხედვით უნდა მოხდეს ფონემების დაჯგუფება ალოფონებად, რა სიგრძის სეგმენტი უნდა განვიხილოთ ფონემის წარმომადგენლად და სხვ. ამ კითხვებზე პასუხების გასაცემად უნდა დადგინდეს ფონემის დაჯგუფების კრიტერიუმები. ცნობილია *ოთხი ძირითადი პრინციპი*,

რომელთა თანამიმდევრული გატარების შემთხვევაში უნდა მოხდეს ბგერით ერთეულთა განაწილება ფონემურ კლასებად. ყოველ ასეთ კლასში შევა ერთი ფონემური ერთეულის გამომხატველი ფონები.

*განვიხილოთ ფონემური ანალიზის პრინციპები*

I. *კონტრასტისა და დამატებითი დისტრიბუციის პრინციპი*. ორი ფონი, რომლებიც კონტრასტულად უპირისპირდება ერთმანეთს (და, ამდენად, შეიძლება ქმნიდეს მნიშვნელობის განმასხვავებელ დაპირისპირებას), განეკუთვნება ორ სხვადასხვა ფონემას, რასაც ადასტურებს მათი მონაწილეობით შექმნილი მინიმალური წყვილების არსებობა, მაგალითად, [d] და [t'] ფონები *დასო-თასი*, *დარო-თარი* და სხვა მინიმალურ წყვილებში.

თუ ფონებს შორის არსებობს *დამატებითი დისტრიბუციის* დამოკიდებულება, ისინი შეიძლება გაერთიანდნენ საერთო ფონემად, მაგრამ ამისათვის სხვა პირობაც არის საჭირო. ეს პირობაა ფონეტიკური მსგავსება.

II. *ფონეტიკური მსგავსების პრინციპი*. ეს პრინციპი ემყარება დაშვებას, რომ ფონემა, რომელიც სხვადასხვა ბგერით გარემოცვაში გვხვდება, გამოვლინდება (მეზობელი ბგერების გავლენით) არაერთნაირი, მაგრამ მაინც *ფონეტიკურად მსგავსი* ბგერების სახით.

ცხადია, მსგავსება-განსხვავების ხარისხის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა შეუძლებელია; მაგრამ ამ არაზუსტი კრიტერიუმის დაკმაყოფილება პრაქტიკულად არ იწვევს ხოლმე დიდ სირთულეებს. მაგალითად, [k] და [a] ფონებს შორის დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულება კიდევაც რომ იყოს, მათ ერთ ფონემად არავინ გააერთიანებს; ხოლო თუ, ვთქვათ, ფშენვიერი [p'] დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაშია [p], [t] და [k] ფონებთან, მაშინ ის გაერთიანდება [p]-სთან, რომელთანაც მას საერთო ფონეტიკური თვისებები უფრო მეტი აქვს, ვიდრე [k]-სთან ან [t]-სთან (ფონებს შორის ასეთი მიმართებები რეალურად დასტურდება ინგლისურში). მაშასადამე, *ფონეტიკური მსგავსებისა და დამატებითი დისტრიბუციის* პირობები ერთდროულად უნდა იყოს დაცული, მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის არსებობა არ არის საკმარისი ფონების ფონემებად გასაერთიანებლად.

იმის გამო, რომ ფონეტიკური მსგავსების პრინციპის დაცვა ფონების დაჯგუფების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა, უნდა მოხდეს საგარაუდო *ფონების* გამოყოფა, ე.ი. ბგერათა წინასწარი გაერთიანება ფონეტიკური მსგავსების საფუძველზე. მოცემული ბგერა რაღაც თვისებით შეიძლება ერთ ბგერას ჰგავდეს, სხვა თვისებით — მეორეს, ამიტომ ერთი და იგივე ფონი ზოგჯერ სხვადასხვა დაჯგუფებაში აღმოჩნდება.

*საგარაუდო ფონების* ანუ *საგარაუდო ბგერითი წყვილების* დადგენის მკაცრი კრიტერიუმი, ცხადია, არ არსებობს, მაგრამ პრაქტიკულად მაინც შეიძლება გარკვეული ჯგუფების გამოყოფა. როგორც წესი, საგარაუ-

რაუდო წყვილის წევრები ერთი აკუსტიკურ-არტიკულატორული ნიშნით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან — ეს შეიძლება იყოს არტიკულაციის რაგვარობა ან ადგილი და სხვ. ქვემოთ მოგვყავს ისეთ ბგერათა წყვილების სია, რომლებიც ბევრ ენაში შეიძლება ერთმანეთთან სწორედ ალოფონურ დამოკიდებულებაში აღმოჩნდნენ. ეს სია წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ რა ტიპის მსგავსება შეიძლება არსებობდეს სავარაუდო ფონებს შორის.

*მკლერი და შესაბამისი ყრუ თანხმოვანა*

*ხშული და შესაბამისი ნაპრალოვანა*

*ფშინიერი ხშული და შესაბამისი არაფშინიერი ხშულა*

*ბილაბიალური და დენტოლაბიალური თანხმოვნები*

*დენტალური და ალვეოლარული ხშულები, დენტალური და რეტროფლექსური ხშულები*

*დენტალური ხშული და ლატერალა*

*ალვეოლარული და ალვეოპალატალური ნაპრალოვნები*

*ლაბიალიზებული და შესაბამისი არალაბიალიზებული თანხმოვნები*

*ყველა ნაზალური თანხმოვანი ([m] თანხმოვნის გარდა);*

*ყველა ლატერალი ([l]-ს ტიპის ბგერები);*

*ყველა ვიბრანტი ([r]-ს ტიპის ბგერები);*

*წინაენისმიერი ვიბრანტი და ლატერალა*

*ნაქისმიერი ვიბრანტი და ველარული ნაპრალოვნები;*

*გლოტალური და ველარული ნაპრალოვნები;*

*ერთი ვოკალური ნიშნით განსხვავებული ხმოვნები;*

*ხმოვნები და მსგავსი წარმოების ადგილის მქონე ნახევარხმოვნები.*

სავარაუდო ფონების ზუსტი სია კონკრეტული ენისათვის მისი კვლევის პროცესში დგინდება.

**7.4. შონემური ანალიზის შემდეგი ნაბიჯია სავარაუდო ფონების დისტრიბუციული ანალიზი — იმის გარკვევა, თუ რა პოზიციაში გვხვდება თითოეული მათგანი.**

ერთმანეთის მიმართ დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში მყოფი ფონები ერთი ფონემის წარმომადგენლებად ჩაითვლება. ერთი და იმავე სავარაუდო წყვილის წევრები სხვადასხვა ენაში შეიძლება სხვადასხვაგვარად განაწილდეს. მაგალითად, იტალიურში [n] და [ŋ] ფონები დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში არიან და ამიტომ ერთ ფონემას წარმოადგენენ. ინგლისურში ეს ფონები განასხვავებენ, მაგალითად, thin „წვრილი“ – thing „ნივთი“, gone „წასული“ – gone „გონგი“ და სხვა სიტყვებს, ამიტომ ისინი სხვადასხვა ფონემებს წარმოადგენენ.

სავარაუდო ფონების დისტრიბუციული ანალიზი პროცედურულად შეიძლება შევადაროთ დეტექტივის მოქმედებას. ვთქვათ, აღმოჩნდა, რომ რომელიღაც მძარცველი გარეგნულად ძალიან ჰგავს სასტუმროს ერთ-ერთ შევიცარს (შდრ. ბგერათა ფონეტიკური მსგავსება); თუ დეტექტივმა დაადგინა, რომ მძარცველი არ მოქმედებს და არ ჩანს მაშინ, როდესაც შევიცარი თავის ადგილზეა (დამატებითი დისტრიბუცია), იგი დაასკვნის, რომ მძარცველი და შევიცარი ერთი და იგივე პირია. ანალოგიურად, 7.3-ში მოყვანილ მაგალითში [p'] და [p] სავარაუდო ფონები ერთმანეთის მიმართ დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაშია, ამიტომ [p']-ს ფშვინვიერობას მკვლევარი მიიჩნევს „ნიღბად“, რომელიც ფარავს ამ ფონების იდენტურობას. ([p']-სა და [p]-ს შორის ფონეტიკური განსხვავება ინგლისურში შეპირობებულია სხვადასხვა გარემოცვით).

ზოგიერთ შემთხვევაში ფონეტიკურად მსგავსი ორი ფონი ერთმანეთს კონტრასტულად უპირისპირდება რომელიმე გარემოცვაში, მაგრამ არც ერთი მათგანი არ დასტურდება ისეთ სხვა გარემოცვაში, რომელშიც ვლინდება ფონეტიკურად მათი მსგავსი შესაძე ფონი. ამგვარ შემთხვევებს *მრავალმხრივი დამატებითი დისტრიბუცია* ეწოდება. ზემოთ მიღებული კრიტერიუმები საკმარისი არ არის მრავალმხრივი დამატებითი დისტრიბუციის შემთხვევაში ცალსახა გადაწყვეტილების მისაღებად, ამიტომ შემოვიტანთ კიდევ ერთ კრიტერიუმს.

**III. ალოფონების ფონემებად განაწილების სიმეტრიულობის პრინციპი** თუ წინა ორი პრინციპის მიხედვით არსებობს ფონების ფონემებად განაწილების ორი ან მეტი შესაძლებლობა, მაშინ საკითხი ისე უნდა გადაწყვიტოს, რომ მივიღოთ ალოფონების ფონემებად განაწილების უფრო სიმეტრიული სურათი. სხვაგვარად თუ ვიტყვით, უნდა გეცადოთ, რომ ფონემებს დაახლოებით იდენტური დისტრიბუციები აღმოაჩნდეთ.

სიმარტივისათვის განვიხილოთ ერთი ხელოვნური სისტემის მაგალითი.

ვთქვათ, გვაქვს მრავალმხრივი დამატებითი დისტრიბუციის შემდეგი შემთხვევა: a,b,c,d ფონეტიკურად ერთმანეთის მსგავსია და მათი განაწილება X,Y,Z პოზიციების მიხედვით შემდეგნაირია:

	X	Y	Z
a	+	-	-
b	-	+	+
c	+	+	-
d	-	-	+



თუ პირველი ორი პრინციპით ვიხელმძღვანელებთ, ერთ საერთო კლასში შეიძლება გავაერთიანოთ a და b, მეორეში — c და d; აგრეთვე შეიძლება a და d მივიჩნიოთ ერთი კლასის წარმომადგენლებად და ამ კლასს დავუპირისპიროთ ცალ-ცალკე b და c, რომლებიც, თავის მხრივ, ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. პირველ შემთხვევაში მიღებულ ფონემებს ერთნაირი დისტრიბუციები ექნებათ, მეორე შემთხვევაში კი b ფონემა არ გვექნება X პოზიციაში, c ფონემა — Z პოზიციაში, ხოლო a და d ელემენტების გაერთიანების შედეგად მიღებული ფონემა — Y პოზიციაში ცხადია, პირველი აღწერა უფრო სიმეტრიულ სურათს იძლევა.

ზოგჯერ საკითხს ერთმნიშვნელოვნად ვერ გადავწყვეტთ. მაგალითად, ინგლისურში [p'] დაშატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაშია [p]-სთან, ხოლო [p] — [b]-სთან, [p'] და [b] კი ერთმანეთს კონტრასტულად უპირისპირდებიან:

	# — V	[s] — V
p'	+	-
p	-	+
b	+	-

ფონეტიკურად მსგავსი ორი ფონი — [p'] და [b] — ერთ პოზიციაში ერთმანეთს კონტრასტულად უპირისპირდება, ხოლო სხვა პოზიციაში, სადაც ისინი არ დასტურდებიან, ვლინდება ფონეტიკურად მათი მსგავსი მესამე ფონი — [p]. საკითხი შეიძლება ორგვარად გადაწყდეს: [p'] და [p] მივიჩნიოთ ალოფონებად და დავუპირისპიროთ მათ [b], ან გავაერთიანოთ [p] და [b], რომლებსაც [p'] დაუპირისპირდება. ასეთ შემთხვევებში უნდა ვეცადოთ, რომ ფონების გაერთიანების შედეგად მივიღოთ ფონემა, რომლის დიფერენციალური ნიშნები არ მეორდება ენის სხვა ფონემებში. ამის გათვალისწინებით, უპირატესობა უნდა მივანიჭოთ პირველ გადაწყვეტილებას, რადგან [p'] და [p] ფონების გაერთიანების შედეგად მიიღება ფონემა, რომლის დიფერენციალური ნიშნებია: წყვილბაგისმიერობა, არამჟღერობა, ხშულობა, რაც ინგლისური ენის სხვა ფონემებში არ არის წარმოდგენილი. [p] და [b] ფონების გაერთიანების შემთხვევაში მიღებული ფონემა კი დახასიათდებოდა წყვილბაგისმიერობისა და ხშულობის დიფერენციალური ნიშნებით, მაგრამ ოცივე ნიშნები ექნებოდა [p'] ფონით წარმოდგენილ ფონემასაც (მას კიდევ არამჟღერობის ნიშანიც დაემატებოდა).

7.5. ზოგ შემთხვევაში გვხვდება იმის გადაწყვეტა, უნდა განვიხილოთ მოცემული სეგმენტი ორი ფონემური ერთეულის მიმდევრობად, თუ ერთ-

თი ფონემის რეალიზაციად. მაგალითად, თუ ინგლისურ [č] და [ʒ] სეგმენტებს განვიხილავთ, შესაბამისად, როგორც /t/ + /ʒ/ და /d/ + /ʒ/ მიმდევრობებს, მაშინ ეს იქნება „ხშული + სპირანტი“ ტიპის ორად ორი მიმდევრობა, რომლებიც ამ ენაში შეიძლება სიტყვის თავში შეგვხვდეს. ამიტომ, ალოფონთა განაწილების სიმეტრიულობის პრინციპის თანახმად, ამ სეგმენტებს /č/ და /ʒ/ ფონემების წარმომადგენლებად მივიჩნევთ. ქართულში [ʒ], [č], [č'], [ʒ], [c], [c'] სეგმენტები ასევე თითო და არა ორ-ორი ფონემის წარმომადგენლებად განიხილება, რაც ფონემათა განაწილების სიმეტრიულ სურათს გვაძლევს.

ზოგადად, [ab] სახის სეგმენტების ანალიზის დროს შეიძლება გვექონდეს ოთხი შემთხვევა:

1. თუ [a] და [b] არ გვხვდება გამონათქვამებში ერთმანეთის გარეშე, მაშინ ისინი ერთი ფონემის რეალიზაციას წარმოადგენენ;
2. თუ [ab]-დან [a] გვხვდება [b]-ს გარეშე, ხოლო [b] არ გვხვდება [a]-ს გარეშე, მაშინ ერთი ფონემის რეალიზაცია გვაქვს;
3. თუ [ab]-დან [b] გვხვდება [a]-ს გარეშე, ხოლო [a] არ გვხვდება [b]-ს გარეშე, მაშინაც ერთი ფონემის რეალიზაცია გვაქვს;
4. თუ როგორც [a], ისე [b] გვხვდება გამონათქვამებში ერთმანეთის გარეშე, მაშინ უნდა გამოვიყენოთ სიმეტრიულობის პრინციპი.

IV. *ეკონომიისა და სიმარტივის პრინციპი* ეს არის ერთ-ერთი ძირითადი ლოგიკური პრინციპი, რომელიც მოითხოვს ობიექტის შეძლებისდაგვარად მარტივ აღწერას. თუ ორი თეორია ერთნაირად მოიცავს ფაქტებს, მაშინ მათ შორის უპირატესობა ენიჭება იმას, რომელიც სხვა თანაბარ პირობებში უფრო მარტივია, წესების ნაკლებ რაოდენობას შეიცავს. მეორე მხრივ, თუ, ვთქვათ, არსებობს ისეთი აღწერა, რომელიც ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს და გვაძლევს სისტემას 30 ფონემური ერთეულით, მაშინ არ უნდა წარმოვადგინოთ აღწერა, რომელიც 35 ფონემის შემცველ სისტემას იძლევა; ასეთი აღწერა არაეკონომიური იქნება.

ეს პრინციპი ზოგჯერ ალტერნატივის წინაშე გვაყენებს. თუ, მაგალითად, ინგლისურში [č] და [ʒ] სეგმენტებს წარმოვადგენთ როგორც /t/ + /ʒ/ და /d/ + /ʒ/ მიმდევრობებს, ეს შეამცირებს ფონემათა რაოდენობას ენაში, მაგრამ გამონათქვამებში ფონემათა რაოდენობა, ანუ გამონათქვამების სიგრძე, გაიზრდება; ასე მაგალითად, choose „არჩევა“ სიტყვაში /čūz/ მიმდევრობის ნაცვლად /tʃūz/ მიმდევრობა გვექნება. მსგავს შემთხვევებში ნათლად უნდა გვექონდეს წარმოდგენილი აღწერის დანიშნულება და საბოლოო მიზნები.

## 8. ფონემა და არქიფონემა

8.1. ისეთ ორ ფონემას, რომლებიც ერთმანეთისაგან მხოლოდ ერთი დიფერენციალური ნიშნით განსხვავდებიან და რომელთა საერთო ნიშნების ერთობლიობა არ მეორდება ენის არც ერთ სხვა ფონემაში, ვუწოდოთ *არქიფონემის* (ბერძნ. *archē* „მთავარი“, „საწყისი“) *რეალიზაციები* სხვაგვარად თუ ვიტყვით, ასეთი ორი ფონემა წარმოადგენს საერთო *არქიფონემას*, რომელიც დახასიათდება მათი საერთო ნიშნებით. მაგალითად, ქართული /s/ და /z/, /š/ და /ž/, /x/ და /ç/ ფონემების არქიფონემები, შესაბამისად — /S/, /Š/ და /X/ — დახასიათდება ამ წყვილთა წევრების მხოლოდ საერთო ნიშნებით.

ენის ფონოლოგიურ სისტემაში ფონემებს შორის სხვადასხვა სახის დაპირისპირებები არსებობს. ორ ფონემას შორის ისეთ ოპოზიციას, რომელსაც ქმნის გარკვეული დიფერენციალური ნიშნის ქონა-არქონა, ვუწოდოთ *პრივატული* (ლათ. *privāre* „წართმევა“) *ოპოზიციას*. პრივატულია, მაგალითად, შემდეგი ოპოზიციები: *მუღერი* ~ *არამუღერი*, *ლაბიალიზებული* ~ *არალაბიალიზებული* და სხვ. ქართული /z/ და /s/, /ž/ და /š/, /ç/ და /x/ ფონემები პრივატულ ოპოზიციებს ქმნიან, რადგან განსხვავება ამ ფონემებს შორის მუღერობის, როგორც დიფერენციალური ნიშნის, ქონა-არქონით განისაზღვრება. /z/, /ž/ და /ç/ ფონემებს ახასიათებთ მოცემული ნიშანი, /s/, /š/ და /x/ ფონემებს — არა. პრივატული ოპოზიციის იმ წევრს, რომელიც ხასიათდება როგორც დიფერენციალური ნიშნის მქონე, ეწოდება *ოპოზიციის მარკირებული* (ფრ. *marquer* „აღნიშვნა“) *წევრი*, მეორე წევრი *არამარკირებულია*. მაგალითად, ქართული /z/, /ž/ და /ç/ ფონემები ხსენებულ ოპოზიციათა მარკირებული წევრებია, ხოლო /s/, /š/ და /x/ — არამარკირებული წევრები.

## 9. ოპოზიციის ნეიტრალიზაცია; ნეიტრალიზაციის პოზიცია და შარმონიული კომპლექსები ქართულში

9.1. ზოგიერთი ოპოზიცია გარკვეულ პირობებში არ ხორციელდება. ასეთია, მაგალითად, ზემოთ ჩამოთვლილი პრივატული ოპოზიციები არამუღერი ხშულისა და სპირანტის, აგრეთვე პაუზის წინ. ამ პოზიციებში დასტურდება ოპოზიციის მარტო არამუღერი წევრები. ასეთ შემთხვევებში ვიტყვით, რომ მოცემული ფონოლოგიური დაპირისპირება გარკვეულ პოზიციებში *ნეიტრალიზაციას* (ლათ. *neuter* „არც ერთი და

არც მეორე“) განიცდის. თვით ასეთ დაპირისპირებას *ნეიტრალიზებადი დაპირისპირება* (ანუ *ნეიტრალიზებადი ოპოზიცია*) ეწოდება.

ზოგიერთი დაპირისპირება არც ერთ პოზიციაში არ განიცდის ნეიტრალიზაციას. ასეთია, მაგალითად, ქართული /E/-/i/. იმ პოზიციას, რომელშიც მოცემული დაპირისპირება ხორციელდება, *რელევანტურობის* ანუ *ძლიერი პოზიცია* ეწოდება — *ნეიტრალიზაციის* ანუ *სუსტი პოზიციისაგან* განსხვავებით, რომელშიც მოცემული დაპირისპირება იხსნება. განხილულ მაგალითში ჩამოთვლილი დაპირისპირებებისათვის პოზიციები არამჟღერი ხშულის ან სპირანტის წინ და სიტყვის ბოლოს ნეიტრალიზაციის პოზიციებია, ხოლო, ვთქვათ, პოზიცია ხმოვნის წინ — რელევანტურობის პოზიცია (მდრ. *ზოლო-სოლი, ვაჟა-ვაშა, ღილო-ხილი* და სხვ.). მაგალითად, ქართულსა და გერმანულში პოზიცია სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ხშულთა მჟღერობა-სიყრუის ნიშნის მიხედვით ოპოზიციათა (b, d, g - p, t, k) ნეიტრალიზაციის პოზიციას წარმოადგენს, განსხვავებით სხვა პოზიციებისაგან, სადაც ეს დაპირისპირება ხორციელდება. ქართულში *ღ-ბ-ყ* ოპოზიციის თვალსაზრისით ნეიტრალიზაციის პოზიციები გვაქვს მჟღერი ხშულის — *ბ, დ, ყრუ* (ფშვინვიერისა) — *ფ, თ* და აბრუპტივის — *პ, ტ* — მომდევნოდ. დასტურდება, შესაბამისად, მხოლოდ *ბღ, დღ, ფბ, თბ, პყ, ტყ* ე.ი. დაპირისპირება *ღ-ბ-ყ* მოხსნილია. ანალოგიური ვითარება გვაქვს მჟღერი, ყრუ (ფშვინვიერი) და გლოტალიზებული *ძ-ც-წ, ჯ-ჩ-ჭ* აფრიკატების მომდევნო პოზიციაში — დასტურდება მხოლოდ *ძღ, ცხ, წყ; ჯღ, ჩხ, ჭყ*.

ამ თვალსაზრისით ქართულში ყალიბდება *ჰარმონიული კომპლექსების* სისტემა (*გორგი ახვლედიანი*). განარჩევენ *ჰარმონიულ კომპლექსთა A* და *B* სისტემებს:

A სისტემა:			B სისტემა:		
1. ბგ	~ ფქ ~ ბკ	ლაბიალურ და დენტალურ ხშულთა, აგრეთვე აფრიკატთა სამეულების მომდევნო პოზიციებში ნეიტრალიზებულია გ-ქ-კ დაპირისპირებები	1. ბღ	~ ფხ ~ ბყ	ლაბიალურ და დენტალურ ხშულთა, აგრეთვე აფრიკატთა სამეულების მომდევნო პოზიციებში ნეიტრალიზებულია ღ-ბ-ყ დაპირისპირებები
2. ღგ	~ თქ ~ ტკ		2. დღ	~ თხ ~ ტყ	
3. ძგ	~ ცქ ~ წკ		3. ძღ	~ ცხ ~ წყ	
4. ჯგ	~ ჩქ ~ ჭკ		4. ჯღ	~ ჩხ ~ ჭყ	

ნეიტრალიზაციის პოზიციაში არქიფონემა ვლინდება დაპირისპირების ერთ-ერთი წევრის სახით; უფრო ზუსტად, ეს დაპირისპირების არც ერთი წევრია და არც მეორე, რადგან არქიფონემის გამოვლინება უნდა განისაზღვროს იმ დიფერენციალური ნიშნებით, რომლებიც საერთოა მოცემული დაპირისპირების წევრებისათვის. მაგალითად, /x/-/χ/ თბოზიციის ნეიტრალიზაციის შემთხვევაში არქიფონემა ვლინდება არა როგორც არამჟღერი, არამედ როგორც ზოგადად დორსალური (გელარული) ნაპრალოფანი. ამ ნიშნებით ოგი უპირისპირდება, ერთი მხრივ, დორსალურ არანაპრალოფენებს, ხოლო მეორე მხრივ — არადორსალურ (არაგელარულ) სპირანტებს (ბაგისმიერებს, წინაენისმიერებს და სხვ.)

## 10. ერთგანზომილებიანი და მრავალგანზომილებიანი თბოზიციები

10.1. **0**-უ ორი ფონემის საერთო ნიშნები არ შედის ამავე სისტემის არც ერთი სხვა ფონემის ნიშანთა სიმრავლეში, მაშინ ეს ორი ფონემა *ერთგანზომილებიანი თბოზიციას* ქმნის; სხვა შემთხვევაში გვაქვს *მრავალგანზომილებიანი თბოზიცია*. როგორც აღვნიშნეთ, ნეიტრალიზაციის შემთხვევაში ვლინდება არქიფონემა, ე.ი. გვაქვს ერთგანზომილებიანი თბოზიცია, რომლის წევრთა საერთო ნიშნები არ მეორდება ამავე სისტემის სხვა თბოზიციების წევრებში. მაშასადამე, ნეიტრალიზაციას განიცდის მხოლოდ ერთგანზომილებიანი თბოზიცია. ზემოთ განხილული იყო სწორედ ერთგანზომილებიანი თბოზიცია: მის წევრთა საერთო ნიშნები — დორსალურობა (გელარულობა) და ნაპრალოფნობა — ქართული ფონოლოგიური სისტემის არც ერთ სხვა ფონემასთან არ მეორდება. მრავალგანზომილებიანია, მაგალითად, /ზ/-/ღ/ დაპირისპირება ქართულში, რადგან მის წევრთა საერთო ნიშნები — *მეღერობა* და *ნაპრალოფნობა* — ახასიათებს /ჟ/ ფონემასაც.

ერთგანზომილებიანი და მრავალგანზომილებიანი თბოზიციების ილუსტრირება შეიძლება გრაფიკულ მაგალითზე: ლათინურ ანბანში E და F ასოებს შორის დაპირისპირება ერთგანზომილებიანია, რადგან მათი საერთო ნიშნები — ვერტიკალური ღერძი ორი პორიზონტალური ხაზით, რომელთაგან ერთი მიერთვის ღერძს ზევით, მეორე კი შუაში — არ მეორდება ლათინური ანბანის არც ერთ სხვა სიმბოლოში. დაპირისპირება P და R ასოებს შორის მრავალგანზომილებიანია, რადგან მათი საერთო

ნიშნების ერთობლიობა — გერტიკალური ღერძი და მარჯვნივ მიმართული რკალი — ახასიათებს B ასოსაც.

**10.2.** როგორც აღვნიშნეთ, არქიფონემა ვლინდება დაპირისპირების წევრებისათვის საერთო ნიშნების ერთობლიობის სახით. მაგრამ რა ფონეტიკური ერთეული იჩენს თავს არქიფონემის წარმომადგენლად ნეიტრალიზაციის პოზიციაში? აქ შეიძლება რამდენიმე შემთხვევა გვქონდეს:

1. არქიფონემის გამოვლინება ფონეტიკურად არ ემთხვევა ნეიტრალიზებადი თოზიციის არც ერთ წევრს. ის შეიძლება იყოს თოზიციის წევრებს შორის შუალედური, „გარდამავალი“. მაგალითად, რუსულში ლაბიალურ თანხმოვანთა დაპირისპირება პალატალიზაციის მიხედვით იხსნება პალატალიზებული დენტალური თანხმოვნების წინ; იქ ვლინდება „ნახევრად პალატალიზებული“ ლაბიალური თანხმოვნები: ПТИЦА [p<sup>(t)</sup>ʲɪˈt͡sɪkə] „ფრინველი“, ВЗЯИ [v<sup>(t)</sup>zʲɪˈaj] „აიღო“ და სხვა.

2. არქიფონემის წარმომადგენელი ფონეტიკურად ემთხვევა თოზიციის ერთ-ერთ წევრს და განისაზღვრება მეზობელი ფონემით — ნეიტრალიზაციის პოზიციაში ვლინდება თოზიციის ის წევრი, რომელიც რაღაც ნიშნით ჰგავს მეზობელ ფონემას. მრავალ ენაში, სადაც დაპირისპირება მჟღერ და არამჟღერ თანხმოვნებს შორის ნეიტრალიზაციას განიცდის, არქიფონემის წარმომადგენლად მჟღერი ბგერების მეზობლად თოზიციის მჟღერი წევრი ვლინდება, არამჟღერი ბგერების მეზობლად კი — არამჟღერი (სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში უფრო ხშირად თოზიციის არამჟღერი წევრი გვაქვს). ამის მაგალითია ქართულ ნაპრალოვან ფონემათა ზემოთ განხილული თოზიციები, რომელთა მჟღერი წევრები /ზ/, /ჟ/, /ღ/ გვაქვს მჟღერი ხშულებისა და სპირანტების წინ.

3. არქიფონემის წარმომადგენლის ხასიათი არ არის შეპირობებული ნეიტრალიზებადი თოზიციის წევრთა ფონეტიკური გარემოცვით; თუ დაპირისპირება პრივატულია, მაშინ არქიფონემის წარმომადგენლად უფრო ხშირად დაპირისპირების არამარკირებული წევრი გვევლინება. ანალოგიური ვითარება გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ნეიტრალიზებადი თოზიცია გრადუალურია (ლათ. *gradus* „ნაბიჯი“, „ხარისხი“), ე.ი. ფონემებს შორის დაპირისპირების საფუძველს ქმნის ერთი ნიშნის რაღაც ხარისხები, გრადაციები. მაგალითად, ხმოვანთა გრადუალურ თოზიციას ქმნის ენის აწეულობის სხვადასხვა ხარისხი.

გრადუალური თოზიციის იმ წევრს, რომელიც დიფერენციალური ნიშნის მაქსიმალური ხარისხით ხასიათდება, *თოზიციის უკიდურესი წევრი* ეწოდება. ნეიტრალიზაციის პოზიციაში სწორედ ეს წევრი ვლინდება. მაგალითად, ბულგარულსა და ახალ ბერძნულში /u/-/o/ და /i/-/e/ გრადუალური თოზიციები უმახვილო მარცვალში ნეიტრალიზაციას განიც-

დის და არქიფონემა ვლინდება მაქსიმალურად ვიწრო [u] და [i] ხმოვნების სახით.

4. თბოზიციის ორივე წევრი შეიძლება მოგვევლინოს არქიფონემის წარმომადგენლად: ზოგ პოზიციაში შეიძლება მოგვევლინოს ერთი, სხვებში — მეორე. ეს შემთხვევა ლოგიკურად უპირისპირდება პირველ შემთხვევას. მაგალითად, გერმანულში /s/ და /ʃ/ თბოზიცია იხსნება /p/ და /t/ თანხმოვნების წინ; არქიფონემის წარმომადგენლად სიტყვის თავში [ʃ] გვევლინება, ხოლო სიტყვის შუაში და ბოლოში — [s].

## 11. სუპრასეგმენტური ფონემები

11.1. მის ფონემური ანალიზი არ გულისხმობს მხოლოდ სეგმენტური, ერთმანეთს მიყოლებული ენობრივი ერთეულების გამოყოფას. სეგმენტური ფონემების გარდა, ენაში მნიშვნელობის განმასხვავებელი ფუნქცია შეიძლება ჰქონდეთ მათ პროსოდოულ მახასიათებლებსაც. ფონოლოგიური ღირებულების მქონე ასეთი მახასიათებლები ცალკეულ ფონემებად უნდა მივიჩნიოთ. ოპერაციულად მათი ანალიზი სეგმენტურ ფონემათა ანალიზის ანალოგიური: უნდა აღვსახოთ ყველა ის პოზიცია, სადაც ეს პროსოდოული ელემენტები ჩნდება და ისინი დისტრიბუციული კრიტერიუმების მიხედვით გაფაერთიანოთ კლასებად. ამის შედეგად მივიღებთ პროსოდოულ ანუ სუპრასეგმენტურ ფონემებს. ფონეტიკის ნაწილში უკვე იყო საუბარი ზოგიერთ ენაში სიტყვათმახვილის დისტინქციური მნიშვნელობისა და ინტონაციური კონტურების განსხვავების შესახებ. აქ შევხებით მხოლოდ ბგერათშენაწევრების, ბგერათდაკავშირების საკითხებს.

ცნობილია, რომ გამონათქვამის თავში, შუაში და ბოლოში ბგერებს შორის ზოგჯერ მკვეთრი სხვაობა შეიმჩნევა. მაგალითად, გერმანულში ყრუ ხშულები *პოსტპაუზალურ* (პაუზის მომდევნო) *პოზიციაში*, *ანლაუტში* (გერმ. *Anlaut*) ასპირირებულია, მახვილიანი ხმოვნის ინტენსივობა იზრდება; *პრეპაუზალურ* (პაუზის წინამაგალ) *პოზიციაში*, *აუსლაუტში* (გერმ. *Auslaut*) ბგერები ოდნავ გაგრძელებულია, მახვილიანი ხმოვნის ინტენსივობა ეცემა; ხშულები და სპირანტები ამ პოზიციაში კარგავენ მჟღერობას (ყრუვდებიან).

ბგერათა პრეპაუზალურ და პოსტპაუზალურ პოზიციებთან დაკავშირებული ღია გადასვლის მოვლენები წიგნის მეორე თავში განვიხილეთ. პაუზიდან გამონათქვამის პირველ სეგმენტურ ფონემაზე გადასვლას ეწოდება *გარეგანი ღია გადასვლა* (ინგლ. *external open juncture*). დახურული გადასვლა უპირისპირდება არა მარტო გარეგან, არამედ *შინაგან ღია გადასვლასაც* (ინგლ. *internal open juncture*), რომე-

ლიც არ არის დაკავშირებული პრეპაუსალურ თუ პოსტპაუსალურ პოზიციასთან; იგი თავს იჩენს სიტყვის ნაწილებს შორის (მაგალითად, რთულფუძიან სიტყვებში).

ფონეტიკის ნაწილში მოვიყვანეთ ინგლისური მაგალითი — night-rate „ღამისთვის ქირა“ ~ nitrate „ნიტრატი“, რომელშიც სწორედ შინაგანი ღია გადასვლისა და დახურული გადასვლის დაპირისპირება გვაქვს. აქ წარმოდგენილია სეგმენტები, რომლებიც პირობითად [t'] და [t] სიმბოლოებით შეიძლება აღვნიშნოთ. ამ სიტყვათა სემანტიკური განსხვავება უკავშირდება [t'] და [t] სეგმენტებს შორის განსხვავებას. თუ ღია გადასვლას მივიჩნევთ გარემოცვაში სხვაობად, მაშინ night-rate ~ nitrate წყვილში [t'] და [t] შორის არსებული განსხვავება პოზიციით იქნება შეპირობებული: [nait'-reit] ~ [naitreit]; ეს ფონები დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში აღმოჩნდება.

მიზანშეწონილია, შემოვიტანოთ სპეციალური /-/ ფონემა — ღია გადასვლა, რომელიც საშუალებას მოგვცემს [t'] და [t] შორის განსხვავება ერთი /V/ ფონემის ალოფონებს შორის პოპსიურ განსხვავებად მივიჩნიოთ. ამით თავიდან ავიცილებთ ენაში ფონემათა რიცხვის გაზრდას. ღია გადასვლისათვის ფონემური სტატუსის მინიჭების შემთხვევაში უფრო ეკონომიურად აღიწერება ისეთი მაგალითები, როგორიცაა ინგლ. its wings „მისი ფრთები“ ~ it swings „იგი ირყევა“, a name „სახელი“ ~ an aim „მიზანი“. მსგავსი შემთხვევები ენებში მრავლად გვხვდება — შდრ. ასხმიანი (ას-ხმიანი, ასხმ-იანი), ორგანი (ორ-განი, ორგანი), სადაც დახურული და შინაგანი ღია გადასვლის დაპირისპირება გვაქვს. შინაგანი და გარეგანი ღია გადასვლით უპირისპირდება ერთმანეთს, მაგალითად, ხიდის თავი ~ ხიდისთავი, ცის ფერი ~ ცისფერი, დღე გრძელია ~ დღეგრძელია და სხვ.

ფონემურ ჩანაწერში გარეგან ღია გადასვლას აღვნიშნავთ ინტერვალით გამონათქვამებს შორის, შინაგან ღია გადასვლას — დეფისით, ხოლო დახურული გადასვლა არ აღინიშნება (ესეც თავისებური აღნიშვნაა).

## 12. ფონემური ანალიზის საილუსტრაციო მაგალითი

12.1. ფონემური ანალიზის წესების გამოყენების საილუსტრაციოდ გავაანალიზოთ ესპანური გამონათქვამები, ჩაწერილი ფონეტიკური ტრანსკრიფციით (იგულისხმება, რომ ბგერითი სეგმენტები, ფონები უკვე გამოყოფილია). ეს ჩანაწერი, ცხადია, არ არის საკმარისი ესპანური ენის ფონოლოგიური სისტემის სრული დახასიათებისათვის; ჩვენ მოგვყავს მხოლოდ ცალკეული მაგალითები:



bala	[bala]	„ბურთი“
bilis	[bilis]	„ნალველი“
Habana	[aβana]	„ჰავანა“
boda	[boða]	„ქორწილი“
banco	[baŋko]	„სკამი“
burla	[burla]	„ხუმრობა“
donde	[donde]	„სად“
puro	[puro]	„სუფთა“
caballo	[kaβalo]	„ცხენი“
todo	[toðo]	„ყველა“
Cuba	[kuβa]	„კუბა“
gato	[gato]	„კატა“
gola	[gola]	„ყელი“
mucho	[muço]	„ბევრი“
mancho	[manço]	„ლაქა“
durar	[durar]	„ატანა“, „გაძლება“
beso	[beso]	„კოცნა“
baga	[baɣa]	„თოკი“
lago	[laɣo]	„ტბა“
nada	[naða]	„არაფერი“
ponderoso	[ponderoso]	„მძიმე“
pongo	[ponɣo]	„ვდებ“
pero	[pero]	„მაგრამ“
tengo	[tenɣo]	„მაქვს“
dios	[dios]	„ღმერთი“
padre	[paðre]	„მამა“

andar	[andar]	„სვლა“
palo	[palo]	„ჯოხი“
peso	[peso]	„სიმძიმე“, „წონა“
libro	[libro]	„წიგნი“
albar	[albar]	„თეთრი“
ingles	[ingles]	„ინგლისური“
pipa	[pipa]	„ჩიბუხი“

[ხ] სიმბოლო აღნიშნავს ბილაბიალურ სპირანტს.

პირველ რიგში უნდა ამოვწეროთ გამონათქვამებში გამოყოფილი ყველა ბგერა და მოვახდინოთ მათი ფონეტიკური კლასიფიკაცია:

<i>ყრუ არაფშენიერი ხშულები:</i>	p	t	k
<i>მუღერი არაფშენიერი ხშულები:</i>	b	d	g
<i>მუღერი ნაპრალოვნები:</i>	ხ	ძ	ჯ
<i>ყრუ ნაპრალოვანი:</i>	s		
<i>ყრუ აფრიკატი:</i>		ც	
<i>ლატერალური თანხმოვნები:</i>	l	ღ	
<i>ვიბრანტი:</i>	r		
<i>ნაზალური თანხმოვნები:</i>	m	n	ჲ
<i>ხმოვნები:</i>	i		u
		e	o
		a	

12.2. ბამოვყოთ საგარაუდო ალოფონების წყვილები. როგორც ვიცით, ერთი და იგივე ფონი შეიძლება სხვადასხვა წყვილის წევრი აღმოჩნდეს.

განვიხილოთ პირველი საგარაუდო წყვილი — [ხ], [პ] და აღვნიშნოთ ჩვენს გამონათქვამებში ამ ფონების გამოვლენის შემთხვევები (V სიმბოლოთი აღნიშნულია ხმოვანი):

	#-a	V-a	#-i	#-e	#-o	#-u
[b]	+	-	+	+	+	+
[p]	-	+	+	+	+	+

როგორც ვხედავთ, [b] და [p] დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში არ იმყოფებიან, ამ ფონებს კონტრასტული დისტრიბუცია აქვთ; დასტურდება მინიმალური წყვილებიც: მაგალითად, [beso]~[peso]. ანალოგიურ სურათს მივიღებთ [d]~[t], [g]~[k] ფონებისათვის.

უნდა შევამოწმოთ [d] ფონის მიმართება [ð]~სთან, [b] ფონისა — [b]~სთან და [g] ფონისა — [ç]~სთან. [b], [d], [g] გვხვდება # — V პოზიციაში; [b] არ გვხვდება სიტყვის შუაში, [b] კი სიტყვის თავში, ე.ი. მათ შორის დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაა და ისინი ალოფონებად უნდა მივიჩნიოთ. სათანადო ფონემას /b/ სიმბოლოთი აღვნიშნავთ. ასეთივე ფონეტიკური განსხვავებაა [d]~[ð], [g]~[ç] ფონებს შორის, მაგრამ დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულება აქ, ერთი შეხედვით, არა გვაქვს, რადგან ყველა ეს ფონი დასტურდება სიტყვის შუაში. მაგრამ [d] და [g] ფონები სიტყვის შუაში მხოლოდ ნაზალური თანხმოვნის შემდეგ გვხვდება, ხოლო დანარჩენი ფონების გარემოცვაში [ð] და [ç] გვაქვს:

	# —	n —	V —
[d]	+	+	-
[ð]	-	-	+
[g]	+	+	-
[ç]	-	-	+

მაშასადამე, ღვინდება დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულება [d] და [ð], აგრეთვე [g] და [ç] ფონებს შორის. ეს საფუძველს გვაძლევს გამოვყოთ ორი ფონემა: ერთის ალოფონები იქნება [d] და [ð], მეორისა — [g] და [ç].

რამდენადაც [b]~[b] წყვილში ფონებს შორის განსხვავება ისეთივეა, როგორც [d]~[ð], [g]~[ç] წყვილებში, სავარაუდოა, რომ სიტყვის შუაში ნაზალის შემდეგ მხოლოდ [b] გვექნება და არა [b]. ამაში დავრწმუნდებით, თუ ჩვენს სიას დავუმატებთ, მაგალითად, ambiente [ambiente] „გარემო“ და hombre [ombre] „კაცი“ სიტყვებს. ამგვარად, მივიღებთ სრულ პარალელიზმს განხილულ სამ წყვილს შორის.

გამონათქვამთა ჩვენს სიაში არ იყო წარმოდგენილი ისეთი მაგალითი, რომელიც ნაზალური თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში [b], [b] ფონების

განაწილებას გაარკვევდა. ეს უბრალოდ მასალის უკმარისობით იყო გამოწვეული.

მაშასადამე, მივიღეთ სამი ფონემა — /b/, /d/, /g/, რომელთა ალოფონებია, შესაბამისად, [b], [b̥]; [d], [d̥]; [g], [χ].

### 13. ფონემათა დისტრიბუციული კლასები

13.1. მის ფონემური ანალიზი არ მთავრდება ფონემების გამოყოფითა და ფონემათა პარადიგმატული ურთიერთმიმართებების დადგენით. აუცილებელია აგრეთვე იმ შეზღუდვათა შესწავლა, რომლებიც ენობრივ გამონათქვამებში ფონემური ერთეულების განაწილებას ედება. ხშირად შესაძლებელია ფონემათა კლასების გამოყოფა ფონემათა სინტაგმატური ურთიერთმიმართებების ანუ დისტრიბუციის საფუძველზე. ამის კარგი მაგალითი წარმოდგენილია ძველ ბერძნულ ენაში:

ძველ ბერძნულში ერთადერთი ფონემა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სიტყვის თავში დასტურდება, არის ე.წ. ძლიერი ფშვინვა (ლათ. *spiritus asper*). ის ფონემები, რომლებიც შეიძლება შეგვხვდნენ თავკიდურ პოზიციაში „ძლიერი ფშვინვის“ მომდევნოდ, ქმნიან ხმოვანთა კლასს, დანარჩენები კი თანხმოვანთა კლასს.

სიტყვის თავში „ძლიერი ფშვინვის“ მომდევნოდ იკრძალება ყველა თანხმოვანი /ρ/-ს გარდა; ეს უკანასკნელი თავკიდურ პოზიციაში მხოლოდ „ძლიერი ფშვინვის“ შემდეგ არის დადასტურებული.

თანხმოვნები ორ ჯგუფად იყოფა /ρ/ ფონემის წინ გამოჩენა-არგამოჩენის მიხედვით: ის თანხმოვნები, რომლებიც გვხვდება /ρ/ ფონემის წინ სიტყვის თავში, განეკუთვნება მესესეულთა ჯგუფს, დანარჩენები — მყოვართა ჯგუფს. ამ უკანასკნელთაგან სიტყვის თავში მესესეული თანხმოვნის წინ მხოლოდ /σ/ სპირანტი დასტურდება; იგი ამ ჯგუფის ერთადერთი წარმომადგენელია. დანარჩენი მყოვარი თანხმოვნები სონორთა ჯგუფს განეკუთვნება. ესენია: /λ/, /ρ/, /ν/ და /μ/.

სიტყვის შუაში სპირანტის წინ დასაშვებია მხოლოდ ორი თანხმოვანი სონორთა ჯგუფიდან — ლატერალი /λ/ და ვიბრანტი /ρ/; ცხვირისმიერი სონორები /ν/ და /μ/ ამ პოზიციაში არ გვხვდება.

სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში წარმოდგენილია /ρ/-/λ/ და /ν/-/μ/ ერთგანზომილებიანი ნეიტრალიზებადი დაპირისპირებების არამარკირებული წევრები — /ρ/ და /ν/. ამ პოზიციაში დასაშვებია კიდევ ერთი ფონემა — /σ/; მესესეული თანხმოვნები სიტყვის ბოლოში არ დასტურდება.

მეყსეულთაგან მხოლოდ სამი შეიძლება შეგვხვდეს სხვა მეყსეულის მომდევნოდ — აპიკალური (დენტალური) /*τ*/, /*δ*/, /*θ*/, დანარჩენ მეყსეულ თანხმოვანთაგან სამი აკრძალულია /*μ*/ ფონემის წინ, ესენია ბაგისმიერი /*β*/, /*π*/, /*φ*/ თანხმოვნები; ამ პოზიციაში შეიძლება შეგვხვდეს გუტურალური /*γ*/, /*κ*/ ან /*χ*/ თანხმოვნები.

მეყსეულთაგან /*τ*/ ფონემის წინ მხოლოდ /*π*/ და /*κ*/ ვლინდება, /*θ*/ ფონემის წინ დასტურდება მხოლოდ /*φ*/ და /*χ*/, ხოლო /*δ*/ ფონემის წინ — მხოლოდ /*β*/ და /*γ*/, /*θ*/, /*φ*/ ან /*χ*/ ფონემათა შემცველი მარცვლის წინ დასაშვებია მხოლოდ /*π*/, /*τ*/, /*κ*/ თანხმოვნების (და არა /*θ*/, /*φ*/ ან /*χ*/ თანხმოვნების) შემცველი მარცვალი. მაშასადამე, ამ პოზიციაში ნეიტრალიზაციას განიცდის ერთგანზომლებიანი /*φ*~/*π*/, /*θ*~/*τ*/, /*χ*/ ~/*κ*/ თანხმოვნები. ამ მიმართებათა საფუძველზე გამოიყოფა მეყსეულ თანხმოვანთა ორი ჯგუფი: ყრუ /*π*/, /*τ*/, /*κ*/ და ფშვინგიერი /*φ*/, /*θ*/, /*χ*/ თანხმოვნები.

/*β*/, /*δ*/, /*γ*/ მეყსეულები, /*π*/, /*τ*/, /*κ*/ მეყსეულთაგან განსხვავებით, არ განიცდიან გემინაციას ანუ გაორმაგებას (ლათ. *gemināre* „შეუღლება“, „გაორკეცება“), რაც მჟღერ მეყსეულ თანხმოვანთა ჯგუფის გამოყოფას განაპირობებს.

**13.2.** მის ფონემათა სიმრავლე შეიძლება დავეყოს ქვესიმრავლეებად სხვა კრიტერიუმების საფუძველზეც, მაგალითად, მარცვლის შექმნის უნარის საფუძველზე. ამ შემთხვევაში მარცვალს მივიჩნევთ ამოსავალ, ძირეულ ცნებად.

თუ ფონემის ყველა ალოფონი მოკლებულია მარცვლის შექმნის უნარს, მაშინ იგი თანხმოვანთა კლასს განეკუთვნება. ხმოვანი ისეთი ფონემაა, რომლის ყოველი ალოფონი მისთვის დამახასიათებელ ყველა პოზიციაში ქმნის მარცვალს. ისეთ ფონემას, რომელსაც აქვს მარცვლის შექმნის უნარის მქონე და ამ უნარს მოკლებული ალოფონები, *სონანტი* (ლათ. *sonans* „სრულბგეროვანი“) ეწოდება. მაგალითად, ძვ. ინდური /*r*/ ფონემა ვლინდება მარცვლოვანი [ṛ] და უმარცვლო [r] ალოფონების სახით: უდრ. ძვ. ინდ. *pitaram* „მამას“ (აკუზატივი, მხ. რ.) — *pitṛṣa* „მამებს“ (მიც. ბრ., მრ. რ.); ასევე, ძველ ბერძნულში /*α*/ და /*i*/ ფონემები სხვადასხვა პოზიციებში გვხვდება შესაბამისად უმარცვლო [α], [i] და მარცვლოვანი [α̂], [î] ალოფონების სახით: უდრ. ძვ. ბერძნ. *φῆρυξ* [pʰêɾɯ̂gō] „გაგრბივარ“ — *ἔφυγον* [êpʰûgōn] „გაფიქცი“, *λείπω* [leîpō] „გტოვებ“ ~ *ἔλιπον* [elîpōn] „დავტოვე“ და სხვ.

გამონათქვამებში ფონემათა განაწილების ანუ *ფონოტაქტიკის* (ბერძნ. *taktiké* „განლაგება“, „დაწყობა“) შესწავლისათვის არსებითია ერთი და იმავე კლასის ფონემებისაგან შედგენილი მიმდევრობების — *ფონემათა კომპლექსების* შესწავლა. ორი ან მეტი თანხმოვნის მიმდევრობას ეწოდება *თანხმოვანთკომპლექსი*, ხოლო ორი ან მეტი ხმოვნის მიმდევრობას — *ხმოვანთკომპლექსი*. ცალკეულ ენებში არსებული კომპლექსების შესწავლისა და მათი აღწერისათვის ზოგადი წესების დადგენა საგრძნობლად დაგვეხმარება ენათა ერთმანეთთან შედარებაში და, საზოგადოდ, ენის ბუნების გარკვევაში.

**13.3.** ბანსაკუთრებით საინტერესოა თანხმოვანთკომპლექსების აღწერა. დისტრიბუციული თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ თანხმოვანთკომპლექსების სამი ტიპი — *თავკიდური*, *ბოლოკიდური* და *ინტერვოკალური* (ანუ ხმოვნებს შორის მოთავსებული) *თანხმოვანთკომპლექსები*.

კომპლექსში ფონემათა რიცხვის ზრდასთან ერთად იზრდება შეზღუდვები, რომლებიც მათ განაწილებას ედება. მაქსიმალურად თავისუფალი განაწილებით ხასიათდება ცალი ფონემა. მაგალითად, ინგლისურში თითქმის ყველა თანხმოვანი გვხვდება ინტერვოკალურ პოზიციაში, ხოლო ორთანხმოვანიან კომბინაციებს უკვე მნიშვნელოვანი შეზღუდვები ედება; ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსები ინგლისურში საერთოდ არ დასტურდება. ქართულში არსებობს ოთხწევრა და ხუთწევრა თანხმოვანთკომპლექსები; ერთი ძირის ფარგლებში მაქსიმალური სიგრძის მქონე ექვსწევრა კომპლექსი ორად ორია: —*ბრდღვზ* და —*ფრცქვზ*. ქართულის ახლომონათესავე მეგრულში მაქსიმალური სიგრძის თანხმოვანთკომპლექსები ოთხწევრიანია (სიტყვის ძირის ფარგლებში).

თუ კომპლექსში თანხმოვანთა პოზიციებს მარცხნიდან მარჯვნივ გადავნიშნავთ, მივიღებთ ციფრების გარკვეულ მიმდევრობას. მაგალითად, სამთანხმოვანიან კომპლექსში გვექნება (1-2-3) მიმდევრობა, სადაც (1) არის პირველი ანუ თავკიდური პოზიცია — ადგილი ხმოვნის ან პაუზის შემდეგ, (2) არის მეორე, შუა პოზიცია, ხოლო (3) — მესამე ანუ ბოლოკიდური პოზიცია — ადგილი ხმოვნის ან პაუზის წინ.

**13.4.** თანხმოვანთკომპლექსებში მონაწილე ფონემათა სიმრავლის დალაგების საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს რამდენიმე წესი, რომელთა ერთობლიობა განსაზღვრავს ამ კომპლექსების შედგენილობასა და სტრუქტურას. საილუსტრაციოდ განვიხილოთ ქართული ენის თავკიდურ თანხმოვანთკომპლექსებში მონაწილე ფონემათა სიმრავლის ასეთი დალაგება:

- (1) ბ ფ პ შ
- (2) რ
- (3) დ თ ტ ძ ც წ ზ ს ჯ ჩ ჭ უ შ
- (4) გ ქ კ ლ ხ ყ
- (5) ვ
- (6) ლ რ მ ნ

(აქ არ ჩანს /ჰ/ თანხმოვანი, რომელიც არ მონაწილეობს თავკიდურ თანხმოვანთაგან პლექსებში სიტყვის ძირის ფარგლებში)

I წესი: წარმოდგენილ დალაგებაში თანხმოვნები ისე არის განაწილებული, რომ ვერტიკალურ განზომილებაში ანუ სვეტებში მოცემული ფონემები თავკიდურ კომპლექსებში შეიძლება შეგვხვდეს ერთადერთი თანმიმდევრობით:

(1)-(2)-(3)-(4)-(5)-(6)



II წესი: ჰორიზონტალურ განზომილებაში ანუ რიგებში წარმოდგენილი ფონემებიდან, ყოველი ცალკეული რიგიდან თავკიდურ კომპლექსებში შეიძლება მონაწილეობდეს მხოლოდ ერთი ფონემა.

ორივე წესში მოცემული შეზღუდვები მკაცრია. I წესი ადგენს რიგების თანმიმდევრობას, II წესი — ყოველი რიგიდან მხოლოდ თითო ელემენტის მონაწილეობას.


III წესი: თავკიდურ კომპლექსში დასაშვებია მხოლოდ ისეთი თანხმოვნების თანაარსებობა, რომლებიც განსაზღვრულ დიფერენციალურ ნიშანთა ერთი და იმავე მნიშვნელობით ხასიათდება.

ამ წესით დგინდება თანხმოვანთა შეთავსებადობა — კონკრეტული თანხმოვანი გარკვეული რიგიდან შეიძლება შეუერთდეს დანარჩენი რიგების მხოლოდ განსაზღვრულ ფონემურ ერთეულებს (არა ნებისმიერს). მაშასადამე, გარკვეულ დიფერენციალურ ნიშანთა ჰომოგენურობის მიხედვით თანხმოვნები ქმნიან კომპლექსს, რის შედეგადაც მიიღება თანხმოვანთა ერთგვარი *გრძელი კომპონენტები* მაგალითად, ზემოთ წარმოდგენილ სისტემაში საქმე ეხება ორ დიფერენციალურ ნიშანს: *მჟღერი* — *არამჟღერი* და *გლოტალიზებული* — *არაგლოტალიზებული* ჰომოგენურობის პრინციპის თანახმად, კომპლექსებში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ან მხოლოდ მჟღერი, ან მხოლოდ არამჟღერი, ან მხოლოდ გლოტალიზებული თანხმოვნები. ამ დიფერენციალური ნიშნებით თანხმოვანთრიგები კლასებად დაიყოფა. ცხადია, ხსენებული შეზღუდვა არ ეხება ისეთ ფონემებს, რომელთათვისაც მოცემული დიფერენციალური ნიშნები ფონოლოგიურად ირელევანტურია (ასეთია, კერძოდ, სონორი თანხმოვნები). ეს ფონემები შეიძლება მონაწილეობდნენ კომპლექსებში მოცემული დიფერენციალური ნიშნების როგორც დადებითი, ისე უარყოფით

თი მნიშვნელობის მატარებელ თანხმონებთან ერთად, ოღონდ პირველი ორი შეზღუდვის გათვალისწინებით.


მაქსიმალური სიგრძის კომპლექსებიდან შეიძლება გამოვიყვანოთ უფრო მოკლე თანხმონებთმდევრობები, რომლებიც ქმნის *ნაწარმოები, დერივაციული კომპლექსების* კლასს. ასეთ სტრუქტურებში ფონემათა პოზიციები დგინდება მაქსიმალური სიგრძის კომპლექსებთან მიმართებით. მაგალითად, ენაში, სადაც თანხმონებთკომპლექსთა სიგრძე არ აღემატება ოთხს — (1-2-3-4), დერივაციულ კომპლექსებში დასაშვებია პოზიციების (1-3-4), აგრეთვე (1-2) ან (2-4) და სხვა მიმდევრობები, მაგრამ გამორიცხულია (1-3-2-4), (1-4-3), (2-1), (4-3) და მისთ. მიმდევრობები. მაქსიმალური სიგრძის სტრუქტურებიდან ნაკლები სიგრძის კომპლექსთა გამოყვანა დახასიათებული წესების მიხედვით ემყარება *თანხმონებთკომპლექსთა დაშლადობის* ზოგად პრინციპს, რომლის მიხედვით, *n* სიგრძის ყოველი თანხმონებთმდევრობა შეიცავს *n-1* სიგრძის ერთ მიმდევრობას მაინც.

ქართულში წარმოდგენილი მაქსიმალური ექვსწევრა სტრუქტურიდან ერთი სიმბოლოს ამოღებით გამოიყვანება ხუთწევრა კომპლექსის სიმბოლური სტრუქტურები:



ანუ პოზიციათა შემდეგი მიმდევრობები: (1-2-3-4-5), (1-2-4-5-6), (1-2-3-5-6), (1-2-3-4-6), (1-3-4-5-6). მათ შეესატყვისება 12 ხუთწევრა თავკიდური თანხმონებთკომპლექსი (*მსხვრ-*, *ბღღვრ-*, და სხვ.).

ამოსავალი ექვსწევრა სტრუქტურიდან ერთდროულად ორი სიმბოლოს ამოღებით წარმოიქმნება ოთხწევრა სტრუქტურები, რომელთა რაოდენობა უდრის 15-ს. სქემატურად ისინი ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:





ანალოგიურად, ამოსავალი ექვსწევრა სტრუქტურიდან ერთდროულად სამი სიმბოლოს ამოღებით წარმოიქმნება სამწევრა სტრუქტურები, ხოლო ოთხი სიმბოლოს ამოღებით — ორწევრა სტრუქტურები.

ზემოთ წარმოდგენილი აღწერის მიღმა რჩება ზოგიერთი თავკიდური კონსონანტური ჯგუფი, მაგალითად, ყბ-, ყდ-, კბ-, შფ-, შთ-, შტ-, ტბ-, ბრბ-, ყრყ-, დრტყ-, სხლტ- და სხვ<sup>1</sup>.

13.5. მეგრულში თანხმოვანთა რიგები შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სქემის სახით:

- |                               |                                |
|-------------------------------|--------------------------------|
| (1) რ ნ                       | (სქემაში არ მონაწილეობს /ლ/    |
| (2) დ თ ტ ძ ც წ ჯ ჩ ჭ ზ ს ყ შ | თანხმოვანი, რომელიც მეგრულში   |
| (3) გ ქ კ ღ ხ ყ ყ             | არ ქმნის კომპლექსებს სხვა თან- |
| (4) გ                         | ხმოვნებთან).                   |

სქემიდან ჩანს, რომ (2) რიგს ქმნიან წინაენისმიერი თანხმოვნები, (3)-ს — უკანაენისმიერი თანხმოვნები; თავკიდურ და ბოლოკიდურ ელემენტებად გვაქვს /რ/, /ნ/, /ვ/ ფონემები. აქაც მოქმედებს ჰომოგენურობის პრინციპი. მჟღერობის, სიყრუისა (ფშვინვიერობის) და გლოტალიზაციის დიფერენციალური ნიშნები ირელევანტურია მეგრული /რ/, /ნ/ და /ვ/ ფონემებისათვის, რომლებიც შეიძლება დაუკავშირდნენ დანარჩენი რიგების როგორც მჟღერ, ისე ყრუ (ფშვინვიერ) და გლოტალიზებულ თანხმოვნებს:

- |     |           |                 |
|-----|-----------|-----------------|
| (1) | რ         | ნ               |
| (2) | დ ძ ჯ ზ ყ | თ ც ჩ ს შ ტ წ ჭ |
| (3) | გ ღ       | ქ ხ კ ყ         |
| (4) | გ         |                 |

სამწევრა და ორწევრა თანხმოვანთკომპლექსები მიიღება ამავე სქემიდან შესაბამისად ერთი ან ორი წევრის ამოღებით; ამ კომპლექსებშიც აუცილებლად მოქმედებს ჰომოგენურობის პრინციპი. ერთადერთი შეზ-

<sup>1</sup> თანხმოვანთა განაწილების წარმოდგენილი მოდელი მოცემული პქინდა თავის სადიპლომო ნაშრომში სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის განყოფილების სტუდენტს ც. ლვინაძეს წარმოდგენილი სქემა მოქმედებს ძირითადად დეცესორი კომპლექსების მიმართ და ვერ აღწერს ქართულის აქცესორ კომპლექსებს უფრო თანამედვერულ შედეგებს იძლევა ამგვარი მოდელი, მაგალითად, მეგრულის თანხმოვანთკომპლექსების აღწერისას.

ღუდვა, რაც ორწევრა მიმდევრობებს ახასიათებს, არის (1) და (4) რიგების შეუთავსებლობა — აკრძალულია რფ, ნფ.

ოთხწევრა და (1-2-3), (1-2-4) სტრუქტურის სამწევრა კომპლექსებში (2) რიგის თანხმომთანაგან გამოირიცხება სპირანტები (განსაკუთრებით, მჟღერი სპირანტები). იშვიათად გვხვდება -რშხ-, -რსხ- კომბინაციები (ძირითადად ხმაბაძვით სიტყვებში).

პომოგენურობის პრინციპის ერთგვარი დარღვევაა ის, რომ (2) რიგის ყრუ სპირანტები შეიძლება შეუერთდეს (3) რიგის /კ/ ფონემას: -სკ-, -შკ- (ასეთ შემთხვევებში გვაქვს -სკ-/ -შკ-, -სქ-/ -შქ- თავისუფალი მონაცვლეობა, მაგალითად, სქუა/სკუა „შვილი“, შქა/შკა „შუა“ და სხვ.).

ზემოთ მოყვანილი სქემის მეშვეობით და ფორმულირებული ზოგადი წესების დაცვით ვღებულობთ მეგრულში არსებულ და თეორიულად დასაშვებ ოთხ-, სამ- და ორწევრიან ყველა კომპლექსს, რომლებიც შეიძლება შეგვხვდეს სიტყვის ძირის ფარგლებში. „თეორიულად დასაშვებს“ ვუწოდებთ კომპლექსებს, რომლებიც მეგრულ თანხმომთანაგან ფონოტაქტიკის თვალსაზრისით სტრუქტურულად დასაშვებია, თუმცა რეალურად შეიძლება არც დასტურდებოდეს. ყოველთვის არსებობს ამგვარ მიმდევრობათა წარმოქმნის ან ნასესხებ სიტყვებში მათი შენარჩუნების შესაძლებლობა. თეორიულად დასაშვები კომპლექსები გამოიყვანება აქ აღწერილი სქემიდან და, ამდენად, შეესაბამება თანხმომთანაგან კომპლექსთა სტრუქტურულ კანონზომიერებებს მეგრულში. ის მიმდევრობები, რომლებიც დაუშვებელია მეგრულ თანხმომთანაგან ფონოტაქტიკის თვალსაზრისით, სხვა ენებიდან ნასესხებ სიტყვებში გარდაიქმნება — თეორიულად დასაშვები კომპლექსებისაგან განსხვავებით. ამ უკანასკნელთ შეიძლება ვუწოდოთ მეგრულ თანხმომთანაგან ფონეტიკის თვალსაზრისით კანონიკური კომპლექსები, ხოლო მოყვანილი სქემის გარეთ დარჩენილ კომპლექსებს — არაკანონიკური კომპლექსები (ასეთია ლაბიალური /ბ/, /ფ/, /პ/, /მ/ ფონემებით დაწყებული ორწევრა და, იშვიათად, სამწევრა კომპლექსები: -ბჟ-, -ბზ-, -ბრ-, -ფშ-, -ფს-, -ფხ-, -ფრ-; -პრ-; -მჩ-, -მხ-, -მფ-, -მპ-, -მრ-, -მე-; -მშე- მკჟ-; ხშირია -მბ- კომპლექსი).

13.6. ინგლისურში თანხმომთანაგან კომპლექსთა სტრუქტურა შედარებით მარტივია. მათი მაქსიმალური სიგრძე, როგორც ითქვა, სამს არ აღემატება. იმ თანხმომთანაგან რიგები, რომლებიც თავკიდურ კომპლექსებში დასტურდება, შემდეგი სქემის მიხედვით შეიძლება წარმოვადგინოთ:

(1) s

(2) p t k

(3) l r j w

სქემიდან ჩანს, რომ კომპლექსში პირველ ადგილზე დგას სპირანტი, მეორეზე — ორალური ხშული, მესამეზე კი ნარნარა თანხმოვანი ან ნახევარხმოვანი. სწორედ ამიტომ არის [ჰ], [წ] სეგმენტები ინგლისურში ინტერპრეტირებული არა როგორც „ხშული+სპირანტი“ მიმდევრობები, არამედ როგორც მთლიანი ფონემური ერთეულები.

თითქმის ყველა სამწევრა კომპლექსიდან ინგლისურში შეიძლება მივიღოთ (1-2) და (2-3) ტიპის დერივაციული კომპლექსები. ოდნავ განსხვავებულ სურათს გვაძლევს (1-3) ტიპის კომპლექსები: ოთხი შესაძლებელი მიმდევრობიდან აქ არ დასტურდება sr-, მაგრამ არის ჰრ: shrink [ʃrɪŋk] „შეკუმშვა“. ამასთან, /ʃ/ არ გვხვდება არც ერთი თანხმოვნის წინ, /r/ თანხმოვნის გარდა (შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჰრ- ერთგვარად „ავსებს“ sr- კომპლექსის ადგილს). ჰრ- არადერივაციული კომპლექსია, ასეთივით: fl-, fr-, fj-, θr-, θj-, θw-, bl-, br-, bj-, dr-, dj-, dw-, gl-, gr-, sm-, sn-.


როგორც ვხედავთ, თითოეულ რიგში წარმოდგენილია ერთი და იმავე პარადიგმატული კლასის ფონემები. ისეთი შემთხვევები, როგორიც არის sf- (sphere „სფერო“, sphinx „სფინქსი“), ე.ი. „სპირანტი+სპირანტი“, გამონაკლისს შეადგენს. ისინი მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში დასტურდება. ინგლისურშიც დაცულია ჰომოგენურობის პრინციპი; მაგალითად, გვაქვს sp-, st-, sk-, მაგრამ არა გვაქვს sb-, sd-, sg-.

ბოლოკიდურ თანხმოვანთკომპლექსებში პირველ პოზიციაში სპირანტია, მეორეში — ორალური ხშული; მესამე პოზიციაში შეიძლება გამოვლინდეს /s/ ან /z/, ხოლო /p/, /k/ ფონემების შემდეგ — აგრეთვე /t/ ფონემა: -sps, -spt, -fts, -vdz, -sts, -sks, -skt. ეს კომპლექსები არ არის მყარი, ისინი შეიძლება გამარტივდნენ. მაგალითად, asked „იკითხა“, „ითხოვა“ სასაუბრო ინგლისურში გამოითქმის როგორც [æst] (ე.ი. [k] თანხმოვნის დაკარგვით), ასევე lists „სიები“ — როგორც [lists] ან [lis] და სხვ.

ბოლოკიდურ კომპლექსებს ხშირად თავკიდურის შებრუნებული წყობა აქვს: -rps, -rts, -rks, -lps, -lts, -lks.

ინტერგოკალური თანხმოვანთკომპლექსები აღიწერება ანალოგიური ხერხით.

13.7. თანხმოვანთკომპლექსები შეიძლება წარმოვადგინოთ ე.წ. *ორიენტირებული გრაფის* სახით. მაგალითად, რუსულში /v/ ფონემით დაწყებული თავკიდური თანხმოვანთკომპლექსებია: vzgr-, vzbr-, vzdr-, vzdv-, vsxr-, vsxl-, vstr-, vskr-, vskl-, vspr-, vspl-. ორიენტირებული გრაფის საშუალებით ისინი შემდეგნაირად წარმოგვიდგება:



სქემაზე ისრებით ნაჩვენებია ერთი ფონემიდან მეორეზე გადასვლის შესაძლებლობა, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვთვალოთ ასეთი გადასვლის ალბათობა. მაგალითად, შეიძლება ცალსახად აღვადგინოთ კომპლექსის შუა თანხმოვნები /z/ და /d/, თუ მოცემულია თავკიდური და ბოლოკიდური /v/: არსებობს ასეთი გადასვლის ერთადერთი გზა, სახელდობრ,  $vzdv$ -. თუ კომპლექსის თავკიდური /v/ და ბოლოკიდური /r/ გვაქვს, მაშინ შუა თანხმოვნებს უცილობლად აღდგენის ალბათობა ნაკლებია.

**13.8. თანხმოვანთკომპლექსები ენაში შეიძლება აღიწეროს აგრეთვე არტიკულატორული მახასიათებლის — წარმოების ადგილის მიხედვით. ფონოტაქტიკის თვალსაზრისით განიჩევა აქცესიური და დეცესიური თანხმოვანთკომპლექსები (გიორგი ახვლედიანი). დეცესიურია თანხმოვანთკომპლექსი, რომლის წინამავალი წევრი იწარმოება ზესადგამი მილის უფრო წინა არეში, ვიდრე მომდევნო წევრი. ასეთია, მაგალითად, ქართულში -ბღ-, -ბღ-, -ფხ-, -ჰყ-, -ტკ-, -თხ- და სხვ. ამგვარი თანხმოვანთშეერთებანი არტიკულაციის ერთჟამიერობისაკენ მისწრაფვიან, ერთჟამიერი შემართვით ხასიათდებიან. დეცესიურ ანუ „იქითურ“ (ლათ. *decessio* „იქით სვლა“, „დაშორება“) კომპლექსს უპირისპირდება აქცესიური ანუ „აქეთური“ კომპლექსი (ლათ. *accessio* „აქეთ სვლა“), რომელშიც წინამავალი თანხმოვანი უფრო უკანა წარმოებისაა, ვიდრე მომდევნო; ეს კომპლექსი შებრუნებული თანმიმდევრობისაა შესაბამის დეცესიურ კომპლექსთან შედარებით და აქ არტიკულაციის არავითარ ერთჟამიერობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. აქცესიურია, მაგალითად, ქართული -გბ-, -გდ-, -ღბ-, -ღბ- და სხვ.**

აქცესიური და დეცესიური კომპლექსები შეიძლება დაგაჯგუფოთ იმის მიხედვით, თუ რამდენად არის დაშორებული ერთმანეთისაგან კომპლექსში შემავალ თანხმოვანთა არტიკულაციის წერტილები. მაგალითად, -ბგ-, -ჰკ- ან -გბ-, -კბ- კომპლექსებში არტიკულაციის წერტილები მაქსიმალურად არის დაშორებული ერთმანეთს; ამათგან განსხვავებული

ტიპის კომპლექსებია, მაგალითად, -ბდ-, -დგ-, -პტ-, -ტკ-, ან -დბ-, -ვდ-, -ტბ-, კტ- და სხვ. აქცესიურ და დეცესიურ თანხმოვანკომპლექსებს უწოდებენ, აგრეთვე, შესაბამისად *ექსტრავერტულ* და *ინტროვერტულ* (ანუ „გარეთ მიმართულ“ და „შიგნით მიმართულ“ — ლათ. *extrā* „გარეთ“, *intrō* „შიგნით“ და *vertere* „შებრუნება, შეტრიალება“) *კომპლექსებს* (ჰანს ფოგტი).

#### 14. ფონემათა დისტრიბუციის ზოგადი აღრიცხვის მათემატიკური მოდელი

14.1. პრსებობს ენის სეგმენტურ ფონემათა კლასიფიკაციის ერთი მეთოდი, რომელიც მდგომარეობს ფონემების ე.წ. სტრუქტურულ სიმრავლებად გაერთიანებაში ენობრივი სისტემის გამოსახულებებში მათი განლაგება-განაწილების საფუძველზე. *სტრუქტურული სიმრავლე* არის ყველა იმ ფონემის ერთობლიობა, რომლებიც მოცემულ ფონეტიკურ გარემოცვაში დასტურდება და, ამდენად, ამ პოზიციაში უშუალოდ უპირისპირდება ერთმანეთს. ნებისმიერი გარემოცვა შეიძლება გამოყენებული იქნეს სტრუქტურული სიმრავლის ასაგებად. ამგვარ სიმრავლეთა ამომწურავი კატალოგი შესაძლებლობას გვაძლევს წარმოდგენა შევიქმნათ ენის სინტაგმატური ფონემური სტრუქტურის შესახებ.

მიმართებათა თეორიის საფუძველზე შემუშავებული ფონემათა დისტრიბუციის აღწერის მკაცრი მათემატიკური მოდელი (*ფ. ჰერარი* და *გ. პეიპერი*) სწორედ ასეთი სტრუქტურული სიმრავლეების განსაზღვრისა და რაოდენობრივი შეფასებისთვის არის განკუთვნილი.

ძალიან ბევრი მათემატიკური სისტემა სავსებით და უწინარეს ყოვლისა ხასიათდება იმით, რომ ისინი წარმოადგენენ სიმრავლეს ელემენტებისას, რომელთათვისაც განსაზღვრულია ესა თუ ის მიმართება. ერთ-ერთი ასეთი სისტემა ელემენტებად შეიცავს ყველა მთელ დადებით რიცხვს, ხოლო ელემენტარულ მიმართებად მასში წარმოდგენილია მიმართება „მეტია ... -ზე“: ორი მეტია ერთზე, ხუთი მეტია ორზე და ა.შ. ეს მიმართება ერთმანეთთან აკავშირებს ნებისმიერ ორ ელემენტს. სხვა მიმართებას (მაგალითად, „იმყოფება ... და ... შორის“) შეუძლია ერთმანეთს დაუკავშიროს სისტემის სამი ელემენტი: ოთხი იმყოფება სამსა და ხუთს შორის, ცხრა — რვასა და ათს შორის და სხვ. საზოგადოდ, მიმართება შეიძლება განიმარტოს როგორც დალაგებულ წყვილთა (ან დალაგებულ  $n$ -ეულთა, როცა  $n > 2$ ) კლასი. *დალაგებული წყვილი* შეიძლება განისაზღვროს როგორც ორი ელემენტისაგან შემდგარი სიმრავლე, რომელშიც წინამავალ ელემენტს ეწოდება *პირველი წევრი*, მომდევნოს კი — *მეორე წევრი* სიმრავლეს დალაგებული წყვილებისას, რომლებიც ჩვეულებრივ

განსაზღვრება რაიმე თვისების ან ობერაციის მეშვეობით, ეწოდება მიმართება. ენობრივ გამოსახულებებში ფონემათა დისტრიბუციის პრობლემის კვლევისათვის განკუთვნილი მიმართებათა თეორიის საფუძველზე და მისი მათემატიკური აპარატის გამოყენებით აიგება ენის ფონოლოგიური სისტემის სინტაგმატური სტრუქტურის მათემატიკური მოდელი.

#### 14.2. სსენებული მოდელი შემდეგ დაშვებებს ემყარება:

1.  $P$  იყოს მოცემული ენის სეგმენტურ ფონემათა სიმრავლე, ე.ი.  $P = \{x_1, x_2, \dots, x_n\}$ , სადაც  $x_1, x_2, \dots, x_n$  აღნიშნავს ამ ენის ფონემებს. ფონემათა ყველა მიმდევრობა რომ მოვიცვათ,  $P$  სიმრავლეში უნდა შევიტანოთ *იტერვალის* აღმნიშვნელი სიმბოლო — #.

2. ენაში არსებული (ენობრივი სისტემის გამოსახულებებში დადასტურებული)  $P$  სიმრავლის ორი ელემენტისაგან შემდგარი ყოველი მიმდევრობა შეიძლება განხილული იქნეს როგორც დალაგებული წყვილი, რომლის წევრებისათვის განსაზღვრულია  $R$  მიმართება: „უშუალოდ წინ უსწრებს“.  $P$  სიმრავლის ელემენტებისათვის  $R$  მიმართების ამგვარი დეფინიცია შესაძლებელს ხდის მიმართებათა თეორიის აპარატის გამოყენებას ფონემათა სიმრავლეზე.

3. ყოველ არსებულ დალაგებულ წყვილში განირჩევა *ელემენტის წინამაგალი მდგომარეობა* (პოზიცია), ანუ  $\alpha$ -*მდგომარეობა*, და *ელემენტის მომდევნო მდგომარეობა*, ანუ  $\beta$ -*მდგომარეობა*.  $\alpha X$ -ით აღვნიშნოთ  $P$ -ს იმ ელემენტების ერთობლიობა, რომელთაგან თითოეული შეიძლება შეგვხვდეს პირველ ადგილზე  $R$ -ის ნებისმიერ დალაგებულ წყვილში, სადაც  $x$  მეორე ადგილზე დგას. სხვაგვარად,  $\alpha X$  (ანუ  $x$ -ის  $\alpha$ -*გელი*) არის ქვესიმრავლე  $P$  სიმრავლის იმ ელემენტებისა, რომლებიც გვხვდება პირველ ადგილზე იმ პირობით, რომ  $x$ -ს უკავია მეორე ადგილი. ანალოგიური განმარტება ექნება  $\beta X$ -საც:  $\beta X$  (ანუ  $x$ -ის  $\beta$ -*გელი*) არის  $P$  სიმრავლის იმ ელემენტთა ქვესიმრავლე, რომლებიც გვხვდება მეორე ადგილზე იმ პირობით, რომ  $x$ -ს უკავია პირველი ადგილი დალაგებულ წყვილებში. მაგალითად, მოცემული ენის გამოსახულებებში ბოლოკიდურ ფონემათა სიმრავლე აღნიშნება როგორც  $\alpha\#$ , ხოლო თავკიდური ფონემებისა — როგორც  $\beta\#$ .

4. შემდეგ განიმარტება  $P$ -ს ნებისმიერი ფონემის სრული ბინარული (ორმხრივი) ურთიერთქმედების გელი:  $x$  *ფონემის სრული ბინარული ურთიერთქმედების გელი* ( $\tau$ -*გელი*) არის სიმრავლე, რომელიც წარმოადგენს  $x$ -ის წინამაგალი და მომდევნო ფონემების სიმრავლეთა გაერთიანებას:  $\tau x = \alpha X \cup \beta X$  ( $\cup$  არის გაერთიანების აღმნიშვნელი სიმბოლო).

14.3. მიმართებებს საზოგადოდ, მათ შორის P სიმრავლის ელემენტები-სათვის განსაზღვრულსაც, ექვსი შესაძლო თვისება ახასიათებთ. ესენია: სისრულე, სიმეტრიულობა, ანტისიმეტრიულობა, რეფლექსურობა, ირე-ფლექსურობა, ტრანზიტულობა.

*სისრულის* თვისება განიხილება როგორც რომელიმე X ფონემის უნარი წყვილების შექმნისა ფონემათა P სიმრავლის ყველა ელემენტთან მისი ურთიერთქმედების შედეგად. ცალ-ცალკე განიხილება  $\alpha$ - და  $\beta$ -სისრუ-ლეები. X ფონემის  $\alpha$ -სისრულე არის P სიმრავლის ქვესიმრავლე, შემდგა-რი ყველა იმ ფონემისაგან, რომლებიც პირველ ადგილზე დგანან R-ის დალაგებულ წყვილებში, სადაც X მეორე ელემენტი. ანალოგიურად, X ფონემის  $\beta$ -სისრულე არის P სიმრავლის ქვესიმრავლე, რომელიც შედგება R-ის დალაგებულ წყვილებში მეორე ადგილზე წარმოდგენილი ფო-ნემებისაგან, როდესაც მათ წინ X ფონემა დგას. მაგალითად, ძველ ქარ-თულში დასტურდება შემდეგი წყვილები /ქ/ ფონემით პირველ ადგილზე: /ქა/, /ქე/, /ქო/, /ქი/, /ქუ/, /ქჟ/, /ქვ/, /ქლ/, /ქრ/, /ქმ/, /ქნ/, /ქდ/, /ქთ/, /ქც/, /ქს/. მაშასადამე, /ქ/ ფონემის  $\beta$ -ველი შედგება P სიმრავლის შემდეგი ელემენტებისაგან: {ა, ე, ო, ი, უ, #, ვ, ლ, რ, მ, ნ, დ, თ, ც, ს}. /ქ/ ფონემით მეორე ადგილზე ძველ ქართულში ასეთი წყვილები დასტურდება: /აქ/, /ექ/, /ოქ/, /იქ/, /უქ/, /ჟქ/, /ვქ/, /ლქ/, /რქ/, /მქ/, /ნქ/, /ფქ/, /თქ/, /გქ/, /ჩქ/, /ცქ/, /შქ/, /ღქ/, /ჰქ/. მაშასადამე, /ქ/ ფონემის  $\alpha$ -ველი P სიმრავლის 19 ელემენტს შეიცავს: {ა, ე, ო, ი, უ, #, ვ, ლ, რ, მ, ნ, ფ, თ, გ, ჩ, ს, შ, ღ, ჰ}, ხოლო ამ ფონემის სრული ბინარული ურთიერთქმედების  $\tau$ -ველი, ანუ  $\alpha$ - და  $\beta$ -ველების გაერთიანება, ასეთია: {ა, ე, ო, ი, უ, #, ვ, ლ, რ, მ, ნ, ფ, დ, თ, გ, ც, ჩ, ს, შ, ღ, ჰ}.

არსებობს ხერხები X ფონემის სისრულის რაოდენობრივი შეფასებისა  $\alpha$ -,  $\beta$ - და  $\tau$ -ველების თვალსაზრისით, ე.ი., ერთმანეთისაგან განასხვავებენ ფონემის  $\alpha$ -,  $\beta$ - და  $\tau$ -სისრულის ხარისხებს, რომლებიც აღინიშნება შესა-ბამისად როგორც  $K_{\alpha x}$ ,  $K_{\beta x}$  და  $K_{\tau x}$ .

$$K_{\alpha x} = n\alpha x / nP \quad (K_{\alpha y} = n\alpha y / nP = 19/35 \approx 0.54);$$

$$K_{\beta x} = n\beta x / nP \quad (K_{\beta y} = n\beta y / nP = 15/35 \approx 0.43);$$

$$K_{\tau x} = n\tau x / nP \quad (K_{\tau y} = n\tau y / nP = 21/35 = 0.60).$$

აღსაწერი და რაოდენობრივად შესაფასებელია განაწილების სისრუ-ლის კიდევ ერთი სახეობა — *შინავანი სისრულე*, რომელიც გვიხასიათებს X ფონემის მიერ წყვილების შექმნის უნარს იმ ფონემებთან ურთიერთქმე-დების შედეგად, რომელთაც იგი საერთოდ უკავშირდება — როგორც პირველი ან მეორე წევრი (ამ ფონემების რაოდენობა, განსაზღვრების თანახმად, არის  $n\tau x$ ).

შინაგანი სისრულის ხარისხი აღინიშნება  $K_i$ -ით. იგი გამოითვლება  $X$  ფონემის  $\alpha$ - (შესაბამისად,  $\beta$ -) ველში შემავალი ელემენტების რაოდენობის გამომხატველი რიცხვის შეფარდებით  $\tau$ -ველის ელემენტთა რიცხვთან:

$$K_{i\alpha} = n\alpha_x / n\tau_x \quad (K_{i\alpha} = 19/21 \approx 0.90); \quad K_{i\beta} = n\beta_x / n\tau_x \quad (K_{i\beta} = 15/21 \approx 0.71).$$

$X$  ფონემას ეწოდება  $\alpha$ -სრული, თუ  $K_{\alpha} = 1$ . ქველ ქართულში  $\alpha$ -სრულია ორი ფონემა — /ა/ და /ე/. ეს ფონემები  $\beta$ -სრულიცაა, რადგან  $K_{\beta} = K_{\beta} = 1$ .

საზოგადოდ, ხმოვნებს ახასიათებთ მისწრაფება  $\alpha$ - და  $\beta$ -სისრულისაკენ (შესაბამისი ხარისხები 1-ის ტოლია ან 1-ზე ოდნავ ნაკლები), ხოლო თანხმოვანთა სისრულის ხარისხები სულ სხვადასხვა მნიშვნელობას იღებენ (0,1) ინტერვალში. თუ ფონემა  $\alpha$ - ან  $\beta$ -სრულია, იგი  $\tau$ -სრულიც არის (განმარტების მიხედვით).

$R$  მიმართების სისრულის ხარისხი —  $K(R)$  უდრის ენაში რეალურად დადასტურებული დალაგებული წყვილების რიცხვის შეფარდებას დალაგებულ წყვილთა თეორიულად შესაძლებელ მაქსიმალურ რაოდენობასთან. ეს უკანასკნელი გამოითვლება  $(nP)^2 - 1$  გამოსახულებიდან (წყვილთა თეორიულად შესაძლებელი რაოდენობა  $(nP)^2$ -ის ტოლია, მაგრამ რადგანაც  $P$  სიმრავლე სეგმენტურ ფონემებთან ერთად შეიცავს კიდევ ერთ ელემენტს — #ს, ხოლო ##-ის არსებობა დალაგებულ წყვილთა  $R$  სიმრავლეში იმთავითვე გამორიცხულია,  $(nP)^2$ -ს უნდა დააკლდეს 1).

14.4. ზემოთ ჩამოთვლილ რელაციურ თვისებებს შორისაა სიმეტრიულობაც. ჩვენ ვიტყვით, რომ  $X$  ფონემა  $Y$  ფონემის სიმეტრიულია, თუ  $|XY|$  წყვილის გვერდით  $R$ -ში არსებობს  $|YX|$  წყვილიც.  $X$  ფონემას სიმეტრიული ფონემა ეწოდება, თუ მის ურთიერთქმედებას ყველა ფონემასთან, რომელთაც იგი უკავშირდება, სიმეტრიული ხასიათი აქვს. სხვაგვარად,  $X$  ფონემას შეიძლება სიმეტრიული ფონემა ეწოდოს, თუ  $\alpha X = \beta X$ . ამბობენ, რომ  $X$  ფონემა სრულად სიმეტრიულია, თუ იგი სიმეტრიულად უკავშირდება  $P$  სიმრავლის ყველა ელემენტს, ე.ი. თუ  $\alpha X = \beta X = P$ .

ამ შემთხვევაშიც უნდა განვასხვაოთ  $X$  ფონემის სიმეტრიულობისა და შინაგანი სიმეტრიულობის ხარისხები —  $S_x$  და  $S_{ix}$ .

$X$  ფონემის სიმეტრიულობის ხარისხი —  $S_x$  განისაზღვრება როგორც შეფარდება იმ ფონემათა რიცხვისა, რომელთა მიმართ  $X$  სიმეტრიულია,  $P$  სიმრავლის ელემენტთა რაოდენობასთან. ფონემები, რომლებთანაც  $X$  ფონემა სიმეტრიულად ურთიერთმოქმედებს, წარმოადგენს  $X$ -ის  $\alpha$ - და  $\beta$ -ველების თანაკვეთის ელემენტებს. ამიტომ



$$S_x = n(\alpha x \cap \beta x) / nP$$

( $n$  არის თანაკვეთის აღმნიშვნელი სიმბოლო).

$x$  ფონემის შინაგანი სიმეტრიულობის ხარისხი არის შეფარდება ფონემათა რიცხვისა, რომელთა მიმართ  $x$  ფონემა სიმეტრიულია, იმ ფონემების რაოდენობასთან, რომლებთანაც  $x$  საერთოდ ურთიერთქმედებს — ცალმხრივად თუ ორმხრივად:


$$S_{ix} = n(\alpha x \cap \beta x) / n\tau x.$$

14.5. შიშვეთ, რომ  $x$  ფონემა ანტისიმეტრიულია  $y$  ფონემის მიმართ, თუ  $/xy/$  ფონემათმიმდევრობა დასტურდება ენობრივი სისტემის გამოსახულებებში, ხოლო  $/yx/$  — არა, ან კიდევ, პირიქით, თუ  $/yx/$  შედის  $R$  სიმრავლეში, ხოლო  $/xy/$  — არა.  $x$  ფონემა სრულად ანტისიმეტრიულია, თუ  $R$  სიმრავლის არც ერთი დალაგებული წყვილისათვის, რომელშიც  $x$  ფონემა მონაწილეობს, არ აღინიშნება სიმეტრია (ზემოთ მოყვანილი განმარტების მიხედვით).  $x$  ფონემის ანტისიმეტრიულობის ხარისხი  $S'_x$  ასე გამოთვლება:

$$S'_x = n(\alpha x \theta \beta x) / nP,$$

სადაც  $n(\alpha x \theta \beta x)$  არის  $\alpha x$  და  $\beta x$  სიმრავლეთა სიმეტრიულ სხვაობაში წარმოდგენილი ელემენტების რაოდენობა:

$$\alpha x \theta \beta x = (\alpha x \cup \beta x) - (\alpha x \cap \beta x) = \tau x - (\alpha x \cap \beta x).$$



შესაბამისად,  $x$  ფონემის შინაგანი ანტისიმეტრიულობის ხარისხი უდრის  $\alpha x$  და  $\beta x$  სიმრავლეთა სიმეტრიულ სხვაობაში შემაგალი ელემენტების რაოდენობის შეფარდებას  $x$  ფონემის სრული ბინარული ურთიერთქმედების  $\tau$ -ველის ელემენტთა რიცხვთან:

$$S'_{ix} = n(\alpha x \theta \beta x) / n\tau x.$$

თუ შინაგანი ანტისიმეტრიულობის ხარისხის განმსაზღვრელ ამ გამოსახულებაში  $\alpha x \theta \beta x$ -ის მათემატიკური შინაარსის ამსახველ მნიშვნელობას ჩავსვამთ, მივიღებთ:

$$S'_{ix} = [n\tau x - n(\alpha x \cap \beta x)] / n\tau x = n\tau x / n\tau x - n(\alpha x \cap \beta x) / n\tau x = 1 - S_{ix}.$$

14.6. როდესაც  $x$  შედის  $\tau x$ -ში, ანუ როდესაც ენობრივი სისტემის გამოსახულებებში დასტურდება  $/xx/$  ფონემათმიმდევრობა,  $x$  ფონემას რეფ-

ლექსიური ფონება ეწოდება.  $X$  ფონემას ეწოდება *ირეფლექსიურა*, თუ  $/xx/$  მიმდევრობა არ დასტურდება სისტემის გამოსახულებებში, ე.ი. თუ  $x$  არ შედის  $TX$ -ში. *ფონემის რეფლექსიურობის* ისევე როგორც *ირეფლექსიურობის ხარისხი* აღინიშნება  $G$ -თი. იგი უდრის  $1$ -ს ან  $0$ -ს იმის მიხედვით, რეფლექსიურია ფონება თუ ირეფლექსიური.

*მიმართების რეფლექსიურობის ხარისხი*  $G(R)$  არის შეფარდება  $P$  სიმრავლის რეფლექსიური ელემენტების რაოდენობისა ( $nP - 1$ )-თან, რადგანაც  $\#$  ელემენტი, განმარტების მიხედვით, იმთავითვე ირეფლექსიურია.

**14.7.** საზოგადოდ, მიმართებას ეწოდება *ტრანზიტული* თუ  $R$ -ში  $(a, b)$  და  $(b, c)$  დალაგებული წყვილების არსებობიდან გამომდინარეობს  $(a, c)$  წყვილის არსებობაც. განსახილველ შემთხვევაში, სადაც  $R$  არის ფონემებისათვის განსაზღვრული უშუალოდ წინსწრების მიმართება, იგი ტრანზიტული იქნება იმ პირობით, თუ  $/xy/$  და  $/yz/$  წყვილებთან ერთად ყოველთვის გვაქვს  $/xz/$  წყვილიც. ტრანზიტულობის ამ დეფინიციიდან ცხადია, რომ  $R$ -ში შემავალი ნებისმიერი  $/xy/-$ ისათვის უნდა შემოწმდეს ყველა  $/yz/$   $R$ -იდან — იმის დასადგენად, არის თუ არა შესაბამისი  $/xz/$  დალაგებულ წყვილთა  $R$  სიმრავლის წევრი. არსებითად, უნდა იქნეს გამოკვლეული  $\beta x$  და  $\beta y$  სიმრავლეთა ურთიერთმიმართება, სახელდობრ, გაირკვეს, დაკავშირებულია თუ არა ერთმანეთთან ეს ორი სიმრავლე (თანაკვეთის ოპერაციის თვალსაზრისით) ისე, რომ  $R$  მიმართება ტრანზიტული იყოს.  $R$ -ის ტრანზიტულობის აუცილებელი და საკმარისი პირობა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი  $/xy/-$ ისათვის  $R$ -იდან  $\beta y$  შედიოდეს  $\beta x$ -ში. სწავგარად,  $R$  მიმართება ტრანზიტულია მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ ყოველი  $/xy/-$ ისათვის  $R$ -იდან ადგილი აქვს  $\beta x \cap \beta y = \beta y$  თანაფარდობას.

განვიხილოთ მიმართების ტრანზიტულობის ხარისხის საკითხი ლოკალური ტრანზიტულობის ცნებაზე დამყარებით. აღვნიშნოთ  $T_{xy}$  სიმბოლოთი  $y$  ფონემისადმი  $x$  ფონემის ლოკალური ტრანზიტულობის ხარისხი  $R$ -ის წევრი  $/xy/$  მიმდევრობისათვის. ყოველი  $/xy/-$ ისათვის  $R$ -დან  $x$  ფონება ლოკალურად ტრანზიტულია  $y$  ფონემის მიმართ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც  $y$  ფონემის  $\beta$ -ველი შედის  $x$  ფონემის  $\beta$ -ველში.  $x$  ფონება ლოკალურად ტრანზიტულია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც  $T_{xy} = 1$ .  $x$  ფონემის  $y$  ფონემისადმი ლოკალური ტრანზიტულობის ხარისხი არის  $x$  და  $y$  ფონემების  $\beta$ -ველების თანაკვეთის ელემენტთა რაოდენობის შეფარდება  $\beta y$ -ის ელემენტთა რაოდენობასთან:

$$T_{xy} = n(\beta x \cap \beta y) / n\beta y.$$

## 15. ფონემურ ოპოზიციათა ძირითადი ტიპები

15.1. როგორც ვიცით, ენობრივ სისტემაში ფონემათა დაპირისპირებები ქმნიან პარადიგმატულ სტრუქტურებს. ენის პარადიგმატული ფონოლოგიური სტრუქტურა მთლიანად არის დამოკიდებული ამ ენაში არსებული ფონემური ოპოზიციების ხასიათზე. ზემოთ უკვე განვიხილეთ ერთგანზომილებიანი და მრავალგანზომილებიანი ოპოზიციები. მრავალგანზომილებიანი ოპოზიციები ორ ჯგუფად იყოფა. ისეთ *მრავალგანზომილებიან ოპოზიციას*, რომლის წევრები შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც ერთგანზომილებიან ოპოზიციათა მიმდევრობის უკიდურესი წევრები, *ჰომოგენური ოპოზიცია* ეწოდება; წინააღმდეგ შემთხვევაში მრავალგანზომილებიანი ოპოზიცია *ჰეტეროგენულია*. მაგალითად, /g/-/x/ დაპირისპირება ქართულში მრავალგანზომილებიანია: მის წევრებს შორის საერთო მხოლოდ ის არის, რომ ორივე მათგანი უკანაენისმიერი თანხმოვანია, ეს ნიშნები კი სხვა ფონემებსაც ახასიათებს. ხსენებული დაპირისპირების წევრები შეიძლება ერთგანზომილებიან დაპირისპირებათა მიმდევრობის უკიდურეს წევრებად წარმოვადგინოთ: /g/-/χ/, /χ/-/x/. მაშასადამე, ეს ოპოზიცია *ჰომოგენურია*. ქართულში *ჰეტეროგენულია*, მაგალითად, /b/-/d/ მრავალგანზომილებიანი ოპოზიცია.

ჰომოგენური მრავალგანზომილებიანი ოპოზიცია *წრფივია*, თუ შეიძლება შევადგინოთ ერთგანზომილებიან ოპოზიციათა მხოლოდ ერთი ისეთი მიმდევრობა, რომლის უკიდურეს წევრებად ამ ოპოზიციაში შემაგავლი ფონემები წარმოვადგინებთ. თუ ასეთი მიმდევრობები ერთზე მეტია, ოპოზიცია *არაწრფივია*. მაგალითად, გერმანულში მრავალგანზომილებიანი ჰომოგენური ოპოზიცია /x/-/ŋ/ წრფივია, რადგან მასში შემაგავლი ფონემები შეიძლება წარმოვადგინოთ ერთგანზომილებიან ოპოზიციათა ერთადერთი მიმდევრობის უკიდურესი წევრების სახით: /x/-/k/, /k/-/g/, /g/-/ŋ/. ქართულში წრფივია /č'-/ž/ ოპოზიცია: /č'-/č/, /č/-/š/, /š/-/ž/. არაწრფივია ქართულში, მაგალითად, /g/-/x/ ოპოზიცია, რადგან ის შეიძლება წარმოვადგინოთ ერთგანზომილებიან ოპოზიციათა ორი მიმდევრობის სახით: /g/-/χ/, /χ/-/x/ და /g/-/k/, /k/-/x/.

ერთგანზომილებიანი და მრავალგანზომილებიანი ოპოზიციების გარდა განარჩევენ პროპორციულ და იზოლორებულ ოპოზიციებს. *პროპორციული* (ლათ. *proportio* „თანაზომიერება“) ოპოზიციას წევრებს შორის არსებული მიმართება მეორდება სხვა ოპოზიციებში. მაგალითად, ქართულში /d/-/t/ არის პროპორციული ოპოზიცია, რადგან ასეთივე მიმართება გვაქვს /g/-/k/, /b/-/p/ ოპოზიციათა წევრებს შორის — მეორე ნიშნული უპირისპირდება ყრუ არაგლოტალიზებულ ხშულს. *იზოლორებუ-*

ლი თოზიციის წევრებს შორის მიმართება არ მეორდება ენის ფონემათა არც ერთ სხვა დაპირისპირებაში. ასეთია, მაგალითად, /b/~s/ დაპირისპირება ქართულში.

პროპორციული ან იზოლირებული შეიძლება იყოს როგორც ერთგანზომილებიანი, ისე მრავალგანზომილებიანი თოზიციები. მაგალითად, ქართულში /r~/l/ ერთგანზომილებიანი იზოლირებული თოზიციება, /b~/s/ — მრავალგანზომილებიანი იზოლირებული თოზიციება; /z~/s/, /ʒ~/ʃ/, /χ~/x/ ერთგანზომილებიანი პროპორციული თოზიციებია, /b~/d/, /p~/t/ კი — მრავალგანზომილებიანი პროპორციული თოზიციები.

ენის ფონოლოგიური სისტემის აკებულება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის მასში განაწილებული ერთგანზომილებიანი, მრავალგანზომილებიანი, პროპორციული და იზოლირებული თოზიციები. თოზიციათა ტიპების დადგენისას ვითვალისწინებთ მოცემულ ენობრივ სისტემაში ფონემებს შორის არსებულ მიმართებებს; ფონოლოგიური თოზიციის ტიპის დადგენა შეუძლებელია სისტემის სხვა დაპირისპირებების გაუთვალისწინებლად.

**15.2.** ზემოთ თოზიციები განხილული გვექონდა იმავე სისტემის სხვა თოზიციებთან შედარებით. ახლა წარმოვადგენთ მათ ლოგიკურ დახასიათებას.

ფონემათა შორის ლოგიკურ მიმართებათა ორ ტიპს — პრივატულ და გრადუალურ თოზიციებს უკვე გავეცანით არქიფონემაზე მსჯელობისას. თოზიციათა ამ ტიპებში ფონემები ერთმანეთისაგან განსხვავდება, შესაბამისად, ან დიფერენციალური ნიშნის ქონა-არქონით, ან მისი სხვადასხვა ხარისხით. განმასხვავებელი ნიშნების თვალსაზრისით დაპირისპირების ორივე წევრი შეიძლება ლოგიკურად თანაბარუფლებიანი იყოს; ამ ტიპის თოზიციას *თანაბარმნიშვნელობიანი* ანუ *ეკვიპოლენტური* (ლათ. *aequipollens* „ტოლფასი“, „თანაბარმნიშვნელობიანი“) *თოზიცია* ეწოდება. ასეთია, მაგალითად, ქართულში /p~/s/, /t~/ʃ/. ეკვიპოლენტური თოზიციები ენებში ყველაზე მრავალრიცხოვანია.

**15.3.** თანხმოდან ფონემებს შორის არსებული დაპირისპირებების აღწერა მოსახერხებელია ლოკალური რიგისა და სერიის ცნებების გამოყენებით. ის თანხმოდანები, რომლებსთვისაც საერთო რელევანტური ნიშანია არტიკულაციის ადგილი, ქმნის *ლოკალურ რიგს* ანუ, მარტივად, *რიგს* (ზოგიერთი ლოკალური რიგი შეიძლება ერთი ფონემისაგან შედგებოდეს). თანხმოდანთა რიგებს შორის გამოიყოფა *ძირითადი ლოკალური რიგები*, რომლებშიც ფონემები ერთმანეთს უპირისპირდება როგორც ჰე-

ტეროგენული მრავალგანზომილებიანი ოპოზიციის წევრები. მაგალითად, ქართულში /b~/p~/p'/ ძირითადი ლოკალური რიგია, ასეთივეა /g/ ~ /k/ ~ /k'/, /x/ ~ /x'/ და სხვ. თუ რომელიმე ლოკალური რიგის წევრი ძირითადი რიგის წევრებს უპირისპირდება თანმხლები არტიკულაციის ნიშნით, მაშინ ასეთი ლოკალური რიგი შეიძლება განვიხილოთ როგორც *მარკირებული*; მასში შემავალი ფონემები პრივატულ ოპოზიციებს ქმნიან ძირითადი, არამარკირებული რიგის ფონემებთან. მაგალითად, ჩრდილო-კავკასიურ ენებში გაფრცელებულია ლაბიალიზებულ თანხმოვანთა ლოკალური რიგები, რუსულში — პალატალიზებულ თანხმოვანთა რიგები და სხვა.

სხვადასხვა ლოკალური რიგის წევრი თანხმოვნები, რომლებისთვისაც საერთო დიფერენციალური ნიშნებია რაგვარობა, ანუ დაბრკოლების სახეობა, და სახმო სიმების მონაწილეობა-არმონაწილეობა, ერთიანდებიან *სერიებად*. მაგალითად, ქართული /b~/d~/g/, /p~/t~/k/, /p'~/t'~/k'/ სამეულებისათვის საერთო ნიშანია ხშულობა, ისინი ქმნიან ხშულ თანხმოვანთა სერიას და უპირისპირდებიან ერთმანეთს წარმოების ადგილით — /b~/p~/p'/ ბილაბიალური თანხმოვნებია, /d~/t~/t'/ — დენტალური (აპიკალური), /g~/k~/k'/ — ველარული (დორსალური).

ამგვარად, სერიებად ერთიანდება ჰომოგენური და ჰეტეროგენული თანხმოვნები, ხოლო რიგებად — ჰომორგენული და ჰეტეროგენული თანხმოვნები (*ანდრე მარტინე*). „სერიისა“ და „რიგის“ ცნებებს აზრი აქვს მხოლოდ მათ შორის დაპირისპირების არსებობის შემთხვევაში, ე.ი. თუ სერიების ან რიგების რაოდენობა ერთს აღემატება.

ქვემოთ სერიებისა და რიგების სახით წარმოდგენილია ქართულ ჩქამიერ თანხმოვანთა სისტემა. ცალკეა გამოყოფილი სონორი (რეზონანტი) ფონემების ქვეკლასი:

წარმოების რაგვარობა	ხშულები			აფრიკატები			სპირანტები				
	მჟღერი	ყრუ (ფშენიერი)	მკვეთი	მჟღერი	ყრუ (ფშენიერი)	მკვეთი	მჟღერი	ყრუ (ფშენიერი)	მკვეთი		
ლაბიალური (ბაგისმიერი)	ბ b	ფ p	პ p'				ვ/უ v/w	— —			
ალვეოლენტალური (წინაენისმიერი)	დ d	თ t	ტ t'	ძ j	ც c	წ c'	ზ z	ს s			
ალვეოპალატალური (სასა-ნუნისმიერი)				ჯ j	ჩ c	ჭ c'	შ j	წ s			
ველარული (უკანაენისმიერი)	გ g	ქ k	კ k'				ღ γ	ხ x	ყ x'		
ბოსტველარული (უველარული)							— —	ჟ χ	— —		
ლარინგალური (ხორხისმიერი)								ჰ h			
	რეზონანტები (სონორები)							რ r	ლ l	მ m	ნ n

16. კორელაცია. კორელაციური წყვილი. კორელაციური კონა

16.1. მრთვანზომილებიანი თბოზიციის წევრები პარადიგმატულად მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი, რადგან მათი საერთო ნიშნები ენის სხვა ფონემებში არ მეორდება; მათი განმასხვავებელი ნიშანი უფრო ადვილად გამოიყოფა, ვიდრე მრავალგანზომილებიანი თბოზიციის წევრთა განმასხვავებელი ნიშნები. იგივე ითქმის პროპორციული თბოზიციის წევრი ფონემების შესახებ, რომელთა დიფერენციალური ნიშანი მეორდება სისტემის სხვა წყვილებთან; იზოლირებული თბოზიციის წევრთა განმასხვავებელი ნიშანი უფრო ძნელად გამოიყოფა, იგი ნაკლებ თვალსაჩინოა.

თბოზიციების ლოგიკურ ტიპებს შორის ყველაზე უფრო თვალსაჩინოა პრივატული თბოზიცია, რადგან გარკვეული ნიშნის ქონა-არქონა საკმაოდ ცხადად ვლინდება და სათანადო ნიშნის გამოყოფა უფრო ადვილია, ვიდრე გრადუალური და ეკვიპოლენტური თბოზიციების შემთხვევაში. ფონემები, რომელთა შორის დაპირისპირება ნეიტრალიზაციას

განიცდის, ნეიტრალიზაციის პოზიციაში საერთო არქიფონემის წარმომადგენლებად შეიძლება მოგვევლინონ.

ფონემებს, რომლებიც მონაწილეობენ ერთგანზომილებიან პროპორციულ პრივატულ და, ამასთან, ნეიტრალიზებად ოპოზიციებში, უფრო ადვილად გამოეყოფათ დიფერენციალური ნიშანი, რაც აადვილებს ფონოლოგიურ ანალიზს. ამ ფონემებს შორის კავშირი უფრო მჭიდროა, ვიდრე კავშირი იზოლირებული მრავალგანზომილებიანი ოპოზიციის წევრებს შორის. ენის ფონემათა პარადიგმატული სტრუქტურა მით უფრო სიმეტრიულად არის აგებული, რაც უფრო მეტია მასში ნეიტრალიზებადი პრივატული ერთგანზომილებიანი პროპორციული ოპოზიციები. ამიტომ მიზანშეწონილია, ასეთი ოპოზიციები გამოვყოთ ცალკე ჯგუფად — *კორელაციად* (ლათ. *correlatio* „თანაფარდობა“). კორელაციის წევრი ფონემები ქმნიან *კორელაციურ წყვილს*. დიფერენციალურ ნიშანს, რომლის ქონა-არქონა ახასიათებს კორელაციის წევრებს, *კორელაციური ნიშანი* ეწოდება. ტერმინი *კორელაცია* გულისხმობს იმ წყვილთა ერთობლიობას, რომლებიც ერთი და იმავე კორელაციური ნიშნით ხასიათდებიან. მაგალითად, გლოტალიზაცია ქართულში კორელაციური ნიშანია, რადგან იგი განასხვავებს კორელაციური წყვილების წევრებს: /p~/p'/, /t~/t'/, /c~/c'/, /č~/č'/, /k~/k'/. პალატალიზაცია რუსულში კორელაციური ნიშანია; ამ ნიშნით ერთმანეთს უპირისპირდებიან შემდეგი ფონემები: /b~/b'/, /p~/p'/, /d~/d'/, /t~/t'/, /v~/v'/, /f~/f'/, /z~/z'/, /s~/s'/, /m~/m'/, /l~/l'/, /r~/r'/, /n~/n'/. ფრანგულში ნაზალიზაციის კორელაციური ნიშანი ვლინდება /a~/ã/, /o~/õ/, /e~/ě/, /œ~/œ/ ხმოვან ფონემათა ოპოზიციურ წყვილებში და სხვ.

თუ ფონემა მონაწილეობს რამდენიმე კორელაციაში, მაშინ ეს კორელაციები მრავალწევრა *კორელაციურ კონად* ერთიანდება. ასეთი კონის სტრუქტურა დამოკიდებულია არა მარტო მასში შემავალ კორელაციათა რიცხვზე, არამედ მათ ურთიერთმიმართებებზეც. ყველაზე ხშირია ორი კორელაციისაგან შემდგარი კონები. თუ მოცემული კორელაციის ორივე წევრი მონაწილეობს მეორე კორელაციაში, მაშინ *ოთხწევრა კორელაციურ კონას* ვღებულობთ, ხოლო თუ ორ კორელაციაში მხოლოდ ერთი საერთო წევრია, ე.ი. თუ მეორე კორელაციაში მონაწილეობს მოცემული კორელაციური წყვილის მხოლოდ ერთი წევრი, მიიღება *სამწევრა კორელაციური კონა*. მაგალითად, ძვ. ინდურში ხშულები მონაწილეობდნენ ფშვინვის კორელაციაში და, პარალელურად, მჟღერობის კორელაციაში, რაც ოთხწევრა კორელაციურ კონას ქმნიდა:

/p/	—	/pʰ/	/k/	—	/kʰ/	/t/	—	/tʰ/
/b/	—	/bʰ/	/g/	—	/gʰ/	/d/	—	/dʰ/

ქართულში მჟღერობისა და გლოტალიზაციის კორელაციები სამ-  
წევრა კონას გვაძლევენ:

/p/	/t/	/k/
/b/ — /pʰ/	/d/ — /tʰ/	/g/ — /kʰ/

ფშვინფიერობა აქ ჭარბი ნიშანია. თუ მჟღერობას მივიჩნევთ ჭარბ ნიშნად, გვექნება ფშვინფიერობისა და გლოტალიზაციის კორელაციური კონა:

/b/	/d/	/g/
/p/ — /pʰ/	/t/ — /tʰ/	/k/ — /kʰ/

## 17. ფონოლოგიურ დაპირისპირებათა ფუნქციური დატვირთვა

17.1. როგორც ვიცით, ფონოლოგიური დაპირისპირების დანიშნულებაა ენაში ერთი გამონათქვამის მეორისაგან გარჩევა. ზოგიერთი დაპირისპირება ენობრივ სისტემაში უფრო ხშირად არის ამ ფუნქციით გამოყენებული, ზოგიც — უფრო იშვიათად. *ფონოლოგიური დაპირისპირების ფუნქციური დატვირთვა* განისაზღვრება იმით, თუ რამდენი მინიმალური წყვილი განსხვავდება ერთმანეთისაგან მხოლოდ ამ ფონოლოგიური დაპირისპირების მეშვეობით. მაგალითად, ფრანგულში /*m*/~/*n*/ დაპირისპირებას ემყარება ბევრი მინიმალური წყვილი: blanc „თეთრი“~ blond „ქერა“, dent „კბილი“~ don „ძღვენი“, sang „სისხლი“~ son „ბგერა“, banc „სკამი“~ bon „კარგი“ და სხვ. მაშასადამე, ამ დაპირისპირებას დიდი ფუნქციური დატვირთვა აქვს. /*ɛ*/~/*œ*/ დაპირისპირების გამომხატველი მინიმალური წყვილები ფრანგულში ცოტაა (brin „ყლორტი“~ brun „ყავისფერი“), მას მცირე ფუნქციური დატვირთვა აქვს.

სისტემაში დაპირისპირების ფუნქციური დატვირთვის რაოდენობრივ დახასიათებას მივიღებთ, თუ დავთვლით სათანადო მინიმალურ წყვილებს. ტექსტში დათვლისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მინიმალური წყვილების წევრთა ტექსტური სიხშირეებიც: იმ შემთხვევაში,



როდესაც ორივე ფონემა მაღალი ტექსტური სიხშირით ხასიათდება, მათი დაპირისპირება ფუნქციურად უფრო დატვირთულია, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ფონემებიდან მხოლოდ ერთ-ერთს აქვს მაღალი სიხშირე. მაგალითად, /š/-/ž/ დაპირისპირებას ქართულში მცირე ფუნქციურ დატვირთვა აქვს /z/ ფონემის დაბალი ტექსტური სიხშირის გამო. თუ ორივეს დაბალი ტექსტური სიხშირე ახასიათებს, მაშინ დაპირისპირების ფუნქციური დატვირთვა კიდევ უფრო მცირეა.

## 18. მარკირების იერარქიული მიმართება ენის ფონოლოგიურ სისტემაში. ხშული ფონემების კლასები და „ცარიელი უჯრედები“

18.1. ზემოთ განვიხილეთ ფონემურ დაპირისპირებათა ტიპები და აღვნიშნეთ, რომ პრივატული ოპოზიციის წევრებს შორის მყარდება *მარკირების მიმართება*; მარკირებულაა პრივატული ოპოზიციის წევრი, რომელიც გარკვეული დიფერენციალური ნიშნით ხასიათდება, ხოლო ამ ნიშანს მოკლებული წევრი არამარკირებულაა.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში მარკირების მიმართების ტრადიციულმა გაგებამ გარკვეული ცვლილებები განიცადა. კერძოდ, იგი დაუკავშირდა ენობრივ ერთეულთა სიხშირულ მახასიათებლებს. ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ არამარკირებულ ფონემებს ტექსტში უფრო მაღალი სიხშირე აქვთ, ვიდრე მათთან დაპირისპირებულ მარკირებულ ფონემებს. იმის გამო, რომ ფონემური ერთეულების ტექსტური სიხშირე ასახავს სისტემაში (ლექსიკონში) მათი გამოვლენის ფარდობით სიხშირეს, მარკირებულ ფონემების რიცხვი ენობრივ სისტემაში არ აღემატება შესაბამის არამარკირებულ ფონემათა რიცხვს. მაგალითად, ნაზალიზებული ხმოვნები მარკირებულაა: მათ უფრო დაბალი ტექსტური სიხშირე ახასიათებთ, ვიდრე არანაზალიზებულ ხმოვნებს. იმ ენობრივ სისტემებში, რომლებშიც დასტურდება ნაზალიზებული ხმოვნები, აუცილებლად არის ორალური ხმოვნებიც და მათი რიცხვი ყოველთვის მეტია ნაზალიზებულ ხმოვანთა რიცხვზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ შეიძლება დავადგინოთ სისტემაში ფონემათა სხვა ფონემების მიმართ მარკირებულობის ხარისხი. მაგალითად, გლოტალიზებული თანხმოვნები, ისევე როგორც ასპირირებულები, მარკირებულაა, შესაბამისად, არაგლოტალიზებული და არასპირირებული თანხმოვნების მიმართ. ამავე დროს, სიხშირული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ გლოტალიზებული თან-

ხმოვნები უფრო იშვიათია და, ამრიგად, უფრო მარკირებული, ვიდრე ასპირირებული თანხმოვნები.

ფონემათა სიხშირული მახასიათებლები განაპირობებენ ცარიელი უჯრედების განაწილებასაც ენის პარადიგმატიკაში. ცარიელი უჯრედები ჩნდება ოპოზიციის მარკირებული წევრების ადგილას. შეიძლება ითქვას, რომ იქ „ნულოვანი სიხშირის“ მქონე ფონემური ერთეული უნდა გამოვლენილიყო. მაგალითად, გლოტალიზებულ თანხმოვანთა შორის ყველაზე უფრო დაბალი ტექსტური სიხშირით ხასიათდება /p'/ ფონემა, რომელიც ზოგიერთი ენის ფონოლოგიურ სისტემაში საერთოდ არ დასტურდება და ცარიელ უჯრედს ქმნის. ამის მაგალითები არის დაღესტნურ, აფრიკულ და მსოფლიოს სხვა ენებში, სადაც წარმოდგენილია გლოტალიზებული თანხმოვნები ანუ აბრუპტივები. ამ ენებში გვაქვს ყრუ ფშვინვიერთა სერია: p<sup>h</sup>, t<sup>h</sup>, k<sup>h</sup>, მაგრამ ნაკლებია გლოტალიზებულ ხშულთა სერია: — t' k'. იქ, სადაც წარმოდგენილია გლოტალიზებული ბილაბიალური ხშული p' (და, მაშასადამე, გვაქვს სრული სერია: p', t', k'), ეს ფონემა უაღრესად მარკირებულია და სისტემაში დაბალი ფარდობითი სიხშირით გამოირჩევა (*ჯოზეფ გრინბერგი*).

**18.2.** მარკირების მიმართების სიხშირული მახასიათებლებისა და ცარიელი უჯრედების განაწილების შესწავლამ „მჟღერობა-სიყრუის“ ნიშნით დაპირისპირებულ ხშულ თანხმოვანთა კლასებში (სხვადასხვა სტრუქტურის მქონე მრავალი ენის მონაცემების გათვალისწინებით) გამოავლინა განხილულ ფონემათა მეტად მნიშვნელოვანი თვისება — მარკირების იერარქიული მიმართება, რომელიც თავს იჩენს ლაბიალურ და ველარულ ხშულ ფონემებს შორის „მჟღერობა-სიყრუის“ დიფერენციალურ ნიშანთან დაკავშირებით (*ორივე მელიქიშვილი*).


ირკვევა, რომ ხშულ ფონემათა ისეთ კლასებში, როგორც არის:

b p  
d t  
g k

მჟღერთა b-d-g სერიაში ლაბიალური /b/ ფონემა გამოირჩევა უფრო მაღალი ფარდობითი სიხშირით, ვიდრე ველარული /g/ და, ამდენად, ეს უკანასკნელი უპირისპირდება /b/ ფონემას როგორც „მარკირებული“, „სუსტი“ — „არამარკირებულს“, „ძლიერს“. ყრუთა p-t-k სერიაში საპირისპირო იერარქიული დამოკიდებულება ვლინდება: ველარული /k/ ფონემა უფრო მაღალი სიხშირული მახასიათებლებით გამოირჩევა ლაბიალურ /p/-სთან შედარებით, ამდენად, იგი უპირისპირდება ამ უკანასკნელს როგორც „არამარკირებული“, „ძლიერი“ — „მარკირებულს“, „სუსტს“:

არამარკირებული → b p ← მარკირებული  
                                        d t  
 მარკირებული → g k ← არამარკირებული

ამ სისტემაში დენტალური /d~t/ ფონემების ჩართვით ვიღებთ შემდეგ სქემას, სადაც ისრების მიმართულება მიუთითებს ფონემის არამარკირებულობის ზრდაზე:



ხშულ ფონემათა კლასებში მარკირებულობის ამგვარი იერარქიული მიმართებების შესაბამისად არის განაწილებული ცარიელი უჯრედებიც. ისინი გვხვდება ფონემურ სისტემაში არა ნებისმიერ შემთხვევით წერტილებში, არამედ სწორედ მარკირებულ ფონემათა ადგილას, სადაც ამ უკანასკნელთა ფარდობითი სიხშირე ნულის ტოლია.

მსოფლიოს ენებში გვაქვს ისეთი სისტემები ცარიელი უჯრედებით, როგორიც არის:

- |     |   |   |     |   |   |     |   |   |  |
|-----|---|---|-----|---|---|-----|---|---|--|
| (a) | b | p | (b) | b | — | (c) | b | — | (ორი ცარიელი უჯრედით — მარკირებული /g/ და /p/ ფონემების ადგილას) |
|     | d | t |     | d | t |     | d | t |  |
|     | — | k |     | g | k |     | — | k |  |

ასპირაციისა და გლოტალიზაციის ნიშნების დართვით ვიღებთ ხშულ ფონემათა სისტემას, სადაც უკიდურესად მარკირებულ ფონემად გვევლინება ლაბიალური და გლოტალიზებული /p<sup>h</sup>/. შემდეგ — ყრუ ფშვინვიერი /p<sup>h</sup>/ და მჟღერი ველარული /g/.

ამ კანონზომიერების შესაბამისად მსოფლიოს სხვადასხვა ენაში დასტურდება შემდეგი კონსონანტური სისტემები:

- |     |   |                |    |     |   |                |    |     |   |                |    |
|-----|---|----------------|----|-----|---|----------------|----|-----|---|----------------|----|
| (a) | b | p <sup>h</sup> | p' | (b) | b | p <sup>h</sup> | —  | (c) | b | p <sup>h</sup> | —  |
|     | d | t <sup>h</sup> | t' |     | d | t <sup>h</sup> | t' |     | d | t <sup>h</sup> | t' |
|     | g | k <sup>h</sup> | k' |     | g | k <sup>h</sup> | k' |     | — | k <sup>h</sup> | k' |
|     |   |                |    |     |   |                |    |     |   |                |    |
| (d) | b | —              | —  | (e) | b | —              | —  |     |   |                |    |
|     | d | t <sup>h</sup> | t' |     | d | t <sup>h</sup> | t' |     |   |                |    |
|     | g | k <sup>h</sup> | k' |     | — | k <sup>h</sup> | k' |     |   |                |    |

(e) სისტემა სამი ცარიელი უჯრედით წარმოდგენილია, მაგალითად, კლასიკურ არაბულში.

**18.3.** ხშულთა ამგვარ სისტემებში ცარიელი უჯრედებით მარკირებულ ხშულ ფონემათა ადგილები „შეივსება“ შესაბამისი ნაპრალოვანი ფონემებით (ფრიკატივებით), რომლებიც სისტემაში ნაკლული ხშული ფონემების ერთგვარ სუბსტიტუტებად (შემცვლელებად) გვევლინება. შესაბამისად, სხვადასხვა სტრუქტურის ენებში გვაქვს შემდეგი სისტემები:

			w/v	f		w/v	f	
(a)	b	p	(b)	b	—	(c)	b	—
	d	t		d	t		d	t
	—	k		g	k		—	k
	γ	x					γ	x

ითვლება, რომ „მჟღერობა-სიყრუის“ ნიშნით დაპირისპირებული ლაბიალური და ველარული რივის ფრიკატივები იმავე იერარქიულ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან მარკირების მიმართების თვალსაზრისით, როგორშიც შესაბამისი ხშულები:

*არამარკირებული* → w/v      f ← *მარკირებული*  
*მარკირებული* → γ              x ← *არამარკირებული*

### 19. მარკირების მიმართება და ფონემის დიფერენციალური ნიშნები

**19.1.** შონემურ კლასებში დადგენილ მარკირების იერარქიულ მიმართებათა საფუძველზე შეიძლება ვიფარაუდოთ, რომ ამა თუ იმ დიფერენციალური ნიშნის მარკირებულობა-არამარკირებულობას განსაზღვრავს ის დანარჩენი ნიშნები, რომლებთანაც იგი კომბინირებს ფონემაში — დიფერენციალურ ნიშანთა ერთჯამიერ კონაში. მაგალითად, მჟღერობა მარკირებული ნიშანია ჩქამიერ თანხმოვანთა კლასში, ე.ი. ამ თანხმოვანთა შემადგენელი დიფერენციალური ნიშნების გარემოცვაში, ხოლო სონორი თანხმოვნების კლასში მჟღერობა არამარკირებულია. მარკირების მიმართების განპირობებულობიდან გამომდინარეობს, რომ დიფერენციალური ნიშნის ნებისმიერი — დადებითი თუ უარყოფითი — მნიშვნელობა შეიძლება სპეციფიზირებული იქნეს ამა თუ იმ გარემოცვაში როგორც მარკირებული, ან როგორც არამარკირებული.

მაშასადამე, დიფერენციალური ნიშნის დადებით-უარყოფით მნიშვნელობებსა და მარკირებულობა-არამარკირებულობას შორის არ მყარდება ურთიერთცალსახა დამოკიდებულება. ეს ცვლის მარკირების მიმართების ტრადიციულ გაგებას, რომელიც გულისხმობს „ნიშნის“ და „უნიშნო“ ერთეულების დაპირისპირებას, და აფართოებს ამ მიმართების გამოვლინების სფეროს.

ამასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: მარკირების მიმართება დიფერენციალური ნიშნების ფონემებად შეერთების შედეგად წარმოიქმნება, თუ ის იმთავითვე დამახასიათებელია ცალკეული დიფერენციალური ნიშნებისათვის და მოდიფიკაციას განიცდის სხვა ნიშნებთან მათი შეერთებისას?

მიზანშეწონილია მარკირების მიმართება განვსაზღვროთ დიფერენციალურ ნიშანთა მთელი კონისათვის. ასეთი კონა შეიძლება შეადგენდეს მთლიან ფონემას, ან ფონემური ერთეულის მხოლოდ ნაწილს.

ამგვარად, მარკირების მიმართება ვლინდება დიფერენციალურ ნიშანთა როგორც ერთჟამიერ კონებად — „ვერტიკალურ“ მიმდევრობებად, ისე წრფივ, „ჰორიზონტალურ“ მიმდევრობებად შეერთებისას. არამარკირებულ წევრს უფრო თავისუფალი დისტრიბუცია აქვს, ვიდრე მარკირებულს. ფონემური ერთეულის მარკირებულობა-არამარკირებულობის დადგენისას დისტრიბუციული კრიტერიუმი შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს სინშირულ კრიტერიუმთან. მაგალითად, ქართულში მჟღერ და ასპირირებულ ხშულთა დაპირისპირების ნეიტრალიზაციის შედეგად პრეპაუსალურ პოზიციაში ვლინდება თმოზიცის არამარკირებული წევრი — ასპირირებული თანხმოვანი. ეს ეწინააღმდეგება სინშირულ მონაცემებს, რომელთა საფუძველზე არამარკირებულად უფრო მაღალი სინშირის მქონე მჟღერი ხშულები უნდა მივიჩნიოთ. ამის ახსნას შევძლებთ, თუ გავისხენებთ, რომ მარკირების მიმართება კონტექსტზეა დამოკიდებული, ხოლო სინშირული მონაცემები ასახავს ფონემათა ქცევას ყველა პოზიციაში.

თუ მარკირების მიმართებას განვიხილავთ როგორც გარკვეულ დიფერენციალურ ნიშანთა უნარს, გაერთიანდნენ ერთჟამიერ კონებად და შექმნან სხვადასხვა ფონემური ერთეული, მაშინ ეს მიმართება შეეხება არა მარტო პრივატულ, არამედ გრადუალურ და ეკვიპოლენტურ თმოზიცებსაც, მათ შორის — ლოკალური რიგის (წარმოების ადგილის) მიხედვით დაპირისპირებებს.

**19.2.** ირკვევა, რომ მჟღერობა-სიყრუის ნიშანთან კომბინირების თვალსაზრისით ლოკალური ნიშნები ქმნიან გარკვეულ იერარქიულ რიგს. სახელდობრ, ხშულ თანხმოვანთა კლასში მჟღერობა უფრო ადვილად კომბინირებს ლაბიალურობასთან, სიყრუე — ველარულობასთან, ხოლო

დენტალურობა ამ თვალსაზრისით შუალედურია. ლაბიალური და ველარული ხშულების შედარებისას არამარკირებულად მივიჩნევთ „მჟღერო, ხშული, ლაბიალური“ ნიშნების ერთობლიობას — „მჟღერო, ხშული, ველარული“ ნიშნების მარკირებული ერთობლიობის საპირისპიროდ, ხოლო „ყრუ, ხშული, ლაბიალური“ ნიშანთა ერთობლიობას მივიჩნევთ მარკირებულად — „ყრუ, ხშული, ველარული“ ნიშანთა არამარკირებული ერთობლიობის საპირისპიროდ. მაშასადამე, აქ ველარული ხშული მარკირებულია, ხოლო ლაბიალური — არამარკირებული „+მჟღერობა“ შემთხვევაში, ხოლო „-მჟღერობა“ (ანუ „სიყრუე“) შემთხვევაში მარკირებულია ლაბიალური ხშული, ველარული კი არამარკირებულია.

ასე გაგებული მარკირება არის იერარქიული მიმართება, რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა ენაში დიფერენციალურ ნიშანთა კონკრეტული კომბინაციების გავრცელებისა და „ბუნებრიობის“ ხარისხს. ამას უკავშირდება ფონემურ ერთეულთა სისწორული მახასიათებლები ერთი ენის ფარგლებში. გარკვეული ნიშნები ერთმანეთთან შეთავსებადია მათი არტიკულატორულ-აკუსტიკური თავისებურებების გამო; სხვებს შეთავსებადობის უფრო შეზღუდული უნარი აქვთ, მათი ერთმანეთთან დაკავშირებისას მიიღება „უჩვეულო“ კომბინაციები. მაგალითად, დაძაბული სპირანტებისა და აფრიკატების (სიბილანტების) კლასში ყრუ ფონემები უპირისპირდება მჟღერებს როგორც არამარკირებულები-მარკირებულებს (მჟღერ ფონემათა სისწორე ამ კლასში, ჩვეულებრივ, უფრო დაბალია). ხშულთა კლასში საპირისპირო შეფარდება დასტურდება ზოგიერთ ენობრივ სისტემაში (მაგალითად, კავკასიურ ენებში). ამიტომ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მჟღერობის ნიშანს, საზოგადოდ, აქვს მიდრეკილება, ერთჟამიერ კონაში შეუერთდეს უპირატესად ხშულობის (მეყსეულობის) ნიშანს და არა მძაფრობის ნიშნის კომბინაციას აფრიკატობის ან ნაპრალოფნობის ნიშანთან.

დიფერენციალურ ნიშანთა ერთ კონად შეერთების სხვადასხვა უნარის მიხედვით შეიძლება ავარგოთ მარკირებულობის სკალა, რომელზეც ერთმანეთს უკიდურესად დაუპირისპირდება შემდეგი ორი მნიშვნელობა: 1) ნიშანთა უცილობელი შეთავსებადობა, რაც იძლევა მაქსიმალურად არამარკირებულ კომბინაციებს (მაგალითად, „-მარცვლოვანი“ და „+ არამარცვლოვანი“, „დენტალური“ და „ხშული“ და მისთ.); 2) ნიშანთა ურთიერთშეუთავსებლობა, რაც პოტენციურად იძლევა მაქსიმალურად მარკირებულ კომბინაციებს (მაგალითად, „გლოტალიზებული“ და „მჟღერი“, „ნაზალიზებული“ და „ნაპრალოვანი“ და სხვ.). ამ პოლარულ მნიშვნელობებს შორის მოთავსდება სხვა მნიშვნელობები, რომლებიც ასახავენ დიფერენციალურ ნიშანთა ურთიერთშეთავსებადობის მეტნაკლებ უნარს.

მარკირებული ფონემების ადგილას ზოგიერთ ენობრივ სისტემაში ცარიელი უჯრედების არსებობა იმით აიხსნება, რომ ეს ფონემები ასახავენ დიფერენციალურ ნიშანთა ერთმანეთთან დაკავშირების შეზღუდულ უნარს.

დიფერენციალურ ნიშანთა შეთავსებადობის ამგვარი უნივერსალური მოდელების დადგენა საშუალებას იძლევა გამოვყოთ ის ძირითადი ფონემური დაპირისპირებები, რომლებიც საფუძვლად უდევს ბუნებრივი ენის ფონოლოგიურ სისტემას საზოგადოდ.

**19.3. მარკირების იერარქიული მიმართების ზემოთ წარმოდგენილი გაგების თანახმად, მარკირებული-არამარკირებული ფონემების დაპირისპირება გულისხმობს არა ნიშნიან-უნიშნო ფონემათა ოპოზიციას, როგორც ეს ტრადიციული გაგებისათვის იყო დამახასიათებელი, არამედ ამ ფონემათა შემაღგენელი დიფერენციალური ნიშნების უნარს, შექმნან უფრო „ძლიერი“ (ანუ უფრო მაღალსისქიანი და დისტრიბუციულად უფრო თავისუფალი) ან უფრო „სუსტი“ (ანუ უფრო იშვიათი და უფრო შეზღუდული დისტრიბუციული მახასიათებლების მქონე) ფონემური კონები. ამგვარი გაგების საფუძველზე ტერმინი *მარკირების მიმართება* შეიძლება შეიცვალოს ტერმინით *დომინაციის მიმართება* და არამარკირებული ფონემები დახასიათდეს როგორც *დომინანტური ფონემები* (ლათ. *domināns* „გაბატონებული“, „მბრძანებელი“) — *რეცესიული* (ლათ. *recessus* „უკან დახევა“, „დათმობა“) ფონემების საპირისპიროდ. მაგალითად, ლაბიალური /b/ ფონემა მჟღერ ხშულთა სერიაში დომინანტურია რეცესიული ველარული /g/ ფონემის საპირისპიროდ; ყრუ ხშულთა სერიაში ველარული /k/ ფონემა დომინანტურია რეცესიული ლაბიალური /p/ ფონემის საპირისპიროდ და ა.შ.**

ტერმინები *დომინანტური-რეცესიული* მომდინარეობს თანამედროვე გენეტიკიდან, სადაც გენეტიკური კოდის დახასიათებისას ფართოდ გამოიყენება ლინგვისტური ტერმინოლოგია, რაც ლინგვისტური და გენეტიკური კოდების სტრუქტურული მსგავსებით აიხსნება.

## მორფოლოგია

### 1. მორფის ცნება და მორფემული ანალიზი. თავისუფალი და ბმული ფორმები

1.1. როგორც ცნობილია, ფონემების საშუალებით გამოიხატება განსხვავებები მნიშვნელობის მქონე ერთეულებს, ენობრივ ნიშნებს შორის, მაგრამ თვითონ ფონემები ენის შინაარსის პლანთან უშუალოდ არ არიან დაკავშირებულნი. ფონოლოგიური დონე უდაბლესია ენის იერარქიულ დონეებს შორის, არსებითად მას ემყარება უფრო მაღალი — *გრამატიკული დონე* (ბერძნ. *grammatiké < gramma* „დაწერილობა“, „ასო“). ამ დონეების მჭიდრო ურთიერთკავშირი განაპირობებს ენის, როგორც საკომუნიკაციო სისტემის, ფუნქციონირებას.

ბევრი გამონათქვამი მნიშვნელობის გამომხატველ უფრო მცირე ნაწილებად იშლება; გამოიყოფა ორპლანიანი ერთეულები, ნიშნები, რომელთაც არა მარტო ფორმა, *გამოხატულება*, არამედ მნიშვნელობაც აქვთ. ენაში ორპლანიანია ყოველი გამონათქვამი — წინადადება, ფრაზა, სიტყვა, აგრეთვე სიტყვის სოგიერთი ნაწილი.

მნიშვნელობის მქონე უმცირეს ერთეულს *მორფი* (ბერძნ. *morphé* „ფორმა“) ეწოდება. სიტყვები მორფებისგან შედგება. მაგალითად, ქართულ სიტყვებში: *მო-ვალ, გა-ვალ, სახლ-ი, კლდე* შექმდები ფონემური მიმდევრობები: *|მო|, |ვა|, |ვალ|, |სახლ|, |ი|, |კლდე|* მორფებია.

1.2. ბამონათქვამების მორფებად სეგმენტაცია და ერთნაირი მნიშვნელობის მქონე მორფების კლასებად გაერთიანება *მორფემული ანალიზის* ამოცანას შეადგენს. მორფემული ანალიზის მეთოდები პროცედურულად ჰგავს იმ მეთოდებს, რომლებსაც ვიყენებდით ფონემური ანალიზის დროს. ეს იმით არის განპირობებული, რომ ენის მორფოლოგიური სტრუქტურა მრავალი თვალსაზრისით ფონოლოგიური სტრუქტურის ანალოგიურია. მათ შორის პრინციპულ განსხვავებას ქმნის ენის შინაარსის პლანთან დამოკიდებულება.

ენობრივი გამონათქვამების ანალიზის დროს ადვილად გამოიყოფა მრავალგზის განმეორებადი ფონემური მიმდევრობები, რომლებსაც მსგავსი ან იდენტური მნიშვნელობები აქვთ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გამონათქვამების ასეთი ნაწილები შედარებით მყარი მნიშვნელობით ხასიათდება. მაგალითად, *|შევალი|, |წავალი|, |მოვალი|, |ავალი|* მიმდევრობებში ადვილად გამოიყოფთ, ერთი მხრივ, *|შე|, |წა|, |მო|, |ა|* მიმდევრობებს (ფორმებს) და, მეორე მხრივ, *|ვალი|* ფორმას. მათი მნიშ-



ვნელობების მიახლოებითი დადგენა სირთულეს არ წარმოადგენს. თუ ასეთი ფორმა გამონათქვამში შეიძლება შეგვევდეს დამოუკიდებლად, სხვა ფორმებთან კავშირის გარეშე, მაშინ მას *თავისუფალი ფორმა* ეწოდება. მნიშვნელობის მქონე ფონემურ მიმდევრობას, რომელიც გამონათქვამში გვხვდება მხოლოდ სხვა ფორმებთან კავშირში, *ბმული ფორმა* ეწოდება. ზემოთ მოყვანილ მაგალითებში: *შევაღ, წავაღ, მოვაღ, ავაღ* თავისუფალი ფორმებია, *წა-*, *ა-*, *მო-*, *ვაღ-* კი — *ბმული ფორმები* (ბმულ ფორმებს ჩაწერისას თავში ან ბოლოში დეფსებს მიეწერათ). ასევე *კლდე, სახლ-ი, წერ-ს, სამ-მა* თავისუფალი ფორმებია, *-ი, -ს, -მა, სახლ-, წერ-, სამ-* კი ბმული. გამონათქვამში შეიძლება დაიშალოს მნიშვნელობის მქონე მინიმალურ ფორმებად ანუ *მორფებად*. მაგალითად, *მე გან-ზრახ-ულ-ი მ-აქვ-ს ხეღ წარ-მო-დგ-ენ-ა-ს არ და-გ-ე-სწრ-ო* გამონათქვამში 21 მორფი გამოიყოფა.

თავისუფალი ფორმა, რომელიც უფრო მცირე თავისუფალ ფორმებად არ დაიშლება, არის *უმცირესი (მინიმალური) თავისუფალი ფორმა*. ენათა უპრაველესობაში თავისუფალი ფორმები იშლება უფრო მცირე ბმულ ფორმებად. ბევრი თავისუფალი ფორმა არის უფრო მცირე თავისუფალი ფორმისა და ბმული ფორმის კომბინაცია. მაგალითად, *წავაღ* დაიშლება ბმულ *წა-* და *-ვაღ* ფორმებად; *კლდე-ს, რვა-მდე* დაიშლება *კლდე, რვა* თავისუფალ და *-ს, -მდე* ბმულ ფორმებად.

თავისუფალი ფორმა *სიტყვაა*. ამ ტერმინის ტოლფასი ტერმინი შეიძლება იყოს *სიტყვაფორმა* — მინიმალური თავისუფალი ფორმა — სინტაგმატური პლანის კონკრეტული ენობრივი ნიშანი. მაგალითად, *ეს ღდე არასდროს დამავიწყდება* გამონათქვამში ოთხი სიტყვაფორმაა. ტერმინი *სიტყვა* მიზანშეწონილია ვიხმართ არა მარტო უმცირესი თავისუფალი ფორმის მიმართ, არამედ თავისუფალ ფორმათა ზოგიერთი კომბინაციის მიმართაც (ამაზე მეექვსე თავში ვიმსჯელებთ).

სიტყვაფორმას, რომელიც თუნდაც ერთ ბმულ ფორმას შეიცავს, *რთული ფორმა* ეწოდება; ფორმა, რომელიც შედგება უფრო მცირე თავისუფალი ფორმებისაგან, *შედგენილი ფორმაა*.

**1.3.** ახლა შეგვიძლია უფრო ზუსტად განვსაზღვროთ *მორფის* ცნება: „თავისუფალი ან ბმული ფორმა, რომელიც არ დაიშლება ფონემური შედგენილობის თვალსაზრისით უფრო მცირე ფორმებად, არის *მორფი*“. მაგალითად, *შენ, როგორ, ხეღ* თავისუფალი ფორმებია, რომლებიც თითო მორფისგან შედგება; *კარგ-ად, წა-ვაღ, სახლ-ს* რთული ფორმებია, რადგან ბმულ მორფებს შეიცავენ; *მამამთავარი, რვანახევარი, სვე-ტიცხოველი, უფლისწული* შედგენილი ფორმებია, მათ თავისუფალი ფორმების კომბინაციათა სახე აქვთ.

## 2. მორფოლოგიური კონსტრუქცია. ფლექსია და დერივაცია

2.1. მნიშვნელობის მქონე ნებისმიერ გამონათქვამს — თავისუფალი თუ ბმული მორფების მიმდევრობას, რომელიც ერთზე მეტ მორფს შეიცავს, *კონსტრუქცია* ეწოდება. მორფების რთულ და შედგენილ თავისუფალ ფორმებად კომბინირების წესი განსაზღვრავს *მორფოლოგიურ კონსტრუქციას*.

ფუნქციის მიხედვით განარჩევენ ორი ტიპის მორფოლოგიურ კონსტრუქციას. თუ რთული ფორმა მარტივი, ერთმორფიანი ფორმის *გრამატიკული ეკვივალენტი*, ანუ, თუ იგი წინადადებაში იმავე სტრუქტურულ როლს ასრულებს, რასაც მარტივი ფორმა, და ერთის მეორით შეცვლისას წინადადების სტრუქტურა არ ირღვევა, ვიტყვით, რომ ეს რთული ფორმა მასში შემაგალი მარტივი ფორმისგან მიღებულია *დერივაციით* (ლათ. *derivatio* „გამოყვანა“) ანუ *წარმოქმნით*.

თუ რთული ფორმა არ არის მარტივი ფორმის გრამატიკული ეკვივალენტი (ე.ი. თუ მას მარტივი ფორმით ვერ ჩაანაცვლებთ) მისთვის დამახასიათებელ არც ერთ კონსტრუქციაში, ვიტყვით, რომ ეს რთული ფორმა მასში შემაგალი მარტივი ფორმისგან მიღებულია *ფლექსიით* (ლათ. *flexio* „მოხრა“) ანუ *მიმოხრით*.

2.2. ბანგინილოთ ინგლისური manly „კაცური“ და beautiful „მშვენიერი“ სიტყვები. ისინი გრამატიკულად ეკვივალენტურია ისეთი მორფებისა, როგორიც არის good „კარგი“, bad „ცუდი“: ეს ფორმები ერთმანეთის ნაცვლად შეიძლება ვინმართ მათთვის დამახასიათებელ ნებისმიერ კონსტრუქციაში ისე, რომ გრამატიკული სტრუქტურა არ დაირღვეს. მაგალითად, a manly deed „კაცური საქციელი“ — a good deed „კარგი საქციელი“, a beautiful child „მშვენიერი ბავშვი“ — a bad child „ცუდი ბავშვი“ და სხვ. აქ საუბარი არ არის სიტყვათა შინაარსობრივი, სემანტიკური ეკვივალენტობის შესახებ. შენაცვლების შედეგად ზოგჯერ მივიღებთ კონსტრუქციას, რომელიც ჩვეულებრივი მეტყველების დროს არ შეგვხვდება. მაგალითად, ნორმალურია a good lecture „კარგი ლექცია“, მაგრამ სრულიად არაბუნებრივია a manly lecture „კაცური ლექცია“, თუმცა ინგლისური ენის სტრუქტურული ნორმების თვალსაზრისით ორივე გამონათქვამი სწორია. შეიძლება დავასკვნათ, რომ manly მიღებულია დერივაციით მასში შემაგალი მარტივი ფორმისგან man „კაცი“.

სულ სხვა სურათი გვაქვს ისეთი რთული ფორმების შემთხვევაში, როგორიც არის, მაგალითად, ინგლისური dogs „ძაღვები“, რომელსაც მარტივი ფორმები არ შეენაცვლებს. მაგალითად, dogs are barking „ძაღვები ყეფენ“ წინადადებაში dogs „ძაღვები“ ფორმას არ შეიძლება შეენაცვლოს dog „ძაღვი“ ან სხვა მარტივი ფორმა.

ეს რთული ფორმები ფლექსიით არის მიღებული.

### 3. ძირი, აფიქსი, ფუძე. პარადიგმა. დერივაციული და ფლექსიური პარადიგმები

3.1. მნებში, რომლებშიც არსებობს განსხვავება დერივაციული და ფლექსიური ტიპის კონსტრუქციებს შორის, რთულ ფორმათა შემაღგენელი მორფები სამ ძირითად ჯგუფად იყოფა:

1) ყველაზე მრავალრიცხოვანია იმ მორფების ჯგუფი, რომლებიც გვხვდება როგორც დერივაციულ, ისე ფლექსიურ კონსტრუქციებში. ქართულში (ასევე ლათინურში და სხვა ენებში) ეს მორფები უმეტეს შემთხვევაში ბმულია, ინგლისურში, ფრანგულში, გერმანულსა და სხვა ენებში — უფრო ხშირად თავისუფალი: შდრ., მაგალითად, ქართ. *კაც*-, *სახლ*-, *თამაშ*-, ინგლ. man „კაცი“, house „სახლი“, play „თამაში“ და სხვ.

2) მორფები, რომლებიც ერთვის პირველი ჯგუფის მორფებს დერივაციული კონსტრუქციების საწარმოებლად. ამ მორფებს დერივაციული ანუ *სიტყვაწარმოებითი* მორფები ეწოდება. ისინი ყოველთვის ბმულია. ასეთია, მაგალითად, ქართ. *სა*-...-ე; *საქაღალდე*, *სამარილე*; -ობა: *ცელქობა*, *ძმობა*; ინგლ. -ly: manly „კაცური“, daily „ყოველდღიური“, -ness: goodness „სიკეთე“, darkness „სიბნელე“ და სხვ.

3) შედარებით მცირერიცხოვანი მორფები, რომლებიც უკავშირდება პირველი ჯგუფის მორფს ან პირველი და მეორე ჯგუფის მორფების მიმდევრობას ფლექსიური კონსტრუქციების საწარმოებლად. ამ მორფებს ფლექსიური ანუ *ფორმაწარმოქმნელი (ფორმამცვლელი) მორფები* ეწოდება. ისინიც ყოველთვის ბმულია; მაგალითად, ქართ. -მა: *კაცმა*, *დიდმა*, *ვ*:- *ვწერ*, *ვფერ*; ინგლ. -s: dogs „ძაღვები“, tables „მაგიდები“, -ed: played „ითამაშა“, helped „დაეხმარა“ და სხვ. პირველ ჯგუფში გაერთიანებულ მორფებს *ძირები* ეწოდება, დანარჩენებს — *აფიქსები* (ლათ. *affixus* „მიმაგრებული“). აფიქსები ერთვის ძირებს რთული ფორმების საწარმოებლად.

რთული ფორმის აღსაწერად უნდა განვსაზღვროთ: მასში შემაჯავალი თითოეული მორფის კლასი (ტიპი) და მათი თანმიმდევრობა; ამ ფორმაში მორფებისათვის დამახასიათებელი პროსოდული თავისებურებანი; ფონემური შოდიფიკაციები (თუ ისინი დასტურდება), რომლებსაც მორფები ერთმანეთთან დაკავშირებისას განიცდიან.

3.2. ბანსაზღვრული წესით დალაგებული ისეთი რთული ფორმების სიმრავლე, რომლებიც საერთო ძირსა და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აფიქსებს შეიცავენ, ქმნის ამ ფორმათა *პარადიგმას*. გრამატიკულად ეკვივალენტური ფორმები *პარალელურ პარადიგმებს* ქმნიან. ენებში, რომლებიც განარჩევენ დერივაციასა და ფლექსიას, წარმოდგენილია ფორმათა დერივაციული და ფლექსიური პარადიგმები. მაგალითად, კა-

ცი, საკაცე, კაცური, კაცობა ფორმები დერივაციულ პარადიგმას შეადგენს, ხოლო კაცო, კაცმა, კაცს და ა. შ. — ფლექსიურ პარადიგმას. ასევე, ინგლ. man „კაცი“, manly „კაცური“, manhood „კაცობა“, mankind „კაცობრიობა“ დერივაციულ პარადიგმას ქმნიან, ხოლო dog „ძაღლი“, dogs „ძაღლები“, dog's „ძაღლისა“ — ფლექსიურს.

3.3. ფლექსიური აფიქსები შეიძლება დაუკავშირდნენ დერივაციული აფიქსებით გართულებულ ძირს — *ფუძეს* ფუძე არის სიტყვის ის ნაწილი, რომელიც იწარმოება ძირზე დერივაციული აფიქსების დართვით; იგი უცვლელია ერთი ფლექსიური პარადიგმის ფარგლებში. საერთო ფუძის მქონე ფორმები ფლექსიურ პარადიგმაში ერთმანეთს ფლექსიური აფიქსებით უპირისპირდება: მაგალითად, თავისუფალი ფორმა *კაცური* იშლება *კაც-* (ძირი), *-ურ* (დერივაციული აფიქსი) და *-ი* (ფლექსიური აფიქსი) ფორმებად. *კაც-* ძირზე *-ურ* დერივაციული აფიქსის დართვით იწარმოება *კაცურ-* ფუძე, რომელიც წარმოდგენილია ფლექსიურ პარადიგმაში: *კაცურ-ი*, *კაცურ-მა*, *კაცურ-ს* და ა.შ. მაშასადამე, ფუძე არის ფლექსიური პარადიგმის ფორმათა ის *საერთო ნაწილი*, რომელიც რჩება ფლექსიურ აფიქსთა ჩამოცილების შედეგად.

ყოველი *ძირი* ამავე დროს შეიძლება *ფუძე* იყოს (მას ფლექსიური აფიქსები შეიძლება დაერთოს), მაგრამ ყოველი *ფუძე* არ არის *ძირი* ის შეიძლება ერთზე მეტ მორფს შეიცავდეს. მაგალითად, *კაც-* (სიტყვა-ფორმაში *კაც-ი*) არის ძირიცა და ფუძეც, ხოლო *კაც-ურ-* ფუძეა, მაგრამ არა ძირი. ისეთ ენებში, რომლებსაც არ გააჩნიათ ფლექსიური აფიქსები (მაგალითად, ჩინურში), ფუძისა და ძირის გარჩევა არ ხდება.

ფლექსიასა და დერივაციას ერთმანეთისგან რამდენიმე თვისება განასხვავებს. კერძოდ: ფლექსია არ ცვლის სიტყვის პარადიგმატულ კლასს, ხოლო დერივაციამ შეიძლება გადაიყვანოს სიტყვა სხვა პარადიგმატულ კლასში. მაგალითად, *მზიარული* ~ *მზიარულება*, *მადლი* ~ *მადლიანი* ფლექსია უფრო „გარეგანი“, არ მონაწილეობს სიტყვის შინაგანი სტრუქტურის შექმნაში, ხოლო დერივაცია განაპირობებს სიტყვის პარადიგმატულ სტრუქტურას. ფლექსიის „გარეგანი“ ხასიათი იმაშიც აისახება, რომ დერივაციული აფიქსები ხშირად ძირთან უფრო ახლო პოზიციას იკავებენ, ვიდრე ფლექსიური აფიქსები. იმ ენებში, სადაც დასტურდება ფლექსიური აფიქსები, ყოველთვის არსებობს ისეთ ფუძეთა ჯგუფი, რომლებიც მათ არ დაირთავენ. მაგალითად: *ხვალ*, *თუ*, *სად*; ინგლ. when „როდის“, so „ისე“; რუს. как „როგორ“, да „დიახ“ და სხვ. ასეთი სიტყვები ძირის, *წმინდა ფუძის* სახით არის წარმოდგენილი.

საზოგადოდ, სიტყვას შეიძლება ჰქონდეს *მარტივი ფუძე* (ძირი), რომელიც ერთი მორფისგან შედგება, ან *დერივაციული* (დერივაციით მიღებული) *ფუძე*. ეს უკანასკნელი შეიძლება სხვადასხვა აგებულებისა იყოს: (1) *ბირველადი დერივაციული ფუძე* — მისი ერთ-ერთი შემადგენელი ძირია, მეორე — დერივაციული აფიქსი. მაგალითად: *კაც-ურ-*, *მა-*

რილ-იან-; ინგლ. man-ly „კაცური“, play-er „მოთამაშე“; (2) *მეორეული დერივაციული ფუძე*, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი თავად ფუძეა, დანარსენები კი — დერივაციული აფიქსები. მაგალითად: *მა-სწავლ-ებ-ელ-*, ინგლ. un-letter-ed „გაუნათლებელი“, re-new-al „აღდგენა, განახლება“; (3) *შედგენილი ფუძე*, რომლის ყველა შემადგენელი ძირია. მაგალითად: *მამა-კაც-*, *გუშინ-წინ*, ინგლ. fire-man „მეხანძრე“, high-land „მთიანეთი“; (4) *შედგენილი ფუძე*, რომლის შემადგენელ ფუძეებს შორის არის დერივაციული ფუძე. მაგალითად: *თავ-დადებულ-*, *სამ-ნაწილიან-*; ინგლ. note-worthy „საყურადღებო“, under-sized „ჯუჯა“.

#### 4. პარადიგმატულ ერთეულთა დაპირისპირების საშუალებები. აფიქსაცია და აფიქსთა სახეები

4.1. საერთო პარადიგმის ფორმათა წარმოქმნის წესები, ანუ *მორფოლოგიური პროცესები*, შეიძლება სხვადასხვა სახისა იყოს. ქვემოთ განვიხილავთ თითოეულ მათგანს.

*აფიქსაცია* საერთო პარადიგმის წევრები ერთმანეთს უპირისპირდებიან ძირზე სხვადასხვა ტიპის აფიქსთა დართვით. მაგალითად, ქართულში *მარილ-* ძირზე ფლექსიურ აფიქსთა დართვით იწარმოება ფორმები, რომლებიც ერთ ფლექსიურ პარადიგმას ქმნიან: *მარილი*, *მარილმა*, *მარილს* და ა.შ. ამავე ძირისგან დერივაციული აფიქსების დართვით მიღებული ფორმები ერთიანდება დერივაციულ პარადიგმად: *მარილიანი*, *უმარილო*, *სამარილე* და სხვ.

ძირის მიმართ ადგილის მიხედვით აფიქსები იყოფა შემდეგ ჯგუფებად: *სუფიქსი* (ლათ. *suffixus* „მიმაგრებული“) — აფიქსი, რომელიც ძირს მოსდევს, *ბოლოსართი პრეფიქსი* (ლათ. *prae-fixus* „მიდგმული“, „მიერთებული“) — აფიქსი, რომელიც ძირს წინ უსწრებს, *თავსართი ინფიქსი* (ლათ. *infixus* „შიგ ჩადგმული“) — აფიქსი, რომელიც „ხლეჩს“ ძირს, ჩაერთვის მასში. აფიქსური მორფის ჩაწერისას დეფისი მას იმ მხარეს ექნება, რომელიც ძირისკენ არის მიმართული. ძირეულ მორფს დეფისები შეიძლება ორივე მხარეს მიეწეროს, ხოლო თუ ეს ძირი აფიქსებს მხოლოდ ერთ მხარეს დაირთავს, მაშინ — ცალ მხარეს. მაგალითად, *სუფიქსები*: *-ურ*, *-ობა*, *-ი*, *-მა*: *კაც-ურ-*, *კაც-ობა*, *კაც-ი*, *კაც-მა*; ინგლ. *-ly*, *-ed*, *-s*: *man-ly* „კაცური“, *play-ed* „ითამაშა“, *play-s* „თამაშობს“. *პრეფიქსებია*, მაგალითად, *შე-*, *მო-*, *გ-*, *ს-*, *გვ-*: *შე-ვალ*, *მო-ვალ*, *გ-წერ*, *ს-წერ*, *გვ-წერ*; ინგლ. *un-*, *a-*: *un-happy* „უბედური“, *a-sleep* „შპინარე“; რუს. *пере-*, *раз-*: *пере-дай* „გადაეცი“, *раз-дай* „დაარიგე“ და სხვ.

მსოფლიოს ენებში სუფიქსაცია და პრეფიქსაცია ფართოდ არის გავრცელებული, ინფიქსაცია — ნაკლებად. ინფიქსებია, მაგალითად, -გ-: ბ-გ-ნა (შდრ. ბნ-აე), სბ-გ-ლა (შდრ. სბლ-აე); ლათ. -n-, -m: vi-n-co „ვიმარჯვებ“ (შდრ. vīc-ī „გავიმარჯვე“), ru-m-po „ვამსხვრევ“ (შდრ. rūp-ī „დავამსხვრიე“) და სხვ.

ძირის წყვეტა-უწყვეტობის თვალსაზრისით შეიძლება სხვა ტიპის აფიქსებიც გამოიყოს. მორფების „ურთიერთწყვეტის“ თვისების მიხედვით განირჩევა შემდეგი ძირითადი კლასები: ძირის მწყვეტი, ძირის არამწყვეტი, ძირით წყვეტილი და ძირით უწყვეტი აფიქსები. განვიხილოთ თითოეული მათგანი.


1. „არამწყვეტ-უწყვეტ“ აფიქსებს *კონფიქსები* (ლათ. *con* „თან“, *fixus* „მიმაგრებული“) ეწოდება. ისინი იყოფა *პრეფიქსებად*, *სუფიქსებად* და *ინტერფიქსებად*. *ინტერფიქსი* (ლათ. *inter* „შორის“) არის ისეთი აფიქსი, რომელიც აკავშირებს ფუძეებს რთულ ფორმაში. მაგალითად: რუს. -o-: язык-о-знание „ენათმეცნიერება“, сам-о-лёт „თვითმფრინავი“; გერმ. -s-: Arbeit-s-plan „სამუშაო გეგმა“, Sitzung-s-bericht „კრების ანგარიში“ და სხვ. ინტერფიქსებს ზოგჯერ *მაერთებელ ელემენტებს* უწოდებენ.

2. „არამწყვეტ-წყვეტილ“ აფიქსებს *ცირკუმფიქსები* (ლათ. *circum* „გარშემო“) ეწოდება. ისინი ძირს ორივე მხრიდან მოიცავენ, ძირი თითქოს „ხლეჩს“ მათ. მაგალითად: მე-...-ე, სა-...-ურ: მე-ორ-ე, სა-ფეხ-ურ-ი; რუს. с-... -у: с-низ-у „ქვემოდან“, с-бок-у „გვერდიდან“; გერმ. ge-...-t, ge-...-en: ge-mach-t „გაკეთებული“; ge-fund-en „ნაპოვნია“ და სხვ. ასეთ შემთხვევაში ორი სხვადასხვა ელემენტი — პრეფიქსი და სუფიქსი არა გვაქვს, ცირკუმფიქსის ნაწილები ცალ-ცალკე არ ფუნქციონირებენ; ისინი — სემანტიკურად ერთიანია. მაგალითად, ქართულში არ არსებობს \*მე-ორ ან \*ორ-ე, \*სა-ფეხ ან \*ფეხ-ურ (\* სიმბოლოთი აღინიშნება გამონათქვამები, რომლებიც ენაში არ დასტურდება).

3. „მწყვეტი-უწყვეტი“ აფიქსები *ინფიქსებია*, მათი მაგალითები ზემოთ უკვე გვიქონდა მოყვანილი.

4. „მწყვეტ-წყვეტილ“ აფიქსებს *ტრანსფიქსები* (ლათ. *transfixus* „გამსჭვალული“) ეწოდება. ისინი „ხლეჩენ“ ძირს და თვითონაც „იხლიჩებიან“ ძირით. აფიქსთა ეს ტიპი ნაკლებად არის გავრცელებული. ის დამახასიათებელია სემიტური ენებისათვის. კლასიკურ არაბულში ძირს, ჩვეულებრივ, სამთანხმოვნის სტრუქტურა აქვს: k-t-b „წერა“, ḡ-l-s „ჯდომა“ და სხვ. ხოლო ფლექსიური და/ან დერივაციული აფიქსები ჩაერთვიან ძირულ თანხმოვნებს შორის. ეს აფიქსები უფრო ხშირად ხმოვნებით არის გამოხატული; მაგალითად, ფლექსიური მორფებია a-a-a, u-i-a: kataba „დაწერა“, kutiba „დაიწერა“; დერივაციული მორფებია: i-ā: kitāb — „წიგნი“, u-aj: kutajb — „წიგნაკი“ და სხვ.

თუ მორფებს განვიხილავთ როგორც ერთმანეთთან დაკავშირებულ ფონემათა მიმდევრობებს, სოლო ფონემებსა და მორფებს შორის კავშირებს ისრებით აღვნიშნავთ, კონფიქსაციისა და ცირკუმფიქსაციის შემთხვევები შემდგენიარად გამოიხატება:



ტრანსფიქსაციის შემთხვევაში ისრები გადაიკვეთება:



5. მორფების ფონემური შედგენილობის მოდიფიკაცია: ალტერნაცია და ალტერნაციის სახეობები. მორ(ფო)ფონოლოგიური მონაცვლეობა

5.1. განვიხილოთ პარადიგმატულ ერთეულთა წარმოების სხვა, არააფიქსური საშუალებები. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული საშუალებაა მორფების ფონემური შედგენილობის მოდიფიკაცია. ერთმანეთთან ფორმალურ-სემანტიკურად დაკავშირებულ ფორმებში ძირეულ მორფებს შეიძლება სხვადასხვა ფონემური შედგენილობა ჰქონდეთ. ასეთ შემთხვევაში ერთი ძირეული მორფი განიხილება როგორც ამავე პარადიგმაში დადასტურებული მეორე ძირეული მორფის შინაგანი ცვლის შედეგად მიღებული. მაგალითად, ინგლისური sing „სიმღერა“ (ზმნა) ~ song „სიმღერა“ (არსებითი სახელი) საერთო დერივაციული პარადიგმის წევრებია. ეს პარადიგმა პარალელურია ისეთი პარადიგმისა, როგორიც არის fly „ფრენა“ (ზმნა) ~ flight „ფრენა“ (არსებითი სახელი), სადაც დაპირისპირება სუფიქსით არის გამოხატული.

ინგლისური sing „სიმღერა“ ~ sang „იმღერა“ ~ sung „ნამღერი“ ფორმები საერთო ფლექსიური პარადიგმის წევრებია; ეს პარადიგმა პარალელურია, მაგალითად, play „თამაში“ ~ played „ითამაშა“ ~ played „ნათამაშევი“ პარადიგმისა, სადაც იგივე დაპირისპირებები -ed სუფიქსით გამოიხატება. საერთო ფლექსიური პარადიგმის წევრებია ასევე man „კაცი“ ~ men „კაცები“. ეს პარადიგმა boy „ბიჭი“ ~ boys „ბიჭები“, dog

„ძაღლი“ ~ dogs „ძაღლები“ პარადიგმების პარალელურია. ყველა ამ მაგალითში პარადიგმატული ერთეულები ერთმანეთს ძირეული მორფის სხვადასხვა გახმოვანებით უპირისპირდებიან.

შენაცვლება შეიძლება ძირეული მორფების თანხმონებსაც შეეხოს, მაგალითად: ინგლ. advise /əd'vaɪz/ „რჩევა“ (ზმნა) ~ advice /əd'vaɪs/ „რჩევა“ (არსებითი სახელი), შდრ. fly ~ flight.

5.2. საერთო პარადიგმის ერთეულები ზოგჯერ მახვილის განაწილებით უპირისპირდებიან ერთმანეთს. მაგალითად: ინგლ. import /'ɪmpɔ:t/ „იმპორტი“ (არს. სახელი) ~ /ɪmpɔ:t/ „შემოტანა“, „იმპორტირება“. როგორც მახვილის განაწილებით, ისე ხმოვანთა ცვლით უპირისპირდებიან ერთმანეთს ისეთი ფორმები, როგორიც არის ინგლისური conflict: /kən'flikt/ „წინააღმდეგობა“ (ზმნა) ~ /kɒnflikt/ „კონფლიქტი“ (არს. სახელი).

მსგავსი შინაგანი ცვლილებები აფიქსებსაც ახასიათებს. მაგალითად, არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი ინგლისურში სამი მორფის სახით შეიძლება გამოიხატოს იმის მიხედვით, თუ რა ფონემაზე ბოლოვდება მორფი; /ɔ/, /ɜ/, /s/, /z/, /ʃ/, /ʒ/ ფონემებზე დაბოლოებულ ძირებს დაერთვის /-əz/ მორფი, ხოლო დანარჩენი ფონემებით დაბოლოებულ ძირებს — /-z/ მორფი (თუ ძირის ბოლოკიდური ფონემა ხმოვანი ან მჟღერი თანხმოვანია), ან /-s/ მორფი (თუ ძირი ყრუ თანხმოვანზე ბოლოვდება).

5.3. შინაგანი ცვლა ხშირად აფიქსაციის თანხმლები მოვლენაა. მაგალითად: წყალ-ი ~ წყალ-ის, გ-ფენ ~ გ-ფინ-ი, რუს. день „დღე“ ~ дн-и „დღეები“, снег „თოვლი“ ~ снеж-н-ый „თოვლიანი“; ინგლ. tell „თქმა“, „მოყოლა“ ~ tol-d „თქვა“, „მოპყვა“, leave „დატოვება“ ~ lef-t „დატოვა“ და სხვ. ამ მაგალითებში ერთდროულად დასტურდება აფიქსაცია და ძირეული ხმოვნის ან თანხმოვნის შენაცვლება.

ბოლო მაგალითიდან ჩანს, რომ ზოგჯერ ერთი და იმავე დაპირისპირებული წყვილის ფორმებში შეიძლება შეიცვალოს ძირეული ხმოვანიცა და თანხმოვანიც.

ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე ძირეულ თუ აფიქსურ მორფებს შორის ისეთ დაპირისპირებებს, რომლებიც ფონემური შედგენილობის მოდიფიკაციით გამოიხატება, მონაცვლეობა ანუ ალტერნაცია (ლათ. *alternatio*) ეწოდება. მაშასადამე, ალტერნაციის დროს გარკვეული მნიშვნელობა გამოიხატება ნაწილობრივ განსხვავებული ფონემური შედგენილობის მქონე მორფებით.



ამ ტიპის ფონემურ მონაცვლეობებს, რომლებიც მორფოლოგიურ ფუნქციას ასრულებენ, შეიძლება მორ(ფო)ფონოლოგიური მონაცვლეობები ეწოდოს.

5.4. მორფონოლოგიური ალტერნაციის უკიდურეს შემთხვევად შეიძლება განვიხილოთ *სუპლექტივიზმი* (ლათ. *suppletio* „შევსება“), ე.ი. ძირის ისეთი შინაგანი ცვლა, როდესაც იცვლება არა მისი ნაწილი, არამედ მთელი ძირი. მაგალითად, ინგლისურში პარადიგმა გო „წასვლა“ ~ went „წავიდა“ ~ gone „წასული“ პარალელურია პარადიგმისა play „თამაში“ ~ played „ითამაშა“ ~ played „ნათამაშევი“, რომელშიც ნამყოფისა და ნამყოს მიმღეობის ფორმებს -ed სუფიქსი გამოხატავს. პირველ პარადიგმაში გო ძირი მთლიანად შეცვლილია went ძირით. კიდევ უფრო თვალსაჩინოა სუპლექტური წარმოება ინგლისურ პარადიგმაში be „ყოფნა“ ~ am „ვარ“ ~ is „არის“ ~ are „არიან“ ~ was „იყო“ ~ were „იყვნენ“ ~ been „ნამყოფი“; შდრ. play „თამაში“ ~ plays „თამაშობს“ ~ played „ითამაშა“, „ნათამაშევი“, სადაც play ფორმა შეესატყვისება be, am, are ფორმებს, played კი was, were, been ფორმებს პირველი პარადიგმიდან. მსგავსი ვითარებაა ქართულ არის ~ იყო, ზის ~ იჯდა ფორმებში (შდრ. წევს ~ იწვა, დგას ~ იდგა); აგრეთვე: ცუდი ~ უარესი (შდრ. მოკლე ~ უმოკლესი); ინგლ. bad „ცუდი“ ~ worse „უარესი“, good „კარგი“ ~ better „უკეთესი“ (შდრ. tall „მაღალი“ ~ taller „უფრო მაღალი“) და სხვ. ყველა ამ მაგალითში ერთი ძირი მთლიანად შეცვლილია მეორით, რომელთანაც მას გამოხატულების თვალსაზრისით არაფერი აქვს საერთო. *სუპლექტური* წარმოება გამოიყოფა იმ შემთხვევაში, თუ პარალელურად არსებობს *არასუპლექტური* პარადიგმები, სადაც ელემენტებს შორის დაპირისპირება სხვა საშუალებებით არის გამოხატული.

5.5. პარადიგმატულ ერთეულთა წარმოების კიდევ ერთი ხერხია *რედუპლიკაცია* (ლათ. *reduplicatio* „გაორმაგება“) — ძირის ან მისი ნაწილის გამეორება (ალტერნაციით ან მის გარეშე). მაგალითად: შუმერ. kur „ქვეყანა“ ~ kur-kur „ქვეყნები“, ბერძნ. leípō „ვტოვებ“ ~ léloipa „დავტოვებ“, ძვ.-ინდ. kar- „კეთება“ ~ čakāra „გააკეთა“ და სხვ.

## 6. პარადიგმატული დაპირისპირებები და ნულოვანი აფიქსი

6.1. პარადიგმატულ ერთეულთა თანმიმდევრული აღწერისათვის ხშირად მიზანშეწონილია „ნულოვანი აფიქსის“ ცნების შემოტანა.

თუ ენობრივ ერთეულთა უმრავლესობაში პარადიგმატული დაპირისპირება გამოხატება აფიქსაციით ან მონაცვლეობით, ხოლო ზოგიერთ პარალელურ პარადიგმაში ეს დაპირისპირება არ არის გამოხატული არც აფიქსით და არც მონაცვლეობით (ე.ი. პარადიგმატულად დაპირისპირებული ფორმები გამოხატულების მხრივ ემთხვევა ერთმანეთს), ვიტყვით, რომ ეს დაპირისპირება გამოხატება *ნულოვანი აფიქსით*. მაშასადამე, ნულოვან აფიქსს არ გააჩნია ფონემური გამოხატულება. მაგალითად, ინგლისური არსებითი სახელების უმრავლესობა მრავლობით რიცხვს აწარმოებს /-əz/, /-z/, /-s/ სუფიქსების დართვით, ხოლო ზოგიერთი — მონაცვლეობით (man „კაცი“ ~ men „კაცები“, mouse „თაგვი“ ~ mice „თაგვები“); ამავე („ერთი“ ~ „მრავალი“) დაპირისპირებას არსებით სახელთა მცირე ჯგუფი არაფრით არ გამოხატავს. შდრ., ერთი მხრივ, dog „ძაღლი“ ~ dogs „ძაღვები“ და, მეორე მხრივ, deer „ირემი“ ~ deer „ირემები“, sheep „ცხვარი“ ~ sheep „ცხვრები“, fish „თევზი“ ~ fish „თევზები“ და სხვ.

მოყვანილ პარადიგმებს შორის პარალელიზმი ჩანს ისეთ ფრაზებში, როგორიც არის the dog is running „ძაღლი მირბის“ ~ the dogs are running „ძაღვები მირბიან“, the deer is running „ირემი მირბის“ ~ the deer are running „ირემები მირბიან“. ენის სინტაქსური სტრუქტურა, ე.ი. სიტყვების ფრაზებად და წინადადებებად შეერთების წესები, უფრო თანმიმდევრულად აღიწერება, თუ deer ~ deer ტიპის დაპირისპირებებს იმგვარადვე წარმოვადგენთ, როგორც აფიქსაციითა და მონაცვლეობით გამოხატულ დაპირისპირებებს. ამიტომ ინგლისურში არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის გამომხატველ საშუალებებს უნდა დაეუმატოთ ნულოვანი აფიქსი, რაც მოგვცემს არსებითი სახელის მორფოლოგიურ კატეგორიათა თანმიმდევრულ აღწერას აფიქსაციის ტერმინებით. დაპირისპირების ნულოვანი გამოხატვა გვაქვს აგრეთვე ისეთ მაგალითებში, როგორიცაა ინგლ. hit „დარტყმა“ ~ hit „დაარტყა“, shut „დახურვა“ ~ shut „დახურა“, შდრ. play „თამაში“ ~ played „ითამაშა“.

ნულოვან მორფს „Ø“ სიმბოლოთი აღვნიშნავთ.

## 7. მორფემა და ალომორფები

7.1. მორფების სხვადასხვა ტიპის დახასიათების შემდეგ განვიხილოთ რთულ ფორმებში მათი გამოყოფისა და იდენტიფიკაციის წესები, პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს საერთო მნიშვნელობის მიხედვით მათ კლასიფიკაციას.

როგორც ვიცით, ფონოლოგიური ანალიზის დროს გამონათქვამთა სეგმენტაციის შემდეგ ფონები ერთიანდება უფრო მაღალი დონის ერთეულებად — ფონემებად. ერთი და იმავე ფონემის წარმომადგენლები ერთმანეთის მიმართ ალოფონურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. ამგვარად, ფონოლოგიური ანალიზის შედეგად გამოიყოფა შემდეგი ენობრივი ერთეულები: *ფონო-ალოფონო-ფონემა*. ამის მსგავსად, ენობრივი სისტემის უფრო მაღალ იერარქიულ საფეხურზე — მორფოლოგიურ დონეზე — გამოიყოფა გარკვეული ერთეულები — *მორფემა* მნიშვნელობის მქონე მინიმალური ელემენტები. ერთნაირი მნიშვნელობის მქონე *მორფემა* ერთიანდებიან გარკვეულ კლასებად — *მორფემებად*. ყოველი ასეთი კლასის წევრებს *ალომორფები* ანუ *მორფემული ალტერნანტები* ეწოდება (შდრ. ფონემის როგორც ალოფონების ერთობლიობის ცნება). მაშასადამე, *მორფემა* ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე მორფების ერთობლიობაა. *ალომორფები*, მაგალითად, ზემოთ განხილულ ინგლისურ არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმათა მაწარმოებელი /-əz/, /-z/, /-s/, /-ən/ (ox „ხარი“ ~ oxen „ხარები“), /-rən/ (child „ბავშვი“ ~ children „ბავშვები“) მორფები, აგრეთვე ამავე ფუნქციის მქონე ნულოვანი მორფი — Ø. /-ən/ და /-rən/ მორფები შეიძლება სუბლექტურ აფიქსებად განვიხილოთ.

ამგვარად, მორფემული ანალიზის შედეგად გამოიყოფა შემდეგი ძირითადი მორფოლოგიური ელემენტები: *მორფო-ალომორფო-მორფემა*. ენათმეცნიერების დარგს, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა ტიპის მორფემათა ალომორფულ შედგენილობას, ალომორფებს შორის არსებულ მონაცვლეობებს და იმ ფონოლოგიურ ცვლილებებს, რომლებიც ვლინდება მორფემათა ურთიერთდაკავშირების დროს, *მორფოფონოლოგია* ან *მორფონოლოგია*, ანუ *მორფოფონემიკა* ეწოდება. მაშასადამე, *მორფონოლოგიის* საგანს შეადგენს მორფოლოგიისათვის ღირებული *ფონოლოგიური მონაცვლეობების* შესწავლა და აღწერა.

## 8. მორფემული ანალიზის პრინციპები. მორფემათა ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობები. მორფოლოგიური ხმოვანთმონაცვლეობა

8.1. შედგენილ ფორმათა უფრო მარტივ ერთეულებად დაშლა, ისევე როგორც ალომორფების გაერთიანება მორფემულ კლასებად, ხშირად საკმაოდ რთულ პროცედურას წარმოადგენს. ამ ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა რამდენიმე პრინციპის თანმიმდევრულად გატარება (ისინი გამომდინარეობენ ზემოთ მოტანილი დეფინიციებიდან). განვიხილოთ ეს პრინციპები.

### 8.2. მორფემული ანალიზის ძირველი პრინციპი

მორფები, რომლებიც მათთვის დამახასიათებელ ყველა პოზიციაში გამოიჩინებიან საერთო სემანტიკური განსხვავებულობითა და იდენტური ფონემური შედგენილობით, შეადგენენ ერთ მორფემას.

განვმარტოთ აქ გამოყენებული ზოგიერთი ცნება. „საერთო სემანტიკური განსხვავებულობა“ გულისხმობს, რომ მორფს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა გარემოცვაში. მაგალითად, ინგლისური -er მორფის მნიშვნელობა read-er „მკითხველი“, danc-er „მოცეკვავე“, walk-er „მოსეირნე“ სიტყვებში შეიძლება დავახასიათოთ როგორც „ძირეული მორფით გამოხატული მოქმედების ჩამდენი“; ეს მნიშვნელობა აერთიანებს -er სუფიქსს ხმარების ყველა მოყვანილ შემთხვევას.

-er სუფიქსს wid-er „უფრო განიერი“, small-er „უფრო პატარა“, thin-er „უფრო თხელი“ სიტყვებში სხვა მნიშვნელობა აქვს, სახელდობრ, „ძირეული მორფით გამოხატული თვისების უფრო მაღალი ხარისხი“. სიტყვათა ამ ორ რიგში იდენტური ფონემური შედგენილობის მქონე სუფიქსებია წარმოდგენილი, მაგრამ საერთო სემანტიკური განსხვავებულობა დასტურდება თითოეული რიგის სიტყვებს შორის და არა სხვადასხვა რიგის სიტყვებში; ამიტომ აქ ორი მორფემის არსებობა უნდა დავუშვათ. ფონემური შედგენილობა მათ იდენტური ექნებათ, მნიშვნელობა კი განსხვავებული.

ცხადია, „სემანტიკური განსხვავებულობის“ ხარისხს ზუსტად ვერ განვსაზღვრავთ, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მაინც ხერხდება იმის გარკვევა, თუ რა განსხვავებაა დასაშვები მორფების საერთო მორფემად გაერთიანებისას.

ზემოთ განხილული მაგალითების საპირისპიროდ, ისეთ სიტყვებში, როგორიც არის ინგლ. brother „ძმა“, sister „და“, father „მამა“, mother „დედა“, არ გამოიყოფა -er, რადგან ის არავითარ მნიშვნელობას არ გამოხატავს და broth-, sist-, fath-, moth- არაფერს არ ნიშნავს. მაშასადამე, ეს სიტყვები უფრო მარტივ ფორმებად არ დაიშლება. ერთი და იმავე ფონემური შედგენილობის მორფები, რომლებიც სხვადასხვა მნიშვნელო-

ბას გამოხატავენ (სხვადასხვა სემანტიკური განსხვავებულობით გამოიჩინეს) და ამიტომ სხვადასხვა მორფემებს განეკუთვნებიან, *ჰომოფონური* (ბერძნ. *homós* „ერთნაირი“, *phōnē* „ბგერა“) *მორფებია*. მაგალითად, ქართულში მიცემითი ბრუნვის -ს სუფიქსი (*კაც-ს, სახლ-ს, ბიჭ-ს*) და მესამე სუბიექტური პირის მხოლოდითი რიცხვის -ს სუფიქსი (*წერ-ს, დგა-ს, სვამ-ს*) ჰომოფონებია; მათ ერთნაირი ფონემური შედგენილობა და განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ.

როგორც ითქვა, ენობრივი ნიშნის მნიშვნელობა არის მისი აღმნიშვნელის მიმართება აღსანიშნთან. ამ მიმართების განსაზღვრა ხშირად ძალიან რთულია. მაგალითად, ქართულში *მელა* სიტყვა თავისი მნიშვნელობით დაკავშირებულია ცხოველთა კონკრეტულ სახეობასთან, მაგრამ იგივე სიტყვა შეიძლება ვინმართ ისეთი ადამიანის მიმართ, რომელიც ხასიათის გარკვეული თვისებებით გამოიჩინება. ასევე შეიძლება ვთქვათ, რომ *მიდის* სიტყვა აღნიშნავს რაღაც მოქმედებას, კერძოდ, ობიექტის მოძრაობას, მაგალითად, წინადადებაში *ბიჭი თბილისში მიდის*; მაგრამ გამონათქვამში *ეს გზა თბილისში მიდის* იგივე სიტყვა მოძრაობას აღარ აღნიშნავს. ის ფაქტი, რომ გარესამყაროს სხვადასხვა მოვლენა ერთნაირი გამოხატულების მქონე ენობრივი ერთეულებით აღინიშნება, შეიძლება აიხსნას იმით, რომ ენობრივი ნიშნის აღსანიშნს გარეენობრივ სამყაროში შეესაბამება არა კონკრეტული მოვლენა, არამედ მოვლენათა რაღაც ჯგუფი, ამასთან, გარესამყაროს მოვლენები ყოველი ენის შინაარსის პლანში თავისებურად არიან დაჯგუფებულნი, რაც ენის გამოხატულების პლანში აისახება. ამიტომ სხვადასხვა ენის ნიშნები — სიტყვები, მორფემები და სხვ. სემანტიკური თვალსაზრისით ზუსტად არასდროს არ ემთხვევა ერთმანეთს.

მორფემათა გამოყოფისა და იდენტიფიკაციის პრინციპები ძირითადად სემანტიკურ ფაქტორს ემყარება, მაგრამ ენის შინაარსის პლანი უშუალო დაკვირვებისათვის არ არის ხელმისაწვდომი. მასზე შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ ენის გამოხატულების პლანისა და ჩვენი ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე. ენის შინაარსის პლანი ერთგვარი ფილტრია ადამიანის გამოცდილებასა და ენობრივი გამოხატულების სისტემას შორის. ამ ფილტრის თავისებურებების დადგენა სწორედ გამოხატულების სისტემისა და ადამიანის გამოცდილების შეპირისპირების გზით არის შესაძლებელი.

ზოგიერთი მორფემა შინაარსის პლანის მეშვეობით არ უკავშირდება ჩვენს გარეენობრივ გამოცდილებას, გარესამყაროს მოვლენებს. ასეთია, მაგალითად, ქართული *-მა* მორფემა გამონათქვამში *ბავშვ-მა ისეირნა*, ინგლისური *to* მორფემა *I want to go* "მე მინდა წასვლა" გამონათქვამში და სხვ. ეს მორფემები განსხვავდება ისეთი მორფემებისაგან, როგორიც არის *ბავშვ-, სეირნ-*. ინგლისური *I, want, go* სიტყვა-მორფემების აღსანიშნებიც უშუალოდ ასახავენ გარეენობრივ მოვლენებს ან სიტუაციებს. ამავე დროს, ქართულში *-მა* გარკვეულ ფუნქციას ასრულებს; არ შეიძლება ვთქვათ: \**ბავშვ- ისეირნა* ან \**ბავშვ-ი ისეირნა* და მისთ. ასევე,

ინგლისური ენის სტრუქტურაში გარკვეული ფუნქცია აკისრია to მორფს: \*I want go დაუშვებელია. ასეთი მორფების „მნიშვნელობა“ განისაზღვრება მათი *ფუნქციით* წინადადების სტრუქტურაში.

მორფებს, რომელთა აღსანიშნები უშუალოდ ასახავს გარეენობრივი, ექსტრალინგვისტური სინამდვილის მოვლენებსა და სიტუაციებს, *ლექსიკური მნიშვნელობა* აქვთ. მორფების *გრამატიკული მნიშვნელობა* განისაზღვრება წინადადების სტრუქტურაში ამ მორფების ფუნქციით.

ქართული ენის არმცოდნეს *ბავშვ-* მორფის მნიშვნელობა შეიძლება განვუმარტოთ შესაბამის ობიექტზე, ბავშვზე მითითებით, ხოლო *-მა* მორფის მნიშვნელობა ასე ადვილად ვერ განიმარტება. ამ მნიშვნელობის ასახვად უნდა მოვიყვანოთ სხვადასხვა კონსტრუქციის მაგალითები და გამოვყოთ ის გარემოცვები, პოზიციები, სადაც *-მა* იხმარება. სხვაგვარად თუ ვიტყვით, უნდა აღვზუსტოთ ამ მორფის ყველა პოზიცია სხვა მორფების მიმართ და გამოვრიცხოთ ის კონტექსტები, სადაც *-მა* არ იხმარება.

საერთო ფლექსიური პარადიგმის წევრები შინაარსის პლანში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გრამატიკული მნიშვნელობებით, ხოლო ლექსიკური მნიშვნელობა საერთო აქვთ. მაგალითად, *კაც-ი, კაც-მა, კაც-ს* და მისთ. ფორმებში *-კაც-* მორფს ლექსიკური მნიშვნელობა აქვს, ხოლო *-ი, -მა, -ს* მორფების მნიშვნელობა გრამატიკულია. ლექსიკურ მნიშვნელობას გამოხატავს *ფუძე* (ძირი).

ამგვარად, *გრამატიკული მნიშვნელობის* შეადგენს მნიშვნელობის ის ნაწილები, რომელთაგან თითოეული ეკუთვნის საერთო ფლექსიური პარადიგმის მხოლოდ ერთ წევრს.

**8.3.** თითოეულ მორფს ახასიათებს გარკვეული *დისტრიბუცია*, რომელიც მას სხვა მორფებთან აპირისპირებს. ეს ენება როგორც გრამატიკული, ისე ლექსიკური მნიშვნელობის მქონე მორფებს. მაგალითად, *ხვალ* მორფი შეიძლება შეგვხვდეს *მოვალ* სიტყვის კონტექსტში, მაგრამ არა *ეხედავ* სიტყვის უშუალო მეზობლობაში. სწორედ დისტრიბუცია იგულისხმება მორფებთან იდენტიფიკაციის პირველი პრინციპის ფორმულირებაში გამოყენებულ შემდეგ გამონათქვამში: „მათთვის დამახასიათებელ ყველა პოზიციაში“.

*ბავშვ-ებ-ი, ძაღლ-ებ-მა, სახლ-ებ-ს* გამონათქვამებში გამოიყოფა იდენტური ფონემური შედგენილობის *-ებ-* მონაკვეთები, რომელთა მნიშვნელობა არის „ერთზე მეტი“, „რამდენიმე“, „მრავალი“. ზემოთ ფორმულირებული პრინციპის თანახმად, ისინი გაერთიანდებიან მრავლობითი რიცხვის მნიშვნელობის მქონე *-ებ-* მორფებად.

**8.4.** მორფებთან იდენტიფიკაციის I პრინციპის საილუსტრაციოდ გავაანალიზოთ რამდენიმე გამონათქვამი ამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთი ენიდან (აცტეკურიდან):

ničoka	„ვტირი“	nimayana	„მშია“
ničoka?	„ვტიროდი“	nimayana?	„მშიოდა“
ničokas	„ვტირებ“	nimayanas	„მომშიედება“
tičoka	„ტირი“	timayana	„გშია“

ამ ფორმებისა და მათი მნიშვნელობების შედარების შედეგად გამოვყოფთ შემდეგ მორფებს: /-ʔ/ — შდრ. ničoka ~ ničoka?, nimayana ~ nimayana? — ფონეტიკურად იდენტურ /-ʔ/ მორფებს აქვთ ერთნაირი მნიშვნელობა — წარსული დრო; ničoka ~ ničokas, nimayana ~ nimayanas დაპირისპირების საფუძველზე გამოიყოფა /-s/ მორფი მომავალი დროის მნიშვნელობით; ničoka ~ tičoka, nimayana ~ timayana დაპირისპირებიდან, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ničoka ~ nimayana, tičoka ~ timayana დაპირისპირებიდან გამოიყოფა /ni-/ მორფი პირველი პირის მნიშვნელობით და /ti-/ მორფი — მეორე პირის მნიშვნელობით.

**8.5. მორფემული ანალიზის მეორე პრინციპი და ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფები**

მორფები, რომლებიც გამოირჩევიან საერთო სემანტიკური განსხვავებულიობით, მაგრამ უპირისპირებიან ერთმანეთს ფონემურად (განსხვავდებიან ფონემური შედგენილობით ან ფონემათა მიმდევრობით), ერთ მორფემას განეკუთვნებიან, თუ ფორმალური განსხვავება მათ შორის ფონოლოგიურად არის შეპირობებული.

ფონოლოგიურად შეპირობებული განსხვავება ნიშნავს, რომ შეიძლება დადგინდეს ის მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ მორფებს შორის ფორმალურ განსხვავებას. მაგალითად, ქართულ სახელთა ფლექსიურ პარადიგმებში გამოიყოფა მოთხრობითი ბრუნვის გამომხატველი /-მა/, /-ში/ მორფები: კაც-ი ~ კაც-მა, ბაეშე-ი ~ ბაეშე-მა; დედა ~ დედა-მ, ტყე ~ ტყე-მ, ბუ ~ ბუ-მ და სხვ. განსხვავება ამ მორფების ფონემურ შედგენილობაში განისაზღვრება წინა მორფის ბოლოკიდური ფონემით — თანხმოვნის შემდეგ /-მა/ მორფი ვლინდება, ხმოვნის შემდეგ კი /-ში/. საერთო მნიშვნელობის მქონე ეს მორფები ერთ მორფემას შეადგენენ, რადგან ფორმალური განსხვავება მათ შორის შეპირობებულია ფონოლოგიურად, ე.ი. მას ფონემური გარემოცვა განაპირობებს. ამ მორფების ურთიერთმიმართება შეიძლება ჩაიწეროს როგორც /-მა ~ -ში/, სადაც „~“ სიმბოლო, ალომორფებს შორის განსხვავების ფონოლოგიურ შეპირობებულობას აღნიშნავს.

ალომორფული დამოკიდებულებაა აგრეთვე, მაგალითად, ინგლისურ /im-/ , /in-/ , /ir-/ , /il-/ დერივაციულ პრეფიქსებს შორისაც: შდრ. possible „შესაძლებელი“ ~ impossible „შეუძლებელი“, decent „წესიერი“ ~

indecent „უწესო“, regular „რეგულარული“ ~ irregular „არარეგულარული“, legal „კანონიერი“ ~ illegal „არაკანონიერი“. ამ პრეფიქსებს საერთო სემანტიკური განსხვავებულობა ახასიათებთ, სახელდობრ, „თანმხლები ფორმით გამოხატული თვისების უარყოფა“. ამ მორფების სხვადასხვა ფონემურ შედგენილობას განაპირობებს მომდევნო მორფის თავკიდური ფონემა: თუ იგი ბილაბიალური თანხმოვანია, მაშინ /im-/ მორფი გვექნება, თუ ვიბრანტია — /ir-/ მორფი, თუ ლატერალია — /il/ მორფი, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში — /in-/ მორფი. მაშასადამე, ფორმალური განსხვავება ამ მორფებს შორის ფონოლოგიურად არის შეპირობებული და მათ ერთი მორფემის ალომორფებად მივიჩნევთ, რაც ასე ჩაიწერება: /im- ~ in- ~ ir- ~il-/. ამ ალომორფებს შორის დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაა, ისევე, როგორც /-მა ~ -მ/ ალომორფებს შორის. ასეთივე დამოკიდებულებაა ინგლისურ არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის გამომხატველ /-əz ~ -z ~ -s/ ალომორფებს შორის.

ხშირად ჭირს იმის ახსნა, თუ რატომ არის ერთ შემთხვევაში წარმოდგენილი ერთი მორფი, მეორე შემთხვევაში კი სხვა. ენის მორფემული ანალიზის მიზნებისათვის საკმარისია ალტერნაციის მიზეზების გარკვევის გარეშე აღიწეროს ის ფონემური გარემოცვა, რომელშიც გვხვდება მოცემული მორფები. ამ დებულების საილუსტრაციოდ განვიხილოთ მაგალითი ამერიკელ ინდიელთა კიდევ ერთი ენიდან (*კელტალ ენა*), სადაც დასტურდება შემდეგი ფორმები:

hk'ab „ჩემი ხელი“ ~k'ab „ხელი“  
 kakan „ჩემი ფეხი“ ~akan „ფეხი“  
 alumal „შენი მიწა“ ~lumal „მიწა“  
 awinam „შენი ცოლი“ ~inam „ცოლი“  
 sk'op „მისი ენა“ ~k'op „ენა“  
 yat'el „მისი საქმე“ ~at'el „საქმე“

პირველ ორ წყვილში აშკარად გამოიყოფა ერთნაირი მნიშვნელობის მქონე /h-/ და /k-/ მორფები, რომელთა შორის ფორმალური განსხვავება ფონემური გარემოცვით არის შეპირობებული — თანხმოვნის წინ დასტურდება /h-/, ხოლო ხმოვნის წინ — /k-/. ეს მორფები ქმნიან „პირველი პირის კუთვნილებს“ გამომხატველ მორფემას: /k-~h-/. აქ არ გვჭირდება იმის ახსნა, თუ რატომ გვაქვს თანხმოვნის წინ სწორედ /h-/, ხოლო ხმოვნის წინ — /k-/, მორფემული ანალიზის ჩასატარებლად საკმარისია ფონემური გარემოცვის აღნიშვნა. შემდეგ ორ წყვილში მეორე პირის კუთვნილებას გამოხატავენ /aw- ~ a-/ ალომორფები: თანხმოვნის წინ გვაქვს /a-/, ხმოვნის წინ — /aw-/. მესამე პირის კუთვნილების გამომხატველი მორფემა წარმოდგენილია /s- ~ y-/ ალომორფებით: თანხმოვნის წინ — /s-/, ხმოვნის წინ — /y/.



ალომორფები შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ არა ფონემური შედგენილობით, არამედ ფონემათა თანმიმდევრობით. მაგალითად, სუდანის არაბულში მეორე პირის მდებარეობითი სქესის კუთვნილებითი სუფიქსი წარმოდგენილია /-ik/ ალომორფის სახით თანხმოვნის შემდეგ, ხოლო ხმოვნის შემდეგ – /-ki/ ალომორფის სახით: kitāb-ik „შენი წიგნი“, 'axū-ki „შენი ძმა“; მაშასადამე, აქ /-ik~-ki/ მორფემა გვაქვს. მორფებში ფონემათა ამგვარ გადასმას *მეტათეზისი* (ბერძნ. *metáthesis* „გადანაცვლება“) ეწოდება.

### 8.6. ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფები და „ფონეტიკური პროცესები“

ფონოლოგიურად შეპირობებული განსხვავება ერთი მორფემის ალომორფებს შორის უმეტეს შემთხვევაში აიხსნება ამ ალომორფებში შემავალ ფონემათა სრული ან ნაწილობრივი მიმსგავსებით გარემომცველ ფონემებთან – ამ მოვლენას *ასიმილაცია* (ლათ. *assimilatio* „მიმსგავსება“) ეწოდება; ან გარემომცველი ფონემებისაგან განმსგავსებით – *დისიმილაციით* (ლათ. *dissimilatio*). ასეთი მიმსგავსება ან განმსგავსება, ჩვეულებრივ, ხდება ლოკალური ნიშნის (წარმოების ადგილის) ან რაგვარობის ნიშნის მიხედვით.

ასიმილაცია შეიძლება იყოს *სრული* ან *ნაწილობრივი* ზემოთ განხილული გვექონდა ინგლ. /im-- in-- ir- ~il-/ მორფემის ალომორფთა განაწილება. აქ სწორედ ასიმილაციის შემთხვევა გვაქვს. /ir-/ ალომორფის შემთხვევაში ასიმილაცია სრულია, რადგან პრეფიქსის თანხმოვანი იმეორებს მომდევნო მორფის თავკიდურ თანხმოვანს: ir-regular „არარეგულარული“, ir-respective „დამოუკიდებელი“; il-legal „არაკანონიერი“. /im-/ ალომორფის შემთხვევაში ასიმილაცია ნაწილობრივია: ბაგისმიერი ფონემის წინ პრეფიქსის თანხმოვანს ბაგისმიერი /m/ ფონემის სახე აქვს, მიმსგავსება ხდება წარმოების ადგილის მიხედვით: im-possible „შეუძლებელი“, im-probable „წარმოუდგენელი“, „დაუჯერებელი“. დანარჩენ შემთხვევებში, როგორც ითქვა, გლინდება /in-/ ალომორფი. ეს მორფემა შეიძლება ჩავწეროთ მისი ერთ-ერთი ალომორფის სახით. იმის გამო, რომ ამ ალომორფებს შორის /in-/-ს ყველაზე უფრო თავისუფალი დისტრიბუცია აქვს და ის ყველაზე მეტად არის გავრცელებული, სწორედ /in-/ შეიძლება ავირჩიოთ *მორფემის წარმომადგენლად* ანუ *ძირითად ალომორფად*. ალომორფის მორფემისაგან განსასხვავებლად მიზანშეწონილია ამ უკანასკნელისათვის სხვა სიმბოლო – ფიგურული ფრჩხილები – შემოვიტანოთ. ამგვარად, მორფემას, რომლის ალომორფებია /im--ir--in--il-, აღვნიშნავთ შემდეგნაირად: {in-}.

მორფემის წარმომადგენლად შეგვექლო მისი სხვა ალომორფი ან სრულიად განსხვავებული სიმბოლო გამოვყვეყნებინა; ეს აღნიშვნა, ცხადია, პირობითია. ძირითადი ალომორფის არსივეისას, ჩვეულებრივ, ანგარიშს უწევენ ალომორფთა სიხშირესა და დისტრიბუციას.

ინგლისურში არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის გამომხატველი მორფემის /-s/ და /-z/ ალომორფების შემთხვევაშიც ნაწილობრივი ასიმილაცია გვაქვს, მაგრამ არა წარმოების ადგილის, არამედ რაგვარობის — მჟღერობის ნიშნის მიხედვით.

8.7. მიმართულების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ *პროგრესული* და *რეგრესული ასიმილაცია*. პირველ შემთხვევაში წინამავალი ფონემა ახდენს ასიმილატორულ ზეგავლენას მომდევნოზე, მეორე შემთხვევაში — პირუკუ. მაგალითად, ზემოთ განხილული /im-/ , /ir-/ მორფების შემთხვევაში ასიმილაცია რეგრესულია, /-s/ , /-z/ მორფების შემთხვევაში კი — *პროგრესული*.

ქართულში {ერთ-} მორფემა გლინდება /ერთ-/ და /ერდ-/ ალომორფების სახით, რაც მომდევნო მორფის თავკიდურ ფონემაზეა დამოკიდებული. სახელდობრ, ყრუ თანხმოვნების, სონორებისა და ხმოვნების წინ /ერთ-/ ალომორფი გვაქვს, მჟღერი ხშულების წინ კი /ერდ-/: ერთსულოვანი, ერთადგილიანი, მაგრამ: ერთგული [ერდგული], ერთგვარი [ერდგვარი]. აქ წარმოდგენილია რეგრესული ასიმილაცია მჟღერობის ნიშნის მიხედვით.

8.8. მანძილის მიხედვით განიჩევა *კონტაქტური* (უშუალო მეზობლობაში მყოფი ფონემების შემთხვევაში) და *დისტანციური* (გარკვეული მანძილით დაშორებული ფონემების შემთხვევაში) ასიმილაცია. ზემოთ განხილულ ყველა მაგალითში ასიმილაცია კონტაქტურია.

*დისტანციური ასიმილაციის* გავრცელებული სახეობაა *ხმოვანთა ჰარმონია* ანუ *სინჰარმონიზმი* (ბერძნ. *syn* „ერთად“, *harmonía* „თანაფარდობა“, „თანაჟღერადობა“). ამ შემთხვევაში წინამავალი მორფის ხმოვანი რაღაც ნიშნით იმსგავსებს მომდევნო მორფის ხმოვანს გარკვეულ მანძილზე. ამის მაგალითები მრავლად არის თურქულ ენაში. ასე, მაგალითად, ზმნათა ინფინიტივის მაწარმოებელ {-mak} მორფემას ორი ალომორფი აქვს — /-mak~-mek/; მათი განაწილება დამოკიდებულია ძირეული ხმოვნის ხასიათზე: წინა რიგის ხმოვნებთან /-mek/ გვხვდება, უკანა რიგის ხმოვნებთან — /-mak/. მაგალითად: et-mek „ჭამა“, güil-mek „სიცილი“, მაგრამ oku-mak „კითხვა“. ასეთივე განაწილება ახასიათებს მრავლობითი რიცხვის გამომხატველი {-lar} მორფემის /-lar~-ler/ ალო-

მორფებს: *kaz-lar* „ბატები“, *yol-lar* „გზები“, მაგრამ *el-ler* „ხელები“, *göz-ler* „თვალები“.

ხმოვანთა დისტანციური რეგრესული ასიმილაციის შემთხვევები ცნობილია უმლაუტის (გერმ. *Umlaut* „გადაბგერება“) ანუ მეტაფონიის (ბერძნ. *metaphōnia* „გადახმოვანება“) სახელწოდებით. მაგალითად, იმერულ დიალექტში ზოგიერთ ზმნისწინს შეიძლება სამი ალომორფი ჰქონდეს: /წა--წე--წო-/, /და--დე--დო-/: წა-სვლა, წე-ვიდა; წა-ღება, წო-ულო; და-წყება, დე-იწყო, დო-უწყო. საგანგებოდ განარჩევენ პალატალურ უმლაუტს ანუ *i*-უმლაუტს, როდესაც ხმოვანი პალატალიზაციას განიცდის მომდევნო /i/ ან /j/ ფონემის გავლენით; შდრ. ძვ. გერმ. *gast* „სტუმარი“, მაგრამ *gest-i* „სტუმრები“, სადაც სუფიქსურმა /-i/ ხმოვანმა ასიმილაციის შედეგად დააფიწროვა ფუძისეული /a/ და მივიღეთ „სტუმრის“ აღმნიშვნელი მორფემის *e*-ხმოვნიანი ალომორფი (პალატალური უმლაუტი ისტორიულად სვანურშიც შეიძლება დავადასტუროთ — შდრ. ქართულიდან ნასესხები სვანური სიტყვები: *სა-დიღლ* <ქართ. *სადიღლი*, *დაწვით* <ქართ. *დავითი* და სხვ.).

ასიმილაცია ხშირად თანხმოვანთა პალატალიზაციის სახით ვლინდება — ხდება არაპალატალიზებული თანხმოვნის შენაცვლება პალატალიზებულით მომდევნო ან წინამაგალ მორფში წარმოდგენილი წინა წარმოების ხმოვნის ან /j/-ის გავლენით. მაგალითად, იტალიურში ყველა მორფემას, რომლის ერთ-ერთი ალომორფი ბოლოვდება /g/ ან /k/ თანხმოვანზე, აქვს ისეთი ალომორფიც, რომელიც ბოლოვდება შესაბამისად /ǰ/ ან /č/ თანხმოვანზე. ეს ალომორფი ვლინდება /e/, /i/ ან /j/ ფონემით დაწყებული მორფემის წინ: *leggo* /lego/ „ეკითხულობ“ ~ *leggi* /leǰi/ „ეკითხულობ“, *legge* /leǰe/ „ეკითხულობს“; *dico* /diko/ „ვამბობ“ ~ *dici* /diči/ „ამბობ“, *dice* /diče/ „ამბობს“ და სხვ. პალატალიზაცია აქ კონტაქტური რეგრესული ასიმილაციის გამოვლინებაა.

8.9. დისიმილაცია შეიძლება შეეხოს ფონემის წარმოების ადგილს ან რაგეარობას. მაგალითად, ქართულში სადაურობის აღმნიშვნელ მორფემას ორი ალომორფი აქვს: /-ურ/, /-ულ/. პირველი მათგანი ვლინდება მაშინ, როდესაც ძირეული მორფემა არ შეიცავს /r/ ფონემას: *კახ-ურ-ი*, *ინგლის-ურ-ი*, *იტალი-ურ-ი* მაგრამ: *ქართ-ულ-ი*, *გურ-ულ-ი*, *ფრანგ-ულ-ი* და სხვ. განმსგავსების შემთხვევა გვაქვს, მაგალითად, ბერძნულში „თმის“ აღმნიშვნელ მორფემაში — სახ. ბრუნვის /-s/ მორფის წინ მისი /<sup>h</sup>rik-/ ალომორფია წარმოდგენილი: /<sup>h</sup>riks/ „თმა“, ხოლო ხმოვნით დაწყებული მორფის დართვისას ძირეული მორფემის ბოლოკიდური თანხმოვანი ასპირირებული ხდება — /<sup>h</sup>/ ფონემის სახეს იღებს; მისი გავლე-

ნით /tʰ/ კარგავს ფშვინვას და არაასპირირებული /t/ თანხმოვნის სახით წარმოგვიდგება: /trikʰ-os/ „თმისა“. ეს მორფემა შეიძლება ასე ჩავწეროთ: {tʰrikʰ-}: /tʰrikʰ--trikʰ-/. ბერძნულ სიტყვაში დაუშვებელია ორი ფშვინვიერი თანხმოვნის არსებობა ერთი ძირის ფარგლებში, ამიტომ აქ ხდება დისიმილაცია ასპირაციის ნიშნის მიხედვით.

ალომორფებს შორის ფონოლოგიური გარემოცვით შეპირობებული განსხვავება შეიძლება მუდური და ყრუ თანხმოვნების დაპირისპირებით იყოს გამოხატული. უფრო ხშირად თანხმოვანი მუდურობას კარგავს სიტყვის ბოლოში (პაუზის წინ). ამის მაგალითია /-ებ--ეფ/, /-ობ--ოფ/ მორფემები, რომლებიც ზმნის აწმყოს თემას აწარმოებენ: [გაკეთ-ებ-დ-ი ~ გაკეთ-ეფ], [გკითხულ-ობ-დ-ი ~ გკითხულ-ოფ] და სხვ.; კიდევ ერთი მაგალითია რუსული друк /druk/ „მეგობარი“ ~ друк-а /drúgə/ „მეგობრის“, глас /glas/ „თვალი“ ~ глас-ом /glázəm/ „თვალით“ და სხვ.

ალომორფთა შორის ფონოლოგიურად შეპირობებული განსხვავებები ხშირად გამოიხატება ერთ-ერთ ალომორფში ფონემის დაკარგვით ან გაჩენით. თანხმოვნის დაკარგვის მაგალითები დასტურდება ზოგიერთი ლათინური სიტყვის სახელობითი ბრუნვის ფორმებში: dēn-s „კბილი“ ~ dent-is „კბილისა“, flō-s „ყვავილი“ ~ flōr-is „ყვავილისა“ და სხვ. ამ პარადიგმებში თითოეული ფორმისათვის გამოიყოფა ორ-ორი ალომორფი, რომელთაგან ერთში (ნათესაობითი ბრუნვის ფორმაში წარმოდგენილ ალომორფში) „ზედმეტი“ თანხმოვანი დასტურდება.

ანალოგიური ვითარება გვაქვს ბერძნულში: შდრ. ómī-s „ფრინველი“ ~ ómitʰ-os „ფრინველისა“, gígā-s „ბუმბერაზი“ ~ gígant-os „ბუმბერაზისა“ და სხვ. იმის მიხედვით, თუ რომელ ფორმას მივიჩნევთ ამოსავლად, ალომორფებს შორის განსხვავება დახასიათდება ან როგორც თანხმოვნის დაკარგვა, ან როგორც მისი გაჩენა გარკვეულ ფონემურ გარემოცვაში. იმის გათვალისწინებით, რომ ბრუნების პარადიგმაში ორივე ენაში ხმოვნით დაწყებული ფლექსიური სუფიქსები თანხმოვნით დაწყებულზე უფრო მეტია, ე.ი. „ზედმეტთანხმოვნიანი“ ალომორფები ჭარბობს, აქ შეიძლება თანხმოვნის დაკარგვა დავეუშვათ; წინააღმდეგ შემთხვევაში არაეკონომიურ აღწერას მივიღებთ: დაგვჭირდება ყოველი ცალკეული ფორმისათვის იმის აღნიშვნა, თუ რომელი თანხმოვანი რომელ პოზიციებში ჩნდება.

ხმოვნის დაკარგვის შემთხვევებიც საკმაოდ ხშირია. მაგალითად, უკვე ვახსენეთ ინგლისურში სახელთა მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი მორფემა, რომლის /-əz/ ალომორფი წარმოდგენილია სიბილანტით დაბოლოებული მორფემის შემდეგ: roses „გარდები“, dishes „ლანგრები“, watches „საათები“. თუ /-s/, /-z/ ალომორფებს ჩავთვლით ამოსავლად, მაშინ /-əz/ შეიძლება განვიხილოთ ალომორფად, რომელშიც გარკვეულ ფონემურ გარემოცვაში გაჩენილია ხმოვანი; ან, პირიქით, შეიძლება და-

გუშვათ, რომ /-s/, /-z/ მიღებულია /-əz/ ალომორფისაგან ხმოვნის დაკარგვით. ინგლისურში უხმოვნო აფიქსები უფრო გავრცელებულია, ამიტომ პირველ შემთხვევაში უფრო ეკონომიურ აღწერას მივიღებთ.

ზემოთ განვიხილეთ ალომორფთა ფონოლოგიურად შეპირობებული მონაცვლეობის შემთხვევები. ყველა იმ მონაცვლეობას, რომლებიც მხოლოდ ფონოლოგიური გარემოცვით აიხსნება, *ავტომატური მონაცვლეობები* ეწოდება, ე.ი. გარემოცვა წინასწარ განსაზღვრავს იმას, თუ რა ალომორფის სახით გამოვლინდება მოცემული მორფემა.

ალომორფებს შორის ფონემური განსხვავების ხასიათის დადგენისას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ მოცემული მორფემის რომელ წარმომადგენელს ჩავთვლით ძირითად ალომორფად, ე.ი. რომელი ალომორფიდან გამოვიყვანთ დანარჩენებს. უნდა ვეცადოთ, მივიღოთ რაც შეიძლება მარტივი სურათი გარკვეული *ფონოლოგიური პროცესების* (ასიმილაციის, დისიმილაციის, მეტათეზისის და სხვ.) დაშვებით. ზოგჯერ უფრო რთული და არაეკონომიური აღწერა ისტორიული თვალსაზრისით უფრო გამართლებულია, მაგრამ თანადროული სისტემის კვლევისას განვითარების ადრინდელ ეტაპებზე ენაში არსებული ვითარება შეიძლება არ იქნეს გათვალისწინებული.

### 8.10. მორფემული ანალიზის მესამე პრინციპი და მორფოლოგიურად შეპირობებული ალომორფები

მორფები, რომლებიც საერთო სემანტიკით გამოირჩევიან, მაგრამ ფონემურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ეს განსხვავება არ არის *ფონოლოგიურად* შეპირობებული, ერთ მორფემას განეკუთვნებიან, თუ: 1. ისინი იმყოფებიან დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში და 2. მონაწილეობენ *პარალელურ კონსტრუქციებში*.

დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულების შესახებ ზემოთ არაერთხელ ითქვა. იმ შემთხვევაში, როდესაც მორფების რაოდენობა ორზე მეტია, იგულისხმება, რომ ეს დამოკიდებულება არსებობს მორფების ნებისმიერ წყვილში. რომელიმე *a, b, c* მორფები ერთმანეთის მიმართ დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში იმყოფებიან, თუ *a* მორფის პოზიციითა ჯამი (დისტრიბუცია) შეადგენს *X* სიმრავლეს, *b* მორფისა – *Y* სიმრავლეს, *c* მორფისა – *Z* სიმრავლეს და *X, Y, Z* არათანამკვეთი სიმრავლეებია.

პარალელურ კონსტრუქციებში მორფების მონაწილეობის შესახებ ვისაუბრეთ *ნულოვანი აფიქსის* განხილვისას. მაგალითად, ინგლისური boys „ბიჭები“, cats „კატები“, roses „ვარდები“, oxen „ხარები“, deer „ირმები“, mice „თაგვები“ და მსგავსი ფორმები ქმნიან საერთო სტრუქტურულ რიგს (გრამატიკულად ეკვივალენტურნი არიან), რადგან

ეს ფორმები გვხვდება იდენტურ გარემოცვებში; მათი ურთიერთშენაცვლებისას წინადადების სტრუქტურა არ ირღვევა.

ზემოთ მოყვანილ სტრუქტურულ რიგში თავმოყრილია ინგლისურ არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმები. როგორც აღვნიშნეთ, ამ ფუნქციის მქონე მორფემას ფონოლოგიურად შეპირობებული სამი ალომორფი აქვს: /-s~-z~-əz/. ასეთივე სემანტიკური განსხვავებულობით გამოირჩევა /-ən/ მორფი (ox „ხარი“ ~ oxen „ხარები“), რომელიც გვხვდება ამავე სტრუქტურულ რიგში და ფონემურად განსხვავებულია /-s~-z~-əz/ მორფებისაგან. არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს განსხვავება შეპირობებულია ფონოლოგიური გარემოცვით, რადგან ანალოგიური ფონემური აგებულების სხვა ფორმებში დასტურდება /-əz/ ალომორფი: box „ყუთი“, „კოლოფი“ ~ boxes „ყუთები“, „კოლოფები“, fox „მელია“ ~ foxes „მელიები“ და სხვ. იმის დასადგენად, თუ რა გარემოცვაში გვხვდება /-ən/ მორფი, უნდა დავასახელოთ ის ერთადერთი სიტყვა, რომელიც მრავლობითი რიცხვის ფორმას ამ მორფით აწარმოებს. ამავე დროს, /-ən/ დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაშია მრავლობითი რიცხვის დანარჩენ მაწარმოებლებთან. მაშასადამე, III პრინციპის თანახმად, /-ən/ და /-s~-z~-əz/ საერთო მორფემის ალომორფებია.

ოგივე შეიძლება ითქვას deer „ირემი“, „ირმები“, sheep „ცხვარი“, „ცხვრები“ ფორმებში გამოვლენილი /Ø/ აფიქსის შესახებ, რომელიც მრავლობით რიცხვს გამოხატავს. მას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც /-s~-z~-əz/ და /-ən/ მორფებს; ისინი მონაწილეობენ პარალელურ კონსტრუქციებში და დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში იმყოფებიან: მრავლობითი რიცხვის ნულოვანი გამოხატულება დასტურდება deer „ირმები“, sheep „ცხვრები“, trout „კალმახები“, elk „ცხენ-ირმები“, salmon „ორაგულები“, grouse „კაკები“ სიტყვებში, რომლებთანაც ამ მნიშვნელობის მქონე სხვა მორფები არ გვხვდება. მაშასადამე, Ø უნდა მივიჩნიოთ იმავე მორფემის ალომორფად. ის სიტყვები, სადაც Ø ვლინდება, ჩამოითვლება სიის სახით და ფონოლოგიურ შეპირობებულობას აქვერ დავუშვებთ. ასეთ შემთხვევებში ვიტყვით, რომ ალომორფთა განაწილება შეპირობებულია მორფოლოგიურად, მორფოლოგიური გარემოცვით. ასეთ ალომორფებს მორფოლოგიურად შეპირობებული ალომორფები ეწოდება. ვინაიდან ალომორფებს შორის არსებულ განსხვავებებს სხვადასხვა საფუძველი შეიძლება ჰქონდეთ, მორფოლოგიურად შეპირობებული განაწილებისათვის ახალ სიმბოლოს შემოვიტანთ, კერძოდ, „∞“ ნიშანს. ინგლისურ არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის გამომხატველი მორფემის ალომორფები შემდეგნაირად ჩაიწერება: /-s~-z~-əz∞-ən∞-Ø/.

თუ ფონების ერთ ფონემად გაერთიანებისას აუცილებელია მათ შორის ფონეტიკური მსგავსების არსებობა, მორფების საერთო მორფემად გაერთიანებისას ასეთი შეზღუდვა, როგორც ვხედავთ, არა გვაქვს.

**8.11.** ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ნულოვანი მორფის დაშვება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ფორმას აქვს გარკვეული მნიშვნელობა, რომელიც ამ ფორმაში, ამავე სტრუქტურული რიგის წევრებისაგან განსხვავებით, არ არის ფონემურად გამოხატული. მაშასადამე, „სიგნიფიკაციური (ნიშნადი) არქონა“ შეიძლება დახასიათდეს როგორც *ნულოვანი მორფი*.

ნულოვანი ალომორფი შეიძლება ფონოლოგიურადაც იყოს შეპირობებული. მაგალითად, სასელობითი ბრუნვის გამომხატველი მორფემა ქართულში თანხმონით დაბლოებული ფუძის მქონე სახელებთან /-ი/ ალომორფის სახით არის წარმოდგენილი, ხმონით დაბლოებული ფუძის მქონე სახელებთან კი — /-Ø/ ალომორფის სახით (შდრ. კაც-ი, ხე-Ø). ეს მორფემა შემდეგნაირად ჩაიწერება: /-ი-- Ø/.

მორფემა შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთადერთი — ნულოვანი — ალომორფით. მაშინ *მორფემა ნულოზე* უნდა ვილაპარაკოთ. მაგალითად, რუსულში წარსული დროის მხოლოდითი რიცხვის პარადიგმაში ერთმანეთს უპირისპირდება მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესის ფორმები: нежаты „რბენა“: нежата (მამრ.)-нежата-а (მდედრ.) ~ нежата-о (საშ.). მდედრობითი სქესის გამომხატველია {-а} მორფემა, საშუალო სქესისა —{-о} მორფემა, ხოლო მამრობითი სქესის ფორმები ხასიათდება ფონემურად გამოხატული მორფემის სიგნიფიკაციური არქონით, ე.ი. *ნულოვანი მორფით*. აქ გვაქვს არა ნულოვანი ალომორფი, არამედ *ნულოვანი მორფემა*.

**8.12.** *მორფემა ანალიზის მეოთხე პრინციპი და შემნაცვლებელი მორფები. მორ(ფო)ფონოლოგია*

ზოგიერთი პარადიგმატული (სტრუქტურული) რიგის ფორმებს შორის არსებული ფორმალური განსხვავება განიხილება როგორც მორფი, თუ ამ ფორმებს შორის დაპირისპირება აფიქსით არ არის გამოხატული, ხოლო პარალელურ პარადიგმებში იგივე დაპირისპირება გამოხატულია არანულოვანი აფიქსებით. მაგალითად, ინგლისურ man „კაცი“~men „კაცები“ ფორმებს შორის დაპირისპირება გამოხატულია არა აფიქსით, არამედ *მონაცვლეობით, ალტერნაციით* — ძირეული მორფის /æ/ ფონემა შენაცვლებულია /e/ ფონემით. პარალელურ პარადიგმებში ამავე დაპირისპირებას გამოხატავენ /-s--z--əz--əz--rən/ არანულოვანი აფიქსები

(აგრეთვე ნულოვანი აფიქსიც). მაშასადამე, /æ/→/e/ შენაცვლება უნდა მივიჩნიოთ სპეციფიკურ მორფად, რადგან ის მორფის ფუნქციას ასრულებს — აწარმოებს არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმებს. ასეთ მორფს *შემნაცვლებელი* შეიძლება ვუწოდოთ. ამგვარად, *men* განიხილება როგორც /mæn/ ძირისა და მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი /æ/→/e/ შემნაცვლებლისაგან შემდგარი ფორმა. მრავლობითი რიცხვის მორფების Ø ალომორფის დაშვება აქ აღარ დაგვეჭირდება.

ამავე ტიპის დაპირისპირება გვაქვს შემდეგ ფორმებში: ინგლ. *goose* „ბატი“ ~ *geese* „ბატები“, *tooth* „კბილი“ ~ *teeth* „კბილები“, *woman* „ქალი“ ~ *women* „ქალები“; გერმ. *Vater* „მამა“ ~ *Väter* „მამები“, *Bruder* „ძმა“ ~ *Brüder* „ძმები“; სვან. *აჰრდ* „გაყიდე“ ~ *აჰოდ* „გაყიდა“, *მალატ* „სიყვარული“ ~ *მალატ* „მიყვარს“ და სხვ. ყველა მონაცვლეობა აქ *მორფოლოგიურად* არის შეპირობებული. ის ფორმები, რომლებშიც შემნაცვლებელი გვხვდება, სიის სახით უნდა წარმოვადგინოთ.

შენაცვლება შეიძლება შეეხოს ფორმათა თანხმობით ელემენტებსაც. მაგალითად, წარსული დროის მაწარმოებელი მორფმა ინგლისურში /d--t--əd/ ალომორფების სახით ვლინდება: *walk* „სეირნობა“ ~ *walk-ed* „სეირნობდა“, *play* „თამაში“ ~ *play-ed* „თამაშობდა“, *rest* „დასვენება“ ~ *rest-ed* „ისვენებდა“. ამავე პარადიგმატული რიგის ფორმებში დაპირისპირება ხშირად „შემნაცვლებლის“ საშუალებით გამოიხატება: *bend* „მოხრა“ ~ *bent* „მოხარა“, „მოხარა“, *make* „კეთება“ ~ *made* „გააკეთა“; აგრეთვე — ხმოვნის შენაცვლებით: *find* „პოვნა“ ~ *found* „იპოვა“, *sing* „მღერა“ ~ *sang* „იმღერა“; ხმოვნისა და თანხმოვნის შენაცვლებით: *catch* „დაჭერა“ ~ *cougth* „დაიჭირა“.

შემნაცვლებელი ხშირად აფიქსურ მორფთან ერთად ვლინდება: მაგალითად, ინგლ. *weep* „ტირილი“ ~ *wep-t* „იტირა“, *creep* „ცოცვა“ ~ *crep-t* „იცოცა“; შდრ. აგრეთვე ქართული *ვ-დრეკ-ვ-დრიკ-ე, ვ-ხერეტ-ვ-ხერიტ-ე*, სადაც /-ე/ წარსული დროის მაწარმოებელია, ხოლო /ე/→/ი/ მონაცვლეობა მორფოლოგიურად არის შეპირობებული (შდრ., მაგალითად, *ვ-წერ-ვ-წერ-ე, ვ-კვეთ-ვ-კვეთ-ე*, სადაც გადაბგერება არ დასტურდება).

განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ შეიძლება გამოიყოს ოთხი ძირითადი მორფოლოგიური სტრუქტურა: 1. უცვლელი ძირი (ან ფუძე) და არანულოვანი აფიქსი; 2. უცვლელი ძირი (ან ფუძე) და ნულოვანი აფიქსი; 3. შემნაცვლებელი და არანულოვანი აფიქსი; 4. მხოლოდ შემნაცვლებელი.

მორფემული ანალიზის პრინციპების განხილვისას ჩვენ გავარჩიეთ ფონოლოგიურად შეპირობებული მონაცვლეობის მაგალითები. ერთი და



იმავე მორფემის ალომორფებს შორის არსებულ ფონემურ განსხვავებებს, მორფოლოგიურად თუ ფონოლოგიურად შეპირობებულს, *მორფოფონოლოგიური* ანუ *მორფონოლოგიური მონაცვლეობები* ვუწოდეთ.

ამგვარად, *მორ(ფო)ფონოლოგია* სწავლობს მორფემის *ფონოლოგიურად* თუ *მორფოლოგიურად* შეპირობებული ალტერნანტების ფონემურ შედგენილობას, მათ მონაცვლეობებს გარემოცვების გათვალისწინებით.

### 8.13. აბლაუტი ანუ აპოფონია

მორფოლოგიურად შეპირობებულ მონაცვლეობათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მონაცვლეობას, რომელიც გამოიხატება განსხვავებებით მორფთა ხმოვნით ნაწილში. ზემოთ მოყვანილი გვექონდა ისეთი მონაცვლეობის მაგალითი (ინგლ. man-men), რომელიც პარადიგმატულ ერთეულთა ფლექსიური დაპირისპირების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს. ავტომატური, ფონოლოგიურად შეპირობებული ხმოვანთმონაცვლეობისაგან განსხვავებით, ასეთ მონაცვლეობას *მორფოლოგიური ღირებულება* აქვს. ამ ორი ტიპის მონაცვლეობათა ერთმანეთისაგან განსასხვავებლად მორფოლოგიური ღირებულების მქონე ხმოვანთმონაცვლეობას უწოდებენ *აბლაუტს* (გერმ. Ablaut) ანუ *აპოფონიას* (ბერძნ. *apó* „გან-“, *phōnē* „ბგერა“).

ამგვარად, *აბლაუტის* შემთხვევაში შემნაცვლებელი მორფემა გლინდება *ხმოვანთგადაბგერების* სახით. ის შეიძლება აფიქსაციასთან ერთადაც იყოს წარმოდგენილი.

აბლაუტი გვაქვს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მონაცვლე ალომორფები სხვადასხვა ხმოვან ფონემებს შეიცავენ (მაგ. *გ-დრეკ-გ-დრიკ-კ*, რუს. *собреть* „შეგკრებ“~*собираю* „გკრებ“, გერმ. *nehmen* „აღება“~*nahm* „ვიღებდი“, *schwinden* „გაქრობა“~*schwand* „ქრებოდა“ და სხვ.), არამედ მაშინაც, როდესაც ერთი ალომორფი მეორისაგან ხმოვნის არქონით განსხვავდება. პირველ შემთხვევაში გვექნება *თვისებრივი აბლაუტი*, მეორე შემთხვევაში — *რაოდენობრივი აბლაუტი* ამ უკანასკნელის მაგალითებია: *მო-გ-კაღ-მო-კლ-ა*, *მო-გ-ხსენ-მო-ხსნ-ა*, რუს. *беры* „ვიღებ“~*брать* „აღება“, *дерысь* „გჩხუბობ“~*драться* „ჩხუბი“ და სხვ. ასეთ შემთხვევებში ერთი ალომორფი მეორისაგან ხმოვნის ამოვარდნის შედეგად მიღებულ ალომორფად განიხილება. რაოდენობრივი აბლაუტია აგრეთვე ხმოვანთა მონაცვლეობა სიგრძე-სიმოკლის მიხედვით.

ქართულში ზმნის მესამე პირის ფორმა უპირისპირდება პირველი პირის ფორმას არა მარტო /-ა/ სუფიქსით, არამედ ძირეული მორფემის უხმოვნო ალომორფითაც; *შდრ.*, მაგალითად, პარადიგლური პარადიგმები: *გ-ა-ხსენ-ე-ა-ხსენ-ა*, *და-გ-წერ-ე-და-წერ-ა*, სადაც დაპირისპირება მხოლოდ სუფიქსითაა გამოხატული. აბლაუტი გვაქვს ქართულ სახელურ

პარადიგმებშიც, მაგალითად, *ბაღ-ი ~ ბღ-ისა*, *შდრ. თეაღ-ი ~ თეაღ-ისა* და, აგრეთვე, *თეაღ-ი ~ თეღ-ისა*. აქ აშკარად ჩანს ამ მონაცვლეობის არაფონოლოგიური ხასიათი.

თუ აბლაუტურად მონაცვლე მორფემის ხმოვნთან ალომორფს ვუწოდებთ *ალომორფს აბლაუტის სრულ საფეხურზე*, მაშინ უხმოვნო ალომორფი იქნება *ალომორფი აბლაუტის ნულოვან საფეხურზე*. შეიძლება გვქონდეს *ალომორფი აბლაუტის სიგრძის საფეხურზეც*, თუ მასში გრძელი ხმოვანია წარმოდგენილი უხმოვნო ან მოკლესმოვნისანი ალომორფის საპირისპიროდ. მაგალითად, ბერძნულში „მამის“ აღმნიშვნელი მორფემა ვლინდება მორფოლოგიურად შეპირობებული სამი ალომორფის სახით. ესენია: გრძელსაფეხურიანი /patēr-/ , სრულსაფეხურიანი /pater-/ და ნულსაფეხურიანი /patr-/.

იმ შემთხვევაში, როდესაც დაპირისპირება გამოიხატება ერთდროულად აფიქსითაც და აბლაუტური მონაცვლეობითაც, აბლაუტი შეიძლება განვიხილოთ როგორც დამატებითი მორფემა ძირითადი მორფემის — აფიქსის — მიმართ.

#### 8.14. მორფემული ანალიზის მეხუთე პრინციპი და ჰომოფონური მორფები

*ჰომოფონური* მორფების შემთხვევაში მორფემათა იდენტიფიკაცია მოხდება შემდეგი წესების მიხედვით:

1. ჰომოფონური მორფები (ჰომოფონები), რომლებსაც სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ, წარმოადგენენ სხვადასხვა მორფებს. მაგალითად, *კაც-ს* ფორმაში /-ს/ მიცემითი ბრუნვის მაწარმოებელია, *წერ-ს* ფორმაში კი /-ს/ მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის ნიშანია; ინგლისურ არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი /-s--z--əz/ მორფები მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის მაწარმოებელი /-s--z--əz/ მორფების ჰომოფონურია: შდრ. boy-s „ბიჭები“, cat-s „კატები“, box-es „ყუთები“ და sing-s „მღერს“, make-s „აკეთებს“, teach-es „ასწავლის“. ეს მორფები ორ სხვადასხვა მორფემას გამოხატავენ. სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე *ჰომოფონური ძირეული მორფებია* წარმოდგენილი ქართულ სიტყვაფორმაში *ბან-ი*: „შენობის სახურავი“, „ანბანის მეორე ასო“, „დაბალი ხმა“.

2. *ჰომოფონური* მორფები, რომლებსაც მსგავსი მნიშვნელობები აქვთ, წარმოადგენენ ერთ მორფემას, თუ ისინი დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში იმყოფებიან, და — სხვადასხვა მორფემებს, თუ მათ მსგავსი ან იდენტური დისტრიბუცია ახასიათებთ.

ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ მნიშვნელობათა მსგავსების ხარისხს ვერ განვსაზღვრავთ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში შეგვიძლია და-

ვადგინოთ, არსებობს თუ არა რაიმე სემანტიკური მიმართება მოცემულ ფორმებს შორის. მაგალითად, ზემოთ მოყვანილი ბან-ი სიტყვათა მნიშვნელობებისაგან განსხვავებით, *თვალ-ი* „მხედველობის ორგანო“ და *თვალ-ი* „ბორბალი“, ასევე *თაფ-ი* „სხეულის ნაწილი“ და *თაფ-ი* „თხზულების ნაწილი“ აშკარა სემანტიკურ კავშირს ავლენენ ერთმანეთთან. ამიტომ, იმის დასადგენად, არის თუ არა მათ შორის ალომორფული დამოკიდებულება, უნდა განვიხილოთ ამ ფორმათა დისტრიბუცია. ისეთ გამონათქვამში, როგორც არის *მას დიდი თვალი აქვს, თვალი* სიტყვა შეიძლება ორივე მნიშვნელობით იხმარებოდეს; ე.ი. *თვალი* „მხედველობის ორგანო“ და *თვალი* „ბორბალი“ სიტყვებს შორის არ არის დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულება და, მაშასადამე, მათი ძირები სხვადასხვა მორფემებს წარმოადგენენ. ამასთანავე, სიტყვას *თვალი* „ბორბალი“ ძირეული მორფემის ორი ალომორფი აქვს – /*თვალ-∞ თვლ-*/, ზოლო სიტყვას *თვალი* „მხედველობის ორგანო“ – მხოლოდ ერთი ალომორფი – /*თვალ-*/.

**8.15. მორფემული ანალიზის მექანიზმი და თავისუფლად მონაცვლე ალომორფები**

მორფები, რომლებიც ისე ენაცვლებიან ერთმანეთს, რომ კონსტრუქციის მნიშვნელობა არ იცვლება, წარმოადგენენ ერთი და იმავე მორფემის ალომორფებს. მათ მორფემის *თავისუფლად მონაცვლე ალომორფები* ანუ *თავისუფალი ვარიანტები* ეწოდება. მაგალითად, ქართულში მეორე სუბიექტური ბირის მორფემა მეტყველებაში ზოგჯერ ვლინდება მორფოლოგიურად შეპირობებული /*ხ-*/ და ფონოლოგიურად შეპირობებული /*ს-ზ-შ-შ-ე-ჰ-ჰ-შ-შ-ღ-*/ ალომორფების სახით: *მო-ხ-ვალ, ს-ცვლი, ს-ჭამ /შჭამ/, ჰ-კლავ, ს-ჯაბნი /ჟჯაბნი/, ღ-ათბობ*. ზეპირ მეტყველებაში ყველა მათგანს, მორფოლოგიურად შეპირობებული /*ხ-*/ ალომორფის გარდა, შეიძლება თავისუფლად (კონსტრუქციის მნიშვნელობის შეუცვლელად) შეენაცვლოს *ღ-*: /*სცვლი-/ცვლი/, /შჭამ-/ჭამ/* და სხვ. მაშასადამე, *ღ-* არის თავისუფალი ალომორფი (ვარიანტი) დანარჩენ (ფონოლოგიურად შეპირობებულ) ალომორფებთან ერთად.

ალომორფებს შორის *თავისუფალი მონაცვლეობის დამოკიდებულება* შეიძლება „//“ სიმბოლოთი აღინიშნოს, რაც ზემოგანხილული მაგალითის შემთხვევაში ასე ჩაიწერება: {*ხ-*}; /(*ს-ზ-შ-შ-ე-ჰ-ჰ-შ-შ-ღ-*)/*ღ-∞*ხ-/.

რუსულში ზედსართავ სახელთა მდედრობითი სქესის მოქმედებით ბრუნვის გამომხატველი მორფემა წარმოდგენილია /-*ej--oj*/, /-*eju--oju*/ ალომორფებით: *син-ей//син-ею* „ლურჯით“, *черн-ой //черн-ою* „შავით.“ /-*ej*/ და /-*eju*/, აგრეთვე /-*oj*/ და /-*oju*/ თავისუფლად მონაცვლეობენ კონსტრუქციის მნიშვნელობის შეუცვლელად (იცვლება მარტო სტი-

ლი), ე.ი. ისინი თავისუფალ ვარიანტებს წარმოადგენენ: /-ej//-eju --oɟ//  
oɟa/.

### 8.16. მორფემის კანონიკური ფორმა. ძირითადი კანონიკური ფორმები

სხვადასხვა ფონემური შედგენილობის მორფემებს, მათში შემავალ ფონემათა კლასების თვალსაზრისით, ერთნაირი ფონოლოგიური აგებულება შეიძლება ჰქონდეთ. მაგალითად, *ხელ-* და *საშ-* მორფემები მსგავსი ფონოლოგიური სტრუქტურისაა, რადგან ორივე შეიძლება აღიწეროს როგორც ორი თანხმოვნისა და მათ შორის მოქცეული ხმოვნისაგან შემდგარი CVC მიმდევრობა. ამავე დროს, მეორე თანხმოვანი სონორთა ქვეკლასს განეკუთვნება, რასაც შემდგენიარად ჩაწერთ: CV<sub>S</sub>-. აქ C ნებისმიერ თანხმოვანს აღნიშნავს, V — ხმოვანს, S კი სონორ თანხმოვანს. ასევე, *ქლაქ-* და *სოფელ-* მორფემები ერთნაირი CVCVC- სტრუქტურისაა (თუ არ გავითვალისწინებთ სონორ და ჩქამიერ თანხმოვნებს შორის განსხვავებას).

მორფემის ფონემური სტრუქტურის ჩაწერას გარკვეული ფონემური კლასების აღმნიშვნელი სიმბოლოების მეშვეობით ამ *მორფემის კანონიკური* (ლათ. *canonicus*) ფორმა შეიძლება ეწოდოს. თუ ასეთი სახით ჩაწერილი სხვადასხვა მორფემები ერთმანეთს დაემთხვევა, ვიტყვი, რომ მათ *საერთო კანონიკური ფორმა* აქვთ.

ძირეულ მორფემათა ან სხვადასხვა ტიპის აფიქსთა (პრეფიქსთა, სუფიქსთა და სხვ.) იმ კანონიკურ ფორმას, რომელიც უფრო ხშირია სხვა კანონიკურ ფორმებთან შედარებით, *ძირითადი კანონიკური ფორმა* ეწოდება.

ძირითადი კანონიკური ფორმების დადგენა ძალიან მნიშვნელოვანია ენის ანალიზისათვის. თუ, მაგალითად, ძირეული მორფემის ძირითადი კანონიკური ფორმა CVC- სტრუქტურისაა, სუფიქსურისა კი -VC სტრუქტურისა, მაშინ უფრო მოსალოდნელია, რომ CVCVC მიმდევრობა დაიშალოს CVC- და -VC ნაწილებად და არა სხვაგვარად. მაშასადამე, ძირითადი კანონიკური ფორმის დადგენა გვეხმარება ფონემურ მიმდევრობათა საგარაუდო შემადგენელ მორფემებად დაშლაში.

## 9. სიტყვათა ძირითადი პარადიგმატული კლასები

9.1. პარალელური ფლექსიური პარადიგმების წევრები ერთნაირ ფორმალურ-სემანტიკურ ურთიერთმიმართებებს ამყარებენ. შდრ., მაგალითად, *კაც-* და *ქალ-* ფუძეთა ფლექსიური პარადიგმები: *კაც-ი, კაც-მა, კაც-ს...* *კაც-ებ-ი, კაც-ებ-მა...* *კაც-ნ-ი, კაც-თა;* *ქალ-ი, ქალ-მა, ქალ-ს...* *ქალ-*

ებ-ი, ქალ-ებ-მა,... ქალ-ნ-ი, ქალ-თა და სხვ. ასეთი ფორმები ქმნიან სიტყვათა (ფუძეთა) განსაზღვრულ კლასებს – *მეტყველების ნაწილებს*. მეტყველების ნაწილები ტრადიციულად *გრამატიკის* შესწავლის საგანს შეადგენს. *გრამატიკა* აღწერს, ანალიზებს ენის იმ სტრუქტურებს, რომლებიც განარჩევენ გამოხატულებისა და შინაარსის პლანს.

ტრადიციული თვალსაზრისის თანახმად, გრამატიკა შედგება ორი დარგისაგან – *მორფოლოგიისა* (ბერძნ. *morphé* „ფორმა“, *lógos* „მოძღვრება“, „სიტყვა“) და *სინტაქსისაგან*. *საკუთრივ მორფოლოგია* შესწავლის სიტყვაში მორფემებს შორის კავშირებსა და მორფემულ მიმდევრობათა – სიტყვათა – პარადიგმატულ კლასებს გამოხატულებისა და შინაარსის თვალსაზრისით. სიტყვებს შორის მიმართებები, სიტყვებისაგან უფრო რთული კონსტრუქციების – ფრაზებისა და წინადადებების – აგების წესები *სინტაქსის* შესწავლის საგანია.

**9.2. ბანგნილოთ სიტყვათა (ფუძეთა) პარადიგმატული ანუ სტრუქტურული კლასები** ინგლისური ენის მასალაზე.

ინგლისურში ფუძეები შემდეგი ტიპის ფლექსიურ პარადიგმებს ქმნიან:

I ტიპის პარადიგმები დამახასიათებელია, მაგალითად, boy „ბიჭი“ ფუძისათვის: boy „ბიჭი“, boys „ბიჭები“, boy’s „ბიჭისა“, boys’ „ბიჭებისა“. ამ ფლექსიური პარადიგმის პარალელურია dog „ძაღვი“, man „კაცი“, ball „ბურთი“ და მისთ. ფუძეების პარადიგმები;

II ტიპის პარადიგმებს ქმნის, მაგალითად, talk „საუბარი“, stay „დარჩენა“, look „ყურება“, call „დაძახება“ ფუძეები. მათი პარადიგმატული ფორმები ასეთია: talk „საუბარი“, talks „საუბრობს“, talked „ისაუბრა“, talking „მოსაუბრე“ და მისთ.

III ტიპისაა, მაგალითად, he „იგი“ (მამრ.), she „იგი“ (მდედრ.), we „ჩვენ“, they „ისინი“ ფუძეების ფლექსიური პარადიგმები;

IV ტიპის პარადიგმები ახასიათებს ისეთ ფუძეებს, როგორცაა tall „მაღალი“, long „გრძელი“, good „კარგი“, cool „გრილი“ და სხვ.

ყველა ის სიტყვა, რომელთაც I ტიპის პარადიგმები ახასიათებთ, ერთიანდება *არსებით სახელთა* კლასში; II ტიპის პარადიგმები დამახასიათებელია *ზმნებისათვის*, III ტიპის პარადიგმები – *პირის ნაცვალსახელთათვის*, ხოლო IV ტიპის პარადიგმები აქვთ *ზედსართავ სახელებს*.

როგორც ვხედავთ, ამ კლასების სახელწოდებები ისეთივეა, როგორიც ტრადიციულ გრამატიკაში. ჩვენ ისინი შევინარჩუნეთ, თუმცა ყველა კლასი გამოფყავით მხოლოდ ფუძეთა პარადიგმატული ქცევის მიხედვით.

არ არის არსებითი, თუ რას დავარქმევთ გამოყოფილ კლასებს, მაგრამ ტრადიციულ სახელწოდებათა შენარჩუნების შემთხვევაში აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი სხვა ენის ანალოგიით გაჩნდნენ

და რომ აღსაწერ ენებში ერთნაირი სახელწოდებების მქონე კლასების გრამატიკული ფუნქციები შეიძლება საგრძნობლად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან.

9.3. მნათმეცნიერებაში დიდხანს იყო გაბატონებული ისეთი ტენდენცია, როდესაც სხვადასხვა ენის აღწერისას სიტყვებს მიაწერდნენ ყველა იმ კატეგორიას, იმ პარადიგმატულ თავისებურებებს, რომლებიც ლათინური ენის სიტყვათა კლასებს ახასიათებდა (მეტყველების ნაწილთა სახელწოდებებიც სწორედ ლათინურიდან მოდის: *nomen substantivum* „არსებითი სახელი“, *nomen adjectivum* „ზედსართავი სახელი“, *prōnomen* „ნაცვალსახელი“, *verbum* „ზმნა“, *adverbium* „ზმნიზედა“ და სხვ.). მაგალითად, ინგლისური ენის არსებით სახელთა პარადიგმებში გამოყოფდნენ ხოლმე ყველა იმ ბრუნვას, რომლებიც ლათინურ არსებით სახელთა ბრუნების პარადიგმებში დასტურდებოდა, მაშინ როდესაც ინგლისურ არსებით სახელებს მხოლოდ ოთხი ფლექსიური ფორმა აქვთ.

9.4. *მეტყველების ნაწილები* უნდა განვსაზღვროთ მათი ფლექსიური მარჯვენალების მიხედვით, ან, თუ ენაში ფლექსია არ არის წარმოდგენილი, — სინტაქსურ კონსტრუქციებში მათი ფუნქციების მიხედვით.

ისეთ ენებში, სადაც არსებობს ფლექსია, გამოიყოფა სიტყვები, რომლებიც ფლექსიურ პარადიგმებს არ ქმნიან, მაგალითად: *ხვალ*, *განა*, *შორის*; რუს. *вчера* „გუშინ“, *очень* „ძალიან“, *так* „ასე“; ინგლ. *but* „მაგრამ“, *five* „ხუთი“, *what* „რა“ და სხვ. ასეთი სიტყვები ერთიანდება ე.წ. *ნაწილაკების* კლასად (ხშირად ამ ტერმინებში შედის ტრადიციული გრამატიკის *ზმნიზედებიც*).

ენებში სიტყვათა (ფუძეთა) კლასები და ქვეკლასები მრავალგვარია. სხვადასხვა ტიპის ენებში ყველაზე ფართოდ გავრცელებული სტრუქტურული კლასებია: *სახელები*, *ზმნები*, *ნაცვალსახელები* და *ნაწილაკები* (ფართო მნიშვნელობით). მათ სხვადასხვაგვარი მორფოლოგიური და სინტაქსური ქცევა ახასიათებთ. არსებობს ენები, სადაც ზოგიერთი კლასი არ დასტურდება.

იმ ენებში, სადაც ყველა ფლექსიური კონსტრუქცია ერთი და იმავე ტიპის ანუ პარალელურ პარადიგმებს ქმნის, გამოიყოფა მხოლოდ ორი პარადიგმატული კლასი, ორი მეტყველების ნაწილი — ფლექსიური და უფლექსიო. მაგალითად, იაპონურში ფორმები, რომლებშიც ფლექსია დასტურდება, მხოლოდ ერთი ტიპის პარალელურ პარადიგმებს ქმნიან. ორი ტიპის პარადიგმის არსებობის შემთხვევაში ენაში განირჩევა სამი მეტყველების ნაწილი და ა.შ.

9.5. ჩვენ მოვახდინეთ სიტყვათა (ფუძეთა) კლასიფიკაცია მხოლოდ ფორმალურ საფუძველზე – ვემყარებოდით მათ პარადიგმატულ ქცევას. ტრადიციულ გრამატიკაში მეტყველების ნაწილების გამოყოფა ხდება უპირატესად მნიშვნელობის მიხედვით, რაც ხშირად გადაულახავ წინააღმდეგობას წარმოშობს, რომ არაფერი ვთქვათ საკლასიფიკაციო კრიტერიუმის ბუნდოვანებაზე.

თუ, მაგალითად, არსებით სახელებს განვსაზღვრავთ როგორც სიტყვებს, რომლებიც საგნებს აღნიშნავენ, ამ კლასში ვერ შევა ისეთი ცნებების აღმნიშვნელი სიტყვები, როგორიც არის „სილამაზე“, „სირბილი“, „აღტაცება“; თუ განსაზღვრებას გავაფართოებთ და შევიტანთ მასში „მოვლენათა, მოქმედებათა, მიმართებათა, თვისებათა სახელებს“, ეს განსაზღვრება ნაწილობრივ დაემთხვევა ზმნის, ზედსართავი სახელისა და სხვა კლასების შემდეგი ტიპის განსაზღვრებებს: „ზმნა აღნიშნავს მოქმედებას ან მდგომარეობას“, „ზედსართავი სახელი მიუთითებს საგნის თვისებაზე“ და სხვ. მხოლოდ სემანტიკური კრიტერიუმის საფუძველზე თანმიმდევრულ კლასიფიკაციას ვერ მივიღებთ; უნდა გავითვალისწინოთ სიტყვათა სტრუქტურული თავისებურებებიც.

იგივე ითქმის ფუძეთა ქვეკლასების შესახებ. მაგალითად, ლათინური dux „წინამძღოლი“ და amnis „მდინარე“ განეკუთვნებიან არსებით სახელთა კლასის იმ ქვეკლასს, რომელსაც მამრობითი სქესის სახელები ეწოდება, ხოლო mulier „ქალი“ და mēnsa „მაგიდა“ შედიან მდებრობითი სქესის სახელთა ქვეკლასში არა იმიტომ, რომ წინამძღოლი ყოველთვის გაიანზრებოდა როგორც მამაკაცი ან მდინარე აღიქმებოდა როგორც „მამაკაცური საწყისის მატარებელი“, mēnsa კი – „ქალურისა“, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ფორმები უკავშირდება ზედსართავ სახელებს, გაფორმებულს სპეციალური აფიქსებით: dux bonus „კარგი წინამძღოლი“ ~ mulier bona „კარგი ქალი“, amnis lātus „ფართო მდინარე“ ~ mēnsa lāta „ფართო მაგიდა“; mēnsa და mulier არსებით სახელებთან ზედსართავი სახელი ერთი და იმავე სუფიქსით არის გაფორმებული, ამიტომ ისინი ერთსა და იმავე ქვეკლასს განეკუთვნებიან, ხოლო dux და amnis – სხვა ქვეკლასს.

9.6. როდესაც ფუძეთა კლასების გამოყოფისას მათ პარადიგმატულ ქცევას ვემყარებოდით, არ აღგვინიშნავს, რომ ერთსა და იმავე ფუძეს შეიძლება ორი ან მეტი სხვადასხვა კლასისათვის დამახასიათებელი პარადიგმა ჰქონდეს. მაგალითად, ფუძეს *საიდუმლო* აქვს *სარკე*, *რკო* და *მისთ*. ფუძეების პარალელური პარადიგმებიც და *მწვანე*, *ვიწრო* ტიპის ფუძეთა პარალელური პარადიგმებიც: *შდრ.: მან საიდუმლო* (არსებითი სახელი) *გაგვანდო* და *აქ საიდუმლო* (ზედსართავი სახელი) *მასალები*

ინახება. მაშასადამე, ისეთი მორფოლოგიური საშუალებების გვერდით, როგორც არის აფიქსაცია, მონაცვლეობა და სხვ., არსებობს მთელი პარადიგმის ცვლაც ანუ *კონვერსია* (ლათ. *conversio* „შეცვლა“, „გარდაქმნა“). *კონვერსია* არის მიმართება ერთნაირ ფუძეებსა და განსხვავებული პარადიგმატული ქცევის მქონე სიტყვებს შორის.

**9.7. როგორც წესი, სტრუქტურული კლასები განისაზღვრება სხვადასხვა ნიშნით, რომელთა გაერთიანებები ქმნიან ცალკეულ გრამატიკულ კატეგორიებს (ამ ცნებას მოგვიანებით დაგანასიათებთ):**

*სახელი* – გამოხატავს დაპირისპირებას რიცხვის მიხედვით, განარჩევს ბრუნვებს, დაირთავს კუთვნილების გამომხატველ აფიქსებს, აგრეთვე სხვადასხვა სივრცითი მიმართების გამომხატველ აფიქსებს;

*შზნა* – გარკვეული საშუალებებით გამოსატყვის: მიმართებას სუბიექტთან ან ობიექტთან, მოქმედების დროსა და ასპექტს, დაპირისპირებებს გარდამავლობა – გარდაუვალობის, აქტივ – პასივის მიხედვით, კილოს (თხრობითი, კავშირებითი, პირობითი და სხვ.) მიხედვით;

*ნაცვალსახელი* – შედგება ფონემათა შედარებით მოკლე მიმდევრობებისაგან; გვიჩვენებს ფლექსიისა და დერივაციის არარეგულარულ („უწესო“) ტიპებს; გრამატიკულად ანლოს დგას სახელთან;

*ნაწილაკები* (ლათ. *particulae*) – გამოიხატება ფონემათა მოკლე მიმდევრობებით; არა აქვთ ფორმალური მახასიათებლები (პარადიგმები), ხშირად მიერთვიან სხვა კლასის ფუძეებს აფიქსის სახით.

## 10. ფუძეთა სტრუქტურული კლასები სხვადასხვა ტიპის ენებში

**10.1. ბანგინილოთ ფუძეების ძირითადი სტრუქტურული კლასები კონკრეტულ ენებში.**

კლასიკურ ლათინურ ენაში გამოიყოფა ფუძეთა სამი ძირითადი სტრუქტურული კლასი. თითოეული მათგანი განარჩევს შემდეგ ქვეკლასებს:

I. ფუძეები, რომლებსაც ბრუნების ფლექსია აქვთ (სახელი ფართო გაგებით):

ა. ფუძეები, რომლებიც გამოხატავენ სქესს ან ინდიფერენტული არიან სქესის თვალსაზრისით (არსებითი სახელები, ანუ სახელები ვიწრო გაგებით, და ნაცვალსახელები): *puer* „ბიჭი“ (მამრ. სქესი), *puella* „გოგო“ (მდედრ. სქესი), *civis* „მოქალაქე“ (განურჩევლად მამრ. თუ მდედრ. სქესისა), *ebur* „სპილოს ძვალი“ (საშ. სქესი). სქესის თვალსაზრისით ინდიფე-



რენტული ზოგიერთი ფუძე, მაგ., eḡō „მე“, nōs „ჩვენ“ და სხვ., მათი ოდნავ განსხვავებული ქცევის საფუძველზე შეიძლება გამოიყოს სპეციალურ ქვეკლასად – ნაცვალსახელებად:

b. ფუძეები, რომლებიც ფლექსიურად გამოხატავენ სქესს (ზედსართავი სახელები ანუ ადიექტივები). ამათგან ერთ ჯგუფს აქვს ადვერბიალური (ზმნიზედური) ფორმები: clārus „ნათელი“ ~ clārē „ნათლად“. ის ზედსართავი სახელები, რომლებსაც არ გააჩნია ადვერბიალური ფორმები, შეადგენს ნაცვალსახელოური ზედსართავი სახელების ჯგუფს: hīc „ეს“, tōtus „ყველა“;

II. ფუძეები, რომელთა ფლექსია განარჩევს სუბიექტის პირსა და რიცხვს (ზმნები). აქ გამოიყოფა შემდეგი ქვეკლასები:

a. ფუძეები, რომლებიც განარჩევენ გვარს: monstrat „აჩვენებს“ ~ monstrātur „ნაჩვენებია“;

b. ფუძეები, რომლებიც არ განარჩევენ გვარს: vivō „ვცხოვრობ“;

c. ფუძეები, რომლებიც ყოველთვის პასიურია თავისი ფორმით: vereor „გშიშობ“ ~ veritus est „ეშინია“;

III. უფლექსიო ფუძეები (ნაწილაკები). სინტაქსური კრიტერიუმების მიხედვით ეს კლასი იყოფა შემდეგ ქვეკლასებად: წინდებულები (in „-ში“, „-ზე“, de „შესახებ“), ზმნიზედები (certē „ალბათ“, herī „გუშინ“), თანდებულები (cum „-თან“), შორისდებულები (eheu „აფსუს“) და სხვ.

უფლექსიო ფუძეების ერთი ჯგუფის სინტაქსურ ქცევაში ვლინდება სახელის ანალოგიური ნიშნები, რის გამოც ისინი უფრო ახლოს არის სახელებთან, ვიდრე ნაწილაკებთან: nihil „არაფერი“, quattuor „ოთხი“ და სხვ.

**10.2.** მხოლოდ ორი ძირითადი სტრუქტურული კლასი გამოიყოფა, მაგალითად, ამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთ ენაში – ნუტკაში. ამ ენის მაგალითზე ჩანს, რომ ისეთი კლასების არსებობა, როგორც არის სახელი და ზმნა, ყველა ენისათვის არ არის აუცილებელი. ნუტკაში საერთო კლასს ქმნიან ის ფუძეები, რომლებიც სხვა ენებში უპირისპირდებიან ერთმანეთს როგორც ზმნები და სახელები.

ძირითად მეტყველების ნაწილებს ნუტკაში შეადგენენ ფლექსიური და უფლექსიო სიტყვები. ყველა ფლექსიური ფუძე, მიუხედავად მათი მნიშვნელობისა, ხასიათდება ერთნაირი ფლექსიური შესაძლებლობებით. ზოგიერთი ფლექსიური ფორმა სინტაქსურად სახელს ჰგავს, ზოგი – ზმნას. მაგალითად, /walak-/ „სვლა“, /qoʔás-/ „პიროვნება“, /ʔih-/ „ფართო საგანი“ და /ʔathija-/ „ღამე“ ფუძეებს უაფიქსოდ ხმარებისას სინტაქსურად სახელის მსგავსი ფუნქციები აქვთ და შეიძლება ითარგმნონ როგორც არსებითი სახელები. ფლექსიური /-ma/ აფიქსის დართვისას ყველა ეს ფუ-

ძე სინტაქსურად ზმნის მსგავს ქცევას ამჟღავნებს და ისინი შეიძლება ითარგმნოს როგორც მესამე პირის მსოფლობითი რიცხვის ფორმები: „მი-  
დის“, „კაცია“, „ფართოა“, „ღამით აკეთებს“.

### 10.3. მრავალ ენაში სამზე მეტი სტრუქტურული კლასი ვლინდება.

მაგალითად, ინგლისურში არსებითი სახელის ფუძეთა კლასს შემდეგი თავისებურებები ახასიათებს: მრავლობითი რიცხვის ფლექსიურად გამო-  
ხატვა (boy „ბიჭი“ – boys „ბიჭები“); კუთვნილებითი მიმართების ფლექსი-  
ურად გამოხატვა (the boy's hat „ბიჭის ქუდი“); სინტაქსური ფუნქციები:  
წინადადების სუბიექტი (the boy is here „ბიჭი არის აქ“), პირდაპირი ობი-  
ექტი (I see the boy „მე ვხედავ ბიჭს“), ობიექტი თანდებულიან კონ-  
სტრუქციაში (look at the boy „შეხედე ბიჭს“). ამ კლასში შემავალი ყვე-  
ლა ფუძე აღვნიშნოთ N ნიშნით (ინგლ. *Noun* „სახელი“). ეს ფუძეებია:  
boy „ბიჭი“, food „საჭმელი“, strength „ძალა“, action „ქმედება“, girl „გო-  
გო“ და სხვ.

ფუძეები, რომლებსაც აქვთ ხარისხის ფლექსიური ფორმები (tall „მა-  
ღალი“ – taller „უფრო მაღალი“ – tallest „უმაღლესი“, pretty „ლამაზი“ –  
prettier „უფრო ლამაზი“ – prettiest „ულამაზესი“), ან აწარმოებენ იმავე  
სინტაქსური ფუნქციების მქონე ფორმებს (beautiful „მშვენიერი“ – more  
beautiful „უფრო მშვენიერი“ – most beautiful „უმშვენიერესი“), აგრეთვე  
ყველა ის ფუძე, რომლებიც დაირთავენ -ly სუფიქსს ზმნიზედური ფუნ-  
ქციით (prettily „მობდენილად“, „ლამაზად“, beautifully „მშვენივრად“),  
განიხილება როგორც ზედსართავ სახელთა კლასი. მათ აღვნიშნავთ A  
სიმბოლოთი (ინგლ. *Adjective* „ზედსართავი სახელი“).

ინგლისურში როგორც N, ისე A კლასის ფუძეები ხშირად იხმარება N  
კლასის ფუძეთა წინ ატრიბუტული (ლათ. *attributum* „დანართი“) ანუ  
განსაზღვრების ფუნქციით: action programme „მოქმედების პროგრამა“ –  
long programme „ხანგრძლივი პროგრამა“, a gold watch „ოქროს საათი“ –  
a nice watch „კარგი საათი“.

მრავალი ფუძე ამჟღავნებს როგორც N, ისე A კლასის ფუძეებისათ-  
ვის დამახასიათებელ ქცევას. მაგალითად: savage „ველური“, private  
„კერძო“, „რიგითი (ჯარისკაცი)“, American „ამერიკელი“, „ამერიკული“  
(შდრ. American student „ამერიკელი სტუდენტი“ და he is more  
American than his brother „ის უფრო ამერიკელია, ვიდრე მისი ძმა“.  
American „ამერიკელი“ – Americans „ამერიკელები“).

სპეციფიკური ფლექსია აქვთ ზმნათა კლასის ფუძეებს. ამ კლასს V  
სიმბოლოთი აღვნიშნავთ (ინგლ. *Verb* „ზმნა“). ზმნურ ფუძეთა უმრავლესობა  
განარჩევს ოთხწევრიან პარადიგმას, ზოგი – ხუთწევრიანს. მაგა-

ლითად, play „თამაში“: ~plays „თამაშობს“~played (ნამყო და ნამყოს მიმღობა)~playing (აწმყოს მიმღობა); take „აღება“: takes „იღებს“~took (ნამყო)~taken (ნამყოს მიმღობა)~taking (აწმყოს მიმღობა). რვაწვერია-ნი პარადიგმის მაგალითია be „ყოფნა“: be (ინფინიტივი)~am „ვარ“ ~ is „არის“~are (მრ. რიცხვი, აწმყო)~was (მხ. რიცხვი, ნამყო)~were (მრ. რიცხვი, ნამყო) ~ been (ნამყოს მიმღობა)~being (აწმყოს მიმღობა).

ზმნურ ფუძეთა მცირერიცხოვან ჯგუფს მხოლოდ ორი ფორმა აქვს: მაგალითად, can „შეძლება“: can (აწმყო) ~ could (ნამყო); may „ნებართვა“: may (აწმყო) ~ might (ნამყო).

სინტაქსურად ზმნა შემასმენლის ანუ პრედიკატის (ლათ. *praedicativum*) ფუნქციას ასრულებს.

ზოგიერთი ფუძე ამჟღავნებს როგორც N, ისე V კლასებისათვის დამახასიათებელ ქცევას, მაგალითად: love „სიყვარული“, cure „მკურნალობა“, change „გაცვლა“, air „ჰაერი“, „განიაყება“, run „სარბილი“, „რბოლა“ და სხვ. V და A კლასის ფუძეებისათვის დამახასიათებელ ქცევას ამჟღავნებენ, მაგალითად, clean „სუფთა“, „გასუფთაყება“, dry „მშრალი“, „გამშრალება“, slow „ნელი“, „შენელება“ და სხვ.

არსებობს ფუძეები, რომელთაც სამივე ამ ტიპისათვის დამახასიათებელი ქცევა აქვთ, მაგალითად: black „შავი“, „გაშავება“, „სიშავე“, damp „ნოტიო“, „სინოტივე“, „დასველება“ და სხვ.

ის ფუძეები, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილ კლასებს არ განეკუთვნება, ქმნიან *ნაწილაკების* კლასს. ეს კლასი სინტაქსური კრიტერიუმების საფუძველზე რამდენიმე ქვეკლასად იყოფა.

## 11. სუბსტიტუცია და სუბსტიტუციის ტიპები

11.1. ისეთი ფუძეები, როგორიც არის ინგლისური he „იგი (მამრ.)“, she „იგი (მდედრ.)“, it „იგი (არაგონიერი)“, this „ეს“, every „ყოველი“, შეიძლება გამოვყოთ ცალკე კლასად. ისინი სპეციფიკურ სინტაქსურ ფუნქციას ასრულებენ — წინადადებაში ერთგვარად ენაცვლებიან სხვადასხვა სტრუქტურული კლასის ფუძეებს და ამდენად წარმოადგენენ *სუბსტიტუტებს* (ლათ. *substitutus* „მონაცვლე“, „შემნაცვლებელი“). მაგალითად, I „მე“ ფუძე ნებისმიერი ისეთი სახელის სუბსტიტუტია, რომელიც მოცემულ გამონათქვამში მოლაპარაკეს გამოხატავს. მაგალითად, თუ ჯონი (John) ამბობს: I think „მე ვფიქრობ“, მაშინ I ცვლის John სიტყვას. თუ მერი (Mary) ამბობს: I think, მაშინ I ცვლის Mary სიტყვას და I არის ამ სიტყვის სუბსტიტუტი. არსებითი სახელებისა და სახელური

ფრაზების დიდ კლასს, მაგალითად, ისეთს, როგორც არის cat „კატა“, my house „ჩემი სახლი“, honour „ღირსება“ და სხვ., ენაცვლება სუბსტიტუტი it „იგი“.

იმ სტრუქტურული კლასის ფუძეებს, რომლებსაც მოცემული სუბსტიტუტი ენაცვლება, მისი *სუბსტიტუციის სფერო* ეწოდება. ზოგჯერ შეიძლება განვსაზღვროთ სუბსტიტუციის სფეროში შემაჯავლი სიტყვების ზოგადი მნიშვნელობა. მაგალითად, she „იგი (მდედრ.)“ ფუძის სუბსტიტუციის სფეროში შემაჯავლი სიტყვები, როგორც წესი, მდედრობითი სქესის არსებებს გამოხატავენ (თუმცა არის გამონაკლისებიც).

**11.2.** სუბსტიტუტებს, რომლებიც წარმოდგენილია როგორც თავისუფალი ფორმები და რომელთა სუბსტიტუციის სფეროს სახელები შეადგენენ, ეწოდება *ნაცვალსახელები*, ე.ი. სახელთა კლასის მონაცვლეები. შინაარსის მიხედვით გამოიყოფა ნაცვალსახელთა შემდეგი ძირითადი ტიპები:

*პირის ნაცვალსახელები* : I „მე“, we „ჩვენ“, she „იგი“ (მდედრ.) და სხვ.;

*კუთვნილებითი* : my „ჩემი“, its „მისი (არაგონიერისა)“ და სხვ.;

*ჩვენებითი* : this „ეს“, these „ესენი“, that „ის“, those „ისინი“;

*კითხვით-მიმართებითი* : who „ვინ(ც)“, whom „ვის(აც)“, which „რომელი(ც)“ და სხვ. (მხოლოდ მიმართებითია უმანვილო ნაცვალსახელი that „რომელიც“);

*უარყოფითი* : nobody „არავინ“, nothing „არაფერი“ და სხვ.;

*განსაზღვრებითი* : all „ყველა“, everything „ყველაფერი“ და სხვ.

*განუსაზღვრელობითი* : any „რომელიმე“, anybody „ვინმე“, some „ზოგიერთი“ და სხვ.

## 12. მორფოლოგიური კატეგორიები

**12.1.** შინაარსის პლანის სხვადასხვა კატეგორია ენებში გარკვეული მორფოლოგიური საშუალებებით გამოიხატება. ჩამოვთვალოთ ეს კატეგორიები:

1. *რიცხვის კატეგორია* გულისხმობს ისეთი ფორმების დაპირისპირებას, რომელთაგან ერთი მიუთითებს ცალ ობიექტზე, მეორე კი ერთზე მეტ ობიექტზე. ტრადიციულად ამ მნიშვნელობებს განსაზღვრავენ როგორც *მხოლობით* და *მრავლობით* რიცხვს.

რიცხვს სხვა კატეგორიებზე უფრო პირდაპირი და აშკარა კავშირი აქვს გარეუნიკორივ სამყაროსთან, ადამიანის გამოცდილებასთან, მაგრამ გრამატიკული რიცხვი შეიძლება არ ასახავდეს რიცხვის იმ გაგებას, რომელიც ჩვენს გამოცდილებაშია მოცემული: მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლით გაფორმებული ერთეული ზოგჯერ გარესამყაროს ერთადერთ ობიექტზე მიუთითებს, მსოფლიოთი რიცხვის სახით გაფორმებული კი — მრავალზე. მაშასადამე, რიცხვის კატეგორია, ისევე როგორც ყველა სხვა მორფოლოგიური კატეგორია, ენობრივ სისტემაში ჩვენი გამოცდილების, გარესამყაროს აღქმის ერთგვარ სისტემატიზაციას წარმოადგენს. მაგალითად, ინგლისური shorts „მოკლე შარვალი“, glasses „სათვალე“, რუსული НОЖНИЦЫ „მაკრატელი“, БРЮКИ „შარვალი“ არ გვხვდება მსოფლიოთი რიცხვის ფორმით; მრავლობითი რიცხვის ფორმა არ გააჩნია ისეთ სახელებს, როგორიც არის *შეშა, ყურძენი*, რუსული: МОРКОВЬ „სტაფილო“, ЗЕМЛЯНИКА „მარწყვი“ და სხვ., თუმცა მათ „ერთზე მეტის“ მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ; შდრ. აგრეთვე ინგლ. wheat „ხორბალი“ (შხ. რიცხვის ფორმა) და Oats „შვრია“ (მრ. რიცხვის ფორმა).

ზოგიერთ ენაში მსოფლიოთი და მრავლობითი რიცხვის ფორმების გარდა დასტურდება ორობითი, ზოგან კი — სამობითი რიცხვის ფორმებიც. *ორობითი რიცხვის* ფორმები წყვილ ობიექტებს გამოხატავენ, მაგალითად, არაბ. riġl-un „ფეხი“, riġl-āni „ორი ფეხი“, riġl -ūna „ფეხები“ (მრ. რიცხვი).

რიცხვის კატეგორია ფორმალურად, როგორც წესი, არსებით სახელებში, ზედსართავ სახელებში, ზმნასა და ნაცვალსახელებში გამოიხატება.

2. *პირის კატეგორია*, როგორც წესი, წარმოდგენილია ზმნებსა და ნაცვალსახელებში. იგი გამოხატავს მოლაპარაკესა (*I პირი*) და მსმენელს (*II პირი*) შორის დაპოკიდებულებას. I და II პირს უპირისპირდება *III პირი* — არამოლაპარაკე და არამსმენელი. ზოგიერთ ენაში (მაგალითად, ესკიმოსურში) III პირის ფორმა ქვეკლასებს განარჩევს: მოლაპარაკესთან ახლოს მყოფი ან პირველად ნახსენები — *პროქსიმალური* (ლათ. *proximus* „უახლოესი“) პირი; შორის მყოფი, თხრობაში ნაკლები მნიშვნელობის მქონე ან უფრო გვიან ნახსენები — *ობვიატური* (ინგლ. *obviate* „მოცილება“) პირი. ანალოგიური მიმართება შეიძლება გამოხატული იყოს ჩვენებით ნაცვალსახელებში, შდრ. ქართ. *ეს ~ ევ ~ ის* ინგლ. *this „ეს“ ~ that „ის“, რუს. ЭТОТ „ეს“ ~ ТОТ „ის“* და სხვ.

*პირისა* და *რიცხვის* კატეგორიები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. მრავლობითი რიცხვის III პირი გამოხატავს ორ ან მეტ ობიექტს, რომელთა შორის არ არის არც მოლაპარაკე და არც მსმენელი; მრავლობითი რიცხვის II პირი გულისხმობს ორ ან მეტ მსმენელს. სულ

სხვა ვითარებაა ამ თვალსაზრისით I პირის შემთხვევაში. *მე* არის მოლაპარაკის აღმნიშვნელი სახელის სუბსტიტუტი, ამიტომ შესაბამისი მრავლობითი რიცხვის ფორმა უნდა აღნიშნავდეს მოლაპარაკე პირებს (მაგალითად, კოლექტიური კითხვის დროს). მაგრამ, როგორც ვიცით, ჩვენ ფორმის მნიშვნელობა, ჩვეულებრივ, არის არა „მოლაპარაკენი“, არამედ „მოლაპარაკე (მე) და სხვები“. ბევრ ენაში ეს „სხვები“ შეიძლება იყოს ნებისმიერი ობიექტი (მათ შორის მსმენელი), ე.ი. „მე და შენ“, „მე და თქვენ“, „მე, შენ (თქვენ) და ის (ისინი)“ ან „მე და ის (ისინი)“. ასეა ქართულში, ინგლისურში, რუსულსა და ბევრ სხვა ენობრივ სისტემაში. ზოგიერთ ენაში მკაცრად არის გარჩეული ის, თუ რომელი პირია გაერთიანებული მოლაპარაკესთან — მსმენელი, თუ არამსმენელი. თუ მრავლობითი რიცხვის I პირის ფორმა მოლაპარაკესა და მსმენელს (მსმენელებს) გულისხმობს, გვაქვს *ინკლუზიური* (ლათ. *includō* „ჩართვა“ > ფრ. *inclusif* „შემცველი“) I პირი, ხოლო თუ მრავლობითი რიცხვის I პირის ფორმა გულისხმობს მოლაპარაკესა და სხვას (სხვებს), გვაქვს *ექსკლუზიური* (ლათ. *excludō* „გამორიცხვა“ > ფრ. *exclusif* „გამომრიცხველი“) I პირი ამგვარი დაპირისპირება დასტურდება, მაგალითად, სვანურში, ჩინურში, ალგონკინურ ენებსა და მრავალ სხვა ენაში.

3. *გრამატიკული კლასისა და სქესის კატეგორია* განარჩევს არსებით სახელთა ქვეკლასებს, რომლებიც გამოიყოფა მათთან დაკავშირებული სიტყვების (ზედსართავი სახელების, ზმნებისა და სხვ.) გარკვეული გაფორმების საფუძველზე. ენები, რომლებშიც სქესი წარმოდგენილია როგორც გრამატიკული კატეგორია, საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან სახელთა კლასების რაოდენობით. მაგალითად, ფრანგულში, ებრაულში, არაბულში, იტალიურში განარჩევა მხოლოდ ორი სქესი; რუსულში, გერმანულში — სამი; ზოგ ენაში გარჩეულია უფრო მეტი სქესი.

შეიძლება არსებობდეს ერთგვარი შესაბამისობა სქესის გრამატიკულ კატეგორიასა და ბიოლოგიურ სქესს შორის, რაც თავს იჩენს სიტყვათა კლასების სახელწოდებებში: *მამრობითი, მდედრობითი, საშუალო სქესი* ასე, მაგალითად, ლათინურ *mulier* „ქალი“ სიტყვას ზედსართავი სახელი უკავშირდება /a/-ზე დაბოლოებული ფორმით — *mulier bon-a* „კარგი ქალი“; *mulier* მდედრობითი სქესის ადამიანს აღნიშნავს და ყველა არსებითი სახელი, რომლებსაც ზედსართავი სახელი იმავე ფორმით უკავშირდება, როგორითაც *mulier* სიტყვას, *მდედრობითი სქესის* სახელთა ქვეკლასში ერთიანდება. ლათ. *vir* „კაცი“ მამრობითი სქესის ადამიანს აღნიშნავს; მას ზედსართავი სახელი /us/-ზე დაბოლოებული ფორმით უკავშირდება — *vir bon-us* „კარგი კაცი“ და ყველა არსებითი სახელი, რომელთაც ზედსართავი სახელი ამავე ფორმით უკავშირდება, *მამრობითი სქესისა* (თუნდაც მისი დენოტატის ბიოლოგიური სქესი მამრობითი არ იყოს);

შდრ. domus bon-a „კარგი სახლი“, arbor bon-us „კარგი ხე“, templum bon-um „კარგი ტაძარი“ (საშ. სქესი). რუსული белка „ციყვი“ მდედრობითი სქესისაა, ისევე როგორც женщина „ქალი“, ხოლო попугай „თუთიყუში“ — მამრობითისა, ისევე როგორც мужчина „კაცი“: красивая белка „ლამაზი ციყვი“, красивая женщина „ლამაზი ქალი“; красивый попугай „ლამაზი თუთიყუში“, красивый мужчина „ლამაზი კაცი“ (ცხადია, ციყვი, ისევე როგორც თუთიყუში, ბიოლოგიურად შეიძლება ორი განსხვავებული სქესისა იყოს). არსებითი სახელის სქესი ზოგჯერ მასთან დაკავშირებული ზმნის ფორმით შეიძლება გამოვიცნოთ: შდრ., მაგალითად, რუს. олень пробежал „ირემმა გაირბინა“ (მამრ. სქ.) ~ собака пробежала „ძაღლმა გაირბინა“ (მდედრ. სქ.) ~ животное пробежало „ცხოველმა გაირბინა“ (საშ. სქ.).

ამგვარად, სახელთა განაწილება სქესის მიხედვით პირობითია, იგი მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს ბიოლოგიურ სქესს. იმ ენებში, სადაც სამი სქესია გარჩეული, საშუალო სქესის კლასს შეიძლება განეკუთვნებოდეს ისეთი სახელებიც, რომლებიც მდედრობითი სქესის არსებებს (უფრო იშვიათად — მამრობითი სქესის არსებებს) აღნიშნავენ. მაგალითად, გერმანული das Weib „ქალი“, das Mädchen „ქალიშვილი“ და რუსული дитя „ბავშვი“, „ჩვილი“, подмастерье „შეგირდი“, животное „ცხოველი“ საშუალო სქესის სახელებია, თუმცა ამ სიტყვებით აღნიშნული არსებები ბიოლოგიურად მდედრობით ან მამრობით სქესს განეკუთვნებიან. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთ ენაში სქესის კატეგორია ორი კლასით არის წარმოდგენილი — მდედრობითი და მამრობითი სქესით, ცხადი გახდება, რომ სქესის მიხედვით არსებით სახელთა ენობრივი კლასიფიკაცია პირობითია.

ინგლისურში არსებითი სახელის სქესი განისაზღვრება მხოლოდ სუბსტიტუტების ფორმით, ე.ი. იმით, ენაცვლება არსებით სახელს he „იგი“ (მამრ.), she „იგი“ (მდედრ.) თუ it „იგი“ (არაგონიერი) სუბსტიტუტი, აგრეთვე his „მისი“ (მამრ.), him „მას“ (მამრ.), her „მისი“, „მას“ (მდედრ.) თუ its „მისი“ (არაგონიერი) სუბსტიტუტი. რამდენადაც სქესის მიხედვით სახელთა კლასიფიკაცია ძირითადად სინტაქსურ კავშირებს ეფუძნება და არა შენაცვლებას, ინგლისურში სქესის კატეგორიაზე შეიძლება მხოლოდ პირობითად ვილაპარაკოთ. ქართველურ ენებში სქესი გრამატიკულ კატეგორიას არ წარმოადგენს.

მრავალ ენაში სქესის მსგავსია გრამატიკული კატეგორია, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ბიოლოგიურ სქესთან; ეს კატეგორია უკავშირდება ობიექტთა რეალურ დაყოფას სულიერთა და უსულიერთა კლასებად. მაგალითად, ალგონკინურ ენებში სულიერთა კლასი შეიცავს ადამიანების, ცხოველების, სულების, დიდი ხეების სახელწოდებებს. ზო-

გიერთ ენაში სულიერთა და უსულოთა კლასები გლინდება მხოლოდ სუბსტიტუციაში; ეს დაყოფა ერთგვარად გადაჯაჭვულია სქესებად (ზოგჯერ — რიცხვებად) კლასიფიკაციასთან: შდრ. რუს. кто „ვინ“ ~ что „რა“, გერმ. wer „ვინ“ ~ was „რა“, ფრ. qui „ვინ“ ~ que (quoi) „რა“ და სხვ. ქართულში სულიერთა და უსულოთა კლასები სინტაქსური მიმართებების საფუძველზე გამოიყოფა: უსულოთა კლასში შემაგალი სახელეების მრავლობითი რიცხვის ფორმა შეიძლება დაუკავშირდეს ზმნის მხოლობითი რიცხვის ფორმას, რაც არ არის დამახასიათებელი სულიერთა კლასისათვის: *კარადები დგას ~ სპილოები დგანან*. სუბსტიტუციის საფუძველზე ქართულში გამოიყოფა *გონიერ არსებათა*, ანუ „ვინ“ *ჯგუფის*, და *არაგონიერთა*, ანუ „რა“ *ჯგუფის*, სახელები.

ზოგიერთ ენაში სახელთა *გრამატიკული კლასები* გამოიყოფა აღსანიშნი ობიექტების სხვადასხვა ფორმის, მოყვანილობის, სოციალური მდგომარეობის, ასევე სქესისა და სხვა ნიშნების მიხედვით. ასეთ კლასებზე დამოკიდებულია მათთან დაკავშირებული სიტყვების გაფორმება: შდრ., მაგალითად, ხუნდ. emen roq'oy vugო „მამა შინ არის“, ebel roq'oj jigო „დედა შინ არის“, l'imer roq'oh hugო „ბავშვი შინ არის“.

ზოგ ჩრდილოკავკასიურ ენაში ზმნაში შეიძლება გამოიხატოს მასთან დაკავშირებული სახელების არა მარტო კლასი — ადამიანის (მამაკაცის, ქალის), არაადამიანის და სხვ., — არამედ პირიც.

სქესის კატეგორია შეიძლება გამოიხატოს როგორც სინტაქსურად, ისე მორფოლოგიურად, ე.ი. სხვადასხვა სქესის სახელებმა შეიძლება განსხვავებული ქცევა გამოამჟღავნონ და/ან თვითონ იყვნენ ერთმანეთისაგან ფორმალურად განსხვავებულნი. მაგალითად, რუსულში /ა/-ზე დაბოლოებული არსებითი სახელები ძირითადად მდედრობითი სქესისაა და სპეციფიკური ბარადიგმები აქვთ (თუმცა გამონაკლისებიც არსებობს: мужчин-а „კაცი“, дедушк-а „ბაბუა“ და სხვ.).

4. *ბრუნვის კატეგორია*. ბრუნვები სახელთა ფლექსიური ფორმებია, რომლებიც ზმნის შემცველ კონსტრუქციებში გამოხატავენ სხვადასხვა გრამატიკულ მიმართებას ზმნასთან და სხვა სახელებთან. ზმნასთან მიმართებით სახელს შეიძლება ჰქონდეს შემდეგი ფუნქციები: *აქტიური სუბიექტი* — შეიძლება შეგვხვდეს როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნებთან: *კაცი მიდის, კაცი კითხულობს (წიგნს); არააქტიური სუბიექტი* — გვხვდება მხოლოდ გარდაუვალ ზმნებთან: *ჭიქა ტყდება, კაცს ეძინება; ობიექტი* — სახელი, რომელზეც მოქმედებს სუბიექტი: *წერილს წერს*.

ბრუნვათა რაოდენობა ზოგიერთ ენაში ოცდაათს აღწევს (ყველაზე მცირე — ორია). ისინი შეიძლება გამოხატავდნენ, მაგალითად, მოქმედების იარაღს, კუთვნილებას, სივრცით მიმართებებს და სხვ.



5. *დროის კატეგორია* გამოხატავს მოქმედების ლოკალიზაციას დროში. როგორც წესი, გამოიყოფა სამი ქრონოლოგიური მონაკვეთი — *წარსული, აწმყო, მომავალი* შეიძლება გამოიყოს ქვეჯგუფები — ანლო წარსული, ანლო მომავალი, შორეული წარსული და სხვ. ქვეჯგუფები განსხვავებული ფორმით გამოიხატება სხვადასხვა ენაში. მეტყველების მომენტთან შეფარდებული *აბსოლუტური დროებისგან* განსხვავებით, *მიმართებითი* ანუ *რელატიური* (ლათ. *relatio* „მიმართება“) *დროები* („დროთა თანამიმდევრობა“) განსაზღვრავენ დროის მონაკვეთს სხვა დროსთან და არა მეტყველების აქტთან შეფარდებით. კერძოდ, *პერფექტი* (ლათ. *perfectus* „სრულყოფილი“, „დასრულებული“) გამოხატავს წარსულ მოქმედებას აწმყოსთან მიმართებით, *წინარე წარსული* ანუ *პლუსკვამპერფექტი* (ლათ. *plusquamperfectum*) — წინარე მოქმედებას წარსულთან მიმართებით და ა.შ.

6. *ასპექტის კატეგორია* (ლათ. *aspectus* „სახე“, „გარეგნობა“), რომელიც მჭიდრო კავშირშია დროის კატეგორიასთან, გამოხატავს მოქმედების მიმდინარეობის რაგვარობას, დროში მის განშლადობას (და არა ლოკალიზაციას). სხვადასხვა ენაში შეიძლება შეგვხვდეს შემდეგი ასპექტები: *ვანგრძობითი (კონტინუატივი, პროგრესივი, დურატივი), მრავალგზისი (იტერატივი), სრული (პერფექტივი), უსრული (იმპერფექტივი), დაწყებითი (ინშოატივი), ჩვეულებითი ანუ ხოლმეობითი (ჰაბიტატივი), ერთგზისი ანუ წყვეტილი (მომენტალური), უწყვეტელი (ლინეარული), დამთავრებითი (ტერმინატივი), თურმეობითი (პუტატივი)* და სხვ. ქართულში სრული და უსრული ასპექტი გამოიხატება დერივაციით; ინგლისურში ასპექტის გამოხატვა სინტაქსური საშუალებებით ხდება: he sings „იგი მღერის“ (ჩვეულებრივ, საერთოდ) ~ he is singing „იგი მღერის“ (ახლა); he sang „მან იმღერა“ ~ he was singing „იგი მღეროდა“. რუსულში დერივაციულად გამოიყოფა მრავალი ასპექტური დაპირისპირება (თუმცა ზოგჯერ ამ კატეგორიას შერეულ, დერივაციულ-ფლექსიურ კატეგორიად თვლიან), მაგალითად: перечитать „გადაკითხვა“ (სრული ასპ.) ~ перечитывать (უსრული ასპ.), напеть „დამღერება“ (სრული ასპ.) ~ напевать (უსრული ასპ.) და სხვ.

7. *გვარის კატეგორია* გამოიხატება ზმნებში; ის მიუთითებს მოქმედების მიმართებაზე სუბიექტსა და ობიექტთან და გვიჩვენებს, თუ როგორია ურთიერთობა მოქმედ პირსა და ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შორის. განიჩევა: მოქმედებითი გვარი (*აქტივი*) — სუბიექტი ახორციელებს მოქმედებას ობიექტზე, მაგალითად, *ბიჭი კითხულობს წიგნს*, რუს. человек пишет письмо „კაცი წერს წერილს“; *ვნებითი გვარი (პასივი)* — სუბიექტი მოქმედების მიზანს წარმოადგენს, მაგალითად, *სახლი შენდება*, რუს. вопрос изучался „საკითხი შეისწავლებოდა“; უკუ-

ქცევითი გვარი (*რეფლექსივი*) — სუბიექტი მოქმედებს საკუთარი თავის მიმართ, იგი ამავე დროს ობიექტია, მაგალითად, რუს. *УМЫВАТЬСЯ „ბირის დაბანა“*, ფრ. *il se cache „იგი იმალება“*; საურთიერთო გვარი (*რეცპროკი*) — ორი ან მეტი სუბიექტი ერთგვაროვნად მოქმედებს ერთმანეთის მიმართ, მაგალითად, რუს. *ПЕРЕМИГИВАТЬСЯ „ერთმანეთისათვის თვალის ჩაკვრა“*; საშუალო გვარი (*მედიუმი*) — სუბიექტი მოქმედებს სამოქმედო ობიექტის გარეშე, მაგალითად, *მივორავს*.

ცალკე გამოიყოფა *კაუზატივის კატეგორია* (ლათ. *causa „მიზეზი“*), რომელშიც სუბიექტი ინიციატორია, მაგრამ არა შემსრულებელი (მაგალითად, *აკეთებინებს*), და *ქცევის ანუ გერსიის* (ლათ. *versio „შებრუნება“*) *კატეგორია*, რომელიც გამოხატავს მოქმედების მიმართებას სუბიექტის ან ობიექტისადმი კუთვნილება-დანისწნულების თვალსაზრისით (მაგალითად, *იშენებს ~ უშენებს*).

გვარის კატეგორიას უკავშირდება გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა კლასების გამოყოფა. ზმნას, რომლის სუბიექტი უშუალოდ მოქმედებს ობიექტზე, *გარდამავალი (ტრანზიტული) ზმნა* ეწოდება (მაგალითად, *წერილი დაწერა*); *ზმნა გარდაუვალია (ინტრანზიტულია)*, თუმის სუბიექტს არ შეიძლება ჰქონდეს უშუალოდ სამოქმედო ობიექტი (მაგალითად, *კაცი წავიდა*).

8. *კილოს კატეგორია* გამოხატავს მოქმედების მიმართებას სინამდვილისადმი მოლაპარაკის თვალსაზრისით. სახელდობრ, მტკიცებითი კილო (*ინდიკატივი, დეკლარატივი*) აღნიშნავს მოლაპარაკის ნეიტრალურ, ობიექტურ დამოკიდებულებას მოქმედებისადმი; თხრობითი კილო (*ნარატივი*) გამოხატავს მოქმედების თხრობას, გადმოცემას მოლაპარაკის მიერ; იმედიანობის კილო (*ობტატივი*) — მოქმედების შესრულების იმედს; ნატვრითი კილო (*დეზიდერატივი*) — მოქმედების შესრულების სურვილს; განზრახვითი კილო (*ინტენტივი*) — მოქმედების შესრულების განზრახვას; კითხვითი კილო (*ინტეროგატივი*) — შეკითხვას; უარყოფითი კილო (*ნეგატივი*) — მოქმედების უარყოფას; დაეჭვებითი კილო (*დუბიტატივი*) — მოქმედების შესრულებაში დაეჭვებას; შესაძლებლობის კილო (*პოტენციალისი*) — მოქმედების შესრულების შესაძლებლობას; პირობითი კილო (*კონდიციონალისი*) — მოქმედების განპირობებულობას სხვა მოქმედებით; კავშირებითი კილო (*სუბიუნქტივი, კონიუნქტივი*) — მოქმედების ურთიერთკავშირის სხვა მოქმედებასთან; აუცილებლობითი (*ობლივატორული*) კილო — მოქმედების აუცილებლობას; ბრძანებითი კილო (*იმპერატივი*) — ბრძანებას.

12.2. ზემოთ განხილული გრამატიკული კატეგორიების გარდა მრავალენაში წარმოდგენილია *მითითებითი* ანუ *დეიქტური* (ბერძნ. *deixis* „მითითება“) სიტყვები ან აფიქსები, რომლებიც ამა თუ იმ სიტუაციის სივრცით ორიენტაციას გამოხატავენ. მათ *დემონსტრატივებსაც* (ლათ. *demonstrativus* „მითითებითი“) უწოდებენ. აქ სხვადასხვა კლასის ენობრივი ერთეულები გვხვდება, მათ შორის — ზმნიწედებიც, რომლებიც ნაწილაკთა ანუ უფლექსიო ფუძეთა კლასში შედიან. დემონსტრატივებია, მაგალითად, *ეს - ეგ - ის, აქ - მანდ - იქ* და სხვ.

მითითებით სიტყვებთან შინაარსით ახლოს დგას *არტიკლი* (ლათ. *articulus* „სახსარი“) ანუ *ნაწევარი* ის დემონსტრატივებთან შედარებით ნაკლებად არის გავრცელებული, ზოგ ენაში საერთოდ არ დასტურდება. *განსაზღვრული არტიკლი* იხმარება უკვე ნახსენები ან ცნობილი ობიექტის სახელთან, *განუსაზღვრული არტიკლი* — უცნობი ან პირველად ნახსენები ობიექტის სახელთან, მაგალითად, ინგლ. a man „(ვიღაც) კაცი“ ~ the man „(ეს) კაცი“.

ყველა გრამატიკული კატეგორია თავისებურად არის გამოხატული სხვადასხვა ტიპისა და სტრუქტურის ენებში; ისინი შეიძლება გამოვლინდნენ სიტყვათა სხვადასხვა ჯგუფებში.

### 13. მორფოლოგიური დიფერენციალური ნიშანი. გრამემა და გრამატიკული კატეგორია

13.1. მორფოლოგიურ მნიშვნელობათა სისტემის აღსაწერად განვსაზღვროთ უკვე დახასიათებული ცნებები ფორმალური ნიშნების მიხედვით. ამისათვის შემოვიტანოთ რამდენიმე ამოსავალ ცნებას, რომლებიც დაგვეხმარება უფრო რთული ცნებების განსაზღვრაში.

*მორფოლოგიური დიფერენციალური ნიშანი* არის ელემენტარული გრამატიკული მნიშვნელობა, ენის შინაარსის პლანის მინიმალური ერთეული. ასეთი ნიშნების გარკვეული კომბინაციები ქმნიან გრამატიკული შინაარსის პლანის უფრო რთულ ერთეულებს. მორფოლოგიური დიფერენციალური ნიშანი *ბინარულია*, იგი იღებს ორ მნიშვნელობას — დადებითს ან უარყოფითს. მაგალითად, „მოლაპარაკე - არამოლაპარაკე“ დიფერენციალური ნიშნის დადებითი მნიშვნელობა გამოხატავს I პირს, უარყოფითი — II ან III პირს. ანალოგიურად, „მსმენელი ~ არამსმენელი“ ნიშნის დადებითი მნიშვნელობა გამოხატავს II პირს, უარყოფითი — I ან III პირს. „მეტყველების მომენტთან დამთხვევა ~ არდამთხვევა“ ნიშნის

დადებითი მნიშვნელობა აწმყო დროს გამოსატყავს, უარყოფითი — წარსულს ან მომავალს და ა.შ.

გარკვეულ მორფოლოგიურ დიფერენციალურ ნიშანთა ისეთი გაერთიანებები („კონები“), სადაც თითოეული დიფერენციალური ნიშანი მონაწილეობს თავისი დადებითი ან უარყოფითი მნიშვნელობით, ქმნიან უფრო რთულ ერთეულებს, რომლებსაც *გრამემები* ეწოდება. მაგალითად, III პირის გრამემა არის ორი მორფოლოგიური დიფერენციალური ნიშნის კომბინაცია: „მოლაპარაკე“ — უარყოფითი მნიშვნელობით (ანუ „არამოლაპარაკე“) და „მსმენელი“ — უარყოფითი მნიშვნელობით (ანუ „არამსმენელი“). შედარებითი ხარისხის (*კომპარატივის*) გრამემა იმ ენებში, სადაც განიჩევა თვისების სამი ხარისხი — დადებითი, შედარებითი და აღმატებითი, წარმოადგენს ორი მორფოლოგიური დიფერენციალური ნიშნის ერთობლიობას: „თვისების შედარებითი ინტენსივობა“ — დადებითი მნიშვნელობით, „თვისების აღმატებითი ინტენსივობა“ — უარყოფითი მნიშვნელობით.

მორფოლოგიური დიფერენციალური ნიშნები ელემენტარული მნიშვნელობებია, რომლებიც შემოგვაქვს ენაში გრამემების განსაზღვრისათვის.

**13.2.** პრტი და იმავე მორფოლოგიური დიფერენციალური ნიშნების გაერთიანების შედეგად მიღებული გრამემების ისეთ ერთობლიობას, რომელშიც ყოველი დიფერენციალური ნიშანი წარმოდგენილია თავისი ერთ-ერთი შესაძლებელი (დადებითი ან უარყოფითი) მნიშვნელობით, *გრამატიკული კატეგორია* ეწოდება. მაგალითად, მსოფლიოთი რიცხვის გრამემა და მრავლობითი რიცხვის გრამემა, ე.ი. ნიშნის „ერთი ~ მრავალი“ დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობებით შედგენილი ორი გრამემა ერთიანდება რიცხვის გრამატიკულ კატეგორიაში: I, II, III პირის გრამემები ქმნიან პირის გრამატიკულ კატეგორიას; აწმყო დროს, ნამყო დროისა და მომავალი დროის გრამემები შეადგენენ დროის გრამატიკულ კატეგორიას და ა.შ. ასეთი გაერთიანებების შედეგად მივიღებთ ყველა იმ გრამატიკულ კატეგორიას, რომლებიც ზემოთ დავახასიათეთ.

გრამატიკული კატეგორიები ორ ჯგუფად იყოფა იმის მიხედვით, ცვლიან ისინი სიტყვის ფორმებს, თუ ახდენენ ფუძეთა კლასიფიკაციას. გრამატიკულ კატეგორიათა პირველ ჯგუფს განეკუთვნება, მაგალითად, ზედსართავი სახელის სქესი, რიცხვი, ბრუნვა — ლათინურში, რუსულში; ზმნის პირი, რიცხვი, დრო — ამავე ენებში. მაგალითად: *კაც-ი, კაც-ებ-მა, კაც-ნ-ო*; რუს. *сИНЕМУ* „ლურჯს“ (მამრ. სქ., მხ. რ., მიც. ბრ.), *сИНЮЮ* „ლურჯს“ (მდედრ. სქ., მხ. რ., აკუსატივი), *сИНИМИ* (მრ. რიცხვი, მოქმ.

ბრ). კატეგორიათა ამ ჯგუფს *საკუთრივ გრამატიკული კატეგორიები* ეწოდება.

კატეგორიათა მეორე ჯგუფს განეკუთვნება, მაგალითად, არსებითი სახელის სქესი რუსულში, ლათინურში: რუსული *дом „სახლი“* მამრობითი სქესისაა, *река „მდინარე“* — მდედრობითისა, ხოლო *окно „ფანჯარა“* — საშუალო სქესისა; თითოეულ მათგანს მხოლოდ მოცემული გრამატიკული სქესის პარადიგმა ახასიათებს. ესენი *საკლასიფიკაციო* ანუ *ლექსიკურ-გრამატიკული* კატეგორიებია. ამავე ქვეჯგუფს განეკუთვნება, მაგალითად, რუსულ არსებით სახელებში სულიერთა და უსულოთა დაპირისპირება, რომელიც თავს იჩენს აკუსატივის განსხვავებულ გაფორმებაში: *знает этого мальчика (эти мальчиков) „იცნობს ამ ბიჭს (ბიჭებს)“* — *знает этот город (эти города) „იცნობს ამ ქალაქს (ქალაქებს)“*.

**13.3. მორფსა და გრამემას შორის არ არის ურთიერთცალსახა შესატყვისობა:** ერთი მორფი შეიძლება რამდენიმე გრამემას გამოხატავდეს. მაგალითად, ლათინური /-US/ გამოხატავს სახელობითი ბრუნვის, მამრობითი სქესისა და მხოლობითი რიცხვის გრამემებს, რუსული /-ами/ გამოხატავს არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვისა და მოქმედებითი ბრუნვის გრამემებს (*книгами „წიგნებით“*) და სხვ. ამ ენებში ბრუნვისა და რიცხვის გრამემები ყოველთვის დაკავშირებულია ერთმანეთთან: თუ მორფი გამოხატავს, მაგალითად, სახელობითი ბრუნვისა და მხოლობითი რიცხვის გრამემებს, ის გამოხატავს აგრეთვე სქესის გრამემებსაც, და პირუკუ შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მორფები *გრამემათა ბმული გაერთიანების* გამოხატველი მორფებია.

ერთი და იგივე გრამემა ან გრამემათა ბმული გაერთიანება შეიძლება განსხვავებული მორფებით იყოს გამოხატული. ასეთი მორფები ერთ მორფემას განეკუთვნება. მაგალითად, რუსული /-и ∞-е/ ალომორფები გამოხატავენ არსებით სახელთა მიცემითი ბრუნვის, მხოლობითი რიცხვისა და მდედრობითი სქესის გრამემათა ერთსა და იმავე ბმულ გაერთიანებას: *лошад-и „ცხენს“, песн-е „სიმღერას“*; ინგლისური /-s~-z~-es/ ალომორფები ზმნაში გამოხატავენ III პირის, მხოლობითი რიცხვისა და აწმყო დროის გრამემებს და სხვ.

ალომორფები, რომლებიც გრამემათა ერთსა და იმავე ბმულ გაერთიანებას გამოხატავენ და არ იმყოფებიან დამატებითი დისტრინგუიციის დამოკიდებულებაში, წარმოადგენენ თავისუფლად მონაცვლე ალომორფებს. ასეთია, მაგალითად, რუსული /-oj//-ojა/, /-ej//-ejა/ ალომორფები, რომლებზეც უკვე გვქონდა საუბარი. ისინი გამოხატავენ ზედსართავი სახელის მდედრობითი სქესის, მხოლობითი რიცხვისა და მოქმედებითი ბრუნვის გრამემებს.

## 14. გრამემათა ნეიტრალიზაცია და არქივგრამემა

14.1. პრტი და იმავე კატეგორიის გრამემაები ზოგჯერ არ უპირისპირდება ერთმანეთს; ხდება მათ შორის არსებული დაპირისპირების ნეიტრალიზაცია. ასეთი ნეიტრალიზაცია შეიძლება იყოს შეპირობებული პოზიციურად. ე.ი. დაპირისპირება შეიძლება მოხსნას სინტაგმატიკაში. მაგალითად, ინგლისურში იხსნება დაპირისპირება აწმყოსა და მომავლის გრამემებს შორის when „როდესაც“ ფორმის შემდეგ: comes „მოდის“, will come „მოვა“, მაგრამ: when he comes „როდესაც იგი მოვა“, და არა \*when he will come. პოზიცია when ფორმის შემდეგ ამ დაპირისპირებისათვის ნეიტრალიზაციის პოზიციაა.

პარადიგმატიკაში ნეიტრალიზაცია გვაქვს ჰომოფონური მორფების შემთხვევაში, თუ ეს მორფები ერთი და იმავე გრამატიკული კატეგორიის სხვადასხვა გრამემას გამოხატავენ. მაგალითად, /-თა/ ქართულში გამოხატავს მრავლობითი რიცხვის მოთხრობითი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების გრამემებს.

ერთი და იმავე კატეგორიის გრამემათა ნეიტრალიზაციის დროს ვლინდება არქივგრამემა; მაგალითად, სსენებული /-თა/ მორფი გამოხატავს მოთხრობითი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების არქივგრამემას.

არქივგრამემა შეიძლება მივიღოთ ერთი და იმავე კატეგორიის ყველა გრამემის ან გრამემათა ნაწილის ნეიტრალიზაციის შედეგად. მეორე შემთხვევაში შენარჩუნებული იქნება ერთი და იმავე კატეგორიის გრამემათა და არქივგრამემათა დაპირისპირება, მაგრამ შემცირდება დაპირისპირებათა რაოდენობა. მაგალითად, ქართულში თანხმოვნით დაბოლოებული სახელების მხოლობითი რიცხვის პარადიგმაში გვაქვს შვიდი ბრუნვის გრამემათა დაპირისპირება, /ო/-ზე დაბოლოებულებთან — ექვსი. რუსულში ბრუნვათა ექვსივე გრამემას შორის დაპირისპირება არ არის რეალიზებული არც ერთი სიტყვის ბრუნების პარადიგმაში: ყველა შემთხვევაში ამა თუ იმ სახის ნეიტრალიზაცია გვაქვს. მაგალითად, რუსულ ზედსართავ სახელთა მდებრობითი სქესის მხოლობითი რიცხვის პარადიგმაში იხსნება დაპირისპირება ოთხი ბრუნვის გრამემებს შორის — /-ოჟ/ მორფი გამოხატავს ნათესაობით, მიცემით, მოქმედებით და თანდებულიან ბრუნვებს; ექვსი დაპირისპირებიდან მხოლოდ სამი რჩება: белая „თეთრი“ (სახ. ბრუნვა) ~ белую (აკუსატივი) ~ белый (დანარჩენი ბრუნვები).

14.2. როდესაც ნეიტრალიზაციის შედეგად მთლიანად იხსნება ერთი და იმავე კატეგორიის ყველა გრამემის დაპირისპირება, კატეგორიის წარმომადგენლად ერთი არქივგრამემა რჩება. მაგალითად, რუსულში ზედსართავ სახელთა მრავლობითი რიცხვის პარადიგმაში იხსნება სქესის გრამე-

მებს შორის დაპირისპირება და სქესის კატეგორიას მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესის საერთო არქივრამემა გამოხატავს: БОЛЬШИЕ СТОЛЫ „დიდი მაგიდები“, БОЛЬШИЕ КОМНАТЫ „დიდი ოთახები“, БОЛЬШИЕ ОКНА „დიდი ფანჯრები“, შდრ. БОЛЬШОЙ СТОЛ „დიდი მაგიდა“, БОЛЬШАЯ КОМНАТА „დიდი ოთახი“, БОЛЬШОЕ ОКНО „დიდი ფანჯარა“. ერთი არქივრამემით არის წარმოდგენილი ინგლისურში პირის კატეგორია ზმნის წარსული დროის ფორმებში: I walk „მე ვსეირნობ“ ~ he walks „ის სეირნობს“, მაგრამ I walked „მე ვისეირნე“ ~ he walked „მან ისეირნა“.

რამდენიმე გრამემის დაპირისპირებათა ნეიტრალიზაციის დროს ერთი და იგივე მორფი შეიძლება გამოხატავდეს რამდენიმე არქივრამემას. ეს ხდება გრამემათა ბმულ გაერთიანებაში; მაგალითად, რუსულში /-ój/ მორფი გამოხატავს ოთხი ბრუნვის გრამემების დაპირისპირებათა ნეიტრალიზაციის შედეგად მიღებულ არქივრამემას, მამრობითი და მდედრობითი სქესის არქივრამემას და მხოლოდობითი რიცხვის გრამემას: БОЛЬШОЙ СТОЛ „დიდი მაგიდა“, БОЛЬШОЙ СТЕНЫ „დიდი კედლის“, БОЛЬШОЙ СТЕНЕ „დიდ კედელს“, (на) БОЛЬШОЙ СТЕНЕ „დიდ კედელზე“, БОЛЬШОЙ СТЕНОЙ „დიდი კედლით“.

**14.3. როგორც ვხედავთ, ენის მორფოლოგიური სტრუქტურის მოდელირებისათვის აქ გამოვიყენეთ ფონოლოგიური მოდელი. მინიმალური მორფოლოგიური ერთეულებისაგან უფრო მაღალი დონის ერთეულების — მორფემების — მისაღებად ვიყენებდით ფონოლოგიურ დონეზე გამოყოფილ ერთეულთა კლასიფიკაციის მეთოდისას. მორფოლოგიური დიფერენციალური ნიშანი ერთგვარად ანალოგიურია ფონოლოგიური დიფერენციალური ნიშნისა: გრამემას, ისევე როგორც ფონემას, გარკვეულ დიფერენციალურ ნიშანთა კომბინაცია გვაძლევს. გრამემათა გაერთიანებები გამოიხატება მორფემებით — მნიშვნელობის მქონე მინიმალური ენობრივი ერთეულებით; ფონემა გამოიხატება მინიმალური ბგერითი ერთეულებით — ფონემით. მორფემები ერთიანდებიან უფრო მაღალი დონის ერთეულად, მორფემად, ისევე როგორც ფონემები — ფონემად. ამგვარად, ენის ფონოლოგიურ და მორფოლოგიურ მოდელებს შორის აშკარა პარალელიზმია. ფონოლოგიური და მორფოლოგიური დონის ძირითადი ერთეულების აღმნიშვნელი ტერმინების მსგავსებაზე უკვე გვქონდა საუბარი. ტერმინების სამეულებს: „ფონი — ალოფონი — ფონემა“, „მორფი — ალომორფი — მორფემა“ შეგვიძლია დავემატოთ ასეთი სამეულები: „ფონოლოგიური დიფერენციალური ნიშანი — ფონემა — არქიფონემა“, „მორფოლოგიური დიფერენციალური ნიშანი — გრამემა — არქივრამემა“. ამ აზრით ეს ორი სისტემა გარკვეულ იზომორფიზმს გვიჩვენებს.**

## 15. მორფემათა დისტრიბუცია. მორფემის რანგი

15.1. მორფოლოგიური ანალიზის აუცილებელი ეტაპია მორფემათა განაწილების აღწერა, სხვაგვარად, ენის სინტაგმატური სტრუქტურების შესწავლა მორფოლოგიურ დონეზე. აქაც ვლინდება პარალელურად ფონოლოგიური და მორფოლოგიური ანალიზის მეთოდებს შორის.

სხვადასხვა ენის სიტყვაფორმებში მორფემათა კომბინაციებს განსხვავებული შეზღუდვები ედება. ფონემებთან შედარებით, მორფემები მიმდევრობებში გაცილებით უფრო მკაცრად არიან განაწილებულნი. მორფემათა თანამიმდევრობის შეცვლა, როგორც წესი, მორფოლოგიური კონსტრუქციის რღვევას იწვევს. მაგალითად, *ბიჭ-ისა-თვის* ფორმაში მორფემების გადანაცვლება დაუშვებელია: არ არსებობს \**ბიჭ-თვის-ისა*, ან \**თვის-ისა-ბიჭ* და მისთ. თითოეულ მორფემას რთულ (და შედგენილ) ფორმებში სხვა მორფემების მიმართ ფიქსირებული ადგილი უჭირავს. მორფემათა რიგის დარღვევისას მთელი კონსტრუქცია იშლება. სწორედ რიგის გათვალისწინებით გამოიყოფა მორფემათა ისეთი ტიპები, როგორიც არის *პრეფიქსები*, *სუფიქსები*, *ინფიქსები* და სხვ. მორფოლოგიურ დონეზე ენის სინტაგმატიკის შესასწავლად უნდა გავარკვიოთ, თუ რომელი მორფემები კომბინირებენ ერთმანეთთან, როგორია მათი არანაყოფიერება ანუ რიგი ერთმანეთის მიმართ.

ზოგიერთ ენაში ერთსა და იმავე ფორმაში აფიქსურ მორფემათა მთელი წყებაა წარმოდგენილი, ამასთან, ყოველ აფიქსს განსაზღვრული ადგილი უჭირავს.

15.2. რთულ ენობრივ ფორმაში მორფემათა კომბინაციები შეიძლება აღიწეროს მორფემების გარკვეულ სინტაგმატურ კლასებად დაჯგუფების საფუძველზე. ასეთი კლასიფიკაცია ემყარება მორფემულ მიმდევრობებში აფიქსებისა და ძირების ურთიერთგანლაგებას. განვიხილოთ აფიქსთა კლასიფიკაცია ასეთი რიგების საფუძველზე. იმის გამო, რომ სიტყვა *რიგი* მრავალმნიშვნელობიანია, მის ნაცვლად ვინმართ ტერმინს *რანგი*

ძირეულ მორფემას მივაწერთ *ნულოვან რანგს*. *პირველი რანგის* სუფიქსებად მივიჩნევთ ისეთ მორფემებს, რომლებიც უშუალოდ მოსდევენ ძირს, ამასთან, არც ერთ მიმდევრობაში ძირსა და ამ მორფემებს შორის სხვა აფიქსები არ დასტურდება; *მეორე რანგი* მიეწერება სუფიქსებს, რომლებიც შეიძლება უშუალოდ მოსდევდნენ პირველი რანგის სუფიქსებს ან ძირს (თუ პირველი რანგის სუფიქსი ფორმაში არ არის წარმოდგენილი); ანალოგიურად, *მესამე რანგის* სუფიქსები შეიძლება უშუალოდ მოსდევდნენ ძირს (თუ ფორმაში არ არის პირველი და მეორე რანგის სუფიქსები), ან მეორე რანგის სუფიქსებს და ა.შ. ამის მსგავსად გამოიყოფა პრეფიქსულ მორფემათა რანგები; სუფიქსთა რანგებისაგან განსასხვავებ-



ლად მათ რანგობრივ მარჯვენებლებს წინ მინუსი დაემატება. ასე, მაგალითად, *მინუს პირველი რანგის* პრეფიქსებსა და ძირს შორის სხვა პრეფიქსები არ გამოვლინდება, *მინუს მეორე რანგის პრეფიქსი* შეიძლება უშუალოდ წინ უძღოდეს ძირს (თუ მინუს პირველი რანგის პრეფიქსი ფორმაში არ დასტურდება), ან უშუალოდ წინ უსწრებდეს მინუს პირველი რანგის პრეფიქსს და ა.შ.

ენობრივ ფორმაში ერთი და იმავე რანგის მხოლოდ ერთი აფიქსი შეიძლება შეგვხვდეს. თუ ანალიზის გარკვეულ ეტაპზე აღმოჩნდება, რომ ისეთი ორი აფიქსი, რომლებიც ერთი და იმავე რანგის აფიქსებად მივიჩნით, ერთსა და იმავე ფორმაში გარკვეული თანამიმდევრობით ვლინდება, ადრინდელი კლასიფიკაციის გადასინჯვა მოგვიწევს. ასეთ შემთხვევაში ამ ორი აფიქსიდან ის, რომელიც ძირისაგან უფრო შორს არის, მომდევნო რანგის აფიქსებთან შეიძლება გაერთიანდეს, თუ იგი მათთან ერთსა და იმავე ფორმაში არ დასტურდება; წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გავზარდოთ რანგების რაოდენობა — ასეთი აფიქსისათვის ახალი რანგი შემოვიტანოთ. ამგვარად, აფიქსთა რანგი არის ურთიერთგამომრიცხავ მორფემათა კლასი, რომლის გამოყოფას საფუძვლად უდევს სიტყვაფორმებში აფიქსების წრფივი განლაგება.

### 15.3. მოვიყვანოთ მარტივი მაგალითი ქართულიდან.

არსებით სახელთა სუფიქსები შეიძლება წარმოვადგინოთ რანგების შემდეგი მიმდევრობის სახით (სუფიქსს ფრჩხილებში მივუწეროთ სათანადო რანგობრივ მახასიათებელს):

ძირი: {ქალ-}(Ø); +სუფიქსები: {-ურ}(1) → /ქალ-ურ-/: {-ობა}(2) → /ქალ-ურ-ობა/; {-ი}, {-მა}, {-ს}, {-ის}, {-ით}, {-ად}, {-ო} (3) → /ქალ-ურ-ობ-ის/; {-თან}, {-გან}, {-თვის} (4) → /ქალ-ურ-ობ-ის-თვის/, /ქალ-ურ-ობა-ს-თან/ და სხვ.

აქ მორფემათა რანგობრივი ანალიზი ძალზე გამარტივებული სახით არის წარმოდგენილი. ამ მოდელის — ე.წ. *რანგების გრამატიკის* — ზოგიერთი მოდიფიკაციის საშუალებით უფექტურად აღიწერება ისეთ ენათა მორფოლოგიური სტრუქტურა, რომლებშიც მრავალმორფემიანი მიმდევრობები დასტურდება.

## 16. გამონათქვამის სეგმენტაცია მორფებად. ფორმათა კვადრატები

16.1. საგანგებოდ განვიხილოთ გამონათქვამის მორფებად დაშლის საკითხი.

გამონათქვამის მორფებად სეგმენტაციისას უნდა დავიცვათ შემდეგი პირობები: გამოყოფილი ერთეულები, განსაზღვრების თანახმად, მნიშვნელობის მატარებელ უმცირეს ელემენტებს უნდა წარმოადგენდნენ; გამოყოფილი სეგმენტების მნიშვნელობა უნდა შეესაბამებოდეს იმ მნიშვნელობას, რომელიც სათანადო დაუსლელ გამონათქვამებს აქვთ. მაგალითად, თუ ქართულ მიმდევრობაში *ხარ* (მაგალითად, გამონათქვამში *შენ ხარ*) /-არ/ სეგმენტს გამოვყოფთ და მას, ვთქვათ, უარყოფის გამომხატველ *არ(ა)* მორფებად ჩავთვლით, მაშინ ამ მორფემას განსახილველ ფორმასთან შინაარსის თვალსაზრისით არაფერი ექნება საერთო.

სეგმენტაციის შემდეგ თითოეული ფონემა აუცილებლად უნდა განეკუთვნებოდეს ერთ რომელიმე მორფს და არ შედიოდეს ერთზე მეტი მორფის შემადგენლობაში. სიტყვის საზღვრები ამავე დროს მორფის საზღვრებს ემთხვევა, მაგრამ არა აუცილებლად პირუკუ, ე.ი. ყოველი სიტყვაფორმა შედგება ერთი ან რამდენიმე მორფისაგან.

მორფემული ანალიზის დროს გადასაჭრელია სამი ძირითადი პრობლემა: გამონათქვამებში მორფების რაოდენობის დადგენა ანუ მორფების განსაზღვრის პრობლემა; თითოეული ფონემის მიკუთვნება ერთი გარკვეული მორფისადმი ანუ მორფთა საზღვრების პრობლემა; მორფების გაერთიანება მორფებად ანუ მორფემის დადგენის პრობლემა. აქამდე ძირითადად მესამე პრობლემის გადაჭრას ვუთმობდით ყურადღებას, ამასთან ვგულისხმობდით, რომ გამონათქვამების სეგმენტაცია უკვე გვქონდა ჩატარებული. ახლა პირველ ორ პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებს განვიხილავთ.

16.2. გამონათქვამების მორფებად დაშლისათვის უნდა ჩავატაროთ ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული ოპერაციები. ვიტყვით, რომ მოცემულია *ფორმათა კვადრატები* ან, მარტივად, *კვადრატები*, თუ ენაში არსებობს ოთხი გამონათქვამი (სიტყვა), რომელთაც აქვთ  $AC : BC :: AD : BD$  ფორმა ( $A, B, C, D$  სიმბოლოებით აღნიშნულია გამონათქვამის შემადგენელი ანუ იმ მნიშვნელობის გამომხატველი სეგმენტები. მაგალითად, ასეთი *კვადრატია* ქართულში *კაცი : ქალი :: კაცს : ქალს*, სადაც  $A$  არის *კაც*,  $B$  არის *ქალ*,  $C$  არის *-ა*, ხოლო  $D$  არის *-ს*. კვადრატის ერთ-ერთი კომპონენტი შეიძლება ნულოვანიც იყოს. მაგალითად, *მთა : კლდე :: მთა-ს : კლდე-ს* კვადრატში  $C$  ნულია. შეგვეძლო იგივე სხვა-

გვარად დაგვეწერა — *მთა : მთა-ს :: კლდე : კლდე-ს*, ე.ი.  $AC : AD :: BC : BD$ .

თუ არსებობს ფორმათა კვადრატი, შეგვიძლია ამ საფუძველზე დავყოთ მოცემული გამონათქვამები ნაწილებად, ჩვენს შემთხვევაში — *კაც-ქალ-*, *-ი*, *-ს* მორფებად — იმ პირობით, რომ გამოყოფის შედეგად მიღებული მორფების მნიშვნელობა გარკვეული აზრით შეესაბამებოდეს დაუშლელი გამონათქვამების მნიშვნელობას. ეს მოთხოვნა საჭიროა იმისათვის, რომ არ მოხდეს, მაგალითად, ასეთი დაშლა: *სახელი : ხელი :: საწნები : წნება*, სადაც თითქოს გამოიყოფა *სა-* მორფი, მაგრამ ეს ფორმები კვადრატს არ ქმნიან; *სახელი : ხელი* შეფარდება არ არის  $AC:BC$  ტიპისა, რასაც ცხადად გვიჩვენებს ამ ფორმათა მნიშვნელობა. *სახელ-* დაუშლელი მორფია და მისი  $AC$  სახით, ანუ ორი მორფის სახით, წარმოდგენა არ არის მართებული.

სემანტიკური შესაბამისობის შემოწმებაში ზოგჯერ გვეხმარება ფორმათა სხვა ენაზე თარგმნა. თუ თარგმნის შედეგად კვადრატს მივიღებთ, ეს კარგი საბუთი იქნება იმისა, რომ განსახილველი ფორმებიც კვადრატს ქმნიან. ასე, მაგალითად, *ორმო : ორმოს :: კლდე : კლდეს* კვადრატის რუსულად თარგმნისას ისევ კვადრატი მიიღება — *яма : яме :: скала : скале*.

თუ გამონათქვამებს მხოლოდ ორი ფორმის საფუძველზე დავშლით, შეიძლება შევცდეთ და დაუშლადი ერთეულების სეგმენტაცია მოვახდინოთ. მაგალითად, *კაცი-ი* ფორმასთან შედარების საფუძველზე შეიძლება დავშალოთ *გიორგი* ფორმაც, მაგრამ თუ კვადრატის შედგენას ვეცდებით, დავინახავთ, რომ ეს ფორმები  $AC:BC::AD:BD$  ტიპის კვადრატს არ ქმნიან: არა გვაქვს *კაცი : გიორგი :: კაცს : \*გიორგს*, *გიორგი* კვადრატს ქმნის ისეთ ფორმებთან, როგორიც არის *მამა, კლდე* და სხვ. — *მამა : გიორგი :: მამამ : გიორგიმ*, სადაც  $A$  არის *მამა*,  $B$  არის *გიორგი*,  $C$  არის *ნული*, ხოლო  $D$  არის *-მ*. საკმაოდ გავრცელებული შეცდომები — *ჰელსინკში, დელში, ჩილში, ტაქსში* და მისთ. — არასწორი დაშლის შედეგია; *ჰელსინკი, დელი, ჩილე, ტაქსი* ფორმები *კაც-ი, სახლ-ი* ტიპის ფორმების ანალოგიით არასწორად არის მიჩნეული ორმორფიან მიმდევრობებად: *\*ჰელსინკ-ი, \*დელ-ი, \*ჩილ-ე, \*ტაქს-ი* მაშინ როდესაც სინამდვილეში ისინი ქმნიან კვადრატს *მამა, კლდე, გიორგი, ირაკლი* ტიპის ფორმებთან.

16.3. ბვადრატი სანდო საფუძველია მორფთა გამოყოფისათვის, მაგრამ ეს პირობა ძალიან მკაცრია და ხშირ შემთხვევაში ვერ სრულდება. გამონათქვამების მორფებად დაშლის ფარგლებს გაფართოება შეიძლება კვადრატის მოდიფიცირების გზით. ყიტყვით, რომ კვადრატის წევრად გვევლინება ფონემათა გარკვეული მიმდევრობა ისეთ ფორმაშიც, რომე-

ლიც ქმნის არა კვადრატს, არამედ *კვადრატის გავრცობილ სახეობას*, თუ: 1. მასში ფონემათა იგივე მიმდევრობაა და 2. მას იგივე მნიშვნელობა აქვს. ასეთი მიმდევრობის გამოყოფის შედეგად დარჩენილი ნაწილიც მორფია. მაგალითად, ინგლისური huckleberry „მოცვი“ ფორმა არ ქმნის კვადრატს, მაგრამ მასში გამოიყოფა berry მიმდევრობა, რომელიც სხვა ფორმებთან ქმნის კვადრატს და, ამასთან, berry ნაწილს huckleberry ფორმაში დაახლოებით იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ცალკე აღებულს. berry მორფის გამოყოფის შემდეგ რჩება huckle ნაწილი, რომელიც აგრეთვე მორფად ჩაითვლება, თუმცა იგი დამოუკიდებლად არ დასტურდება კვადრატში. შდრ. ქართულში ისეთი ფორმები, როგორიც არის *დედამთილი*, *მამამთილი*, რომლებიც ასევე *კვადრატის გავრცობილ სახეობას* ქმნიან, სადაც გამოიყოფა -*მთილ*- მორფი.

**16.4.** შენაცვლებით გამოხატული პარადიგმატული დაპირისპირების შემთხვევაში ძირისა და ფლექსიური მაჩვენებლის გამოსაყოფად მიზანშეწონილია შემნაცვლებელს მორფის სტატუსი მივანიჭოთ. ამ შემთხვევის გათვალისწინებით შემოვიტანთ *ფორმალურად დეფექტური კვადრატის* ცნებას. მაგალითად, ინგლ. man „კაცი“ ~ men „კაცები“ ტიპის ფორმები ქმნიან ფორმალურად დეფექტურ კვადრატს, რომლის ელემენტებს შორის შინაარსობრივი დაპირისპირება ისეთივეა, როგორიც  $AC : BC :: AD : BD$  ტიპის კვადრატში ანუ *სრულყოფილ კვადრატში* (ამ შემთხვევაში — მხოლოდითი რიცხვი ~ მრავლობითი რიცხვი) და ელემენტთა მეორე წყვილი სხვა ფორმებთან კვადრატს ქმნის. მორფებს ასეთ შემთხვევაშიც გამოვყოფთ, შდრ. მაგალითად, ინგლ. man „კაცი“ : men „კაცები“ : boy „ბიჭი“ : boys „ბიჭები“ და boy : boys :: girl „გოგო“ : girls „გოგოები“ ; ასევე, ინგლ. walks „სეირნობს“ : looks „უყურებს“ : : walked „ისეირნა“ : looked „შეხედა“. ამ კვადრატში გამოიყოფა walk, look, -s და -ed მორფები, ხოლო walks „სეირნობს“ : cuts „ჭრის“ : : walked „ისეირნა“ : cut „გაჭრა“ კვადრატში — walk, cut, -s, -ed და  $\emptyset$  მორფები. როგორც ვხედავთ, ფორმალურად დეფექტურ კვადრატში მორფების გამოყოფისას ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე მორფებს შორის ფონეტიკური მსგავსების მოთხოვნა არა გვაქვს.

$AC : AD :: BC : BD$  ტიპის დეფექტური კვადრატების შემთხვევაში არსებობს კიდევ ერთი მოთხოვნა: წყვილთა პირველი წევრები არ შეიძლება გამონათქვამებში შეენაცვლოს მეორე წევრებს, და პირუკუ. მაგალითად, ინგლისურში this — is good „ეს — კარგია“ გარემოცვაში შეიძლება წარმოვადგინოთ man : men : : boy : boys კვადრატის წყვილთა მხოლოდ პირველი წევრები, ე.ი. man და boy, ხოლო these — are good „ესენი — არიან კარგ(ებ)ი“ გარემოცვაში შეიძლება წარმოვადგინოთ

მხოლოდ მეორე წევრები, ე.ი. men და boys. ამ შეზღუდვის არსებობის გამო ფორმალურად დეფექტური კვადრატი მხოლოდ ფლექსიური პარადიგმის წევრებმა შეიძლება შექმნან. დერივაციული პარადიგმის წევრებზე მისი განვრცობა სრულიად მსუღებელ დაშლას გვაძლევს. მაგალითად, ინგლისურში bull „სარი“ : cow „ძროხა“ : : lion „ლომი (ხვადი)“ : lioness „ლომი (ძუ)“ და king „მეფე“ : queen „დედოფალი“ : : prince „უფლისწული“ : princess „მეფის ასული“ კვადრატებიდან მივიღებდით bull ~ cow და king ~ queen დაპირისპირებებს, რომელთა წევრებს შორის, მართალია, არსებობს სქესის მხედვეთ ომოზიცია, მაგრამ არა მორფოლოგიის, არამედ ლექსიკის დონეზე.

მორფოლოგიურ ანალიზს ექვემდებარება ისეთი ფორმები, როგორც არის ინგლისური lion : lioness : : tiger „ვეფხვი“ (ხვადი) : tigress „ვეფხვი (ძუ)“, ასევე რუსული лев „ლომი (ხვადი)“ : львица „ლომი (ძუ)“ : : волк „მგელი (ხვადი)“ : : волчица „მგელი (ძუ)“. ეს სიტყვები დაიშლება მორფებად, მაგრამ ისინი ქმნიან არა დეფექტურ, არამედ სრულყოფილ კვადრატებს, რომლებზეც ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება.

**16.5.** მნიშვნელობის ფაქტორის გაუთვალისწინებლობის შედეგია *სემანტიკურად დეფექტური კვადრატის* დაშვება. ფორმალურად ეს AC : BC :: AD : BD ტიპის კვადრატია, მაგრამ გამოყოფილი სემენტების მნიშვნელობა გაურკვეველია. მაგალითად, რუსული поднял „ასწია“ : разнял „განაცალკევა“ : : подбавил „დაუმატა“ : разбавил „გააზავა (სითხე)“ კვადრატში გამოიყოფა под-, раз-, -нял, -бавил სემენტები, რომელთა მნიშვნელობები არ არის ცხადი. ზემოთ ითქვა, რომ გამოყოფილი მორფების მნიშვნელობა უნდა შეესაბამებოდეს დაუშლელი გამონათქვამის მნიშვნელობას, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ამგვარი შესაბამისობის დადგენა ჭირს.

აქ განხილული კრიტერიუმებიდან პირველი კრიტერიუმი მისაღებია მკვლევართა უმრავლესობისათვის, ხოლო დანარჩენების შემოტანის აუცილებლობა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

**16.6.** მორფემული ანალიზის ძირითადი პრობლემაა, როგორც ითქვა, მორფთაშორისი საზღვრების დადგენა. *კვადრატის* შემთხვევაში ეს თითქოს არ წარმოადგენს სირთულეს — თითოეული სემენტური ფონემა ცალსახად მიეკუთვნება ერთ-ერთ სემენტს — A-ს, B-ს, C-ს ან D-ს. ამგვარ სემენტაციას თვითონ კვადრატის არსებობა განაპირობებს. უნდა აღინიშნოს, რომ წყვეტილი მორფების შემცველი ფორმებიც ქმნიან კვადრატებს და ასეთ შემთხვევაშიც ადვილად გამოიყოფა ოთხი სემენტი. მაგალითად, არაბულში daraba „დაარტყა“ : katala „მოკლა“ : :

duriba „მას დაარტყეს“: kutila „მოკლულ იქნა“ კვადრატში *A* არის *d-r-b*, *B* არის *k-t-l*, *C* არის *a-a-a*, ხოლო *D* არის *-u-i-a*.

ამავე დროს, მხოლოდ კვადრატის არსებობა ერთმნიშვნელოვნად ვერ განსაზღვრავს მორფთაშორის საზღვრებს. მაგალითად, რუსულ *ку-шать* „ჭამა“ : *слушать* „მოსმენა“ : : *кушаю* „ვჭამ“ : *слушаю* „ვისმენ“ კვადრატში გაურკვეველია, სად გადის მორფების საზღვრები. *A* შეიძლება იყოს *к, ку, куш* ან *куша*, ასევე *B* შეიძლება იყოს *сл, слу, слуш* ან *слуша* და, შესაბამისად, *C* — *ушать, шать, ать, ть*, *D* კი *ушать, шаю, аю, ю*.

მორფთაშორისი საზღვრების ცალსახად დადგენის მიზნით შეიძლება წარმოვადგინოთ კვადრატების სერიები. შევადგინოთ ტაბულა, რომელიც აერთიანებს კვადრატებს შემდეგნაირად: ერთი და იმავე სვეტიდან აღებული ყოველი ორი ფორმა ქმნის კვადრატს სხვა სვეტის იმავე რიგებიდან აღებულ ორ ფორმასთან. მაგალითად:

<i>ქალი</i>	<i>ქალმა</i>	<i>ქალს</i>	<i>ქალის</i>
<i>კაცი</i>	<i>კაცმა</i>	<i>კაცს</i>	<i>კაცის</i>
<i>ძალი</i>	<i>ძალმა</i>	<i>ძალს</i>	<i>ძალის</i>
<i>ბალი</i>	<i>ბალმა</i>	<i>ბალს</i>	<i>ბლის</i>
<i>სახლი</i>	<i>სახლმა</i>	<i>სახლს</i>	<i>სახლის</i>
<i>ნიორი</i>	<i>ნიორმა</i>	<i>ნიორს</i>	<i>ნიორის</i>

ჩამოვყალიბოთ წესები, რომლებიც დაგვეხმარება მორფთაშორისი საზღვრების დადგენაში:

1. ფონემა, რომელიც ეკუთვნის მხოლოდ რიგს, მაგრამ არა სვეტის ფონემურად საერთო ნაწილს, განეკუთვნება ამ რიგის ფორმათა თავიკიდურ მორფს; 2. ფონემა, რომელიც ეკუთვნის მხოლოდ სვეტს, მაგრამ არა რიგის ფონემურ საერთო ნაწილს, განეკუთვნება ამ სვეტის ფორმათა ბოლოკიდურ მორფს; 3. თუ ფონემა ეკუთვნის როგორც სვეტს, ისე რიგს ფონემურად საერთო ნაწილებს, იგი არც ერთ მორფს არ განეკუთვნება, ეს არის ე.წ. *მართებელი ფონემა*; 4. ფონემა, რომელიც არ შედის არც სვეტის და არც რიგის ფონემურად საერთო ნაწილში, „წყვეტის“ თავიდან ასაცილებლად შეიძლება მივაკუთვნოთ გარკვეულ მორფს, თუ ეს ფონემა გარემოცულია მოცემული მორფისათვის უკვე მიკუთვნებული ფონემებით.

ფონემურად საერთო ნაწილი ზოგჯერ მოიცავს არა მთელ სვეტს ან რიგს, არამედ მათი ფორმების უმრავლესობას. ასეთ შემთხვევაში ისევე ვიქცევით, როგორც მაშინ, როდესაც მოცემული ფონემა მთელი რიგის ან სვეტის საერთო ნაწილში შედის.

ამ წესების თანახმად, რიგებში საერთო ნაწილების გამოყოფის შედეგად ზემოთ მოყვანილ სერიაში მივიღებთ /ქალ-/ , /კაც-/ , /ძაღვ-/ , /სახლ-/ თავკიდურ მორფებს; აგრეთვე /ბაღ--ბღ-/ და /ნიორ--ნიგრ-/ თავკიდურ მორფებს, რომლებიც ნაწილობრივ საერთოა რიგისათვის (*ნიგრის* ფორმაში /ვ/ ფონემა თავკიდურ მორფში შევა, რადგან გარემოცულია ამ მორფისათვის უკვე მიკუთვნებული ფონემებით); სვეტებში მივიღებთ /-ი/, /-მა/, /-ს/, /-ის/ ბოლოკიდურ მორფებს.

იგივე წესები მოქმედებს კვადრატის გავრცობილ ფორმასა და დეფექტურ კვადრატებში. ასე მიღებული ერთეულები შეიძლება არ დაემთხვეს მორფემული ანალიზის ექვსი პრინციპის გატარების შედეგად მიღებულ ერთეულებს, რადგან აქ აღწერილი წესების მიხედვით ყოველი ფონემა აუცილებლად უნდა ეკუთვნოდეს რომელიმე ერთ მორფს. შეიძლება შევცვალოთ ეს პირობა — მოვითხოვოთ, რომ ფონემა ეკუთვნოდეს მორფთა მოცემულ მიმდევრობას და არა ერთ რომელიმე მორფს. მაშინ, მაგალითად, ინგლისურ *men* „კაცები“ ფორმას განვიხილავთ როგორც „*man* + მრავლობითი რიცხვი“ მიმდევრობას, იმის განსაზღვრის გარეშე, თუ რა ფონემები რომელ მორფებს განეკუთვნება. ამგვარი მიდგომის დროს შეიძლება შემნაცვლებელი მორფის დაშვება. თუ თითოეული სვეტის ყველა ფორმას წარმოვადგენთ როგორც სხვა სვეტის გარკვეულ ფორმათა ისეთ გარდაქმნას, რომლის შედეგად ამ სვეტის ყოველ ელემენტს ცალსახად შევუსაბამებთ იმავე რიგის სხვა სვეტის ელემენტს და მივიჩნევთ მას ასეთი გარდაქმნის შედეგად მიღებულად, მოიხსნება ყოველი ფონემის რომელიმე ერთი მორფისათვის მიკუთვნების საკითხი. მაგალითად, თუ ერთ სვეტში გაერთიანებულია ინგლისურ არსებით სახელთა მხოლობითი რიცხვის ყველა ფორმა, ხოლო მეორე სვეტში — მრავლობითი რიცხვის ყველა ფორმა, ეს სვეტები იზომორფულ სისტემებად ჩაითვლება და გარკვეული გარდაქმნის შედეგად მეორე სვეტის ყოველი ფორმა შეიძლება მივიღოთ პირველი სვეტის იმავე რიგის ფორმისაგან. ასე, *men* „კაცები“ წარმოგვიდგება როგორც *man* „კაცი“ ფორმიდან მიღებული გარდაქმნის შედეგად *man* + მრავლობითი რიცხვი → *men*.

## 17. სიტყვის ოპერაციული განსაზღვრა

17.1. *ქვადრატის* საშუალებით ანალიზის დროს ამოსავალ ერთეულებად აღებული გვქონდა სიტყვები. ჩვენი ამოცანა იყო, დაგვეყო სიტყვა მორფებად, ე.ი. დაგვედგინა, თუ რამდენი მორფი შედის მოცემულ ამოსავალ ერთეულში. მორფემული ანალიზის განხილული მეთოდი იძლევა გამონათქვამთა სემანტიკის შესაძლებლობას სიტყვის, როგორც ლინგვისტური ერთეულის, წინასწარი განსაზღვრის გარეშე. მართლაც,

ყოქვათ, გვაქვს გამონათქვამები, რომელთა მიმართ ვგულისხმობთ, რომ ისინი სასრული რაოდენობის სიტყვებისაგან შედგება. ვინაიდან ცნობილია, რომ გამონათქვამების საზღვრები ემთხვევა სიტყვათა საზღვრებს, ხოლო ეს უკანასკნელნი — მორფების საზღვრებს. შეგვიძლია მოცემული გამონათქვამები მივიჩნიოთ ამოსაყვალ ერთეულებად. მაგალითად, გამონათქვამები *დიდი სახლი : ლამაზი სახლი : : დიდი ოთახი : ლამაზი ოთახი* ქმნიან კვადრატს, რომლის საფუძველზე გამოიყოფა სეგმენტები *დიდი, ლამაზი, სახლი, ოთახი* ამ სეგმენტებიდან თითოეული, თავის მხრივ, კვადრატს ქმნის; გამოიყოფა უფრო მცირე სეგმენტები: *დიდი-*, *ლამაზ-*, *სახლ-*, *ოთახ-* და *-ი* ასეთი თანმიმდევრული პროცედურის შედეგად ნებისმიერი სიგრძის გამონათქვამი შეგვიძლია დავშალოთ მორფებად, მაგრამ, სანამ სიტყვას არ განვსაზღვრავთ, ვერ ვიტყვი, თუ რამდენი სიტყვისაგან შედგება ესა თუ ის გამონათქვამი. ამგვარი დაშლის გარკვეულ ეტაპზე, უეჭველია, ვღებულობთ მორფების გარკვეულ მიმდევრობას, რომელიც სიტყვას (სიტყვაფორმას) წარმოადგენს, მაგრამ ვერ დავადგენთ, თუ რომელ საფეხურზე ხდება ეს. მაშასადამე, „მორფისა“ და „მორფემის“ ცნებები განისაზღვრება „სიტყვის“ ცნების განსაზღვრის გარეშე.

**17.2.** მიუხედავად იმისა, რომ ენობრივი ერთეული, რომელსაც „სიტყვას“ ვუწოდებთ, არა მარტო ლინგვისტიკის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა, არამედ სხვა მეცნიერულ დისციპლინებშიც გამოიყენება, მისი საყოველთაოდ მიღებული და ცალსახა დეფინიცია დღემდე არ არსებობს.

სიტყვა (სიტყვაფორმა) შეიძლება განისაზღვროს ფონოლოგიურად იმ ენებში, სადაც სიტყვათმახვილი ფიქსირებულია; მაგალითად, ჩეხურში სიტყვა განიხილება როგორც ფონემური მიმდევრობა მახვილით თავკიდურ მარცვალზე, ფრანგულში — ბოლოკიდურ მარცვალზე და სხვ. მაგრამ მახვილის ადგილის დასადგენად, თავის მხრივ, სიტყვის საზღვრების ცოდნაა საჭირო.

სიტყვის სხვა განსაზღვრებები ეფუძნება მნიშვნელობის მატარებელ ერთეულთა დისტრიბუციულ ანალიზს; მაგალითად, სიტყვა განისაზღვრება როგორც *მინიმალური თავისუფალი ფორმა (ლეონარდ ბლუმფილდი)*. ქვემოთ მოგვყავს დეფინიცია, რომელიც საფუძვლად უდევს სიტყვის გამოყოფას გარკვეული ოპერაციების ჩატარების შედეგად (*ჯოზეფ გრინბერგი*).

როგორც აღვნიშნეთ, ყოველი სიტყვის (სიტყვაფორმის) საზღვრები მორფის საზღვრებიც არის. ამავე დროს იგულისხმება, რომ ნებისმიერი გამონათქვამი შეიძლება დაიყოს სასრული რაოდენობის სიტყვებად და ყოველი ფონემა აუცილებლად შევა რომელიმე ერთ სიტყვაში; სიტყვის ფარგლებს გარეთ არ დარჩება არც ერთი ფონემა. გარდა ამისა, ერთი



და იმავე სიტყვის ფარგლებში შემაჯავალი მორფები უფრო მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, ვიდრე სხვადასხვა სიტყვის ურთიერთმომიჯნავე მორფები — ამას სიტყვის *მორფული უწყვეტობის თვისება* ეწოდება. მაშასადამე, სიტყვა არის მორფთა მიმდევრობა, რომელშიც არ ჩაისძის მორფების სხვა მიმდევრობა. ენტროპია (განუზღვრელობა) სიტყვებს შორის მონაკვეთში უფრო დიდია, ვიდრე სიტყვის შიგნით.

ზემოთქმულიდან ჩანს, თუ რა მონაცემებს უნდა ემყარებოდეს სიტყვის, როგორც ენობრივი ერთეულის, გამოყოფა და დეფინიცია; უნდა მოიძებნოს მორფთა ისეთი მიმდევრობები, რომელთა საზღვარზე შეიძლება უამრავი სხვა მიმდევრობის ჩასმა — ასეთი საზღვარი სიტყვათშორისი საზღვარი იქნება. იქ, სადაც ასეთი ჩასმები დაუშვებელია, გვექნება არა სიტყვათშორისი, არამედ მორფთაშორისი საზღვარი (სიტყვის ფარგლებში).

**17.3.** ზემოთ უკვე გვექონდა შესჯელობა გრამატიკულად ეკვივალენტურ თავისუფალ ფორმებზე. *გრამატიკულად ეკვივალენტურ მორფთა კლასი* ვუწოდოთ ისეთი მორფების სიმრავლეს, რომლებიც ურთიერთშენაცვლებადია ნებისმიერ გამონათქვამში; მაშასადამე, მორფთა ამგვარი კლასის ერთი წევრის ნაცვლად მეორის ჩასმისას კონსტრუქციის ფორმალური სტრუქტურა არ ირღვევა. გავიხსენოთ აგრეთვე ელემენტთა კონტექსტური კლასის ცნება — p და q ელემენტები საერთო კონტექსტურ კლასს განეკუთვნება, თუ გამოსახულებაში მათი ურთიერთშენაცვლების შედეგად ამავე სისტემის გამოსახულება მიიღება. *კონტექსტური კლასის* ცნება უფრო ფართოა, ვიდრე *გრამატიკულად ეკვივალენტურ მორფთა კლასის* ცნება, რადგან პირველი არ გულისხმობს ელემენტების ურთიერთშენაცვლებადობას სისტემის ნებისმიერ გამოსახულებაში.

თუ მორფთა მიმდევრობა საერთო კონტექსტურ კლასს ქმნის ისეთ ცალ მორფთან, რომელიც არ არის ამ მიმდევრობაში შემაჯავალი მორფების ეკვივალენტური, მას *თემატური* (ბერძნ. *théma* „საფუძველი“) *მიმდევრობა* ეწოდება. ჩვეულებრივ, ასეთია დერივაციული კონსტრუქციები. მაგალითად, *კაც-ურ-* არ არის არც *კაც-* მორფისა და არც *-ურ* მორფის ეკვივალენტური, ამიტომ ის თემატური მიმდევრობაა. ეკვივალენტურ მორფთა კლასის განსაზღვრული წევრი შეიძლება გაიშალოს ან არ გაიშალოს თემატურ მიმდევრობად. მაგალითად, *კაც-* მორფი საერთო კლასს ქმნის *ქალ-*, *ბიჭ-*, *ბაყშე-* და მრავალ სხვა მორფთან, იგი შეიძლება გაიშალოს *კაც-ურ-*, *არა-კაც-ურ-* და სხვა თემატურ მიმდევრობებად, ხოლო *-ურ* ვერ გაიშლება თემატურ მიმდევრობად.

ვუწოდოთ *ბაზა* ისეთ თემატურ მიმდევრობას ან ცალ მორფს, რომელიც არ შედის სხვა თემატურ მიმდევრობაში.

ახლა შეგვიძლია განვსაზღვროთ სიტყვის საზღვრები.

თუ არსებობს ისეთი ბაზების მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჩაერთოს მოცემულ ბაზებს შორის საზღვარზე, მაშინ საქმე გვაქვს მორფთაშორის საზღვართან სიტყვის ფარგლებში; თუ ასეთი ჩართვების რიცხვი პრაქტიკულად უსასრულოა, მაშინ ბაზებს შორის საზღვარი სიტყვათშორისი საზღვარია (იგულისხმება, რომ ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება უსასრულოდ ვიმეოროთ). სიტყვის ფარგლებში ჩართვები უფრო სწორად საერთოდ დაუშვებელია.

ვთქვათ, გვაქვს ასეთი წინადადება: *ეს არაკაცური საქციელია*. აქ ათი მორფია, რომელთაგან *არაკაცურ-* და *საქციელ-* ქმნიან თემატურ მიმდევრობებს — ისინი შეიძლება შევანაცვლოთ, მაგალითად, *ცუდ-* და *ცარც-* მორფებით შესაბამისად. გამონათქვამის თაფი და ბოლო, განსაზღვრების თანახმად, სიტყვის თაფი და ბოლოა. გვრჩება შემდეგი საზღვრები ბაზებს შორის: *ეს-არაკაცურ-ი- საქციელ-ი-ა*. პირველ საზღვარზე შეგვიძლია უსასრულო რაოდენობის ბაზების ჩასმა — თუნდაც *ძალიან* მორფის უსასრულო გამოვლენებით. მაშასადამე, აქ სიტყვათშორისი საზღვარი გვაქვს და *ეს* მორფი სიტყვას წარმოადგენს. მეორე საზღვარზე ჩასმები საერთოდ დაუშვებელია, ე.ი. აქ სიტყვაში შემავალი საზღვარი გვაქვს. უნდა აღვნიშნოთ, რომ იკრძალება ისეთი ჩასმა, რომლის შედეგადაც ჩასმული მორფების წინ და მომდევნოდ წარმოდგენილი მორფები სხვა კლასში ექცევა. მაგალითად, *არაკაცურ-* მიმდევრობის შემდეგ არ შეიძლება ჩავსვათ ... *-ად სასტიკი, უზნეო, საზიზღარ-* მიმდევრობა, რადგან ასეთ შემთხვევაში *-ურ* მორფი გრამატიკულად ეკვივალენტურ მორფთა სხვა კლასის წევრად წარმოგვიდგება: *-ად და-ერთვის არა მარტო -ურ* სუფიქსით გაფორმებულ, არამედ სხვა ზედსართავ სახელებსაც — *ცუდად, აგდებულად, დედობრივად* და სხვ. *არაკაცური* ფორმის შემდეგ გვაქვს სიტყვათშორისი საზღვარი, რადგან იქ შეიძლება ჩავსვათ, მაგალითად, ... *და ძვენი, უზნეო* ... — უსასრულოდ ბევრი ბაზა. ანალოგიური პროცედურით დაფადგენთ, რომ მიმდევრობა *საქციელია* სიტყვას წარმოადგენს.

იმ შემთხვევაში, როდესაც მორფთა საზღვარზე ფონემების შერწყმის შედეგად სხვა ფონემა მიიღება, ეს უკანასკნელი მიეწერება წინამაგვალ ან მომდევნო მორფს. ასეთი ფონემა შეიძლება აგრეთვე დიფერენციალურ ნიშნებად დავშალოთ და გარკვეული ნიშნები წინამაგვალ მორფს მივაწეროთ, სხვები კი — მომდევნოს. მაგალითად, ძველ ინდურში (სანსკრიტში) სიტყვათა საზღვარზე /ā/ და /u/ ფონემების შერწყმის შედეგად წარმოიქმნება /o/ ფონემა: *sā uvāca > sovāca* „მან (ქალმა) თქვა“; /o/ შეიძლება ნებისმიერად მივაწეროთ ერთ-ერთს ამ სიტყვებიდან.

ამგვარად, გამონათქვამებში გამოვყავით გარკვეული ტიპის საზღვრები და მათ შორის მოთავსებულ მონაკვეთს *სიტყვა* ვუწოდეთ. ასე

განსაზღვრული სიტყვა (სიტყვაფორმა) ემთხვევა იმ ერთეულს, რომელსაც ინტუიციურად გამოვყოფთ.

## 18. ენობრივი ფორმის უშუალო შემადგენლები

18.1. მორფემათა კლასები შეიძლება გამოიყოს იმ გარემოცვათა საფუძველზე, რომლებშიც ეს მორფემები ვლინდება. მაგალითად, ქართულში მრავლობითი რიცხვის გამომსატველი {-ებ} მორფემის წინ შეიძლება შეგვსდეს *ბიჭ-*, *სახლ-*, *ხელ-* და სხვა მორფემები, რომლებიც გაერთიანდება მორფემათა საერთო კონტექსტურ კლასში; ეს კლასი იქნება განსვავებული *კეთ-*, *ცხელ-*, *შენ-* და სხვა მორფემათა კლასებისაგან, რადგან ისინი გვსდება არა მრავლობითი რიცხვის მანიჭებლის, არამედ სხვა, მისი ჰომოფონური -ებ სუფიქსის წინ. ამ კლასში არ შევა არც *აგადმოყოფ-*, *მშენებელ-*, *ორცსობილ-* მიმდევრობები, რომლებიც, მართალია, მრავლობითი რიცხვის გამომსატველი {-ებ} მორფემის წინ დასტურდებიან, მაგრამ ერთზე მეტ მორფემას შეიცავენ.

ზოგადად: A მორფემა განეკუთვნება *მორფემათა კონტექსტურ კლასს* ან, მარტივად, *მორფემულ კლასს*, რომელიც განისაზღვრება ( )X გარემოცვით, თუ AX არის გამონათქვამი ან მისი ნაწილი. მაშასადამე, მორფემულ კლასს შეადგენენ მოცემულ გარემოცვაში ურთიერთშენაცვლებადი მორფემები.

მორფემათა გარკვეული მიმდევრობა განეკუთვნება *მორფემულ მიმდევრობათა კლასს*, რომელიც შემდეგნაირად განისაზღვრება: ეს არის ყველა ისეთი მიმდევრობის სიმრავლე, რომელთა პირველი მორფემა განეკუთვნება იმავე მორფემულ კლასს, რომელსაც მოცემული მიმდევრობის პირველი მორფემა, მეორე — იმავე მორფემულ კლასს, რომელსაც მოცემული მიმდევრობის მეორე მორფემა და ა.შ. მაშასადამე, აღნიშნული კლასის მიმდევრობებში მორფემათა რაოდენობა ერთნაირია. ისეთი გამონათქვამები, როგორიც არის *მამა-პაპა, ქალ-ვაჟი და-ძმა; ხელფესუკრული, თავქუდმოგლეჯილი და სხვ.* მიმდევრობათა ერთი და იმავე კლასის წევრებია.

ყოველი ცალკე აღებული მორფემა შეიძლება განვიხილოთ როგორც მიმდევრობა, მაგრამ არა პირუკუ. აქედან გამომდინარე, ყოველი მორფემული კლასი მიმდევრობათა კლასია, მაგრამ მიმდევრობათა კლასი შეიძლება მორფემული კლასი არ იყოს.

18.2. ჩამოვყალიბოთ დებულება, რომელიც არსებითია მთელი შემდგომი ანალიზისათვის.

მიმდევრობა, რომელიც განეკუთვნება მიმდევრობათა A კლასს, შეიძლება შევანაცვლოთ მიმდევრობათა განსხვავებული B კლასის წევრით. მაგალითად, *დედა და მამა* მიმდევრობა შეიძლება შევანაცვლოთ *ისინი მიმდევრობით: დედა და მამა მოვიდნენ და ისინი მოვიდნენ* ქართულში სწორი გამონათქვამებია.

*დედა და მამა მოვიდნენ* → *ისინი მოვიდნენ*.

a

b

მიმდევრობა შეიძლება შენაცვლებული იქნეს სხვა კლასის წევრით, ე.ი. განსხვავებული სტრუქტურის მქონე მიმდევრობით.

თუ მიმდევრობა შეიძლება შევანაცვლოთ იმავე ან უფრო მეტი რაოდენობის მორფემათა შემცველი კონსტრუქციით, მაშინ ამოსავალ მიმდევრობას ვუწოდებთ მიღებული მიმდევრობის *მოდელს*, ხოლო შემნაცვლებელ მიმდევრობას — ამ მოდელის *გაშლას*. მაშასადამე, თუ რომელიმე *a* მიმდევრობა *b* მიმდევრობის *გაშლაა*, მაშინ *b* არის *a* მიმდევრობის *მოდელი*.

18.3. ეს დეფინიციები დაგვეხმარება გამონათქვამის შემადგენელი ნაწილების გამოყოფაში. ავიღოთ ასეთი ქართული გამონათქვამი: #*პატარა ბიჭი თამაშობს ბურთს*# და გავარკვიოთ, თუ რა ნაწილებად დაიშლება მორფემათა ეს მიმდევრობა (წინადადების ინტონაციას ამ შემთხვევაში არ ვითვალისწინებთ). ეს გამონათქვამი შეიძლება განვიხილოთ, მაგალითად, ერთმორფიანი #*ივანე*# ან #*სპილო*# მიმდევრობების გაშლად (ნულოვანი გარემოცვით), ან კიდევ #*ივანე კითხულობს*#, #*სპილო ჭამს*# და სხვა მოდელების გაშლად.

ამოსავალი გამონათქვამის ცალკეული ნაწილებიც შეიძლება უფრო მცირე მიმდევრობების გაშლად მივიხსნოთ; მაგალითად, *პატარა ბიჭი* წარმოვადგინოთ როგორც #*სპილი*# ან #*სახლი*# მოდელების გაშლა, ხოლო *თამაშობს ბურთს* — როგორც #*ჭამს*#, #*უყურებს*#, #*წერს*# ან #*თამაშობს*# მოდელების გაშლა და სხვ. ზოგჯერ უცნაური შინაარსის მქონე გამონათქვამიც შეიძლება მივიღოთ; მთავარია, არ დაირღვეს კონსტრუქციის ფორმალური სტრუქტურა.


გამონათქვამის ნაწილებს, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ რაღაც მოდელების გაშლად, ამ გამონათქვამის *შემადგენლები* (*კონსტიტუენტები*) ეწოდება. მთელი გამონათქვამიც თავისი თავის *შემადგენელია*.

*პატარა ბიჭი თამაშობს ბურთს* დაიშლება *პატარა ბიჭი* და *თამაშობს ბურთს* შემადგენლებად, რადგან ეს ნაწილები გარკვეული მოდელების გაშლას წარმოადგენენ. თუ *პატარა ბიჭი* მიმდევრობას განვიხილავთ *ბიჭი* მოდელის გაშლად, ხოლო *თამაშობს ბურთს* მიმდევრობას —

თამაშობს მოდელის გაშლად, ამოსაყალი გამონათქვამი წარმოგვიდგება როგორც ბიჭი თამაშობს მოდელის გაშლა.

ასეთი მეთოდით კონსტრუქციის თანმიმდევრულად დაშლისას მიიღება ამ კონსტრუქციის უშუალო შემადგენლები (ინგლ. *Immediate constituents*), ე.ი. ნაწილები, რომლებისგანაც უშუალოდ შედგება ესა თუ ის გამონათქვამი. კონსტრუქციას შეიძლება ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე უშუალო შემადგენელი

ზემოთ მოყვანილი გამონათქვამის უშუალო შემადგენლებად დაშლის ეტაპები შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ: *ძალიან // ბიჭი / თამაშობს // ბურთს*. ამ მეთოდით უფრო რთული გამონათქვამებიც დაიშლება, მაგალითად, *ძალიან /// პატარა // ბიჭი / საკმაოდ /// კარგად /// თამაშობს // ბურთს*. ეს ანალიზი დიაგრამის (ე.წ. ხის) სახით შექმნის ნაირად წარმოგვიდგება:



მთელი კონსტრუქცია იყოფა ორ უშუალო შემადგენლად. *ძალიან პატარა* აგრეთვე უშუალო შემადგენელია, მაგრამ არა მთელი გამონათქვამისა, არამედ *ძალიან პატარა ბიჭი* კონსტრუქციისა, რიშეელიც, თავის მხრივ, მთელი გამონათქვამის უშუალო შემადგენელია.


სხვადასხვა დონის უშუალო შემადგენლებად დაშლა არის გამონათქვამის თანამიმდევრული ანალიზი, რომელიც ავლენს კავშირებს გამონათქვამის ნაწილებს შორის — ერთი და იმავე დონის უშუალო შემადგენლები უფრო მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, ვიდრე სხვადასხვა დონის უშუალო შემადგენლები. კერძოდ, მთელი კონსტრუქციის დაშლის პირველ საფეხურზე მის უშუალო შემადგენლებს ვიღებთ, ხოლო მეორე დონის უშუალო შემადგენლები აგრეთვე მთელი კონსტრუქციის შემადგენლებია, მაგრამ არა უშუალო.

დავშალოთ უშუალო შემადგენლებად ასეთი ინგლისური გამონათქვამი: *The king of England opened Parliament* „ინგლისის მეფემ გახსნა პარლამენტი“. როგორც ვიცით, მთლიანად გამონათქვამი თავისი თავის პირველი დონის უშუალო შემადგენელია. მეორე დონის უშუალო შემადგენლებია *The king of England* „ინგლისის მეფე(მ)“ და *opened Parliament* „გახსნა პარლამენტი“. პირველი მათგანი შეიძლება წარმო-

ვადგინოთ როგორც, მაგალითად, the child „ბაყშვი“ („ბაყშვიმა“), John „ჯონი“ („ჯონმა“), the king „მეფე(მ)“ და სხვა მოდელების გაშლა, მეორე კი როგორც left „გაემგზავრა“, stopped „შეჩერდა“, went „წავიდა“ და სხვა მოდელების გაშლა. მესამე დონეზე The king of England კონსტრუქციის დაშლის შედეგად მივიღებთ the (განსაზღვრული არტიკლი) და king of England „ინგლისის მეფე“ უშუალო შემადგენლებს: king of England შეგვიძლია განვიხილოთ dean „დეკანი“, boy „ბიჭი“, king „მეფე“ და სხვა მოდელების გაშლად, ხოლო the — თავისი თავის გაშლად. მეორე დონეზე ორ უშუალო შემადგენლად — opened „გახსნა“ და Parliament „პარლამენტი“ — დაიშლება opened Parliament კონსტრუქცია, ხოლო მესამე დონეზე გვექნება king of England კონსტრუქციის king „მეფე“ და of England „ინგლისის“ უშუალო შემადგენლები: king თავისი თავის გაშლაა, of England კი, ვთქვათ, John „ჯონი“ მოდელისა. მეოთხე დონის უშუალო შემადგენლებია of (კუთვნილების აღმნიშვნელი წინდებული) და England „ინგლისი“ — ისინი თავისი თავის გაშლებად შეიძლება განვიხილოთ.

ამრიგად, მოცემული გამონათქვამის უშუალო შემადგენლებად ანალიზის შედეგად შემდეგ სურათს მივიღებთ:

The // king /// of /// England / opened // Parliament ან — დიაგრამის სახით:



**18.4. შემდგომი მსჯელობისათვის დაგვეჭირდება ორი ახალი ცნების შემოტანა.**

მორფოლოგიური კონსტრუქციის იმ უშუალო შემადგენელს, რომელიც ძირს (ან ძირთა კომბინაციას) შეიცავს, ამ კონსტრუქციის ბირთვული ნაწილი ეწოდება, ხოლო დარჩენილი — უშუალო შემადგენელი კონსტრუქციის პერიფერიულ ნაწილს შეადგენს.

მრავალმორფემიანი სიტყვის ერთეობიერი (არა უშუალო შემადგენლებად) დაშლისას არა ჩანს, რომელი მორფემებია უფრო მჭიდროდ დაკავშირებული ერთმანეთთან. მაგალითად, შემდეგ სამ მორფემულ მიმდევრობაში: *მადლიან-*, *ღილაკიან-*, *საკეტიან-* გამოიყოფა *-იან* სუფიქსი, რომელიც ე.წ. ქონების ზედსართავ სახელებს აწარმოებს არსებითი სა-

ხელის ფუძისაგან. თუ გიტყვით, რომ ბირველ კონსტრუქციაში ეს სუფიქსი მოსდევს სახელის *მადლ-* ძირს, მეორეში - *აკ* სუფიქსს, ხოლო მესამეში - *ზმნურ - კეტ* ძირს, ასეთი ანალიზი გერ გამოაგლენს ამ ფუძეთა შემადგენელ მორფემებს შორის არსებულ იერარქიულ მხარეთებს. მართალია, *ლილაკიან-* კონსტრუქციაში = *იარ* მოსდევს = *აკ* სუფიქსს, მაგრამ იგი უშუალოდ უკავშირდება მთელ წინამავალ მორფემულ მიმდევრობას, როგორც ამოსავალი კონსტრუქციის ბირთვულ ნაწილს. - *იარ* პერიფერიული ნაწილია აგრეთვე *მადლ-* და *საკეტ* მიმდევრობებისათვის (და არა - *კეტ-* ძირისათვის). მეორე დონის უშუალო შემადგენლები მიიღება *ლილაკ* და *საკეტ* კონსტრუქციების დაშლის შედეგად - შესაბამისად *ლილ-* და - *კეტ-* ბირთვულ ნაწილებად და - *აკ* და *სა-* პერიფერიულ ნაწილებად. ამგვარად, ამ სამი კონსტრუქციის უშუალო შემადგენლებად ანალიზს შექმნის სახე აქვს: *მადლიან-*, *ლილაკიან-*, *სა/კეტ/იან-*. მეორე და მესამე კონსტრუქციაში ორი დონის უშუალო შემადგენლები გვაქვს: თითოეული მიმდევრობა სხვადასხვა დონის ხუთ-ხუთ შემადგენელს შეიცავს (ამოსავალი კონსტრუქციების ჩათვლით).

აქ ჩვენ იმავე ტიპის პროცედურები ჩავატარებთ, რაც კონსტრუქციის უშუალო შემადგენლებად დაშლისას. საბოლოოდ მივიღებთ უმცირესი ერთეულები - მორფემები. როგორც ითქვა, ამგვარი ანალიზის დროს შემადგენელთა გამოყოფა უნდა ემყარებოდეს მიმდევრობათა შენაცვლებას მათი მოდულებით. ჩვენს მაგალითში *ლილაკიან* და *საკეტიან* შეიძლება წარმოვადგინოთ, მაგალითად, *კარგ-*, *დად-* მოდულების გაშლად, *ლილაკ-*, *საკეტ-* კი *ქარ-*, *თაფლ-* მოდულების გაშლად და ა.შ.

როგორც ვხედავთ, უშუალო შემადგენლები ქმნიან გამონათქვამის იერარქიულ სტრუქტურას. შეიძლება ითქვას, რომ უშუალო შემადგენლური ანალიზი გვიჩვენებს, თუ რა თანამიმდევრობით ხდება კონსტრუქციის აგება.

**18.5.** ზოგჯერ მარტო ფორმალური ნიშნები არ არის საკმარისი იმის გადასაწყვეტად, თუ როგორ უნდა დაიშალოს კონსტრუქცია უშუალო შემადგენლებად, ხშირად მნიშვნელობის ფაქტორიც უნდა გაითვალისწინოთ. მაგალითად, ინგლისური ზედსართავი სახელი *dis-graceful* „სამარცხვინო“ შეიძლება დაიშალოს როგორც *disgrace-ful* ან როგორც *dis-graceful*. ერთი შესედეგით, ორივე დაშლა ერთნაირად დასაშვებია, რადგან ორმორფიანი *disgrace-* და *-graceful* კომბინაციები შეიძლება განვიხილოთ ცალმორფიანი მოდულების გაშლად: შდრ. *dis-count* „უგულუბელოცოფა“, *dis-cord* „შუთანხმებლობა“; *beauti-ful* „შესვენური“, *joy-ful* „მხიარული“. ამოსავალი სიტყვის მნიშვნელობა *dis-graceful* დაშლის შემთხვევაში უნდა გაგვევო როგორც „არაგრაციაოზული“, ხოლო

disgrace-ful დაშლის შემთხვევაში — რიგორც „სირცხვილით საფსე“, რაც „სამარცხვინოსთან“ უფრო ახლოსაა. გარდა ამისა, dis- და -ful მორფები უფრო ხშირად არსებით სახელებსა და ზმნებს დაერთვიან; dis-graceful დაშლის შემთხვევაში dis- დაუკავშირდებოდა ზედსართავ სახელს, რაც მისთვის არ არის დამახასიათებელი, ხოლო disgrace-ful დაშლა გულისხმობს -ful მორფემის დაკავშირებას არსებით სახელთან, რაც უფრო შეესაბამება ამ მორფემებს შორის არსებულ მიმართებებს.

## 19. ენობრივი ფორმის უშუალო შემადგენლებად დაშლის პრინციპები. ენდოცენტრული და ეგზოცენტრული კონსტრუქციები

### 19.1. ძნლა შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ენობრივი ფორმის უშუალო შემადგენლებად დაშლის ძირითადი პრინციპები.

I პრინციპი: დაშლა უნდა შეესაბამებოდეს ფორმებს შორის არსებულ სემანტიკურ მიმართებებს. ეს შემთხვევა განვიხილოთ ინგლისური disgraceful „სამარცხვინო“ ფორმის მაგალითზე:

II პრინციპი: დაშლა უნდა ხდებოდეს მორფულ მიმდევრობათა ისეთი უფრო მოკლე მიმდევრობებით შენაცვლევადობის საფუძველზე, რომლებიც არ არღვევენ გამონათქვამის სტრუქტურას, ე.ი. იმავე გარემოცვით ხასიათდებიან;

III პრინციპი: გამონათქვამში შექლებისდაგვარად უნდა დაიშალოს ბინარულ უშუალო შემადგენლებად, მაგრამ ზოგიერთი კონსტრუქციისათვის უნდა გამოიყოს ერთი დონის ორზე მეტი უშუალო შემადგენელი. მაგალითად, წითელ-ყვითელ-ვარდისფერი არ დაიშლება ორ უშუალო შემადგენლად, ის უნდა დაიყოს ერთი და იმავე დონის სამ უშუალო შემადგენლად (ასევე ფრანგული rouge-blanc-bleu „წითელ-თეთრ-ლურჯი“ და სხვ.).

ვიტყვიან, რომ გარკვეული ფორმა, რომელიც შედგება სამი უწყვეტი მორფემული A, B და C მიმდევრობისაგან, დაიშლება სამ უშუალო შემადგენლად — A|B|C, თუ არ არსებობს საყუქველი, უპირატესობა მივანიჭოთ AB|C დაშლას A|BC დაშლასთან შედარებით, ანუ როდესაც ორივე დაშლა ერთნაირად აკმაყოფილებს უშუალო შემადგენლებად ანალიზის ყველა პირობას. იგივე შეიძლება გავიმეოროთ ოთხი და მეტი უშუალო შემადგენლის შესახებ;

IV პრინციპი: უშუალო შემადგენლებად დაშლა უნდა ეთანხმებოდეს ენის საერთო სტრუქტურულ თავისებურებებს, გამონათქვამების დაშლა



არ უნდა ხდებოდეს სხვა სტრუქტურათა გათვალისწინების გარეშე. ამის მაგალითი გვქონდა ინგლისური disgraceful ფორმის ანალიზის შემთხვევაში:

V პრინციპი: ყველა სხვა პირობის დაცვით, *უწყვეტ უშუალო შემადგენლებად* დაშლას უპირატესობა ენიჭება *წყვეტილ უშუალო შემადგენლებად* დაშლასთან შედარებით. განვმარტოთ ეს ცნებები მაგალითებით.

ისეთ გამონათქვამებში, როგორიც არის *სა-სადილ-ო, მე-ხუთ-ე, მ-შენებ-ელ-ი* (ე.ი. *ცოკუშფიქსების* შემცველ ფორმებში) წარმოდგენილია შემდეგი წყვეტილი პერიფერიული შემადგენლები: *სა-...-ო, მე-...-ე, მ-...-ელ*. მსგავსი მაგალითები ქართულში მრავლად არის; ასეთი კონსტრუქციების უწყვეტ შემადგენლებად დაშლა ვერ ხერხდება. ინგლისურ sons-in-law „სიძეები“ ტიპის კონსტრუქციებში გამოიყოფა ბირთვული შემადგენელი son-in-law „სიძე“ და პერიფერიული -s (მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი), რომელიც ჩაერთვის ბირთვულ შემადგენელში და ერთგვარად წყვეტს მას; son-in-law არის ისეთი გამონათქვამების გაშლა, როგორიც არის boy „ბიჭი“, man „კაცი“. სემიტურ ენებში (ტრანსფიქსების შემთხვევაში) წყვეტილი შეიძლება იყოს გამონათქვამის როგორც ბირთვული, ისე პერიფერიული ნაწილი.

**19.2.** უშუალო შემადგენლებისაგან აგებული კონსტრუქციები ორი ტიპისაა: *ენდოცენტრული* და *ეგზოცენტრული*. *ენდოცენტრულია* (ბერძნ. *éndon* „შიგნით“, ლათ. *centrum* „ცენტრი“) ისეთი კონსტრუქცია, რომლის ერთ-ერთი უშუალო შემადგენელი მთელი კონსტრუქციის შიგნით წარმოადგენს. მაშასადამე, ენდოცენტრული კონსტრუქცია არის თავისი ერთ-ერთი უშუალო შემადგენლის გაშლა. მაგალითად, გამონათქვამი *დედაძიწა* შეიცავს ორ უშუალო შემადგენელს, რომელთაგან თითოეული იმავე კონტექსტურ კლასს განეკუთვნება, რასაც მთელი კონსტრუქცია. ასევე, ინგლისური blackbird „შაფი“ შედგება bird „ფრინველი“ და black „შაფი“ ნაწილებისაგან; bird შეიძლება იმავე გარემოცვაში შეგვხვდეს, რომელშიც blackbird (თუმცა არსებობს ისეთი გარემოცვებიც, სადაც ორივე მათგანი არ გვხვდება — black bird „შაფი ფრინველი“, მაგრამ არა \*black blackbird „შაფი შაფი“).

კონსტრუქცია *ეგზოცენტრულია* (ბერძნ. *éxō* „გარეთ“), თუ მას ვერ წარმოვადგენთ მისი რომელიმე უშუალო შემადგენლის გაშლად. მაგალითად, *კაც-ურ-* არ განეკუთვნება იმავე კონტექსტურ კლასს, რასაც *კაც-* ან *-ურ*, ამიტომ ეს კონსტრუქცია ეგზოცენტრულია: ინგლისური friendly „მეგობრული“ კონსტრუქციის უშუალო შემადგენლებიდან (friend „მეგობარი“ და ზედსართავი სახელის მაწარმოებელი -ly) არც

ერთი არ განეკუთვნება იმავე კონტექსტურ კლასს, რასაც მთელი კონსტრუქცია.

**19.3. წემოთ ზოგიერთი ცნების განმარტებისას მივპართავდით სინტაქსური კონსტრუქციების ანალიზს, ე.ი. განვიხილავდით სიტყვათა შორის არსებულ მიმართებებს. უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ მორფოლოგიურ ანალიზსა და სინტაქსურ ანალიზს შორის ზღვარი პირობითია: მორფოლოგიური ანალიზის ზედა ზღვარია მორფემული მიმდევრობები, რომლებიც სიტყვას შეადგენენ, სიტყვათა გაერთიანების შედეგად მიღებული რთული გამოინათქვამები კი უკვე *სინტაქსის* კვლევის ობიექტია. ამავე დროს, მორფოლოგიურ და სინტაქსურ კონსტრუქციებს შორის არსებობს სპეციფიკური განმასხვავებელი ნიშნებიც, კერძოდ:**

1. მორფოლოგიური კონსტრუქციების შექადგენლები უფრო მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან (შდრ. დასურული – ღია გადასვლა):

2. მორფოლოგიურ სტრუქტურებში ერთეულთა რიგი უფრო მკაცრად არის განსაზღვრული (შდრ. მორფემათა რანგები მიმდევრობაში და სიტყვათა რიგი წინადადებაში):

3. მორფოლოგიურ სტრუქტურებში არ შეიძლება მოვანდინოთ ბევრი ჩასმა; როგორც ითქვა, ამას ეძყარება სიტყვის საზღვრებისა და სიტყვის ფარგლებში მოქცეული საზღვრების ერთმანეთისაგან გარჩევა;

4. მორფოლოგიური კონსტრუქციები შეიცავენ უფრო მცირე რაოდენობის ერთეულებს (მორფემებს), ვიდრე სინტაქსური კონსტრუქციები.

**19.4. მნობრივი სისტემა, რომლის სსყადასსვა ელემენტებს ვინილავდით, შედგება რამდენიმე ძირითადი ქვესისტემისაგან ანუ *ლინგვისტური დონისაგან*.**

**ფონეტიკური სისტემა:** ფონემათა გარკვეული მიმდევრობების რეალიზაცია სამეტყველო ბგერების სახით და ამ ბგერათა კლასების გამოყოფა.

**ფონოლოგიური სისტემა:** ფონემათა ინვენტარი; ფონემურ ერთეულთა სინტაგმატური და პარადიგმატური ურთიერთმიმართებების მოდელები;

**გრამატიკული სისტემა:** მორფემათა ინვენტარი; მორფემულ ერთეულთა სინტაგმატური და პარადიგმატური ურთიერთმიმართებების მოდელები;

**მორფონოლოგიური სისტემა:** ფონოლოგიურ და მორფოლოგიურ სისტემათა დაკავშირება; იგი მოიცავს ფონოლოგიურ ცვლილებებს, რომლებიც ხდება მორფემათა ურთიერთდაკავშირების დროს;

**ლექსიკურ-სემანტიკური სისტემა:** გარკვეული მორფემებისა და მორფული მიმდევრობების დაკავშირება შინაარსის პლანის სათანადო „წერ-

ტილებთან“, რომლებიც, თავის მხრივ, უკავშირდება ადამიანის გამოცდი-  
ლების სხვადასხვა მხარეს, გარესამყაროს საგნებსა თუ მოვლენებს. ენის  
შინაარსის ბლანში მოცემულია გარეენობრივი სინამდვილის ობიექტებისა  
და სიტუაციების სისტემატიზაცია:

გრამატიკული სისტემის შემადგენელ ნაწილად *მორწმუნეობის დო-  
ნესთან* ერთად განიხილება ენის *სინტაქსური დონე*, რომელიც განისაზ-  
ღვრება როგორც სიტყვების უფრო დიდ გამონათქვამებად გაერთიანების  
წესების სისტემა; ჩვენი წიგნის მიმდევროთა თვით სწორედ ენის *სინტაქსურ  
ანალიზს* ეძღვნება.



**სინტაქსი**

**1. წინადადება. წინადადების წევრები**

1.1. სიტყვაფორმები გამონათქვამებში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ. ამ ფუნქციების საფუძველზე გამოიყოფა ენობრივი სისტემის სინტაქსური დონე, რომლის ძირითადი ერთეულია წინადადება. სინტაქსური ანალიზის დროს საქმე გვაქვს სხვადასხვა სივრცის გამონათქვამებთან, რომლებიც შეიძლება შედგებოდეს ერთადერთი სიტყვაფორმისაგან (მაგალითად, *წამოდი, დიდება!*), ან ჰქონდეს მრავალსიტყვიანი კომბინაციის სახე. *წინადადება* არის ენის მაქსიმალური გრამატიკული ერთეული.

ამგვარად, სინტაქსის დონეზე მთავრდება შედარებით მარტივი ერთეულებისგან უფრო რთული სტრუქტურის მქონე ერთეულების აგება. წინადადება გრამატიკულ ერთეულებს შორის ურთულესი, სტრუქტურულად დამოუკიდებელი ერთეულია. მას ტრადიციულად განსაზღვრავენ როგორც გარკვეული ინტონაციური კონტურის მქონე გამონათქვამს, რომელიც რაღაც შეტყობინებას გამოხატავს. *უშუალო შემადგენელთა* ტერმინებში *წინადადება* შეიძლება განისაზღვროს როგორც გამონათქვამის ნაწილი, რომელიც ამავე გამონათქვამის სხვა ნაწილის უშუალო შემადგენელს არ წარმოადგენს. სხვა, მეზობელი კონსტრუქციებისაგან წინადადების დამოუკიდებლობა ინტონაციითაც გამოიხატება.

1.2. წინადადების სხვადასხვა ფუნქციის მქონე ელემენტებად დანაწევრებით გამოიყოფა მისი სტრუქტურულ-სემანტიკური კომპონენტები, რომლებსაც ტრადიციულ გრამატიკაში *წინადადების წევრებს* უწოდებენ. ეს ერთეულები განსაზღვრავენ წინადადების სინტაქსურ სტრუქტურას. ისევე როგორც წინადადება, ისინიც სინტაქსური დონის ერთეულებია.

წინადადების წევრების როლს ასრულებენ ისეთი სიტყვაფორმები, რომლებიც ლექსიკურ მნიშვნელობას გამოხატავენ (ე.წ. სრულმნიშვნელობიანი სიტყვები) და შეუძლიათ დაამყარონ გარკვეული მიმართება წინადადების სხვა კომპონენტებთან, ანუ გამოხატონ გრამატიკული მნიშვნელობაც. *წინადადების მთავარ წევრებად* მიიჩნევა *შემასმენელი ქვემდებარე* და *დამატება*. მთავარ წევრებს შეიძლება დაუკავშირდეს სხვადასხვა სახის მსაზღვრელები — *მეორეხარისხოვანი წევრები* (ქვემდებარესა და დამატებებს უკავშირდება *განსაზღვრებები* (ატრიბუტები), ხოლო შემასმენელს — *გარემოებები* მაგალითად, *პატარა ბიჭი კარგად*

თამაშობს ბურთს წინადადებაში ბიჭი ქვემდებარეა, თამაშობს — შემახმენელი, ბურთს — პირდაპირი დამატება, პატარა — განსაზღვრება, კარგად — გარემოება.

წინადადების წევრები ტრადიციულ გრამატიკაში გამოიყოფა არაერთგვაროვანი კრიტერიუმების საფუძველზე. მაგალითად, ქვემდებარე განსაზღვრება უპირატესად გამოხატულების მიხედვით (კერძოდ, ჩვეულებრივ მიუთითებენ შესაბამისი სახელის ბრუნვაზე), გარემოება — შინაარსის მიხედვით და სხვ.

წინადადების წევრთა სისტემაში ტრადიციულად არ შეაქვთ ისეთი ელემენტები, რომლებიც სინტაქსურად წინადადების არც ერთ სხვა კომპონენტს არ უკავშირდება, ასეთებია: მიმართვა, ჩართული და სხვ. ამ სისტემის გარეთ რჩება წინადადების მოდალობაც — კატეგორია, რომელიც გამოხატავს გამონათქვამის სხვადასხვა მიმართებას სინამდვილისადმი და მოლაპარაკის (იშვიათად — მსმენელის) დამოკიდებულებას შეტყობინებასთან. მოდალობა ერთგვარად წინადადების მნიშვნელობის კომენტარია. მოდალობის სფეროს განეკუთვნება დაპირისპირებები თნობით, კითხვით, ბრძანებით წინადადებებს შორის, წართქმით და უკუთქმით წინადადებებს შორის, შეტყობინებების რეალურობა-ირეალურობასთან დაკავშირებული მნიშვნელობები (ამ მნიშვნელობათაგან ზოგიერთს შეგვხვთ კილოს გრამატიკული კატეგორიის განხილვისას).

## 2. „მოქმედი-მოქმედება“ ტიპის წინადადებები

2.1. ისეთი გამონათქვამები, როგორიც არის: *დაღლილი მგ საყრი ბრუნდება მშობლიურ ქალაქში; ბავშვი ლამაზად მღერის; მ'სე მოიფინა მთის კალთებს; სტუდენტმა ბევრი წიგნი წაიკითხა* და სხვ. დაიყვანება უპირტივეს მოდელზე, რომელიც ორ უშუალო შემადგენელს შეიცავს, მაგალითად, *ბიჭი თამაშობს*. ეს უშუალო შემადგენლები წარმოადგენენ ქვემდებარეს ანუ *სუბიექტს* (ლათ. *subjectum*) და შემახმენელს ანუ *პრედიკატს* (ლათ. *praedicatum*). თითოეული მათგანი შეიძლება გაიშალოს სიტყვად ან ფრაზად. ქვემდებარე ჩვეულებრივ გამოიხატება არსებითი სახელით ან მისი სუბსტიტუტით (აგრეთვე იმავე სინტაქსური ფუნქციის მქონე სხვადასხვაგვარი ფრაზით), ხოლო შემახმენელს, როგორც წესი, ზმნა ან ზმნის შემცველი კონსტრუქცია გამოხატავს. ასეთი წინადადება შეიძლება განვიხილოთ როგორც *მოქმედი-მოქმედება* ან *ქვემდებარე-შემახმენელი ტიპის (სუბიექტ-პრედიკატის ტიპის) წინადადება*. ეს არის წინადადების ყველაზე გავრცელებული ტიპი.

ისეთ ენებში, როგორიც არის ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული და სხვ., მოქმედი და მოქმედება აუცილებლად ორი სიტყვა-

ფორმით გამოიხატება; სხვა ენებში — ქართულში, რუსულში, ლათინურში — ამ ტიპის წინადადება შეიძლება შეიცავდეს ერთადერთ სიტყვას, რომელიც ერთდროულად გამოიხატავს რიგორც ქვეყნდებარეს, ისე შექმას-მენელს. ამგვარ ერთსიტყვიან წინადადებებში სუბიექტს სმეციალური ნაშანი აქვს ზმნურ ფორმაში. ეს წინადადებებიც, რომლებსაც *სიტყვა-წინადადებები* შეიძლება გუწოდოთ, კონსტრუქციულად სუბიექტურ-ბრედიატული ტიპისაა, რადგან მათი გაშლები ორშემადგენლიანია. ყთქვათ, #*ყვერ*# წინადადებაში სუბიექტი გამოხატულია {*ყ-*} ბრედიატისთ, ხოლო ბრედიატი — ზმნური {-*ვერ-*} ძირით. მისი გაშლაა, მაგალითად, *ბიჭი თამაშობს*; *შდრ. ინგლ. I write „მე ყვერ“* (აქედან ჩანს, რომ ზღვარი მორფოლოგიურ და სინტაქსურ ანალიზს შორის ძირითითია); *შდრ. აგ-რეთყე ლათ. vēnī, vīdī, vīcī და ინგლ. I came, I saw, I conquered „მოყე-დი, გნახე, დაგამარცხე“*.

**2.2.** მგელოა ის კონსტრუქცია ქართულში, რომლებიც შეიძლება ჩაისყას *ბიჭი თამაშობს* ტიპის წინადადებაში მარყელ ადგილზე, ქმნის საყრთო კლასს. იგყე ითქმის იმ კონსტრუქციებზე, რომლებიც ასეთ წინადადე-ბებში მყორე ადგილზე შეიძლება ჩაისყას. ამგვარად განისაზღვრება კონსტრუქციათა ორი ფორმალური კლასი — პირველში წარმოდგენილი იქნება არსებითი სახელები (და მათი სუბსტიტუტები) სახელობით ბრუნ-ვასა და მხოლობით რიცხვში, მეორეში — ზმნის I სერიის მწკრივთა ფორმები, აგრეთყე ზოგიერთი გარდაყვალნი ზმნის II სერიის ფორმები. ისეთ წინადადებებში, როგორიც არის *ბაგშემა გაადვიდა, ძაღლმა დაიყე-* *ფა და სხვ.*, შემადგენლები განსაზღვრავენ სხვა ფორმალურ კლასებს — არსებით სახელებს (და მათ სუბსტიტუტებს) მოთხრობით ბრუნვაში და ზმნის წყვეტილის მწკრივის ფორმათა უმრავლესობას. მაშასადამე, კონსტრუქციებში ასეთი კლასები შეიძლება გამოიყოს შენაცვლებადობის წმინდა ფორმალურ საფუძველზე, შინაარსობრივი კრიტერიუმების გათ-ვალისწინების გარეშე.

არსებითი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი კონსტრუქციები ქვემდებარის ფუნქციის გარდა ქართულში *პირდაპირი დამატების* ფუნქციითაც გამოიყენება, მაგალითად, *წიგნი წაიკითხა*; ხო-ლო *ორბი დამატების* ფუნქცია მიცემითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენი-ლი კონსტრუქციებით გამოიხატება, მაგალითად, *კურდღელს მისდევს*.

**2.3.** სუბიექტ-ბრედიატის ტიპის წინადადებები შინაარსობრიყად ძალ-ზე მრავალფეროვანია. ამ წინადადებებში მოქმედებს, მოქმედებას განიც-დის ან გარკვეულ მდგომარეობაში იმყოფება ესა თუ ის პირი ან საგანი. სხვადასხვა ენაში ამგვარ წინადადებათა სხვადასხვა ქვეტიბი გამოიყოფა.

მაგალითად, ინგლისურ *they met* „ისინი შეხვდნენ“, რუსულ *брат нарисован* „ამამ დახატა“ წინადადებებში ქვეყნებარე თემათონ მოქმედებს, ესენი *აქტიური კონსტრუქციებია*, ხოლო ინგლისურ *they were met* „მათ შეხვდნენ“, რუსულ *брат был нарисован* „მათ იყო დახატული“ წინადადებებში ქვეყნებარე სხვის მიერ ჩადენილ მოქმედებას განიცდის; ესენი *პასიური კონსტრუქციებია*.

**2.4.** წინადადების სინტაქსური დახასიათებისას არსებითი მნიშვნელობა აქვს *სიტყვათა რიგს*. ეს არის წინადადების სტრუქტურის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი. სხვადასხვა ტიპის წინადადებებში სიტყვათა წყობა შეიძლება განსხვავებული იყოს. მაგალითად, ინგლისურ თხრობით წინადადებაში ქვეყნებარე წინ უსწრებს შემასმენელს: *John made it „ჯონმა გააკეთა ეს“*. კითხვით წინადადებებში, რომლებიც დადებით ან უარყოფით მასუხს მოითხოვენ (ე.წ. ზოგად კითხვაში), ქვეყნებარე მოსადაეც დამსმარე ზმნით გამოხატულ შრედიკატულ ელემენტს: *Did John make it? „გაკეთა ეს ჯონმა?“*.

### 3. სიტყვათა შორის კავშირის სახეები წინადადებაში

**3.1.** სიტყვის ფლექსიური ფორმები ბირველ რიგში იმისათვის გამოიყენება, რომ განისაზღვროს ამ სიტყვის ადგილი და ფუნქცია სინტაქსურ სტრუქტურაში. სახელების შემთხვევაში ეს განსაზღვრული როლი ბრუნვებს აკისრია. მაგალითად, *ბიჭმა წაიკითხა წიგნი* წინადადებაში *ბიჭმა* ფორმა მოთხრობით ბრუნვაშია, *წიგნი* — სახელობითში; ისინი სხვადასხვა ადგილს იკავებენ წინადადებაში და განსხვავებულ ფუნქციებს ასრულებენ.

**3.2.** წინადადებაში სიტყვებს შორის კავშირებს შეიძლება სხვადასხვა სახე ჰქონდეს. თუ ერთ-ერთი უშუალო შემადგენლის ფორმა დამოკიდებულია მეორის ფორმაზე და ეს უკანასკნელი მოითხოვს (*მართავს*) ბირველს, მაშინ მათ შორის კავშირს *მართვა* ეწოდება. მაგალითად, *ბიჭმა წაიკითხა* ფრაზის ერთი უშუალო შემადგენელი — *წაიკითხა* — მოითხოვს მეორე — *ბიჭმა* — შემადგენელს მოთხრობითი ბრუნვის ფორმით, ხოლო *წაიკითხა წიგნი* ფრაზაში მმართველი შემადგენელი — *წაიკითხა* — მოითხოვს მართულ შემადგენელს — *წიგნი* — სახელობითი ბრუნვის ფორმით. ზმნა მართავს სახელებს, განსაზღვრავს მათ

ფუნქციებს წინადადებაში; *კითხულობს* სიტყვაფორმა ამავე სახელებს სხვა ბრუნვების ფორმებით მოითხოვს — *ბიჭი კითხულობს წიგნს*.

ამ აზრით შეიძლება ვილაპარაკოთ სახელისა და ზმნის *საურთიერთო მართვაზე* ანუ *კოორდინაციაზე* (არნ. ჩიქობავა).

მარტივი მორფოლოგიური სტრუქტურის მქონე ენებში ბრუნვების მსგავსი ფუნქციები სიტყვათა რიგს ეკისრება; შდრ., მაგალითად, ინგლ. Jane saw John „ჯენმა დაინახა ჯონი“ და John saw Jane „ჯონმა დაინახა ჯენი“.

3.3. წინადადებაში სიტყვათა შორის სინტაქსური კავშირის კიდევ ერთი სახეობაა შეთანხმება. *შეთანხმების* დროს ერთი უშუალო შემადგენელი ემსგავსება მეორეს იმ თვალსაზრისით, რომ გამოხატავს მისთვის დაძანასიათებელ გრამემებს (გრამემას); მაგალითად, ფრაზაში *ჩემო კარგო ქვეყანაზე* შემადგენლები ერთი და იმავე გრამემის (წოდებითი ბრუნვის) აღმნიშვნელი ელემენტებით არიან გამოხატული — ხდება შეთანხმება ამ კატეგორიის მიხედვით. შემადგენლებს შორის შეთანხმება გვაქვს შემდეგ ლათინურ ფრაზებშიც: *filius bonus* „კარგი ვაჟიშვილი“, *filia bona* „კარგი ქალიშვილი“, *filiorum bonorum* „კარგი ვაჟიშვილების“, *filiarum bonarum* „კარგი ქალიშვილების“. თუ, ეთქვათ, *filius* ფორმას ნათესაობით ბრუნვაში გადავიყვანთ, მასთან შეთანხმებული *bonus* აგრეთვე ნათესაობითი ბრუნვის ფორმას მიიღებს: *filii boni* „კარგი ვაჟიშვილის“.

შეთანხმება ჩვეულებრივ ხდება ბრუნვაში, პირში, რიცხვში, სქესში. მაგალითად, რუსულ ფრაზაში *синюю птицу* „ლურჯ ფრინველს“ შეთანხმება გვაქვს ბრუნვაში, რიცხვა და სქესში.

შეთანხმება ხშირად მნიშვნელოვან როლს ასრულებს გამონათქვამის უშუალო შემადგენლური სტრუქტურის დადგენაში; შდრ., მაგალითად, *bonus filius domini* „ბატონის კარგი ვაჟიშვილი“ და *domini boni filius* „კარგი ბატონის ვაჟიშვილი“.

შეთანხმება არსებითად მართვის კერძო შემთხვევაა — ერთი შემადგენელი მოითხოვს მეორეში გარკვეული გრამემების გამოხატვას. მართვისაგან განსხვავებით, შეთანხმების დროს მმართველი შემადგენელი თვითონ შეიცავს იმავე გრამემებს (ან გრამემას), რასაც მართული შემადგენელი.

3.4. შინამედროვე სინტაქსურ მიმდინარეობებს შორის საყურადღებოა „*სტრუქტურული სინტაქსის*“ სახელით ცნობილი თეორია, რომელიც ემყარება ზმნის (შემასმენლის, პრედიკატის) მიერ წინადადების სხვა წევრების მართვის მოდელს (*ლუსიენ ტენიერი*).




ამ თეორიის მიხედვით, წინადადების აგებას სამი მთავარი ასპექტი აქვს: (1) გამონათქვამების საშუალებები (სიტყვათა რიგი, მორფოლოგიური მანასიათებლები); (2) სტრუქტურული სინტაქსი, რომელიც სიტყვებს შორის არსებულ იერარქიულ დამოკიდებულებებს ასახავს და (3) მნიშვნელობა (სემანტიკა). ეს უკანასკნელი, პირველი ორი ასპექტისაგან განსხვავებით, ენის ფარგლებს სცდება; იგი ლოგიკისა და ფსიქოლოგიის შესწავლის საგანსაც შეადგენს. სემანტიკა დამოუკიდებელია სინტაქსისაგან, რადგან წინადადება შეიძლება იყოს გრამატიკულად სწორი, მაგრამ ლოგიკურად და ლექსიკურად უაზრო. ამასთან, ერთი და იგივე მნიშვნელობა შეიძლება სხვადასხვა სინტაქსური საშუალებით გამოიხატოს. წინადადებაში სიტყვის სემანტიკური როლი (ღირებულება) ზოგჯერ არ შეესაბამება მის სინტაქსურ როლს: სინტაქსურად „მეორესარის-ხოვანი“ სიტყვა სემანტიკურად შეიძლება ძალზე მნიშვნელოვანი იყოს (ასეთია, მაგალითად, წინადადებაში *სწრაფი სიარულია საქმრო განსაზღვრება სწრაფი*).

წინადადება ორგანიზებული მთლიანობაა, მისი ელემენტები — სიტყვები — არ არის იზოლირებული: ისინი დაკავშირებულია ერთმანეთთან. მაგალითად, წინადადებაში *ჩიტი ვალობს* წარმოდგენილია ორი სიტყვა და მათ შორის არსებული კავშირი ანუ *კონექსია* (ფრ. *connexion* „კავშირი“), ურომლისოდაც წინადადება არ გვექნებოდა. წინადადების აგება ნიშნავს სიტყვებს შორის კავშირების, სინტაქსური მიმართებების დამყარებას, ხოლო წინადადების გაგება — ამ მიმართებათა ამოცნობას. სიტყვებს შორის სინტაქსურ-სემანტიკური მიმართებების დამყარებას მოლაპარაკისა და მსმენელის ენობრივი კომპეტენცია განაპირობებს.


3.5. სინტაქსური კავშირები იერარქიულია — „ზედა“, *მმართველ ელემენტს* უკავშირდება „ქვედა“, *მართული, დაქვემდებარებული ელემენტი* (მაგალითად, მოყვანილ წინადადებაში მმართველია *ვალობს*, მართულია *ჩიტი*). მოცემული სიტყვა შეიძლება იყოს მმართველი ერთი სიტყვის მიმართ და მართული — სხვა სიტყვის მიმართ. მაგალითად, წინადადებაში *პატარა გოგონა მღერის* სიტყვა *გოგონა* მმართველია *პატარა* სიტყვის მიმართ და მართული — *მღერის* სიტყვის მიმართ. ეს დამოკიდებულება შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი ვერტიკალური სქემის ანუ *სტემის* სახით:



თუ სიტყვა მართაყს ერთზე მეტ ელემენტს, იგი ქმნის *კვანძს* (ფრ. *nœud*). მაგალითად, წინადადება *პატარა ვაჟისა ძღერის ძალიან ლაშაში სიმღერას* შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:



ამ სქემაში *ძღერის* სიტყვა *ცენტრალური კვანძია*, ყოველი ასეთი *სტემა* (ფრ. *stemma*) გვიჩვენებს წინადადებაში სიტყვათა შორის არსებულ მხარეთების იერარქიულ სტრუქტურას, სტემა თრგანზომილებიანია, მას ზევით ერთი *კვანძი* აქვს, ქვეყით კი შეიძლება რამდენიმე *კვანძი* ჰქონდეს. მაგალითად, *უცხოეთიდან ჩამოსული ანაღვაზრდა მომღერლები შესანიშნავად ასრულებდნენ მრავალსმიან ხალხურ სიმღერას* წინადადების *სტემას* ასეთი სახე აქვს:



სამეტყველო გამონათქვამები წრფივია, რადგან მეტყველება დროში მიმდინარეობს; სიტყვები გამონათქვამში ცალმხრივ მიმართულ მიმდევრობას ქმნიან. სინტაქსურ სტრუქტურებს საფუძვლად უდევს ამ *წრფივ მიმდევრობასა* და დამოკიდებულებათა *სტრუქტურულ* (ე.ი. სტემით გამონატყლ) *მიმდევრობას* შორის არსებული მიმართებები. მეტყველების დროს ხდება სტემის ვერტიკალური სტრუქტურული მიმდევრობის გარდაქმნა წრფივ მიმდევრობად. შესაბამისად, მეტყველების გაგება (ისევე როგორც წინადადების სტემის შედგენა) გულისხმობს წრფივი მიმდევრობის, ანუ წრფივი რიგის, სტრუქტურულში გადაყვანას. ამ დროს სინტაქსურად ერთმანეთთან დაკავშირებული სიტყვები ფორმალურად გამონატყვენ შესაბამის გრამატიკულ კატეგორიებს, რის გამოც ეს სიტყვები წრფივ მიმდევრობაში ერთმანეთისაგან მოშორებით შეიძლება გან-

ლაგდნენ (მაგალითად, წინადადებაში *ავტომობილელმა, რომელიც სპორტული სამყაროსათვის სრულიად უცნობია, სხვებზე ადრე გადაკვეთა ფინიშის ხაზი* სიტყვას *ავტომობილელმა* მართავს სიტყვა *გადაკვეთა*). რაც შეეხება ენაში სიტყვებს შორის გრამატიკული მიმართებებს გამოსატვის მორფოლოგიური საშუალებები, მით უფრო თავისუფალია წინადადებაში სიტყვათა რიგი, და პირიქით.

თუ სტრუქტურული მიმდევრობის წრფივში გადაყვანისას მართული ელემენტი წინ უსწრებს მმართველს, გვაქვს *ცენტრისკენული* ანუ *აღმაგალი რიგ* თუ მართული ელემენტი მოსდევს მმართველს, მაშინ რიგი *ცენტრიდანული* ანუ *დაბაგალია*. მაგალითად, ფრაზაში *ხალხური სიმღერა* გვაქვს *აღმაგალი* რიგი, ფრ. ფრაზაში *chanson populaire* სიტყვასიტყვით: „სიმღერა ხალხური“ კი — *დაბაგალი*.

ცენტრისკენული რიგი ქარბობს, მაგალითად, ქართულში, ინგლისურში, რუსულში, გერმანულში, ცენტრიდანული — რომანულ (ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ და სხვ.) ენებში, სეპიტურ ენებში (მაგალითად, ძველებრაულში, არაბულში) და სხვ. კონკრეტული ენისათვის დამახასიათებელი რიგი ზოგჯერ ირღვევა, მაგალითად, პოეზიაში: „ვისია, ვისია, ქალი ლაბაზი?“

იმის მიხედვით, თუ რამდენად აშკარად დომინირებს ენაში ერთ-ერთი რიგი, გამოიყოფა *ჰეატი* ან *ზომიერი რიგის* ქონე ენები.

**3.6. ლუსიენ ტენიერის** თეორიაში სიტყვებს შორის კავშირების იერარქია და მიმართულება განისაზღვრება პრედისკატის მოწესრიგებული *აქტანტური სტრუქტურით*.

*აქტანტები* (ფრ. *actants* „მოქმედნი“) იმ პირებისა და საგნების აღმნიშვნელი სახელებია, რომლებიც ამა თუ იმ სახით მონაწილეობენ ზმნით გადმოცემულ მოქმედებაში. ყოველ ზმნას შეიძლება დაუკავშირდეს აქტანტების გარკვეული რაოდენობა; ზმნის ამ უნარს *ვალენტობა* ეწოდება. წინადადების სემანტიკა განიხილება როგორც ზმნის სემანტიკური ვალენტობების სისტემა (ტერმინი *ვალენტობა* იხმარება უფრო ფართო მნიშვნელობითაც — როგორც ენობრივი ერთეულის უნარი, დაამყაროს სინტაქსური კავშირები სხვა ენობრივ ერთეულებთან).

წინადადების სემანტიკური და სინტაქსური ცენტრია ზმნა. წინადადება შეიძლება შევადაროთ დრამას, რომლის მოქმედება გამოსატყულია *ზმნა-პრედისკატით*, მოქმედი პირები — *აქტანტებით*, სოლო მოქმედების გარემოებანი — *სირკონსტანტებით* (ფრ. *circonstance* „გარემოება“). *აქტანტებისაგან* განსხვავებით, *სირკონსტანტების* რაოდენობა არ არის განსაზღვრული; ისინი წინადადებაში შეიძლება არც იყვნენ წარმოდგენილნი. *სირკონსტანტები* გამოიხატება ზმნიზელებით ან მათი სუბსტიტუტებით (აგრეთვე ზმნიზედის ანალოგიური სინტაქსური ფუნქციის ქონე

როული სინტაქსური ერთეულებით). ისინი მიუთითებენ *მოქმედების ად-გაღზე, დროზე, ვითარებაზე* და სსვ.

აქტანტები მოწესრიგებულ სიმრავლეს ქმნიან: *I აქტანტი* ტრადიციული გრამატიკის ქვემდებარეა, *II აქტანტი* — პირდაპირი დამატება, *III აქტანტი* — ირიბი დამატება. *სემანტიკური როლების* მიხედვით აქტანტებში შემდეგი სახეობები გამოიყოფა: მოქმედების აქტიური მონაწილე — *სუბიექტი* ანუ *აგენსი* (ლათ. *agens* „მოქმედი“); მოქმედების პასიური მონაწილე — *პაციენსი* (ლათ. *patiens* „განმცდელი“); რაღაცის აღმქმელი ან გრძნობის განმცდელი მონაწილე — *ექსპერიენსერი* (ინგლ. *experienter*); ის პირი ან საგანი (ობიექტი), რიძლისთვისაც ან რომლის „საზიანოდ“ სორციელდება მოქმედება — *ადრესატი* და სსვ.

ერთი და იგივე აქტანტი შეიძლება სხვადასხვა სემანტიკურ როლს ასრულებდეს. მაგალითად, ქვემდებარე შეიძლება წარმოადგენდეს აგენსს (*ბიჭი ხატავს*), ექსპერიენსერს (*ბიჭს სცია*), ინიციატორს (*ბიჭმა დედას ზღაპარი წააკითხა*) და სსვ.; ირიბი ობიექტი შეიძლება წარმოადგენდეს ადრესატს (*გოგონა ბიჭს წერილს სწერს*), ექსპერიენსერს (*ბიჭს სიბნელის ეშინია*) და სსვ. ასეთ შემთხვევებში ტრადიციულად განასხვავებენ გრამატიკულ და სემანტიკურ („ლოგიკურ“) სუბიექტსა და ობიექტს.

ზმნა შეიძლება იყოს *უაქტანტო* ანუ *ნულგაღენტიანი* — ასეთია, მაგალითად, ბუნების მოვლენათა გამოხატველი ზმნების დიდი ნაწილი: *ქუხს*, ლათ. *pluit* „წვიმს“, რუს. *моросит* „ცრის“ და სსვ. ამგვარ ზმნებში ხშირად თავს იჩენს ე.წ. *ფსევდოსუბიექტი* მაგალითად: ინგლ. *it rains* „(იგი) წვიმს“, ფრ. *il neige* „(იგი) თოვს“ და სსვ.; შდრ. აგრეთვე ქართულში III პირის სუბიექტური ნიშანი *ქუხ-ს*, *თოვ-ს* ტიპის ზმნებში.

*ერთაქტანტანი* ზმნები გამოხატავენ მოქმედებას, რომელშიც მხოლოდ ერთი პირი ან საგანი მონაწილეობს (ეს შეიძლება იყოს პირთა ან საგანთა ჯგუფიც): *ჩიტი მიფრინავს*, *სტუმრები მოვიდნენ*, *დედა და მამა სეირნობენ*, *ბურთი ვაგორდა*. *ორგაღენტიანი* ზმნის აქტანტები, ჩვეულებრივ, პირსა და საგანს გამოხატავენ: *ბიჭი წიგნს კითხულობს*; *სამგაღენტიანი* ზმნის აქტანტებიდან ორი — I და III — უფრო ხშირად პირებს გამოხატავს, ხოლო II აქტანტი — საგანს: *სტუდენტი მასწავლებელს გამოცდას აბარებს*; *გოგონა ძმას წერილს უგზავნის* და სსვ.

იმ აქტანტების რაოდენობა და ხასიათი, რომლებიც აუცილებელია მოცემული ზმნისათვის, განსაზღვრავს *წინადადების აქტანტურ სტრუქტურას*.

ზოგჯერ ძნელია აქტანტების (განსაკუთრებით III აქტანტის) და სინკონსტანტების ერთმანეთისაგან გარჩევა; მათ განსასხვავებლად შეიძლება მივმართოთ გამოხატულების და/ან შინაარსის პლანს. პირველი კრიტერიუმის მიხედვით, არსებითი სახელი *აქტანტია*; ზმნიზედა ან თან-

დებულიანი (წინდებულიანი) სახელი — სირკონსტანტო მაგალითად, წინადადებაში *გოგონა ფანჯარაში იყურება* აქტანტი არის *გოგონა*, სირკონსტანტი — *ფანჯარაში*. მეორე კრიტერიუმის მისედვით, აქტანტი აუცილებელია, რომ ზმნის მნიშვნელობა სრული იყოს, ხოლო სირკონსტანტი ფაკულტატიური ელემენტი. მაგალითად, ფრაზა *ძორბენაღმა მიადწია* მოითხოვს III აქტანტს, ვთქვათ, სიტყვა *ფინიში*, ხოლო წინადადებაში *გოგონა მირბის* არ არის აუცილებელი იმის აღნიშვნა, თუ სად ან როგორ ხდება მოქმედება. თუმცა უნდა ითქვას, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც II და III აქტანტები გამოხატულია წინდებულიანი (თანდებულიანი) სახელებით და არა ბრუნვის ფორმებით, ისინი სირკონსტანტებს უახლოვდებიან (მაგალითად: ფრ. *maman a rendu le livre à la bibliothèque* „დედამ დააბრუნა წიგნი ბიბლიოთეკაში“).

**3.7. ცენტრიდანული რიგის** მქონე ენებში სირკონსტანტები, როგორც წესი, მოსდევენ ზმნას, *ცენტრისკენული რიგის* მქონე ენებში კი წინ უსწრებენ მას.

სირკონსტანტების რიგი ერთმანეთის მიმართ უნივერსალურად განისაზღვრება მათი სემანტიკით. კერძოდ, ისინი მარცხნიდან მარჯვნივ შემდეგნაირად განლაგდებიან: მოქმედების რაგვარობის — ზოგადი დროის — რაოდენობის — ადგილის — კონკრეტული დროის გამოძსატეული სირკონსტანტები. შდრ., მაგალითად, ინგლ. *she's always here*; ფრ. *elle est toujours là*; რუს. *она всегда здесь* „ის ყოველთვის აქ არის“; *Анна обязательно вернёт вам вашу книгу завтра* „ანა აუცილებლად დაგიბრუნებთ თქვენს წიგნს ხვალ“; ფრ. *on aime naturellement beaucoup ses parents* „ჩვენ, ბუნებრივია, ძალიან გვიყვარს ჩვენი მშობლები“.

**3.8. ლოგიკურ-სემანტიკური დონის** ერთეულები ენობრივ სისტემებში სხვადასხვა გრამატიკული საშუალებით გამოიხატება. იმ შემთხვევაში, როდესაც *ლოგიკურ-სემანტიკური სუბიექტი* (S) და *ობიექტი* (O) წარმოდგენილია შესაბამისად *გრამატიკული სუბიექტით* — {S}, ანუ ქვემდებარით, და *გრამატიკული ობიექტით* — {O}, ანუ დამატებით, შეიძლება ვისაუბროთ ენის *ლოგიკურ-სემანტიკური* და *გრამატიკული დონის ერთეულებს შორის პირდაპირი შესაბამისობის* შესახებ; გარკვეულ შემთხვევებში *შებრუნებელი შესაბამისობა* (ე.წ. *ინვერსიული წყობა*) გვაქვს: ლოგიკურ-სემანტიკური სუბიექტი წარმოდგენილია ობიექტის ნიშნით, ხოლო ლოგიკურ-სემანტიკური ობიექტი — სუბიექტის ნიშნით —  $S \rightarrow \{O\}$ ,  $O \rightarrow \{S\}$ : შდრ. *მე სურათს გ-ხატ-აგ* — პირდაპირი შესაბამისობა, *მე სურათი და-მ-ი-ხატ-აგ-ს* — შებრუნებული შესაბამისობა.

სუბიექტისა და ობიექტის კატეგორია ენის სემანტიკურ დონეზე ყოველთვის კომბინირებს პირის კატეგორიისთან: არსებობს არა სახოგადოდ S ან O, არამედ პირის კატეგორიის თვალსაზრისით განსაზღვრული  $S_1$ ,  $S_2$ ,  $S_3$  და  $O_1$ ,  $O_2$ ,  $O_3$ . ენის გრამატიკულ დონეზე მათი გამოშნატველია  $\{S_1\}$ ,  $\{S_2\}$ ,  $\{O_1\}$ ,  $\{O_2\}$  I და II პირის ნაცვალსახელები და  $\{S_3\}$ ,  $\{O_3\}$  — არსებითი სახელები ან III პირის ნაცვალსახელები.

**3.9. ზმნური ფორმის სინტაქსური კლასიფიკაცია განისაზღვრება იმ თავისუფალი ადგილების („სინტაქსური უჯრედების“) რაოდენობით, რომლებიც შეიძლება მოცემული ფორმის აქტანტებით შეივსოს. მაგალითად,  $\square$  მიფრინავს,  $\square\square$  კითხულობს;  $\square\square\square$  უკ წაგნის და სხვ.**

არ არის აუცილებელი, რომ ამა თუ იმ წინადადებაში ზმნის ყველა სინტაქსური უჯრედი იყოს შევსებული, მაგრამ მათი შევსების შესაძლებლობა ყოველთვის არსებობს (სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა გამოშნატველ იმ სახელთა მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც, მაგალითად, ქართულ ზმნურ ფორმას შეეწყობა, ოთხია: *მაქმიე — შენ მე მას ის*).

**3.10. სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა გამოშნატველმა სახელებმა ზმნურ ფორმაში თავიანთი რეპრეზენტანტები, ექსპონენტები შეიძლება გაიზიარონ. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, ზმნური სტრუქტურა შეიძლება შეიცავდეს  $\{S\}$  და/ან  $\{O\}$  სახელის გამოშნატველ  $/S/$  და/ან  $/O/$  ნიშნებს აფიქსების სახით. ამით სუბიექტისა და ობიექტის ამსახველ სახელებსა და ზმნურ ფორმას შორის არსებული სინტაქსური კავშირი — კონექსია — მორფოლოგიურ გამოსატყულებას იძენს. თუ ამგვარი  $/S/$  და  $/O/$  ნიშნები ზმნურ ფორმაში სახელის (ნაცვალსახელის) პირს გამოხატავენ, მაშინ ისინი იცვლება ზმნასთან დაკავშირებული ნაცვალსახელის პირის ცვლის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში გვაქვს ზმნის სისტემა *პიროვანი უღვლილებით*. თუ  $/S/$  და  $/O/$  ნიშნები ზმნურ ფორმაში სახელის კლასს გამოხატავენ, მაშინ ისინი იცვლებიან გარკვეული სემანტიკური ჯგუფების მიხედვით კლასიფიცირებული სახელების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში გვაქვს ზმნის სისტემა *კლასოვანი უღვლილებით*. არსებობს შერეული ტიპიც — ზმნის სისტემა *პიროვან-კლასოვანი უღვლილებით*.**

ქართულში ზმნის სისტემა წარმოადგენს სტრუქტურულ ტიპს მკვეთრად გამოხატული პიროვანი უღვლილებით. ზმნა-შემასმენელთან სინტაქსურად დაკავშირებულ სახელთაგან ზმნურ ფორმაში ნიშანს აჩენს როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის გამოშნატველი სახელები. ამ მხრივ ქართული განსხვავდება ისეთი ენებისაგან, როგორიც არის, მაგალითად, ბერძნული, ლათინური, გერმანული, რუსული, სადაც ზმნურ ფორმაში ნი-

შანს მხოლოდ გრამატიკული სუბიექტი აჩენს. ამ ენებში ზმნა შეიძლება დახასიათდეს როგორც სუბიექტური წყობის მქონე, განსხვავებით, მაგალითად, ქართული, უნგრული, ფრანგული ზმნური სტრუქტურებისგან, რომლებსაც სუბიექტურ-ობიექტური წყობა აქვთ.

*პირიანობის* თვალსაზრისით, ე.ი. ამა თუ იმ ზმნურ ფორმაში გამოხატული პირის ნიშნების რაოდენობის თვალსაზრისით ქართული ზმნა შეიძლება დახასიათდეს როგორც ერთპირიანი ან ორპირიანი; ზმნურ ფორმაში აქტუალურად გამოვლენილ მორფოლოგიურ ნიშანთა რაოდენობა ქართულში ორს არ აღემატება. ამგვარად, ქართული ზმნა, ისევე როგორც, მაგალითად, რუსული ან გერმანული, შეიძლება იყოს სამვალენტიანი — მასთან აქტანტების შეწყობის თვალსაზრისით, მაგრამ არა სამპირიანი (შდრ. *შ-ადლეგ-ენ ისინი მე მას*, რუს. ОНН МНЕ ТО ДА-ЮТ; ქართულ ზმნურ ფორმაში წარმოდგენილია ორი პირის ნიშანი, რუსულში — ერთი).

ზმნის *პირიანობა* და *ვალენტობა* არსებითად განსხვავებული სტრუქტურული მახასიათებლებია, რომლებიც შესაბამისად ზმნური კონსტრუქციის მორფოლოგიურ აგებულებას და სინტაქსურ კავშირებს ასახავენ.

იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება აქტანტების მორფოლოგიური ასახვა ზმნურ ფორმაში, შეიძლება გამოიყოს *სუბიექტური, სუბიექტურ-ობიექტური* და *ობიექტური წყობის ენებში* სუბიექტურ-ობიექტური წყობის ენათა ჯგუფში განიხილვა ქვეჯგუფები ზმნის ვალენტობისა და პირიანობის კატეგორიებს შორის შესაბამისობის თვალსაზრისით. ეს *შესაბამისობა ნაწილობრივია* იმ შემთხვევაში, როდესაც პოტენციურად შესაძლებელი ზოგიერთი აქტანტის ნიშანი არ არის წარმოდგენილი ზმნურ ფორმაში (ამის მაგალითია ქართული ენობრივი სისტემა); *შესაბამისობა სრულია*, თუ ზმნასთან პოტენციურად დაკავშირებული ყოველი აქტანტი ზმნურ ფორმაში აჩენს მორფოლოგიურ ნიშანს (ამგვარი შესაბამისობა გვაქვს, მაგალითად, აფხაზურ ზმნაში: *jə-wə-z-lə-s-tojt'* „მე მას (მდ.) შენთვის (მამრ.) მას (რალაცას) ვაძლევ“).


#### 4. ენდოცენტრული და ეგზოცენტრული სინტაქსური კონსტრუქციების კლასიფიკაცია

4.1. უშუალო შემადგენლების განხილვისას აღნიშნული გვქონდა, რომ კონსტრუქცია შეიძლება იყოს *ენდოცენტრული* ან *ეგზოცენტრული*, ეს ითქმის როგორც მორფოლოგიური, ისე *სინტაქსური კონსტრუქციების* შესახებ.

ენდოცენტრული კონსტრუქციის იმ შემადგენელს, რომელიც შეიძლება წარმოგადგინოთ როგორც მთელი კონსტრუქციის მოდელი (მას

ოგივე სინტაქსური ფენქცია აქვს, რაც მთელ ფრაზას), *სინტაქსური კონსტრუქციის ბირთვი* ეწოდება, მეორე შემადგენელს კი — *სინტაქსური კონსტრუქციის ატრიბუტი* ანუ *სატელიტი* (შდრ. პორფოლოგიური კონსტრუქციის ბირთვული და პერიფერიული ნაწილი). მაგალითად, *დიდი სასლი* კონსტრუქციის ბირთვია *სასლი*, ატრიბუტი — *დიდი* (შდრ. *ააშენა დიდი სასლი — ააშენა სასლი*); ასევე, ენდოცენტრულ კონსტრუქციაში *ძალიან კარგად — კარგად* ბირთვია, *ძალიან* — ატრიბუტი.

სხვადასხვა დონის უშუალო შემადგენლებად გამონათქვამის თანმიმდევრულად დაშლისას ენდოცენტრულ კონსტრუქციაში თითოეულ დონეზე შეიძლება გამოიყოს ბირთვი და ატრიბუტი. საბოლოოდ მივიღებთ მთელი ამოსავალი გამონათქვამის ბირთვის ანუ *ცენტრს*. ის იმავე სტრუქტურულ როლს ასრულებს, რასაც მთელი გამონათქვამი; მაგალითად, კონსტრუქციაში *ძალიან მაღალი მწვერვალის დამპყრობი* — ცენტრია *დამპყრობი*



ინგლისური some | very nice || fresh ||| milk „ცოტაოდენი ძალიან კარგი ახალი რძე“ კონსტრუქციის *საბოლოო ბირთვი* ანუ ცენტრია milk. „რძე“.

4.2. მნდოცენტრულ კონსტრუქციას, რომელიც ატრიბუტს შეიცავს, *ატრიბუტული* (ლათ. *attributum* „თანდართული“) *ენდოცენტრული კონსტრუქცია* ეწოდება; წინააღმდეგ შემთხვევაში გვაქვს *კოორდინაციული* (ლათ. *co(n)+ordinatio* „შეთანხმება“, „შესაბამისობაში მოყვანა“) *ენდოცენტრული კონსტრუქცია*. ატრიბუტულ ენდოცენტრულ კონსტრუქციაში ატრიბუტი შეიძლება წინ უსწრებდეს ან მოსდევდეს ბირთვის. პირველ შემთხვევაში ატრიბუტი *პრეპოზიციულია*, მეორეში — *პოსტპოზიციური* მაგალითად, ფრაზაში *მაღალი მწვერვალის* ატრიბუტი პრეპოზიციულია, ფრაზაში *ჟამი შენებისა* — პოსტპოზიციური.

კოორდინაციულ ენდოცენტრულ კონსტრუქციაში შეიძლება იყოს მაკავშირებელი ელემენტი (*და, ან, თუ* და მისთ.) — ეს არის *კავშირიანი კონსტრუქცია*. მაგალითად: *დედა და მამა, ცხელა თუ ცივა*. არსებობს უკავშირო კოორდინაციული კონსტრუქციებიც, მაგალითად, *ას თხუთმეტა*

კოორდინაციული კონსტრუქციის ნაირსახეობაა *აპოზიციური კონსტრუქცია* (ლათ. *appositio* „დანართი“), რომელშიც ძნელია იმის დადგე-



ნა, თუ რომელი შემადგენელია ბირთვი და რომელი — ატრიბუტი. ასეთია, მაგალითად, *პროფესორი ასვლედიანი, ბატონი გიორგი*, ინგლ. queen mother „დედა დედოფალი“ და სხვ. ამგვარ კონსტრუქციებში თითოეული შემადგენელი შეიძლება მივიხინოთ როგორც ბირთვად, ისე ატრიბუტად: queen mother შეიძლება გავიგოთ როგორც „დედოფალი, რომელიც ამავე დროს დედაა“, ან როგორც „დედა, რომელიც ამავე დროს დედოფალია“. ასეთ შემთხვევებში, ჩვეულებრივ, კონსტრუქციის ორივე შემადგენელი იმავე სტრუქტურულ კლასს განეკუთვნება, რასაც მთელი კონსტრუქცია.

4.3. ეგზოცენტრული სინტაქსური კონსტრუქციები ხშირად შეიცავენ წინდებულებს ან თანდებულებს. მაგალითად: *მასწავლებლის მიერ, მათ შორის*, ინგლ. for you „თქვენთვის“, before dinner „სადილის წინ“, in the cup „ჭიქაში“ და სხვ. უფრო ვრცელ კონსტრუქციებში შესვლისას ისინი შეიძლება ასრულებდნენ ატრიბუტების ფუნქციას: *მათ შორის ჩადგა*; ინგლ. a present for you „საჩუქარი თქვენთვის“ და სხვ.

კონსტრუქციის ცენტრის გაშლით შეიძლება მივიღოთ რთული, სხვადასხვა დონის უშუალო შემადგენელთა შემცველი ატრიბუტული ენდოცენტრული კონსტრუქციები, რომლებსაც სხვა ატრიბუტი ვეღარ დაუკავშირდება. მაგალითად, ინგლისური ფრაზის all this very nice fresh milk „მთელი ეს ძალიან კარგი ახალი რძე“ all „მთელი“ შემადგენელი ერთგვარად კეტავს კონსტრუქციას, ამასთან, თითოეული შემადგენლის ადგილი მასში განსაზღვრულია. მაგალითად, დაუსვებელია, \*this very all nice fresh milk („ეს ძალიან მთელი კარგი ახალი რძე“) და მისთ. ასეთი ჩაკეტილი ენდოცენტრული კონსტრუქცია შეიძლება შემადგენლად შევიდეს კოორდინაციულ ან ეგზოცენტრულ კონსტრუქციაში, მაგალითად: all this very nice fresh milk on the table „მთელი ეს ძალიან კარგი ახალი რძე მაგიდაზე“.

ეგზოცენტრული კონსტრუქციები ენებში ძალიან მრავალფეროვანია, ისინი არ ექვემდებარებიან უნივერსალურ კლასიფიკაციას.

კონსტრუქციითა აქ აღწერილი ანალიზისა და კლასიფიკაციის შედეგად მიიღება მსგავსი სინტაქსური ფუნქციის მქონე სიტყვათა კლასები, რომლებსაც სხვადასხვაგვარად აგებული კონსტრუქციების ცენტრები ქმნიან. მაგალითად, ზმნის შემცველი ფრაზების ცენტრები სიტყვათა ერთ დიდ კლასს — ზმნურ კლასს გვაძლევენ; კავშირიანი კონსტრუქციებიდან გამოიყოფა კავშირთა კლასი და ა.შ. ეს ფორმალური კლასები ემთხვევა ფუძეთა პარადიგმატულ კლასებს ანუ ტრადიციულ მეტყველების ნაწილებს. თითოეული კლასი ხასიათდება მასში შემავალი ერთეულებისათვის საერთო სინტაქსური ნიშნებით. ასე გამოყოფილი კლასები

შეიძლება განვიხილოთ წინადადებაში გარკვეული ადგილის მქონე შემაღვენებად.

## 5. გრამატიკულად სწორი და არასწორი ფრაზები „აზრიანი“ და „უაზრო“ გამონათქვამები

5.1. მუწოდოთ ფრაზა ნებისმიერ სინტაქსურ კონსტრუქციას, რომელიც ორ ან მეტ სიტყვაფორმას შეიცავს. მაშასადამე, ფრაზა არის სიტყვაფორმათა დალაგებული მიმდევრობა (კერძოდ, ის შეიძლება იყოს წინადადება ან მისი ნაწილი).

თუ ფრაზა მოცემული ენის გრამატიკული წესების მიხედვით არის აგებული, მას გრამატიკულად სწორი ანუ მარკირებული ფრაზა ეწოდება.

შევადაროთ ერთმანეთს, მაგალითად, გამონათქვამები *სძილო ესაუბრება ქუჩას* და *სძილომ ესაუბრება ქუჩა*, ორივე უაზროა მაგრამ პირველი მათგანი ქართული ენის გრამატიკული ნორმების დაცვით არის აგებული, მისთვის დამახასიათებელია თსრობითი წინადადების ინტონაცია; ის გრამატიკულად სწორი გამონათქვამია. მეორე ფრაზა არასწორად არის აგებული, მასში დარღვეულია ქართული ენის სინტაქსური წესები; ეს ფრაზა გრამატიკულად არასწორია, არამარკირებულია. იგივე ითქმის ინგლისური ფრაზების — *Colourless green ideas sleep furiously* („უფერულ მწვანე იდეებს სძინავთ მძვინვარედ“) და *Furiously ideas green sleep colourless* („მძვინვარედ იდეები მწვანე სძინავთ უფერული“) შესახებ. ამგვარ ფრაზებს არც ერთი ინგლისელი ნორმალური მეტყველების დროს არ წარმოქმნის, ისინი უაზროა. ამავე დროს, პირველი ფრაზა ინგლისური ენის თვალსაზრისით გრამატიკულად სწორია; მასში თითოეული სიტყვის ადგილას იმავე ფორმალური კლასის წარმომადგენელი სიტყვის ჩასმით შეიძლება აზრიანი წინადადება მივიღოთ (მაგალითად, *beautiful little girls sleep calmly* „მშვენიერ პატარა გოგონებს სძინავთ მშვიდად“). პირველისაგან განსხვავებით, მეორე გამონათქვამში დარღვეულია შემადგენელთა რიგი, მასში ყოველ სიტყვას დამოუკიდებელი მახვილი მოუდის, დარღვეულია თსრობითი წინადადებისათვის დამახასიათებელი ინტონაციური სტრუქტურა.

ზოგიერთი გრამატიკულად არასწორი ფრაზა შეიძლება გასაგები იყოს, გარკვეული აზრი ჰქონდეს. ასეთია, მაგალითად, *ბაეშემა კითხულობს, გოგონები სძინავთ* და სხვ. შევადაროთ ერთმანეთს კიდევ ორი ინგლისური ფრაზა: *Have you got a book on modern music?* „გაქვთ თქვენ წიგნი თანამედროვე მუსიკაზე?“ და *Read you a book on modern music?*

(„კითხვა თქვენ წიგნი თანამედროვე მუსიკაზე?“). ეს ინგლისური ფრაზები, ისევე როგორც მათი ქართული შესატყვისები, გასაგებია, მაგრამ პირველი მათგანი მარკირებულია, მეორე — არა. მაშასადამე, გრამატიკულად სწორი ფრაზა არ უნდა გაგვიფიქროთ *აზრიანთან*, ხოლო გრამატიკულად არასწორი — *უაზროსთან*.

ამგვარად, წინადადების სისწორეს აქვს სინტაქსური (გრამატიკული) და სემანტიკური ასპექტები.

**5.2. ლინგვისტური ანალიზის ამოცანაა მარკირებულ და არამარკირებულ ფრაზებს შორის განსხვავების დადგენა და მარკირებული ფრაზების სტრუქტურის შესწავლა.**

ტექსტში ფრაზის გამოჩენის ალბათობა არ განსაზღვრავს ამ ფრაზის გრამატიკულ სისწორეს. ზემოთ მოყვანილი უაზრო ფრაზების ტექსტში გამოჩენის ალბათობა ნულს უახლოვდება, მაგრამ, როგორც ვნახეთ, მათ შორის არის გრამატიკულად სწორი გამონათქვამებიც. მაშასადამე, ზოგიერთი ფრაზა პოტენციურად არსებობს, დასაშვებია, თუმცა ტექსტში შეიძლება არ იყოს რეალიზებული.

ფრაზების მარკირებულობის დადგენისას მთლიანად ვერც ინფორმანტთა ჩვენებას დავეყრდნობით. მაგალითად, გრამატიკულად აშკარად არასწორი ფრაზა — *ideas furiously green sleep* — ზოგიერთმა ინფორმანტმა თანამედროვე პოეზიის ნიმუშად აღიქვა; იყვნენ ისეთი ინფორმანტებიც, რომლებმაც საგსებით სწორ ფრაზად ჩათვალეს ინგლისური ფრაზა *I saw a fragile of* („მე ვნახე მყიფე ...-ის“) (ერთ-ერთმა მათგანმა *of* — კუთვნილების გამომხატველი წინდებული — არსებითი სახელის სუბსტიტუტად მიიჩნია და იკითხა მისი მნიშვნელობა). ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ინფორმანტების პასუხები ზოგჯერ არ ემთხვევა ერთმანეთს.

მაშასადამე, ინფორმანტთა ჩვენება არ წარმოადგენს ფრაზის გრამატიკული სისწორის განსაზღვრის კრიტერიუმს. ეს არის ერთგვარად ინტუიციური, პირველადი ცნება.

## 6. ფრაზის გრამატიკული სისწორის განსაზღვრის პროცედურები

**6.1. ზოგიერთ შემთხვევაში წინადადების გრამატიკული სისწორე ეჭვს არ იწვევს, ზოგი გამონათქვამი კი აშკარად არამარკირებულია. შეიძლება მოგახდინოთ ამგვარი შემთხვევების განზოგადება და ფრაზების გრამატიკული სისწორის განსაზღვრისათვის გამოვიყენოთ ქვემოთ აღწერილი ფორმალური პროცედურა.**

ვთქვათ, მოცემულია ენის სიტყვაფორმათა  $\Sigma = \{x\}$  სიმრავლე — ლექსიკონი, რომელზეც განსაზღვრულია ფრაზების  $\{A_1, A_2, \dots, A_n, \dots\}$  სიმრავლე; იგი დაყოფილია ორ არათანამკვეთ ქვესიმრავლედ — რეალური (რეალურად დადასტურებული) ფრაზების  $\alpha = \{B_1, B_2, \dots, B_m\}$  სიმრავლედ და აკრძალული ფრაზების  $\beta = \{C_1, C_2, \dots, C_n\}$  სიმრავლედ. აკრძალულია ფრაზა, რომელსაც ყველა ინფორმანტი დაუშვებლად მიიჩნევს.  $\Sigma$  ლექსიკონიდან თითოეული  $x$  სიტყვაფორმა შედის ერთ რეალურ ფრაზაში მაინც.

ვიტყვი, რომ  $x$  სიტყვაფორმა შენაცვლებადობის  $R$  მიმართებაშია  $y$  სიტყვაფორმასთან,  $xRy$ , თუ: (1) არსებობს ისეთი  $A_i$  და  $A_j$  ფორმები, რომ  $A_i x A_j$  და  $A_i y A_j$  რეალური ფრაზებია (ე.ი.  $x$ -ის  $y$ -ით შენაცვლები-სას ისევ რეალური ფრაზა მიიღება); (2) არ არსებობს ისეთი  $A_i$  და  $A_j$  ფორმები, რომ  $A_i x A_j$  რეალური ფრაზა იყოს, ხოლო  $A_i y A_j$  — აკრძალული.

$Y$  მიმდევრობას გუწოდოთ  $x$  სიტყვაფორმის გაშლა, თუ: (1) არსებობს ისეთი  $A_i$  და  $A_j$  ფორმები, რომ  $A_i x A_j$  და  $A_i y A_j$  რეალური ფრაზებია; (2) არ არსებობს ისეთი  $A_i$  და  $A_j$  ფორმები, რომ  $A_i x A_j$  რეალური ფრაზა იყოს, ხოლო  $A_i y A_j$  — აკრძალული.

ახლა შეგვიძლია განვსაზღვროთ ფრაზის გრამატიკული სისწორე.

გრამატიკულად სწორად ჩაითვლება: (1) ყველა რეალური ფრაზა; (2) რეალური ფრაზებიდან მიღებული ყველა ისეთი ფრაზა, რომლებშიც  $x$  სიტყვაფორმა შენაცვლებულია მასთან  $R$  მიმართებაში მყოფი  $y$  სიტყვაფორმით; (3) რეალური ფრაზებისგან მიღებული ყველა ისეთი ფრაზა, რომლებშიც  $x$  სიტყვაფორმა შენაცვლებულია მისი  $Y$  გაშლით.

ყველა სხვა ფრაზა მიიჩნევა გრამატიკულად არასწორად.

**6.2.** გრამატიკულად სწორი უაზრო ფრაზები მიიღება სიტყვაფორმის შენაცვლებიდან იმავე კონტექსტური კლასის სხვა სიტყვაფორმით. მეორე მხრივ, არამარკირებული ფრაზებიდან ამ გზით ისევ არამარკირებული ფრაზები მიიღება. ამგვარად, რეალურად დადასტურებული ფრაზიდან პატარა გოგონებს მშვიდად სძინავთ შენაცვლების ოპერაციათა გამოყენებით შეიძლება მივიღოთ, ვთქვათ, მწყანე იღუებს მძინვარედ სძინავთ — უაზრო, მაგრამ მარკირებული ფრაზა. ამგვარი გარდაქმნების შედეგი შეიძლება დაგინახოთ, მაგალითად, თანამედროვე პოეზიის ნიმუშებში, ფოლკლორში. ამ ტიპის სემანტიკურად „უცნაური“ კონსტრუქციები მრავლადაა ლუის კეროლის ცნობილ ზღაპარში „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“. ასეთია, მაგალითად, მარინა ცვეტაევას სტრიქონი — Я всей бессонницей тебя люблю „მთელი უძილობით მიყვარხარ“ (შდრ. რეა-

ლური ფრაზა — Я всей душой тебя люблю „მთელი გულით მიყვარხარ“).

## 7. ეკვივალენტურ სიტყვაფორმათა კლასები. ფრაზის S-სტრუქტურა

7.1. ჰმოსავალ ერთეულთა (სიტყვათა) სტრუქტურულ კლასებად დაყოფაზე უკვე გვქონდა საუბარი. თითოეულ ფრაზას შეიძლება შევუსაბამოთ სიტყვათა კლასების გარკვეული მიმდევრობა, თუ ფრაზის ყოველი სიტყვის ნაცვლად წარმოვადგენთ იმ კლასს, რომელშიც ეს სიტყვა შედის.

ვთქვათ, ენაში გამოვყავით 4 კლასი — S (არსებითი სახელი), A (ზედსართავი სახელი), V (ზმნა) და Z (ყველა დანარჩენი). მაშინ, მაგალითად, *პატარა ბიჭი და გოგონა თამაშობენ ბურთს* ფრაზის შესაბამისი მიმდევრობა იქნება ASZSVS. კლასების ამავე მიმდევრობას შეესაბამება არამარკირებული ფრაზებიც, მაგალითად, *დიდმა სასლის აქ ძწის იმღერებს სკამით*. ვუწოდოთ ფრაზის B-სტრუქტურა კლასებად მის ისეთ წარმოდგენას, როდესაც ამ ფრაზის თითოეული სიტყვა გადაისახება შესაბამის კლასზე. მაშასადამე, A ფრაზის B-სტრუქტურა — B(A) — გვაქვს, თუ  $A = x_1 x_2 \dots x_n$  ფრაზას შეესაბამება კლასების  $B_1 B_2 \dots B_n$  მიმდევრობა, სადაც ყოველი  $x_i$  არის  $B_i$  კლასის ელემენტი.

ვითყვით, რომ B-სტრუქტურა მარკირებულია, თუ მარკირებულია მისი შესაბამისი ერთი ფრაზა მაინც. თუ B-სტრუქტურის შესაბამისი ყველა ფრაზა მარკირებულია, მაშინ B-სტრუქტურა სრულყოფილია.

ახლა ჩვენს ამოცანას შეადგენს ფრაზების ისეთ კლასებად დაყოფა, რომ მოცემული ფრაზის B-სტრუქტურაში თითოეული კლასის ნაცვლად მისივე წევრი სიტყვაფორმის ჩასმის შემდეგ მარკირებული ფრაზა ისევ მარკირებულად დარჩეს, ხოლო არამარკირებული — არამარკირებულად. სიტყვაფორმები თითოეულ ასეთ კლასში ურთიერთშენაცვლებადი იქნება.

ვითყვით, რომ  $x$  ელემენტი  $y$  ელემენტის გრამატიკული ეკვივალენტია (ან, მარტივად, ეკვივალენტურია),  $x \sim y$ , თუ: (1) ყოველი მარკირებული  $A_1 x A_2$  ფრაზის მარკირებულობიდან გამომდინარეობს  $A_1 y A_2$  ფრაზის მარკირებულობა და (2) ყოველი  $C_1 y C_2$  ფრაზის მარკირებულობიდან გამომდინარეობს  $C_1 x C_2$  ფრაზის მარკირებულობა. ადვილი საჩვენებელია, რომ ეს მიმართება რეფლექსური, სიმეტრიული და ტრანზიტულია. ამ თვისებებით გამორჩეული მიმართება განისაზღვრება როგორც ეკვივა-

ლენტობა, რომელიც სიმრავლეში შეტანისას იწვევს ამ სიმრავლის დაყოფას არათანამკვეთ არაცარიელ კლასებად. ჩვენს შემთხვევაში სიტყვაფორმათა მთელი სიმრავლე  $\tilde{E}$  მიმართების შემოტანით დაიყოფა არათანამკვეთ არაცარიელ კლასებად ანუ *ოჯახებად*.

მოცემული  $A$  ფრაზის შესაბამისი ოჯახების მიმდევრობას ამ *ფრაზის S-სტრუქტურა* ეწოდება; იგი აღინიშნება  $S(A)$  სიმბოლოთი. ფრაზის  $S$ -სტრუქტურა ემთხვევა თავისსავე სრულყოფილ  $B$ -სტრუქტურას.

განვიხილოთ მაგალითი: *პატარა ბიჭი და გოგონა თამაშობენ ბურთს*. ეს ფრაზა შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც  $S_1 S_2 S_3 S_4 S_5 S_6$  კლასების მიმდევრობა, ანუ როგორც  $S$ -სტრუქტურა, რომლის თითოეული  $S_i$  კლასი აერთიანებს ეკვივალენტურ სიტყვაფორმებს, ოჯახებს:

$S_1$  - *პატარა, მწვანე, სათნო ...*

$S_2$  - *ბიჭი, მეგობარი, ექიმი ...*

$S_3$  - *და, ან, თუ ...*

$S_4$  - *გოგონა, კატა, დედა ...*

$S_5$  - *თამაშობენ, უყურებენ, ითვლიან ...*

$S_6$  - *ბურთს, წიგნს, ვარსკვლავს ...*

ამგვარად, ნებისმიერ ფრაზაში სიტყვაფორმის შენაცვლება მისი ოჯახის სხვა წევრით არ არღვევს ფრაზის მარკირებულობას, თუმცა ზოგჯერ უაზრო გამონათქვამები მიიღება.

7.2. ზემოთ განხილული გვიჩვენა სიტყვაფორმათა ეკვივალენტობა ფრაზის მიმართ. შეიძლება განვიხილოთ აგრეთვე ფრაზების ეკვივალენტობა სიტყვაფორმის მიმართ, რაც გულისხმობს მოცემული სიტყვაფორმის მიმართ ეკვივალენტური გარემოცვების მთელი სიმრავლის გამოყოფას. აქ არსებითად ერთსა და იმავე კლასიფიკაციასთან გვაქვს საქმე.

გუწოდოთ *მრავალწერტილიანი ფრაზა* ისეთ ფრაზას, რომელშიც ერთ-ერთი სიტყვაფორმა შეცვლილია მრავალწერტილით. ვიტყვით, რომ *ორი მრავალწერტილიანი ფრაზა ეკვივალენტურია X სიტყვაფორმის მიმართ*, თუ მრავალწერტილის ნაცვლად  $X$  სიტყვაფორმის ჩასმისას ორივე ფრაზა მარკირებული ხდება. მაგალითად, ... *ადუღდა და მან დალია...* ფრაზები ეკვივალენტურია *რძე* სიტყვაფორმის მიმართ; რუსული ... *КИПИТ „დუღს“ და ОН ПЬЕТ... „იგი სვამს“* ფრაზები ეკვივალენტურია *МОЛОКО „რძე“* სიტყვაფორმის მიმართ, მაგრამ არა *ВОДА „წყალი“* სიტყვაფორმის მიმართ (დაუშვებელია \**ОН ПЬЕТ ВОДА*).

ორი მრავალწერტილიანი ფრაზა *აბსოლუტურად ეკვივალენტურია* თუ ისინი ეკვივალენტურია ნებისმიერი სიტყვაფორმის მიმართ, რომელიც ორივე ფრაზას მარკირებულად აქცევს. ადვილი საჩვენებელია, რომ ეს მიმართებაც რეფლექსური, სიმეტრიული და ტრანზიტიულია და,

მაშასადამე, მრავალწერტილიანი ფრაზების მთელი სიმრავლე ამ მიმართების საფუძველზე იყოფა არათანამკვეთ არაცარიელ კლასებად. ისევე, როგორც ფრაზის მიმართ სიტყვაფორმათა ეკვივალენტობის შემთხვევაში, აქაც ვღებულობთ სიტყვაფორმის მიმართ *ეკვივალენტური ფრაზების ოჯახებს*.

7.3. *თუ მარკირებული ფრაზების სიმრავლეს უსასრულო სიმრავლედ მივიჩნევთ, ეს ძალიან გაართულებს სიტყვაფორმათა ეკვივალენტური კლასების გამოყოფას. მართლაც, ნებისმიერი ორი სიტყვაფორმის ეკვივალენტობის საჩვენებლად უნდა გადავსინჯოთ ყველა ის მარკირებული ფრაზა, რომლებშიც ისინი შეიძლება შეგვხვდეს, და ეს პროცესი უსასრულოდ გაგრძელდება. ამიტომ მარკირებული ფრაზების სიმრავლეს პირობითად განვიხილავთ როგორც *ზემოდან შემოსაზღვრულ სასრულ სიმრავლეს* (მაგალითად, როგორც მოცემულ ენაზე XX საუკუნეში შექმნილი ყველა ნაწარმოების ფრაზათა სიმრავლეს). ის ფრაზები, რომლებიც ამ სიმრავლეში არ შეევა, არამარკირებულად ჩაითვლება.*

იმისათვის, რათა შესაძლებელი გახდეს მარკირებული ფრაზების გადათვლა, მიზანშეწონილია მოვითხოვოთ ელემენტთა ურთიერთშენაცვლებადობა არა ნებისმიერ, არამედ შეზღუდული სიგრძის მქონე სტრუქტურებში. ვიტყვი, რომ *B<sub>i</sub> სტრუქტურა B<sub>j</sub> სტრუქტურის შეზღუდულად ეკვივალენტურია*, თუ: (1) ნებისმიერი ისეთი მარკირებული B-სტრუქტურიდან, რომლის სიგრძე არ აღემატება რაღაც k რიცხვს და რომელსაც აქვს B(A<sub>1</sub>)B<sub>j</sub>B(A<sub>2</sub>) სახე, მიიღება მარკირებული B(A<sub>1</sub>)B<sub>j</sub>B(A<sub>2</sub>) სტრუქტურა და (2) ნებისმიერი მარკირებული B-სტრუქტურიდან, რომლის სიგრძე არ აღემატება რაღაც k რიცხვს და რომელსაც აქვს B(D<sub>1</sub>)B<sub>j</sub>B(D<sub>2</sub>) სახე, მიიღება მარკირებული B(D<sub>1</sub>)B<sub>j</sub>B(D<sub>2</sub>) სტრუქტურა (A<sub>1</sub>, A<sub>2</sub>, D<sub>1</sub>, D<sub>2</sub> ნებისმიერი ფრაზებია).

შეზღუდული ეკვივალენტობის მიმართება ხასიათდება რეფლექსურობით, სიმეტრიულობითა და ტრანზიტულობით.

ამგვარად, სასრული რაოდენობის სიტყვაფორმებისაგან შეიძლება შევადგინოთ განსაზღვრული სიგრძის ფრაზები, რომელთა ანალიზი შეიძლება განხორციელდეს S-სტრუქტურების ტერმინებში. ორი ელემენტის (სიტყვაფორმის) ეკვივალენტობა პრაქტიკულად მოწმდება მათი ურთიერთშენაცვლებადობის საფუძველზე არა ყველა (თუნდაც შეზღუდული სიგრძის) ფრაზაში, არამედ მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის ფრაზებში.

## წარმოშობა ბრამპტიკათა თეორია

### 8. გრამატიკა როგორც წარმოშობი მექანიზმი. წინადადებათა „წარმოქმნა“ და „წარმოშობა“

8.1. წარმოშობა გრამატიკათა თეორიაში (ნოამ ჩომსკი) განარჩევენ წინადადებათა წარმოქმნასა და წარმოშობას. ამ თეორიაში ტერმინს წარმოშობა ენიჭება ზუსტად იგივე მნიშვნელობა, რომელიც მას აქვს მათემატიკაში, სადაც წარმოშობა ნიშნავს გადათვლას, ჩამოთვლას. მაგალითად,  $y=2x$  ფუნქცია, განსაზღვრული ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეზე, „წარმოშობს“ ლუწ რიცხვთა სიმრავლეს, ე.ი. იძლევა ამ სიმრავლის ელემენტთა გადათვლის წესს, პროცედურას. ყოველი ლუწი რიცხვი წარმოადგენს ამ პროცედურის (ამა თუ იმ ნატურალური რიცხვის ორზე გამრავლების) შედეგს. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ გრამატიკა წარმოშობს წინადადებებს, ვგულისხმობთ მხოლოდ იმას, რომ გრამატიკა გადათვლის წინადადებებს, განსაზღვრავს მათ კუთვნილებას ენისადმი, როგორც წინადადებათა რეკურსიულად გადათვლადი უსასრულო სიმრავლისადმი. *სიმრავლე რეკურსიულად გადათვლადია* (ინგლ. *recursively enumerable*, რუს. *рекурсивно перечислимое*), თუ არსებობს წესი, რომელიც გადათვლის, ჩამოთვლის მოცემული უსასრულო სიმრავლის ელემენტებს). ამ აზრით, გრამატიკა შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც ფუნქცია, რომლის განსაზღვრის არეს ენის წინადადებები შეადგენს. გრამატიკას არ მოეთხოვება წინადადებათა წარმოშობა მათ შორის შინაარსობრივი კავშირებისა და ლოგიკური მიმართებების გათვალისწინებით; ეს მხოლოდ ადამიანის, მეტყველის კომპეტენციას განეკუთვნება. ადამიანი, მეტყველი ანგარიშს უწევს შინაარსობრივ კავშირს მის მიერ წარმოთქმულ წინადადებებს შორის, ითვალისწინებს მათ ლოგიკურ ურთიერთმიმართებებს. ადამიანის მიერ წინადადებების აგების პროცესს ვუწოდოთ *წარმოქმნა* (ინგლ. *produce*, რუს. *производство*), ხოლო გრამატიკის მიერ წინადადებათა კონსტრუირებას – *წარმოშობა* (ინგლ. *generate*, რუს. *образование*). მაშასადამე, წარმოქმნასა და წარმოშობას შორის ის განსხვავებაა, რომ წარმოქმნა ხორციელდება ადამიანის მიერ და ეს ხდება მის მიერ წარმოქმნილ წინადადებებს შორის შინაარსობრივ-ლოგიკური მიმართებების გათვალისწინებით, ხოლო წარმოშობა ხორციელდება გრამატიკის მეშვეობით, რომელიც მხოლოდ ჩამოთვლის, გადათვლის ენის წინადადებებს.

მაშასადამე, გრამატიკა შეიძლება გაგვიგოთ როგორც ფუნქცია, რომელიც „გადათვლის“ წინადადებებს, ან როგორც ფუნქცია, რომლის გან-



საზღვრის არეს ენის წინადადებები შეადგენს. გრამატიკის წესები წარმოშობენ ანუ რეკურსიულად გადათვლიან წინადადებებს.

8.2. ბრამატიკა თანამედროვე გაგებით არის არა ენობრივი ფაქტების უბრალო აღწერა, ლინგვისტური მოვლენების კლასიფიკაცია, არამედ წარმომშობი მექანიზმი, რომელიც განისაზღვრება სამი კომპონენტის ერთობლიობით. ესენია:

1. ამოსავალი, პირველადი, საწყისი ელემენტების სასრული სიმრავლე.

2. ამ ელემენტების გაერთიანებისა და გარდაქმნის წესების სასრული სიმრავლე.

3. სიმრავლე სტრუქტურული აღწერებისა, რომელთაგან თითოეული შეესაბამება ყოველ წარმომშობილ რთულ ობიექტს — წინადადებას.

გრამატიკა, როგორც წარმომშობი მექანიზმი, შესაძლებელია განისაზღვროს როგორც სასრული სისტემა წესებისა, რომელთა განხორციელების შედეგად პირველადი, ამოსავალი ელემენტებისაგან მიიღება უსასრულოდ დიდი რაოდენობა რთული ობიექტებისა, გამონათქვამებისა, წინადადებებისა, რომელთაგან თითოეულს შეესაბამება მისი (წინადადების) უმნიშვნელოვანესი ფონოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური თვისებების ამსახველი განსაზღვრული სტრუქტურული აღწერა.

იმ მოთხოვნებს შორის, რომლებიც გრამატიკას წაეყენება, უმთავრესი არის მოთხოვნა გრამატიკის სასრულობისა. გრამატიკა არ შეიძლება იყოს უსასრულო სისტემა — ამ შემთხვევაში გრამატიკად შეიძლება მიგვეჩინა უბრალოდ მთელი სიმრავლე ყველა წინადადებისა, რაც, თავისთავად ცხადია, ყოველგვარ აზრს არის მოკლებული (ასეთი სიმრავლის არსებობა იმთავითვე შეუძლებელია). გრამატიკა უნდა წარმოადგენდეს თეორიას წინადადებების აგების განმეორებადი კანონზომიერებებისას, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან ენის სინტაქსურ სტრუქტურას. რამდენადაც ეს თეორია ფორმალიზებულია, შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმოადგენს ენის სინტაქსური სტრუქტურის მათემატიკურ მოდელს.

ლოგიკურად არსებობს ერთი და იმავე ენისათვის სხვადასხვაგვარი გრამატიკის შექმნის არაერთი შესაძლებლობა. ეს გრამატიკები ერთმანეთისგან განსხვავებულნი იქნებიან ამოსავალი ობიექტების სიმრავლებით და — ამის შესაბამისად — მათში განხორციელებული წესების სისტემებით.

ენათმეცნიერი მოკლებულია შესაძლებლობას, უშუალოდ დააკვირდეს ადამიანის თავის ტვინში წარმოდგენილი ბუნებრივი ენობრივი სისტემის მოქმედებას და შეადაროს იგი მის მიერ აგებულ წარმომშობ გრამატიკას. ეს გრამატიკა მხოლოდ საბოლოო შედეგების მსხედვით თუ შეიძლება დაემთხვეს რეალურ ენობრივ სისტემას. ამდენად, წარმომშობი

გრამატიკა შეიძლება განვიხილოთ როგორც რეალური ენობრივი სისტემის მოდელი დინამიკური სისტემა, რომლის აგებულება აუცილებლობით არ ასახავს ენობრივი სისტემის შინაგან სტრუქტურულ ორგანიზაციას.


ენა შეიძლება შევადაროთ ე.წ. შავ ყუთს ანუ ისეთ მოწყობილობას, რომლის შესახებ ვმსჯელობთ მხოლოდ მის გამოსასვლელზე წარმოდგენილი შედეგების მიხედვით და ვერაფერს ვიტყვით მისი შინაგანი ორგანიზაციისა თუ მოქმედების პრინციპის შესახებ. „შავი ყუთის“ მეთოდს მიმართავენ მაშინ, როდესაც კვლევის ობიექტი მიუწვდომელია უშუალო დაკვირვებისათვის, ან უაღრესად რთულია იმისათვის, რომ მისი შემადგენელი ნაწილებისა და მათი ურთიერთმიმართებების საფუძველზე ვიმსჯელოთ ამ ობიექტის მოქმედებაზე. ბუნებრივი ენა სწორედ ასეთი, უშუალო დაკვირვებისათვის მიუწვდომელი რთული სისტემაა, ხოლო გრამატიკა მისი სტრუქტურის თეორიას წარმოადგენს. წარმომშობი მოდელის აგების პრინციპები შეიძლება არსებითად განსხვავებული იყოს იმ პრინციპებისაგან, რომლებიც ობიექტურად დამახასიათებელია რეალური ენობრივი სისტემისათვის. თუ მოდელი ემოხვევა რეალურ სისტემას გამოსასვლელზე, ე.ი. თუ ისინი ერთნაირ ობიექტებს წარმოშობენ, მაშინ მოდელი შეიძლება ადეკვატურად მივიჩნიოთ.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ წარმომშობი გრამატიკა როგორც ენის სტრუქტურის თეორია, და მისი გამოყენება წინადადებათა სინთეზისა და ანალიზის მექანიზმების შესაქმნელად. რეალური ენობრივი სისტემის გამოყენების დროს მოლაპარაკე ახდენს წინადადებათა სინთეზს, ხოლო მსმენელი — ანალიზს. წარმომშობი გრამატიკა ნეიტრალურია მოლაპარაკისა და მსმენელის მიმართ, იგი არ ახორციელებს არც სინთეზს და არც ანალიზს. ერთი და იგივე წარმომშობი გრამატიკა შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონკრეტულ წინადადებათა როგორც სინთეზის, ისე ანალიზის მექანიზმების შესაქმნელად. ამ მექანიზმებში მიმდინარე პროცესები ახდენენ იმის იმიტაციას, რაც მოლაპარაკესა ან მსმენელში მიმდინარეობს ბუნებრივი ენის ფუნქციონირების დროს.


## 9. წარმომშობი გრამატიკების თეორია. გრამატიკების შეფასების კრიტერიუმები — სისრულე, ადეკვატურობა, ეკონომიურობა, სიმარტივე

9.1. რამდენადაც დასაშვებია ერთი ენისათვის სხვადასხვა წარმომშობი გრამატიკის შექმნა, რაც განისაზღვრება ამ ენობრივი სისტემისათვის სხვადასხვაგვარი მოდელების შექმნის შესაძლებლობით, ჩვენ უნდა გვქონდეს ამ რამდენიმე შესაძლებელი გრამატიკიდან ერთ-ერთის არჩევის საშუალება. ასეთი არჩევანი გრამატიკების შეფასების სხვადასხვა


კრიტიკიუმით განისაზღვრება. არსებობს *ზოგადენათმეცნიერული მეტათეორია*, რომელიც იძლევა ერთი ენისათვის შესაძლებელი რამდენიმე წარმომშობი გრამატიკიდან ალტერნატიული არჩევის პროცედურებსა და კრიტიკიუმებს. ასეთი მეტათეორია შორეულ პერსპექტივაში მიზნად ისახავს ისეთი მოწყობილობის აგებას, რომელსაც შესასვლელზე ექნება ენის წინადადებათა სიმრავლე, ხოლო გამოსასვლელზე — ამ წინადადებების წარმომშობი  $G$  გრამატიკა:



სხენებული მეტათეორია მეორე, შედარებით ადვილად მისაღწევ მიზნად ისახავს ისეთი მოწყობილობის შექმნას, რომელსაც შესასვლელზე ექნება ენის წინადადებათა სიმრავლე და მათი წარმომშობი  $G$  გრამატიკა, ხოლო გამოსასვლელზე — „ჰო“ ან „არა“ პასუხი, სადაც „ჰო“ ნიშნავს, რომ შესასვლელზე წარმოდგენილი გრამატიკა წარმოშობს ამ ენის წინადადებებს, ხოლო „არა“ ნიშნავს, რომ მოცემული გრამატიკა ვერ წარმოშობს მათ:



კიდევ უფრო ადვილად მისაღწევი მიზანია ისეთი მოწყობილობის აგება, რომელსაც შესასვლელზე ექნება ენის წინადადებათა სიმრავლე და ამ წინადადებათა წარმომშობი რამდენიმე ალტერნატიული გრამატიკა, ხოლო გამოსასვლელზე — ამ გრამატიკებს შორის ერთ-ერთის არჩევის შესაძლებლობა:



9.2. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს გრამატიკა სასრულობის ზოგადი მოთხოვნის გარდა, რომ იგი ობტიმალურად ჩაითვალოს მოცემული ენის წინადადებათა წარმოშობის თეალსაზრისით? არსებობს გრამატიკების შეფასების ოთხი კრიტერიუმი. ესენია:

1. სისრულე; 2. ადეკვატურობა; 3. ეკონომიურობა; 4. სიმარტივე.

განვიხილოთ რაღაც  $L$  ენა ანუ სიმრავლე მარკირებული წინადადებებისა, რომლებსაც წარმოშობს  $G$  გრამატიკა. აქ გასარჩევია საში შემთხვევა:

1.  $G$  გრამატიკა ვერ წარმოშობს  $L$  ენის ყველა მარკირებულ წინადადებას;

2.  $G$  გრამატიკა წარმოშობს  $L$  ენის ყველა მარკირებულ წინადადებას და ამით გარდა სხვა წინადადებებსაც — არამარკირებულთ;

3.  $G$  გრამატიკა წარმოშობს  $L$  ენის ყველა მარკირებულ წინადადებას და მხოლოდ მათ.

აღვნიშნოთ  $M$ -ით  $L$  ენის მარკირებულ წინადადებათა სიმრავლე წინადადებათა  $m$  რაოდენობით; აღვნიშნოთ  $Z$ -ით  $G$  გრამატიკის მიერ წარმოშობილი წინადადებების სიმრავლე წინადადებათა  $z$  რაოდენობით;  $U$ -თი აღვნიშნოთ  $M$  და  $Z$  სიმრავლეების თანაკვეთა —  $U=M \cap Z$  — წინადადებათა  $u$  რაოდენობით.

განვსაზღვროთ *გრამატიკის სისრულე* როგორც  $U$  სიმრავლეში წარმოდგენილი წინადადებების რაოდენობის შეფარდება მარკირებული წინადადებების მთელ რაოდენობასთან:

$$P = \frac{u}{m}$$

*სისრულის ხარისხის* გამოსათვლელი ამ ფორმულით განისაზღვრება ის, თუ მარკირებულ წინადადებათა რა რაოდენობა წარმოიშობა გრამატიკის მიერ. სისრულის ხარისხის რიცხვითი მნიშვნელობები მოთავსებულია  $[0, 1]$  სეგმენტში:

$$0 \leq P = \frac{u}{m} \leq 1$$

*ადეკვატურობის ხარისხი* ასევე  $[0, 1]$  სეგმენტზე განსაზღვრული, გვიჩვენებს, თუ წინადადებათა რა ნაწილია მარკირებული გრამატიკის მიერ წარმოშობილ წინადადებათა სიმრავლეში:

$$A = \frac{u}{z}$$

როდესაც  $P=1$ , ამბობენ, რომ გრამატიკა არის მაქსიმალურად სრული; როდესაც  $A=1$ , ამბობენ, რომ გრამატიკა მაქსიმალურად ადეკვატურია; როდესაც  $P=1$  და  $A=1$ , მაშინ გრამატიკა წარმოშობს ენის ყველა მარკირებულ წინადადებას და მხოლოდ მათ.

გრამატიკა ითვლება ეკონომიურად, თუ მცირეა იმ საწყისი, ამოსავალი ელემენტების რაოდენობა, რომლებითაც იგი ოპერირებს; გრამატიკა ითვლება მარტივად, თუ მცირეა მასში მოქმედი წესების რაოდენობა.

ზუსტი მათემატიკური გაშოსახულება ამ ორი უკანასკნელი კრიტერიუმისათვის არ არსებობს, მაგრამ საზოგადოდ სისტემის ეკონომიურობასა და სიმარტივეს შორის ასეთი თანაფარდობაა — ეკონომიური სისტემა რთულია, ხოლო არაეკონომიური სისტემა მარტივია.

თუ ჩვენს მსჯელობას გადავითხროთ გრამატიკაზე, გამოვა, რომ არაეკონომიური გრამატიკა მარტივია, ე.ი. ამოსავალ ელემენტთა დიდი რაოდენობა წინადადებების წარმოსაშობად მოითხოვს წესების მცირე რაოდენობას, მაშინ როდესაც ამოსავალი ელემენტების მცირე რაოდენობისათვის აუცილებელი ხდება მრავალრიცხოვანი წესების რთული სისტემა.

## 10. სისტემის ელემენტთა ურთიერთდამოკიდებულების სხვადასხვა სახე

10.1. შნა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც სიმრავლე — სასრული ან უსასრულო — გრამატიკულად სწორი, მარკირებული წინადადებებისა, რომელთაგან თითოეული სასრული სიგრძისაა და აიგება სასრული რაოდენობის სიმბოლოებისაგან შეერთების ოპერაციის მეშვეობით. ენა განსაზღვრულია, თუ მოცემული გვაქვს: 1. ენის ალფაბეტი ანუ ამოსავალი სიმბოლოების სასრული სიმრავლე და 2. გრამატიკულად სწორი წინადადებების სიმრავლე.

განვიხილოთ ენები, რომელთა ალფაბეტი შეიცავს ორად ორ სიმბოლოს —  $a$ -სა და  $b$ -ს — და რომელთა წინადადებების სტრუქტურები გარკვეული წესებით განისაზღვრება:

$L_1$  ენა როგორც სიმრავლე  $ab, aabb, aaabbb, aaaabbbb$  და საზოგადოდ ყველა ისეთი წინადადებისა, რომლებშიც  $a$  ელემენტის  $n$ -ჯერ შესვლას მოსდევს  $b$  ელემენტის  $n$ -ჯერვე შესვლა;

$L_2$  ენა როგორც სიმრავლე ისეთი წინადადებებისა, როგორიც არის  $aa, bb, abba, abbbba, aabaabaa, abaaaaba$ , და საზოგადოდ ყველა ისეთი წინადადებისა, რომელთაც ე.წ. სარკისებური სტრუქტურა აქვთ — სახელდობრ, ყველა ეს წინადადება იმგვარად არის აგებული, რომ ამოსავალ

სიმბოლოთა რაღაც  $X$  მიმდევრობას მოსდევს ამავე სიმბოლოებისაგან შემდგარი მიმდევრობა შებრუნებული რიგით;

$L_3$  ენა, რომელიც შედგება  $aa, abab, aabaab, babbab, baaabaaa$  და საზოგადოდ ყველა ისეთი წინადადებისაგან, რომლებშიც ამოსავალ სიმბოლოთა რაღაც  $X$  მიმდევრობას მოსდევს ზუსტად ისეთივე მიმდევრობა.

რა გრამატიკები წარმოშობს ამ საში განხილული ენის წინადადებებს, რომელთა აგებულება მკაცრად არის განსაზღვრული?

$L_1$  ენის წინადადებებს წარმოშობს  $G_1$  გრამატიკა, შემდგარი რაღაც ამოსავალი  $S$  სიმბოლოსაგან, რომელსაც ერთგვარი აქსიომის მნიშვნელობა აქვს და რომლისგანაც გარკვეული წესების განხორციელების შედეგად წარმოიშობა  $L_1$  ენის წინადადებები, ხოლო თვითონ ეს წესები ანუ ბრძანებები (ინგლ. *commands*) ასეთია:  $F_1 : S \rightarrow ab$ ;  $F_2 : S \rightarrow aSb$ , სადაც „ $\rightarrow$ “ ნიშნავს „გადაწერე როგორც“ ან „შეცვალე“.  $F_1$  და  $F_2$  წესების გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ  $L_1$  ენის წინადადებები, რომლებიც გამოიყვანება ამოსავალი  $S$  სიმბოლოდან. გამოყვანა დასრულებულია, თუ წესების მოცემულ სიმრავლეში არ მოიბოვება ისეთი წესი, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა სიმბოლოთა წარმოშობილი მიმდევრობის შემდგომი გარდაქმნა.

**10.2.** ზნახთ, როგორ წარმოიშობა  $G_1$  გრამატიკის მეშვეობით  $L_1$  ენის ისეთი წინადადება, როგორიც არის  $aaaabbbb$ :

$S \rightarrow aSb$  ( $F_2$  წესის მიხედვით);

$aSb \rightarrow aaSbb$  ( $F_2$  წესის მიხედვით);

$aaSbb \rightarrow aaaSbbb$  ( $F_2$  წესის მიხედვით), და ბოლოს,

$aaaSbbb \rightarrow aaaabbbb$  ( $F_1$  წესის მიხედვით).

$L_2$  ენის წინადადებები წარმოიშობა  $G_2$  გრამატიკის მიერ, რომელიც შეიცავს ამოსავალ  $S$  სიმბოლოს და ოთხ ასეთ წესს:  $F_1 : S \rightarrow aa$ ;  $F_2 : S \rightarrow bb$ ;  $F_3 : S \rightarrow aSa$ ;  $F_4 : S \rightarrow bSb$ . ვნახთ, როგორ წარმოიშობა  $L_2$  ენის  $aabbaa$  წინადადება ასეთი  $G_2$  გრამატიკის მიერ:

$S \rightarrow aSa$  ( $F_3$ );  $aSa \rightarrow aaSaa$  ( $F_3$ );  $aaSaa \rightarrow aabbaa$  ( $F_2$ ).

ახლა განვიხილოთ ამ ენის უფრო რთული წინადადების —  $babaaaabab$ -ს წარმოშობის პროცესი:

$S \rightarrow bSb$  ( $F_4$ );  $bSb \rightarrow baSab$  ( $F_3$ );  $baSab \rightarrow babSbab$  ( $F_4$ );

$babSbab \rightarrow babaSabab$  ( $F_3$ );  $babaSabab \rightarrow babaaaabab$  ( $F_1$ ).

$L_3$  ენის წინადადებათა წარმოშობი  $G_3$  გრამატიკა რამდენადმე განსხვავდება ზემოთ განხილული  $G_1$  და  $G_2$  გრამატიკებისაგან. იგი შეიცავს ამოსავალ  $S$  სიმბოლოს და ერთ ისეთ წესს, რომელიც განსაზღვრავს ხსენებულ განსხვავებას. შევთანხმდეთ, რომ  $a$  და  $b$  ელემენტებისაგან

შემდგარ მიმდევრობას წარმოვადგენთ  $x$ -ის სახით. შემოვიტანოთ კიდეც ერთი, ე.წ. *სასაზღვრო სიმბოლო*, რომელიც აღნიშნავს წინადადების დასაწყისსა და დასასრულს — #.  $G_3$  გრამატიკის წესები ასეთია:  $F_1: S \rightarrow aS$ ;  $F_2: S \rightarrow bS$ ;  $F_3: \#xS\# \rightarrow \#xx\#$ .

ეს უკანასკნელი  $F_3$  წესი არ არის ჩვენ მიერ ზემოთ განხილული  $\varphi \rightarrow \psi$  წესების ტიპისა, სადაც  $\varphi$  და  $\psi$  არის სიმბოლოთა მიმდევრობები და  $\varphi$  ავტომატურად იცვლება  $\psi$ -თი. ამ  $F_3$  წესის გამოყენება მოითხოვს მიმდევრობათა გარკვეულ ანალიზს — სახელდობრ, უნდა განისაზღვროს, თუ როდის არის შესაძლებელი მისი განხორციელება. ვნახოთ, როგორ წარმოშობს ასეთი  $G_3$  გრამატიკა  $L_3$  ენის  $aabaab$  წინადადებას:

$S \rightarrow aS$  ( $F_1$ );  $aS \rightarrow aaS$  ( $F_1$ );  $aaS \rightarrow aabS$  ( $F_2$ ). აღვნიშნოთ  $aab \equiv x$ ;  $F_3$  წესის მიხედვით  $\#aabS\# \rightarrow \#aabaab\#$  ( $F_3$ ).  $F_3$  წესი ახდენს  $a$  და  $b$  სიმბოლოებისაგან შედგენილი მიმდევრობის გაორმაგებას.

**10.3.** წინადადებების შემადგენელი ელემენტები ერთმანეთთან გარკვეულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. ასე მაგალითად, თუ განვიხილავთ  $L_2$  ენის წინადადებებს, აღმოჩნდება, რომ მათი შემადგენელი ელემენტები იდენტობის დამოკიდებულებას გვიჩვენებენ — ამ ენის ნებისმიერი წინადადების პირველი ელემენტი ისეთივეა, როგორც მისი უკანასკნელი ელემენტი; იდენტურია ამ წინადადების თავიდან მეორე და ბოლოდან მეორე ელემენტებიც და ა.შ. რამდენადაც  $L_2$  ენის წინადადებათა სიგრძე  $l$  ლუწი რიცხვით გამოისახება —  $l = 2m$  ( $m$  რაღაც მთელი რიცხვია), შესაძლებელია განისაზღვროს, თუ რომელ ელემენტებს შორის არსებობს იდენტობის აღნიშნული დამოკიდებულება. ესენია:  $(1, 2m)$ ;  $(2, 2m-1)$ ;  $(3, 2m-2)$ ; ...;  $(m, m+1)$ . მაგალითად,  $abbbba$  წინადადებისათვის  $l=6$ ,  $m=3$ ; იდენტობის დამოკიდებულება არსებობს I და VI, II და V, III და IV ელემენტებს შორის.

საზოგადოდ,  $S$  წინადადება ხასიათდება  $(i, j)$  დამოკიდებულებით  $L$  ენაში, თუ ამ წინადადებაში სიტყვების ადგილის მაჩვენებელი  $i$  და  $j$  ინდექსებისათვის სრულდება ასეთი პირობა:  $1 \leq i < j \leq n$  და წინადადების შემადგენელი  $a_i$  და  $a_j$  ელემენტებისათვის არსებობს ისეთი  $b_i$  და  $b_j$  ელემენტები, რომ  $S$  წინადადებაში  $a_i$  ელემენტის შეცვლა  $b_i$  ელემენტით, სადაც  $a_i \neq b_i$ , აუცილებლობით მოითხოვს  $a_j$  ელემენტის შეცვლას  $b_j$  ელემენტით, სადაც  $a_j \neq b_j$ , რათა წინადადება მარკირებული დარჩეს და ისევ  $L$  ენას ეკუთვნოდეს.

ყველა მეცნიერული თეორია, მათ შორის გრამატიკაც როგორც ენის სტრუქტურის კონცეფცია, დაკვირვებათა სასრულ სიმრავლეს ემყარება. თეორია აღწერს მოპოვებულ მონაცემებს, ადგენს მონაცემებს შორის

არსებულ მიმართებებს, გამოჰყავს ზოგადი კანონები და, რაც მთავარია, წინასწარმეტყველებს ახალ მოვლენებსა და ფაქტებს, რომელთა რაოდენობა უსასრულოდ დიდია.

განვიხილოთ რომელიმე ენის გრამატიკულად სწორი ანუ მარკირებული წინადადებების სიმრავლე. რა მექანიზმი წარმოშობს ამ წინადადებებს, როგორი გრამატიკა აღწერს ადეკვატურად განსახილველ წინადადებებს? შეიძლება დავუშვათ, რომ წინადადებები წარმოადგენენ ფონემურ მიმდევრობებს, რომ ისინი ფონემებისაგან არიან აგებულნი. რამდენადაც ფონემათა რაოდენობა ენაში, როგორც წესი, არ აღემატება 5-ნ ათეულს, — გრამატიკა, რომლის ალფაბეტი ამოსავალ სიმბოლოთა ასეთ რაოდენობას ითვლის, ძალიან ეკონომიური იქნებოდა, მაგრამ ამავე დროს მეტისმეტად რთულიც — დაგჭირდებოდა ძრავალრიცხოვანი წესების უაღრესად რთული სისტემა, რათა ფონემებისაგან წინადადებები აგვეგო. ამიტომ ჩვენ წინადადებებს განვიხილავთ არა როგორც ფონემებისაგან შემდგარ მიმდევრობებს, არამედ როგორც მორფემების ან სიტყვებისაგან აგებულ მიმდევრობებს. იმის გამო, რომ ასეთი ელემენტების რაოდენობა ენაში საკმაოდ დიდია, გრამატიკა, რომელიც ამოსავალ ელემენტებად ამგვარ ერთეულებს ირჩევს, უფრო მარტივი გამოდის მასში მოქმედი წესების რაოდენობის შედარებითი სიმცირის გამო.


## 11. გრამატიკა მდგომარეობათა სასრული რაოდენობით

11.1. განვიხილოთ ენის სტრუქტურის ერთ-ერთი მოდელი — *გრამატიკა მდგომარეობათა სასრული რაოდენობით*. ამ მოდელს საფუძვლად უდევს წარმოდგენა ენის როგორც ინფორმაციის მეტად მარტივი წყაროს შესახებ. დავუშვათ, გვაქვს რაღაც მანქანა, რომელსაც შეუძლია დაიკავოს ერთ-ერთი მდგომარეობა შინაგან მდგომარეობათა სასრული რაოდენობიდან. ამ შინაგან მდგომარეობათაგან ერთ-ერთს ეწოდება საწყისი მდგომარეობა, ხოლო მეორეს — საბოლოო. დროის ყოველ მოცემულ მომენტში მანქანა შეიძლება იმყოფებოდეს ერთსა და მხოლოდ ერთ მდგომარეობაში. მანქანა მუშაობას იწყებს საწყისი მდგომარეობიდან და ამთავრებს საბოლოო მდგომარეობაში გადასვლით. ერთი შინაგანი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლისას მანქანა გამოსცემს ერთ სიმბოლოს, ვთქვათ, სიტყვას. მანქანის მუშობელ მდგომარეობათა წყვილს, რომელთაც *ბმული მდგომარეობები* შეიძლება ეწოდოს, ერთი სიტყვა შეესაბამება. ასეთი სიტყვების მიმდევრობას ვუწოდოთ *წინადადება*, ხოლო ამგვარად წარმოშობილი წინადადებების სიმრავლეს — *ენა მდგომარეობათა სასრული რაოდენობით*, თვითონ ასეთ მანქანას კი, რომელიც ამ ენას წარმოშობს, ვუწოდოთ *გრამატიკა მდგომარეობათა სასრული*




რაოდენობით. ამგვარ გრამატიკას ჩვენ განვსაზღვრავთ როგორც სისტემას, რომელიც შედგება:  $S_0, S_1, S_2, \dots, S_q$  შინაგან მდგომარეობათა სასრული რაოდენობისაგან, რომელთაგან  $S_0$  ითვლება საწყის მდგომარეობად, ხოლო  $S_q$  – საბოლოო მდგომარეობად; გადასვლის სიმბოლოთა  $A$  სიმრავლისაგან –  $A = \{a_{ijk} \mid 0 \leq i, j \leq q, 1 \leq k \leq N_{ij}\}$  („ $|$ “ იკითხება როგორც „ისეთი, რომ“) და ბმულ მდგომარეობათა წყვილების  $C$  სიმრავლისაგან –  $C = \{(S_i, S_j)\}$ .  $S_i$  მდგომარეობიდან  $S_j$  მდგომარეობაში გადასვლისას გამოიცილება  $a_{ijk}$  სიტყვა, სადაც  $i$  და  $j$  შინაგან მდგომარეობათა მაჩვენებელი ინდექსებია, ხოლო  $k$  – წინადადებაში ამ სიტყვის ადგილის აღმნიშვნელი ინდექსი.

11.2. გრამატიკა მდგომარეობათა სასრული რაოდენობით შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ე.წ. მდგომარეობათა დიაგრამის სახით. ასე, მაგალითად, გრამატიკას, რომელიც წარმოშობს ორად ორ წინადადებას: The man comes „კაცი მოდის“ და The men come „კაცები მოდიან“, შეიძლება ამგვარი დიაგრამა შევუსაბამოთ:




თუ გვაქვს მდგომარეობათა დიაგრამა, ჩვენ წინადადების წარმოშობა შეგვიძლია წარმოვადგინოთ როგორც საწყისი მარცხენა წერტილიდან საბოლოო მარჯვენა წერტილში თანმიმდევრობით გადასვლის პროცესი (გზა) ისრებით ნაჩვენები მიმართულებით.

The old man comes „მოხუცი კაცი მოდის“ და The old men come „მოხუცი კაცები მოდიან“ წინადადებათა წარმოშობი სასრული რაოდენობის მდგომარეობათა გრამატიკა ამგვარი დიაგრამით შეიძლება გამოისახოს:



იმისათვის, რომ ამ გრამატიკამ შეძლოს ინგლისური ენის წინადადებათა უსასრულოდ დიდი რაოდენობის წარმოშობა *The old ... old man comes* და *The old ... old men come* წინადადებათა ტიპისა, მას უნდა დაემატოს ე.წ. რეკურსიული ანუ ციკლური მექანიზმი, რაც დიაგრამაზე ჩაკეტილი მარყუჟით გამოისახება:




11.3. მის სტრუქტურის განხილული მოდელი — გრამატიკა მდგომარეობათა სასრული რაოდენობით — ერთგვარი მიახლოებით ასახავს იმას, რაც ხდება ადამიანის, მეტყველის მიერ წინადადების წარმოქმნისას: მეტყველიც წინადადების წარმოქმნას იწყებს ერთგვარი საწყისი მდგომარეობიდან, გადადის მეორე მდგომარეობაში, აქედან მესამე მდგომარეობაში, შემდეგ კი — მომდევნო მდგომარეობაში და ა.შ. და ახდენს ამ მდგომარეობათა წყვილების შესაბამისი სიტყვების სინთეზირებას წინადადებად. მაგრამ აქ მთავრდება ეს ანალოგია, მსგავსება რეალურ ენობრივ სისტემასა და მისი სტრუქტურის განხილულ მოდელს შორის.

წინადადების წარმოქმნა მეტყველის მიერ და წინადადების წარმოშობა სასრული რაოდენობის მდგომარეობათა გრამატიკის მიერ სხვადასხვა პროცესია და ამგვარი წარმოშობა სრულებით ვერ ასახავს წინადადების წარმოქმნის არსებით მომენტებს. მოგვიანებით ჩვენ ვნახავთ, რომ გრამატიკა მდგომარეობათა სასრული რაოდენობით ვერ წარმოშობს ბუნებრივი ენის წინადადებებს და არ არსებობს, საზოგადოდ, არც ერთი ბუნებრივი ენა, რომელიც წარმოადგენს ენას მდგომარეობათა სასრული რაოდენობით და რომელიც წარმოიშობა ხსენებული გრამატიკის მიერ.


გრამატიკას მდგომარეობათა სასრული რაოდენობით გარკვეული ანალოგი მოეპოვება მათემატიკაში ე.წ. „მარკოვის პროცესების“ („მარკოვის ჯაჭვების“) სახით.

*The old man comes* და *The old men come* ტიპის წინადადებათა წარმოშობი გრამატიკა მდგომარეობათა ასეთი დიაგრამის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:



აქ მდგომარეობათა  $(S_0, S_1)$  წყვილს შეესაბამება the სიტყვა,  $(S_1, S_2)$  წყვილს შეესაბამება old სიტყვა,  $(S_2, S_3)$  წყვილს — man სიტყვა,  $(S_3, S_5)$ -ს — comes,  $(S_2, S_4)$ -ს — men, ხოლო  $(S_4, S_5)$ -ს — come სიტყვა.

იმისათვის, რომ მივიღოთ The old ... old man comes „მოხუცი... მოხუცი კაცი მოდის“ ტიპის წინადადებები, გრამატიკას უნდა ჰქონდეს, როგორც ზემოთ აღინიშნა, რეკურსიული ანუ გამამეორებელი ელემენტი, რაც სათანადო დიაგრამაზე მარყუჟის სახით გამოიხატება:



ამ რეკურსიული ანუ ციკლური ელემენტის საშუალებით გრამატიკას შეუძლია არაერთხელ გაიაროს  $S_2$  შინაგანი მდგომარეობა და იმდენჯერ გამოსცეს old სიტყვა, რამდენჯერაც ამ შინაგან მდგომარეობას გაივლის.


გრამატიკა მდგომარეობათა სასრული რაოდენობით, ისევე როგორც მისი მათემატიკური ანალოგი — მარკოვის პროცესები ანუ მარკოვის ჯაჭვები — ერთსა და იმავე შეზღუდვას ექვემდებარება: ამ მანქანის (მოწყობილობის) ყოველი შინაგანი მდგომარეობა, განსხვავებული საწყისი მდგომარეობისაგან (ე.ი. საწყისი მდგომარეობის გარდა), დამოკიდებულია მხოლოდ უშუალოდ წინა მდგომარეობაზე და არ არის დამოკიდებული უფრო ადრინდელ მდგომარეობებზე. ამ მოწყობილობის ყოველი შინაგანი მდგომარეობა ხასიათდება (განისაზღვრება)  $P_{ij}(t)$  ალბათობით, ანუ იმის ალბათობით, რომ  $t$  დროის შექმდე მანქანა  $i$ -ურ მდგომარეობიდან გადავა  $j$ -ურ მდგომარეობაში.

11.4. ბანვიხლოთ ჩვენთვის ცნობილი  $L_1$  ენა სასრული რაოდენობის მდგომარეობათა გრამატიკის მიერ მისი წარმოშობის თვალსაზრისით. არსებობს თუ არა სასრული რაოდენობის მდგომარეობათა გრამატიკა, რომელიც წარმოშობს  $L_1$  ენის წინადადებებს, ანუ გრამატიკა, რომელიც ადეკვატურია წინადადებათა ამ სიმრავლისათვის?

$L_1$  ენის წინადადებების წარმოშობი  $G_1$  გრამატიკა, რომელიც ჩვენ ზემოთ განვიხილეთ, როგორც ვიცით, ასეთი სახისაა: იგი შეიცავს ერთ-გვარი აქსიომის მნიშვნელობის მქონე ამოსავალ  $S$  სიმბოლოს და ორ წესს —  $F_1: S \rightarrow ab$  და  $F_2: S \rightarrow aSb$ . წარმოადგენს თუ არა ასეთი  $G_1$  გრამატიკა გრამატიკას მდგომარეობათა სასრული რაოდენობით? ამ კითხვაზე მხოლოდ უარყოფითი პასუხი უნდა გაცივს, რადგან:


როგორც ცნობილია, უმთავრესი მოთხოვნა, რომელიც გრამატიკას წაეყენება, მდგომარეობს მის სასრულობაში — გრამატიკა შეუძლებელია იყოს უსასრულო სისტემა, რამდენადაც მისი უსასრულობის დაშვების შემთხვევაში გრამატიკად შეიძლება ჩაგვეთვალოს უბრალოდ მთელი სიმრავლე ყველა წინადადებისა რაც, თავისთავად ცხადია, ყოველგვარ საღ აზრს მოკლებულია.

$L_1$  ენის  $ab, aabb, aaabbb, aaaaabbbb$  და მსგავსი სტრუქტურის სხვა წინადადებებს სასრული რაოდენობის მდგომარეობათა გრამატიკა რომ წარმოშობდეს, იგი ყოველ წინადადებას მის შესაბამის სპეციფიკურ დი-აგრამას უნდა ეთანადებოდეს:



და ა.შ. უსასრულოდ. გამოდის, რომ გრამატიკად უნდა განვიხილოთ მთელი ეს უსასრულო სიმრავლე ამგვარი დიაგრამებისა, რაც ეწინააღმდეგება გრამატიკისადმი წაყენებულ სასრულობის ძირითად მოთხოვნას. აქ ასეთი თანაფარდობაა გრამატიკის სასრულობასა და მის სისრულეს შორის: თუ ჩვენ ამ გრამატიკას გარკვეულ საზღვრებს დავუდებთ, ე.ი. განვსაზღვრავთ მას როგორც სასრულ სისტემას, იგი არ იქნება სრული, ვერ წარმოშობს  $L_1$  ენის ყველა წინადადებას. ამ გრამატიკის სისრულე მიიღწევა მხოლოდ მისი უსასრულობის დაშვების შემთხვევაში, მაგრამ უსასრულო სისტემა შეუძლებელია გრამატიკად ჩაითვალოს.

გრამატიკა მდგომარეობათა სასრული რაოდენობით არ არის სრული  $L_1$  ენის თვალსაზრისით, ვერ წარმოშობს მის ყველა წინადადებას. ვითარებას ვერ ცვლის გრამატიკაში რეკურსიული მექანიზმის შეტანაც.  $L_1$  ენის წინადადებათა წარმოშობი სრული გრამატიკა მდგომარეობათა სასრული რაოდენობით თითქოსდა შეიძლებოდა ამგვარად წარმოგვედგინა:



ამ სახით წარმოდგენილი ეს გრამატიკა ერთი შეხედვით სასრულიც არის და სრულიც — წარმოშობს  $L_1$  ენის წინადადებებს. მაგრამ ამ ენის ისეთ წინადადებებთან ერთად, როგორიც არის  $ab, aabb, aaabbb, \dots$ , ამ გრამატიკის მიერ წარმოიშობა უსასრულოდ დიდი რაოდენობა  $L_1$  ენის თვალსაზრისით არამარკირებული წინადადებებისა, — ისეთებისა, როგორიცაა, ვთქვათ,  $aab, aaab, aaabb, abb, abbb, abbbb, aaabbbb \dots$  ეს ხდება იმის გამო, რომ მანქანას არა აქვს უნარი დაიმახსოვროს, თუ რამდენჯერ შეასრულა მან პირველი ციკლი, რომ ზუსტად იმდენჯერვე გაიმეოროს მომდევნო ( $S_1 S_2$ ) ციკლიც, რათა წარმოიშვას მხოლოდ მარკირებული წინადადებები. ამ გრამატიკის მიერ წარმოშობილი ისეთი მარკირებული წინადადებების  $A$  სიმრავლე, რომლებშიც  $a$  ელემენტის  $n$ -ჯერ შესვლას მოსდევს  $b$  ელემენტის  $n$ -ჯერვე შესვლა, მხოლოდ მცირე ნაწილია გრამატიკის მიერ წარმოშობილი მიმდევრობების უსასრულო  $B$  სიმრავლისა:

$$A = \left\{ \underbrace{a \dots a}_{n\text{-ჯერ}} \underbrace{b \dots b}_{n\text{-ჯერ}} \right\},$$

$$B = \left\{ \underbrace{a \dots a}_{n\text{-ჯერ}} \underbrace{b \dots b}_{m\text{-ჯერ}} \right\} : A \subset B.$$

$B$  სიმრავლის წინადადებათა დიდ უმრავლესობას  $L_1$  ენის თვალსაზრისით არამარკირებული წინადადებები შეადგენს. გამოიძის, რომ გრამატიკა მდგომარეობათა სასრული რაოდენობით არასრულია  $L_1$  ენის თვალსაზრისით, როდესაც ამ გრამატიკაში არ არის რეკურსიული მექანიზმი, და არაადეკვატური ხდება მასში რეკურსიული მექანიზმის შეტა-


ნის შედეგად. ეს გრამატიკა მდგომარეობათა სასრული რაოდენობით არასრული და არაადეკვატურია აგრეთვე  $L_2$  და  $L_3$  ენების თვალსაზრისითაც.

**11.5.** სასრული რაოდენობის მდგომარეობათა გრამატიკის აღნიშნული ხარვეზები — არასრულე და არაადეკვატურობა — განსაკუთრებით თვალში საცემია ბუნებრივი ენების თვალსაზრისით. ავიღოთ ასეთ წინადადებათა მიმდევრობა:

*„გათენდა ... შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!*

*დროშები, დროშები, დროშები ჩქარა!“ (გალაქტიონ ტაბიძე)*

გრამატიკას, რომელიც ამ მიმდევრობას წარმოშობს, შესაძლებელია ასეთი სახე ჰქონდეს:



$S_0$  მდგომარეობიდან  $S_1$  მდგომარეობაში გადასვლისას გამოიყენება სიტყვა *გათენდა*,  $S_1$ -დან  $S_2$ -ში გადასვლისას — სიტყვა *შეერთდით*,  $S_2$ -დან  $S_3$ -ში — *დროშები*, ხოლო  $S_3$ -დან  $S_4$ -ში — *ჩქარა*. ამასთან,  $S_1$ ,  $S_2$  და  $S_3$  მდგომარეობების გავლა მანქანას შეუძლია არაერთხელ. სხვაგვარად, მანქანის შინაგან მდგომარეობათა ( $S_1, S_2$ ) და ( $S_2, S_3$ ) წყვილები არაერთგზის მეორდება, რაც დიაგრამაზე ციკლური მექანიზმების ამსახველი ორი მარყუჟით არის წარმოდგენილი. ადვილი დასანახავია, რომ ასეთ გრამატიკას მართლაც შეუძლია წარმოშვას მოცემული მიმდევრობა, მაგრამ *გალაქტიონის* პოეზიის ენის თვალსაზრისით მარკირებული ამ მიმდევრობის გვერდით წარმოიშობა უსასრულოდ დიდი რაოდენობა არამარკირებული მიმდევრობებისა — წინადადებებისა, რომლებსაც ვერ შევხვდებით *გალაქტიონთან*.

**11.6.** ლაგუშვათ, მოცემული გვაქვს ინგლისური ენის მარკირებული თხრობითი წინადადებები —  $S_1, S_2, S_3, \dots, S_n$ . მაშინ მარკირებული იქნება აგრეთვე ამ წინადადებებისაგან განსაზღვრული წესების მიხედვით გაერთიანების შედეგად მიღებული ასეთი წინადადებებიც:

1. If  $S_1$ , then  $S_2$  „თუ  $S_1$ , მაშინ  $S_2$ “;

2. Either  $S_3$ , or  $S_4$  „ან  $S_3$ , ან  $S_4$ “;

3. The man who said that  $S_5$  is arriving today „კაცი, რომელმაც თქვა, რომ  $S_5$  ჩამოდის დღეს“.

ამ წინადადებებში არსებობს დამოკიდებულებები (if, then), (either, or), (man, is) სიტყვებს შორის. ეს წინადადებები შესაძლებელია სხვადასხვაგვარად გარდაექმნათ ისე, რომ მიღებული წინადადებებიც მარკირებული იქნა აღმოჩნდნენ. ასე, მაგალითად, პირველ წინადადებაში  $S_1$  შეიძლება შენაცვლელად იქნეს მთელი მეორე წინადადებით, სადაც, თავის მხრივ,  $S_3$  შეიძლება შეიცვალოს მესამე წინადადებით. ასეთი შენაცვლებების შედეგად მიღებული წინადადებაც მარკირებულია და მას ასეთი სახე აქვს:

4. If either the man who said that  $S_5$  is arriving today or  $S_4$ , then  $S_2$  „თუ ან კაცი, რომელმაც თქვა, რომ  $S_5$  ჩამოდის დღეს, ან  $S_4$ , მაშინ  $S_2$ “.

ამ წინადადებაში ისევ არსებობს დამოკიდებულება if და then სიტყვებს შორის მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძალიან დაშორებულნი არიან ერთმანეთისაგან. რამდენადაც  $S_1, S_2, S_3, \dots, S_n$ , ისევე როგორც 1., 2., 3. და მათგან მიღებული 4., ყველა მარკირებული წინადადებაა, მათში შენარჩუნებულია ყველა დამოკიდებულება სიტყვებს შორის, რაოდენ დაშორებულნიც უნდა იყვნენ ისინი ერთმანეთისაგან. ზოგადად, თუ მოცემულია  $a+S_1+b$  მარკირებული წინადადება დამოკიდებულებით  $a$  და  $b$  სიტყვებს შორის, შეიძლება  $S_1$ -ის ნაცვლად შეჩვენდეს  $c+S_2+d$  წინადადება დამოკიდებულებით  $c$  და  $d$  სიტყვებს შორის და მივიღოთ ასეთი მარკირებული წინადადება:  $a+c+S_2+d+b$  დამოკიდებულებით ( $a, b$ ) და ( $c, d$ ) სიტყვებს შორის. თავის მხრივ,  $S_2$ -ის ნაცვლად შეიძლება შეჩვენდეს  $e+S_3+f$  წინადადება ურთიერთდამოკიდებული ( $e, f$ ) სიტყვებით, რის შედეგადაც მიიღება  $S^0 = a+c+e+S_3+f+d+b$  მარკირებული წინადადება დამოკიდებულებებით ( $a, b$ ), ( $c, d$ ), ( $e, f$ ) სიტყვებს შორის და ა.შ. ასეთი წესით შეიძლება მივიღოთ სხვა მარკირებული წინადადებებიც, რომელთა სტრუქტურა განისაზღვრება ანალოგიური დამოკიდებულებებით სიტყვებს შორის. ადვილი დასანახავია, რომ  $S^0$  წინადადება გამოირჩევა ყველა იმ თვისებით, რომლებიც დამახასიათებელია სარკისებური ასახვის სტრუქტურის მქონე  $L_2$  ენის წინადადებებისათვის მათ შემადგენელ სიტყვებს შორის არსებულ დამოკიდებულებათა ასეთი სიმრავლით:  $(1, 2m)$ ,  $(2, 2m-1)$ ,  $(3, 2m-2)$ , ...,  $(m, m+1)$ .

ცხადია, რომ ვერც  $S^0$  წინადადება და ვერც რომელიმე წინადადება  $L_2$  ენისა ვერ წარმოიშობა სასრული რაოდენობის მდგომარეობათა გრამატიკის მიერ. ამ წინადადებათა წარმოშობის შეუძლებლობა ამგვარი გრამატიკის მეშვეობით გამოწვეულია იმით, რომ ეს გრამატიკა ითვალისწინებს მხოლოდ უშუალოდ მომიჯნავე მდგომარეობებს, რომლებიც ერთმანეთზეა დამოკიდებული, მაშინ როდესაც  $S^0$  წინადადებასა და  $L_2$  ენის წინადადებებში დამოკიდებულებები ვრცელდება ერთმანეთისაგან ძალიან დაშორებულ სიტყვებზეც და არა მხოლოდ უშუალო მეზობ-

ლობაში მყოფ სიტყვებზე, რის შესაძლებლობასაც განხილული გრამატიკა იძლევა და ასეთი შესაძლებლობა ერთადერთია.


*გრამატიკა მდგომარეობათა სასრული რაოდენობით*, რომელშიც წინადადების წარმოშობა წარმოდგენილია ნაბიჯ-ნაბიჯ, სიტყვა-სიტყვა, მარცხნიდან მარჯვნივ და დამოკიდებულებებით მხოლოდ და მხოლოდ ორ უშუალოდ მეზობელ სიტყვას შორის, ვერ ასახავს რეალური ენის წინადადებათა აგებულებას და, უფრო ზოგადად, ენობრივი სისტემის შინაგან სტრუქტურას. ამის გამო გრამატიკა მდგომარეობათა სასრული რაოდენობით უარყოფილი უნდა იქნეს როგორც ბუნებრივი ენის მოდელი. ოგი ვერ ჩაითვლება ენის სტრუქტურის თეორიად. გრამატიკა, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ვერც წარმოშობის უნარის შეფასების კრიტერიუმებს, უწინარეს ყოვლისა კი *სისრულისა* და *ადეკვატურობის* კრიტერიუმებს, და ვერც სასრულობის უმთავრეს მოთხოვნას, შეუძლებელია მინეულ იქნეს ენის სტრუქტურის თეორიად, ანუ ენის გრამატიკად.

## 12. (Σ, F) ტიპის გრამატიკის აგებულება. ტერმინალური ენა

12.1. ძალა განვიხილოთ ენის სტრუქტურის მეორე თეორია — მოდელი, რომელიც ემყარება წინადადებათა *შემადგენლურ სტრუქტურას*. ეს მოდელი არა მხოლოდ კიბერნეტიკული თვალსაზრისით არის *მოდელი*, არამედ წარმოადგენს სისტემას, რომლის აგებულება, საფიქრებელია, დიდი მიახლოებით ასახავს ბუნებრივი ენის შინაგან სტრუქტურულ ორგანიზაციას.

ჩვენ განხილული გვიქონდა გამონათქვამთა უშუალო შემადგენლური სტრუქტურა სინტაქსურ და მორფოლოგიურ დონეებზე. ამიერიდან ჩვენი განხილვის საგანი იქნება ძირითადად სინტაქსური სტრუქტურები და მათი უშუალო შემადგენლური ანალიზი.

ავილოთ ასეთი ინგლისური წინადადება — The man took the book „კაცმა აიღო წიგნი“. მისი უშუალო შემადგენლური სტრუქტურა ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:





სადაც S არის ინგლ. Sentence „წინადადება“, NP — Noun Phrase „სახელური ფრაზა“, VP — Verb Phrase „ზმნური ფრაზა“, T — article „არტიკლი“, N — Noun „არსებითი სახელი“ და V — Verb „ზმნა“.

12.2. მოცემული წინადადება შეიძლება წარმოიშვას *გადაწერის წესების* ანუ *F ტიპის წესების* გამოყენებით, თუ ამოსავალ, საწყის სიმბოლოდ მივიღებთ Sentence სიმბოლოს და შევარჩევთ გადაწერის შემდეგ წესებს:

- I. Sentence  $\rightarrow$  NP+VP;
- II. NP  $\rightarrow$  T+N;
- III. VP  $\rightarrow$  Verb+NP;
- IV. T  $\rightarrow$  a (განუსაზღვრელი არტიკლი), the (განსაზღვრული არტიკლი);
- V. N  $\rightarrow$  man „კაცი“, book „წიგნი“, ball „ბურთი“, boy „ბიჭი“ ...;
- VI. Verb  $\rightarrow$  took „აიღო“, hit „დაარტყა“, read „წაიკითხა“ ...

ამ წესების გამოყენებით შეიძლება წარმოიშვას The man took the book წინადადება:


- Sentence
- Sentence  $\rightarrow$  NP+VP (I)
- T+N+VP (II)
- T+N+Verb+NP (III)
- The+N+Verb+NP (IV)
- The +man+Verb+NP (V)
- The+man+took+NP (VI)
- The+man+took+T+N (II)
- The+man+took+the+N (IV)
- The+man+took+the+book (V)

(I)-(IX) სტრიქონების მიმდევრობის ბოლო სტრიქონი აღარ ექვემდებარება შემდგომ გარდაქმნას; წესების მოცემულ სიმრავლეში აღარ მოიპოვება ისეთი წესი, რომელიც გარდაქმნიდა (IX) სტრიქონს. (I)-(IX) სტრიქონების მთელი მიმდევრობა არის The man took the book წინადადების დერივაცია. საზოგადოდ,  $S_i$  მიმდევრობის დერივაცია ანუ გამოყვანა ეწოდება სასრულ  $D=\{S_1, S_2, \dots, S_i\}$  სიმრავლეს, სადაც  $S_1$  განეკუთვნება ამოსავალ მიმდევრობათა  $\Sigma$  სიმრავლეს;  $S_1 \in \Sigma$  და ყოველი  $i < l$ -თვის  $S_{i+1}$  მიმდევრობა გამომდინარეობს  $S_i$  მიმდევრობიდან წესების მოცემული სიმრავლის ერთ-ერთი წესის განხორციელების შედეგად.

დერივაცია დასრულებულია, თუ მისი უკანასკნელი სტრიქონიდან უკანასკნელი მიმდევრობიდან აღარ გამოიყვანება ახალი სტრიქონი, ახა-

ლი მიმდევრობა მოცემული წესების მოქმედების შედეგად, სხვაგვარად, თუ უკანასკნელი S<sub>i</sub> სტრიქონი აღარ შეიცავს არც ერთ მეტასიმბოლოს, რომელიც გარდაქმნას უნდა დაექვემდებაროს რომელიმე მოცემული წესის მიხედვით. ამ აზრით, *The man took the book* წინადადების აქ წარმოდგენილი დერივაცია დასრულებულია. დასრულებული დერივაციის უკანასკნელ სტრიქონს ვუწოდოთ *ტერმინალური მიმდევრობა*, ხოლო სიმრავლეს ტერმინალური მიმდევრობებისას, რომლებიც წარმოიშობა განხილული გრამატიკის მიერ, — *ტერმინალური ენა*.

ოგევე დერივაცია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ე.წ. *დიაგრამის* ანუ *ხის* სახით:



ამგვარი დიაგრამები მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავენ წინადადებათა უშუალო შემადგენლური სტრუქტურის შესახებ. ამდენად, გრამატიკა მის მიერ წარმოშობილ ყოველ წინადადებას უნდა უთანადებდეს ასეთ დიაგრამას, რომელსაც *წინადადების შემადგენლური სტრუქტურის მარკერი* ანუ *მაჩვენებელი* ეწოდება. შემდეგში ასეთ დიაგრამას ლაკონიურობის მიზნით ვუწოდებთ *C-მარკერს* (ინგლ. *Constituent marker* „შემადგენლური მაჩვენებელი“). უნდა ითქვას ისიც, რომ ამგვარ დიაგრამებს ერთი ნაკლი აქვს იმ თვალსაზრისით, რომ ისინი ვერ ასახავენ გამოყვანის (დერივაციის) წესების განხორციელების თანმიმდევრობას. ასე, მაგალითად, წარმოდგენილი დიაგრამა შეიძლება შეესაბამებოდეს


წესების სხვა თანმიმდევრობით განხორციელებულ დერივაციასაც, ვთქვათ, ასეთს: Sentence, NP+VP, NP+Verb+NP...

12.3. ვუწოდოთ ორ დერივაციას *ეკვივალენტურა* თუ მათ ერთი და იგივე დიაგრამა შეესაბამება. სიტყვების რაღაც მიმდევრობას ვუწოდოთ *X ტიპის შემადგენელი*, თუ შტოების გასწვრივ ქვევიდან ზევით მოძრაობისას ისინი შეიძლება აყვანილი იქნენ იმ საერთო წერტილამდე, *კვანძამდე* სადაც დგას X.


მაგალითად, The man არის NP ტიპის შემადგენელი ისევე, როგორც the book სიტყვათმიმდევრობაც NP ტიპის შემადგენელია; took the book არის VP ტიპის შემადგენელი, ხოლო მთლიანად The man took the book წინადადება არის Sentence ტიპის შემადგენელი.

როდესაც სიტყვათა ერთსა და იმავე მიმდევრობას ორი სხვადასხვა C-მარკერი შეესაბამება, ვამბობთ, რომ საქმე გვაქვს *კონსტრუქციული ომონიმის* შემთხვევასთან.

განვიხილოთ შემდეგი სიტყვათმიმდევრობა: ის ფრანგი ექიმი აღმოჩნდა; მას ორი ასეთი დიაგრამა შეესაბამება:



ახლა ავიღოთ სიტყვათა ასეთი მიმდევრობა: ინგლ. They are flying planes. ამ სიტყვათმიმდევრობას ორი ასეთი დიაგრამა შეესაბამება:



სიტყვათა მოცემული მიმდევრობა, წარმოდგენილი პირველი C-მარკერით, ნიშნავს: „ისინი მფრინავი თვითმფრინავებია“, ხოლო მეორე C-მარკერით წარმოდგენილი მიმდევრობა ნიშნავს: „ისინი (და)აფრენენ (=მართავენ) თვითმფრინავებს“.

კონსტრუქციული ომონიმიის შემთხვევაა აგრეთვე ასეთი ინგლისური წინადადებაც: *Flying planes can be dangerous*. ერთ შემთხვევაში იგი შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც „მფრინავი თვითმფრინავები შეიძლება სახიფათო იყვნენ“, ხოლო მეორე შემთხვევაში — როგორც „თვითმფრინავების მართვა შეიძლება სახიფათო იყოს“.

**12.4. საზოგადოდ, გრამატიკა, რომელიც ეყარება წინადადებათა უშუალო შემადგენლურ სტრუქტურას** (ინგლ. *Constituent structure grammar*), ანუ  $(\Sigma, F)$  ტიპის გრამატიკა განისაზღვრება როგორც სამი კომპონენტისაგან შემდგარი სისტემა. ეს კომპონენტებია:


1. სიმბოლოთა სასრული სიმრავლე, რომელსაც *ლექსიკონი* (ინგლ. *Vocabulary*) ეწოდება;

2. ამ სიმბოლოთაგან შეერთების ოპერაციის მეშვეობით მიღებული საწყისი  $\Sigma_1, \Sigma_2, \Sigma_3, \dots, \Sigma_n$  მიმდევრობების სასრული  $\Sigma$  სიმრავლე:  $\Sigma = \{\Sigma_1, \Sigma_2, \Sigma_3, \dots, \Sigma_n\}$ ;

3.  $x_1 \rightarrow y_1, x_2 \rightarrow y_2, x_3 \rightarrow y_3, \dots, x_n \rightarrow y_n$  ტიპის წესების სასრული სიმრავლე, სადაც „ $\rightarrow$ “ აღნიშნავს ბინარულ, ირეფლექსურ და ასიმეტრიულ მიმართებას, რომელსაც ადგილი აქვს მიმდევრობათა წყვილების სასრული რაოდენობისათვის და შეიძლება ინტერპრეტირებული იქნეს როგორც „შეიცვალოს“ ან „გადაიწეროს როგორც“.

ამ ტიპის წესებს გარკვეული შეზღუდვები ედება — სახელდობრ, ის-რის მარცხნივ წარმოდგენილ  $X$  მიმდევრობაში დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ ერთი სიმბოლოს შეცვლა, ამასთან, ეს სიმბოლო შეიძლება შეიცვალოს ერთი სიმბოლოთი ან სიმბოლოთა მიმდევრობით. რა აზრი აქვს ამ შეზღუდვას და რატომ არ შეიძლება  $X$  მიმდევრობაში ერთზე მეტი სიმბოლოს ერთდროულად შეცვლა?


საქმე ის არის, რომ  $X$  მიმდევრობაში ერთდროულად რამდენიმე სიმბოლოს შეცვლა შეუძლებელს ხდის წინადადების შემადგენლური სტრუქტურის ცალსახად განსაზღვრას. ასეთ შემთხვევაში ჩვენ მოკლებულები ვიქნებით შესაძლებლობას, ცალსახად აღვადგინოთ და დავახასიათოთ წინადადების შემადგენლური სტრუქტურა. ასე, მაგალითად, თუ დერივაციის წესებს ასეთი სახით წარმოვადგენთ: 1.  $S \rightarrow AB$ , 2.  $AB \rightarrow cde$ , მაშინ შეუძლებელი იქნება ზუსტად განისაზღვროს, არის  $cd$   $A$  ტიპის შემადგენელი, ხოლო  $e$  —  $B$  ტიპისა, თუ პირიქით,  $A$  ტიპის შემადგენელია  $c$  და  $B$  ტიპისა —  $de$ . სხვაგვარად, როგორ უნდა იქნეს წარმოდგენილი წინადადების უშუალო შემადგენლური სტრუქტურა დიაგრამის სახით:



ამავე მოსაზრებით უარიყოფა ასეთი წესიც:  $a \rightarrow \emptyset$ , რაც  $a$  სიმბოლოს წაშლას ნიშნავს — ვერც ამ შემთხვევაში აღვადგენდით გამონათქვამის შემადგენლურ სტრუქტურას.

*გადაწერის წესი* განსაზღვრული როგორც ასიმეტრიული მიმართება, გამოორიცხავს წესების ერთსა და იმავე სიმრავლეში  $a \rightarrow b$  და  $b \rightarrow a$  წესების არსებობას.

12.5. იმ შეზღუდვებს შორის, რომლებიც  $(\Sigma, F)$  ტიპის გრამატიკის წესების გამოყენებას ედება, უნდა გამოვყოთ *კონტექსტური შეზღუდვები* მაგალითად, განვიხილოთ ინგლისური წინადადება *The boy reads a book* „ბიჭი კითხულობს წიგნს“, რომლის დიაგრამაა:



აქ ხორციელდება, კერძოდ,  $NP \rightarrow T+N$  და  $T \rightarrow a, the$  წესები (a განუსაზღვრელი არტიკლია, the — განსაზღვრული), აგრეთვე  $Verb \rightarrow reads$  „კითხულობს“, hits „არტყამს“, takes „იღებს“ ... წესი, რომლის ნაცვლად მიზანშეწონილია შემოვიდოთ ასეთი წესი:  $NP_{sing}+V \rightarrow NP_{sing}+reads, hits, takes...$  ეს წესი იმაზე მიუთითებს, რომ Verb შეიძლება გადაიწეროს როგორც reads, hits, takes ... მხოლოდ  $NP_{sing}$  კონტექსტში. ასევე, უფრო სრულ გრამატიკაში  $NP \rightarrow T+N$  წესი მიიღებს ასეთ სახეს:

$$NP \rightarrow \left\{ \begin{array}{l} NP_{sing} \\ NP_{pl} \end{array} \right\},$$

სადაც  $NP_{sing}$  აღნიშნავს სახელურ ჯგუფს მხოლობით რიცხვში,  $NP_{pl}$  — მრავლობითში, ხოლო ფიგურული ფორმები — არჩევანს („ან“). შემდეგ განხორციელდება  $NP_{sing} \rightarrow T+N+\emptyset$  ან  $NP_{pl} \rightarrow T+N+S$ . ისრის მარჯვნივ წარმოდგენილი S აღნიშნავს ორ სხვადასხვა მორფემას — არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვის სუფიქსსა და ზმნების მხოლობითი რიცხვის III პირის სუფიქსს.


ამავე მაგალითში  $T \rightarrow a$  წესი ხორციელდება მხოლოდ  $NP_{sing}$  კონტექსტში.

საზოგადოდ, თუ  $x \rightarrow y$  წესის განხორციელება დამოკიდებულია  $W - Z$  გარემოცვაზე, მაშინ გადაწერის ასეთი წესი შემდეგნაირად ჩაიწერება:  $WxZ \rightarrow WyZ$ , რაც ასე იკითხება: „ $W - Z$  გარემოცვაში  $x$  შეიცვალოს  $y$ -ით“.


კონტექსტურად შეზღუდულ წესებშიც ხდება მხოლოდ ერთი სიმბოლოს შენაცვლება, ე.ი.  $x$  ერთეულოვანი სიმბოლოა, ხოლო  $y$  შეიძლება რამდენიმე სიმბოლოსაგან შედგებოდეს.

თუ გრამატიკის წესებს აქვთ  $\varphi A \psi \rightarrow \varphi \omega \psi$  სახე, სადაც  $A$  არის ერთეულოვანი სიმბოლო,  $\omega$  - არანულოვანი სიმბოლო, ხოლო  $\varphi$  და  $\psi$  მიმდევრობებია, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც არანულოვანია (არაცარიელია), მაშინ ასეთი გრამატიკა და მისი წესები კონტექსტურად შეზღუდულია (ინგლ. *context-bound*); წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი. თუ  $\varphi$  და  $\psi$  მიმდევრობები ორივე ნულოვანია, გრამატიკა და მისი წესები კონტექსტურად თავისუფალია (ინგლ. *context-free*) - ამგვარი გრამატიკის წესებს კონტექსტური შეზღუდვები არ ედებათ.

არატერმინალურ  $A$  სიმბოლოს, რომელიც მეორდება დიაგრამაზე, რეკურსიული ელემენტი ეწოდება. თუ არსებობს ისეთი არანულოვანი  $\varphi$  მიმდევრობა, რომ  $A \rightarrow \varphi A$ , სადაც  $A$  არატერმინალური სიმბოლოა, ვიტყვით, რომ  $A$  არის მარცხენა რეკურსიული ელემენტი; თუ ამავე პირობებში  $A \rightarrow \varphi A$ , მაშინ  $A$  მარჯვენა რეკურსიული ელემენტია. დიაგრამები, რომლებშიც არის მარცხენა რეკურსიული ელემენტები, იშლება მარცხნივ, ხოლო მარჯვენა რეკურსიული ელემენტების შემცველი დიაგრამები იშლება მარჯვნივ:



მარცხენა რეკურსიული ელემენტი



მარჯვენა რეკურსიული ელემენტი

**12.6.** ზაგუშვათ, განხილული გრამატიკა წარმოშობს მორფემათა გრამატიკულად სწორ ყველა მიმდევრობას. ასეთი გრამატიკა დამატებით უნდა შეიცავდეს ისეთ წესებს, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია მორფემათა სწორი მიმდევრობებიდან სწორ ფონემურ მიმდევრობებზე გადასვლა. ასეთი წესების სიმრავლე შეადგენს გრამატიკის მორფონო-

ლოგიურ ნაწილს ანუ მორფოფონემიკას. ეს წესებიც შეიძლება წარმოვადგინოთ „გადაწერის წესების“ სახით, მაგალითად: 1. walk „სე-ირნობა“ → /wɔk/; 2. take „აღება“+past→/tuk/; 3. hit „დარტყმა“+past→/hit/; 4. /...D/+past→/id/, სადაც D=/t/ ან /d/; 5./...Cყრუ/+past→/...Cყრუ+/t/; 6. past→/d/; 7. take→/teik/ (past აღნიშნავს წარსულ დროს, Cყრუ – ყრუ თანხმოვანს).

აქ წარმოდგენილი მორფოფონემური წესების ერთობლიობა ინგლისური ენის მორფონოლოგიური სტრუქტურის ძალიან მცირე ფრაგმენტია. ეს წესები, მართალია, „გადაწერის წესების“ სახით არის მოცემული, მაგრამ F ტიპის წესებისაგან განსხვავებით, აქ უკვე აღარ მოითხოვება მხოლოდ და მხოლოდ ერთი სიმბოლოს შეცვლა. ერთადერთი შეზღუდვა, რომელიც მორფოფონემურ წესებს ედება, მდგომარეობს მათი განხორციელების მკაცრ თანმიმდევრობაში. ასე, მაგალითად, ჩვენი მეორე მორფოფონემური წესი – take+past→/tuk/ – აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს მეხუთე და მეშვიდე წესებს, რათა არ მივიღოთ ინგლისური ენის თვალსაზრისით არასწორი ფორმა /teikt/.

საზოგადოდ, გადაწერის წესების მეშვეობით შესაძლებელია მარტივად გამოიხატოს ძალიან ბევრი ლინგვისტური მტკიცება, დებულება. ასე, მაგალითად, გადაწერის ასეთი წესით:

$$N \rightarrow \left\{ \begin{array}{l} \text{ღმერთი} \\ \text{ხატი} \\ \text{ადაშიანი} \\ \text{სიცოცხლე} \end{array} \right\}$$

ჩვენ შეგვიძლია გამოვხატოთ შემდეგი მტკიცება:  
 „ღმერთი“, „ხატი“, „ადაშიანი“, „სიცოცხლე“ არსებითი სახელებია.

12.7. ჩვენ უკვე განვიხილეთ ორი ტიპის ენები: 1. ენა მდგომარეობათა სასრული რაოდენობით და 2. ტერმინალური ენა. ამ ორი ტიპის ენებს შორის ასეთი დამოკიდებულება არსებობს: ყოველი ენა მდგომარეობათა სასრული რაოდენობით ამავე დროს წარმოადგენს ტერმინალურ ენას, მაშინ როდესაც არსებობს ტერმინალური ენები, რომლებიც არ წარმოადგენენ ენებს მდგომარეობათა სასრული რაოდენობით.

რა ლინგვისტური შინაარსია ასეთ თანაფარდობაში? ენის აღწერა (Σ,F) ტიპის გრამატიკით უფრო სრულია, ვიდრე ენის აღწერა სასრული რაოდენობის მდგომარეობათა გრამატიკით და ენის სტრუქტურის ეს მე-




ორე,  $(\Sigma, F)$  მოდელი უფრო მძლავრია, ვიდრე მრავალი ნაკლოვანების გამო უარყოფილი გრამატიკა მდგომარეობათა სასრული რაოდენობით.

დავამტკიცოთ შემდეგი თეორემა:

*„ყოველი ენა მდგომარეობათა სასრული რაოდენობით არის ტერმინალური ენა, მაგრამ არა ყოველი ტერმინალური ენა წარმოადგენს ენას მდგომარეობათა სასრული რაოდენობით“.*

**დამტკიცება:** დავუშვათ, მოცემული გვაქვს სასრული რაოდენობის მდგომარეობათა  $G$  გრამატიკა  $S_0, S_1, S_2, \dots, S_n$  შინაგანი მდგომარეობებით და ბმულ მდგომარეობათა  $(S_i, S_j) \in C$  წყვილებით, სადაც  $S_i$  მდგომარეობიდან  $S_j$  მდგომარეობაში გადასვლისას წარმოიშობა  $a_{ijk}$  სიტყვა, რომლის ადგილს წინადადებაში განსაზღვრავს  $k \leq N_{ij}$  ინდექსი. ასეთი მასსიათებლების მქონე გრამატიკა, რომელიც წარმოშობს  $a_{011}a_{122}a_{233}a_{304}$  წინადადებას, შეიძლება ამგვარად იქნეს წარმოდგენილი:



იგივე წინადადება შეიძლება წარმოიშვას  $(\Sigma, F)$  ტიპის გრამატიკის მიერ, რომელშიც ამოსავალ მიმდევრობათა  $\Sigma$  სიმრავლე შედგება  $S_0$  სიმბოლოსაგან:  $\Sigma = \{S_0\}$  და მოქმედებს ამ სიმბოლოს გარდამქმნელი ორი ასეთი წესი:  $F_1 : S_i \rightarrow a_{ijk}S_j$ , სადაც  $j \neq 0$ ,  $S_i$  და  $S_j$  ბმულ მდგომარეობათა წყვილია:  $(S_i, S_j) \in C$  და  $k \leq N_{ij}$ ;  $F_2 : S_i \rightarrow a_{ijk}$ , როდესაც  $j=0$ ,  $(S_i, S_j) \in C$  და  $k \leq N_{i0}$ . ჩვენთვის საინტერესო წინადადების დერივაციას ასეთი სახე აქვს:

- $S_0$
- $a_{011}S_1$  ( $F_1$ )
- $a_{011}a_{122}S_2$  ( $F_1$ )
- $a_{011}a_{122}a_{233}S_3$  ( $F_1$ )
- $a_{011}a_{122}a_{233}a_{304}$  ( $F_2$ )

ადვილი დასანახავია, რომ სტრიქონების წარმოდგენილი მიმდევრობა დასრულებული დერივაციაა და მისი უკანასკნელი სტრიქონი ამავე დროს არის წინადადება, წარმოშობილი სასრული რაოდენობის მდგომარეობათა ზემოთ განხილული გრამატიკის მიერ. ეს არის თეორემის პირველი ნაწილის დამტკიცება.

ახლა დაგამტკიცოთ თეორემის მეორე ნაწილი, რომლის თანახმად არსებობს ისეთი ტერმინალური ენები, რომლებიც არ წარმოადგენენ ენებს მდგომარეობათა სასრული რაოდენობით.

ზემოთ ჩვენ განხილული გვექონდა  $L_1$  ენა  $ab, aabb, aaabbb, aaaaabbbb\dots$  ტიპის წინადადებებით, რომელთა სტრუქტურა განისაზღვრება მათში  $a$  და  $b$  ელემენტების თანაბარი მონაწილეობით, როდესაც წინადადებაში  $a$  ელემენტის  $n$ -ჯერ შესვლას მოსდევს  $b$  ელემენტის ზუსტად  $n$ -ჯერვე შესვლა. ჩვენ მაშინ ვაჩვენეთ, რომ ეს  $L_1$  ენა არ წარმოადგენს ენას მდგომარეობათა სასრული რაოდენობით — მისი წინადადებები ვერ წარმოიშობა სასრული რაოდენობის მდგომარეობათა გრამატიკის მიერ. ახლა კი ვაჩვენოთ, რომ  $L_1$  ენა არის ტერმინალური ენა და მისი წინადადებები წარმოიშობა  $(\Sigma, F)$  ტიპის გრამატიკის მიერ, სადაც  $\Sigma$  სიმრავლე ამოსავალ მიმდევრობად შეიცავს  $Z\epsilon Z$  სიმბოლოს, რომელიც ექვემდებარება სხვადასხვაგვარ გარდაქმნებს ორი ასეთი წესის მიხედვით:  $F_1 : Z \rightarrow aZb$  და  $F_2 : Z \rightarrow ab$ . ადვილი დასანახავია, რომ ამ ორი წესის მიხედვით განხორციელებული ყოველი დასრულებული დერივაციის უკანასკნელი სტრიქონი (ტერმინალური მიმდევრობა) არის  $L_1$  ენის წინადადება. ამით თეორემის დამტკიცება დამთავრებულია.

### 13. სიდრმის ჰიპოთეზა


13.1. ახლა ჩვენ განვიხილავთ მოდელს, რომელიც უფრო ღრმად სწვდება ბუნებრივი ენის სტრუქტურას და ამდენად, საფიქრებელია, უნდა ასახავდეს იმას, რაც ხდება ადამიანის მიერ წინადადების წარმოქმნისას. ეს მოდელი ორ დაშვებას ემყარება:

1. ბუნებრივი ენის აღწერა შეიძლება განხორციელდეს  $(\Sigma, F)$  ტიპის გრამატიკის მეშვეობით, რომელიც წინადადებათა უშუალო შემადგენლური სტრუქტურის ანალიზს ეფუძნება. მაგრამ ამგვარი ანალიზი ერთგვარად სტატიკურია იმ თვალსაზრისით, რომ იგი ვერ ითვალისწინებს, ვერ ასახავს მეტყველის უნარს, წარმოქმნას წინადადების შემადგენელი სიტყვები თანმიმდევრობით, ანუ დროის ყოველ მოცემულ მომენტში — ერთი სიტყვა, რომელიც მოსდევს და წინ უსწრებს შესაბამისად წინა და მომდევნო მომენტებში წარმოქმნილ სიტყვებს. ამიტომ:

2. აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად ამ მოდელში შემოტანილია მნიშვნელოვანი სიახლე — დროითი ასპექტი, რომელიც არსებითია წინადადებათა წარმოქმნისას და გულისხმობს წინადადებათა შემადგენელი სიტყვების წარმოქმნას თითო-თითოდ მარცხნიდან მარჯვნივ.

განსახილველი მოდელი შედგება ორი კომპონენტისაგან. ეს არის საკუთრივ გრამატიკა და რაღაც მანქანა-მოწყობილობა. გრამატიკა წარმოადგენს სასრულ სიმრავლეს ასეთი წესებისას:  $A \rightarrow B+C$ ;  $A \rightarrow B+C+D$ ;  $A \rightarrow B+C+D+E$ ;  $A \rightarrow B$ , რომელთაც *გაშლის წესები* ეწოდებათ. ისრის მარცხნივ წარმოდგენილი სიმბოლო აღნიშნავს კონსტრუქციას, ხოლო ისრის მარჯვნივ წარმოდგენილი სიმბოლოები — ამ კონსტრუქციის უშუალო შემადგენლებს, რომლებიც ან სიტყვებია, ან ისევ რაღაც კონსტრუქციები.

მოდელის მეორე კომპონენტი — მანქანა-მოწყობილობა — სქემატურად ასე გამოიყურება:



*გამოსასვლელის* ფირზე იბეჭდება გამოსასვლელი სიმბოლოები. *მუდმივ მეხსიერებაში* ინახება გრამატიკული წესების ერთობლიობა. *დროებითი (ანუ ოპერატიული) მეხსიერების* ფირზე იბეჭდება და ინახება უშაღედური სიმბოლოები, რომლებიც მიიღება გრამატიკული წესებით განსაზღვრული ოპერაციების განხორციელების შედეგად. დაბოლოს, *გამომთვლელში* დროის ყოველ მოცემულ მომენტში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ და მხოლოდ ერთი სიმბოლო. *მუდმივ მეხსიერებაში* მოთავსებული გრამატიკული წესები *გაშლის წესებია*. იმისათვის, რომ აისახოს ბუნებრივი ენის წინადადებაში შემაჯავლი სიტყვების წარმოქმნის თანმიმდევრობა, *გაშლა* დროის ყოველ მოცემულ მომენტში უნდა შეეხებოდეს კონსტრუქციის უკიდურეს მარცხენა შემადგენელს. მოწყობილობა მუშაობს გარკვეული ალგორითმის მიხედვით:

I. მოათავსე S (Sentence-ის აღმნიშვნელი სიმბოლო) გამომთვლელში;

II. წარმოქმენი გამოსასვლელი სიმბოლო შემდგენიარად:

- A. გაშალე გამოსასვლელის ფირი იმდენად, რომ მასზე დაეტიოს ერთი სიმბოლო, და
- B. გადაწერე გამომთვლელში წარმოდგენილი სიმბოლო გამოსასვლელის ფირზეც;

III. A. თუ გამომთვლელში წარმოდგენილი სიმბოლო სიტყვაა, წაშალე იგი, შემდეგ:

1. თუ დროებით მეხსიერებაში წარმოდგენილია ერთი სიმბოლო მაინც,

- a. გადაწერე მათგან უკიდურესი მარცხენა გამომთვლელში და
- b. წაშალე იგი დროებითი მეხსიერებიდან, რის შემდეგ
- c. დაახვიე ეს გათავისუფლებული ფირი, შემდეგ
- d. გადადი II ნაბიჯზე.

2. მაგრამ თუ დროებით მეხსიერებაში არც ერთი სიმბოლო არ არის, გაჩერდი (წინადადების ბოლო).

B. თუ გამომთვლელში წარმოდგენილი სიმბოლო არ არის სიტყვა, გადადი IV ნაბიჯზე;

IV. ეძებე და ამოირჩიე გრამატიკული წესი შემდეგნაირად:

A. შეადარე გამომთვლელში წარმოდგენილი სიმბოლო იმ გრამატიკული წესების მარცხენა მხარეს, რომლებიც მუდმივ მეხსიერებაში ინახება, და აღნიშნე წესები, რომლებშიც ადგილი აქვს დამთხვევას, რის შემდეგ

B. ამოარჩიე ერთ-ერთი ასეთი წესი (სადაც დამთხვევაა). სხვადასხვა არჩევანი სხვადასხვა წინადადების წარმოშობას გამოიწვევს;

V. გადაწერე ამორჩეული გრამატიკული წესის მარჯვენა მხარე შემდეგნაირად:

A. წაშალე ყველაფერი გამომთვლელში.

B. თუ ამორჩეული გრამატიკული წესის მარჯვენა მხარე შეიცავს ერთზე მეტ სიმბოლოს, გაშალე დროებითი მეხსიერების ფირი იმდენად, რომ მასზე დაეტიოს ყველა სიმბოლო ერთის გარდა.

C. ამორჩეული გრამატიკული წესის მარჯვენა მხარეს წარმოდგენილი სიმბოლოები გადაწერე გამომთვლელშიც და დროებითი მეხსიერების ფირზეც ისე, რომ პირველი სიმბოლო მოხვდეს გამომთვლელში, დანარჩენები კი თანმიმდევრობით — დროებითი მეხსიერების ფირზე.

D. ახლა შეასრულე II ნაბიჯი.

ეს ალგორითმი (პროგრამა) ციკლურია, ნაბიჯები სრულდება აღნიშნული თანმიმდევრობით. როგორც კი მთელი ციკლი მთავრდება, გამოსავლელის ფირზე იწერება ერთი სიტყვა ან შემადგენლის აღმნიშვნელი სიმბოლო. თითოეული ციკლის დროს კონსტრუქცია შეიძლება გაიშალოს ან არ გაიშალოს.

13.2. მანვიხილთ ინგლისური წინადადების *The boy hit the ball* „ბიჭმა დაარტყა ბურთს“ წარმოშობა განვიხილოთ მოდელების მეშვეობით, რაც ხორციელდება ასეთი წესების მიხედვით:


1.  $S \rightarrow NP+VP$
2.  $NP \rightarrow T+N$
3.  $T \rightarrow \text{the, a}$

- 4. N → boy, ball
- 5. VP → Verb+NP
- 6. Verb → hit


წარმოვადგინოთ ამ წინადადების წარმოშობა ჩვენ მიერ განხილული მოდელის მეშვეობით:

გამოსასვლელი	გამომთვლელი	დროებითი შეხსიერება
	S	
S	NP	VP
S NP	T	N VP
S NP T	the	N VP
S NP T the	N	VP
S NP T the N	boy	VP
S NP T the N boy	VP	—
S NP T the N boy VP	Verb	NP
S NP T the N boy VP Verb	hit	NP
S NP T the N boy VP Verb hit	NP	—
S NP T the N boy VP Verb hit NP	T	N
S NP T the N boy VP Verb hit NP T	the	N
S NP T the N boy VP Verb hit NP T the	N	—
S NP T the N boy VP Verb hit NP TtheN	ball	—
S NP T the NboyVPVerb hitNP TtheNball	—	—

S NP T the N boy VP Verb hit NP T the N ball არის წარმოდგენილი დერეკაციის უკანასკნელი სტრიქონი. იგი შეიცავს არა მხოლოდ ტერმინალური სტრიქონის შემადგენელ სიმბოლოებსა და სიტყვებს, არამედ გვაწვდის აგრეთვე ინფორმაციას ამ წინადადების შემადგენლური სტრუქტურისა და შემადგენელთა გაშლის თანმიმდევრობის შესახებ, რაც დიაგრამაზე ასე გამოიხატება:




13.3. ყოველთვის, როდესაც მანქანა მოძრაობს უკიდურესი მარცხენა შტოს გასწვრივ, ე.ი. გაშლის ამ შტოზე წარმოდგენილ კვანძებს, იგი თავის დროებით, ოპერატიულ მეხსიერებაში ათავსებს ამ კვანძებიდან მარჯვნივ გამომაჯალ შტოებზე წარმოდგენილ სიმბოლოებს. ვთქვათ, გვაქვს რაღაც სინტაქსური კონსტრუქციის შემაღგენლური სტრუქტურის ამსახველი ასეთი დიაგრამა:



როდესაც მანქანა გაშლის (6) კვანძს, მას თავის ოპერატიულ მეხსიერებაში შენახული აქვს 5 სიმბოლო (დიაგრამაზე სამკუთხედებით აღნიშნული). მანქანა გაშლის კონსტრუქციის მარცხენა შემადგენელს და მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ამ პროცესს დაამთავრებს, იგი გადადის უახლოესი მარჯვენა კვანძის გაშლაზე.


სხვა სინტაქსური კონსტრუქციის შემადგენლური სტრუქტურის ამსახველი დიაგრამის ერთი ფრაგმენტი კი შეიძლება ასე გამოიყურებოდეს:




(4) კვანძის გაშლის შედეგად ვიღებთ (5) და (6) კვანძებს. (3) კვანძიდან მარჯვნივ გამომაჯალ შტოზე წარმოდგენილი (7) კვანძიდან (8) კვანძზე გადასვლისას მანქანას თავის დროებით მეხსიერებაში შენახული აქვს კიდევ სამი სიმბოლო.

იმ სიმბოლოთა მაქსიმალურ რაოდენობას, რომლებიც წარმოდგენილია მანქანის დროებით მეხსიერებაში მოცემული წინადადების წარმოშობისას, ვუწოდოთ ამ *წინადადების სიღრმე*. სიღრმე წინადადების ერთერთი ძირითადი სტრუქტურული მახასიათებელია და განისაზღვრება როგორც მაქსიმალური რაოდენობა სიმბოლოებისა, რომლებიც ერთდროულად არიან წარმოდგენილნი მანქანის დროებით ანუ ოპერატიულ მეხსიერებაში მოცემული წინადადების წარმოშობისას.

არსებობს ძალიან მარტივი ხერხი წინადადების სიღრმის გამოსათვლელად: კვანძიდან გამომავალ უკიდურეს მარჯვენა შტოს აწერენ 0-ს, მის უახლოეს მარცხენა შტოს — 1-ს, მის უახლოეს მეზობელს მარცხნიდან — 2-ს და ა.შ.




მაგრამ რამდენადაც ჩვენ უშუალო შემადგენლურ ანალიზს ვახორციელებთ ბინარული წესით, ე.ი. ყოველი კვანძიდან გამოგვყავს ორ-ორი შტო, მარჯვენას ამათვან მიეწერება 0, ხოლო მარცხენას — 1. ჩვენ მიერ განხილული The boy hit the ball „ბიჭმა დაარტყა ბურთს“ წინადადების შემთხვევაში გვექნება შემდეგი სახის დიაგრამა:



ტერმინალური სიმბოლოს სიღრმე განისაზღვრება ამ სიმბოლოსაკენ მიმავალი ყველა შტოს ინდექსების ჯამით. ასე, მაგალითად, The სიმბოლოს სიღრმე არის (2), boy-ის — (1), hit-ისა — (1), the — (1), ball — (0). ტერმინალური სიმბოლოების სიღრმეებს შორის მაქსიმალური განსაზღვრავს წინადადების სიღრმეს. მაშასადამე, ამ ინგლისური წინადადების სიღრმე — D(S)=2 (ინგლ. depth — „სიღრმე“).




13.4. ჰუწოდოთ რეგრესული ისეთ სინტაქსურ სტრუქტურას, რომელიც გამოისახება შექდეგი დიაგრამით:



ამ დიაგრამით გამოსახული სინტაქსური სტრუქტურის სიღრმე არის 4 და დიაგრამაზე ყოველი ახალი კვანძის მომატება მარცხნივ ზრდის რეგრესული სინტაქსური სტრუქტურის სიღრმეს თითო ერთეულით.

ჰუწოდოთ პროგრესული ისეთ სინტაქსურ სტრუქტურას, რომელიც გამოისახება ამგვარი დიაგრამით:



როგორც ამ დიაგრამიდან ჩანს, ყოველი მარცხენა კვანძის გაშლისას მანქანას დამახსოვრებელი აქვს მხოლოდ თითო სიმბოლო. ამდენად, ასეთი სინტაქსური სტრუქტურის სიღრმე მუდამ 1-ის ტოლია. ახალი კვანძის მომატება მარჯვნივ არ ცვლის პროგრესული სინტაქსური

სტრუქტურის *სიღრმის* ამ რიცხვით მნიშვნელობას — იგი ყოველთვის 1-ის ტოლია.

### 13.5. როგორი ლინგვისტური ინტერპრეტაცია შეიძლება მიეცეს განხილულ მოდელს რა შინაარსი აქვს მას?

ამ მოდელის ლინგვისტური შინაარსის ასახსნელად ამერიკელმა მეცნიერმა *ვიქტორ ინგვემ* წამოაყენა *ჰიპოთეზა*, რომელიც შემდეგ მონაცემებს ემყარება: ფსიქოლოგების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების საფუძველზე, რომლებიც მიზნად ისახავდნენ *ადამიანის უშუალო მეხსიერების მოცულობის* განსაზღვრას, აღმოჩნდა, რომ ადამიანს აქვს უნარი აღიქვას, დაიმახსოვროს და გაიმეოროს დაახლოებით  $7 \pm 2$  ნებისმიერად აღებული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი საგანი. წარმოდგენილ მოდელში ივარაუდება, რომ წინადადების წარმომშობი მოწყობილობის *დროებითი მეხსიერება* ადამიანის *უშუალო მეხსიერების* ანალოგიურია და მოცულობის თვალსაზრისით ემთხვევა მას. აქედან გამომდინარე, ბუნებრივი ენის წინადადების *მაქსიმალური სიღრმე* მოქცეული უნდა იყოს  $7 \pm 2$  ფარგლებში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბუნებრივი ენის წინადადების *სიღრმე* არ შეიძლება აღემატებოდეს 9-ს. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წინადადების სიღრმე არ უკავშირდება მის *სიგრძეს* (ანუ სიტყვათა რაოდენობას წინადადებაში), რამდენადაც წინადადების სიგრძე შეიძლება ძალიან დიდიც იყოს, მაშინ როდესაც მისი *სიღრმე* არ აღემატება 9-ს.

წარმოდგენილი ჰიპოთეზის მეორე ბუნქტი ასეთნაირად ჩამოყალიბდება: *ენებში უნდა არსებობდეს დიდი სიღრმის მქონე წინადადებების ნაკლებდრმა სინონიმურ წინადადებებად გარდაქმნის ხერხები*. კიდევ ერთი, მესამე ბუნქტი ამ ჰიპოთეზისა: *დიაქრონიულად წინადადებების გარდაქმნა ხდება მათი სიღრმის შემცირების მიმართულებით — დიდი სიღრმის მქონე სინტაქსური კონსტრუქციები ენის ისტორიული განვითარების პროცესში იცვლება ნაკლებად ღრმა კონსტრუქციებით*.

პირველ ბუნქტში გამოთქმული მოსაზრება შეიძლება ადვილად შემოწმდეს კონკრეტული ენების წინადადებათა სიღრმის ათვლის გზით. მესამე ბუნქტი ბუნებრივად გამომდინარეობს პირველი ორიდან. რაც შეეხება მეორე ბუნქტში ჩამოყალიბებულ დებულებას, მასზე საგანგებოდ შეგჩერდეთ და განვიხილოთ ინგლისური ფრაზა *His mother's brother's son's daughter's hat* „მისი დედის ძმის ვაჟიშვილის ქალიშვილის ქუდი“ — რეგრესული სტრუქტურა, რომლის მსგავსი სტრუქტურები ინგლისურში ფორმალურად შეზღუდული არ არის, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ მათ ვინმე რეალურად წარმოქმნის. სიღრმის შესამცირებლად ასეთ შემთხვევებში შეიძლება მიმართონ ლექსიკურ საშუალებებს: *His uncle's granddaughter's hat* „ბიძამისის შვილიშვილის ქუდი“, ან გამოიყენონ

ბოსტოპოზიციური განსაზღვრებები, რომლებიც პროგრესულ სტრუქტურებს ქმნიან: The hat of the daughter of his mother's brother's son.

#### 14. (Σ, F) ტიპის გრამატიკის უკმარისობა ბუნებრივი ენის წინადადებათა წარმოშობის თვალსაზრისით. კონსტრუქციული ომონიმია

14.1. მისი სტრუქტურის განხილული მოდელი — (Σ, F) ტიპის გრამატიკა — მთლიანად ვერ აკმაყოფილებს სისრულის კრიტერიუმს, რომელიც, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმია გრამატიკის ავტარგვიანობის შეფასების თვალსაზრისით. იგი წარმოშობს მხოლოდ განსაზღვრული სახის წინადადებებს და მოკლებულია მათგან განსხვავებული სტრუქტურის წინადადებათა წარმოშობის უნარს.

ავიღოთ ორი რუსული წინადადება:

S<sub>1</sub>: Книги брата лежат на столе „ძმის წიგნები აწყვია მაგიდაზე“ და

S<sub>2</sub>: Книги сестры лежат на столе „ღის წიგნები აწყვია მაგიდაზე“.

თუ S<sub>1</sub> და S<sub>2</sub> მარკირებული წინადადებებია, და ეს მართლაც ასეა, მაშინ მარკირებული იქნება S<sub>3</sub> წინადადებაც, მიღებული S<sub>1</sub> და S<sub>2</sub> წინადადებების გარკვეული შემადგენლების ი „და“ კავშირით გაერთიანების შედეგად:


S<sub>3</sub>: Книги брата и сестры лежат на столе „ძმისა და ღის წიგნები აწყვია მაგიდაზე“.

ყოველთვის არის თუ არა შესაძლებელი ორი მარკირებული წინადადებიდან მესამე მარკირებული წინადადების მიღება პირველი ორი წინადადების გარკვეულ შემადგენელთა ი ელემენტით დაკავშირების შედეგად? S<sub>1</sub> წინადადებასთან ერთად განვიხილოთ კიდევ ერთი ასეთი წინადადება — S'<sub>2</sub>: Книги, которые я читал, лежат на столе „წიგნები, რომლებსაც მე ვკითხულობდი, აწყვია მაგიდაზე“, რომელიც აგრეთვე მარკირებულია. მაგრამ S'<sub>2</sub> წინადადება, მიღებული S<sub>1</sub> და S'<sub>2</sub> მარკირებული წინადადებებიდან брата და которые я читал შემადგენელთა ი კავშირით გაერთიანების შედეგად, არამარკირებულია — Книги брата и которые я читал лежат на столе „წიგნები ძმისა და რომლებსაც მე ვკითხულობდი აწყვია მაგიდაზე“. გამოდის, რომ ორი მარკირებული წინადადებიდან მათი განსაზღვრული შემადგენლების ი ელემენტით დაკავშირების შედეგად მარკირებულ წინადადებას ვიღებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ი კავშირის მეშვეობით გაერთიანებთ ერთი და იმავე ტიპის შემადგენლებს ანუ ისეთ შემადგენლებს, რომლებიც წინადადებათა შე-

საბაზის დიაგრამებზე ერთი და იმავე სიმბოლოთი აღნიშნული კვანძიდან გამომდინარეობენ, ხოლო როდესაც ასეთი შეერთება სხვადასხვა ტიპის შემადგენლებს ეხება, შედეგად ვიღებთ არამარკირებულ წინადადებას.


საზოგადოდ, თუ  $S_1$  და  $S_2$  გრამატიკული თვალსაზრისით სწორად აგებული, მარკირებული წინადადებებია და  $S_2$  მხოლოდ იმით განსხვავდება  $S_1$ -საგან, რომ  $S_2$ -ის  $Y$  შემადგენელი იმავე ადგილას არის წარმოდგენილი, სადაც  $X$  შემადგენელი  $S_1$  წინადადებაში, ე.ი.  $S_1 = \dots X \dots$  და  $S_2 = \dots Y \dots$  (სადაც  $X$  და  $Y$  ერთი და იმავე ტიპის შემადგენლებია), მაშინ მარკირებულია  $S_3$  წინადადებაც, რომელიც წარმოადგენს  $S_1$ -ში  $X$  შემადგენლის ნაცვლად  $X+Y$  მიმდევრობის ჩასმის შედეგს:  $S_3 = \dots X+Y \dots$

ვნახოთ  $S_1$  წინადადების შესაბამისი დიაგრამა:



ანალოგიური დიაგრამა შეესაბამება  $S_2$  წინადადებასაც, სადაც сестры შემადგენელი იმავე ტიპისაა — იგი  $N_{gen}$  სიმბოლოთი აღნიშნული კვანძიდან გამომდინარეობს, ისევე როგორც  $S_1$  წინადადების брата შემადგენელი. რამდენადაც брата და сестры ერთი ტიპის შემადგენლებია ( $X=брата$ ,  $Y=сестры$ ), მათი ი კავშირის მეშვეობით შეერთების შედეგად ვიღებთ  $W-X+Y-Z$  სტრუქტურის მქონე მარკირებულ წინადადებას: Книги — брата и сестры — лежат на столе.

სრულიად განსხვავებულია  $S_2$  წინადადების შემადგენლური სტრუქტურის ამსახველი დიაგრამა:



როგორც ამ დიაგრამიდან ჩანს, S'2 წინადადების *которые я читал* შემადგენელი Ssub ტიპის შემადგენელია და, ამდენად, განსხვავდება S1 წინადადების *брата* და S2 წინადადების *сестры* შემადგენელთა Ngen ტიპისაგან. სწორედ ამის გამო ასეთი განსხვავებული ტიპის შემადგენელთა *и* კავშირით შეერთების შედეგად მიღებული წინადადება არამარკირებული იქნება. ცალ-ცალკე S1-ც და S'2-ც მარკირებული წინადადებებია, მაგრამ რადგანაც მათ შემადგენლურ სტრუქტურაში სხვადასხვა ტიპის შემადგენლები მონაწილეობენ, მათი (ე.ი. ამ შემადგენლებს) *и* ელემენტის მეშვეობით დაკავშირების შედეგად მარკირებულ წინადადებას ვერ მივიღებთ.

ორი მარკირებული წინადადების ერთი და იმავე ტიპის შემადგენელთა *и* კავშირით გაერთიანების შედეგად ახალი მარკირებული წინადადების მიღების წესს ლაკონიურობისათვის ვუწოდოთ *И-წესი*. არის თუ არა ეს *И-წესი* ისეთი, რომლის შეტანას (Σ, F) ტიპის გრამატიკაში არაფერი არ უშლის ხელს? სხვაგვარად, შეიძლება თუ არა ეს წესი განხილული იქნეს F ტიპის წესად?

**14.2. ზღაპრული, მოცემულია (Σ, F) ტიპის გრამატიკა, სადაც Σ ამოსავალ სიმბოლოდ შეიცავს Sentence ელემენტს, ხოლო წესების F სიმრავლე — გადაწერის ასეთ წესებს: F:  $x_1 \rightarrow y_1, x_2 \rightarrow y_2, \dots, x_n \rightarrow y_n$ .** ასეთი გრამატიკა შეიძლება განხილული იქნეს როგორც ერთგვარი მანქანა შინაგან მდგომარეობათა სასრული რაოდენობით, რომელიც წინადადებებს წარმოშობს არა მარცხნიდან მარჯვნივ, არამედ ზევიდან ქვევით და, ამასთან, ერთი შინაგანი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლისას გამოიცემა არა სიტყვა, არამედ დერივაციის სტრიქონი. მანქანის შინაგანი მდგომარეობებიდან ერთი წარმოადგენს საწყის მდგომარეობას, ხოლო მეორე — საბოლოო მდგომარეობას. საწყის მდგომარეობაში ყოფნისას

მანქანას შეუძლია გამოსცეს მხოლოდ და მხოლოდ Sentence სიმბოლო, ხოლო მომდევნო მდგომარეობაში გადასვლისას — ნებისმიერი მიმდევრობა, ოღონდ ისეთი, რომ Sentence  $\rightarrow y_i$  შედიოდეს წესების მოცემულ F სიმრავლეში. მანქანა მუშაობას ამთავრებს საბოლოო მდგომარეობაში გადასვლით, როდესაც წარმოშობს, გამოსცემს დერივაციის უკანასკნელ სტრიქონს — ტერმინალურ მიმდევრობას, რომელიც უკვე აღარ ექვემდებარება შემდგომ გარდაქმნას წესების მოცემულ სიმრავლეში სათანადო წესის არარსებობის გამო.

თუ ჩვენ მივიღებთ  $(\Sigma, F)$  ტიპის გრამატიკის ამგვარ გაგებას — როგორც სასრული რაოდენობის შინაგან მდგომარეობათა მანქანისა, მაშინ არსებით მომენტად უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მანქანის ყოველი შინაგანი მდგომარეობა მთლიანად განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ იმ სტრიქონით, იმ მიმდევრობით, რომელიც მან უკანასკნელად წარმოშვა, და არ არის დამოკიდებული სხვა, ადრინდელ მდგომარეობებზე. გრამატიკის წესები ისეთი ბუნებისაა, რომ ყოველი სტრიქონი გამომდინარეობს უშუალოდ წინამაგალი სტრიქონიდან მოცემული სიმრავლის წესებიდან ერთ-ერთის განხორციელების შედეგად. ყოველი მოცემული სტრიქონის უშუალოდ წინამაგალი მიმდევრობიდან გამოყვანისთვის არ მოითხოვება დერივაციის უფრო ადრინდელი საფეხურების ცოდნა. აქ მთავარია მხოლოდ ბოლოს მიღებული სტრიქონის გარდაქმნა მოცემული სიმრავლის რომელიმე წესის შესაბამისად და სრულებით არ არის აუცილებელი იმის გათვალისწინება, თუ როგორ, რა საფეხურების გავლით იქნა წარმოშობილი მიმდევრობა, რომელიც უნდა გარდაიქმნას ერთ-ერთი წესის მიხედვით.

დავუბრუნდეთ ახლა ჩვენს  $H$ -წესს. ეს  $H$ -წესი შეუძლებელია განხილულ იქნეს  $F$  ტიპის წესად სწორედ იმის გამო, რომ მისი განხორციელება ყოველ მოცემულ მომენტში მოითხოვს დერივაციის არა მხოლოდ უკანასკნელი სტრიქონის ცოდნას, არამედ ამ სტრიქონის დერივაციული ისტორიის ცოდნასაც, ანუ ინფორმაციას ამ სტრიქონის შემადგენლური სტრუქტურის შესახებ წარმოშობის თითქმის ყველა ადრინდელ ეტაპზე. ამ წესის განსახორციელებლად დამატებით მოითხოვება იმის განსაზღვრა, თუ რა და რა ტიპის შემადგენლებთან გვაქვს საქმე. ეს კი შეუძლებელია დერივაციის ადრინდელი საფეხურების გათვალისწინებლად. ამიტომ  $H$ -წესი ვერ შევა წესების  $F$  სიმრავლეში და, ამდენად,  $(\Sigma, F)$  ტიპის გრამატიკა, რომელიც ვერ წარმოშობს მარკირებულ წინადადებებს სხვა მარკირებული წინადადებებიდან ამ თითქოსდა მარტივი წესის განხორციელების შედეგად, არასრულია.

14.3.  $(\Sigma, F)$  ტიპის გრამატიკას — *მოდელს*, რომელიც ემყარება წინადადებათა უშუალო შემადგენლური სტრუქტურის ანალიზს, აღნიშნულს

გარდა სხვა ხარვეზები და ნაკლოვანებებიც აქვს. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

შევადაროთ ერთმანეთს სამი ასეთი წინადადება:


1. ბავშვი კითხულობს წიგნს.
2. კითხულობს ბავშვი წიგნს?
3. ვინ კითხულობს წიგნს?

ყველა, ვინც იცის ქართული ენა, განასხვავებს (1) წინადადებას (2) და (3) წინადადებებისაგან როგორც თხრობით წინადადებას კითხვითი წინადადებებისაგან, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ ეს განსხვავება ვერ აისახება განხილულ მოდელში, რამდენადაც მას არ მოეპოვება ფორმალური კრიტერიუმები თხრობითი წინადადებების განსასხვავებლად კითხვითი წინადადებებისაგან. მართლაც, თუ ასეთ ფორმალურ კრიტერიუმად მივიღებთ სიტყვათა რიგს, მაშინ ერთ ჯგუფში მოხვდება (1) და (3) წინადადებები, ხოლო თუ ფორმალურ კრიტერიუმად ავირჩევთ ინტონაციურ კონტურს, მაშინ სხვადასხვა ჯგუფში აღმოჩნდება (2) და (3) წინადადებები, რომლებიც კითხვითი წინადადებებია ინტუციურად, მაგრამ, ვთქვათ, (2) წინადადებისათვის დამახასიათებელი ინტონაცია არ არის დამახასიათებელი (3) წინადადებისათვის.

ახლა შევადაროთ ერთმანეთს ასეთი ფრაზები:

1. იადონის გალობა;
2. ენის შესწავლა;
3. მეცნიერის მიწვევა.

უშუალო შემადგენლური სტრუქტურის თვალსაზრისით სამივე ეს ფრაზა იდენტურია, სამივე მათგანს ასეთი სახის ერთი და იგივე დიაგრამა შეესაბამება:



( $N_{gen}$  აღნიშნავს არსებით სახელს ნათესაობით ბრუნვაში,  $M$  — მასდარს).

ბირველ ორ ფრაზას სავსებით ცალსახად განსაზღვრული აზრი აქვს, თუმცა ისინი გამოხატავენ სულ სხვადასხვა მიმართებებს, რომლებიც ნათესაობით და სახელობით ბრუნვებში წარმოდგენილ ამ ენობრივ ფორმებს შორის არსებობს. ყველასათვის ცხადია, რომ (1) ფრაზაში ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი არსებითი სახელი არის სუბიექტი, რომელიც ასრულებს მოქმედებას — გალობს, მაშინ როდესაც (2)

ფრაზაში იმავე ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი არსებითი სახელი არის ობიექტი — შესწავლის საგანი. რაც შეეხება (3) ფრაზას, იგი ორაზროვანია, მოკლებულია ისეთსავე ცალსახად განსაზღვრულ აზრს, რომლითაც გამოიჩინება პირველი ორი ფრაზა. მართლაც, იგი შეიძლება ნიშნავდეს — „მეცნიერი იწვევს“ ან „მეცნიერს იწვევენ“. პირველ შემთხვევაში (3) ფრაზა სტრუქტურული მიმართებების თვალსაზრისით (1)-ის ეკვივალენტურია, ხოლო მეორე შემთხვევაში იგივე ფრაზა სტრუქტურულად (2) ფრაზის იდენტურია. ტრადიციულ გრამატიკაში კარგად არის ცნობილი ნათესაობითი ბრუნვის ორი ურთიერთგანსხვავებული ფუნქცია (მნიშვნელობა): „სუბიექტის ნათესაობითი“ და „ობიექტის ნათესაობითი“. (1) ფრაზაში ჩვენ საქმე გვაქვს სწორედ სუბიექტის ნათესაობითთან, (2) ფრაზაში კი ობიექტის ნათესაობითთან. რაც შეეხება (3) ფრაზას, იგი შეიძლება ინტერპრეტირებული იქნეს როგორც სუბიექტის ნათესაობითის, ისე ობიექტის ნათესაობითის თვალსაზრისით, მაგრამ უშუალო შემადგენელთა გრამატიკას არ მოეპოვება არავითარი ფორმალური კრიტერიუმი იმ განსხვავების გამოსახატავად, რომელიც არსებობს (1) და (2) ფრაზებს შორის, და არც იმ ორაზროვნების ასახვას, რომლითაც გამოიჩინება (3) ფრაზა — იგი, როგორც ითქვამს, შეიძლება (1) ფრაზასაც გაუთანაბრდეს და (2)-საც. უშუალო შემადგენლური სტრუქტურის ფარგლებში ვერ მოიძებნება ფორმალური გრამატიკული საფუძველი, რომელიც ასეთი გათანაბრების შესაძლებლობას განსაზღვრავს.

## 15. გრამატიკული ტრანსფორმაციები. ბირთვული და არაბირთვული წინადადებები

15.1. როდესაც ჩვენ უშუალო შემადგენელთა (Σ,F) მოდელს განვიხილავდით, იქ მოცემული იყო Verb ელემენტის გაშლის ერთადერთი შესაძლებლობა, წარმოდგენილი გადაწერის ასეთი წესით: Verb → took, hit, read..., მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ზმნური ძირი განსაზღვრულია — ერთადერთ ზმნურ ძირთან გვაქვს საქმე, იგი შეიძლება სულ სხვადასხვა ფორმით მოგვევლინოს: take, takes, is taking, has taken, has been taken, is being taken, will take, will be taken და სხვ. (ეს ინგლისური take „აღება“ ზმნის სხვადასხვა პირის, რიცხვის, დროისა და კილოს ფორმებია).

(Σ,F) გრამატიკას არ მოეპოვება დამხმარე ზმნების შემცველი ამ ზმნური კონსტრუქციების წარმოშობის მარტივი წესები. ეს გრამატიკა უაღრესად რთული უნდა იყოს, წესების მეტისმეტად რთულ სისტემას



უნდა შეიცავდეს, რომ შეძლოს ინგლისური ენის ამგვარი ზმნური კონსტრუქციების წარმოშობა. მაგრამ იგი ძალიან გამარტივდება, თუკი ჩვენთვის ცნობილ F ტიპის გადაწერის წესებს:

F: (I) Sentence NP+VP

(II) NP → T + N

(III) VP → Verb + NP

(IV) T → the

(V) N → man „კაცი“, book „წიგნი“, ball „ბურთი“, boy „ბიჭი“...

დავუმატებთ შემდეგ წესებს, რომელთა ერთობლიობა ქმნის გადაწერის წესების B ტიპს:

B: (I) Verb → Aux + V (Aux დამხმარე ზმნის სიმბოლოა);

(II) V → take „აღება“, hit „დარტყმა“, read „(წა)კითხვა“;

(III) Aux → C(M)(have+en)(be+ing)(be+en);

(IV) M → will, can, may, shall, must (ეს ე.წ. მოდალური ზმნებია

— „შეუძლია“, „სურს“, „უნდა“ ტიპისა);

$$(V) C \rightarrow \left\{ \begin{array}{lll} S & NP_{sing} & \text{კონტექსტში} \\ \emptyset & NP_{pl} & \text{კონტექსტში} \\ past & & \end{array} \right\};$$

Af იყოს ნებისმიერი აფიქსი S,  $\emptyset$ , past, -en, -ing სიმრავლიდან. აღენიშნოთ v-თი ნებისმიერი ელემენტი M, V, have, be სიმრავლიდან (ე.ი. ეს v აღნიშნავს ნებისმიერ არააფიქსს Verb ჯგუფში). მაშინ

(VI) Af+v → v+Af#, სადაც # სიმბოლო აღნიშნავს სიტყვის საზღვარს;

(VII) + სიმბოლოს ნაცვლად ჩაისვას # სიმბოლო ყველა შემთხვევაში ერთის გარდა, სახელდობრ, v-Af კონტექსტის გარდა; დავსვათ # სიმბოლო მიმდევრობის თავსა და ბოლოში.

მცირეოდენი კომენტარი ამ წესებთან დაკავშირებით:

სიმბოლური გამოსახულება, რომელიც BIII წესით არის წარმოდგენილი, ასე უნდა გვესმოდეს: ჩვენ უნდა ამოვარჩიოთ C ელემენტი, ხოლო რაც შეეხება სხვა ელემენტებს, რომლებიც ფრჩხილებშია მოთავსებული, მათგან შეიძლება ამოვირჩიოთ ზოგიერთი (ან არც ერთი), ოღონდ მითითებული თანმიმდევრობით; BV წესის შესაბამისად ჩვენ შეგვიძლია C გავშალოთ ნებისმიერი მორფემის სახით, აღნიშნული კონტექსტური შეზღუდვების დაურღვევლად.

15.2. **ახლა წარმოვადგინოთ** The man has been reading the book „კაცი აგრძელებს წიგნის კითხვას“ წინადადების წარმოშობის პროცესი დერივაციის F და B ტიპის წესების თანმიმდევრული განხორციელების შედეგად:

Sentence

NP+VP (FI)

T+N+VP (FII)

T+N+Verb+NP (FII)

T+N+Verb+T+N (FII)

The+N+Verb+T+N (FIV)

The+man+Verb+T+N (FV)

The+man+Verb+the+N (FIV)

The+man+Verb+the+book (FV)

The+man+Aux+V+the+book (BI)

The+man+Aux+read+the+book (BII)

The+man+C+have+en+be+ing+read+the+book (BIII)

The+man+S+have+en+be+ing+read+the+book (BV)

The+man+have+S#en+be+ing+read+the+book (BVI)

The+man+have+S#be+en# ing+read+the+book (BVI)

The+man+have+S#be+en# read+ing#the+book (BVI)

#The#man#have+S#be+en#read+ing#the#book# (BVII)

ამ უკანასკნელი მიმდევრობიდან რამდენიმე მორფოლოგიური წესის (have+S→has, be+en→been, read+ing→reading) განხორციელების შედეგად მიიღება სწორედ The man has been reading the book წინადადება. ანალოგიურად წარმოიშობა ნებისმიერი წინადადება, რომელიც დამხმარე ზმნის მონაწილეობით შექმნილ რთულ ზმნურ კონსტრუქციას შეიცავს.

რატომ არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მთელი ეს დერივაცია ჩატარებულია (Σ,F) ტიპის გრამატიკის ფარგლებში? საქმე ის არის, რომ BV წესის გამოყენება მოითხოვს იმის ცოდნას, რომ The+man წარმოადგენს სახელურ ჯგუფს მხოლოდით რიცხვში, ე.ი. NP<sub>sing</sub>-ს. სხვა სიტყვებით, ამ წესის განსახორციელებლად ჩვენ უნდა მივმართოთ დერივაციის რომელიმე ადრინდელ ეტაპს, რათა განვსაზღვროთ The+man მიმდევრობის შემადგენლური სტრუქტურა, მისი ტიპი. აქედან გამომდინარე, BV წესი სცილდება უშუალო შემადგენელთა გრამატიკის ელემენტარული მარკოვის პროცესის ფარგლებს და, ამდენად, შეუძლებელია შეტანილ იქნეს (Σ,F) გრამატიკაში. კიდევ უფრო მეტად არღვევს (Σ,F) გრამატიკის წესების განხორციელების უშუალო თანმიმდევრობის ავტომატიზმს BVI წესი – ისიც მოითხოვს, რომ ჩვენ გავითვალისწინოთ მიმდევრობათა შემადგენლური სტრუქტურა, დერივაციის წინა ეტაპები, ე.ი. ალგაღვინოთ

დერივაციის მთელი ადრინდელი ისტორია; ამას გარდა, ეს წესი ახდენს ელემენტთა ადგილების აუცილებელ ურთიერთშენაცვლებას, რაც (Σ,F) გრამატიკაში დაუშვებელია.

**15.3. მასასრულ, განვიხილოთ** კიდევ ერთი მაგალითი იმ ცნებათა უკმარისობისა, რომლებიც უშუალო შემადგენელთა დონეს განეკუთვნება. ეს არის მიმართება აქტიურ და პასიურ წინადადებებს შორის. პასიური წინადადებები წარმოიშობა  $be+en$  ელემენტის ამორჩევის გზით BIII გადაწერის წესში, მაგრამ ეს ელემენტი ისეთი ბუნებისაა, რომ მისი ამორჩევა არ არის თავისუფალი, ავტომატური; ის მთელ რიგს შეზღუდვებისას ემორჩილება: 1. ჯერ ერთი,  $be+en$  შეიძლება ამორჩეული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო ზმნა გარდამავალია. ვთქვათ,  $was+eaten$  „იყო შეჭმული“ შესაძლებელია, რადგან  $eat$  „ჭამა“ გარდამავალია, მაგრამ  $was+walked$  \*„იყო გასეირნებული“ დაუშვებელია. 2. ამას გარდა,  $be+en$  ელემენტის ამორჩევა შეუძლებელია, თუ ზმნას მოსდევს სახელური ჯგუფი. სხვაგვარად, დაუშვებელია  $NP+is+V+en+NP$ , ზმნა (V) გარდამავალიც რომ იყოს. ასეთი შეზღუდვა გამორიცხავს  $Lunch\ is\ eaten\ John$  „საუზმე შეჭმულია ჯონი“ ტიპის მიმდევრობათა მიღებას. 3. და კიდევ: თუ ზმნა (V) გარდამავალია და მას მოსდევს წინდებულებიანი სახელური ჯგუფი  $by+NP$  ( $by$  „მიერ“), ჩვენ ვალდებული ვართ ამოვიჩიოთ  $be+en$  და მაშინ მივიღებთ სწორედ  $Lunch\ is\ eaten\ by\ John$  „საუზმე შეჭმულია ჯონის მიერ“ მიმდევრობას, *მარკირებულ წინადადებას*.

შეზღუდვების მთელი ეს სისტემა აზრს კარგავს, თუ ჩვენ ამოვიჩივთ  $be+en$  ელემენტს როგორც დამხმარე ზმნის ნაწილს. ამ შემთხვევაში შენარჩუნებულია შერჩევის იგივე წესები, ოღონდ შებრუნებული რიგით. ეს იმას ნიშნავს, რომ  $NP_1-V-NP_2$  სახის ყოველ წინადადებას შეიძლება შეესაბამებოდეს  $NP_2-is-V+en-by+NP_1$  სახის წინადადება.

თუ შევეცდებით პასიურ წინადადებათა ჩართვას უშუალოდ (Σ,F) ტიპის გრამატიკაში, აუცილებელი იქნება ყველა შეზღუდვის ხელახლა ჩამოყალიბება, ოღონდ შებრუნებული რიგით იმ შემთხვევისათვის, როდესაც ხდება  $be+en$  ელემენტის როგორც დამხმარე ზმნის შემადგენლის ამორჩევა.

მაშასადამე,  $be+en$  ელემენტის ამორჩევა BIII წესის განხორციელებისას მოითხოვს ისეთი ინფორმაციის ცოდნას, რომელიც სრულებით არ არის აუცილებელი F ტიპის წესების მოქმედების დროს. ამ ელემენტის ამორჩევა არ არის თავისუფალი და სრულიად ავტომატური, რაც, როგორც ცნობილია, შეადგენს F ტიპის წესების არსს. ამ  $be+en$  ელემენტისათვის დამახასიათებელ შეზღუდვებს ადვილად დავაღწევთ თავს მხო-

ლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოვრიცხავთ პასიურ წინადადებებს უშუალო შემადგენელთა გრამატიკიდან და შემოვიტანთ მათ შემდეგი P წესის მეშვეობით:

თუ  $S_1$  არის გრამატიკულად სწორი წინადადება  $NP_1-Aux-V-NP_2$  სახისა, მაშინ მისი შესაბამისი მიმდევრობა  $NP_2-Aux-be+en-V-by+NP_1$  სახისა აგრეთვე გრამატიკულად სწორ წინადადებას წარმოადგენს. აქ მხოლოდ ის უნდა დავძინოთ, რომ  $be+en$  ელემენტი, რომელიც ამ P წესში მონაწილეობს, არ არის ის  $be+en$  ელემენტი, რომელიც BIII წესის განხორციელებისას უნდა იქნეს ამორჩეული განსაზღვრული ინფორმაციის გათვალისწინებით.

ახლა უკვე შეგვიძლია უბრალოდ გამოვტოვოთ  $be+en$  ელემენტი BIII წესში და მასთან ერთად ამ ელემენტთან დაკავშირებული სპეციალური შეზღუდვები, კერძოდ: 1. ის, რომ  $be+en$  ელემენტი მოითხოვს გარდამავალ ზმნას; 2. რომ ის არ შეიძლება წარმოდგენილი იყოს  $V+NP$ -ს წინ, სადაც V გარდამავალი ზმნაა; 3. რომ ის უნდა შედიოდეს  $V+by+NP$  ჯგუფში, სადაც V გარდამავალი ზმნაა; 4. რომ ის ახდენს ზმნის გარემომცველი სახელური ჯგუფების ადგილების ურთიერთშენაცვლებას. ყოველივე ეს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში P წესის აგტომატური შედეგია.

ამრიგად, P წესი იწვევს გრამატიკის მნიშვნელოვან გამარტივებას, მაგრამ იგი სცილდება ( $\Sigma, F$ ) გრამატიკის ფარგლებს; ისევე, როგორც BVI წესი, იგი მოითხოვს იმ მიმდევრობის შემადგენლური სტრუქტურისა და დერივაციული ისტორიის ცოდნას, რომლის მიმართაც იგი გამოიყენება, და ახორციელებს შემადგენელთა ადგილების ურთიერთშენაცვლებას ამ მიმდევრობაში, რაც დაუშვებელია F ტიპის წესებით.

15.4. ჩვენ განვიხილეთ სამი წესი: ე.წ. H-წესი, B ტიპის წესები და აქტიურ და პასიურ წინადადებებს შორის არსებული მიმართების ამსახველი P წესი, რომლებიც არსებითად ამარტივებენ ინგლისური ენის გრამატიკული სტრუქტურის აღწერას, მაგრამ შეუძლებელია მათი შეტანა ( $\Sigma, F$ ) გრამატიკაში. არსებობს კიდევ ბევრი ამგვარი წესი, რომელთა გარეშე ენის სტრუქტურის თეორია, ანუ ენის გრამატიკა, იმდენად რთული სისტემა იქნებოდა, რომ მის მიმართ ყოველგვარი ინტერესი დაიკარგებოდა და მას აზრიც აღარ ექნებოდა. ამ ტიპის წესების ერთობლიობა ქმნის ენობრივი სისტემის აგებულების სრულიად ახალ კონცეფციას.

ვუწოდოთ თითოეულ ასეთ წესს *გრამატიკული ტრანსფორმაცია*.

*გრამატიკული ტრანსფორმაცია T* შემოქმედებს სიმბოლოთა მოცემულ მიმდევრობაზე შემადგენელთა განსაზღვრული სტრუქტურით და გარდაქმნის მას სიმბოლოთა სხვა მიმდევრობად განსხვავებული შემაღ-


გენლური სტრუქტურით. ტრანსფორმაციული წესის მოქმედების შედეგად მიღებულ სიმბოლოთა მიმდევრობას ვუწოდოთ *ტრანსფორმა*.

გრამატიკულ ტრანსფორმაციათა მთელი სიმრავლე ორ კლასად იყოფა. პირველ კლასს განეკუთვნება ე.წ. *აუცილებელი ტრანსფორმაციები* —  $T^{\text{ob}}$  (ინგლ. *obligatory* „აუცილებელი“), ხოლო მეორე კლასს შეადგენს ე.წ. *ფაკულტატიური* ანუ *არააუცილებელი ტრანსფორმაციები* —  $T^{\text{op}}$  (ინგლ. *optional* „ფაკულტატიური“). მაგალითად, ჩვენ მიერ განხილული BVI წესი აუცილებელ ტრანსფორმაციას წარმოადგენს, რამდენადაც მისი განხორციელების გარეშე საერთოდ შეუძლებელია მარკირებული წინადადების მიღება. რაც შეეხება აქტიური წინადადებიდან პასიურის მიღების წესს, იგი ფაკულტატიურ ტრანსფორმაციას წარმოადგენს — შეიძლება განხორციელდეს, ან არა. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში მარკირებული წინადადება გვექნება.

აუცილებელი და ფაკულტატიური ტრანსფორმაციების აღნიშნულ გარჩევას ემყარება ფუნდამენტური განსხვავება ენის წინადადებებს შორის. დაფუძვით, მოცემულია გრამატიკა, შემდგარი  $(\Sigma, F)$  უშუალო შემადგენლური ნაწილისა და  $T$  ტრანსფორმაციული ნაწილისაგან, ამასთან ეს უკანასკნელი შეიცავს როგორც აუცილებელ, ისე ფაკულტატიურ ტრანსფორმაციებს. მაშინ *ენის ბირთვი* განისაზღვრება როგორც სიმრავლე წინადადებებისა, რომლებიც მიიღება  $(\Sigma, F)$  ნაწილის მიერ წარმოშობილი ტერმინალური სტრიქონების მიმართ აუცილებელი ტრანსფორმაციების განხორციელების შედეგად. ენის ყოველი წინადადება ან ბირთვს განეკუთვნება, ან გამოიყვანება ერთი ან რამდენიმე ბირთვული წინადადების საფუძველში წარმოდგენილი ტერმინალური სტრიქონიდან მასზე ტრანსფორმაციული წესების მიმდევრობის მოქმედების შედეგად, რომელთაგან ზოგიერთი ტრანსფორმაცია აუცილებელია, ხოლო სხვები — ფაკულტატიური.

ტრანსფორმაციული წესი აუცილებელ ტრანსფორმაციას წარმოადგენს, თუ იგი ზემოქმედებს ტერმინალურ სტრიქონზე, რის შედეგადაც მიიღება *ბირთვული წინადადება*. ბირთვული წინადადება, თავის მხრივ, შესაძლებელია კიდევ დაექვემდებაროს არააუცილებელ ტრანსფორმაციას, რის შედეგად მიიღება სხვა, *არაბირთვული წინადადება*.

**15.5.** ახლა, როდესაც წარმოდგენა გვაქვს *ტრანსფორმაციულ წესებზე*, გრამატიკა შეიძლება განისაზღვროს როგორც სისტემა, რომელსაც ასეთი სამნაწილიანი აგებულება აქვს:

1.  $\Sigma$ : Sentence

$$\left. \begin{array}{l} 2. T_1 \\ \vdots \\ T_j \end{array} \right\} \text{ტრანსფორმაციული დონე}$$

$$\left. \begin{array}{l} 3. Z_1 \longrightarrow W_1 \\ \vdots \\ Z_m \longrightarrow W_m \end{array} \right\} \text{მორფოფონემური დონე}$$

გრამატიკის წარმოდგენილი მოდელის მეშვეობით წინადადების წარმოშობა შემდეგნაირად ხორციელდება: წარმოშობა იწყება ამოსავალი Sentence სიმბოლოთი, თანმიმდევრულად სრულდება F ტიპის წესები, რის შედეგად მორფემათა გარკვეული მიმდევრობები მიიღება; ამასთან, ამ მიმდევრობებში მორფემები აუცილებლად სწორი თანამიმდევრობით არ არის განლაგებული. ასეთ მიმდევრობებზე ვახორციელებთ ყველა აუცილებელ ტრანსფორმაციულ წესს და, შესაძლებელია, ზოგიერთ ფაკულტატიურ ტრანსფორმაციასაც. ამგვარად, გრამატიკის ( $\Sigma, F$ ) ნაწილის მიერ წარმოშობილი მორფემათა მიმდევრობები ტრანსფორმაციული წესების ზემოქმედების შედეგად სიტყვათა მიმდევრობებად გარდაიქმნება. ტრანსფორმაციული წესები ისეთი ბუნებისაა, რომ ზოგიერთ მათგანს შეუძლია მოახდინოს მორფემათა გადაადგილება, პერმუტაცია (ლათ. *permutatio* „გაცვლა“) მიმდევრობაში; სხვა ტრანსფორმაციული წესებით მიმდევრობას შეიძლება დაემატოს ახალი მორფემები, ან პირიქით — გამოაკლდეს ზოგიერთი მორფემა. ტრანსფორმაციული წესების მოქმედების შედეგად მიღებული სიტყვათა მიმდევრობები მორფოფონემური წესების მეშვეობით ფონემურ მიმდევრობებად გარდაიქმნება.

ენის სტრუქტურის განხილულ მოდელში — ტრანსფორმაციულ გრამატიკაში — არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ბირთვული წინადადებების სიმრავლის შერჩევას. ეს სიმრავლე ისე უნდა იქნეს შერჩეული, რომ ბირთვული წინადადებების საფუძველში წარმოდგენილი ტერმინალური სტრიქონები მარტივი უშუალო შემადგენლური მოდელით წარმოიშობოდეს და შეიძლებოდეს მათი არჩევა ბაზისად, საფუძველად ენის ყველა წინადადების წარმოსაშობად მარტივი ტრანსფორმაციული წესების მეშ-

ვეობით. ბირთვული წინადადებების შემთხვევაში ეს იქნება აუცილებელი ტრანსფორმაციები, ხოლო სხვა, არაბირთვული წინადადებების შემთხვევაში — აუცილებელი და ფაკულტატიური ტრანსფორმაციები.

## 16. სხვადასხვა ტიპის წინადადებათა წარმოშობა ტრანსფორმაციული წესების მეშვეობით

**16.1. ტრანსფორმაცია ცალსახად განისაზღვრება, თუ აღიწერება იმ მიმდევრობის დაშლა, რომელზეც ეს ტრანსფორმაცია მოქმედებს, და ის სტრუქტურული ცვლილებები, რომლებსაც ეს ტრანსფორმაციული წესი იწვევს მოცემულ მიმდევრობაში. როგორ განისაზღვრება, მაგალითად, ტრანსფორმაციული წესი, რომლის მიხედვით აქტიური წინადადებიდან პასიური წინადადება მიიღება? ეს არის ტრანსფორმაცია, რომელიც ზემოქმედებს ამგვარად დაშლილ მიმდევრობაზე:**

$$NP_1 - Aux - V - NP_2.$$

აღნიშნულ მიმდევრობაში იგი ასეთ სტრუქტურულ ცვლილებებს იწვევს: ახდენს ორი სახელური ჯგუფის ადგილების ურთიერთშენაცვლებას ბოლო სახელური ჯგუფის წინ by ელემენტის დამატებით და be+en ელემენტის შემოტანით დამხმარე ზმნის Aux ჯგუფში.

საილუსტრაციოდ განვიხილოთ ერთი აქტიური წინადადებიდან აღნიშნული წესის შესაბამისად სათანადო პასიური წინადადების მიღება:

- Sentence
- NP+VP
- T+N+VP
- T+N+Verb+NP
- T+N+Verb+T+N
- The+N+Verb+T+N
- The+man+Verb+T+N
- The+man+Verb+the+N
- The+man+Verb+the+book
- The+man+Aux+V+the book (B I)
- The+man+Aux+take+the+book (B II)
- The+man+C+take+the+book (B III)
- The+man+past+take+the+book (B V)
- The+man+take+past # the book (B VI)
- # The # man # take+past # the # book # (B VII)

ამ უკანასკნელი სტრიქონიდან take+past→took მორფოფონემური წესით მიიღება The man took the book „კაცმა აიღო წიგნი“ აქტიური წინადადება. მას საფუძვლად უდევს The+man+Aux+take+the+book სტრიქონი, რომლის შემადგენლური სტრუქტურა შეესაბამება სწორედ ასეთ დაშლას:

NP<sub>1</sub> – Aux – V – NP<sub>2</sub>

და რამდენადაც The man took the book გრამატიკულად სწორი აქტიური წინადადებაა, მისგან ზემოთ განხილული პასიური ტრანსფორმაციით მიიღება NP<sub>2</sub>–Aux+be+en–V–by+NP<sub>1</sub> სტრუქტურის გრამატიკულად სწორი პასიური წინადადება:

მაშასადამე, გვაქვს აქტიური წინადადების საფუძველში წარმოდგენილი The+man+Aux+take+the+book სტრიქონი, რომელიც პასიური ტრანსფორმაციული წესის შემოქმედებით ასე გარდაიქმნება:

The+book+Aux+be+en+take+by+the+man.

The+book+C+be+en+take+by+the+man (B III)

The+book+past+be+en+take+by+the+man (B V)

The+book+be +past # take+en # by+the+man (B VI 2-ჯერ)

# The # book # be+past # take+en # by # the # man # (B VII)

მორფოფონემური წესებით: be+past→was, take+en→taken ვიღებთ პასიურ წინადადებას The book was taken by the man „წიგნი აღებულ იქნა კაცის მიერ“.

**16.2.** ძალა განვიხილოთ უარყოფის ტრანსფორმაცია — Tnot. უარყოფის ტრანსფორმაციულ წესს წინადადებაში განსაზღვრულ ადგილზე შემოაქვს not (n't) „არ“ ელემენტი. ეს ტრანსფორმაციული წესი უნდა განხორციელდეს BVI ტრანსფორმაციულ წესზე ადრე. უარყოფის ტრანსფორმაცია მდგომარეობს not (n't) ელემენტის შეტანაში BIII წესის განხორციელების შედეგად მიღებულ Aux დამხმარე ზმნის ჯგუფში. ამასთან, ეს not (n't) ელემენტი ჯდება ორი მორფემის შემდეგ მესამე ადგილზე, თუ აღნიშნული ჯგუფი ორ მორფემას მაინც შეიცავს, ან კიდევ — მეორე ადგილზე, თუ ამ ჯგუფში ერთადერთი მორფემაა წარმოდგენილი. იმ მიმდევრობათა სეგმენტებად დაშლა, რომლებზეც უარყოფის ტრანსფორმაციული წესი მოქმედებს, შემდეგ წესებს ემორჩილება:

1. NP–C–V–...

2. NP–C+M–...

3. NP–C+have–...

4. NP–C+be–...,



სადაც სიმბოლოთა მნიშვნელობები ისეთივეა, როგორც B ტიპის წესებში, და არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა იქნება მრავალწერტილის ნაცვლად.

მიმდევრობა, რომელიც სეგმენტებად იშლება (2) წესის მიხედვით, ექვემდებარება უარყოფის ტრანსფორმაციას:

they -  $\emptyset$  + can - arrive (B V)

they -  $\emptyset$  + can + not - arrive (T<sub>not</sub>)

they - can +  $\emptyset$  # not - arrive (B VI)

ამ უკანასკნელი მიმდევრობიდან მორფოფონემური წესებით მიიღება They can't arrive „მათ არ შეუძლიათ ჩამოსვლა“.

ახლა ავიღოთ (3) წესის მიხედვით დაშლილი მიმდევრობა და ვნახოთ, თუ როგორ განიცდის იგი უარყოფის ტრანსფორმაციის ზემოქმედებას:

they -  $\emptyset$  + have - en + arrive (B V)

they -  $\emptyset$  + have + not - en + arrive (T<sub>not</sub>)

they - have +  $\emptyset$  # not - en + arrive (B VI)

they - have +  $\emptyset$  # not arrive + en # (B VI) და მორფოფონემური წესებით:

They haven't arrived „ისინი არ ჩამოსულან“.

ახლა ავიღოთ (4) წესის მიხედვით დაშლილი მიმდევრობა:

they -  $\emptyset$  + be - ing + arrive (B V)

they -  $\emptyset$  + be + not - ing + arrive (T<sub>not</sub>)

they - be +  $\emptyset$  # not - ing + arrive (B VI)

they - be +  $\emptyset$  # not - arrive + ing # (B VI) და მორფოფონემური წესებით:

They aren't arriving „ისინი არ ჩამოდიან“.

განვიხილოთ ტერმინალური მიმდევრობა, რომლის დაშლას შემადგენელ სეგმენტებად (1) წესი განსაზღვრავს:

John - s - arrive (BV)

John - s + not - arrive (T<sub>not</sub>)

ეს უკანასკნელი მიმდევრობა შეუძლებელია გარდაიქმნას ჩვენთვის აქამდე ცნობილი რომელიმე წესის მიხედვით. ამის გამო შემოგვაქვს ასეთი აუცილებელი ტრანსფორმაციული წესი (აღვნიშნოთ იგი H<sub>0</sub> -ით):

H<sub>0</sub> : # Af → # do + Af.

ამ წესის მიხედვით კი მოცემული მიმდევრობის გარდაქმნა უკვე შესაძლებელია ასეთნაირად განხორციელდეს:

John - do + s + not - arrive. აქედან მორფოფონემური წესებით:

John doesn't arrive „ჯონი არ ჩამოდის“.

16.3. ბანგხილოთ კლასი წინადადებებისა, რომლებიც ე.წ. ზოგად კითხვას გამოხატავენ, — კითხვას, რომელზეც გაიცემა „ჰო“ ან „არა“ პასუხი:

Do they arrive? „ისინი ჩამოდიან?“

Can they arrive? „შეუძლიათ მათ ჩამოსვლა?“

Have they arrived? „ჩამოვიდნენ ისინი?“

Are they arriving? „ჩამოდიან (ახლა) ისინი?“

ამ კლასის წინადადებები შეიძლება წარმოიშვას  $T_q$  ტრანსფორმაციული წესის მეშვეობით, რომელიც შემოქმედებს იმგვარადვე დაშლილ მიმდევრობებზე, როგორზედაც უკვე განხილული უარყოფის  $T_{no}$  ტრანსფორმაცია, და ახდენს ამ მიმდევრობათა I და II სეგმენტების ადგილების ურთიერთშენაცვლებას. მაშასადამე, ეს  $T_q$  ტრანსფორმაცია გამოიყენება შემდეგი სეგმენტური სტრუქტურის მიმდევრობების მიმართ:

1. They —  $\emptyset$  — arrive
2. They —  $\emptyset$  +can — arrive
3. They —  $\emptyset$  +have — en+arrive
4. They —  $\emptyset$  +be — ing+arrive

და გარდაქმნის მათ ასეთ მიმდევრობებად:

- 1'.  $\emptyset$  — they — arrive
- 2'.  $\emptyset$  +can — they — arrive
- 3'.  $\emptyset$  +have — they — en + arrive
- 4'.  $\emptyset$  +be — they — ing+arrive

$T_q$  ტრანსფორმაციული წესი უნდა განხორციელდეს BV წესის შემდეგ, რომ არ დაირღვეს რიცხვში შეთანხმება. (1.) — (4.) მიმდევრობებიდან  $H_o$ , BVI და მორფოტონემური წესების განხორციელების შედეგად წარმოიშობა სწორედ განსახილველი წინადადებები. მართლაც,  $T_q$  ტრანსფორმაციის მეშვეობით გარდაქმნილი მიმდევრობებიდან მიიღება:

- 1'.  $\emptyset$  — they — arrive ( $T_q$ )  
Do+  $\emptyset$  — they — arrive ( $H_o$ )  
Do they arrive? (მორფოტონემური წესით)
- 2'.  $\emptyset$  +can — they — arrive ( $T_q$ )  
Can+  $\emptyset$  — they — arrive (BVI)  
Can they arrive? (მორფოტონემური წესით)
- 3'.  $\emptyset$  +have — they — en + arrive ( $T_q$ )  
have +  $\emptyset$  — they — arrive + en (BVI — ორჯერ)  
Have they arrived? (მორფოტონემური წესებით)
- 4'.  $\emptyset$  +be — they — ing+arrive ( $T_q$ )  
be +  $\emptyset$  — they — ing+arrive (BVI — ორჯერ)  
Are they arriving? (მორფოტონემური წესებით).

როდესაც (1.) მიმდევრობის მიმართ ვახორციელებთ  $T_q$  და შემდეგ  $H_o$  ტრანსფორმაციულ წესებს, do ელემენტი გვევლინება ნულოვანი მორფემის, ცარიელი აფიქსის მატარებლად. იგივე do ელემენტი შეიძლება იყოს S ან past აფიქსური მორფემების მატარებელიც. ამგვარ შესაძლებლობას იძლევა BV წესი, რომლის თანახმად C გადაიწერება როგორც ერთ-ერთი აფიქსური ელემენტი {S, Ø, past} სიმრავლიდან:

$$C \rightarrow \{Sv \ \emptyset v \ \text{past}\} \ (v = \text{„ან“}).$$

როდესაც  $C \rightarrow \text{past}$ , ამოსავალ მიმდევრობას ასეთი სახე აქვს:

They — past — arrive, საიდანაც  $T_q$  ტრანსფორმაციით

past — they — arrive

do + past — they — arrive ( $H_o$ )

Did they arrive? (მორფოფონემური წესით: do+past→did);

როდესაც  $C \rightarrow S$ , მაშინ ამოსავალი მიმდევრობა ასე გამოიყუ-

რება:

John — S — arrive, საიდანაც

S — John — arrive ( $T_q$ )

do + S — John — arrive ( $H_o$ )

Does John arrive? „ჩამოდის ჯონი?“ (მორფოფონემური წესით).

**16.4.** ჰსლა განვიხილოთ თეორიულ-ლინგვისტური თვალსაზრისით საინტერესო ერთი საკითხი: რა მნიშვნელობა და ღირებულება აქვს ცარიელ აფიქსს, ნულოვან მორფემას, რამდენად აუცილებელია მისი დაშვება ენის გრამატიკული სისტემის აღწერისას? წარმოადგენს იგი რაიმე ენობრივ რეალობას თუ ლინგვისტის მიერ ხელოვნურად შექმნილ კონსტრუქტს?

როდესაც ჩვენ BV წესის თანახმად C-ს გადავწერთ როგორც S-ს ან Ø-ს:  $C \rightarrow S$  ან Ø, ამით ვაყალიბებთ ასეთ ლინგვისტურ დებულებას: S აფიქსი დასტურდება ზმნის აწმყო დროის მხ. რიცხვის III პირის ფორმაში, როდესაც იგი უკავშირდება სახელს, რომელიც თავის მორფოლოგიურ სტრუქტურაში შეიცავს მხოლობითობის აღმნიშვნელ ნულოვან მორფს, ან (ეს უკვე დებულების მეორე ნაწილია) ზმნის III პირის ფორმა Ø მორფს შეიცავს, თუ იგი დაკავშირებულია სახელთან, რომლის მორფოლოგიურ სტრუქტურაში წარმოდგენილია მისი მრავლობითობის გამომხატველი S ელემენტი. არსებობს ამ დებულების საპირისპირო თვალსაზრისიც, რომლის თანახმად სახელისა და ზმნის გარკვეულ ფორმებში არავითარი ნულოვანი მორფები არ არის წარმოდგენილი. ასეთ მოსაზრებას შეიძლება ნაწილობრივ დავეთანხმეთ მაშინ, როდესაც ვახდენთ ენობრივი სისტემის ანალიზს ტაქსონომიური თვალსაზრისით, მაგრამ როდესაც ენობრივ სისტემას დინამიკური თვალსაზრისით განვიხი-

ლაეთ, სრულიად აშკარაა ნულოვანი მორფის დაშვების აუცილებლობა, რაც თავს იჩენს ტრანსფორმაციულ წესებში. აქ ნულოვანი აფიქსი რომ არ დაეუშვათ, შეუძლებელი აღმოჩნდება  $\# Af \rightarrow \#do+Af-H_0$  სოცადა წესის ასეთი კონკრეტული განხორციელება:  $\# \emptyset \rightarrow \# do + \emptyset$  და, ამდენად, ვერ წარმოიშობა ისეთი წინადადებები, როგორც არის Do they arrive? „ჩამოდინან ისინი?“ ან They don't arrive „ისინი არ ჩამოდინან“ და სხვ.

### 16.5. ბანეიხლოთ შემდეგი წინადადებები:

(1) : Who ate an apple? „ვინ შეჭამა ვაშლი?“

(2) : What did John eat? „რა შეჭამა ჯონმა?“

ეს წინადადებები არ განეკუთვნება ბირთვულ წინადადებათა სიმრავლეს, მაგრამ შეიძლება წარმოშობილი იქნეს ფაკულტატიური  $T_w$  ტრანსფორმაციული წესის მეშვეობით, რომელიც შემოქმედებს  $X - NP - Y$  სეგმენტებად დაშლილ მიმდევრობაზე, სადაც  $X$  და  $Y$  ნებისმიერი მიმდევრობებია, მათ შორის, შესაძლოა, ცარიელიც.  $T_w$  ტრანსფორმაცია ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი —  $T_{w_1}$  ასდენს მოცემული სახის მიმდევრობის I და II სეგმენტების ადგილების ურთიერთშენაცვლებას —  $NP - X - Y (T_{w_1})$ , ხოლო მეორე ნაწილი —  $T_{w_2}$ -ს — მიღებული მიმდევრობა გადააქვავს Who —  $X - Y$  მიმდევრობაში (Who „ვინ“), თუ NP სულიერია, ან What —  $X - Y$  მიმდევრობაში (What „რა“), თუ NP უსულოა.

$T_w$  ტრანსფორმაციული წესი ხორციელდება იმ მიმდევრობების მიმართ, რომელთაც უკვე განიცადეს  $T_q$  ტრანსფორმაციის შემოქმედება. რამდენადაც  $T_q$  წესი ხორციელდება BV წესის შემდეგ და BVI წესის წინ,  $T_w$  უნდა განხორციელდეს  $T_q$ -ს შემდეგ და BVI წესის წინ.  $T_w$  ტრანსფორმაცია ერთგვარად პირობითი ტრანსფორმაციაა იმ აზრით, რომ იგი ხორციელდება იმ მიმდევრობების მიმართ, რომელთაც უკვე განიცადეს  $T_q$  წესის შემოქმედება.

ვნახოთ, როგორ წარმოიშობა (1) და (2).

ამოსავალი მიმდევრობა, რომელიც ამ წინადადებას უდევს საფუძვლად, ასეთი სახისაა: John — C — eat + an apple.

თუ  $C \rightarrow \text{past}$  (BV წესის თანახმად),  $T_q$  ტრანსფორმაციის განხორციელების შედეგად მივიღებთ ასეთ მიმდევრობას:

<sup>(1)</sup> past — John — eat + an + apple ( $T_q$ ); აქედან

do + past — John — eat + an + apple ( $H_0$ ); მორფოფონემური

წესით კი

Did John eat an apple? „შეჭამა ჯონმა ვაშლი?“

(\*) მიმდევრობის მიმართ, რომელიც წარმოადგენს ამოსავალ მიმდევრობაზე  $T_q$  ტრანსფორმაციის მოქმედების შედეგს, ვახორციელებთ  $T_w$  ტრანსფორმაციას:

John — past — eat + an + apple ( $T_{w1}$ )

Who — past — eat + an + apple ( $T_{w2}$ )

Who — eat + past # an + apple (BVI)

Who ate an apple? (მორფოფონემური წესით).

ეს (1) წინადადებაა: იგი მიღებულია ვარსკვლავით აღნიშნულ მიმდევრობაში პირველი სახელური ჯგუფის — John — და მის წინ წარმოდგენილი past სეგმენტის ადგილების ურთიერთშენაცვლების შედეგად. ახლა იგივე  $T_w$  ტრანსფორმაცია განვახორციელოთ მეორე სახელური ჯგუფისა და მის წინ წარმოდგენილი სეგმენტის ადგილების ურთიერთშენაცვლებით:

$$\underbrace{\text{past John eat}}_X \text{ — } \underbrace{\text{an + apple}}_{NP}$$

Y ცარიელია. X-ისა და NP-ს ადგილების ურთიერთშენაცვლებით ვიღებთ:

an apple — past John eat ( $T_{w1}$ ); შემდეგ:

What — past John eat ( $T_{w2}$ )

What # do + past — John — eat ( $H_0$ )

What did John eat? — ეს არის ჩვენი (2) წინადადება.

აქ აღწერილ ტრანსფორმაციებში ფორმალურ დასაბუთებას პოულობს ის, რაც ინტუიციურად იცის ინგლისური ენის ყველა მცოდნემ: თხრობითი წინადადება უპირისპირდება კითხვითს, ზოგადკითხვითი — კითხვითსიტყვიანს. ტრანსფორმაციულ გრამატიკაში თხრობითი წინადადებები მიჩნეულია ბირთვულ წინადადებებად; მათგან  $T_q$  აუცილებელი ტრანსფორმაციის მეშვეობით მიიღება ზოგადკითხვითი, ხოლო  $T_q$  და  $T_w$  ტრანსფორმაციებით — კითხვითსიტყვიანი წინადადებები.

16.6. B ტიპის წესების სიმრავლეში ჩვენ გვაქვს BI წესი, რომლის თანახმად, Verb  $\rightarrow$  Aux + V, ხოლო BII წესის მიხედვით, V  $\rightarrow$  take, hit, read ... თუ ჩვენ ზმნის გადაწერის ამ ორი წესით შემოვიფარგლებით, გრამატიკის არასრულობა კიდევ უფრო თვალში საცემი გახდება, რამდენადაც იქ ვერ პოვებს თავის ადგილს ინგლისურ ენაში მეტად გავრცელებული ისეთი ზმნური კონსტრუქციების დიდი კლასი, როგორიც არის call up, „დარეკვა“, see off „გაცილება“, bring in „შემოტანა“, drive away „გაგდება“ ... იმისათვის, რომ გრამატიკის ტრანსფორმაციულმა მოდელმა

შეძლოს ასეთი კონსტრუქციების წარმოშობა, მასში მოქმედი წესების სიმრავლეს უნდა დაემატოს კიდევ ერთი წესი:  $V \rightarrow V_1 + \text{Prt}$  და ერთობლიობა დამატებითი წესებისა, რომლებიც განსაზღვრავენ ზმნებისა და ნაწილაკების კომბინაციებს, — იმას, თუ რომელი  $V_1$  რომელ  $\text{Prt}$ -ს (ინგლ. *Particle* „ნაწილაკი“) შეიძლება დაუკავშირდეს.

აგილოთ ასეთი წინადადებები:

(3) The policeman brought in the criminal „პოლიციელმა შემოიყვანა დამნაშავე“;

(4) The policeman brought the criminal in „პოლიციელმა შემოიყვანა დამნაშავე“;

(5) The policeman brought him in „პოლიციელმა შემოიყვანა იგი“.

ეს სამი წინადადება გრამატიკულად სწორი, მარკირებული წინადადებებია და ისინი უპირისპირდებიან გრამატიკულად არასწორ, არამარკირებულ *The policeman brought in him* წინადადებას. (3)-დან (4)-ის მიხედვით შემოვიტანოთ განცალკევების ფაკულტატიური  $T_{\#}$  ტრანსფორმაცია, რომელიც შემოქმედებს  $X - V_1 - \text{Prt} - \text{NP}$  სეგმენტებად დაშლილ მიმდევრობაზე და მდგომარეობს ამ მიმდევრობის III და IV სეგმენტების ადგილების ურთიერთშენაცვლებაში. როდესაც აღნიშნულ მიმდევრობაში NP სეგმენტი ნაცვალსახელით არის წარმოდგენილი, ეს ტრანსფორმაცია ფაკულტატიურიდან აუცილებელ  $T_{\#}$  ტრანსფორმაციად (ინგლ. *separation* „განცალკევება“) იქცევა: იგი ხორციელდება  $X - V_1 - \text{Prt} - \text{Pron}$  (*Pronoun* „ნაცვალსახელი“) სეგმენტური სტრუქტურის მიმდევრობაზე და აუცილებლად უცვლის ადგილს ამ მიმდევრობის III და IV სეგმენტებს. ამ ტრანსფორმაციული წესის აუცილებლობის გამო უკვე შეუძლებელი ხდება *The policeman brought in him* არასწორი წინადადების წარმოშობა.

როგორც ვიცით, პასიური ტრანსფორმაცია შემოქმედებს მიმდევრობაზე, რომელიც გამოირჩევა  $\text{NP}_1 - \text{Verb} - \text{NP}_2$  სეგმენტური სტრუქტურით, სადაც Verb ზოგადად, მისი მნიშვნელობის დაუკონკრეტებლად არის წარმოდგენილი და შეიძლება გადაიწეროს ორი ასეთი წესის მიხედვით:  $\text{Verb} \rightarrow \text{Aux} + \text{V}$  და  $\text{V} \rightarrow \text{V}_1 + \text{Prt}$ . თუ დავაწესებთ, რომ პასიური ტრანსფორმაცია განმაცალკევებელი ტრანსფორმაციის წინ უნდა განხორციელდეს, მაშინ (3) წინადადებიდან პასიური ტრანსფორმაციით მიიღება წინადადება *The criminal was brought in by the policeman* „დამნაშავე შემოყვანილ იქნა პოლიციელის მიერ“, ხოლო (5) წინადადებიდან ამავე ტრანსფორმაციით — წინადადება *He was brought in by the policeman* „იგი შემოყვანილ იქნა პოლიციელის მიერ“. რამდენადაც ეს

წინადადებები სეგმენტებად იშლება იმ დაშლისაგან განსხვავებულად, რომელზეც განმაცალკევებელმა ტრანსფორმაციამ შეიძლება იმოქმედოს, გამორიცხულია ისეთი არასწორი წინადადებების გამოყვანის შესაძლებლობა, როგორც არის The criminal was brought by the policeman in და He was brought by the policeman in.

**16.7.** მის ბირთვულ წინადადებათა სიმრავლეს მარტივი თხრობითი აქტიური წინადადებების ერთობლიობა შეადგენს. ვნახოთ, რა მოხდებოდა, ენის ბირთვულ წინადადებათა სიმრავლისათვის რომ მიგვეკუთვნებინა პასიური წინადადებები, ხოლო აქტიური წინადადებები მათგან გამოგვეყვანა რაღაც ტრანსფორმაციული წესის მეშვეობით; ე.ი. ბირთვის კუთვნილებად გამოგვეცხადებინა წინადადებები, რომელთაც საფუძვლად უდევთ ასეთი სეგმენტური სტრუქტურის ტერმინალური მიმდევრობა —

(6)  $NP_1 - Aux + be + en - V - by + NP_2$

და გარდაგვექმნა ეს მიმდევრობა აქტიური ტრანსფორმაციული წესის მეშვეობით ასეთ მიმდევრობად: (7)  $NP_2 - Aux - V - NP_1$ .

მაგალითად, (8) The wine was drunk by the guests „ღვინო დაილია (იყო დალეული) სტუმრების მიერ“ ბირთვულ წინადადებას აღნიშნული აქტიური ტრანსფორმაცია გარდაქმნიდა (9) The guests drunk the wine „სტუმრებმა დალიეს ღვინო“ წინადადებად. (8) ბირთვულ წინადადებაში წარმოდგენილი drunk ფორმა მიღებულია ელემენტთა en+drink კომბინაციიდან სათანადო ტრანსფორმაციული და მორფოფონემური წესების განხორციელების შედეგად. ეს drunk ენობრივი ფორმა, გარდა იმისა, რომ იგი წარმოადგენს ზმნას, გვევლინება აგრეთვე როგორც ზედსართავი სახელი, უფრო ზუსტად, როგორც განმსაზღვრელი, რომელიც ისეთსავე ფუნქციას ასრულებს გამონათქვამებში, როგორსაც, საზოგადოდ, ყველა განმსაზღვრელი ფორმა, ვთქვათ, all „მთელი“, new „ახალი“ little „პატარა“, young „ახალგაზრდა“, tall „მაღალი“, beautiful „შეგნიერი“, interesting „საინტერესო“ და სხვ. მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ გრამატიკულად სწორი ასეთი წინადადებები drunk „ნასვამი“ განმსაზღვრელი ფორმის მონაწილეობით:

He was very drunk „ის ძალიან ნასვამი იყო“; He seems drunk „ის ნასვამი ჩანს“.

როგორც განმსაზღვრელი ფორმა, ეს drunk აგრეთვე ელემენტთა ამოსავალი en+drunk კომბინაციის ანალოგიური გარდაქმნის შედეგს წარმოადგენს. რამდენადაც ეს ასეა (drunk ენობრივ ფორმას, ზმნა იქნება იგი თუ განმსაზღვრელი, ორივე შემთხვევაში en+drunk ელემენტთა მიმდევრობა უდევს საფუძვლად), გამოდის, რომ ინგლისური ენის წინადადებების უშუალო შემადგენელთა უმარტივეს სისტემაში (10) John was

drunk by midnight (სიტყვასიტყვით — „შუალამისთვის ჯონი დათვრა“) წინადადებას საფუძვლად უდევს ტერმინალური მიმდევრობა, რომლის სეგმენტური სტრუქტურა თითქოს ემთხვევა (6) მიმდევრობის სეგმენტებად დაშლას. ერთი შეხედვით, (10) წინადადებას საფუძვლად უდევს იგივე ტერმინალური მიმდევრობა, რაც (8)-ს, და ისევე, როგორც (8) წინადადების საფუძველში წარმოდგენილი (6) ტერმინალური მიმდევრობის აქტიური ტრანსფორმაციული გარდაქმნით მიიღება (9) აქტიური წინადადება, ასევე (10)-მაც უნდა მოგვცეს (11) Midnight drank John „შუალამემ დალია (შესვა) ჯონი“ წინადადება. მაგრამ ეს უკანასკნელი არ არის გრამატიკულად სწორი, რადგან ჩვენ არ მოგვებოყება ფორმალური წესი იმ სტრუქტურული განსხვავების გამოსახატავად, რომელიც არსებობს (8) და (10) წინადადებებს შორის, თუკი ორივე მათგანს ერთდროულად ბირთვის კუთვნილებად მივიჩნევთ. ამ ორი წინადადებიდან (10) ეკუთვნის ბირთვს და იგი აღარ ექვემდებარება აქტიური ტრანსფორმაციის ზემოქმედებას; (8) კი არ განეკუთვნება ბირთვს, იგი წარმოადგენს ტრანსფორმს, მიღებულს ბირთვული წინადადებიდან პასიური ტრანსფორმაციით.

მოიპოვება სხვა არგუმენტებიც, რომელთა საფუძველზე შეუძლებელია პასიური წინადადებების მიკუთვნება ენის ბირთვისადმი. განვიხილოთ რუსული ენის ორი ასეთი წინადადება: 1. Солнце освещает землю „მზე ანათებს დედამიწას“, რომლის სეგმენტური სტრუქტურა ასე გამოიყურება:

$$N_1^{nom} - V_{tr} - N_2^{acc}$$

( $N_1^{nom}$  — აღნიშნავს არსებით სახელს სახელობით ბრუნვაში,  $N_2^{acc}$  — არსებით სახელს აკუსატივში, ხოლო  $V_{tr}$  — გარდამავალ ზმნას) და

2. Земля освещается солнцем „დედამიწა განათებულია (ნათდება) მზის მიერ (მზით)“ —  $N_2^{nom} - V_{refl} - N_1^{inst}$  სეგმენტური სტრუქტურით ( $N_1^{inst}$  აღნიშნავს არსებით სახელს მოქმედებით ბრუნვაში,  $V_{refl}$  — უკუქცევით ზმნას).

ამ ორ წინადადებას შორის სწორედ აქტივ-პასივის მიმართება არსებობს — პირველი მათგანი აქტიური წინადადებაა, მეორე კი პასიური.

რა მოხდება, თუ რეფლექსური (უკუქცევითი) ზმნის შემცველ პასიურ კონსტრუქციებს ბირთვულ წინადადებათა სიმრავლეს მივაკუთვნებთ და მათგან რაღაც აქტიური ტრანსფორმაციით გამოვიყვანთ გარდამავალ-ზმნიან აქტიურ კონსტრუქციებს?

ავიღოთ ასეთი წინადადება: Иван вернулся стариком „ივანე მოხუცი (მოხუცებული) დაბრუნდა“. თავისი სეგმენტური სტრუქტურის თვალსაზრისით იგი თითქოს ემთხვევა მეორე წინადადებას — მისი სეგმენტებად დაშლაც ზუსტად ისეთივეა:  $N_1^{nom} - V_{refl} - N_2^{inst}$ . ამ სეგმენტური



სტრუქტურის წინადადება აქტიურმა ტრანსფორმაციამ უნდა გარდაქმნას  $N_2^{nom} - V_{ir} - N_1^{acc}$  სეგმენტური სტრუქტურის ასეთ წინადადებად: Старик вернул Ивана „მოხუცმა დააბრუნა ივანე“, მაგრამ ამ ორ წინადადებას შორის (Иван вернулся стариком — Старик вернул Ивана) არავითარი აქტივ-პასივის მიმართება არ არსებობს.

ავიღოთ კიდევ ერთი წინადადება: Она звалась Татьяной „მას ტატიანას ეძახდნენ“, რომელსაც აქვს  $Pron^{nom} - V_{ref} - N^{inst}$  სეგმენტური სტრუქტურა. აქტიურმა ტრანსფორმაციამ უნდა გარდაქმნას ეს წინადადება  $N^{nom} - V_{ir} - Pron^{acc}$  ( $Pron^{nom}$  აღნიშნავს ნაცვალსახელს სახელობით ბრუნვაში,  $Pron^{acc}$  — აკუსატივში) სეგმენტური სტრუქტურის მქონე Татьяна звала её „ტატიანა ეძახდა მას“ წინადადებად, მაგრამ არც მათ შორის არის რაიმე საერთო აქტივ-პასივის მიმართების თვალსაზრისით.

**17. ტრანსფორმაციული გრამატიკა როგორც (Σ,F)- და T- კომპონენტების ერთობლიობა. ლინგვისტური თეორიის დონეები**

**17.1. ყოველი წესი, რომელიც ენის სტრუქტურის განხილულ მოდელებში გვხვდება, შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ასეთი ზოგადი სახით:**

$$\varphi_1, \varphi_2, \dots, \varphi_n \rightarrow \psi,$$

სადაც  $\varphi_i$  და  $\psi$  ნებისმიერი მიმდევრობებია, ხოლო  $\rightarrow$  სიმბოლო ნიშნავს იმას, რომ თუ დერივაციის პროცესში წარმოიშობა  $\varphi_1, \dots, \varphi_n$  მიმდევრობები, მაშინ დერივაციის რომელიღაც ეტაპზე არ შეიძლება არ წარმოიშვას  $\psi$  სტრუქტურაც.

აღრე განხილული გვექონდა გრამატიკული მოდელი, დამყარებული წინადადების უშუალო შემადგენლურ სტრუქტურაზე. — ე.წ. (Σ, F) ტიპის გრამატიკა, რომლის წესები ამ ზოგადი წესის სპეციალურ (კერძო) სახესხვაობას წარმოადგენენ იმ შემთხვევისათვის, როდესაც  $n=1$ , ხოლო  $\varphi, \psi$  რაღაც მიმდევრობებია.

შემდეგ ჩვენ წარმოვადგინეთ მოდელი, რომელიც ორ სინტაქსურ კომპონენტს შეიცავს. ესენია: 1. (Σ, F)-კომპონენტი და 2. T-კომპონენტი ანუ ტრანსფორმაციული წესების ერთობლიობა. ამ წესებს ასეთი ზოგადი სახე აქვს:

$$\varphi_1, \dots, \varphi_n \rightarrow \psi,$$

სადაც  $n > 1$ , ხოლო  $\varphi_i, \psi$  წარმოადგენენ არა სიმბოლოთა მიმდევრობებს, არამედ C-მარკერებს, ანუ დიაგრამებს, რომლებიც მიმდევრობათა შემადგენლურ სტრუქტურას ასახავენ.

( $\Sigma, F$ )- და  $T$ -კომპონენტების ერთობლიობას ვუწოდოთ *ტრანსფორმაციული გრამატიკა*. ამ გრამატიკის ( $\Sigma, F$ )-კომპონენტის წესები შეიძლება შემდეგი სახით წარმოვადგინოთ:


$$\varphi A \psi \rightarrow \varphi a \psi,$$

ე.ი.  $A$  გადაიწეროს როგორც  $a$  სიმბოლო  $[\varphi, \psi]$  კონტექსტში, სადაც  $A$  არის ერთეულოვანი სიმბოლო,  $a$  არაცარიელი სიმბოლოა, ხოლო  $\varphi, \psi$  ნებისმიერი მიმდევრობებია, მათ შორის, შესაძლოა, ცარიელიც. ამგვარი წესების მეშვეობით ტრანსფორმაციული გრამატიკის ( $\Sigma, F$ )-კომპონენტი წარმოშობს სასრული რაოდენობის ტერმინალურ მიმდევრობებს, რომელთაგან თითოეულს შეიძლება შევუსაბამოთ თავისი  $C$ -მარკერი; იგი ასახავს ტერმინალური მიმდევრობის შემადგენლურ სტრუქტურას. ამის შემდეგ შემოგვაქვს ერთობლიობა ოპერაციებისა, რომლებსაც *გრამატიკული ტრანსფორმაციები* ეწოდება და რომლებიც სიმბოლოთა მოცემული მიმდევრობის შემადგენლური სტრუქტურის ამსახველ  $C$ -მარკერს სხვა  $C$ -მარკერად გარდაქმნიან. იმისათვის, რომ რომელიმე მოცემული ტრანსფორმაციული წესი განხორციელდეს, ცნობილი უნდა იყოს იმ მიმდევრობის შემადგენლური სტრუქტურა, რომლის მიმართაც ეს ტრანსფორმაციული წესი ხორციელდება.

**17.2. გრამატიკული ტრანსფორმაცია** ზოგადად შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს: დავუშვათ, რომ ტერმინალური  $t$  მიმდევრობა, რომლის  $C$ -მარკერია  $Q$ , იშლება თანმიმდევრულ  $t_1, t_2, \dots, t_n$  სეგმენტებად ისეთნაირად, რომ ყოველი  $t_i$  შეიძლება აყვანილი იქნეს  $Q$ -ს იმ კვანძამდე, რომელიც აღნიშნულია  $A_i$  სიმბოლოთი; მაშინ ჩვენ ვიტყვით, რომ  $t$  მიმდევრობა შეიძლება გაანალიზებულ იქნეს  $Q$ -ს მიმართ როგორც  $(t_1, \dots, t_n; A_1, \dots, A_n)$ . *გრამატიკული ტრანსფორმაცია* ნაწილობრივ განისაზღვრება  $A_1, A_2, \dots, A_n$  სიმბოლოთა მიმდევრობით, რომელიც გამოყოფს ამ გრამატიკული ტრანსფორმაციის გამოყენების არეს შემდეგი წესის მიხედვით:  $t$  მიმდევრობა  $Q$  ფრაზობრივი მაჩვენებლით ( $C$  — მარკერით) შედის  $T$  გრამატიკული ტრანსფორმაციის მოქმედების არეში, თუ იგი შეიძლება გაანალიზებულ იქნეს  $Q$ -ს მიმართ როგორც  $(t_1, \dots, t_n; A_1, \dots, A_n)$ . ამ შემთხვევაში  $t_1, \dots, t_n$  წარმოადგენს  $t$  მიმდევრობის საკუთარ ანალიზს  $\langle Q, T \rangle$ -ს მიმართ, ხოლო  $A_1, \dots, A_n$  წარმოადგენს  $T$  ტრანსფორმაციის სტრუქტურულ ინდექსს. *გრამატიკული ტრანსფორმაცია* მთლიანად და საბოლოოდ განსაზღვრულია, როდესაც აღიწერება ის სტრუქტურული ცვლილებებიც, რომლებსაც ტრანსფორმაციას დაქვემდებარებული მიმდევრობა განიცდის. ტრანსფორმაცია შეიძლება მდგომარეობდეს ელე-

მენტოა გადაადგილებაში, ამოგდებაში, ახალი ელემენტების დამატებაში და სხვ.

სქემატურად:



**17.3. ჩვენ განვიხილეთ ენის სტრუქტურის თეორიის ანუ გრამატიკის სამი მოდელი:**

1. გრამატიკა მდგომარეობათა სასრული რაოდენობით,
2. გრამატიკა, დამყარებული წინადადების უშუალო შემადგენლურ სტრუქტურაზე, ანუ  $(\Sigma, F)$  ტიპის გრამატიკა,
3. ტრანსფორმაციული გრამატიკა.

ამ მოდელებიდან პირველი ორი ჩვენ უარყვავით მათი უსრულობისა და არაადეკვატურობის გამო. ვაჩვენოთ, რომ ბოლოს განხილულ, მესამე მოდელს — ტრანსფორმაციულ გრამატიკას — გარკვეული უპირატესობა აქვს უარყოფილ მოდელებთან შედარებით.

თავის დროზე ჩვენ განხილული გეჟონდა  $L_3$  ენა — სიმრავლე ასეთი წინადადებებისა: aa, bb, abab, baba, aabaab, baabaa, abbabb, bbabba, ababbbabab... და ვაჩვენოთ, რომ ეს ენა, ეს წინადადებები ვერ წარმოშობოდა ჩვენთვის მაშინ ცნობილი მოდელებით. ახლა ვნახოთ, თუ როგორ წარმოშობს  $L_3$  ენის წინადადებებს ტრანსფორმაციული გრამატიკა.


აგაგოთ ტრანსფორმაციული გრამატიკა  $G'$ , რომელიც  $(\Sigma, F)$ -კომპონენტად შეიცავს  $G$  გრამატიკას Sentence ამოსავალი ელემენტით, ხოლო ტერმინალურ მიმდევრობებად  $(\Sigma, F)$  ტიპის ამ გრამატიკაში წარმოადგენილია კომბინაციები, შემდგარი a და b ელემენტებისაგან.  $G'$  გრამატიკაში მოქმედი ტრანსფორმაციული წესი ასე ჩამოვყავალიბოთ:  $G$  გრამატიკის მიერ წარმოშობილი ყოველი k ტერმინალური მიმდევრობა (ე.ი. a და b ელემენტების კომბინაცია) გაორმაგდეს:  $k \Rightarrow k+k$ . ადვილი დასანახაა, რომ ამ ტრანსფორმაციული წესის განხორციელების შედეგად  $G$  უშუა-

ლო შემაღგენლური მოდელის ტერმინალური მიმდევრობებიდან წარმოიშობა  $L_3$  ენის წინადადებები. განხილული  $G'$  ტრანსფორმაციული მოდელი არის გრამატიკა, რომელიც წარმოშობს  $L_3$  ენას; იგი სრული და ადეკვატურია  $L_3$  ენის თვალსაზრისით.

**17.4.** მის წარმომშობ გრამატიკულ მოდელებში სხვადასხვა დონე განიჩევა. ესენია, მაგალითად, უშუალო შემაღგენლური დონე, ტრანსფორმაციული დონე, მორფოფონემური დონე. საზოგადოდ, *გრამატიკული დონე* შეიძლება განისაზღვროს როგორც ისეთი წესების ერთობლიობა, რომელთა მიხედვით ხდება წინადადებების წარმოდგენა. ყოველ დონეზე მოცემულია: *სასრული სიმრავლე საწყისი ელემენტებისა* (ინგლ. *set of primes*), რომლებიც შეიძლება წრფივად განლაგდნენ გარკვეული რიგით და რომლებიც ამგვარად წარმოქმნიან მიმდევრობებს შეერთების ოპერაციის მეშვეობით; ამ *ელემენტთა ურთიერთმიმართებების ამსახველი წესების სიმრავლე*, რომელიც ქმნის *მოცემული დონის კომბინატორულ სისტემას* ანუ *აღგებრას*, დაბოლოს, *მარკერების სიმრავლე* (ინგლ. *set of markers*). მარკერები ისეთი წესების სისტემებია, რომელთა მეშვეობით სიმბოლოთა რაღაც მიმდევრობები გარდაიქმნება სიმბოლოთა სხვა მიმდევრობებად.

ფონემათა ერთი და იმავე მიმდევრობისათვის, რომელიც შეიძლება არაერთი წესით იქნეს დაშლილ-დანაწევრებული რომელიმე დონეზე, ადგილი აქვს *კონსტრუქციულ ომონიმას*. ავიღოთ, მაგალითად, /ənejm/ ფონემათმიმდევრობა, რომელიც შეიძლება ორგვარად დაიშალოს: 1. a name „სახელი“ ან 2. an aim „მიზანი“. ასეთი შესაძლებლობა ემყარება იმას, რომ ერთ-ერთ დონეზე — სახელდობრ, მორფოლოგიურ დონეზე, ფონემური დონისაგან დამოუკიდებლად, სხვა საფუძველზე, სხვა ელემენტებთან ერთად გამოყოფილია ისეთი მორფემებიც, როგორიცაა a, an, aim, name.

საზოგადოდ, კონსტრუქციული ომონიმია, რომელიც დასტურდება ერთ რომელიმე განსაზღვრულ დონეზე, მოიხსნება სხვა, იერარქიული ენობრივი სისტემის უფრო მაღალ დონეზე: კონსტრუქციული ომონიმია მორფოლოგიის დონეზე იხსნება *უშუალო შემაღგენლურ დონეზე* (იხ. ზემოთ V 12.3), ხოლო უშუალო შემაღგენლური დონის კონსტრუქციული ომონიმია იხსნება ტრანსფორმაციულ დონეზე. მაგალითად:



მეცნიერის მიწვევა

*მეცნიერის მიწვევა* განიხილება ან როგორც ტრანსფორმი ბირთვული წინადადებისა *მეცნიერი იწვევს (მას)*, ან როგორც ტრანსფორმი სხვა ბირთვული წინადადებისა — *(იგი) იწვევს მეცნიერს*.

კონსტრუქციული ომონიმიის თვალსაზრისით სხვადასხვა ლინგვისტური დონის ურთიერთმიმართების შესახებ ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა უკავშირდება ენობრივი ერთეულის ფორმისა და მნიშვნელობის თანამედროვე ინტერპრეტაციას, რომლის თანახმად *ენობრივი ერთეულის ფორმა* განისაზღვრება როგორც მისი უნარი, დაიშალოს უფრო დაბალი დონის შემადგენლებად, ხოლო *ენობრივი ერთეულის მნიშვნელობა* განისაზღვრება როგორც მისი უნარი, მონაწილეობდეს როგორც კონსტიტუენტი, შემადგენელი უფრო მაღალი დონის ენობრივ ერთეულში.


## 18. ზედაპირული და სიღრმისეული სტრუქტურები

18.1. წინადადების სინტაქსური სტრუქტურის აღწერა, როგორც ვნახეთ, გარკვეულწილად ხელს უწყობს მის *გაგებასაც*, რაც, კერძოდ, კონსტრუქციული ომონიმიის მოხსნაში იწინებს თავს. თავის ადრინდელ ნაშრომებში *წარმომშობ გრამატიკათა თეორიის* ავტორი *ნოამ ჩომსკი* ცდილობდა აეგო სინტაქსი წმინდა ფორმალურ საფუძველზე; სინტაქსსა და სემანტიკას შორის მიმართების დადგენა მას ენის მეტათეორიის საგნად მიაჩნდა. წინადადების შემადგენელთა სინტაქსური ფუნქცია ნ.ჩომსკის თეორიაში განისაზღვრება როგორც: 1) *ინფორმაცია*, რომელსაც გვაწვდის გამოხატულების პლანი, და 2) *კომპეტენცია*, ანუ ენის ლექსიკისა და სინტაქსის ფლობა, რაც საშუალებას გვაძლევს ამოვიცნოთ შემადგენლებს შორის არსებული მიმართებები.


*წარმომშობ მოდელებში* წინადადებას მიეწერება ორი ტიპის ფრაზობრივი მახასიათებლები — *ზედაპირული* და *სიღრმისეული* სტრუქტურები. *ზედაპირული სტრუქტურა* პირდაპირ კავშირშია გამონათქვამის

ბგერით მხარესთან, ხოლო *სიღრმისეული სტრუქტურა*, რომელიც უფრო აბსტრაქტულად აღწერს წინადადების აგებულებას, უფრო ახლოს არის მის სემანტიკურ მხარესთან; ფონეტიკური დონე ქაქსიმალურად ზედაპირულია, სემანტიკური დონე — მაქსიმალურად სიღრმისეული. სწორედ სიღრმისეული სტრუქტურა, რომელიც საფუძვლად უდევს ზედაპირულს, იძლევა წინადადების (მაგალითად, აქტიური და პასიური კონსტრუქციების) შინაარსობრივი სიახლოვის ასახვის საშუალებას; ის განაპირობებს გამონათქვამის ინტონაციურ კონტურსაც. წინადადებათა წარმოშობისას ხდება სიღრმისეული სტრუქტურების გარდაქმნა ზედაპირულ სტრუქტურებად ტრანსფორმაციული წესების მეშვეობით. ენის ფლობა ანუ *კომპეტენცია* იმასაც გულისხმობს, რომ შეგვიძლია წინადადებებს მივაწეროთ ზედაპირული და სიღრმისეული სტრუქტურები, დავამყაროთ მათ შორის თანაფარდობა და შემდეგ მივცეთ სემანტიკური და ფონეტიკური ინტერპრეტაცია.

სიღრმისეული და ზედაპირული სტრუქტურები ფორმალურად გამოიხატება C-მარკერებით. ამ სტრუქტურების ილუსტრირება შეიძლება გამარტივებული მაგალითით: *ბრძენი კაცი პატიოსანია* გამონათქვამის ზედაპირულ სტრუქტურაში გვაქვს *ზედაპირული სუბიექტი — ბრძენი კაცი* და *ზედაპირული პრედიკატი — პატიოსანია*:



*სიღრმისეულ სტრუქტურაში* გვექნება:



18.2. სრული გრამატიკა, ცხადია, უნდა შეიცავდეს სემანტიკური ინტერპრეტაციის ურთულეს წესებს. მაგრამ, *ნოამ ჩომსკის* აზრით, ამ წესების განხილვა მეცნიერების განვითარების მოცემულ ეტაპზე ნაადრევია, რადგან ეს უამრავ სადავო და ბუნდოვან პრობლემას უკავშირდება. წინადადების *გამოხატულებისა* და *შინაარსის პლანს* შორის დამოკიდებულება ასიმეტრიულია — ერთსა და იმავე ზედაპირულ სტრუქტურას შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობები შეესაბამებოდეს, სხვადასხვა ზედაპირულ სტრუქტურებს კი — ერთი მნიშვნელობა. ამას მოწმობს კონსტრუქციული ომონიმისა და სინონიმის შემთხვევები.

გამონათქვამის მნიშვნელობა დიდად არის დამოკიდებული მასში შემავალ ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობებზე, თუმცა იგი შეიძლება არსებითად შეიცვალოს ლექსიკური მნიშვნელობების უცვლელად შენარჩუნების შემთხვევაშიც; გამონათქვამის მნიშვნელობაში ერთ-ერთ წამყვან როლს თამაშობს სიღრმისეული, ლოგიკური მიმართებები სიტყვებს შორის (შდრ., მაგალითად, რუს. Рысь видит мышь „ფოცხვერი ხედავს თაგვს“, Мышь видит рысь „თაგვი ხედავს ფოცხვერს“). გამონათქვამთა ისეთ წყვილებში, როგორიც არის *არქიტექტორებმა შექმნეს პროექტი* და *პროექტი შეიქმნა არქიტექტორების მიერ*, ზმნასა და ორ სახელს შორის ერთნაირი ლოგიკური მიმართებაა, თუმცა სახელთა ფუნქციები განსხვავებულია; კერძოდ, ქვემდებარის პოზიციაში სხვადასხვა ლექსიკური ერთეულებია წარმოდგენილი. განსხვავებული სინტაქსური სტრუქტურის მქონე ეს წინადადებები ერთნაირ ლოგიკურ მნიშვნელობას გადმოსცემენ.

## 19. *ნოამ ჩომსკის* „სტანდარტული მოდელი“ და თანამედროვე სინტაქსური თეორიები

19.1. *შერდინანდ დე სოსიურიდან* მოყოლებული, ლინგვისტიკაში ფეხი მოიკიდა თვალსაზრისმა, ერთი მხრივ, სინქრონისა და სტატიკის, ხოლო მეორე მხრივ, დიაქრონისა და დინამიკის იგივეობის შესახებ. ეს თვალსაზრისი იქცა ქვაკუთხედად ე.წ. *ტაქსონომიური ენათმეცნიერებისა* (ბერძნ. *táxis* „წყობა“, „წესრიგი“, *nómos* „კანონი“), სადაც განხილვებარებული ობიექტების სეგმენტაცია და კლასიფიკაცია გამოყოფილ დისკრეტულ ელემენტებს შორის არსებული პარადოგმატული და სინტაქსური მიმართებების საფუძველზე. ამ თვალსაზრისის თანახმად, ენაში არაფერია გარდა მიმართებებისა, რომელთა ერთობლიობა ქმნის ენის ფორმას.

ენის ამგვარი გაგება თავისთავად უაღრესად მნიშვნელოვანია ენათმეცნიერებისათვის, რამდენადაც იგი ნათელყოფს ენის სისტემურ ხასიათს, წინა პლანზე წამოსწევს ენის სისტემურობის დამადასტურებელი ლინგვისტური სტრუქტურების შესწავლას, — სტრუქტურებისა, რომლებიც სწორედ ენობრივ ელემენტებს შორის არსებული მიმართებებით განისაზღვრება. მაგრამ ასეთი გაგება ამავე დროს არსებითად უგულბელებს ენის ე.წ. *შემოქმედებით ასპექტს*, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

ენის ყოველ მფლობელს აქვს უნარი გაიგოს უსასრულოდ დიდი რაოდენობა წინადადებებისა, რომლებიც მას არც გაუგონია და არც წარმოუთქვამს. ამასთანავე, მას აქვს უნარი წარმოქმნას უსასრულოდ დიდი რაოდენობა წინადადებებისა, რომლებიც გასაგებია მისი ენობრივი კოლექტივის ყველა ნორმალური წევრისათვის. ბუნებრივია, ყოველივე ეს ხდება სინქრონიში, როდესაც ენობრივი სისტემა არავითარ ცვლილებას არ განიცდის (ან, ყოველ შემთხვევაში, ითვლება, რომ დროის რაღაც განსაზღვრულ მონაკვეთში ენაში ცვლილებები არ ხდება) და, ამდენად, პროცესები დამახასიათებელია არა მხოლოდ ენის დიაქრონიული გარდაქმნებისათვის, არამედ საკუთრივ თვითონ ენობრივი სისტემისათვისაც ყოველ სინქრონიულ ჭრილში, ნებისმიერ სინქრონიულ მდგომარეობაში.

ასეთი თვალსაზრისი სინქრონიისა და სტატიკის არაიდენტურობის შესახებ, თვალსაზრისი, რომელიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ენის შემოქმედებით ასპექტს, უფრო ძველია, ვიდრე *ფერდინანდ დე სოსიურის* ხსენებული დებულება და მომდინარეობს გერმანელი ენათმეცნიერისა და ფილოსოფოსის *ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტისაგან*, რომლის მეცნიერული მოღვაწეობის პერიოდი განეკუთვნება XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ მესამედს.

*ჰუმბოლდტის* თანახმად, ბუნებრივი ენა განხილული უნდა იქნეს არა როგორც *შედეგი მოქმედებისა*, არამედ როგორც *თვითონ მოქმედება*. ენა, ჰუმბოლდტის აზრით, უნდა გვესმოდეს არა როგორც წარმოშობის „გაქვავებული შედეგი“ ანუ *სტატიკა, ერგონი* (ბერძნ. *érgon* „საქმე“), არამედ როგორც თვითონ *წარმოშობა, დინამიკა*, როგორც *ენერგეია* (ბერძნ. *enérgeia* „მოქმედება“). ამასთან, განსაზღვრულია ის წესები, რომელთა მიხედვით ხდება წარმოშობა, მაგრამ სრულიად განუსაზღვრელი რჩება მოცულობა და სახესხვაობები იმისა, რაც წარმოიშობა.

მაშასადამე, ენა გაგებული და განსაზღვრული უნდა იქნეს არა მხოლოდ როგორც ნიშანთა სისტემა (ეს სოსიურისეული თვალსაზრისია, *ფერდინანდ დე სოსიურის* უმთავრესი პოსტულატია), არამედ აგრეთვე როგორც *სისტემა წესებისა*, რომელთა განხორციელების შედეგად ამოსავალი, საწყისი ობიექტების რაღაც სასრული სიმრავლიდან მიიღება უსასრულოდ დიდი რაოდენობა რთული ოდენობებისა — გამონათქვამე-




ბისა და წინადადებებისა. სწორედ ასეთ თვალსაზრისს ეფუძნება წარმომშობ გრამატიკათა ნოამ ჩომსკისეული თეორია.

19.2. თავის უფრო გვიანდელ მოდელებში ნოამ ჩომსკი ცდილობს გაითვალისწინოს გამონათქვამთა მნიშვნელობის პლანის მახასიათებლები. მისი „სტანდარტული მოდელი“ შედგება უკვე სინტაქსური, ფონოლოგიური და სემანტიკური კომპონენტებისაგან. ძირითად, „ბაზისურ“ ნაწილში მოცემულია უშუალო შემადგენლური წესები (მათ შორის კონტექსტურად შეზღუდულიც) და ლექსიკონი, რომელშიც სიტყვებს მინიჭებული აქვთ ფონოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური მახასიათებლები — მარკერები სინტაქსური მარკერები სიტყვას ამა თუ იმ სტრუქტურულ კლასში ათავსებენ (ეს კლასები შეტყვევების ნაწილების მსგავსია). იმ სემანტიკურ მარკერთა ჯგუფებში, რომლებიც გამოხატავენ სიტყვათა შინაარსობრივ მხარეს, შედის ე.წ. განმასხვავებლებიც; ისინი აუცილებელია, კერძოდ, ლექსიკური ანომალიის მოხსნისათვის. მოგვიანებით წარმომშობ მოდელებში გაჩნდა გადასახვის წესები რომლებიც გამონათქვამთა ფრაზობრივ მახასიათებლებს სემანტიკურ მარკერებს მიაწერენ. ამგვარი სემანტიკური მარკერები წარმოადგენენ შინაარსის პლანის უნივერსალურ ელემენტებს, რომელთა კომბინირების შედეგად კონკრეტულ ენებში მიიღება ცნებები (შდრ. გრამატიკული დიფერენციალური ნიშნები და გრამემები).

„სტანდარტული მოდელის“ სემანტიკურ ნაწილში ხდება სიღრმისეული სტრუქტურების გარკვეული შინაარსობრივი ინტერპრეტაცია, გამონათქვამთა შინაარსის პლანის დახასიათება, ხოლო ფონოლოგიური ნაწილი იძლევა შედაპირული სტრუქტურების ბგერით ინტერპრეტაციას, ე.ი. მიიღება სწორი ფონემური მიმდევრობები.

აღწერილი მოდელი სქემატურად ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:



19.3. როგორც ითქვა, ადეკვატური გრამატიკის აგება შეუძლებელია სიტყვათა ლექსიკური მნიშვნელობების გაუთვალისწინებლად. გრამატიკამ უნდა გამორიცხოს უაზრო გამონათქვამები, აგრეთვე ასხნას ლექსიკური ომონიმიის, ე.ი. სიტყვათა ლექსიკურ მნიშვნელობასთან დაკავშირებული ომონიმიის შემთხვევები.

წინადადების სემანტიკის აღწერას, სინტაქსის დაკავშირებას სემანტიკასთან (და ფონოლოგიასთან) მიზნად ისახავდნენ *წარმომშობი სემანტიკის* შემქმნელი — *ჯ. ლაკოფი*, *ჯ. მაკ-კოლი*, *პ. პოსტალი* და სხვები. ეს მიმდინარეობა ჩაისახა წარმომშობი გრამატიკის წიაღში; იგი შექმნეს *ნოამ ჩომსკის* თანამოაზრეებმა, რომლებიც დაუპირისპირდნენ მის ადრინდელ თეორიებს. მაგრამ ვერც წარმომშობი სემანტიკის თეორიაში მოხერხდა მარკირებულ წინადადებათა გამიჯვნა უაზრო გამონათქვამებისაგან.

თანამედროვე სინტაქსურ თეორიათა უმრავლესობა განიხილავს წინადადების შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობათა მიმართებას ერთმანეთთან და მთელი წინადადების მნიშვნელობასთან. ლონდონის ლინგვისტური სკოლის წარმომადგენლებს — *ჯ. რ. ფერსისა* და *მ. ჰალიდეის* იდეები საფუძვლად დაედო ე.წ. *ფუნქციონალურ სტრუქტურალიზმს*. ამ თეორიის მიხედვით, წინადადების ცენტრში მოქცეული ზმნის (პრედიკატის) მნიშვნელობა განსაზღვრავს მასთან პოტენციურად დაკავშირებული სახელური შემადგენლების მნიშვნელობებს. ამგვარი შემადგენლებით აღნიშნული ობიექტები ასრულებენ *როლებს*, რომლებსაც მათ ზმნით გამოხატული მოქმედება „კარნახობს“.

წინადადებით გადმოცემულ სიტუაციასა და მის ენობრივ გამოხატულებას შორის არსებული მიმართებების აღწერას ისახავს მიზნად „*სიღრმისეული ბრუნვების*“ გრამატიკა (*ჩ. ფილმორი*), „*როლების გრამატიკა*“ (*უ. ჩეფი*) და ზოგიერთი სხვა თანამედროვე სინტაქსური თეორია.

## 20. რიჩარდ მონტეგიუს ფორმალური ფილოსოფია

20.1. ბუნებრივი ენის ფორმალური ლოგიკის ტერმინებით აღწერის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია *რიჩარდ მონტეგიუს* სემიოტიკური შრომები. ავტორი ვარაუდობდა, რომ მისი სემიოტიკური მოდელი დიდ ზეგავლენას მოახდენდა ბუნებრივი ენის ფილოსოფიური და თეორიული ასპექტების შესწავლის შემდგომ განვითარებაზე.

ამ თეორიის საფუძველი მათემატიკური ლოგიკაა. წარმოდგენილი მოდელი არსებითად განსხვავდება სხვა თანამედროვე ლინგვისტური თეორიებისაგან იმით, რომ აქ მათემატიკური მოდელები მიესადაგება ბუნებრივი ენების მასალას. ამ თვალსაზრისის თანახმად, ბუნებრივი ენის

სინტაქსი, სემანტიკა და პრაგმატიკა მათემატიკის დარგებია. ამდენად, მათემატიკურ-ლოგიკური თეორია წარმოადგენს საყრდენს ბუნებრივი ენის დასახასიათებლად.

მაგალითად, სინტაქსური ანალიზი, რომელსაც *რ. მონტევეიუ* წარმოადგენს ინგლისური ენისათვის, წარმოქმნილია ფორმალური ლოგიკისაგან, ე.ი. ეყრდნობა ლოგიკაში ფორმალური ენების ანალიზისათვის გამოყენებულ ტექნიკას.

წარმოდგენილ მოდელში მრავალი ახალი ლოგიკური ელემენტი სტანდარტული ლოგიკური თეორიების ბუნებრივი განვითარებაა; რაც შეეხება ლინგვისტურ ნაწილს, იგი სრულიად დაპოუკიდებელია თანამედროვე ლინგვისტური თეორიებისაგან, მაგალითად, *ტრანსფორმაციული გრამატიკის* თეორიისაგან. ამიტომ რ.მონტევეიუს შრომებზე მსჯელობა შეიძლება ლინგვისტური თეორიებისა და ლინგვისტური მასალის გამოყენებულად. სამაგიეროდ, საამისოდ აუცილებელი წინაპირობაა სიმბოლური ლოგიკის — სიმრავლეთა თეორიის, პრედიკატთა აღრიცხვისა (სულ ცოტა პირველი რიგის პრედიკატთა აღრიცხვის) და მათი სემანტიკური ინტერპრეტაციის ცოდნა.

**20.2.** ბუნებრივი ენის *სინტაქსი, სემანტიკა და პრაგმატიკა*, ამ თეორიის მიხედვით, მათემატიკის დარგებს შეადგენს. თავისი თეორიის საილუსტრაციოდ *რ. მონტევეიუს* მოაქვს ინგლისური ენა. მაგალითად, ინგლისური სინტაქსი წარმოდგენილია მათემატიკის ისეთივე ნაწილად, როგორც რიცხვთა თეორიაა გეომეტრიისათვის. ასეთი მიდგომა საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ ბუნებრივი ენები შესწავლილ იქნეს იმავე მეთოდით, როგორც გამოყენებულია მეტამათემატიკაში ფორმალური ენების შესასწავლად. მეტამათემატიკა არის მათემატიკის დარგი და მისი განზოგადება და გამოყენება ბუნებრივი ენების აღსაწერად სულაც არ გადააქცევს მას ნაკლებად მათემატიკურ დისციპლინად.

როგორც აღინიშნა, ამ თეორიის საში ძირითადი შემადგენელია *სინტაქსი, სემანტიკა და პრაგმატიკა*.

სინტაქსი განიხილავს ენებს, რომლებიც მოკლებულია ყოველგვარ ორაზროვნებას; რამდენადაც ბუნებრივი ენებისათვის დამახასიათებელია არაერთმნიშვნელოვნება, ორაზროვნებას მოკლებული ენები წარმოადგენენ ხელოვნურ კონსტრუქტებს. ლოგიკისათვის კი მხოლოდ ასეთი ენებია საინტერესო, რადგანაც ლოგიკური მიმართებები შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ სინტაქსურად ერთმნიშვნელოვან ენებში.

ლინგვისტებისათვის ერთ-ერთ ტრადიციულ ამოცანას წარმოადგენს სინტაქსური ორაზროვნების აღწერა, ხოლო ლოგიკოსებისათვის ლოგიკური შედეგი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ როგორც არაორაზროვან წინადადებათა ურთიერთმიმართება.

20.3. ლოგიკურ აღრიცხვაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიები:

ინდივიდუალური კონსტანტები :  $a, b, c$ ;

ერთადგილიანი პრედიკატები :  $P, Q$ ; ესენი შეესაბამება, მაგალითად, ინგლისურ ერთგვალენტიან, გარდაუვალ ზმნებს;

ერთადგილიანი მიმართება :  $|$  (უარყოფა);

ორადგილიანი მიმართება:  $\vee$  (ან) და  $\wedge$  (და);

ყველა კატეგორია, ფორმულების გარდა, განისაზღვრება მათი წევრების ჩამონათვალით. მოდელის ფარგლებში წარმოდგენილია აგრეთვე *ფრჩხილები*, რომელთა მიზანია ფორმულების მოწესრიგება და ორაზროვნების მოხსნა.

სემანტიკის საკითხები განიხილება მეტამათემატიკური სემანტიკის, ე.წ. მოდელების თეორიის ფარგლებში, რომელიც მდგომარეობს ე.წ. სემანტიკური წესების მიხედვით ლინგვისტური გამონათქვამისათვის სემანტიკური ღირებულების მიწერაში; მარტივი ბაზისური გამონათქვამებისაგან სინტაქსური წესებით მიიღება რთული გამონათქვამები. რაც შეეხება სემანტიკას, *რჩარდ მონტეგეის* შრომები ზოგადი მათემატიკური ფორმულებით მის გამოხატვას უფრო აქცევს ყურადღებას, ვიდრე ბუნებრივი ენის ანალიზისათვის მათემატიკური ხერხების გამოყენებას.

*რჩარდ მონტეგეის* შრომებმა საკმაო გავლენა მოახდინა მათემატიკური ლოგიკის თეორიის განვითარებაზე და მათ გარკვეულწილად ეყრდნობოდნენ ლინგვისტებიც. მაგრამ როგორც ლოგიკოსები, ისე ლინგვისტები ყოველთვის ერთხმად აღნიშნავენ ამ თეორიის წმინდა მათემატიკურ ხასიათს.

## სემანტიკა . ლექსიკოლოგია


### 1. სემანტიკის საგანი. ენის სემანტიკური სისტემა. რეფერენცია

1.1. მნობრივი სისტემის იერარქიულ დონეებს შორის, როგორც ითქვა, გამოიყოფა სემანტიკის დონე, რომელსაც ენის *შინაარსის პლანი* შეეფარდება.

მიუხედავად იმისა, რომ „მნიშვნელობა“ და „შინაარსი“ საყოველთაოდ ხმარებული ტერმინებია (ყველასათვის ცნობილია, რომ განმარტებით ლექსიკონებში ახსნილია სიტყვათა მნიშვნელობები), ენობრივი ერთეულის *მნიშვნელობის* განმარტება ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. გამონათქვამთა მნიშვნელობის კვლევისას გასათვალისწინებელია ფართო კონტექსტი, პრაგმატიკული ფაქტორები, ლოგიკური აზროვნების კანონები. საქმეს ისიც ართულებს, რომ გამონათქვამის აზრი შეიძლება ექსპლიციტურად, ცხადად არ იყოს გამოხატული ენობრივი ფორმით, იგი შეიძლება მხოლოდ „იგულისხმებოდეს“; კერძოდ, გამონათქვამში ზოგჯერ გათვალისწინებულია ადრე ნახსენები ფაქტები და სიტუაციები. ყოველივე ამის გამო სემანტიკის ზუსტი და ამომწურავი შესწავლა შეუძლებელი აღმოჩნდა თანამედროვე ენათმეცნიერების ზოგიერთ მიმდინარეობაში მიღებული მეთოდების გამოყენებით.

ზოგად სემანტიკურ თეორიაში, ჩვეულებრივ, განიხილება შემდეგი საკითხები: რეფერენციის პრობლემა, მნიშვნელობათა ტიპოლოგია, პარადიგმატულ და სინტაგმატურ მიმართებათა ზოგადი ტიპები, მნიშვნელობათა შესწავლის პრაგმატიკული ასპექტი.

1.2. სემანტიკურ მიმართებებს სქემატურად ასახავს ე.წ. *ფრეგეს სამკუთხედი* ანუ *სემანტიკური სამკუთხედი*, რომლის უზოგადესი სახე ასეთია:



სამკუთხედის წვეროებს შორის კავშირები არ არის ერთნაირი: ცნება დამოუკიდებლად უკავშირდება როგორც სიტყვას, ისე საგანს, ხოლო მიმართება საგანსა და სიტყვას შორის, რომელიც ნახატზე წყვეტილი ხაზით არის ნაჩვენები, გაშუალებულია ცნებით. ამ მიმართების დამყარების ოპერაციას *რეფერენცია* ეწოდება. მაშასადამე, *რეფერენცია* არის გამონათქვამის დაკავშირება იმასთან, რასაც ეს გამონათქვამი გამოხატავს გარეენობრივ სამყაროში. თუ რამდენიმე გამონათქვამი ერთსა და იმავე რეალიას (ფაქტს ან საგანს) აღნიშნავს, მათ *კორეფერენტული გამონათქვამები* ეწოდება. ასეთია, მაგალითად, *ერეკლე II* და *პატარა კახი*.

*საგანს, ცნებასა* და *სიტყვას* შორის ლოგიკური მიმართებები ენაში წარმოგვიდგება დენოტატს, აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის მიმართებების სახით. *ცნების* ლოგიკური კატეგორია ენობრივ ნიშანთან კავშირში სემანტიკურ კატეგორიად განიხილება. მნიშვნელობა და ცნება ერთი კონცეპტუალური სისტემის ორი მხარეა: პირველი მიმართულია ნიშნისკენ, მეორე — გარესამყაროსკენ.

**1.3. სემანტიკის**, როგორც ენათმეცნიერების დარგის, საგანია მნიშვნელობა ანუ მიმართება *აღსანიშნსა* და *აღმნიშვნელს* შორის. აღმნიშვნელი განკუთვნილია რაღაც შინაარსის გადმოსაცემად და მას აღსანიშნი შეესატყვისება. მეორე მხრივ, აღსანიშნი არ გვექნება, თუ მას გამოხატვის საშუალება, აღმნიშვნელი არ გააჩნია. აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის მიმართება *კონვერსიულია*, ე.ი. ერთი აუცილებლად გულისხმობს მეორეს, და პირუკუ.

ვითყვი, რომ  $R^{-1}$  მიმართება  $R$  მიმართების კონვერსიულია, თუ  $R(a,b)=R^{-1}(b,a)$ . მაგალითად, „შვილი — მშობელი“ კონვერსიული მიმართებაა, რადგან შვილი აუცილებლად გულისხმობს იმას, ვისთვისაც ის შვილია, ე.ი. მშობელს. მსგავსი ვითარება გვაქვს „წინ — უკან“ მიმართების შემთხვევაში: რაღაც ობიექტი წინ არის უკან მყოფის მიმართ.

აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის კავშირი დაფიქსირებულია მოცემულ ენაზე მოლაპარაკეთა ცნობიერებაში. ამა თუ იმ შინაარსს ენაში კონკრეტული გამოხატულება აქვს.

ენათა სემანტიკურ სისტემებს მნიშვნელობათა სიმრავლეები ქმნიან. ცნებათა ლოგიკური სისტემებისგან განსხვავებით, სემანტიკური სისტემები ყოველ ენაში თავისებურია. ისინი ასახავენ ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის სპეციფიკას; ყოველი ენა თავისებურად აყალიბებს და აჯგუფებს ცნებებს მათთვის მნიშვნელობის სტატუსის მინიჭებისას. სპეციფიკური ნიშნების მიხედვით შედგენილი ცნებები საერთოენობრივ

მნიშვნელობას იძენს და წარმოგვიდგება სიტყვების (ან მათი ეკვივალენტების) სახით. არადისკრეტული ობიექტები, მაგალითად, ფერთა სპექტრი, სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად იყოფა. მაგრამ, რაც მთავარია, ადამიანებს ერთი და იმავე აზრის გამოხატვის უამრავი ენობრივი საშუალება აქვთ. სემანტიკური სისტემების თვითმყოფადობის საფუძველია ნიშნის პირობითობის პრინციპი, ის, რომ ნიშანსა და ცნებას შორის მიმართება ზოგადად არამოტივირებულია; გარდა ამისა, მნიშვნელობები გამოხატება ენათა სხვადასხვა იერარქიულ დონეზე (ერთი ცნება შეიძლება ერთზე მეტი სიტყვით იქნეს გამოხატული, მაგალითად: *შავი ზღვა, კვადრატული ფესვი, ვიოლინოს გასაღები*); ზოგიერთ ცნებას, რომელიც ერთ ენაში ექსპლიციტურად, ცხადად არის გამოხატული, სხვა ენაში შეიძლება კონტექსტი ავლენდეს (*შდრ., მაგალითად, მეგობარი მოვიდა — რუს. друг пришел, подруга пришла — ამხანაგის სქესი რუსულში ექსპლიციტურად არის აღნიშნული*).

მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ენა სამყაროს აღსაწერად საკუთარ საშუალებებს იყენებს, რაც ამ ენათა გამოხატულების პლანში აისახება, ადამიანები არსებითად ერთნაირად აცნობიერებენ გარეენობრივ სინამდვილეს. ასე რომ არ ყოფილიყო, სხვადასხვა ენობრივი კოლექტივების წევრები ერთმანეთს ვერ გაუგებდნენ, ვერ მოხერხდებოდა ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა, შეუძლებელი იქნებოდა უცხო ენის შესწავლაც.

ამგვარად, ის, რაც საერთოა ყველა ადამიანისათვის, თავისებურ სემანტიკურ სტრუქტურებს ქმნის თითოეულ ენაში (შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა ენის სემანტიკური სისტემები ერთი ზოგადი სისტემის ვარიანტებია). ეს სტრუქტურები ღირებულებას მოკლებულია მოცემული ენის ფარგლებს გარეთ.

## 2. მნიშვნელობათა ლოგიკური კლასიფიკაცია

### 2.1. შრეგეს სამკუთხედის საფუძველზე შეიძლება მოვახდინოთ მნიშვნელობათა ლოგიკურ-ლინგვისტური ტიპების გამოყოფა.

ადამიანს სჭირდება სამყაროში არსებული საგნების, მოვლენების, აგრეთვე მათი თვისებებისა და ურთიერთდამოკიდებულებების ცოდნა, რათა ობტიალურად იმოქმედოს და სწორად შეაფასოს რეალობა. მეორე მხრივ, ადამიანი თავისი ინტერესების თვალსაზრისით აფასებს და განიცდის იმას, რაც მის გარშემო ხდება. შესაბამისად, ნებისმიერ აზრში შეიძლება გამოიყოს ობიექტური და სუბიექტური კომპონენტები, ანუ *კოგნიტიური (შემეცნებითი, კონცეპტუალური) და პრაგმატიკული (შეფასები-*

თა, ემოციური, აფექტური) მნიშვნელობები. კოგნიტიური (ლათ. *cognitio* „შეშეცნება“) მნიშვნელობა არის დენოტატების (საგნებისა და ფაქტების) შესახებ ობიექტური ინფორმაცია, ხოლო პრაგმატიკული მნიშვნელობა — ინფორმაცია მათ მიმართ მოლაპარაკის სუბიექტური დამოკიდებულების შესახებ (იგი კომუნიკაციის მონაწილეებს შორის დამოკიდებულებას, კომუნიკაციის გარემოებებსა და მრავალ სხვა ექსტრალინგვისტურ ფაქტორს უკავშირდება). ნიშნის პრაგმატიკული მნიშვნელობა არ მყარდება უშუალოდ მოლაპარაკესა და ნიშანს შორის, იგი გაშუალებულია დენოტატისადმი მოლაპარაკის ემოციური დამოკიდებულებით და ასახავს დენოტატის შეფასებას. წმინდა ინტელექტუალურ, შეშეცნებით მნიშვნელობას სუბიექტური მნიშვნელობა ემატება.

მნიშვნელობის კოგნიტიური და პრაგმატიკული კომპონენტები ერთმანეთზე ზემოქმედებას ახდენენ — სუბიექტურ შეფასებას საფუძვლად უდევს ობიექტური განსხვავებები საგნებისა და მოვლენებს შორის.

ენობრივ ნიშანს შეიძლება ჰქონდეს როგორც კოგნიტიური, ისე პრაგმატიკული მნიშვნელობა, ან ერთ-ერთი მათგანი. წმინდა პრაგმატიკული მნიშვნელობის მქონეა შორისდებული; იგი ცნებებს არ გამოხატავს (უნდა აღინიშნოს, რომ რაღაც კონტექსტში ხმარებისას პრაგმატიკული ელემენტი შეიძლება შეიძინოს ნებისმიერმა ნიშანმა, მაგრამ ეს იქნება არა მისი მნიშვნელობა, არამედ კონტექსტის ელემენტი). ზოგიერთ ნიშანში წამყვანია კოგნიტიური კომპონენტი, ზოგში — პრაგმატიკული. მაგალითად, *მოთხრობა, ზე, სიარული, ლურჯი, მე ზაფარი* სიტყვების მნიშვნელობებისგან განსხვავებით, *განსაცვიფრებელი, შტერი, მოშავდა, დაბრძანდით, დედიკო* სიტყვების მნიშვნელობებში ემოციურ-შეფასებითი კომპონენტი ჭარბობს.

2.2. მნობრივ ერთეულთა უმრავლესობას აქვს *სახელდების* ანუ *ნომინაციის* დამოუკიდებელი ფუნქცია — ისინი დამოუკიდებლად, უშუალოდ აღნიშნავენ გარეენობრივი სამყაროს საგნებისა და მოვლენების ამსახველ ცნებებს, ცალ-ცალკე ასახელებენ მათ. ასეთი ფუნქციის მქონე სიტყვებს *სრულმნიშვნელობიანი* (დამოუკიდებელი, ცნებითი, სრული) სიტყვები ეწოდება. მათ შეუძლიათ ცალკე გამონათქვამის შექმნა. ტრადიციულ მეტყველების ნაწილებს შორის დამოუკიდებელ სიტყვებს განეკუთვნება არსებითი, ზედსართავი და რიცხვითი სახელები, ზმნა და ზმნიზედათა დიდი ნაწილი. მათ უბრისპირდება *არასრულმნიშვნელობიანი* (დამხმარებ მომსახურებ, ფორმალური, გრამატიკული, სტრუქტურული, არასრული მიმართებითი, ცარიელი) სიტყვები, რომელთაც მხოლოდ დამოუკიდებელ სიტყვებთან ერთად შეუძლიათ სახელდების ფუნქციის შესრულება — გა-



რეენობრივი სამყაროს მოვლენების, კერძოდ, მიმართებათა ამსახველი ცნებების გამოხატვა. ისინი, ჩვეულებრივ, ცალკე გამონათქვამს ვერ ქმნიან. მათ რიცხვს განეკუთვნება ტრადიციული გრამატიკის *ნაწილაკები* (ვიწრო მნიშვნელობით), *კავშირები, არტიკლები, თანდებულები / წინდებულები*. რაც შეეხება დეიქტურ სიტყვებსა და სუბსტიტუტებს, ისინი სემანტიკის განხილვის საგანია, თუმცა მათი სტატუსის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ნაცვალსახელური სიტყვები კი არ ასახელებენ რეალებს, არამედ მიუთითებენ მათზე ან დამოუკიდებელ ენობრივ ერთეულთა შინაარსზე. დამხმარე სიტყვებისაგან განსხვავებით, მათ შეუძლიათ ცალკე გამონათქვამის შექმნა (და წინადადების წევრის როლის შესრულება).

არასრულმნიშვნელობიანი და დეიქტური სიტყვების, აგრეთვე სუბსტიტუტების სიმრავლე, დამოუკიდებელ სიტყვათა სიმრავლისაგან განსხვავებით, ჩაკეტილია, იგი არ ივსება ახალი სიტყვებით.

საზღვრები დამოუკიდებელ და დამხმარე სიტყვებს შორის პირობითია. ზოგიერთმა დამოუკიდებელმა სიტყვამ შეიძლება *დესემანტიზაცია* განიცადოს, ე.ი. გადავიდეს დამხმარე სიტყვათა კლასში. შდრ., მაგალითად, *მოდო დღეს* და *მოდო ენახოთ, მას უნდა წასვლა* და *უნდა წახვიდეთ* ინგლ. He did it „მან ეს გააკეთა“ და He did not go „ის არ წავიდა“; ფრ. il allait à la gare „ის მიდიოდა სადგურში“ და il allait écrire „ის წერას აპირებდა“; რუს. входили, включая свет „შედიოდნენ და სინათლეს ანთებდნენ“ და встали все, включая гостя „ადგა ყველა, სტუმრის ჩათვლით“.

### 2.3. დამოუკიდებელ სიტყვებსა და მათ ეკვივალენტურ ფრაზებს ლოგიკაში *სახელებს* უწოდებენ.

ყველაფერი, რაც სამყაროში არსებობს, პირობითად შეიძლება დაიყოს საგნებად და მათ ნიშნებად. თუ ნიშნის გამოსაყვლენად საჭიროა ერთზე მეტი საგანი, ასეთ ნიშანს *მიმართება* ეწოდება. ის საგნები, რომლებიც მონაწილეობენ ამა თუ იმ მიმართებაში (ქმნიან მას), წარმოადგენენ ამ მიმართების *არგუმენტებს*. მიმართების გამომხატველ ენობრივ ნიშნებს ლოგიკაში *პრედიკატები* ეწოდება, ხოლო არგუმენტების გამომხატველ ნიშნებს — *არგუმენტული სახელები* ან, მარტივად, *არგუმენტები*.

სახელის კოგნიტიური მნიშვნელობა ხასიათდება იმ ცნების შინაარსისა და მოცულობის მიხედვით, რომელსაც ის გამოხატავს. რეალურად არსებული ერთეულოვანი (განმხოლოებული) ობიექტები ცნობიერებაში ზოგჯერ კლასებად ერთიანდება რაღაც საერთო ნიშნების მიხედვით, რაც

საფუძვლად ედება *ზოგადი ცნების* გაჩენას. კლასის თითოეულ წარმომადგენელს (ერთეულოვან ობიექტს) ცნობიერებაში *ერთეულოვანი ცნება* შეესაბამება. ცნებათა ძირითადი მახასიათებლებია *ინტენსიონალი* და *ექსტენსიონალი*.

*ექსტენსიონალს* ანუ *ექსტენსიას* (ინგლ. *extension* „გაჭიმვა“, „გაფრცობა“), სხვაგვარად — *ცნების მოცულობას* განსაზღვრავს იმ ობიექტების ან ფაქტების სიმრავლე, რომლებიც მოცემულ ცნებაში აისახება. ერთეულოვანი ცნება ერთ კონკრეტულ ობიექტს უკავშირდება, ამიტომ მას მინიმალური (ერთის ტოლი) *ექსტენსიონალი* აქვს. *ზოგადი ცნების* *ექსტენსიონალი* მოიცავს ობიექტთა მოცემული კლასის ყველა წარმომადგენელს. მაგალითად, „*პლანეტის*“ ცნების *ექსტენსიონალი* აღემატება, ფაქტად, „*მერკურის*“ ცნების *ექსტენსიონალს*, რადგან იგი გულისხმობს ყველა პლანეტას. *ზოგადი ცნების* *ექსტენსიონალი* უფრო დიდია, ვიდრე *კონკრეტულისა*.

ცნების შინაარსი შედგება არსებითი, საგანთა ან ფაქტების მოცემული კლასისათვის საერთო და აუცილებელი ნიშნებისაგან, რომლებიც გარკვეულ სტრუქტურას ქმნიან. ცნების ამ მდგარად ბირთვს *ინტენსიონალი* ანუ *ინტენსია* (ინგლ. *intention* „განზრახვა“) ეწოდება. ერთეულოვან ცნებაში *ინტენსიონალის* ნიშნების გარდა ვლინდება ისეთი ნიშნებიც, რომლებიც არსებითი არ არის, ისინი დამახასიათებელია კლასის მხოლოდ მოცემული კონკრეტული წარმომადგენლისათვის; მათ *იმპლიკაციონალის* (ინგლ. *implication* „ნაგულისხმევი [აზრი, შინაარსი]“) ნიშნები ეწოდება. ისინი პერიფერიულია *ინტენსიონალის* ცენტრალური ნიშნების მიმართ. *ინტენსიონალის* ცვლა ცნების თვისებრივ ცვლას იწვევს.

რაც უფრო მეტ ნიშანს შეიცავს *ინტენსიონალი*, მით ნაკლები რაოდენობის ობიექტებს მიესადაგება ცნება, ე.ი. მით უფრო ვიწროა მისი *ექსტენსიონალი*, და პირუკუ. ეს კარგად ჩანს ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან: „*მერკურის*“ ცნების *ინტენსიონალი* მეტ ნიშანს მოიცავს, ვიდრე „*პლანეტის*“ ცნების *ინტენსიონალი*, რადგან მასში ამ კონკრეტული პლანეტისათვის დამახასიათებელი ნიშნებიც შედის.

ზოგჯერ აღნიშნავენ, რომ *ინტენსიონალი* განსაზღვრება ლოგიკური მსჯელობის გზით და იგი მიისწრაფვის ცნების იმ დეფინიციისაკენ, რომელიც მეცნიერულია დროის მოცემული პერიოდისათვის არსებული ცოდნის თვალსაზრისით.

ყველაფერი, რაც აქ ცნებების შესახებ ითქვა, შეიძლება გავიმეოროთ სახელთა კოგნიტიური მნიშვნელობების შესახებ — იმის გათვალისწინებით, რომ სახელთა მნიშვნელობებში თავს იჩენს გამოხატულების პლა-

ნიდან მომდინარე ზოგიერთი თავისებურება, კერძოდ, ნიშნების პარადიგმატული და სინტაგმატური მიმართებებით განპირობებული თავისებურებები.

ინტენსიონალი განსაზღვრავს სახელის ექსტენსიონალს — იმ ობიექტების არეს, რომლებსაც მიესადაგება მოცემული სახელი.

განვიხილოთ ასეთი მაგალითი: *კატა შინაური ცხოველია*. ამ გამოთქვამში *კატა* სახელის ექსტენსიონალი ყველა კატის კლასს მოიცავს; *გუშინ კატა გვაჩუქეს* გამონათქვამში ამავე სახელის ექსტენსიონალი ერთი კატაა, ხოლო თუ ამ მეორე წინადადებას კიდევ ერთ წინადადებას დავუმატებთ, ვთქვათ: *ეს კატა ძალიან ცელქია*, მაშინ *კატა* სახელის შინაარსი გამდიდრდება, რადგან მასში შევა „რომელიც გუშინ გვაჩუქეს“ ნიშანიც. სახელის ინტენსიონალი უცვლელი დარჩება, შეიცვლება მხოლოდ იმპლიკაციონალის ნიშნები.

ინტენსიონალში შემავალი ნიშნები გარკვეულ სტრუქტურას ქმნიან. მაგალითად, *დედა* სახელის ინტენსიონალის შემადგენელ „მშობელი“ და „ქალი“ ნიშნებს შორის გვარეობით-სახეობითი დამოკიდებულებაა.

ზოგიერთი ნიშანი შეუთავსებელია მოცემული სახელის ინტენსიონალთან; მათი ერთობლიობა შეადგენს *ნეგატიურ იმპლიკაციონალს*. მაგალითად, *კინული* სახელის ნეგატიურ იმპლიკაციონალში შედის „თხევადი“, „სწრაფი“, „ფიქრობს“, „გამბედავი“ და სხვა ნიშნები.

სახელის კოგნიტიური მნიშვნელობის ორი კომპონენტი — ექსტენსიონალი და ინტენსიონალი — ზოგჯერ სემანტიკურ პროცესებად განიხილება და მაშინ იხმარება შესაბამისად „ექსტენსია“ და „ინტენსია“ ტერმინები.

2.4. უცვლელი ინტენსიონალის პირობებში ვლინდება კოგნიტიური მნიშვნელობის ორი სახეობა — *დენოტატური* და *სიგნიფიკატური*. *დენოტატური მნიშვნელობა* ახასიათებს ისეთ სახელს, რომელიც ერთეულოვან დენოტატს, ან — მრავლობითი რიცხვის მნიშვნელობით ნახმარი სახელის შემთხვევაში — ერთეულოვანი დენოტატების ჯგუფს გამოხატავს.

*დენოტატის* ცნება განიხარტება როგორც იმ გარეუბრები ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც შეიძლება მოცემული ენობრივი ერთეულით გადმოვცეთ. თანამედროვე ენათმეცნიერებაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ *დენოტატსა* და *რეფერენტს*, სახელდობრ, *რეფერენტს* უწოდებენ იმ რეალიას (ფაქტს ან ობიექტს), რომელსაც გულისხმობს მოლაპარაკე მოცემული სახელის წარმოთქმისას, ხოლო *დენოტატი* ეწოდება შესაძლო, ვირტუალურ რეფერენტს, გამოსახატავი ფაქტების ან ობიექტების კლასს; იგი კონკრეტულ სამეტყველო აქტს არ უკავშირდება. თუ

სახელი მეტყველებაში ხმარებისას შესაძლო დენოტატებიდან ერთ-ერთზე მიუთითებს (როგორც ეს *გუშინ კატა გვამოქმედებს* გამონათქვამში გვექონდა), ამ სახელს კონკრეტული რეფერენტი შეესაბამება, ხოლო თუ მეტყველებაში არსებული სახელი ობიექტთა მთელ კლასზე მიუთითებს, ამ სახელის ურეფერენტო ხმარება (განზოგადებული მნიშვნელობით ხმარება) გვაქვს. ასე, მაგალითად, *კატა შინაური ცხოველია* გამონათქვამში *კატა* სახელს აქვს დენოტატი, მაგრამ ეს სახელი ურეფერენტოდ არის ნახმარი. ბუნებრივ სამყაროში დენოტატები არ გააჩნიათ ისეთ სახელებს, როგორიც არის: *ფასკუნჯი, ნორვეგიის შაპი, ენძელების ღიმილი* (თუმცა მხატვრულ სამყაროში მათი დენოტატები შეიძლება „ცარიელი“ არ იყოს). ერთეულოვანი ობიექტების გამომხატველ სახელთა დენოტატებს „მუდმივი“ რეფერენცია ახასიათებს (ასეთია, მაგალითად, *თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, „დიდი ქალაქის ჩირაღდნების“ შემქმნელი* და სხვ.). რთულ გამონათქვამებს (ფრაზებს, წინადადებებს) რთული დენოტატები აქვთ, კერძოდ — ამ გამონათქვამებით აღსაწერი ფაქტები და სიტუაციები.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ დენოტატური მნიშვნელობა არ გააჩნიათ პრედიკატებს, რადგან მათ რეფერენტები არ შეესატყვისება: პრედიკატები რეალურ ობიექტთან მიმართებაში არ იმყოფებიან. იგივე ითქმის იმ არგუმენტული სახელების შესახებ, რომლებიც ურეფერენტოდ არის ნახმარი. ასეთ ენობრივ ერთეულებს მხოლოდ *სიგნიფიკატური მნიშვნელობა* აქვთ. ეს მნიშვნელობა ასახავს აღმნიშვნელის მიმართებას ცნების შინაარსთან და მოიცავს ობიექტთა კლასისათვის და არა ერთეულოვანი ობიექტისათვის დამახასიათებელ ნიშნებს; სიგნიფიკატურ მნიშვნელობას უწინარეს ყოვლისა ენობრივი ერთეულის *ღირებულება* განსაზღვრავს.

სიგნიფიკატური მნიშვნელობა ვლინდება როგორც ენაში, ისე მეტყველებაში, ხოლო დენოტატური მნიშვნელობა მხოლოდ მეტყველებაში იჩენს თავს (აქ საუბარია დენოტატურ მნიშვნელობაზე და არა დენოტატზე), რაც მის არასტაბილურობას განაპირობებს. ლექსიკონებში აისახება სიგნიფიკატური და არა დენოტატური მნიშვნელობები; ამიტომ საკუთარი სახელები (თუ ისინი საზოგადოთა ფუნქციით არ არიან გამოყენებული) ლექსიკონებში არ შეაქვთ.

**2.5. ბანვისილოთ ასეთი მაგალითი: ავტორი საუბრობს რედაქტორთან. მისი არგუმენტები დამაჯერებელია. მეორე წინადადებაში სიტყვა მისი ორაზროვნების წყაროა, რადგან იგი შეიძლება იყოს როგორც ავტორი, ისე რედაქტორი სახელის კორეფერენტული. ამ სიტყვას მხოლოდ სიგნი-**

ფიკატური მნიშვნელობა აქვს. იგივე ითქმის *გუშინდელი დღე* გამონათქვამის შესახებ, რომლის რეფერენტი ყოველ კონკრეტულ სამეტყველო აქტში სხვადასხვაა, ამიტომ დენოტატური მნიშვნელობა მას არ გააჩნია, მისი მნიშვნელობა სიგნიფიკატურია. კორეფერენტული ერთეულოვანი ობიექტების გამოხატველ სახელებს (მაგალითად, *მონა ლიზა* და *ჯოკონდა*) ერთი და იგივე დენოტატური მნიშვნელობა და განსხვავებული სიგნიფიკატური მნიშვნელობები აქვთ, რაც მათი აღმნიშვნელების განსხვავებით არის გადმოცემული.

საზოგადოდ, სახელის მინიმალური დენოტატური მნიშვნელობა მის სიგნიფიკატურ მნიშვნელობასა და კონკრეტული ერთეულოვანი დენოტატის არსებობის იდეას მოიცავს.

ამგვარად, სიგნიფიკატური და დენოტატური მნიშვნელობები კოგნიტიური მნიშვნელობის ნაირსახეობებია და არა მისი კომპონენტები; ერთი სამეტყველო აქტის ფარგლებში ისინი ურთიერთგამომრიცხავია.

### 3. მნიშვნელობათა ლინგვისტური ტიპოლოგია. სემა და სემანტიკა

3.1. ცნებათა ლოგიკური კლასიფიკაციისაგან განსხვავებით, მნიშვნელობათა ლინგვისტური კლასიფიკაცია გამონათქვამთა გამოხატულების პლანს ითვალისწინებს; ამასთანავე ლინგვისტური სემანტიკა ენობრივი მნიშვნელობის პრობლემას შესაძლებელია განიხილაფდეს სამი ძირითადი ასპექტით. ესენია: გამონათქვამთა ლექსიკური მნიშვნელობა, გამონათქვამთა გრამატიკული (მორფოლოგიურ-სინტაქსური) მნიშვნელობა და გამონათქვამთა პრაგმატიკულ-კომუნიკაციური მნიშვნელობა.

ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობაზე ზემოთ მოკლედ უკვე გვქონდა საუბარი; მათ გამოყოფას საფუძვლად უდევს სხვადასხვა დონის ენობრივ ერთეულებს შორის განსხვავება. ერთი და იმავე ცნების გამოხატველი ერთეულები შეიძლება ენის სხვადასხვა დონეს განეკუთვნებოდეს. ასე, მაგალითად, *ერთზე მეტი* დაახლოებით იმავე ცნებას გამოხატავს, რასაც *პრაგმატიკული რიცხვის -ებ* მორფემა (ისეთ გამონათქვამებში, როგორიც არის: *სახლები, სტუდენტები, ჩიტები, ხეები*), მაგრამ მოყვანილი შესიტყვების მნიშვნელობისაგან განსხვავებით, *-ებ* მორფემის მნიშვნელობა ზოგადია, გრამატიკულია. ასევე, რუსულ სიტყვაში *СТОЛИК „პატარა მაგიდა“* კნინობითის *-ИК* მორფემას გრამატიკული მნიშვნელობა აქვს; იგივე ცნება შეიძლება გამოიხატოს ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ერთეულით — *маленький „პატარა“*.

ლექსიკური მნიშვნელობა ყველა სიტყვას აქვს, მაგრამ დამხმარე სიტყვებში იგი მოკლებულია დამოუკიდებლობას; მათი ინდივიდუალური, ლექსიკური მნიშვნელობა იმ მიმართებათა განზოგადების შედეგია, რომლებსაც ეს სიტყვები გამოხატავენ. აღნიშნული განსხვავების საფუძველზე გამოიყოფა *სემანტიკური* და *სინტაქსური მნიშვნელობები*, რომლებიც დამახასიათებელია როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული მნიშვნელობის მქონე ერთეულებისათვის. კერძოდ, დამოუკიდებელ სიტყვებს ენობრივ სისტემაში სემანტიკური ლექსიკური მნიშვნელობები აქვთ, დამხმარე სიტყვებს — სინტაქსური ლექსიკური მნიშვნელობები. ბევრ ენაში სემანტიკური და გრამატიკულია, მაგალითად, დროის მნიშვნელობა ზმნაში, დერივაციული საშუალებებით გამოხატული კნინობითობის მნიშვნელობა და სხვ.

გრამატიკული მნიშვნელობა შეიძლება იყოს *ფლექსიური* ან *დერივაციული*. იმ მნიშვნელობებს, რომლებიც გრამატიკული არ არის, *ნომინატიური მნიშვნელობები* ეწოდება. ისინი იყოფა ლექსიკურ — სიტყვებისათვის დამახასიათებელ — და შესიტყვებათა მნიშვნელობებად.

**3.2.** როგორც ითქვა, სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა ცნების ფილოსოფიურ კატეგორიასთან არის დაკავშირებული. ტერმინთა ლექსიკური მნიშვნელობები ცნებებს ემთხვევა, მაგრამ, საზოგადოდ, ლექსიკურ მნიშვნელობას ცნებისაგან პრაგმატიკული კომპონენტის არსებობა განასხვავებს. გარდა ამისა, ცნება ობიექტთა უფრო ღრმა, არსებით ნიშნებს მოიცავს, ლექსიკური მნიშვნელობა კი — მხოლოდ განმასხვავებელს.

სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის დახასიათებისას გასათვალისწინებელია სამი ასპექტი: სინტაქტიკური, სემანტიკური და პრაგმატიკული. სინტაქსური თვალსაზრისით, მოცემული ლექსიკური მნიშვნელობა დაკავშირებულია სხვა ენობრივი ერთეულების მნიშვნელობებთან — სინტაგმატურად (შესიტყვებასა და წინადადებაში) და პარადიგმატურად (ენობრივ სისტემაში). სემანტიკური თვალსაზრისით, ლექსიკური მნიშვნელობა, როგორც ითქვა, ვლინდება სიგნიფიკატური ან დენოტატური მნიშვნელობის სახით.

პრაგმატიკული თვალსაზრისით, სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობაში გამოიყოფა პრაგმატიკული კომპონენტი ანუ *კონოტაცია* (ლათ. *connotatio* „დამატებითი მნიშვნელობა“), რომელიც ემატება კოგნიტიურ კომპონენტს და სიტყვას ექსპრესიულობას ანიჭებს. *ექსპრესიულობა* (ლათ. *expressio* „გამოხატულება“) არის საუბრის თემისა და მსმენელისადმი მოლაპარაკის სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატვა. კონოტაციები

ხატოვანი წარმოდგენებია, რომლებიც მოლაპარაკეთა და მსმენელთა ცნობიერებაში დენოტატს უკავშირდება. რეალურ ობიექტთან კავშირი აქ გაშუალებულია ამ ობიექტის ენობრივი გამოხატულებით. მაგალითად, *მანდილოსანი* და *ქალი* სიტყვების დენოტატი ერთნაირია, მაგრამ პირველ მათგანს აქვს კონოტაცია, რომელიც მოიცავს დადებით შეფასებას (პატივისცემას), ხატოვნებას, „ამაღლებული სტილის“ ნიშნებს.

3.3. მნობრივ სისტემათა გამოხატულების პლანის ანალიზის მსგავსად, მათი შინაარსის პლანის ანალიზის შედეგად გამოიყოფა უმარტივესი, დაუშლადი ერთეულები. თითოეულ ასეთ ელემენტარულ სემანტიკურ ერთეულს (მნიშვნელობას) *სემა (სემანტიკური დიფერენციალური ნიშანი, სემანტიკური კომპონენტი, სემანტიკური მარკერი, სემანტიკური მამრავლი)* ეწოდება. სემების კომბინირების შედეგად აიკება შინაარსის პლანის უფრო რთული ერთეულები — სემანტემები. *სემანტემა (სემემა)* არის სემების კონა, რომელიც ენობრივი ნიშნის მნიშვნელობის განმარტებაში მონაწილეობს (შდრ. ფონოლოგიური დიფერენციალური ნიშანი — ფონემა, გრამატიკული დიფერენციალური ნიშანი — გრამემა, სემანტიკური დიფერენციალური ნიშანი — სემანტემა).

სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას შეიძლება ჰქონდეს მარტივი სტრუქტურა. სიტყვები, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობა ერთ სემას ასახავს, ერთენოვან ლექსიკონებში განმარტების გარეშეა მოცემული, იქ მოჰყავთ მხოლოდ მათი ხმარების საილუსტრაციო ფრაზები. სიტყვათა დიდი უმრავლესობის ლექსიკური მნიშვნელობები რთული აგებულებისაა, ისინი განისაზღვრება სემანტემათა სისტემებით. თითოეული სემანტემა, თავის მხრივ, წარმოადგენს სემების იერარქიულ სტრუქტურას დომინანტური სემით ცენტრში.

სხვადასხვა ენის სიტყვათა მნიშვნელობებში მსგავსი სემების განსხვავებული კომბინაციებია ასახული: შდრ., მაგალითად, ფრ. *belle-mère* „სიდედრი“, „დედამთილი“, „დედინაცვალი“; ინგლ. *mother-in-law* „სიდედრი“, „დედამთილი“, *stepmother* „დედინაცვალი“; სიძე — ფრ. *gendre* „სიძე (შვილის ქმარი)“, *beau-frère* „სიძე (დის ქმარი)“, „მაზლი“, „ქვისლი“.

3.4. უმარტივესი ცნებებს — „სემანტიკური პრიმიტივებს“ — დადგენასა და შესწავლას ისახავს მიზნად ერთ-ერთი უახლესი სემანტიკური თეორია. ამ თეორიის მიხედვით, *სემანტიკური პრიმიტივები* ისეთი პირველადი ელემენტარული ცნებებია, რომლებსაც განმარტება არ სჭირდება, რად-

გან ისინი ყველასათვის ინტუიციურად გასაგებია. ენის ათვისებისას ბავშვი პირველ რიგში სწორედ ასეთ ცნებებს სწავლობს. ადამიანებს ერთმანეთის გაგება იმიტომ შეუძლიათ, რომ რთულ გამონათქვამთა მნიშვნელობები აგებულა ამ თავისთავად ცხადი და უნივერსალური ელემენტებისაგან. *პრიმიტივები* ნებისმიერი ენის სემანტიკური სისტემის საფუძველია, მათი ათვისების უნარი ადამიანს თანდაყოლილი აქვს; ასე რომ არ ყოფილიყო, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს ცნებათა განსხვავებული სისტემები ექნებოდათ და ისინი ერთმანეთთან კომუნიკაციას ვერ განახორციელებდნენ. მართალია, კულტურათმორისი კომუნიკაცია გარკვეულწილად შეზღუდულია, მაგრამ იგი პრინციპულად შესაძლებელია და ამის მიზეზი სწორედ „პრიმიტიულ ცნებათა“ არსებობაა.

შეიძლება ისეთ ცნებათა უნივერსალური ნუსხის წარმოდგენა, რომლებიც ნებისმიერ კონკრეტულ ენაში გამოვლინდება სიღრმისეული სემანტიკური ანალიზის შედეგად. ამ ცნებათა მანიფესტაცია, გამოხატვა ბუნებრივ ენებში სხვადასხვაგვარად ხდება. სწორედ ის ფაქტი, რომ ყველა ენის სემანტიკური სტრუქტურები *პრიმიტივების* სისტემებს ეფუძნება, იძლევა ენათა შედარების შესაძლებლობას. წინადადებაში სიტყვათა დაკავშირებასაც უნივერსალური და უმარტივესი სემანტიკური წესები უდევს საფუძვლად. წინადადებათა სიღრმისეული სემანტიკა და სინტაქსი ერთმანეთის მიმართ ეკვივალენტურია; ერთი და იმავე ტიპის *პრიმიტივები* ერთნაირ კომბინაციებს ქმნიან ყველა ენის სიღრმისეულ სტრუქტურებში, ხოლო ზედაპირული სტრუქტურები ენებში განსხვავებულია. ბუნებრივ ენათა შესწავლის შედეგად გამოიყოფა *ლექსიკური პრიმიტივებისა* და *ელემენტარული სინტაქსური წესების* ჰიპოთეტური საერთო ბირთვი — კონკრეტული ენების სპეციფიკისგან დამოუკიდებელი მეტაენა, რომელიც გამოდგება ყველა ენისა და კულტურის შესასწავლად და აღსაწერად.

დღესდღეობით გამოყოფილია ასამდე პრიმიტივი; შეისწავლება მათი უნივერსალური გრამატიკა და კონკრეტულ ენებში მათი მანიფესტაცია. *სემანტიკურ პრიმიტივთა* რიცხვს განეკუთვნება ისეთი ცნებები, როგორიც არის: „სივრცე“, „დრო“, „სიძრავლე“, „არა“, „და“, „ან“, „რადაც“, „ვიღაც“, „კარგი“, „თქმა“, „ცოდნა“ და სხვ. (*ანა ვეუბიკა*).



## ლექსიკური სემანტიკა და ლექსიკოლოგია

### 4. ლექსემის ცნება. ლექსიკა როგორც სისტემა. მიმართებები ლექსიკურ ერთეულებს შორის. ლექსიკონის სტრუქტურა

4.1. ენობრივი სისტემის ძირითადი ერთეულია სიტყვა. იგი განიხილება ენის სხვადასხვა იერარქიულ დონეზე — მასში ერთიანდება ენის ბგერითი, აზრობრივი, გრამატიკული მხარეების ნიშნები. სიტყვა ორბლანიანი ერთეულია; არ არსებობს სიტყვები მნიშვნელობისა და გამოხატულების გარეშე. სიტყვების საშუალებით ხდება ცნებების ფორმირება და გადმოცემა.

ენათმეცნიერებაში ტერმინი „სიტყვა“ ძირითადად ორი მნიშვნელობით იხმარება. კერძოდ, როგორც ითქვა, მისი ტოლფასი ტერმინია *სიტყვაფორმა* ერთი ან რამდენიმე სიტყვაფორმა შეიძლება *ლექსას* წარმოადგენდეს (ბერძნ. λέξις „ლაპარაკი, მეტყველება“). *ლექსა* არის სიტყვაფორმა ან ისეთი შესიტყვება, რომელშიც ერთ-ერთი სიტყვაფორმა ლექსიკური მნიშვნელობის მქონეა, დანარჩენები კი — მხოლოდ ფლექსიურისა. მაშასადამე, არსებობს *ლექსა-სიტყვაფორმები* და *ლექსა-შესიტყვებები*, ანუ სიტყვის *ანალიზური ფორმები* მაგალითად, *გაგ წავნიღო იქნა* არის ლექსა-შესიტყვება; ასეთივეა ინგლ. has read „წაიკითხა“; რუს. построил ны „ააშენებდა“; ფრ. est venu „მოვიდა“ და სხვ.

ახლა შევვიძლია განვმარტოთ „სიტყვა“ ტერმინის მეორე მნიშვნელობა.

ისეთ *ლექსათა* სიმრავლეს, რომლებიც მხოლოდ ფლექსიური მნიშვნელობებით შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, *ლექსება* ეწოდება. სიტყვა პარადიგმატულ ასპექტში ლექსებად გვევლინება. ლექსება არის ენობრივი ერთეული, რომელიც მეტყველებაში ვლინდება ერთ-ერთი (ზოგჯერ — ერთადერთი) თავისი კონკრეტული ფორმის — ლექსას სახით. ფონემისა და მორფემის მსგავსად, ლექსება განზოგადების შედეგია, იგი ენობრივი სისტემის აბსტრაქტული ერთეულია. ლექსება განიხილება როგორც გრამატიკაში, ისე ლექსიკაში.

ერთი ლექსემის წარმომადგენელ ლექსებს *ალოლექსები* ეწოდება (შდრ. *ალოფონები*, *ალომორფები*). ალოლექსებს საერთო ფუძე და ერთნაირი პარადიგმატული ქცევა აქვთ; ისინი ერთსა და იმავე სტრუქტურულ კლასს განეკუთვნებიან. ზოგიერთი ლექსა ერთზე მეტ ლექსებაში შედის. ასე, მაგალითად, ლექსა *დღეს*, ერთი მხრივ, *დღე* ლექსემის წარმომადგენელია — ეს ლექსება მრავალ სხვადასხვა ლექსას შეიცავს (*დღე, დღემ, ... დღეები, ...*), მეორე მხრივ კი იგი *ი* ლექსემის წარმო-

მადგენელია, რომელშიც ერთადერთი — *დღეს* ლექსა შედის (მაგალითად, *დღეს თბილა*).

ამგვარად, ლექსემა ენობრივ ნიშანთა — *ლექსათა* — სიმრავლეს წარმოადგენს. იგი ფონემური, მორფემული, სინტაქსური და სემანტიკური ვარიანტების ერთობლიობაა (ზოგიერთ ლექსემას მხოლოდ გრამატიკული მნიშვნელობა აქვს; ასეთია, მაგალითად, „დამხმარე ზმნები“).

*ლექსემის* ცნების პარადიგმატული განზოგადებაა „ვოკაბულის“ ცნება. *ვოკაბულა* (ლათ. *vocabula* „სახელწოდება“) არის სალექსიკონო სტატის სათაური. მასში ერთიანდება *სემანტიკურად მონათესავე ლექსემები*, რომლებიც ემთხვევა ერთმანეთს გამოხატულების პლანში. „სემანტიკური ნათესაობის“ ცნება ინტუიციურია, იგი არ განისაზღვრება; მოცემულ ენაზე მოლაპარაკე გრძნობს, რომ ზოგიერთი ენობრივი გამოხატვაში სემანტიკურად „ენათესავება“ ერთმანეთს.

ზოგ შემთხვევაში *სიტყვაზე* საუბრისას *ვოკაბულასაც* გულისხმობენ. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით არაერთმნიშვნელობიანი „სიტყვა“ ტერმინის ნაცვლად ვიხმართ ტერმინები *სიტყვაფორმა*, *ლექსემა* ან *ვოკაბულა*.

4.2. წინა თავებში ვსაუბრობდით სიტყვაზე (სიტყვაფორმაზე) როგორც ენობრივ ნიშანზე, მაგრამ არ დაგვიხასიათებია ენის ლექსემათა ერთობლიობა ანუ *ლექსიკა* (ბერძნ. *léxis* „სიტყვა“). ენათმეცნიერების დარგს, რომელიც ლექსიკას იკვლევს, *ლექსიკოლოგია* ეწოდება. მას ცალკე ენობრივი დონე არ შეესაბამება, იგი სიტყვებს (ლექსემებს) კომპლექსურად შეისწავლის.

ამა თუ იმ ენის სიტყვათა მარაგი — *ლექსიკონი* ანუ *ენის ლექსიკური ფონდი* — არ არის მოუწესრიგებელი სიმრავლე, ლექსემების უბრალო გაერთიანება. ნებისმიერი ენის ლექსიკა სისტემაა, მის ელემენტებს შორის კანონზომიერი მიმართებები არსებობს, თუმცა ფონოლოგიასთან და გრამატიკასთან შედარებით, ლექსიკის სისტემურობის ხარისხი დაბალია. ენაში ერთი ლექსემის შეცვლა სხვა ლექსემებით, როგორც წესი, სისტემაზე ნაკლებად აისახება და მის არსებით გარდაქმნას არ იწვევს.

ლექსიკა უფრო ცვალებადია, ვიდრე ენის მკაცრად ორგანიზებული ქვესისტემები. ლექსიკურ ერთეულთა ინვენტარის სწრაფი ცვალებადობა აიხსნება მათი მნიშვნელობების უშუალო კავშირით გარეენობრივ სინამდვილესთან; ლექსემათა სიმრავლეში თვალსაჩინოდ აისახება ის გარდაქმნები, რომლებიც სამყაროში ხდება. ლექსიკური სისტემა ღიაა, შეღწევადია, შეიცავს განუსაზღვრელი რაოდენობის ელემენტებს (ვარაუდობენ, რომ ენებში საშუალოდ ნახევარი მილიონი ლექსემაა). ახალი რეა-

ლიების გაჩენასთან ერთად ლექსიკურ ერთეულთა ინვენტარი იცვება, ამავე დროს ზოგიერთი ლექსემა გამოდის საყოველთაო ხმარებიდან; ამის აღნუსხვა შეუძლებელია, ამიტომ ზუსტად ვერ დავადგენთ ამა თუ იმ ენაში არსებულ ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობას.

როგორც ითქვა, ყოველ ენობრივ სისტემაში ნიშნები, მათ შორის — ლექსიკური ერთეულები — ერთმანეთთან პარადიგმატულ და სინტაგმატურ მიმართებებს ამყარებენ. ლექსიკონი შეიძლება წარმოვიდგინოთ მიკროსისტემებისაგან (ქვესისტემებისაგან) და ლექსემათა სხვადასხვა დაჯგუფებებისაგან შემდგარ სისტემად. ასეთი დაჯგუფებები გამოიყოფა ექსტრალინგვისტურ და წმინდა ლინგვისტურ საფუძველზე; ისინი დაკავშირებულია ლექსემებს შორის არსებულ სინტაგმატურ და პარადიგმატურ მიმართებებთან. ცალკე განიხილება ლექსემათა ისეთი გაერთიანებები, რომელთაც ველის (ჯგუფის) სტრუქტურა აქვთ, რადგან მათი გამოყოფა სპეციფიკურ მიმართებებს ემყარება.

აღსანიშნი ფაქტების ცნებითი, სავნობრივი და ფუნქციური მსგავსება აისახება ლექსიკურ ერთეულთა ვრცელ გაერთიანებებში — *სემანტიკურ ველებში*. ისინი აერთიანებენ არა ლექსემებს, არამედ ცალკეულ სემანტემებს. ერთსა და იმავე სემანტიკურ ველში ერთიანდება სხვადასხვა სტრუქტურული კლასების წევრი ლექსემების მნიშვნელობები; ასე, მაგალითად, *ვიწრო, ვიწროდ, სივიწროვე* და მისთ. ერთსა და იმავე მნიშვნელობას წარმოადგენს სივრცის ველში. ლექსემათა *სემანტიკური ნათესაობის* ცნება, როგორც ჩანს, სწორედ *ველის* ცნებას უკავშირდება. შეიძლება გამოვყოთ, მაგალითად, დროის, სივრცის, ტემპერატურის, სინქარის, რაოდენობის, ადამიანის შინაგან მდგომარეობათა და სხვა ველები. გარეენობრივი სამყაროს მსგავსად, ენის „სემანტიკური სივრცე“ უწყვეტია. ველები არ არის ჩაკეტილი, მათი საზღვრები არამკაფიოა; ნებისმიერი ორი სემანტიკური ველი დაკავშირებულია ერთმანეთთან. ველებში სემანტემებს არ ახასიათებს ბინარული ოპოზიციები, მათ შორის ურთიერთმიზიდულობის (ატრაქციის) მიმართებაა.

*ველების* შემადგენლობაში გამოიყოფა *ბირთვული (ცენტრალური)* და *პერიფერიული ზონა*. ცენტრისა და პერიფერიის განსხვავება ენის უნივერსალური თვისებაა, რომელიც სხვადასხვა ასპექტში ვლინდება. ცენტრისათვის დამახასიათებელია ტიპობრივი მოდელები, ფორმები და მნიშვნელობები, პერიფერიისათვის — სხვა დაჯგუფებისა თუ კატეგორიის მომიჯნავე, შუალედური ფორმები და მნიშვნელობები, ტიპობრივი მოდელებისაგან გადახრა.

*სემანტიკურ ველებად* დაყოფა ლექსიკონის სტრუქტურის უნივერსალური თვისებაა. ლექსიკა ცვალებადია ველის ფარგლებში, მაგრამ ეს

ცვლილებები თვით ველებს არ აუქმებენ, მხოლოდ ცვლიან მათ შედგენილობას.

4.3. ლექსიკურ ერთეულთა ნაკლებ ზოგადი გაერთიანებებია *ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები (ლექსიკური ველები)*. ეს ერთგვარი ქვეველებია, რომლებიც ერთი და იმავე სტრუქტურული კლასის *სემანტიკურად მონათესავე* ლექსემებს აერთიანებენ. ასეთია, მაგალითად, შიშის გამომხატველი არსებითი სასელები, სიარულის აღმნიშვნელი ზმნები და მისთ. ეს გაერთიანებები სინონიმურ რიგებზე უფრო ფართოა. ამგვარი ჯგუფის ყველა ერთეულისათვის დამახასიათებელია საერთო, *ინტეგრალური* (ლათ. *integer* „მთლიანი“) *სემა* ანუ *ჰიპერსემა (არქისემა)*. იგი ცენტრალურია მათ ლექსიკურ მნიშვნელობებში, ასახავს გვარობით ცნებას.

საზოგადოდ, ლექსიკურ მნიშვნელობაში დომინანტური სემის — *ჰიპერსემის* — გარდა გამოიყოფა *დიფერენციალური სემები* ანუ *ჰიპოსემები*, რომლებიც ერთმანეთისაგან განასხვავებენ ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფის წევრებს, და *პოტენციური* ანუ *ასოციაციური სემები* — ისინი ასახავენ დენოტატის მეორეულ, არაარსებით თვისებებს და ზოგიერთ კონტექსტში წინა პლანზე გამოდიან. ერთი და იგივე სემა სხვადასხვა ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფში ზოგჯერ სხვადასხვა როლს ასრულებს. ასე, მაგალითად, ნათესაობის ტერმინებისათვის ინტეგრალური „ნათესავი“ სემა ადამიანთა ურთიერთობის ველში დიფერენციალური სემის სტატუსს იძენს. პარადიგმატიკაში სემები ლექსემათა დაპირისპირებისას ვლინდება, ხოლო სინტაგმატიკაში — მათი თანახმარებისას.

*ჰიპერსემა* და *დიფერენციალური სემები* სახელის ინტენსიონალის კომპონენტებია.

ლექსიკურ ველებში შემავალი ერთეულების სინტაქსურ მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს წინადადების ერთგვაროვანი წევრების როლის შესრულება, აგრეთვე ჩამონათვლებში, კავშირიან კოორდინაციულ კონსტრუქციებში მათი მონაწილეობა.

*სულხან-საბა ორბელიანის* „ქართულ ლექსიკონში“ ასამდე ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფია გამოყოფილი. თითოეულ მათგანში შემავალი სიტყვები ერთ სალექსიკონო სტატიად არიან გაერთიანებულნი; ავტორი ამას „განყოფილებათა შემოკლებულად დაწერას“ უწოდებს. ასეთი ჯგუფებია, მაგალითად, *ქვა — სილა, ქვიშა, კენჭი, ღორღი, ...; სიცილი — ღიმილი, კასკასი, ხარხარი, ...; მწარე — მომწარო, მწალტე, მწვავე* და სხვ.

„მთელისა“ და „ნაწილის“, „ობიექტისა და მისი ფუნქციის“, აგრეთვე გვარობით-სახეობითი მიმართებები ვლინდება ლექსემათა (უშთავრესად — არსებითი სახელების) *თემატურ (იდეოგრაფიულ, ცნებით) ჯგუფებში*, რომლებიც ექსტრალინგვისტურ საფუძველზე გამოიყოფა (მათი წევრები სემანტიკურად მონათესავე ლექსემებს არ წარმოადგენენ). ასეთია, მაგალითად, ადამიანის სხეულის ნაწილების, სატრანსპორტო საშუალებების, დასასლებელი ბუნქტების სახელები და მისთ. ერთი და იგივე ლექსემა შეიძლება სხვადასხვა თემატურ ჯგუფში შედიოდეს; მაგალითად, ლექსემა *მარილი* შედის ბუნებრივი რესურსების, საკვებისა და ქიმიურ ნივთიერებათა აღმნიშვნელი ლექსემების ჯგუფებში. თემატურ ჯგუფებს შორის მიმართებები იერარქიული ხასიათისაა; მაგალითად, ადამიანის სახის ნაწილების აღმნიშვნელ ლექსემათა ჯგუფი შედის ადამიანის სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი ლექსემების თემატურ ჯგუფში.

თემატური ჯგუფების წევრებს *ანალოგები* ეწოდება.

ზოგიერთი თემატური ჯგუფი ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფს ემთხვევა (მაგალითად, დასასლებელი ბუნქტების აღმნიშვნელ ლექსემათა გაერთიანება: *ქალაქი, სოფელი, დაბა, გარეუბანი* და სხვ.).

*სიტუაციის* ცნებას უკავშირდება ლექსიკურ ერთეულთა *სიტუაციური ჯგუფების* გამოყოფა (*სიტუაცია* არის პრედიკატთა რეფერენტების საერთო სახელწოდება). იმის გამო, რომ სიტუაციები მეტად მრავალფეროვანია, სიტუაციური ჯგუფები ჭრელია და ხშირად შემთხვევითი ლექსემების გაერთიანებას წარმოადგენს. თუ, ვთქვათ, გვაქვს სიტუაცია — „ადამიანის მონაწილეობა სპორტულ შეჯიბრებაში“, ამ სიტუაციასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები ქმნიან სიტუაციურ ჯგუფს, ხოლო სპორტის თემასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები — თემატურს.

შეიძლება ცალკე გამოიყოს მატერიალური გარემოსა და *არტეფაქტების* (ლათ. *arte* „ხელოვნური“, *factus* „გაკეთებული“) — მატერიალური კულტურის საგანთა — სახელების *საგნობრივი ჯგუფები*.

ლექსემებს შორის დერივაციულ კავშირებს ემყარება მათი *დერივაციული ბუდეების* გამოყოფა; თითოეულ ბუდეში შედის განსხვავებული დერივაციული აფიქსებისა და საერთო ძირის მქონე ლექსიკური ერთეულები. ზემოთ ასეთი დაჯგუფებები დერივაციული პარადიგმების სახით გვქონდა წარმოდგენილი (მაგალითად, *თეთრი, სითეთრე, მოთეთრო, გათეთრება* და სხვ.). უნდა აღინიშნოს, რომ დერივაციულ პარადიგმად ერთიანდება სიტყვაწარმოების მხოლოდ რეგულარული ტიპები, რომლებიც გრამატიკაში განიხილება.

ექსტრალინგვისტურ საფუძველზე ლექსიკის დაყოფის შედეგად შეიძლება შეიქმნას ენის *თესაურუსი* (ბერძნ. *thesauros* „საუნჯე“) — იდუგრაფიული ლექსიკონი, რომელიც იძლევა ცნებიდან ლექსემაზე გადასვლის საშუალებას და ავლენს იერარქიულ სემანტიკურ მიმართებებს ლექსიკურ ერთეულებს შორის. *თესაურუსი* ლექსიკის სემანტიკური სისტემის ერთ-ერთი შესაძლო მოდელია.

შიდაენობრივი პარადიგმატული მიმართებების საფუძველზე გამოიყოფა სინონიმური რიგები, ანტონიმური წყვილები და ლექსიკურ ერთეულთა სხვა გაერთიანებები.

4.4. სინტაგმატური მიმართებები, რომლებიც ტექსტში ლექსიკური ერთეულების თანახმარებისას ვლინდება, საკმაოდ რთული და მრავალფეროვანია. ლექსემათა ლოგიკურ, სემანტიკურ და ლექსიკურ შეთავსებადობას საფუძველად უდევს წესების სხვადასხვა სისტემა. ეს წესები უფრო ცხადად ჩანს ლექსიკურ ერთეულთა შეუთავსებლობის განხილვისას. ასე, მაგალითად, *სწრაფი* და *სივრილე* ლექსემები შეუთავსებელია აზრობრივად (ლოგიკურად), *ძირი* და *გაახილა* — სემანტიკურად, ხოლო *სავსებით* და *ჭეშმარიტი* — ლექსიკურად (შდრ. *სავსებით მართალი*), აქ დარღვეულია ლექსემათა თანახმარების ტრადიცია.

სემანტიკურად თავსებადი ლექსემების მნიშვნელობებში საზიარო სემების არსებობის საფუძველზე გამოიყოფა *ლექსემათა სინტაგმატური ჯგუფები* მაგალითად, *კნაეილი* გულისხმობს *კატა* ლექსემას, *ქერა* — *თმას*, *ჩაქრობა* — *სინათლეს* და სხვ.

სინტაგმატური ფაქტორები დიდ როლს ასრულებენ მნიშვნელობის დაკონკრეტებაში. ასე, მაგალითად, სიტყვაფორმა *მოდის* სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს *მატარებელი*, *ზამთარი*, *რევიზორი* გარემოცვებში. სამივე შემთხვევაში დასტურდება „ცვლილებისა“ და „მოახლოების“ სემები, მაგრამ *მოდის* სიტყვაფორმით აქ სხვადასხვა ლექსემაა წარმოდგენილი — მათ განმარტებებში განსხვავებული სემანტემები მონაწილეობს, რასაც კონტექსტი ავლენს.

მნიშვნელობის დახუსტება კონტექსტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. განარჩევენ *საკუთრივ ლინგვისტურ* ანუ *ვერბალურ (სიტყვიერ)* და *ექსტრალინგვისტურ* ანუ *სიტუაციურ (ყოფით) კონტექსტს*. ეს უკანასკნელი მოიცავს კომუნიკაციის გარემოებათა, სამეტყველო სიტუაციის ნიშნებს.

პარადიგმატული და სინტაგმატური მიმართებები ლექსიკურ ერთეულებს შორის გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. ამა თუ იმ პარადიგმატულ დაჯგუფებაში შემაჯავალი ლექსემები განსაზღვრულ კონტექსტში იჩენენ

თავს და, პირუკუ, ლექსემის სინტაგმატური კავშირები განაპირობებენ გარკვეულ პარადიგმატულ ჯგუფში სხვა ლექსემებთან მის გაერთიანებას.

შიდაენობრივი პარადიგმატული და სინტაგმატური მიმართებების საფუძველზე გამოიყოფა *ლექსიკურ-გრამატიკული ჯგუფები*, რომელთა ერთ-ერთი სახეა ტრადიციული მეტყველების ნაწილები. ლექსიკოლოგიის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა დაჯგუფებები თითოეული მეტყველების ნაწილის ფარგლებში: კონკრეტული და აბსტრაქტული არსებითი სახელები, მდგომარეობისა და მოძრაობის ზმნები და მისთ. ამ ჯგუფებში სიტყვათა გრამატიკული თავისებურებებიც არის გათვალისწინებული და ასახულია კავშირი ლექსიკასა და გრამატიკას შორის (მაგალითად, მრავალ ენაში შეზღუდული ან აკრძალულია აბსტრაქტული არსებითი სახელების ხმარება მრავლობითი რიცხვის ფორმით).

ამგვარად, ლექსიკა იყოფა მრავალფეროვან, სხვადასხვა საფუძველზე აგებულ და სხვადასხვაგვარად ორგანიზებულ დაჯგუფებებად, რომლებიც დაკავშირებულია ერთმანეთთან და ქმნიან ენის ერთიან ლექსიკურ სისტემას.

## 5. სახელდება. პოლისემია. ლექსიკური მნიშვნელობის გარდაქმნის ფორმები

5.1. ლექსიკურ სისტემათა შესწავლისას ვეცნობით იმას, თუ როგორ ხდება მოცემულ ენაში გარესამყაროს ობიექტების სახელდება. ამ საკითხებს *ონომასიოლოგია* (ბერძნ. *ónoma* „სახელი“) შეისწავლის. მას უპირისპირდება *სემასიოლოგია* (ბერძნ. *sēmasía* „მნიშვნელობა“) — ენობრივ ერთეულთა ლექსიკური სემანტიკის შემსწავლელი დარგი, რომელიც ონომასიოლოგიასთან ერთად უფრო ზოგად დისციპლინაში — *სემანტიკაში* შედის.

ლექსიკური მნიშვნელობა როგორც ლექსიკოლოგიის, ისე ლექსიკური სემანტიკის შესწავლის ობიექტია.

ლექსემა კულტურულ-ისტორიული ოდენობაა. ლექსემებში დაფიქსირებულია ენობრივი კოლექტივის წარმოდგენები სამყაროზე, ხალხის ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგები. სხვადასხვა ეპოქაში აღდამიანები სხვადასხვაგვარად აცნობიერებენ ერთსა და იმავე მოვლენას, თავიანთი მსოფლმხედველობის შესაბამისად „ანაწევრებენ“ რეალობას. ენებში ასახული *სამყაროს სურათი* ემყარება არა მკაცრად მეცნიერულ, არამედ „გულუბრყვილო“ შეხედულებებს. სახელდება ხშირად თვალში

საცემი, მაგრამ არაარსებითი ნიშნების საფუძველზე ხორციელდება. მისი მოტივები განსხვავებულია ენების მიხედვით. ასე, ქართული *ყავისფერი* ლექსემა *ყავას* უკავშირდება, მისი რუსული შესატყვისი — *коричневый* — დარიჩინს (*корица*); ქართულ *პირისპირ* ლექსემას ფრანგულში *tête-à-tête* (სიტყვასიტყვით: „თავი თავთან“) შეესატყვისება, რუსულში — *с глазу на глаз* (სიტყვასიტყვით: „თვალიდან თვალზე“); კიდევ უამრავი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

5.2. ლექსემაში მნიშვნელობის წარმოდგენის ხერხს *სიტყვის (ლექსემის) შინაფორმა* ეწოდება. ვიტყვით, რომ ლექსიკურ ერთეულს შენარჩუნებული აქვს შინაფორმა ან რომ მისი *შინაფორმა გამჭვირვალეა*, თუ ცხადია ის ნიშანი, რომელიც სიგნიფიკაციას უდევს საფუძველად (ე.ი. რომლის საფუძველზეც მოხდა სახელდება). ასეთი ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა მოტივირებულია. მოტივაცია, ჩვეულებრივ, ლექსიკური ერთეულის მორფემულ აკუბლებას ან მის ეტიმოლოგიას უკავშირდება. *ეტიმოლოგია* (ბერძნ. *etymologia; étymon* „ჭეშმარიტება“, *lógos* „სიტყვა“, „მოძღვრება“) არის ცალკეული სიტყვის წარმოქმნის ისტორია; იგივე ტერმინი იხმარება ამ ისტორიის შემსწავლელი დისციპლინის მიმართ.

გამჭვირვალე შინაფორმა იწვევს ასოციაციურ, ხატოვან წარმოდგენებს, ასახავს სინამდვილის გაგებას, შეფასებას ენობრივი კოლექტივის ან ინდივიდის მიერ.

ამგვარად, ლექსიკური ერთეულის შინაფორმაში ხდება მითითება იმ მიზეზზე, რომელმაც განაპირობა მოცემული მნიშვნელობის გამოსატყვა ბგერათა მოცემული კომბინაციით. ეს მიზეზი, ჩვეულებრივ, შემთხვევითია. სახელდების ნიშნის არჩევასას გარკვეულ როლს თამაშობს ტრადიცია და პრაგმატიკული ფაქტორი, კერძოდ, აღსანიშნი ობიექტისადმი, დენოტატისადმი დამოკიდებულება, რაც განსაზღვრავს სიტყვის კონოტაციას.

ისტორიული გარდაქმნების შედეგად ლექსიკური ერთეულის შინაფორმა შეიძლება დაიჩრდილოს ან სრულიად დაიკარგოს. მაშინ იგი სიგნიფიკატში აღარ შეიგრძნობა.

თანამედროვე ენებში ახალ ობიექტთა სახელდებისათვის, როგორც წესი, უკვე არსებულ ლექსემათა ფონემური გარსი გამოიყენება, ე.ი. რეალობა მოტივირებული ნიშნების საშუალებით გამოიხატება. ამ მოვლენას *მეორეული ნომინაცია* ეწოდება. მისი შედეგი აღიქმება როგორც შინაარსითა და ფორმით მოტივირებული ერთეული. მეორეული ნომინაცია ხორციელდება სიტყვაწარმოების ან სემანტიკური გარდაქმნის გზით. ამ



უკანასკნელ შემთხვევაში ლექსიკური ერთეულის მატერიალური სახე არ იცვლება.

ნებისმიერი ლექსემისა და შესიტყვების მნიშვნელობა ენობრივად მოტივირებულია, დაკავშირებულია ამ ენის სხვა ერთეულთა მნიშვნელობებთან. კერძოდ, ლექსემურ მოტივაციას საფუძვლად უდევს მოცემული ლექსემის სხვა ლექსემებთან მიმართება შინაარსის პლანში; სიტყვაწარმოებითი მოტივაცია განპირობებულია ლექსემის დერივაციული სტრუქტურით (მაგალითად, მთავორიანი ლექსემის მნიშვნელობა მოტივირებულია მასში შემაჯავალ მორფემათა მნიშვნელობებით); სემანტიკური მოტივაცია გულისსმობს ლექსიკური ერთეულის გადატანითი მნიშვნელობის განპირობებულობას მისი პირდაპირი მნიშვნელობით.

შეიძლება გამოვყოთ ორი ტიპის მეორეული ნომინაცია — აგტონომიური და არააგტონომიური (ირიბი). პირველი ხორციელდება ერთი ლექსემის ბაზაზე, მაგალითად: შინდი „ხე“ > „ნაყოფი“, საღამო „დღეღამის პერიოდი“ > „კონცერტი“. არააგტონომიური ნომინაციის დროს ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა განისაზღვრება მხოლოდ სხვა, სემანტიკურად საყრდენ ლექსემებთან თანახმარებისას. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ თბილი („გულითადი“) ისეთ შესიტყვებებში, როგორც არის თბილი მისაღმება, თბილი მიღება და მისთ.

5.3. შინაფორმას უკავშირდება ხალხური ეტიმოლოგიის მოვლენა — ლექსემის მნიშვნელობის გარდაქმნა მისი შინაფორმის მცდარი აღდგენის შედეგად. ხალხური ეტიმოლოგია ზოგჯერ იწვევს ლექსემის ფონემური გარსის გარდაქმნას სხვა ლექსემასთან მისი დაახლოების მიმართულებით, თუ ეს ორი ლექსემა მონათესავედ აღიქმება მათი ფდერადობის, შინაარსობრივი მსგავსების ან სხვადასხვაგვარი ასოციაციის საფუძველზე. განსაკუთრებით ხშირია ნასესხები ლექსემების მკვიდრ ერთეულებთან არასწორი დაკავშირება, მაგალითად: გულაგკა < რუს. булавка „ქინძისთავი“ — გული ლექსემასთან ასოციაციით; ზურგ ზაკი < გერმ. Rücksack „ზურგჩანთა“ — ზურგი ლექსემასთან დაახლოების გამო. ხალხური ეტიმოლოგიის შედეგად არის მიღებული: საპონელა < საპონელა — მცენარის სახელწოდება (დასრესისას საპონივით ქაფდება); რუს. полуклиника < поликлиника „პოლიკლინიკა“ (შდრ. რუს. полу- „ნახევრად“); ფრ. cachalot „კაშალოტი“ (<პორტუგალიური cachalotte „დიდთავიანი თევზი“) გაგებულია როგორც cache-à-l'eau „დამალე წყალში“ და სხვ.

5.4. სამყაროში არსებულ რთულ და მრავალფეროვან მიმართებებს აზროვნებაში ცნებებს შორის ასოციაციური კავშირების სახე აქვს. მსგავს მიმართებებს ამყარებენ ერთმანეთთან ენობრივ ერთეულთა ლექსიკური მნიშვნელობებიც. ენასა და მეტყველებაში ლექსემათა მუდმივი ურთიერთქმედების შედეგად ხდება ლექსიკური მნიშვნელობების სახეცვლა, რასაც განაპირობებს ამ უკანასკნელთა არამკაფიო საზღვრები და აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის მოძრავი კავშირი. ცვლილებები ლექსიკურ მნიშვნელობაში შეიძლება ოდნავ შესამჩნევი იყოს, ზოგჯერ — ინდივიდუალურიც, ე.ი. ისინი შეიძლება თავს იჩენდეს მხოლოდ მეტყველებაში. ასეთ შემთხვევაში მათ ლექსემის მხოლოდ განსაკუთრებული ხმარება მოჰყვება. თუ გარკვეულ კონტექსტებში სიტყვის მნიშვნელობაში მომხდარი ცვლილებები დამკვიდრებულია ენაში (განსაკუთრებით, სახელდების მსრივ არსებითი განსხვავების შემთხვევაში), საქმე გვაქვს *ლექსიკური მნიშვნელობის ცვლასთან, გარდაქმნასთან*. ასეთი გარდაქმნის დროს ლექსემამ შეიძლება დაკარგოს ზოგიერთი სემანტიკური კომპონენტი ან ახალი შეიძინოს; მაშინ მისი ინტენსიონალი შეიცვლება, რის შედეგადაც წარმოიქმნება ერთი ვოკაბულის სხვადასხვა ლექსემა, რომელთა მნიშვნელობებს საერთო ნაწილი ექნება (თუმცა, ზოგჯერ მისი გამოყოფა გაძნელებულია). ამ მოვლენას *ლექსიკური პოლისემია* (ბერძნ. *polysemos* „მრავალმნიშვნელობიანი“) ანუ *ლექსიკური მრავალმნიშვნელობიანობა* ეწოდება. პოლისემიურია, საზოგადოდ, ნებისმიერი ენობრივი ერთეული, რომელსაც ერთზე მეტი დენოტატი შეესაბამება. მრავალმნიშვნელობიანობას განაპირობებს ენის შინაარსისა და გამოხატულების პლანს შორის არაცალსახა დამოკიდებულება. ვოკაბულათა უდიდესი ნაწილი ერთზე მეტი ლექსემით არის წარმოდგენილი.

ამგვარად, ლექსიკური პოლისემია გულისხმობს ერთი ვოკაბულის ფარგლებში სხვადასხვა ლექსემის არსებობას. შეიძლება ითქვას, რომ *პოლისემიურ ლექსიკურ ერთეულს* უნარი აქვს აღნიშნოს მონათესავე ცნებები. პოლისემიური ვოკაბულა სემანტიკურად მონათესავე ლექსემების მიკროსისტემაა. ამ ლექსემებს აქვთ საერთო სემანტიკური კომპონენტი, რომელიც მათ საგრძნობ სემანტიკურ ნათესაობას აფიქსირებს — მას *არატრივიალური საერთო სემა* ეწოდება. ეს კომპონენტი მონათესავე ლექსემებს შეიძლება ჰქონდეთ აღსანიშნში ან კონოტაციაში. უნდა ითქვას, რომ სემანტიკურად არამონათესავე ლექსემებსაც შეიძლება აღმოაჩნდეს საერთო სემა, რადგან ზოგიერთი სემანტიკური ელემენტი ძალიან ზოგადია (ეს ითქმის განსაკუთრებით *სემანტიკური პრიმიტივების* შესახებ); ამგვარი სემა *ტრივიალური* იქნება. ასე, მაგალითად, ლექსემებს *გემრიელი და მოკრძალებული* „თვისების“ საერთო სემანტიკური კომპო-

ნენტი აქვთ, მაგრამ ისინი მონათესავედ არ აღიქმებიან. სულ სხვა სახის სემანტიკური კავშირია, მაგალითად, *დაცვა* ვოკაბულის შემდეგ ორ ლექსემას შორის: *დაცვა*1 „ვიღაცის ან რაღაცის უსაფრთხოების უზრუნველყოფა“ და *დაცვა*2 „ადამიანთა ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ვიღაცის ან რაღაცის უსაფრთხოებას“. მოყვანილი ორი განმარტების საერთო ნაწილი არატრივიალურია.

პოლისემიური ვოკაბულა შეიძლება შემდგენაირად განვსაზღვროთ:

*A ვოკაბულა პოლისემიურია*, თუ მისი ნებისმიერი ორი  $a_i$  და  $a_j$  ლექსემისათვის მოიძებნება ისეთი  $a_1, a_2, \dots, a_k$  ლექსემები, რომ  $a_i$  ლექსემა სემანტიკურად მონათესავეა  $a_1$ -ისა,  $a_1 - a_2$ -ისა,  $\dots, a_k - a_1$ -ისა, ხოლო  $a_1 - a_j$  ლექსემისა.

არაპოლისემიურ ვოკაბულას *მონოსემიური, ერთმნიშვნელობიანი ვოკაბულა* ეწოდება. კონკრეტულ კონტექსტში პოლისემიური ვოკაბულა ვლინდება თავისი ერთ-ერთი ლექსემის სახით, რის გამოც მისი პოლისემია, ჩვეულებრივ, მოიხსნება (შდრ. *ტყის დაცვაზე ზრუნავენ* და *დაცვას მოუსმთ*).

პოლისემიურ ლექსიკურ ერთეულს აქვს *პირდაპირი (მთავარი, ძირითადი, პირველადი)* და *გადატანითი (წარმოქმნილი, მეორეული, მოტივირებული, ფიგურალური) მნიშვნელობები*. პირდაპირი მნიშვნელობა პარადიგმატული თვალსაზრისით უფრო მყარია და სინტაგმატურად ნაკლებშეზღუდული. ლექსიკური ერთეულის იზოლირებულად წარმოთქმისას ენის მფლობელის ცნობიერებაში პირველად სწორედ ეს მნიშვნელობა ჩნდება. იგი უშუალოდ მიემართება ცნებას, ხოლო გადატანითი მნიშვნელობა უკავშირდება როგორც ცნებას, ისე პირდაპირ მნიშვნელობას, იგი წარმოდგენათა ასოციაციის შედეგია. პირდაპირი მნიშვნელობის პოტენციური სემები გადატანით მნიშვნელობაში დიფერენციალური სემების სტატუსს იძენენ. მაგალითად, *მიდის* — *მიფრინავს* წყვილში ჰიპერსემია „მოძრაობა“, დიფერენციალური სემა — „გადაადგილების სახე“, ხოლო პოტენციური სემა — „გადაადგილების ტემპი“; *მიფრინავს* („მირბის“ მნიშვნელობით) ლექსემისათვის „გადაადგილების ტემპი“ უკვე დიფერენციალური სემაა.

გადატანითი მნიშვნელობა არ არის დამოუკიდებელი, იგი ყოველთვის მოტივირებულია პირდაპირი მნიშვნელობით. მაგალითად, *წინდის ყელი* შესიტყვებაში ლექსემა *ყელი* ცნებასთან მიმართებას ამყარებს *წინდა* ლექსემის მეშვეობით და ამავე დროს დაკავშირებულია ლექსემასთან *ყელი* „სხეულის ნაწილი“, რომელსაც პირდაპირი მნიშვნელობა აქვს.

პირდაპირი მნიშვნელობა შეიძლება იყოს მოტივირებული ან არამოტივირებული; მაგალითად, *წუთი, კატა, ძღერის, ნელი, ცოტა* ერთეულებს პირდაპირი მნიშვნელობები არამოტივირებულია — *წუთიერი, კატისებრი, მოძღერალი, შენელება, ეცოტაყა* ერთეულების პირდაპირი მნიშვნელობებისგან განსხვავებით. პირდაპირი არამოტივირებული მნიშვნელობის მქონე ლექსემები აღიქმება როგორც პირველადი; მათი მოტივირებულობის დადგენა ზოგჯერ შესაძლებელი ხდება მხოლოდ ეტიმოლოგიური (ისტორიული) კვლევის შედეგად.

მიმართება პირდაპირ და გადატანით მნიშვნელობებს შორის ყოველთვის უცვლელი როდია; დროთა განმავლობაში გადატანითი მნიშვნელობა შეიძლება პირდაპირ მნიშვნელობად იქცეს, პირდაპირი კი დაიკარგოს ან გადატანითი მნიშვნელობის სტატუსი შეიძინოს. ასე მაგალითად, *აღორძინება* ძველად „მცენარის ზრდა-განვითარებას“ ნიშნავდა, ამჟამად კი ეს ფონემათმიდევრობა სხვა აღსანიშნს უკავშირდება; ადრინდელი მნიშვნელობა დაიკარგა.

პოლისემიურ ლექსიკურ ერთეულს ისეთივე სტრუქტურა აქვს, როგორც სემანტიკურ ველს. კავშირები მნიშვნელობებს შორის აქაც რთული და გადახლართულია, გამოიყოფა ცენტრალური (პირდაპირი მნიშვნელობა) და პერიფერიული ნაწილი.

5.5. ლექსიკური მნიშვნელობა იცვლება კულტურულ-ისტორიული, ფსიქოლოგიური, შიდასისტემური და სხვა ფაქტორების ზეგავლენით. ასე, მაგალითად, თვით ენობრივ სისტემაში მოქმედი წესებით არის განპირობებული *ელიფსისის* (ბერძნ. *éllipsis* „გამოტოვება“, „ხარვეზი“) მოვლენა — ტექსტში ნაგულისხმევი ენობრივი ერთეულის გამოტოვების შედეგად ლექსემის სემანტიკური გარდაქმნა, მაგალითად: ქართ. *ქწევა* (*თამბაქოს*); რუს. *болтать языком* > *болтать* „ყბედობა“; ინგლ. *a cut price sale* > *a sale* „ფასდაკლებით გაყიდვა“; ფრ. *demande en mariage* > *demande* „ხელის თხოვნა“.

ფსიქოლოგიური ასოციაციებით არის განპირობებული, მაგალითად, სივრცითი და დროითი ცნებების გამოხატვა მონათესავე ლექსემებით: ქართ. *მოკლე დღე*, რუს. *около трех часов* „დაახლოებით სამი საათი“; ფრ. *vers la fin de l'été* „ზაფხულის ბოლოსთვის“; ინგლ. *long ago* „დიდი ხნის წინ“ და სხვ.

ლექსიკური მნიშვნელობის ცვლა დიაქრონიული მოვლენაა, მაგრამ ზოგიერთი მისი შედეგის განხილვა სინქრონიულ ასპექტშიც არის შესაძლებელი. მაგალითად, ის, რომ კულტურულ-ისტორიული ფაქტორის გავლენით ლექსემამ *სოფელი* „სამყაროს“ მნიშვნელობის გვერდით „და-

სახლებული ადგილის“ მნიშვნელობაც შეიძინა — წმინდა დიაქრონიული მოვლენაა; ასეთივეა *მკვირცხლი* „ქვეითად მიმავალი“ > „ცქვიტი“ სემანტიკური გარდაქმნა.

გადატანით მნიშვნელობათა გაჩენას საფუძვლად უდევს ცნებებს შორის ისეთი ლოგიკური მიმართებები, როგორიც არის: დაქვემდებარება (ჩართვა), თანხედრა/გადაწევა, კონტრადიქცია (წინააღმდეგობა), გადაჯაჭვა. ამ მიმართებებს შეესაბამება *ლექსიკური მნიშვნელობის გარდაქმნის ფორმები (ტიპები)*. დაქვემდებარების მიმართება იწვევს ლექსიკური მნიშვნელობის *დავიწროებას (სპეციალიზაციას)* ან *გაფართოებას (გენერალიზაციას)*. მნიშვნელობის დავიწროება გვაქვს ისეთ მაგალითებში, როგორიც არის: ქართ. *დარეკვა* (ტელეფონით); ფრ. place „ადგილი“ > „მოედანი“; რუს. ПОТОЛОК „ჭერი“ > „ფრენის სიმაღლის ზღვარი (ავიაციაში)“. მნიშვნელობის გაფართოება გვაქვს შემდეგ შემთხვევებში: ქართ. *ხომალდი* „დიდი ნავი“ > „დიდი საფრენი აპარატი“; ინგლ. a bank „ბანკი“ > „მარაგი“ (მაგალითად, a blood-bank „გადასასხმელი სისხლის მარაგი“); ფრ. patenôtre „მამაო ჩვენო“ (ლოცვა) > „ლოცვა“ და სხვ. კონოტაციის შემთხვევაში შეიძლება გვექონდეს მნიშვნელობის „გაუარესება“ ან „გაუმჯობესება“, მაგალითად, ინგლ. accident „შემთხვევა“ > „უბედური შემთხვევა“; ქართ. *ბედი* „განგება“ > „კარგი ხვედრი“.

**5.6. გადაჯაჭვის მიმართება** საფუძვლად უდევს ლექსიკური მნიშვნელობის გარდაქმნის ისეთ რეგულარულ ტიპებს, როგორიც არის *მეტაფორა* და *მეტონიმია*: ისინი მრავალ ენაში დასტურდება.

თავდაპირველად განვიხილავთ ლექსიკურ მნიშვნელობებს შორის არსებული კავშირების ორ სახეს — იმპლიკაციურ და კლასიფიკაციურ კავშირებს. *იმპლიკაციური კავშირები* წარმოადგენს ობიექტურ სინამდვილეში არსებული მიმართებების აზრობრივ ანალოგს, ხოლო *კლასიფიკაციური კავშირები* მყარდება ობიექტებს შორის არა რეალური მიმართებების, არამედ რაღაც თვისების მიხედვით მსგავსების, საზიარო ნიშნების საფუძველზე. „იმპლიკაციურია“, პირველ რიგში, მიზეზშედეგობრივი კავშირები, აგრეთვე კავშირები სივრცეში, დროში, მიმართება მთელსა და ნაწილს შორის და სხვ. მათი კერძო გამოვლინებაა *მეტონიმია* (ბერძნ. *metonymia* „სახელის გადარქმევა“) — სემანტიკური გარდაქმნა, რომლის დროსაც ხდება სახელწოდების გადატანა ერთი ობიექტიდან მუდმივად მის მომიჯნავე ან იმავე სიტუაციაში ჩართულ სხვა ობიექტზე (ზოგჯერ ამბობენ, რომ მეტონიმის დროს A ობიექტი გამოიხატება ისეთი B ობიექტის სახელით, რომელიც მოთავსებულია A ობიექტზე ან მის შიგნით). ეს შეიძლება იყოს: ჭურჭელი და მისი მოცულო-

ბა ან შიგთავსი (თლილი ჭიქა > წყალი ; რუს. НЛЮДО „სინი“ > „კერძი“), მასალა და ნაკეთობა [ოქრო (ლითონი) > „ოქროულობა“; ინგლ. tin „თუნუქი“ > „კონსერვის ქილა“], სოციალური მოვლენა და მისი მონაწილეები (შდრ. კრება შედგა და კრებამ მიიღო გადაწყვეტილება), მეცნიერების დარგი და მისი ობიექტი (ეტიმოლოგია), მოქმედება და მისი შედეგი (თამაში; ფრ. bâtiment „შენება“ > „შენობა“), ადგილი და მასთან დაკავშირებული მოვლენა ან პირები (მთელი ქალაქი ლაპარაკობს; ინგლ. bench „სკამი“ > „მოსამართლეები“, „სასამართლო“) და სხვ.

მეტონიმის ნაირსახეობაა *სინეკდოქე* (ბერძნ. *syn* „თან“, *déchomai* „ვიღებ“) — სახელწოდების გადატანა ნაწილიდან მთელზე, მაგალითად: *ხუთი ფრთა ქათამი*, რუს. *шляпа обернулась* „ქუდი (=ქუდიანი) მოტრიალდა“ (სინეკდოქესაგან უნდა განვასხვაოთ მხოლოდითი რიცხვის ფორმათა ხმარება განზოგადებული, ურეფერენტო მნიშვნელობით, მაგალითად, *ძაღლი ადამიანის მეგობარია*).

5.7. პლასიფიკაციური კავშირების ერთ-ერთი სახეა *ჰიპონიმი* (ბერძნ. *hypó* „ქვეშ“, *ónyma* „სახელი“) ანუ *გეარობით-სახეობითი კავშირი*, რომლის დროსაც ორი მნიშვნელობიდან ერთ-ერთი ჩართულია მეორეში და ჰიპერსემას წარმოადგენს. ჰიპონიმის იერარქიული მიმართებით დაკავშირებულ მნიშვნელობებს *ჰიპონიმი* და *ჰიპერონიმი* (ბერძნ. *hypér* „ზედ“) ეწოდება. იგივე ტერმინები იხმარება ამ ცნებების გამომხატველი ლექსემების მიმართ — ჰიპონიმი ასახავს სახეობით ცნებას, ხოლო ჰიპერონიმი — გეარობითს. საერთო ჰიპერონიმის შესაბამისი ჰიპონიმები ერთმანეთის მიმართ *კოჰიპონიმებს* (ლათ. *co-* „თან“) წარმოადგენენ. მაგალითად, *ენძელა, შროშანი, ია, ზამბახი* კოჰიპონიმებია, მათი ჰიპერონიმია *ყვავილი; მხედველობა, სმენა, ყნოსვა, შესება* კოჰიპონიმების ჰიპერონიმი არის *ფიზიკური აღქმა* და სხვ. თემატური ჯგუფები ძირითადად სწორედ ჰიპონიმის პარადიგმატულ მიმართებებს ეფუძნება. კოჰიპონიმები ანალოგების ტიპობრივი წარმომადგენლებია.

საერთო სემანტიკური ნაწილი მეტონიმის შემთხვევაში გადატანითი მნიშვნელობის ჰიპონიმია (გადატანითი მნიშვნელობის ჰიპერსემა პირდაპირი მნიშვნელობიდან მომდინარეობს), ხოლო ჰიპონიმის შემთხვევაში კოჰიპონიმებს საერთო ჰიპერსემა აქვთ; იგი ჰიპერონიმისა და ჰიპონიმების მნიშვნელობათა საზიარო ნაწილია.

ყველაფერი, რაც ითქმის გეარობით ცნებაზე, ვრცელდება სახეობით ცნებაზეც; ამით ეს მიმართება განსხვავდება სინეკდოქესაგან. მაგალითად, *სკოლა* არის *სასწავლებელი*, მაგრამ *კლასი* (სკოლის ნაწილი) არ არის *სკოლა* (მთელი). თუ კონტექსტი ორაზროვნებას წარმოშობს, მაშინ

ჰიპერონიმით ჰიპონიმის შენაცვლება (ვთქვათ, მონოტონურობის თავიდან აცილების მიზნით) არ შეიძლება. ასევე დაუშვებელია ამგვარი შენაცვლება იმ შემთხვევაში, თუ საზვასმულია ჰიპონიმის დიფერენციალური ნიშანი.

5.8. ტლასიფიკაციური კავშირების კიდევ ერთი გამოვლინებაა *მეტაფორა* (ბერძნ. *metaphorá* „გადატანა“). ამ გარდაქმნის დროს ხდება სახელწოდების გადატანა ობიექტთა ერთი კლასიდან რაღაც ნიშნით მის ანალოგიურ სხვა კლასზე (ეს ანალოგია შეიძლება იყოს მოლაპარაკის შთაბეჭდილების შედეგი). სწავგვარად რომ ვთქვათ, მეტაფორის დროს A მოვლენა ხატონად გამოისატება ისეთი B მოვლენის სახელით, რომელიც რაღაცით ჰგავს A-ს ან მოლაპარაკის მიერ აღიქმება როგორც A-ს მსგავსი. მაგალითად: ქართ. *(ფენსაცმლის) ქუსლი, ელვა* „შესაკრავი“; რუს. *тонкое замечание* „მოსწრებელი შენიშვნა“ (*тонкий* „წვრილი“), *тупая боль* „ყრუ ტკივილი“ (*тупой* „ბლაგვი“); ინგლ. *finger* „თითი“ > „საათის ისარი“, *haven* „ნავსაყუდელი“ > „თავშესაფარი“; ფრ. *choquer* „დარტყმა“, „ბიძგება“ > „მოკირება“, *cône* „კონუსი“ > „გირჩა“ და სხვ.

მეტაფორის დროს ცვლადია გადატანითი მნიშვნელობის როგორც ჰიპოსემა (ამას მეტონიმის დროსაც აქვს ადგილი), ისე ჰიპერსემა. ეს უკანასკნელი, ისევე როგორც მეტონიმის შემთხვევაში, მომდინარეობს „ამოსავალი“ მნიშვნელობიდან, ხოლო საზიარო ნაწილს გადატანითი მნიშვნელობის ჰიპოსემა წარმოადგენს.

მეტყველებაში ლექსემის ხმარებას უკავშირდება მეტაფორების ორი ჯგუფად — *ინდივიდუალური* და *ენობრივ მეტაფორებად* დაყოფა.

*ინდივიდუალური (საავტორო) მეტაფორა* არ შედის ენობრივ სისტემაში; იგი ინდივიდუალური შემოქმედების შედეგს წარმოადგენს (მაგალითად, *გალაქტიონის* ლექსის სახელწოდება „*მოეზის ინტეგრალები*“ საავტორო მეტაფორაა).

*ენობრივი* (საყოველთაოდ გავრცელებული) *მეტაფორა* იქმნება მაშინ, როდესაც სიტყვა რეგულარულად იხმარება გადატანითი მნიშვნელობით. ასე, მაგალითად, მრავალ ენაშია გავრცელებული ცხოველთა აღმნიშვნელი სიტყვების გამოყენება ადამიანთა დასახასიათებლად („*მდრ. ბატა, ჯეირანი, დათვი, თხა, ვირი* და სხვ.).

ძველი მეტაფორები, ჩვეულებრივ, კარგავენ ექსპრესიულობას, ორიგინალურობას და მეტაფორებად აღარ აღიქმებიან. ასეთი „გაცვეთილი“ მეტაფორებია, მაგალითად, *ამყარებს (კავშირს), უსახსრივ* („უფულოდ“), *გადაღება (სურათის)* და მრავალი სხვა. ასეთივე მოვლენასთან

გვაქვს საქმე სივრცითი და დროითი ცნებების მონათესავე ლექსემებით გამოხატვის შემთხვევებში.

იმის გამო, რომ ცნებებს შორის კავშირები ერთმანეთთან არის გადახლართული და ასოციაციები ცნობიერებაში ძალიან მრავალფეროვანია, ზოგჯერ გვსვდება გარდამავალი შემთხვევები მეტაფორასა და მეტონიმიას შორის. ამ ორი გარდაქმნის დაპირისპირებისას აღნიშნავენ, რომ მეტაფორა წარმოადგენს სემანტიკურად განსხვავებულ ენობრივ ნიშანთა შენაცვლებას ერთნაირ სინტაქსურ პოზიციებში — მაშასადამე, იგი პარადიგმატიკას განეკუთვნება, ხოლო მეტონიმია არის თვით პოზიციის შეცვლა, ე.ი. სინტაგმატური მოვლენა სემანტიკაში.

მეტაფორა და მეტონიმია *მეტყველების ფიგურები* ანუ *ტროპები* (ბერძნ. *τρόπος* „საქცევი“). ტროპები წარმოადგენენ მეტყველების ხატოვანებისა და მისთვის გამომხატველობის მინიჭების მიზნით ენობრივ ერთეულთა გადატანითი მნიშვნელობით ხმარების შემთხვევებს. მათ საფუძვლად უდევს ენის ორპლანიანობა.

## 6. ლექსიკური ომონიმია

6.1. მორფემული ანალიზის პრინციპების განხილვისას ჩვენ შევეხეთ ჰომოფონურ მორფებს, რომლებიც ერთნაირი გამომხატულებითა და განსხვავებული მნიშვნელობებით ხასიათდება. ერთნაირი ბგერითი ფორმის მქონე ენობრივ ერთეულებს, რომლებიც ერთმანეთთან მნიშვნელობებით არ არიან დაკავშირებულნი, *ომონიმები* ეწოდება, ხოლო სათანადო მოვლენას — *ომონიმია* (ბერძნ. *homonymia*, *hómōs* „ერთნაირი“, *ónyma* „სახელი“). აქ, ცხადია, საუბარია ერთი ენობრივი სისტემის ერთეულებზე და არა, ვთქვათ, ქართ. *მამა* — რუს. *мама* [máma] „დედა“ ტიპის ბგერით დამთხვევებზე.

*ლექსიკური ომონიმია* (საკუთრივ ომონიმია) გვაქვს, როდესაც გამომხატულების პლანში, კერძოდ, უღერადობითა და გრაფიკულად, ერთმანეთს ემთხვევა ორი ლექსემა, რომელთაც არატრივიალური საერთო სემები არ გააჩნიათ. ლექსიკური *ომონიმია სრულია*, თუ ომონიმების ფუძეები ერთსა და იმავე სტრუქტურულ კლასს (მეტყველების ნაწილს) განეკუთვნება და თუ ეს ლექსემები მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს გამომხატულების პლანში. ასეთია, მაგალითად, ქართ. *ჯაბი* „ღრმა ჭურჭელი“ და „მიმატების შედეგი“, *ბანი* „შენობის სახურავი“, „დაბალი ხმა“ და „ქართული ანბანის მეორე ასო“; რუს. *брак* „წუნი“ და „ქორწინება“, *пук* „ხახვი“ და „მშვილდი“; ინგლ. *present* „დამსწრე“ (აგრეთვე „აწმყო“) და „საჩუქარი“, *plane* „სიბრტყე“, „თვითმფრინავი“ და „ჭადარი“; ფრ. *se-*



cond „მეორე“ („სხვა“) და „წამი“ (აგრეთვე „სეკუნდანტი“), grève „ქვი-  
შიანი ნაპირი“ და „გაფიცვა“ და სხვ.

ნაწილობრივი თმონიშები ანუ ჰომოფორმები გვაქვს მაშინ, როდესაც ერთმანეთს ემთხვევა ორი ლექსემის ცალკეული სიტყვაფორმები; ამ სიტყვაფორმების ფუძეები, ჩვეულებრივ, სხვადასხვა სტრუქტურულ კლასს განეკუთვნება და ასეთ შემთხვევაში მათ ლექსიკურ-გრამატიკულ თმონიშებს უწოდებენ. ჰომოფორმებია, მაგალითად, ქართ. წეროს — წერა ზმნისა და წერო სახელის ფორმები, მოდის — მოდა სახელისა და მოსვლა ზმნის ფორმები; რუს. стих „ლექსი“ და „დაწყნარდა“; ინგლ. saw „ხერხი“ და „დაინახა“; ფრ. être „ზაფხული“ და „ყოფნა“ ზმნის მიმ-  
ლეობა. ზოგჯერ ჰომოფორმებად ითვლება აგრეთვე სინტაქსური კონ-  
ფერსიის მიმართებაში მყოფი ლექსემები, მაგალითად: მატარებელი — მიმლეობა და არსებითი სახელი, ღამე — არსებითი სახელი და ზმნიშედა.

სინტაქსური კონფერსია განსაკუთრებით დამახასიათებელია ინგლისუ-  
რი ენისათვის. იგი დასტურდება ისეთ მაგალითებში, როგორიც არის: silver „ვერცხლი“ და „მოვერცხვლა“, address „მისამართი“ და „მიმართ-  
ვა“, „გაგზავნა“; ამ ტიპის მიმართება გვაქვს აგრეთვე ფრ. dîner „სადი-  
ლი“ და „სადილობა“, bien „კარგად“ და „დოვლათი“ და სხვა მაგალი-  
თებში.

თუ ლექსიკური თმონიშები სხვადასხვაგვარად იწერება, მათ ჰომო-  
ფონები ეწოდება. ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ სრულ ან ნაწილობ-  
რივ თმონიშებს. ჰომოფონებია, მაგალითად, რუს. пруд „ტბორი“ და прут „წნელი“, „ჩხირი“ — [prut], гриб „სოკო“ და грипп „გრიპი“ — [gr'ip]; ინგლ. week „კვირა“ და weak „სუსტი“ — [wi:k], plum „ქლიაფი“  
და plumb „შვეული“ — [plʌm]; raise „აწევა“ და rays „სხივები“ — [reiz]; ფრ. pot „ქოთანის“ და peau „კანი“, „ტყეაფი“ — [po], cher „ძვირფასი“, chair „სხეული“, „ხორცი“ და chaire „კათედრა“ — [ʃɛ:r]. მსგავსი მაგალითები მრავლად არის თანამედროვე ინგლისურსა და ფრანგულში.

ზოგიერთ ენაში არსებობს ჰომოგრაფები (ბერძნ. *hómos* „ერთნაირი“, *gráphō* „გწერ“) — სიტყვაფორმები, რომლებიც ერთნაირად იწერება, მაგრამ განსხვავებული ბგერითი სახე აქვთ; მაგალითად: ინგლ. lead [li:d] „ხელმძღვანელობა“, „ინიციატივა“, [led] „ტყეაფი“, tear — [tiə] „ცრემლი“, [tɛə] „დახევა“ და სხვ. ჰომოგრაფებია მახვილის ადგილით განსხვავებული ისეთი ლექსემებიც, როგორიც არის რუს. замо́к „კლიტე“ — замо́к „ცხიხე-სიმაგრე“, труси́ть „ბერტყეა“ — тру́сится „ლაჩრობა“, „შიში“.

როდესაც ერთი ლექსემის ცალკეული ლექსები ერთმანეთს ემთხვევა გამოსატყულების პლანში (ფონეტიკურად), შეიძლება ვილაპარაკოთ *გრამატიკული ომონიმიის* შესახებ. ასეთია, მაგალითად, ქართულში სმოვანფუძიან *უკვეცელ* სახელთა მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმები (*ერბოს, ცისარტყელას, ელენეს*); რუს. книги „წიგნები“ და „წიგნისა“, [m'éstə] — место „ადგილი“ და места „ადგილისა“; ინგლ. [kæts] — cats „კატები“, cat's „კატისა“ და cats' „კატებისა“ და სხვ.

ომონიმები შეიძლება გაჩნდეს სხვადასხვა ენიდან ნასესხები ან საკუთარი ლექსიკური ერთეულების შემთხვევითი ბგერითი დამთხვევის შედეგად; აგრეთვე ისტორიული ფონეტიკური ცვლილებების, ან პოლისემიური ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობათა ურთიერთდაშორების, მისი სემანტიკური „გასღეჩის“ შედეგად. მაგალითად: ბარი — „დაბლობი“, „მიწის სათხრელი იარაღი“, „რესტორანი“ და „ატმოსფერული წნევის ერთეული“ — ბოლო ორი ნასესხებია; რუს. шип „ეკალი“ და „შიშინი“ — ამ შემთხვევაში სმაბაძვითი ლექსემა დაემთხვა არასმაბაძვითს.

6.2. მანსაკუთრებით რთულია პოლისემიისა და ომონიმიის გამიჯვნის საკითხი; ამ მხრივ ლექსიკონებიც ხშირად არაერთგვაროვან სურათს გვიჩვენებენ. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ დისტრიბუციული კრიტერიუმის გამოყენებაზე მსგავსი მნიშვნელობების მქონე მორფების სტატუსის დადგენასთან დაკავშირებით და აღვნიშნეთ, რომ კონტრასტული დისტრიბუციის შემთხვევაში უნდა დავუშვათ ჰომოფონური მორფების არსებობა (მაგალითად, *თვალ-ი* „მხედველობის ორგანო“ და „ბორბალი“), მაგრამ ამ კრიტერიუმის გამოყენებით გადაწყვეტილების ერთმნიშვნელოვნად მიღება ზოგჯერ ვერ ხერხდება. იგივე ითქმის სემანტიკური კრიტერიუმის შესახებ, რომლის მხედვით, ომონიმების ლექსიკურ მნიშვნელობებში არატრივიალური საერთო სემები არ უნდა შედიოდეს.

ომონიმები ხშირად ორანროვნების წყაროა. მათი დიფერენცირების საშუალებები შეიძლება იყოს გრაფიკული, გრამატიკული, ფონემური და სხვ. მაგალითად: ფრ. ou „თუ“, „ან“ — où „სად“, „სადაც“, a „აქვს“ — à (წინდებული); ქართ. *თვალის* და *თვლის* („ბორბლის“); ფრ. la page „გვერდი (ნაწერისა)“ და le page „მსახური“, „პაუი“ (პირველი ლექსემა მდებარეობითი სქესისაა, მეორე — მამრობითისა); ინგლ. to lie „წოლა“ — lay „იწვა“, lain „დაწოლილი“ და to lie „მოტყუება“ — lied „მოიტყუა“; „მოტყუებული“.

6.3. იუ ლექსემებს მსგავსი, მაგრამ არაიდენტური გამოსატყულება და განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ, მათ *პარონიმები* (ბერძნ. *pará* „ას-

ლოს“, *ошибка* „სახელი“) ეწოდება. მეტყველებაში ასეთ ლექსემებს, როგორც წესი, შეცდომით, უფრო იშვიათად კი საგანგებოდ აახლოებენ. ზოგიერთი მათგანი ერთსა და იმავე იდეოგრაფიულ ვგუფში შედის. როგორც შეცდომების წყარო, პარონიმები საინტერესოა მეტყველების კულტურის სპეციალისტებისათვის. ხშირია, მაგალითად, ისეთ ლექსემათა აღრევა, როგორიც არის: *აღქმა* და *აღთქმა*, *სწიორედ* და *სწორად*, *ცნება* და *მცნება*, *კომპანია* და *კამპანია*, *პენალი* და *პენალტა* რუს. *надеть* „ჩაცმა“ (არაკაუსატიური) და *одеть* „ჩაცმა“ (კაუსატიური), *советник* „მრჩეველი (წოდება)“ და *советчик* „რჩევის მიმცემი“. ეს შემთხვევები *ხალხურ ეტიმოლოგიას* ენათესავება.

პარონიმების გვერდიგვერდ ხმარების სტილისტურ ხერხს *პარონომაზია* ეწოდება. მსატვრულ შემოქმედებაში ომონიმია და პარონომაზია „სიტყვათა თამაშის“, ზმის (კალამბურის) საფუძველია. კალამბური გვაქვს ისეთ მაგალითებში, როგორიც არის: *ჩვენ უჩინონი, ჩვენ უჩინონი / თქვენ, ჩინიანთა, ბუზად გგონივართ (იღია ჭაჭაჭაგაძე)*; გერმ. *Kümmert sich mehr um den Krug, als den Krieg* „უფრო მეტად ზრუნავს კათხაზე, ვიდრე ომზე“ (*ფრიდრიხ შილერი*); იტალ. *traduttore – traditore* „მთარგმნელი — მოღალატე“; რუს. *Инфарт: факты и факторы* „ინფარქტი: ფაქტები და ფაქტორები“ (საგასუთო სათაური).

პოეზიაში ომონიმები საფუძვლად ედება ე.წ. მაჯამურ რითმებს, მაგალითად: *ამნაირი დარებით / კიდით-კიდე დარებით, / ფერის ფერთან დარებით / შენობების შენება (გალაკტიონ ტაბიძე)*.

## 7. ლექსიკური სინონიმია. სინონიმური რიგები

7.1. *სინონიმის* (ბერძნ. *synonymia* „თანამოსახელობა“) მოვლენა ახასიათებს მსგავსი ან იდენტური მნიშვნელობების მქონე ენობრივ ერთეულებს. სინონიმია ეკვივალენტობის მიმართების ნაირსახეობაა; იგი ენობრივ ერთეულებს კლასებად ყოფს.

*ლექსიკური სინონიმები* ერთი და იმავე დისტრიბუციული კლასის ისეთი ლექსემებია, რომელთა ლექსიკურ მნიშვნელობებს საკმარისად დიდი საერთო ნაწილი აქვთ; ისინი მსგავსი ან იდენტური სემანტემებით აღიწერება (სინონიმებს ხშირად განსაზღვრავენ როგორც საერთო საგნობრივი მიმართების, ანუ ერთი და იმავე დენოტატის მქონე ლექსემებს, ერთი და იმავე ფაქტის სხვადასხვა სახელწოდებას). სინონიმები შეიძლება ურთიერთშენაცვლებადი იყოს, ე.ი. მათ შორის განსხვავებები შეიძლება ნეიტრალიზაციას განიცდიდეს გარკვეულ პოზიციებში, მაგრამ, საზოგადოდ, სინონიმია ურთიერთშენაცვლებადობას აუცილებლობით არ გულისხმობს;

ამ უკანასკნელს ზოგჯერ ლექსემათა თანახმარების წესები ზღუდავს. ასე, მაგალითად, ლექსიკური შეუთავსებლობა გვაქვს \**ექიმად შრომობს*, \**ჰიპოთეზა ააშენა* (შდრ. *ექიმად მუშაობს*, *ჰიპოთეზა ააგო*) შესიტყვებებში.

ლექსიკური სინონიმები ქმნიან მიკროსისტემებს — *სინონიმურ რიგებს*. ლექსიკურ ერთეულთა ეს მცირე დაჯგუფებები გამოიყოფა პარადიგმატული მიმართებების, კერძოდ, თანაბარმნიშვნელობიანობის საფუძველზე. ომონიმიის შემთხვევაში განმსაზღვრელია გამოხატულება, აქ — შინაარსი.

სინონიმური რიგები განსხვავებული რაოდენობის ელემენტების შემცველი სისტემებია. ერთ-ერთ ლექსემას რიგში *დომინანტის* სტატუსი აქვს; ოგი გამოირჩევა ტექსტში ყველაზე უფრო მაღალი სიხშირით, ყველაზე უფრო ფართო მნიშვნელობით (ე.ი. უფრო დიდი ექსტენსიონალით), სტილისტურად და პრაგმატიკულად მაქსიმალურად ნეიტრალურია. მაგალითად, *უყურებს*, *უცქერს*, *უშხერს*, *უჭვრეტს*... სინონიმურ რიგში დომინანტაა *უყურებს*; *დრო*, *ჟამი*, *ხანი*, *დროება*... რიგში დომინირებს *დრო* და სხვ.

ჩვეულებრივ განარჩევენ *იდეოგრაფიულ (სემანტიკურ)* და *სტილურ (სტილისტურ)* სინონიმებს. *სემანტიკური სინონიმები* ერთმანეთისაგან ჰიპოსემებით განსხვავდება; კერძოდ, ეს შეიძლება იყოს განსხვავება აღსანიშნი ცნების მოცულობაში, თვისების გამოვლენის ხარისხში და სხვ., მაგალითად: *მიაქვს* — *მიათრევს*, *დნობა* — *ლღობა*. ქვემოთ მოგვყავს იდეოგრაფიული სინონიმების მაგალითები სხვადასხვა ენიდან:

*ტება*, *მტვრევა*, *მსვრევა*, *ლეწა*; *სიცოცხლე*, *ცხოვრება*; ინგლ. large, broad „ფართო“, „განიერი“; begin, start „დაწყება“, learn, study „შესწავლა“, „სწავლა“; ფრ. appeler, mander „მოხმობა“, „გამოძახება“; haine, répugnance „სიძულვილი“, „ზიზღი“; obliger, forcer „იძულება“; რუს. поляна, лужайка „მდელო“, смелый, храбрый „მამაცი“, „გამბედავი“.

სტილური (სტილისტური) სინონიმები ერთმანეთისაგან განსხვავდება კონოტაციით — დადებითი ან უარყოფითი შეფასებით, ან იმით, რომ ლექსიკის სხვადასხვა სტილისტურ ფენას (სასაუბროს, სამეცნიეროს, ოფიციალურ-საქმიანს და მისთ.) განეკუთვნება. შესაბამისად, გამოიყოფა *ემოციურ-შეფასებითი* და *საკუთრივ სტილური სინონიმები*, მაგალითად: *გაქრობა*, *აორთქლება*; *ხანდაზმული*, *ბებრუცუნა*; ინგლ. bird, birdie „ჩიტა“, „ჩიტუნა“, owner, master „პატრონი“, მფლობელი“; ფრ. imiter, singer „მიბაძვა“; რუს. план, проект „გეგმა“, „პროექტი“. სხვადასხვა სტილურ ფენას განეკუთვნება, მაგალითად: *ტანსაცმელი*, *სამოსი* ინგლ.

leave, abandon „დატოვება“, „მიტოვება“, child, kid „ბავშვი“, suggest, propose „შეთავაზება“; ფრ. entier, intégral „მთელი“, „მთლიანი“, visage, museau „სახე“, „სიფათი“ (აქ გვაქვს შეფასებითი კომპონენტიც); რუს. ЗНАТЬ, ВЕДАТЬ „ცოდნა“, ГЛАЗА, ОЧИ „თვალები“ და სხვ.

სინონიმების ამგვარ ჯგუფებად დაყოფა პირობითია; არსებობს *სემანტიკურ-სტილური სინონიმებიც*, მაგალითად: *თანამდებობა*, *პოსტინგლ.* mistake, slip „შეცდომა“, „წამოცდენა“; რუს. НАПИТОК, ПИТЬЕ „სასმელი“, „დასალევი“; ფრ. beau, bath „მშვენიერი“, „გადასარევი“. ერთსა და იმავე სინონიმურ რიგში ხშირად გვხვდება როგორც სემანტიკური, ისე სტილური სინონიმები.

აღნიშნული განსხვავების გარდა, სინონიმები ერთმანეთისგან შეიძლება განსხვავდებოდეს გრამატიკული თავისებურებებით, ხმარების სიხშირით და სხვ. მაგალითად, ინგლისური colours „დროშა“, „ალამი“ განსხვავდება სინონიმური banner ლექსემისაგან იმით, რომ იგი უბრატესად მრავლობითი რიცხვის ფორმით იხმარება; რუს. ПЕРЕВОЗМОЧЬ „დაძლევა“ და მის სინონიმს СПРАВИТЬСЯ განსხვავებული აქტანტური სტრუქტურა აქვთ; ქართული ლექსემა *ჩიბუხი* უფრო მაღალი სიხშირით ხასიათდება, ვიდრე მისი სინონიმი *ყალონი*. სინტაგმატური ნიშნებით (ლექსიკურ-სემანტიკური შეთავსებადობით) განსხვავდება ერთმანეთისაგან შემდეგი ლექსემები: *ნაცრისფერი, რუხი, ყომრალი, ლევა* (ასე, მაგალითად, *პური* ლექსემასთან ამათგან შეთავსებადია მხოლოდ *რუხი*). იგივე ითქმის *შუშა* და *მინა* ლექსემებზეც (მაგალითად, *ლაშქის შუშა* და არა: \**ლაშქის მინა*).

გვერდოვერდ ხმარებისას სინონიმები ხშირად დამაწუსტებელ როლს ასრულებენ, მრავალმხრივ ახასიათებენ ცნებას. სინტაგმატური თვალსაზრისით სინონიმთა შესწავლისას საყურადღებოა კონტექსტის ორი ფუნქცია — სინონიმებს შორის განსხვავების ნეიტრალიზაციისა და მათი დიფერენციაციის ფუნქციები. შდრ., მაგალითად, *ადამიანს ჭირი და ვარამი ალაპარაკებს (ილია ჭავჭავაძე)* და *სიცილი ხარხარად გადაიქცა (მიხეილ ჯავახიშვილი)*.

ფართო გაგებით, ერთმანეთს სინონიმური შეიძლება იყოს ლექსემები და ფოურალური გამოთქმები, მაგალითად: *იფად — ჩალის ფასად*, რუს. кров — крыша над головой „თავშესაფარი“; ფრ. se retirer — battre en retraite „უკან დახევა“; ინგლ. to listen, to hear — to give ear (to) „მოსმენა“, „ყურის დაგდება“.

ლექსემები, რომელთა კოგნიტიურ მნიშვნელობებში ურთიერთგამომრიცხავი სემები შედის (მაგალითად, *ძილი* და *თვლემა*), სინონიმებად არ მიიჩნევა.

7.2. მნიშვნელობათა სიახლოვის მიხედვით ტრადიციულად განარჩევენ *სრულ (აბსოლუტურ) სინონიმებს* ანუ *ლექსიკურ დუბლეტებს*, რომლებიც ურთიერთშენაცვლებადია ყველა კონტექსტში და ერთმანეთს ემთხვევა მნიშვნელობის მთელი მოცულობით, და — *ნაწილობრივ (შეფარდებით) სინონიმებს*. დუბლეტები უმთავრესად პარალელურად სმარებულ ტერმინებს ან საერთო ძირისა და სინონიმური აფიქსების შქონე ლექსემებს წარმოადგენენ. მათ შორის ხშირია ნასესხები და პკვიდრი ლექსემები. დუბლეტებია, მაგალითად, *ორთიოგრაფია — მართლწერა, შემოწმება — კონტროლი, აფიქსალური — აფიქსური*. ერთი ვოკაბულის ლექსემები, როგორც წესი, სხვადასხვა სინონიმურ რიგებში შედიან, მაგალითად: *მწარე — ცხარე (კერძი), მძიმე (ხვედრი), ავი, ბოროტი (ენა)*. ამგვარი რიგების სიმრავლეს *სინონიმურ ბუდეს* უწოდებენ.

ზოგიერთი ლექსიკური ერთეული სინონიმურია მხოლოდ ერთ კონტექსტში (ე.წ. *კონტექსტური სინონიმები*). ისინი ხშირად კორეფერენტული სახელებია (მაგალითად, *ვაჟა-ფშაველას „ჩნიკეთა ქორწილში“ არწივი და მეფე*). მსგავსი ერთეულები ენობრივ სისტემაში სინონიმებს არ წარმოადგენენ, აქ საქმე გვაქვს არარეგულარულ მიმართებებთან.

საინტერესოა *ტაბუს* ანუ *კრძალულობის* შედეგად მიღებული სინონიმები. *ტაბუ* (პოლინეზიური წარმომავლობის ტერმინი, ინგლ. *taboo*) არის გარკვეულ გამონათქვამთა სმარების აკრძალვა. ეს მოვლენა უკავშირდება რწმენას, თითქოს ენამ შეიძლება უშუალო შემოქმედება მოახდინოს გარესამყაროზე, შეცვალოს იგი. ფაქტობრივად, ტაბუ გულისხმობს საგნის გაიგივებას ლექსიკურ მნიშვნელობასთან. განსაკუთრებით ხშირად იკრძალება საკუთარი სახელები, საშიშ ან პატივსაცემ, წმინდა ობიექტთა და მოვლენათა აღმნიშვნელი ლექსემები. ტაბუირებული ნიშნიდან აკრძალვა შეიძლება გავრცელდეს ფონეტიკურად მის მსგავს ნიშნებზეც.

მოლაპარაკისათვის არასასურველი ერთეულის ნაცვლად, ჩვეულებრივ, სხვა ენობრივი ერთეული — *ეფემიზმი* (ბერძნ. *éu* „კარგად“, *phémi* „ვამბობ“) იხმარება. თანამედროვე ენებში ეფემიზმებით ცვლიან მათ სინონიმურ ლექსემებს, რომლებიც, მოლაპარაკის აზრით, უტაქტო, უხეში ან უწესოა. ეფემიზმებია, მაგალითად: *ბატონები* (შდრ. *წითელა, ყივანახველა ...*); *ნასვამი* (შდრ. *მთვრალი*); *გაათავისუფლეს* (შდრ. *მოსხნეს სამსახურიდან*). დროთა განმავლობაში ასეთმა ლექსემამ ეფემიზმის სტატუსი შეიძლება დაკარგოს.

ეფემიზმებს უპირისპირდება *დისფემიზმები (დეფემიზმები)* ანუ *კაკოფემიზმები* (ბერძნ. *kakós* „ცუდი“) — უხეში, სააუგო გამონათქვამები,

რომლებსაც ემოციურად და სტილისტურად ნეიტრალური სინონიმების ნაცვლად ხმარობენ, მაგალითად: *წავიდა — წაეთრა, გარდაიცვალა — ჩაძაღლდა*. ეფფემიზმები და კაკოფემიზმები სტილისტური ფიგურებია.

სინონიმებად არ არის მიჩნეული იდენტური მნიშვნელობის მქონე ლექსემების ფონემური ვარიანტები, რომელთაგან ერთ-ერთის არჩევა განსაზღვრება მოლაპარაკის სამეტყველო ჩვევებით. ასეთია, მაგალითად, *ნოლი — ნული, მხალი — ფხალი* რუს. *ТВОРИТ — ТВОРИТ* „ხაჭო“; ინგლ. *ski* [ski:], [ʃi:] „თხილაბური“; ფრ. *second* [sæʒ], [zɛʒ] „მეორე“ და სხვ. ასეთი ვარიანტები განსაკუთრებით ხშირია ონომატოპოეტურ ლექსიკაში, მაგალითად: *შიშინი / შიშინი, ბრახუნი / ბრუხუნი*.

სინონიმია ამდიდრებს ენას, ავსებს მის ლექსიკონს. სინონიმები ფართოდ გამოიყენება ექსპრესიული მიზნებისათვის. მათ მიმართავენ ტექსტში გამეორებებს, მონოტონურობის თავიდან ასაცილებლად, ობიექტებისა და ფაქტების მრავალმხრივ დასახასიათებლად.

სინონიმური ლექსიკის შესწავლა ხელს უწყობს რეგულარული სემანტიკური დაპირისპირებების გამოვლენასა და აღწერას.

## 8. ანტონიმური წყვილები

8.1. ბარესამყაროს ობიექტებსა და მოვლენებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებები ადამიანის მიერ დაპირისპირებებად აღიქმება; ზოგიერთი სახის დაპირისპირებები ენაში *ანტონიმის* სახით ვლინდება. *ლექსიკური ანტონიმები* (ბერძნ. *αντι* „წინააღმდეგ“, *όνυμα* „სახელი“) ეწოდება ერთნაირი სემანტიკური ვალენტობის მქონე ერთი და იმავე სტრუქტურული კლასის წევრ ლექსემებს, რომელთა მნიშვნელობები დაპირისპირებულია ერთმანეთთან (*სემანტიკური ვალენტობა* არის პრედიკატული სახელის უნარი, შეიერთოს ამ სახელით წარმოდგენილი სიტუაციის მონაწილეთა აღმნიშვნელი არგუმენტული სახელები — სემანტიკური აქტანტები). ცნებები, რომლებსაც ანტონიმები გამოხატავენ, გარკვეულწილად ფარდობითია, მათ საერთო ჰიპერსემა და ურთიერთსაპირისპირო ჰიპოსემები აქვთ. მაგალითად: *ზამთარი* „წელიწადის ყველაზე ცივი დრო“ ~ *ზაფხული* „წელიწადის ყველაზე ცხელი დრო“; *გასვლა* „გარეთა მიმართულებით სვლა“ ~ *შესვლა* „შიგნითა მიმართულებით სვლა“.

ანტონიმების სინტაგმატური მახასიათებელია ურთიერთშენაცვლებადობა (ნაწილობრივ მაინც) ერთსა და იმავე კონტექსტში.

ანტონიმები ქმნიან ჩაკეტულ მიკროსისტემებს, რომლებსაც *ანტონიმური წყვილები* სახე აქვთ. ასეთ წყვილებში, ჩვეულებრივ, არ მონა-

წილები არგუმენტული სახელები — კონკრეტულ არსებით სახელთა უმრავლესობა (*სკამი, წიგნი, ძაღლი* და მისთ.), საკუთარი სახელები და სხვ. ანტონიმები ერთსა და იმავე სემანტიკურ ველში შედიან. ტექსტში ისინი ხშირად გვერდიგვერდ იხმარება დაპირისპირების შესაქმნელად, მაგალითად: *ეს სულაც არ არის ძნელი, ადვილია; ძვირი კი არა, იაფია.*

ანტონიმური ლექსემების სემანტიკური კლასიფიკაცია დაახლოებით შეესაბამება იმ ცნებათა კლასიფიკაციას, რომლებსაც ეს ლექსემები აღნიშნავენ; სხვადასხვა ენაში ისინი მსგავს კლასებს ქმნიან. ანტონიმია უნივერსალური მოვლენაა, იგი ყველა ენაში არსებობს. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ანტონიმია ცალსახად არ განისაზღვრება გარეენობრივი რეალიებისათვის დამახასიათებელი საპირისპირო ნიშნებით — ენაში მხოლოდ ზოგიერთი ასეთი ნიშანი აისახება.

სემანტიკური მიმართებები ანტონიმებს შორის ძირითადად შემდეგი ტიპის ოპოზიციებზე დაიყვანება:

1. „დაწყება~შეწყვეტა“, მაგალითად, *აღაპარაკდა~დადუმდა*. ამავე ტიპს განეკუთვნება ურთიერთსაპირისპიროდ მიმართული ფაქტების (მოქმედების, მდგომარეობის, თვისების) გამომხატველი ლექსემები, მაგალითად, *შეფრენა~გამოფრენა*;

2. „მოქმედება~მოქმედების შედეგის გაუქმება“, მაგალითად, *შეერთება ~ განცალკევება*. ეს მიმართება ახლოს არის „დაწყება~შეწყვეტა“ ტიპის მიმართებასთან;

3. „მეტე~ნაკლები“, მაგალითად, *მაღალი ~ დაბალი*;

4. „P~არა P“ (სადაც „P“ რაღაც მოვლენაა), მაგალითად, *სასრული~უსასრულო*. აქ „P“ მოვლენა დამატებითია „არა P“ მოვლენის მიმართ, ისინი ერთად ამოწურავენ მოცემული დიფერენციალური ნიშნის მნიშვნელობებს;

5. „კარგი~ცუდი“, მაგალითად, *ლაშაზო~მახინჯი*

„მეტე~ნაკლები“ ტიპის ანტონიმები თვისების აღმნიშვნელი ლექსემებია, რომლებიც გრადუალური (ხარისხობრივი) ოპოზიციის წევრებს წარმოადგენენ; მაგალითად: *რთული~ადვილი* (არსებობს „საშუალო სირთულეც“), *ძლიერი~სუსტი* (არსებობს „საშუალო სიძლიერეც“), *ქვედა~ზედა* (არსებობს „შუაც“) და სხვ. ზოგჯერ აღნიშნავენ, რომ ასეთ შემთხვევებში გვაქვს „ნულოვანი წერტილი“, ნორმა, რომლის მიმართ განისაზღვრება ანტონიმების მნიშვნელობა, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. აქ გარკვეული „სემანტიკური სივრცის“ პოლარიზაციასთან გვაქვს საქმე — *ცნებები კონტრასტულია* ანუ საპირისპირო. შუალედური წევრები „შერბილებულ“, შესუსტებულ თვისებას აღნიშნავენ და ნამდვილ დაპირისპირებას არ გამოხატავენ. ისინი შეიძლება „არა P“ მიმარ-



თებაში იყენენ დაპირისპირების უკიდურეს წევრებთან: „საშუალო სიმაღ-  
ლე“ გულისხმობს „არამაღალს“ და „არადაბალს“ (შდრ. რუს. НЕВЫСОКИЙ  
„საშუალო სიმაღლისა“, „არამაღალი“, НЕДАЛЕКО „შორიახლოს“, „არა  
შორს“). ზემოთქმულიდან გამომდინარე, ანტონიმებს არ წარმოადგენენ  
ადრე და ახლა, გუშინ და დღეს და მისთ.

ერთმანეთის მიმართ დამატებითი, კონტრადიქტორული (ლათ. *con-*  
*radictio* „წინააღმდეგობა“), ურთიერთგამომრიცხავი ცნებების აღმნიშ-  
ვნელი ანტონიმები „P~არა P“ ტიპისაა. ასეთ შემთხვევაში ობოზიცია  
პრივატულია, მისი წევრები ავსებენ ერთმანეთს ერთ მთლიანობამდე —  
გვარობით ცნებამდე; ერთი წევრის უარყოფა მეორეს იძლევა: *ჭეშმარი-*  
*ტო-ყაღბი, სამართლიანო-უსამართლო, ცოლიანო-უცოლო*. ამ ტიპის ან-  
ტონიმების მსგავსია ისეთი წყვილები, როგორიც არის *ძმა-და, ქმა-*  
*რო-ცოლი*, თუმცა ერთი ცნების უარყოფა აქ მეორეს არ გვაძლევს; ესენი  
კოპიპონიმებია: *და და ძმა — დედამამიშვილები, ცოლი და ქმარი — მე-*  
*უღლები* ზოგიერთი მკვლევარი ასეთ წყვილებს ანტონიმებად არ მიიჩ-  
ნევს.

„დაწყება~დამთავრება“ ტიპის ანტონიმებში ერთ-ერთი წევრის უარ-  
ყოფა მეორე წევრს არ გვაძლევს. იგივე ითქმის „მოქმედება~მოქმედების  
შედგენის გაუქმება“ ობოზიციაზე: მაგალითად, *არშეერთება* არ არის  
*განცალკევება, არგაღება* არ არის *დახურვა*.

სხვადასხვა ტიპის ანტონიმური წყვილების ერთ-ერთი წევრის მნიშ-  
ვნელობაში სემანტიკურ კომპონენტად შედის „ზღვრული უარყოფის არ-  
სებობა“. ასე, მაგალითად *ყაღბი (ჭეშმარიტო-ყაღბი* წყვილში) არის  
„ჭეშმარიტების ზღვრულად უარყოფი“. ზოგიერთი ცნების გამოყოფას  
იშთავითვე დაპირისპირება უდევს საფუძვლად. ასეთია, მაგალითად, *გა-*  
*ნიერო-ვიწრო, სიძლიდრე-სიღარიბე, ჯანმრთელო-ავადმყოფი*.

ზოგჯერ ანტონიმია თავს იჩენს ლექსემათა პრაგმატიკულ მნიშვნე-  
ლობებში. ასეა, მაგალითად, *მთელო-მხოლოდ* (შდრ. *მთელი ორი საათი*  
— *მხოლოდ ორი საათი*) წყვილში. ამგვარ ლექსემებს ანტონიმებად არ  
მიიჩნევენ — „მეტე-ნაკლები“ ტიპის ობოზიციათა წევრებისაგან განსხვა-  
ვებით, რომლებშიც მოლაპარაკის მიერ სიტუაციის შეფასება კოგ-  
ნიტიური მნიშვნელობის ნაწილია.

ანტონიმურ წყვილთა წევრები ერთმანეთისაგან სტილისტურად არ  
განსხვავდებიან.

8.2. პოლისემიის შემთხვევაში ვოკაბულის სხვადასხვა ლექსემა სხვადა-  
სხვა ანტონიმურ წყვილში მონაწილეობს, მაგალითად: *ხშირო-იშვიათი,*  
*მეჩხერი; სწორად- მრუდედ, მკდარად*. თუ ვოკაბულის ზოგიერთი ლექ-

სემა არ მონაწილეობს ანტონიმურ წყვილებში, არასრული ნაწილობრივი ანტონიმები გვაქვს, საპირისპირო შემთხვევაში ანტონიმები სრულია. მაგალითად, *მარცხენა-მარჯვენა* არასრული ანტონიმებია, რადგან *მარცხენა* „არაკანონიერსაც“ ნიშნავს, ხოლო ამ ლექსემას ანტონიმი არ გააჩნია. მსგავსი ვითარებაა *დღე-ღამე* წყვილის შემთხვევაში: *ღამე* არ უპირისპირდება იმ ლექსემას, რომლის მნიშვნელობაა „დღე-ღამე“ (მაგალითად, *ათი დღე დაისვენა*).

მორფეული აგებულების მიხედვით გამოიყოფა ერთი და იმავე ან სხვადასხვა ძირის მქონე ანტონიმები. პირველთა დაპირისპირება გამოიხატება სპეციფიკური დერივაციული საშუალებებით, კერძოდ, „უარყოფის“, „საპირისპიროს“ სემანტიკური კომპონენტების შემცველი აფიქსებით, მაგალითად: *არა-*, *უ-*, *კონტრ-* (ლათ. *contra* „წინააღმდეგ“), *ანტ(ი)-* (ბერძნ. *αντι* „წინააღმდეგ“): *დამაკმაყოფილებელი* ~ *არადამაკმაყოფილებელი*, *წესიერი* ~ *უწესო*, *შეტევა* ~ *კონტრშეტევა*, *საზოგადოებრივი* ~ *ანტისაზოგადოებრივი* (აქვე აღვნიშნავთ, რომ ასეთი აფიქსების შემცველი ლექსემები ზოგჯერ არ შედიან ანტონიმურ წყვილებში. ასეთია, მაგალითად, *უამინდობა*, *უბადლო*, *არაკაცია*, *არამკითხე* და სხვ.); ინგლ. *un-*, *dis-*: stressed „მახვილიანი“ ~ unstressed „უმახვილო“, *join* „შეერთება“ ~ *disjoin* „განცალკევება“; ფრ. *dé(s)-*, *mé-*: *armer* „შეიარაღება“ ~ *désarmer* „განიარაღება“, *content* „კმაყოფილი“ ~ *mécontent* „უკმაყოფილო“; რუს. *без-*, *не-*: *вредный* „მაგნე“ ~ *безвредный* „უგნებელი“, *серьезный* „სერიოზული“ ~ *несерьезный* „არასერიოზული“ და სხვ. ამგვარ წყვილებს *დერივაციული ანტონიმები* ეწოდება.

ანტონიმური წყვილები, როგორც წესი, *სემანტიკურად ასიმეტრიულია* — წყვილის ერთ-ერთ წევრს უფრო მარტივი სემანტიკური სტრუქტურა აქვს, იგი არამარკირებულია მეორე წევრის მიმართ. ასე, მაგალითად, *ალაპარაკდა-დადუმდა* წყვილის მეორე ლექსემის მნიშვნელობა უფრო რთულია, რადგან იგი განიმარტება როგორც „შეწყვიტა ლაპარაკი“, ხოლო მოქმედების შეწყვეტა შეიძლება აღვწეროთ როგორც მისი „აღარ შესრულება“, სხვაგვარად — „დაწყება [ამ მოქმედების] არ შესრულებისა“. მაშასადამე, „შეწყვეტის“ მნიშვნელობა აღიწერება „დაწყებისა“ და უარყოფის მნიშვნელობების საშუალებით. ამის მსგავსად, *გამოფრენა* (~ *შეფრენა*) ლექსემის განმარტებაში „შიგნით აღარ ყოფნის“ მნიშვნელობა მონაწილეობს. ასიმეტრიულია *მაღალი-დაბალი*, *გრძელ-მოკლე* ტიპის წყვილებიც, რომლებშიც სემანტიკურად უფრო მარტივია პირველი ლექსემები. კერძოდ, ამაზე მეტყველებს ბარამეტრული სკალის აღსანიშნავად სწორედ მათი გამოყენება — *სიმაღლე*, *სიგრძე* (და არა *სიდაბლე*, *სიმოკლე*). გარდა ამისა, სკალის „ქვედა“ პოლუსს,

„ზედა“ პოლუსისგან განსხვავებით, ხშირად ზღვარი აქვს (ასე, მაგალითად, „დაბალი“ ობიექტი იქცევა „ბრტყელ“ ან „წვრილ“ ობიექტად სიმაღლის შემცირებისას, ხოლო „მაღალი“ შეიძლება უსაზღვროდ გაიზარდოს). როგორც ჩანს, დაპირისპირებაში „მეტი-ნაკლები“ აისახება „დადებითისა“ და „უარყოფითის“ დაპირისპირება ცნობიერებაში. ასიმეტრია არ არის დამახასიათებელი ყველა ანტონიმური წყვილისათვის. ასე, მაგალითად, *სინთეზი ~ ანალიზი, მიცემა ~ გამორთმევა* სიმეტრიული წყვილებია; მაგრამ ასეთი წყვილები მცირერიცხოვანია.

ანტონიმურ წყვილებად ხშირად არა მარტო ლექსემებს, არამედ შესიტყვებებსა და წინადადებებსაც აერთიანებენ.

ანტონიმია მჭიდროდ არის დაკავშირებული სინონიმისთან. ორივე მოვლენა ეხება ენობრივ ერთეულთა შინაარსის პლანს და დაფუძნებულია პარადიგმატულ მიმართებებზე. ზოგჯერ ერთი და იგივე ლექსემა სხვა ლექსემებთან ამყარებს როგორც ანტონიმურ, ისე სინონიმურ მიმართებებს, რასაც *სინონიმური რიგების ანტონიმია* ან *ანტონიმური წყვილების სინონიმია* შეიძლება ეწოდოს. თუ სინონიმური რიგების წევრებს შორის განსხვავება ხარისხობრივი და/ან შეფასებითია, ასეთ რიგებში ერთმანეთს ანტონიმურად უპირისპირდება არა ცალკეული *სინონიმები*, არამედ სინონიმური რიგების დომინანტური *წევრები*. მაგალითად, *დიდი უდიდესი, ვეებერთელა, უშველებელი, უზარმაზარი, ზორბა, გიგანტური... და პატარა, პაწაწინა, პაწაწკინტელა, მიკროსკოპული, იოტისოდენა, ნამცეცა...* რიგების დაპირისპირება გაშუალებულია დაპირისპირებით *დიდი-პატარა*.

8.3. ზოგიერთი ანტონიმური წყვილის წევრები *კონვერსიებს* წარმოადგენენ. *კონვერსიები* ეწოდება ისეთ პრედიკატულ ლექსემათა წყვილს, რომელიც ორმხრივ სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებებს გადმოსცემს და რეალობის ერთსა და იმავე სიტუაციას აღწერს აქტანტების გადანაცვლებით. ამ ლექსემებს შორის მიმართება კონვერსიულია — ტექსტში ვლინდება ერთ-ერთი კონვერსივი, მეორე კი უსათუოდ იგულისხმება. მაგალითად: *გამარჯვება ~ დამარცხება, უფროსი ~ უმცროსი, მასწავლებელი ~ მოსწავლე*. როგორც მაგალითებიდან ჩანს, არ არის აუცილებელი, რომ კონვერსიები ანტონიმებს წარმოადგენდეს.

ანტონიმის სპეციფიკური სახეა *ენანტიოსემა* (ბერძნ. *enantios* „საპირისპირო“, *εἶμα* „ნიშანი“), ანუ *შინასიტყვიერი ანტონიმია*. ეს არის ლექსიკურ ერთეულში ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობების შეთავსება. მაგალითად: *იწევს (ქვევით, ზევით)*, რუს. *очевидно* „შესაძლოა“, „ნამდვილად“, *одолжить* „სესხება ვიღაცისთვის“, „სესხება ვიღაცისგან“

(შდრ. აგრეთვე უარყოფითი კონოტაციის მქონე გამონათქვამების მოსაფერებლად ხმარების შემთხვევები, მაგალითად, *შე ავაზაკო!*).

თუ ენობრივი ერთეულები მხოლოდ მოცემულ კონკრეტულ კონტექსტში უპირისპირდებიან ერთმანეთს, მათ *კონტექსტურ ანტონიმებს* უწოდებენ (ვაფისხენოთ, მაგალითად, *თერგისა და მყინვარის* ცნობილი დაპირისპირება *ილიას „მეზაფრის წერილებში“*). ასეთი ერთეულები არ აკმაყოფილებენ ლექსიკური ანტონიმის პირობებს, ეს ამ ცნების მეტსმეტად ფართო გაგებაა.

ანტონიმები სხვადასხვა ტროპებში იხმარება, განსაკუთრებით — *ანტითეზაში* (ბერძნ. *antithesis* „დაპირისპირება“) — აზრების ან ხატების ტექსტობრივ დაპირისპირებაში.

ურთიერთგამომრიცხავ ცნებათა გამომხატველი ლექსემების გვერდიგვერდ ხმარებას *ოქსიმორონი* (ბერძნ. *oxýmōron* „გონებაამახვილურ-სულელური“) ეწოდება. ინგლ. *loving hate* „მოსიყვარულე სიძულვილი“ (*უილიამ შექსპირი*), *სიშორის შენის სიახლოვე* (*ვალაკტიონი*) ოქსიმორონის მაგალითებია. ეს ტროპი მოვლენის წინააღმდეგობრივი ხასიათის ხაზგასმის საშუალებაა.

ანტონიმია განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება სამეცნიერო-ტექნიკურ ტერმინოლოგიაში.

## 9. ფრაზეოლოგია

9.1. შრაზების აგება ენაში ხდება ლექსემათა და სიტყვაფორმათა კომბინირებისა და შერჩევის ზოგადი კანონზომიერებების — მათ შორის სემანტიკური წესების — მიხედვით; მაგრამ ზოგადი სემანტიკური წესებით ზოგიერთი ფრაზის მნიშვნელობა მასში შემავალ ლექსემათა მნიშვნელობებზე (მათ სალექსიკონო განმარტებებზე) არ დაიყვანება. ასეთი ფრაზების კომპონენტებს შორის მჭიდრო კავშირია, ამიტომ მათ *მყარ შესიტყვებებს* ანუ *ფრაზეოლოგიზმებს* (*ფრაზემებს*, *ლექსიკალიზებულ შესიტყვებებს*, *ფრაზეოლოგიურ ერთეულებს*) უწოდებენ — *თავისუფალი შესიტყვებების* საპირისპიროდ. მყარი შესიტყვებებისათვის ნიშანდობლივია სტრუქტურული, ლექსიკური, სემანტიკური, აგრეთვე გამოყენების სტაბილურობა. ისინი ლექსიკონებში უმეტესწილად სახელდების „მზა“ ერთეულების სახით არის შეტანილი. მყარი შესიტყვებებია, მაგალითად, *გულის გაწყალება*, *არამკითხე მოამბე*, *დროის მოკვლა*, *ჩხირი კედელს!* *კოფში ნაცარში ჩაუვარდა* და სხვ.

მყარ შესიტყვებათა ერთობლიობას *ფრაზეოლოგია* (ბერძნ. *phrasis* „გამონათქვამი“, *lógos* „სიტყვა“, „მოძღვრება“) ეწოდება. ამავე ტერმინით აღინიშნება ის დარგი, რომელიც ენის ფრაზეოლოგიურ შედგენილობას შეისწავლის.

*ფრაზემები* ლექსემათა მუდმივი კონტექსტის საფუძველზე მიიღება. ამგვარ შესიტყვებათა ზოგიერთი ან ყველა კომპონენტის მნიშვნელობა გარდაქმნილია მეტაფორის, მეტონიმისა თუ სხვა ფორმით. ფრაზემათა სტრუქტურის მდგრადობა იმაში მდგომარეობს, რომ მათი კომპონენტების შენაცვლებადობა შეზღუდულია, სიტყვაფორმათა რიგი უმეტესწილად ფიქსირებულია, კომპონენტებს შორის სხვა სიტყვაფორმების ჩასმა, როგორც წესი, აკრძალულია; მაგალითად, არ ვამბობთ: \**დიდი დროის მოკვლა*, ან \**ერთი საათის მოკვლა*, \**დროისა და ენერჯის მოკვლა* და მისთ.

სტრუქტურული (გრამატიკული) და სემანტიკური წესები, როგორც ვიცით, არა მარტო მყარ, არამედ *თავისუფალ შესიტყვებებშიც* მოქმედებენ; მეორე მხრივ, ფრაზემები აბსოლუტურად უცვლელი არ არიან, მათი მდგრადობა შეფარდებითია; დასაშვებია ფრაზემათა ლექსიკური შედგენილობისა და ზოგიერთი გრამატიკული მახასიათებლის მოდიფიკაცია, თუმცა მათ სტრუქტურაში აუცილებლად არსებობს უცვლელი კომპონენტიც. ვარიანტები (მათ შორის შემოკლებულიც) მოეპოვება, მაგალითად, *დანა კრიჭას/პირს არ უხსნის, გულის ტოლის/წორი, ენა-ზე/ენის წვერზე ადგას, (კუდამდე) ტყავის გაძრობა* და სხვა ფრაზემებს. მაშასადამე, ზღვარი თავისუფალ და მყარ შესიტყვებებს შორის პირობითია. გარდამავალი შემთხვევებია, მაგალითად, *თვალს ადევნებს, გამოცდას ატარებს* და სხვ.

*სიტყვაფორმის* ნაწილებისაგან განსხვავებით, ფრაზემის ნაწილები თავისუფალი (და არა ბმული) ფორმებია; ფონეტიკური და გრამატიკული მახასიათებლების მიხედვით ისინი სიტყვაფორმებია და არა მორფები. რაც შეეხება სემანტიკურ მხარეს, ზოგიერთი ლექსემის მნიშვნელობა ფრაზემის მნიშვნელობის მსგავსია იმ თვალსაზრისით, რომ იგი არ დაიყვანება კომპონენტების (მორფემების) მნიშვნელობებზე, მაგალითად, *თავდახრილი* („მორჩილი“), *მუხლჩაუხრელად* („შეუსვენებლივ“); მაგრამ ასეთი შემთხვევები ფრაზეოლოგიაში ჩვეულებრივ არ განიხილება.

მყარ შესიტყვებებს *ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა* აქვთ.

9.2. პრსებობს ფრაზემათა რამდენიმე კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. ერთ-ერთ მათგანს საფუძველად უდევს მთელი შესიტყვებისა და მისი კომპონენტების მნიშვნელობათა თანაფარდობა (*ვიქტორ ვინოვ-*

რადოვი). მაგალითად, *ბოლოთას სცემს* ფრაზემაში კომპონენტებს შორის კავშირი უფრო მჭიდროა, ვიდრე, ვთქვათ, *შიშმა შეიძერო* ფრაზემაში.

მყარ შესიტყვებათა დისტრიბუციული (გრამატიკული) კლასიფიკაცია ითვალისწინებს წინადადებაში მათ სინტაქსურ როლს — გამოყოფენ ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის ეკვივალენტურ ფრაზემებს. მაგალითად, ფრაზემა *კალძით ნახატი* ზედსართავი სახელის ეკვივალენტურია, *ღვთის ანაბარა* — ზმნიზედისა და ა.შ. ცალკე ჯგუფს ქმნის წინადადების ეკვივალენტური ფრაზემები.

კიდევ ერთი კლასიფიკაციის მიხედვით, მყარ შესიტყვებათა სიმრავლე იყოფა შემდეგ არაერთგვაროვან ჯგუფებად: იდიომები, ფრაზეოლოგიური შესიტყვებები, სამეტყველო შტამები, ფრაზეოლქემები და ე.წ. ფრთიანი გამოთქმები (ანდაზები, აფორიზმები და მისთ.).

*იდიომები* (ბერძნ. *idiōma* „თავისებურება“) ანუ *იდიომატური გამოთქმები* ფორმით ემთხვევა თავისუფალ შესიტყვებებს, მაგრამ მათი ლექსიკური სტრუქტურა აზრობრივად გარდაქმნილია; მათთვის დამახასიათებელია ერთიანი (ბმული) მნიშვნელობა, ლექსემის მსგავსი სინთეზური ფუნქცია. იდიომებია, მაგალითად, *ტყემაღზე ზის* („არაფერი იცის“), *ერთი მუჭა* („ცოტა“), *თითით საჩვენებელი* („სამაგალითო“); ფრ. *jeter les yeux* „შეხედვა“, „თვალის შევლება“ (სიტყვასიტყვით — „თვალის დაგდება“), *se sauver à toutes jambes* „მოკურცხვლა“ (სიტყვასიტყვით — „თავის გადარჩენა ყველა ფეხით“); ინგლ. *to give mouth* „ხმის ამოღება“, „მოყოლა“ (სიტყვასიტყვით — „პირის მიცემა“), *golden key* „ქრთამი“ (სიტყვასიტყვით — „ოქროს გასაღები“); რუს. *остался с разинутым ртом* „ძალიან გაუკვირდა“, „სახტად დარჩა“ (სიტყვასიტყვით — „პირლია დარჩა“), *в двух шагах* „ახლოს“, „ორ ნაბიჯზე“. იდიომები ლექსემათა ექსპრესიული სინონიმებია. მათი მნიშვნელობა შეიცავს არა მარტო კომპონენტებისათვის დამახასიათებელ კონოტაციებს, არამედ თვით ფრაზემის ხატოვან საფუძველსაც; ამიტომ იდიომის მნიშვნელობა ლექსემის მნიშვნელობაზე უფრო მდიდარია.

*ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებში* სემანტიკურად გარდაქმნილია მხოლოდ ერთი ლექსემა, კომპონენტებს შენარჩუნებული აქვთ სემანტიკური დამოუკიდებლობა, ნომინაცია (სახელდება) ანალიზურია. მაგალითად: *რკინის* („ძლიერი“) *ნერვები*, *ეკლიანი* („რთული“) *გზა*; ფრ. *infiniment rare* „ძალიან (უხასრულოდ) იშვიათი“, *déclencher le rire* „სიცილის გამოწვევა (გაშლა)“; ინგლ. *to catch fire* „ცეცხლის წაქიდება“ („დაჭერა“), *free pardon* „სრული (თავისუფალი) პატიება“, „ამნისტია“; რუს. *счастье (ему) улыбнулось* „ბედმა გაუღიმა“, *промокнуть до нитки* „ძლიერ (ძაფამდე) დასველება (წვიმაში)“, *(у него) терпение лопнуло*

„მოთმინება დაკარგა („გაუსკდა“). ასეთ შემთხვევებში ლექსების მნიშვნელობის გარდაქმნა განპირობებულია სინტაგმატური კავშირებით. მიღებული მნიშვნელობა ვლინდება ლექსებთან განსაზღვრულ როგებთან, მაგალითად, *შიშმა* (და არა *ზარმა* ან *ელდამი*) *შეიპყრო*. ანალიზური მნიშვნელობის გამო ფრაზეოლოგიური შესიტყვებები თავისუფალ შესიტყვებებს უახლოვდებიან.

განარჩევნ *ნომინაციურად დანაწევრებულ და ნომინაციურად დაუნაწევრებელ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს*. ამ უკანასკნელთა კომპონენტებიდან ის, რომელსაც გარდაქმნილი მნიშვნელობა აქვს, დერივაციული აფიქსის მსგავს ფუნქციას ასრულებს, მაგალითად, *კავშირის დამყარება* — შდრ. *დაკავშირება*.

ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს უახლოვდება *სამეტყველო შტამები* (იტალ. *stampa* „ბეჭედი“, „ანაბეჭედი“) — ხშირად და რეგულარულად ხმარებული შესიტყვებები, რომლებიც ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში მოცემულია „მზა ფორმულებს“ სახით და განსაკუთრებით „მოსახერსებელ“ ნიშნებს წარმოადგენენ გარკვეული შინაარსის გამოსახატავად. ტერმინი „შტამში“ იხმარება დაუფიქრებელი, უგემოვნო გამონათქვამის აღსანიშნავად; ამგვარ უარყოფით შეფასებას მოკლებულია შემდეგი ტერმინები: *კლიშე* (ფრ. *cliché*), *სტანდარტი*, *სტერეოტიპი*. ისინი აღნიშნავენ გარკვეულ დარგებში ინფორმაციულად აუცილებელ მზა ენობრივ ფორმულებს. შტამებია, მაგალითად: *ფასდაუდებელი ღვაწლი*, *ნათელი მომავალი*, *უშრეტი ენერჯი*; რუს. *работать с огнём* „ხალხით მუშაობა“, *зловещая тишина* „ავის მომასწავებელი სიჩუმე“; ფრ. *astre du jour* „დღის მნათობი“ („მზე“), *un pur chef-d'œuvre* „ნამდვილი („წმინდა“) შედევრი“. შტამებს, მათი ხშირი ხმარების გამო, დაკარგული აქვთ ექსპრესიულობა. ზოგჯერ შტამებად მიიჩნევენ *სამეტყველო ეტიკეტის (ზრდილობის) ფორმულებსაც*, ისეთებს, როგორიც არის: *ულრმესი პატივისცემით*, *კარგად ბრძანდებოდეთ*, *დიდად გმადლობთ* და მისთ., მაგრამ მათი სტატუსის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

*ფრაზეოსქემები* ეწოდება სპეციფიკურ სინტაქსურ კონსტრუქციებს, რომლებშიც ლექსებთან ნაწილი იცვლება კონტექსტის მიხედვით. ამგვარ „სინტაქსურ იდიომებს“ აღნიშვნის ანალიზური ფუნქცია აქვთ. ფრაზეოსქემებია, მაგალითად: *ადექი და...* (*პკითხე, მიუტანე, ნახე*; ფრ. *et... que* (*qui*) (სიტყვასიტყვით: „და... რა(ვინ)“ — გამოხატავს გაკვირვებას, მოულოდნელობას: *et moi qui pensais lui faire une surprise!* „მე კი მინდოდა მისთვის სიურპრიზი გამეკეთებინა!“ რუს. *Что это за... (вопрос, поступок)* „ეს რა... (შეკითხვაა, საქციელია)“.

9.3. **წრთიანი გამოთქმები** (ბერძნ. *épea pteróenta*) — ანდაზები, აფორიზმები, მოარული ციტატები ბიბლიიდან (ე.წ. *ბიბლეიზმები*), მხატვრული ლიტერატურიდან და მისთ. — ზოგჯერ ფრაზემებად არ მიიჩნევა. მათ უფრო ხშირად წინადადების ფორმა აქვთ, მაგალითად: *რასაცა გასცემ — შენია; მჯობნის მჯობი არ დაილევია; ქვა ქვაზე არ დატოვია* (ბიბლეიზმი); ფრ. *qui vivra verra* (სიტყვასიტყვით: „ვინც იცხოვრებს, ნახავს“); ინგლ. *East or West, home is best* (სიტყვასიტყვით: „აღმოსავლეთი თუ დასავლეთი, ჩემი სახლი უკეთესია“); რუს. *Счастливые часов не наблюдают* (სიტყვასიტყვით: „ბედნიერები საათს არ აკვირდებიან“) (*ალექსანდრე გრიბოედოვი*) და სხვ. „წრთიანი გამოთქმები“, როგორც წესი, ძალიან ექსპრესიულია.

ზოგიერთი ფრაზემის კომპონენტები თანამედროვე ენაში აღარ იხმარება (მოცემული ფორმით, მოცემული მნიშვნელობით ან საერთოდ); მაგალითად: *მტტბარს არ იტებს, გულის აწუყება დღითი დღე*.

ფრაზემები სპეციფიკურია და ზედმიწევნით, სიტყვასიტყვით სხვა ენაზე, როგორც წესი, არ ითარგმნება. ამასთან, შინაარსი, რომელიც ერთ ენაში ფრაზემით გადმოიცემა, სხვა ენაში შეიძლება სხვ. საშუალებით გამოიხატოს.

მყარ შესიტყვებათა უმრავლესობა ექსპრესიულია, თუმცა გვხვდება კონოტაციას მოკლებული ფრაზემებიც, მაგალითად: *დროთა განმავლობაში, ყოველი შემთხვევისათვის, თვალყურს ადევნებს* და სხვ. ექსპრესიული საშუალებებიდან ფრაზეოლოგიაში ხშირად გამოიყენება რითმა, კონტრასტი, გამეორება, სინონიმები, შედარება, რიტმი.

9.4. **ქნის ფრაზეოლოგიურ სისტემაში შესიტყვებებს** შორის მყარდება სხვადასხვა სახის პარადომატული მიმართებები. მაგალითად, სინონიმური ფრაზემებია: *ტყემალზე ზის, აზრზე არ არის; ხელის შეწყობა, მხარში ამოდგომა, ზურვის გაძაგრება*; ანტონიმურია: *კიტრად ღირს — ცეცხლის ფასი ადევს; კალმით ნახატი — ჯოჯოხეთის მაშხალო*; პოლისემიურია: *სიტყვა ჩამოართვა* — „საუბარში ჩაერთა“, „პირობა ჩამოართვა“ და სხვ.

ომონიმისა და პოლისემის გამიჯვნის საკითხი ფრაზემების შემთხვევაშიც რთული გადასაწყვეტია. ზოგიერთი მკვლევარი ომონიმებად მიიჩნევს პირდაპირი და ფრაზეოლოგიური მნიშვნელობით ნახმარ შესიტყვებებს.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, სინონიმური და ანტონიმური ფრაზემების სტრუქტურა შეიძლება არაერთგვაროვანი იყოს; მაგალითად, ერთსა და იმავე სინონიმურ რიგს წარმოადგენენ შემდეგი ფრა-



ზემები: *კალმით ნახატი, ცით მოწყვეტილი ვარსკვლავი, ვარსკვლავებს ეთამაშება*; ამავე რიგს განეკუთვნება *მზეთუნახავი* და სხვ.

## 10. ლექსიკის სტილისტური დიფერენციაცია. ექსპრესიული ლექსიკა

**10.1.** სიტყვათა არჩევა და ერთმანეთთან დაკავშირება განპირობებულია არა მარტო ინფორმაციის გადაცემის ამოცანით, არამედ იმ სიტუაციითაც, რომელშიც კომუნიკაცია ხორციელდება. ენაში მოცემულია ერთი და იმავე აზრის გადმოცემის სხვადასხვა საშუალებები, რომელთაგან მოლაპარაკე ერთ-ერთს ირჩევს სამეტყველო აქტის გამიზნულობის შესაბამისად. ენის ამ სინონიმურ რესურსებს შეისწავლის *სტილისტიკა*. მისი ძირითადი საგანია *ფუნქციური სტილი* (ლათ. *stylus* „საწერი“, „წერის მანერა“). ამ ცნების ზუსტი განმარტება ვერ ხერხდება, იგი ინტუიციური ხასიათისაა. შეიძლება ითქვას, რომ სტილი არის ენის არსებობის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ტრადიციულად იხმარება მოცემული ენობრივი კოლექტივის სოციალური ცხოვრების ცალკეულ სფეროებში და რომელიც სხვადასხვა ენობრივ დონეზე ნაწილობრივ განსხვავდება ამავე ენის არსებობის სხვა ფორმებისაგან.

განვითარებულ საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობები რთული და მრავალმხრივია. ეს გარემოება ენაშიც აისახება და განაპირობებს მის სტილისტურ დიფერენციაციას. ძირითად სტილისტურ ოპოზიციას ქმნიან *სტილისტურად ნეიტრალური* ანუ *სტილთაშორისი* და *სტილისტურად შეფერილი, არანეიტრალური ენობრივი საშუალებები*. ნეიტრალური სტილისტური ღირებულების მქონე ენობრივი საშუალებები ამ ოპოზიციის არამარკირებული წევრებია.

სტილისტურად შეფერილი ერთეულები იყოფა უფრო *მაღალი (წიგნის)* და უფრო *დაბალი (სასაუბრო) სტილის* ერთეულებად. ამ ოპოზიციას ზოგჯერ ენის წერიითი და ზეპირი ფორმების დაპირისპირებასთანაც აკავშირებენ, მაგრამ ეს დაკავშირება პირობითია. ასე, მაგალითად, მეგობრისადმი მიწერილ ბარათში სავსებით ბუნებრივია სასაუბრო სტილის გამოყენება, ზეპირ სამეცნიერო მოხსენებაში — წერიითი მეტყველების სტილისა (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აქ საქმე ეხება ენობრივ ერთეულთა ხმარების თავისებურებებს მეტყველებაში და არა მათ *ღირებულებას* ენის სისტემაში).

სტილისტურად ნეიტრალური ენობრივი საშუალებები იხმარება საყოველთაოდ, მეტყველების ნებისმიერ ტიპში, ნებისმიერი სახის სიტუაციაში, სხვაგვარად — ნებისმიერ *სტილისტურ რეგისტრში*, ე.ი. კომუნი-

კაცის სხვადასხვა სახეობაში; სტილისტურად მარკირებული ენობრივი საშუალებები დამახასიათებელია მოლაპარაკეთა ზოგიერთი ჯგუფისათვის ან მეტყველების გარკვეული რეგისტრისათვის (ჩამოთვლილი ფაქტორები პრაგმატიკის სფეროს განეკუთვნება).

გამოყენების სფეროს მიხედვით მრავალ თანამედროვე სალიტერატურო ენაში განირჩევა ლექსიკის სხვადასხვა *სტილისტური ფენა*: საყოველთაო-სალიტერატურო, ტექნიკური, პუბლიცისტური, ოფიციალურ-საქმიანი, სამეცნიერო სტილის ლექსიკა.

საყოველთაო-სალიტერატურო სტილის ლექსიკა იხმარება ადამიანთა ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში, სხვადასხვა სიტუაციაში, იგი სტილთაშორისია, ხოლო აქ ჩამოთვლილი დანარჩენი სტილისტური ფენებს ლექსიკა მაღალ სტილს განეკუთვნება. დაბალი სტილისაა სალიტერატურო ენის სასაუბრო ლექსიკა — უშუალო, არაოფიციალური, მაგრამ არა უხეში; მაგალითად: *გაიშლართა, კრიყანგა, ყველანიანი* (ზღრ. *ყოველგვარი*); რუს. по-людски „წესიერად“, „ადამიანურად“, надумать „მიხედრება“, удрать „მოკურცხვლა“; ინგლ. chap „ყმაწვილი“, faze „შეწუხება“, phone „ტელეფონი“; ფრ. galette „ფული“, boucan „ხმაური“ და სხვ.

სამეცნიერო და ტექნიკური სტილის ლექსიკა ძირითადად ტერმინოლოგიას მოიცავს (მასზე მოგვიანებით საგანგებოდ ვისაუბრებთ).

ბიუროკრატიულ დოკუმენტებში გამოიყენება *კანცელარიზმები* (ლათ. *cancellarius* „გადამწერი“) — ოფიციალურ-საქმიანი სტილის ლექსიკა და ფრაზეოლოგია; მაგალითად: *სამსახურებრივი, განკარგვა, მობინადრე, ამა წლის*; რუს. неявка „გამოუცხადებლობა“, вышеозначенный „ზემოხსენებული“, истребовать „მოთხოვნა“; ფრ. plénipotentiaire „სრულუფლებიანი“, ინგლ. dispatch „გაგზავნა“, vidimus „დამოწმებული ასლი“, „საბუთების შემოწმება“. ეს ლექსიკა შეიძლება იმავდროულად იურიდიულ ან დიპლომატიურ ტერმინოლოგიას წარმოადგენდეს. საგანგებო-პოლიტიკური ანუ პუბლიცისტური სტილისაა, მაგალითად, *მშვიდობისმოყვლეა, წამოწყება, აქცია, აღაგმვა*; რუს. неуклонный „განუხრელი“, рубеж „ზღურბლი“, происки „ხრიკები“, сплоченность „დარაზმულობა“, почин „წამოწყება“; ფრ. complot „კო-რუმპირებული“, débrayer „გაფიცვა“ და სხვ.

ზოგჯერ ცალკე გამოყოფენ მხატვრულ, პოეტურ სტილს, რომელშიც ხშირია არქაული ლექსიკის ხმარება; მაგალითად: *ღაწვი, მნათობი, ბედკრული, სამარადისო, გასხივოსნებულა*; რუს. чело „შუბლი“, кудесник „ჯადოქარი“, лазурный „ლაჟვარდოვანი“, зов „ძახილი“; ინგლ.

leafage „ფოთლები“, wind [waɪnd] „ქარი“, morn „დილა“; ფრ. nef „ხო-  
მალდი“, nocher „მესაჭე“.

ფუნქციური სტილების აქ წარმოდგენილი კლასიფიკაცია პირობითია. არსებობს ამ თვალსაზრისით ლექსიკის არაერთი მეტ-ნაკლებად დეტა-  
ლიზებული კლასიფიკაცია. ლექსიკონებში სტილისტური მინიშნებები ხშირად არაერთგვაროვანი და წინააღმდეგობრივია, არ არის ცალსახად  
გამიჯნული ნეიტრალური და სტილისტურად შეფერილი ლექსიკა.

სტილს ზოგჯერ „ადაბლებენ“ ან „ამაღლებენ“ გარკვეული მიზნები-  
სათვის. ასე, მაგალითად, სამეცნიერო ნაშრომში სასაუბრო სტილის  
ელემენტები აადვილებენ აღქმას, თუმცა ფამილიარობის შთაბეჭდილე-  
ბას ტოვებენ.

დროთა განმავლობაში ლექსემის სტილი შეიძლება შეიცვალოს. მა-  
გალითად, რამეთუ წინათ მაღალ სტილს განეკუთვნებოდა, ამჟამად იგი  
ნეიტრალური სტილისაა. ასეთივე ცვლილება განიცადა ინგლისურში  
ლექსემამ enormous „უზარმაზარი“; სასაუბრო სტილის ლექსიკიდან ნე-  
იტრალურში გადაინაცვლა ლექსემამ teen-ager „მოზარდი“; უწინ დაბა-  
ლი სტილის ფრანგული se gausser „დაცინვა“ ნეიტრალური გახდა.

სტილისტური განსხვავებები დამახასიათებელია ცალკეული დერივა-  
ციული მორფემებისთვისაც. მაგალითად, შექმნილი აფიქსები: აღ- (აღმარ-  
თვა, აღტაცება), ინგლ. -able (comparable „სადარი“, foreseeable „წი-  
ნასწარმეტყველებადი“), რუს. пред- (предрасположение „განწყობა“,  
„მიდრეკილება“, предостережение „გაფრთხილება“); ფრ. -ique (chimé-  
rique „აუხდენელი“, authentique „ნამდვილი“, „უტყუარი“) უფრო ხში-  
რად მაღალი სტილისაა; ამათგან განსხვავებით, -უკა (ბიჭუკა, ცხვირუ-  
კა), რუს. -еньк- (заенъка „ბაჭია“, худенький „გამხდარი“), ფრ. -ot  
(frérot „ძამიკო“, barbouillot „მთხაპნელი“) აფიქსები, სვეულებრივ, და-  
ბალ სტილს განეკუთვნება.

10.2. ის ლექსემები და ფრაზემები, რომელთა მნიშვნელობაში შედის  
შეფასებითი კომპონენტი, კონოტაცია, სახელდობრ — დენოტატის ცხა-  
დად გამოხატული დადებითი ან უარყოფითი შეფასება, განეკუთვნება  
ლექსიკურ-ექსპრესიულ ენობრივ ერთეულთა რიცხვს. ეს ერთეულები  
აფორმებენ ემოციურ, აფექტურ მეტყველებას; ისინი დაკავშირებულია  
მოლაპარაკის მიერ გრძნობათა გამოვლენასთან. შეფასებითი ელემენტი  
ვლინდება ნეიტრალურ სინონიმთან შედარებისას, მაგალითად: ძამიკო —  
ძმა; ზოზინა, ჯანჯალი — ნელი; გაუბატონი — გაუა ბიჭი; ხუხულა —  
სახლავ რუს. княча „ჯაგლაგი“ — лошадь „ცხენი“; брякнул „წამოროშა“  
— сказал „თქვა“; ფრ. chançard „იღბლიანი“ (უარყოფითი) — chanceux

(ნეიტრალური), *palabre* „მოსაწყენი საუბარი“ (უარყოფითი) — *discussion, conversation* (ნეიტრალური).

კონოტაცია ხშირად გამოიხატება სიტყვის შინაფორმით, აფიქსებით, ბგერწერით.

დადებით შეფასებას ზოგჯერ *მაღალ* სტილს უკავშირებენ, უარყოფითს — *დაბალს*, რაც მართებული არ არის: მაგალითად, *ოკუპანტი ბიუროკრატია* მაღალი სტილის ლექსიკებია, მაგრამ დენოტაციისადმი უარყოფით დამოკიდებულებას გამოიხატავს: *პუტკუნა, პაწია* სასაუბრო, დაბალი სტილის ლექსიკებია, რომელთაც დადებითი შეფასება ახლავთ. ისევე, როგორც მაღალი და დაბალი სტილის ერთეულებს, დადებითი და უარყოფითი შეფასების მქონე ერთეულებსაც შეიძლება სხვადასხვა ინტერპრეტაცია მიეცეს; მაგალითად, *კაცუნა* მოსაფერებელი ან დამაკინებელია — კონტექსტის მიხედვით. მაღალი სტილის ლექსიკური ერთეულები ხშირად ირონიულ კონტექსტში გვხვდება და მაშინ მეტყველებაში მათ ხმარებას უარყოფითი შეფასება უკავშირდება. უნდა ითქვას, რომ ნებისმიერმა ერთეულმა გარკვეულ კონტექსტში შეიძლება დადებითი ან უარყოფითი შეფასება გამოხატოს, რაც ენობრივი სისტემის ფაქტს ყოველთვის როდი წარმოადგენს.

მკვეთრად უარყოფითი შეფასება გამოიხატება *გულგარიზმებით* (ლათ. *vulgaris* „უბრალო“, „ჩვეულებრივი“). ეს არის დაუნეველი, ზოგჯერ დაუდევარი, დაბალი სტილის ლექსიკა, რომელიც დაუსვებელია ზრდილობიან მეტყველებაში. ასეთია, მაგალითად, *ჩაცეცხლა, დაეგდო*; რუს. *лаяться* „ლანძღვა“, „ჩხუბი“; *шпана* „ვიგინდარები“; ინგლ. *mug* „სიფათი“; ფრ. *parbleu!* „ეშმაკმა დალაჩხროს!“ . ზოგიერთი ამგვარი ლექსიკა და ფრაზემა ტაბუირებულია (ბილწისიტყვაობას განეკუთვნება).

**10.3.** პულგარიზმების გარდა, სალიტერატურო ენის ფარგლებს სცდება *დაბალი* სტილის ლექსიკის ისეთი ჯგუფები, როგორიც არის: დიალექტიზმები, ჟარგონიზმები, მდაბიური მეტყველების ლექსიკა.

*მდაბიური მეტყველება* არის ენობრივი კოლექტივის ყველა წევრისათვის გასაგები, დაბალი სტილის მეტყველება, რომელიც უბრისპირდება სალიტერატურო მეტყველებას და ვლინდება ყველა ენობრივ დონეზე. მას ახასიათებს უარყოფითი შეფასება, ფაშილიარული ან უხეში ელფერი. სალიტერატურო ენაში *მდაბიური მეტყველების ლექსიკას* ჩვეულებრივ, ნეიტრალური სტილის სინონიმები აქვს. შდრ., მაგალითად: *დააყაჩაღეს* — *გაძარცვეს, იძახის* — *ამბობს*; რუს. *дрыхнуть* „ძილი“ — *спать*; *враз* „უსცებ“ — *сразу*; *ихний* „მათი“ — *их*; ფრ. *se calter* „გაქცევა“ — *s'enfuir*; *foutre* „კეთება“ — *faire*.

მდაბიური მეტყველების ლექსიკისაგან განსხვავებით, *დიალექტიზმები* (კუთხური სიტყვები, პროვინციალიზმები) საყოველთაოდ არ იხმარება, ისინი მხოლოდ ერთი კუთხის მცხოვრებთა მეტყველებისთვის არის დამახასიათებელი. მათ შეიძლება ჰქონდეთ ფონეტიკური, დერივაციული, სემანტიკური და სხვა თავისებურებები. ქართული დიალექტიზმებია, მაგალითად, *აბდალი* „სულელი“ (გურული), *თაყანი* „სწვენი“ (იმერული), *მოხელვა* „პოვნა“ (ქართლური), *საყავე* „დერეფანი“ (კახური), *შაზშევა* „წყენა“, „შეჯავრება“ (მონური), *ენი* „გამოიქაბული“ (ფშაური) და სხვ.

**10.4. ჟარგონი** (ფრ. *jargon*) ეწოდება ზეპირ მეტყველებას, რომელიც იხმარება შედარებით მყარი სოციალური ჯგუფების წევრებს შორის ურთიერთობის დროს და რომელსაც ახასიათებს თავისებურებები სიტყვაწარმოებაში, ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაში. ჟარგონი ჩნდება ერთნაირი სოციალური მდგომარეობის, ინტერესების, ასაკის, პროფესიის მქონე პირთა ჯგუფებში; მისი ხმარებისას აქცენტი კეთდება მიცემული ჯგუფის წევრობაზე. ეს არის გარკვეული ეტალონისადმი მიბაძვა.

*ჟარგონიზმები* მაგალითად, *მაყუთი* „ფული“, *შხვართი* „ეშხიანი“, „ტანადი“, *შარაფი* „ქეიფი“, *გაქძრო* „მოვიდა“; ინგლ. *conk* „ცხვარი“, *alky* „სასმელი“, *fly* „ჭკვიანი“; რუს. *кол* „ერთიანი“ (ცოდნის შეფასება), *хвост* „დარჩენილი გამოცდა“, *заливать* „ტყუილის თქმა“, *нычок* „ნამწვი“; ფრ. *tuyauter* „კარნახი“, *bac* (შემოკლებული *baccalauréat*) „ბაკალავრიატი“.

ზოგიერთი სოციალური ჯგუფი, რომელიც ჟარგონს იყენებს, ღიაა და საზოგადოების ორგანულ ნაწილს შეადგენს. ასეთ ჯგუფებში ჟარგონს „კოლექტიური თამაშის“ სახე აქვს. მას ზოგჯერ *სლენგს* (ინგლ. *slang*) უწოდებენ (მაგალითად, მოსწავლე ახალგაზრდობის *სლენგი*). ის ექსპრესიულია, ძალიან არამდგრადია, ექვემდებარება მოდას; ასახავს ფაშილიარულ, იუმორისტულ ან ირონიულ, ოდნავ უხეშ დამოკიდებულებას სინამდვილისადმი. იხმარება უშუალო საუბრის დროს, ჩვეულებრივ — საკუთარი განსაკუთრებულობის ხაზგასასმელად. *სლენგის* ძირითადი თემატიკაა: სასმელ-საჭმელი, ფული, ემოციები, ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობები, გარეგნობა, სწავლის პროცესი და სხვ.

ჟარგონიზმები, რომლებმაც დაკარგეს სოციალური შეზღუდულობა, ხშირად ავსებენ მდაბიური მეტყველების ლექსიკას, საიდანაც შეიძლება შეაღწიონ სალიტერატურო ენაში. ასეთ გადასვლას ხელს უწყობს მხატვრული ლიტერატურა, რომელშიც ჟარგონი პერსონაჟთა მეტყველების დასახასიათებლად გამოიყენება — სოციალურ-სიმბოლურ ფუნქციას ასრულებს. ჟარგონიდან მომდინარე ლექსიკა საყოველთაო გავ-

რცელების შემთხვევაშიც ინარჩუნებს ექსპრესიულობას. სალიტერატურო ენის სასაუბრო სტილში სლენგიდან შეყვიდა ისეთი ლექსემები, როგორც არის *ჩაწყობა*, *ძონძები* („მოდური ტანსაცმელი“ — უარყოფითი კონოტაციით); საყოველთაოდ გავრცელდა ლექსემა *ხალტურა*, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ მსახიობთა წრეში იხმარებოდა „დამატებითი შემოსავლის წყაროს“ მნიშვნელობით.

ჩაკეტილი სოციალური ჯგუფების უარგონი იხმარება დანარჩენი საზოგადოებისგან იზოლაციის მიზნით. ეს არის, როგორც წესი, კონსპირაციის საშუალება (საიდუმლო კოდი) და/ან „თავისიანის“ სიმბოლო. ასეთია, მაგალითად, აზარტული თამაშების მოყვარულთა, ქურდებისა და სხვა კრიმინალური დაჯგუფებების უარგონები, რომლებსაც ზოგჯერ *არგოს* (ფრ. *argot*) უწოდებენ. არგო ერთი ან რამდენიმე ბუნებრივი ენიდან ნებისმიერად აღებული და სახეცვლილი ელემენტების ერთობლიობაა. სათანადო ლექსემებს *არგოტიზმები* ეწოდება.

უარგონს არ ახასიათებს გრამატიკული თავისებურებები, იგი იყენებს სასაუბრო სტილის გრამატიკულ საშუალებებს. უარგონისმების ძირითადი ნაწილი მიიღება სესხების ან სემანტიკური გარდაქმნის გზით.

ცალკე გამოიყოფა *პროფესიული უარგონი*, ანუ *სპეციალური სლენგი* — დადაბლებული სტილის არასალიტერატურო ლექსიკა, დამახასიათებელი პროფესიულად განკერძოებულ პირთა არასაიდუმლო მეტყველებისათვის. *პროფესიონალიზმები*, ჩვეულებრივ, ოფიციალური ტერმინების დუბლეტებია. მათ შეიძლება ჰქონდეთ თავისებურებები გამოსატყულების პლანში. მაგალითად, მედიკოსთა პროფესიულ უარგონში გვხვდება *კუბი* (*კუბიკი*) „კუბური სანტიმეტრი“, ინფორმატიკოსთა უარგონში — *კომპი* „კომპიუტერი“, *ტვინი* „კომპიუტერის მეხსიერება“, სასწავლო დაწესებულებების თანამშრომელთა მეტყველებაში — *შეშტატი* „ანაზღაურებადი ჭარბი დატვირთვა“; მუსიკოსთა პროფესიონალიზმია რუსული КЛАВИШНИК „კლავიშებიან ელექტრონულ ინსტრუმენტებზე დაბკვრელი“, მეზღვაურებისა — КОМПА́С „კომპასი“ (შდრ. სალიტერატურო КОМПАС); სამხედრო პროფესიონალიზმებია ფრანგული perlot „თამბაქო“, pompes „ფენსაცმელი“ და სხვ.

**10.5.** სპეციფიკურ ლექსიკას შეიცავს ისტორიულად დადასტურებული *საიდუმლო ენები*, რომლებსაც იყენებს ზოგიერთი ჩაკეტილი პროფესიული ჯგუფი — კულტის მსახურნი, მონადირეები, მეთევზეები და სხვ.

ენის ლექსიკური მარაგის განსაკუთრებულ ნაწილს შეადგენს *ბავშვის*, უფრო ზუსტად, *გადიების ლექსიკა*, რომელიც იხმარება პატარა ბავშვებთან ურთიერთობის დროს. ასეთია, მაგალითად, *აჩუა* „ცხენი“,

ზიზია „ლამაზი“, ფაფუ „გაქრა“. ლექსიკის ეს ფენა ნაკლებად არის შესწავლილი.

## 11. აქტიური და პასიური ლექსიკა. ლექსიკის ქრონოლოგიური ფენა

11.1. მის ლექსიკურ ერთეულებს შორის ზოგიერთი გამოირჩევა მეტყველებაში მაღალი სიხშირით. ისინი აღნიშნავენ მოცემული ენობრივი კოლექტივისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან რეალიებს. ეს ერთეულები ენის *აქტიურ ლექსიკას* განეკუთვნება. აქტიური ლექსიკა არ არის დაკავშირებული მოლაპარაკეთა საცხოვრებელ ადგილთან, განათლებასთან, სოციალურ, პროფესიულ, ასაკობრივ თუ სხვა ჯგუფებთან. იგი სტილისტურად ნეიტრალურია, შედარებით ნელა იცვლება, დისტრიბუციულად ნაკლებშეზღუდულია. აქტიურ ლექსიკონში შემაჯაღ ერთეულებს ფართო სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობები აქვთ. აქტიურის საპირისპიროდ, *პასიური ლექსიკა* უფრო შეზღუდულად იხმარება. მას განეკუთვნება იშვიათი რეალიების აღმნიშვნელი ერთეულები, საკუთარი სახელები, ისეთი ლექსემები, რომლებიც ენობრივი კოლექტივის მხოლოდ ზოგიერთი წევრისათვის არის ცნობილი — ტერმინები, მოძველებული ლექსემები, აგრეთვე ექსპრესიული, სტილისტურად არანეიტრალური ლექსიკა და მისთ.

აქტიურ და პასიურ ლექსიკას შორის ზღვარი პირობითია და ისტორიულად ცვალებადი. ნაკლები სიხშირის მქონე ერთეული დროთა განმავლობაში შეიძლება გააქტიურდეს, ხოლო ხშირად ხმარებული — იშვიათი გახდეს.

არსებობს აქტიური და პასიური ლექსიკის სხვაგვარი გაგებაც, იგი დამკვიდრებულია ფსიქოლინგვისტიკაში. *პასიური* ეწოდება ისეთ ლექსიკას, რომელსაც მოცემული კონკრეტული მოლაპარაკე ჩვეულებრივ არ იყენებს, თუმცა იგი მისთვის გასაგებია. ეს შეიძლება იყოს ზოგიერთი ექსპრესიული გამოთქმა, ისეთი ტერმინები, რომელთა ზუსტ მნიშვნელობას მოლაპარაკე არ იცნობს. დროთა განმავლობაში ამ მხრივ კონკრეტული მოლაპარაკის ლექსიკაც იცვლება. სწორედ ამიტომ არის, რომ ზუსტად ვერ განვსაზღვრავთ ცალკეულ მოლაპარაკეთა სიტყვიერ მარაგს.

11.2. პასიური ლექსიკისაგან უნდა განვასხვაოთ მოლაპარაკისათვის უცნობი ლექსემები, რომელთა გაგება მას ძალუძს ლექსემათა შინაფორ-

მისა თუ კონტექსტის საფუძველზე. ეს ლექსემები *პოტენციურ ლექსიკას* განეკუთვნება. იგივე ტერმინი იხმარება აგრეთვე მთელი ენობრივი კოლექტივის ლექსიკის მიმართ; იგი აღნიშნავს *პროდუქტიული დერივაციული მოდელის* მიხედვით შექმნილ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც რეალურ მეტყველებაში არ დასტურდება (დერივაციული მოდელის პროდუქტიულობის შეფასება შეიძლება ექსპერიმენტულად გამოვლენილი პოტენციური ერთეულების, კერძოდ, ლექსემების რაოდენობის მიხედვით). ასეთი ერთეულების არსებობა შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ ენობრივ სისტემაში მოქმედი წესების მიხედვით; ისინი სისტემის ცარიელ უჯრედებს ავსებენ. მაგალითად, ქართულ ენაში რეალურად არსებობს *მოძეაგო, მოძწარო, მოტკბო* და სხვ., მაგრამ *მოცხარო* არსებობს მხოლოდ პოტენციურად. ასეთივეა ფრ. optionnalité „(ფაკულტატიური) შესაძლებლობა“ < option „არჩევანი“, optionnel „შესაძლებელი“ და სხვ.

პოტენციური ლექსიკა უპირისპირდება *რეალურს*, იგი გამოიყვანება მისგან, მაგრამ არ გვხვდება მოლაპარაკეთა ენობრივ პრაქტიკაში — *უზუსში* (ლათ. *usus* „გამოყენება“, „ჩვეულება“). უზუსი არის მეტყველებაში ენობრივ ერთეულთა ფაქტობრივი ხმარების შემთხვევათა ერთობლიობა.

აქტიური ლექსიკის ის ნაწილი, რომელიც აერთიანებს არამოტივირებულ, „ბირველად“, ძირეულ ლექსემებს, შეადგენს ენის *ბირთვულ* ანუ *ბაზისურ ლექსიკას*. მასში შედის უნივერსალური, ბაზისური ცნებების აღმნიშვნელი ლექსემები, კერძოდ, ნათესაური კავშირის, მოძრაობის, ზომის, სივრცეში განლაგების აღმნიშვნელი ზოგიერთი ლექსემა, ნაცვალსახელები, რიცხვითი სახელები და სხვა. ლექსიკის ეს ნაწილი მაქსიმალურად სტაბილურია, საყოველთაოდ იხმარება და ენობრივ კოლექტივში ურთიერთგაგებინებასა და მეშვედრეობითობას განაპირობებს. ბირთვული ანუ *საყოველთაოდ გაერცვლებული (საერთო-სახალხო) ლექსიკა*, ენის ძირითადი ლექსიკური ფონდო, არ არის იგივე, რაც *სალიტერატურო ენის ლექსიკა*, რომელსაც ახასიათებს ნორმირებულობა, მოწესრიგებულობა.

*სალიტერატურო ენა* ყალიბდება ხანგრძლივი გავლენის მქონე, ავტორიტეტული, რჩეული სოციალური ჯგუფის მეტყველების საფუძველზე. იგი საფაღდებულოდ არის მიჩნეული მოცემულ ენობრივ კოლექტივში. სალიტერატურო ენის არსებობა გულისხმობს მისი წერიითი ფორმის არსებობასაც.



11.3. მსობრივი ნიშანი რომელიმე მოლაპარაკებ შეიძლება შექმნას გარკვეულ პირობებში, კონკრეტულ კონტექსტში ერთჯერადი გამოყენებისათვის. ამგვარ ინდივიდუალურ-სააგტორო გამონათქვამებს, რომლებიც არ შედიან ენობრივ სისტემაში, *ოკაზიონალიზმები* (ლათ. *occasionalis* „შემთხვევითი“) ეწოდება. ისინი გვხვდება პოეზიაში, ბავშვის მეტყველებაში, „ლინგვისტურ თამაშებში“. ასეთია, მაგალითად, *გულის სიქარბუქე* (გ.ღეონიძე), *მოიღრიჯა ცოლისკენ კისერი* (აჭაფჯავაძე). *ოკაზიონალიზმები* შემოფარგლულია მოცემული გამონათქვამის ჩარჩოებით, მოულოდნელია, ახალია და ძალიან ექსპრესიული. ისინი უპირისპირდებიან *უზუალურ ლექსიკურ ერთეულებს*. განსაკუთრებით ხშირია სიტყვაწარმოებითი *ოკაზიონალიზმები*, როგორც არის: *გამაქვითიკრე, ენამძინარი, შავსეგდიანი* (გ.ღეონიძე); რუს. *огончарован* „მოგონჩაროვებული“ (აბუშკინი); ფრ. *anticourts* „მინი-კაბების მოწინააღმდეგენი“ („ანტიმოკლეები“) (აღანინო). *ოკაზიონალური* შეიძლება იყოს ენაში არსებული, უზუალური ლექსემის ხმარება მეტყველებაში, მაგალითად, *ტკეპნით მოლაპარაკე* (გ.ღეონიძე): ამ ფრაზაში *ტკეპნით* ლექსემა *ოკაზიონალური* მნიშვნელობით არის ნახმარი.

11.4. ლექსემები, რომლებიც დროის ფაქტორის გამო საყოველთაოდ არ იხმარება — ჯერ არ დამკვიდრებულა ენაში ან მათი გამოყენება უკვე აღარ არის აუცილებელი კომუნიკაციის მოცემულ სფეროში — შეადგენენ *პასიური ლექსიკის ქრონოლოგიურ ფენას*. ეს ლექსიკური ერთეულები იყოფა *მოძველებულ ლექსემებად* და *ნეოლოგიზმებად*. ისინი სპეციფიკურ სფეროებში გამოიყენება.

ზოგიერთი *მოძველებული ლექსემა* გასაგებია ენის მფლობელთათვის, მაგრამ იხმარება მხოლოდ სტილისტური ან შემეცნებითი მიზნებისათვის; სხვა, უკვე გაუგებარი ერთეულები შენარჩუნებულია მყარ შესიტყვეებში.

მოძველებულობის მიზეზების მიხედვით განარჩევენ *ისტორიზმებსა* და *არქაიზმებს*.

*ისტორიზმი* არის ლექსემა ან ფრაზემა, რომელიც აღნიშნავს გამქრალ თუ არააქტუალურ რეალიებს (ტანსაცმელს, იარაღს, აპარატურას, სოციალურ სტატუსს და მისთ.). ამგვარი ერთეულები გამოიყენება სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურაში, აგრეთვე ისტორიული კოლორიტის შესაქმნელად მხატვრულ ტექსტებში. ისტორიზმებია, მაგალითად: *პატეფონი, ბოქსული, ქათიბი, ამირსპასალარი*. ამგვარი ლექსემებით აღნიშნული ზოგიერთი რეალია შემონახულია უცხოეთში ან დაცულია მუზეუმებში.

*არქაიზმები* (ბერძნ. *archaios* „ძველი“) ისეთი მოძველებული ლექსიკური ერთეულებია, რომლებიც შენაცვლებულია აქტიურად ხმარებული თანამედროვე სინონიმებით. არქაიზმები სტილისტურად მარკირებული ლექსიკური ერთეულებია, ხოლო ისტორიზმები შეიძლება ნეიტრალურიც იყოს (მაგალითად, ისტორიულ გამოკვლევაში).

განარჩევნ არქაიზმების რამდენიმე სახეობას:

*ლექსიკური არქაიზმები* მთლიანად მოძველებული ლექსებებია; მაგალითად, მუნ „იქ“, წერტა „ჩხვლეტა“, თვინიერ „გარდა“, ვანი „სადგომი“; ინგლ. welkin „ზეცა“, steed „ცხენი“; რუს. перст „თითი“, присно „მარადის“; ფრ. occire „მოკვლა“, vesprée „საღამო“.

*სემანტიკურ არქაიზმებს* მოძველებული მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ მათი ომონიმები (ან სემანტიკურად მონათესავე ლექსებები) არსებობს თანამედროვე აქტიურ ლექსიკონში. ასეთია, მაგალითად, *დათრგუნვა* „გათელვა“, *მოუწოდა* „მოუხმო“, *გაიგონა* „განსაჯა“, *ბეერი* „ათი ათასი“; ინგლ. thrall „დამონება“ > „მონა“; ფრ. demeure „მოლოდინი“ > „სამყოფელი“; რუს. влиял „შიგ ასხამდა“ > „ზეგავლენას ახდენდა“.

*ლექსიკურ-დერივაციული არქაიზმები* თანამედროვე სინონიმებისგან მხოლოდ დერივაციული სტრუქტურით განსხვავდებიან; მაგალითად: *ნათხალი* „მეოთხედი“, *აღმოსავალი* „აღმოსავლეთი“, *კუდური* „კუდიანი“; რუს. отвечать > отвечать „პასუხის გაცემა“, рыбарь > рыбак „მეთევზე“; ფრ. richomme „მდიდარი“ > riche „მდიდარი“ და homme „კაცი“.

*ლექსიკურ-ფონეტიკურ არქაიზმებს* ნაწილობრივ განსხვავებული ბგერითი ფორმა ახასიათებთ; მაგალითად: *ტფილა* *ჯუარა* *სძალა* რუს. зеркало > зеркало „სარკე“, древо > дерево „ხე“, пашпорт > паспорт „პასპორტი“; ინგლ. wind [waɪnd] > [wind] „ქარი“ და მისთ.

დროთა განმავლობაში არქაიზმები შეიძლება გააქტიურდნენ; ასეთია, მაგალითად: *ჩაფხუტი*, *რამეთუ*, *კირჩხიბი* (ზოდიაქოს ნიშანი). ასეთ შემთხვევებში ისინი ზოგჯერ ამადლებულ სტილს განეკუთვნებიან ან სახუმარო, ირონიულ კონოტაციას იძენენ. ისტორიზმებმა ახალი რეალიების აღნიშვნის შედეგად შეიძლება შეიცვალონ მნიშვნელობა, მაგალითად: *დარბაზი* („სათათბირო ორგანო“), *თეთრი* („თანამედროვე ქართული მონეტა“).

11.5. მოძველებულ ლექსებებს უპირისპირდება *ნეოლოგიზმები* (ბერძნ. *neos* „ახალი“, *logos* „სიტყვა“) — ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მოცემულ ენაში გაჩნდა არაუადრეს ბოლო ათწლეულისა და მოლაპარაკეთა მიერ აღიქმება როგორც ახალი. ზოგიერთი მკვლევრის აზრით,

ნეოლოგიზმად ენობრივი ნიშანი მხოლოდ ლექსიკონებში დაფიქსირებამდე ჩაითვლება.

ნეოლოგიზმების წარმოქმნა ექსტრალინგვისტური ფაქტორებით, ჩვეულებრივ, ახალი თბიქტების გაჩენით არის განპირობებული. ეს ერთეულები ენაში მოქმედი წესების მიხედვით იქმნება უკვე არსებული მორფემებისა და ლექსემების საფუძველზე, ან შემოდის სესხების გზით. ისინი ხშირად მოდურ რეალიებს (ტანსაცმელს, ცეკვებს, ვარცხნილობას და მისთ.) აღნიშნავენ.

შეიძლება გამოვყოთ *ლექსიკური, სემანტიკური, ლექსიკურ-დერივაციული ნეოლოგიზმები*, მაგალითად: *ლარი, სერიალი, ბაიტი, კლიბი; თეთრი* („ვერცხლის ფული“ > „თანამედროვე ქართული მონეტა“), *დიპლომატი* („პატარა ბრტყელი ჩემოდანი“), *ეთერი* („რადიო- და ტელემაუწყებლობის სივრცე“); რუს. *НОВЫЙ „ახალი“* > „ახლად გამდიდრებული“, „ნუფორიში“; *მძაფრსიუეტიანი, შეველმფრენი, მეტეომგრძნობიარე, ვიდეობირატა* რუს. *афорист „აფორიზმების ავტორი“, двухдонный „ფარული“, „დამალული“* („ორფსკერიანი“). ნეოლოგიზმების დიდი ნაწილი ტერმინოლოგიურ ლექსიკას განეკუთვნება.

ნეოლოგიზმები ძალიან სწრაფად კარგავენ სიახლეს და შედიან ლექსიკის აქტიურ ნაწილში ან შეიძლება მოძველებულ ლექსიკურ ერთეულებად იქცნენ, როგორც, მაგალითად, *სტახანოველი, რადიოლა, კოლმურნეობა, ტვისტი* (ცეკვა) და სხვ.

ხელოვნურად, ენაში მოქმედი წესების გაუთვალისწინებლად ახალი ლექსიკური ერთეულები ძალიან იშვიათად იქმნება. ამგვარ ხელოვნურად შექმნილ ლექსემათა რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, *კოდაკო როკოკო, ლილიპუტი, ნეილონი* და სხვ.

## 12. ლექსიკურ ერთეულთა სესხება და კალკირება

12.1. ხალხებს შორის აქტიური კონტაქტები იწვევს ენობრივ ერთეულთა ერთი ენიდან მეორეში გადატანას, *სესხებას*. მსესხებელ ენაში ამ გზით ჩნდება ახალი ენობრივი ერთეულები. სინქრონიულ ასპექტში შეიძლება ვისაუბროთ სესხების შედეგებზე — ერთმანეთს უპირისპირდება *შევიდრი* და *ნასესხები* ენობრივი ერთეულები. ყოველ ენაში მრავალი ნასესხობაა; მაგალითად, ინგლისურში მკვიდრი ლექსემები მხოლოდ 25-30 პროცენტს შეადგენს, მაგრამ მათ მაღალი სიხშირე და ფართო სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობები აქვთ.

სესხების დროს ხდება ფონეტიკური და გრამატიკული სუბსტიტუცია, ჩანაცვლება — ენობრივი ერთეული იძენს ნაწილობრივ ახალ გამოხატულებასა და შინაარსს. ნასესხობა მიესადაგება მსესხებელი ენის სისტემას, ზოგჯერ იმდენად, რომ მისი უცხოური წარმომავლობა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ეტიმოლოგიური ანალიზის შედეგად. ნასესხები ენობრივი ერთეულის ადაპტაციის (ლათ. *adaptatio* „მისადაგება“), ანუ მსესხებელი ენის სისტემისადმი *შეგუების, მისადაგების* ხარისხს განსაზღვრავს ამ ერთეულის ხმარების სიხშირე და ზოგიერთი სხვა ფაქტორი. პირობითად შეიძლება გამოვყოთ ნასესხობათა სამი ჯგუფი: სრულად ადაპტირებული, ნაწილობრივ ადაპტირებული და არაადაპტირებული ნასესხობები.

*სრულად ადაპტირებული ენობრივი ერთეულები* არაფრით გამოირჩევა მკვიდრი ერთეულებისაგან, ისინი დაშორებულია პირველწყაროს. ასეთმა ნასესხობამ შეიძლება გამოდევნოს მკვიდრი ერთეული (მაგალითად, თურქულიდან მომდინარე ლექსებამ *ოთახი* შეცვალა ქართული *სენაკი*). ნასესხობებად აღარ აღიქმება *საათი, ბალიში, ჯამი, კაპიკი* და მრავალი სხვა ლექსემა ქართულში.

*არაადაპტირებული ენობრივი ერთეულები* მკვიდრი ერთეულებისგან გამოირჩევა ბგერითი, ორთოგრაფიული, სემანტიკური, გრამატიკული ნიშნებით. ისინი ძირითადად უცხო რეალიებს აღნიშნავენ ან სპეციალურ, ტერმინოლოგიურ ლექსიკას განეკუთვნებიან. ასეთია, მაგალითად, *ბარბეკიუ* (ინგლ. *barbecue*), *დე იურე, დე ფაქტო* (ლათ. *de jure, de facto*), *ინ-კვარტო* (ლათ. *in quarto*).

12.2. *ნაწილობრივი ადაპტაციის* დროს ლექსემებს შეიძლება ჰქონდეთ ფონეტიკური ან გრამატიკული თავისებურებები. მაგალითად, *ტაქსი* ლექსემის ფუძე /ი/ ხმოვანზე ბოლოვდება, რაც უჩვეულოა ქართული საზოგადო სახელებისათვის; *ილუმინაცია* ხშირად პალატალიზებული [ლ'] თანხმონით გამოითქმის, მაშინ როდესაც სალიტერატურო ქართულისათვის [უ] ხმონის წინ თანხმონთანა პალატალიზაცია არ არის დამახასიათებელი; ფრანგულიდან ნასესხები ინგლისური *foyer* „ფოიე“ ლექსემის ფონეტიკური ვარიანტები — [ˈfɔːjeɪ], [fwaˈjeɪ] — ადაპტაციის სხვადასხვა ხარისხს წარმოადგენს; ასეთივეა ინგლისური *garage* „გარაჟი“ — [gˈɑːrɑːʒ], [gæˈrɑːʒ], [gæˈrɪdʒ]; ფრანგულში ინგლისურიდან ნასესხები *supporter* „მხარდაჭერი“, „გულშემატკივარი“ გამოითქმის როგორც [süpoˈrtɛr] ან [süpoˈrtæɾ]; ინგლისურ -ing დაბოლოებაში თავს იჩენს ფრანგულისათვის უცხო [ŋ] ბგერა ისეთ სიტყვებში, როგორც არის *meeting* [mitˈiŋ] „კრება“, *smoking* [smokˈiŋ] „სმოკინგი“, მაგრამ

shampooing „შამპუნი“ ნასესხობა ადაპტირებულია: [ʃɑp'wE]; რუსულში საკმაოდ ძველი ნასესხობები — пальто „პალტო“, кофе „ყავა“ და მისთ. — უბრუნველია; მრავლობითი რიცხვის უჩვეულო ფორმები აქვთ ინგლისურში ლათინურიდან და ბერძნულიდან შესულ ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, როგორც არის formula „ფორმულა“ — მრ.რ. formulae, criterion „კრიტერიუმი“ — მრ. რ. criteria და სხვ.

მსესხებელ ენაში შეიძლება გარდაიქმნას ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა. მაგალითად, სემანტიკური გარდაქმნა განიცადა ბერძნულიდან მომდინარე ლექსემა *სიმპათია* (ბერძნ. sympatheía) „თანაგრძნობა“, რომელიც რუსულსა და ქართულში შემოვიდა „კეთილგანწყობის“ მნიშვნელობით. მსგავსი სემანტიკური გარდაქმნები, როგორც წესი, არ ხდება უცხო რეალიების აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებში (*სომბრე-რო, პალანკინი, კიძონო, პიცერია* და მისთ.).

ნასესხებ ლექსემათა შინაფორმა „დაჩრდილულია“ და არ გადადის მსესხებელ ენაში, ამიტომ ისინი პირველადი ლექსემების სახეს იძენენ. სესხების დროს შინაფორმის დაჩრდილვა საფუძვლად უდევს ისეთ მცდარ და/ან ტავტოლოგიურ გამოთქმებს, როგორც არის: *მესამე ალტერნატივა* (ლათ. alternare „ორიდან ერთის არჩევა“, „მონაცვლეობა“ > ფრ. alternative), *მთავარი ლაიტმოტივი* (გერმ. Leitmotiv „მთავარი მოტივი“), *თავისი ავტობიოგრაფია* (ბერძნ. autós „თვითონ“, bíos „ცხოვრება“, gráphō „ვწერ“), *დე ფაქტოდ* (ლათ. de facto „ფაქტობრივად“), *ანფასში* (ფრ. en face „სახეში“, „პირისპირ“) და სხვ.

**12.3.** ხალხებს შორის კავშირების გააქტიურების შედეგად გავრცელდა *ინტერნაციონალიზმები* ანუ *საერთაშორისო ლექსიკა*, რომელიც ევროპულ ენებში ძირითადად ლათინური და ბერძნული წარმომავლობისაა: ახლო და შუა აღმოსავლეთში გავრცელებულია არაბულიდან და სპარსულიდან, ხოლო შორეულ აღმოსავლეთში — ჩინურიდან მომდინარე საერთაშორისო ლექსიკა. ამ ენობრივ ერთეულთა დიდ ნაწილს ტერმინები შეადგენს. თუ ენაში ბევრია ისეთი ნასესხები ლექსემა, რომლებიც ერთსა და იმავე აფიქსურ მორფემას შეიცავენ, მაშინ ამ ლექსემებში გამოიყოფა ნასესხები აფიქსი. მკვიდრ ძირებთან მან შეიძლება „პიბრიდული“ ლექსემები წარმოქმნას. ასეთია, მაგალითად, *სუპერ-: სუპერგაერთიანება, სუპერსახელმწიფო* და მისთ.

ტერმინები ზოგჯერ ცალკეული ნასესხები მორფემების შეერთების გზით იქმნება. ამ მოვლენას *ხელოვნური სესხება* ეწოდება. ამგვარი ტერმინის შემადგენელი მორფემები შეიძლება სხვადასხვა ენიდან მომდინარეობდნენ, მაგალითად: *სპექტრომეტრი* (ლათ. spectrum „ხილული“,

ბერძნ. *metrēō* „ვზომავ“), *ტელევიზორი* (ბერძნ. *tēle* „შორს“, ლათ. *visio* „ხედვა“), *ვიცე-პოლკოვნიკი* (ლათ. *abl. vice* „ნაცვალი“, რუს. *полковник*).

**12.4.** სესხებას ემიჯნება *კალკირება* (ფრ. *calque* „ასლი“) — ახალი ფრაზების ან ლექსების გაჩენა შესატყვისი უცხოური ენობრივი ერთეულის ზედმიწევნით, ზოგჯერ — ნაწილ-ნაწილ თარგმნის გზით. ასე მიღებული ერთეული უფრო დაშორებულია პირველწყაროს, ვიდრე ნასესხობა. *კალკი* უცხოური ყალიბით (ნიმუშით) და საკუთარი მასალით შედგენილი ენობრივი ერთეულია, მას მხოლოდ სტრუქტურა აქვს ნასესხები.

განსაკუთრებით გავრცელებულია *სიტყვაწარმოებითი კალკები*, რომლებშიც თარგმანი მორფემულ დონეზე ხორციელდება. ასეთია, მაგალითად, *თვითმფრინავი* (რუს. *самолёт*), *წყალქვეშა* (რუს. *подводный*); რუს. *подразделение* „ქვედანაყოფი“ (ფრ. *subdivision*), *односторонний „ცალმხრივი“* (გერმ. *einseitig*); ინგლ. *self-criticism* „თვითკრიტიკა“ (რუს. *самокритика*). ევროპულ ენებში (ქართულშიც) კალკირებულია ლათინური გრამატიკის ბევრი ტერმინი, მათ შორის: *ქვემდებარე* (ლათ. *subjectum*), *წინადადება* (ლათ. *propositio*), *ზმნიზედა* (ლათ. *adverbium*), *ზედსართავი* (ლათ. *adjectivum*) და სხვ.

*სემანტიკურ კალკებში* ნასესხებია გადატანითი მნიშვნელობა. ასეთია, მაგალითად, *ანთება* (*ნერვის ანთება*, შდრ. რუს. *воспаление нерва*); *ღარიბი* (*ლექსიკა*, *ნიადაგი* შდრ. რუს. *бедная лексика*, *бедная почва*); გრამატიკული ტერმინები: *რიცხვი* (ლათ. *numerus*), *დრო* (ლათ. *tempus*), *სქესი* (ლათ. *genus*).

*ფრაზეოლოგიური კალკები* ფრაზემათა სიტყვასიტყვით თარგმნის შედეგად მიიღება. მათ შორისაა, მაგალითად, *ზომების მიღება* < რუს. *принимать меры* < ფრ. *prendre les mesures*; რუს. *железный занавес* „რკინის ფარდა“ < ინგლ. *iron curtain*; რუს. *порочный круг* „მანკიერი წრე“ < ლათ. *circulus vitiosus*.

არსებობს *ნახევარკალკებიც* — ნაწილობრივ ნათარგმნი ენობრივი ერთეულები. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს ნასესხები აფიქსების შემცველი ლექსემები, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი (მაგ., *ანტისხეული* < რუს. *антитело*, ფრ. *anticorps*), ან ნაწილობრივ ნასესხები და ნაწილობრივ კალკირებული ფრაზემები, მაგალითად: *ბიძია სემი* (რუს. *дядя Сэм* < ინგლ. *uncle Sam*); რუს. *смешать карты* (სიტყვასიტყვით: „ბანქოს აღრევა“) < ფრ. *brouiller les cartes* „გვემების არევა-ღარევა“.

ზოგჯერ სესხება გაშუალებულია სხვა ენით. ამ მოვლენას *შუალობითი სესხება* ეწოდება. მაგალითად, ბერძნული ლექსემა *analysis* „ანალიზი“ ლათინურის გავლით შედის ფრანგულში, აქედან სესხების გზით — რუსულში, საიდანაც იგი შემდეგ ქართულმა ისესხა; ლათინური *archivum* „არქივი“ გერმანულის გზით შევიდა რუსულში და შემდეგ — ქართულში.

*ხალხური ეტიმოლოგიის* შემთხვევაში შეიძლება მოხდეს *ცრუ კალკირება*. ამ დროს საქმე გვაქვს ლექსემის ან ფრაზემის შინაფორმის არასწორ გააზრებასთან. მაგალითად, რუსული *орлики* „წყალიკრეფა“, სიტყვასიტყვით — „არწივის ბარტყები“ (მცენარის სახელწოდება) — მიღებულია ლათინური *aquilegia* (*aqui-legus* „წყლის ამკრეფი“) ლექსემისგან ცრუ კალკირების გზით — ამ ლექსიკური ერთეულის პირველი ნაწილი არასწორად არის გააზრებული ლათ. *aquila* „არწივი“ ლექსემასთან (რუსულში *орлики* სახელწოდების გვერდით გვხვდება მართებული ანალიზის შედეგად მიღებული *водосноп* სახელწოდებაც).

ზოგჯერ ნასესხობა და კალკი პარალელურად იხმარება, მაგალითად: *დადებითი — პოზიტიური, ბუნებრივი — ნატურალური*.

ზოგიერთ დარგში უპირატესად ერთი რომელიმე ენიდან ნასესხები ტერმინები გვხვდება. ასე, მაგალითად, სპორტის ტერმინოლოგია ძირითადად ინგლისური წარმომავლობისაა, მუსიკის ტერმინოლოგია — იტალიური, ბალეტისა — ფრანგული, ტექნიკისა — გერმანული.

12.5. პასიური ლექსიკის გარკვეულ ნაწილს შეადგენენ ერთეულები, რომლებიც უცხო ხალხებისა თუ ქვეყნებისათვის, უცხოური ყოფისათვის დამახასიათებელ რეალიებს გადმოგვცემენ. სახელდობრ, *ეთნოგრაფიზმები* (ბერძნ. *ethnos* „ხალხი“, „ტომი“) აღნიშნავენ გარკვეული ეთნიკური ჯგუფის ყოფასთან დაკავშირებულ რეალიებს, *რეგიონალიზმები* — ქვეყნის ერთი რეგიონისათვის სპეციფიკურს, ხოლო *ეგზოტიზმები* (ბერძნ. *exōtikós* „უცხოური“) — უცხო ქვეყნებისათვის დამახასიათებელ რეალიებს. ეთნოგრაფიზმებია, მაგალითად: *ფაშენდა, ტორერო, იბამი, სამოვარი, ვიგვამი, საკე, ეგზოტიზმები: საკურა, ტაიფუნა, კოლიბრი, ავოკადო* და სხვ. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ყოფას ასახავენ შემდეგი რეგიონალიზმები: *ფაცხა, კუბდარი, ხევისბერი, კეაწარახი* და სხვ. ეთნოგრაფიზმი შეიძლება იმავდროულად ისტორიზმსაც წარმოადგენდეს, მაგალითად: *მენესტრელი, ტოვა, რიქმა*. ასეთი ლექსიკა დროთა განმავლობაში ზოგჯერ აქტიურდება; მაგალითად, ქართულში ამჟამად აქტიურად იხმარება: *მაფია, მაგისტრანტი, ლოჯია, კოლეჯი*. პასიური ლექსიკის ეს ნაწილი სტილისტურად მარკირებულია. ამით იგი განსხვავდება ადაპტირებული და ნახევრად ადაპტირებული ნასესხები ლექსიკისაგან,

რომელიც სხვადასხვა სტილს განეკუთვნება, მათ შორის — ნეიტრალურსაც.

ლექსიკურ ერთეულს, რომელიც ინარჩუნებს უცხოურ იერს, მეტ-ნაკლებად რეგულარულად იხმარება მეტყველებაში (რასაც, როგორც წესი, მოდა განაპირობებს) და მკვიდრი სინონიმი აქვს, *ბარბარიზმი* (ბერძნ. *barbaros* „უცხოური“, „უცხო ქვეყნისა“) ეწოდება. ბარბარიზმები დამახასიათებელია გარკვეული სოციალური ჯგუფების წარმომადგენელთა მეტყველებისათვის. ბარბარიზმებია, მაგალითად: *სეილი* (ინგლ. *sale* „გაყიდვა“, შდრ. ქართ. *ფასდაკლებით გაყიდვა*); *ჰაბიტუსი* (ლათ. *habitus* „გარეგნობა“, „სახე“, შდრ. ქართ. *იერი, იერსახე*); *პრონონსი* (ფრ. *prononcer* „წარმოთქმა“, შდრ. ქართ. *კილო, გამოთქმა, აქცენტი*) და სხვ. ასეთი ლექსიკური ერთეულები, ჩვეულებრივ, სწრაფად გამოდის ხმარებიდან.

### 13. ტერმინოლოგია. ტერმინთა სისტემების მახასიათებლები

13.1. პრაბირთვული ლექსიკის ერთ-ერთ ჯგუფს შეადგენს *ტერმინები* (ლათ. *terminus* „ზღვარი“) — ცოდნის ან მოღვაწეობის სპეციალური დარგების ტიპობრივ ცნებათა აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები. ტერმინთა სისტემას *ტერმინოლოგია* ეწოდება, მის შემსწავლელ დისციპლინას — *ტერმინოლოგია*. ენის ლექსიკურ სისტემაში ტერმინოლოგია, პირველ რიგში, თავისი ფუნქციის საფუძველზე გამოიყოფა. იგი სალიტერატურო ენის ძალზე აქტიურად ხმარებული და მაქსიმალურად მართვადი ნაწილია. ტერმინები ინფორმაციულად სხვა ლექსიკურ ერთეულებზე უფრო მეტად არის დატვირთული. ისინი სინთეზურად გამოხატავენ იმას, რაც ანალიზურად დეფინიციით გამოიხატება. არატერმინოლოგიური ლექსიკისაგან ტერმინთა განსასხვავებლად ზოგჯერ ამოწმებენ, აქვს თუ არა ლექსიკურ ერთეულს დეფინიცია მოცემულ დარგში.

13.2. ტერმინების შექმნა დაკავშირებულია ახალი რეალიების სახელდებასთან; ტერმინოლოგია რეალობის შესწავლის შედეგია, იგი გარკვეულ მსოფლმხედველობას ასახავს. დროთა განმავლობაში გარესამყაროს შესახებ ადამიანთა ცოდნა იცვლება, ვითარდება, რის გამოც ზოგიერთი ტერმინის შინაფორმა შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს იმ ცნების შინაარსთან, რომელსაც იგი აღნიშნავს. ასეთ შემთხვევებში მიიღება ე.წ. *კრუშაორიენტირებული ტერმინები*. ასეთია, მაგალითად, *ატომი* (ბერძნ.



átomos „დაუშლადი“), ბაქტერია (ბერძნ. *baktéria* „ჩხირი“; ბაქტერიების ერთ სახეობას — კოკებს < ბერძნ. *kókkos* „მარცვალი“ — სფეროს ფორმა აქვს). არსებობს ისეთი ტერმინებიც, რომელთა შინაფორმა იმთავითვე არ შეესაბამებოდა მათ შინაარსს; მათ რიცხვშია, მაგალითად, *ასფურცელა* (მცენარის სახელი), *ათეული* („ერთ ზვინად დადგმული თერთმეტი ძნა“).

13.3. ყოველი ტერმინი შედის რომელიმე ტერმინოსისტემაში (ტერმინოლოგიურ ველში), რომლის გარეთ იგი დეტერმინოლოგიზაციას განიცდის და საყოველთაოდ ხმარებული ხდება. საპირისპირო პროცესია ტერმინოლოგიზაცია — ტერმინად გადაქცევა. ტერმინოლოგიზაციის მაგალითებია: *გამყლაყნება* (ფოტოგრაფიაში), *საქონელი* (ეკონომიკაში), *სიმრავლე* (მათემატიკაში), *ქცევა* (გრამატიკაში); რუს. *прямая* „წრფე“, *сопротивление* „წინაღობა“. დეტერმინოლოგიზაცია გვაქვს, მაგალითად, შემდეგ ლექსებში: *სიმბტომი* „ნიშანი“, *ღიაპაზონი* „გაფრცელების არე“, *სფერო* „დარგი“; რუს. *лакировка* „ლაქის წასმა“ > „შელამაზება“. ამგვარად, ზღვარი ტერმინოლოგიურ და არატერმინოლოგიურ ლექსიკას შორის პირობითია. ზოგჯერ ტერმინი ერთი დარგიდან მეორეში გადადის, რასაც თან სდევს მნიშვნელობის გარდაქმნა. ამგვარი რეტერმინოლოგიზაციის შედეგად არის მიღებული, მაგალითად, *ველი* — ენათმეცნიერებაში ფიზიკიდან შემოსული ტერმინი; ქიმიიდან ენათმეცნიერებაში შემოვიდა ტერმინი *ვალენტობა*, სამედიცინო ტერმინოლოგიიდან კომპიუტერულ ტექნიკაში — *ვორუსი*, ტექნიკიდან მედიცინაში — *დრენაჟი* და სხვ.

ტერმინები იქმნება ენაში უკვე არსებული ერთეულების საფუძველზე ან სესხების გზით. ისინი ემორსილებიან იმ ფონეტიკურ და გრამატიკულ კანონებს, რომლებიც მოცემულ ენაში მოქმედებენ. თუ ლექსიკის სხვა ჯგუფებში ძალზე იშვიათია ენობრივ ნიშანთა გამოგონება, ტერმინოლოგიაში ამის არცთუ ცოტა მაგალითი მოიპოვება. ასე, მაგალითად, *იოანე პეტრიწის* მიერ შექმნილი ტერმინებია: *გონიერი*, *უპირატესი*; *ეფრემ მცირის* მიერ — *არსი*, *მეცნიერება*; *ილია ჭავჭავაძემ* შექმნა შემდეგი ტერმინები: *უარყოფა*, *შინაარსი*, *სინამდვილე*, *ღირებულება*; *დიმიტრი უზნაძემ* — *ალქმა*, *განწყობა*; *გუგოლ ბერიძემ* — *შვებულება* და სხვ. (ეს ლექსებები მეორეული ნომინაციის შედეგად არის მიღებული; არამოტივირებულ ლექსებათა გამოგონება ტერმინოლოგიაშიც გამონაკლისის სახით ხდება). საკმაოდ ბევრი ტერმინი საკუთარი სახელებისაგან მომდინარეობს, ასეთია: *ვოლტი*, *მენდელეევიუმი*, *ბერთოლეს მარილი*, *მებიუსის ფურცელი* და სხვ.

ზოგიერთი ტერმინი საყოველთაოდ გასაგებია, ფართოდ იხმარება, ზოგი კი *ფიწროსპეციალურად* უდრ., ერთი მხრივ, *კვადრატა, დიაგნოზი* და, მეორე მხრივ — *სემანტემა, ფიტოფაგი* (ბიოლოგიის ტერმინი).

სტრუქტურის მიხედვით გამოიყოფა *მარტივი* (ერთსიტყვიანი) და *შესაჯენილი* (შესიტყვების სახით არსებული) *ტერმინები*. ეს უკანასკნელნი აქინიშნავენ ისეთ ცნებებს, რომლებიც ერთი ლექსემით ვერ გამოიხატება. ასეთია, მაგალითად: *მართი კუთხე, წითელი ქარი, კითხვის ნიშანი* რუს. обратная связь „უკუკავშირი“, заглавный лист „თავფურცელი“; ინგლ. vacuum cleaner „მტვერსასრუტი“, radio astronomy „რადიოასტრონომია“; ფრ. ambre jaune „ქარვა“, chef d'orchestre „დირიჟორი“.

ტერმინები, საზოგადოდ, ნეიტრალური შეფასების მქონე ლექსიკას ეკუთვნება; მათ ექსპრესიულობა არ ახასიათებთ.

**13.4.** ტერმინთსიტემების ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა მოცემულ დარგში ცოდნის საკმარისად მაღალი დონის არსებობა. ტერმინოლოგიური სისტემა მაშინ არის სიცოცხლისუნარიანი, როდესაც იგი მოწესრიგებულია და, ამასთანავე, როდესაც ტერმინთა შინაარსი და გამოხატულება კარგად შეეფარდება ერთმანეთს. ტერმინთსიტემებში ყველა ერთეულს უნდა ჰქონდეს დეფინიცია (ეს არ ეხება პირველადი ცნებების აღმნიშვნელ ტერმინებს). მოცემული დარგის ფარგლებში ტერმინი მონოსემიური უნდა იყოს. იმ ტერმინებს, რომლებიც სხვადასხვა დარგში იხმარება, *დარგთაშორისი ომონიმური ტერმინები* ეწოდება. ასეთია, მაგალითად, *რეაქცია* (ქიმიკაში, ფსიქოლოგიაში, ისტორიაში), *სხივი* (ფიზიკაში, გეომეტრიაში, ანატომიაში), *რეცედივი* (იურისპრუდენციაში, მედიცინაში), *პლაზმა* (ბიოლოგიაში, ფიზიკაში, მინერალოგიაში), *სახსარი* (ბიოლოგიაში, ტექნიკაში) და სხვ.

**13.5.** შრთი და იმავე დენოტატის მქონე ტერმინების (*დუბლეტების, ტრაპლეტების*) არსებობასა შეიძლება გაჩნდეს მათი დიფერენციაციის ტენდენცია, რაც აღსანიშნი ობიექტის სხვადასხვა მხარის ასახვის საშუალებას იძლევა (უდრ., მაგ., *ქვეშდებარე — სუბიექტი*).

ტერმინთსიტემები, როგორც წესი, ღიაა, ისინი ივსება ახალი ერთეულებით მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებასთან ერთად. ისტორიულად ჩამოყალიბებული ტერმინთსიტემები, ჩვეულებრივ, უფრო რაციონალურ ორგანიზაციას საჭიროებენ, რაც იმით შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ მოცემული ტერმინთსიტემა სტიქიურად იქმნებოდა, ემყარებოდა არაზუსტ კლასიფიკაციას, არამკაფიო დეფინიციებს. ზოგიერთი

ცნების აღმნიშვნელი ტერმინი შეიძლება საერთოდ არც იყოს შექმნილი. არსებული ტერმინთსისტემების ტიპობრივი ნაკლოვანებებიდან აღსანიშნავია: ტერმინთა სინონიმია, პოლისემია (ერთი დარგის ფარგლებში), ერთგვაროვან ტერმინთა (კოპიზონიმების, ანტონიმების და მისთ.) არაერთგვაროვანი სტრუქტურა, ძალიან გრძელი და ძნელად წარმოსათქმელი, აგრეთვე „ცრუშაორიენტირებელი“ ტერმინების არსებობა.

**13.6.** ტერმინს ფონეტიკური და გრამატიკული თვალსაზრისით „ნორმალური“ ლექსემის სახე უნდა ჰქონდეს, თუმცა სასურველია, რომ იგი განსხვავდებოდეს იმავე გამოხატულების მქონე არატერმინისაგან რაღაც (გრამატიკული) ნიშნებით. ტერმინთსისტემებში ვხვდებით სპეციფიკურ დერივაციულ მოდელებსა და ფორმანტებს; შდრ., მაგალითად: *ვაზისებრნი, თუთისებრნი, ფიჭვისებრნი* ბოტანიკაში; *ფონემა, გრამემა, ლექსემა, სემანტემა* ენათმეცნიერებაში, *ნიტრატი — ნიტრიდი — ნიტრიტი, ქლორატი — ქლორიდი — ქლორიტი* ქიმიაში. ინგლისურში მეცნიერების დარგების სახელწოდებებისათვის ნიშანდობლივია -ics სუფიქსი, მაგალითად: physics „ფიზიკა“, linguistics „ენათმეცნიერება“, mathematics „მათემატიკა“, aeronautics „აერონავტიკა“. კარგად ორგანიზებულ ტერმინთსისტემებში — ქიმიაში, ბიოლოგიაში, მედიცინაში — იხმარება გარკვეული აფიქსები სპეციალიზებული მნიშვნელობით; მაგალითად, ანთებით დაავადებათა სახელწოდებებში დასტურდება -იტ სუფიქსი, ქრონიკულ დაავადებათა სახელწოდებებში კი -ოზ სუფიქსი (შდრ. *ართრიტი — ართროზი, ნევრიტი — ნევროზი*).

**13.7.** ძალი ტერმინით ძველის შენაცვლებისას შეიძლება დუბლეტები მივიღოთ, რაც ტვირთავს მესხიერებას და ართულებს აღქმას. ამიტომ ზოგჯერ ჯობს უკვე დამკვიდრებული, თუნდაც უარესი ტერმინის შენარჩუნება. სტიქიური ტერმინთწარმოქმნის გარდა, დუბლეტების გაჩენა შეიძლება განპირობებული იყოს შემოკლებულ ტერმინთა ხმარებითაც, მაგალითად: *სამკუთხიანი — სამკუთხა, გოგირდის მუაფა — გოგირდმუაფა, შემაერთებელი — მაერთა* ინგლ. neutrons — neuts „ნეიტრონები“, television — TV „ტელევიზია“, ფრ. linoléum — lino „ლინოლეუმი“, cinématographe — cinéma — ciné „კინემატოგრაფი“, „კინო“ და სხვ. განსაკუთრებით ხშირია დუბლირება ტერმინთა სესხების დროს. ნასესხებ ტერმინს შეიძლება ის უპირატესობა ჰქონდეს, რომ იგი უფრო იზოლირებულია, უფრო ადვილია მისი გამიჯვნა არატერმინისაგან, მაგრამ სესხების დროს იწრდილება ტერმინის შინაფორმა.

13.8. ძალიან გრძელი ტერმინები არაეკონომიურია, ხშირად იკვეცებიან, რასაც შეიძლება პოლისემიის გაჩენა მოჰყვეს — როგორც ეს ხდება, მაგალითად, შემდეგ ტერმინებში: *სააპარატი (ვანყოფილება), ამომრთველი (მოწყობილობა)*; რუს. потенциальное силовое поле „პოტენციური ძალოვანი ველი“ > силовое поле. მეტად გრძელი ტერმინებია, მაგალითად, *ელექტრომაგალსარემონტო, ტელევიდიო-ფოტოკინოაპარატურა, ერთგვარმნიშვნელობიანი არაოიანასწორუფლებიანობა* და სხვ.

ძნელად წარმოსათქმელი ნასესხები ტერმინები შეტყვევლებაში არცთუ იშვიათად მახინჯდება (*რეანიმაცია > რეაშინაცია, ინფარქტი > იმფარქტი, ბიზნესმენი > ბიზმესმენი*).

ტერმინებს შორის განსაკუთრებით ხშირად მყარდება ანტონიმური და პიპონიმური მიმართებები (ამის მიზეზებზე უკვე გვქონდა საუბარი). ერთი ფოკაბულის ფარგლებში ტერმინსა და არატერმინს შეიძლება განსხვავებული ანტონიმები შეესატყვისებოდეს, ან ანტონიმურ წყვილში ფოკაბულის მხოლოდ ზოგიერთი ლექსემა მონაწილეობდეს. მაგალითად, ლექსემას *სიდიდე* ანტონიმი *სიძვირე* შეესატყვისება ბერთვულ ლექსიკაში, ხოლო მათემატიკურ ტერმინს *სიდიდე* ანტონიმი არ გააჩნია.

ტერმინთსისტემების მოწესრიგებას ხელს უწყობს ლექსიკონებსა და ცნობარებში ტერმინთა ფიქსირება და განმარტება.

ენათმეცნიერების დარგს, რომელიც ლექსიკონების შედგენის პრაქტიკასა და თეორიას შეისწავლის, *ლექსიკოგრაფია* (ბერძნ. *lexikós* „სიტყვასთან დაკავშირებული“ *gráphō* „ვწერ“) ეწოდება.

13.9. ტერმინოლოგიისაგან განსხვავებენ *ნომენკლატურას* — ამა თუ იმ დარგის სპეციფიკური კერძო ობიექტების სახელწოდებებს. მათი რაოდენობა შეიძლება ძალიან დიდი იყოს. ტერმინები ნომენკლატურისაგან იმით განსხვავდება, რომ მაკლასიფიცირებელი დეფინიციები აქვთ და, ამასთან, ტერმინები აბსტრაქტულ ცნებათა აღმნიშვნელ ლექსემებს მოიცავენ (თუმცა ზღვარი აქაც პირობითია). ნომენკლატურას განეკუთვნება, მაგალითად, წაშლების, ქიმიური ელემენტების, მდინარეების სახელწოდებები და მისთ.

## ენათმეცნიერების ახალი დარგები

### I. ენათა სტრუქტურული ტიპოლოგია და ლინგვისტური უნივერსალიები

#### 1. ენათა იზომორფიზმი და ალომორფიზმი. ენათა ტიპოლოგიური კლასები

1.1. ცალკეულ ენათა სხვადასხვა ლინგვისტურ დონეზე *ტაქსონომიური* თუ *დინამიკური* თვალსაზრისით შესწავლა-ანალიზის უმეტეს ენათმეცნიერების წინაშე ბუნებრივად დგება ახალი ამოცანა ამგვარად განხილული და აღწერილი ენობრივი სისტემების ურთიერთშედარებისა. ენათმეცნიერების დარგს, რომელიც სწორედ ამას ისახავს მიზნად, ეწოდება *შედარებითი ენათმეცნიერება*. არსებობს შედარებითი ენათმეცნიერების ორი ძირითადი სახეობა: *ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება*, რომელიც განსაზღვრული პრინციპების საფუძველზე და სპეციალური მეთოდების გამოყენებით ახორციელებს ენობრივი სისტემების ურთიერთშედარებას მათ შორის შესაძლო გენეტიური კავშირების, ანუ განსაზღვრულ დროსა და სივრცეში არსებული ენიდან მათი საერთო წარმომავლობის, გამოსავლენად. ასეთი ენობრივი სისტემა სხენებული ენებისათვის *წინაპარ ენას*, *წინარე ენას*, *საერთო ფუძე-ენას* წარმოადგენს (ამ საკითხებს ჩვენ სპეციალურად განვიხილავთ *ენობრივი დიაქრონიისადმი* მიძღვნილ ნაწილში); მეორე სახეობაა *ტიპოლოგიური ენათმეცნიერება*, რომელიც გარკვეული სტრუქტურული ნიშნების საფუძველზე ახდენს ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების სისტემატიზაციასა და კლასიფიკაციას. ეს ისეთი ნიშნებია, რომლებიც მნიშვნელოვანი და არსებითია *ენათა სტრუქტურების* თვალსაზრისით. ამ რელევანტურ ნიშანთა ერთობლიობა განსაზღვრავს საზოგადოდ ენის, როგორც ფენომენის, არსს.

*ტიპოლოგიური ენათმეცნიერების* ანუ *ლინგვისტური ტიპოლოგიის* უმთავრეს მიზანს შეადგენს ენობრივ სისტემებს შორის იზომორფიზმისა და ალომორფიზმის დადგენა, ანუ, სხვაგვარად, ენათა შორის იგივეობისა და განსხვავებულობის გამოვლენა.

1.2. ტიპოლოგიური კვლევა-ძიება ნათელყოფს, რომ ენობრივ სისტემებს შორის არ არსებობს პრინციპული განსხვავება; ისინი რაღაც ერთიანი, ზოგადი, უნივერსალური მოდელის კონკრეტულ გამოვლინებას წარმოადგენენ.

ამავე დროს ენები კიდევ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ყოველი ენა განსაკუთრებულ, სპეციფიკური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით გამოირჩევა ყველა სხვა ენისაგან. ამგვარი მსგავსება-განსხვავებულობა განსაზღვრავს შესაბამისად *იზომორფიზმისა* და *ალომორფიზმის* მიმართებებს ენებს შორის.

1.3. მნათა შესადარებლად რაღაც ერთი, დაეუშვათ,  $A$  სტრუქტურული ნიშანი რომ ავიღოთ, ენათა მთელი სიმრავლე ორ ქვესიმრავლედ დაიყოფა. ამათგან პირველს შეადგენენ ის ენები, რომლებიც ამ ნიშნით გამოირჩევიან, ხოლო მეორეს — ის ენები, რომლებიც მოკლებული არიან მას.

ენათა შედარებას რომელიღაც მეორე, ვთქვათ,  $B$  სტრუქტურული ნიშნის მიხედვით თან სდევს ენათა სიმრავლის დაყოფა ისევ ორ ქვესიმრავლედ. ამასთან, ბუნებრივია, რომ ეს ორგვარი დაყოფა, განხორციელებული  $A$  და  $B$  სტრუქტურული ნიშნების საფუძველზე, არ ემთხვევა ერთმანეთს, რადგანაც  $A$  და  $B$  სხვადასხვა ნიშნებია.

ენობრივი სისტემების ურთიერთშესადარებლად ერთდროულად ორივე ამ სტრუქტურული ნიშნის გამოყენება იწვევს ენათა სიმრავლის დაყოფას ოთხ ქვესიმრავლედ:

*პირველ* ქვესიმრავლეს შეადგენენ ენები, რომლებშიც წარმოდგენილია როგორც  $A$ , ისე  $B$  ნიშანი ( $AB$ );

*მეორე* ქვესიმრავლეს შეადგენენ ენები, რომლებშიც გვაქვს  $A$  ნიშანი, მაგრამ არა გვაქვს  $B$  ნიშანი ( $A\bar{B}$ );

*მესამე* ქვესიმრავლეში ერთიანდება ენები, რომლებშიც არ დასტურდება  $A$  ნიშანი, მაგრამ წარმოდგენილია  $B$  ნიშანი ( $\bar{A}B$ );

*მეოთხე* ქვესიმრავლეს ქმნიან ენები, რომლებიც მოკლებულია ამ ორივე ნიშანს —  $A$ -საც და  $B$ -საც ( $\bar{A}\bar{B}$ ).

1.4. მნათა სიმრავლის სტრუქტურული ნიშნების საფუძველზე განხორციელებული ამგვარი დაყოფის შედეგად მიღებულ ცალკეულ ქვესიმრავლეებს ვუწოდოთ *ენობრივი ტიპი* ან *ტიპოლოგიური კლასი*. ტიპოლოგიური კლასი შეიძლება განისაზღვროს როგორც ერთობლიობა ენებისა, რომლებიც ერთი და იმავე სტრუქტურული ნიშნებით გამოირჩევა.

ენათა სიმრავლის დაყოფა ტიპოლოგიურ კლასებად დამოკიდებულია დაყოფის საფუძველად შერჩეული სტრუქტურული ნიშნების რაოდენობასა და რაგვარობაზე. მაგალითად, თუ დაყოფის საფუძველად ავიღებთ ასეთ

ნიშანს — „ენას აქვს ფონემები“, მაშინ ენათა მთელი სიმრავლე დაიყოფა ორ ქვესიმრავლედ, რომელთაგან ერთში გაერთიანდება ყველა ენა, მეორე კი ცარიელი იქნება.

დაყოფის საფუძვლად აღებული სტრუქტურული ნიშნები შეიძლება იმგვარად და ისეთი რაოდენობით შეირჩეს, რომ ყოველი ენა უნიკალური, განსაკუთრებული ტიპოლოგიური კლასის ერთადერთი წარმომადგენელი იყოს. ეს ორივე განხილული მაგალითი უკიდურესი შემთხვევაა. ისინი ლოგიკურად შესაძლებელია, თუმცა ტიპოლოგიური კვლევა-ძიებისათვის არაღირებული. ტიპოლოგია ენათა სიმრავლის დაყოფას ახორციელებს მხოლოდ ისეთი ნიშნების მიხედვით, რომლებიც მნიშვნელოვანი და არსებითი ღირებულებებისაა ენათა სტრუქტურის თვალსაზრისით.

## 2. ლინგვისტური უნივერსალიები

2.1. ლინგვისტური ტიპოლოგიის უპირველეს ამოცანას შეადგენს უნივერსალიების გამოვლენა. უნივერსალია ისეთი სტრუქტურული ნიშანთვისებაა, რომელიც დამახასიათებელია უკლებლივ ყველა ენის ან ენათა დიდი უმრავლესობისთვის მაინც. უნივერსალიას, რომელიც დამახასიათებელია უკლებლივ ყველა ენისათვის, ეწოდება *აბსოლუტური უნივერსალია*, ხოლო უნივერსალიას, რომელიც დამახასიათებელია ენათა უმრავლესობისთვის, *სტატისტიკური უნივერსალია* ანუ *კვაზიუნივერსალია* ეწოდება.

უნივერსალიებს განარჩევენ ობიექტის, ფორმისა და მტკიცების ხასიათის მიხედვით. ობიექტის მიხედვით უნივერსალია შეიძლება იყოს *ფონოლოგიური*, *გრამატიკული* ან *სემანტიკური* ფორმის მიხედვით უნივერსალია შეიძლება იყოს *ელემენტარული* ანუ *უპრობო*, ან *იმპლიკაციური* ანუ *პრობოთი* მტკიცების ხასიათის მიხედვით უნივერსალია შეიძლება იყოს *აბსოლუტური* ან *სტატისტიკური*, *დედუქციური* ან *ინდუქციური*

ტაქსონომიურ ენათმეცნიერებაში დედუქციური უნივერსალიები, ჩვეულებრივ, ტრივიალურია და, ამდენად, მოკლებულია დიდ ინფორმაციულ ღირებულებას. ასეთი დედუქციური უნივერსალიების ნიმუშებია: „ყველა ენას აქვს მორფემები“, „ყველა ენას აქვს ფონემები“.

გაცილებით უფრო საინტერესო და ინფორმაციულად ღირებულია ინდუქციური უნივერსალიები, რომლებიც დგინდება სხვადასხვა ენობრივი სისტემის ურთიერთშედარების გზით, როდესაც შესაძარებელ ენათა რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდება.

2.2. ტიპოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად ვლინდება ენობრივი სისტემათა უზოგადესი საერთო მახასიათებლები, რომელთა ერთობლიობა განსაზღვრავს ენის, როგორც განსაკუთრებული ფენომენის, არსს. ტი-

პოლოგიური კვლევისას დგინდება ტიპოლოგიური კანონები, რომელთა საფუძველზე ამა თუ იმ განსახილველ ენაში შესაძლებელი ხდება რომელიმე ენობრივი მოვლენის არსებობის წინასწარმეტყველება სხვა ენობრივი მოვლენის არსებობიდან გამომდინარე.

**2.3. მნათა სტრუქტურულ-ტიპოლოგიური დახასიათება შეიძლება იყოს ორი სახის: თვისებრივი ანუ კვალიტატიური და რაოდენობრივი ანუ კვანტიტატიური.**

თვისებრივი სტრუქტურულ-ტიპოლოგიური დახასიათება გულისხმობს ენათა დახასიათებას გარკვეული სტრუქტურული ნიშნების მიხედვით. ეს არის *პრედიკატული, ლოგიკური* დახასიათება, როდესაც რაღაც სტრუქტურული ნიშნისათვის ვიძლევიტ „ჰო“ ან „არა“ პასუხს იმისდა მიხედვით, წარმოდგენილია თუ არა ეს სტრუქტურული ნიშანი განსახილველ ენობრივ სისტემაში.

რაოდენობრივი ტიპოლოგიური დახასიათება გულისხმობს ისეთ დახასიათებას, როდესაც *რაოდენობრივად* განისაზღვრება აღებული ნიშნის მონაწილეობის ხარისხი მოცემულ ენობრივ სტრუქტურაში ან კიდევ დგინდება ენობრივი სისტემის ამა თუ იმ ტიპოლოგიური კლასისადმი შესაბამისობის ხარისხი.

ტიპოლოგიური ანალიზი ხორციელდება იერარქიული ლინგვისტური დონეების მიხედვით. ეს გულისხმობს, რომ ერთმანეთს უნდა შეუდარდეს სხვადასხვა ენის ერთი და იმავე დონის სისტემები (ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური, სემანტიკური); შესაბამისად დგინდება *ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური* და *სემანტიკური* უნივერსალები.

**2.4. ბანგინილოთ ერთი უნივერსალია, რომელიც განეკუთვნება ენის მორფონოლოგიურ დონეს.** ეს უნივერსალია ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: „ენაში მორფემის საშუალო სიგრძე უკუპროპორციულია ენის ფონემათა რაოდენობისა“, ე.ი. რაც უფრო დიდია ენის ფონემათა რაოდენობა, მით უფრო მცირეა მორფემის საშუალო სიგრძე ამ ენაში, და პირუკუ.

რა არის საზოგადოდ მორფემის სიგრძე და მორფემის საშუალო სიგრძე? *მორფემის სიგრძე* შეიძლება განისაზღვროს მისი შემადგენელი *მორფონემების* რაოდენობით. რა არის მორფონემა? ჩვენ ვიტყვიტ, რომ ორი ან მეტი ფონემა შეადგენს ერთ *მორფონემას*, თუ ისინი მონაცვლეობენ ერთი მორფემის ალომორფებში ენის მორფონოლოგიური წესების შესაბამისად. ასე, მაგალითად, *ა/ე/ი/ო* ქმნიან ერთ *მორფონემას*, რამდენადაც ისინი ქართული ენის მორფონოლოგიური წესების შესაბამისად მონაცვლეობენ {ჩან-} მორფემის ალომორფებში: {ჩან-}=*ჩან-ოჩენ-ოჩინ-ოჩინ-*. აქედან გამომდინარეობს, რომ ჩნ- მორფის სიგრძეც უდრის



ჟ-ს, ისევე როგორც *ჩან-*, *ჩენ-*, *ჩინ-* მორფებისა (რაც შეეხება ამ მორფების განაწილებას რთულ ენობრივ ფორმებში, იგი განისაზღვრება დაპირისპირებით გვარის გრამატიკული კატეგორიის სხვადასხვა მნიშვნელობებს შორის: *ჩან-* საშუალო გვარის რთული ზმნური ფორმის შემადგენელია, *ჩნ-* — ვნებითი გვარისა, *ჩენ-* და *ჩინ-* კი — მოქმედებითი გვარის; ამ ორი უკანასკნელი მორფიდან *ჩენ-* დასტურდება I სერიის ყველა მწკრივისა და III სერიის I თურმეობითის მწკრივის ფორმებში, ხოლო *ჩინ-* — II სერიის მწკრივების, აგრეთვე III სერიის დანარჩენი მწკრივების ფორმებში).

მორფების სიგრძე შეიძლება გამოიხატოს ფონემების საშუალებითაც. ამ შემთხვევაში მორფების სიგრძე განისაზღვრება როგორც მის ყველაზე გრძელ ალომორფში წარმოდგენილი ფონემების რაოდენობა. ამის შემდეგ *მორფების საშუალო სიგრძე* შეიძლება განისაზღვროს როგორც საშუალო რაოდენობა მორფონემებისა, რომლებიც მორფემას შეადგენს. ეს არის შეფარდება გარკვეული მოცულობის ტექსტის ყველა განხილულ მორფემაში წარმოდგენილი მორფონემების რაოდენობისა მორფემათა საერთო რაოდენობასთან.

რა უდევს საფუძვლად ზემოთ წარმოდგენილი მორფონოლოგიური უნივერსალის სახით მოცემულ თანაფარდობას მორფების საშუალო სიგრძესა და ენის ფონემათა რაოდენობას შორის? რატომ არის, რომ იმ ენებში, რომელთა ფონოლოგიური სისტემები ელემენტთა დიდ რაოდენობას შეიცავს, მცირეა მორფების საშუალო სიგრძე?

საქმე ის არის, რომ რაც უფრო დიდია ენის ფონემათა რაოდენობა, მით მეტია რაოდენობა დიფერენციალური ნიშნებისა, რომლებითაც თითოეული ფონემური ერთეული ხასიათდება. ასე, მაგალითად, *არანტა* ენაში (ავსტრალია), რომლის ფონოლოგიური სისტემა სულ 11 სეგმენტურ ფონემას ითვლის, /p/ ფონემა ორი დიფერენციალური ნიშნით ხასიათდება. იგი არის *ორალური*, განსხვავებით *ნაზალური* /m/ ფონემისაგან, და *ლაბიალური*, განსხვავებით *დენტალური* /t/ ფონემისაგან. ისეთ ენებში კი, რომლებიც ფონემათა მეტ რაოდენობას შეიცავენ, /p/ ფონემის ცალსახა განსაზღვრისათვის საჭიროა ორზე მეტი *დიფერენციალური ნიშანი*. მაგალითად, ძველ ინდურში /p/ ფონემა, იმის გარდა, რომ იგი არის *ორალური* და *ლაბიალური*, ხასიათდება აგრეთვე როგორც *ყრუ*, განსხვავებით *მეღერი* /b/ ფონემისაგან, და *არაფშენივიერი*, განსხვავებით *ფშენივიერი*, ასპირირებული /p'/ ფონემისაგან.

შეიძლება დაგუშვათ, რომ ჯამი იმ ფონემათა შემადგენელი *დიფერენციალური ნიშნებისა*, რომლებიც საშუალო სიგრძის მორფემაში მონაწილეობენ, ყველა ენაში მეტ-ნაკლებად ერთნაირია, რადაც მუდმივ სიდიდეს წარმოადგენს. იგი შეიძლება განისაზღვროს როგორც მინიმალური რაოდენობა დიფერენციალური ნიშნებისა, რომლებიც აუცილებელია

მოცემული მორფემის განსასხვავებლად ყველა დანარჩენი მორფემისაგან. მაშასადამე, საბოლოო ანგარიშით, მორფემები შედგება არა *ფონემებისაგან* არამედ *დიფერენციალური ნიშნებისაგან* და რაც მეტია დიფერენციალური ნიშნების (შესაბამისად, ფონემების) რაოდენობა, მით უფრო მცირეა მორფემის სიგრძე და, ამდენად, მორფემის საშუალო სიგრძეც.

მაგალითად, ჰავაიურ ენაში, რომლის ფონოლოგიურ სისტემაში წარმოდგენილია 13 სეგმენტური ელემენტი (a, e, i, o, u, w, j, m, n, h, p, t, '), მორფემები მინიმუმ ორი მარცვლისაგან მაინც შედგება და მორფემის საშუალო სიგრძე დაახლოებით ოთხის ტოლია:  $\bar{L} \approx 4$ , მაშინ როდესაც იმ ენებში, რომელთა ფონოლოგიური სისტემები 5-7 ათეულ ფონემას ითვლის, მორფემის საშუალო სიგრძე განისაზღვრება დაახლოებით 1.25-დან 1.4-მდე ინტერვალში:  $\bar{L} \approx 1,25-1,4$ . მაგალითად, უბიურ ენაში, რომელიც ჩრდილოკავკასიურ ენათა აფხაზურ-ადიღურ ჯგუფს ეკუთვნის და 61 ფონემას ითვლის, მორფემის საშუალო სიგრძე —  $\bar{L} \approx 1,4$ .

2.5. სტრუქტურულ-ტიპოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად დადგენილი უნივერსალური ენობრივი მახასიათებლების მნიშვნელობა და ღირებულება განსაკუთრებით დიდია ისეთი ლინგვისტური პრობლემების გადაწყვეტისას, რიგორიც არის, მაგალითად, ენათა წინარეისტორიული ანუ დამწერლობამდელი, წერილობით ძეგლებში დაუდასტურებელი მდგომარეობის რეკონსტრუქცია-აღდგენა (ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ — „დიაქრონიული ენათმეცნიერების“ ნაწილში).

ასევე მეტად მნიშვნელოვანია ტიპოლოგიური მონაცემები დამწერლობის უცნობი სისტემის ნიშნებით შესრულებული ტექსტების *დეშიფრირების* (ამოკითხვის) დროს.

დეშიფრირება საწყისი ეტაპიდანვე უნდა ითვალისწინებდეს ტიპოლოგიურ მონაცემებს. მაგალითად, ისეთი ტექსტის დეშიფრირებისას, რომელშიც გამოყენებულია არაუმეტეს 70-80 ერთმანეთისაგან განსხვავებული სიმბოლო, დიდი ალბათობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ეს ტექსტი ანბანური დამწერლობის ნიშნებით არის შესრულებული, ხოლო თუ ტექსტი შეიცავს ერთმანეთისაგან განსხვავებულ რამდენიმე ასეულ სიმბოლოს, მაშინ შეიძლება უცილობლად ვამტკიცოთ, რომ ეს ტექსტი შესრულებულია მარცვლოვანი, *სილაბური* დამწერლობით, სადაც ცალკეული სიმბოლო აღნიშნავს არა ფონემას, არამედ *V, VC, CV, CVC* სტრუქტურის *მარცვალს*.

თუ ანბანური დამწერლობის ნიშნებით შესრულებული ტექსტის სპეციალური მეთოდებით ჩატარებული ანალიზის შედეგად სიმბოლოთა ორი კლასი გამოიყოფა, ტიპოლოგიური მონაცემების საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს, თუ რომელი მათგანია ხმოვან ფონემათა აღმნიშვნელი სიმბოლოების კლასი და რომელი — თანხმოვან ფონემათა აღმ-

ნიშნული სიმბოლოების კლასი, რამდენადაც ცნობილია, რომ ყველა ენაში თანხმოვანთა რაოდენობა აღემატება ხმოვანთა რაოდენობას. ამ კლასების შიგნითაც სიმბოლოთა იდენტიფიკაციის დროს ასევე ხდება ტიპოლოგიური მონაცემების გათვალისწინება.

2.6. ბანგიხლოთ სხვადასხვა ენობრივი სისტემების შედარების საფუძველზე დადგენილი ფონოლოგიური და გრამატიკული უნივერსალიები. აბსოლუტური უნივერსალია ჩაიწერება საყოველთაობის კვანტორის გამოყენებით (V: „ყველა ენაში“; „ყოველთვის“), სტატისტიკური – ალბათობის კვანტორით (d: „ენათა უმრავლესობაში“; „შემთხვევათა უმრავლესობაში“, „როგორც წესი“); გამოიყენება აგრეთვე არსებობის კვანტორი (∃: „არსებობს“ ~ ¬∃: „არ არსებობს“).

ფონოლოგიურ უნივერსალიათა ტაბულა

უნივერსალის კვანტორი	უნივერსალის მოქმედების პირობა	ენობრივი მოვლენა	შენიშვნა
V		∃ დაპირისპირება თანხმოვანსა და არათანხმოვანს შორის	
V		∃ დაპირისპირება ხმოვანსა და არახმოვანს შორის	
d		∃ დაპირისპირება ნაზალურ და არანაზალურ თანხმოვნებს შორის	
d	∃ დაპირისპირება ფ შვინვიერ და არაფ შვინვიერ თანხმოვნებს შორის	∃ ფონემა /f/	
d		∃ დაპირისპირება კომპაქტურ და დიფუზურ ფონემებს შორის	

✓		✓ დაპირისპირება მაღალი და დაბალი ტონალობის ფონემებს შორის	
✓	✓ სულ ცოტა ორი სმოვანი	✓ სმოვანთა დაპირისპირება აწეულობის მისედვით	
d	✓ დაპირისპირება ხშულსა და აფერიკატს შორის	✓ თითოეული ასეთი აფერიკატის შესაბამისი სპირანტი	გამონაკლისი: კიკაპუ (ალგონკინურ ენათა ოჯახი)
d	✓ მხოლოდ ერთი მარტივი ნაზალური თანსმოვანი	✓ აპიკალური ნაზალური თანსმოვანი /n/	
✓	✓ მხოლოდ ორი მარტივი ნაზალური თანსმოვანი	✓ აპიკალური ნაზალური და ლაბიალური ნაზალური თანსმოვნები /n/ და /m/	
✓	✓ მარტივი ნაზალური თანსმოვანი	✓ ჩქამიერი თანსმოვანი; ჩქამიერ თანსმოვანთა რაოდენობა არ არის ნაკლები მარტივ ნაზალურ თანსმოვანთა რაოდენობაზე	
✓	✓ ნაზალიზებული სმოვანი	✓ არანაზალიზებული სმოვანი; არანაზალიზებულ სმოვანთა რაოდენობა არ არის ნაკლები ნაზალიზებულ სმოვანთა რაოდენობაზე	
✓	✓ ტონის ფონოლოგიურად ღირებული მოძრაობა	✓ ტონის არა უმეტეს სამი რეგისტრი	
✓		✓ CV სტრუქტურის მარცვალი	
✓	✓ CCCV სტრუქტურის მარცვალი	✓ CCV სტრუქტურის მარცვალი	
✓	✓ VCCC სტრუქტურის მარცვალი	✓ VCC სტრუქტურის მარცვალი	
✓	✓ VCC სტრუქტურის მარცვალი	✓ VC თანსმოვანთა სტრუქტურის მარცვალი	

∇	∃ თანხმოვანთა დაპირისპირება ლაბიალიზაციის მიხედვით	∩ ∃ თანხმოვანთა დაპირისპირება ფარინგალიზაციის მიხედვით	
∇	∃ თანხმოვანთა დაპირისპირება დაძაბულობის მიხედვით	∩ ∃ თანხმოვანთა დაპირისპირება ინტენსივობის მიხედვით	
∇	∃ თანხმოვანთა დაპირისპირება ინტენსივობის მიხედვით	∩ ∃ თანხმოვანთა დაპირისპირება ფშვინვიურობის მიხედვით	

მორფოლოგიურ უნივერსალიათა ტაბულა

აფსიტივიზაცია ქვემოთ	უნივერსალის მოქმედების პირობა	ენობრივი მოვლენა	შენიშვნა
∇	∃ მრავლობითი რიცხვი	∃ მრავლობითი რიცხვის გამომხატველი არანულოვანი ალომორფი	
∇	∃ ორობითი რიცხვი	∩ ალომორფი, რომელიც ორობით რიცხვს გამომხატავს, არანულოვანია	
∇	∃ რიცხვის მორფემა, ბრუნვის მორფემა, სასჯლის (N) ფუძე სიტყვაში; N-ის ფუძე არ არის რიცხვის მორფემასა და ბრუნვის მორფემას შორის	∩ რიცხვის მორფემა წარმოდგენილია N-ის ფუძესა და ბრუნვის მორფემას შორის (ამ სიტყვაში)	

✓	∃ ფლექსია	∃ დერივაციული ელემენტი	
✓	∃ დერივაციული ელემენტი, ფლექსია, ძირი სიტყვაში; ძირი არ არის დერივაციულ ელემენტსა და ფლექსიას შორის	✓ დერივაციული ელემენტი წარმოდგენილია ძირსა და ფლექსიას შორის (ამ სიტყვაში)	
✓	∃ წყვეტილი მორფემა	∃ პრეფიქსი ან ∃ სუფიქსი	
✓	∃ სუფიქსი და ∃ პრეფიქსი	∃ თანდებული და ∃ წინდებული	
✓	∃ პრეფიქსი და ∃ სუფიქსი	∃ წინდებული და ∃ თანდებული	
✓	—	∃ ნაცვალსახელი (P)	
d	—	∃ ორი რიცხვი ნაცვალსახელებში	გამონაკლისები: ძველი იაგური (კავი), თანამედროვე იაგური
✓	∃ სქესი N-ში	∃ სქესი P-ში	
✓	∃ ორობითი რიცხვი	∃ მრავლობითი რიცხვი	
✓	∃ სამობითი რიცხვი	∃ ორობითი რიცხვი	
d	∃ განსხვავება სქესის მიხედვით მხ. რ. II პირში	∃ სქესის მიხედვით განსხვავება მხ. რ. III პირში	გამონაკლისია ცენტრალური ნიგერიის ზოგიერთი ენა
✓	∃ V-ს შეთანხმება S-თან ან O-თან სქესის მიხედვით	∃ A-ს და N-ის შეთანხმება სქესის მიხედვით და ∃ V-ს შეთანხმება S-თან ან O-თან რიცხვის მიხედვით	
✓	—	∃ კავშირი	
✓	ძ/✓ A მოსდევს N-ს	N-ის ყველა კატეგორია გამოხატული A-ში	

d	dS-ი V-ს წინ არის და dOV-ს წინ არის	∃ ბრუნვა	
V	{ dS-ი V-ს შემდეგ არის და dOS-ის შემდეგ არის	{ ∃S-ი V-ს წინ და ∃OV-ს შემდეგ	
d	{ dS-ი V-ს შემდეგ არის და dOS-ის შემ- დეგ არის	{ ∃ წინდებული და ∃ თანდებული	გამონაკლისია პაპავო (იუტა- აცტიკური ჯგუ- ფი)
d	∃ თანდებული და ∃ წინდებული	V/d N <sub>gen</sub> წინ უსწრებს N-ს	გამონაკლისია ზოგიერთი და- ლესტნური ენა
d	∃ წინდებული და ∃ თანდებული	V/d N <sub>gen</sub> მოსდევს N-ს	გამონაკლისია: და- ნიური, ნორვეგიული, შვედური, ლატვიუ- რი, ლიტვეური

- A აღნიშნავს „ზედსართავ სახელს“ (ინგლ. Adjective);
- N აღნიშნავს „არსებით სახელს“ (ინგლ. Noun);
- N<sub>gen</sub> აღნიშნავს „არსებით სახელს გენეტივში“;
- P აღნიშნავს „ნაცვალსახელს“ (ინგლ. Pronoun);
- O აღნიშნავს „დამატებას“ (ინგლ. Object);
- S აღნიშნავს „ქვემდებარეს“ (ინგლ. Subject).

### 3. ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია

3.1. XIX საუკუნის ენათმეცნიერებაში მიღებული იყო ენათა სიმრავლის დაყოფა, ენათა კლასიფიკაცია ისეთ მორფოლოგიურ ტიპებად, როგორიც არის *მაიზოლორებელი, ფლექსიური* და *აგლუტინაციური* თანამედროვე ინტერპრეტაციით ამ ტიპების განსაზღვრა ასეთნაირად შეიძლება წარ-  
მოგადგინოთ:

*მაიზოლორებელია* ენები, რომლებშიც ადვილად ხორციელდება *სეგ-მენტაცია*, ანუ გამონათქვამთა დანაწევრება მორფებად, მაგრამ ძნელია *კლასიფიკაცია*, ანუ სიტყვათა პარადიგმატული კლასების გამოყოფა;

*ფლექსიურია* ენები, რომლებშიც ადვილია *კლასიფიკაცია*, მაგრამ ძნელია *სეგმენტაცია*;

*აგლუტინაციურია* ენები, რომლებშიც ადვილად ხორციელდება როგორც *სეგმენტაცია*, ისე *კლასიფიკაცია*.

ამ ორი კრიტერიუმის — *სეგმენტაციისა* და *კლასიფიკაციის* მიხედვით შეიძლება დადგინდეს კონკრეტული ენის კუთვნილება ამა თუ იმ ლინგვისტური ტიპისადმი.

*სეგმენტაცია* და *კლასიფიკაცია* ღრმა ლინგვისტური აზრის შემცველი პროცედურებია. *სეგმენტაცია*, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს იმას, თუ როგორ შეესაბამება ერთმანეთს მორფები და ის მნიშვნელობები, რომლებიც მათ მიეწერებათ — შეესაბამება ერთ მორფს რამდენიმე მნიშვნელობა, როგორც ეს *ფლექსიურ ენებშია*; არსებობს თუ არა *იზომორფიზმი* — ურთიერთცალსახა შესაბამისობა შინაარსის ფორმასა და გამოხატულების ფორმას შორის, როგორც ეს *აგლუტინაციურ ენებშია*; თუ საერთოდ შეუძლებელია გამოყოფილი მორფებისათვის განსაზღვრული მუდმივი მნიშვნელობების მიწერა, როგორც ეს *მაიზოლორებელ ენებში* დასტურდება.

*კლასიფიკაცია* გულისხმობს იმას, თუ რამდენად ქმნიან გამოყოფილი მორფები დაპირისპირებათა შინაგან სისტემას, როგორია მათი პარადიგმატული ურთიერთმიმართებები.

XIX საუკუნის ლინგვისტები ენებს ახასიათებდნენ გარკვეული ტიპისადმი მათი მიკუთვნების თვალსაზრისით ისე, რომ არ იყო მკაცრად დადგენილი ამ ტიპების განმსაზღვრელი სტრუქტურული ნიშნები. სწორედ ამის გამო, ერთი და იგივე ენა ხან *აგლუტინაციურ* ენათა სიმრავლეში ექცეოდა, ხან კიდევ — *ფლექსიურ* ენათა სიმრავლეში. ხშირად რომელიმე ტერმინი, კონკრეტულად, ვთქვათ, *აგლუტინაციური* ახასიათებდა არა მთლიანად ენას, არამედ მხოლოდ ზოგიერთ კონსტრუქციას ამ ენისას, რომელსაც ამით გარდა შეიძლება სხვაგვარი კონსტრუქციებიც ჰქონოდა, ვთქვათ, *ფლექსიურია*.

შემდგომ ეტაპს ენათა შედარებით-ტიპოლოგიურ შესწავლაში ქმნის ენობრივი კლასიფიკაცია, რომლის მიხედვითაც კლასიფიკაციის ამოსავალი კრიტერიუმია სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურის სირთულე. ამ კლასიფიკაციის თანახმად განიხილება ენათა სამი ტიპი: *ანალიზური*, *სინთეზური* და *პოლისინთეზური*.

*ანალიზური* ენები, რომელთა სიტყვები თითო მორფისაგან შედგება და, ამდენად, მოკლებულია მორფოლოგიურ სტრუქტურას;



*სინთეზურია* ენები, რომლებშიც სიტყვა, როგორც წესი, ორ-სამ მორფს შეიცავს და განსაზღვრული მორფოლოგიურ-სტრუქტურული აგებულება აქვს;

*პოლისინთეზურია* ენები, რომელთა სიტყვები საშუალოდ სამზე მეტი მორფისაგან შედგება (*ედუარდ სეპირი*).

3.2. წარმოდგენილი კლასიფიკაცია უდევს საფუძვლად ენათა *მორფოლოგიურ-ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას (ჯოზეფ გრინბერგი)*. ამ კლასიფიკაციაში ენათა შესადარებლად აღებული სტრუქტურული ნიშნები რაოდენობრივად გამოიხატება. ამდენად, კლასიფიკაცია *კვანტიტატიურ-ტიპოლოგიურია*. ენათა შედარებით-ტიპოლოგიური კლასიფიკაციისათვის აღებულია რამდენიმე პარამეტრი, რომელთაც ზუსტი რაოდენობრივი გამოხატულება აქვთ. ესენია:

1. *სინთეზურობის ინდექსი*, რომელიც ასე გამოისახება:  $M/W$ , სადაც  $M$  არის მორფემათა რაოდენობა განსაზღვრული მოცულობის ტექსტში, ხოლო  $W$  — სიტყვების რაოდენობა. *სინთეზურობის ინდექსი* ახასიათებს სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურის სირთულეს. ენები, სადაც ეს შეფარდება უდრის 1-ს, *ანალიზურია*; ენები, რომლებშიც ეს ინდექსი მეტია 1-ზე, მაგრამ არ აღემატება 3-ს, განისაზღვრება როგორც *სინთეზური*, ხოლო ის ენები, რომლებისთვისაც  $M/W > 3$ , ხასიათდება როგორც *პოლისინთეზური*.

2. *აგლუტინაცობის ინდექსი* ეს ინდექსი განასხვავებს ენებს, რომლებშიც მორფემები რთულ ფორმებად გაერთიანებისას ან სულ არ იცვლება ფონემურად, ან იცვლება უმნიშვნელოდ, — ისეთი ენებისაგან, რომლებშიც მორფემები ურთიერთდაკავშირებისას ძალიან სახეცვლილი წარმოგვიდგება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, *აგლუტინაციის ინდექსი* განსაზღვრავს მორფოლოგიურ მონაცვლეობათა ხვედრით წონას ენობრივ სისტემაში.

მორფემას ვუწოდოთ *ავტომატური*, თუ მისი შემადგენელი მორფები, ანუ მისი ალომორფები, ფონემური შედგენილობის თვალსაზრისით მუდამ იდენტურია ან თუ მონაცვლეობა მათ შორის „ავტომატურია“, ე.ი., თუ მორფემის შემადგენელი მორფები, მისი ალომორფები მარტივი წესების მეშვეობით გამოიყვანება ერთი ფორმიდან, რომელსაც *ძირითადი ფორმა* ეწოდება. ვუწოდოთ მორფოლოგიურ კონსტრუქციას *აგლუტინაციური*, თუ მასში გაერთიანებული ენობრივი ფორმები *ავტომატურ მორფემებს* განეკუთვნება. შესაბამისად, *აგლუტინაციის ინდექსი* განისაზღვრება როგორც გარკვეული მოცულობის ტექსტში დადასტურებული *აგლუტინაციური კონსტრუქციების* რაოდენობის შეფარდება სიტყვებში „მორფემების შესაყართა“ რაოდენობასთან:  $A/J$  (*Juncture* — „შესაყარი“). „შესაყართა“ რაოდენობა სიტყვაში ერთით ნაკლებია მასში წარმოდგენილი

მორფემების რაოდენობაზე. ენები, სადაც აგლუტინაციის ინდექსის მნიშვნელობა მაღალია, დახასიათდება როგორც აგლუტინაციური ენები, საპირისპიროდ ფლექსიური ან ფუზიური ენებისა, სადაც ამ ინდექსის მნიშვნელობა დაბალია.

რამდენიმე სიტყვა ფუზიის შესახებ. ფუზია არის მოვლენა, რომლის დროსაც ხდება რამდენიმე მორფემის შერწყმა ერთ ფორმაში ისე, რომ შეუძლებელია მათ შორის ზღვარის გაყვლა.

განვიხილოთ ინგლისური ფორმა *dep-* (სიტყვაში *depth* „სიღრმე“), რომელიც ორი მორფემისაგან შედგება: ერთია ლექსიკური მნიშვნელობის მქონე მორფი, რომელიც დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაშია *deep* („ღრმა“) მორფთან, ხოლო მეორეა გრამატიკული მნიშვნელობის მქონე ე.წ. შემნაცვლებელი მორფი /i:/→e/, რომელიც გამოხატავს დაპირისპირებას ზედსართავ სახელსა და არსებით სახელს შორის. მაშასადამე, ეს *dep-* სწორედ ფუზიური ენობრივი ფორმაა, რამდენადაც შეუძლებელია მისი შემაღვენლების — ლექსიკური მნიშვნელობის მქონე მორფისა და გრამატიკული მნიშვნელობის მქონე შემნაცვლებელი მორფის — ზუსტად გამიჯვნა ერთმანეთისაგან. ასეთივე ფუზიური ფორმებია აგრეთვე ინგლ. *streng-* (სიტყვაში *strength* „ძალა“), რომელიც უპირისპირდება ზედსართავ სახელს *strong* „ძლიერი“, და *leng-* მორფი (სიტყვაში *length* „სიგრძე“), რომელიც უპირისპირდება ზედსართავ სახელს *long* „გრძელი“.

კიდევ უფრო დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული ისეთი აშკარად რთული ენობრივი ფორმების ანალიზი, როგორიც არის ინგლ. *were*, რომელიც შეიცავს ასეთ ლექსიკურ და გრამატიკულ ინფორმაციას: *be* „ყოფნა“ + წარსული დრო + მრავლობითი რიცხვი, და ინგლ. *was*, რომლის ინფორმაციული სტრუქტურის შემაღვენელი ელემენტებია: *be* „ყოფნა“ + წარსული დრო + მხოლობითი რიცხვი, მაგრამ პრინციპულად შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა ფორმალური გამოხატულება აქვთ ამ ელემენტებს.

3. *კომპოზიციის ინდექსი* როდესაც სიტყვაში ერთზე მეტი ძირია წარმოდგენილი, ასეთ შემთხვევას *კომპოზიცია* ეწოდება. მისი მახასიათებელი ინდექსი განისაზღვრება როგორც R/W, სადაც R არის ძირეული მორფემების რაოდენობა განსახილველ ტექსტში, ხოლო W — სიტყვების რაოდენობა.

შემდეგი ორი ინდექსი განსაზღვრავს დერივაციული და ფლექსიური მორფემების ხვედრით წონას მორფოლოგიურ კონსტრუქციებში: D/W და F/W, სადაც D და F აღნიშნავენ შესაბამისად დერივაციული და ფლექსიური მორფემების რაოდენობას. გავიხსენოთ, რომ დერივაციულია მორფი, რომელიც სხვა მორფთან, სახელდობრ, ძირეულ მორფთან შეერთებისას

ქმნის ისეთ მიმდევრობას, რომ იგი ყოველთვის შეიძლება შენაცვლებულ იქნეს მარტივი ფორმით კონსტრუქციის დაურღვევლად, ხოლო *ფლექსიურია* ისეთი მორფი, რომელიც არც *ძირეულია* და არც *დერივაციულია*.

*ინდექსები* P/W, S/W და I/W განსაზღვრავენ აფიქსური მორფების მონაწილეობის ხარისხს მორფოლოგიურ კონსტრუქციებში, სადაც P არის *პრეფიქსული* მორფების რაოდენობა, S — *სუფიქსური* მორფების რაოდენობა, ხოლო I — *ინფიქსების* რაოდენობა (W ისევე სიტყვათა რაოდენობას აღნიშნავს).

3.3. მნათა ტიპოლოგიური შედარებისას თეორიულად ივარაუდება ე.წ. *ეტალონი ენა*, რომლის თვალსაზრისითაც ერთმანეთს შეუდარდება და შეფასდება რეალური ენობრივი სისტემები. თუ ასეთი ეტალონი ენა შექმნილია და ცნობილია ის ტრანსფორმაციული წესები, რომელთა მეშვეობით მისგან გამოიყვანება კონკრეტული ენობრივი სისტემები, შესაძლებელი ხდება ამ ენათა თანმიმდევრული და უნიფიცირებული აღწერა და ურთიერთშედარება. ამდენად, ეს *ეტალონი ენა* ერთგვარ *მეტაენას* წარმოადგენს ენათა აღწერისათვის.

#### 4. ძირეული მორფებისა და დამხმარე ელემენტების ტიპოლოგია

4.1. მნის მორფოლოგიური ელემენტების სიმრავლე, როგორც ვიცით, ორ ჯგუფად იყოფა: I ჯგუფს განეკუთვნება *ძირეული მორფებები*, ხოლო II ჯგუფს — *დამხმარე ანუ მომსახურე ელემენტები*. II ჯგუფის ელემენტები შეიძლება წარმოდგენილი იქნეს სიის სახით, ხოლო I ჯგუფის ძირეული მორფოლოგიური ელემენტების სრული სიის სახით წარმოდგენა უფრო რთულია. სხვადასხვა ენის წინადადებები წარმოგვიდგება როგორც I ჯგუფის (*ძირეული*) და II ჯგუფის (*მომსახურე*) ელემენტების განსაზღვრული მიმდევრობები.

I და II ჯგუფის ელემენტები როგორღაც ურთიერთმოქმედებენ, კომბინირებენ ერთმანეთთან. I ჯგუფის ელემენტები უკავშირდება II ჯგუფის ელემენტების კონკრეტულ სიას, II ჯგუფის ელემენტებს კი შეუძლიათ დაუკავშირდნენ ძირეულ მორფებებს ანუ I ჯგუფის გარკვეულ ელემენტებს. მაშასადამე, II ჯგუფის ელემენტები მარკირებულია და ქმნის ფრაზის აუცილებელ გრამატიკულ გაფორმებას ენაში.

4.2. II ჯგუფის დამხმარე მორფოლოგიური ელემენტები ორ არათანამკვეთ ქვესიმრავლედ ნაწილდება. II1 ქვესიმრავლეს შეადგენენ ის დამხმარე ელემენტები, რომლებიც აფორმებენ სიტყვებს, მაგრამ არ არიან საკმარისნი ამ სიტყვების ნებისმიერი გაშლის გასაფორმებლად. მაგალითად, რუსული ენის *-a* ელემენტი (ნათ. ბრუნვის ნიშანი) აფორმებს სიტყვას *стол* („მაგიდა“) — წარმოიქმნება ფორმა *стола*. იგივე *-a* ელემენტი აფორმებს მოცემული *стола* სიტყვის ერთ-ერთ შესაძლებელ გაშლასაც, ვთქვათ, ასეთს: *стол-а и стул-а* („მაგიდისა და სკამის“), მაგრამ არ არის საკმარისი ამ *стол-а* ფორმის ასეთი გაშლის — *больш-ого стол-а* („დიდი მაგიდის“) გასაფორმებლად (ამ მიმდევრობის პირველი შემადგენლის გასაფორმებლად სულ სხვა ელემენტი — *-ого* გამოიყენება). II1 ჯგუფში გაერთიანებულ დამხმარე მორფოლოგიურ ელემენტებს შეიძლება აფიქსები ეწოდოს.

II2 ქვესიმრავლეს შეადგენენ ის დამხმარე მორფოლოგიური ელემენტები, რომელთაც შეუძლიათ გააფორმონ როგორც სიტყვა, ისე ამ სიტყვის ნებისმიერი გაშლა. ასე, მაგალითად, *на* ელემენტი აფორმებს არა მარტო *столе* სიტყვას, არამედ მის ნებისმიერ გაშლასაც: *на большом столе, на деревянном столе, на большом деревянном столе, на новом большом деревянном столе* („დიდ მაგიდაზე“, „ხის მაგიდაზე“, „დიდ ხის მაგიდაზე“, „ახალ დიდ ხის მაგიდაზე“) და სხვ.

დამხმარე ელემენტთა II2 ქვესიმრავლეს განეკუთვნება აგრეთვე, მაგალითად, მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი მორფემა თურქულში. იგი უკავშირდება და აფორმებს როგორც ცალკეულ სიტყვას: *çocuk* „ბავშვი“ → *çocuklar* „ბავშვები“, ისე ამ სიტყვის ნებისმიერ გაშლასაც: მაგალითად, *çocuk, kadın ve ihtiyarlar* „ბავშვები, ქალები და მოხუცები“, სადაც *-lar* ფორმალურად მხოლოდ უკანასკნელ შემადგენელთან არის წარმოდგენილი, მაგრამ ეხება აგრეთვე პირველ ორ შემადგენელსაც, რაც დასტურდება კიდევ ასეთი მიმდევრობის არსებობით: *çocuklar, kadınlar ve ihtiyarlar* „ბავშვები, ქალები და მოხუცები“; ასევე, *ev ve yollar* „სახლები და გზები“ ანდა *evler ve yollar* „სახლები და გზები“ (*-lar/-ler* ელემენტებით ორივე შემადგენელთან).

4.3. დამხმარე ელემენტთა II2 კლასს განეკუთვნება ასევე მრავალი ენის არტიკლები. ისინი ეკვივალენტურ მიმდევრობებად აფორმებენ როგორც ცალკეულ სიტყვებს, ისე მათ ნებისმიერ გაშლას: ინგლ. *aN ↔ aAN* (*a* განუსაზღვრელი არტიკლია) (*a choice* „არჩევანი“ ↔ *a happy choice* „იღბლიანი არჩევანი“). ამისგან განსხვავებით, არაბული ენის არტიკლი არ განეკუთვნება II2 კლასს: *'arrağulu-lmarīdu* „ავადმყოფი კაცი“ (უფრო

ზუსტად: „კაცი ავადმყოფი“) მიმდევრობაში 'ar- არტიკლი აფორმებს სიტყვას *rağulu* „კაცი“ — *'arrağulu (the man)*, მაგრამ ეს ელემენტი არ არის საკმარისი *rağulu* სიტყვის გაშლის მეორე შემადგენლის გასაფორმებლად და, ამდენად, იგი აუცილებლად მეორდება მისი ეკვივალენტური კონსტრუქციის მეორე შემადგენელთანაც (-l- არის 'al- განსაზღვრული არტიკლის ერთ-ერთი ალომორფი). რაც შეეხება ფონემურ განსხვავებას 'ar- და -l- ელემენტებს შორის, ის ფონოლოგიურად არის შეპირობებული. ეს ორი ელემენტი ერთი მორფემის ალომორფებია — 'ar გვხვდება r-თანხმოვნით დაწყებული სიტყვების წინ, ხოლო l-ს ხმოვანი არ უძღვის იმიტომ, რომ იგი მიმდევრობის შუაშია წარმოდგენილი.

4.4. II2 კლასს განეკუთვნება მრავალი ენის წინდებულები და თანდებულები ამავე კლასის კუთვნილებაა, მაგალითად, თურქული ენის ბევრი დამხმარე ელემენტი; წინადადებაში *ne yiyor, ne içiyor, ne de söylüyordu* ელემენტი —*du*, ნამყოფ დროის მანიფესტელი, ეკუთვნის არა მარტო უკანასკნელ ზმნურ ფორმას, არამედ სამივე ზმნას, შეერთებულს *ne ... ne ... ne de* კავშირით: „ის არც ჭამ[და], არც სვამ[და] და არც ლაპარაკობდა“.

II2 კლასს მიეკუთვნება აგრეთვე კუთვნილების აღმნიშვნელი მორფემა ინგლისურში: *The man whom I saw yesterday's daughter* „გუშინ რომ ვნახე, [იმ] კაცის ქალიშვილი“. ამ მიმდევრობაში წარმოდგენილ 's ელემენტს შეუძლია გააფორმოს როგორც სიტყვა *the man* „კაცი“, ისე ამ სიტყვის ნებისმიერი გაშლა, მათ შორის *the man whom I saw yesterday* — „გუშინ რომ ვნახე, [ის] კაცი“; ან კიდევ, *The mayor from Boston's wife* „ბოსტონელი მაიორის ცოლი“. II2 კლასის დამხმარე მორფოლოგიურ ელემენტებს შეიძლება ნაწილაკები ეწოდოს.

4.5. ორ ქვეჯგუფად შეიძლება დაიყოს აგრეთვე I ჯგუფის ძირეული მორფემებიც. II ქვეჯგუფს შეადგენს ის ძირეული მორფემები, რომლებიც უკავშირდება III და/ან II2 კლასის დამხმარე მორფოლოგიურ ელემენტებს. ვთქვათ, *стол* ძირეული მორფემა განეკუთვნება II ქვეჯგუფს, რამდენადაც იგი უკავშირდება III ქვეჯგუფის -a ელემენტს. ასევე, ინგლისურში *choice* განეკუთვნება II ქვეჯგუფს, რამდენადაც იგი უკავშირდება II2 კლასის a ან *the* ელემენტებს (*the* განსაზღვრული არტიკლია).

II2 ქვეჯგუფში ერთიანდება ის ძირეული მორფემები, რომლებიც არ უკავშირდება არც III და არც II2 ჯგუფების დამხმარე ელემენტებს.

4.6. დამხმარე მორფოლოგიურ ელემენტთა სიმრავლე რაღაც სხვა თვალსაზრისით შეიძლება ისევ ორ ქვესიმრავლედ დაიყოს: I ქვესიმრავლეს შეადგენს ე.წ. ანალიზური დამხმარე ელემენტები, ხოლო მეორეს — ე.წ. სინთეზური დამხმარე ელემენტები როდესაც დამხმარე მორფოლოგიური ელემენტების სიმრავლეები, რომლებიც სხვადასხვა კატეგორიას გამოხატავენ, არ იკვეთებიან, ყოველი დამხმარე მორფოლოგიური ელემენტი ერთი კონკრეტული კატეგორიის გამომხატველია და ასეთი ელემენტი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც *ანალიზურია* სხვაგვარად, ანალიზურია დამხმარე მორფოლოგიური ელემენტი მაშინ, როდესაც არსებობს ურთიერთცალსახა შესაბამისობა მორფემასა და გრამემას შორის. როდესაც სიმრავლეები დამხმარე მორფოლოგიური ელემენტებისა, რომლებიც სხვადასხვა კატეგორიას გამოხატავენ, იკვეთებიან, მაშინ თანაკვეთაში წარმოდგენილი ყოველი ელემენტი ერთზე მეტ კატეგორიას გამოხატავს და ასეთი ელემენტი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც *სინთეზურია* სხვაგვარად, *სინთეზურია* დამხმარე მორფოლოგიური ელემენტი მაშინ, როდესაც მორფემა გამოხატავს გრამემათა ბმულ გაერთიანებას. მაგალითად, -*us* მორფემა ლათინურში გამოხატავს გრამემათა ასეთ ბმულ გაერთიანებას: *სახელობითი ბრუნვა, მამრობითი სქესი, მხოლობითი რიცხვი* ამდენად, განსაზღვრების თანახმად, -*us* არის სინთეზური ელემენტი. ჩვეულებრივ, სინთეზურია III კლასის დამხმარე მორფოლოგიური ელემენტები, ხოლო ანალიზური — II2 კლასისა.

4.7. ძირეული და დამხმარე მორფოლოგიური ელემენტების ზემოთ განხილული კლასები შესაძლებელია საფუძვლად დაედოს ენათა *ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას*.

ენები, რომლებშიც გავრცელებულია მხოლოდ I2 კლასის მორფოლოგიური ელემენტები, ანუ ძირები, რომლებიც არ უკავშირდება არც აფიქსებს და არც ნაწილაკებს, შეადგენენ *ამორფულ ენათა* ტიპს.

ენები, რომლებშიც გავრცელებულია I1, I2 და II2 კლასების მორფოლოგიური ელემენტები და არ არის წარმოდგენილი მხოლოდ III1 კლასის ელემენტები, ქმნიან *ინკორპორაციულ ენათა* ტიპს.

ენები, რომლებშიც გავრცელებულია ოთხივე ქვეჯგუფის მორფოლოგიური ელემენტები, შეადგენენ ენათა *აგლუტინაციურ და ფლექსიურ ტიპებს* განსხვავება აგლუტინაციურ და ფლექსიურ ენებს შორის გამოიხატება ამ ენებში ანალიზური თუ სინთეზური ელემენტების უპირატესი გავრცელებულობით: თუ მორფოლოგიური ელემენტების ამ ოთხივე ქვეჯგუფის შემცველ ენაში უპირატესად გავრცელებულია ანალიზური დამხმარე ელემენტები, მაშინ ასეთი ენა დახასიათდება როგორც *აგლუტინაციურია*, ხოლო თუ ენაში უპირატესად სინთეზური

დამხმარე ელემენტები დასტურდება, ასეთი ენა დახასიათდება როგორც *ფლექსიური*.

*ინკორპორაცია*, როგორც ენობრივი ფორმების წარმოქმნის გრამატიკული ხერხი, განისაზღვრება მხოლოდ II2 ქვეჯგუფის დამხმარე მორფოლოგიური ელემენტების არსებობით. *ინკორპორაციულია* ენა, რომელიც გამოიჩინებს ძირების *ინკორპორაციით*, რაც იმას ნიშნავს, რომ II2 კლასის დამხმარე მორფოლოგიური ელემენტი უკავშირდება და აფორმებს არა სიტყვათა მიმდევრობას, არამედ ძირების მიმდევრობას. ინკორპორაციული კონსტრუქცია შეიძლება განისაზღვროს როგორც  $X$  ძირეული და  $n$  დამხმარე მორფოლოგიური ელემენტებისგან შემდგარი მიმდევრობა, რომელიც შეიძლება გაიშალოს  $n$  ელემენტის მეშვეობით გაფორმებულ ძირების მიმდევრობად:  $Xn \rightarrow XXn \rightarrow XXXn$ ; მაგალითად, ინგლ.: *a wall, a stone wall, a high stone wall* „კედელი, ქვის კედელი, მაღალი ქვის კედელი“. მაგრამ რამდენადაც ინგლისური ენა ასეთი ინკორპორაციული კონსტრუქციების გარდა სხვაგვარ სტრუქტურებსაც შეიცავს, იგი არ შეიძლება დახასიათდეს როგორც წმინდა ინკორპორაციული ენა.

4.8. ზოგიერთ ენაში კონსტრუქციის შემადგენლები ერთმანეთს უკავშირდება გარკვეული გრამატიკული ინფორმაციის აუცილებელი განმეორებით, რასაც ადგილი აქვს *შეთანხმების* დროს. *შეთანხმება* შეიძლება განისაზღვროს როგორც ერთი და იმავე ინფორმაციის აუცილებელი განმეორება კონსტრუქციის უშუალო შემადგენლებში. ეს ერთი და იგივე ინფორმაცია შეიძლება სხვადასხვა ელემენტით იყოს გამოხატული, მაგრამ ამ ელემენტების დისტრიბუციული ანალიზი და მნიშვნელობა, გადასვლა ელემენტებიდან მათ მიერ გამოხატულ ინფორმაციაზე საფუძველს იძლევა ეს განსხვავებული ელემენტები ვარიანტებად მივიჩნიოთ. მაგალითად, რუსულ ენაში  $-a$  და  $-a\bar{a}$  ელემენტები, რომლებიც გამოხატავენ ერთსა და იმავე გრამატიკულ ინფორმაციას, სახელდობრ, მიუთითებენ მდებრობით სქესზე, მხოლოდობით რიცხვსა და სახელობით ბრუნვაზე, ამავე დროს იმყოფებიან *დამატებითი დისტრიბუციის* დამოკიდებულებაში:  $-a\bar{a}$  ელემენტი დასტურდება სახელთა ერთი კლასის ელემენტებთან — *ზედსართავებთან*, ხოლო  $-a$  ელემენტი — სახელთა სხვა კლასის ელემენტებთან — *არსებით სახელებთან*. ამრიგად, ერთმანეთისაგან განსხვავებული ეს ორი ელემენტი, რომელთაგან თითოეული გრამემათა ერთსა და იმავე ბმულ გაერთიანებას გამოხატავს და, ამდენად, ერთი და იმავე მნიშვნელობის მატარებელია, გარკვეული ერთეულის ვარიანტებს წარმოადგენს.

გრამატიკული ინფორმაცია, რომელიც *შეთანხმებისას* რეგულარულად მეორდება, შეიძლება „ფრჩხილებს გარეთ“ იქნეს გამოტანილი ისე, როგორც ეს ხდება არითმეტიკაში.

განვიხილოთ ასეთი რუსული წინადადება:

*Красивая (x<sub>1</sub>) девочка (x<sub>2</sub>) съела (x<sub>3</sub>) большой (x<sub>4</sub>) пирог (x<sub>5</sub>)*  
„ლამაზმა გოგონამ შეჭამა დიდი ნამცხვარი“.

ამ წინადადების უშუალო შემადგენლებში წარმოდგენილი განმეორებადი ინფორმაცია გავითვალთვალოთ ფრჩხილებს გარეთ, მივიღებთ: მდ. სქ. ამხ. რ. [სახ. ბრ. (x<sub>1</sub>/x<sub>2</sub>) სრ. ასპ. აწარს. დრო აგარდამ. (x<sub>3</sub>)] მამრ. სქ. ამხ. რ. ააკუზ. ბრ. (x<sub>4</sub>/x<sub>5</sub>) (ა სიმბოლო მათემატიკურ ლოგიკაში აღნიშნავს კონიუნქციის ოპერაციას, რომელიც ბუნებრივი ენის და კავშირის ბადალია).

ამით ჩვენ ერთგვარად მოვახდინეთ მოცემული ფლექსიური კონსტრუქციის გარდაქმნა ელემენტთა ისეთ მიმდევრობად, რომლის სტრუქტურა ჰგავს ინკორპორაციულს. მართლაც, ელემენტთა მიღებულ მიმდევრობას რომ დავაკვირდეთ, აღმოჩნდება, რომ „ფრჩხილებს გარეთ“ გამოტანილი ელემენტები წარმოადგენენ სწორედ II2 ქვეჯგუფის ელემენტებს, რომელთაც შეუძლიათ გააფორმონ როგორც ცალკეული ძირეული სეგმენტი, ასევე მისი ეკვივალენტური მიმდევრობა სეგმენტებისა. სტრუქტურა, რომელიც დამხმარე ელემენტებად შეიცავს მხოლოდ II2 ქვეჯგუფის ელემენტებს, ჩვენ განვსაზღვრეთ როგორც *ინკორპორაციულ* მაშასადამე, *ინკორპორაციული სტრუქტურა* და *ინკორპორაციული ენა* ერთგვარ *მეტაენას* წარმოადგენს *აგლუტინაციური* და *ფლექსიური* ენებისათვის. თავის მხრივ, *აგლუტინაციური* ენაც შეიძლება განხილულ იქნეს *მეტაენად ფლექსიური ენისათვის*.

მართლაც, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ *малышка* ფორმა წარმოადგენს მამრობითი სქესის არსებით სახელს მხოლოდობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში, ეს იმას ნიშნავს, რომ *ანალიზურად* გამოვეყოფთ მამრობითი სქესის, მხოლოდობითი რიცხვისა და ნათესაობითი ბრუნვის გრამემებს. რომლებიც *სინთეზურად* არიან წარმოდგენილი, შერწყმული ამ -ა ელემენტში. ფლექსიური ენა აღიწერება იმ ტერმინებით, რომლებიც დამახასიათებელია აგლუტინაციური ენისთვის, სადაც დამხმარე მორფოლოგიური ელემენტები *ანალიზურია*, ე.ი. შესაბამისობა მორფემასა და გრამემას შორის ურთიერთცალსახაა. საზოგადოდ, *მეტაენა* უფრო მარტივი სტრუქტურისაა *ობიექტ-ენასთან* შედარებით.

## 5. ენათა ტიპოლოგია და „უნივერსალური გრამატიკა“

5.1. მნათა ტიპოლოგიური შესწავლა წარმოაჩენს უნივერსალურ მახასიათებლებს, უზოგადეს კანონზომიერებებსა და პრინციპებს, რომელთა ერთობლიობა საფუძვლად უდევს კონკრეტულ ენობრივ სისტემებს. ეს



ენობრივი სისტემები ამ უნივერსალური მახასიათებლებისა და პრინციპების, უზოგადესი კანონზომიერებების ერთობლიობით განსაზღვრული ერთიანი ზოგადი მოდელის კონკრეტულ გამოვლინებებს წარმოადგენს.

ენათა შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზი ცხადყოფს, რომ განსხვავებათა მიუხედავად, რომლებიც ენათა შორის არსებობს, ყველა ენა ერთიანი ზოგადი მოდელის მიხედვით არის აგებული და მათ შორის არაერთარი პრინციპული განსხვავება არ შეინიშნება. უნივერსალურ ნიშანთვისებათა ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ენის როგორც ფენომენის არსს, ყოველ კონკრეტულ ენობრივ სისტემაში წარმოდგენილია თავისი გარკვეული ნაწილით, რაც მოცემულ ენობრივ სისტემას ამა თუ იმ ტიპოლოგიურ კლასს მიაკუთვნებს.

თანამედროვე ტიპოლოგიის ძირითადი დასკვნა ასეთია: *ყველა ენას საფუძვლად უდევს გარკვეული უნივერსალური ნიშან-თვისებებით განსაზღვრული ზოგადი მოდელი, რომელიც სხვადასხვაგვარად გამოვლინდება კონკრეტულ ენობრივ სისტემებში.*

**5.2. XVII საუკუნის 60-იან წლებში** საფრანგეთში, პორ-როიალის მონასტერში შეიქმნა ე.წ. *რაციონალური და ზოგადი გრამატიკა*, რომელიც დღეს *უნივერსალური გრამატიკის* სახელით არის ცნობილი. ამ გრამატიკაში წარმოდგენილი დებულებები ანალოგიურია თანამედროვე ტიპოლოგიის ძირითადი დასკვნისა. რაციონალური და ზოგადი გრამატიკის ავტორებმა, პორ-როიალის მონასტერში მოღვაწე ბერებმა *არნომ* და *ლანსლომ* სცადეს დაედგინათ ზოგადი პრინციპები, რომლებიც საერთოა ადამიანთა ყველა ენისათვის, და ის მიზეზები, რომლებიც განსაზღვრავენ ენათა შორის არსებულ განსხვავებებს.

ეს გასაოცარი დამთხვევა თანამედროვე ტიპოლოგიის ძირითად დასკვნასა და „უნივერსალური გრამატიკის“ ამოსავალ დებულებებს შორის უაღრესად მნიშვნელოვანია ენათმეცნიერების განვითარების თვალსაზრისით. ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ პორ-როიალის უნივერსალურ-გრამატიკულ კონცეფციაში განვითარებული იდეების ანალოგიური შეხედულებები *არნომდე* და *ლანსლომდე* მთელი ერთი საუკუნით ადრე ესპანელ ბერს *სანქტიუსსაც* ჰქონდა ფორმულირებული.

**5.3. თანამედროვე ტრანსფორმაციული წარმომშობი გრამატიკის ცენტრალური, ფუნდამენტური იდეა** — ენობრივ სისტემაში სიღრმისეული და ზედაპირული დონეების არსებობის შესახებ — „უნივერსალურ გრამატიკაში“ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის ერთგვარ აღორძინებას წარმოადგენს.

როდესაც თანამედროვე წარმომშობი (გენერატიული) გრამატიკა ენობრივ სისტემაში გამოყოფს ორი სახის — სიღრმისეულ და ზედაპირულ სტრუქტურებს და ამ უკანასკნელთ — ენაში დადასტურებულთ — განიხილავს გარკვეული წესების მეშვეობით მიღებულად თეორიულად პოსტულირებული სტრუქტურებიდან, იგი რაღაც აზრით უახლოვდება უნივერსალური გრამატიკის ამოსავალ დებულებებს.

ენის *სიღრმისეული დონე* განისაზღვრება როგორც ისეთი დონე, რომელზეც წარმოდგენილია უნივერსალური, ინვარიანტული კატეგორიები და ელემენტები, იმანენტური (ინგლ. *immanent* „შინაგანად დამახასიათებელი“) ყველა ენისათვის, და ამ ელემენტებს შორის არსებული მიმართებების ამსახველი წესები. ამ ელემენტთა გარკვეული წესების მიხედვით შედგენილი გაერთიანებები ქმნიან *სიღრმისეულ სტრუქტურებს*, რომელთაგან გადაწერისა და გარკვეული ტრანსფორმაციული წესების მეშვეობით მიიღება ენაში რეალურად დადასტურებული ე.წ. ზედაპირული სტრუქტურები; მათი ერთობლიობა ქმნის ენის *ზედაპირულ დონეს*. ენის სიღრმისეულ დონეზე არსებობს ურთიერთცალსახა შესაბამისობა *ლოგიკურ-სემანტიკურსა* და *გრამატიკულ კატეგორიებს* შორის. სიღრმისეული სტრუქტურა არის გარეენობრივი სიტუაციის *იზომორფული* ლოგიკურ-სემანტიკური სტრუქტურა, რომელიც წინადადების მთელ შინაარსს გადმოსცემს.

განვიხილოთ ორი ასეთი ზედაპირული სტრუქტურა: 1. *ბავშვი ხატავს სურათს* და 2. *სურათი იხატება ბავშვის მიერ*. ამ ორივე ზედაპირულ სტრუქტურას საფუძვლად უდევს ერთი სიღრმისეული სტრუქტურა, რომელიც ასახავს რაღაც გარეენობრივი სიტუაციის ენობრივ ხედვას და გვიჩვენებს ურთიერთცალსახა შესაბამისობას *ლოგიკურსა* და *გრამატიკულ კატეგორიებს* შორის. ეს *სიღრმისეული სტრუქტურა* შეიძლება განისაზღვროს როგორც მიმდევრობა ისეთი ლოგიკურ-სემანტიკური კატეგორიების გამომხატველი ელემენტებისა, როგორიც არის *S, P, O* (*სუბიექტი, პრედიკატი, ობიექტი*).

განვიხილოთ კიდევ ორი წინადადება: 1. *მამა შეიღოს უშენებს სახლს* და 2. *მამას შეიღოსთვის აუშენებია სახლი შეიღოს* პირველ წინადადებაში და *შეიღოსთვის* მეორე წინადადებაში სიღრმისეულ დონეზე ერთი და იმავე სემანტიკური კატეგორიის — *აღრესატის* გამომხატველი ელემენტი შეესაბამება. როგორც ირიბი და მატეა *შეიღოს* ისე უბრალოდ *მატეა შეიღოსთვის* ამ ერთი სიღრმისეული სემანტიკური კატეგორიის — *აღრესატის* სხვადასხვა ზედაპირული გამოვლინებაა.

## 6. ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია და სინტაქსური უნივერსალიები

6.1. სინტაქსური მიმართებები მიმდევრობაში წარმოდგენილ ამა თუ იმ მნიშვნელობების მქონე ელემენტებს შორის, რომლებიც განსაზღვრული კონსტრუქციების უშუალო შემადგენლებად გვევლინება, სულ სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. მაგალითად, ისეთ ენაში, როგორიც არის თურქული, ზედსართავი სახელი მის მიერ საზღვრული არსებითი სახელის წინ დგას, ობიექტი წინ უსწრებს ზმნას, დამოკიდებული გენეტივი — მმართველ არსებით სახელს, ზმნიზედა — ზედსართავ სახელს, რომელსაც ის განსაზღვრავს, და ა.შ. ასეთ ენებში გამოიყენება *თანდებულები* იმ მიმართებების აღსანიშნავად, რომლებიც, მაგალითად, ინგლისურში ან რუსულში წინდებულებით გამოიხატება.

სრულიად სხვა ვითარებაა ამ თვალსაზრისით, მაგალითად, *თაი* ენაში, სადაც ზედსართავი სახელი *მოსდევს* არსებით სახელს, ობიექტი *მოსდევს* ზმნას, გენეტივი — მმართველ სახელს და გვაქვს *წინდებულები* ისეთი ენა, როგორცაა ინგლისური, ზოგიერთი ნიშნით (წინდებულებით, არსებითი სახელით გამოხატული ობიექტის ადგილით ზმნის მომდევნოდ) ჰგავს *თაი* ენას, სხვებით კი (მაგალითად, ზედსართავი სახელის ადგილით არსებითის წინ) — თურქულს, ხოლო გენეტიური კონსტრუქციების ტიპებით — ერთსაც და მეორესაც: უდრ. *John's house* „ჯონის(ეული) სახლი“ და *the house of John* „ჯონის სახლი“.

ამგვარ სინტაქსურ ურთიერთმიმართებებზე დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ სიტყვათა რიგის განმსაზღვრელი ფაქტორებიდან ზოგი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, მაშინ როდესაც სხვები შედარებით დამოუკიდებელია.

სიტყვათა რიგის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორების ერთობლიობა ქმნის ე.წ. *ძირითადი რიგის ტიპოლოგიას*.

*სინტაქსური უნივერსალიების* დადგენა არსებითად სამი სახის კრიტერიუმს ემყარება:

პირველია *წინდებულების* ან *თანდებულების* არსებობა (ისინი შესაბამისად აღინიშნება როგორც *Pr* და *Po*).

მეორე — *სუბიექტის* (*S*), *ზმნისა* (*V*) და *ობიექტის* (*O*) რიგი თხრობით წინადადებებში სახელური სუბიექტითა და სახელური ობიექტით.

ენათა უმრავლესობას აქვს რიგის არა ერთი, არამედ რამდენიმე ტიპი, მაგრამ, როგორც წესი, ერთ-ერთი მათგანი დომინირებს.

ლოგიკურად არსებობს რიგის ექვსი შესაძლებელი ტიპი: *SVO*, *SOV*, *VSO*, *VOS*, *OSV* და *OVS*. მათგან მხოლოდ სამი გვხვდება როგორც დომინანტური ტიპი. დანარჩენი სამი ან სულ არ გვხვდება, ან მეტისმე-

ტად იშვიათია: ასეთია *VOS*, *OSV* და *OVS*. მაშასადამე, რჩება სამი ზოგადი ტიპი: *VSO*, *SVO* და *SOV*, რომლებშიც *სუბიექტი* ყოველთვის წინ უსწრებს *ობიექტს*.

მესამე კრიტერიუმია თვისების აღმნიშვნელი მსაზღვრელი ზედსართავი სახელის პოზიცია არსებითი სახელის მიმართ: არსებობს დომინანტური რიგი ზედსართავი სახელით არსებითი სახელის წინ: *AN* და დომინანტური რიგი ინვერსიული (შებრუნებული) წყობით, ზედსართავი სახელით არსებითი სახელის მომდევნოდ: *NA*.

**6.2. სხვადასხვა სტრუქტურის ენათა სინტაქსური წყობის შესწავლის საფუძველზე დგინდება შემდეგი უნივერსალიები:**

*თხრობით წინადადებაში სახელური სუბიექტითა და ობიექტით თითქმის ყოველთვის ჭარბობს სიტყვათა ისეთი რიგი, რომლის დროსაც სუბიექტი წინ უსწრებს ობიექტს;*

*წინდებულებიან ენებში გენეტივი თითქმის ყოველთვის მოსდევს მმართველ არსებით სახელს, ხოლო თანდებულებიან ენებში იგი თითქმის ყოველთვის წინ უსწრებს მას;*

*ენები VSO (ზმნა-სუბიექტი-ობიექტი) დომინანტური რიგით ხასიათდება წინდებულების არსებობით;*

*ენებს SOV ნეიტრალური რიგით შემთხვევითზე გაცდლებით უფრო დიდი აღბათობით აქვთ თანდებულები;*

*თუ ენას აქვს SOV დომინანტური რიგი და გენეტივი ამ ენაში მოსდევს მმართველ არსებით სახელს, მაშინ ზედსართავი სახელიც უნდა მოსდევდეს არსებით სახელს;*

*ყველა ენას VSO დომინანტური რიგით აქვს SVO რიგი როგორც ძირითადი რიგის ერთ-ერთი ალტერნატივა.*

*თუ ენაში SOV დომინანტური რიგით არ არის სხვა ალტერნატიული რიგი, ან ალტერნატივის სახით გვხვდება მხოლოდ OSV რიგი, მაშინ ზმნის ყველა ზმნიზედური მსაზღვრელიც წინ უსწრებს ზმნას;*

*თუ ენას აქვს VSO დომინანტური რიგი თხრობით წინადადებებში, მაშინ ამ ენის კითხვითსიტყვიან წინადადებებში კითხვითი სიტყვები და სიტყვათშეერთებები ყოველთვის პირველ ადგილზე დგას; თუ თხრობით წინადადებებში ენას აქვს SOV დომინანტური რიგი, მაშინ ეს წესი არ არის სავალდებულო;*

*თუ სახელური ობიექტი წინ უსწრებს ზმნას, მაშინ მთავარ ზმნას დაქვემდებარებული ზმნური ფორმებიც წინ უსწრებს მას;*

*პირობით კონსტრუქციებში პირობითი ნაწილი წინ უსწრებს დასკვნას; ასეთი რიგი ნორმალურია ყველა ენისათვის;*

*სურვილისა და მიზნის გამომხატველ კონსტრუქციებში ნორმალურია ის რიგი, რომლის დროსაც დაქვემდებარებული ზმნური ფორმა მოსდევს*

მთავარ ზმნას; გამონაკლისს ქმნიან მხოლოდ ის ენები, რომლებშიც სახელური ობიექტი ყოველთვის წინ უსწრებს ზმნას;

ენებში VSO დომინანტური რიგით უღლებადი დამხმარე ზმნა ყოველთვის წინ უსწრებს მთავარ ზმნას. ენებში SOV დომინანტური რიგით უღლებადი დამხმარე ზმნა ყოველთვის მოსდევს მთავარ ზმნას;

შემთხვევითზე უფრო დიდი ალბათობით შეიძლება გელოდოთ, რომ ენებში VSO დომინანტური რიგით ზედსართავი სახელი მოთავსდება არსებითი სახელის შემდეგ;

როდესაც აღწერითი ზედსართავი სახელი წინ უსწრებს არსებით სახელს, უმეტეს შემთხვევაში ჩვენებითი ნაცვალსახელი და/ან რიცხვითი სახელი აგრეთვე წინ უსწრებენ არსებით სახელს;

ზოგადი წესი, რომელიც ადგენს, რომ აღწერითი ზედსართავი სახელი მოსდევს არსებით სახელს, შეიძლება არ ვრცელდებოდეს ზედსართავი სახელების მცირე რაოდენობაზე, რომლებიც ჩვეულებრივ წინ უსწრებენ არსებით სახელს; მაგრამ როდესაც ზოგადი წესი მიუთითებს, რომ აღწერითი ზედსართავი სახელი წინ უსწრებს არსებით სახელს, მაშინ ამ წესმა არ იყოს გამონაკლისი;

როდესაც რომელიმე ერთი ან ყველა ელემენტი — ჩვენებითი ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი და აღწერითი ზედსართავი სახელი — წინ უსწრებს არსებით სახელს, ისინი ყოველთვის აღნიშნული რიგით განლაგდებიან. თუ ისინი მოსდევენ არსებით სახელს, რიგი ან იგივე იქნება, ან სრულიად შებრუნებული;

თუ რომელიმე ენაში ზოგიერთი ან ყველა ზმნიზედა მოსდევს ზედსართავ სახელს, რომელსაც ისინი განსაზღვრავენ, ეს ნიშნავს, რომ მოცემული ენა მიეკუთვნება იმ ენათა რიცხვს, რომლებშიც განმსაზღვრელი ზედსართავი სახელი მოსდევს არსებით სახელს, ხოლო ზმნა წინ უსწრებს თავის სახელურ ობიექტს, და სიტყვათა ეს რიგი დომინანტურია;

თუ სიტყვათა ერთადერთ რიგს ან რიგს ერთ-ერთ ალტერნატიულ ტიპს შედარებით კონსტრუქციაში წარმოადგენს „ნიმუში — შედარების მაჩვენებელი — ზედსართავი“ რიგი, მაშინ ეს ენა მიეკუთვნება თანდებულებიან ენათა ჯგუფს. თუ რიგს ერთადერთი ტიპია „ზედსართავი — შედარების მაჩვენებელი — ნიმუში“, მაშინ შემთხვევითზე უფრო დიდი ალბათობით ენა განეკუთვნება წინდებულებიან ენათა ჯგუფს;

თუ ნაცვალსახელური ობიექტი მოსდევს ზმნას, მაშინ ზმნას მოსდევს აგრეთვე სახელური ობიექტიც.

## 7. ენათა კონტენსიურ-ტიპოლოგიური კლასიფიკაცია

7.1. მნობრივი სისტემების ტიპოლოგიური კვლევის ზემოთ განხილული კონცეფცია ზოგადად შეიძლება დახასიათდეს როგორც ფორმალურ-ტიპოლოგიური თეორია. იგი ემყარება განსაზღვრულ ფორმალურ თანაფარდობებს ენის სტრუქტურულ ელემენტებს შორის. სწორედ ამგვარად დგინდება ენათა ისეთი ტიპები, როგორიც არის, ერთი მხრივ, მაიზოლორებელი, აგლუტინაციური და ფლექსიური, ხოლო მეორე მხრივ, ანალიზური, სინთეზური და პოლისინთეზური.

ამასთან ერთად, თანამედროვე ენათმეცნიერებაში მკვიდრდება ლინგვისტური ტიპის *შინაარსობრივად* ორიენტირებული (ენის შინაარსის პლანთან დაკავშირებული) თეორია, რომელიც განსაზღვრავს გარეენობრივი სინამდვილის ფუნდამენტურ, სიდრმისეულ მიმართებებს სუბიექტს, პრედიკატსა და ობიექტებს შორის და რომელსაც *კონტენსიურ (შინაარსობრივ) ტიპოლოგიას* (ინგლ. *content „შინაარსი“*) უწოდებენ (*გიორგი კლიმოვი*).

7.2. მონტენსიური ტიპოლოგიის თვალსაზრისით განვიხილოთ ენობრივ სისტემათა ისეთი ტიპები, როგორიც არის *აქტიური, ერვატიული* და *აკუზატიური (ნომინატიური, ნომინატიურ-აკუზატიური)*.

*აქტიური ტიპოლოგიის* ენა ორიენტირებულია არა იმდენად სუბიექტ-ობიექტის ურთიერთმიმართებათა გადმოცემაზე, რამდენადაც წინადადებაში *აქტიურ* და *ინაქტიურ სახელებს* შორის არსებული მიმართებების გამოხატვაზე. აქტიური ენის *სემანტიკური დომინანტა* ემყარება სახელთა ბინარულ კლასიფიკაციას „აქტიური-ინაქტიური“ დიფერენციალური ნიშნის მიხედვით. ასეთი კლასიფიკაცია განსაზღვრავს არსებითად ენის მთელ სტრუქტურას – როგორც ბრუნებს, ისე უღვლილებს სისტემას. ზმნის მორფოლოგიური და სინტაქსური პოტენცია დამოკიდებულია სწორედ სახელთა აღნიშნულ ბინარულ კლასიფიკაციაზე, რომელიც საფუძვლად უდევს აქტიური ტიპოლოგიის ენის მთელ სიდრმისეულ სტრუქტურას და განსაზღვრავს შესაბამის ზედაპირულ სტრუქტურაში წარმოდგენილი ნიშნების მთელ კომპლექსს.

ლექსიკის დონეზე მოქმედებს არსებითი სახელებისა და ზმნების სიმრავლეთა სტრუქტურული ორგანიზაციის ორი პრინციპი. ერთი მხრივ, არსებით სახელთა სიმრავლე იყოფა ორ ურთიერთარაგადასაკვეთ კლასად, რომელთაგან ერთში სვდება *აქტიური* არსებითი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანებს, ცხოველებსა და მცენარეებს, ე.ი. სასიცოცხლო აქტივობით გამორჩეულ, სასიცოცხლო ციკლში ჩართულ დენოტატებს, ხოლო მეორეში – *ინაქტიური* არსებითი სახელები, რომლებიც აღ-

ნიშნავენ ყველა სხვა დანარჩენ დენოტატს (მაგალითად, ts „წყალი“, yas „თოვლი“, tsé „ქვა“, tsin „ჯოხი“ და სხვ. ამერინდულ ნაგახო ენაში). თავის მხრივ, ასეთი სახელური დიქოტომია განსაზღვრავს ზმნის ანალოგიურ ბინარულ კლასიფიკაციას. ერთ ნაწილს შეადგენს ზმნური ლექსემები, რომლებიც გამოხატავენ ძირითადად აქტიური კლასის დენოტატებისათვის დამახასიათებელ სხვადასხვა მოქმედებას, მოძრაობებს, მდგომარეობებს, სასიცოცხლო ფუნქციების განხორციელებას (შდრ., მაგალითად, ისეთი სემანტიკის ლექსემები, როგორც არის „დაბადება“, „ზრდა“, „კვდომა“, „ჭაბა“, „სმა“, „ჭრა“, „შეგროვება“, „ხტომა“, „სვლა“, „ცეკვა“, „მღერა“, „დაძახება“, „ყეფა“, „კბენა“ და სხვ.), ხოლო მეორე ნაწილს – ზმნები, რომლებიც აღნიშნავენ ძირითადად ინაქტიური სახელებისათვის ნიშანდობლივ ამა თუ იმ მდგომარეობასა და თვისებას. აღნიშნული სემანტიკის ზმნები ფაქტობრივად ისეთ მოქმედებას ან მდგომარეობას გამოხატავენ, რომელიც აქტიური კლასის დენოტატებსაც შეიძლება დაუკავშირდეს (მაგალითად, ისეთი სემანტიკის ლექსემები, როგორც არის „ყოფნა“, „ღება“, „დგომა“, „გდება“, „გრძელია“, „მაღალია“, „თბილია“, „მწვანეა“ და სხვ.). სწორედ ეს განაპირობებს ენაში *ღუბლეთური* ზმნური ფორმების არსებობას.

7.3. არსებითი სახელებისა და ზმნების ამგვარი ბინარული კლასიფიკაცია გვიჩვენებს განსაზღვრულ ლექსიკურ კოორდინაციას ურთიერთშესაბამისი სახელური და ზმნური კლასების ელემენტებს შორის: აქტიური სემანტიკის ზმნა-შემასმენელი უმეტეს შემთხვევებში თავის ქვემდებარედ გულისხმობს აქტიური კლასის სახელს, მაშინ როდესაც *სტატიკური* (მდგომარეობის სემანტიკის გამოხატველი) ზმნა-შემასმენელი უკავშირდება როგორც აქტიური, ისე ინაქტიური სახელური კლასის წევრით გამოხატულ ქვემდებარეს.

სინტაქსის დონეზე *აქტიური წყობა* ხასიათდება წინადადების სპეციფიკური ტიპოლოგიით, რომელშიც მთავარია *აქტიური* და *ინაქტიური კონსტრუქციების* თბოზიცია.

7.4. მორფოლოგიის დონეზე აქტიური წყობის ენებში აღსანიშნავია ზმნის პირის აფიქსთა ორი რიგის – აქტიურისა და ინაქტიურის დაპირისპირება: პირველი მათგანი გამოხატავს ზმნასთან დაკავშირებულ აქტიურ სახელს, ხოლო მეორე – ინაქტიურს. შდრ., მაგალითად, ზმნურ პირის ნიშანთა ორი სხვადასხვა რიგი ამერინდულ გუარანი ენაში:

პირი	მხოლოდობითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი	
	აქტიური	ინაქტიური	აქტიური	ინაქტიური
1	a-	še-	ja-, ro-	jane-, oro-
2	re-	ne-	pe-	pene-
3	o-	i-, ø	o-	i-, ø

ბინარული სახელური კლასიფიკაციით არის მოტივირებული აგრეთვე ინკლუზივი-ექსკლუზივის კატეგორიის არსებობა პრონომინალურ (ნაცვალსახელურ) სისტემაში.

აქვე წარმოდგენილია *კუთვნილების* სახელური მორფოლოგიური კატეგორია, რომელიც განარჩევს *ორგანული (განუსხვისებადი)* და *არაორგანული (განსხვისებადი)* კუთვნილების ფორმებს. ამასთან, ეს განსხვავება დასტურდება მხოლოდ აქტიური კლასის სახელებში (მაგალითად, „ჩემი თავი“ ორგანული, განუსხვისებადი კუთვნილებაა, მაგრამ „ჩემი გვირგვინი“ – არაორგანული, განსხვისებადი კუთვნილება).

აღსანიშნავია აგრეთვე *მფლობელობის* მიმართებათა გამოხატველი „ქონა-ყოლა“ ზმნების არარსებობა, რის გამოც ხსენებული მიმართებები აქტიური წყობის ენებში გადმოიცემა „ყოფნა“ ზმნის შემცველი აღწერიითი კონსტრუქციებით. შდრ. ნაგახო: n-tcij xṛiḥ „თქვენ გაქვთ შეშა“, სიტყვასიტყვით: „თქვენი შეშა არის“ (ამ მხრივ მსგავსი ვითარებაა მრავალ ენაში, მაგალითად, ჩრდილოკავკასიურ ენებში, რაც მოწმობს ამ ენებში გადმონაშთის სახით აქტიური ტიპოლოგიის არსებობას: შდრ. ხუნდ. dir t'ex' bugo „მე მაქვს წიფნი“, სიტყვასიტყვით: „ჩემი წიფნი არის“; dur vaçaşul çu bugo „შენ ძმას ჰყავს ცხენი“, სიტყვასიტყვით: „შენი ძმის ცხენი არის“; dir ǰ'adi heč'o „მე ცოლი არ მყავს“, სიტყვასიტყვით: „ჩემი ცოლი არ არის“. „ყოფნა“ და „ქონა“ („ყოლა“) ზმნების სიღრმისეული სემანტიკური შემადგენლების იდენტობას მოწმობს ქართული ენის ორი ასეთი ზმნური ფორმის შედარება: *ი-ქნ-ებ-ა* და *ე-ქნ-ებ-ა*).

აქტიური წყობის ზემოთ განხილული ნიშნები შეიძლება ილუსტრირებული იქნეს შემდეგი მაგალითებით კამაიურა ენიდან (ტუპი ენათა ოჯახი სამხრეთ ამერიკაში): 1. wararawijawa moja o-uḥu „ძაღლმა გველს უკბინა“; 2. wara o-wewe „ჩიტი დაფრინავს“; 3. ita i-powaḥ „ქვა მძიმეა“; 4. i-ḥajura i-haku „მისი კისერი გრძელია“. პირველი ორი წინადადებით წარმოდგენილი აქტიური კონსტრუქციები მოცემულია აქტიური ზმნა-შემასმენლებით „კბენა“ და „ფრენა“; ორივე შემთხვევაში ზმნუ-



რი ფორმა შეიცავს მე-3 პირის აქტიური რიგის 0- აფიქსს. პირველ ფრაზაში შედის დამატება „გველს“. უკანასკნელი ორი წინადადების ინაქტიური კონსტრუქცია განპირობებულია მათში შემავალი სტატიკური ზმნა-შემასმენლებით – „მძიმეა“ და „გრძელია“; ამ ფორმებში წარმოდგენილია მე-3 პირის ინაქტიური რიგის i- ნიშანი. მეოთხე მაგალითში ქვემდებარეს („კისერი“) აქვს ორგანული კუთვნილების ფორმა.

7.5. აქტიური ტიპოლოგიის ენის სემანტიკური დომინანტა – აქტიური და ინაქტიური კლასების არსებით სახელთა დაპირისპირება – განსაზღვრავს ასეთი ენის მორფოლოგიურ და სინტაქსურ კონსტრუქციებს, რაც თავს იჩენს ერთგვალენტიან ზმნებთან წარმოდგენილი აქტიური თუ ინაქტიური აქტანტის გაფორმებაში:

(1) V+A

V+In

ორგვალენტიან ზმნურ კონსტრუქციებში აქტანტი, რომელიც გამოხატავს მოქმედ პირს (აგენსს), ბუნებრივია, ფორმდება აქტიური კლასის მარკერით, ხოლო მეორე აქტანტი, რომელიც გამოხატავს პაციენსს (ე.ი. აქტანტს, რომელზედაც მიმართულია ზმნით გადმოცემული მოქმედება), ფორმდება როგორც ინაქტიური კლასის სახელი (განურჩევლად იმისა, აქტიურ კლასს განეკუთვნება იგი, თუ ინაქტიურს):

(2) V+In\*+A,

სადაც In\* წარმოადგენს როგორც ლექსიკური, ისე სინტაქსურ-სტრუქტურული ინაქტივის სიმბოლოს.

აქტიური წყობის ენის წინადადებათა სიმბოლური სინტაქსური სტრუქტურა ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

(3) V+A

(4) V+In\*+A

(5) V+In


ამ ფორმულებიდან V სიმბოლოს ამოღებით ვიღებთ სინტაქსური კონსტრუქციების სახელური კომპონენტების ფორმებს წინადადების სამი სხვადასხვა სტრუქტურული ტიპისათვის:

(6) A

(7) In\* A

(8) In

წინადადების ეს სამივე სტრუქტურული ტიპი ხასიათდება A ელემენტისა და In ელემენტის ფორმალური ერთობით, რომელიც გამოხატება მათი ბრუნვის ფორმების დამთხვევით, რაც სქემატურად ასე გამოისახება:




აქტიური ტიპოლოგიის ენები უმეტესწილად გავრცელებულია ჩრდილო ამერიკაში. ისინი შეადგენენ *სეპირისეულ* „დიდ ოჯახს“: ნა-დენე (ჰაიდა, ტლინგიტი, ვიაკი, მრავალრიცხოვანი ათაბასკური ენები), სიუ (დაკოტა, ასინიბონი, კატაგება, პონკა, ტუტელო და სხვ.) და მუსკოგი ანუ გალფ (მუსკოგი, ჰიჩიტა, ჩოკტაგი, კოასატი). აქტიური წყობის ენები დადასტურებულია სამხრეთ ამერიკაშიც. ესენია მრავალრიცხოვანი ტუპი ოჯახის წევრები (ტუპინამბა ანუ „ძველი ტუპი“, გუარანი, სირონო, კამაიურა და სხვ.).

7.6. ზმნების კლასიფიკაცია „გარდამავლობა-გარდაუვალობა“ ნიშნის მიხედვით და სუბიექტ-ობიექტის მიმართებათა წარმოშობა განსაზღვრავს უკვე განსხვავებულ ენობრივ ტიპს, რომელიც ორიენტირებულია ძირითადად სუბიექტ-ობიექტის მიმართებათა გადმოცემაზე და გულისხმობს სუბიექტის ბრუნვისა და ობიექტის ბრუნვის ფორმობრივ დაპირისპირებას.

აქტიური წყობის ენებისათვის დამახასიათებელ სახელთა სიღრმისეულ ბინარულ კლასიფიკაციას, რომელიც ასახავს გარეენობრივი სამყაროს საგანთა ორ — აქტიურ და ინაქტიურ კლასად წარმოდგენას, აქ ენაცვლება ზმნური დაპირისპირება გარდამავლობა-გარდაუვალობის მიხედვით, რაც არსებითად გულისხმობს უკვე მოქმედება-მდგომარეობის სიღრმისეულ კლასიფიკაციას. ენობრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე დომინანტური ხდება არა საგანთა კლასიფიკაცია, არამედ ზმნების ურთიერთგანსხვავება „მოქმედება-მდგომარეობის“ ნიშნის მიხედვით, რაც ენებში გამოიხატება უპირატესად ზმნათა კლასიფიკაციის სახით „გარდამავლობა-გარდაუვალობის“ ნიშნის მიხედვით.

გარდამავალი ზმნის შემცველ კონსტრუქციებში სუბიექტის ბრუნვის მარკირებისას წარმოიქმნება ენობრივი სტრუქტურა, რომელიც დახასიათდება როგორც *ერგატიული* (ბერძნ. *ergátēs* „მოქმედი“). ასეთი სტრუქტურა შეიძლება შემდეგნაირად იქნეს წარმოდგენილი:



აქ  $S_{intr}^a$  არის გარდაუვალ ზმნათა სუბიექტის აღმნიშვნელი სიმბოლო, რომელიც ასახავს არსებით სახელებს თავდაპირველი აქტიური სემანტიკით;

$S_{intr}^{in}$  არის გარდაუვალ ზმნათა სუბიექტის აღმნიშვნელი სიმბოლო, რომელიც ასახავს სახელებს თავდაპირველი ინაქტიური სემანტიკით;

$S_{ir}$  არის გარდამავალი ზმნების სუბიექტის აღმნიშვნელი სიმბოლო;


$O$  არის გარდამავალი ზმნების ობიექტის აღმნიშვნელი სიმბოლო.

ამ სქემაზე არსებითია ის, რომ იგი ასახავს ფორმალურ გაუდიფერენცირებულობას გარდაუვალი ზმნის სუბიექტისა და გარდამავალი ზმნის ობიექტისა, რომლებიც ფორმალურად უპირისპირდებიან გარდამავალი ზმნის სუბიექტის ბრუნვას, წარმოდგენილს განსაკუთრებული მარკერით.

შდრ. ხუნძური inşuça hobol vaç'ana „მამამ სტუმარი მოიყვანა“ (ერგატიული კონსტრუქცია), მაგრამ hobol vaç'ana „სტუმარი მოვიდა“ (აბსოლუტური კონსტრუქცია). ამ ტიპის ენის მორფოლოგიისათვის ნიშანდობლივია ერგატიული ბრუნვის არსებობა, რომელიც უპირისპირდება აბსოლუტურ ბრუნვას. ორივე ბრუნვა სუბიექტ-ობიექტის მიმართებებს გადმოსცემს სინკრეტულად: ერგატივს აქვს სუბიექტისა და ობიექტის (ხშირად – მოქმედების იარაღის, ინსტრუმენტის) ფუნქციები (შდრ. ხუნძ. inşuça hošt'oça c'ul q'ot'ula „მამა ნაჯახით შეშას ჭრის“, სადაც პირველი ორი სახელი ერგატიულ ბრუნვაში დგას), ხოლო აბსოლუტივს – სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ფუნქციები.

ერგატიული წყობა დამახასიათებელია ბასკურისათვის, კავკასიურ ენათა უმრავლესობისათვის, ცალკეული ძველი აღმოსავლური ენებისათვის (ხურიტულ-ურარტული, შუმერული), ბურუშასკისათვის, ძრავალი კამჩატკურ-ჩუკოტკური, ესკიმოსურ-ალეუტური, ამერიინდული, ავსტრალიური და პაპუა ენებისათვის.

7.7. ბარდამავალი ზმნის შემცველ კონსტრუქციაში ობიექტის მარკირებისას წარმოიქმნება ენობრივი სტრუქტურა, რომელიც დახასიათდება როგორც აკუსატიური (ტრადიციული ტერმინოლოგიით, ნომინატიური კონსტრუქცია). იგი შეიძლება ასე იქნეს წარმოდგენილი:




ამ სქემაზე არსებითია ის, რომ იგი ასახავს გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების სუბიექტების ფორმალურ გაუდიფერენცირებულობას გარდამავალი ზმნის ობიექტის მარკირების პირობებში.

ერგატიული და აკუსატიური (ნომინატიური) ტიპები ერთიანდება საერთო ტიპოლოგიურ კლასში, რომლისთვისაც არსებითია ენის სიღრმისეულ სტრუქტურაში სუბიექტ-ობიექტის მიმართებათა არსებობა და ზმნების დაპირისპირება გარდამავლობა-გარდაუვალობის ნიშნის მიხედვით, საპირისპიროდ აქტიური ტიპოლოგიის ენებისა, რომელთა სემანტიკური დომინანტა განისაზღვრება სახელთა დაპირისპირებით აქტიურობა-ინაქტიურობის ნიშნის მიხედვით.


მაშასადამე, განსხვავებები ერგატიულ და აკუსატიურ (ნომინატიურ) წყობას შორის ეხება მხოლოდ ზედაპირულ სტრუქტურას და ძირითადად მოიცავს სუბიექტ-ობიექტის განსხვავებათა სხვადასხვაგვარი მარკირების პრინციპებს, მაშინ როდესაც სიღრმისეულ მიმართებათა დონეზე ეს ენობრივი ტიპები იდენტურია და ემყარება მოქმედების გარდამავლობა-გარდაუვალობას და ამასთან დაკავშირებულ სუბიექტ-ობიექტის ურთიერთმიმართებებს.

აკუსატიური (ნომინატიური, ნომინატიურ-აკუსატიური) წყობისაა მსოფლიოს ენათა დიდი რაოდენობა — ინდოევროპული, აფრაზიური, ურალური, დრავიდული, თურქული, მონღოლური, ტუნგუსურ-მანჯურიული, ჩინურ-ტიბეტური ენების უმრავლესობა, ავსტრალიის ენათა ნაწილი და სხვ.

7.8. **ერგატიული და ნომინატიურ-აკუსატიური ტიპოლოგიის** ენებში აქტიური წყობისათვის დამახასიათებელი მთელი წყება სპეციფიკური სტრუქტურული ნიშნების არსებობა (ინკლუზივ-ეისკლუზივი პრონომინალურ სისტემაში, *ზმნური დუბლეტები*, პირის ნიშნების ორი რიგი და სხვ.) შეიძლება აიხსნას აღნიშნული ტიპოლოგიის ენათა ისტორიული მომდინარეობით სწორედ აქტიური სტრუქტურის ენებიდან. სტრუქტურული გარდაქმნა უნდა გამოხატულიყო მხოლოდ ამოსავალი აქტიური სტრუქტურის ენის აქტანტთა გადაჯგუფებასა და განსაკუთრებულ მარკირებაში:



თანაფარდობა აქტიური, ერგატიული და ნომინატიურ-აკუსატიური სტრუქტურის ენებს შორის შეიძლება სქემატურად წარმოვადგინოთ დამოკიდებულებათა ხის სახით, სადაც ამ სტრუქტურებს შორის ურთიერთგადასვლების დაშვებით შეიძლება ერგატიული და ნომინატიურ-აკუსატიური სტრუქტურების გამოყვანა აქტიური წყობიდან:



ამგვარი სტრუქტურული გარდაქმნების ილუსტრირება შეიძლება წინარქეპართველური და წინარეინდოევროპული ენების მაგალითზე: ქართველური ენობრივი სტრუქტურა, რომელიც ამჟღავნებს ოდინდელი აქტიური წყობის რელიქტურ ნიშნებს, გარდაიქმნება წინარქეპართველური ენის დაშლის წინა პერიოდში ერგატიულ სტრუქტურად, მაშინ როდესაც წინარეინდოევროპული ენა ასეთივე აქტიური წყობიდან უნდა გადასულიყო ნომინატიურ-აკუსატიურ სტრუქტურაზე. ამგვარად,

გვიანქართველური ერგატიული სტრუქტურა და გვიანინდო-ევროპული ნომინატიურ-აკუზატიური სტრუქტურა წარმოადგენენ განსხვავებულ ზედაპირულ გამოვლინებებს ერთგვაროვანი სიღრმისეული გარდაქმნებისას, რომლებსაც ადგილი უნდა ჰქონოდა თავის დროზე შესაბამისად წინარექართველურ და წინარეინდოევროპულ ენებში (წინარექართველური და წინარეინდოევროპული ენების თაობაზე – დაწვრილებით ქვემოთ, *ენობრივი დიაქრონიისადმი* მიძღვნილ თავში).

## 8. კონტრასტიული ლინგვისტიკა

8.1. საკუთრივ *ტიბოლოგიური ლინგვისტიკის* აგან, რომლის მიზანია მსოფლიოს ენათა სტრუქტურული კლასიფიკაცია და ენობრივი უნივერსალების დადგენა, უნდა განვასხვაოთ ე.წ. *კონტრასტიული* ანუ *შეპირისპირებითი ლინგვისტიკა*, რომელიც შესწავლის კონკრეტული ენის სტრუქტურებს სხვა ენის შესაბამის სტრუქტურებთან *შ ე პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ი თ* და ამ გზით გამოავლენს მათ შორის არსებულ სტრუქტურულ და სემანტიკურ განსხვავებებს. შეპირისპირების თბიექტი შეიძლება იყოს გარკვეული ენების როგორც ცალკეული სტრუქტურები – მაგალითად, ესა თუ ის გრამატიკული კატეგორია, – ისე მთელი ენობრივი ქვესისტემები (ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკურ-სემანტიკური), აგრეთვე მთელი ტექსტები.

ორი ან მეტი ენის თანაფარდ სტრუქტურათა შეპირისპირებითი შესწავლისას ცხადად წარმოჩნდება მათი მსგავსება-განსხვავებანი, რაც საფუძვლად შეიძლება დაედოს უფრო ფართო უნივერსალურ-ტიბოლოგიურ დასკვნებს. ამას გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე პრაქტიკულ-პრაგმატული თვალსაზრისით – უცხო ენის სწავლებასა და შესწავლა-ათვისებაში: უცხო ენის სტრუქტურები აღიწერება მშობლიური ენის შესაბამის სტრუქტურებთან შეპირისპირებით.

8.2. კონტრასტიული კვლევის წინაპირობას, ბუნებრივია, უნდა წარმოადგენდეს შესაპირისპირებელ ენათა თანაფარდი სტრუქტურების თანმიმდევრული და შექლებისდაგვარად ამომწურავი სინქრონიული აღწერა; მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება განხორციელდეს ამ სტრუქტურათა შეპირისპირებითი ანალიზი.

კონტრასტიული ლინგვისტიკის ფარგლებში ენათა შეპირისპირებითი შესწავლა გვაძლევს ამ ენათა *კონტრასტიულ გრამატიკებს*, რაც გულისხმობს მთლიან ენობრივ სისტემათა (და არა მხოლოდ მათი ცალკეული ქვესისტემების) ანალიზს. ამ მიმართულებით განსაკუთრებით ინტენსიური კვლევა დაიწყო გასული საუკუნის 60-იან წლებში; *ჩარლზ ფერგუსონის* ხელმძღვანელობით ვაშინგტონის „გამოყენებითი ენათმეცნიერების ცენტრში“ შეიქმნა სხვადასხვა ენის

კონტრასტიული გრამატიკები, მათ შორის ინგლისურ-ფრანგული, ინგლისურ-იტალიური, ინგლისურ-ესპანური, ინგლისურ-რუსული და სხვ.

ქართულ ენათმეცნიერებაში ბევრი ნაშრომი მიეძღვნა ქართულ და რუსულ ენათა გრამატიკული სტრუქტურების შეპირისპირებით კვლევას. ამ საკითხებზე წერდა ჯერ კიდევ *იაკობ გოგებაშვილი*. ქართველ მეცნიერთა ნაშრომების დიდი ნაწილი უცხო ენის სწავლებას უკავშირდება. საგანგებოდ განიხილება *ორენოვნებასთან* დაკავშირებული პრობლემატიკა. კონტრასტიული ლინგვისტიკისათვის საინტერესოა აგრეთვე ის ფსიქოლოგიური პროცესები, რომლებიც თანსდევს ორენოვანი ინდივიდის სამეტყველო აქტივობას. კონტრასტიულ გამოკვლევებში განიხილება გარკვეულ სოციალურ ჯგუფებში არსებული ორენოვნების სიტუაციის ზოგიერთი ასპექტიც. ამდენად, კონტრასტიული ლინგვისტიკის თეორიისათვის მნიშვნელოვანია *ფსიქოლინგვისტიკისა* და *სოციოლინგვისტიკის* მიღწევათა გათვალისწინება (ენათმეცნიერების ამ დარგების შესახებ საუბარია ამავე თავის მომდევნო ნაწილებში).

8.3. კონტრასტიული ანალიზის ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანაა ენებს შორის შეპირისპირების ბაზის არჩევა; ამგვარი „ათვლის წერტილი“ უნდა შეირჩეს ენობრივი დონეების გათვალისწინებით. ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც მოცემულ ენაში ერთ ენობრივ დონეზე გადმოცემული მნიშვნელობა შესაპირისპირებელ ენაში სხვა დონის ერთეულებით გამოიხატება. ამავე დროს, ენათა უმრავლესობაში მოიპოვება ერთეულები და კატეგორიები, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე დონეს განეკუთვნება (ინტონაცია, ბრუნვა, გვარი და სხვ.). მეთოდოლოგიური თვალსაზრისით მიზანშეწონილია კვლევის დაწყება რომელიმე ერთი დონის კატეგორიებით ან ერთეულებით, რადგან კონტრასტიული ანალიზის მეთოდიკა იცვლება იმის მიხედვით, თუ რომელ დონეს განეკუთვნება შესაპირისპირებელი ენობრივი სტრუქტურები.

8.4. შეპირისპირებითი გამოკვლევების ერთ-ერთი პრაქტიკული ამოცანაა გამოიმუშაოს რეკომენდაციები უცხო ენის სწავლების მეთოდიკის დასახვეწად, რისთვისაც მას უნდა ჰქონდეს თეორიული საფუძველი და კვლევის სპეციფიკური ხერხები. მეორე მხრივ, შეპირისპირებითი გამოკვლევები ხელს უწყობს ენობრივი პროცესების წარმმართველი კანონების უფრო ღრმა წვდომას, რაც კონტრასტიული ლინგვისტიკის თეორიულ ასპექტს შეადგენს.

*კონტრასტიული ლინგვისტიკა* შეიძლება ზოგადად განვიხილოთ როგორც ტიპოლოგიური ლინგვისტიკის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც აქცენტირებას ახდენს ენობრივ სისტემათა არა მსგავსებებზე, არამედ მათ შორის არსებულ განსხვავებებზე; ამდენად, ლინგვისტურ დისციპლინათა კლასიფიკაციაში კონტრასტიული ლინგვისტიკა შეიძლება *ტიპოლოგიურ ენათმეცნიერებას* დაეუკავშიროს.

## II. ტექსტის ლინგვისტიკა

### 1. ტექსტის ლინგვისტიკის საგანი და ამოცანები

1.1. *ტექსტის ლინგვისტიკა* ანუ *დისკურსის ლინგვისტიკა* (შდრ. ლათ. *discursus* „აქეთ-იქით სვლა, რბენა“, „საუბარი“ > ფრანგ. *discours* „საუბარი“, „სიტყვა“, „მსჯელობა“ > ინგლ. *discourse* „საუბარი“, „სიტყვა“, „მსჯელობა“, „დისკუსია“) ან, როგორც მას ხანდახან უწოდებენ, *კომუნიკაციური ლინგვისტიკა* შეისწავლის სამეტყველო პროცესის ანუ *ლოკუციური აქტის* (ინგლ. *locution*) შედეგად შექმნილ ენობრივ გამონათქვამთა სიმრავლეს, რომელიც წარმოადგენს ფუნქციურად დასრულებულ საკომუნიკაციო ერთეულს — *ტექსტს*. მას უნდა ახასიათებდეს აზრის მთლიანობა, რაც სხვადასხვაგვარი ექსპლიციტური თუ იმპლიციტური საშუალებებით მიიღწევა; იგი უნდა შეესაბამებოდეს კონტექსტს — როგორც ლინგვისტურს, ისე არალინგვისტურს (სიტუაციურს).

ლოკუციური (ე.ი. სამეტყველო) მიზნებისათვის შექმნილი ტექსტი აიგება ენობრივი სისტემის ერთეულებისა და მისი ყველა დონის სტრუქტურული მახასიათებლების გამოყენებით. *დასრულებული ტექსტის* მახასიათებლებია საკომუნიკაციო კონტექსტის გათვალისწინება და გადმოცემული აზრის მთლიანობა. ტექსტის ლინგვისტიკა შეისწავლის მხოლოდ ისეთ ენობრივ გამონათქვამებს, რომელთაც შეუძლიათ საკომუნიკაციო ფუნქციის შესრულება. ამ თვალსაზრისით *ტექსტი* ანუ *დისკურსი* შეიძლება იყოს ცალკეული სიტყვა (მაგალითად, *შესასვლელი*), არასრული წინადადება, ფრაზა, დასახელება (მაგალითად, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*), წინადადება (მაგალითად, *ნუ მოწვეთ!*) და, ბოლოს, მთელი წიგნი (მაგალითად, დასრულებული მოთხრობა ან რომანი) და სხვ.

1.2. *წინადადება* — საკუთრივ სინტაქსის შესწავლის ობიექტი — არის *ლექსიკურ-გრამატიკული მთლიანობა*, ხოლო *ტექსტი* ანუ *დისკურსი* — *ტექსტის ლინგვისტიკის* შესწავლის ობიექტი — ლექსიკურ-გრამატიკულ მთლიანობასთან ერთად არსებითად *სემანტიკური მთლიანობაც* არის. *ტექსტი* ანუ *დისკურსი* ის ენობრივი ერთეულია, რომელსაც საზოგადოდ საკომუნიკაციო ფუნქცია აქვს, რომლის საშუალებითაც ფაქტობრივად ხორციელდება კომუნიკაციის პროცესი; *წინადადება* — *ტექსტის* შემადგენელი ერთეული — შესაძლებელია გარკვეულ შემთხვევაში ასრულებდეს საკომუნიკაციო ფუნქციასაც და *ტექსტის* სახით მოგვევლინოს.

*წინადადებისაგან* განსხვავებით *ტექსტს* არა აქვს გრამატიკული სტრუქტურა: მასში ვერ წარმოვადგენთ „ცარიელ ადგილებს“, რომლე-



ბიც შეიძლება შევავსოთ მოცემული სტრუქტურული მახასიათებლების მქონე წინადადებებით. ცხადია, შესაძლებელია ტექსტში გამოტოვებულ ნაწილთა აღდგენა და შევსება, ოღონდ სემანტიკისა და არა გრამატიკული სტრუქტურის საფუძველზე. ტექსტის ხარვეზები ისე უნდა შეიფსოს, რომ მონდეს აზრობრივი გადაბმა და შეიქმნას სემანტიკური მთლიანობა.

ტექსტის ბუნებისა და ტიპის განსაზღვრისათვის არსებითია შემდეგი მახასიათებლები: ტექსტის დანიშნულების, მოლაპარაკის მიზანდასახულობისა და განზრახვის განმარტება; მსმენელის დამოკიდებულება მთლიანი ტექსტისადმი, მის მიერ შეტყობინების აღქმა; ტექსტის ინფორმაციულობა — მოსალოდნელობა ან მოულოდნელობა; ტექსტის მიმართება სიტუაციასთან, ანუ, ერთი მხრივ, მისი წარმოქმნის მიზეზის, ხოლო მეორე მხრივ — მისი თვისებრიობის განსაზღვრელი გარემოს გათვალისწინება. ამასთან დაკავშირებით განიხილება ტექსტის შესაბამისობა სიტუაციასა და გარემოსთან, მისი „ეფექტურობა“, ანუ მსმენელზე ტექსტის ზემოქმედების ხარისხი, რასაც უკავშირდება ტექსტობრივი სტრუქტურის ისეთი ნიშნები, როგორც არის უწყვეტობა-წყვეტილობა, სირთულე-სიმარტივე, ტექსტის სწორი აგება და გაფორმება, მისი სტილისტური მახასიათებლები და მრავალი სხვა.

## 2. ტექსტის შესწავლის ასპექტები

2.1. მნობრივი სისტემის ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი ასპექტია *პრაგმატიკა*. ტექსტის ლინგვისტიკა მოითხოვს საენათმეცნიერო კვლევის სწორედ ამ ასპექტის გათვალისწინებას; პრაგმატიკა შეისწავლის ყოველივე იმას, რაც ზეგავლენას ახდენს საკომუნიკაციო პროცესზე, სახელდობრ: საკომუნიკაციო აქტის მონაწილეებს, მათ განწყობას, სიტუაციას, კომუნიკაციის განხორციელების პირობებს, მის ეფექტურობას, მიზანდასახულობას, შედეგსა და სხვ.

2.2. იმის შესწავლა, თუ რა მიზანს ემსახურება მოცემული საკომუნიკაციო ერთეული, რამდენად სრულყოფილია მისი ფორმა ამ მიზნის განსახორციელებლად, რა მახასიათებლები უზრუნველყოფს საკომუნიკაციო მიზნების შესრულებას, რამდენად მოწესრიგებულია ინფორმაცია, რა საშუალებებია გამოყენებული აზრის სიცხადისა და მთლიანობის შესაქმნელად, რა სპეციფიკური თავისებურებანი მოქმედებს სამეტყველო გამონათქვამის გაფორმების დროს, რა მიმართებაში იმყოფებიან ერთმანეთთან

და ტექსტთან მოლაპარაკე და მსმენელი — ყოველივე ეს შეადგენს ზოგადად *ტექსტის ლინგვისტიკის* სპეციფიკურ ამოცანებს.

2.3. ტექსტის ლინგვისტიკა არკვევს, რა სახის ტექსტთან გვაქვს საქმე — მხატვრულ ნაწარმოებთან თუ სამეცნიერო თხზულებასთან, სასაუბრო-საკომუნიკაციო თუ სხვა ხასიათის ტექსტთან; როგორია მოცემული ტექსტის მოცულობა, ჟანრი, სტილი, მისი მიზანი და თემა, მისი სტრუქტურა და სხვ. ამასთანავე, შეისწავლება სხვადასხვა ზომის ტექსტების აგების კანონზომიერებები — მაგალითად, რა კანონებს ემორჩილება რომანის როგორც ტექსტის აგება, რა თავისებურებები ახასიათებს, ვთქვათ, სამეცნიერო სტატიის აგებას და სხვ.

2.4. ტექსტის ლინგვისტიკას აინტერესებს, რა უზრუნველყოფს ტექსტის ფორმალურ და შინაარსობრივ მთლიანობას.

გარდა ამისა, ტექსტის ლინგვისტიკის შესწავლის საგანია ისეთი მიმართება, როგორიც არის თემა ~ რემა (იხ. ქვემოთ) და მათი დამოკიდებულება ტექსტში გადმოცემული ძველი და ახალი ინფორმაციის მიმართ; აგრეთვე, ისეთი არაექსპლიციტური მნიშვნელობები, როგორიც არის *პრესუპოზიცია* და *იმპლიკატურა*. პირველი გულისხმობს მნიშვნელობებს, რომელთა საერთო ცოდნა აუცილებელი საფუძველია მოლაპარაკესა და მსმენელს შორის კომუნიკაციის განსახორციელებლად, მეორე — იმ ახალ შინაარსს, რომელიც გამოიხატება მოცემული ექსპლიციტური შინაარსის მქონე გამონათქვამებით.

ამასთანავე არსებობს გარკვეულ ენობრივ მიმართებათა და მახასიათებელთა წყება, რომელთა სრულყოფილი გაგება და ახსნა ხერხდება მხოლოდ მთლიანი ტექსტის სტრუქტურაზე დაყრდნობით, ხოლო წინადადების ფარგლებში ეს მოვლენები დამაკმაყოფილებლად ვერ აიხსნება. ასეთებია, მაგალითად, *ანაფორა* (იხ. ქვემოთ), არტიკლის შერჩევა, ნაცვალსახელურ ერთეულთა ხმარება, შესიტყვების მახვილთა განაწილება, ხაზგასმა და კონტრასტი, მიზეზშედეგობრივი კავშირები წინადადებებს შორის, დროთა თანმიმდევრობა ცალკეულ წინადადებებში და მრავალი სხვა.

ყველა ეს ნიშანი და სტრუქტურული მახასიათებელი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, ერთმანეთზეა დამოკიდებული და ხშირად გაუგებარია ტექსტის მთლიანობაში განხილვის გარეშე.

### 3. მნიშვნელობათა ტიპები ტექსტში

3.1. ტექსტში არსებული ძრავალი სწავდასწავგვარი მნიშვნელობა დაიყვანება ორ ძირითად ტიპზე — კონკრეტულ ანუ *ასერტიულ* (*მტკიცებით*) — ინგლ. *assertive* — და ექსპრესიულ მნიშვნელობებზე; მეორე ტიპში ხშირად გამოყოფენ *ემოციურ* (ინგლ. *emotive* „ემოციური“) და *სოციალურ მნიშვნელობებს*

*სოციალური მნიშვნელობა* უზრუნველყოფს სამეტყველო აქტის მონაწილეებს შორის ურთიერთობის დამყარებასა და შენარჩუნებას. ზოგიერთი გამონათქვამი ემსახურება კომუნიკაციის დაწყებას ან დამთავრებას, მაგალითად:

*სალამი! რა კარგი ამინდია, არა?*

*სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა!*

*მოკითხვა ყველას!*

ეს მნიშვნელობა ხშირად არაენობრივი საშუალებებითაც გამოიხატება (თვალების მოძრაობა, სახის გამომეტყველება, ჟესტი, მიმიკა, პოზა და სხვ.).

თუ გავითვალისწინებთ სამეტყველო აქტის სამ შემადგენელს: მოლაპარაკეს, მსმენელსა და ფაქტს, გასაგები გახდება ხსენებული სამი ტიპის მნიშვნელობების გამოყოფა: ემოციის გამოხატვა, მსმენელთან მოლაპარაკის მიერ კონტაქტის დამყარება და ფაქტის აღწერა (ასერცია). შეკითხვა, ბრძანება, პასუხი ენის სოციალური ფუნქციის გამოხატულებაა, ხოლო სურვილი, შეძახილი — ემოციური ფუნქციისა.

იმისათვის, რომ მსმენელმა ტექსტი გაიგოს, მას უნდა ჰქონდეს მოლაპარაკესთან საერთო სწავდასწავა სახის წინასწარი ცოდნა, კერძოდ: 1. საშყაროს ცოდნა — მსმენელმა უნდა იცოდეს მოცემული ენის სიტყვები და სინტაქსური წესები, აგრეთვე უნდა ჰქონდეს მოლაპარაკესთან ფაქტების საერთო ცოდნა. წინააღმდეგ შემთხვევაში მან შეიძლება გაიგოს, მაგრამ სათანადოდ ვერ შეაფასოს გამონათქვამი. თუ მოლაპარაკესა და მსმენელს არა აქვთ გარემოს ერთნაირი ცოდნა, მაშინ საჭირო ხდება განმარტებები მოლაპარაკის მხრიდან; 2. სიტუაციის ცოდნა, რაც გულისხმობს მოლაპარაკესა და მსმენელთან დაკავშირებულ ინფორმაციას; საუბრის დროს, ადგილისა და სხვა მახასიათებლების ცოდნას. ნორმალური კომუნიკაციის პირობებში ეს თავისთავად მიიღწევა; 3. ტექსტის ცოდნა, ანუ ცოდნა იმ ინფორმაციისა, რომელიც გამომდინარეობს უშუალოდ ენობრივი, ვერბალური კონტექსტიდან. ამის გარეშე ვერ მოგახდენთ, მაგალითად, ისეთი წინადადების ინტერპრეტაციას, როგორც არის *ერთი ლექსს წერს, მეორე — მოთხრობას*. მხოლოდ ტექსტის წინა მონაკვეთიდან შეგვიძლია გავიგოთ, თუ ვინ არის ეს „ერთი“ და ვინ — „მეორე“.

#### 4. კონტექსტის მნიშვნელობა ტექსტისათვის

4.1. ბამონათქვამი ტექსტად იქცევა მხოლოდ მაშინ, როდესაც მას განვიხილავთ გარკვეული სიტუაციის ფარგლებში და როდესაც გვაქვს ამ ბამონათქვამის ლინგვისტური *კონტექსტის* ცოდნა.

სწორედ *კონტექსტი* იძლევა წინადადებების ერთმნიშვნელოვნად ინტერპრეტაციის საშუალებას. ჩვენი ბამონათქვამების აზრს ქმნის არა მარტო ლინგვისტური მნიშვნელობები, არამედ მათი *სოციალური მნიშვნელობაც*, რაც ტექსტის აზრის შექმნაში მონაწილეობს სხვადასხვაგვარი კონტექსტების მეშვეობით.

4.2. როგორც *ენობრივი* ისე *სიტუაციური კონტექსტი* მსმენელს აწვდის ინფორმაციას, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ტექსტის სწორი გაგება.

*რომან იაკობსონი* ასეთ საკომუნიკაციო სქემას წარმოგვიდგენს: მოლაპარაკე (*ლოკუციის წყარო*) შეტყობინებას გადასცემს ადრესატს (*ლოკუციის მიზანს*), ხოლო სამეტყველო აქტის მესამე შემადგენელია თვით *შეტყობინება, ბამონათქვამი, ლოკუცია*. იმისათვის, რომ შეტყობინებამ შეასრულოს თავისი ფუნქცია, მას სჭირდება კონტექსტი — როგორც რეფერენციის ობიექტი, რომელიც ნაცნობია ადრესატისათვის და რომელსაც უკვე აქვს ვერბალური (ენობრივი) ფორმა. ყოველივე ეს ქმნის *ექსტრალინგვისტურ კონტექსტს*. ამასთანავე, ლოკუცია განფენილია დროში. ამდენად, სიტუაციური კონტექსტი, ენობრივ კონტექსტთან ერთად, აუცილებელი პირობაა წარმატებული კომუნიკაციისათვის.

4.3. შეტყობინება შეიძლება იყოს მტკიცება, წინასწარმეტყველება, ბრძანება, ვარაუდი, შეურაცხყოფა, მუქარა, თხოვნა, დაპირება და სხვ. ეს ყოველივე შეტყობინების *ილოკუციურ (არასამეტყველო, ინგლ. illocutional) პოტენციალს* შეადგენს. მოცემული ბამონათქვამის წინაპირობების აღსაწერად უნდა გავითვალისწინოთ ლოკუციის ობტიმალური განხორციელებისათვის საჭირო ფაქტორები — შინაარსი, გარემო, დრო, კომუნიკაციის მონაწილეები და სხვ.

განვიხილოთ ასეთი ბამონათქვამი:

*თუ შეიძლება, კარი დახურე!*

ამ ბამონათქვამის წინაპირობები გადმოცემულია შემდეგი პუნქტებით:

1. მოლაპარაკე და მსმენელი ისეთ მიმართებაში არიან ერთმანეთთან, რომ მოლაპარაკეს შეუძლია დაავალოს მსმენელს მოცემული მოქმედების შესრულება; 2. მსმენელს შეუძლია დახუროს კარი (მაგალითად, იგი

ახლოს არის მასთან); 3. მსმენელმა იცის, რომელ კარზე უთითებენ; 4. კარი ღიაა; 5. მოლაპარაკეს უნდა კარის დახურვა.

**4.4.** სიტუაციური კონტექსტის მნიშვნელობის ერთ-ერთი გამოხატულებაა გამონათქვამის *პრესუპოზიციული* ასპექტი, რასაც ქმნის ის წინაპირობები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს, რათა სწორი და ეფექტური იყოს კონკრეტული ილოკუციური აქტი მოცემული გამონათქვამის წარმოქმნის დროს. მაშასადამე, გამონათქვამის პრესუპოზიცია ის პირობაა, რომელიც უნდა შესრულდეს, რომ ამ ენობრივმა გამონათქვამმა სწორად მიაღწიოს თავის მიზანს.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული წინადადება მხოლოდ იმ შემთხვევაში განახორციელებს თავის არასამეტყველო ფუნქციას, რომელიც გარკვეული ბრძანების შესრულებაში მდგომარეობს, თუ: მოცემული ილოკუციური აქტის მომენტში კარი ღიაა; მსმენელმა იცის, რომელ კარზეა ლაპარაკი; იგი ნორმალურად ჩათვლის მოლაპარაკის მიერ მისთვის ბრძანებას; მას შეუძლია კარის დახურვა და ა.შ. ყველა ეს სიტუაციური მონაცემი ქმნის ხსენებული გამონათქვამის *პრესუპოზიციებს*. თუ ეს წინასწარი პირობები დაკმაყოფილებულია, გამონათქვამი შეასრულებს თავის ილოკუციურ ფუნქციას; თუ კარი დახურულია, ან თუ მსმენელი აღაშფოთა იმან, რომ მას მიმართეს, ან თუ მან არ იცის, რომელ კარზეა ლაპარაკი, მაშინ ამგვარი მიმართვა შეუსაბამო და უმიზნო გამონათქვამად იქცევა.

პრესუპოზიციული მნიშვნელობა, რომელიც მოცემული ერთეულის „გარეთ“ არის მიმართული, ლექსიკურ ერთეულებსაც შეიძლება ჰქონდეს.

მაგალითად, ლექსიკური ერთეული *მისდევს* გულისხმობს, რომ ვიღაც გარბის; *გაიპარა* ჩვეულებრივ გულისხმობს, რომ ვიღაც დაჭერილი იყო და სხვ.

*ლექსიკური პრესუპოზიციის* სხვა მაგალითები უკავშირდება, ვთქვათ, ისეთ პრედიკატებს, როგორიც არის *ვშიშობ* და *ვიძელოვნებ*. იმის გამო, რომ მათ საფესვით გარკვეული პრესუპოზიციები აქვთ, ასეთ ლექსიკურ ერთეულებს თავისებური შეზღუდვა შემოაქვს გამონათქვამში — მოცემული ლექსიკური პრესუპოზიცია კრძალავს მისი საწინააღმდეგო მნიშვნელობის გადმოცემას ტექსტის იმავე მონაკვეთში, მაგალითად:

*ვშიშობ, რომ ნიკო მოვა.*

*ვშიშობ* ზმნის ლექსიკური პრესუპოზიცია გვიჩვენებს მოლაპარაკის უარყოფით დამოკიდებულებას ნიკოს მოსვლის მიმართ. მოცემული წინადადება არ შეიძლება შემდეგნაირად განვავრცოთ:

*ვშიშობ, რომ ნიკო მოვა და სიბარულით ველოდები მას.*

*პრაგმატიკული პრესუპოზიციები* მიგვანიშნებენ სოციალურ ურთიერთობებზე მოლაპარაკესა და მსმენელს შორის, რაც ზოგ ენაში გრამატიკული, ფორმალური საშუალებებით არის გამოხატული.

პრაგმატიკული პრესუპოზიციის შინაარსს განსაზღვრავს: ა) ლოკუციური აქტის მონაწილეთა სოციალური სტატუსი და ურთიერთმიმართება; ბ) მოლაპარაკისა და მსმენელის სქესი და ასაკი; გ) საუბრის ობიექტად მყოფი პირების სქესი, ასაკი, სოციალური სტატუსი და სხვა მახასიათებლები; დ) საგანთა ფიზიკური არსებობა და მდგომარეობა სასაუბრო გარემოში; ე) ილოკუციური დამოკიდებულება ლოკუციის წევრებსა და მეტყველებაში ნახსენებ საგნებს შორის და სხვ.

4.5. როგორც აღინიშნა, ტექსტის გაგებისათვის სიტუაციის ცოდნა აუცილებელია, რადგანაც ტექსტის ერთეულები მიმართებას ამყარებს სიტუაციის ელემენტებთან; მაშასადამე, ენის გარეთ მყოფი ერთეულებისა და ცნებების აღნიშვნა, გადმოცემა და აღწერა ხდება სწორედ ენობრივი საშუალებებით. ეს არის ე.წ. *ეგზოფორული* (ე.ი. გარეთ მიმართული) *რეფერენცია*. ამგვარი კავშირები სემანტიკური დონის კავშირებია. *ეს* და *ის* *აქ* და *იქ* ასახავს „ჩემთან ახლოს“ და „ჩემგან შორს“ სივრცულ (დეიქტურ) მიმართებებს, რომლებიც ენის გარეთ არის წარმოდგენილი. ასევე, *მე* და *შენ* შეიძლება იყოს ილოკუციური სიტუაციის შესაბამისად მოლაპარაკე და მსმენელი, და ამავე დროს დეიქტური მნიშვნელობების გადმოცემა ერთეულები ენაში.

ამას გარდა, ხშირად ჩნდება აუცილებლობა მივანიშნოთ იმაზე, რაც ერთხელ უკვე შემოვიტანეთ ტექსტში. ამ შემთხვევაში ტექსტში ადრე ნახსენებ ვერბალურ ერთეულსა და მომდევნო ერთეულს შორის მყარდება რეფერენციის მიმართება. პირველი ხსენება იმავე როლს ასრულებს, რასაც ექსტრალინგვისტური ერთეული ეგზოფორული რეფერენციის დროს; მითითება ხდება არა სიტუაციურ ელემენტზე, არამედ ტექსტის ელემენტზე. ამგვარად ხორციელდება *ენდოფორული* (ე.ი. ტექსტის შიგნით მიმართული) *რეფერენცია*, რომლის არსებითი ფუნქცია არის გადაბრა, ტექსტის ქსოვილის შექმნა.

როდესაც საკუთარი სახელის შემდეგ ვხმარობთ მის ჩამნაცვლებელ ნაცვალსახელს, იგი ჩვენთვის უკვე განსაზღვრული კონკრეტული პირის აღმნიშვნელია; ამ პირის ვინაობა უკვე ვიცით ტექსტის წინა მონაკვეთიდან, ე.ი. ნაცვალსახელის გაგება ხდება ტექსტის საშუალებით. ეს არის ენდოფორული რეფერენციის მაგალითი.

იმ ერთეულს, რომლის ამოხსნა ხდება ან ტექსტში, ან სიტუაციური მონაცემის მიხედვით, *რეფერენციულ ელემენტს* ვუწოდებთ.

4.6. მნდოფორული რეფერენცია უმეტესად *ანაფორულია*. *ანაფორა* ანუ *ანაფორული მიმართება* (ბერძნ. *anaphora* „გა(და)ტანა“, „ატანა“) არის გამონათქვამებს შორის ისეთი მიმართება, როდესაც ტექსტის მომდევნო

მონაკვეთში მოცემულია მითითება წინამავალი მონაკვეთის რომელიმე ერთეულზე:

„ჩვენ პირდაპირ *მოხუცი ქალი და კაცი* იჯდა.

*მაგათ* ყველაფერი იციან *ერთმანეთისა*, არა?“ (რევაზ ინანიშვილი).

*მაგათ* არის ანაფორული რეფერენციული ერთეული.

*იღენტურობის გამოძახატველი რეფერენცია* არის პირის, კუთვნილებითი, ჩვენებითი ნაცვალსახელებით გამოხატული ნაცვალსახელური ენდოფორული რეფერენცია.

ნაცვალსახელური რეფერენცია ყოველთვის განსაზღვრულია, მაშინ როდესაც წინამავალი ელემენტი, რომელზეც დამოკიდებულია მისი ამოცნობა, შეიძლება იყოს განუსაზღვრელი ან განსაზღვრული.

ნაცვალსახელი შეიძლება ენაცვლებოდეს არა მარტო არსებით სახელს, არამედ მთელ ზმნურ ფრაზას ან წინადადებას, მაგალითად:

„ვუფრთხილდები, *არ გაგაჯაგრო მაინც ჩემზედ* - სხვა რაღა სიკეთე აყრია ჩემგან?! რამდენადაც შემიძლია, *ამას ვცდილობ, თუმცა ხშირად ესეც* მაგიწყდება ჩემდა საუბედუროდ!“ (დავით კლდიაშვილი).

*ამას, ესეც* ფორმები ამყარებენ ანაფორულ კავშირს *არ გაგაჯაგრო მაინც ჩემზედ* ზმნურ კონსტრუქციასთან.

ასეთი გადაბმა შეიძლება *კატაფორულიც* იყოს. *კატაფორა* (ბერძნ. *kataphorá* „ჩასვლა“, „ჩამოშვება“) იმით განსხვავდება *ანაფორისაგან*, რომ ამ მიმართების დროს ტექსტის წინა მონაკვეთში ხდება მომდევნო გამონათქვამის შემადგენელზე მითითება. მაგალითად:

„*კირილემ* კიდევ დიდხანს ილაპარაკა თავის ყოჩაღობაზე, ბევრი იტრაბახა თავის სიმარჯვეზე და მთელი გზა იმის *ამბებში* იყო, თუ *სად რა ჩხუბი შეხვდომია, ვისთან რითი გათავებულა და რა გაუკაცობა გამოუჩინა*“ (დავით კლდიაშვილი).

შედარებითი რეფერენციის დროს რეფერენციული ერთეულის ინტერპრეტაცია ხდება რეფერენტთან მისი შედარების საფუძველზე. რეფერენციული ერთეულები ზედსართავით ან ზმნიზედით გამოიხატება. მაგალითად:

„დავჩუქდეთ და ვიაროთ *ასე*“ - ჩვენც დავჩუქდით და *ასე* მივდიოდით კარგა ხანს“ (რევაზ ინანიშვილი).

რეფერენციულმა ერთეულმა შეიძლება შეცვალოს არა მხოლოდ ტექსტის წინა ან მომდევნო მონაკვეთში წარმოდგენილი სახელი, ან ვითარებისა თუ თვისების გამოძახატველი სიტყვა, არამედ მთელი ფრაზები, პრედიკატული კონსტრუქციები, წინადადებები, მთელი აბზაციც კი:

„ჩვენში *ასეა*, ღვინოს ყველი და პური მაინც უნდა დააყოლო“... (რევაზ ინანიშვილი).

აქ კატაფორული რეფერენცია გვაქვს: *ასეა* განმარტებულია მომდევნო წინადადებით.

4.7. ტექსტის გადაბმის კიდევ ერთ საშუალებას — *სუბსტიტუციას* უკავშირდება ტექსტში კონტრასტული ინფორმაციის შემოტანა.

გაბმულ ტექსტში ხშირია შემთხვევები, როდესაც საუბარია ერთი და იმავე კლასის საგნებზე, მაგრამ ჩანაცვლებული სიტყვის კონკრეტული რეფერენტები განსხვავებულია. მაგალითად, შემდეგ ინგლისურ გამო-ნათქვამებში:

Would you like this teapot? No, I want *a square one*.

(„გნებავთ ეს ჩაიდანია? არა, მე ოთხკუთხა მინდა“), *one* ახორციელებს სწორედ ამგვარ სუბსტიტუციას: მინდა ჩაიდანია, მაგრამ სხვა.

სუბსტიტუცია უმეტეს შემთხვევაში ენდოფორულია, ე.ი. სუბსტიტუციური ერთეულით ხდება ტექსტში ადრე ნახსენები ერთეულის შენაცვლება, როგორც ეს ზემოთ მოყვანილ მაგალითებში გვექონდა. მაგრამ ზოგჯერ სუბსტიტუცია (ელიფსისი) ტექსტის გარეთ არის მიმართული და ეგზოფორულია; მაშინ მისი ამოხსნა სიტუაციის საშუალებით ხორციელდება. მაგალითად:

მყიდველი დგას დახლთან, საზამთროს ყიდვა უნდა; გამყიდველი ეკითხება: „ერთი (საზამთრო) გინდა, თუ ორი (საზამთრო)?“

გამოტოვებული შემადგენლები აქ სიტუაციის საშუალებით აღდგება.

ელიფსისი მჭიდროდ არის დაკავშირებული სუბსტიტუციასთან, იგი იმავე რიგის მოვლენაა, ოღონდ აქ ხდება კლასის აღმნიშვნელი სიტყვის გამოტოვება:

*რამდენ ჩაიდანს ყიდულობ? — სამს (=სამ ჩაიდანს).*

ელიფსისის დროს ის, რაც გამოტოვებულია, ცხადად იგულისხმება და ადვილად აღდგება. გამოტოვება აქ არაფითარ გაუგებრობას არ იწვევს, იგი დასაშვებია სწორედ სიცხადის პირობებში; თვით ამ გამოტოვების შესაძლებლობა არის ტექსტის უწყვეტობის მაჩვენებელი. ელიფსისი, როგორც წესი, ანაფორულია, ე.ი. გამოტოვებულია მანამდე უკვე ნახსენები, ამასთან, სტრუქტურულად აუცილებელი ერთეული.

განვიხილოთ რეფერენტის, სუბსტიტუციისა და ელიფსისის ინგლისური მაგალითები:

This is a fine *hall* you have here. I'm proud to be lecturing *in it*

„შვენიერი დარბაზი გქონიათ. ვამაყობ, რომ აქ (მასში) წავიკითხავ ლექციებს“ (ნაცვალსახელური ანაფორული რეფერენტია, *it* განსაზღვრულ დარბაზზე მიუთითებს);

This is a fine *hall* you have here. I've never lectured *in a finer one*

„შვენიერი დარბაზი გქონიათ. არასოდეს წამიკითხავს ლექცია უკეთეს (დარბაზ)ში“ (ინგლისურ მაგალითში სუბსტიტუციაა, *one* განუსაზღვრელი ნაცვალსახელია);



This is a fine hall you have here. I've never lectured in *a finer*

„მშვენიერი დარბაზი გქონიათ. არასოდეს წამიკითხავს ლექცია უკეთესში“ (ამ მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ *ელიფსისი* არის *სუბსტრუქციის* კერძო შემთხვევა).

## 5. თემა და რემა

5.1. ტექსტის მთლიანობისა და მისი ქსოვილის შექმნის მნიშვნელოვანი ფაქტორია აგრეთვე *ტექსტის თემა-რემატული სტრუქტურა*. ტერმინები *თემა* და *რემა* იხმარება გამონათქვამში იმის გასამიჯნავად, თუ რაზე ვლაპარაკობთ — *თემა*, და რას ვამბობთ *თემის* შესახებ — *რემა* (ბერძნ. *rhēma* „ნათქვამი“).

ძველი და ახალი ინფორმაციის შესახებ მსჯელობა, ტექსტში მათი გამოცალკევებისა და ურთიერთმიმართების საკითხის გარკვევა განეკუთვნება, ერთი მხრივ, *სემანტიკის*, ხოლო მეორე მხრივ — *პრაგმატიკის* პრობლემებს: სემანტიკას, რამდენადაც საქმე ეხება შინაარსის პლანს, და პრაგმატიკას, რამდენადაც გასათვალისწინებელია მსმენელისათვის შეტყობინების ღირებულება, ინფორმაციის სიახლე, მოცემული შინაარსის შედეგიანი გადაცემისათვის საუკეთესო ფორმის მოძებნა და სხვ.

5.2. ბუნებრივი ენა სხვადასხვა საშუალებას გვთავაზობს იმისათვის, რომ მოლაპარაკის მიერ გადაცემულ შეტყობინებაში მსმენელს მიენიშნოს ახალსა და ძველ ინფორმაციაზე, როგორც ჩანს, საამისოდ უნივერსალური ექსპლიციტური საშუალებებია, უპირველეს ყოვლისა, გამონათქვამის ინტონაციური სტრუქტურა, ემფატიკური (გამომყოფი) მახვილი, სპეციალური *არასრულმნიშვნელობიანი* სიტყვები. ტონის აწვევა ან მახვილის გაძლიერება ხდება იმ შემადგენლებზე, რომლებიც შეიცავენ ახალ ინფორმაციას. ამ გზით იქმნება ე.წ. *კონტრასტული წინადადებები*.

წინადადებაში ძველი და ახალი ინფორმაციის განსასხვავებლად მრავალ ენაში გამოიყენება აგრეთვე ზოგიერთი გრამატიკული კატეგორია; მაგალითად, ცნობილია, რომ განსაზღვრულობისა და ზოგადობის კატეგორიები, რომლებიც არტიკლებისა და ნაცვალსახელების საშუალებით გადმოიცემა სხვადასხვა ენაში, ძველი ინფორმაციის თანმხლები კატეგორიებია, ხოლო განუსაზღვრელობა არის ახალი ინფორმაციის ნიშანი. განსაზღვრულ სახელთა რაოდენობა ტექსტში მეტი უნდა იყოს, რადგან ეს უზრუნველყოფს მის მთლიანობას.

ასევე, ნაცვალსახელური რეფერენცია, სუბსტიტუცია და ელიფსისი შესაძლებელია მხოლოდ ძველი ინფორმაციის გამომსატველი ელემენტების მიმართ განხორციელდეს.

გარდა უნივერსალურისა, არსებობს კონკრეტული ენებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური საშუალებები, რომლებიც ფორმალურად აღნიშნავენ *თემას* და *რემას*. მაგალითად, ჩეხურში, ისევე როგორც ზოგ სხვა ენაში, ძველი ინფორმაციის მატარებელი წევრი — *თემა* — ყოველთვის წინადადების თავში ექცევა, ხოლო უნგრულში ახალი ინფორმაციის შემცველი წევრი — *რემა* — მოთავსებული უნდა იყოს უშუალოდ ზმნის წინ.

ძველი და ახალი ინფორმაციის გადმოცემის თვალსაზრისით საინტერესო უნივერსალური კანონზომიერებებით ხასიათდება პრაგმატიკულად ნეიტრალური წინადადებები. თუ ამგვარ წინადადებაში მხოლოდ ერთი ლოგიკური არგუმენტი გვაქვს, იგი ძველი ინფორმაციის მატარებელია, ახალი ინფორმაციის შემცველი (*რემა*) კი არის პრედიკატი.

პრედიკატს შეიძლება ახლდეს მასთან სხვადასხვა სემანტიკური მიმართებით დაკავშირებული რამდენიმე არგუმენტი — *აგენსი*, *პაციენსი*, *ექსპერიენსერი* და სხვ., რომლებიც *ტექსტ*ში განსხვავებული თემა-რემატული პოტენციით ხასიათდებიან.

## 6. ლინგვისტიკა და პოეტიკა

6.1. მისი კულტურული პოტენციის გამოვლინების ერთ-ერთი უმთავრესი ფორმაა მხატვრული ლიტერატურა, მაღალი მწერლობა. მხატვრული ნაწარმოებისათვის ბუნებრივი ენა ერთდროულად სუბსტანციაც არის და გამოხატვის საშუალებაც; მწერლობა ენის პროდუქტს წარმოადგენს, რაც განაპირობებს მჭიდრო, აუცილებელ კავშირს მწერლობის შემსწავლელ დარგს — *პოეტიკას* და ბუნებრივი ენის შემსწავლელ დარგს — *ლინგვისტიკას* შორის.

თანამედროვე მეცნიერებაში ტერმინ *პოეტიკას* დაუბრუნდა ის შინაარსი, რომელსაც მას ძველი ტრადიცია ანიჭებდა და ამჟამად იგი გამოიყენება მთლიანად მხატვრული ლიტერატურის მიმართ. ასე გაგებული პოეტიკა დაკავშირებულია ენათმეცნიერების ყველა დარგთან, სხვებზე მეტად კი ტექსტის (დისკურსის) ლინგვისტიკასთან, რადგან პოეტიკის კვლევის ობიექტია მხატვრული ტექსტისათვის ნიშანდობლივი თვისებები.

*პოეტიკის* ძირითად ამოცანას შეადგენს იმის გარკვევა, თუ რა აქცევს სამეტყველო შეტყობინებას ხელოვნების ნიმუშად. რამდენადაც პოეტიკას საქმე აქვს განსაკუთრებული ტიპის ენობრივ (სამეტყველო) სტრუქ-

ტურებთან, ხოლო ენობრივი სტრუქტურების შემსწავლელი ზოგადი მეცნიერება ლინგვისტიკაა, პოეტიკა მის შემადგენელ ნაწილად შეიძლება იქნეს განხილული (*რომან იაკობსონი*).

პოეტური მეტყველების თავისებურებები, ისევე როგორც მთლიანად მხატვრული სიტყვიერება, სემიოტიკის — ნიშანთა სისტემების შემსწავლელი მეცნიერების — საგანიც არის. სემიოტიკის საკვლევი ობიექტების ვრცელ ჯგუფში ერთმანეთთან ყველაზე ახლოს არის სწორედ ენა და მხატვრული ლიტერატურა — ხელოვნება, რომელიც ენის საშუალებით გამოიხატება.

6.2. სალიტერატურო კრიტიკისაგან განსხვავებით, მწერლობის შემსწავლელი მეცნიერება — *პოეტიკა* — არ გულისხმობს მხატვრული ნაწარმოების სუბიექტურ შეფასებას, იგი აღწერს ლიტერატურულ ქმნილებათა შინაგან (თავისთავად) ღირებულებებს (შდრ. ნორმატიული გრამატიკა და ლინგვისტიკა).

მწერლობას, ისევე როგორც კულტურის ნებისმიერ სფეროს, გეგმაზომიერება და სისტემურობა ახასიათებს; პოეტიკა, ცალკეულ ნაწარმოებთან ინტერპრეტაციისაგან განსხვავებით, მოწოდებულია დაადგინოს საზოგადოდ მხატვრული ნაწარმოების შექმნის შინაგანი კანონზომიერებები; ამდენად, პოეტიკის ობიექტს წარმოადგენს არა კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოები, არამედ გამონათქვამთა განსაკუთრებული ტიპის, სახელდობრ, მხატვრული ტექსტის განმასხვავებელი ნიშანი — *ლიტერატურულობა*. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოეტიკა არკვევს იმ მიზეზებს, რომლებიც განაპირობებენ მოცემულ ეპოქაში ამა თუ იმ ტექსტის მხატვრულ ტექსტად აღიარებას. ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები განიხილება როგორც (უფრო) აბსტრაქტული სტრუქტურის ერთ-ერთი რეალიზაცია; პოეტიკის ამოცანაა ლიტერატურული ნაწარმოების სტრუქტურისა და ფუნქციონირების თეორიის აგება.

6.3. *რომან იაკობსონის* ცნობილი ფორმულის თანახმად, პოეტიკა შეიძლება განისაზღვროს როგორც ლინგვისტიკის ის ნაწილი, რომელიც განიხილავს ენის *პოეტურ ფუნქციას* მის სხვა ფუნქციებთან მიმართებაში.

*ენის ფუნქციების* გამოყოფა უკავშირდება სამეტყველო აქტის სხვადასხვა კომპონენტის წინა პლანზე წამოწვევას, სახელდობრ: ენის *რეფერენციული ფუნქცია* გულისხმობს ორიენტაციის შეტყობინების კონტექსტზე, *ეპსპრესიული ფუნქცია* — შეტყობინების გამგზავნაზე, *აპელაციური ფუნქცია* — მიმღებზე, *ფატიკური ფუნქცია* — გამგზავნისა და მიმღების ურთიერთდამოკიდებულებაზე, *მეტალინგვისტური ფუნქცია* — ენობრივ კოდზე, რომლითაც შეტყობინება გადაიცემა, ხოლო *პოეტური ფუნ-*

*ქცა* — საკუთრივ შეტყობინებაზე როგორც ასეთზე. თანამედროვე ლინგვისტი გვერდს ვერ აუვლის ენის ვერც ერთ ფუნქციას; ასევე, ლიტერატურის თანამედროვე მკვლევარი აუცილებლად უნდა იცნობდეს ენათმეცნიერების პრობლემებსა და მეთოდებს.

6.4. პოეტური ფუნქცია დამახასიათებელია როგორც პოეზიისათვის, ისე მწერლობის სხვა სახეობებისთვისაც; მეორე მხრივ, პოეზიას აქვს არა მარტო პოეტური, არამედ სხვა ფუნქციებიც. პოეტურ ნაწარმოებში ლინგვისტი აღმოაჩენს სტრუქტურებს, რომლებიც საოცრად ჰგავს ეთნოლოგის მიერ, ვთქვათ, მითების ანალიზის შედეგად გამოვლენილ სტრუქტურებს (ეთნოლოგისა და ლინგვისტის თანამშრომლობის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს *შარლ ბოდლერის* „კატების“ ანალიზი, რომელიც ეკუთვნის *რომან იაკობსონსა* და გამოჩენილ ეთნოლოგს *კლოდ ლევი-სტროსს*). ლიტერატურული ტექსტის — როგორც პოეტურის, ისე პროზაულის — ენას ყოველთვის საფუძვლად უდევს წესების გარკვეული სისტემა და იგი განსხვავდება ყოველდღიური ენის (მეტყველებების) წესების სისტემისაგან — მხატვრულ ტექსტში სემანტიკურ და ლექსიკურ ერთეულთა კომბინაციებს ნაკლები შეზღუდვები ედება, უფრო ფართოდ გამოიყენება სინონიმური ჩანაცვლებები და სხვ. ამგვარად, პოეტური ენა თავისებური ენაა და ბუნებრივი ენის ნებისმიერ სხვა სახეობასთან ერთად იგი ლინგვისტიკის კვლევის საგანს უნდა წარმოადგენდეს.

6.5. ენათმეცნიერების მსგავსად, პოეტიკასაც აქვს კვლევის სინქრონიული და დიაქრონიული ასპექტი. სინქრონიული პოეტიკა, ისევე როგორც სინქრონიული ლინგვისტიკა, არ გულისხმობს საკვლევი ობიექტის სტატიკურობას; მისი ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა წინა ეპოქების კლასიკური ნაწარმოებების შერჩევა და რეინტერპრეტაცია თანამედროვე ლიტერატურული მიმდინარეობების თვალთახედვით. მეორე მხრივ, დიაქრონიული მიდგომის დროს პოეტიკაში, ისევე როგორც ლინგვისტიკაში, განიხილება არა მარტო ცვლილებები, არამედ უცვლელი, მუდმივი ელემენტებიც.

## 7. ფატიკური კომუნიკაცია

7.1. კომუნიკაციის სპეციფიკურ სფეროს წარმოადგენს სიტუაციები, როდესაც ენა ემსახურება არა ინფორმაციის ფაქტობრივ გაცვლა-გამოცვ-

ლას, არამედ მოსაუბრეთა შორის თბილი, მეგობრული ატმოსფეროს შექმნას და უხერხული პაუზების შევსებას ან მათ თავიდან აცილებას.

თუ ნაცნობებს შეხვედრისას მნიშვნელოვანი არაფერი აქვთ ერთმანეთისათვის სათქმელი, ისინი იწყებენ არაფრისმთქმელ საუბარს ამინდზე, ნაცნობ-მეგობრების ჯანმრთელობაზე და ა.შ. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა ის, თუ რას იტყვი, არამედ ის, თუ როგორ იტყვი და ამით ყურადღებას გამოხატავ თანამოსაუბრის მიმართ. ამ ტიპის საშტეტყველო ურთიერთობას *ფატიკურ კომუნიკაციას* (ბერძნ. *phēmí* „გამბობ, ვლაპარაკობ“, *phatós* „ნათქვამი“) უწოდებენ (ბ. მალინოვსკი).

*ფატიკური კომუნიკაცია* ერთგვარ თამაშს წააგავს, რომელშიც თანამოსაუბრეები გარკვეულ წესებს ემორჩილებიან: ასეთი წესები სპეციფიკურია თითოეული ენისათვის. ასე, მაგალითად, ინგლისურისათვის ფატიკური კომუნიკაციის გავრცელებული ნიმუშია არაფრისმთქმელი საუბარი ამინდის შესახებ: *Fine weather, isn't it* „შვენიერი ამინდია, არა?“ მხოლოდ იმიტომ ითქმის, რომ ერთმა ადამიანმა საუბარი გაუბას მეორეს (თუნდაც სინამდვილეში საშინელი ამინდი იყოს); გაცნობის დროს ინგლისური ფრაზა *Nice to meet you* „სასიამოვნოა თქვენი გაცნობა“ ფატიკურ ფუნქციას ასრულებს; ასეთივეა ქართული: *რა შესანიშნავად გამოიყურებით!* და მრავალი მსგავსი გამონათქვამის ფუნქცია. მისაღმების, დამშვიდობების, მადლიერების გამოხატველი ფრაზები, ქათინაურები მრავალ ენაში, ჩვეულებრივ, *ფატიკური კომუნიკაციის* ტიპური ნიმუშებია.

7.2. შატიკური კომუნიკაციის დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დათანხმების ფენომენს – მაშინაც კი, როდესაც არ ვიზიარებთ ჩვენი თანამოსაუბრის შეხედულებებს ამა თუ იმ საკითხზე.

საზოგადოდ, ყოველი ენისათვის არსებობს ფატიკური მეტყველების განსაზღვრული წესები, რომელთა შესრულება აუცილებელია მოცემულ ენობრივ სოციუმში ნორმალური ურთიერთობისა და სწორი კომუნიკაციის დამყარებისათვის.

7.3. შატიკური კომუნიკაცია ძირითადად მყარდება იმ ადამიანებს შორის, რომლებიც შემთხვევით ხვდებიან ერთმანეთს და იძულებულნი არიან რამეზე ისაუბრონ. სწორად წარმართული ფატიკური საუბრის შემდეგ ხშირად უცნობი ადამიანებიც კი მეგობრულად შორდებიან ერთმანეთს. ამგვარ საუბრებს ზოგჯერ ფსიქოთერაპიულ სეანსსაც ადარებენ, რომლის დროსაც სულიერი დამშვიდება და შინაგანი გაწონასწორება ფატიკური კომუნიკაციის საშუალებით ხდება.

## 8. პარალინგვისტიკა

8.1. სამეტყველო კომუნიკაციის პროცესში ადამიანი, ჩვეულებრივ, არა-ვერბალურ საშუალებებსაც იყენებს, რაც სპეციალური შესწავლის საგანი შეიძლება გახდეს. *პარალინგვისტიკა* (ბერძნ. *pará* „-თან“, „ახლო“) შეისწავლის კომუნიკაციის პროცესში სამეტყველო შეტყობინების სწორედ იმ თანმხლებ არაენობრივ საშუალებებს (როგორც არის ექსტ-მიმიკა, სხეულის მოძრაობა, სახის გამომეტყველება და სხვ.), რომლებიც ერთგვარად აზუსტებენ და ავსებენ მეტყველების გზით გადაცემულ ინფორმაციას. ეს პრობლემატიკა, შესაძლებელია, სულაც არ ეხებოდეს საკუთრივ ენათმეცნიერებას (რაც თვით დარგის სახელწოდებაშიც აისახა: „პარალინგვისტიკა“, ე.ი. „ლინგვისტიკის თანმხლები დარგი“), მაგრამ სამეტყველო კომუნიკაციის არავერბალური საშუალებები – ე.წ. *პარალინგვიზმები* – უშუალო ან ტელეკომუნიკაციის აუცილებელი თანმხლები კომპონენტებია; ისინი ავსებენ და აზუსტებენ ვერბალური საშუალებებით გადაცემულ ინფორმაციას და, ამდენად, ხელს უწყობენ კომუნიკაციის პროცესს. ამ თვალსაზრისით პარალინგვისტიკა შეიძლება განვიხილოთ ლინგვისტიკის თანმხლებ დარგად ზოგადი სემიოტიკური თეორიის ფარგლებში.

8.2. ჩვეულებრივ გამოყოფენ *ფონაციურ* („სამეტყველო“) და *კინესიკურ* („მოძრაობის“, შდრ. ბერძნ. *kínēsis* „მოძრაობა“) პარალინგვიზმებს. *ფონაციურ პარალინგვიზმებად* მიიჩნევა მეტყველების ისეთი მახასიათებლები, როგორც არის, მაგალითად, ხმის ტემბრი, ინტენსივობა, მეტყველების ტემპი და სხვ. მეტყველების ფონაციური პარალინგვისტური კომპონენტები თანმხლები ელემენტები კი არ არის, არამედ მისი შემადგენელი და განუყოფელი მახასიათებლებია – სწორედ მათი საშუალებით ხორციელდება ყოველი სამეტყველო აქტი. ამიტომ ისმის კითხვა: რამდენად შეიძლება მივიჩნიოთ მეტყველების ამგვარი ფონაციური კომპონენტები *პარალინგვიზმებად* და არა მეტყველების საკუთრივ *ენობრივ* საშუალებებად, რომლებიც ზეპირი მეტყველების სხვა მახასიათებლებთან ერთად სინკრეტულ მთლიანობას ქმნიან?

8.3. სულ სხვა ვითარებაა *კინესიკური პარალინგვიზმების* შემთხვევაში (ექსტ-მიმიკა, სხეულის მიმოხვრა და მისთ.), როდესაც საქმე გვაქვს ზეპირი მეტყველების თანმხლებ, არასამეტყველო ორგანოებით შესრულებულ საკომუნიკაციო საშუალებებთან; სწორედ ასეთ შემთხვევაში ხდება ზეპირი მეტყველების გზით გადაცემული ინფორმაციის არაენობრივი საშუალებებით „შეფხება“ და „დაზუსტება“.

განსაკუთრებით ნათლად ვლინდება კინესიკური პარალინგვისტური ელემენტები ზეპირი მეტყველების პროცესში ისეთ ენობრივ ნიშნებში, როგორიც არის, მაგალითად, შორისდებულები ან დეიქსისი და დეიქტური ლექსიკური ერთეულები, რომლებიც გულისხმობენ მითითებას სამეტყველო სიტუაციის მონაწილეებზე თუ მეტყველების დროითსა და სივრცით ლოკალიზაციაზე; ასეთ ვითარებაში ინფორმაციული დატვირთვის გასაძლიერებლად სამეტყველო პროცესში ბუნებრივად ერთვება ქესტ-მიმიკა და სხეულის მოძრაობები. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ კინესიკური პარალინგვისტური ელემენტები შეიძლება მივიჩნიოთ გარკვეული სემანტიკის მქონე დამოუკიდებელ ნიშნებადაც, რომლებიც ხასიათდება ერთგვარი *პირობითობით, არამოტივირებულობით, რაც განისაზღვრება მოცემული ენობრივი კოლექტივისათვის დამახასიათებელი კულტურულ-ისტორიული ფაქტორებით.*

**8.4. პარალინგვისტიკა, როგორც ენათმეცნიერების მომიჯნავე სემიოტიკური დისციპლინა, არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული და თანაშემწე მეცნიერებაში ჯერ კიდევ მიმდინარეობს ამ დარგის თეორიულ-მეთოდოლოგიური პრინციპების დამუშავება და ფორმირება.**



### III. სოციოლინგვისტიკა

#### 1. ენა და საზოგადოება

**1.1. სოციოლინგვისტიკა სწავლობს ენის არსებობის ფორმებს სოციალურ გარემოში, მის კავშირებს სოციალურ პროცესებთან, გავლენას, რომელსაც სოციალური ფაქტორები ახდენს ენაზე. ტერმინი *სოციოლინგვისტიკა* პირველად იხმარეს გასული საუკუნის 50-იან წლებში და იგი კარგა ხანს აღიქმებოდა ნეოლოგიზმად. ენობრივი კვლევის ეს მიმართულება თანდათან განვითარდა და სათანადო ტერმინიც დამკვიდრდა თანამედროვე ენათმეცნიერებაში.**

*სოციოლინგვისტიკა* შეისწავლის მიმართებას ენასა და საზოგადოებას შორის, ამასთან, ენაც და საზოგადოებაც განიხილება როგორც გარკვეული სტრუქტურები. სოციოლინგვისტიკის ამოცანას შეადგენს იმის გარკვევა, თუ როგორია ურთიერთმიმართება ენობრივ სისტემასა და სოციალურ სტრუქტურას შორის.

1.2. ბანსახილველი დარგის ძირითად და საყრდენ დებულებად შეიძლება ჩაითვალოს თეზისი ენის თვითგანვითარების მოწვევებითობის შესახებ. იგულისხმება, რომ *ენის ვარიანტულობა* — სამეტყველო ჩვევების მრავალფეროვნება — თავისუფალი და დამოუკიდებელი კი არ არის, არამედ გარკვეულად უკავშირდება სისტემურ სოციალურ განსხვავებებს.

XX საუკუნის ლინგვისტიკისათვის დამახასიათებელია ენის სოციალურ მოვლენად განხილვა. *ანტუან მეიე*, სოციოლინგვისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, თვლიდა, რომ ენა, როგორც მოვლენა, შეიძლება გავიგოთ მხოლოდ მისი სოციალური ბუნების გათვალისწინებით.

ენის განვითარებაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიც არის პოლიტიკური საზღვრების დადგენა, ტერიტორიული და რელიგიური გაერთიანებანი და სხვ.

ივარაუდება, რომ სიტყვების მნიშვნელობის ცვლის ძირითად მიზეზს წარმოადგენს არა მხოლოდ კონტექსტის შინაგანი ცვლა ან გარკვეული ფსიქოლოგიური პროცესები, არამედ უპირატესად სოციალური ფაქტორები — სიტყვით აღნიშნული რეაქციების ცვლა, სიტყვის ხმარების ისტორიული პირობების ცვლა, რაც, როგორც ცნობილია, უკავშირდება ცივილიზაციის განვითარებას, ინტელექტუალურ პროგრესს.

1.3. სოციოლინგვისტიკის მიღწევები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დღეს იგი ენის შესახებ მეცნიერების ერთ-ერთ ორგანულ შემადგენელ ნაწილად განიხილება.

„შიდა“ და „გარე“ ლინგვისტიკას შორის განსხვავების დადგენით (*გარე ლინგვისტიკა შიდა ლინგვისტიკასთან* შედარებით უპირატესად შეისწავლის ენობრივ ნიშნებთან დაკავშირებულ ექსტრალინგვისტურ მოვლენებს) *ფერდინანდ დე სოსიურმა* დასაბამი მისცა ენის შესწავლის ორი ასპექტის — სტრუქტურულსა და სოციალურს — ერთმანეთისაგან მკვეთრ გამიჯვნას; სტრუქტურული ლინგვისტიკა და სოციალური ლინგვისტიკა იკვლევენ ერთსა და იმავე ობიექტს — ენას, მაგრამ თითოეულ მათგანს ამ საგნისადმი მიდგომის, პრობლემის დასახვისა და შესწავლის თავისი სპეციფიკა აქვს. სტრუქტურული ლინგვისტიკა თავისი არსით ძირითადად აღწერიითი მეცნიერებაა, ხოლო სოციოლინგვისტიკა — უპირატესად ნორმატიული.

1.4. სოციოლინგვისტიკა იკვლევს მეტყველებას, მის იმ თავისუფალ ვარიანტებს, რომლებიც უკავშირდება სხვადასხვა სახის განსხვავებებს საზოგადოებაში.

ენის *სოციალური დიალექტები* წარმოიშობა ენობრივი კოლექტივის სოციალური არაერთგვაროვნების პირობებში და სხვადასხვა საზოგადო-



ებრივი ძალების ზემოქმედებით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ე.წ. *სოციალური დიალექტოლოგია*, რომელიც შეისწავლის მიმართებას *ენა — საზოგადოება*, ენის სხვადასხვა კონკრეტულ მახასიათებელს სოციალურ კონტექსტთან დაკავშირებით, ენის სოციალურ ფუნქციებს და ა.შ. ტერმინები: *დიალექტი*, *ენის ვარიანტი* აგრეთვე *ენის სტილი* ვერ განისაზღვრება მხოლოდ შიდაენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით — აუცილებელია სოციალური და კულტურული გარემოს განსხვავებების მხედველობაში მიღება.

მცდარია ის დებულება, თითქოს შეუძლებელია სირთულის მიხედვით ერთმანეთისაგან განვასხვაოთ *ტომობრივი ენები* და ცივილიზებულ სამოქალაქო საზოგადოებათა ენები. ამ ენებს ერთმანეთისაგან რეალურად გამოარჩევს ის, რომ თანამედროვე ქალაქის ენაში იღებს სათავეს *სტანდარტული* ანუ *სალიტერატურო ენები*, რომლებიც განსხვავდება ყოველდღიური ჩვეულებრივი მეტყველებებისაგან. სალიტერატურო და არანორმირებული მეტყველების დაპირისპირების არსებობა არის ურბანული კულტურის მთავარი ენობრივი მახასიათებელი.

ამდენად, ენობრივი თავისებურებები უნდა განიხილებოდეს ენის შინაგანი სტრუქტურისა და გარე სოციოლინგვისტური მახასიათებლების ურთიერთმიმართებათა ფონზე.

**1.5. ბანარჩევენ ენის ვარიანტების** ორ სახეს: 1. *დიალექტური ვარიანტები*, რომლებიც სხვადასხვა სოციალურ ან ტერიტორიულ ჯგუფებს შორის იჩენს თავს, და 2. *პროფუნული* ვარიანტები, რომლებიც განპირობებულია საკომუნიკაციო სიტუაციით, კერძოდ, როდესაც ერთი და იგივე მოლაპარაკე დიალექტური ნორმებიდან გადადის ყოველდღიურ სასაუბრო ნორმებზე. მოცემული ენობრივი კოლექტივის ასეთი წევრი არის ერთდროულად სხვადასხვა სოციალური თუ ფუნქციური სტილის გამომხატველი.

სამეტყველო ურთიერთობის ამგვარი სოციალური დიფერენციაცია არსებითია ენის ფუნქციონირების ზოგადი დახასიათებისათვის.

**1.6. სოციოლინგვისტიკის** იმ მიმართულებებისათვის, რომელსაც უწოდებენ *ეთნოგრაფიულს*, თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით არსებითია ენის ბუნების გააზრება და ლინგვისტიკაში ახალი მიმართულებების — *მეტყველების ეთნოგრაფიის* ჩამოყალიბების მცდელობა.

ენის ფარდობითობის თვალსაზრისით პირველადი მნიშვნელობა ენიჭება კულტურას, რომელიც განაპირობებს ენის გამოყენების ტიპებს. დიალექტის, ენისა თუ სტილის დახასიათებისას აუცილებელია სოციალურ-კულტურული ფაქტორების გათვალისწინება. ეს ფაქტორები ენის გამოყენების ტიპსა და მოდელს განსაზღვრავს, აგრეთვე ახასიათებს

ენის შექმნებით და ემოციურ ღირებულებას სოციალური თვალსაზრისით. ამდენად, უნდა შეიქმნას *მეტყველების ეთნოგრაფია* — ენის ფორმალურ-გრამატიკულ აღწერასა და კულტურის ეთნოგრაფიულ აღწერას შორის ერთგვარი გარდამავალი რგოლი.

ითვლება, რომ გრამატიკა ლინგვისტურად არის დეტერმინირებული, ხოლო მეტყველების ეთნოგრაფია ფარდობითია. ეს უკანასკნელი შეისწავლის სამეტყველო სიტუაციებს, მეტყველების ფუნქციებსა და მოდელებს — იმას, რაც *მეტყველების ეთნოგრაფიულ კონტექსტს* განსაზღვრავს. ამ კონტექსტის შესწავლა გულისხმობს სამეტყველო აქტის ფუნქციის, ენის როლის დახასიათებას.

1.7. მეტყველების შესწავლის დროს აღინიშნება რამდენიმე სახის სირთულე:

„არასწორი“ *მეტყველება*. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეტყველების დროს ვერ ხერხდება ენობრივი კომპეტენციის სრულყოფილი განხორციელება, ამიტომ ითვლება, რომ მეტყველება სავსეა შეცდომებით.

*მეტყველების არაერთგვაროვნება და სამეტყველო ვარიანტები* არსებობს მეტყველების ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური ვარიანტები (შდრ., მაგალითად, *ნოლი — ნული; წამიკითხავს — წამიკითხია; ვლევ — ესვამ* და მისთ.); მათ უნდა მოეძებნოს შესაბამისი ადგილი ენობრივ სტრუქტურაში. ამ მხრივ ორი შესაძლებლობა არსებობს: 1. ვარიანტები განეკუთვნება სხვადასხვა სისტემას ანუ სხვადასხვა დიალექტს, და მათი მონაცვლეობა ნიშნავს „კოდების გადართვას“; 2. ვარიანტები თავისუფლად მონაცვლეობენ და მათ შორის არჩევანი ენობრივ სტრუქტურას არ შეეხება. მეტყველების არაერთგვაროვნება ძირითადი ენობრივი ფაქტორების მოქმედების ბუნებრივი და ნორმალური შედეგია. ითვლება, რომ სტილისტური მახასიათებლებისა და საკომუნიკაციო სისტემის მრავალფეროვანი და პეტეროგენული ხასიათის გარეშე დაირღვეოდა ენობრივი ორგანიზმის ბუნებრივი სიცოცხლე. ამდენად, სოციოლინგვისტიკა იკვლევს სამეტყველო კოლექტივში არსებულ ორივე სახის ვარიანტულობას.

ვარიანტების გამოვლენა საკმაოდ ადვილია, არ მოითხოვს ასობით ინფორმანტის მეტყველების ჩაწერასა და სტატისტიკურ ანალიზს. ვარიანტული მეტყველების ძირითადი მოდელების დასადგენად საკმარისია გულდასმით ამორჩეულ ოციოდე ცდისპირზე დაკვირვება. ამ დროს ცხადად გამოიყოფა სხვადასხვა სოციალური ფენის მეტყველთათვის დამახასიათებელი ენობრივი ნიშნები, რომელთა ხმარება რეგულარულობით ხასიათდება.

1.8. სოციოლინგვისტიკის ამოცანების დაზუსტების მიზნით აღწერენ ამ დარგის პარამეტრებს; ამასთან, ხაზგასმით აღინიშნება მეტყველებაში ვარიანტულობის განპირობებულობა იმ სოციალური ფაქტორებით, რომელთაც საკუთრივ ენობრივი განსხვავებები ეთანადება. ამ ფაქტორებიდან ძირითადია: *მოლაპარაკე* (ინგლ. *sender* „გამგზავნი“), *მსმენელი* (ინგლ. *receiver* „მიმღები“) და *გარემო* (ინგლ. *setting* „ვითარება“).

ხსენებული ფაქტორები წარმოადგენს სოციოლინგვისტურ მახასიათებლებს, ანუ ისეთ ცვლადებს, რომლებიც განსაზღვრავენ სოციალურ კონტექსტს და ყველა ინდივიდისათვის მეტ-ნაკლებად ერთნაირია ნებისმიერ კონტექსტში. მათ ზოგჯერ *სოციოლინგვისტურ ინდიკატორებს* უწოდებენ.

სოციალური კონტექსტები შეიძლება დალაგდეს გარკვეული იერარქიის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ *ინდიკატორები სტრატეფიცირებულია*.

1.9. ქვემოთ განვიხილავთ სოციოლინგვისტიკის რამდენიმე პარამეტრს:

*მოლაპარაკის სოციალური მახასიათებლები* ყველაზე კარგად ჩანს *სოციალურ დიალექტებში*, როდესაც მეტყველებაში განსხვავება შეესაბამება სოციალურ ფენათა განსხვავებას — ასეთია, მაგალითად, კასტური დიალექტები ინდოეთში. ამის მსგავსია განსხვავებები *მაშაკაცის მეტყველებასა და ქალის მეტყველებას* შორის ზოგ ენაში.

*მსმენელის სოციალური მდგომარეობა* მაშინ ხდება აშკარა, როდესაც სტატუსით უფრო მაღალი პირისადმი მიმართვის დროს იხმარება განსხვავებული ლექსიკა, როგორც ეს ხდება, მაგალითად, ზოგიერთ აღმოსავლურ და ოკეანიის ენაში (ქართულშიც გვაქვს მსგავსი ლექსიკური ვარიანტები: *გახლავთ, დაბრძანდით, ბრძანეთ, იხებთ*).

კომუნიკაციის დროს *გარემო* დახასიათდება იმ რელევანტური მახასიათებლებით, რომლებიც ესება არა თვით მოლაპარაკეს ან მსმენელს, არამედ საკუთრივ არაენობრივ სიტუაციას. მაგალითად, ამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთი ტომი — აპაჩები იყენებენ განსაკუთრებულ ენას სამხედრო ვითარებაში. მსგავსი განსხვავებებია არაოფიციალურ და ოფიციალურ სტილებს შორის იმ შემთხვევაში, როდესაც შინ და ოფისში სალაპარაკო სტილები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ).

ე.წ. *ხალხური ლინგვისტიკა* იმის შესწავლას გულისხმობს, თუ რას ფიქრობენ ადამიანები საკუთარი და სხვისი ენობრივი ქცევის შესახებ. ასეთი ხალხური ინტერპრეტაციების დროს ხშირად ხდება „მაღალი მეტყველება ~ დაბალი მეტყველება“ ნიშნის ორი მნიშვნელობის ერთმანეთში აღრევა: პირველია ოფიციალური / არაოფიციალური მეტყველება, ხოლო მეორე — მოლაპარაკის მაღალი / დაბალი სოციალური სტატუ-

სის ამსახველი მეტყველება. მკვლევარს ყოველთვის უნდა ახსოვდეს ხალხური თვალსაზრისის ღირებულება სოციოლინგვისტური მახასიათებლების შესამუშავებლად, მაგრამ მან სიფხიზლე უნდა გამოიჩინოს, რათა მსგავს შემთხვევებში არ მოხდეს სხვადასხვა ცნებების აღრევა.

*მეტყველების მრავალფეროვნების მასშტაბი* ეს პარამეტრი ახასიათებს ერთი და იმავე საზოგადოების ფენებს შორის, ანდა სხვადასხვა საზოგადოებებსა თუ ერებს შორის არსებულ სამეტყველო განსხვავებებს.

აქ წარმოდგენილია სამი საკლასიფიკაციო ტიპი:

1. *მულტიდიალექტური ტიპი* ამ შემთხვევაში შეისწავლება ენის სოციალურად შეპირობებული ვარიანტები ერთი ენისა და ერთი ერის ფარგლებში. ასეთია, მაგალითად, მაღალი და საშუალო ფენების მეტყველებათა შორის განსხვავებები (მაგალითად, დიდ ბრიტანეთში).

2. *მულტიენობრივი ტიპი* ეს ის შემთხვევებია, როდესაც ერთი საზოგადოების ან ერთი სახელმწიფოს შიგნით სხვადასხვა ენა გამოყენება. ეს ხდება ისეთ მრავალეროვან ქვეყნებში, როგორცაა, მაგალითად, ბელგია, განა, კანადა და სხვ.

3. *მულტისოციალური ტიპი* იმ შემთხვევებს მოიცავს, როდესაც სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენა საუბრობს სხვადასხვა ენაზე. ასეთ შემთხვევებში მკვლევრის ამოცანაა ეროვნული და სოციალური განსხვავებების გამიჯვნა.

*კვლევის შედეგების გამოყენება.* ეს პარამეტრი გულისხმობს სოციოლინგვისტური აღწერის შედეგად მიღებული მასალის უფრო ფართო და ღრმა ანალიზს.

აქაც შეგვიძლია წარმოვადგინოთ სამი კატეგორია:

1. *სოციოლოგის ინტერესები* სოციოლინგვისტური მონაცემები ამ თვალსაზრისით იძლევა მთლიანი სოციალური სტრუქტურის ან ცალკეული სოციალური მოვლენების ინტერპრეტაციის საშუალებას.

2. *ლინგვისტ-ისტორიკოსის ინტერესები* ისტორიული თვალსაზრისით ღირებულია პასუხის გაცემა შემდეგ კითხვებზე: სხვადასხვანაირად ხორციელდება თუ არა ენობრივი ცვლილებები სხვადასხვა სოციალურ პირობებში? ხდება თუ არა ეს ცვლილებები ერთნაირი წესითა და სიჩქარით ერთი ენის სხვადასხვა დიალექტების ფარგლებში? როგორია სოციალური დიალექტების ისტორიული მიმართება ერთმანეთთან? ამ კითხვებს პასუხი გაეცემა არსებული ისტორიული დოკუმენტების ანალიზით, ან ენობრივი ცვლილებების თანამედროვე პროცესების შესწავლის საფუძველზე.

3. *ენობრივი დაგეგმარება.* ენობრივი დაგეგმარებით დაინტერესებულნი არიან ლინგვისტები, განათლების მუშაკები, კანონშემოქმედნი და ადმინისტრატორები, რომლებიც ახორციელებენ ოფიციალურ ენობრივ პოლიტიკას (ამ პროცესს უფრო დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ).

ამასთან დაკავშირებით შეიძლება წამოიჭრას შემდეგი კითხვები: ენის რომელი ვარიანტები ჩაითვლება *ოფიციალურ* ან *ეროვნულ* ენად? რომელი ენაა გამოსადეგი ოფიციალური დოკუმენტების შედგენისათვის, მეცნიერული და მხატვრული ლიტერატურისათვის, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სასამართლოში და ა.შ. როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება იმ ენობრივი ვარიანტების მიმართ, რომლებიც არ არის სანქცირებული? რამდენად შეესაბამება ენის პოლიტიკური სტრატეგიკაცია ენობრივ დაყოფას? როგორ უნდა მოხდეს წერილობითი სისტემის ნორმირება და სხვ.

**1.10.** შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ XIX საუკუნემდე მთელი ლინგვისტიკა *ნორმატიული* იყო; იგი მიზნად ისახავდა წერილობითი და ზეპირი მეტყველების ურღვევი კანონების დადგენას.

ეს ტენდენცია XIX საუკუნეშიც გაგრძელდა — *იაკობ გრიმი* და *აგუსტ შლაიხერი* აგრეთვე *ნეოგრამატიკოსთა სკოლა* სტანდარტული ენის პრობლემებს იკვლევდნენ. ფონეტიკის ფუძემდებელი, ინგლისელი *ჰენრი სუიტი* აქტიურად მოღვაწიობდა „მართლწერის რეფორმატორთა ასოციაციის“ მუშაობაში. ამ პრობლემებზე მუშაობდნენ აგრეთვე *ანტუან მეიე* და *ოტო იესპერსენი*.

სტანდარტიზაცია საჭირო იყო წიგნის ბეჭდვის ტექნოლოგიაშიც. „ზემოდან“ კარნახისა და პირადი ინიციატივის გარდა დიდ მნიშვნელობას იძენდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივი გაერთიანებები — საეკლესიო მრევლი, ლიტერატურული სკოლები და ა.შ.

**1.11.** სოციოლინგვისტური კვლევის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა *სალიტერატურო ენას* როგორც *სტანდარტიზებულ ენობრივ სისტემას*, რომელიც იქმნება საზოგადოების გარკვეული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სწორედ სალიტერატურო ენას, რომელსაც *ოფიციალური ენის* სტატუსი აქვს, ზოგიერთ ქვეყანაში კონსტიტუციით ენიჭება *სახელმწიფო ენის* სტატუსი.

თავდაპირველად სალიტერატურო ენა გაიგივებული იყო წერილობით მწიგნობრულ ენასთან, რომელსაც განასხვავებდნენ ხალხური ენისაგან. მოგვიანებით იგი განიხილებოდა რთულ სტილისტურ (წერილობით ან ზეპირ) სტრუქტურად, მრავალფუნქციურ ოდენობად — მონოფუნქციური ხალხური ენისაგან განსხვავებით, რომლის დანიშნულებად მხოლოდ ურთიერთგაგებინებას მიიჩნევდნენ.

აბსტრაქტულ თემებზე საუბარი, აზრის გამოთქმის სისტემურობა და სიზუსტე ახასიათებს საზოგადოების განათლებულ ფენებს — სალიტერატურო ენის მფლობელთ. სალიტერატურო ენის კონსტრუქციები რითულია და გამჭვირვალეა, მისი ენობრივი საშუალებები ზუსტი, ერთმნიშვნელო-

ვანი და სპეციალიზებულია. ინტელექტუალური ლექსიკონი სწორედ მის ხარჯზე ივსება.

სალიტერატურო ენის საზოგადოებრივი როლის განვითარება ორი ტენდენციით ხასიათდება. ესენია: 1. გავრცელების ტენდენცია და *კოინედ* გადაქცევა; 2. მონოპოლიური როლის დამკვიდრება და საერთო ეროვნული მახასიათებლის ფუნქციის შესრულება.

*კოინე* (ბერძნ. *koiné diálektos* „საერთო ენა“) ეწოდება ენის ფუნქციურ ტიპს, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა დიალექტისა თუ ენის (უფრო ხშირად — ახლომონათესავე ენების) მფლობელთა შორის ყოველდღიური ურთიერთობის ძირითად საშუალებად რეგულარული სოციალური კონტაქტების პირობებში. განარჩევენ *ქალაქურ* და *არეალურ კოინეს*.

*კოინე* შეიძლება განვითარდეს გარკვეული ენის ერთი ან რამდენიმე დიალექტის ბაზაზე, ან წარმოადგენდეს მოცემულ არეალში გავრცელებულ ერთ-ერთ ენას.

*კოინე*, განსაკუთრებით ქალაქური, სალიტერატურო ენის ფორმირების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

1.12. *მნობრივი ნორმის* ცნება ჩამოყალიბდა *პრატის ლინგვისტურ წრეში ნორმა* გულისხმობს იმ გრამატიკულ საშუალებათა ერთობლიობას, რომლებიც საყოველთაოდ იხმარება და ენობრივი სტაბილიზაციის წინაპირობას ქმნის. სალიტერატურო ენა ცნობიერად, მიზანდასახულად მუშავდება თეორეტიკოსი ლინგვისტების მიერ იმისათვის, რომ მან შექმნოს უკეთ შეასრულოს თავისი ფუნქცია — იყოს საყოველთაო კომუნიკაციის საშუალება.

ენობრივი ნორმის დადგენა (*ნორმალიზაცია*) ჩვეულებრივ ხორციელდება ერთი ან რამდენიმე პიროვნების მიერ. *აღორძინების* პერიოდამდე ამ მისიას ასრულებდნენ გრამატიკოსები და *რიტორები* მაგალითად, ლათინური გრამატიკა არსებითად მიღებული ნორმების ნუსხას („კოდს“) წარმოადგენდა, ანუ ერთმნიშვნელოვნად ასახავდა ორთოგრაფიულ, გრამატიკულ და ლექსიკურ ნორმებს.

თანამედროვე ენების პირველი გრამატიკებისა და ლექსიკონების შექმნა დაემთხვა შესაბამისი ქვეყნების გაძლიერებას XV-XVI საუკუნეებში. ამავე დროს იქმნებოდა პირველი აკადემიები, რომელთა უპირველესი მიზანი იყო ენის სიწმინდის დაცვა. ეს პროცესები ხელს უწყობდა ახალი ცენტრალიზებული სახელმწიფოების შექმნას.

აკადემიების მუშაობის ერთ-ერთ ხელშესახებ შედეგს ლექსიკონები წარმოადგენდა. მაგალითად, ინგლისში ამ პროცესს სათავე დაუდო *სამუელ ჯონსონმა*, რომლის ლექსიკონი (1755 წ.) იქცა ინგლისური ენის პირველ მნიშვნელოვან სახელმძღვანელოდ. გავისენოთ აგრეთვე *სულ-*

ხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ — უმნიშვნელოვანესი ლექსიკო-გრაფიული ნაშრომი საქართველოში.

ამგვარი მოღვაწეობის შედეგად შემუშავებულ, ნორმასთან მიახლოებულ ენას „უბრალო ხალხს“ ასწავლიდნენ — მოსახლეობა იწყებდა საუბარს „ახალ“ ენაზე; სხვა შემთხვევაში ისინი საკუთარ სამშობლოში „მეორესხარისხოვან“ მოქალაქეებად ითვლებოდნენ.

1.13. ნორმატიული გრამატიკის შექმნა შეიძლება მივიჩნიოთ გარკვეული სახის მართვად ან მანიპულაციად ენის მიმართ, რასაც სოციოლინგვისტიკაში ენობრივი დაგეგმარება ეწოდება.

ენობრივი დაგეგმარება შეიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. ფართო მასშტაბით მასალის შეგროვება;
2. ალტერნატიული გეგმების განხილვა;
3. გადაწყვეტილების მიღება და გარკვეული მეთოდებით

ამ გადაწყვეტილების დანერგვა.

ენობრივი დაგეგმარება გულისხმობს ნორმატიული ორთოგრაფიის, გრამატიკისა და ლექსიკონის შექმნას. არაერთგვაროვანი ენობრივი კოლექტივის წევრები ნორმატიულ რეკომენდაციებს ზეპირი თუ წერიითი მეტყველების დროს იყენებენ.

ენობრივი დაგეგმარება შეიძლება წარმოვიდგინოთ აგრეთვე როგორც ენობრივ ცვლილებათა შეფასება — ეს არის ენობრივი ინოვაციების (სიახლეების) მიმართ გონივრული მიდგომის ცდა, რაც ფაქტობრივად ენობრივ საშუალებათა შეფასებასა და არჩევაში გამოიხატება.

გარდა ამისა, ენობრივი დაგეგმარება გულისხმობს სხვადასხვა ენობრივი ინოვაციის შეფასებას გარკვეული სტანდარტების ფონზე. ამ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენის წერილობით ფორმას. წერილობითი ტექსტები ხანგრძლივი დროის მანძილზე ინახება, ამიტომ ისინი წარმოადგენენ არა მხოლოდ ჩაწერილ ბუნებრივ მეტყველებას, არამედ ისეთ განსაკუთრებულ კოდსაც, რომელიც გაველენას ახდენს ენობრივი კოლექტივის მეტყველებაზე.

ენობრივი დაგეგმარების განხორციელება — მწერლის ან ლინგვისტის მიერ გრამატიკული და ლექსიკური ნორმების შეშოტანა — შეიძლება მოხერხდეს მხოლოდ ენის მფლობელთა მასობრივი თანხმობითა და მხარდაჭერით. ამ დროს კერძო პირებთან შედარებით უპირატესობით სარგებლობს ხელისუფლება, რადგან იგი აკონტროლებს სასკოლო განათლებას, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობაში ენობრივი თუ ორთოგრაფიული ჩვევების ჩამოყალიბებას.

1.14. ენობრივ დაგეგმარებას მრავალენოვან საზოგადოებებში მჭიდროდ უკავშირდება ენობრივი პოლიტიკა, რომელსაც ხელისუფლება

ატარებს ენობრივი სიტუაციის დასარეგულირებლად და იმის დასადგენად, თუ რომელი ენა უნდა ატარებდეს *ეროვნული, ოფიციალური* ან *სახელმწიფო ენის* სტატუსს. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამგვარი საკითხები განსხვავებულად წყდება სხვადასხვა დემოგრაფიული, სარწმუნოებრივი, სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური ფაქტორის გათვალისწინებით.

1.15. როდესაც საუბარია ლინგვისტური აღწერის ობიექტზე, სოციო-ლინგვისტიკაში იყენებენ ტერმინს *იდოლექტი* (ბერძნ. *idios* „განსაკუთრებული“, „საკუთარი“, „პროფნული“). თავდაპირველად იგი ნიშნავდა ერთი პირის მეტყველებას ერთსა და იმავე თემაზე ერთსა და იმავე თანამოსაუბრესთან ურთიერთობისას დროის მოკლე მონაკვეთში. შემდგომ ამ ტერმინმა ფართო გამოყენება პოვა. თანამედროვე ეპოქით, *იდოლექტი* ლინგვისტური აღწერის ჭეშმარიტი ობიექტია. იგი უპირისპირდება *ფერდინანდ დე სოსიურის* ცნებას „ენა“ (*langue*), რომელიც ნიშნავს მთელი სოციალური ჯგუფის ყველა წევრისთვის საერთო ენობრივ სისტემას. ლინგვისტს შეუძლია გარკვეული ტექნიკის გამოყენებით მისთვის საინტერესო იდიოლექტის ზუსტი და ამომწურავი დაფიქსირება მიღებული ლინგვისტური ტერმინებით. ასეთ ზუსტ ჩანაწერს *გრაფოლექტს* უწოდებენ.

## 2. დიალექტოლოგია და ლინგვისტური გეოგრაფია

2.1. სოციალურ დიალექტებთან ერთად გამოიყოფა ე.წ. *რეგიონული დიალექტები* რაც საკუთრივ დიალექტოლოგიის საგანს წარმოადგენს.

*დიალექტოლოგიის* როგორც რეგიონული დიალექტების შემსწავლელი დისციპლინის, განვითარებას ბიძგი მისცა XIX საუკუნის ბოლოს გაგრცელებულმა თვალსაზრისმა, რომლის თანახმად, არასალიტერატურო რეგიონული დიალექტები სალიტერატურო ენასთან შედარებით კონსერვატიულია და მათში სესხება უფრო შეზღუდულია, რის გამოც ამ დიალექტებში უკეთ არის შემონახული არქაული ფორმები.

რეგიონული დიალექტების შესწავლა შესაძლებელია ორი სხვადასხვა თვალსაზრისით: 1. სალიტერატურო ენის ან ძეგობელი დიალექტების მონაცემებისგან დამოუკიდებლად — მეტ-ნაკლებად სრული ფონოლოგიური და გრამატიკული აღწერის მისაღებად; 2. გარკვეული არეალის (რეგიონის) ადგილობრივი დიალექტები შეიძლება ერთმანეთს შეყუდართო რაღაც ნიშნის მიხედვით მსგავსებისა თუ განსხვავების დასადგენად. ამ სახის კვლევას ხშირად *ლინგვისტურ (დიალექტურ) გეოგრაფიას* უწოდებენ.



ფიას უწოდებენ. მის შედეგებს, ჩვეულებრივ, *დიალექტური ატლასის* სახე ეძლევა; ამგვარ ატლასში ნაჩვენებია უნდა იყოს გარკვეული სიტყვების, ფონოლოგიური ან გრამატიკული ნიშნების განაწილება გეოგრაფიული არეალების მიხედვით (შდრ. „ევროპულ ენათა ატლასი“ — *Atlas Linguarum Europae*“ და სხვ.). *დიალექტურმა გეოგრაფიამ* აჩვენა, რომ შეუძლებელია მკაცრი საზღვრების გავლება მომიჯნავე დიალექტებს შორის.

### 3. ორენოვნება და დიგლოსია

3.1. ბარკვეული სოციალური ერთიანობის (პირველ რიგში სახელმწიფოს) ფარგლებში შესაძლებელია ცალკეული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ რამდენიმე ენის გამოყენება, რაც კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციით არის განპირობებული. ამ მოვლენას *მრავალენოვნებას* ანუ *მულტილინგვიზმს* (ლათ. *multus* „მრავალი“ და *lingua* „ენა“) უწოდებენ. მრავალენოვნებას, როგორც წესი, *ორენოვნების* ანუ *ბილინგვიზმის* (ლათ. *bi-* „ორმაგი, ორგვარი“ და *lingua* „ენა“) ფორმა აქვს. შედარებით იშვიათია სამი და მეტი ენის მასობრივი ფლობის შემთხვევები.

განარჩევნ „ინდივიდუალურ“ და „ნაციონალურ“ ბილინგვიზმს. სწორედ ნაციონალური ბილინგვიზმია სოციოლინგვისტიკის შესწავლის საგანი. იგი განსაკუთრებით დამახასიათებელია მრავალეროვანი სახელმწიფოებისათვის.

*მულტილინგვიზმის* პირობებში ენები და ენათა ვარიანტები ქმნიან ფუნქციურ იერარქიას. ზოგი მათგანი გამოიყენება კომუნიკაციისათვის შედარებით მცირე ჯგუფის შიგნით, სხვები — ჯგუფებს შორის, ადმინისტრაციული ან ეროვნული ერთეულის ფარგლებში, მრავალეროვან რეგიონში, მთელ სახელმწიფოში ან სახელმწიფოებს შორისაც კი. პირველ ორ შემთხვევაში ძირითადად არაფორმალური ზეპირი ურთიერთობის საშუალებები გვაქვს, დანარჩენ შემთხვევებში საკომუნიკაციო საშუალებათა გამოყენების სფერო უფრო ფართოა (განათლება, საინფორმაციო საშუალებები, ლიტერატურა, კულტურა, მეცნიერება).

3.2. ორენოვნების ერთ-ერთი განსაკუთრებული სახეობაა ე.წ. *დიგლოსია*. დიგლოსია არის სოციალური სტატუსით განსხვავებული ორი ენის ან ერთი და იმავე ენის სხვადასხვა ვარიანტების გამოყენება ამა თუ იმ სამეტყველო სიტუაციაში. დიგლოსიის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ არაბულ სამყაროში არაბული სალიტერატურო ენის გამოყენება ოფიციალურ სფეროებში (განათლების სისტემა, მასშე-

დია, ადმინისტრაციული მმართველობა და სხვ.), ხოლო „ხალხური არაბული ენა-დიალექტებისა“ — ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო სიტუაციებში.

დიგლოსია საკმაოდ გავრცელებული, მაგრამ ნაკლებად შესწავლილი მოვლენაა. იგი შეიძლება სხვადასხვა სამეტყველო სიტუაციით იყოს გამოწვეული. მაგალითად, „ბერძნული დიგლოსიის“ ძირები მრავალ საუკუნეს ითვლის, თუმცა სრული სახით იგი ჩამოყალიბდა მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში, ბერძნული ლიტერატურის აღორძინების ხანაში; „შვეიცარიული გერმანულის“ შემთხვევაში დიგლოსია განვითარდა გერმანული ენის სტანდარტული ფორმებისაგან ამ ენის ხანგრძლივი რელიგიური და პოლიტიკური იზოლაციის შედეგად.

დიგლოსიის მოვლენამ გააღვივა ინტერესი სტანდარტული (სალიტერატურო) ენების დახასიათებისა და შესწავლისადმი, თვით დიგლოსიის ფენომენის ანალიზისადმი, იმ ვითარებისადმი, როდესაც საზოგადოებაში თანაარსებობს სოციალური სტატუსით განსხვავებული ორი ენა ან ერთი და იმავე ენის ორი სხვადასხვა სახეობა.

**3.3. დიგლოსიას განსაზღვრავს ენის „მაღალ“ და „დაბალ“ (რეგიონულ) ვარიანტებს შორის განსხვავება. დიგლოსიის სიტუაციაში უაღრესად მნიშვნელოვანია სწორი ვარიანტის ხმარება. მაგალითად, არაბულ სამყაროში საუნივერსიტეტო ლექციები სტანდარტულ ენაზე ტარდება. მაგრამ სავარჯიშოებისათვის ახსნა-განმარტებების შედგენისას „დაბალ“ ვარიანტს მიმართავენ.**

დიგლოსიის დროს სალიტერატურო ენა პრივილეგირებულად მიიჩნევა. ზოგჯერ მხოლოდ ის ითვლება რეალურ ენად, ხოლო არასტანდარტული ენა იგნორირებულია. მაგალითად, ვინმეზე შეიძლება თქვან, არაბული არ იცისო იმ შემთხვევაში, როცა ეს პირი არ ფლობს სალიტერატურო ენას. განათლებული არაბები ხშირად უარყოფენ არასტანდარტული ენის ცოდნას, თუმცა ყოველდღიურ ურთიერთობაში სწორედ მას იყენებენ.

ენის სტანდარტული, „მაღალი“ სახეობა მოცემული ენობრივი კოლექტივის დიდი პატივისცემით სარგებლობს. ძველი სამწერლობო ტრადიციების არსებობის შემთხვევაში თანამედროვე საზოგადოებაში პრესტიჟული და მისაბაძია, მაგალითად, ჟურნალისტის ან მწერლის მიერ ცალკეული კლასიკური კონსტრუქციებისა და სიტყვების გამოყენება; ამასთან, ისინი შეიძლება გაუგებარი დარჩეს რიგითი მკითხველისათვის. მიუხედავად ამისა, ასეთი ტექსტი შეფასდება როგორც „კარგი ენით“ დაწერილი.

3.4. ერთ-ერთი განსხვავება ენის „დაბალ“ და „მაღალ“ ვარიანტებს შორის თავს იჩენს გრამატიკაში — პირველის გრამატიკული სტრუქტურა გაცილებით უფრო მარტივია: მორფემებს ნაკლები ალომორფები აქვს და ისინი ფონოლოგიურად არის შეპირობებული; ნაკლებია იმ ფლექსიურ კატეგორიათა რიცხვი, რომლებიც მარკირებულია მორფოლოგიური მარკენებლებითა და სინტაქსური შეთანხმებით; პარადოგმები უფრო სიმეტრიულია. მაგალითად, კლასიკურ არაბულში არსებით სახელს აქვს აფიქსებით გამოსატული სამი ბრუნვა, ხოლო სასაუბრო დიალექტებში არც ერთი ბრუნვა არ დასტურდება. სტანდარტულ გერმანულს არსებითი სახელის ოთხი ბრუნვა და ზმნის თხრობით კილოში ორი მარტივი დრო აქვს, ხოლო „შვეიცარიულ გერმანულს“ — სამი ბრუნვა და მხოლოდ ერთი მარტივი დრო თხრობით კილოში.

ძირითადი ლექსიკონი ენის „მაღალ“ და „დაბალ“ სახეობებს ერთნაირი აქვთ, თუმცა ნაწილობრივ განსხვავებულია ლექსიკურ ერთეულთა ფორმა და გამოყენება. სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგია ენის „მაღალ“ ვარიანტში შედის, ხოლო ყოფითი საგნების სახელები მასში ნაკლებად არის წარმოდგენილი; ასეთი ლექსიკა უფრო „დაბალი“ ვარიანტისთვის არის დამახასიათებელი.

ფონოლოგიურ დონეზე ენის „მაღალ“ და „დაბალ“ სახეობებს შორის განსხვავება არ არის თანმიმდევრული. დიგლოსიის დროს ფონოლოგიური სისტემები შეიძლება თითქმის ერთნაირი იყოს (მაგალითად, ბერძნულში), ან სრულიად განსხვავებულად ერთმანეთისაგან (მაგალითად, „შვეიცარიულ გერმანულში“). ერთი ფონოლოგიური სისტემის შემთხვევაში ენის „მაღალი“ ვარიანტის ფონოლოგიური სისტემა შეიძლება „დაბალი“ ვარიანტის სისტემის ქვესისტემას წარმოადგენდეს.

ამგვარად, *დიგლოსია* არის ისეთი შედარებით სტაბილური ენობრივი სიტუაცია, როდესაც მოცემული ენის პირველადი, ძირითადი დიალექტების გარდა არსებობს ამ ენის მეტ-ნაკლებად განსხვავებული სამწერლობო ვარიანტი, რომელიც შემონახულია ადრინდელი პერიოდიდან და ასახავს მოლაპარაკეთა ერთი ჯგუფის მეტყველებას; იგი ისწავლება საგანმანათლებლო დაწესებულებებში და იხმარება როგორც სალიტერატურო ენა წერითი და ზეპირი მეტყველების დროს.

## 4. ენა და კულტურა

4.1. მშობლიური ენა მჭიდროდ და მრავალმხრივ არის დაკავშირებული საზოგადოებაში ადამიანის ცხოვრების მრავალ მხარესთან. ეს დებულება სამართლიანია ყველა ხალხისა და ყველა ენის მიმართ.

ადამიანის ცხოვრების მრავალი ასპექტი იმით განისაზღვრება, რომ ეს ადამიანი საზოგადოების წევრია. ამგვარი ასპექტების ერთობლიობა *კულტურას* წარმოადგენს. ის ფაქტი, რომ ადამიანი ჭამს ან სვამს, თავისთავად კულტურის სფეროს არ განეკუთვნება; ეს ბიოლოგიურ აუცილებლობას წარმოადგენს. მაგრამ ის, რომ ადამიანი გარკვეული სახის საკვებს იღებს და რომ საკვების მიღება განსაზღვრულ დროს და განსაზღვრულ ადგილებში ხდება, — ეს უკვე კულტურის სფეროს განეკუთვნება. აღნიშნავენ, რომ *კულტურა* არის ის, რასაც ადამიანი ითვისებს როგორც საზოგადოების წევრი. ასე დანახული კულტურა მოიცავს ადამიანთა ცხოვრებისა და ქცევის ფართო სფეროს, რომლის აშკარად გამოხატულ და უმნიშვნელოვანეს ნაწილს *ენა* შეადგენს.

ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის საზოგადოებაში არსებულ ურთიერთმიმართებებს ენასა და კულტურას შორის, ცნობილია *ანთროპოლოგური ლინგვისტიკის* სახელწოდებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს ურთიერთმიმართებები აშკარაა, მაინც არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად იმის მტკიცება, რომ კულტურული განსხვავებები უშუალოდ აისახება შესაბამის ენობრივ სტრუქტურებში, და პირუკუ. ეს რთული და მრავალწახანაგოვანი პრობლემა არაერთგზის გამხდარა მსჯელობის საგანი სხვადასხვა მეცნიერულ თეორიაში. კომპლექსური დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ენობრივი, ეთნოკულტურული და ეთნოფსიქოლოგიური ფაქტორების ურთიერთქმედებას ენის ფუნქციონირებისა და ევოლუციის პროცესში, ცნობილია *ეთნოლინგვისტიკის* სახელწოდებით.

4.2. მიუხედავად იმისა, რომ ენის ათვისებისა და გამოყენების უნარი თანდაყოლილია და მემკვიდრეობით გადაეცემა თაობიდან თაობას, ყოველი ადამიანი ენას ითვისებს როგორც საზოგადოების წევრი თავისი სოციალური ჯგუფის კულტურის სხვა ასპექტებთან ერთად; საზოგადოება და კულტურა ერთმანეთს გულსხმობენ. ენა შეიძლება განვითარდეს მხოლოდ ამა თუ იმ სტრუქტურის მქონე სოციალურ ჯგუფებში; ამავე დროს, ადამიანთა საზოგადოების ნებისმიერი ფორმა, რომელიც ოდნავ მაინც ჰგავს დღემდე ცნობილ სოციალურ ფორმებს, შეიძლება შენარჩუნებული იქნეს მხოლოდ საერთო ენის მქონე ადამიანებს შორის.

4.3. ცხოველთა ქცევაში ერთი სახეობის შიგნით არეალური განსხვავებები თითქმის არ დასტურდება, მაშინ როდესაც ადამიანთა კულტურები, ისევე როგორც ენები, მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას განსხვავებულია. ამასთან, ისინი გარკვეულ ცვლილებებსა და გარდაქმნებს განიცდიან, ზოგჯერ ძალიან სწრაფადაც, ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად (როგორც ეს მოხდა, მაგალითად, XX საუკუნის ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში).

ადამიანთა საზოგადოებაში ქცევის უდიდესი ნაწილი — ის, რაც კულტურის სფეროს განეკუთვნება, — გადაიცემა საზოგადოდ არა იმიტაციის გზით, არამედ ენის საშუალებით. მართალია, ენის შესწავლის პროცესში (განსაკუთრებით — ადრეულ ასაკში) გარკვეულ როლს იმიტაციაც ასრულებს, მაგრამ ეს როლი უმნიშვნელოა; ენის მეშვეობით კი შესაძლებელი ხდება ცოდნის დაგროვება და გადაცემა თაობიდან თაობაში. ამით განისაზღვრება ის დომინანტური როლი, რომელსაც ენა, როგორც კულტურის ფენომენი, ასრულებს საკაცობრიო ცივილიზაციის განვითარებაში.

## 5. ლინგვისტური დეტერმინიზმი და რელატივიზმი

5.1. ადამიანის როგორც მოაზროვნე არსების აქტივობა გარკვეულ *კოლოგიურ სივრცეში* — ფიზიკურ-ბიოლოგიურ და კულტურულ-სოციალურ გარემოში მიმდინარეობს. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ადამიანის გარემოსთან კავშირი ენის გარეშე მყარდება, რომ ენა შემთხვევითი საშუალებაა ურთიერთობისათვის. როგორც *ედუარდ სეპირი* აღნიშნავდა, ადამიანი არსებობს არა მხოლოდ ობიექტურ სამყაროში და არა მხოლოდ სოციალური აქტივობა განსაზღვრავს მის ცხოვრებას, არამედ ადამიანზე მნიშვნელოვანწილად მოქმედებს ის კონკრეტული ენა, რომელიც მოცემულ საზოგადოებაში აზრის გამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალებაა.

რეალური სამყაროს სურათი უმეტესად გაუცნობიერებლად აიგება ადამიანთა მოცემული ჯგუფის ენობრივი ნორმების საფუძველზე. ჩვენ გვესმის, ვხედავთ და აღვიქვამთ სინამდვილეს ამა თუ იმ კონკრეტული სახით იმის გამო, რომ ჩვენი საზოგადოების ენობრივი ნორმები განგვაწყობს გარკვეული ინტერპრეტაციის ასარჩევად.

აქედან გამომდინარე, საყარაუდოა, სხვადასხვა ენა სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენდეს ადამიანის აზროვნებასა და გამოცდილებაზე. ამას უკავშირდება *ლინგვისტური რელატივიზმისა* და *ლინგვისტური დეტერმინიზმის* ცნებები. *ლინგვისტური დეტერმინიზმი* ნიშნავს, რომ ენას შეუძლია განაპირობოს აზროვნება, ხოლო *ლინგვისტური რელატივიზმი* (ფარდობითობა) ნიშნავს, რომ ეს განაპირობებულობა უკავშირდება იმ კონკრეტულ ენას, რომელზეც პიროვნება მეტყველებს.

5.2. მნაში რელატიურისა და უნივერსალურის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება *ვილჰელმ ფონ*

ჰუმბოლდტის იდეებს, რომლებმაც საგრძნობი გავლენა მოახდინეს XX საუკუნის ენათმეცნიერების განვითარებაზე.

გ. ფონ ჰუმბოლდტის მიხედვით, მთელი კაცობრიობის დამახასიათებელი სინამდვილის ფაქტების ცნობიერების ფაქტებად გარდაქმნის უნარი რეალიზებულია არა „ზოგადადამიანურ ენაში“, არამედ კონკრეტულ ენათა მრავალფეროვან გამოვლინებებში. ხალხები (ენობრივი კოლექტივები, ერები) ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სამყაროს ენობრივი ხედვით, ენების საშუალებით რეალობის წვდომის გზებით; ენებს შორის განსხვავებას განაპირობებს *მსოფლხედვის* (გერმ. *Weltbild*) განსხვავება და არა მხოლოდ ენის ნიშნებსა თუ ბგერებს შორის არსებული განსხვავებები.

5.3. „მსოფლხედვას“ უკავშირდება ენის *შინაფორმის* ჰუმბოლდტისეული გაგება, რომელიც „საგანთხედვასთან“ ერთად „გრამატიკულ ხედვასაც“ გულისხმობს. ენის *შინაფორმა* განსაზღვრავს ენობრივი სტრუქტურის მთელ სპეციფიკას. იგი არის არა უსახური ოდენობა, არამედ ფორმა, სწორედ ენისა და არა აზრის ფორმა. მაშასადამე, ენის *შინაფორმა* ჰუმბოლდტთან არ არის გაიგივებული ლოგიკურ სტრუქტურასთან („აზროვნების შინაფორმასთან“).

რაც შეეხება ენის გარე ფორმას იგი შინაფორმის გამოვლინებას, რეალიზაციას წარმოადგენს — ბგერითი, გრამატიკული და სხვა საშუალებებით. ეს არის ერთგვარი „საშენი მასალა“ კონკრეტული ენებისათვის.

ენის *შინაფორმის* ცნება სხვადასხვაგვარად იქნა ინტერპრეტირებული ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის შემდგომდროინდელ მეცნიერებაში. მისი, როგორც ენის გარე ფორმის განმსაზღვრელი ფსიქოლოგიური პროცესის, გაგება საფუძვლად დაედო ერთ-ერთ ფსიქოლოგიურ მიმდინარეობას (*პ.შტაინთალი, ვ.ვენდტი*).

5.4. უცხო ენის შესწავლის დროს ხშირად გაცეხებას იწვევს ის განსხვავებები, რომლებიც ახალ ენას აქვს მშობლიურ ენასთან შედარებით. ამის მიზეზია განსხვავებები სხვადასხვა ენობრივი კოლექტივის გამოცდილებაში, რაც მრავალგვარი ენობრივი საშუალებებით შეიძლება იყოს გამოხატული, კერძოდ:

1. ლექსიკონის ცალკეული სიტყვებით;
2. გრამატიკული ფუნქციის მქონე მეტყველებების ნაწილებით;
3. მრავალფეროვანი გრამატიკული საშუალებებით.

*ბენჯამინ ლი უორფის* მიხედვით, პირველი და მეორე ტიპის საშუალებათა კავშირი „სამყაროს ხედვასთან“ (გერმ. *Weltanschauung*) ყველაზე მნიშვნელოვანია. ამ საშუალებებით ენა გარკვეულწილად განსაზღვრავს და განაპირობებს ადამიანის არასამეტყველო ქცევას (ე.წ. *სუბირ-უორფის ჰიპოთეზა*). ამ ჰიპოთეზის „ძლიერი“, უკიდურესი ვარიან-

ტის მიხედვით, ენა განსაზღვრავს აზროვნებისა და ქცევის ხასიათს. უფრო გაგრძელებულია ნაკლებკატეგორიული დებულება, რომელიც მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ენის ზოგი ასპექტი განაწყოებს ადამიანს აზროვნებისა და ქცევის გარკვეული ტიპისადმი.

**5.5. შილჰელმ ფონ შუმბოლდტი** ენას ადამიანის *გონის* (გერმ. *Geist*) უმთავრეს მოღვაწეობად მიიჩნევს. მისი აზრით, ენის ადეკვატური შესწავლისათვის აუცილებელია ადამიანის ცნობიერებასთან და აზროვნებასთან, კულტურასთან და სულიერ ცხოვრებასთან მისი მჭიდრო კავშირის გათვალისწინება. შუმბოლდტისათვის ენა ხალხის ერთიანი ენერგიაა, ოგი ეროვნული ფორმის მქონე კოლექტიური მოვლენაა. ამდენად, *ენობრივი კოლექტივი* შუმბოლდტის მოძღვრებაში ერთდროულად სოციოლოგიურ და ლინგვისტურ ცნებად გვევლინება.

ენისა და კულტურის ურთიერთმიმართებას იკვლევს *ეთნოლინგვისტიკა* — დარგი, რომელიც კულტურის, ხალხის ფსიქოლოგიის, მითოლოგიის კვლევისას იყენებს ლინგვისტურ მეთოდებს. ეთნოლინგვისტიკის ინტერესთა სფეროს განეკუთვნება აგრეთვე კავშირები, რომლებიც ენის ფუნქციონირებისა და ევოლუციის პროცესში მყარდება ენობრივ, ეთნოკულტურულ და ეთნოფსიქოლოგიურ ფაქტორებს შორის.



## IV. კოგნიტიური ლინგვისტიკა

**1.1.** XX საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე საფუძველი ჩაეყარა ახალ მიმდინარეობას — *კოგნიტიურ ლინგვისტიკას*. მისი წარმომადგენლები უპირატესობას სემანტიკის კვლევას ანიჭებენ. მიუხედავად მიდგომათა მრავალფეროვნებისა, რამდენიმე არსებით საკითხზე მათ მსგავსი შეხედულებები აქვთ. ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ კოგნიტიური ლინგვისტიკის ძირითად პრინციპებს.

**1.2.** ადამიანი სამყაროს შეიცნობს უმთავრესად თავისი ფიზიკური გამოცდილების საფუძველზე. ეს გამოცდილება ჩვენს ხუთ გრძნობას ემყარება. ბუნებრივი ენის სემანტიკაზე სინამდვილის პროეცირების შედეგად წარმოიქმნება „პროეცირებული სამყარო“, რომლის რეალურისაგან განსხვავება განპირობებულია ადამიანის ფიზიკური თავისებურებებითა და კონკრეტულ კულტურათა სპეციფიკით.

კოგნიტიურ ლინგვისტიკაში ბუნებრივი ენა წარმოგვიდგება არა მკაცრად მოწესრიგებული სტრუქტურის, არამედ რთული ბიოლოგიური სისტემის სახით; ამიტომ მისი როგორც ფორმალისებული სისტემის აღწერისას სირთულეებს ვაწყდებით.

**1.3.** მნობრივი ცნება (კონცეპტი) არ არის ერთგვაროვნად ორგანიზებული; სემანტიკურ კატეგორიას *პროტოტიპული* ბუნება აქვს, მასში *ცენტრი* და *პერიფერია* განირჩევა. ქართველისათვის, მაგალითად, *ვაშლი* პროტოტიპული ხილია, ვთქვათ, *ფშატისაგან* განსხვავებით. *პროტოტიპის* ცნების ფორმალისაცია რთულდება, რამდენადაც იგი ძირითადად ინტუიციურ ცნებათა რიცხვს განეკუთვნება. კოგნიტიური მოღვაწეობა სტრუქტურული სტაბილურობისა და ადაპტაციის მოქნილი უნარის შეხამებას გულისხმობს და ამ მოთხოვნებს მნიშვნელობის სწორედ პროტოტიპული ორგანიზაცია აკმაყოფილებს: ცენტრი შედარებით სტაბილური და ძლიერია, პერიფერია — უფრო მოძრავი და ამორფული.

**1.4.** მართალია, ადამიანისათვის რაღაც ინფორმაცია სხვადასხვა დროს არ არის ერთნაირად მნიშვნელოვანი — ის, რაც არსებითი, ახალი იყო, ადვილად იქცევა მეორეხარისხოვნად, მაგრამ ამგვარი გადასვლა ყოველთვის როდია შესაძლებელი. მაგალითად, *მანქანა სახლის გვერდით დგას* და *სახლი მანქანის გვერდით დგას* გამონათქვამებიდან მეორე ნაკლებად მისაღებია და დამატებით კონტექსტურ პირობებს მოითხოვს. ასეთი ასიმეტრია ენის ლექსიკური სისტემით არის განპირობებული.

ყოველი მოლაპარაკე განარჩევს მოძრავ (ან პოტენციურად მოძრავ) ობიექტებს — *ფიგურებს* — და უძრავ *ფონს*, რომელზეც ფიგურები მოძრაობენ. ეს დაპირისპირება ადვილად გადადის *სივრცლიდან დროზე*. მაგალითად, ბუნებრივი გამონათქვამია *დიდგორის ბრძოლა მოხდა დაეითის მეფობის დროს*, ხოლო გამონათქვამი *დაეითი მეფობდა მაშინ, როდესაც მოხდა დიდგორის ბრძოლა* ნაკლებად მოსალოდნელია. ფიგურა მობილურია, უფრო განსაზღვრულია და შემოფარგლული, ხოლო ფონი — პირიქით, უფრო მსხვილი, სტაბილური ობიექტია; იგი შეიძლება უსაზღვროც იყოს.

**1.5.** ძონცებტების აღქმისას ადამიანი ოპერირებას ახდენს არა ცალკეული სემანტიკური ნიშნებითა და მათი სიმრავლეებით, არამედ მთლიანი ხატებით, რომელთა კონტურები მას საშუალებას აძლევს, შეადაროს კონცებტები და შეანაცვლოს ისინი მეტაფორულ კონტექსტებში. კოგნიტიურ ლინგვისტიკაში მნიშვნელობები გაიფიქვებულია კონცებტებთან და აღიწერება *ხატოვანი სქემებით*, *სურათებით*. ხატოვანი სქემები აწესრიგებს ჩვენს გამოცდილებას. ისინი უკავშირდება აღქმის სხვადასხვა



ფორმას — ვიზუალურს, ტაქტილურს, ყნოსვითს და სხვ.; ზოგიერთ მათგანს ძალოვან-დინამიკური ხასიათი აქვს.

კოგნიტიურ სფეროებს შორის ძირითადია შემდეგი: სამგანზომილებიან სივრცესთან დაკავშირებული გამოცდილება, დრო, ფერთა გამა, ჩვენი სმენისთვის მისაწვდომი ბგერითი სინშირეების გამა.

ყოველ საგანს შეიძლება სხვადასხვა კუთხით შევხედოთ, რაც სიტყვის სემანტიკური წარმოდგენის ანუ *პრედიკაციის* მოქმედების სფეროს განსაზღვრავს. მაგალითად, *ხელო, მტევანი, თითი, ფალანგა* სიტყვების რიგში ყოველი წინა სიტყვა მომდევნოს *პრედიკაციის სფეროა*. ეს იერარქია მნიშვნელოვანია, მაგალითად, როდესაც მთელსა და ნაწილს შორის მიმართება „აქვს“ ზმნის საშუალებით გამოიხატება: *თითს სამი ფალანგა აქვს* ბუნებრივი გამონათქვამია, დამატება მასში ქვემდებარის პრედიკაციის მოქმედების უშუალო სფეროს აღნიშნავს, ხოლო *სხეულს 56 ფალანგა აქვს* უცნაური გამონათქვამია.

1.6. ბუნებრივ ენაზე სამყაროს „პროექციების“ დროს ადამიანი ერთმანეთს ადარებს კონკრეტულ ობიექტებს და ახდენს მათ იდენტიფიცირებას. ამავე ტიპის ოპერაციები საფუძვლად უდევს მეტაფორულ გადასვლებს, რომლებსაც ენის კოგნიტიურ მოდელში ცენტრალური ადგილი უჭირავს. მაგალითად, *წერილი მოვიდა* გამონათქვამი მიღებულია კონკრეტული მოძრაობის სიტუაციითა ზოგად მახასიათებლებთან („მოსვლა“, „გაქცევა“, „შესვლა“ და მისთ.) „აბსტრაქტული მოძრაობის“ მახასიათებელთა შედარებისა და სხვებზე უფრო გამოსაძევი, ნეიტრალური „მოსვლა“ კონცეპტის შერჩევის გზით. ასეთია, ზოგადად, მეტაფორის მექანიზმი.

ყოველ მეტაფორაში არის *დონორის ზონა* და *რეცეპიენტის ზონა*. პირველი უფრო კონკრეტული და ანთროპოცენტრულია (დაკავშირებულია ადამიანთან — მისი სხეულის ნაწილებთან, მოძრაობასთან, სივრცეში ლოკალიზაციასთან და სხვ.). ზემოთ მოყვანილ მაგალითში ადამიანის ფეხით გადაადგილების აღმნიშვნელ ზმნას ვიყენებთ უსულო ობიექტის (წერილის) მიმართ, რომელიც საფოსტო ყუთში ვნახეთ.

მნიშვნელობების გადასვლა ერთი სიტუაციიდან მეორეზე გარკვეული წესების, ტრანსფორმაციების მიხედვით ხორციელდება. მაგალითად, „გზის“ აღმნიშვნელი სიტყვა შეიძლება გზის ბოლო პუნქტის მიმართ ვიხმაროთ (*ეზოში ჩადის — ეზოში თამაშობს*). ეს გადასვლა შემდეგნაირად აიხსნება: მოძრაე ობიექტს ჩვეულებრივ მანამდე ვადევნებთ თვალს, სანამ იგი გაჩერდება, ხოლო შემდეგ ყურადღებას გზის ბოლო პუნქტზე ვაფიქსირებთ; გზაზე მოძრაობისას დანიშნულებს პუნქტი ხშირად ჩვენი მხედველობის არეშია მოქცეული.

კიდევ ერთი მაგალითი: თვლადი ობიექტების რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვები ხშირად არათვლადის, მასის მიმართ გამოიყენება; მაგალითად: *ბევრი მაგიდა მოიტანეს — ბევრი ფქვილი მოიტანეს*. ეს გადასვლა შეიძლება ასე აიხსნას: პირთა ან საგანთა ჯგუფი გროვად, მასად აღიქმება, როდესაც მისგან საკმარისად შორს აღმოცინდებით.

ამგვარად, ასეთი ტრანსფორმაციები ჩვენს ყოველდღიურ გამოცდილებაზე დაფუძნებული: ისინი უნივერსალურ კოგნიტიურ პროცესებს წარმოადგენენ და, ცხადია, გავლენას ახდენენ ენაზე.

მეტაფორა შეიძლება გავიაზროთ როგორც ამოსავალი არიდან, წყაროდან, არე-მიზანში გადასვლა. მაგალითად, სიყვარული შეიძლება შევადაროთ მოგზაურობას, ანუ ვიფიქროთ მასზე როგორც მოგზაურობაზე. „სიყვარული მოგზაურობაა“ მეტაფორა სქემატურად შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

<i>წყარო</i>		<i>მიზანი</i>
მოგზაურობა	→	სიყვარული
მგზავრები	→	შეყვარებულები
გადაადგილების საშუალება	→	ურთიერთობა
დანიშნულების პუნქტი	→	ცხოვრების მიზნები
დაბრკოლებები	→	სირთულეები
გზაჯვარედინები	→	გადამწყვეტი მომენტები

(ისარი იკითხება როგორც „გადადის... -ზე“).

კოგნიტიურ-ლინგვისტურ გამოკვლევებში ერთმანეთისაგან განასხვავებენ *კონცეპტუალურ მეტაფორას* და *მეტაფორულ გამონათქვამს*. ეს უკანასკნელი გულისხმობს კონცეპტუალური მეტაფორის ასახვას ენაში, მაგალითად: *ჩვენი ურთიერთობები ჩიხში მოექცა*. მეტაფორები არაენობრივი საშუალებებითაც (ეესტიკულაციით, კულტურული ზნე-ჩვეულებებით) შეიძლება იქნეს გამოხატული.


ის სფეროები, რომლებიც მეტაფორებს უკავშირდება, სიმეტრიული არ არის. მაგალითად, სხვადასხვა კულტურაში გაფრცვლებულია მეტაფორა „სიყვარული მოგზაურობაა“, მაგრამ „მოგზაურობა სიყვარულია“ არ გვხვდება.

**1.7. პროტოტიპული მნიშვნელობა ენობრივი ერთეულის ყველა გამოყენებას ვერ ფარავს, მაგრამ პოლისემიური ერთეულის ყველა მნიშვნელობა და ხმარების ყველა შემთხვევა სემანტიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ამ კავშირების ახსნა შესაძლებელია. არსებობს მნიშვნელობათა გადასვლის ორი ტიპი (აღსანიშნავია, რომ ლექსიკასა და გრამატიკაში ერთნაირი სემანტიკური მექანიზმები მოქმედებს) — *სპეციფიკაცია* და *გაფართოება*. გაფართოება, ფაქტობრივად, მეტაფორაა. აბსტრაქტული ცნებები კოგნიტიურ ლინგვისტიკაში მოიაზრება როგორც**

ფიზიკური ცნებების გაფართოება-გარდაქმნა. ერთი და იმავე კონცეპტის სხვადასხვაგვარი გაფართოებისა და გარდაქმნის შედეგად მიიღება მოცემული ლექსემისა თუ მორფემის სემანტიკური ჯაჭვი ან ქსელი რომელშიც ცენტრალური მნიშვნელობები ასახავს ლექსემის (მორფემის) მაქსიმალურად პროტოტიპულ გამოყენებას. პერიფერიული მნიშვნელობები ცენტრალურის გარდაქმნის შედეგია; ისინი ნაკლებსტაბილურია, უფრო შესლუდულია თანახმარების თვალსაზრისით და უფრო აბსტრაქტულია.


ქვემოთ მოცემულია ინგლისური ring („რგოლი“, „წრე“, „ბეჭედი“, „რინგი“) ერთეულის ნაწილობრივი ლექსიკური ქსელი. მთლიანი ისრები მიუთითებენ „სქემატურ“ მნიშვნელობებზე (სპეციფიკაციებზე), წყვეტილი ისრები — გაფართოებებზე, მუქ ჩარჩოში მოთავსებულია ამ ენობრივი ერთეულის მაქსიმალურად პროტოტიპული ხმარება.

უფრო მაღალი დონის სტრუქტურები წარმოიქმნება უფრო დაბალი დონის სტრუქტურებზე კოგნიტიური ოპერაციების ჩატარების შედეგად.



1.8. კოგნიტიური გრამატიკა იძლევა ხატოვანი სქემების ფრაზებად და წინადადებებად შეერთების წესებს, რომლებსაც ასევე სქემატური გამოხატულება აქვს.

მართკუთხედში მოთავსებულ თითოეულ სურათში, რომელიც გარკვეულ კონცეპტს შეესატყვისება, მუქი ხაზებით გამოყოფილია ერთ-ერთი ფრაგმენტი — ენობრივი ერთეულის პროფილა სურათის დანარჩენი ნაწილი ბაზას წარმოადგენს. მაგალითად, „ჰიპოტენუზა“ კონცეპტს ასეთი სურათი შეესაბამება:



მართკუთხედი სამკუთხედი ბაზაა, ხოლო ის ქვესტრუქტურა, რომელსაც მასში გამოკვეთილი მდგომარეობა უჭირავს („ჰიპოტენუზა“), პროფილია, მოცემული ენობრივი გამონათქვამი სწორედ მას „აღნიშნავს“. გამონათქვამის შინაარსი არის მიმართება ბაზასა და პროფილს შორის.


1.9. ქოგნიტიურ ლინგვისტიკაში გაბატონებული აზრის მიხედვით, გრამატიკა მოლაპარაკეს აძლევს სიმბოლური რესურსების ინვენტარს. რთულ სიმბოლოთა ასაგებად გამოიყენება სქემატური ყალიბები. ახალი ენობრივი გამონათქვამები წარმოიშობა არა გრამატიკის, არამედ ადამიანის, მოლაპარაკის მიერ — მისი მიზანდასახული მოღვაწეობის პროცესში. მოლაპარაკეს შეუძლია ენობრივ ერთეულთა გამოყენება მზა, წინასწარ აწყობილი მთლიანობების სახით. ქოგნიტიურ გრამატიკაში პოსტულირებულია მხოლოდ სამი სახის ერთეულები — სემანტიკური, ფონოლოგიური და სიმბოლური. სიმბოლური ერთეული სემანტიკური და ფონოლოგიური ერთეულებისაგან შედგება (შდრ. აღსანიშნი და აღმნიშვნელი).

გრამატიკული კონსტრუქციებისათვის ტიპიურია ენობრივ ერთეულთა შეერთება შესატყვისობის თქერაციის მეშვეობით — კონსტრუქციის ერთ-ერთი შემადგენელი ახდენს სქემატური ქვესტრუქტურის დეტალიზაციას მეორე შემადგენლის შოგნით.

განვიხილოთ, მაგალითად, ინგლისური above the table „მაგიდის ზემოთ“, „მაგიდის თავზე“ შესიტყვეების სემანტიკური ანალიზი. above „ზემოთ“ სიტყვის სქემაზე ნაჩვენებია მიმართება ორ მონაწილეს — ტრაექ-

ტორსა (ინგლ. *trajector, tr*) და ორიენტირს (ინგლ. *landmark, lm*) შორის: ტრაექტორი ორიენტირზე უფრო მაღლაა მოთავსებული.

შესატყვისობის ოპერაცია იმაში მდგომარეობს, რომ [the] table „მაგვიდა“ ახდენს *above* სიტყვით ნაგულისხმევი ორიენტირის დეტალიზაციას:



კოგნიტიურ გრამატიკაში აკრძალულია ისეთი აღწერითი ხერხების გამოყენება, რომლებსაც ფონეტიკურ და სემანტიკურ რეალობაში საფუძველი არ მოეძებნება (ასეთია ნაირგვარი დიაკრიტიკული ნიშნები და სხვა მეტასიმბოლოები, რომლებიც მოკლებულია სემანტიკურ და ფონოლოგიურ შინაარსს).

ამგვარად, კოგნიტიური ლინგვისტიკა აღიარებს შეშუპებასა და ენაში სქემატიზაციის მნიშვნელოვან როლს. ხატოვანების პრინციპი მასში მიჩნეულია ენობრივი ფორმისა და მნიშვნელობის ურთიერთმიმართების მამოძრავებელ ძალად. ამ მიმდინარეობის წარმომადგენელთა აზრით, ლექსიკური პოლისემიის სინქრონიული მოდელები და მნიშვნელობის დიაქრონიული ცვლის მიმართულებები შეიძლება აიხსნას კონცეპტუალური მეტაფორიზაციის თეორიით. სემანტიკის სრული ანალიზი გულისხმობს შეშუპების სრულ ანალიზს, რაც ურთულესი ამოცანაა, მაგრამ ამოცანის სირთულე ამგვარ მიდგომაზე უარის თქმის მიზეზი არ უნდა გახდეს.



## V. ფსიქოლინგვისტიკა. ბიოლინგვისტიკა

### 1. ფსიქოლინგვისტიკის საგანი

1.1. *ფსიქოლინგვისტიკა* მეცნიერების ერთ-ერთი ახალი დარგია და თავისი ბუნებით ინტერდისციპლინარული. იგი ფსიქოლოგიისა და ლინგვისტიკის ერთგვარ ინტეგრაციას წარმოადგენს.

ფსიქოლოგებისა და ლინგვისტების ინტერესთა მეტ-ნაკლები სიახლოვე XIX საუკუნის ბოლოს გამოიკვეთა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო ენობრივი წარმოქმნის მექანიზმის ფსიქოლოგიური ახსნის მცდელობა (*გ.გუნდტი*), რომლის მიხედვითაც, ენაში ამოსავალ ერთეულად განიხილებოდა წინადადება (და არა სიტყვა) და მეტყველების წარმოქმნა ინტერპრეტირებული იყო როგორც აზროვნებითი პროცესის ტრანსფორმაცია მიმდევრობაში ორგანიზებულ სამეტყველო სეგმენტებად.

ამ თვალსაზრისის მიხედვით, წინადადების წარმოქმნის პროცესში კოგნიტიურ დონეზე წინადადება ერთი მთლიანი ოდენობაა. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აგრეთვე ენობრივი გამონათქვამების გაგებასა და კითხვასთან დაკავშირებული კოგნიტიური პროცესების შესწავლას.

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, როცა ფსიქოლოგიაში პრიორიტეტული გახდა ბიჰევიორიზმი, ენისადმი ინტერესი რამდენადმე შემცირდა. იგი ვერბალური ბიჰევიორიზმით შემოიფარგლა, რომელიც ძირითადად სამეტყველო ქცევებს სწავლობდა.

ფსიქოლოგიისა და ლინგვისტიკის შემდგომი დაახლოება უკვე 50-იანი წლებიდან იწყება. ფსიქოლოგების, ლინგვისტებისა და ანთროპოლოგების საერთო კონფერენციაზე (1953წ.) იქმნება ტერმინი *ფსიქოლინგვისტიკა* და, ფაქტობრივად, იგი დამოუკიდებელ მეცნიერებად მკვიდრდება.

1.2. *ფსიქოლინგვისტიკის* ძირითადი ამოცანაა ენის შესწავლა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, რაც იმ მენტალური პროცესების კვლევას გულისხმობს, რომლებიც თან ახლავს ენის გამოყენებას. ეს პროცესები ძირითადად სამი სახისაა:

1. მეტყველებისა თუ წერილობითი ენის აღქმის პროცესი;
2. ენობრივი გამონათქვამების წარმოქმნის პროცესი (დაწყებული იდეითა და წინადადებით დამთავრებული);
3. ენის ათვისების პროცესი.

1.3. ქველა სახის ფსიქოლინგვისტური კვლევა ფაქტობრივად მიმართულია იქითკენ, რომ პასუხი გაეცეს შემდეგ ორ ძირითად კითხვას:

1. ენის რა ცოდნაა საკმარისი იმისათვის, რომ ენა გამოვიყენოთ?

2. რა კოგნიტიური პროცესებია ჩართული ენის გამოყენებაში?

*კოგნიტიურ პროცესებში* იგულისხმება აღქმა, მეხსიერება და აზროვნება. ადამიანისათვის დამახასიათებელი ისეთი აქტივობაც კი, როგორიც არის საუბარი თუ მოსმენა, რომელიც თითქოს ჩვეული და მარტივია, აღნიშნული კოგნიტიური პროცესების თანხლებით მიმდინარეობს.

დღეისათვის ფსიქოლინგვისტიკის ინტერესებს არე საკმაოდ ფართოა და მის განვითარებაში გარკვეული წვლილი შეაქვს კომპიუტერულ მეცნიერებას, ფილოსოფიას, ნევროლოგიასა და სხვ. მოსალოდნელია, რომ *ფსიქოლინგვისტიკამ სოციოლინგვისტიკასთან* ერთად გარკვეული გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ ენათმეცნიერებაზე, რამდენადაც იგი ფაქტობრივად, ექსპერიმენტულ ლინგვისტიკას წარმოადგენს.

1.4. ფსიქოლინგვისტიკას, როგორც ექსპერიმენტულ დისციპლინას, პრაქტიკული ასპექტიც აქვს. უპირველეს ყოვლისა, იგი ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სამეცნიერო დარგების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დროს აფაზიოლოგიაში, სურდობედაგოგიკასა და ფსიქიატრიაში. ამასთანავე, ფსიქოლინგვისტიკა საფუძვლად უდევს უცხო ენების სწავლების მეთოდოლოგიას; მას მშობლიური ენის გრამატიკის სწავლების დროსაც იყენებენ.

ფსიქოლინგვისტური კვლევა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის მეცნიერების შესწავლაში, სასამართლო ფსიქოლოგიასა და კრიმინალისტიკაში. იგი ფართოდ გამოიყენება აგრეთვე სასწავლო და პროპაგანდისტული ტექსტების ანალიზის დროს.

## 2. ბავშვის ენობრივი განვითარება

2.1. შვილებს პრობლემას წარმოადგენს იმ მექანიზმის გარკვევა, რომელიც საფუძვლად უდევს ბავშვის ამეცნიერებებს. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის გონებრივი მონაცემები თითქოს რამდენადმე შეზღუდულია, იგი სულ რაღაც 3-4 წელიწადში მთლიანად ითვისებს მშობლიური ენის ურთულეს სტრუქტურას. მეტიც, მშობლიური ენის გამოყენების ყოველ კონკრეტულ შემთხვევას იგი უპრობლემოდ უკავშირებს გარკვეულ გრამატიკულ კანონზომიერებებს და მალე ენობრივი კოლექტივის სრულფასოვანი წევრი ხდება: მას უკვე შეუძლია წარმოქმნას და გაიგოს მშობლიური ენის ახალ წინადადებათა უსასრულო რაოდენობა.

როგორც კი ბავშვი პირველად დააკავშირებს ორ სიტყვას, შესაძლებელი ხდება მისი ენის აქტიური გრამატიკის შესწავლა. ბავშვის ენა იმთავითვე სტრუქტურული ხასიათისაა, მისწრაფვის რეგულარულობისაკენ და მასში ძალე იერარქიული მიმართებებიც ჩნდება. ენობრივი სტრუქტურები, რომელთაც ბავშვი თანდათან ეუფლება, ცხადია, ყოველთვის შეესაბამება მოზრდილის ენობრივ სტრუქტურებს.

ორსიტყვიანი წინადადების წარმოქმნა ჩვეულებრივ ხდება 18 თვის ასაკში. ამის თაობაზე სხვადასხვა ენის მონაცემები, ისევე როგორც სხვადასხვა მკვლევართა თვალსაზრისები გასაოცარი სიზუსტით ემთხვევა ერთმანეთს.

ორსიტყვიან წინადადებათა რაოდენობა თვეების მიხედვით დაახლოებით ასე იზრდება: 14, 24, 54, 89, 350, 1400, 2500. მაშასადამე, დროის მოკლე პერიოდებში იქმნება სიტყვათა ახალი კომბინაციების ძალზე დიდი რაოდენობა.

2.2. ასეთი ორსიტყვიანი წინადადებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სიტყვათა დაკავშირების დროს ბავშვი მათ ორ კლასად ყოფს: ერთია ე.წ. *საყრდენი სიტყვები* (ინგლ. *pivot words*), ანუ ოპერატორები, ხოლო მეორე — იმ მრავალრიცხოვანი სიტყვების ღია სიმრავლე, რომლებიც თავდაპირველად ერთსიტყვიან წინადადებებში გამოიყენება.

ქართული ბავშვისათვის, მაგალითად, საყრდენი სიტყვა შეიძლება იყოს *მინდა*, რომელსაც ორსიტყვიან წინადადებაში იგი უკავშირებს სხვა სიტყვებს, ვთქვათ: *დედა მინდა*, *რძე მინდა* და სხვ. საყრდენ სიტყვათა რაოდენობა იზრდება ნელა, თვეში მხოლოდ რამდენიმე ახალი საყრდენი სიტყვა ჩნდება.

მეორე, ღია კლასში შედის ყველა სიტყვა საყრდენი სიტყვების გარდა. როგორც ითქვა, ამ კლასის სიტყვები შეიძლება ერთსიტყვიან წინადადებებშიც შეგვხვდეს, მაშინ როდესაც ზოგი საყრდენი სიტყვა გვხვდება მხოლოდ ორსიტყვიან წინადადებებში. ცხადია, რომ ეს ორკლასიანი სისტემა არ შეესაბამება უფროსების სიტყვათა კლასების სისტემას — ბავშვი თვითონ ქმნის მარტივ მიმართებებს იმ მწირი ლექსიკის ფარგლებში, რაც მან უკვე აითვისა.

2.3. საყრდენ სიტყვათა მიხედვით ბავშვის მეტყველების ანალიზი არ ასახავს ამ მეტყველების შინაარსს, იგი მხოლოდ მის ფორმას აღწერს. საყრდენსიტყვიანი კონსტრუქციები მრავალფეროვან სემანტიკურ ფუნქციებსაც ასრულებენ ბავშვის მეტყველებაში. ეს ის ძირითადი ფუნქციებია, რომლებიც ზოგადად ადამიანის მეტყველებას ახასიათებს. ისინი თავს იჩენენ სხვადასხვა კულტურული ჯგუფების ბავშვთა მეტყველებაში. ბავშვის მიერ ორსიტყვიანი წინადადების შედგენის დროს ენა უკვე



ავლენს თავის უნივერსალურ და უნიკალურ მახასიათებლებს. ძირითადი სემანტიკური ფუნქციები, რომლებიც უნივერსალურად არის წარმოდგენილი ბავშვის მეტყველებაში, შემდეგია: 1. ადგილი, სახელი (*იჭ მამა*); 2. თხოვნა, ბრძანება (*მოძე ფაფა*); 3. უარყოფა (*ნანა არა*); 4. ვითარების ან მოვლენის აღწერა (*სანდროს ძინავს*); 5. კუთვნილების გამოხატვა (*სანდროს მანქანა*); 6. განსაზღვრება, ხარისხი (*მანქანა დიდა*); 7. შეკითხვა (*დედა სადაა?*). „ქვემდებარე-შემასმენელი“ ტიპის წინადადება თავიდანვე ჩნდება ბავშვის მეტყველებაში. იმთავითვე არსებობს აგრეთვე უარყოფის ფორმა, რომლისთვისაც, სპეციალისტთა აზრით, განსაკუთრებით ძნელია მოიძებნოს ანალოგი ცხოველთა საკომუნიკაციო სისტემებში.

ზოგი ბავშვის მეტყველებაში საყრდენსიტყვიანი კონსტრუქციების ხმარების პერიოდი შეიძლება ძალიან მოკლე იყოს და არც იყოს მკვეთრად გამოხატული. ამ კონსტრუქციების გვერდით თანდათან სხვა სახის ორსიტყვიანი გამონათქვამები ჩნდება.

**2.4. როგორც ირკვევა, ბავშვის გრამატიკულ სისტემას თავიდანვე ახასიათებს *ზედაპირული* და *სიღრმისეული დონეები* განვიხილოთ ინგლისურენოვანი ბავშვის რამდენიმე გამონათქვამი:**

1. cup glass „ფინჯანი ჭიქა“,
2. party hat „ზეიმი ქუდი“,
3. Kathryn sock „კეტრინი წინდა“,
4. sweater chair „სვიტრი სკამი“,
5. Kathryn ball „კეტრინი ბურთი“.

მოცემული გამონათქვამები ზედაპირულ დონეზე ერთნაირია, კერძოდ, ისინი „არსებითი სახელი + არსებითი სახელი“ ტიპისაა. საყრდენსიტყვიანი წინადადებებისგან განსხვავებით, მათში ყველა სიტყვა ღია კლასს მიეკუთვნება და მათ შეიძლება დაუკავშირდეს საყრდენი სიტყვები ჩვენებითი ან დაზუსტების ფუნქციით (*ის ფინჯანი ის სკამი და ა.შ.*).

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ეს წინადადებები გადმოგვცემენ ხუთ სხვადასხვა სიღრმისეულ სემანტიკურ მიმართებას:

1. დაკავშირება (მაგალითად, *ფინჯანი და ჭიქა*);
2. განსაზღვრებითი მიმართება (*საზეიმო ქუდი*);
3. კუთვნილება (*კეტრინის წინდა*);
4. ადგილმდებარეობა (*სვიტრი სკამზეა*);
5. სუბიექტ-ობიექტის მიმართება (*კეტრინი ბურთს თამაშობს*).

მოზრდილთა სრულ წინადადებებში სიღრმისეულ სემანტიკურ მიმართებებს დავადგენთ განვითარებული სინტაქსური ფორმების საფუძველზე. ბავშვის მეტყველებაში სიღრმისეულ სემანტიკას ვერ განვსაზ-

ღვრავთ ექსტრალინგვისტური კონტექსტის გათვალისწინების გარეშე. ბავშვისათვის ცნობილია ზეშოთ მოტანილი ხუთი სემანტიკური მიმართება, მაგრამ რამდენადაც მისი წინადადებები მხოლოდ ორსიტყვიანია, იგი ვერ ახერხებს ენობრივი ფორმით ამ მიმართებების სრულყოფილად გამოხატვას.

ამგვარად, გრამატიკული სტრუქტურის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია უფრო გრძელი წინადადებების შექმნა, რომლებშიც შემაღენლებს შორის გარკვეული გრამატიკული მიმართებები იქნება წარმოდგენილი.

2.5. როგორც ითქვა, ბავშვის ორსიტყვიანი წინადადებები იმთავითვე იერარქიული ხასიათისაა; მაშასადამე, მათი აღწერა შესაძლებელია უშუალო შემაღენლური ანალიზის ტერმინებით.

როდესაც ბავშვი იწყებს გამონათქვამების გართულებას, იგი გარკვეულ ჯგუფებად წარმოიდგენს წინადადების ნაწილებს და სახელურ ან ზმნურ ჯგუფს თანდათანობით განაგრცობს (*ადგა ... კატა ადგა ... კატა ადგა მაგდა*). მეტყველებაში გაჩენილი პაუზებიც იმის მაჩვენებელია, რომ ბავშვი უკვე ახდენს წინადადებების ანალიზს: პაუზები ჩნდება სწორედ იქ, სადაც მოზრდილის მეტყველებაში სახელურ და ზმნურ შემაღენელს შორის საზღვარი გაივლის, სხვა ადგილებში პაუზები არ გვხვდება.

ამგვარად, ბავშვის წინადადებები არის არა სიტყვათა უბრალო მიმდევრობები, არამედ იერარქიულ დამოკიდებულებაში მყოფი ერთეულების გაერთიანება.

ის, რომ ენის ათვისების თანდაყოლილი უნარის წყალობით ბავშვი ახდენს მოზრდილთა მეტყველების გარკვეულ ანალიზს, მკვეთრად ვლინდება მის მეტყველებაში არსებული აფიქსების გადამეტებული რეგულარიზაციით. ამით ბავშვის მეტყველება ძლიერ განსხვავდება მოზრდილის მეტყველებისაგან. მაგალითად, ბავშვი „არაწესიერი“ ზმნების რეგულარულ ფორმებს აწარმოებს, ვთქვათ, ინგლისურში (*comed — came „მოვიდას“ ნაცვლად, broke — broke „გატეხას“ ნაცვლად და სხვ.*)

საინტერესოა, რომ თავდაპირველად ხდება ისეთი „არაწესიერი“ ზმნების სწორი, არარეგულარული ფორმების ათვისება, რომლებიც ყველაზე ხშირად იხმარება და რომლებსაც ბავშვი დაუშლელ სალექსიკონო ერთეულებად აღიქვამს. მოგვიანებით, როდესაც ბავშვი ეცნობა „წესიერი“ ზმნების შესაბამის ფორმებს (მაგალითად, ინგლ. *helped* „დაეხმარა“, *asked* „ჰკითხა“), იგი მაშინვე შეცვლის „არაწესიერი“ ზმნების ნორმატიულ ფორმებს (*came, broke ...*) გადამეტებული რეგულარიზაციით მიღებული არანორმატიული ფორმებით. მაშინაც კი, როდესაც ამ ზმნების ნორმატიული ფორმები თვეების განმავლობაში იხმარება ბავშვის

მიერ, ისინი მოგვიანებით მაინც იცვლება არასწორი „რეგულარული“ ფორმებით, რომელთა ხმარებაც შეიძლება რამდენიმე წელიწადს გაგრძელდეს. ეს მოვლენა ფართოდ არის გავრცელებული ბავშვთა მეტყველებაში და დადასტურებულია მრავალ ენაში.

გასაოცარია ბავშვის უნარი მოახდინოს განზოგადება, აღმოაჩინოს და დაადგინოს კანონზომიერებები მოზრდილის მეტყველებაში. მოდელის დადგენისთანავე ბავშვი მას მრავალ შემთხვევაში გამოიყენებს: მშობლიურ ენაში იგი „სიმწყობრის“ აღმოჩენას ცდილობს.

ბავშვს აქვს მოწესრიგებულობის, ნორმატიულობის გრძნობა. მას შეუძლია განსაზღვროს მოცემული გამონათქვამის სისწორე გარკვეული ენობრივი სტრუქტურებისა და სტანდარტების მიხედვით. ლინგვისტები ამ უნარს *გრამატიკის გრძნობას* უწოდებენ. ეს გრძნობა დროთა განმავლობაში ვითარდება და ბავშვი თანდათან უფრო მეტად რწმუნდება თავის ლინგვისტურ კომპეტენციაში. ნიშანდობლივია, რომ სპონტანური საუბრის დროს ბავშვი ჩერდება და შეცდომების გასწორებას იწყებს. იგი სხვის მეტყველებაშიც პოულობს შეცდომებს და სხვა ბავშვებს ან მშობლებსაც კი უსწორებს ნათქვამს.

2.6. მის ათვისების პროცესში ბავშვის წინაშე ურთულესი ამოცანა დგას. ეს ეხება განსაკუთრებით სიღრმისეული ენობრივი სტრუქტურებისა და გამონათქვამთა მნიშვნელობის აღმოჩენას. მრავალმა ფსიქოლოგიურმა ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ, როგორც წესი, მშობლები არ უსწორებენ ბავშვებს გრამატიკულ შეცდომებს, მათი ყურადღება გადმოცემულ შინაარსზეა მიპყრობილი. მაშასადამე, ენის ათვისება არ დაიყვანება სტიმულებისა და რეაქციების კავშირების ათვისებაზე, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი წარმოგვიდგენს. ბავშვი ითვისებს ენის შინაგანი წესების რთულ სისტემას, რომელსაც მას საგანგებოდ არაფერია ასწავლის, აღსაქმელად მას ეძლევა მხოლოდ კონკრეტული წინადადებები კონკრეტულ სიტუაციაში. ამ მონაცემების მიხედვით ენობრივი სისტემის აღმოჩენის ამოცანა იმდენად რთულია, რომ, ზოგი მკვლევარის აზრით, ბავშვის ტვინი შეუძლებელია არ იყოს გარკვეულად შემზადებული „აწყობილი“ ასეთი სტრუქტურების გადასამუშავებლად. მრავალმა ფსიქოლოგმა თეორიულად დაუშვა რთული, გენეტიკურად დაპროგრამებული ლინგვისტური მექანიზმების არსებობა ადამიანის ტვინში. ამ მხრივ საინტერესოა *ნოამ ჩომსკის* თეორია, რომლის მიხედვით, ბავშვს აქვს გარკვეული თანდაყოლილი უნარი დაამუშაოს ინფორმაცია და შექმნას შიდა სტრუქტურები; ამის წყალობით ის აგებს მშობლიური ენის გრამატიკას. ითვლება, რომ ამგვარი განსაკუთრებული სტრუქტურები, რომლებიც ასრულებენ სწორედ ლინგვისტურ ფუნქციას, არ არსებობს სხვა ცოცხალ არსებათა ტვინში. ცხადია, ეს დებულებები მხოლოდ ჰიპოთეზურ ხასიათს ატარებს.

მეცნიერულად სუსტია ის ტრადიციული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ბავშვი ენას სწავლობს განმეორების გზით: ბავშვის უმარტივესი ორსიტყვიანი წინადადებებიც კი არ არის მოზრდილთა მეტყველების იმიტაცია. განმეორებით ვერ ავსნით, როგორ წარმოქმნის ბავშვი ახალ გამონათქვამებს, რომლებიც არასოდეს გაუგონია.

ზედაპირული დონის ის წესები, რომლებიც უნდა შეიმუშაოს ბავშვმა სიღრმისეული სტრუქტურების წარმოდგენისათვის (რეპრეზენტაციისათვის), ძალზე რთულია. ფსიქოლინგვისტიკის ამოცანაა ისეთი თეორიის შექმნა, რომელშიც ასახული იქნება ენობრივი ინფორმაციის გადამუშავების ეს მნიშვნელოვანი „წესები“. ადამიანის ფსიქოლოგიური ბუნება, როგორც ჩანს, მოიცავს თანდაყოლილ გონებრივ სტრუქტურებს, რომლებიც ნაწილობრივ გენეტიკურად არის განსაზღვრული, ნაწილობრივ კი განპირობებულია ადამიანის კულტურული გარემოს მრავალფეროვნებით: სტიმულისა და რეაქციის როლი აქ მინიმალურია.

## 2.7. ზემოთქმული შეიძლება განვაგრცოთ ბავშვის მიერ ფონოლოგიური სისტემის ათვისებაზეც.

ფონემური ერთეულები ფსიქიკური ოდენობებია ენის ყოველი მცოდნისათვის. ფონოლოგიური სისტემის ათვისების დროს, როგორც ჩანს, ბავშვი პირველად ხმოვნისა და თანხმოვნის უნივერსალურ ურთიერთგანსხვავებულობას ითვისებს. მხოლოდ მოგვიანებით ეუფლება იგი ბგერათა სხვადასხვა ტიპის განმსაზღვრელ დიფერენციალურ ნიშნებს; ამას რამდენიმე წელიწადი სჭირდება. საინტერესოა, რომ როდესაც ბავშვი განასხვავებს მჟღერი და ყრუ ხშული თანხმოვნების რომელიმე ერთ წყვილს (მაგალითად, /b/ და /p/ თანხმოვნებს), იგი მაშინვე განასხვავებს ფონოლოგიური სისტემის სხვა ანალოგიურად დაპირისპირებულ წყვილებსაც: /g/~/k/, /d/~/t/, /z/~/s/, რაც კიდევ ერთხელ გვიჩვენებს ბავშვის სწრაფვას მეტყველების სისტემურობისაკენ.

ცხადია, რომ ადამიანის ტვინს უნარი აქვს განასხვავებოს სამეტყველო ინფორმაციის უაღრესად დახვეწილი ანალიზი, რის შედეგადაც იგი აგებს მთლიან ლინგვისტურ სისტემას.

2.8. ირკვევა, რომ ყველა ბავშვი, ენობრივი კუთვნილების მიუხედავად, სამეტყველო ჩვევებს, ფონემურ ერთეულებსა და ფონოლოგიურ ღირებულებებს ერთნაირად, ერთი და იმავე თანმიმდევრობით ეუფლება. პირველი ხმოვანი ფონემა, რომელიც ბავშვის მეტყველებაში ვლინდება, არის მაქსიმალურად ღია, ფართო ხმოვანი *a*. ამ მოვლენის თანადროულად ბავშვს უჩნდება ბილაბიალური ორალური ხშულ-მსკდომი ფონემა *p*, რასაც თან სდევს ფონოლოგიური დაპირისპირების ჩამოყალიბება, ერთი მხრივ, ორალურ და ნაზალურ ბილაბიალურ

თანხმონებს შორის ( $p \sim m$ ), ხოლო მეორე მხრივ, ბილაბიალურ და დენტალურ თანხმონებს შორის ( $p \sim t, m \sim n$ ).

შემჩნეულია, რომ ყველა ენაში „დედა“ და „მამა“ ენობრივი ნიშნები გამოხატულების პლანში წარმოდგენილია იმ ფონემური ერთეულებისგან შემდგარი მიმდევრობებით, რომლებიც ყველაზე ადრე ჩნდება ბავშვის მეტყველებაში (რომან იაკობსონი).

2.9. როგორც ითქვა, ბავშვის მეტყველებაში, მის მიერ ენის შეთვისების პროცესში, საწყის ეტაპზე ყალიბდება ფონოლოგიური ოპოზიციები, ერთი მხრივ, ორალურ და ნაზალურ ბილაბიალურ თანხმონებს შორის —  $p \sim m$ , ხოლო მეორე მხრივ, ბილაბიალურ და დენტალურ თანხმონებს შორის:  $p \sim t, m \sim n$ . ამ ოპოზიციებში მონაწილე ფონემები ქმნიან ე.წ. კონსონანტურ მინიმუმს, რომელიც წარმოდგენილია მსოფლიოს ყველა ენაში, სულ რამდენიმე გამონაკლისის გარდა\*.

მას შემდეგ, რაც ბავშვის მეტყველებაში ჩნდება  $p \sim t$  ფონოლოგიური დაპირისპირება, წარმოიქმნება ვიწრო  $i$  ხმოვანი ფონემა და ფონოლოგიური დაპირისპირება ფართო და ვიწრო ხმოვნებს შორის. შემდეგ ეს ვიწრო ფონემა იშლება შედარებით უფრო ფართო და უფრო ვიწრო ხმოვნებად, რის შედეგადაც წარმოიქმნება ხმოვანთა ფონოლოგიური სისტემა, სადაც დაპირისპირება ხმოვან ფონემებს შორის ხორციელდება აწეულობის ნიშნით.

არსებობს ფონოლოგიური სისტემის სხვაგვარი განვითარების შესაძლებლობაც. ეს ვიწრო ხმოვანი ფონემა შეიძლება დაიშალოს არა შედარებით ფართო და ვიწრო ხმოვნებად, არამედ წინა რიგის ანუ პალატალურ, და უკანა რიგის ანუ ველარულ ხმოვნებად, რის შედეგადაც წარმოიქმნება ვოკალური სისტემა, რომელშიც ფონოლოგიური დაპირისპირება ხმოვნებს შორის ხორციელდება ორი ნიშნის — აწეულობისა და რიგის მიხედვით.

ეს სამი ხმოვანი ფონემა შეადგენს ე.წ. ვოკალურ მინიმუმს, რომელიც წარმოდგენილია მსოფლიოს თითქმის ყველა ენაში\*\*.

\* ასეთ გამონაკლისებს განეკუთვნება ტლინგიტ ენა ალასკაზე და ცენტრალური აფრიკის ზოგიერთი ტომის ქალთა ენა, სადაც ლაბიალური თანხმონები არ დასტურდება, მაგრამ ეს გამოწვეულია სამეტყველო ორგანოების, სახელობრ, ბაგეების ხელოვნური დასახინრებით სამკაული რგოლების სატარებლად, რაც შეუძლებელს ხდის ლაბიალური თანხმონების წარმოქმას; ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ხსენებულ ენებში შეინიშნება ტენდენცია ლაბიალური ბგერების შენაცვლებისა სხვა სპეციფიკური ბგერებით.

\*\* ამ თვალსაზრისით გამონაკლისად მიიჩნევენ ყაბარდოულს ჩრდილოეთ კავკასიაში, არანტა ენას ავსტრალიაში, ტონკაეა ენას მექსიკაში — ამ ენებში მხოლოდ თითო ხმოვან ფონემას გამოყოფენ.

ფონემები, რომლებიც მსოფლიოს ენათა ვოკალურ და კონსონანტურ მინიმუმებს ქმნიან, შეადგენენ ფონოლოგიურ ოპოზიციებს, რომელთაც *პირველადი* ანუ *ბირთვული* ოპოზიციები ეწოდებათ. ყველა სხვა ფონოლოგიური ოპოზიცია ამ *ბირთვული ოპოზიციების* საფუძველზე ყალიბდება.

მსოფლიოს ენებში საზოგადოდ, და ბავშვის მეტყველებაში კერძოდ, ახალი ფონოლოგიური ერთეულებისა და ოპოზიციების წარმოქმნას მკაცრად განაგებს ე.წ. *შეუქცევადი ურთიერთკავშირის კანონი* ბავშვის მეტყველებაში პალატალური და ველარული თანხმოვნების გაჩენა აუცილებლობით გულისხმობს უკვე ლაბიალური და დენტალური თანხმოვნების არსებობას, მაგრამ არა პირუკუ. ეს კავშირი შეუქცევადია — ბავშვის მეტყველებაში ლაბიალური და დენტალური თანხმოვნები შეიძლება წარმოდგენილი იყოს პალატალური და ველარული თანხმოვნების გარეშე.

2.10. რა ვითარებაა ამ მხრივ მსოფლიოს ენებში? არსებობს ენები, სადაც არა გვაქვს პალატალური და ველარული თანხმოვნები, მაგრამ ამ ენებში აუცილებლად წარმოდგენილია ლაბიალური და დენტალური თანხმოვნები. ამასთანავე არ მოიძებნება თუნდაც ერთი ისეთი ენა, რომელშიც პალატალური და ველარული თანხმოვნები წარმოდგენილი იქნება ლაბიალური და დენტალური თანხმოვნების გარეშე. ასე, მაგალითად, დიდია რაოდენობა ისეთი ენებისა, რომლებშიც არ დასტურდება პალატალური *π* და ველარული *ŋ* ნაზალური თანხმოვნები, მაშინ როდესაც არ მოიძებნება ენა ლაბიალური *m* და დენტალური *n* ნაზალების გარეშე.

ბავშვის მეტყველებაში ნაპრალოვანი თანხმოვნის ანუ სპირანტის ჩამოყალიბება აუცილებლობით გულისხმობს ხშულის არსებობას. შესაბამისად, არ არსებობს არც ერთი ენა ხშული თანხმოვნების გარეშე, მაშინ როდესაც საკმაოდ დიდია ისეთი ენების რაოდენობა, სადაც ნაპრალოვანი თანხმოვნები საერთოდ არ მოიპოვება.

როდესაც ბავშვის მეტყველებაში ჩნდება აფრიკატი და იგი ფონოლოგიურად უბირისპირდება ხშულ-მსკდომ თანხმოვანს, ბავშვი უკვე ფლობს ნაპრალოვან თანხმოვანს — სპირანტს. ანალოგიურად ამისა, მსოფლიოს ყველა ენაში, სადაც კი გვაქვს ფონოლოგიური დაპირისპირება ხშულ-მსკდომსა და აფრიკატს შორის, არსებობს სპირანტიც.

როდესაც ბავშვი ეუფლება წინა რიგის ლაბიალიზებულ ხმოვნებს (*ბ*, *მ*), მის მეტყველებაში უკვე არსებობს წინა რიგის არალაბიალიზებული (*ბ*, *მ*) და უკანა რიგის ლაბიალიზებული (*ბ*, *მ*) ხმოვნები. ასევე, მსოფლიოს ენებში, სადაც კი დასტურდება წინა რიგის *ლაბიალიზებული* ხმოვნები, მოიპოვება წინა რიგის *არალაბიალიზებული* და უკანა რიგის *ლა-*

ბიალიზებულო ხმოვნებიც. ამას გარდა, არსებობს ენები, რომლებშიც მოიპოვება წინა რიგის არალაბიალიზებულო ხმოვნები და უკანა რიგის ლაბიალიზებულო ხმოვნები, მაგრამ არა გვაქვს წინა რიგის ლაბიალიზებული ხმოვნები.

ასეთი ვითარება მოწმობს შეუქცევადი ურთიერთკავშირის არსებობას აღნიშნული ტიპების ხმოვან ფონემებს შორის.

ყველაზე ბოლოს ბავშვი ეუფლება ისეთ ფონემურ ერთეულებსა და ფონოლოგიურ ოპოზიციებს, რომლებიც ყველაზე იშვიათია მსოფლიოს ენებში. შეიძლება ითქვას, რომ ბავშვის მიერ ფონემური სისტემის ათვისების პროცესი გარკვეული აზრით ასახავს მსოფლიოს ენათა ფონოლოგიურ სისტემებში არსებულ უნივერსალურ მიმართებებს.

2.11. მისი ფონოლოგიური სისტემა ერთგვარ სტრატეფიცირებულ სტრუქტურას წარმოადგენს, სადაც ერთი იერარქია, ანუ ერთი ფონოლოგიური ღირებულება, ზედ ედება მეორეს ამ ფონოლოგიურ ღირებულებათა ათვისების ქრონოლოგიური თანმიმდევრობის თვალსაზრისით.

თუ ორი ფონოლოგიური ღირებულება შეუქცევადი ურთიერთკავშირის დამოკიდებულებაში იმყოფება, მაშინ შეუძლებელია მეორე ფონოლოგიური ღირებულება პირველზე ადრე გაჩნდეს სისტემაში, ან კიდევ პირველი ფონოლოგიური ღირებულება უფრო ადრე დაიკარგოს, ვიდრე მეორე.

ფონოლოგიური სისტემის განხილულ სტრატეფიკაციას ადასტურებს აგრეთვე აფაზიაზე ანუ მეტყველების მოშლილობაზე დაკვირვებების შედეგად მოპოვებული მონაცემები. ეს დაავადება ვითარდება ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების შედეგად. აფაზიით დაავადებულზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ისინი პირველად კარგავენ ნაზალიზებულ ხმოვნებს. ეს სწორედ ისეთი ხმოვნებია, რომელთაც, ვთქვათ, ფრანგი ან პოლონელი ბავშვი თავისი ფონოლოგიური სისტემის ჩამოყალიბების პროცესში სულ ბოლოს ეუფლება და, შესაბამისად, მსოფლიოს ენებშიც საკმაოდ იშვიათად არის წარმოდგენილი.

ამის შემდეგ აფაზიით დაავადებულთა მეტყველებაში იკარგება ნარნარა თანხმოვნების მონაწილეობით შექმნილი ფონოლოგიური ოპოზიციები; შემდეგ შეიძლება დაიკარგოს აფრიკატები და სპირანტები, რომელთა ჩამოყალიბებას ხშულები უძღვის წინ. ამის შემდეგ შეიძლება დაიკარგოს გელარული და პალატალური ხშული თანხმოვნები, მაგრამ დარჩეს ლაბიალური და დენტალური თანხმოვნები. უმძიმესი შემთხვევების დროს აფატიკოსის მეტყველებაში რჩება მხოლოდ *a* და *p* ფონემები. მათი დაკარგვა უკვე დამუწულებას ნიშნავს.

როგორც წარმოდგენილი მსჯელობიდან ჩანს, ფონოლოგიურ ღირებულებათა შექმნისა და დაკარგვის მიმართულებები ურთიერთსაპირისპიროა. შემჩნეულია აგრეთვე, რომ ენები ისტორიული ცვლილებისა და

განვითარების პროცესში კარგავენ ფონოლოგიურ დაპირისპირებებს იმ თანმიმდევრობით, რომელიც საპირისპიროა ბავშვის მეტყველებაში ამავე დაპირისპირებების განქინსა.

### 3. ენა და აზროვნება

3.1. უსიქოლინგვისტიკის ერთ-ერთი უპირველესი და ამავე დროს ბოლომდე გადაუჭრელი პრობლემაა, ერთი მხრივ, ენისა და აზროვნების, მეორე მხრივ კი აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა.

იმ დროიდან მოყოლებული, როდესაც ადამიანებმა ენის რაობის შესახებ დაიწყეს მსჯელობა, ყურადღების ცენტრში ენისა და აზროვნების მიმართება აღმოჩნდა. მრავალ კულტურაში ენის ძირითად ფუნქციად აზრის გამოხატვა იყო მიჩნეული. ძველი ინდოელი გრამატიკოსები საუბრობდნენ სულზე, რომელიც საგნებს აზროვნებით სწვდება და გონებას მეტყველების სურვილს შთააგონებს. *არისტოტელეს* სიტყვებით, „მეტყველება არის გონების განცდათა გამოხატულება“. ამ შეხედულებამ შუა საუკუნეების გრამატიკოსებთანაც იჩინა თავი. ისინი მეტყველების პროცესში სამ საფეხურს გამოყოფდნენ — საგნების თვისებები ვლინდება რეალურ სამყაროში, ადამიანის გონება სწვდება ამ თვისებებს და შესაბამისად გადასცემს სხვა ადამიანებს ენის მეშვეობით.

დაახლოებით ასეთსავე შეხედულებებს გამოთქვამდნენ XVII საუკუნის *რაციონალისტები* ენის ამგვარი გაგება არსებითად ადეკვატურად ითვლებოდა შემდგომშიც. ამგვარი თვალსაზრისის მიხედვით, აზროვნების ფუნქციონირების არე იმდენად ფართოა, რომ სამყაროში სხვა სპეციფიკური აღარაფერი რჩება; ეს მიდგომა გულისხმობს, რომ ადამიანი გონიერი, მოაზროვნე არსებაა, რომელმაც ენა მხოლოდ თავისი აზრების გამოსახატავად შექმნა, და რომ ენა წარმოიშვა როგორც უკვე ჩამოყალიბებული დასკვნების, კითხვებისა და მისთ. გამოხატვის საშუალება.

მეორე მხრივ, იმ სოციალური როლის აღიარებამ, რომელსაც ენა ასრულებს საზოგადოდ ყველა კულტურაში, გამოავლინა ენის მრავალი სხვა ფუნქციაც, რომლებიც უშუალოდ აზრის გამოხატვას არ უკავშირდება.

3.2. მნასა და აზროვნებას შორის საგარაუდო ონტოლოგიური (ინდივიდის განვითარების ისტორიასთან დაკავშირებული) მიმართებების კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა შემდეგი დასკვნის გამოტანა: ენა წარმოიშვა არა როგორც მზა აზრების გამოხატვის იარაღი, არამედ როგორც თვით აზროვნების საშუალება; ამდენად, ადამიანის გონება განვითარდა მეტყველების უნართან ერთად.



აზროვნებასა და მეტყველებას შორის მიმართებები სრულად დღემდე არ არის ახსნილი. ცხადია, რომ აზროვნების — როგორც *ფარული მეტყველების* (ინგლ. *subvocal speech*) — განსაზღვრა ამ მიმართების უხეში გამარტივებაა. თუმცა ისიც ცხადია, რომ სხვადასხვა ლოგიკური სტრუქტურის მოწყვეტა იმ ენობრივი სტრუქტურებისგან, რომლებიც მათ „გამოხატავენ“, არ არის მართებული. თანამედროვე ფორმალური ლოგიკის სიმბოლიზებული დებულებებიც კი საბოლოო ჯამში რომელიმე ბუნებრივ ენაზე გამოთქმული მტკიცებებიდან გამოიყვანება და ამავე გზით განიშარტება.

ენასა და აზროვნებას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის აღიარებას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ განსხვავებული ენობრივი სტრუქტურები შეიძლება ხელს უწყობდნენ ან განაპირობებდნენ კიდევ სამყაროს განსხვავებულ ხედვასა და გააზრებას. ცხადია, მთელი კაცობრიობა საზოგადოდ ერთიან სამყაროში ცხოვრობს, რასაც ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის შესაძლებლობაც ადასტურებს, მაგრამ ყოველი კონკრეტული საზოგადოება და კულტურა მისთვის სპეციფიკურ გარემოში არსებობს და შესაბამისად თარგმნა მნიშვნელობათა ერთი და იმავე სიმრავლის გამომხატველ ეკვივალენტურ ერთეულთა ჩანაცვლება არ არის; სწორედ ამით არის გამოწვეული თარგმნის ცნობილი სირთულეები.

ის, თუ რამდენად არის ერთმანეთზე დამოკიდებული ენა და აზროვნება, დღესაც მსჯელობის საგანია, მაგრამ თვით ამ ურთიერთდამოკიდებულების ფაქტი მეცნიერთა შორის დაგას, როგორც წესი, აღარ იწვევს.

**3.3. ბიჰევიორიზმის** (ინგლ. *behavior* „ქცევა“) — ერთ-ერთი ფსიქოლოგიური მიმდინარეობის — წარმომადგენლები კატეგორიულად აცხადებდნენ, რომ აზროვნება არის „ფარული მეტყველება“; როდესაც ბავშვი ფიქრობს, იგი ამ დროს ყოველთვის ლაპარაკობს, მაგრამ მოზრდილ ასაკში იგი ერთგვარად თავის უფლდება ენისაგან, ყოველ შემთხვევაში, თავისუფლდება აშკარა თუ ფარული სამეტყველო რეაქციებისაგან.

ამ თვალსაზრისს უპირისპირდება *ჟან პიაჟეს* სკოლის შეხედულებები. *პიაჟეს* აზრით, შემეცნებითი პროცესები დამოუკიდებლად ხორციელდება, მეტყველების განვითარება მხოლოდ მოსდევს ამ პროცესებს და ასახავს მათ. ბავშვის ინტელექტი ვითარდება საგნობრივ სამყაროსა და მის ირგვლივ მყოფ ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში. ენა, რომელიც მონაწილეობს ამ ურთიერთობაში, შესაძლებელია ზოგ შემთხვევაში ხელს უწყობდეს ან აჩქარებდეს აზროვნების განვითარებას, მაგრამ თვით ენა აზროვნებას არ განაპირობებს.

შესაძლებელია თუ არა რაიმე რთული ინტელექტუალური პროცესების წარმართვა ენის მონაწილეობის გარეშე?

ამ საკითხზე მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ დიქტომია *ენა-მეტყველება*. მეტყველება მატერიალური, ფიზიკური პროცესია, ენა კი არის მნიშვნელობათა და ენობრივ სტრუქტურათა აბსტრაქტული სისტემა.

ბიპევიორისტები აიგივებენ *მეტყველებასა* და *აზროვნებას*. ეს რომ მართლაც ასე ყოფილიყო, ბუნებრივად დაფასკვნიდით, რომ ადამიანი, რომელსაც არა აქვს მეტყველების უნარი, ე.ი. ვერ იყენებს სათანადოდ სამეტყველო აპარატს, მოკლებული უნდა იყოს აზროვნების უნარსაც.

ამასთან დაკავშირებით ჩატარდა შემდეგი ექსპერიმენტი: ხელოვნურად გამოიწვიეს ცდისპირის კუნთების სრული დამბლა, რის შედეგადაც იგი ვერანაირ მოტორულ მოძრაობას (მათ შორის საარტიკულაციოსაც) ვერ ასრულებდა. როდესაც შეწყდა წამლის მოქმედება, ცდისპირმა აღნიშნა, რომ სრულიად ცხადად აღიქვამდა ყველაფერს, რასაც ეუბნებოდნენ; ამასთან, შეეძლო მარტივი ამოცანების გადაწყვეტაც. ამ ექსპერიმენტის შედეგებმა ცხადყო *მეტყველებისა* და *აზროვნების* მექანიკური გაიგივების უსაფუძვლობა.

*ჟან პიაჟე* აგრეთვე *ლევ ვიგოტსკი* *მეტყველებასა* და *აზროვნებას* ერთმანეთს უკავშირებდნენ იმდენად, რამდენადაც მეტყველება მონაწილეობს ცოდნის გადაცემაში. ეს მეცნიერები სწავლობდნენ კავშირს ენასა და აზროვნებას შორის, შიდაენობრივ და კოგნიტიურ (შემეცნებით) სტრუქტურებს შორის. მათი აზრით, ენის შიდა სტრუქტურები არ უნდა იყოს აუცილებლად გამომხატული სამეტყველო აპარატის არტიკულატორული მოქმედებით.

არსებობს აზროვნების პროცესები, რომლებიც შეიძლება „ენამდელ“ ან „არაენობრივ“ პროცესებად ჩაითვალოს. საყოველთაოდ არის ცნობილი საჭირო სიტყვის ან აზრის გამომხატვის უკეთესი ფორმის ძიების პროცესი. ადამიანის ფსიქიკური აქტივობა გარკვეულწილად აზრის წინასწარ წარმოდგენაში, რაღაცის თქმის განზრახვაში მდგომარეობს, რაც წინ უსწრებს აზრის სიტყვიერი ფორმით გამომხატვას.


აზრის განვითარება პირდაპირ არ ემთხვევა მეტყველების პროცესს. ეს ორი პროცესი ერთიანია, მაგრამ არა იდენტური. აზრის სიტყვათა მიმდევრობის სახე არა აქვს, იგი მთლიანი და ერთდროულია, მეტყველება კი სუქცესიური (თანმიმდევრობითი): სამეცნიერო მუშაობის დროს ჯერ მოიაზრება პრობლემა და შემდეგ იწყება რთული პროცესი — აზროვნების შედეგების გადატანა წრფივ ენობრივ ფორმაში.

აზროვნების გაიგივება მეტყველებასთან ან ენასთან არ უნდა იყოს მართებული, მიუხედავად იმისა, რომ ენა უდიდეს როლს ასრულებს სხვადასხვა შემეცნებით პროცესში და მჭიდროდაა დაკავშირებული მეხსიერებასთან.

#### 4. ენა და მესხიერება

4.1. სხვადასხვა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ დროის მონაკვეთი ადრე მომხდარ მოვლენასა და მომდევნოდ მასზე საუბარს შორის ნებისმიერი შეიძლება იყოს (თუ დამწერლობას გავითვალისწინებთ, ეს მონაკვეთი შეიძლება აღემატებოდეს ცოცხალი ადამიანის მესხიერების არსებობის პერიოდსაც). ეს ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ ადამიანი იოლადა ინახავს საჭირო ინფორმაციას ვერბალური (სიტყვიერი) ფორმით და სიტყვების საშუალებით გადალახავს დროით მანძილს. ის, რაც ადამიანს ახსოვს, მის მესხიერებაში უმთავრესად ვერბალური ფორმით ინახება. ის, რაც ჩვენ გვახსოვს, ხშირად ფაქტებს მთელი სიზუსტით არ ემთხვევა სწორედ იმიტომ, რომ მესხიერება ვერბალური ფორმით ინახავს ინფორმაციას, სიტყვები კი მოვლენას ყოველთვის ზუსტად ვერ ასახავს.

მაგალითად, ცდისპირი აღიქვამს (1) ნახატს როგორც სათვალეს ან ჰანტიელს, იმახსოვრებს ამას და მოგვიანებით, როდესაც სთხოვენ ნახატის აღდგენას, წარმოადგენს ორ ნახატს — (2) და (3), რომლებიც უკეთ შესაბამება დამახსოვრებულ სიტყვებს. აქედან ჩანს, რომ ცდისპირმა დაიმახსოვრა არა ნახატი, არამედ შესაბამისი სიტყვა:



4.2. ადამიანებს ხშირად არ ახსოვთ, რა გადაიტანეს 2-3 წლის ასაკში. ადრეული ბავშვობის მოგონებების შენარჩუნება შეუძლებელია იმის გამო, რომ ბავშვის მიერ სამყაროს აღქმა განსხვავდება მოზრდილის აღქმისაგან. აღქმის ეს ორი სახე ერთმანეთთან შეუთავსებელია, რადგან ბავშვისათვის ჯერ უცხოა რთული შემეცნებითი პროცესები; ამას გარდა, როგორც აღინიშნა, მოზრდილები თავის განცდას მესხიერებაში ენობრივი ფორმით ინახავენ და ამა თუ იმ მოვლენის გახსენება ხდება მისი ვერბალური აღწერის მიხედვით. ასეთი სიტყვიერი დაფიქსირების უნარი ბავშვს არ გააჩნია. მოზრდილი ადამიანი თავისი ცხოვრების ამბავს აღწერს მის კულტურაში არსებული გარკვეული სტანდარტული სქემის მიხედვით — განათლება, ქორწინება, შრომა, მოგზაურობა და ა.შ. ბავშვს არა აქვს ასეთი „სქემა“, არ გააჩნია შიდა სისტემა ადრინდელი შთაბეჭდილებების დასაფიქსირებლად, ხოლო ის სქემები და საშუალებები, რომელთაც იგი

მოგვიანებით აითვისებს, მას აღარ გამოადგება ადრინდელი შთაბეჭდილებების კოდირებისა და ინტერპრეტაციისათვის.

## 5. ბიოლინგვისტიკა. ენობრივი უნარი და გენეტიკური კოდი

5.1. შსიქოლინგვისტიკის პრობლემატიკას უკავშირდება მეცნიერების ერთ-ერთი უახლესი დარგი — ბიოლინგვისტიკა, რომელიც იკვლევს ურთიერთკავშირებს ბიოლოგიურ პროცესებსა და ენობრივ მოვლენებს შორის. ბიოლინგვისტიკის ერთ-ერთი პრობლემათაგანია ენობრივ ჩვევათა და სტრუქტურათა თანდაყოლილობის (ინგლ. *innateness*) საკითხი მოლეკულური გენეტიკის თვალსაზრისით.

ენობრივი უნარის თანდაყოლილობის პრობლემა, როგორც აღვნიშნეთ, დაისვა ნოამ ჩომსკის ტრანსფორმაციულ-წარმომშობ გრამატიკაში. წარმომშობ გრამატიკათა თეორიაში ეს პრობლემა უკავშირდებოდა ენის სიღრმისეულ სტრუქტურას.

ნოამ ჩომსკის თეორიის მიხედვით, ენა გენეტიკურად განსაზღვრული ფენომენია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ადამიანისთვის არის დამახასიათებელი. ენა ადამიანში თანდაყოლილი ნიჭის სახით არის მოცემული, რომელსაც საფუძვლად უდევს ყველა ბუნებრივი ენისათვის დამახასიათებელი ზოგადი პრინციპები — „უნივერსალური გრამატიკა“. ეს თეორია განვითარდა როგორც რეაქცია ბიჰევიორისტულ თვალსაზრისზე — ბავშვების მიერ მეტყველების ათვისებაში მიბაძვის გადამწყვეტი როლის შესახებ.

5.2. მითავითვე გასაგები იყო, რომ ადამიანს თანდაყოლილი აქვს არა ტრანსფორმაციული და წარმომშობი წესები, არამედ, ზოგადად, ამ წესების ათვისებისა და გამოყენების უნარი. თანდაყოლილია, მაგალითად, იმ ელემენტარული წესის გამოყენების უნარი, რომელსაც ენის დუალობის პრინციპი გულისხმობს.

თანამედროვე მოლეკულური ბიოლოგიის მიღწევები უფრო და უფრო ცხადად ავლენს ადამიანის ამა თუ იმ ენობრივი უნარის მოლეკულურ-ბიოლოგიურ სუბსტრატს. სახელდობრ, ბოლო წლების გამოკვლევებით დგინდება გარკვეული სტრუქტურული მსგავსება ლინგვისტურ და გენეტიკურ კოდებს შორის, ვლინდება ის გენეტიკური ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის მიერ ენის ათვისებასა და გამოყენებას.

ენის ათვისებისა და გამოყენების განსაკუთრებულ ნიჭს ავლენენ ბავშვები. მათ მიერ ენის ათვისების პროცესს გარკვეული თანმიმდევრულობა ახასიათებს, მაგრამ ზოგიერთ ბავშვში ეს პროცესი უფრო სწრაფად მიმდინარეობს. მაგალითად, ორი წლის ნორმალური ბავშვი შეიძლება მხო-

ლოდ რამდენიმე სიტყვას ფლობდეს, მაშინ როდესაც ამავე ასაკის სხვა ბავშვის ლექსიკონი 300 სიტყვაზე მეტს შეიცავდეს.

იგივე ითქმის ბავშვების მიერ გრამატიკულ კატეგორიათა ათვისების თანმიმდევრობასა და იმ ასაკზე, რომელშიც ეს ათვისება ხდება. მაგალითად, როგორც დაკვირვებამ აჩვენა, ინგლისურად მოლაპარაკე სამი წლის ბავშვები III პირის მხ. რიცხვის –s მორფემას ითვისებენ მრ. რიცხვის ჰომოფონური –s მორფემის შემდეგ, მაგრამ ზოგი მათგანი ამას 2 წლისა და 3 თვის ასაკში აღწევს, ზოგი კი მხოლოდ 3 წლისა და 6-8 თვის ასაკში. ენის ათვისებისა და გამოყენების უნარში ასაკობრივ და თვისებრივ განსხვავებებს არსებითად გენეტიკური ფაქტორები განსაზღვრავს, ისევე როგორც, მაგალითად, ადამიანის სიმაღლეს თუ თავის ქალის ფორმას. ცნობილია, რომ *ალბერტ აინშტაინმა* შედარებით გვიან აითვისა მშობლიური ენის სამეტყველო ჩვევები, მაშინ როდესაც რომელიმე ვუნდერკინდს შესაძლებელია ბოლომდე არც კი გაჰყვეს ბავშვობაში გამოვლენილი განსაკუთრებული ნიჭი. ირკვევა, რომ ბავშვისა და ნორმალური მოზრდილი ადამიანის მიერ ენის ათვისებისა და გამოყენების განსხვავებული უნარი მთლიანად კოდირებულია სათანადო გენებში.

ბოლოდროინდელ გამოკვლევებში გამოითქვა ვარაუდი, რომ *ენობრივი კომპეტენცია* – ადამიანის თანდაყოლილი ენობრივი უნარი – განისაზღვრება ერთი სპეციფიკური გენით („ენის გენით“ – *FOXP2*), რომელიც გამოვლენილ იქნა ადამიანის გენომში.

5.3. ბიოლინგვისტიკის ფარგლებში შეისწავლება აგრეთვე ენის ნევროლოგიური მექანიზმები, რომლებიც საფუძვლად უდევს სამეტყველო პროცესს. ეს პრობლემატიკა შეადგენს თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგის – *ნევროლინგვისტიკის* (ინგლ. *neuron* „ნევრონი“, „ნერვული უჯრედი“, *neurology* „ნევროლოგია“, შდრ. რუს. *нейрон* „ნერვული უჯრედი“, მაგრამ *неврология* „ნევროლოგია“ < ბერძნ. *neûron* „მყესი“, „ბოჭკო“; შდრ. ლათ. *nervus* „მყესი“, „ბოჭკო“, „ნერვი“, აქედან ფრანგ. *nerf*, ინგლ. *nerve*, რუს. *нерв*, ქართ. *ნერვი* და სხვ.) კვლევის საგანს.

*ნევროლინგვისტიკა*, როგორც თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგი, აღწერს და შეისწავლის ენობრივ სტრუქტურათა წარმოქმნისა და აღქმის პროცესებს, რომლებიც ადამიანის ტვინში მიმდინარეობს, მაგრამ ახდენს არა ამგვარ პროცესთა მოდელირებას (ე.ი. მათთვის სისყადასხვაგვარი მოდელების აგებას, შდრ. *შავი ყუთის* პრინციპი), არამედ არკვევს იმას, თუ როგორ ხორციელდება სინამდვილეში ამ სტრუქტურათა წარმოქმნა და აღქმა, თუ რა ნევროლოგიური მექანიზმები უდევს საფუძვლად მოლაპარაკესა და მსმენელს შორის მიმდინარე საკომუნიკაციო პროცესს.

მიუხედავად იმისა, რომ მოხერხდა სამეცნიერო ცენტრის (ე.წ. *ბროკას ცენტრი*) ლოკალიზაცია თავის ტვინის მარცხენა ჰემისფეროში, დღემდე მიმდინარეობს კამათი იმის თაობაზე, თუ რამდენადაა დაკავშირებული სხვადასხვა ენობრივი მოვლენა ტვინის გარკვეულ არეებთან. ნევროლოგიური კვლევის ერთ-ერთი ასპექტია, მაგალითად, *აფაზიის* — ტვინის სპეციფიკური მდგომარეობის შესწავლა, როდესაც დარღვეულია ან მთლიანად მოშლილია ენობრივი უნარ-ჩვევები.

ტვინის გარკვეულ არეებში ენის განსაზღვრული ფუნქციების ლოკალიზაციის მიზნით პაციენტებში ხელოვნურად, ტვინის ქერქის ელექტროსტიმულაციით გამოიწვიეს დროებითი აფაზია, რის შედეგადაც გამოითიშა ტვინის მარცხენა ჰემისფერო და ენობრივმა ფუნქციებმა მარჯვენა ჰემისფეროში გადაინაცვლა. ამგვარი ექსპერიმენტით ირკვევა, რომ არ არსებობს თავის ტვინის მკაცრად სპეციფიზირებული ენობრივი ცენტრები. თანამედროვე ნევროლოგიაში ლაპარაკობენ უკვე კომპლექსურ ნევროქსელებზე როგორც გარკვეული ენობრივი ფუნქციების მატარებლებზე; დაიწყო სამეცნიერო პროცესების შესაბამისი კომპლექსური ნევროქსელების იდენტიფიკაცია და ანალიზი. გრამატიკულად და სემანტიკურად კოჰერენტული (თანმიმდევრული, დაკავშირებული) გამონათქვამები აიხსნება კომპლექსურ ნევროქსელებში მიმდინარე რთული პროცესების საფუძველზე.

განსაკუთრებული ღირებულება ნევროლინგვისტიკამ კოგნიტიური (შემეცნებითი) დისციპლინების განვითარების ფონზე შეიძინა *ხელოვნური ინტელექტის* შექმნის პრობლემასთან დაკავშირებით, რაც *კომპიუტერული ლინგვისტიკის* ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.



## VI. ენათმეცნიერების გამოყენებითი დარგები

### 1. გამოყენებითი ენათმეცნიერება. მათემატიკური და კომპიუტერული ლინგვისტიკა

1.1. ბუნებრივი ენობრივი პროცესების მოდელირება უკავშირდება *მათემატიკური ლინგვისტიკის* პრობლემატიკას, რაც ენათა კვლევის ორ ასპექტს აერთიანებს; ეს ასპექტებია: ტექსტის სტატისტიკური დამუშავება (*სტატისტიკური ლინგვისტიკა*) და ენის გრამატიკული სტრუქტურების შესაბამისი მათემატიკური მოდელების კონსტრუირება (*ალგებრული ლინგვისტიკა*).

1.2. მათემატიკური ენათმეცნიერება ლინგვისტური ამოცანების გადაწყვეტისას მიმართავს მათემატიკურ მეთოდებს, ბუნებრივი ენების აღწერის მიზნით აგებს ფორმალურ გრამატიკებს, ახდენს ენობრივი პროცესების ფორმალიზაციას და ენობრივ სტრუქტურებს წარმოგვიდგენს მკაცრად ფორმალიზებული სტრუქტურების სახით.

მათემატიკურ ლინგვისტიკაში ძირითადად იყენებენ სიმრავლეთა თეორიის, ალგებრისა და მათემატიკური ლოგიკის ამოსავალ ცნებებსა და დებულებებს.

1.3. ინფორმაციის გადაცემა ბუნებრივი ენის საშუალებით წარმოადგენს კარგად სტრუქტურირებულ პროცესს: მოლაპარაკე წარმოქმნის გამოწვევებსა და ფრაზებს, რომელთაც სათანადოდ ანალიზებს მსმენელი.

კომპიუტერული ლინგვისტიკის ამოცანაა სწორედ ამგვარი ბუნებრივი საკომუნიკაციო პროცესის მოდელირება სათანადო ავტომატის — კომპიუტერის საშუალებით, რომელიც მოახდენს „მოლაპარაკის“ მიერ ფრაზების წარმოქმნისა და „მსმენელის“ მიერ ამ ფრაზების ინტერპრეტაციის პროცესების იმიტირებას.

ეს კი ნიშნავს ავტონომიური კოგნიტიური მანქანების (რობოტების) კონსტრუირებას, რომელთაც შესწევთ ბუნებრივი ენის მეშვეობით ურთიერთობის უნარი.

ამგვარი მოლაპარაკე რობოტების შექმნა დღეს ფანტასტიკის სფეროს კი არ განეკუთვნება, არამედ რეალურ მეცნიერულ ამოცანად გვესახება.

1.4. ძირველი კოგნიტიური მანქანების — რობოტების — შექმნა XX საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყება. თავდაპირველად რობოტი-კომპიუტერი მარტივ გამომთვლელ მანქანად მოიაზრებოდა; შემდგომში ამოცანა გართულდა: კომპიუტერული მეცნიერება კოგნიტიურ მეცნიერებას დაუახლოვდა და *ხელოვნური ინტელექტის* შექმნის პრობლემატიკას დაუკავშირდა.

1.5. კომპიუტერული ლინგვისტიკის კონკრეტული ამოცანებია: *მონაცემთა ბაზების* შექმნა და მათი *ინტერაქტიური დამუშავება*, ბუნებრივი სამეტყველო და სამწერლობო ენების სტრუქტურათა მოდელირება, ენის ლოგიკური სტრუქტურების ამოცნობა, მანქანური თარგმანის პრობლემური საკითხების გადაწყვეტა, მეტყველების სინთეზისა და ანალიზის განხორციელება და სხვ.

1.6. ამ ამოცანების გადაწყვეტა ფუნქციონალური მიდგომის ფარგლებში მოითხოვს ბუნებრივი ენის ამომწურავ ანალიზს ფონოლოგიური, მორფოლოგიური, მორფონოლოგიური, სინტაქსური, სემანტიკური, ლექსიკური და პრაგმატიკული ასპექტების გათვალისწინებით. ასეთი ანალიზი მეთოდოლოგიურად ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მიღწევების გათვალისწინებასა და შერწყმას გულისხმობს. ამდენად, კომპიუტერული ლინგვისტიკა ინტერდისციპლინარული ხასიათისაა და აერთიანებს მეცნიერების ისეთ დარგებს, როგორიც არის თეორიული ლინგვისტიკა, ფილოსოფია, მათემატიკური ლოგიკა, ფსიქოლოგია, ნევროლოგია, სემიოტიკა, ინფორმატიკა და პროგრამირება.

1.7. მათემატიკურ მეთოდებზე დაფუძნებული კომპიუტერული ლინგვისტიკის ძირითადი ამოცანა — კოგნიტიური მანქანების შექმნა — განსაზღვრავს ენათმეცნიერების ამ დარგის მიღწევათა პრაქტიკულ ღირებულებასაც. ამ თვალსაზრისით *კომპიუტერული ლინგვისტიკა* უახლოვდება *გამოყენებით ენათმეცნიერებას*, სადაც მუშავდება სპეციფიკური მეთოდოლოგიური საკითხები — როგორ გამოვიყენოთ ენათმეცნიერების მიღწევები სხვადასხვაგვარი პრაქტიკული ამოცანის გადასაწყვეტად.

1.8. ტრადიციულად გამოყენებითი ენათმეცნიერების პრობლემატიკა გულისხმობს სხვადასხვაგვარი პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტას; მათ შორის არის: ახალი დამწერლობების შექმნა და სრულყოფა; მეტყველების ტრანსკრიფცია და უცხო წარმომავლობის სიტყვათა ტრანსლიტირაცია; სამეცნიერო ტერმინოლოგიის სტანდარტიზაცია და ენობრივი ნორმების შემუშავება; ლექსიკონებისა და ენციკლოპედიების შედგენის უნიფიცირებული პრინციპების დადგენა; ენათა სწავლების ეფექტური მეთოდების შემუშავება; სამეტყველო დეფექტების დაძლევა (*ლოგოპედია*); სმენადაქვეითებულთათვის ენობრივი ჩვევების გამომუშავება (*სურდოპედაგოგია*); უსინათლოთათვის სპეციალური გრაფიკული სისტემების შექმნა; აფატიკოსთა მკურნალობა და სხვ.

1.9. ტერმინი *გამოყენებითი ენათმეცნიერება* შეიქმნა XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს, როდესაც დღის წესრიგში დადგა მკაცრი მეთოდებით პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის საკითხი.

გამოყენებითმა ენათმეცნიერებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მას შემდეგ, რაც ენათმეცნიერებაში გამოიკვეთა ენობრივი სტრუქტურების *ფორმალურ-ალგორითმული მეთოდით* შესწავლის ტენდენცია და შეიქმნა პირველი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები — თანამედროვე კომპიუტერების პროტოტიპები.



1.10. ლინგვისტური კვლევის კომპიუტერული მეთოდები განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ენის *თესაურუსების* შედგენისას.

ენათმეცნიერებაში კომპიუტერის გამოყენების ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნეს ამჟამად განხორციელების პროცესში მყოფი პროექტები — TITUS და Armazi (*ოსტ ვიპერტი*). აღნიშნული პროექტები გულისხმობს მრავალენოვანი „ონლაინ“ (ინგლ. *online* „ქსელში ჩართული“) საძიებო სისტემების შექმნას. თავდაპირველად ამგვარი სისტემა შეიქმნა TITUS-პროექტის ფარგლებში ინდოევროპული ენებისათვის.

ძველ ინდოევროპულ ენათა ტექსტობრივი მასალის თესაურუსის შედგენის პროექტს საფუძველი ჩაეყარა 1987 წელს, როდესაც ჟურნალში «Die Sprache» გამოქვეყნდა მოწოდება, დაწყებულიყო კოორდინირებული სამუშაოები ძველი ინდოევროპული ტექსტების ციფრული (დოკუმენტალური) ჩაწერის მიზნით, რათა ამ გზით პროფესიულად დაინტერესებულ პირთათვის შექმნილიყო მონაცემთა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი კომპიუტერული ბაზა. TITUS-პროექტი მოიცავს უძველეს ინდურ (ვედურ), ძველ ირანულ (ძველ სპარსულ, ავესტურ) ტექსტებს, ძველ ანატოლიურ ენებზე (ხეთური, ლუვიური) დადასტურებულ ტექსტებს, აგრეთვე უფრო გვიანდელ გერმანიკულ და კელტურ (ძველ ირლანდიურ) ტექსტობრივ მასალას. შეიქმნა სპეციალური *გეგმსერვერა*, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება დამუშავებული მასალის ადვილი მოძიება.

ტექსტის კომპიუტერული მოძიების გარდა, TITUS-პროექტი გულისხმობს აგრეთვე კომპიუტერში ჩაწერილ ტექსტებთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის მიღებას, როგორც არის, მაგალითად, კონკრეტულ სიტყვაფორმათა დამოწმება, მათ შესახებ სათანადო გრამატიკული ინფორმაციის მიღება და სხვ. ანალოგიური სამუშაო დაწყებულია Armazi-პროექტის ფარგლებში ქართველურ და სხვა კავკასიურ ენათა მიმართაც.

## ენა და დამწერლობა

### 1. დამწერლობა როგორც სემიოტიკური სისტემა

1.1. ძოდებისა და კოდირების განსილყისას აღნიშნული გვქონდა, რომ კოდირების ერთ-ერთი მაგალითია ბგერით ენაზე განსორციელებული გამონათქვამების წერილობითი გამოსატყა. ე.ი. ზეპირი შეტყობინების ჩაწერა გარკვეული წერილობითი სისტემის, გარკვეული დამწერლობის საშუალებით.

კაცობრიობის კულტურულ ფასეულობათა შორის დამწერლობას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. ისტორიულად იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ბგერით ენასთან, გარკვეული აზრით დაფუძნებულია მასზე. ენასა და დამწერლობას ბევრი საერთო სტრუქტურული ნიშანი აქვს.

ისევე როგორც ენა, დამწერლობაც საკომუნიკაციო საშუალებაა, მაგრამ ბგერითი ენისაგან განსხვავებით, იგი არ არის შეზღუდული დროსა და სივრცეში, ამდენად იგი უზრუნველყოფს შეტყობინებათა გადაცემას ნებისმიერ მანძილზე, აგრეთვე მათ ფიქსირებას დროში.

ამით განისაზღვრება ის მნიშვნელობა, რაც *დამწერლობას* მიეწერება ენობრივ სტრუქტურათა დროში ცვალებადობისა და გარდაქმნის შესწავლის თვალსაზრისითაც.

1.2. ბარკვეული ტიპის დამწერლობის მეშვეობით ენობრივი შეტყობინებები ფიქსირდება მოცემული დამწერლობით შესრულებული ტექსტების სახით. სწორედ ამგვარად შედგენილი ტექსტები წარმოადგენს მოცემული ენის წერილობით ძეგლებსა თუ ნიმუშებს.

1.3. *დამწერლობის* ერთეულებს შორის გარკვეული მიმართებები არსებობს; ამ ერთეულთა სიმრავლე დალაგებულია, ისინი განსაზღვრულ სტრუქტურებად ერთიანდებიან, ე.ი. *სისტემას* ქმნიან.

წერთი სისტემის ყოველი ერთეული ნიშანია. მისი აღმნიშვნელი არის გრაფიკული სუბსტანცია, რომლის საშუალებითაც ხორციელდება მოცემული ნიშნის ვიზუალური წარმოდგენა, რეპრეზენტაცია, ხოლო აღსანიშნი არის ის, რასაც ეს აღმნიშვნელი გამოხატავს, რასაც იგი შეესატყვისება: ეს შეიძლება იყოს გარკვეული ცნება, იდეა, რიცხვი, სიტყვა, მარცვალი ან ცალკეული ბგერა.

წერითი სისტემის ამგვარი გაგება საფუძველს გვაძლევს ჩავთვალოთ იგი სემიოტიკურ სისტემად, ხოლო მისი ზოგადი თეორია — *გრამატიკოლოგია* (ბერძნ. *grámmata* „ასო-ნიშნები“, *lógos* „სიტყვა“, „მოძღვრება“) ანუ *დამწერლობათმცოდნეობა* — განვხილოთ როგორც *სემიოტიკის* ერთ-ერთი დარგი. დამწერლობის მეცნიერული შესწავლისას შეიძლება გამოვიყენოთ სხვა სემიოტიკურ დისციპლინებში, პირველ რიგში — ენათმეცნიერებაში შემუშავებული ძირითადი ცნებები და დებულებები.

## 2. წერითი სისტემის „შინაარსისა“ და „გამოხატულების“ პლანი

2.1. როგორც ითქვა, წერითი სისტემის ერთეულები *ნიშნებია*, მათ აქვთ აღსანიშნი და აღმნიშვნელი; მთლიანად სისტემაც ორპლანიანია, აქვს *შინაარსის პლანი* და *გამოხატულების პლანი*.

წერითი სისტემის ორმხრივი ბუნება განაპირობებს დამწერლობათა კლასიფიკაციის შესაძლებლობას მათი შინაარსისა და გამოხატულების პლანის ხასიათის მიხედვით; ეს, თავის მხრივ, საფუძველს ქმნის სხვადასხვა წერითი სისტემის შეპირისპირებითი ანალიზისათვის.

შინაარსის პლანის ხასიათის მიხედვით შეიძლება გამოიყენოთ დამწერლობათა ორი ძირითადი ტიპი — *სემასიოგრაფია* (ანუ *იდეოგრაფია*) და *ფონოგრაფია*.

2.2. *იდეოგრაფიული* (ბერძნ. *idéa* „აზრი“, *gráphō* „ვწერ“) ტიპის წერით სისტემებში ნიშნები არ გამოხატავენ კონკრეტული ენის ბგერით მხარეს; ისინი აღნიშნავენ არა ცალკეულ სიტყვებს, მარცვლებსა თუ ბგერებს, არამედ ცალკეულ ცნებებს ან მთელ სიტუაციებს. წერითი ნიშნები ასეთ სისტემებში უშუალოდ ასახავენ ენის შინაარსის პლანს. ისინი გაიგება და აღეკვამტურად იკითხება კონკრეტული ენების სიტყვათა ბგერითი ფორმის გვერდის ავლით სრულიად განსხვავებულ ენებზე მოლაპარაკეთა მიერაც. ამ ცოდნას საფუძველად უდევს აღმნიშვნელების გაიგივება რეალური სამყაროს ობიექტებთან, რომლებსაც ისინი *იკონურად* (ბერძნ. *eikōn* „ხატი“), *ხატოვნად* ასახავენ.

*იდეოგრაფიის* ელემენტები დასტურდება მრავალ ძველ და თანამედროვე წერით სისტემაში. ასეთია, მაგალითად, უძველესი დამწერლობების — ჩინურის, ეგვიპტურის და სხვათა ნიშნები; ციფრობრივი აღნიშვნები თანამედროვე წერითი სისტემების უმრავლესობაში; მათემატიკურ სიმბოლოთა სისტემა; *ე.გ.* („მაგალითად“), *აქ.* („შეადარე“) ტიპის ნიშნები ინგლისურში და სხვ. წმინდა სახით იდეოგრაფიული წერა შეზღუდულია ნებისმიერი ინფორმაციის გადაცემის შესაძლებლობების მხრივ.

2.3. იდეოგრაფიული სისტემის წერითი ნიშნები შეიძლება გრაფიკულად ჰგავდეს აღსანიშნი ცნებების შესატყვის რეალურ ობიექტებს; ასეთი იკონური მსგავსების შემთხვევაში წერით სისტემას ეწოდება *პიქტოგრაფიული* (ლათ. *pictus* „დახატული“), ე.ი. *ხატოვანი სისტემა*, ხოლო მის ნიშნებს — *პიქტოგრაფები*. თუ ნიშანთა აღმნიშვნელები პირობითად არის დაკავშირებული სათანადო ცნებით კატეგორიებთან; ე.ი. თუ მათ გარეგნული მსგავსება არ გააჩნიათ რეალური სამყაროს ობიექტებთან (მაგალითად, ციფრული აღნიშვნები და სსგ.), მაშინ იდეოგრაფიული წერითი სისტემა შეიძლება დახასიათდეს როგორც *პირობითი* ანუ *კონვენციონალური* (ლათ. *conventio* „პირობა“, „შეთანხმება“).

2.4. *ფონოგრაფია* (ბერძნ. *phoné* „ბგერა“, *gráphō* „ვწერ“) ეწოდება ისეთ წერით სახეობას, როდესაც ნიშანთა *აღმნიშვნელები* ასახავს განსაზღვრული ენის ბგერით მხარეს და არა ენის უნივერსალურ ცნებით კატეგორიებს, რომლებიც გასაგებია კულტურული განვითარების გარკვეულ საფეხურზე მდგომი ყველა ენობრივი კოლექტივისათვის.

ფონოგრაფიულ სისტემებში წერითი ნიშნების *აღსანიშნებია* არა ცნებები, არამედ კონკრეტული ბგერითი სახის მქონე სიტყვები ან უფრო დაბალი დონის ენობრივი ერთეულები — მარცვლები და/ან ბგერები. ფონოგრაფიის შემთხვევაში წერითი სისტემის ცოდნა გულისხმობს მოცემული ენის ნიშანსა და კონკრეტულ სიტყვას ან სხვა ბგერით სეგმენტს (მარცვალს, ბგერას) შორის კავშირის წინასწარ ცოდნას.

ამგვარად, ფონოგრაფიულ სისტემებში დამწერლობა უკვე მეტყველებას ასახავს და ამ სისტემათა *შინაარსის პლანს* ენის ბგერითი მხარე შეადგენს. ასეთი წერითი სისტემის გრაფიკულ ნიშანთა *აღსანიშნებია* ბგერითი სეგმენტები (სიტყვა, მარცვალი, ბგერა).

2.5. წერითი სისტემის მინიმალურ ერთეულს, რომელსაც ფუნქციური მნიშვნელობა აქვს, *გრაფემა* ეწოდება.

ყოველი *ტექსტი* შეიძლება დაიშალოს მინიმალურ გრაფიკულ სეგმენტებად, ანუ *გრაფემად*, რომელთა ერთ გარკვეულ კლასში გაერთიანება წარმოგვიდგენს კონკრეტულ *გრაფემას*. ამგვარ კლასებში გაერთიანებული *გრაფემა* იწოდება მოცემული *გრაფემის ალოგრაფებად* (შდრ. სტრუქტურულ ერთეულთა ანალოგიური მიმართებები *ფონოლოგიურ* და *მორფოლოგიურ* დონეებზე: *ფონი* ~ *ალოფონი* ~ *ფონემა*; *მორფი* ~ *ალომორფი* ~ *მორფემა*). ფონოგრაფიულ სისტემათა ამ თვალსაზრისით შემსწავლელ დისციპლინას შეიძლება *გრაფემიკა* (ინგლ. *graphemics*) ეწოდოს.

2.6. ფონოგრაფიული სისტემა, რომელშიც *გრაფემები* კონკრეტული ენის ცალკეულ სიტყვებს აღნიშნავენ, განისაზღვრება როგორც *ლოგოგრაფიული სისტემა*, ხოლო მისი ნიშნები – როგორც *ლოგოგრამები* (ბერძნ. *lógos* „სიტყვა“, *grámma* „დაწერილობა“, „ასო“).

თუ ფონოგრაფიული სისტემის გრაფემები ცალკეულ მარცვლებს აღნიშნავენ, მაშინ ეს სისტემა განისაზღვრება როგორც *სილაბოგრაფიული*, ხოლო მისი ნიშნები – როგორც *სილაბოგრამები* (ბერძნ. *syllabḗ* „მარცვალი“).

ფონოგრაფიული სისტემა, რომელშიც გრაფემები ცალკეულ ბგერებს (ან ფონემებს) აღნიშნავენ, განისაზღვრება როგორც *ანბანური სისტემა* ანუ *ანბანი ალფაბეტი* (ბერძნ. *alphábetos*), ხოლო ასეთი გრაფემები *ასო-ნიშნებად* იწოდება.

*ანბანური წერის* შექმნა უდიდესი მიღწევა იყო კაცობრიობის კულტურულ განვითარებაში. *ანბანი* წერით სისტემათა ტიპოლოგიაში უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს, რადგან იგი მეტყველების გრაფიკული ფიქსაციის მარტივი და ეფექტური საშუალებაა. იმ წერითი ნიშნების რაოდენობის მხრივ, რომლებიც აუცილებელი და საკმარისია ბგერითი (ზეპირი) მეტყველების სრულად ჩასაწერად და მანძილსა თუ დროში შეტყობინებათა გადასაცემად, *ანბანი* წერის ყველა სხვა სისტემაზე უფრო ეკონომიური და სრულყოფილია.

2.7. *ბამოხატულების პლანის* თვალსაზრისით, ფონოგრაფიულ სისტემებში შეიძლება გვექონდეს როგორც *იკონურა* ისე *პირობითი კავშირი* გრაფიკული ნიშნის *აღსანიშნა* და *აღმნიშვნელს* შორის. თუკაცა ამაზე მსჯელობას აზრი აქვს მხოლოდ ლოგოგრაფიული სისტემის მიმართ, რომლის ნიშნებიც შეიძლება იყოს ან *პიქტოგრამები*, ან *პირობითი გრაფიკული სიმბოლოები*. სილაბოგრამები და ანბანის ასო-ნიშნები საფესვით *პირობითია*, რადგან მათი აღსანიშნები მოკლებულია ყოველგვარ „შინაარსს“ (თვითონ ნიშნებს არ წარმოადგენენ) და აღმნიშვნელები მათ გრაფიკულად ვერ დაემსგავსება (წერითი ნიშნების პიქტოგრაფიულობაზე ამ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ ისტორიულ პლანში). თავის ისტორიულ განვითარებაში *ლოგოგრამა* კარგავს თავდაპირველ გამოსახულებით კავშირსა და მგავსებას აღსანიშნ ობიექტთან (აღსანიშნებთან ანუ დენოტატებთან); *ლოგოგრამა* უფრო სქემატური ხდება, თანდათან პირობით ნიშნად გადაიქცევა და აღარ აღიქმება საკუთრივ *პიქტოგრამად*. თავდაპირველი ხატები-პიქტოგრამები გადაიქცევა ამა თუ იმ სიტყვის, მარცვლის ან ბგერის გამომხატველ პირობით სიმბოლოებად.

წერითი სისტემის *გამოხატულების პლანის* ამგვარი გარდაქმნები შეიძლება ილუსტრირებული იქნეს კაცობრიობის უძველეს დამწერლობათა

განვითარების ისეთ მაგალითებზე, როგორც არის *ძველევგვიტური ჰიეროგლიფიკა* (ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლო), *შუმერული დამწერლობა* (ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისი) და *ძველი ჩინური წერა* (ძოყოლე-ბული ძვ. წ. II ათასწლეულიდან):

**წერის ნიშანთა ანატომოგრაფიულ-იდეოგრაფიული წარმომავლობა**

ფრინველი				
ოქვნი				
სახედაარი				
ხარი				
უხე				
თავთაუი, მარცვალი				
ბაღი				
სახნისი				
ბუქურანცი				
ფეხი				

*შუმერულ-აქადური „ლურსმული“ („სოლისებრი“) დამწერლობა*

პიროგლიფური ნიშანი (კლასიკური ფორმა)	თავდაპირველი მნიშვნელობა	ნიშანთა გვიანდელი მოსაზულობა	
		პირატული წერა	დემოტური წერა
Ⲁ	ლერწმის ფოთილი	Ⲁ	Ⲁ
Ⲃ	ფესი	Ⲃ	Ⲃ
Ⲅ	წყალი	Ⲅ	Ⲅ
Ⲇ	კვარცხლბეკი	Ⲇ	Ⲇ
Ⲉ	ბუ	Ⲉ	Ⲉ

ძველეგვიპტური დამწერლობა









ძველი ფორმა	თანამედროვე ფორმა	მნიშვნე- ლობა	ძველი ფორმა	თანამედ- როვე ფორმა	მნიშვნე- ლობა
Ⲁ	Ⲁ	მზე	Ⲁ	Ⲁ	ბავშვი
Ⲃ	Ⲃ	მთა	Ⲃ	Ⲃ	ძალღი
Ⲅ	Ⲅ	თვალი	Ⲅ	Ⲅ	ცხენი
Ⲇ	Ⲇ	პირი	Ⲇ	Ⲇ	თევზი

ჩინური დამწერლობა

2.8. დამწერლობის განვითარებაში უემდგომ ეტაპს წარმოადგენს შინა-არსის პლანის გარდაქმნა იმ მიმართულებით, რომ ლოგოგრაფთა თავდაპირველი სიტყვითი მნიშვნელობის პარალელურად იწყებს ამ სიტყვის უმადგენელი ბგერათკომპლექსების — ძირითადად მარცვლების, ასევე ცალკეული თანხმოვნებისა და ხმოვნების გამოხატვასაც. ლოგოგრაფიასთან ერთად წერის ამგვარ სისტემებში ვითარდება სილაბოგრაფიული პრინციპი, რის შედეგადაც ყალიბდება ტიპოლოგიური

თვალსაზრისით შერეული ლოგოგრაფიულ-სილაბოგრაფიული წერითი სისტემები როგორც არის ზემოთ დასახელებული დამწერლობები — ძველევგობტური, შუაშერული, ჩინური და სსც.





**ლოგოგრაფიული და ფონოგრაფიული პრინციპების შერწყმა ძველევგობტური დამწერლობის ნიშნებში (მარცვლის გამომხატველი ლოგოგრაფების მნიშვნელობა)**

პიერო-გლოფი	ლოგოგრა-ფიული მნიშვნელობა	ფონოგრა-ფიული მნიშვნელობა	პიერო-გლოფი	ლოგოგრა-ფიული მნიშვნელობა	ფონოგრა-ფიული მნიშვნელობა
	ლერწმის ფოთოლი	ქ+ნებისძიერი ხმოყანი		პირი	რ+ნებისძიერი ხმოყანი
	წიწილა	ჰ+ნებისძიერი ხმოყანი		ლერწმის ჯებირი	ჩ+ნებისძიერი ხმოყანი
	ფეხი, სელა	ხ+ნებისძიერი ხმოყანი		წყალსატევი	ჭ+ნებისძიერი ხმოყანი
	საძირკველი	პ+ნებისძიერი ხმოყანი		კალათა	კ+ნებისძიერი ხმოყანი
	გველი, ქვეწარმავალი	ფ+ნებისძიერი ხმოყანი		კვარცხლბიკი	გ+ნებისძიერი ხმოყანი
	ბუ	მ+ნებისძიერი ხმოყანი		პური	ღ+ნებისძიერი ხმოყანი
	ტალღა, წყალი	ნ+ნებისძიერი ხმოყანი		ხელის გული	ძ+ნებისძიერი ხმოყანი
	ქოთანა	ნჰ+ნებისძიერი ხმოყანი		კურდღელი	ჟნ+ნებისძიერი ხმოყანი
	ლოში	რჰ+ნებისძიერი ხმოყანი		მარაო	მწ+ნებისძიერი ხმოყანი

დამწერლობის შინაარსისა და გამოხატულების პლანის ურთიერთობის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა განსხვავებული პიქტოგრაფების საერთო ლოგოგრაფიაში კომბინირება ახალი ლოგოგრაფიული მნიშვნელობის გადმოსაცემად:


















შუპერული წერის „შედგენილი“ ლოგოგრაფები

	„გარეული ხარი“ (=ხართ მთა)
	„ჭამა“ (=პირი პური)
	„ქალბატონი“ (=ქალი კაბა)
	„დაბადება, შობა“ (=ფრინველი კვერცხი)

იდეოგრაფიული წერის ნაშთები აღნიშნულ წერით სისტემებში შემორჩენილია ე.წ. დეტერმინატივების სახით, რომლებიც ერთგვარი სემანტიკური კლასიფიკატორების ფუნქციას ასრულებენ, ანუ მიაჩვენებენ იმაზე, თუ რომელ სემანტიკურ ჯგუფს განეკუთვნება საკლასიფიკაციო სიტყვა, არის იგი, მაგალითად, „ქალის“, „მამაკაცის“, „ცხოველის“, „მცენარის“ თუ რომელიმე სხვა კატეგორიის აღმნიშვნელი სიტყვა.

ძველეგვიპტურ დამწერლობაში გამოყენებული სემანტიკური დეტერმინატივები

				
მამაკაცი	ქალი	ხე	მცენარე	
				
ქალაქი	წყალი	შენობა	სითხე	ნაყი, გეში
				
მიწა, ნაკვეთი	სარწყავი მიწა	უდაბნო, უცხო ქვეყანა	სხეულის ნაწილი	სინათლე, დრო



2.9. *ფონოგრაფიული წერიითი სისტემის შინაარსის პლანი* არის სხვადასხვა დონის ენობრივი ერთეულების (ბგერების, მარცვლების, სიტყვების), აგრეთვე გარკვეული რიცხვითი ცნებების სიმრავლე. სხვადასხვა წერით სისტემებში ეს ერთეულები აღინაშნება შესაბამისი გრაფიკული ნიშნებით, რომელთა კონკრეტული ერთობლიობა შეადგენს ამა თუ იმ წერითი სისტემის *გამოხატულების პლანს*.


ნიშანთა გრაფიკული ფორმის (მოსაზულობის) გარდა, წერითი სისტემის *გამოხატულების პლანს* განეკუთვნება სისტემაში ნიშანთა თანმიმდევრობა, წერის მიმართულება, ნიშანთა სპეციფიკური სასელწოდებები და სხვ.

დამწერლობის ისტორიული განვითარება შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც პროცესი, რომელიც საკუთრივ ანბანური დამწერლობის შექმნამდე თანმიმდევრულად გაივლის რამდენიმე ეტაპს — *იდეოგრაფიას, სილაბურ-ლოგოგრაფულ წერას, საკუთრივ სილაბურს, სილაბურ-კონსონანტურ წერას*.

ისტორიულად დადასტურებული წერითი სისტემები უფრო ხშირად არაერთგვაროვანია, მათში თანაარსებობს სხვადასხვა ტიპის ნიშნები: იდეოგრამები, ლოგოგრამები, სილაბოგრამები, მოგვიანებით — სიმბოლოები ცალკეული ბგერებისათვის. ნებისმიერ ანბანურ დამწერლობაში შეიძლება შეგვხვდეს იდეოგრაფიის ელემენტები. არსებითად არაერთგვაროვანია პირველი ცნობილი წერითი სისტემებიც, რომლებიც, როგორც ჩანს, ერთმანეთისაგან დაშოუკადებლად არის შექმნილი (ეგვიპტური, შუმერული, ჩინური და სხვ.).

2.10. დამწერლობის შექმნის უახლესი კონცეფციებიდან აღსანიშნავია ამერიკელი მეცნიერის *დენიზ შმანდტ-ბესერატის (Denise Schmandt-Besserat)* შიპოთეზა. ამ შიპოთეზის თანახმად, წერა კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის იმ სახეობიდან უნდა მომდინარეობდეს, რომელიც თავდაპირველად წარმოიქმნა მიწათმოქმედთა აღრეულ საზოგადოებაში

ჭარბი პროდუქტის აღრიცხვის საჭიროების გამო. ამ ტიპის საინფორმაციო პროცესი ხორციელდებოდა გარესამყაროს გარკვეული ობიექტების (ცხოველების, ფრინველების, მარცვლეულის თუ მეურნეობის სხვა პროდუქტების) სიმბოლურად ამსახველი თიხის პატარა გეომეტრიული ფიგურების მეშვეობით — *კონუსებით, სფეროებით, დისკოებით, მართკუთხედებით, ცილინდრებითა* და სხვ. *კონუსი* მაგალითად, აღნიშნავდა „მცირე რაოდენობის მარცვლეულს“, *დისკო* — „მარცვლეულის დიდ რაოდენობას“, *ცილინდრი* — „ერთ-ერთ ცხოველს“ და ა.შ.



გეომეტრიული ფიგურა-სიმბოლოები

ამგვარი თიხის *ფიგურა-სიმბოლოების* (ინგლ. *tokens*) გამოყენება მოასწავებდა არსებითად *ვიზუალური კოდის* შექმნას აღრიცხვის მიზნით და კაცობრიობის ისტორიაში პირველი *სიმბოლური საკომუნიკაციო სისტემის* ჩამოყალიბებას.

თიხის *ფიგურა-სიმბოლოები* როგორც უძველესი ვიზუალური საკომუნიკაციო სისტემა, გავრცელებული უნდა ყოფილიყო მთელ ანლო ამოსავლეთში ძვ. წელთაღრიცხვის VIII ათასწლეულიდან.


IV ათასწლეულში, როდესაც ჩნდება პირველი ქალაქები, ამგვარი თიხის *ფიგურა-სიმბოლოების* ერთობლიობა გარდაიქმნება საკმაოდ რთულ სააღრიცხვო სისტემად, რომელიც მოიცავს დამატებითი ხაზებითა და წერტილებით გართულებულ სამასამდე თიხის *ფიგურა-სიმბოლოს*. ასეთი *ფიგურა-სიმბოლოები* აღნიშნავდნენ სხვადასხვა ტიპის საგნებს, საქონელსა და საკვებს: ძროხას, ცხვარს, მატყლს, ფრინველს, მარცვლეულს, ქსოვილს, ჭურჭელსა და სხვ.

*ფიგურა-სიმბოლოები* თავსდებოდა სფეროსებურ თიხის ჭურჭელ-სათაფებში (ინგლ. *envelope* „კონვერტი“), რომლებიც სათანადო სააღრიცხვო ინფორმაციას შეიცავდნენ. ხშირად ამგვარი თიხის სათაფსების რბილ ზედაპირზე *ფიგურების* ჩაჭყლევით აღიბეჭდებოდა თვით ეს *ფიგურა-სიმბოლოებიც*, რაც ერთგვარად მიანიშნებდა, თუ რას შეიცავდა

ესა თუ ის „კონვერტი-სათავსი“. ეს იყო პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი საკუთრივ წერის შექმნის მიმართულებით, რამდენადაც ამ შემთხვევაში სამგანზომილებიანი ფიგურა-სიმბოლოები იცვლებოდა ეკვივალენტური ორგანზომილებიანი ნიშნებით, რომლებიც მიიღებოდა სათავსის ზედაპირზე სათანადო ფიგურა-სიმბოლოების აღბეჭდვით.



სფერული ფორმის თიხის ჭურჭელ-სათავსი



სათავსის „გაბრტყელების“ შედეგად მიღებული ოვალური ფორმის თიხის ფირფიტა

ამგვარი სისტემის არსებითი გამარტივება ხდება IV ათასწლეულის შუა ხანებში: ფიგურა-სიმბოლოების უშუალოდ სფეროსებურ ჭურჭელში მოთავსების ნაცვლად იწყება ამგვარი სათავსების გაბრტყელება და სათანადო ნიშნების უკვე ბრტყელ ზედაპირზე აღბეჭდვა; წარმოიქმნება *თიხის ფირფიტები*, რომლებზედაც აღბეჭდილი სიმბოლოები — უკვე როგორც დამოუკიდებელი *ორგანზომილებიანი ნიშნები* — გამოხატავენ მრავალ სხვადასხვა საგანს: მარცვლეულს, ცხვარს, ზეთს, ქსოვილს...

IV ათასწლეულის ბოლოსათვის თიხის რბილ ფირფიტებზე ფიგურა-სიმბოლოების ჩაჭყლეთა-აღბეჭდვის ნაცვლად იწყება წაწვეტილებული ჩხირის — *სტილოსის* — მეშვეობით მათი გამოყვანა-ჩახატვა. ამასთანავე, ასეთი ნიშანი-სიმბოლო უკვე აღარ არის ურთიერთცალსახა დამოკიდებულებაში აღსანიშნ საგანთან. ასე, მაგალითად, „ათი ქილა ზეთი“ აღარ გამოიხატებოდა ათი *ოვოიდური* — კვერცხის ფორმის — *ფიგურა-ნახატით*, ნაცვლად ამისა, „ერთი ქილა ზეთის“ გამოხატველი ნიშანი იხმარებოდა აქ აბსტრაქტული რიცხვის გამოხატველი ნიშნის გვერდით. ასე, მაგალითად, ნიშანი „10“ შეიძლებოდა ეხმარათ იმისაგან დამოუკიდებ-

ლად, თუ რას ითვლიდნენ: იყო ეს „ათი ცხვარი“ თუ „ათი ქილა ზეთი“. ეს არის უკვე *რიცხვის* როგორც დამოუკიდებელი, საგანს მოწყვეტილი კატეგორიის ჩამოყალიბება და მისი სათანადოდ გამოხატვა.

აბსტრაქტული რიცხვებისათვის გამოიყენებოდა არა რაღაც განსაკუთრებული სიმბოლიკა, არამედ პირველადი ფიგურა-სიმბოლოების ინვენტარი: მაგალითად, *კონუსი*, რომელიც თავდაპირველად გამოხატავდა „მარცვლეულის მცირე რაოდენობას“, გამოიყენებოდა აგრეთვე „1“-ის აღსანიშნავად, ხოლო *დისკო*, რომელიც თავდაპირველად გამოხატავდა „მარცვლეულის დიდ რაოდენობას“, გამოიყენებოდა აგრეთვე „10“-ის აღსანიშნავად, რაც ნიშანთა მნიშვნელოვან ეკონომიას იძლეოდა: ასე, მაგალითად, „33 ქილა ზეთი“ გამოიხატებოდა უკვე მხოლოდ *შეიდი ნიშნის* საშუალებით: „10“ „10“ „10“ „1“ „1“ „1“ სიმბოლოთა მიმდევრობით, რასაც ერთვოდა ნიშანი „*ქილა ზეთი*“ (და არა *33 ნიშნის* საშუალებით — ე.ი. „*ქილა ზეთი*“ ნიშნის *33*-ჯერ გაძეგრებით, როგორც ეს რიცხვის აღმნიშვნელი სიმბოლოების გამოყენების გარეშე უნდა მომხდარიყო). ამასთანავე, ამ გზით წარმოქმნილი *რიცხვ-ნიშანთა სისტემა* და მანამდე უკვე ჩამოყალიბებული *საგანთა აღმნიშვნელ სიმბოლოთა სისტემა* შემდგომში სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებოდა.

თიხის რბილ ფირფიტაზე ფიგურა-სიმბოლოების არა უშუალოდ აღბეჭდვა, არამედ *სტილოსით* მათი გამოყვანა გვაძლევს შესაბამისი საგნის ამსახველ *ნახატს* ანუ *პიქტოგრაფიას*; ამგვარი *პიქტოგრაფა* უკვე გარკვეული საგნის აღმნიშვნელ *წერილობით ნიშანს* წარმოადგენს, რომელიც სათანადოდ „წაიკითხება“ მოცემულ ენაზე.





































უძველეს ხანაში მთელ ახლო აღმოსავლეთში გავრცელებული ეს თიხის ფიგურა-სიმბოლოები და სფეროსებური ჭურჭელ-სათავსები („კონვერტები“) განსაკუთრებით დიდი რაოდენობით აღმოაჩინეს ქალაქ *ურუქსა* და შუამდინარეთის სხვა უძველეს ქალაქებში. მეცნიერებისათვის მათი დანიშნულება დიდი ხნის განმავლობაში გაურკვეველი რჩებოდა და ისინი თავდაპირველად რაღაც უმნიშვნელო საკულტო საგნებად მიიჩნეოდა. ამ ობიექტების განხილვა უძველეს საკომუნიკაციო სიმბოლოებად, რომელთაგანაც წარმოდგება ე.წ. *შუმერული სოლისებრი წერისა* და სხვა ძველადმოსავლურ დამწერლობათა ნიშნები, ნათელს ჰყენს წერის ჩასახვისა და განვითარების საწყის ეტაპებს.

ეს უძველესი ეტაპები ცივილიზაციის განვითარებაში და დამწერლობის როგორც საკომუნიკაციო საშუალების შექმნაში ასახავენ ადამიანის კოგნიტიური ევოლუციის უმნიშვნელოვანეს საფეხურებს, რაც გამოიხატება *წერის* აღმოჩენასა და *რიცხვის* როგორც აბსტრაქტული, საგნისაგან დამოუკიდებელი კატეგორიის ჩამოყალიბებაში (იხ. *მომდევნო ტაბულა*):

თიხის ჭურჭელ-სათავსზე აღბეჭდილი სტილოსით ფირფიტაზე გამოყვანილ წერით ნიშნებად

ზიგურა-სიგოლოს ტიპი		I	II	III	IV	V	VI
სჯარო	ღისკო	კონუსი	ტეტრაედრი	ბიკონოიდი	ოვრიდი		
ზიგურა-სიგოლოსი	ზიგურა-სიგოლოსი	ზიგურა-სიგოლოსი	ზიგურა-სიგოლოსი	ზიგურა-სიგოლოსი	ზიგურა-სიგოლოსი	ზიგურა-სიგოლოსი	ზიგურა-სიგოლოსი
"10"	დასაჯ-დომი	"1"		კარგი ტკბილი	ლოუს-მანი		
"10"	სამოსი	"60"		სამარ-თალი, მშვიდობა	ზეთი		
"10"	სამოსი	"600"		გული; საშვი-ლოსნო	რაც ცხოველი		
"100" ან "3600"	მატყელი	პური		სამაჯური, ბეჭედი			
"36000"	ცხვარი	სურნელი		ადგილი, ქვეყანა			
	ნერი (დედალი ცხვარი)						

ფიგურა-სიმბოლოების გარდაქმნა  
 - შუემრულ პიქტოგრამებად (D. Schmandt-Besserat)

VII	IX	XII	XIII	XIV	XV
					
ცილინდრი	სამკუთხედი	მართკუთხედი	ჭურჭელი	ცხენი	სხვადასხვა
უძველესი სიმბოლოები შუამრული მიხრობა	უძველესი სიმბოლოები შუამრული მიხრობა	უძველესი სიმბოლოები შუამრული მიხრობა	უძველესი სიმბოლოები შუამრული მიხრობა	უძველესი სიმბოლოები შუამრული მიხრობა	უძველესი სიმბოლოები შუამრული მიხრობა
 ხე. ფიგურა			 ქილა, ჭურჭელი	 ძელე	 საწილი
 	  ქვის ჭურჭელი	  ბელელი	 რძის ქილა	  ძროხა	
	  ლითონი	 	 ქილა, ჭურჭელი	 ლიძი	
	  მთა, გორაკი	 	 ქილა, ჭურჭელი		
	 	  საფენსა, საგებელი			

2.11. დამწერლობის ისტორიაში უდიდესი მონაპოვარი იყო მოგვიანებით შექმნილი ძვ. სემიტური *სილაბურ-კონსონანტური წერითი სისტემა*, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა წერის განვითარების ახალ ეტაპს და ნიადაგი შეუშადა თვისებრივად განსხვავებულ წერით სისტემას — *ანბანს*.

ჩრდილო-დასავლურსემიტური, ე.წ. *პროტო-სემიტური კონსონანტური დამწერლობა* წარმოიქმნა ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში იმ კულტურულ არეალში, რომელიც მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას სინას ნახევარკუნძულიდან ჩრდილოეთ სირიამდე. ძვ. წ. დაახლოებით II-I ათასწლეულების მიჯნაზე დასავლურსემიტური ტიპის დამწერლობა სტაბილური *კონსონანტური წერის* სახეს იძენს. მისი უშუალო გაგრძელებაა სემიტური დამწერლობის სამი ძირითადი ქვეტიპი: *ფინიკური, პალესტინური (ქანაანური)* და *არამეული*.

### 3. დამწერლობის „პარადიგმატიკა“ და „სინტაგმატიკა“

3.1. მნათმეცნიერებიდან *გრამატოლოგიაში*, როგორც სემიოტიკის ერთ-ერთ დარგში, შეიძლება შემოვიტანოთ არა მარტო გამოხატულებისა და შინაარსის პლანის ცნებები, არამედ *პარადიგმატიკისა* და *სინტაგმატიკის* ცნებებიც. დამწერლობის სრულყოფილი მეცნიერული ანალიზი აუცილებლად მოითხოვს პარადიგმატული და სინტაგმატური პლანების გამოიყენებას.

*წერითი სისტემის პარადიგმატიკა* გულისხმობს ნიშანთა (გრაფემების) წრფივ დალაგებას (თანმიმდევრობას, რიგს) *სისტემაში* დამწერლობის პარადიგმატიკა არის სტრუქტურა, რომელიც განისაზღვრება გრაფიკულ ერთეულთა სიმრავლის დალაგების წესებითა და მათი წარმოდგენით გარკვეული წრფივი მიმდევრობის სახით. ყოველ დამწერლობას აქვს საკუთარი *პარადიგმატული სტრუქტურა*, ე.ი. სისტემაში ელემენტების განსაკუთრებული რიგი.

სისტემაში გრაფიკულ ნიშანთა წრფივ დალაგებას, რომელიც ამ სისტემის პარადიგმატიკას განსაზღვრავს, შეიძლება სხვადასხვა პრინციპი ედოს საფუძველად. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა მსგავსება წერით ნიშანთა მოხაზულობაში, აგრეთვე გრაფიკულად გამოხატულ ბგერათა ფონეტიკური მსგავსება.

*წერის სინტაგმატიკა* გულისხმობს ტექსტში გარკვეული თანმიმდევრობით წარმოდგენილ ნიშანთა (გრაფემათა) ურთიერთმიმართებას ცალკეული სიტყვების ან სინტაგმატური პლანის უფრო გრძელი ერთეულების ფარგლებში.



კონსონანტურ-სილაბური წერიითი სისტემა პარადიგმატულად კონსონანტურია, სინტაგმატურად კი სილაბური. იგი ერთგვარად შეაღებურია თანმიმდევრულად სილაბურ (მაგალითად, ბერძნულ Β-ხაზოვან) წერით სისტემასა და საკუთრივ ანბანურ (კლასიკური ბერძნულის ტიპის) სისტემას შორის.

3.2. ძველი სემიტური კონსონანტურ-სილაბური დამწერლობა შეიცავს 22 ხაზოვან გრაფემას, რომლებიც წარმოდგენილია მკაცრი რიგით. იგივე გრაფემები წერის სინტაგმატიკაში მარცვლის გამოხატველ ნიშანთა ფუნქციას ასრულებენ — თითოეული გრაფემა გამოხატავს გარკვეულ თანხმოვანს ნებისმიერი მომდევნო ხმოვნით ან უხმოვნოდ, რასაც მოცემული სიტყვის აგებულება განსაზღვრავს (წერის საკუთრივ სილაბურ სისტემაში გრაფიკული სიმბოლოები თანხმოვნისა და კონკრეტული ხმოვნის მიმდევრობას აღნიშნავენ). მაგალითად, პროტო-სემიტური დამწერლობის ნიშნები, რომლებიც პარადიგმატულად ['] და [b] თანხმოვანთა მნიშვნელობებს გამოხატავენ (მათი სახელებია, შესაბამისად, 'ālep<sup>h</sup> და bē<sup>h</sup>), ტექსტში ერთად ხმარებისას უკვე C(V) სტრუქტურის, ე.ი. „თანხმოვანი პლუს ხმოვანი“, ან „თანხმოვანი პლუს Ø“ მარცვალს აღნიშნავენ და არა ცალკეულ თანხმოვნებს. მაგალითად, ძველ ფინიკურში 'b მიმდევრობა სხვადასხვა კონტექსტში იკითხება როგორც 'ab „მამა“ ან 'abī „მამაჩემი“; ე.ი. „'ālep<sup>h</sup>“ გრაფიკული ნიშანი აქ /'a/ მარცვალს აღნიშნავს, ხოლო „bē<sup>h</sup>“ ნიშანი — /b/ ან /bØ/ მარცვალს.

3.3. ძველი სემიტური დამწერლობის ნიშანთსახელების წარმოშობის საკითხი არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი. სავარაუდოა, რომ ეს სახელწოდებები გაჩნდა როგორც პირობითი სიტყვები, რომელთა საწყისი თანხმოვნები ემთხვეოდა სათანადო სიმბოლოებით აღნიშნულ თანხმოვნებს. მაგალითად, ['] ბგერის აღმნიშვნელ ნიშანს იმიტომ დაერქვა 'ālep<sup>h</sup> „ხარი“, რომ ამ სიტყვის საწყისი თანხმოვანია [']; ამავე მიზეზით დაერქვა [b] ბგერის აღმნიშვნელ ნიშანს bē<sup>h</sup> „სახლი“ და ა.შ. მსგავსი პრინციპია გატარებული, მაგალითად, ძველ სლავურ ანბანში: a=az „მე“, b=buki „ასო-ნიშანი“, v=vedi „ცოდნა“ და ა.შ.

#### 4. წერის ანბანური სისტემის შექმნა

4.1. ძველი სემიტური კონსონანტურ-სილაბური დამწერლობიდან წერის თანმიმდევრულად ანბანურ სისტემაზე გადასვლა განხორციელდა ძველ

ბერძნულ დამწერლობაში. ხმოვნებისათვის შეიქმნა სპეციალური ნიშნები — სემიტურის ზოგიერთი სიმბოლოს კონსონანტური მნიშვნელობა, რომელიც „ზედმეტი“ აღმოჩნდა ბერძნულისათვის, შეიცვალა ფოკალური მნიშვნელობით. პარადიგმატიკაში ამ ცვლილებას მოჰყვა წერის სინტაგმატიკის ძირეული გარდაქმნა — კონსონანტური ნიშნები უკვე საკუთრივ თანხმოვნების აღმნიშვნელი გახდა და არა C(V) სტრუქტურის მარცვლებისა. კერძოდ, ბერძნული ენისათვის ფინიკური დამწერლობის მსადაგების მიზნით [ʾ], [h], [j], [ʿ] და [w] თანხმოვნების აღმნიშვნელი გრაფემები ბერძნულ სისტემაში გარდაიქმნა სიმბოლოებად, რომელთაც ჰქონდათ, შესაბამისად, [a], [e], [i], [o], [u] ხმოვანთა (და მათი გრძელი კორელატების) მნიშვნელობები როგორც პარადიგმატიკაში ისე სინტაგმატიკაში.

საქონის პ. რიგითობა	ფონეტიკური მნიშვნელობა	არაბული ბაჰაჰალი	ბერძნული			ანბანური			ლამინარლობა			სლავური ანბანი	არაბული მნიშვნელობა	სლავური ბაჰაჰალი	
			ა	ბ	გ	ა	ბ	გ	ა	ბ	გ				
			ა	ბ	გ	ა	ბ	გ	ა	ბ	გ				
Ⲁ	1	ΑΔ	α	ⲀΑ	ⲀΑ	ⲀΔ	α	ⲀΑ	ⲀΑ	ⲀΑ	α	Ⲁ	α	1	Ⲁ
Ⲃ	2	ΒΒ	β	ⲂΒ	ⲂΒ	ⲂⲂ	β	ⲂΒ	Ⲃ	Ⲃ	β	Ⲃ	β	2	Ⲃ
Ⲅ	3	ΓΓ	γ	ⲄⲄ	Ⲅ	ⲄⲄ	γ	ⲄΓ	Ⲅ	ⲄⲄ	γ	Ⲅ	γ	3	Ⲅ
Ⲇ	4	Δ	δ	ⲆⲆ	Ⲇ	ⲆⲆ	δ	ⲆⲆⲆ	Ⲇ	ⲆⲆ	δ	Ⲇ	δ	4	Ⲇ
Ⲉ	5	ⲈⲈ	ε	ⲈⲈ	ⲈⲈ	ⲈⲈ	ε	ⲈⲈⲈ	Ⲉ	ⲈⲈ	ε	Ⲉ	ε	5	Ⲉ
Ⲋ	6	ⲊⲊ	ζ	ⲊⲊ	ⲊⲊ	ⲊⲊ	ζ	ⲊⲊⲊ	Ⲋ	ⲊⲊ	ζ	Ⲋ	ζ	6	Ⲋ
Ⲍ	7	ⲌⲌ	η	ⲌⲌ	ⲌⲌ	ⲌⲌ	η	ⲌⲌⲌ	Ⲍ	ⲌⲌ	η	Ⲍ	η	7	Ⲍ
Ⲏ	8	ⲎⲎ	θ	ⲎⲎ	ⲎⲎ	ⲎⲎ	θ	ⲎⲎⲎ	Ⲏ	ⲎⲎ	θ	Ⲏ	θ	8	Ⲏ
Ⲑ	9	ⲐⲐ	ι	ⲐⲐ	ⲐⲐ	ⲐⲐ	ι	ⲐⲐⲐ	Ⲑ	ⲐⲐ	ι	Ⲑ	ι	9	Ⲑ
Ⲓ	10	ⲒⲒ	κ	ⲒⲒ	ⲒⲒ	ⲒⲒ	κ	ⲒⲒⲒ	Ⲓ	ⲒⲒ	κ	Ⲓ	κ	10	Ⲓ
Ⲕ	20	ⲔⲔ	λ	ⲔⲔ	ⲔⲔ	ⲔⲔ	λ	ⲔⲔⲔ	Ⲕ	ⲔⲔ	λ	Ⲕ	λ	20	Ⲕ
Ⲗ	30	ⲖⲖ	μ	ⲖⲖ	ⲖⲖ	ⲖⲖ	μ	ⲖⲖⲖ	Ⲗ	ⲖⲖ	μ	Ⲗ	μ	30	Ⲗ
Ⲙ	40	ⲘⲘ	ν	ⲘⲘ	ⲘⲘ	ⲘⲘ	ν	ⲘⲘⲘ	Ⲙ	ⲘⲘ	ν	Ⲙ	ν	40	Ⲙ
Ⲛ	50	ⲚⲚ	ξ	ⲚⲚ	ⲚⲚ	ⲚⲚ	ξ	ⲚⲚⲚ	Ⲛ	ⲚⲚ	ξ	Ⲛ	ξ	50	Ⲛ
Ⲝ	60	ⲜⲜ	ο	ⲜⲜ	ⲜⲜ	ⲜⲜ	ο	ⲜⲜⲜ	Ⲝ	ⲜⲜ	ο	Ⲝ	ο	60	Ⲝ
Ⲟ	70	ⲞⲞ	π	ⲞⲞ	ⲞⲞ	ⲞⲞ	π	ⲞⲞⲞ	Ⲟ	ⲞⲞ	π	Ⲟ	π	70	Ⲟ
Ⲡ	80	ⲠⲠ	ρ	ⲠⲠ	ⲠⲠ	ⲠⲠ	ρ	ⲠⲠⲠ	Ⲡ	ⲠⲠ	ρ	Ⲡ	ρ	80	Ⲡ
Ⲣ	90	ⲢⲢ	σ	ⲢⲢ	ⲢⲢ	ⲢⲢ	σ	ⲢⲢⲢ	Ⲣ	ⲢⲢ	σ	Ⲣ	σ	90	Ⲣ
Ⲥ	100	ⲤⲤ	τ	ⲤⲤ	ⲤⲤ	ⲤⲤ	τ	ⲤⲤⲤ	Ⲥ	ⲤⲤ	τ	Ⲥ	τ	100	Ⲥ
Ⲧ	200	ⲦⲦⲦ	υ	ⲦⲦⲦ	ⲦⲦⲦ	ⲦⲦⲦ	υ	ⲦⲦⲦⲦ	Ⲧ	ⲦⲦⲦ	υ	Ⲧ	υ	200	Ⲧ
Ⲩ	300	ⲨⲨⲨ	φ	ⲨⲨⲨ	ⲨⲨⲨ	ⲨⲨⲨ	φ	ⲨⲨⲨⲨ	Ⲩ	ⲨⲨⲨ	φ	Ⲩ	φ	300	Ⲩ
Ⲫ	400	ⲪⲪ	χ	ⲪⲪ	ⲪⲪ	ⲪⲪ	χ	ⲪⲪⲪ	Ⲫ	ⲪⲪ	χ	Ⲫ	χ	400	Ⲫ
Ⲭ	500	ⲬⲬ	ψ	ⲬⲬ	ⲬⲬ	ⲬⲬ	ψ	ⲬⲬⲬ	Ⲭ	ⲬⲬ	ψ	Ⲭ	ψ	500	Ⲭ
Ⲯ	600	ⲮⲮ	ω	ⲮⲮ	ⲮⲮ	ⲮⲮ	ω	ⲮⲮⲮ	Ⲯ	ⲮⲮ	ω	Ⲯ	ω	600	Ⲯ
Ⲱ	700	ⲰⲰ	Ⲱ	ⲰⲰ	ⲰⲰ	ⲰⲰ	Ⲱ	ⲰⲰⲰ	Ⲱ	ⲰⲰ	Ⲱ	Ⲱ	Ⲱ	700	Ⲱ
Ⲳ	800	ⲲⲲ	Ⲳ	ⲲⲲ	ⲲⲲ	ⲲⲲ	Ⲳ	ⲲⲲⲲ	Ⲳ	ⲲⲲ	Ⲳ	Ⲳ	Ⲳ	800	Ⲳ

ძვ. სემიტური დამწერლობის დანარჩენი გრაფიკული სიმბოლოები ბერძნულში შენარჩუნებული იქნა კონსონანტურის მნიშვნელობით.

ამგვარად, ბერძნულ დამწერლობაში გრაფიკულ ნიშნებს ერთნაირი მნიშვნელობა მიენიჭა როგორც *სინტაგმატურად*, ისე *პარადიგმატულად*. ამის შედეგად შეიქმნა წერის ახალი, *ანბანური სისტემა*, რომელმაც დასაბამი მისცა ამჟამად ცნობილ ყველა თანამედევრულად ანბანურ დამწერლობას.

4.2. წერის არქაული ბერძნული სისტემა ანბანური დამწერლობის უძველესი ნიმუშია. მისი შექმნა ივარაუდება ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში, როდესაც ძვ. სემიტური წერითი ნიშნები იმ გრაფიკულ ფორმას იძენენ, რომელიც დამახასიათებელია არქაული ბერძნული წერითი ნიშნებისათვის. პირველი ანბანი უნდა შექმნილიყო გამოიყენილი პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედების შედეგად. შექმდებოდა ეს დამწერლობა გაფრცვლდა მთელ ბერძნულ სამყაროში სხვადასხვა ადგილობრივი ვარიანტის სახით. კლასიკური ბერძნული დამწერლობა ჩამოყალიბდა ათენში ძვ. წ. V ს. ბოლოს.

4.3. როგორც ითქვა, წერის ბერძნულ სისტემაში არსებითად არის შეცვლილი ძვ. სემიტური დამწერლობის სინტაგმატიკა — ყოველი გრაფიკული სიმბოლო გამოხატავს ცალკე ფონემას, მაგრამ მასში სრულად არის შენარჩუნებული ძვ. სემიტური დამწერლობის *გამოხატულების ძღანა* ნიშანთა მოხაზულობა, სახელწოდებები, წერის მიმართულება — მარჯვნიდან მარცხნივ და ყოველ მომდევნო სტრიქონში — საპირისპიროდ, — ე.წ. *ბუსტროფედონული წერა* (ბერძნ. *bús* „ხარი“, *stréphō* „გაბრუნებ“).

## 5. დამწერლობის რიცხვ-ნიშანთა სისტემა

5.1. ბერძნული ანბანის მყარი როგი ასახავს ძველი სემიტური დამწერლობის ნიშანთა როგს. მის საფუძველზე ხდება წერითი სისტემის გამოყენება *რიცხვ-ნიშანთა სისტემა*დ, ე.ი. ასო-ნიშნებს ენიჭებათ რიცხვითი მნიშვნელობების გამოხატვის ფუნქციაც. ამიტომ ამ დამწერლობის შინაარსის ძღანი უნდა გაეგოთ არა მხოლოდ როგორც ცალკეული ნიშნებით გამოხატულ ფონეტიკურ ოდენობათა სისტემა, არამედ აგრეთვე როგორც იმ რიცხვითი ცნებების ერთობლიობა, რომელთა გამოხატვა შეიძლება ამავე გრაფიკული ნიშნებით.

5.2. ბერძნულ ენაში თვლის ათობითი სისტემის არსებობამ განაპირობა ანბანის გრაფიკული სიმბოლოების საშუალებით რიცხვების ჩაწერის ათობითი სისტემის შექმნა. პარადიგმატული რიგის პირველმა 9 სიმბოლომ გამოხატა „ერთეულები“, მომდევნო 9 სიმბოლომ — „ათეულები“, შემდეგმა 9 სიმბოლომ — „ასეულები“ (მაგალითად, რიცხვი „121“ ჩაიწერება როგორც PAK, ან APK, ან KAP და ა.შ.). „ათასეულები“ ასეთ სისტემაში აღინიშნება ძირითად სიმბოლოებზე დართული დამატებითი ნიშნებით.

რიცხვითი მნიშვნელობების გამოხატვის ასეთი სისტემა მოითხოვს 27 გრაფიკული სიმბოლოს (9x3) არსებობას, და სწორედ ამდენი ნიშანია კლასიკურ ბერძნულ დამწერლობაში. საყურადღებოა, რომ მისი პარადიგმატული რიგიდან არ არის ამოღებული ის ნიშნები, რომლებმაც დაკარგეს ყოველგვარი ფონეტიკური მნიშვნელობა ბერძნულ დიალექტებში მომხდარი ფონეტიკური ცვლილებების შედეგად. ეს ნიშნები ანბანთრიგის ძველ ადგილებზე სწორედ იმისათვის არის შენარჩუნებული, რომ არ დაირღვეს წერის არქაული პარადიგმატიკა და, შესაბამისად, უცვლელი დარჩეს ნიშანთა ძველი რიცხვითი მნიშვნელობები. ამგვარად, დამწერლობის რიცხვ-ნიშანთა სისტემა გარკვეული აზრით შემაფერსებელი ფაქტორის როლს თამაშობს, იგი ეწინააღმდეგება წერის ძველი, მემკვიდრეობით მიღებული სისტემის პარადიგმატიკაში ცვლილებების შეტანას.

5.3. ძველ სემიტურ დამწერლობაში, რომელიც 22 გრაფემას შეიცავდა, „ასეულების“ გამოსახატავად მხოლოდ 4 სიმბოლო რჩებოდა, ამიტომ ნაკლებ საყარაუდოა, რომ ამ სისტემის გრაფიკული ნიშნები თავდაპირველად რიცხვით მნიშვნელობებსაც გამოხატავდნენ. რიცხვ-ნიშანთა ასეთი „დეფექტური“ (27-ზე ნაკლები სიმბოლოს შემცველი) სისტემა ძველ სემიტურში მოგვიანებით უნდა შემოეღოთ ბერძნული დამწერლობის გავლენით.

5.4. წერითი სისტემის საშუალებით რიცხვით მნიშვნელობათა გამოხატვა განსაკუთრებულ დაღს ასვამს წერის პარადიგმატიკასა და სისტემაში გრაფიკულ სიმბოლოთა რაოდენობას. ბერძნულის მსგავსი სისტემები, რომლებშიც გრაფიკული სიმბოლოები რიცხვებს აღნიშნავენ, 27 რიცხვ-ნიშანზე ნაკლებს არ უნდა შეიცავდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში სისტემა უნდა შეივსოს 27 სიმბოლომდე, რომელთაგან ზოგიერთი მოკლებული იქნება ფონეტიკურ მნიშვნელობას. იმ წერით სისტემებში, სადაც ენის ბგერითი ერთეულების გამოხატველ სიმბოლოთა რაოდენობა 27-ს აღემატება, ბუნებრივია მოველოდეთ სისტემის შევსებას  $9 \times 4 = 36$  სიმბო-

ლომდე, რათა შესაძლებელი გახდეს „ათასეულებს“ სრული როგის გამოხატვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წერიითი სისტემა, რომელშიც გრაფიკულ სიმბოლოებს ერთდროულად ფონეტიკური და რიცხვითი მნიშვნელობები აქვს, უნდა „ცდილობდეს“ გაუტოლოს სიმბოლოთა რაოდენობა ცხრის ჯერად რიცხვს. სწორედ ამ თვისებით ხასიათდება უშუალოდ ბერძნული დამწერლობიდან მიღებული ან მისი ნიმუშის მიხედვით შექმნილი არაერთი წერიითი სისტემა.

## 6. ანბანური სისტემის წარმოქმნის ტიპოლოგია

6.1. ნიმუშად აღებული ანუ პროტოტიპული წერიითი სისტემის მიხედვით ახალი ანბანის შექმნის პროცესი გასაგები ხდება დამწერლობათა შედარებითი შესწავლის შედეგად. ამ პროცესის პირველი და ძირითადი ეტაპია ენის ბგერითი მხარის დანაწევრება ცალკეულ ერთეულებად, რომლებიც დამწერლობაში სპეციალური გრაფემებით უნდა გამოისახოს, რაც, ფაქტობრივად, ენის წინასწარი ფონეტიკურ-ფონემური ანალიზის ჩატარებას გულისხმობს. ამ ეტაპზე, არსებითად, იქმნება წერიითი სისტემის შინაარსის ძლანო.

6.2. რომელიმე L ენისათვის ანბანის შექმნისას ხდება ამ ენის ბგერათა შეპირისპირება ნიმუშად აღებული L' ენის იმ ბგერით ერთეულებთან, რომლებიც L'-ის ანბანთრიგში გრაფემებით არის გამოხატული. ორი შესადარებელი ენის ბგერებს შორის დგინდება შესაბამისობა ფონეტიკური მსგავსების საფუძველზე და L' ენის ბგერითი მიმდევრობა ბუნებრივად გადაისახება L-ის ბგერებზე. L' ენის ანბანის პარადიგმატიკა, შესაბამისად, გადაისახება ახალი დამწერლობის პარადიგმატიკაზე. მაშასადამე, L-ის ანბანთრიგი განისაზღვრება პროტოტიპული წერიითი სისტემის ანბანთრიგით.

თუ L ენაში მეტი ბგერითი ერთეულია, ვიდრე L'-ში, მაშინ ახალ დამწერლობაში საჭირო ხდება მეტი გრაფემის შექმნა — L'-ის თვალსაზრისით „დამატებითი“ ბგერების გამოსახატავად. ასეთი „დანართი“ სიმბოლოები ანბანთრიგის „ძირითად“ ნაწილს შეიძლება მიეწეროს გარკვეული თანმიმდევრობით. სხვა შემთხვევაში ისინი შეიძლება შეერიოს „ძირითადი“ ნაწილის სიმბოლოებს, გაიფანტოს მათ შორის, რაც არსებითად დაარღვევს პროტოტიპული წერიითი სისტემით განსაზღვრულ პარადიგმატიკას (ასეთი ვითარებაა, მაგალითად, სომხურ ანბანში ბერძნულთან მიმართებით, არაბულ წერიით სისტემაში — ძველ სემიტურთან მიმართებით და სხვ.).

თუ, პირიქით, L ენაში ნაკლები ბგერაა გამოსახატაყი, ვიდრე L'-ში, მაშინ პროტოტიპულ დამწერლობაში რჩება გრაფიკული სიმბოლოები, რომლებიც L ენის თვალსაზრისით „ზედმეტ“ ბგერებს აღნიშნავენ.

6.3. შემთხვევები, როდესაც ერთი ენის ბგერათა სიმრავლე მთლიანად ემთხვევა მეორე ენის ბგერათა სიმრავლეს, პრაქტიკულად იშვიათია. ჩვეულებრივ, შესადარებელ ენებში ფონეტიკურად მსგავსი ბგერითი ერთეულების გარდა არსებობს თითოეული ენისათვის „სპეციფიკურ“ ბგერათა რაღაც ჯგუფი (მაგალითად, ფშვანური [p<sup>h</sup>], [t<sup>h</sup>], [k<sup>h</sup>] თანხმოვნები ბერძნულში — გოთურთან შედარებით და [q<sup>w</sup>], [h<sup>w</sup>], [p] თანხმოვნები გოთურში — ბერძნულთან შედარებით). ასეთ შემთხვევებში ხდება პროტოტიპული სისტემის ნიშანთა ბგერათმნიშვნელობების ჩანაცვლება ახალი სისტემის სპეციფიკური ბგერათმნიშვნელობებით, როგორც წესი. ანბანთრიგში ნიშანთა პირვანდელი ადგილების შენარჩუნებით (მაგალითად, გოთურ ანბანში „სპეციფიკური“ გოთური [p] და [h<sup>w</sup>] თანხმოვნების გამოხატველი ნიშნები ბერძნულ [t<sup>h</sup>] და [p<sup>s</sup>] თანხმოვანთა აღმნიშვნელი სიმბოლოების ადგილას მოთავსდა). ასეთი ჩანაცვლება (და არა სიმბოლოთა ამოღება სისტემიდან) ნაკარნახევია ახალ ანბანში პროტოტიპული დამწერლობის პარადიგმატიკის შენარჩუნების მიზნით, რაც ამ ორ სისტემაში რიცხვით მნიშვნელობათა იზომორფულ გამოხატვას უზრუნველყოფს.

6.4. შოველი დამწერლობის სათავეში დგას კონკრეტული პიროვნება (ან, შესაძლოა, ადამიანთა ჯგუფი) — ამ დამწერლობის შემქმნელი, რომელიც წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით თავისი ენისათვის ადგენს ახალ წერით სისტემას გარკვეული პროტოტიპული დამწერლობის საფუძველზე. ამასთანავე, კონკრეტული ნიშნების მიხედვით დამწერლობის შექმნა ერთჟამიერი შემოქმედებითი აქტია. ნებისმიერი დამწერლობა საკმაოდ სრული სისტემაა უკვე შექმნის მომენტიდან; იგი გრაფიკულად იმ რაოდენობას შეიცავს, რომელიც აუცილებელი და საკმარისია მოცემული ენისათვის დამახასიათებელი ძირითადი ბგერითი დაპირისპირებების გამოსახატავად. დროთა განმავლობაში ანბანური დამწერლობის მხოლოდ მოდიფიცირება და სრულყოფა თუ შეიძლება.

ენაში ღირებულ ბგერით ერთეულთა გამოყოფისა და განსაზღვრული რიგით მათი განლაგების გარდა, დამწერლობის შექმნა გულისხმობს ამ ერთეულების გამოხატველ გრაფიკულ სიმბოლოთა დადგენა-შეთხზვა-საც, ე.ი. სისტემის *გამოხატულების პლანის* შექმნას. ეს ორი პროცედურა — წერითი სისტემის შინაარსის პლანისა და გამოხატულების პლანის

შექმნა — ერთმანეთს გულისხმობს და ერთიან შემოქმედებით პროცესს წარმოადგენს.

ახალი წერიით სისტემის შექმნისას გამოსატყულების პლანის გაფორმების უმარტივესი და ბუნებრივი ხერხია პროტოტიპული სისტემიდან გრაფიკულ სიმბოლოთა მოხაზულობის ზუსტი გადმოღება იმ ბგერათა გამოსახატავად, რომლებიც ფონეტიკურად ჰგავს ამ სიმბოლოებით აღნიშნულ ბგერებს. დანარჩენი, მოცემული ენისათვის სპეციფიკური ბგერების გადმოსაცემად შეიძლება ისეხონ ფონეტიკურად მათი მსგავსი ბგერების გამომხატველი ნიშნები რომელიმე სხვა დამწერლობიდან, ან პროტოტიპული სისტემიდან გადმოიტანონ ზოგიერთი ძირითადი სიმბოლო გარკვეული გრაფიკული მოდიფიკაციებით.

ასეთი მიდგომისაგან არსებითად განსხვავდება შემთხვევა, როდესაც ახალი წერიითი სისტემის პარადომატიკაზე პროტოტიპული დამწერლობის პარადომატიკის გადასახვისას მნიშვნელოვნად იცვლება შესატყვის ბგერით ერთეულთა აღმნიშვნელი სიმბოლოების გრაფიკული სახე, რის შედეგადაც იჩქმალება კავშირი ამ ორ სისტემას შორის (ასეთია, მაგალითად, ძვ. სლავური *გლაგოლიცა* ბერძნულ პროტოტიპთან მიმართებით). ამგვარი ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს შეგნებულად — პროტოტიპულ სისტემასთან კავშირის დაფარვის მიზნით (ამ ტენდენციის უკიდურესი გამოვლინებაა, მაგალითად, ძვ. სომხური დამწერლობა *ერკათაგირი*, რომელშიც ამოსავალი ბერძნული ანბანის გამოსატყულების პლანი არსებითად არის გარდაქმნილი. ნიშანთა გრაფიკული მხარე იქ ორიგინალური შემოქმედების შედეგია, ან შეთხზულია სხვადასხვა არაბერძნული ნიმუშის გამოყენებით).

6.5. სრულყოფილი დამწერლობის შექმნა დამოკიდებულია ენის ბგერითი სისტემის წინასწარ ანალიზზე: რაც უფრო თანმიმდევრული, სრული და ენის ბგერითი შედგენილობის მიმართ ადეკვატურია ანბანის შემქმნელის მიერ ჩატარებული ფონემურ-ფონეტიკური ანალიზი, მით უფრო სრულყოფილია დამწერლობა, მით უფრო შეესაბამება იგი ენის გრაფიკული ფიქსირების მიზნებს. ცალსახა შესატყვისობა ბგერით ერთეულებსა და გრაფემებს შორის ანბანთსისტემების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია მათი შექმნისა და განვითარების საწყის ეტაპებზე. ენის ფონეტიკური მხარის ადეკვატური გამოსატყვისათვის შედგენილ ზოგიერთ ანბანთსისტემაში ბგერითი სინტაგმატიკა ფონეტიკური ცვლილებების შედეგად დროთა განმავლობაში სულ უფრო შორდება გრაფიკულ სინტაგმატიკას და ზოგიერთი სიტყვის გრაფიკული მხარე უკვე სრულად ვეღარ ასახავს მათ რეალურ წარმოთქმას, იქცევა ბგერითი მხარის გამომხატველ პირობით ნიშნად (ასეთია, მაგალითად, ძრავალი სიტყვის დაწერილობა თანამედროვე ინგლისურსა და ფრანგულში).

ა	ა	a	an	ბ	ბ	r	rae
ბ	ბ	b	ban	ს	ს	s	san
გ	გ	g	gan	ტ	ტ	t'	t'ar
დ	დ	d	don	ყ	ჳ	wi	wie
ე	ე	e	en	ფ	ფ	p <sup>h</sup>	p <sup>h</sup> ar
ვ	ვ	v	vin	ქ	ქ	k <sup>h</sup>	k <sup>h</sup> an
ზ	ზ	z	zen	ც	ც	č	čan
თ	თ	ej	he	ც	ც	q'	q'ar
ი	თ	t <sup>h</sup>	t <sup>h</sup> an	ც	ც	š	šin
ი	ო	i	in	ც	ჩ	č	čin
კ	კ	k'	k'an	ც	ც	c	can
ლ	ლ	l	las	ც	ძ	ž	žil
მ	მ	m	man	ც	წ	c'	c'il
ნ	ნ	n	nar	ც	ჭ	č'	č'ar
ო	ო	j	je	ც	ხ	x	xan
პ	ო	o	on	ც	ყ	q <sup>h</sup>	q <sup>h</sup> ar
ჟ	ჳ	p'	p'ar	ც	ჯ	ž	žan
რ	ე	ž	žan	ც	ჰ	h	hae

ამის საპირისპირო ნიშნებს წარმოადგენს ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა. ქართული ენის ბგერითი სისტემის თვალში საცემი სპეციფიკა მისი განვითარების მთელ მანძილზე არის საოცარი ფონეტიკური კონსერვატიზმი, რითაც უმთავრესად აიხსნება ის, რომ ქართულ



დამწერლობაში სრულად იქნა შენარჩუნებული ურთიერთცალსახა შესატყვისობა ენის ბგერით ერთეულებსა და წერის გრაფიკულ სიმბოლოებს შორის როგორც პარადიგმატიკაში, ისე სინტაგმატიკაში. ასომთავრულის შემქმნელმა საოცარი სიზუსტით გამოყო თანადროული ქართულის ბგერითი დაპირისპირებები და ამომწურავი სისრულით გაითვალისწინა იმ ბგერათა (ფონემათა) ინვენტარი, რომელთა გრაფიკული გამოხატვა აუცილებელი იყო ქართული მეტყველების ადეკვატური წერილობითი გადმოცემისათვის. ასომთავრულში ენის ბგერითი მხარის სრულყოფილად ასახვისა და აღნიშნული ფონეტიკური კონსერვატიზმის გამო ქართულ დამწერლობას შემდგომში საგრძნობი სტრუქტურული ცვლილებები აღარ განუცდია, თუმცა სიმბოლოთა დიდმა უმრავლესობამ დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად იცვალა გრაფიკული სახე (იხ. ტაბულა წინა გვერდზე).

## 7. ქართული დამწერლობის წარმომავლობა

7.1. ჰმა თუ იმ ანბანური სისტემის წარმოშობის პრობლემას ორი ძირითადი ასპექტი აქვს. ეს არის, უწინარეს ყოვლისა, იმის გარკვევა, თუ რომელი წერითი პროტოტიპის მიხედვით იქნა გაწყობილი ამ ანბანის „ძირითადი“ ნაწილი და, ამასთანავე, იმ პრინციპების (და წერილობითი წყაროების) გამოვლენა, რომელთა მიხედვით უნდა შექმნილიყო ანბანის „დანართი“ ნაწილი (თუ ასეთი არსებობს). ძველი ქართული დამწერლობის შესაძლებელ პროტოტიპებად წარმოგვიდგება უწინარესად ან ძვ. სემიტური დამწერლობა ან არქაული ბერძნული ანბანი (ან მათგან მომდინარე რომელიმე წერითი სისტემა). ორივე შემთხვევაში ცხადია, რომ ქართულში გამოიყოფა ისეთ თანხმოვანთა ჯგუფი, რომელთაც შესაძარებელ სისტემებში არ მოეპოვებათ ფონეტიკურად შესატყვისი ერთეულები; პროტოტიპული სისტემის ბგერითი შედგენილობის თვალსაზრისით ისინი „დამატებითი“ ბგერებია. ამგვარად, დამწერლობის შექმნის პროცესში ქართულ ბგერით ერთეულთა მთელი სიმრავლე უნდა გაყოფილიყო ორ ჯგუფად; „ძირითადი ჯგუფი“ უნდა გაწყობილიყო პროტოტიპული ნიმუშის პარადიგმატიკის მიხედვით, „დანართ ნაწილში“ კი ბგერითი ერთეულები უნდა გამოყოფილიყო და შესაბამისი გრაფიკული სიმბოლოები განლაგებულიყო უკვე სხვა წერითი ნიმუშების მიხედვით.

7.2. ანბანის ძირითადი და დამატებითი ნაწილების თანაფარდობას, მათ შინაგან სტრუქტურასა და შედგენილობას განსაზღვრავს პროტოტიპული სისტემა.

ძველი ქართული დამწერლობის შეპირისპირება სემიტურ და ბერძნულ სისტემებთან გვიჩვენებს, რომ ქართული ასომთავრულისათვის ნიმუშად ბერძნული ანბანი იყო გამოყენებული.

ქართული ანბანის წყობა და სტრუქტურა სრულიად განსხვავებული იქნებოდა ნიმუშად სემიტური წერითი სისტემის ადების შემთხვევაში. ქართული დამწერლობის პარადიგმატიკა არსებითად იმეორებს ბერძნული ანბანის პარადიგმატიკას; ამასთან, მასში სრულად არის ასახული ის ცვლილებები, რომლებიც მოხდა ძვ. სემიტური წერითი სისტემის ბერძნულ სისტემად გარდაქმნისა და ბერძნული ანბანის შემდგომი განვითარების პროცესში, რაც მოწმობს ასომთავრულის ბერძნულიდან და არა უშუალოდ სემიტური დამწერლობიდან წარმომავლობას.

ქართული წერითი სისტემის ძირითად ნაწილში ბერძნულ ბგერათა მსგავსი ბგერების აღმნიშვნელი სიმბოლოები გაწყობილია ბერძნული ანბანთრიგის მიხედვით. ქართულისათვის უჩვეულო საში ბერძნული ბგერის ([k<sup>h</sup>], [p<sup>h</sup>] და [θ]) აღმნიშვნელი სიმბოლოების ადგილი აქ დაიკავა „სპეციფიკური ქართული“ ბგერების (შესაბამისად, [j], [γ] და [x<sup>h</sup>] ბგერების) გამოხატვლა ნიშნებმა; ბერძნული *ემისემონება*, ე.ი. მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობის („90“ და „900“) მქონე სიმბოლოები ასომთავრულში გამოყენებულია [ž] და [š] ბგერათა გამოსახატავად, რომელთაც ბერძნულში შესატყვისები არ მოეპოვებათ.

7.3. იმის გამო, რომ ქართულ ენაში მეტი ბგერითი ერთეულია, ვიდრე ბერძნულში, შესაძლებელი გახდა ქართულ ანბანში რიცხვით მნიშვნელობათა გამოხატვის უფრო სრულყოფილი სისტემის შექმნა. „ათასეულთა“ სრული რიგის აღნიშვნისათვის საჭირო იყო დამატებით ცხრა გრაფიკული სიმბოლოს შემოღება. სწორედ ამდენი გრაფემა დაემატა ასომთავრულის ძირითად, ბერძნული ნიმუშის მიხედვით გაწყობილ ნაწილს. ეს ნიშნები „სპეციფიკურ ქართულ“ ბგერით ერთეულებს (მაგალითად, [č], [c], [γ], [c<sup>h</sup>], [č<sup>h</sup>], [š] ბგერებს) გამოხატავენ.

საინტერესოა, რომ ქართული თვლის *ოცობითი* სისტემა წერისას *ათობითი* სისტემით გამოიხატება. რიცხვ-ნიშანთა ათობითი პრინციპი ბერძნულისათვის ნორმალურია, ქართულში კი გარკვეულ შეუსაბამობას ქმნის და რიცხვ-ნიშანთა სისტემის უცხოურ წარმომავლობაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

7.4. როგორც ითქვა, ანბანთრიგის *ძირითადი* და *დანართი* ნაწილების ხასიათი და შედგენილობა მთლიანად არის დამოკიდებული პროტოტიპულ სისტემაზე. ქართული ანბანის ამ ნაწილების ფონეტიკური მახასიათებლები მოტივირებულია ბერძნული სისტემის ფონეტიკური მახასია-

თებლებით; ანბანთრიგის ბოლო ნაწილში მოქცეულია სწორედ ბერძნულ-ლისათვის უჩვეულო ქართულ ბგერათა აღმნიშვნელი სიმბოლოები.

სემიტური წერიითი სისტემის ნიმუშად გამოყენების შემთხვევაში ისეთ ქართულ ბგერათა აღმნიშვნელი გრაფემები, როგორცაა [š], [c'], [x'], რომელთა მსგავსი ბგერები მოიძებნება სემიტურ ენებში, უნდა მიხვედრილიყო ძირითად ნაწილში, ე.ი. პირველი 22 ნიშნის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ სემიტური დამწერლობის ზეგავლენის კვალი შესაძლებელია ემჩნეოდეს ასომთავრულის *დანართი* ნაწილის ცალკეულ გრაფემებსა და სათანადო ბგერით ერთეულებს, საფიქრებელია, რომ ეს ნაწილი მთლიანად რომელიღაც ერთი წერიითი ნიმუშის მიხედვით არ გაფორმებულა. იგი, როგორც ჩანს, მისდევს გარკვეულ ფონეტიკურ პრინციპს, რის მაგალითებსაც ვხვდებით სხვადასხვა ტიპის დამწერლობებში.

რაც შეეხება ასო-ნიშანთა სახელწოდებებს, ისინი ქართულ ანბანში ისეა გაწყობილი, რომ გართმული მიმდევრობის შთაბეჭდილებას ქმნის. ეს ანბანთრიგის დამახსოვრების ხელშემწყობი პირობა უნდა ყოფილიყო.

**7.5. ქართული დამწერლობის სიმბოლოთა გრაფიკული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინი სრულიად განსხვავებულია თანადროული ბერძნული ანბანის პარადიგმატულად შესატყვისი სიმბოლოებისაგან.**

უნდა აღინიშნოს, რომ ასო-ნიშანთა გარეგნული მსგავსება წერით სისტემებს შორის ისტორიულ ურთიერთობათა დადგენის თვალსაზრისით არ არის გადამწყვეტი ფაქტორი. მხოლოდ გრაფემათა მოხაზულობის გათვალისწინებისას დამწერლობას მრავალი სხვადასხვა წყარო შეიძლება აღმოაჩნდეს. ორი წერიითი სისტემის ერთმანეთთან გრაფიკულ მსგავსებას მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ ერთი მათგანის მეორიდან წარმომავლობა სხვა, უფრო არსებითი მონაცემების საფუძველზე იგარაუდება.

ორკვევა, რომ ძვ. ქართული ანბანის „ძირითადი ნაწილი“ წარმოადგენს ბერძნული წერიითი სისტემის ერთგვარ არქაიზებულ ვარიანტს, რომელიც მიღებულია ასო-ნიშანთა გარკვეული სტილიზაციისა და მოდიფიკაციის გზით. არქაიზაცია აქ ძირითადად კლასიკური ბერძნული სისტემის ნიშანთა მარცხნივ შებრუნებაში ვლინდება (ასეთი ნიშნები დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო არქაული ბერძნული დამწერლობისათვის მარჯვნიდან მარცხნივ წერისას, ან *ბუსტროფედონული* წერის პირობებში).

ამავე დროს, ასომთავრულის გრაფემათა უმრავლესობა ორიგინალურია და არ იმეორებს ბერძნული სისტემის შესაბამის ნიშანთა მოხაზულობას. ეს გრაფემები შექმნილი ჩანს საკუთრივ ქართულ ნიადაგზე ან ცალკეული გრაფიკული პროტოტიპების მიხედვით. „დანართი ნაწილის“ ცალკეული გრაფემების პროტოტიპებად, შესაძლოა, გამოყენებულია

სიმბოლოები ისეთი წერიითი სისტემებიდან, რომლებშიც სათანადო ქართულ ბგერათა მსგავსი ბგერები იყო გრაფიკულად გამონატული. კერძოდ, ქართულ „ყარ“ და „წილ“ ნიშანთა გრაფიკულ პროტოტიპებად ივარაუდება [x']-ს და [c']-ს მსგავს ბგერათა აღმნიშვნელი ძველი სემიოტური გრაფემები.

7.6. იმდროინდელი წარმოდგენების თანახმად, თვითმყოფადი ეროვნული დამწერლობა უნდა ყოფილიყო სრულიად ორიგინალური, დამოუკიდებელი მანამდე ცნობილი სხვა წერიითი სისტემებისაგან. ამის მისაღწევად უმარტივესი და ბუნებრივი გზაა პროტოტიპული წერიითი სისტემის შეგნებული გრაფიკული გარდაქმნა და ზოგიერთი ახალი გრაფიკული სიმბოლოს შექმნა. სავარაუდოა, რომ ასომთავრულის შექმნელმა შეგნებულად მოახდინა პროტოტიპული სისტემის ნიშანთა ხელოვნური გრაფიკული არქაიზაცია და სტილიზაცია სხვადასხვა ხერხის გამოყენებით. ამ გზით მან შექმნა ორიგინალური ნიშნები და გარეგნულად დამოუკიდებელი მონუმენტური დამწერლობა, რომლის პროტოტიპის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ანალიზის შედეგად.

როგორც ჩანს, ანალოგიური მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ძვ. სომხური დამწერლობის შემქმნელი — *მესროპ მაშტოციც*, რომელმაც ფაქტობრივად უარი თქვა ბერძნულ გრაფიკულ სიმბოლოთა გამოყენებაზე და შეთხზა სრულიად ორიგინალური წერიითი ნიშნები. სლავური *გლაგოლიცას* ავტორებმა, *კონსტანტინე-კირილემ* და *მეთოდემ*, იმავე მიზეზით მოახდინეს ბერძნული ანბანის ნიშანთა სტილიზაცია. ამ ძველ დამწერლობათა ავტორებს ერთი და იგივე მიზანი ამოძრავებდა — შექმნათ თვითმყოფადი ეროვნული დამწერლობა, რაც ასახავდა საერთო ტენდენციას, დამახასიათებელს *აღმოსავლური ქრისტიანობისათვის*, რომლისგანაც მართლმადიდებელი ეკლესია მომდინარეობს. ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელება გულისხმობდა იმავდროულად ფართო მუშაობის გაშლას ქრისტიანული ლიტერატურის ეროვნულ ენებზე სათარგმნად, რაც უნდა განხორციელებულიყო საგანგებოდ შექმნილი *ეროვნული დამწერლობის* მეშვეობით. ამით *აღმოსავლური ქრისტიანობა* არსებითად განსხვავდებოდა *რომაულ-კათოლიკური ეკლესიისაგან*, რომელიც საღვთო წიგნებსა და ღვთისმსახურებას მხოლოდ ლათინურ ენაზე ცნობდა და აღასრულებდა.

ქართული ანბანთრიგის შეპირისპირება სემიტურთან და ბერძნულთან

სამიჯვარი	ბერძნული	პარსული
ა ა 1	A a 1	𐌆 ა a 1
ბ ბ 2	B b 2	𐌇 ბ b 2
გ გ 3	Γ γ 3	𐌈 ბ g 3
დ დ 4	Δ d 4	𐌉 ღ d 4
ე ე 5	E ē 5	𐌊 ე e 5
ვ ვ 6	Ϝ - 6	𐌋 ე v 6
ზ ზ 7	Z z 7	𐌌 ზ z 7
ი ი 8	H ē(ej) 8	𐌍 უ e.ej 8
თ თ 9	Θ th 9	𐌎 თ th 9
ი ი 10	I i 10	𐌏 ი i 10
კ კ 20	K k 20	𐌐 კ k' 20
ლ ლ 30	Λ l 30	𐌑 ლ l 30
მ მ 40	M m 40	𐌒 მ m 40
ნ ნ 50	N n 50	𐌓 ნ n 50
ო ო 60	Ξ kθ 60	𐌔 ო j 60
პ პ 70	O o 70	𐌕 ო o 70
ჟ ph 80	Π p 80	𐌖 პ p' 80
ყ ჟ 90	Ϛ - 90	𐌗 ჟ ž 90
რ რ 200	P r 100	𐌘 რ r 100
ს ს 300	Σ s 200	𐌙 ს s 200
თ თ 400	T t 300	𐌚 თ t' 300
	Υ u, w 400	𐌛 უ u, w 400
	Φ ph 500	𐌜 უ u 500
	Χ kh 600	𐌝 ფ ph 500
	Ψ ps 700	𐌞 ქ kh 600
	Ω o 800	𐌟 ო 700
	Ϸ - 900	𐌠 ყ q' 800
		𐌡 ჟ ž 900

## 8. ბერძნული ანბანიდან მომდინარე ქრისტიანული ანბანის სისტემების ტიპოლოგია

8.1. ბერძნული დამწერლობიდან მომდინარე ქრისტიანული დამწერლობები — *კობტურნი, გოთურნი, სომხური ერკათაგირი, ქართული ასომთავრული, სლავური გლაგოლიცა* და *კირილიცა* ერთიან ჯგუფს შეადგენენ. ამ ჯგუფში ძველი ქართული, ძველი სომხური და სლავური გლაგოლიცა ერთ ტიპოლოგიურ კლასში ექცევა და უპირისპირდება კობტურს, გოთურსა და სლავურ კირილიცას, რომელთა გრაფიკული გამოსატყულება თანადროული ბერძნული დამწერლობის გრაფიკას ასახავს. მაგრამ პროტოტიპულ ბერძნულ სისტემასთან პარადიგმატული დამოკიდებულების თვალსაზრისით ასომთავრული და გლაგოლიცა უახლოვდება ქრისტიანული დამწერლობის უძველეს ნიმუშებს — კობტურსა და გოთურს, და არსებითად განსხვავდება ძველი სომხური ანბანისაგან სისტემის შინაგანი სტრუქტურის მხრივ.

ძველ ქართულ ასომთავრულსა და ძველ სლავურ გლაგოლიცას შორის სხვა ისტორიულ-ტიპოლოგიური კავშირებიც ივარაუდება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ რამდენიმე ასო-ნიშანი ძველი სლავური ანბანის „დამატებით ნაწილში“ (როგორც *გლაგოლიცაში* ისე *კირილიცაში*) უნდა განლაგებულიყო სწორედ ძველი ქართული ანბანის პარადიგმატიკის მიხედვით (*ნიკოლოზ ტრუბეცკოი*).

ქართული ასომთავრული და ძველი სომხური ანბანი ემყარება განსხვავებულ სტრუქტურულ პრინციპებს, რაც გამოირიცხავს ამ ორი დამწერლობის შექმნას ერთი და იმავე პირის მიერ, როგორც ამას სომხური ისტორიული ტრადიცია გადმოგვცემს. გარდა ამისა, ახალი ანბანის შექმნა, როგორც ითქვა, გულისხმობს ენის დეტალური ფონეტიკური ანალიზის წინასწარ ჩატარებას, ე.ი. ენის საფუძვლიან ფლობას. ერკათაგირის ავტორმა *მესროპ მაშტოცმა* კი, რომელსაც სომხური ისტორიული ტრადიცია მიაწერს ძველქართული დამწერლობის შექმნასაც, ქართული ენა არ იცოდა (როგორც ეს თვით სომხური ისტორიული ტრადიციიდან გამომდინარეობს) და, ამდენად, ქართულ ანბანს ვერ შეთხზავდა.

## 9. „მწიგნობრობა ქართული“ და „ალოგლოტოგრაფია“

9.1. *ლეონტი მროველის* ცნობა იმის შესახებ, რომ *ფარნავაზ მეფემ* შექმნა „მწიგნობრობა ქართული“, შესაძლოა, უნდა გავიგოთ როგორც *ალოგლოტოგრაფიული* მეთოდით ქართული წერის შემოღება. *ალოგლოტოგრაფიული* (ბერძნ. *állos* „სხვა“, *glōtta* „ენა“) წერის დროს

ტექსტს კარნახობენ ერთ ენაზე, ჩაწერა კი ხდება დამწერლობის მქონე სხვა ენაზე; ადრესატი ტექსტს ყოველთვის საწყის ენაზე ამოიკითხავს.

*ალოგლოტოგრაფია* ფართოდ იყო გავრცელებული ძველი ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში. ერთ-ერთი უუამაფალი ენა, რომელზეც ხდებოდა ასეთ საწყის შეტყობინებათა კოდირება, იყო არამეული. არ არის გამორიცხული, რომ ქრისტიანობამდელ საქართველოში კონსონანტურ-სილაბური არამეული დამწერლობის სპეციფიკური სახეობით — *არმაზულით* შესრულებული წარწერების ფართო გავრცელება ასახავდეს სწორედ *ალოგლოტოგრაფიის* გამოყენებას ადგილობრივ ენებზე ტექსტების ჩასაწერად.

---

## ენის ცვალებადობა და ენობრივი დიაქრონია

### 1. ენის ცვალებადობა დროში და დიაქრონიული ენათმეცნიერება

1.1. ენობრივი სისტემის ცვალებადობა დროში ნათლად ჩანს კონკრეტული ენის სხვადასხვა პერიოდის წერილობითი ტექსტების შედარებისას: ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკისათვის შესაბამისი ენის უძველესი წერილობითი ძეგლი შეიძლება ისევე გაუგებარი იყოს, როგორც რომელიმე სხვა ენის ნიმუში.

1.2. ენაში თანდათანობითი ცვლილებები შესაძლებელი ხდება მისთვის დამახასიათებელი *სიჭარბის* პირობებში, როდესაც ენაში — როგორც ელემენტთა არასრულ სისტემაში — მომხდარი ფონეტიკური ცვლილებები აუცილებლობით არ იწვევს სიტყვათა (ნიშანთა) ურთიერთდამთხვევას და ინფორმაციის (შეტყობინების) დამახინჯებას. მაგრამ ამგვარი ცვლილებები ენებში გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული, ისინი არ მიმდინარეობენ სრულიად თავისუფლად და ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე, როგორც ამას *ფერდინანდ დე სოსიური* ვარაუდობდა. ნიშანთა გარკვეული მოტივაცია ჰორიზონტალურ მიმართებათა დონეზე ენებში მიმდინარე ამგვარ (ფონეტიკურ) ცვლილებებს გარკვეულ რეგულარულობასა და სისტემურობას ანიჭებს.

რთულია იმის დადგენა, თუ რა იწვევს, საზოგადოდ, ენის დროში ცვლილებებს; ძნელია აბსოლუტური სიზუსტით განისაზღვროს ენობრივი ცვლილებების გამომწვევ მიზეზთა მთელი კომპლექსი, რომელშიც გარკვეული ალბათობით შედის როგორც სოციალური, ისე ბიოლოგიური და არეალური ფაქტორები. ამგვარ ცვლილებათა ერთ-ერთ შესაძლებელ ფაქტორად ბავშვის ენა, ბავშვის მეტყველების თავისებურებანი უნდა მივიჩნიოთ.



როდესაც ბავშვი ითვისებს მშობლიურ ენას, მისი მეტყველების ყველა ასპექტში მუდმივად იჩენს თავს ნორმიდან ოდნავ შესამჩნევი გადახრები. ენობრივი კონტაქტების გაფართოებასთან ერთად ბავშვი სულ უფრო ხშირად აწყდება განსხვავებებს სხვადასხვა პირის მეტყველებაში. ეს განსხვავებები ენობრივი კოლექტივის სოციალური და რეგიონული არაერთგვაროვნებით არის გამოწვეული. ბავშვის მეტყველებაზე გავლენას ახდენს თანატოლთა სამეტყველო ჩვევებიც. ყოველივე ამის გამო მომდევნო თაობის მეტყველება ოდნავ შორდება წინა თაობის მეტყველებას.

1.3. ზემოთ აღნიშნული და მრავალი სხვა სოციალურ-კულტურული ფაქტორით გამოწვეული უმნიშვნელო გარდაქმნების შედეგად ენა სულ უფრო და უფრო შესამჩნევად იცვლება. სანამ საზოგადოება შედარებით ერთიანია კულტურული და პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს ცვლილებები არ სცილდება ურთიერთგაგებინების ფარგლებს; მაგრამ უფრო დაქსაქსულ საზოგადოებასა და ფართო ლინგვისტურ არეალებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კულტურული და ადმინისტრაციული კავშირები სუსტია, მეტყველებაში დაგროვილი გადახრები გადაიზრდება უფრო მკვეთრ რეგიონულ განსხვავებებში, რომლებიც *დიალექტებს* შორის განსხვავებათა სახით არსებობს მანამ, სანამ ურთიერთგაგებინება შენარჩუნებულია; სხვა შემთხვევაში უკვე მიიღება განსხვავებული ენები. ასე მოხდა, მაგალითად, *სასაუბრო ლათინურის* დაშლის შემთხვევაში, როდესაც ვრცელ არეალში გაჩნდა განსხვავებული, თუმცა ისტორიულად ერთმანეთთან დაკავშირებული ენების ჯგუფი — *რომანული ენები* მოვლენათა მსგავსი განვითარების შედეგად არის წარმოქმნილი *გერმანიკული* და სხვა ენები, რომელთა *საერთო წინაპარი*, რომანული ენებისაგან განსხვავებით, არ არის ცნობილი.

1.4. პრსებობს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც ენის ისტორიულ ცვალებადობას უწყობს ხელს. ამ ფაქტორებს შორის არის მოსახლეობის მიგრაციები, რომლებიც განაპირობებენ ენათა გაფრცვლებას მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას და რომელთა შედეგად წინარეისტორიულ ხანაში ერთიანი ენა შედარებით შეზღუდული არეალიდან ფართო ტერიტორიებზე ვრცელდება და ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავებულ დიალექტებად ყალიბდება.

1.5. ბევრად მთელი ჩვენი მსჯელობა ენობრივი სისტემის შესახებ გულისხმობდა ბუნებრივი ენის როგორც *ნიშანთა სისტემის* განხილვას *სინქრონიულ ჭრილში*, მისი სხვადასხვა *სტრუქტურული დონეების* ურთიერთმიმართებებისა და კავშირების შესწავლას.

ბუნებრივი ენა, როგორც დროში ცვალებადი ფენომენი, შესაძლებელია აგრეთვე განხილული და შესწავლილი იქნეს *დიაქრონიული* თვალსაზრისით, რაც გულისხმობს ენის სხვადასხვა დონის (*ფონოლოგიური, მორფოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკურ-სემანტიკური* ...) დროში მიმდინარე ცვლილებათა თანმიმდევრულ აღწერასა და ანალიზს.

დამწერლობის საშუალებით ფიქსირებული კონკრეტული ენის დროში მიმდინარე ცვლილებების ამგვარი შესწავლა და აღწერა წარმოადგენს *ისტორიული გრამატიკის* ამოცანას: მოცემულ ენაზე სხვადასხვა დროს შედგენილი წერილობითი ტექსტების ლინგვისტური ინტერპრეტაცია, დაწყებული უძველესი ტექსტებით, აღადგენს ამ ენის სხვადასხვა დონეზე ისტორიული ცვალებადობისა და განვითარების შეძლებისდაგვარად ადეკვატურ სურათს. შესაბამისად, მოცემული ენის ისტორიული გრამატიკის *ქრონოლოგიური სიღრმე* შემოიფარგლება იმ პერიოდით, რა დროიდანაც დასტურდება ამ ენაზე შექმნილი უძველესი წერილობითი ძეგლები.

მაშინაც კი, როდესაც ხელმისაწვდომია უძველესი ფაქტობრივი მასალა წერილობითი სახით, იგი ენის მდგომარეობას დროის მხოლოდ გარკვეულ მონაკვეთში აშუქებს; ამასთან, დედამიწის უმეტეს ნაწილზე გავრცელებულ ენათა ძველი წერილობითი ძეგლები არ არსებობს. ამიტომ ენათა ისტორია ძვ. წ. რამდენიმე ათასწლეულზე უფრო შორიდან ჩვენამდე ვერ მოაღწევს და ძალზე შეზღუდული იქნება იმ ენობრივ არეალებში, სადაც წერილობითი წყაროები არ არის შემონახული (მაგალითად, აფრიკის დიდ ნაწილსა და სამხრეთ ამერიკაში).

**1.6.** მაგრამ როგორ შევიმეცნოთ მოცემული ენის დამწერლობამდელი ისტორია ანუ *წინარე ისტორია* (მისი *პრეისტორია*), ან კიდევ უმწერლობო ენების ადრინდელი ცვლილებები და განვითარება, რაც ამგვარ ენათა ისტორიას ქმნის? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა სწორედ *დიაქრონიული ენათმეცნიერების* ამოცანას შეადგენს.

დამწერლობის მქონე ენათა პრეისტორიისა და უმწერლობო ენათა ისტორიის აღდგენა და შემეცნება შესაძლებელია ენათა დიაქრონიული კვლევის იმ სპეციალური ხერხებით, რომელთაც *ისტორიულ-შედარებითი* (ან *შედარებით-ისტორიული*) *მეთოდი* ეწოდება და რომელთა მეშვეობითაც იქმნება ენათა გარკვეული ჯგუფის *ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა*, ასეთ ჯგუფში შემავალი ენები ითვლება *მონათესავე ენებად*, რომლებიც მომდინარეობენ საერთო ენობრივი წყაროდან; მას პირობით *ფუძე-ენა* ან *წინარე ენა* (*ამოსავალი ენა*) ეწოდება.

ამ თვალსაზრისით რომელიმე კონკრეტული ენის *ისტორიული გრამატიკა* და მონათესავე ენათა *ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა*, საზოგადოდ, *დიაქრონიული ენათმეცნიერების* ფარგლებში ორ ერთმანეთი-

საგან მეთოდოლოგიურად განსხვავებულ დარგებს წარმოადგენენ, რომლებსაც აერთიანებს საერთო ამოცანა — ენათა დროში მიმდინარე ცვლილებებისა და გარდაქმნების სისტემური აღწერა და შესწავლა ამ ენათა ისტორიული განვითარების ადეკვატური სურათის აღდგენისა და რეკონსტრუქციის მიზნით.

**1.7.** ქვემოთ ჩვენ საგანგებოდ განვიხილავთ *ისტორიულ-შედარებითი ლინგვისტიკის* თეორიულ წინამძღვრებსა და პოსტულატებს; აქ კი მოკლედ შევეხებით თანამედროვე ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ჩამოყალიბების გზებს.

როგორც აღინიშნა, დიაქრონიული ლინგვისტიკა — დროში მიმდინარე ენობრივ გარდაქმნათა თეორია — უმთავრეს ამოცანად ისახავს ადრეულ ენობრივ მდგომარეობათა *რეკონსტრუქციას* ისტორიულად დამოწმებული ენობრივი სისტემების განვითარების გზების გამოვლენის მიზნით.

ენობრივი განვითარების ადრეული ეტაპების რეკონსტრუქციის პრობლემა განსაკუთრებული სიმძაფრით დაისმის *მონათესავე* ენების ერთმანეთთან შედარებისა და შეპირისპირების შემთხვევაში.

ენები ითვლება *მონათესავედ*, ე.ი. საერთო ენობრივი წყაროდან წარმომდგარად, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ენებს შორის ხერხდება ძირეულ და აფიქსურ მორფემებში *რეგულარული ფონემური შესატყვისობების* დადგენა, რომლებიც ენის ფონემურ გარდაქმნათა *რეგულარულ ხასიათს* ასახავს.

საერთო წყაროდან მომდინარე ისტორიულად დადასტურებული ენები ქმნიან *მონათესავე ენათა ოჯახს*.

ფონეტიკურ ცვლილებათა რეგულარულობის პრინციპი, XIX საუკუნის ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მიერ დეკლარირებული, წარმოადგენდა თავის დროზე ლინგვისტური მეცნიერების უდიდეს მიღწევას, რამაც ხელი შეუწყო ისტორიული ენათმეცნიერების შემდგომ სწრაფ განვითარებას. ფონეტიკურ ცვლილებათა *რეგულარულობის პრინციპმა* და ამით განსაზღვრულმა ლინგვისტური ანალიზის მეთოდებმა გადააქციეს მეცნიერება ენის შესახებ, რომელიც იმ დროს უპირატესად სწორედ ისტორიულ ლინგვისტიკას გულისხმობდა, ერთ-ერთ ყველაზე უფრო მკაცრ მეცნიერულ დისციპლინად ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა შორის.

ფონეტიკურ ცვლილებათა რეგულარულობის პრინციპს და მასზე დამყარებულ ფონემური შესატყვისობების რეგულარულობას მონათესავე ენათა შორის, დამუშავებულს XIX საუკუნის შედარებით ენათმეცნიერებაში ძირითადად ძველი ინდოევროპული ენების მასალაზე, ძალა აქვს, როგორც შემდგომმა გამოკვლევებმა აჩვენა, არა მხოლოდ ძველი წერი-

ლობითი ტრადიციების მქონე ენების მიმართ, არამედ უმწერლობო და ახალშექმნილი დამწერლობის მქონე ენების მიმართაც.

ინდოევროპულ შედარებით ენათმეცნიერებაში დიდი ხნის მანძილზე არსებობდა სკეპტიკური დამოკიდებულება იმ ენების წინაისტორიის აღდგენის შესაძლებლობისადმი, რომლებზედაც არ შემონახულა ძველი წერილობითი ძეგლები. ეს ზღუდავდა შედარებითი მეთოდის გამოყენების სფეროს ძველი დამწერლობის მქონე ენებით და ამით აქცევდა მას ლინგვისტური ანალიზის კერძო მეთოდად, რომლის გამოყენება განისაზღვრებოდა საკვლევ ენათა კულტურული ტრადიციებით.

ისტორიულ-შედარებითი კვლევის სფეროში წერილობით ისტორიას მოკლებულ სხვადასხვა სისტემის ენათა სულ უფრო დიდი რაოდენობის ჩართვამ მნიშვნელოვნად გააფართოვა შედარებითი მეთოდის გამოყენების არე და გამოავლინა ფონეტიკურ ცვლილებათა რეგულარულობის პრინციპის უნივერსალურობა.

ამ მიმართებით გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამერიკელი ენათმეცნიერის ლეონარდ ბლუმფილდის გამოკვლევებს პროტო-ალგონკინური ენის შესახებ, რომლის რეკონსტრუქცია მოხდა ჩრდილოეთ ამერიკის უმწერლობო ენათა ერთი ჯგუფის ურთიერთშედარებისა და შეპირისპირების საფუძველზე. ამ გამოკვლევებმა აჩვენა ინდოევროპულ შედარებით ენათმეცნიერებაში გავრცელებული შეხედულების უსაფუძვლობა ენათა შედარებისა და რეკონსტრუქციის არაეფექტიანობის შესახებ წერილობითი ძეგლების არარსებობის პირობებში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს აგრეთვე ნიკოლოზ ტრუბეცკოის შრომები, რომლებშიც წარმოდგენილია ჩრდილოკავკასიური ენების ფონოლოგიური სისტემების შედარებითი ანალიზი და დადგენილია რეგულარული შესატყვისობები ზოგიერთი უმწერლობო და ახალშექმნილი დამწერლობის მქონე ენების თანხმოდგენილ ფონემებს შორის.

## 2. ენობრივი სისტემა და დიაქრონიული ლინგვისტიკის წინამძღვრები

2.1. როგორც ცნობილია, ენა, როგორც ნიშანთა სისტემა, განასხვავებს ორ სტრუქტურულ პლანს — გამოხატულების პლანსა და შინაარსის პლანს. ყოველი ენობრივი ნიშანი ხასიათდება ორი მხარის — აღმნიშვნელისა (*signans*) და აღსანიშნის (*signatum*) ერთიანობით, რომლებიც ენის ორ ხსენებულ პლანს განეკუთვნება. მიმართებები აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის ენობრივ ნიშნებში განისაზღვრება ამ უკანასკნელთა ურთიერთკავშირებით სისტემაში როგორც გამოხატულების, ისე შინაარსის პლანში.

ენობრივ ნიშანთა ასეთი ურთიერთმიმართებები, წარმოდგენილი როგორც გამოსატყულები, ისე შინაარსის დონეზე, განსაზღვრავენ ენობრივი ნიშნის პირობითობის *სოსიურისეული პრინციპის* რთულ ბუნებას: ენობრივი ნიშანი *ნებისმიერია* „ვერტიკალური მიმართებების“ თვალსაზრისით, ე.ი. კავშირი ცალკე აღებული ენობრივი ნიშნის შემადგენლებს — აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის ნებისმიერი, არამოტივირებული, არადეტერმინირებულია.

2.2. როდესაც ორ ან რამდენიმე ენას შორის დასტურდება ფორმალურ-აზრობრივი მსგავსება, ე.ი. მსგავსება ერთდროულად ორ პლანში — ამ ენათა ნიშნების (სიტყვების) როგორც აღმნიშვნელების, ისე აღსანიშნების პლანში, ბუნებრივად დგება საკითხი სხვადასხვა ენის ნიშნებში (სიტყვებში) ასეთი მსგავსების წარმოშობის მიზეზების შესახებ. თუ ამოვალთ თუზისიდან ენობრივი ნიშნის „შეზღუდული ნებისმიერობის“ შესახებ (ზემოთ მითითებული აზრით), სხვადასხვა ენის ნიშნების ასეთი ფორმალურ-აზრობრივი თანხვედრა (ე.ი. ორი ან მეტი ენობრივი ნიშნის ფონეტიკური მსგავსება, მათ აზრობრივ სიახლოვესა თუ იგივეობასთან ერთად) შეიძლება ახსნილიყო როგორც სხვადასხვა ენის ორი ან მეტი ნიშნის შემთხვევითი დამთხვევა.

სავსებით შესაძლებელია იმის დაშვება, რომ კომბინატორიკის სრულიად შემთხვევითი ფაქტორების მოქმედების შედეგად ორ, სამ ან მეტ ენაში ერთმანეთს დაემთხვას ფონეტიკური უღერადობითა და მნიშვნელობით მსგავსი რამდენიმე სიტყვა: შდრ., მაგალითად, ქართ. *მე ვარ* და გერმ. *ich war* „მე ვიყავი“; ქართ. *დიდი* და ლიტვური *didis* „დიდი“; ინგლ. *bad* „ცუდი“ და სპარს. *bad* „ცუდი“ და სხვ. შეიძლება ერთგვარი მიახლოებით გამოვთვალოთ კიდევ *ალბათობა* შემთხვევითი თანხვედრისა განსაზღვრული სიგრძის ორ ან მეტ მსგავს სიტყვას შორის ორ ან მეტ ენაში.

ალბათობა ასეთი მსგავსების ასახსნელად წამოყენებული პიპოთეზისა *შემთხვევითი თანხვედრის* შესახებ შემცირდება იმ ენათა რაოდენობის ზრდის შესაბამისად, სადაც ასეთი მსგავსი ნიშნები დასტურდება, და კიდევ უფრო მეტად მაშინ, როდესაც იზრდება რაოდენობა ასეთი მსგავსებებითა თუ დამთხვევებით გამორჩეული ნიშნებისა ამ ენებში.

2.3. დამთხვევათა აღმოჩენისას, ამასთანავე, როდესაც ასეთ დამთხვევათა რიცხვი  $n$  საკმაოდ დიდია (20-30 და მეტი) და ეს დასტურდება  $k$  რაოდენობის ენებში (სადაც  $k \geq 2$ ), შემთხვევითი თანხვედრის ალბათობა პრაქტიკულად ნულის ტოლია და, მაშასადამე, უნდა მოვიხმოთ სხვა პიპოთეზა ამგვარი მსგავსების ასახსნელად. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ *შემთხვევითი თანხვედრის* ალბათობა მცირდება აგრეთვე ისეთი ფაქტო-

რის ზეგავლენით, როგორც არის მსგავსი სიტყვების *სივრძე* : რაც უფრო გრძელია ორი სხვადასხვა ენის თანმხვედრი სიტყვები, მით უფრო მცირეა მათი შემთხვევითი თანხვედრის ალბათობა. ასე, მაგალითად, სხვადასხვა ენებს შორის არსებული ისეთი ლექსიკური მსგავსების შემთხვევაში, როგორც არის, ვთქვათ, ქართ. *რევოლუცია* ~ რუს. *революция* ~ ინგლ. *revolution*; ქართ. *სიმბოლო* ~ რუს. *символ* ~ გერმ. *Symbol* ~ ბერძნ. *σύμβολον* ~ ლათ. *symbolus* "id."; ან ქართ. *განი* ~ არაბ. *kanz* ~ სპარს. *ganǧ* "id."; ქართ. *ალამი* ~ არაბ. *'alam* ~ სპარს. *alam* "id."; ქართ. *ჯაშუში* ~ არაბ. *ǧāšūs* ~ სპარს. *ǧāšūs* "id."; ქართ. *ნიშანი* ~ სპარს. *nešān* "id."; ქართ. *ჯეელი* ~ არაბ. *ǧāhil* ~ სპარს. *ǧāhel* "id."; ქართ. *ზანდუკი* ~ არაბ. *sandūk* ~ სპარს. *sandūq* "id." და სხვ.

ორი ან მეტი ენის ურთიერთშესაბამის ნიშნებს შორის დადასტურებული ამგვარი მსგავსებებისა და თანხვედრების ასახსნელად უფრო ბუნებრივია მეორე ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც სიტყვებს შორის ამ ტიპის მსგავსება შედეგია ენათა *ისტორიული კონტაქტებისა* და შესაბამისი *სიტყვების სესხებისა* ერთი ენიდან მეორეში (ან რამდენიმე ენაში), ან ამ ენებში რომელიმე სხვა წყაროდან.

2.4. მაგრამ ორი ან მეტი ენის ნიშანთა ფორმალურ-სემანტიკური მსგავსების ყველა სახეობა არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ როგორც *სესხების* შედეგი: არსებობს სხვადასხვა ენის ნიშნებს შორის მსგავსების კიდევ ერთი ტიპი, რომელიც გამოხატულებას პოულობს *რეგულარულ ბგერით თანაფარდობებში* მსგავს ნიშნებს შორის; მსგავსების ეს ტიპი საზოგადოდ ვერ აიხსნება ერთი ენის სიტყვების სესხებით სხვა ენებში.

ნიშანთა ამ ტიპის მსგავსება გულისხმობს ენებს შორის ისეთი ბგერითი თანაფარდობების არსებობას, როდესაც  $A$  ენის განსაზღვრულ  $x$  ფონემას  $B$  ენის ფორმალურ-სემანტიკურად მსგავს ნიშანში შეესაბამება რაღაც  $y$  ფონემა,  $C$  ენის ასეთსავე ნიშანში —  $z$  ფონემა და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუ  $A$  ენის  $x$  ფონემას ამასთან  $B$  ენის  $y'$  ფონემაც შეესაბამება, ასეთი თანაფარდობა აიხსნება გარემოცვით ანუ პოზიციით სხვა ფონემების მიმართ. ამგვარ შემთხვევებში შეიძლება ვამტკიცოთ, რომ  $A$  ენის  $x$  ფონემა *შესაბამისობაშია*  $B$  ენის  $y, y'$  ფონემებთან ყველა პოზიციის გათვალისწინებით.

ასეთი ბგერითი თანაფარდობები ენებს შორის დასტურდება, ჩვეულებრივ, იმ სიტყვებისა და მორფემების სიმრავლეებში, რომლებიც ენის ძირითად ლექსიკურ ფონდს შეადგენს და ადამიანის სხეულის ნაწილებს, ნათესაურ მიმართებებს, აგრეთვე ადამიანის საქმიანობას, გარემოსა და სხვა ფუნდამენტურ ცნებებს ასახავს.

*რეგულარული ბგერათფარდობების მაგალითები:*

- ქართულის მსგავსი სიტყვები მეგრულ-ლაზურსა და სვანურში :
- ქართ. ძმა ~ მეგრ. ჯიმა, ლაზ. ჯუმა ~ სვან. ჯღმილ „ძმა დისთვის“;
- ქართ. თვალი ~ მეგრ.-ლაზ. თოლი ~ სვან. თე ;
- ქართ. ცხვირი ~ მეგრ.-ლაზ. ჩხინდი ;
- ქართ. მზე ~ მეგრ. ბუა, ლაზ. ბეორა ~ სვან. მიე ;
- ქართ. ასი ~ მეგრ.-ლაზ. თში ~ სვან. აშირ ;
- ქართ. ცხრა ~ მეგრ.-ლაზ. ჩხორო ~ სვან. ჩხარა ;
- ქართ. ჩემი ~ მეგრ.-ლაზ. ჩქიმი ~ სვან. მიშეუ ;
- ქართ. შვიდი ~ მეგრ.-ლაზ. შქვითი ~ სვან. იშეუიღ .

ზემოთ მოყვანილი მსგავსი ფორმების ერთმანეთთან შეპირისპირების საფუძველზე გამოიყვანება ქართულს, მეგრულ-ლაზურსა და სვანურს შორის რეგულარული ბგერათშეფარდების შემდეგი „ფორმულები“:

- ქართ. ძ ~ მეგრ.-ლაზ. ჯ ~ სვან. ჯ
- ქართ. ც ~ მეგრ.-ლაზ. ჩ ~ სვან. ჩ
- ქართ. ზ ~ მეგრ.-ლაზ. ჟ ~ სვან. ჟ
- ქართ. შ ~ მეგრ.-ლაზ. შქ ~ სვან. შგ
- ქართ. ჩ ~ მეგრ.-ლაზ. ჩქ ~ სვან. შგ
- ქართ. ე ~ მეგრ.-ლაზ. ა ~ სვან. ე
- ქართ. ა ~ მეგრ.-ლაზ. თ და ა ~ სვან. ა

რეგულარული ბგერათშეფარდებები რომლებიც დგინდება ქართულს, მეგრულ-ლაზურსა და სვანურს შორის, ამ ენებში საერთო მნიშვნელობის მქონე მსგავსი ფორმების შეპირისპირების საფუძველზე. შესაძლებელია შედარებით უფრო სრულად შემდეგი სქემის სახით წარმოვადგინოთ:





ძვ.-ინდ. *dāmah* „სახლი“ ~ ძვ.-სლავ. *domŭ*, რუს. *дом* ~ ბერძნ. *δῶμος*, ლათ. *domus*;

ძვ.-ინდ. *pādām* „ფენი; ფენს“ (აკუნატივი) ~ ბერძნ. *póda* ~ ლათ. *pedem* ~ გოთ. *footu* ~ სომხ. *otn*;

ძვ.-ინდ. *jānah* „გვარი, მოდგმა“ ~ სომხ. *cin* „დაბადება; წარმოშობა“ ~ ბერძნ. *γένος* „გვარი, წარმოშობა“ ~ ლათ. *genus* „გვარი“; ძვ.-ინდ. *jantúh* „წარმოშობა; წარმონაქმნი; მოდგმა, ტომი“ ~ ავესტ. *zantuš* „მოდგმა“ ~ გოთ. *kuni* „გვარი, ოჯახი“;

ძვ.-ინდ. *gāyah* „საგვარეულო ქონება“ ~ ავესტ. *gayō* „სიცოცხლე“; ძვ.-ინდ. *jīvāh* „ცოცხალი“ ~ ავესტ. *ǰ(i)vō* ~ ლიტვ. *gyvas* ~ ძვ.-სლავ. *živŭ* ~ ძვ. ლათ. *uīuos* ~ ოსკ. *bivus* „ცოცხლები“ ~ ძვ.-ირლ. *beo* ~ გოთ. *gius*; შდრ. ბერძნ. *βίος* „სიცოცხლე“, სომხ. *keam* „ვცოცხლობ, ვცხოვრობ“;

ძვ.-ინდ. *bhārāmi* „მიმაქვს“ ~ ავესტ. *barāmi* ~ სომხ. *berem* ~ ბერძნ. *φέρω* ~ ლათ. *ferō*, გოთ. *baíran*, “id”.; ძვ.-სლავ. *bero* „ვიღებ, მიმაქვს“ ~ რუს. *беры* “id”.;

ძვ.-ინდ. *nābhah* „ღრუბელი“ ~ ბერძნ. *νέφος* „ცა“, ძვ.-სლავ. *nebo* „ცა“, ხეთ. *nepiš* „ცა“ ~ ბერძნ. *νεφέλι* „ღრუბელი“ ~ ლათ. *nebula* „ნისლი“ ~ ძვ.-საქს. *ne þal* „ღრუბელი“;

ძვ.-ზ.-გერმ. *berg* „მთა“ ~ სომხ. *barjr* „მაღალი“ ~ ძვ.-ინდ. *bḡhánt* „მაღალი“ ~ ხეთ. *parkuš* „მაღალი“ ~ ტოქ. *A pārġ-* „ამოსვლა“ (მზის);

ძვ.-ინდ. *dhūmah* „კვამლი“ ~ ლათ. *fumus* „კვამლი“ ~ ლიტვ. *dūmai* ~ ძვ.-სლავ. *dymŭ* „კვამლი“;

ძვ.-ინდ. *vāhati* „მიდის“ ~ ავესტ. *vazaiti* „მიმაქვს“ ~ ძვ.-სლავ. *vezo* „მიმაქვს“ ~ ლიტვ. *vėža* ~ ლათ. *uehit* ~ გოთ. *(ga-)wigan* „დაძვრა“ ~ ბერძნ. *ὄχος* „ოთხთვალა, საზიდარი“ ~ ძვ.-სლავ. *vožŭ* „ურემი, საზიდარი“;

ძვ.-ინდ. *bāhúh* „ხელი“ („წყურთა“ — ხელი მტევენიდან იდაყვამდე) ~ ბერძნ. *πῆχυς* „იდაყვი“ ~ ტოქ. *pokem* „ხელი“ (მტევენიდან მხრამდე);

ძვ.-ინდ. *hánti* „არტყამს“, *ghnánti* „არტყამენ“ ~ ავესტ. *ǰainti* „არტყამს“ ~ ბერძნ. *θείνω* „ვცემ“, „ვკლავ“, *ἔπεινον* „მე მოვკალ“, *φόνος* „მკვლელობა“ ~ სომხ. *gan* „დარტყმა“ ~ ლათ. *(of-)fen-(dō)* „ვეგები, ვეჯახები, ვიშავებ“ ~ ირლ. *gonim* „ჭრილობას ვაყენებ“; ხეთ. *kuenzi* „კლავს“, *kunanzi* „კლავენ“;

ავესტ. *snaēžaiti* „თოვს“ ~ გოთ. *snaīws* „თოვლი“ ~ ლიტვ. *snėgas* „თოვლი“ ~ ძვ.-სლავ. *sněgŭ* „თოვლი“ ~ ბერძნ. *νίφα* ~ ლათ. *niuem* (აკუზ.), *nix* „თოვლი“;

ძვ.-ინდ. *pátih* „ბატონი, მბრძანებელი; მეუღლე (ქმარი)“ ~ ლიტვ. *pat(i)s* „თვითონ“ ~ ბერძნ. *pósis* „მეუღლე (ქმარი)“ ~ ლათ. *potis* „შემძლე, შესაძლებელი“ ~ გოთ. *-faþs* სიტყვაში (*bruþ-*)-*faþs* „საქმრო, სასიძო, სიძე“;

ხეთ. *pedan* „ნიადაგი“ ~ ძვ.-ინდ. *padám* „კვალი“ ~ ბერძნ. *πέδος* „კვალი“ ~ სომხ. *het* (გენ. *hetoy*) „კვალი“ (შდრ. *otn* „ფეხი“, სახ. ბრ., მრ.რ. *otkh* „ფეხები“) ~ ძვ.-ისლ. *fet* „ნაბიჯი“;

ხეთ. *para* „წინ“ ~ ძვ.-ინდ. *prá-* ~ ძვ.-სლავ. *pro*, ბერძნ. *προ* ~ ლათ. *pro-* ~ გოთ. *fra-*;

ძვ.-ინდ. *ápi* „აგრეთვე“ ~ ავესტ. *aipi* ~ ბერძნ. *ἔτι* „თან, დროს, ამას გარდა, შემოდან, -ზე“ ~ სომხ. *ew* „აგრეთვე, -ც“;

ძვ.-ინდ. *tanúh* „წვრილი, თხელი“ ~ ძვ.-სლავ. *tinŭkŭ* ~ ლათ. *tenuis* „თხელი, წვრილი“ ~ ძვ.-ისლ. *þunnur* (შდრ. გერმ. *dünn*) ~ ბერძნ. *ταναός* „დაჭიმული, გაწელილი“ ~ ირლ. *tan(a)e* „id.“;

ძვ.-ინდ. *śrávah* „დიდება“ ~ ბერძნ. *κλέ(F)ος* „მოარული ხმები“, „დიდება“ ~ ძვ.-ირლ. *clŭ* „დიდება“ ~ ლათ. *cluor* „აზრი“ ~ ავესტ. *sravah-* „სიტყვა“ ~ ძვ.-სლავ. *slava* „დიდება“; ძვ.-ინდ. *śrutáh* „გაგონილი, ცნობილი“ ~ ბერძნ. *κλυτός* „დიდებადი, სახელოვანი“ ~ ლათ. *(in-)clutus* „ცნობილი“ ~ ძვ.-ზ.-გერმ. *hlūt* „ხმახმალი, გახმაურებული, [სახელ]განთქმული“;

ძვ.-ინდ. *kṛiṣṭi* „აკეთებს“ ~ ლიტვ. *kuriù* „ვაშენებ“ ~ ირლ. *creth* „ბოეზია“;

ლიტვ. *lėkù* „ვტოვებ“ ~ ბერძნ. *λείπω* „ვტოვებ“, გოთ. *leihwa* „ვასესხებ, ხელს ვუპართავ“ ~ ძვ.-ინდ. *riṣákti* „ტოვებს“ ~ ლათ. *linquō* „ვტოვებ“ ~ სომხ. *elikh* „მან დატოვა“ ~ ბერძნ. *ἔλιπε* „დატოვა“;

ძვ.-ინდ. *cáyate* „სჯის“ ~ ავესტ. *kaēnā-* „დასჯა“ ~ ბერძნ. *ποινή* „გამოსყიდვა, დახსნა, გამოსასყიდი“ ~ ძვ.-სლავ. *cěna* ~ რუს. *цена* „ფასი“.

განსახილველ ენებში ამ და ანალოგიური „ფონეტიკურად მსგავსი“ სიტყვების საფუძველზე გამოიყვანება ამ ენათათვის დამახასიათებელი რეგულარული ბგერათშესატყვისობების ფორმულები, რომლებიც შესაძლებელია შექმდევი ტაბულების სახით წარმოვადგინოთ:

ხეთ.	ტიქ.	ქე-ინდ.	ავესტ.	ქე-სლავე.	ლიტუ.	სომხ.	ბერძნ.	ლათ.	ირლ.	გოთ.
p	p	b	b	b	b	p	β	b	b	p
t	t(c)	d	d	d	d	t	δ	d	d	t
k	k	j	z	z	ž	c	γ	g	g	k
ku	k(c)	g(j)	g(j)	g(ž,s)	g	k	β(δ)	u(gu)	b	q

ხეთ.	ტიქ.	ქე-ინდ.	ავესტ.	ქე-სლავე.	ლიტუ.	სომხ.	ბერძნ.	ლათ.	ირლ.	გოთ.
p(b)	p	bh	b	b	b	b	φ	f(b)	b	b
t(d)	t	dh	d	d	d	d	θ	f(d)	d	d
h(g)	k	h	z	z	ž	j(z)	χ	h	g	g
ku(gu)	k	gh(h)	g(j)	g(ž,s)	g	g(j)	φ(θ)	f(u)	g	(?)

ხეთ.	ტიქ.	ქე-ინდ.	ავესტ.	ქე-სლავე.	ლიტუ.	სომხ.	ბერძნ.	ლათ.	ირლ.	გოთ.
p	p	p	p	p	p	h(w)	π	p	-	f(b)
t	t(c)	t	t	t	t	th	τ	t	t	þ(d)
k	k(s)	ś	s	s	š	s	κ	c	c	h(g)
ku	k	k(c)	k(č)	k(č,c)	k	kh	π(τ)	qu	c	hw(w)

2.5. ზემოთ მოყვანილი მაგალითები სხვადასხვა ენებს შორის არსებული „ფონეტიკურად მსგავსი“ სიტყვაფორმებისა, რომელთა საფუძველზეც გამოიყვანება რეგულარული თანაფარდობები განსახილველი ენების ბერძნულ ერთულეებს შორის, არ შეიძლება, რასაკვირველია, დამაკმაყოფილებლად აიხსნას არც შემთხვევითი თანხვედრით სხვადასხვა ენის სიტყვების უღერადობაში, არც ამ სიტყვათა შესხებით ერთი ენიდან მეორეში და არც მათი წარმომავლობით ამ ენებში რომელიღაც მესამე წყაროდან.

ერთადერთი ლოგიკური და „ბუნებრივი“ ახსნა ამ ტიპის მსგავსებისა სხვადასხვა ენის თანაფარდ სიტყვებს შორის არის დაშვება განსახილველი ენობრივი სისტემების საერთო წარმოშობისა, ე.ი. ამ სისტემების წარმომავლობისა რომელიღაც საერთო ამოსავალი ენობრივი სისტემა-

დან რომელსაც *ფუძე-ენა* ანუ *წინარე ენა* ეწოდება და რომელიც თავისი ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი ცვლილებებისა და განვითარების პროცესში სხვადასხვაგვარად, სხვადასხვა მიმართულებით გარდაიქმნა.

ასეთი გაგებით სხვადასხვა ენებს შორის დადგენილი ზემოთ აღწერილი ტიპის *ფონემური თანაფარდობები (შესატყვისობები)* წარმოგვიდგება როგორც ამოსავალი ფონემური ერთეულების სხვადასხვა მიმართულებით გარდაქმნის შედეგი:

რომელიმე  $X$  ფონემა ჰიპოთეტურ  $L$  ენაში ამ ენის *მონათესავე* დიალექტებად დაშლის შედეგად ერთ დიალექტში გვაძლევს  $x$  ფონემას, მეორეში —  $y$ -ს, მესამეში —  $z$ -ს და ა.შ., რომლებიც ამ დიალექტების ურთიერთშედარებისას განსაზღვრულ ფონემურ თანაფარდობაში აღმოჩნდებიან ერთმანეთის მიმართ.

**2.6.** *მე ჩვენ ფონემებს განვიხილავთ როგორც დისტინქციური ნიშნების განსაზღვრულ კონტექსტში ამოსავალი  $X$  ფონემის ასეთი გარდაქმნა სხვადასხვა მიმართულებით შესაძლებელია წარმოვიდგინოთ როგორც მოცემული კონის ერთი ან რამდენიმე ნიშნის შეცვლა სხვა ნიშნებით, რაც იწვევს ამოსავალი ფონემური ერთეულის სხვადასხვაგვარ ტრანსფორმაციებს. ადვილი დასანახავია, რომ  $L$  ენის ამოსავალი ფონემის ასეთი სავარაუდო გარდაქმნების დროს ამ ენის  $A, B, C, \dots$  დიალექტებში წარმოქმნილი ფონემური ერთეულები, რომლებიც ერთმანეთთან თანაფარდობაში აღმოჩნდებიან, ფონეტიკური თვალსაზრისით ახლოს არიან ერთმანეთთან, რაც განაპირობებს სწორედ მათ ისტორიულად წარმოჩენილ მსგავსებას.*

**2.7.** *ზოგიერთ შემთხვევაში ამოსავალი ფონემების ასეთი გარდაქმნა შეიძლება გამოიხატოს უკლებლივ ყველა დისტინქციური ნიშნის, მათი მთლიანი კონის შენარჩუნებაში. ადვილი დასანახავია, რომ ასეთ შემთხვევებში თანაფარდი ფონემები ამ დიალექტებში ბევრობრივად იგივეობრივნი აღმოჩნდებიან.*

რამდენადაც ორ მონათესავე ენას შორის დადგენილი ფონემური შესატყვისობების სისტემა იდენტურ ელემენტებსაც შეიცავს, ყოველთვის არსებობს იმის ალბათობა, რომ სხვადასხვა ენის რომელიმე ორი ერთმანეთის შესატყვისი ფორმა შედგებოდეს სწორედ ასეთი *იდენტური ფონემებისაგან*, რომლებიც ამ ფორმების სრულ ურთიერთდამთხვევას განაპირობებენ. ასეთ შემთხვევაში ყოველთვის შეიძლება საეჭვო გახდეს ამ იდენტური ფორმების არქაულობა და მათი მიკუთვნება ერთმანეთის შესატყვისი ლექსიკური ერთეულების კლასისადმი; ეს იძლევა საბაბს ერთი ენიდან მეორეში ან კიდევ ორივე ამ ენაში რომელიმე მესამე ენიდან სესხების ალტერნატიული დაშვებისათვის: უდრ., მაგალითად, ისეთი

ფორმები, როგორც არის ხეთ. *jukan* „უღელი“; „დროის მონაკვეთი (პერიოდი), წელიწადი“ და ძვ.-ინდ. *yugán* „უღელი“; „დროის მონაკვეთი (პერიოდი), ციკლი“; ხეთ. *turija-* „უღელში შებმა“ და ძვ.-ინდ. *dhūr-* „აღკაზმულობა“; ქართ. *და* (ნათესაობის ტერმინი) და მეგრ.-ლაზ. *და*; ქართ. *ცა* და მეგრ.-ლაზ. *ცა*; ქართ. *თხა* და მეგრ.-ლაზ. *თხა* და სხვ.

არ არსებობს არავითარი მკაცრი ფორმალური კრიტერიუმი ამ საკითხის ერთმნიშვნელოვნად გადასაწყვეტად კონკრეტული ფორმების მთელ წყებასთან დაკავშირებით. მაგრამ ორიდან ერთ-ერთი ალტერნატივის ალბათობის განსაზღვრის ერთგვარ საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს განსახილველი ლექსიკური ერთეულების ფონემური სიგრძე: რაც უფრო დიდია განსახილველი სიტყვების სიგრძე, მით უფრო სავარაუდოა მათი ნასესხობა, მაშინ როდესაც ასეთი ლექსიკური ერთეულების შეზღუდული ფონემური შედგენილობა გვაგვარაუდებინებს მათ შორის ფონემური თანაფარდობის არსებობას და, მაშასადამე, „წყარო-ენიდან“ მათ საერთო წარმომავლობას. არ არის გამორიცხული ალბათობა იმისა, რომ ამგვარი სიტყვები შედგებოდეს უპირატესად ისეთი ფონემური ერთეულებისაგან, რომლებიც ბგერობრივად ერთმანეთს ემთხვევა შესაბამის სისტემებში.

სიტყვების სიგრძის ზრდასთან ერთად, ბუნებრივია, მცირდება ამ სიტყვათა არქაულობის დაშვებისა და მათში მხოლოდ ისეთი ურთიერთ-შესატყვისი ფონემების არსებობის შესაძლებლობა, რომლებიც ბგერობრივად იდენტურია. ამ აზრით, ინდოევროპული და ქართველური ენების ზემოთ მოტანილი შეზღუდული ფონემური სიგრძის სიტყვები შეიძლება მივიჩნიოთ ამოსავალი არქეტაბებიდან მომდინარე ლექსიკურ შესატყვისობებად და არა ნასესხობებად ერთი ენიდან მეორეში.

2.8. ამგვარად, მონათესავე დიალექტებში დადასტურებული მსგავსება თანაფარდ ფონემებს შორის, რომლებიც მომდინარეობენ საერთო ამოსავალი ფონემური ერთეულიდან, შეიძლება ვარირებდეს დისტინქციური ნიშნების სრული დამთხვევიდან მნიშვნელოვან განსხვავებამდე (რაც გულისხმობს ერთი ან რამდენიმე დისტინქციური ნიშნის შეცვლას თავდაპირველ კონაში).

მაშასადამე, ტერმინი *მსგავსება* უნდა განვიხილოთ როგორც *რეგულარული თანაფარდობები* ფონემებს შორის და არა როგორც დამთხვევა-განსხვავება სხვადასხვა ენის სიტყვათა ბგერით შედგენილობაში, — ენებისა, რომლებიც ითვლება *მონათესავედ*, ე.ი. მომდინარედ საერთო ამოსავალი ენობრივი სისტემიდან.

მონათესავე ენათა *თანაფარდი ფონემური ელემენტები*, როგორც წესი, ერთმანეთს ემთხვევა ბგერობრივად ან განსხვავდება ჩვეულებრივ მხოლოდ ერთი-ორი ნიშნით. სწორედ ასეთ, ფონეტიკურად ახლოს

მდგომ ერთეულებში, რომლებიც ერთიანი ამოსავალი ფონემური ელემენტებიდან მომდინარეობენ, ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ვლინდება ისტორიული მსგავსება სხვადასხვა ენის თანაფარდ ნიშნებს შორის, რაც საფუძველს იძლევა მათი წარმომავლობის ერთიანობის მტკიცებითსათვის.

მაგრამ ასეთ თანაფარდობაში შეიძლება იმყოფებოდნენ მონათესავე ენების ფონეტიკურად ერთმანეთისაგან საგრძნობლად შორს მდგომი ფონემური ერთეულებიც, რომლებიც საერთო დიფერენციალური ნიშნების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს შეიცავენ.

მსგავსება ამგვარ ელემენტებს შორის, ანუ მათი რეგულარული თანაფარდობები, შესაძლებელია ისტორიულად დადგინდეს მხოლოდ ისეთი ფორმების მეშვეობით, რომლებშიც ეს მნიშვნელოვნად განსხვავებული ელემენტები გვევლინება სხვა, ერთმანეთისაგან მინიმალურად განსხვავებულ და ფაქტობრივი ფონეტიკური მსგავსების მქონე ელემენტებთან ერთად.

ამ უკანასკნელი ელემენტების არარსებობისას მონათესავე ენებში, რაც დროის ფაქტორით შეიძლება იყოს შეპირობებული, უაღრესად ძნელი ან შეუძლებელიც კი იქნებოდა დადგენა მსგავსებისა ანუ რეგულარული თანაფარდობებისა ენობრივ ნიშანთა აღმნიშვნელებს შორის სხვადასხვა ენაში, რომლებიც შესაძლებელია საერთო წყაროდანაც კი მომდინარეობდნენ.

ამდენად, დასაშვებია ისეთი ენების არსებობაც, რომლებიც სინამდვილეში რომელიღაც საერთო წყაროდან მომდინარეობენ, ანუ განსაზღვრული ენობრივი ერთიანობის ოდესღაც მომხდარი დაშლის შედეგს წარმოადგენენ. ასეთი ერთიანობა ძნელი დასადგენია შესაძლო მონათესავე ენობრივ სისტემებს შორის ფაქტობრივი ფონეტიკური მსგავსების არარსებობის გამო, რაც შესაძლებელია ამოსავალი სისტემის პირვანდელი დიფერენციალური ნიშნების მნიშვნელოვანი გარდაქმნების (სრულ შეცვლამდეც კი) შედეგს წარმოადგენდეს.

მეორე მხრივ, თუ მივიღებთ თეზისს დროის გარკვეულ პერიოდში ენის ბაზისური ლექსიკონის სიტყვათა განსაზღვრული პროცენტის „დაკარგვის“ შესახებ, რაც გლოტოქრონოლოგიური თუ ლექსიკოსტატისტიკური მოსაზრებებით ივარაუდება (ამის შესახებ იხ. ქვემოთ), შეიძლება წარმოვიდგინოთ ამა თუ იმ მონათესავე ენათა ისტორიის ისეთი პერიოდი, რომლის განმავლობაში ისინი დაკარგავდნენ ყველა ოდინდელ „მონათესავე სიტყვას“ და დამხმარე (მომსახურე) ელემენტებს; ასეთ შემთხვევაში ენათა ნათესაობის დადგენა საერთოდ შეუძლებელიც კი იქნებოდა.

2.9. მნაში გარკვეული ლექსიკური ჯგუფების გამოყოფისა და სხვა ენებთან მათი განსაზღვრული ფონემური თანაფარდობების დადგენის შედეგად ხორციელდება ენის ლექსიკის „ფენობრივი“ დაშლა ერთგვარ

ქვესისტემებად, რომლებიც შეიცავენ სიტყვათა ე.წ. ბაზისურ ჯგუფს; ეს სიტყვები ძირითადად გვიჩვენებს იმ პირველად ფონემურ შესატყვისობებს სხვა ენებთან, რომლებიც სწორედ მათ საერთო წარმოშობას ასახავს.

ლექსიკონის მეორე დიდი ნაწილი, რომელიც რჩება ბაზისური ჯგუფის გამოყოფის შემდეგ, მოიცავს ძირითადად იმ სიტყვებს, რომლებიც ენაში მოგვიანებით გაჩნდნენ, საერთო ენობრივი წყაროდან გამოყოფის მომდევნო პერიოდში — სხვა ენებთან კონტაქტებისა და ურთიერთქმედების შედეგად განვითარების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე.

ცალკეულ შემთხვევებში, ენათა მუდმივი და ინტენსიური კონტაქტებისას დაბყარბული ორენოვნების ხანგრძლივ პერიოდში შესაძლებელია ლექსიკის მნიშვნელოვანი ნაწილის სესხება ერთი ენიდან მეორეში, აგრეთვე წინადადებაში სიტყვებისა და სიტყვის ფარგლებში მორფემების ურთიერთმიმართებათა მთელი სქემების შეთვისება, რაც ბუნებრივად იწვევს კონტაქტში მყოფი ენების დაახლოებას და მათ შორის სტრუქტურული მსგავსების წარმოშობას, რომელიც შეიძლება დახასიათებულ იქნას როგორც *მეორეული, შექნილი ნათესაობა (დანათესავება)*, ანუ როგორც *ალოგენეტური მიმართება* ენებს შორის. ამგვარი დაახლოების პროცესს, რომლის შედეგადაც ენებს შორის შესაძლებელია ალოგენეტური მიმართებები დაბყარბდეს, ენათა *კონვერგენცია* ეწოდება (ინგლ. *convergence* „დაახლოება, მიახლოება“ < ლათ. *convergō* „გუახლოვდები, ვხვდები“).

ენებს შორის ალოგენეტურ მიმართებათა წარმოქმნა, როგორც ჩანს, შესაძლებელი ხდება კონტაქტში მყოფი ენობრივი სისტემების *წარმოშობის წესების ურთიერთდაახლოების* შედეგად რაღაც საერთო გაშუალებული სქემების მიხედვით, რომლებიც ასახავენ კონტაქტში მყოფი ორივე სისტემის თავდაპირველ მოდელებს; თავდაპირველი მოდელების ამგვარი უნიფიკაციის დროს შესაძლებელია უფრო დიდი ტიპოლოგიური მსგავსება კონტაქტში მყოფ ენობრივ სისტემებს შორის, ვიდრე თითოეული მათგანისა გენეტურად ამოსავალ სისტემასთან.

### 3. საერთო ენობრივი სისტემის პრობლემა და მისი რეკონსტრუქციის მეთოდები

3.1. მათა შორის არსებული ფონემური შესატყვისობების ახსნა ამოსავალი ენობრივი სისტემიდან მათი საერთო წარმომავლობით გულსხმობს ამ სისტემის რეკონსტრუქციის აუცილებლობას, რათა შესწავლილი იქნეს ისტორიულად დადასტურებული მონათესავე ენობრივი სისტემების წარმოშობისა და გარდაქმნის გზები.

კანონზომიერი ფონემური შესატყვისობების დადგენაზე ორიენტირებულია ენათა შედარებამ ლოგიკურად უნდა მიგვიყვანოს იმ ენობრივი სისტემის რეკონსტრუქციამდე, რომლის გარდაქმნამ სხვადასხვა მიმართულებით მოგვცა სწორედ ისტორიულად დადასტურებული *მონათესავე ენობრივი სისტემები* მონათესავე ენათა შედარება, რომელიც მიზნად არ ისახავს ამოსავალი სისტემის რეკონსტრუქციას, როგორც *ფერდინანდ დე სოსიური* აღნიშნავდა, „სტერილურია“ და არ შეიძლება ჩაითვალოს განსახილველ ენათა ისტორიის კვლევის დამაგვირგვინებელ ეტაპად.

მონათესავე ენების დამწერლობამდელი ისტორია (წინარე ისტორია) აღდგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხერხდება ისტორიულად დადასტურებული ენობრივი სტრუქტურების მთელი მრავალსახეობის დაყვანა საერთო ამოსავალ მოდელებზე და ამ სისტემის წარმოქმნისა და განვითარების გზების რეკონსტრუქცია, ამოსავალი (საწყისი) მდგომარეობიდან მოყოლებული — ვიდრე ისტორიულად დამოწმებულ მდგომარეობამდე.

**3.2.** ასეთი მიდგომა ენათა გენეტური შედარებისა და მათ შორის თანაფარდობათა დადგენისადმი ბუნებრივად სვამს საკითხს ამოსავალი ენობრივი სისტემის რეკონსტრუქციისა და ამგვარი რეკონსტრუქციის ლინგვისტური მეთოდების შესახებ.

ივარაუდება, რომ განსაზღვრული ლინგვისტური მეთოდების გამოყენებით რეკონსტრუირებული ამოსავალი ენობრივი მოდელი პირველი მიახლოებით ასახავს დროსა და სივრცეში ოდესღაც არსებულ ენობრივ სისტემას, რომელიც დაიშალა ისტორიულად დამოწმებულ მონათესავე დიალექტებად.

ამ დიალექტების ურთიერთშედარება და შეპირისპირება იძლევა სხვადასხვა ენობრივი დონისათვის დამახასიათებელი (*ფონოლოგიური, მორფოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკურ-სემანტიკური*) სტრუქტურული მოდელების პოსტულირების შესაძლებლობას, რომლებმაც პირველი მიახლოებით უნდა ასახონ თეორიულად საყარაუდო *ამოსავალი ენობრივი სისტემა*.

ამგვარი ენობრივი სისტემა, რომლის *დაშლის* ანუ *დიფერენციაციის* პროდუქტად მიიჩნევა ისტორიული დიალექტები, როგორც წესი, არ მიეკუთვნება ისტორიულად დამოწმებული ენების რიცხვს. იგი წარმოადგენს ერთგვარ თეორიულ კონსტრუქტს, რაღაც ენობრივ მოდელს, რომელიც დგინდება სხვადასხვა ენობრივ დონეზე ისტორიულ დიალექტებს შორის არსებული *ფორმალურ-ფუნქციონალური შესატყვისობების* განსაზღვრული რიგების საფუძველზე. ეს შესატყვისობები შესაძლებლობას იძლევა აღვადგინოთ ამოსავალი ენობრივი სტრუქტურები *შედარებითი* და *შინაგანი რეკონსტრუქციის* მეთოდით.



ივარაუდება, რომ ეს *სტრუქტურული მოდელები* პირველი მიხსლოებით ასახავენ სივრცესა და დროში ოდესღაც არსებული ფუძე-ენის სისტემას, რომლის დაშლამ ანუ დიფერენციაციამ დამოუკიდებელ ენობრივ ერთეულებად, დასაბამი მისცა ისტორიული ენების წარმოქმნასა და ჩამოყალიბებას. ფუძე-ენის ამგვარი დიფერენციაციის პროცესი ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში უნდა განვიხილოთ არსებითად როგორც ფუძე-ენის წიაღში მონათესავე დიალექტების თანდათანობით დაშორება-დაცილება ანუ *დივერგენცია* (ინგლ. *divergence* „ერთმანეთისაგან დაცილება, დაშორება“ < ლათ. *di(s)-* „გან“ და *vergō* „ვისრები, ვცილდები“). ეს წარმოადგენს შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების ერთ-ერთ ძირითად პოსტულატს, რაზეც აგებულია მთელი კომპარატივისტული მეთოდოლოგია.

#### 4. რეკონსტრუქცია და ტიპოლოგია

4.1. ლინგვისტური კვლევის განსაზღვრული მეთოდების გამოყენებით იმ ამოსავალი ენობრივი მოდელების რეკონსტრუქციისას, რომლებიც უნდა ასახავდნენ საერთო საწყისი ენის სისტემას, დგება საკითხი შესაძლებელი რეკონსტრუქციების „რეალურობის“ და მათი შესაბამისობის ხარისხის შესახებ სივრცესა და დროში ოდესღაც არსებული ენობრივი სისტემისადმი, რომელიც ამოსავლად მიიხსნევა მონათესავე დიალექტების მოცემული ჯგუფისათვის.

4.2. წარმოდგენილი რეკონსტრუქციების „რეალურობის“ თეზისის მიღება განსაზღვრავს შედარებით-გენეტური კვლევის მთელ რიგ მეთოდოლოგიურ პოსტულატებს, უწინარეს ყოვლისა კი კომპარატივისტული კვლევის აუცილებელ კავშირს ენობრივ ტიპოლოგიასა და უნივერსალაათა ლინგვისტიკასთან. ამ აზრით გენეტურა, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება, რომელიც ადგენს ნათესაობის მიმართებებს გარკვეულ ენებს შორის და იძლევა მათი ამოსავალი მოდელების რეკონსტრუქციებს, ქმნის არსებითად მთლიან დისციპლინას სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ ენათმეცნიერებასა და უნივერსალაათა ლინგვისტიკასთან ერთად.

მართლაც, ამოსავალი ენობრივი სისტემის რეკონსტრუქციური ლინგვისტური მოდელები, თუკი მათ სივრცესა და დროში რეალურად არსებული ენის ასახვის პრეტენზია აქვთ, უნდა შეესაბამებოდნენ ტიპოლოგიურად გამოყვანად უნივერსალურ ენობრივ კანონზომიერებებს, რომლებიც

დგინდება სხვადასხვა ენობრივი სტრუქტურების შედარებისა და ერთი-ერთშეპირისპირების საფუძველზე.

მონათესავე ენების ამგვარი კომპარატივისტული ანალიზის შედეგად მოსალოდნელია რეკონსტრუირებულ იქნეს ამოსავალი ენის თეორიულად შესაძლებელი სხვადასხვა მოდელი. ასეთ ვითარებაში სწორედ ლინგვისტური უნივერსალიები უნდა იქნეს გამოყენებული როგორც *რეკონსტრუირებული მოდელების რეალურობის ვერიფიკაციის* (დადასტურების) კრიტერიუმი. ამ თვალსაზრისით ის მოდელია უფრო *რეალური* (და, მაშასადამე, უფრო სააღბათო და სარწმუნო), რომელიც მეტად შეესაბამება სინქრონიულ ტიპოლოგიურ მონაცემებს.

ლინგვისტური რეკონსტრუქცია, რომელიც ეწინააღმდეგება *ენობრივ უნივერსალიებს*, ბუნებრივია, ნაკლებ სააღბათო და სარწმუნოა და არ შეიძლება ჰქონდეს ისტორიულად არსებული ენობრივი სისტემის რეალურად ასახვის პრეტენზია.

4.3. მაგრამ რეკონსტრუირებული მოდელების მხოლოდ *სინქრონიულ ენობრივ უნივერსალიებთან* შესაბამისობა არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს ამ რეკონსტრუქციითა *რეალურობისა* და მათში სავარაუდო ამოსავალი ენობრივი სისტემის ასახვის მტკიცებისათვის. აუცილებელი პირობაა აგრეთვე რეკონსტრუირებული მოდელების შესაბამისობა დიაქრონიულ ტიპოლოგიურ მონაცემებთან — განსაზღვრული ენობრივი სტრუქტურების დროში ცვლილების ზოგად ტიპებთან, რომლებიც დგინდება ცალკეულ ენათა ისტორიის კონკრეტული ფაქტების აღწერისა და შესწავლის საფუძველზე.

ისტორიულად დადასტურებული გარდაქმნები განეკუთვნება *ისტორიულ გრამატიკას* და, ამდენად, ისტორიულ-შედარებითი ანუ დიაქრონიული გრამატიკის აგება შეუძლებელია *ისტორიული გრამატიკის* მიერ მოპოვებული მონაცემების გათვალისწინების გარეშე.

4.4. რეკონსტრუირებული ენობრივი მოდელი შეიძლება უფრო სარწმუნოდ და რეალურად ჩაითვალოს, თუ იგი ვერიფიცირებადია ორი ძირითადი — *სინქრონიული* და *დიაქრონიული* — ტიპოლოგიური კრიტერიუმის მიხედვით. რეკონსტრუირებული სისტემის შესაბამისობის ეს ორი *კრიტერიუმი* ენის უნივერსალურ სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ კანონზომიერებებთან ერთად შეიძლება ჩაითვალოს აუცილებელ და საკმარის პირობად რეკონსტრუირებული ენობრივი სისტემის რეალურობის მტკიცებისათვის.

მაშასადამე, რეკონსტრუირებული ენობრივი მოდელების *ტიპოლოგიური ვერიფიკაცია* (როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული) წარმოადგენს ამოსავალი ენობრივი სტრუქტურების პოსტულირების ერთ-ერთ ძირითად წინამძღვარს.

4.5. წინარეენობრივი სისტემის რეკონსტრუქცია ხდება ისტორიულად დადასტურებული მონათესავე ენობრივი სისტემების ურთიერთშედარების საფუძველზე და ერთი ენობრივი მდგომარეობიდან მეორე, უფრო ადრინდელი მდგომარეობისაკენ რეტროსპექტული სვლით თითოეული მდგომარეობის ტიპოლოგიური ვერიფიკაციის შედეგად.

ასეთი რეტროსპექტული სვლა უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ მიღწეული არ იქნება ის ენობრივი მდგომარეობა, რომლიდანაც შეიძლება გამოყვანილი იქნეს ყველა ისტორიულად დამოწმებული მონათესავე ენობრივი სისტემა ტიპოლოგიურად მისაღები და თანმიმდევრული დიაქრონიული ტრანსფორმაციების (გარდაქმნების) გარკვეული სიმრავლის დაშვებით; ეს ტრანსფორმაციები განსაზღვრავენ სისტემის „დიაქრონიულ გამოყვანადობას“.

ამგვარ ტრანსფორმაციებს ამოსავალი ენობრივი სისტემა გადაჰყავს უფრო გვიანდელ მდგომარეობაში, რომელიც შედეგია მისი სტრუქტურული გარდაქმნებისა.

სწორედ ასეთი დიაქრონიული ტრანსფორმაციების მეშვეობით, რომლებიც შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ე.წ. გადაწერის წესების სახით, აღიწერება სხვადასხვა მონათესავე ენის გამოყვანა თეორიულად პოსტულირებული ამოსავალი ენობრივი სისტემიდან.

4.6. მნის დიაქრონიულ ცვლილებათა აღწერა ტრანსფორმაციული წესების მეშვეობით არსებითად წარმოადგენს დისკრეტული ნაბიჯების თანმიმდევრულ გადათვლას, რომელთაგან თითოეული ასახავს ერთ-ერთ სინქრონიულ მდგომარეობას ენის განვითარების პროცესში. რაც უფრო მცირეა ქრონოლოგიური მანძილი ასეთ „ნაბიჯებს“ შორის, მით უფრო ზუსტი და ადეკვატურია ენის განვითარების აღწერა.

ამ აზრით, ტრანსფორმაციული წესი რომელსაც პოსტულირებული ენობრივი მდგომარეობიდან გამოჰყავს ისტორიულად დამოწმებული მდგომარეობა, შესაძლებელია დაიშალოს და წარმოდგენილი იქნეს „გადაწერის წესების“ თანმიმდევრობის სახით, რომლებსაც დიაქრონიული გარდაქმნის საბოლოო შედეგი გამოჰყავთ შუალედური „ნაბიჯების“ აღწერით. ამგვარი „ნაბიჯები“ ასახავენ გარდაქმნის შესაძლებელ გარდამავალ ეტაპებს ამოსავალი ენობრივი სისტემიდან უკანასკნელ დადასტურებულ მდგომარეობამდე.

ასე, მაგალითად,  $p \Rightarrow \emptyset$  ფონემური გარდაქმნა შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც ქრონოლოგიური მიმდევრობა შემდეგი „ნაბიჯებისა“:

p	→	p <sup>h</sup>
p <sup>h</sup>	→	f
f	→	h
h	→	∅

ამოსავალი ფონემის დიაქრონიული ტრანსფორმაციის შედეგად კონკრეტულ ისტორიულ ენაში მიღებულ ერთეულს ამ ამოსავალი ფონემის რეფლექსი ეწოდება.

## 5. ქართველური და ინდოევროპული რეკონსტრუქციები

5.1. მნათა დიაქრონიული ანალიზის ზემოთ გადმოცემული პრინციპები საშუალებას იძლევა აღვადგინოთ სხვადასხვა ენობრივი ოჯახის, მათ შორის ქართველურისა და ინდოევროპულს უძველესი სტრუქტურები და წარმოვადგინოთ მათი ჩამოყალიბებისა და ისტორიული განვითარების სურათი.

რეგულარული ფონემური შესატყვისობები, რომლებიც დგინდება ქართველურ (სამხრეთკავკასიურ) ენებს — ქართულს, მეგრულ-ლაზურსა და სვანურს შორის, საფუძველს გვაძლევს განვიხილოთ ისინი როგორც მონათესავე დიალექტები, წარმომდგარი საერთო ენობრივი წყაროდან, რომელსაც პირობითად *საერთო-ქართველური (წინარექართველური) ენა* ეწოდება.

5.2. საერთო-ქართველური ენის ფონოლოგიური სისტემა განარჩევს განსაზღვრულ კლასებს ფონემებისას, რომელნიც პარადიმატულ ოპოზიციათა სპეციფიკურ რიგებს ქმნიან. თუ სისტემაში ფონემურ ერთეულთა კლასიფიკაციის საფუძველად მარცვალთ წარმოქმნის ნიშანს მივიღებთ, საერთო-ქართველური ენის ფონოლოგიურ სისტემაში შეიძლება გამოიყოს ფონემათა სამი კლასი:

1) კლასი ფონემებისა, რომლებიც სინტაგმატურად (მიმდევრობაში) ფუნქციონირებენ მხოლოდ როგორც *მარცვლოვანი ელემენტები* (ე.ი. *საკუთრივ ხმოვნები*);

2) კლასი ფონემებისა, რომლებიც სინტაგმატურად ფუნქციონირებენ მხოლოდ როგორც *უმარცვლო ელემენტები* (ე.ი. *საკუთრივ თანხმოვნები*);

3) კლასი ფონემებისა, რომლებიც სინტაგმატურად ფუნქციონირებენ როგორც *მარცვლოვანი* ან *უმარცვლო ელემენტები* მათი ფონეტიკური გარემოცვისა და შესაბამისად — პოზიციათა ერთ განსაზღვრულ ნაწილში

ფონემათა ამ კლასში გაერთიანებული ელემენტები ფუნქციონირებენ როგორც *მარცვალთწარმომქმნელნი* ხოლო პოზიციათა მეორე ნაწილში, რომელიც დამატებითია პირველის მიმართ, — როგორც *არამარცვალთწარმომქმნელნი* (ეს არის *სონანტების კლასი*).

საერთო-ქართველურ ფონოლოგიურ სისტემაში *სონანტები* შეადგენს განსაკუთრებულ ფონემურ კლასს, რომელიც შედგება გარკვეული დისტრიბუციული თავისებურებებით გამორჩეული ელემენტებისაგან და ამ თვალსაზრისით უპირისპირდება *საკუთრივ ხმოვანთა* და *საკუთრივ თანხმოვანთა* კლასებს.

ფონემათა ქვემოთ მოტანილი ცხრილი ასახავს საერთო-ქართველური ენის ფონოლოგიურ სისტემას უშუალოდ მისი დიფერენციაციის წინ:

<i>თანხმოვნები:</i>	ბ — ფ	დ — თ	ძ — ც	ქ — ჭ	გ — ქ	
	პ	ტ	წ	ჭ	კ	
	ზ — ს	წ — ს	(ჟ) — შ	ღ — ხ	— — ჯ	
				ყ	—	
<i>ხმოვნები:</i>	ე	ე̄	ა	ა̄	ო	ო̄
<i>სონანტები:</i>	მ	ნ	რ	ლ	შ	ნ

ხშულთა, აფრიკატთა და ველარულ ნაპრალოვანთა თითოეული სამეული შეიცავს *მჟღერ* /ბ, დ, ძ, ღ, .../, *ყრუ* (ასპირირებულ, ფშვინვიერ) /ფ, თ, ც, ხ, .../ და *გლოტალიზებულ* /ბ, ტ, წ, ყ, .../ ფონემებს.

აფრიკატებისა და სიბილანტური სპირანტების ჯგუფში *ლოკალური ნიშნის* მიხედვით განირჩევა *წინა რიგის* /ბ, ც, წ, ზ, ს/, *შუა რიგის* /ძ, ც, წ, ზ, ს/ და *უკანა რიგის* /ჯ, ჩ, ჭ, (ჟ), შ/ ფონემები; ჯერ კიდევ საერთო-ქართველურ ეპოქაში მოხდა შუა რიგის (სისინ-შიშინა) ფონემების *გადაწევა* უკანა (შიშინა) რიგში დასავლურ დიალექტურ არეალში (მეგრულ-ლასურის და სვანურის), და მათი „შერწყმა“ წინა (სისინა) რიგთან აღმოსავლურ დიალექტურ არეალში (ქართული).

სონანტები სინტაგმატურად ვლინდება მათი ერთ-ერთი ალოფონის — მარცვლოვანი [ი, უ, რ ...] ან უმარცვლო [მ, ნ, რ...] სახით მორფემაში მათი პოზიციებისდა მიხედვით; სონანტთა მარცვლოვანი ალოფონები წარმოდგენილია #—C, C—C, C—# პოზიციებში; მათი უმარცვლო ალოფონები წარმოდგენილია #—V, V—V, V—#, V—C პოზიციებში; C—V პოზიციაში დისტრიბუციული მოდელი გვიჩვენებს დიალექტურ მერყეობას

სონანტურ ფონემათა მარცვლოვანი თუ უმარცვლო ელემენტების გამოვლინების თვალსაზრისით.

მარცვლოვანი სონანტების ვოკალიზაციის შედეგად ისტორიულ ქართველურ ენებში (განსაკუთრებით მეგრულსა და ლაზურში) წარმოიქმნება  $V+C_s$  მიმდევრობები, ე.ი. *ხმოვანი* (ეს, როგორც წესი, ერთ-ერთი ხმოვანია — *ო უ ან ი*) პლუს შესაბამისი სონორული (უმარცვლო) *რ ლ, მ ნ* ელემენტი; სვანურში მარცვლოვანი სონანტების ადგილზე ჩნდება სრული წარმოების ხმოვნები, რომელთა ტემბრი განისაზღვრება ფუძეთა პირველადი ხმოვნების ტემბრით. ზოგიერთ შემთხვევაში მარცვლოვანი სონანტები კარგავენ მარცვალთწარმოქმნელ უნარს და ემთხვევა სათანადო უმარცვლო ელემენტებს (განსაკუთრებით ქართულში).

ყველა ამ პროცესმა ისტორიულ ქართველურ ენებში გამოიწვია მარცვლოვანი და შესაბამისი უმარცვლო ელემენტების პოზიციური დაპირისპირების მოშლა, რასაც თან მოჰყვა ცალკეულ ქართველურ დიალექტებში საერთო-ქართველური სონანტების როგორც ფონემათა განსაკუთრებული კლასის მოშლა და საერთო-ქართველური ენიდან მემკვიდრეობით მიღებული ფონემური ერთეულების გადასაწილება.

**5.3. სონანტურ ფონემათა მარცვლოვანი და უმარცვლო ალოფონების მონაცვლეობა** საერთო-ქართველურ ენობრივ სისტემაში მჭიდროდ უკავშირდება ხმოვანთა ისეთი მორფონოლოგიური მონაცვლეობის მექანიზმს, რომელიც შეიძლება დახასიათდეს როგორც *აბლაუტი* ანუ *აპოფონია* — ვოკალური ფონემების ფონეტიკურად განუპირობებელი და მორფოლოგიური ფუნქციის მქონე მონაცვლეობა, რომლის მეშვეობით გამოიხატება (ზოგჯერ აფიქსებთან ერთად) ფლექსიური თუ დერივაციული დაპირისპირებები ერთი და იმავე მორფემის ფარგლებში.

სონანტთა ალოფონური მონაცვლეობა მორფემებში მოტივირებული იყო ხმოვანთა რაოდენობრივი მონაცვლეობით, რაც განსაზღვრავდა საერთო-ქართველური ენის მთელ სინტაგმატურ სტრუქტურას. ხმოვანთა აბლაუტური მონაცვლეობა საერთო-ქართველურში აფიქსაციასთან ერთად წარმოადგენდა სხვადასხვა გრამატიკული თუ ლექსიკური ერთეულის ჩამოყალიბების საშუალებას. მორფემათა შეერთებები რთულ მორფემულ მიმდევრობებად ექვემდებარებოდა ხმოვანთა მონაცვლეობის განსაზღვრულ წესებს.

**5.4. ზმნურ და სახელურ ფუძეთა სტრუქტურული ანალიზი, ქართველური ფონემების უძველესი ტიპების აღდგენა** შედარებითი რეკონსტრუქციის გზით შესაძლებელს ხდის ძირითადი საერთო-ქართველური მოდელის აღწერას, რომლებიც განსაზღვრავდნენ ძირეული და სუფიქ-

სური მორფემების სტრუქტურას და მათი სინტაგმატური ურთიერთმიმართებების (შეერთების) წესებს.

ქართველური ძირეული მორფემის ძირითადი კანონიკური ფორმა გამოისახება *CVC*- ფორმულით, რომელშიც საკუთრივ თანხმოვნის აღმნიშვნელი *C* სიმბოლო შეიძლება შეიცვალოს *S* სიმბოლოთი, რომელიც აღნიშნავს სონანტს უმარცვლო ფუნქციით. მაშასადამე, ძირეული მორფემის კანონიკური ფორმა წარმოგვიდგება ფონემათა სულ ოთხი შესაძლებელი სტრუქტურის მქონე მიმდევრობის სახით: *CVC*-, *CVS*-, *SVC*-, *SVS*- (*C* და *S* ელემენტებს შორის მოქცეული მოკლე *V* ხმოვნით, რომელიც იღებს ერთ-ერთ შესაძლებელ მნიშვნელობას — *ჟ*-ს, *ო*-ს ან *ა*-ს):

$$R \rightarrow \left\{ \begin{matrix} C \\ S \end{matrix} \right\} V \left\{ \begin{matrix} C \\ S \end{matrix} \right\}$$

ქართველური ძირეული მორფემის სპეციფიკურ ტიპს შეადგენს ისეთი ძირები, რომლებიც ცალი თანხმოვნის ან სონანტის ნაცვლად შეიცავენ ე.წ. *დეცესიურ ჰარმონიულ კომპლექსებს*. ძირის სტრუქტურის თვალსაზრისით თანხმოვანთა აღნიშნული კომპლექსები წარმოადგენენ ჰომოგენურ ერთეულებს, რომლებიც ძირის ფონოლოგიურ სტრუქტურაში ფუნქციურად ცალ თანხმოვნებს უტოლდებიან.

სუფიქსური მორფემის სტრუქტურა განისაზღვრება *-VC* და *-VS*, აგრეთვე *-V* კანონიკური ფორმით:

$$\text{Suff.} \rightarrow V \left( \begin{matrix} C \\ S \end{matrix} \right)$$

**5.5. ხმოვანთა აბლაუტური მონაცვლეობა** საერთო-ქართველური სიტყვის ერთ-ერთ ძირითად მორფონოლოგიურ მახასიათებელს წარმოადგენს.

ყოველი საერთო-ქართველური მორფემა — ძირეული თუ სუფიქსური — გვევლინება სხვადასხვა ალომორფების სახით, რომლებიც აბლაუტის სხვადასხვა საფეხურით განისაზღვრება. მორფემა შეიძლება გამოვლინდეს როგორც ხმოვნის ფორმით, ისე უხმოვნო ფორმით, რაც დამოკიდებულია წარმოების მორფოლოგიურ ტიპზე. ამის შესაბამისად განიჩევა მორფემალი ვარიანტები (ალომორფები) განხილვის *სრულ* და *ნულოვან საფეხურზე*.

მორფემის აღნიშნული აბლაუტური საფეხურები, რომლებიც განაპირობებენ ალომორფულ მონაცვლეობებს საერთო (ფლექსიური თუ დერივაციული) პარადიგმის ფარგლებში, ძირითადად განისაზღვრება მორფემათა წრფივი შეერთების სინტაგმატური წესებით.

ძირის შეერთებისას დერივაციულ სუფიქსთან წარმოიქმნება *შეუღ-ლებული ფუძე*, რომელიც ორი ძირითადი აბლაუტური მდგომარეობით სასიათდება:

I მდგომარეობა — გახმოვანების ნორმალურ საფეხურზე მყოფი ძირეული მორფემა უერთდება სუფიქსურ მორფემას ნულოვან საფეხურზე;

II მდგომარეობა — სუფიქსური მორფემა გახმოვანების ნორმალურ საფეხურზე უკავშირდება ძირეულ მორფემას ნულოვან საფეხურზე:

I მდგომარეობა

\* *დერ-კ-*

\* *შერ-ტ-*

\* *კერ-ბ-*

II მდგომარეობა

\* *დრ-ეკ-*

\* *შრ-ეტ-*

\* *კრ-ებ-*

I და II მდგომარეობებში წარმოდგენილ ფუძეზე სრულსმოვნიანი სუფიქსის დართვა იწვევს მორფემათა სათანადო შეცვლას ნულოვან ან რედუქციის საფეხურზე მყოფი ვარიანტებით, იმ მორფონოლოგიური წესის თანახმად, რომ მრავალმორფემიან მიმდევრობაში დაუსვებელია ერთზე მეტი მორფემა გახმოვანების ნორმალურ საფეხურზე („*მონოგო-კალიზმის პრინციპი*“):

I მდგომარეობა

\* *დერ-კ-* → \* *დრ-კ-ა*

\* *შერ-ტ-* → \* *შრ-ტ-ა*

\* *კერ-ბ-* → \* *კრ-ბ-ა*

II მდგომარეობა

\* *დრ-ეკ-* → \* *დრ-იკ-ე*

\* *შრ-ეტ-* → \* *შრ-იტ-ე*

\* *კრ-ებ-* → \* *კრ-იბ-ე*

შედარებითი და შინაგანი რეკონსტრუქციის გზით აღდგენილი საერთო-ქართველური აბლაუტური მოდელეები ასახავს იმ ენობრივ მდგომარეობას, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა საერთო-ქართველური ენის დანაწევრებას ცალკეულ დიალექტებად და დამოუკიდებელი ენობრივი ერთეულების ჩამოყალიბებას.

ამ სტრუქტურული მოდელიდან, რომელიც ასახავს საერთო-ქართველური ენის ფონოლოგიურ და მორფონოლოგიურ სისტემებს, უშუალოდ გამოიყვანება ისტორიული ქართველური დიალექტების შესაბამისი სისტემები *სტრუქტურული გარდაქმნების* ანუ ტრანსფორმაციების განსაზღვრული სიმრავლის დაშვებით.

5.6. საერთო-ქართველური ენობრივი მოდელი წარმოდგენილი ინტერპრეტაციით უახლოეს სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ ბარალელს პოულობს საერთო-ინდოევროპულ ენობრივ სისტემასთან: ფონემათა სიმრავ-



ლის დაყოფა *საკუთრივ ხმოვანთა, საკუთრივ თანხმოვანთა* და *სონანტთა* ქვეკლასებად დამახასიათებელია აგრეთვე ინდოევროპული ფონოლოგიური სისტემისთვისაც; ამასთან, ორივე სისტემაში ტიპოლოგიურად იდენტურია სონანტთა კლასისა და საკუთრივ ხმოვანთა კლასის შედგენილობა. სონანტურ ფონემათა მარცვლოვანი და უმარცვლო ალოფონების განაწილების მოდელები ქართველურსა და ინდოევროპულში თითქმის იდენტურია. ამასთან, მარცვლოვანი სონანტების განვითარება ქართველურში ანალოგიურია მათი განვითარებისა ინდოევროპულ დიალექტებში, სადაც საერთო-ინდოევროპული სონანტური ფონემების გარდაქმნა მოხდა მარცვლოვანი სონანტების ვოკალიზაციისა და მათ ადგილზე სრული წარმოების ხმოვანთა წარმოქმნის შედეგად. თვალში საცემია აგრეთვე ქართველურ-ინდოევროპული სტრუქტურული პარალელიზმი *საკუთრივ თანხმოვანთა* კლასშიც, კერძოდ, ხშულ ფონემათა სისტემაში.

5.7. ისტორიულ ინდოევროპულ ენებში გამოვლენილ ბგერათშესატყვი-სობათა საფუძველზე ტრადიციულად აღადგენენ ხშულთა სამსერიან სისტემას. I: *მჟღერები* – *mediae*, II: *მჟღერი ფშვინვიერები* – *mediae aspiratae*, III: *ერუები* – *tenues*, რომლებიც სიბილანტურ /s/ სპირანტთან ერთად ქმნიან *თანხმოვან ფონემათა კლასს*; *სონანტთა* კლასი წარმოდგენილია /j w r l m n/ ფონემებით, რომლებიც ვლინდება მარცვლოვანი [i u ɛ ɔ ʊ ɶ] და უმარცვლო [j w r l m n] ვარიანტების სახით; ხმოვანთა კლასს ქმნის /e a o/ ფონემები:

<i>თანხმოვნები</i>			<i>ხმოვნები</i>	<i>სონანტები</i>
I	II	III		
(b)	b <sup>h</sup>	p		j w r l m n
d	d <sup>h</sup>	t s		
g	g <sup>h</sup>	k .		
ǵ	ǵ <sup>h</sup>	ḱ		
g <sup>w</sup>	g <sup>hw</sup>	k <sup>w</sup>		

5.8. საერთო-ინდოევროპული მორფონოლოგიური სისტემა ხმოვანთა აბლაუტური მონაცვლეობების მექანიზმით აშკარა ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებს მონაცვლეობათა იმ მოდელებთან, საერთო-ქართველური ენისათვის რომ აღდგება. მორფემათა ფონემური სტრუქტურა და მათი სინტაგმატური ურთიერთმიმართებების სისტემა საერთო-ინდოევროპულსა და საერთო-ქართველურში შესაძლებელია აღიწეროს ერთი და იმავე სტრუქტურული ტერმინებით: ძირეული მორფემის ძირითადი კანონიკური ფორმა C/SVC/S-, სუფიქსურისა – -VC/S; გახმოვანების *ნორმალური, ნულოვანი* და *სივრძის საფეხურების* დაპირისპირება; ფუძე-

ში ორი ნორმალური საფეხურის შეუქლებლობა („მონოვოკალიზმის პრინციპი“), რაც განაპირობებს CVSC-/CSVC- ტიპის მონაცვლეობებს, ე.წ. *Schwebeablaut*-ს: შდრ. ი.-ე. \*perk-/\*prek-/\*přk- და ქართვ. \*დერკ-/\*დრეკ-/\*დრჳკ-.

ამგვარი მსგავსება საერთო-ქართველური მორფოლოგიური მოდელებისა, რომლებიც ისტორიული ენების შედარებითი რეკონსტრუქციის გზით არის აღდგენილი, შესაბამის საერთო-ინდოევროპულ მოდელებთან შესაძლებლობას იძლევა ყილაპარაკით ქართველურ-ინდოევროპულ მორფოლოგიურ იზომორფიზმზე, რომლის საფუძველზეც ქართველური და ინდოევროპული შეიძლება მიგაკუთვნოთ საერთო სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ კლასს.

კიდევ უფრო თვალსაჩინო სდება ქართველურ-ინდოევროპული იზომორფიზმი საერთო-ინდოევროპული კონსონანტიზმის ასლებური ინტერპრეტაციის შუქზე.

## 6. საერთო-ინდოევროპული კონსონანტიზმის

რენტერპრეტაცია და „ინდოევროპული გლოტალური თეორია“

6.1. სინქრონიული და დიაქრონიული ტიპოლოგიის გათვალისწინება ლინგვისტური რეკონსტრუქციების დროს აუცილებლობით იწვევს კლასიკური ინდოევროპული ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის სქემების არსებით გადასინჯვას და ტრადიციულად დადგენილი ლინგვისტური თანაფარდობების ასლებურ გააზრებას.

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების განვითარების მოცემულ ეტაპზე ბევრი რამ ინდოევროპეისტიკის ტრადიციულ სქემებში, რომლებიც თვით ინდოევროპული მასალის შედარებითსა („გარეგან“) და „შინაგან“ რეკონსტრუქციებს ემყარებოდა, უნდა გადაისინჯოს პოსტულირებული ინდოევროპული წინარე ენის სტრუქტურის ტიპოლოგიური ენათმეცნიერების მონაცემებთან თანხმობაში მოყვანის მიზნით. ტრადიციული ინდოევროპული რეკონსტრუქციების ასეთი ანალიზი და მათი შესაბამისობაში მოყვანა ტიპოლოგიურად სარწმუნო მონაცემებთან შესაძლებელია ამ რეკონსტრუქციების არსებითად შეცვლის მიზეზიც გახდეს.

კლასიკური ისტორიულ-შედარებითი ინდოევროპული ენათმეცნიერების ცალმხრივობა და შეზღუდულობა იმაში მდგომარეობდა, რომ საერთო-ინდოევროპული ენის რეკონსტრუქციული მოდელები წარმოადგენდა მხოლოდ შედეგს ცალკეული მონათესავე სისტემების „გარეგანი“

ურთიერთშედარებებისა; ამგვარ მოდელს ზოგიერთ თეორიაში ემატებოდა კიდევ შინაგანი რეკონსტრუქციები, განხორციელებული ერთი სისტემის ფარგლებში არსებულ მიმართებათა განსაზღვრული ტიპის ანალიზის საფუძველზე. ამასთან, არ იყო *ექსპლიციტურად* გათვალისწინებული მიღებული მოდელის ლინგვისტური სარწმუნოობა (ლინგვისტური რეალობა) პოტენციურად შესაძლებელ ენობრივ სტრუქტურებთან მისი ტიპოლოგიური შესაბამისობის თვალსაზრისით.

ამან კლასიკური ინდოევროპული ენათმეცნიერება მიიყვანა ისეთი ამოსავალი ენობრივი სისტემის პოსტულირებად, რომელიც ზოგ შემთხვევაში, მისთვის შინაგანად დამახასიათებელი სინქრონიულ-ტიპოლოგიური წინააღმდეგობების გამო, არ შეიძლება მისწეული იქნეს „რეალურ სისტემად“. ეს შეეხება, უწინარეს ყოვლისა, *კლასიკურ ინდოევროპეისტიკაში* რეკონსტრუირებულ ხშულთა სისტემას და მათი დიაქრონიული ტრანსფორმაციების სქემებს.

**6.2. როგორც ცნობილია, გვიანდელი საერთო-ინდოევროპული მდგომარეობისათვის ამ ენის ხშულ თანხმოვანთა სისტემას ტრადიციის შესაბამისად ასეთი სახით აღადგენენ:**

*ინდოევროპულ ხშულთა ტრადიციული („კლასიკური“) სისტემა*

I	II	III
(b)	bh	p
d	dh	t
g	gh	k
ǵ	ǵh	ḱ
g <sup>w</sup>	g <sup>w</sup> h	k <sup>w</sup>

მაშასადამე, ტრადიციული თვალსაზრისით, ინდოევროპულ ხშულთა ამ სამი სერიიდან I ხასიათდება როგორც *მეღერთა* სერია (*mediae*), II — როგორც *მეღერ ფშეინფერთა* სერია (*mediae aspiratae*), III — როგორც *ყრუთა* სერია (*tenues*), ხოლო რიგები — როგორც *ლაბიალური, დენტალური, ველარული, პალატალური* და *ლაბიოველარული*.

საერთო-ინდოევროპულ ხშულთა ამგვარად რეკონსტრუირებულ სისტემაში ნიშანდობლივია მეღერი ლაბიალური \*b ფონემის არარსებობა. საქმე ის არის, რომ უცალობელი ურთიერთშესატყვისი ენობრივი ფორმები საერთო-ინდოევროპული ენის ფონოლოგიურ სისტემაში ლაბიალური მეღერი ხშული \*b ფონემის რეკონსტრუქციისათვის არ მოიაზრება. ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ *ანტუან მეიუ* აღნიშნავდა: „\*b ფონემა შედარებით იშვიათია; იგი არ გვხვდება არც ერთ მნიშვნელოვან სუ-

ფიქსში და არც ერთ დაბოლოებაში; ის მეორეული წარმოშობისაა იმ სიტყვების ნაწილში, რომლებშიც იგი დასტურდება“.

6.3. უკვე ადრევე მიაქციეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ ამ სახით რეკონსტრუირებულ ინდოევროპულ ფონოლოგიურ სისტემაში არ მოიპოვება ბილაბიალური მჟღერი \**b* ფონემა, მაშინ როდესაც \**d* და \**g* ფონემების შემცველი ენობრივი ფორმების რაოდენობა დიდია. ყველა ის ფორმა, რომლებიც მოჰყავდათ ინდოევროპულში \**b* ფონემის არსებობის დასადასტურებლად, მოკლებულია დამაჯერებლობას. სახელდობრ, ისეთი ფორმებიდან, როგორც არის ძვ.-ინდ. *bálam* „ძალა“, ბერძნ. *βελτίωσ* „უკეთ“, ძვ.-სლავ. *boljij* „უფრო“, რომელთაც ჩვეულებრივ ადარებენ ერთმანეთს, ეტიმოლოგიურად ურთიერთდაკავშირებული შეიძლება იყოს მხოლოდ ძველინდური და სლავური ფორმები (თუკი ძვ.-ინდ. *bálam* დრავიდულიდან არ არის ნასესხები). შეიძლება ითქვას, რომ უდავოდ თავდაპირველი მჟღერი ბილაბიალური \**b* ფონემის რეფლექსების შემცველი ფორმები არ მოიპოვება ისტორიულ ინდოევროპულ ენებში. მაგრამ ზოგ ფორმაში ინდოევროპული \**b*-ს არსებობის შესაძლებლობის დაშვების შემთხვევაშიც კი თვალში საცემია რაოდენობრივი შეუსაბამობა \**b*-ფონემიანი საერთო-ინდოევროპული ფორმებისა \**d* და \**g* ფონემების შემცველ ფორმებთან, რაც აშკარა წინააღმდეგობაშია ტიპოლოგიურ მონაცემებთან.

6.4. სინქრონიული ტიპოლოგიის მონაცემების თანახმად, რაზედაც ჩვენ დაწვრილებით მესამე თავის შესაბამის პარაგრაფებში ვიმსჯელებთ, იმ სისტემებში, რომლებშიც დასტურდება ხშულთა ურთიერთდაპირისპირება „მჟღერობა~სიყრუის“ ნიშნის მიხედვით, მჟღერთა სერიაში მარკირებულია (რეცესიული) გველარული წევრი *g*, ხოლო არამარკირებული (დომინანტური) — ლაბიალური *b*, მაშინ როდესაც ყრუთა სერიაში (სერიებში) პირიქით, რეცესიულია ლაბიალური წევრი *p*, ხოლო დომინანტური — გველარული წევრი *k*.

ამ თანაფარდობების შესაბამისად ნაწილდება განსაზღვრულ ფონემათა სიხშირეები და ცარიელი უჯრედები ხშულთა სისტემაში. მიმართების რეცესიული წევრი, როგორც წესი, ხასიათდება ხმარების უფრო დაბალი სიხშირით, ვიდრე დომინანტური წევრი; ზოგიერთ სისტემაში რეცესიული ფონემების დაბალი სიხშირე შეიძლება გაუტოლდეს ნულს, რაც იძლევა „ხარვეზს“ (ლაკუნას, ცარიელ უჯრედს) ფონოლოგიური სისტემის შესაბამის ადგილას.

ამ მონაცემების თანახმად შეიძლება მოველოდეთ ხშულთა (A), (B), (C) ტიპის სისტემების არსებობას:

(A)	b	p	(B)	b	—	(C)	b	—
	d	t		d	t		d	t
	—	k		g	k		—	k

ასეთ სისტემებში არ მოიპოვება (ან იშვიათია) რეცესიული ფონემები — მჟღერი ველარული *g* და ყრუ ლაბიალური *p*.

დომინაციის ანალოგიური მიმართებები შესაძლებელია დადგინდეს ხშულთა სხვადასხვა სერიებს შორის საკუთრივ ყრუთა ქვესისტემაში. არამჟღერ, ე.ი. ყრუ ხშულთა ქვესისტემაში მაქსიმალური მარკირებულობით გამოირჩევა გლოტალიზებულთა სერია, რომელიც უფრო მარკირებულია, ვიდრე ფშვინვიერთა სერია. თავის მხრივ, ფშვინვიერთა სერია უფრო მარკირებულია, ვიდრე წმინდა ხშულთა სერია. იერარქიული თანმიმდევრობა მზარდი მარკირებულობის მიხედვით შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ასეთი მწკრივის სახით: წმინდა ყრუ-ასპირირებული ყრუ-გლოტალიზებული (ყრუ).

ამის შესაბამისად, ყველაზე მაღალი მარკირებულობით განსახილველ სერიებში ხასიათდება ლაბიალური წვერი *p'* გლოტალიზებულთა სერიისა, რაც ვლინდება კიდევ მის უკიდურეს იშვიათობაში ან სრულ არარსებობაში გლოტალიზებულთა სერიის შემცველ მრავალ ენობრივ სისტემაში (მაგალითად, რიგ ჩრდილოკავკასიურ ენებში ბევრ აფრიკულ და ამერინდულ ენაში, რომლებშიც *p'* საერთოდ არ დასტურდება, რითაც იქმნება ცარიელი უჯრედი — ხარვეზი სისტემაში). ამგვარი კანონზომიერებების შესაბამისად გამოიყოფა (B'), (C') ან (A') ტიპის სისტემები, მაშინ როდესაც (D) ან (D') ტიპის სისტემები უიშვიათეს გამონაკლისებს წარმოადგენენ:

(A')	b	p <sup>h</sup>	—	(B')	b	—	—	(C')	p	—	—
	d	t <sup>h</sup>	t'		d	t <sup>h</sup>	t'		t	t <sup>h</sup>	t'
	g	k <sup>h</sup>	k'		g	k <sup>h</sup>	k'		k	k <sup>h</sup>	k'
(D)	b	—	p'	(D')	p	—	p'				
	d	t <sup>h</sup>	t'		t	t <sup>h</sup>	t'				
	g	k <sup>h</sup>	k'		k	k <sup>h</sup>	k'				

6.5. ინდოევროპულ ხშულთა ტრადიციულად რეკონსტრუირებული სისტემის კიდევ ერთ შეუსაბამობას სინქრონიულ-ტიპოლოგიურ მონაცემებთან წარმოადგენს ამ სისტემაში ყრუ ფშვინვიერ ფონემათა სერიის არარსებობა მჟღერ ფშვინვიერთა სერიის საპირისპიროდ. საერთოდ, არ არის ცნობილი ენა, სადაც წარმოდგენილია მჟღერ ფშვინვიერთა სერია და

იმავედროულად მის ფონოლოგიურ სისტემაში არ მოიპოვება ყრუ ფშვინ-ვიერთა სერია. ამ აზრით, ინდოევროპულ ხშულთა ტრადიციულად რეკონსტრუირებული სისტემა აშკარა წინააღმდეგობაშია სინქრონიული ტიპოლოგიის მონაცემებთან.

6.6. ზემოთ აღნიშნული შეუსაბამობები სინქრონიული ტიპოლოგიის მონაცემებთან მოითხოვს ინდოევროპულ ხშულ თანხმოვანთა ტრადიციულად რეკონსტრუირებული სისტემის გადასინჯვას ამ მონაცემებთან მისი შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ამასთან, ხშულთა ინდოევროპული სისტემის ამგვარი რეინტერპრეტაცია უნდა განხორციელდეს სისტემის დიაქრონიული გამოყვანადობის გათვალისწინებითაც, რაც გულისხმობს პოსტულირებული სისტემიდან ისტორიულად დამოწმებული ყველა ლინგვისტური სტრუქტურის არაწინააღმდეგობრივ, ტიპოლოგიურად ვერიფიცირებად გამოყვანას. ამგვარი რეინტერპრეტაციის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ინდოევროპულ ხშულთა სამი სერიის დამაპირისპირებელი დიფერენციალური ნიშნების ისეთ განსაზღვრას, რომელიც სრულ შესაბამისობაში აღმოჩნდება როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული ტიპოლოგიის მონაცემებთან.

6.7. ბანგინილოთ თანმიმდევრულად „ტრადიციულად რეკონსტრუირებული სისტემის“ ფონემური სერიები მათი ურთიერთმიმართების თვალსაზრისით.

ინდოევროპული კონსონანტიზმის ტრადიციულად აღდგენილი სისტემის შეუსაბამობა ტიპოლოგიურ მონაცემებთან, რაც მდგომარეობს ყრუ ფშვინვიერთა არარსებობაში მჟღერ ფშვინვიერთა საპირისპიროდ, აცილებული იქნება III (ყრუთა) სერიის რეინტერპრეტაციით ყრუ ფშვინვიერ ფონემებად; ასეთი რეინტერპრეტაცია გაძართლებულია იმით, რომ ზოგიერთ ისტორიულ ინდოევროპულ ენაში ეს სერია ფშვინვიერი რეფლექსებით აისახება. ამდენად, ყრუ ფშვინვიერნი — III სერია — აღმოჩნდებიან სისტემაში მჟღერ ფშვინვიერთა — II სერიის გვერდით, რასაც ინდოევროპულ ხშულთა სისტემა ამ მხრივ სრულ შესაბამისობაში მოჰყავს სინქრონიულ-ტიპოლოგიურ მონაცემებთან.

III სერიის რეინტერპრეტაცია ყრუ ფშვინვიერებად ბუნებრივად სვამს სისტემის სხვა სერიებთან მიმართების საკითხს. სასულდობრ, I სერია გადააზრებული უნდა იქნეს უკვე იმის გამო, რომ მოცემულია III სერიის ახლებური ინტერპრეტაცია; ამასთანავე, I სერია თავისი შინაგანი თავისებურებების გამო თავისთავად მოითხოვს რეინტერპრეტაციასა და მის შესაბამისობაში მოყვანას სინქრონიულ-ტიპოლოგიურ მონაცემებთან.

I სერია, რომელიც ტრადიციულად რეკონსტრუირდება როგორც *მელერი* თავისთავად ახლებურად უნდა იქნეს ინტერპრეტირებული *არამელერთა სერიად* ლაბიალური წევრის „დეფექტურის“ გამო. როგორც აღინიშნა, ლაბიალური წევრი „დეფექტურია“ (ე.ი. არ მოიძოვება ან სასიათდება დაბალი ტექსტობრივი და სისტემური სინშირით) და, შესაბამისად, *რეცესიულია* სწორედ *არამელერ ხშულთა სერიებში* ამასთან, ამ სერიებს შორის ყველაზე უფრო მარკირებულია, როგორც ვიცით, *გლოტალიზებულთა სერია*, რომელიც ჩვეულებრივ სასიათდება *p'* ლაბიალური წევრის სრული არარსებობით ან უკიდურესად დაბალი სინშირით.

*გლოტალიზებულთა სერიის* ეს უნივერსალური თავისებურება იმთავითვე სვამს საკითხს ინდოევროპულ ხშულთა I, „დეფექტური“ (ლაბიალურ წევრს მოკლებული) სერიის შესაძლო ფონოლოგიური სტატუსის შესახებ ხშულთა სისტემაში. ამასთან, ყურადღებას იქცევს ის, რომ I სერია სასიათდება უფრო დაბალი სინშირით, ვიდრე II და, მით უმეტეს, III სერია.

უკვე ეს სინშირული თანაფარდობები ინდოევროპულ ფონემათა ხმაურებისა ეჭვქვეშ აყენებს მათ ტრადიციულ ინტერპრეტაციას როგორც შესაბამისად *მელერი* – *მელერი ფშინვიერი* ~ *ყრუ* ფონემებისა: *მელერ ფშინვიერთა სერია*, რომელიც ტიპოლოგიურად მარკირებულია *მელერთა სერიასთან* მიმართებით, არ შეიძლება სასიათდებოდეს უფრო მაღალი სინშირით; ამისაგან განსხვავებით, I სერიის ხშულთა *გლოტალიზებულთა* ინტერპრეტაციის შემთხვევაში ამ სამი სერიის სინშირული მახასიათებლები სრულ შესაბამისობაში აღმოჩნდება გლოტალიზებულთათვის ტიპოლოგიურად დადგენილი სინშირული მიმართებების თვალსაზრისით ფონოლოგიური სისტემის სხვა არამელერ სერიებთან, კერძოდ კი, *ყრუ ფშინვიერთან* და *წმინდა ყრუებთან*.

ხშულთა III სერიის *ყრუ ფშინვიერებად* ინტერპრეტაცია, რაც ემყარება, უწინარეს ყოვლისა, ტიპოლოგიურ მონაცემებს, აგრეთვე ისტორიულ ენებში ამ სერიის *რეფლექსაციის* (ასახვის) ხასიათს, განსაზღვრავს დეფექტური I სერიის ფონემების უალტერნატივო ინტერპრეტაციას სწორედ *გლოტალიზებულთა* და არა, დაგუწყათ, *წმინდა ყრუებად* ან *ყრუ ფშინვიერებად*. ეს ორი უკანასკნელი ინტერპრეტაცია გამოირიცხება უკვე იმ საფეხველზე, რომ არამელერ ხშულთა ქვესისტემაში *გლოტალიზებულთა სერია* ყველაზე უფრო მარკირებულია *ასპირირებულ* და *წმინდა ყრუ* ფონემათა სერიებთან შედარებით. თავის მხრივ, *ასპირირებულთა სერია* უფრო მარკირებულია, ვიდრე *წმინდა ყრუთა სერია*. ამასთან, თუ არამელერ ხშულთა ქვესისტემაში არ მოიძოვება ერთი ლაბიალური წევრი, ეს, როგორც წესი, უნდა ახასიათებდეს სწორედ *გლოტა-*

ლიზებულთა სერიას და არა ფშინვიერთა და, მით უმეტეს, არა წმინდა ყრუთა სერიას.

6.8. მაშასადამე, ინდოევროპულ ხშულთა I სერიის ლაბიალური ფონემის დეფექტურობა, III სერიის ფონემათა ყრუ ფშინვიერებად ინტერპრეტაციისა და ზემოთ აღნიშნული სინშირული თანაფარდობების პირობებში, განსაზღვრავს I სერიის ინტერპრეტაციას გლოტალიზებულ (ეიექტურ, აბრუპტიულ ანუ ყელხშულ) ფონემათა სერიად.

ხშულთა ინდოევროპული სისტემა ასეთი ინტერპრეტაციის შედეგად შემდეგ სახეს იღებს:

I	II	III
(p')	b <sup>h</sup>	p <sup>h</sup>
t'	d <sup>h</sup>	t <sup>h</sup>
k'	g <sup>h</sup>	k <sup>h</sup>
ḱ'	ǵ <sup>h</sup>	ḱ <sup>h</sup>
k'w	g <sup>hw</sup>	k <sup>hw</sup>

6.9. საერთო-ინდოევროპული ენისათვის პოსტულირებული ხშულთა ეს სისტემა მთლიანად შეესაბამება სინქრონიული ტიპოლოგიის მონაცემებს: ლაბიალური გლოტალიზებული ფონემის არარსებობა, რომელიც ფუნქციურად ყველაზე სუსტი წევრია არამჟღერ თანხმოვანთა ჯგუფში; სისტემაში ყრუ ასპირირებულთა არსებობა მჟღერი ასპირირებული ხშულების საპირისპიროდ; სისტემის ცალკეულ სერიებს შორის არსებული სინშირული თანაფარდობები, რომლებიც ასახევენ მზარდ მარკირებულობას მიმდევრობისა ყრუ ფშინვიერნი ~ მჟღერი ფშინვიერნი - გლოტალიზებულნი.

ინდოევროპულ ხშულთა ამგვარად პოსტულირებულ სისტემაში ასპირაციის ნიშანი არსებითად მოკლებულია ფონოლოგიურ ღირებულებას, რამდენადაც II სერია და III სერია ერთმანეთს უპირისპირდება არა ასპირაციით, არამედ მჟღერობა-სიყრუის ნიშნით; ასპირაციის ნიშანი მოცემულ სერიებში განხილული უნდა იქნეს როგორც ფონემათა თანმხლები ფონეტიკური ნიშანი — ფონოლოგიურად ჭარბი, მაგრამ ფონეტიკურად რელევანტური (პერბერტ პილხი).

მკაცრად ფონოლოგიური თვალსაზრისით ეს სამი სერია შეიძლება დაგვეხასიათებინა როგორც: I გლოტალიზებული ~ II მჟღერი ~ III ყრუ. მაგრამ ასპირაციის ფონეტიკური ნიშანი არსებითა II და III სერიათა ფონემებისათვის — იგი გასაგებს ხდის მათ დიაქრონიულ გარდაქმნებსა და საბოლოო რეფლექსებს ისტორიულ ინდოევროპულ ენებში;



ასეთი ფონეტიკურად რელევანტური ნიშნების გათვალისწინება მნიშვნელოვანია სინქრონიაში — ენის ფონოლოგიური სისტემის აღწერისას და განსაკუთრებით დიაქრონიულ ენათმეცნიერებაში ფონოლოგიური სისტემების რეკონსტრუქციის დროს.

II და III სერიათა ფონემებისათვის ასპირაციის ნიშნის ფონოლოგიური არარელევანტურობიდან გამომდინარეობს მათი რეალიზაციის შესაძლებლობა ბგერითი ვარიანტების სახით თანმხლები ფშვინვის გარეშე. მაშასადამე, ფშვინვიერი და მისი შესაბამისი არაფშვინვიერი ბგერები შეიძლება გამოვლენილიყო როგორც ცალკეულ ფონემათა კომბინატორული ვარიანტები ამის შესაბამისად, II და III სერიების თითოეული ფონემა შესაძლოა რეალიზდებოდა მისი ორი კომბინატორული ალოფონის — ასპირირებული და არასპირირებული ხშულის — სახით, რაც, როგორც ჩანს, დამოკიდებული იყო ამ ფონემების პოზიციებზე.

6.10. ზემოთქმულის გათვალისწინებით, საერთო-ინდოევროპული ფუძე-ენისათვის პოსტულირებული კონსონანტური სისტემა შეიძლება წარმოდგენილ იქნეს რეკონსტრუირებული ფონემების ფონეტიკური ვარიანტების მითითებით:

I	II	III
(p')	b <sup>h</sup> /b	p <sup>h</sup> /p
t'	d <sup>h</sup> /d	t <sup>h</sup> /t
k'	g <sup>h</sup> /g	k <sup>h</sup> /k
ḱ'	ǵ <sup>h</sup> /ǵ	ḱ <sup>h</sup> /ḱ
k' <sup>w</sup>	ǵ <sup>hw</sup> /ǵ <sup>w</sup>	k <sup>hw</sup> /k <sup>w</sup>

ამ სახით პოსტულირებული ინდოევროპულ ხშულთა სისტემა, რომელიც ტიპოლოგიურად მეტად სააღბათო და მოსალოდნელია ცალკეულ ფონემურ სერიებში ნაყარაუდგევი თანაფარდობების თვალსაზრისით, შეიძლება ჩაითვალოს ტიპოლოგიურად „რეალურ“ სისტემად მთლიანობაში: ამ ტიპის სისტემა ხშულთა დაპირისპირებებით გლოტალიზაციისა და მუღერობა-სიყრუის ნიშნების მიხედვით დასტურდება სხვადასხვა ისტორიულ ენებში, რაც, ბუნებრივია, ზრდის წარმოდგენილი რეკონსტრუქციების „ლინგვისტური რეალურობის“ ხარისხს.

6.11. საერთო-ინდოევროპული ფუძე-ენის ხშულთა სამი ფონოლოგიური სერიის აქ წარმოდგენილი რეკონსტრუქცია, რომელიც ითვალისწინებს როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული ტიპოლოგიის მონაცემებს, მნიშვნელოვნად განსხვავდება ხშულთა იმ სისტემისაგან, რომელიც აღდგენილია კლასიკურ ინდოევროპულ შედარებით ლინგვისტიკაში.



6.14. ამგვარად, თანამედროვე ტიპოლოგიური ღისეკსტიკის მონაცემები — როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული ტიპოლოგიისა — აუცილებლობით მოითხოვს კლასიკური ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ტრადიციული სქემების გადასინჯვას. რის შედეგადაც საერთო-ინდოევროპული ფუძე-ენისათვის ასალი, რეინტერპრეტირებული შედარებითი სტრუქტურები აღდგება.

საერთო-ინდოევროპული კონსონანტიზმის აღწერილი რეინტერპრეტაცია იწვევს ფუნდამენტურ სტრუქტურულ ცვლილებებს შთელ ტრადიციულად რეკონსტრუირებულ საერთო-ინდოევროპულ ენობრივ სისტემაში და ე.წ. *კლასიკური ფონეტიკური კანონების* („გრამის კანონის“, „გრასმანის კანონის“, „ბართოლომეს კანონის“ და სხვ.) ასლებურ გააზრებას.

საერთო-ინდოევროპული კონსონანტიზმის წარმოდგენილი რეკონსტრუქცია, რომელიც ვარაუდობს სისტემაში *გლოტალიზებული* ხშულების არსებობას, თანამედროვე ინდოევროპულ შედარებით ენათმეცნიერებაში ცნობილია *„გლოტალური თეორიის“* სახელით. იმ ფუნდამენტური სტრუქტურული გარდაქმნების გამო, რომლებიც ამ თეორიას შეაქვს ინდოევროპულ ენათა ტრადიციულ, „კლასიკურად“ მისწეულ ისტორიულ-შედარებით გრამატიკაში. *„გლოტალური თეორია“* განსხილება როგორც ასალი ჰარადიგმა ინდოევროპულ შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებაში.

6.15. ინდოევროპული კონსონანტიზმის ტრადიციული სურათი *ინდოევროპული შედარებითი გრამატიკის* განვითარების საწყის ეტაპზე შეიქმნა და იგი ძირითადად ემთხვეოდა უძველესი ლიტერატურული ტრადიციების მქონე ისეთი ენების კონსონანტურ სისტემებს, როგორიც იყო *ძველი ინდური* და, ნაწილობრივ, *კლასიკური ენები — ძველი ბერძნული* და *ლათინური*. ეს ენები, რომლებიც განსაკუთრებული „პრესტიჟულობით“ გამოირჩეოდნენ, ფაქტობრივად განსაზღვრავდნენ რეკონსტრუირებული ენობრივი სისტემის სახეს.

ასეთი მიდგომის არამართლწომიერება ზოგ შემთხვევაში აღრევე იქნა შემსწეული, კერძოდ, ინდოევროპულ ფოკალიზმთან მიმართებით: ძველი ინდური ფოკალიზმი „მეორეული“ აღმოჩნდა სხვა ინდოევროპულ ენათა ფოკალიზმთან შედარებით, რაც გამოაშკარავდა ე.წ. *მაღალტალიზაციის კანონის* დადგენის შედეგად. მაგრამ ინდოევროპულ კონსონანტიზმთან მიმართებაში ხშულთა ძველი ინდური, აგრეთვე, ნაწილობრივ, ბერძნული და ლათინური სისტემების საერთო-ინდოევროპული სასიათი იმ პერიოდში არავითარ ეჭვს არ იწვევდა მკვლევართა უმრავლესობაში. მაგრამ შემდგომში საერთო-ინდოევროპული ფუძე-ენის ხშულთა ტრადიციული სისტემის გადასინჯვამ სინქრონიული და დიაქ-

რონიული ტიპოლოგიის შუქზე განაპირობა თანამედროვე კომპარატივისტიკაში ე.წ. *გლოტალური თეორიის* ჩამოყალიბება, რომელიც რადიკალურად ცვლის წინარეინდოევროპული კონსონანტიზმის სურათს.

ანალოგიური რადიკალური ცვლილებები წინარეინდოევროპულ რეკონსტრუქციებში მოჰყვა თავის დროზე უძველესი ინდოევროპული ფოკალიზმის კვლევას, რაც მოგვიანებით ჩამოყალიბდა ე.წ. *ლარინგალური თეორიის* სახით. თანამედროვე კომპარატივისტიკაში *გლოტალურ თეორიას* სწორედ *ლარინგალურ თეორიას* ადარებენ იმ მნიშვნელოვანი სტრუქტურული გარდაქმნების გამო, რაც ამ თეორიებმა შეიტანა ინდოევროპულ ენათა ტიპოლოგიურ და შედარებით-ისტორიულ შესწავლაში.

## 7. ინდოევროპული წინარე ენის ფოკალიზმი და „ლარინგალური თეორია“. შინაგანი რეკონსტრუქციის პრინციპი

7.1. *ლარინგალური თეორიის* სახელწოდებით ცნობილია *ფერდინანდ დე სოსიურის* მიერ ჯერ კიდევ 1879 წელს შექმნილი კონცეფცია ინდოევროპულ ენათა *ამოსავალი ფოკალური სისტემის* შედგენილობის, განვითარებისა და ხმოვანი ფონემების მონაცვლეობათა მოდელების შესახებ.

ინდოევროპულში განასხვავებენ ხმოვანთა მონაცვლეობის ორ ძირითად ტიპს — *თვისებრივ აბლაუტსა* (გერმ. *Abtönung*) და *რაოდენობრივ აბლაუტს* (გერმ. *Abstufung*).

*თვისებრივი აბლაუტი* წარმოადგენს სხვადასხვა ტემბრის ხმოვანთა მონაცვლეობას; ასეთი აბლაუტის ძირითადი სახეობაა *ē/ǣ* ხმოვანთმონაცვლეობა, რომელსაც მორფოლოგიურ-ლექსიკური ღირებულება აქვს: შდრ. ბერძნ. φέβιμαι („მეშინია“):φίβνω („ვაშინებ“); φέρω („მომაქვს“):φορέω („ვატარებ“); ἔργυμι („ვტეხ“, „ვწყვეტ“): პერფ. ἔρξαμαι; πατήρ („მამა“):πάτερ („უმამო“) და სხვ.

ასეთ მონაცვლეობას ჩვეულებრივ უკავშირებენ ინდოევროპულში *ტონური მახვილის* გადაწევას: *ē* ხმოვანი გადადის *ǣ*-ში მას შემდეგ, რაც ჩნდება მეთორეული მახვილი მთავარი მახვილის ნაცვლად, რომელიც მომდევნო მარცვალზე გადაადგილდება: *péte|peté> pèté|pòte*].

მახვილის გადაწევით არის შეპირობებული აგრეთვე მონაცვლეობის ის ტიპი, რომელსაც *რაოდენობრივი აბლაუტი* ეწოდება და რომელიც მდგომარეობს გახმოვანების ძირითად (სრულ) საფეხურზე წარმოდგენილი ხმოვნის ამოვარდნაში (*ნულოვანი საფეხური*): შდრ. ბერძნ. πέτομαι

(„დაფერინავ“) : აორ. ἔπιτόμεν; ἔχω („მაქვს“) (< \*seǵh-): აორ. ἔσχω; ძვ.-ინდ. *ásmi* („ვარ“): *smáh* („ვართ“); ლათ. *est:sunt* („არის“: „არიან“) და სხვ.

*სონანტები*, რომლებიც სრულ საფეხურზე დიფთონგების მეორე ელემენტებად გვევლინებიან, გახმოვანების ნულოვან საფეხურზე მარცვლოვან ელემენტებად გადაიქცევიან (*ej:i; ew:u; er:ɣ; el:ʃ; em:ɱ; en:ɲ*): შდრ. ბერძნ. λείπω : აორ. ἔλιπον („ვტოვებ“: „დავტოვე“); ფესუა („გაფერბივარ“): აორ. ἔφρυον; δέρισμαι („გხედავ“): აორ. ἔδρισκον (-dɾɰk-) და სხვ.

ძირითადი (სრული) საფეხურის ინდოევროპული ფორმები უმეტეს შემთხვევაში ძირის *e-გახმოვანებას* გვიჩვენებენ. ძირითადი საფეხურის *a-* და *o-* *გახმოვანება* (შდრ. ბერძნ. ἄγω „მიყავს“, ὄζω „სუნი მდის“) ერთობ იშვიათად, სულ რამდენიმე შემთხვევაში გვხვდება. გახმოვანების ძირითადი საფეხურის *a* ხმოვანი, როგორც წესი, წარმოდგენილია ცალკეული სიტყვების თავკიდურ პოზიციაში, აგრეთვე ცალკეულ განსაკუთრებულ შემთხვევებში; იგი არ მონაწილეობს იმ მონაცვლეობებში, რომელთაც მორფოლოგიური ფუნქცია აქვთ; *a* ხმოვნის მონაცვლეობა შეტად შეზღუდულია *e-o* ტიპის მონაცვლეობასთან შედარებით, რომელიც ინდოევროპული ენის მთელ მორფოლოგიურ სტრუქტურას გასდევს. მაშასადამე, ინდოევროპული *აბლაუტის* ძირითადი სახეობაა ხმოვანთა მონაცვლეობა, განსაზღვრული *e-o-ნული* ფორმულით.

სრულიად განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს წარმოშობით გრძელი ბოლოკიდური *ē, ō, ā* ხმოვნების შემცველი მცირერიცხოვანი ფუძეების მონაცვლეობა. გახმოვანების სრულ საფეხურზე წარმოდგენილი ოდიოვან *გრძელი ხმოვნების* შემცველი ფორმები *ნულოვან საფეხურზე* იძლევა *მოკლე i-* ან *a-ხმოვნიან* ძირებს, რაც დამოკიდებულია განსახილველ ენაზე: შდრ. ძვ.-ინდ. *tí-ṣthā-mi* „ვსვამ“ : *ṣthi-tāḥ* „დასმული“, ბერძნ. (დორ.) ἰ-στᾶ-μι : στᾶ-τός, ლათ. *stātus* („მდგომარეობა“); დორ. φᾶ-μι „ვამბობ“ : φᾶ-τός „თქმული“; ძვ.-ინდ. *dá-dhā-mi* „ვდებ“ : *hitáḥ* „დადებული“, ბერძნ. τί-θη-μι „ვდებ“: θε-τός „დადებული“; ძვ.-ინდ. *dá-dā-mi* „ვაძლევ“ : აორ. *á-di-ta*, ბერძნ. *δί-δα-μι* „ვაძლევ“ : *δο-τός* „მიცემული“, ლათ. *dā-tus* „მოცემული“ და სხვ.

მაშასადამე, *ē, ō, ā* გრძელი ხმოვნები გახმოვანების *ნულოვან საფეხურზე* მონაცვლეობენ ფონემასთან, რომელიც განისაზღვრება შესატყვისობებით: ძვ.-ინდ. *i* ~ ბერძნ. *a* (*e, o*) ~ ლათ. *ā* და აღინიშნება \**ə* სიმბოლოთი (ე.წ. *schwa indogermanicum*): *ē~ə, ō~ə, ā~ə* (როგორც ჩანს, ეს ინდოევროპული \**ə* იყო გაურკვეველი ტემბრის ხმოვანი, რომელიც

ბერძნულში წესისამებრ აისახებოდა როგორც  $\check{a}$  სმოვანი, მაგრამ განსაზღვრულ პირობებში იგი გადადიოდა  $\check{e}$  და  $\check{o}$  სმოვანებში განსმოვანების ძირითადი საფეხურის  $\check{e}$  და  $\check{o}$  გრძელი სმოვანების ტუქბრის გავლენით).

მაშასადამე, ხმოვანთა მონაცვლეობის  $e-(o)$ -*ნული* ზოგადი ტიპის გვერდით არსებობს მეორე, ამისგან სრულიად განსხვავებული, წარმოშობით გრძელ ხმოვანთა მონაცვლეობის ტიპი, განსაზღვრული  $\bar{e}-\bar{a}$ ,  $\bar{o}-\bar{a}$ ,  $\bar{u}-\bar{a}$  ფორმულებით.

7.2. *შერდინანდ დე სოსიურის* ჰიპოთეზის ძირითადი წინაშეპლვარია დებულება ინდოევროპული აბლაუტის ტიპების *თავდაპირველი ერთიანობის* შესახებ.

ინდოევროპულში არ დასტურდება ძირები ბოლოკიდური მოკლე ხმოვნებით, მაშინ როდესაც *თანხმოვანთe+სონანტი* ტიპის ძირები მეტად გავრცელებულია; *დე სოსიურმა* ივარაუდა, რომ გრძელი ხმოვნები  $*dhi\bar{e}$ ,  $*st\bar{a}$ -,  $*d\bar{o}$ - ტიპის ძირებში უნდა მომდინარეობდეს *პირვანდელი დიფთონგებიდან*, რომელთა მეორე ელემენტები ანალოგიას ავლენენ *სონანტებთან*. ამათ გვერდით მან დაუშვა ინდოევროპულში A და O *ფონემების* არსებობა, რომელთაც *სონანტური კოეფიციენტები* უწოდა.

*დე სოსიური* ვარაუდობს, რომ თითოეული ფუძის ძირითად ხმოვანს მოკლე  $e$  წარმოადგენს; ამასთან  $e+A$  გადადის  $\bar{e}$ -ში ან  $\bar{a}$ -ში, ხოლო  $e+O-\bar{o}$ -ში. მაშასადამე, ინდოევროპული  $*d^h\bar{e}$ -,  $*st\bar{a}$ -,  $*d\bar{o}$ - ფორმები მომდინარეობენ შესაბამისად  $*d^heA$ -,  $*steA$ -,  $*deO$ - სტრუქტურის ძირებიდან (ძირის სტრუქტურული ტიპი : *თანხმოვანთe+სონანტი*). განსმოვანების *ნულოვან საფეხურზე* ძირის ხმოვნად დიფთონგებიანი ძირების მონაცვლეობის ტიპთან სრული შესაბამისობით გვევლინება ერთ-ერთი *სონანტური კოეფიციენტა steA-* ( $\rightarrow *st\bar{a}$ -) :  $*stA$ - (ბერძნ.  $\sigma\tau\bar{a}-\tau\acute{o}s$ , ლათ.  $st\bar{a}-tus$ , ძვ.-ინდ.  $s\check{t}hi-t\acute{a}h$ );  $*d^heA-$  ( $\rightarrow *d^h\bar{e}$ -) :  $dhA$ - (ბერძნ.  $\theta\epsilon-\tau\acute{o}s$ , ძვ.-ინდ.  $hi-t\acute{a}h$ );  $*deO$  ( $\rightarrow *d\bar{o}$ -) :  $dO$  (ბერძნ.  $\delta o-\tau\acute{o}s$ , ძვ.-ინდ.  $\acute{a}dita$ , ლათ.  $d\bar{a}-tus$ ).

*დე სოსიურის* კონცეფციაში A და O ფონემები იმავე როლს ასრულებენ, როგორსაც დანარჩენი *სონანტები* — *დიფთონგის მეორე ელემენტი* (განსმოვანების სრულ საფეხურზე) და *ხმოვანი* (განსმოვანების ნულოვან საფეხურზე). A და O სონანტური კოეფიციენტები *ხმოვნის* ფუნქციით გვევლინება  $\check{d}^{\check{y}}\check{a} < *Ag\bar{o}$ ,  $\check{d}^{\check{z}}\check{a} < *Qdz\bar{o}$  ტიპის ფორმებშიც.

7.3. *ჰერმან მოელერი* რომელიც ადგენდა შესატყვისობებს *ინდოევროპულ* და *სემიტურ* ენებს შორის და ამის საფუძველზე გამოთქვამდა გა-

რაუდს ინდოევროპული და სემიტურ-ქამიტური ენების საერთო ფუძე-ენიდან წარმომავლობის შესახებ, *დე სოსიურის* მიერ აღდგენილ სონანტურ კოეფიციენტებს სემიტურ ლარინგალურ თანხმოვნებს უფარდებს: აღმოსავლურ-სემიტურ ენათა ლარინგალური თანხმოვნების მსგავსად სონანტური კოეფიციენტები დაიკარგა ინდოევროპულში, ოღონდ მათ თავისი კვალი დატოვეს წინამავალ და მომდევნო ხმოვნებზე, როგორც ეს, მაგალითად, *აქადურში* ხდება; *დე სოსიურის* მიერ პოსტულირებულ სონანტურ კოეფიციენტებს *პერმან მოელერი*მა სემიტური თანხმოვნების ანალოგიით ლარინგალები უწოდა და ეს სახელწოდება ამ ფონემებს თანამედროვე ტერმინოლოგიაშიც შემორჩა.

მაგრამ *დე სოსიურის* საპირისპიროდ, *პერმან მოელერი* თავის პირვანდელ სქემაში აღადგენს სამ ლარინგალურ ფონემას: E-ს, A-სა და O-ს, რითაც იძლევა ინდოევროპულში წარმოშობით სამი გრძელი ē, ā, ō ხმოვნის არსებობის ახსნას.

ლარინგალური ფონემის გავლენა ძირეული ხმოვნის ტემბრსა და სიგრძეზე აიხსნება ლარინგალთა არტიკულაციის თავისებურებით: E ფონემას მიეწერება პრეპალატალური არტიკულაცია, რითაც აიხსნება ის, რომ იგი არ ახდენდა გავლენას e ხმოვნის ტემბრზე: \*dheE->\*dhē-; A ფონემა ხასიათდებოდა შუაენისმიერი არტიკულაციით, რამაც გამოიწვია სწორედ წინამავალი e ხმოვნის გადასვლა a ხმოვანში: \*steA->\*staA->\*stā-; ლაბიოველარული არტიკულაციის გამო O ფონემა წინამავალ ძირეულ ხმოვანს o-ს ტემბრს ანიჭებდა: \*deO->\*doO->\*dō-. ივარაუდება აგრეთვე, რომ ისეთ ფორმებში, როგორიც არის ბერძნ. ἄγῃ და ὄζῃ, A და O ფონემები წარმოდგენილია გახმოვანების არა ნულოვან, არამედ სრულ საფეხურზე და ისინი ცვლიან მომდევნო e ხმოვნის ტემბრს: \*Aegō>\*Aagō>ἄγῃ; Oedzō>\*Oodzō>ὄζῃ.

7.4. აღწერილი გზით აღდგენილი ლარინგალები (აღვნიშნოთ ისინი საერთო H სიმბოლოთი აწ უკვე საყოველთაოდ მიღებული ტრადიციის შესაბამისად) სპეციფიკურ ადგილს იკავებენ საერთო-ინდოევროპული ენის ფონოლოგიურ სისტემაში და უახლოვდებიან სონანტურ ფონემებს; ამასთანვე ისინი გამოირჩევიან უფრო დაბალი სონორობით, ვიდრე საკუთრივ სონანტები, ასე რომ მარცვლოვანი სონანტის უშუალო მეზობლობაში ისინი აგრძელებენ მას, ისე როგორც ეს ხმოვნის მომდევნოდ ივარაუდება: შდრ. ი.-ე. \*ǵnē-<\*ǵneH-:\*ǵnH>\*ǵñ- (ძვ.-ინდ. jā-táḥ „დაბადებული“ <\*ǵñ-tós): -ǵH- იძლევა -ñ-ს, მსგავსად იძისა, როგორც -uH- იძლევა -ū-ს; შდრ. \*b<sup>h</sup>ewH- (ძვ.-ინდ. bhávi-tum „ყოფნა“):\*b<sup>h</sup>uH->\*b<sup>h</sup>ū- (ძვ.-ინდ. bhū-táḥ „ყოფილი“); ჯერ კიდევ *დე სოსიურის* მიერ გა-

მოთქმული და ამჟამად საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისით, გრძელი  $\bar{e}$ ,  $\bar{i}$ ,  $\bar{u}$ ,  $\bar{e}$ ,  $\bar{i}$ ,  $\bar{u}$  სონანტები მომდინარეობენ შესაბამისი მოკლე სონანტებიდან მათ მომდევნოდ წარმოდგენილი ლარინგალური ფონემით:  $ɣH$ ,  $ʃH$ ,  $ɥH$ ,  $ɣH$ ,  $iH$ ,  $uH$ .

7.5. „ლარინგალური ჰიპოთეზა“ ხსნის ინდოევროპული ენობრივი სისტემის მრავალ ფაქტს, საერთო ამოსავალი სტრუქტურებიდან გამომჟღავნებს ისტორიულად დამოწმებული ინდოევროპული ენების სტრუქტურულ თავისებურებათა მთელი მრავალსახეობა, რომელიც განპირობებული იყო მათი ისტორიული განვითარების ხანგრძლივი პროცესით.

ინდოევროპულ ენაში აღდგება ერთადერთი ძირეული  $e$  ხმოვანი. დანარჩენი ხმოვნები (მოკლე და გრძელი) მიღებულია  $e$  ხმოვნის აბლაუტის შედეგად, ან მისი მეზობელი (წინამავალი ან მომდევნო) ლარინგალური ფონემის გავლენით.

თუ ლარინგალურ ფონემას აღვნიშნავთ  $H$  სიმბოლოთი, მივიღებთ შემდეგ ფორმულებს:  $eH_1 > \bar{e}$ ,  $eH_2 > \bar{a}$ ,  $eH_3 > \bar{o}$ . მაშასადამე, გრძელი ხმოვნების არსებობა ინდოევროპულში აიხსნება წინამავალ ძირეულ  $e$  ხმოვანზე შესაბამისად სამი ლარინგალური ფონემის გავლენით, რომლებიც შემდგომში ისტორიულად დამოწმებულმა ინდოევროპულმა ენებმა დაკარგეს ენობრივი განვითარების პროცესში და მხოლოდ უძველესმა ანატოლიურმა ენებმა (კერძოდ, ხეთურმა) შემოგვინახა ზოგიერთ პოზიციაში ამგვარად მოსტუღირებული საერთო-ინდოევროპული ლარინგალური ფონემა (ყრუ) ველარული  $ɣ$  სპირანტის სახით.

ეს დებულება დასტურდება ისეთი ინდოევროპული ფორმების შეპირისპირებით, როგორიც არის ძვ.-ინდ.  $dádihāmi$ , ბერძნ.  $τίθημι$  „ვდებ“, „ვსვამ“ და ხეთ.  $tehi$  „ვდებ“, „ვსვამ“ (ი.-ე.  $d^h eH \rightarrow *d^h \bar{e}$ ); ძვ.-ინდ.  $dādāmi$ , ბერძნ.  $δίδαμι$  „ვაძლევ“ და ხეთ.  $dahi$  „ვიღებ“ (ი.-ე.  $*doH \rightarrow *d\bar{o}$ ); ძვ.-ინდ.  $pāti$  „იცავს“, ლათ.  $pāscō$  „ვმწყემსავ“,  $pāstor$  „მწყემსი“ და ხეთ.  $paḫš-$  „დაცვა“, „შენახვა“ (ი.-ე.  $*paHs \rightarrow *pās-$ ) და სხვ.

სამი ლარინგალური თანხმოვნის გამოყოფა ემყარება წარმოშობით სამი გრძელი ხმოვნის –  $\bar{e}$ -ს,  $\bar{a}$ -სა და  $\bar{o}$ -ს სრულ პარალელულობას მონაცვლე ფორმებში: შდრ. ბერძნ.  $τίθημι/\thetaετός$ ,  $ἵσταμι/\sigmaτάτος$ ,  $δίδαμι/\deltaοτός$ .

თუ ლარინგალური ფონემა წინ უსწრებდა ძირეულ ხმოვანს, მაშინ იგი მხოლოდ ხმოვნის ტემბრზე ახდენდა გავლენას:  $H_2 e > \bar{a}$ ,  $H_3 e > \bar{o}$ : შდრ. ძვ.-ინდ.  $ánti$ , ბერძ.  $ἀντί$ , ლათ.  $ante$  „წინ“ და ხეთ.  $hant-$  „წინა მხარე“, „შუბლი“ (ი.-ე.  $*Hant \rightarrow *ant-$ ).



ამგვარად აიხსნება ცალკეულ შემთხვევებში თავკიდური მოკლე  $\bar{a}$  ხმოვნის არსებობა გახმოვანების ძირითად (*სრულ*) საფეხურზე (შდრ. ბერძნ. ἄγω „მიყავს“ < \*H<sub>2</sub>agō < \*H<sub>2</sub>egō; ასევე, მოკლე  $\bar{o}$  ხმოვნის არსებობა, რომელიც არ მონაცვლეობს e-სთან: შდრ. ბერძნ. ὄσος „ტოტი“ და ხეთ. *hašduir* „ხმელი ტოტები“; თუ eH<sub>2</sub> და eH<sub>3</sub> იძლევა შესაბამისად  $\bar{a}$ -სა და  $\bar{o}$ -ს, ხოლო H<sub>2</sub>e და H<sub>3</sub>e – შესაბამისად  $\bar{a}$ -სა და  $\bar{o}$ -ს, მაშინ, თუ ამოვალთ eH<sub>1</sub>> $\bar{e}$  ფორმულიდან, ბუნებრივია დავუშვათ, რომ H<sub>1</sub>e იძლეოდა  $\bar{e}$ -ს, ე. ი. H<sub>1</sub> ლარინგალური ფონემა სიტყვის თავში e ხმოვნის წინ უკვალოდ იკარგებოდა.

7.6. ხეთური (ყრუ) ველარული *h* თანხმოვნის გაიგივება *დე სოსიურის სონანტურ კოეფიციენტებთან* (შემდგომში *ინდოევროპულ ლარინგალურ ბად წოდებულ ფონემებთან*) მოგვიანებით მოახდინა პოლონელმა ენათმეცნიერმა იეჟი კურილოვიჩმა, რაც ფაქტობრივად *დე სოსიურის „ლარინგალური პიპოთეზის“* ვერიფიკაციად (დამტკიცებად) იქნა მიჩნეული.

*დე სოსიურის* მიერ ინდოევროპული ხმოვანთმონაცვლეობის არაერთგვაროვანი სტრუქტურული სქემების *უნიფიცირების* მათთვის ერთგვაროვნების მინიჭების გზით წინარე ენის ფონოლოგიურ სისტემაში გარკვეული სეგმენტური ფონემების — *სონანტური კოეფიციენტების* — პოსტულირება, ფონემებისა, რომელთაც არ დატოვეს იმ დროისათვის ცნობილ ისტორიულ ინდოევროპულ ენებში გარკვეული კვალი ანუ რეფლექსები სეგმენტური ფონემების სახით (ხეთური ენა უფრო გვიან იქნა აღმოჩენილი და ინდოევროპულ ენად ცნობილი), წარმოადგენს ე.წ. *შინაგანი რეკონსტრუქციის* პირველ ისტორიულ ნიმუშს. ამგვარი რეკონსტრუქციის საშუალებით ხდება ფუძე-ენის უძველესი სტრუქტურების აღდგენა არა ისტორიულად მონათესავე ენების შესაბამისი სეგმენტური ფონემების ერთმანეთთან შედარება-შეპირისპირების გზით, რაც *შედარებითი რეკონსტრუქციის* მეთოდს წარმოადგენს, არამედ *ერთი ენის ფარგლებში* გარკვეული სტრუქტურული სქემების *უნიფიცირებისა* და მათი საგარაუდო უძველეს სტრუქტურულ ტიპებზე დაყვანის შედეგობით; ამით განისაზღვრება *ლარინგალური თეორიის* ის მნიშვნელობა, რომელიც მას *ენობრივი რეკონსტრუქციის* მეთოდოლოგიის თვალსაზრისით მიეწერება დიაქრონიულ ლინგვისტიკაში.

7.7. ქართველურ ენათა უძველესი წინარეენობრივი სტრუქტურების აღდგენის შემთხვევაში *შინაგანი რეკონსტრუქციის* მაგალითად შეიძლება გამოდგეს უძველესი *უნიფიცირებული საერთო-ქართველური მოდელების* პოსტულირება რეკონსტრუირებული აბლაუტური მონაცვლეობე-

ბისა და ძირის სტრუქტურის უფრო ადრეულ საერთო სქემებზე დაყვანის შედეგად.

კერძოდ, საერთო-ქართველური ენისათვის რეკონსტრუირებული აბლაუტის მექანიზმი, როგორც მორფონოლოგიურ დაპირისპირებათა სისტემა, წარმოშობით, საფიქრებელია, შეპირობებული იყო ფონოლოგიური ხასიათის მიზეზებით, რომლებიც მოქმედებდნენ საერთო-ქართველური ენის განვითარების ადრეულ ეტაპებზე. საერთო-ქართველური წინარეენობრივი სისტემის განვითარების ეს ადრეული საფეხური, რომელიც წინ უსწრებდა მასში სონანტური ფონემების წარმოშობისა და აბლაუტურ მონაცვლეობათა მექანიზმის ჩამოყალიბების ეპოქას, შეიძლება გარკვეული მიახლოებით მოვნიშნოთ თვითონ გვიანდელი პერიოდის საერთო-ქართველური სისტემის ფარგლებში. თავისთავად ცხადია, რომ არქაული პერიოდის საერთო-ქართველური სტრუქტურების ამგვარი „შორეული“ რეკონსტრუქცია განხილული უნდა იქნეს როგორც უკიდურესად ჰიპოთეტური კონსტრუქცია, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ შესაძლო გზას გვიანდელი საერთო-ქართველური ენობრივი სისტემის წარმოქმნისა მისი დამოუკიდებელ ენობრივ ერთეულებად დაშლის წინა ეპოქაში.

საერთო-ქართველური ფეძე-ენის ამ არქაულ საფეხურზე შესაძლებელია დაფუძვით *მონოეოკალური სისტემა* მარცვლის მონოტონური  $C_1C_2C_3C_4$  ტიპის სტრუქტურითა და ფონოლოგიურად რელევანტური დინამიკური მახვილით, რომელმაც გვიანქართველურ დონეზე გამოიწვია უმახვილო ხმოვნის ამოვარდნა, დახურულ მარცვალში მახვილიანი ხმოვნის შენარჩუნება და ღია მარცვალში მისი დაგრძელება.

საერთო-ქართველურ  $CVC-$  და  $-VC$  სტრუქტურის მქონე ძირეულ და სუფიქსურ მორფემებში მარტივი  $C$  თანხმოვნის ადგილზე შეიძლება წარმოდგენილი იყოს ან ლაბიალური კომპლექსი ( $C_w$ ), ან თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსი [დღ, თხ, ტყ] ტიპისა. მორფემულ სტრუქტურებში ფონემათა ფუნქციური როლის თვალსაზრისით ლაბიალური და ჰარმონიული კომპლექსები უთანაბრდება *მარტივ (ცალ) თანხმოვნებსა* და *სონანტებს*. აღნიშნული კომპლექსების ასეთი სტრუქტურულ-დისტრიბუციული თავისებურება იძლევა ისტორიულად მათი *მონოფონემატურ* ერთეულებად ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

სახელდობრ,  $C+w$  ტიპის კომპლექსები არქაული პერიოდის წინარე-ქართველურ დონეზე შეიძლება ინტერპრეტირებული იქნეს როგორც *ლაბიალიზებული ფონემები*, რომლებმაც „ფონემური გახლეჩა“ (ინგლ. *split*) განიცადეს და ბიფონემურ კომპლექსებად იქცნენ.

თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსები, რომლებიც გვიანქართველურ დონეზე ბიფონემურ მიმდევრობებად წარმოგვიდგება, ასევე შეიძლება მომდინარეობდნენ ერთეულოვანი კონსონანტური ფონემებიდან;

ისინი შესაბამისი მარტივი თანხმოვნებისაგან განსხვავებით ველარიაზაციის ფონოლოგიურად ღირებული ნიშნით ხასიათდებოდნენ.

საერთო-ქართველური ლაბიალური და ჰარმონიული თანხმოვანთ-კომპლექსების მონოფონემატური ინტერპრეტაცია უძველესი ქართველური მდგომარეობისათვის შინაგანად აღგვადგენინებს რთულ კონსონანტურ სისტემას *ლაბიალიზებული* და *ველარიზებული თანხმოვნების* სერიებით, რასაც უბიძგისპირდებოდა ვოკალური სისტემა ერთადერთი \**ჰმოვანი ფონემით* და ფონოლოგიურად რელევანტური *დინამიკური მახვილით*.

7.8. ეს ფონოლოგიური მოდელი, რომელიც ჰიპოთეტურად ასახავს არქაული პერიოდის უძველეს წინარექართველურ სისტემას, უახლოეს ტიპოლოგიურ პარალელს პოულობს ჩრდილო-დასავლეთკავკასიურ ენებში, რომლებიც *კონსონანტიზმის* რთული სისტემითა და *ჰმოვანთა* მაქსიმალურად გამარტივებული სისტემით გამოირჩევიან.

არქაული პერიოდის წინარექართველური ფონოლოგიური სისტემის ტრანსფორმაცია ძირითადად ხორციელდებოდა კონსონანტიზმის გამარტივების (*ლაბიალიზებული* და *ველარიზებული* თანხმოვნების „გახლეჩის“ შედეგად), *ჰ* ფონემის ვოკალური ალოფონების *ფონოლოგიზაციისა* და *სონანტურ* ფონემათა ცალკე კლასის გაჩენის მიმართულებით, რაც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო უმახვილო *ჰმოვანთა სინკოპესა* (ამოვარდნა) და *აბლაუტურ მონაცვლეობათა მექანიზმის* წარმოქმნასთან.

ამგვარი სტრუქტურული გარდაქმნების შედეგად გვიანდელ საერთო-ქართველურ ქრონოლოგიურ დონეზე წარმოიშობა ენის მორფოლოგიური სისტემა, რომელიც ხასიათდება აშკარა სტრუქტურულ-ტიპოლოგიური პარალელებით საერთო-ინდოევროპულ მორფოლოგიურ მოდელებთან.

## 8. სემანტიკური რეკონსტრუქციის პრობლემები

8.1. შინის რეკონსტრუქცია გულისხმობს არა მხოლოდ ცალკეული ფონემებისა და მათი თანაფარდობების აღდგენას პარადიგმატულ სისტემაში, არამედ იმ ფონემათა მთელი მიმდევრობებისა და მათი კომბინაციების აღდგენასაც, რომლებიც იძლევიან ამა თუ იმ გრამატიკული ან ლექსიკური მნიშვნელობის გამომხატველ მორფემებს, სიტყვებსა და სიტყვათშეერთებებს. ამასთან, რეკონსტრუირდება ენის არა მხოლოდ *გამოხატულების პლანი*, არამედ მისი *შინაარსის პლანიც*, ანუ ცალკეული ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების *მნიშვნელობები*.

თუკი ფორმალური რეკონსტრუქციის დროს მკვლევარი ამოდის ფონემურ თანაფარდობათა სისტემიდან და ახდენს ტიპოლოგიურად ვერიფიცირებადი ამოსავალი ფორმებისა და არქექტიპების პოსტულირებას, სემანტიკური რეკონსტრუქციის დროს არქექტიპის აღდგენის პროცედურა რთულდება იმის გამო, რომ არ არსებობს ფორმალური კრიტერიუმი ამოსავალი *სემანტიკების* პოსტულირებისათვის.

8.2. სემანტიკური რეკონსტრუქციის ყველაზე მარტივი შემთხვევა არის რეკონსტრუქცია მნიშვნელობით ახლოს მდგომი ფორმალურად ურთიერთშესაბამისი სიტყვებისა; ასეთ ვითარებაში ხდება რეკონსტრუქცია ურთიერთშესაბამისი სიტყვებისათვის საერთო მნიშვნელობებისა, რომლებიც განისაზღვრება როგორც სემანტიკური დიფერენციალური ნიშნების სიმრავლურ-თეორიული თანაკვეთა. მაგალითად, თუ არსებობს კონფერსიული მიმართებები (*მიცემა-აღება, ყიდვა-გაყიდვა* ტიპისა), რეკონსტრუქცია გულისხმობს ფორმალურად ურთიერთშესაბამისი სიტყვების არქექტიპისთვის ისეთი სემანტიკების პოსტულირებას, რომელშიც საპირისპირო ნიშნები (რომლებიც ერთ-ერთ რეალურ ფორმაში გვევლინება პირველი მნიშვნელობით, მეორეში კი — სხვა, მისი საპირისპირო მნიშვნელობით) *ნეიტრალიზდება* (*მიცემა-აღება* კონფერსიული მიმართებები შეიძლება ავიყვანოთ ტერმინამდე განზოგადებული *გაცვლა-გამოცვლილ-სათვის*, რომელიც შეიცავს „მიცემის აქტსაც“ და „აღების აქტსაც“, შდრ. *ნეიტრალიზაციის* ცნება ფონოლოგიასა და მორფოლოგიაში). ამდენად, რეკონსტრუქცია საზოგადოდ არა ცალკეული სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობა, არამედ რაღაც *სიტუაცია*, რომლის მეშვეობითაც ეს მნიშვნელობა აღიწერება.

ასეთი რეკონსტრუქციების დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს *სემანტიკური ტრანსფორმაციების ტიპოლოგია*: დაშვებული გარდაქმნები უფრო შესაძლებელი და სარწმუნო ხდება, თუ მსგავსი სემანტიკური გარდაქმნები რეალურად დასტურდება ცალკეული ენების ან ენათა ჯგუფების ისტორიაში.

## 9. რეკონსტრუქციის ენობრივი სისტემა სივრცესა და დროში

9.1. რეკონსტრუქციის ენობრივი მოდელი, რომელიც ასახავს ოდეს-ღაც არსებულ *პროტოენობრივ* (წინარეენობრივ) სისტემას, გულისხმობს მისი არსებობისა და გარდაქმნების ქრონოლოგიური ჩარჩოებისა და მისი გაგრძელების გეოგრაფიული არეალის დადგენას.

წინარე ენის განხილვა სივრცესა და დროში ნიშნავს მისი განვითარების დინამიკის შესწავლასა და მისი ისტორიის მეცნიერულად დადგენილი უძველესი ეტაპების გათვალისწინებას ვიდრე მის გვიანდელ მდგომარეობამდე, ისტორიულ დიალექტებად დანაწევრებისა და დამოუკიდებელ ენობრივ სისტემებად მათი ჩამოყალიბების წინ.


9.2. ამოსავალი ენობრივი სისტემის ასეთი ისტორია გულისხმობს როგორც სისტემის შინაგან განვითარებას, ისე სხვა სისტემებთან მის არეალურ ურთიერთობებს. ამ თვალსაზრისით შეიძლება ვილაპარაკოთ *ნასესხობებზე* წინარეენობრივ სისტემაში სხვა ენებიდან და ამ ენიდან მასთან კონტაქტში მყოფ სხვა ენებში.

9.3. როგორც ყველა რეალურად არსებული ენა, რეკონსტრუირებული ენაც ურთიერთდაკავშირებული დიალექტების განსაზღვრული სიმრავლის სახით დადასტურებულ სისტემად უნდა მოიაზრებოდეს. საერთო ენის დანაწევრება ისტორიულად დამოწმებულ მონათესავე ენებად შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც საერთო ამოსავალი ენობრივი სისტემის თავდაპირველი დიალექტური ერთიანობის რღვევა და დაშლა. ამდენად, ამოსავალი ენობრივი სისტემის ერთიანობის რეკონსტრუირებული მოდელის შიგნით შესაძლებელია კონკრეტული ქვესისტემების დაპირისპირება გარკვეული ფონოლოგიური და მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით, რომლებიც რეკონსტრუირებული ენის დიალექტურ დანაწევრებას ასახავს.


განსაზღვრული ქრონოლოგიური ჭრილისათვის აღდგენილ ენობრივ მოდელში ასეთი დანაწევრება სინქრონიულად წარმოვიდგება ვარიანტული („დუბლექტური“) ფორმების სახით, რომლებიც შეიძლება ასახავდნენ არეალურ, დიალექტურ დაპირისპირებებს გვიანდელი პერიოდის საერთო-ენობრივ სისტემაში. თავის მხრივ, ასეთი დიალექტური დაპირისპირებები შეიძლება ამ ენის ისტორიაში ქრონოლოგიურად აიხსნას.

რეკონსტრუირებული ამოსავალი ენობრივი სისტემის ასეთი გაგებით, მისი დანაწევრება და დაშლა ცალკეულ მონათესავე ენებად შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც გარკვეული დუბლირება ამოსავალი სტრუქტურებისა, რომლებიც შემდგომ სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება.

9.4. ამოსავალი ენობრივი  $L$  სისტემის ნებისმიერი  $x$  ფონემა მოგვიანებით ორ სხვადასხვა მონათესავე ენაში იძლევა შესაბამისად  $a$  და  $b$  ელემენტებს, რაც სქემატურად ხის (ორიენტირებული გრაფის) სახით შეიძლება იქნეს წარმოდგენილი:




ამოსავალი ელემენტის ასეთი გადასვლა მონათესავე ენების შესაბამის ელემენტებში, რომლის საბოლოო შედეგი ზემოთ მოყვანილ სქემაზე არის გამოსახული, ხორციელდება, როგორც ჩანს, ამოსავალი ელემენტის დუბლირების გზით საერთო ენის დიალექტებში თითოეული დუბლირებული ელემენტის შემდგომი ტრანსფორმირებით ისტორიულად დადასტურებულ ელემენტებად:



ეს სქემა წარმოადგენს არა მხოლოდ სისტემის ცალკეული ელემენტების, არამედ ისტორიული სტრუქტურების შესაბამისი საერთო ამოსავალი სტრუქტურებიდან განვითარების ილუსტრაციას.

ეგრეთ წოდებული *გენეალოგიური ხის* სქემა, რომელიც ტრადიციულ კომპარატივისტიკაში წარმოგვიდგენდა ცალკეული ენების წარმოშობას წინარე ენიდან, არსებითად არის ამოსავალი სისტემის ამგვარი გარდაქმნების საბოლოო შედეგების ამსახველი გარკვეული მოდელი; იგი არსებითად ასახავს უკვე ჩამოყალიბებული ერთეულების ურთიერთმიმართებებს და გვიჩვენებს ამოსავალი სისტემიდან მათი განვითარების მიმართულებას (იხ. ქართველურ ენათა *გენეალოგიური ხის* სქემა, რომელიც თავის დროზე *გერჰარდ დექერსმა* წარმოადგინა):


წინარექართველური (Urkhartwelisch)



გენეალოგიური ხის თეორიას ერთგვარად უპირისპირდება ე.წ. ტალღების თეორია. ამ უკანასკნელში ტალღა გაივება მეტაფორულად როგორც ენობრივი ცვლილებებისა და ინოვაციების ამსახველი პროცესი: როგორც დამდგარ წყალში ჩაგდებული კენჭი წარმოშობს ტალღებს, რომლებიც თანდათან ქრება პერიფერიისაკენ და ამავე დროს შესაძლებელია გადაიკვეთოს სხვა ასეთივე ტალღებით, ასევე ენობრივი ინოვაციების „ტალღა“, რომელიც წარმოიშობა ერთ გარკვეულ პუნქტში, თანდათან ვრცელდება პერიფერიაზე კლებადი სიძლიერით და შეიძლება გადაიფაროს სხვა პუნქტში წარმოშობილი ასეთივე ინოვაციებით.

ამდენად, გენეალოგიური ხის მოდელი არ ეწინააღმდეგება ტალღების თეორიას, რომელიც წარმოადგენს ენაში ინოვაციების წარმოქმნისა და გავრცელების ამსახველ მოდელს მაგრამ იგი არ იძლევა ენის ცალკეულ დიალექტებად დანაწევრების პროცესის საბოლოო შედეგების სქემას.

ამიტომ გაუმართლებელია ლინგვისტური სტრუქტურების ამ ორი სქემის ურთიერთდაპირისპირება რომელიმე მათგანის უპირატესობებისა თუ ნაკლოვანებების შეფასებისას; თითოეული ამ სქემათაგანი გარკვეული აზრით არასრულია, რამდენადაც ისინი ასახავენ ამოსავალი მოდელიდან ენობრივი სტრუქტურების წარმოშობისა და განვითარების პროცესის მხოლოდ სხვადასხვა მხარეს. ამიტომ უნდა მოხდეს მათი გაერთიანება როგორც ენათა დიაქრონიული გარდაქმნების ამსახველი ურთიერთდამატებითი სქემებისა. ამის მაგალითია წინარეინდოევროპული ენის დიალექტურ-არეალური დანაწევრების სინთეზური სქემა



საერთო-ინდოევროპული ენობრივი სისტემის დიფერენციაციის სივრცულ-დერივაციული მოდელი

9.5. დიალექტოლოგიურ კვლევაში სტრუქტურული მეთოდების დანერგვით XX საუკუნის 50-იანი წლებიდან საფუძველი ეყრება ახალ მიმართულებას — სტრუქტურულ დიალექტოლოგიას (ურიელ ვაინრაიხი).

სტრუქტურულ დიალექტოლოგიაში შემოღებულია დიასისტემის ფუნდამენტური ცნება. დიასისტემა არის ერთგვარი თეორიული კონსტრუქტი, რომელიც წარმოადგენს ამოსავალ სისტემას კონკრეტული ენის რეგიონული დიალექტებისათვის.

ამგვარი გაგებით, შედარებითი დიალექტოლოგია დიაქრონიული რეკონსტრუქციის ამოცანებისადმი მიდგომის თვალსაზრისით ემთხვევა ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებას.



*დიასისტემა* სტრუქტურულ დიალექტოლოგიაში გარკვეული თვალსაზრისით *მეტაენობრივი* ცნებაა, ამიტომ დიასისტემა არ შეიძლება მივიჩნიოთ რეალურ საკომუნიკაციო სისტემად მოცემულ დიალექტებზე მოლაპარაკეთათვის. ის, რაც სხვადასხვა დიალექტის წარმომადგენლებს ურთიერთგაგებინების შესაძლებლობას აძლევს, როგორც ჩანს, არის არა *დიასისტემის* ფლობა, არამედ ერთი დიალექტიდან მეორეზე „გადასვლის წესებს“ ცოდნა, რაც გულისხმობს დიალექტებს შორის სხვადასხვა დონეზე არსებულ თანაფარდობათა გააზრებას. როგორც არ უნდა აფასებდნენ ამ *თანაფარდობებს* სხვა დიალექტის მატარებელნი, ისინი მათ „დამახინჯებებად“ მიიჩნევენ თავისი დიალექტის თვალსაზრისით. სწორედ ასეთი თანაფარდობების ცოდნა განსაზღვრავს ერთი დიალექტიდან მეორეზე გადასვლის წესებს.

გარკვეული აზრით, ეს კრიტერიუმი შეიძლება წარმოადგენდეს საფუძველს *დიალექტების* გასაშიჯნავად *ენებისაგან*. *მონათესავე ენებზე* მეტყველთ, *ერთი ენის დიალექტებზე* მეტყველთაგან განსხვავებით, როგორც ჩანს, არა აქვთ ცოდნა ასეთ ენებს შორის არსებული *თანაფარდობების* შესახებ და ამის გამო ისინი არ ფლობენ ერთი ენიდან მეორეზე „გადასვლის წესებს“. ასეთ ენებს ისინი, ჩვეულებრივ, აფასებენ როგორც ერთმანეთთან დაუკავშირებელ დამოუკიდებელ სისტემებს.

9.6. როგორც ითქვა, ენები იშლება დიალექტებად, რომლებიც შემდეგ ცალკე ენებად ყალიბდება. ამასთან, არასტანდარტული, არანორმირებული დიალექტები, როგორც წესი, უმწერლობა და ენებში ძველად არსებული დიალექტური განსხვავებების შესახებ ინფორმაცია უმეტესწილად მწირია. ზემოთქმულის გამო შეიძლება შეიქმნას არასწორი შთაბეჭდილება, თითქოს *ენათა ოჯახის* ისტორიაში და, კერძოდ, ამოსავალ *ფუძე-ენებში* დიალექტური განსხვავებები არ ივარაუდება. დიალექტური განსხვავებების არსებობა ენობრივ კოლექტივში იმთავითვე უნდა დავუშვათ. ძველ დროში ენის დიფერენციაციას ხელს ის უწყობდა, რომ ადამიანთა პოპულაციები, ხშირად მოხეტიალენი, ვრცელ ტერიტორიებზე იყვნენ მიმოფანტულნი. საზოგადოდ, დიალექტები ჩნდება ენობრივი კოლექტივის შიგნით კონტაქტის დაკარგვისა და იზოლაციის შედეგად. არასამწერლობო დიალექტების ისტორია დროთა განმავლობაში იკარგება და ამიტომ ძველ ენათა უმრავლესობისათვის, აგრეთვე ენათა ოჯახების რეკონსტრუირებული წინარე ენებისათვის მეცნიერება პირობით სტრუქტურულ ერთგვაროვნებას უშეებს.

9.7. ამაჟამად შეიმჩნევა დიალექტების შერწყმისა და იმ დიალექტთა დაკარგვის ტენდენცია, რომლებზეც შედარებით ნაკლები ხალხი მეტყველებს. ძველად ჭარბობდა მცირე, ზუსტად ლოკალიზებული დია-

ლექტები, დღევანდელ მსოფლიოში კი ურბანიზაცია, მასობრივი გადაადგილება, საყოველთაო განათლება, ტელე- და რადიომაუწყებლობა, გაადვილებული კომუნიკაცია და სოციალური მობილურობა განაპირობებს უპირატესად რეგიონული და სოციალური დიალექტების არსებობას. ჩამოთვლილი მიზეზების გამო ჩვენს დროში ენათა დიალექტებად დაყოფას სხვადასხვა ენების წარმოქმნა იშვიათად მოსდევს.

## 10. საერთო ენის გავრცელების თავდაპირველი ტერიტორიისა და მისი დიალექტების მფლობელთა მიგრაციების გზების განსაზღვრა. ლინგვისტური და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით აღდგენილი კულტურების ურთიერთდაკავშირების პრობლემა

10.1. როგორც აღინიშნა, *მონათესავე ენები* წარმოიქმნება *ამოსავალი ენობრივი სისტემის* დაშლის შედეგად, რასაც იწვევს კონტაქტების გაწყვეტა ცალკეული დიალექტების მფლობელებს შორის; ეს დიალექტები ვრცელდება განსაზღვრულ ტერიტორიებზე ძირითადად მათი მფლობელების *მიგრაციათა* შედეგად. თავის მხრივ, ეს გულისხმობს საერთო ამოსავალი ენობრივი სისტემის გავრცელების თავდაპირველ არეალად *განსაზღვრულ ტერიტორიას* (უფრო კომპაქტურს ისტორიული მონათესავე ენების გეოგრაფიულ გავრცელებასთან შედარებით), საიდანაც უნდა დაწყებულიყო სწორედ ასეთი მიგრაციები სხვადასხვა მიმართულებით.

თვითონ სიდიდე ასეთი საგარაუდო არეალისა, ისევე როგორც ასეთი *ერთიანობის* თანდათანობითი დანაწევრების პროცესი, დამოკიდებულია საერთო ენაზე მოლაპარაკე ტომების *საცხოვრისის* გეოგრაფიულ თუ ეკოლოგიურ პირობებზე, მათი კულტურის ხასიათზე. ამდენად, რეკონსტრუირებული *საერთო ენის* გავრცელების თავდაპირველი არეალისა და ამ საერთო ენის დიალექტებზე მოლაპარაკე ტომების მიგრაციების გზების განსაზღვრა არის *ენობრივი ერთიანობის* დანაწევრების საკუთრივ ლინგვისტური პრობლემის ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტი.

10.2. *მონათესავე ენების* გავრცელების *ისტორიულ არეალთან* შედარებით საერთო ენობრივი სისტემის გავრცელების *თავდაპირველი ტერიტორიის* მეტი *კომპაქტურობის* შესახებ წარმოდგენილი დებულება ტიპოლოგიური მონაცემებითაც დასტურდება.

ამის კარგი ისტორიული მაგალითია *რომანული ენები* (*ფრანგული, ესპანური, იტალიური, კატალანური, პროვანსული, პორტუგალიური, რუმინული, რეტორომანული...*), რომლებიც მომდინარეობენ თავდაპირველ-

ლად ისტორიული იტალიის ერთ მცირე პროვინციაში — *ლაციუმში* — გაგრცელებული *ლათინური ენიდან*.

**10.3.** ღროსა და სივრცეში მოცემული ამოსავალი ენობრივი სისტემის ცალკეულ დიალექტებად დაშლა და დიალექტების ფართო ტერიტორიებზე გაგრცელება გულსხმობს, უწინარეს ყოვლისა, ასეთი *მეორაციული პროცესების* აბსოლუტური ქრონოლოგიის დადგენას თუნდაც გარკვეული მიახლოებით. ეს კი შეიძლება განხორციელდეს საერთო ენობრივი სისტემის მფლობელთა ან მისი ცალკეული დიალექტური ჯგუფების *ლინგვისტური მონაცემების მიხედვით რეკონსტრუირებული კულტურის* განსაზღვრულ *არქეოლოგიურ კულტურებთან* შეთანადებით.

ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება ლინგვისტური მონაცემების არქეოლოგიურ და კულტურულ-ისტორიულ მონაცემებთან დაკავშირების (შეთანადების) მეთოდოლოგიური პრობლემა, კერძოდ, საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა განსაზღვრული *ენობრივი ერთობის* დაკავშირება ამა თუ იმ *არქეოლოგიურ კულტურასთან*.

**10.4.** საფიქრებელია, რომ ენობრივი სისტემა შეიძლება დაეკავშიროთ განსაზღვრულ *არქეოლოგიურ კულტურასთან*, თუკი ეს უკანასკნელი იძლევა ენობრივ მასალასთან იდენტიფიცირებად რეალიებს.

ამ ამოცანის სრული მოცულობით შესასრულებლად აუცილებელია არქეოლოგიური კულტურების განსაზღვრული *ტიპოლოგიის* დამუშავება, რომელიც უნდა შეიცავდეს გარკვეულ *იმპლიკაციებს* მატერიალური კულტურის ცალკეულ ერთეულებს შორის.


თავის მხრივ, *არქეოლოგიური კულტურების ტიპოლოგიის* დასადგენად აუცილებელია შეთანხმება მატერიალური კულტურის ძეგლების *უნიფიცირებული* აღწერისა და ჩაწერის შესახებ. მხოლოდ ამგვარი უნიფიცირებული ჩაწერა შეიძლება წარმოადგენდეს სხვადასხვა არქეოლოგიური კულტურების *ტიპოლოგიური შეპირისპირების* აუცილებელ წინაპირობას.

თუ *იმპლიკაციის წესები* რეკონსტრუირებული არქეოლოგიური კულტურის მონაცემების საფუძველზე, ემთხვევა *იმპლიკაციის წესებს*, რომლებიც გამოიყვანება რეკონსტრუირებული კულტურისათვის ლინგვისტური მონაცემების მიხედვით, მაშინ ასეთი კულტურების ურთიერთდაკავშირება უფრო სარწმუნო და შესაძლებელი ხდება.

ამგვარად დადგენილი კულტურების ცალკეული ელემენტები და ნიშნები შეიძლება არც ემთხვეოდეს ერთმანეთს, მაგრამ არსებითად ნიშან-თვისებათა *მთელი კომპლექსების* ზოგადი დამთხვევა, შეუთავსებელი ნიშნებისა და ელემენტების არარსებობის პირობებში.

რამდენადაც ასეთი რეკონსტრუქციები (როგორც ლინგვისტური, ისე ისტორიული) პრინციპულად არასრულია, ცალკეული კომპონენტების არდამთხვევა არ უნდა უშლიდეს ხელს ამ კულტურების შესაძლებელ ისტორიულ დაკავშირებასა და შეთანადებას.

**10.5.** ასეთი რეკონსტრუქციების შეზღუდულობისა და უსრულობის გამო ერთი ტიპის  $A$  კომპლექსის მოცულობა (რომელიც რეკონსტრუირდება ლინგვისტური მონაცემების მიხედვით) შეიძლება აღემატებოდეს ან ჩამორჩებოდეს არქეოლოგიურად დადგენილი მეორე ტიპის  $B$  კომპლექსის მოცულობას; ასეთ პირობებში შესაძლებელია კომპლექსების *თანაკვეთაც* (ნაკლები ან მეტი არქეოლოგიური  $B'$  ნაწილით, ან ლინგვისტური  $A'$  ნაწილით საერთო  $AB$  ნაწილის ფარგლებს გარეთ):



ასეთ შემთხვევაში არსებითია, რომ არათანამკვეთ  $A'$  და  $B'$  ნაწილებში არ აღმოჩნდეს ისეთი ნიშან-თვისებები, რომლებიც ურთიერთშეუთავსებელია თითოეული კომპლექსის შიგნით (ამ შემთხვევაში  $A$  კომპლექსის რომელიმე  $a$  ელემენტი გულისხმობს მთელ რეკონსტრუირებულ  $A$  კომპლექსში რაღაც ისეთი ნიშან-თვისების არსებობას, რომელიც შეუთავსებელია  $b$  ნიშან-თვისებასთან მეორე რიგის  $B$  კომპლექსში; ეს ნიშან-თვისება ან რეკონსტრუირდება მასში, ან იგულისხმება სხვა ელემენტების არსებობის საფუძველზე).

**10.6.** საერთო ენის გაგრცელების თავდაპირველი ტერიტორიის დადგენა და განსაზღვრულ არქეოლოგიურ კულტურასთან ამ საერთო ენის მფლობელთა კულტურის ლინგვისტური რეკონსტრუქციების დაკავშირება მოითხოვს თანმიმდევრულ სემანტიკურ ანალიზს საერთო ენის ყველა ამ რეკონსტრუირებული სიტყვისა და მთელი სიტყვათშეერთებებისა, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს ვიმსჯელოთ საერთო ენის მფლობელთა და მათი სულიერი კულტურის ინდივიდუალური ნიშან-თვისებების შესახებ.

რეკონსტრუირებული სიტყვებისა და სიტყვათშეერთებების ასეთი სემანტიკური ანალიზი გულისხმობს მათ დაკავშირებასა და შეთანადებას დენოტატებთან და ამ დენოტატების კულტურულ-ეკოლოგიური და ისტორიულ-გეოგრაფიული მახასიათებლების განსაზღვრას.

**11. ლექსიკურ-სემანტიკური რეკონსტრუქცია და კულტურის ლინგვისტური პალეონტოლოგია. დიალექტური და საერთო-ენობრივი ლექსიკა როგორც წინარე ენის სემანტიკური ლექსიკონის რეკონსტრუქციის საფუძველი. რეკონსტრუირებული ლექსემების სემანტიკის შეთანადება «საგანთა სამყაროსთან»**

**11.1.** პრეალური ურთიერთობების სურათი, მიღებული წინარე ენის დიალექტების საერთო (თანხვედრილი) გრამატიკული, ფონოლოგიური და ლექსიკური მოვლენების ანუ *იზოგლოსების* (ბერძნ. *isogloss* „იდენტური“, „იგივეობრივი“ და *glōssa* „ენა“) შესწავლის შედეგად, შესაძლებლობას იძლევა ვიმსჯელოთ ერთიანი ენობრივი სისტემის თანმიმდევრული დანაწევრებისა და ამის შესაბამისად — აღნიშნულ დიალექტებზე მოლაპარაკეთა ურთიერთკავშირების ხასიათის შესახებ. ამდენად, წმინდა ლინგვისტური მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ზოგიერთი ისეთი *ექსტრალინგვისტური* ფაქტორის დადგენა, რომლებიც განსაზღვრავენ ცალკეული ენობრივი სოციუმების ისტორიულ ურთიერთობებს.

ლინგვისტური მონაცემების მიხედვით განსაზღვრული ენების მფლობელთა ისტორიული და სოციალური ურთიერთობების *ექსტრალინგვისტური ფაქტორების* რეკონსტრუქციისათვის განსაკუთრებულ ღირებულებასა და მნიშვნელობას იქენს ფორმალურ-სემანტიკური ანალიზი შესაბამისი დიალექტების ლექსიკისა, რომელიც უნდა ასახავდეს ამ დიალექტებზე მოლაპარაკეთა ისტორიული არსებობის ყველა ძირითად მომენტს.

**11.2.** დიალექტების მფლობელთა ისტორიული არსებობა გულისხმობს გარკვეულ ეკოლოგიურ გარემოს (*ფაუნა, ფლორა, გეოგრაფიული გარემოსცვა* და *კლიმატი*) და მათ ცხოვრება-გადაადგილებას ამ გარემოში, ასევე მათ კულტურას ფართო გაგებით — როგორც მატერიალურს, ისე სულიერს. განსაზღვრული ენის დიალექტების სათანადო რელიგანტური ლექსემების სემანტიკური რეკონსტრუქცია იძლევა (თუშცა ძალაუნებურად ფრაგმენტული სახით) *მონათესავე დიალექტებზე* მოლაპარაკეთა ისტორიული არსებობის ძირითადი მომენტების წარმოდგენას.

ნის შესაძლებლობას. ამგვარ რეკონსტრუქციებში სწორედ ლინგვისტური მონაცემები გვევლინება ასეთი დიალექტების მფლობელთა მატერიალური არსებობისა და მათი განვითარების ისტორიული გზებისა და უძველესი კულტურის ევოლუციის წარმოდგენისათვის ინფორმაციის ძირითად წყაროდ.

11.3. შესაბამისი დიალექტების მფლობელთა ექსტრალინგვისტური სამყაროს ელემენტების რეკონსტრუქცია შესაძლებელს ხდის უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ მოცემული დიალექტების წმინდა ლინგვისტური ურთიერთმიმართებები და მათი განვითარება დროში, ანუ დავაზუსტოთ ენის შესწავლის წმინდა ლინგვისტური ასპექტებიც.

უწინარეს ყოვლისა, ეს ენება, ბუნებრივია, ენის სემანტიკურ პლანს, რომლის კვლევა წარმოუდგენელია მისი შეთანადების გარეშე გარეენობრივ „საგნების სამყაროსთან“, ენის *შინაარსის პლანში* რომ აისახება გარდაქმნილი სახით.

ხშირად ფორმალურად რეკონსტრუირებული ლექსემისათვის წინარეენობრივი მნიშვნელობის დადგენა შეუძლებელია, თუ არ „გავალთ“ წმინდა ლინგვისტური ფაქტების ფარგლებიდან და არ მოვიხმობთ ტიპოლოგიურ მონაცემებს, რომლებიც კულტურის შესაბამისი დარგების ისტორიას ეხება.

ასე, მაგალითად, საერთო-ინდოევროპული \**Hajos*- ფუძისათვის, რომლის რეფლექსები ისტორიულ ინდოევროპულ დიალექტებში იძლევა ასეთ მნიშვნელობებს: „*სპილენძი*“, „*ბრინჯაო*“, „*რკინა*“, დგინდება წინარეენობრივი მნიშვნელობა „*სპილენძი*“ (და არა „*ბრინჯაო*“ და, მით უმეტეს, არა „*რკინა*“) იმის გამო, რომ ქრონოლოგიურად ინდოევროპული ენობრივი ერთობის პერიოდი უფრო *სპილენძის ეპოქას* უკავშირდება.

განსაკუთრებული ყურადღება თანამედროვე ენათმეცნიერებაში სემანტიკური ანალიზის მიმართ ძალაუნებურად გულისხმობს „გასვლას“ ენის სისტემიდან (სადაც განიხილება მხოლოდ მოცემული მნიშვნელობების გარდაქმნები სხვა მნიშვნელობებად) *არაენობრივი ცნებების* სამყაროში, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება დავადგინოთ განსაზღვრული თანაფარდობები გარესამყაროს ერთეულებსა და ენის სემანტიკურ სტრუქტურებს შორის.

11.4. მის ასეთი ანალიზი ამ ენის მფლობელთა კულტურასთან მჭიდრო კავშირში გამომუშავდა *ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების* ჩამოყალიბებისა და განვითარების ადრეულ ეტაპზე. ჯერ კიდევ *შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების* კლასიკოსები აღნიშნავდნენ ენის კვლევის აუცილებლობას მის მფლობელთა კულტურისაგან განუყოფლად. ამ ხასიათის გამოკვლევებს ხშირად *ლინგვისტურ პალეონტო*

ლოგოს უწოდებენ; უფრო ზუსტი იქნებოდა ენათმეცნიერების ამ მიმართულებისათვის გვეწოდებინა *კულტურის ლინგვისტური პალეონტოლოგია*, რამდენადაც კვლევის ობიექტს ამ შემთხვევაში წარმოადგენს არა *წინარე ენა*, არამედ ამ ენის მფლობელთა *პროტო-კულტურა* (ფართო ანთროპოლოგიური გაგებით); რეკონსტრუირება არა იმდენად თვითონ ენა, რამდენადაც გარეენობრივი სამყარო, ასახული განსახილველ ენობრივ მონაცემებში.

11.5. XX საუკუნის დაახლოებით ოციანი წლებიდან ენათმეცნიერებაში ფესმოკიდებულმა *სოსიურისეულმა* პრინციპმა ენის განხილვა-შესწავლისა „*თავის თავში და თავისთვის*“ გარკვეულწილად გამოიწვია უარის თქმა ენისა და კულტურის *კავშირების* კვლევაზე და მოხდა ყურადღების გადატანა უმთავრესად ენის *სტრუქტურის* შესწავლაზე.

ენის კვლევის ასეთი შეზღუდვა მხოლოდ მისი *სტრუქტურის* საკითხებით გასული საუკუნის უკანასკნელ ათწლეულებში იცვლება ენის როგორც საკაცობრიო კულტურის პროდუქტის შესწავლის პრინციპით ამ კულტურასთან მჭიდრო კავშირში და ენის მფლობელთა ისტორიის ფართო ფონზე.

წინარე ენის სტრუქტურისა და ისტორიისათვის არსებით მნიშვნელობას ამ ასპექტით იძენს *ლექსიკური სემანტიკის* შესწავლა და რეკონსტრუქცია, ამასთანავე დიალექტურად განაწილებული წინარეენობრივი ლექსემების დადგენა. თავის მხრივ, ასეთი ლექსემები მათი პირვანდელი, წინარეენობრივი სემანტიკის რეკონსტრუქციის შემთხვევაში გვაწვდიან პირდაპირ მინიშნებას ამ ენის ისტორიული დიალექტების მფლობელთა *საცხოვრისის* (საცხოვრებელი გარემოს) ეკოლოგიურ და კულტურულ მახასიათებლებზე; ასეთი მონაცემების მიხედვით შეიძლება პირველი მიახლოებით აღდგენილი იქნეს წინარე ენის დიალექტების მფლობელთა *მატერიალური* და *სულიერი კულტურის* ფრაგმენტები და წარმოდგენილი იქნეს საერთო ეკოლოგიური დახასიათება განუწყვეტლივ ცვალებადი საცხოვრისისა, რასაც განსაზღვრავს საერთო ენის ცალკეული დიალექტების მფლობელთა გადაადგილებები და მიგრაციები.

11.6. ისტორიულად დადასტურებული მონათესავე ენების ფორმალურად ურთიერთშესაბამის სიტყვათა შედარება შესაძლებელს ხდის აღვადგინოთ დიალექტების მიხედვით განაწილებული ამოსავალი *ლექსიკური არქეტაქები* განსაზღვრული სემანტიკით, რომლებიც დგინდება შესაბამისი ისტორიული ფორმების კონკრეტული მნიშვნელობების მიხედვით. ასეთი ამოსავალი საერთო *არქეტაქები* შეიძლება განეკუთვნებოდეს როგორც წინარეენობრივ ქრონოლოგიურ დონეს და, მაშასადამე, პოსტულირდებოდეს წინარეენობრივი სისტემისათვის, ისე მომდევნო ქრონო-

ლოგიურ დონეებსაც, რომლებიც ასახავენ ცალკეულ დიალექტურ გაერთიანებებს საერთო ენის ფარგლებში.

განსაზღვრული სემანტიკის მქონე ამგვარად რეკონსტრუირებული ლექსემების ურთიერთშედარება შესაძლებელს ხდის გამოიყოს თემატური ჯგუფები. ასეთი ლექსემები აღნიშნავს გარეენობრივი ობიექტების ზოგიერთ ისეთ კლასს, როგორიც არის, მაგალითად, *ცხოველთა კლასი*, *მცენარეთა კლასი*, *ნაგებობები* და *საცხოვრებლები*, *ხელოსნური წარმოების იარაღები* და მისთ.

## 12. ფუძე-ენის სემანტიკური ლექსიკონი და კულტურის რეკონსტრუქცია. სემანტიკური ლექსიკონი როგორც პროტო-კულტურის ასახვა

12.1. წინარეენობრივი, საერთო-დიალექტური ლექსემები, როგორც აღინიშნა, ზოგადად ასახავენ ამ დიალექტებზე მოლაპარაკეთა საცხოვრისს (საცხოვრებელ გარემოს), მატერიალურ ყოფასა და კულტურას. ოფივე ლექსემები ქმნიან წინარე ენისა და მისი ცალკეული დიალექტების ლექსიკონის უძველეს ლექსიკურ ფენას. შეიძლება დადგინდეს წინარეენობრივი სემანტიკების განსაზღვრული თემატური ჯგუფების მიხედვით კლასიფიცირებული *ლექსიკონი* აუცილებელი მონაცემებით ამ ლექსემების (სემანტიკების) შესაძლებელი ისტორიული დენოტატების შესახებ. ამ ტიპის რეკონსტრუირებული ლექსიკონი ნათელს ჰფენს წინარე ენის ცალკეულ დიალექტებზე მოლაპარაკეთა კულტურასა და ეკოლოგიურ გარემოს.

წინარე ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის რეკონსტრუქცია, განხორციელებული მისი ცალკეული ისტორიული დიალექტების ეტიმოლოგიურად ურთიერთსადარი სიტყვების აღდგენისა და ასეთი სიტყვების გარეენობრივ სინამდვილესთან შეთანადების საფუძველზე, გარკვეული მიახლოებით იძლევა ამ წინარე ენისა და მისი უძველესი დიალექტების მფლობელთა *მეურნეობის*, *მატერიალური კულტურისა* და *სოციალური ორგანიზაციის* საერთო სურათს.

ასეთი სავარაუდო საერთო სურათი ისტორიულ რეალობას იძენს წარსულისა და აწმყოს კონკრეტულ კულტურებთან მისი ტაოლოგიური შედარების შედეგად. ეს არის რეკონსტრუირებული კულტურის ერთგვარი *ტაოლოგიური ვერიფიკაცია* რეალურად დამოწმებული კულტურების საფუძველზე.

კულტურის (მეტადრე მისი მატერიალური მხარის) რეკონსტრუირებული სურათის ვერიფიკაციის დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობა:



იქენს არქეოლოგიური მონაცემები, რომელთა მიხედვით ფასდება სავარაუდო მატერიალური კულტურის ტიპოლოგიური შესაძლებლობანი.

12.2. რეკონსტრუირებული წინარეენობრივი ლექსემები სემანტიკურ ლექსიკონში იმ მითოლოგიურ და რიტუალურ მოტივებთან ერთად განიხილება, რომლებშიც ამ ლექსემების დენოტატები მონაწილეობენ. ეს გვაძლევს შესაძლებლობას გადავიდეთ სიტყვებიდან და მათი დენოტატებიდან მითოლოგიური და რიტუალური მოტივების შედარებით ანალიზსა და წინარეენობრივი ერთიანობის ხანიდან მომდინარე „მითოლოგებებისა“ და რიტუალების ამოსავალი სემანტიკური არქეტაპების დადგენაზე, აგრეთვე ცალკეულ ისტორიულ ტრადიციებში განხორციელებული მათი გარდაქმნების აღწერაზე.

12.3. საერთო მითოლოგიური და რიტუალური ელემენტების აღდგენა წმინდა სემანტიკურ რეკონსტრუქციას წარმოადგენს და შეიძლება არც იყოს დამოკიდებული იმ კონკრეტულ სიტყვებზე, რომლებითაც ისინი აღიწერება სხვადასხვა ისტორიულ ტრადიციებში. მაგრამ პრაქტიკულად მსგავსი მითოლოგიური და რიტუალური მოტივები, რომლებიც დგინდება ცალკეული ისტორიული ტრადიციებისათვის და აიყვანება გარკვეულ ამოსავალ წინარეენობრივ მოდელებამდე, აღიწერება ტექსტებით, რომლებშიც ხშირად მონაწილეობენ ერთმანეთთან ეტიმოლოგიურად დაკავშირებული სიტყვები და მთელი სიტყვათშეერთებები. ეს კიდევ უფრო მეტად ადასტურებს ისეთი მითოლოგიური და რიტუალური მოტივების წარმოშობის ერთიანობას, რომლებიც ნათელს ჰყენენ წინარე ენის მფლობელთა წარმოდგენებსა და სულიერ სამყაროს.

ეს საშუალებას გვაძლევს წინარე ენისათვის აღვადგინოთ არა მხოლოდ ცალკეული სიტყვები განსაზღვრული სემანტიკით, არამედ ტექსტის გარკვეული წინარეენობრივი ფრაგმენტებიც, ანუ ტექსტის მონაკვეთები, რომლებიც მეტია, ვიდრე სიტყვა. ეს, გარკვეული აზრით, არის უკვე მაგალითები სიტყვების დონეზე წინარეენობრივი სინტაგმატიკისა, რომელიც მიღებულია არა იზოლირებულად რეკონსტრუირებული სიტყვების მექანიკური კომბინაციების გზით, არამედ ტექსტის მთლიანი ფრაგმენტების რეკონსტრუქციის მეშვეობით მონათესავე ტრადიციებში ერთმანეთთან ეტიმოლოგიურად დაკავშირებული ცალკეული ფრაზების, გამოთქმებისა და რთული სიტყვების საფუძველზე.

12.4. წინარე ენის სიტყვებისა და ტექსტის ცალკეული ფრაგმენტების ამგვარი სემანტიკური რეკონსტრუქცია შესაძლებლობას იძლევა აღდგენილ იქნეს წინარე ენის მფლობელთა სულიერი სამყაროსა და გარემოცველი სინამდვილის შესახებ მათი წარმოდგენების საერთო სურათი, ბუ-

ნების მოვლენების მათთვის დამახასიათებელი კლასიფიკაცია და ადამიანისა და ადამიანთა საზოგადოების მათეული გაგება.

**12.5.** წინარე ენის ცალკეული დიალექტების სიტყვებისა და სხვადასხვა ისტორიულ ტრადიციებში ტექსტის ფრაგმენტების ზემოთ დახასიათებული შედარებითი სემანტიკური ანალიზი და მასთან დაკავშირებული *კულტურის ლინგვისტური პალეონტოლოგიის* მეთოდი შესაძლებელს ხდის წინარე ენის ლექსემათა *სემანტიკური ლექსიკონის* რეკონსტრუქციასა და პროტო-კულტურის საერთო სურათის აღდგენას. პროტო-კულტურა აქ ფართო ანთროპოლოგიური აზრით გაიგება როგორც წინარე ენის ან მის უძველეს დიალექტებზე მოლაპარაკეთა მატერიალური და სულიერი არსებობის გამოვლინება.

ყოველივე ეს შესაძლებლობას იძლევა წამოყენებულ იქნეს ჰიპოთეზა წინარე ენის გავრცელების თავდაპირველი ტერიტორიის შესახებ და განისაზღვროს წინარე ენისა და მისი უძველესი დიალექტების *მიგრაციების* გზები მათი ისტორიული გავრცელების ადგილებში.

*წინარეენობრივი სისტემისა* და შესაბამისი *პროტო-კულტურის* რეკონსტრუქციის ზემოთ ფორმულირებული თეორიული პრინციპების საფუძველზე შესაძლებელია წინარეენობრივი სისტემებისა და პროტო-კულტურების აღდგენა მთელი რიგი გენეტური ენობრივი ჯგუფებისათვის, როგორც არის, მაგალითად, ინდოევროპული, ქართველური, სემიტური და სხვ., აგრეთვე მათი უძველესი დიალექტების პირვანდელი გავრცელების არეალისა და მომდევნო მიგრაციების გზების განსაზღვრა.

### 13. საერთო-ინდოევროპული ფუძე-ენის მფლობელთა წინარე სამშობლოს ლოკალიზაცია სივრცესა და დროში. ინდოევროპული ენის კონტაქტები ქართველურთან და სემიტურთან

**13.1.** ისტორიულ ეპოქაში ევრაზიის ვრცელ ტერიტორიაზე გავრცელებული ინდოევროპული ენები გულისხმობენ, როგორც აღინიშნა, საერთო-ინდოევროპული ენის თავდაპირველი გავრცელების რაღაც უფრო კომპაქტურ არეალს.

ასეთი არეალის განსაზღვრა, რაც არსებითად დაიყვანება ინდოევროპული „წინარე სამშობლოს“ ტრადიციულ პრობლემაზე, შესაძლებლობას მოგვცემს აღვადგინოთ უძველესი *ინდოევროპელების* ანუ ინდოევ-

რომელ დიალექტებზე მოლაპარაკე ტომების, ისტორიული საცხოვრისი-საკენ მოძრაობების სურათი.

**13.2.** ინდოევროპული წინარე ენის, როგორც *სივრცესა და დროში* არსებული რეალური ენობრივი სისტემის, რეკონსტრუქცია გულისხმობს ამ ენის მფლობელი გარკვეული ტომების არსებობას, რომელთაც პირობითად *ინდოევროპელები* ეწოდებათ, და შესაბამისად მათი ბინადრობის თავდაპირველ ტერიტორიას, ე.წ. წინარე სამშობლოს, საიდანაც ამ ტომებს უნდა დაეწყოთ მიგრაციები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიმართულებით მათი განსახლების ისტორიული ადგილებისაკენ. სწორედ ამასთან დაკავშირებით წარმოიშვა *ინდოევროპული წინარე სამშობლოს* ტრადიციული პრობლემა, რომელიც თითქმის ისევე ძველია, როგორც თვით *ისტორიულ-შედარებითი ინდოევროპული ენათმეცნიერება*.

ადვილი დასანახავია, რომ სწორედ წინარე სამშობლოს ლოკალიზაციისა და ინდოევროპული ტომების ბინადრობის თავდაპირველი ტერიტორიის სავარაუდო ფარგლებს დადგენის მიხედვით განისაზღვრება ცალკეულ ინდოევროპულ დიალექტებზე მოლაპარაკე ტომების მოძრაობის ტრაექტორიები მათი განსახლების ისტორიულ ადგილებში, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ინდოევროპული მოდგმის ამა თუ იმ ხალხის (უფრო ზუსტად, *ინდოევროპულ ენებზე* ძველად თუ ახლა მოლაპარაკე ცალკეული ხალხების) წინარე ისტორიისა და სხვა ხალხებთან მათი კონტაქტების ძირითადი მომენტების აღდგენისათვის.

**13.3.** უკვე საკმაოდ ადრე ინდოევროპეისტიკაში გაჩნდა თეზისი ინდოევროპელთა ცენტრალურევროპული წინარე სამშობლოს შესახებ. მაგრამ მოგვიანებით ამ თეზისის საწინააღმდეგოდ წამოყენებული იქნა სერიოზული არგუმენტები, რომელთა მიხედვით ინდოევროპული წინარე სამშობლო უნდა „გადაწეულიყო“ აღმოსავლეთისაკენ და მისი ლოკალიზაცია უნდა მომხდარიყო *ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის* რეგიონში, ე.წ. ყორღანული კულტურის არქეოლოგიურ არეალში. ეს თვალსაზრისი ამჟამადაც გავრცელებულია მეცნიერებაში.

მაგრამ ინდოევროპული წინარე ენისა და მისი უძველესი დიალექტების ბოლოდროინდელი გამოკვლევები, აგრეთვე რეკონსტრუირებული საერთო-ინდოევროპული ლექსიკის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი ლინგვისტური თუ კულტურულ-ისტორიული მონაცემების მთელი კომპლექსი მოითხოვს ხელახლა დაისვას *ინდოევროპული წინარე სამშობლოს პრობლემა* და წარმოდგენილ იქნეს მისი ახლებური რეგიონული და კულტურულ-ისტორიული გადაწყვეტა. ამ უახლესი მონაცემების შუქზე ინდოევროპული წინარე სამშობლო მნიშვნელოვნად უნდა „გადაიწიოს“ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და მისი ლოკალიზაცია მოხდეს *წინააზიური არეალის* ფარგლებში.

13.4. ინდოევროპული წინარე ენის მფლობელთა ბინადრობის თავდაპირველ არეალად უნდა მივიჩნიოთ ისეთი მხარე, რომელიც საერთო-ინდოევროპული ენის არსებობის პერიოდში (ე.ი. ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV ათასწლეულში და უფრო ადრეც) თავისი *ეკოლოგიური, გეოგრაფიული* და *კულტურულ-ისტორიული* მახასიათებლების მიხედვით შეესაბამება იმ სურათს, რომელიც იქმნება წინარე ენის *ლექსიკის* ლინგვისტური რეკონსტრუქციისა და მისი შეპირისპირება-შედარების საფუძველზე *გერაზის კონტინენტის* ცალკეული რეგიონების *ისტორიულ-გეოგრაფიულ, პალეობოტანიკური* და *პალეოზოოლოგიური, არქეოლოგიური* და *კულტურულ-ისტორიული* კვლევის მონაცემებთან.

ინდოევროპული წინარე ენის თავდაპირველი გავრცელების *წინააზიურ არეალზე* მიუთითებს სწორედ წინარე-ინდოევროპული ლექსემების მთელი კომპლექსის სემანტიკა, — ლექსემებისა, რომლებიც ასახავენ ძველი ინდოევროპული დიალექტების მფლობელთა *საცხოვრის, მატერი-ალურ* და *სულიერ კულტურას*.

13.5. რეკონსტრუირებული საერთო-ინდოევროპული ლექსიკის განსაზღვრული სემანტიკური ჯგუფების ანალიზი საფუძველს გვაძლევს გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ინდოევროპულ დიალექტებზე მოლაპარაკეთა ბინადრობის თავდაპირველი ტერიტორია უნდა ყოფილიყო *მთიანლანდ-შაფტანი* მხარე (რაც უკვე გამორიცხავს წინარე სამშობლოს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ლოკალიზაციის შესაძლებლობას).

ხეებისა და მცენარეების ინდოევროპულ სახელწოდებათა მონაცემები (*„მუხა“, „კლდე-მუხა“, „მთის მუხა“, „რკო“, „წიფელი“, „რცხილა“, „იფანი“, „კობიტი“, „გერხვი“, „კაკალი, ნიგოზი“, „ვაზი“, „ყურძენი“, „ღვინო“* და სხვ.), რომლებიც თანხმობაშია ინდოევროპული წინარე სამშობლოს მთიანი ლანდშაფტის დამახასიათებელ ნიშნებთან, არაორაზროვნად ახდენს მის ლოკალიზაციას *ხმელთაშუა ზღვის* შედარებით უფრო სამხრეთ რეგიონებში ფართო აზრით (ბალკანეთისა და ახლო აღმოსავლეთის ჩრდილოეთი ნაწილის ჩათვლით).

ინდოევროპული წინარე სამშობლოს ეკოლოგიური გარემოს შედარებით სამხრეთული ხასიათი, რაც ივარაუდება გეოგრაფიული ლანდშაფტისა და მცენარეულობის შესახებ არსებული მონაცემების საფუძველზე, შემაგრებულია ცხოველთა ინდოევროპული სახელწოდებების ანალიზით (*„ჯიქი“, „ლეობარდი“, „ლომი“, „მაიმუნი“, „სპილო“, „სპილოს ძეალი“, „კობორჩხალა“* და სხვ.). ზოგიერთი ამ ცხოველთაგან ან ცოდნა მათ შესახებ სპეციფიკურია სწორედ უფრო სამხრეთი გეოგრაფიული მხარისათვის, რაც გამორიცხავს *ცენტრალურ ევროპას* როგორც ამ დიალექტების მფლობელთა ბინადრობის შესაძლო თავდაპირველ ტერიტორიას.

საერთო-ინდოევროპულისათვის ხერხდება განვითარებული *მესაქონ-  
ლეობისა* და *მიწათმოქმედების* ტერმინოლოგიის აღდგენა.

ინდოევროპული წინარე ენის გავრცელების ახლოაღმოსავლური არეალის სასარგებლოდ მოწმობს სასოფლო-სამეურნეო მცენარეების რეკონსტრუირებული სახელწოდებები (*„ქერი“*, *„ხორბალი“*, *„სელი“*) და განსაკუთრებით ხეხილისა და ბუჩქნარის (*„ვაშლი“*, *„შინდი“*, *„ალუბალი“*, *„თუთა“*, *„ყურძენი“* და სხვ.), აგრეთვე მიწათმოქმედების პროდუქტების დამუშავებასთან დაკავშირებული იარაღებისა და მოქმედებების აღმნიშვნელი ლექსემები (*„დოლაბი“*, *„მარცვლ(ეულ)ის“* და *„ნაყვა, დაქუცმატე-  
ბა“*, *„და“* ფქვა, *„ქერის მარცვლების მოხალვა“*). *მიწათმოქმედებისა* და *მევენახეობის* ტერმინოლოგია აგრეთვე გარკვევით ადასტურებს ინდოევროპული ერთიანობის ლოკალიზაციას ყველაზე მეტად განვითარებული მიწათმოქმედების ადგილებში (IV ათასწლეულში ჩვენს ერამდე და უფრო ადრე), ანუ სამხრეთ ტერიტორიაზე, რომელიც გადაჭიმულია *ბალკანეთიდან ირანის ზეგნამდე*.

ძველი ინდოევროპელების ბინადრობის თავდაპირველი გარემოს დადგენისა და ინდოევროპული წინარე სამშობლოს ლოკალიზაციისათვის *წინააზიურ არეალში* განსაკუთრებული ღირებულებისაა *ბორბლები-ანი ტრანსპორტის* ტერმინოლოგია — *ოთხთვალა საზიდრებისა* და მათი შემადგენელი ნაწილების სახელწოდებები (*„ბორბალი“*, *„ღერძი“*, *„შებ-  
მა“*, *„უღელი“*, *„ხელნა“*), აგრეთვე სახელწოდებები მთის ტყის მაგარი ჯიშებისაგან *ოთხთვალა საზიდრების* დასამზადებლად აუცილებელი ლითონისა (*„ბრინჯაო“*) და გამწევი ძალისა — *მოშინაურებული ცხენისა*, რომელსაც სამეურნეო და საომარი მიზნებით უკვე იყენებდნენ ინდოევროპული წინარე ენის მფლობელნი.

*ოთხთვალა საზიდრების* დამზადების დასაწყისი თარიღდება დაახლოებით IV ათასწლეულით ჩვენს წელთაღრიცხვამდე; მათი გავრცელების პირვანდელ კერად უნდა მივიჩნიოთ არეალი *სამხრეთ კავკასიიდან ზემო შუამდინარეთამდე* (მესოპოტამიამდე) *ვანისა* და *ურმიის* ტბებს შორის. ადრეული ბრინჯაოს ეპოქის ახლოაღმოსავლური არეალიდან *ოთხთვალა საზიდრები* ვრცელდება ვოლგა-ურალის რაიონში, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, ბალკანეთში, ცენტრალურ ევროპაში. იგივე ტერიტორია წარმოადგენს *ცხენის* მოშინაურების ან უკვე მოშინაურებული *ცხენის* გავრცელებისა და მისი როგორც *გამწევი ძალის* გამოყენების ადგილს.

კულტურისა და სოციალურ-ეკონომიკური წყობის ნიშნების მთელი კომპლექსი, რომელიც ლექსიკონის მიხედვით რეკონსტრუირდება წინარეინდოევროპული საზოგადოებისათვის, ტიპოლოგიურად დამახასიათებელია ძველი აღმოსავლეთის არქაული ცივილიზაციებისათვის; საერთო-

ინდოევროპული კულტურა ტიპოლოგიურად ადრეული ძველ აღ-  
მოსავლური ცივილიზაციების წრეს განეკუთვნება.

13.6. ინდოევროპელების წინარე სამშობლოს ძველ ახლო აღმოსავ-  
ლეთში ლოკალიზაციის სასარგებლოდ მოტანილი მოსაზრებები თანხმო-  
ბაშია სხვაგვარი სახის არგუმენტებთანაც: წინარეინდოევროპული არეა-  
ლის ლოკალიზება უნდა მოხდეს იმ რეგიონში, სადაც შეიძლებოდა გან-  
ხორციელებულიყო წინარეინდოევროპული ენის ურთიერთქმედება და  
კონტაქტები სემიტურთან და ქართველურთან (სამხრეთკავკასიურთან),  
რომლებშიც დასტურდება ერთი ენიდან მეორეში ნასესხები მთელი ლექ-  
სიკური შრეები\*. ამასვე მოწმობს ინდოევროპულ წინარე ენაში ახლო  
აღმოსავლეთის სხვა ძველი ენებიდან — შუმერულიდან, ეგვიპტურიდან  
შემოსულ ნასესხობათა არსებობაც, აგრეთვე ინდოევროპულის კავშირე-  
ბის დამადასტურებელი მონაცემები წინა აზიის ისეთ ენებთან, როგორიც  
არის ხათური, ელაშური, ხურიტული.

13.7. ბამოვლენილი ქართველურ-ინდოევროპული მორფონოლოგიური  
იზომორფიზმი როგორც ქართველურ-ინდოევროპული ენობრივი კონ-

\* ინდოევროპულ ნასესხობებს საერთო-ქართველურში შეიძლება მივა-  
კუთვნოთ შემდეგი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც განსაზღვრულ  
ქვეჯგუფებად ერთიანდებიან სემანტიკური ნიშნის მიხედვით: ს.-ქართვ.  
\**ესუ* — ი.-ე. \*(s)weks „ექვსი“; ს.-ქართვ. \**შუიღ* : ი.-ე. \**septim* „შვი-  
დი“; ს.-ქართვ. \**უღელ* : ი.-ე. \**jugom* „უღელი“; ს.-ქართვ. \**ტუა* — ი.-ე.  
*ტუ-n-* „რუა“, „თავი“; ს.-ქართვ. \**ბერდ-/\*ბერდ-* : ი.-ე. *ker-t'* „გული“;  
ს.-ქართვ. \**ზისხლ* : ი.-ე. \**esHr* „სისხლი“ (შდრ. ხეთ. *ešhar*): ს.-ქართვ.  
\**ტეფ-/\*ტფ* : ი.-ე. \**tep-* „თბილი“; ს.-ქართვ. \**შეუ-/\*შუ* : ი.-ე. \**seu-*  
/\**sū-* „შობა“; ს.-ქართვ. \**გენ-/\*გნ-* : ი.-ე. \**k'en-/\*k'no-* „ცოდნა, შეც-  
ნობა“; ს.-ქართვ. \**ლაგ-* : ი.-ე. \**leg<sup>h</sup>-* „დება“; ს.-ქართვ. \**დეუ-/\*დუ* :  
ი.-ე. \**d<sup>h</sup>ē-(/\*d<sup>h</sup>eH-)/d<sup>h</sup>ə* „დადება, დადგმა“; ს.-ქართვ. \**კუს-*, \**კუს-ენ*  
→ \**კუნეს* „კვნესა“ : ი.-ე. \**kwes-/\*kus-* „ქშენა, ხვნემა“; ს.-ქართვ.  
\**ბოდ* : ი.-ე. \**b<sup>h</sup>red-/\*b<sup>h</sup>rod-* „ბოდვა“; ს.-ქართვ. *დუა* „თხა“ : ი.-ე.  
\**dig<sup>h</sup>-* „თხა“; ს.-ქართვ. \**ოფოფ* : ი.-ე. \**epop-/\*opop-* „ოფოფი“; ს.-  
ქართვ. \**ტიღ* : ი.-ე. \**tin-/\*til-* „ტილი“; ს.-ქართვ. \**დივა* „მიწა; ნია-  
დაგი“ : ი.-ე. \**d<sup>h</sup>eg<sup>h</sup>-om* „მიწა“ (შდრ. ხეთ. *tekan*, ტოქ. *A tkami*) და სხვ.

ტაქტების შედეგი (იხ. ზემოთ, § 5.6.), იძლევა აგრეთვე საფუძველს ახლებურად დაისვას ინდოევროპული არეალური ლინგვისტიკის მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ინდოევროპული დიალექტების უძველეს განაწილებასთან. შეიძლება დავუშვათ, რომ ქართველური და ინდოევროპული ენების მფლობელთ მოსაზღვრე ტერიტორიები ეჭვარათ მათ შორის კონტაქტების ეპოქაში, დაახლოებით IV-III ათასწლეულებისათვის ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ქართველურსა და ინდოევროპულს შორის სტრუქტურული მსგავსების ასეთი ინტერპრეტაცია უფლებას გვაძლევს ეს ენობრივი სისტემები მივაკუთვნოთ *საერთო არეალურ ჯგუფს*, ენათა ერთგვარ *წინარეისტორიულ კავშირს*.

საერთო-ინდოევროპულში გამოვლენილ სემიტურ ნასესხობათა შუქზე ინდოევროპული ნასესხობები საერთო-ქართველურში და ქართველურ-ინდოევროპულ-სემიტური ფონოლოგიური და მორფონოლოგიური *იზომორფიზმი*, ანუ ქართველური, ინდოევროპული და სემიტური ფონოლოგიური და მორფონოლოგიური სტრუქტურების მსგავსება, განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს ამგვარი ენობრივი კონტაქტების საერთო არეალის განსაზღვრისათვის და ამ გზით საერთო-ინდოევროპული ენის გავრცელების თავდაპირველი ტერიტორიის ლოკალიზაციისათვის *წინააზიურ არეალში*.

**13.8. ინდოევროპული ტომების წინა აზიის ფარგლებში ბინადრობის საგარაუდო თავდაპირველი ტერიტორიის კონკრეტული არქეოლოგიური კულტურების გავრცელების არეალთან შეფარდების საკითხის გარკვევისას უნდა აღინიშნოს, რომ ძველი წელთაღრიცხვის V-IV ათასწლეულებისათვის ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი ისეთი კულტურა, რომელიც შეიძლებოდა ერთმნიშვნელოვნად დაგვეკავშირებინა ინდოევროპულთან. ჩვენ შეიძლება ვილაპარაკოთ ცნობილი წინააზიური არქეოლოგიური კულტურების ლინგვისტურად რეკონსტრუირებულ ინდოევროპულ კულტურასთან მხოლოდ შესაძლო, პირდაპირი თუ არაპირდაპირი კავშირების შესახებ.**

ამჟამად შეიძლება მხოლოდ მოიხაზოს საკითხი ძველი წელთაღრიცხვის V-IV ათასწლეულებში ზემოხსენებული ისტორიული რეგიონის ცნობილი არქეოლოგიური კულტურების შესაძლო დაკავშირების შესახებ *რეკონსტრუირებულ საერთო-ინდოევროპულ კულტურასთან*.

წინა აზიის ზოგიერთი უძველესი არქეოლოგიური კულტურა (*ხალაფის* და კიდევ უფრო ადრინდელი — *ჩათალ-ჰუიუქის* ტიპისა, აგრეთვე მათი უშუალო თუ გაშუალებული გაგრძელებები და მათი მონაცვლე კულტურები, კერძოდ, *უბეიდური* და *მტკვარ-არაქსის* წრისა) ატარებს მთელ რიგ ნიშან-თვისებებს, რომლებიც ლინგვისტური მონაცემების სა-

ფუძველზე რეკონსტრუირებული საერთო-ინდოევროპული კულტური-სათვის დამახასიათებელი ნიშნების სადარია; დასახელებული უფრო გვიანდელი არქეოლოგიური კულტურების (ძვ. წელთაღრიცხვის III ათასწლეულის *მტკვარ-არაქსის* ტიპისა) შექმნაში შეიძლება მონაწილეობა მიეღოთ ცალკეული ინდოევროპული დიალექტების მფლობელ ტომებსაც წინააზიური არეალის სხვა ტომებთან (სახელდობრ, *ხურიტულურარტულ და სამხრეთკავკასიურ - ქართველურ -* ტომებთან) ერთად.

13.9. ინდოევროპელთა *წინააზიური სამშობლოს* შესახებ წარმოდგენილი თეზისის მიღება მთლიანად ცვლის ცალკეული *დიალექტებისა* და *დიალექტური ერთობების* მატარებელი ტომების *ეთნოგენეზისა* (წარმომავლობისა) და მათი *მოგრაციების* ტრაექტორიების მეცნიერებაში გავრცელებულ ტრადიციულ სურათს.

ინდოევროპული წინარე სამშობლოს შესახებ აქ წარმოდგენილი პიპოთეზის შუქზე უნდა ვივარაუდოთ მხოლოდ უმნიშვნელო გადაადგილება *ხეთურ-ლუვიური დიალექტებისა* და *საერთო-ბერძნულს* მფლობელებისა დასავლეთის მიმართულებით, რამაც ისინი მიიყვანა მცირე აზიის ცენტრალურ და დასავლეთ რეგიონებში, საიდანაც ბერძნული დიალექტები მოგვიანებით უნდა გავრცელებულიყო კონტინენტურ საბერძნეთში და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე\*.

\* *არგონავტების* შესახებ შედარებით ადრეულ მითებში შესაძლებელია ასახული იყოს სწორედ *ბერძნულენოვან ტომთა* გადასახლება *მცირე აზიასა* და *სამხრეთ კავკასიის* საზღვრებთან მიმდებარე რეგიონებში. სადაც ისინი ქართულ-ქართველურ ტომებს ხვდებოდნენ და მათთან ურთიერთობას ამყარებდნენ. ამგვარი გადასახლების ლინგვისტურ ანარეკლად შეიძლება მივიჩნიოთ ქართველურ ნასესხობათა ლექსიკური ფენა ძველ ბერძნულში. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ ბერძნული სახელწოდება *kōw-* (ბერძნ. κῶναι; მიკენური ბერძნ. *ko-wo* „ტყავი“) „საწმისისა“, რომელიც არსებით რიტუალურ როლს ასრულებს „*არგონავტების მითში*“ ბერძნების *კოლხეთში* მოსვლის შესახებ, ადგილობრივი, დასავლურ-ქართველური წარმომავლობისა უნდა იყოს: იგი ქართულ *ტყავ* სიტყვას უნდა ეთანადებოდეს (ს.-ქართვ. \**ტყაჴ*-, დას.-ქართვ. \**ტყოჴ*-, \**ტკოჴ*- : შდრ. მეგრ. *ტყები*, ლაზ. *ტკები* „ტყავი“). ნიშანდობლივია, რომ ამ *უძველეს ბერძნულ მითში* დაცული საკულტო წარმოდგენები *საწმისის* შესახებ, რომელსაც ჰკიდებდნენ წმინდა ხეზე, შემონახულია სწორედ დასავლურ-ქართველურ კულტურულ სამყაროში, კერძოდ, *სვანურ დღესასწაულებში*.



ინდოევროპულ დიალექტებზე მოლაპარაკე ტომების მეორე მიმართულებით — აღმოსავლეთისაკენ და შემდეგ შუა აზიის გავლით ევროპაში მიგრაციების დაქადაგებულ საბუთად შეიძლება გამოდგეს ინდოევროპული წარმომავლობის სიტყვების მრავალრიცხოვანი სესხებიანი ცენტრალური აზიის ენებში (*თურქულში, მონღოლურში, ენისეისა და აგრეთვე ფინურ-უგრულ ენებში*) და ამ უკანასკნელი ენებიდან ცალკეულ უძველეს ინდოევროპულ ენებში ნასესხები სიტყვები.

სწორედ ასეთი მიგრაციული გზა უნდა გაეგნოთ „ძველევროპული“ დიალექტური ერთობის მატარებელ ტომებს ბინადრობის პირვანდელი ტერიტორიიდან; სხენებული ერთობიდან მოგვიანებით იქმნება ცალკეული ენობრივი გაერთიანებები — *იტალიკური, კელტური, გერმანიკული, ბალტურ-სლავური* — რომელთაც მათ მიერ ისტორიულ ეპოქაში დაკავებული ტერიტორიის მიხედვით პირობითად *ძველევროპული ენები* ეწოდათ.

**13.10.** სულ ბოლო წლებში ხალხთა და ენათა ისტორიული მიგრაციების დადგენისათვის მეცნიერებაში გამოყენებულ იქნა სრულიად ახალი მეთოდოლოგია, რომელიც *მოლეკულური ბიოლოგიის* მონაცემებს ითვალისწინებს.

მოლეკულური გენეტიკის გარკვეული მეთოდოლოგიის მეშვეობით შესაძლებელი ხდება არქეოლოგიურ და ლინგვისტურ მონაცემებზე დაყრდნობით აღვადგინოთ ადამიანის პოპულაციების მიგრაციისა და ხალხთა ევროპულ კონტინენტზე უძველესი გავრცელების ადეკვატური სურათი. ეს შესაძლებელია ადამიანის გენეტიკური მასალის სპეციალური ანალიზისა და „გენური მიგრაციების“ ტრაექტორიების დადგენის საფუძველზე (*ლუიჯი ლუკა კავალი-სფორცა*). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ მეთოდოლოგიის ავტორი ეთანხმება ინდოევროპელების ევრაზიულ კონტინენტზე წინააზიური არეალიდან ისტორიული გავრცელების თეზისს.

მეცნიერებაში ამ უახლესი ტენდენციების დამკვიდრებით მნიშვნელოვნად ფართოვდება ინტერდისციპლინარულ კვლევათა სფერო და მეცნიერება სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხთა პრეისტორიული მიგრაციების, მათი მატერიალური და სულიერი კულტურის შესახებ მულტიდისციპლინარული ხდება და მოიცავს როგორც პუშანიტარული, ასევე საბუნებისმეტყველო დისციპლინების უახლეს დარგებს.

## 14. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება და „ნოსტრატია“

14.1. ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, როგორც აღნიშნული გვიქონდა, გულისხმობს ისტორიულ ენებს შორის *ფონემური შესატყვისობების* დადგენას და ამის საფუძველზე *ამოსავალი ფუძე-ენის* აღდგენას — ამოსავალი ენობრივი სისტემის რეკონსტრუქციას მისი ფონემური შედგენილობითა და გრამატიკული სტრუქტურით. ამ ფუძე-ენიდან წარმომდგარი ენობრივი სისტემები ქმნიან ე.წ. მონათესავე ენათა გენეტურ ჯგუფებს ანუ *ენობრივ ოჯახებს*.

14.2. ბუნებრივად ისმის კითხვა: რა მიმართებები არსებობს ამგვარი გენეტური ჯგუფების სათავეში მდგომ ფუძე-ენებს შორის? შესაძლებელია თუ არა რეკონსტრუირებულ განსხვავებულ ფუძე-ენებს შორისაც იმავე ხასიათის ფონემური მიმართებების დადგენა, როგორც ვლინდება ცალკეული გენეტური ჯგუფების ენებს შორის, ე.ი. შესაძლებელია თუ არა ფონემური თანაფარდობების გამოვლენა განსხვავებულ წინარე ენებს შორის, ვთქვათ, საერთო-ქართველურსა და საერთო-ინდოევროპულს შორის, ან ამ უკანასკნელსა და წინარე სემიტურს შორის, ანდა თუნდაც სამივე ამ წინარეენობრივ სისტემას შორის და ა.შ.?

ასეთ შემთხვევაში ჩვენ უნდა გველაპარაკა ამ წინარე ენათათვის ამოსავალ უფრო ადრინდელ *ფუძე-ენაზე*, რომლის დაშლას უნდა მოეცა სწორედ ეს წინარე ენები; ისინი თავის მხრივ შემდგომ დაიშალა აღნიშნულ ისტორიულად დადასტურებულ ენობრივ სისტემებად, რომლებიც სპეციფიკურ გენეტურ ჯგუფებში ერთიანდება. ასეთი წინარე ენები, რომელთა შორის მოხერხდებოდა ფონემურ შესატყვისობათა დადგენა, გაერთიანდებოდა *მონათესავე წინარე ენათა* ერთიან *მაკროოჯახად*, რომლის სათავეში ამ წინარე ენათათვის ამოსავალი *ფუძე-ენა* იქნებოდა.

14.3. ამგვარი ენობრივი *მაკროოჯახები* შესაძლებელია რამდენიმე ვივარაუდოთ, რაც *პირველი დონის* რეკონსტრუირებულ წინარე ენებს უფრო ადრეულ ამოსავალ ფუძე-ენაზე დაიყვანდა; ამგვარად რეკონსტრუირებულ სხვადასხვა ამოსავალ ფუძე-ენებს შორის თეორიულად შესაძლებელია კიდევ უფრო ადრინდელი, ასე ვთქვათ, *მეორე დონის ამოსავალი ფუძე-ენა* ვივარაუდოთ და ა.შ., — პროცედურა, რომელიც საბოლოოდ ყველა ფუძე-ენას *საერთო ამოსავალ მაკროოჯახში* მოაქცევდა, რაც *ენობრივი მონოგენეზის* დაშვებამდე მიგვიყვანდა.

მაგრამ ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება ჯერჯერობით ქრონოლოგიურ სიღრმეში ასე შორს ვერ მიდის და მხოლოდ *პირველი დონის* წინარე ენებს აღადგენს.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ისტორიულ-შედა-რებით ენათმეცნიერებაში არსებობს მიმდინარეობები, რომლებიც *პირველი დონის* წინარე ენებს უფრო ადრეულ ენობრივ *მაკროოჯახებში* აერთიანებენ და მათთვის საერთო ამოსავალ ენობრივ სისტემას ვარაუდობენ.

ერთ-ერთი ასეთი ენობრივი მაკროოჯახი, რომელიც *ნოსტრატული* (ანუ *ჩვენებური* — ლათ. *noster* „ჩვენი“, *nostrās, -ātis* „ჩვენებური“) გენეტური ჯგუფის სახელწოდებით არის ცნობილი, აერთიანებს ინდოევროპულ, სემიტურ-ქამიტურ (ან აფრაზიურ), ქართველურ, ფინურ-უგრულ, დრავიდულ, ალთაურ ენებს და ისინი ამოსავალ *ნოსტრატულ* ფუძე-ენაზე დაიყვანება; ივარაუდება, რომ შესაბამის ფუძე-ენებს შორის ისეთივე *რეკულარული ფონემური ფარდობები* მყარდება, როგორიც თითოეული ჯგუფის შემადგენელ ცალკეულ ისტორიულ ენათა შორის.

ეს თვალსაზრისი თავდაპირველად წამოყენებულ იქნა დანიელი ლინგვისტის *ჰოლგერ პედერსენის* მიერ (მასვე ეკუთვნის ტერმინი *ნოსტრატული*); შემდგომში ამ ჰიპოთეზამ განვითარება პოვა რუსი ენათმეცნიერის *გლადისლავ ილიჩ-სვიტიჩისა* და მისი მიმდევრების შრომებში; ამავე დროს ამერიკულ ენათმეცნიერებაში წარმოიშვა *ნოსტრატული ჰიპოთეზის* თავისებური ვარიანტი, რომელიც ინდოევროპულ *გლოტალურ თეორიას* ითვალისწინებს (*ალან ბომჰარდი*).

ძირითადი არგუმენტი, რაც *ნოსტრატული ჰიპოთეზის* საწინააღმდეგოდ გამოითქმის, ისაა, რომ ბგერათფარდობებს, რომლებიც ივარაუდება აღნიშნული მაკროოჯახის *ფუძე-ენებს* შორის, შესაძლებელია საფუძვლად ედოს ამ ფუძე-ენების ისტორიული კონტაქტები და სიტყვათა სხვადასხვა მიმართულებით სესხება (მაშასადამე, არა ამ ფუძე-ენათა *საერთო წარმომავლობა*).

ამგვარად, ენათა ამ ტიპის *სიღრმისეული გენეტური კავშირები* თეორიული ენათმეცნიერების განვითარების ამ ეტაპზე უადრესად ჰიპოთეტურ კონსტრუქტებად უნდა მივიჩნიოთ და, მით უმეტეს, ღიად დავტოვოთ ენათა *მონოგენეზის* პრობლემა.

## 15. გლოტოქრონოლოგია და ლექსიკოსტატისტიკა

15.1. მონათესავე ენათა დიფერენციის შესწავლას სარწმუნოობას მატებს მათი *გლოტოქრონოლოგიური* და *ლექსიკოსტატისტიკური* კვლევა.

ზოგჯერ ლექსიკოსტატისტიკასა და გლოტოქრონოლოგიას ერთმანეთთან აიგივებენ, რაც არასწორია. *ლექსიკოსტატისტიკა* გულისხმობს ლექსიკონზე დაყრდნობით და მათემატიკური მეთოდების გამოყენებით

იძის დადგენას, თუ რამდენად არის ერთმანეთს დაშორებული დროში ორი მონათესავე ენა. მაგრამ როდესაც ხდება მონათესავე ენათა წყვილების ერთმანეთთან შედარება და გენეალოგიური ხის თითოეული კვანძისათვის დროში სიღრმის განსაზღვრა, რითაც იმავდროულად ირკვევა ურთიერთმიმართება ამ კვანძებს შორის, ეს უკვე ლექსიკოსტატიკას სცოდნება და *გლოტოქრონოლოგიის* სფეროს განეკუთვნება. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ *გლოტოქრონოლოგია* ემყარება *ლექსიკოსტატიკას*.

**15.2.** გლოტოქრონოლოგია წარმოადგენს დიაქრონიული ენათმეცნიერების შედარებით ახალ მეთოდს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ენობრივი ცვლილებებისა და ენობრივი დივერგენციის აბსოლუტური თარიღების დადგენა, რაც ენობრივ ცვლილებათა *აბსოლუტურ ქრონოლოგიას* იძლევა.

ტრადიციული ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენება ამგვარ ცვლილებათა მხოლოდ რელატიურ ქრონოლოგიას განსაზღვრავს.

*რელატიური* ქრონოლოგია გულისხმობს ერთ ენაში ან მონათესავე ენათა ოჯახში მომხდარი ცვლილებების დროში თანმიმდევრობის დადგენას ზუსტი დათარიღების გარეშე.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ ქართველურ ენათა ოჯახში სხვადასხვა სახის ცვლილებათა შორის დადგენილი რელატიურ-ქრონოლოგიური მიმართებანი. მაგალითად, დადგენილია, რომ ხმოვანთა ე.წ. გადაწევა ზანურში უფრო ადრე განხორციელდა, ვიდრე სონანტთა ვოკალიზაცია V+S სახით; ამ უკანასკნელ ცვლილებას ზანურში წინ უსწრებდა \*/ლ/-ს გადასვლა \*/რ/-ში (რაც, თავის მხრივ, „დამავალი ღიაობის კანონს“ ექვემდებარებოდა); მაგრამ *ხმოვანთა გადაწევას* ზანურში წინ უსწრებდა სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა სათანადო *გადაწევები*, რის შედეგადაც *შუა სიბილანტური* /\*მ, \*ც, \*წ/ რიგისაგან ჩამოყალიბდა *შიშინა* თანხმოვანთა რიგი.

დაწერილებით არის შესწავლილი ფონემურ ცვლილებათა რელატიური ქრონოლოგია სვანურში. დადგენილია, რომ ყველაზე ადრეული ცვლილება, რომელიც სვანურ არეალს ზანურ არეალთან ერთად ერთ დასავლურ-ქართველურ დიალექტურ არეალად აერთიანებდა, იყო სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა რიგების სათანადო გადაწევები: *შუასიბილანტურმა* /\*მ, \*ც, \*წ/ რიგმა ადრეულ სვანურში მოგვცა შესაბამისი შიშინა /\*ჯ, \*ჩ, \*ჭ/ რიგი; ამ ცვლილებას, როგორც ჩანს, ადრეულ სვანურში (*პრესვანურში*) მოჰყვა აფრიკატების სპირანტიზაცია ჰარმონიულ ჯგუფებში, რასაც თან დაერთო არამკვეთი /\*ჯ/, /\*ჩ/ ფონემათა დეჰაფრიკატიზაცია სათანადო პირობებში და მკვეთრი /\*ჭ/ აფრიკატის

გადასვლა /ჰ/ ფონემაში; /\*ჯ/ და /\*ჩ/ ფონემათა დესაფრიკატიზაციის განხორციელების შემდეგ დაიწყო სონანტთა ვოკალიზაციის პროცესი სვანურში, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა V+S ტიპის რეფლექსები; /\*ჭ/ აფრიკატის სპირანტიზაციის პროცესი და სათანადო პირობებში მისი გადასვლა /ჰ/ ფონემაში გრძელდებოდა მარცვლოვანი სონანტების ვოკალიზაციის შემდეგაც, /\*გ, \*ქ, \*კ/ ფონემების ასიბილაციის (სშულების სიბილანტებად გარდაქმნის) დაწყებამდე; ქრონოლოგიურად ყველაზე გვიანდელი ცვლილებაა /\*გ, \*ქ, \*კ/ ფონემათა ასიბილაცია წინა რიგის ხმოვნებთან მეზობლობაში.

**15.3. რელატიური ქრონოლოგიისაგან განსხვავებით აბსოლუტური ქრონოლოგია** გულისხმობს ენობრივი მოვლენების შედარებით ზუსტ დათარიღებას. ენობრივ მოვლენად განიხილება თვით ფუძე-ენის არსებობაც და, ამდენად, ფუძე-ენის არსებობის დათარიღების ცდა, ფაქტობრივად, აბსოლუტური ქრონოლოგიის დადგენის ცდას წარმოადგენს. *გლოტო-ქრონოლოგია* სწორედ ამის შესაძლებლობას იძლევა, უფრო ზუსტად, მისი მეშვეობით შეიძლება დავათარიღოთ ფუძე-ენის პირველი დაყოფის წინა პერიოდი.

ლექსიკოსტატისტიკური მეთოდების გამოყენებას იმის დასადგენად, თუ რამდენად არის დაშორებული ერთმანეთს მონათესავე ენები დროში, ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-იან წლებში ცდილობდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ლექსიკოსტატისტიკური მეთოდების გამოყენება სათავეს იღებს შემდეგი გამონათქვამიდან: „რაც უფრო მეტია განსხვავება ენებს შორის მონათესავე ენათა მოცემულ განშტოებაში, მით მეტი დროა საჭირო ამგვარი განსხვავებების წარმოსაქმნელად“ (*ედუარდ სემარი*).

**15.4. მნათა გენეტური სიახლოვის დასადგენად მათემატიკური მეთოდი** პირველად გამოიყენეს 1937 წელს (*ა.კროუბერი* და *კ.კრეტენი*). ანთროპოლოგიიდან გადმოტანილი ამ მეთოდის ძირითადი არსი მდგომარეობდა შემდეგში: ენათა მოცემული წყვილისათვის ( $L_1$  და  $L_2$  ენები) გამოითვლება: a — საერთო თვისებათა რაოდენობა; b — თვისებათა რაოდენობა, რომელიც არის  $L_2$ -ში და არ არის  $L_1$ -ში; c — თვისებათა რაოდენობა, რომელიც არის  $L_1$ -ში და არ არის  $L_2$ -ში; d — თვისებათა რაოდენობა, რომელიც არ არის არც ერთ ამ ენაში; შემდეგ გამოითვლება ამ თვისებათა ყველა შესაძლებელი კომბინაცია ცხრილის სახით; ამ ცხრილის მიხედვით დგინდება გარკვეული კოეფიციენტები. მათი კვლევა აღარ გაღრმავებულა და ბუნებრივად გაჩნდა კითხვები: როგორ უნდა შეირჩეს ეს თვისებები? როგორი ინტერპრეტაცია უნდა მიეცეს აღნიშნულ კოეფიციენ-

ენტებს? როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს მეთოდი მონათესავე ენათა დიდი ოჯახის მიმართ?

**15.5. ლექსიკოსტატისტიკური** მეთოდებიდან ყველაზე უკეთესი გამოდგა ის მეთოდი, რომელსაც XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში შექმნილი *გლოტოქრონოლოგიური მოდელი* ემყარება (*მორის სვოდეში*). მიუხედავად იმისა, რომ ამ მოდელმა საკმაო კრიტიკა დაიმსახურა, იგი მაინც ყველაზე მეტად დამკვიდრდა. მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდა ენის წინარეისტორიული (დამწერლობამდელი) პერიოდის დადგენა. მოდელს საფუძვლად დაედო „ნახშირბადოვანი დათარიღების“ მეთოდი, რომელიც წარმატებით გამოიყენება არქეოლოგიაში.

ამ უკანასკნელის არსი მდგომარეობს შემდეგში: ყოველ ცოცხალ ორგანიზმში (ცხოველი, მცენარე და ა.შ.) გარკვეული პროცენტით არის წარმოდგენილი რადიოაქტიური ნახშირბადი, — ეს არის არამდგრადი იზოტოპი, რომელიც რადიოაქტიური დაშლის შედეგად გარდაიქმნება აზოტად. სიცოცხლის განმავლობაში ცოცხალი ორგანიზმი განუწყვეტლივ ივსება რადიოაქტიური ნახშირბადით. ამავე დროს, ორგანიზმში პროცენტული თანაფარდობა ნახშირბადის რადიოაქტიურ და სტაბილურ იზოტოპებს შორის მუდმივია. სიკვდილის შემდეგ ორგანიზმში დარჩენილი რადიონახშირბადი კვლავ განაგრძობს დაშლას და ეს პროცესი მუდმივი, უცვლელი სიჩქარით მიმდინარეობს. ამდენად, პროცენტული თანაფარდობა ნახშირბადის რადიოაქტიურ და სტაბილურ იზოტოპებს შორის ირღვევა. რამდენადაც დაშლის სიჩქარე მუდმივია, ნახშირბადის რადიოაქტიური იზოტოპის დაშლის ჯერ კიდევ მიმდინარე პროცესის მიხედვით, გარკვეული გამოთვლებით, შესაძლებელი ხდება დადგინდეს, თუ რა დრო გავიდა ორგანიზმის სიკვდილის შემდეგ.

**15.6. ლექსიკოსტატისტიკურ** გამოთვლებში ნახშირბადის რადიოაქტიური იზოტოპის დაშლის ანალოგად მიჩნეულია ენის განვითარების პროცესში ლექსიკის გარკვეული ნაწილის (ძირითადი ლექსიკის) ცვლილება, თანდათანობითი „ცვეთა“.

ძირითადი ლექსიკის ცვლილება აღნიშნულ მოდელში გულისხმობს მოცემული სემანტიკის მქონე სიტყვის შეცვლას ახალი სიტყვით (სემანტიკური ცვლილების გარეშე); ფონეტიკური სახის ცვლილებანი მხედველობაში არ მიიღება. ამგვარი ცვლილებები გაგებულია როგორც *ამოსავალი ძირითადი ლექსიკის „ცვეთა“*.

**15.7. შავიდან** მიჩნეული იყო, რომ „ცვეთის“ ეს პროცესი გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება და მეცნიერები ცდილობდნენ ემპირიული მასალის საფუძველზე დაედგინათ ცვლილებათა როგორც მაქსიმალ-

ლური, ისე მინიმალური სინქარეები. ამის მიხედვით უნდა გამოთვლილიყო ძირითადი ლექსიკის „ცვეთის“ საშუალო სინქარე. ამავე დროს, ამ ამოცანის გადაწყვეტა უპირველესად მოითხოვდა ძირითადი ლექსიკის დადგენას, მასში შემავალი ლექსემების შერჩევას. ეს ლექსემები უნდა ყოფილიყო იმ ძირითადი ცნებების გამომხატველი, რომლებიც ყველა ენაშია ლექსიკალიზებული (ე.ი. სიტყვებით აღნიშნული); ასეთია, მაგალითად, სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვები, ზოგიერთი რიცხვითი სახელი, ნათესაობის აღმნიშვნელი ზოგიერთი ტერმინი, ბუნებრივი მოვლენების აღმნიშვნელი სიტყვები, პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები, ფლორისა და ფაუნის აღმნიშვნელი სიტყვები, ადამიანის ძირითადი აქტივობის გამომხატველი ზმნები და სხვ.

თავდაპირველად შედგენილი საცდელი ლექსიკონი 215 ერთეულს შეიცავდა, თუმცა შემდგომ იგი 200 ერთეულამდე იქნა დაყვანილი.

წარმოვადგენთ საცდელ 200-ერთეულიან ლექსიკონს (საცდელი ლექსიკონის ერთეულები მოცემულია როგორც ქართულად, ისე ინგლისურად):

- |                                     |  |
|-------------------------------------|--|
| 1. <i>all</i> – ყველა               | 25. <i>to count</i> – (და)თვლა             |
| 2. <i>and</i> – და (კავშირი)        | 26. <i>to cut</i> – ჭრა                    |
| 3. <i>animal</i> – ცხოველი          | 27. <i>day</i> – დღე                       |
| 4. <i>ashes</i> – ნაცარი            | 28. <i>to die</i> – სიკვდილი               |
| 5. <i>at</i> – „თან“                | 29. <i>to dig</i> – თხრა                   |
| 6. <i>back</i> – ზურგი (ადამიანისა) | 30. <i>dirty</i> – ჭუჭყიანი, ბინძური       |
| 7. <i>bad</i> – ცუდი                | 31. <i>dog</i> – ძაღლი                     |
| 8. <i>bark</i> – ხის კანი, მერქანი  | 32. <i>to drink</i> – სმა, დაღვება         |
| 9. <i>because</i> – რადგან          | 33. <i>dry</i> – მშრალი                    |
| 10. <i>belly</i> – მუცელი           | 34. <i>dull</i> – ბლაგვი                   |
| 11. <i>berry</i> – კენკრა           | 35. <i>dust</i> – მტვერი                   |
| 12. <i>big</i> – დიდი               | 36. <i>ear</i> – ყური                      |
| 13. <i>bird</i> – ჩიტი              | 37. <i>earth</i> – მიწა (ნიადაგი)          |
| 14. <i>to bite</i> – კბენა          | 38. <i>to eat</i> – ჭამა                   |
| 15. <i>black</i> – შავი             | 39. <i>egg</i> – კვერცხი                   |
| 16. <i>blood</i> – სისხლი           | 40. <i>eye</i> – თვალი                     |
| 17. <i>to blow</i> – ბერვა, ჭროლვა  | 41. <i>to fall</i> – (და)გარდნა, დაცემა    |
| 18. <i>bone</i> – ძვალი             | 42. <i>far</i> – შორს                      |
| 19. <i>to breathe</i> – სუნთქვა     | 43. <i>fat</i> – ცხიმი (ორგ. ნაეთიერება)   |
| 20. <i>to burn</i> – წვა            | 44. <i>father</i> – მამა                   |
| 21. <i>child</i> – ბავშვი           | 45. <i>to fear</i> – შეშინება (შისის ქონა) |
| 22. <i>cloud</i> – ღრუბელი          | 46. <i>feather</i> – ბუმბული               |
| 23. <i>cold</i> – ცივი              | 47. <i>few</i> – ცოტა                      |
| 24. <i>to come</i> – მოსვლა         | 48. <i>to fight</i> – ბრძოლა               |

49. *fire* - ცეცხლი  
 50. *fish* - თევზი  
 51. *five* - ხუთი  
 52. *to float* - ტიფტიფი  
 53. *to flow* - დინება  
 54. *flower* - ყვავილი  
 55. *to fly* - ფრენა  
 56. *fog* - ნისლი  
 57. *foot* - ტერფი  
 58. *four* - ოთხი  
 59. *to freeze* - გაყინვა  
 60. *to give* - მიცემა  
 61. *good* - კარგი  
 62. *grass* - ბალახი  
 63. *green* - მწვანე  
 64. *guts* - ნაწლავები  
 65. *hair* - თმა  
 66. *hand* - ხელი  
 67. *he* - ის (მამრ. სქ.)  
 68. *head* - თავი  
 69. *to hear* - გაგონება  
 70. *heart* - გული  
 71. *heavy* - მძიმე  
 72. *here* - აქ  
 73. *to hit* - დარტყმა  
 74. *to hold* - (და)ჭერა (ხელში)  
 75. *how* - როგორ  
 76. *to hunt* - ნადირობა  
 77. *husband* - ქმარი  
 78. *I* - მე (ნაცვალსახელი)  
 79. *ice* - ყინული  
 80. *if* - თუ  
 81. *in* - -ში  
 82. *to kill* - (მო)კვლა  
 83. *to know* - ცოდნა  
 84. *lake* - ტბა  
 85. *to laugh* - სიცილი  
 86. *leaf* - ფოთოლი  
 87. *left* - მარცხენა  
 88. *leg* - ფეხი  
 89. *to lie* - (და)წოლა  
 90. *to live* - ცხოვრება  
 91. *liver* - ღვიძლი  
 92. *long* - გრძელი  
 93. *louse* - ტილი  
 94. *man* - კაცი  
 95. *many* - ბევრი  
 96. *meat* - ხორცი  
 97. *mother* - დედა  
 98. *mountain* - მთა  
 99. *mouth* - პირი  
 100. *name* - სახელი  
 101. *narrow* - ვიწრო  
 102. *near* - ახლოს  
 103. *neck* - კისერი  
 104. *new* - ახალი  
 105. *night* - ღამე  
 106. *no* - არა  
 107. *nose* - ცხვირი  
 108. *old* - ძველი  
 109. *one* - ერთი  
 110. *other* - სხვა  
 111. *person* - პირი (ადამიანი)  
 112. *play* - თამაში  
 113. *to pull* - (მო)ქაჩვა, (მო)ზიდვა  
 114. *to push* - კერა, მიწოლა  
 115. *to rain* - წვიმა  
 116. *red* - წითელი  
 117. *right* - სწორი (მართალი)  
 118. *right* - მარჯვენა  
 119. *river* - მდინარე  
 120. *road* - გზა  
 121. *root* - ფესვი  
 122. *rope* - თოკი  
 123. *rotten* - დამძალი  
 124. *to rub* - ხახუნი  
 125. *salt* - მარილი  
 126. *sand* - ქვიშა  
 127. *to say* - თქმა  
 128. *to scratch* - ფხანა  
 129. *sea* - ზღვა  
 130. *to see* - დანახვა



- |  |  |
|--|--|
| 131. <i>seed</i> – თესლი                     | 166. <i>to think</i> – ფიქრი               |
| 132. <i>to sew</i> – კერვა                   | 167. <i>this</i> – ეს (ჩვენ. ნაცვალსახელი) |
| 133. <i>sharp</i> – ბასრი (მჭრელი დანასავეთ) | 168. <i>thou</i> – შენ                     |
| 134. <i>short</i> – მოკლე                    | 169. <i>three</i> – სამი                   |
| 135. <i>to sing</i> – მღერა                  | 170. <i>to throw</i> – სროლა               |
| 136. <i>to sit</i> – ჯდომა                   | 171. <i>to tie</i> – შეკვრა                |
| 137. <i>skin</i> – კანი (ადაშიანის)          | 172. <i>tongue</i> – ენა                   |
| 138. <i>sky</i> – ცა                         | 173. <i>tooth</i> – კბილი                  |
| 139. <i>to sleep</i> – ძილი                  | 174. <i>tree</i> – ხე                      |
| 140. <i>small</i> – პატარა, მცირე            | 175. <i>to turn</i> – შეტრიალება           |
| 141. <i>to smell</i> – ყნოსვა                | 176. <i>two</i> – ორი                      |
| 142. <i>smoke</i> – კვამლი                   | 177. <i>to vomit</i> – ლებინება            |
| 143. <i>smooth</i> – გლუვი                   | 178. <i>to walk</i> – სიარული              |
| 144. <i>snake</i> – გველი                    | 179. <i>warm</i> – თბილი                   |
| 145. <i>snow</i> – თოვლი                     | 180. <i>to wash</i> – დაბანა               |
| 146. <i>some</i> – რამდენიმე                 | 181. <i>water</i> – წყალი                  |
| 147. <i>to spit</i> – ფურთხება               | 182. <i>we</i> – ჩვენ                      |
| 148. <i>to split</i> – გახლეჩა               | 183. <i>wet</i> – სველი                    |
| 149. <i>to squeeze</i> – გა(მო)წურვა         | 184. <i>what?</i> – რა?                    |
| 150. <i>to stub</i> – ჩარჭობა                | 185. <i>when?</i> – როდის?                 |
| 151. <i>to stand</i> – დგომა                 | 186. <i>where?</i> – სად?                  |
| 152. <i>star</i> – ვარსკვლავი                | 187. <i>white</i> – თეთრი                  |
| 153. <i>stick</i> – ჯოხი                     | 188. <i>who?</i> – ვინ?                    |
| 154. <i>stone</i> – ქვა                      | 189. <i>wide</i> – ფართო                   |
| 155. <i>straight</i> – პირდაპირი             | 190. <i>wife</i> – ცოლი                    |
| 156. <i>to suck</i> – წოვა                   | 191. <i>wind</i> – ქარი                    |
| 157. <i>sun</i> – მზე                        | 192. <i>wing</i> – ფრთა                    |
| 158. <i>to swell</i> – გასივება              | 193. <i>to wipe</i> – გამშრალება           |
| 159. <i>to swim</i> – ცურვა                  | 194. <i>with</i> – (ს)თან (ერთად)          |
| 160. <i>tail</i> – კუდი                      | 195. <i>woman</i> – ქალი                   |
| 161. <i>that</i> – ის (ჩვენ. ნაცვალსახელი)   | 196. <i>woods</i> – ტყეები                 |
| 162. <i>there</i> – იქ                       | 197. <i>worm</i> – ჭია, მატლი              |
| 163. <i>they</i> – ისინი                     | 198. <i>you</i> – თქვენ                    |
| 164. <i>thick</i> – სქელი                    | 199. <i>year</i> – წელი                    |
| 165. <i>thin</i> – თხელი                     | 200. <i>yellow</i> – ყვითელი               |

15.8. ოსაყვიდანვე იგულისხმებოდა, რომ საცდელი ლექსიკონი კორექტირებას საჭიროებდა. შემდგომში გამოთვლებისათვის უფრო ფართოდ გა-

მოიყენებოდა 100-ელემენტიანი სია, რომელიც შექმნილია ერთეულებისაგან შედგებოდა:

- |  |                                     |
|--|-------------------------------------|
| 1. <i>all</i> - ყველა                      | 38. <i>head</i> - თავი              |
| 2. <i>ashes</i> - ნაცარი                   | 39. <i>to hear</i> - გაგონება       |
| 3. <i>bark</i> - ხის კანო, მერქანი         | 40. <i>heart</i> - გული             |
| 4. <i>belly</i> - მუცელი                   | 41. <i>horn</i> - რქა               |
| 5. <i>big</i> - დიდი                       | 42. <i>I</i> - მე (ნაცვალსახელი)    |
| 6. <i>bird</i> - ჩიტი                      | 43. <i>to kill</i> - (მო)კვლა       |
| 7. <i>to bite</i> - კბენა                  | 44. <i>knee</i> - მუხლი             |
| 8. <i>black</i> - შავი                     | 45. <i>to know</i> - ცოდნა          |
| 9. <i>blood</i> - სისხლი                   | 46. <i>leaf</i> - ფოთოლი            |
| 10. <i>bone</i> - ძვალი                    | 47. <i>to lie</i> - (და)წოლა        |
| 11. <i>breast</i> - მკერდი                 | 48. <i>liver</i> - ღვიძლი           |
| 12. <i>to burn</i> - წვა                   | 49. <i>long</i> - გრძელი            |
| 13. <i>claw (nail)</i> - ბრჭყალი (ფრჩხილი) | 50. <i>louse</i> - ტილი             |
| 14. <i>cloud</i> - ღრუბელი                 | 51. <i>man</i> - კაცი               |
| 15. <i>cold</i> - ცივი                     | 52. <i>many</i> - ბევრი             |
| 16. <i>to come</i> - მოსვლა                | 53. <i>meat</i> - ხორცი             |
| 17. <i>to die</i> - სიკვდილი               | 54. <i>moon</i> - მთვარე            |
| 18. <i>dog</i> - ძაღლი                     | 55. <i>mountain</i> - მთა           |
| 19. <i>to drink</i> - სმა                  | 56. <i>mouth</i> - პირი             |
| 20. <i>dry</i> - მშრალი                    | 57. <i>name</i> - სახელი            |
| 21. <i>ear</i> - ყური                      | 58. <i>neck</i> - კისერი            |
| 22. <i>earth</i> - მიწა (ნადაგი)           | 59. <i>new</i> - ახალი              |
| 23. <i>to eat</i> - ჭამა                   | 60. <i>night</i> - ღამე             |
| 24. <i>egg</i> - კვერცხი                   | 61. <i>nose</i> - ცხვირი            |
| 25. <i>eye</i> - თვალი                     | 62. <i>no</i> - არა                 |
| 26. <i>fat</i> - ცხიმი (ორგ. ნივთიერება)   | 63. <i>one</i> - ერთი               |
| 27. <i>feather</i> - ბუმბული               | 64. <i>person</i> - პირი (ადამიანი) |
| 28. <i>fire</i> - ცეცხლი                   | 65. <i>to rain</i> - წვიმა          |
| 29. <i>fish</i> - თევზი                    | 66. <i>red</i> - წითელი             |
| 30. <i>to fly</i> - ფრენა                  | 67. <i>road</i> - გზა               |
| 31. <i>foot</i> - ტერფი                    | 68. <i>root</i> - ფესვი             |
| 32. <i>to give</i> - მიცემა                | 69. <i>round</i> - მრგვალი          |
| 33. <i>good</i> - კარგი                    | 70. <i>sand</i> - ქვიშა             |
| 34. <i>grass</i> - ბალახი                  | 71. <i>to say</i> - თქმა            |
| 35. <i>green</i> - მწვანე                  | 72. <i>to see</i> - დანახვა         |
| 36. <i>hair</i> - თმა                      | 73. <i>seed</i> - თესლი             |
| 37. <i>hand</i> - ხელი                     | 74. <i>to sit</i> - ჯდომა           |

- |   |                              |
|---|------------------------------|
| 75. <i>skin</i> – კანი (ადამიანის)        | 87. <i>thou</i> – შენ        |
| 76. <i>to sleep</i> – ძილი                | 88. <i>tongue</i> – ენა      |
| 77. <i>small</i> – პატარა, მცირე          | 89. <i>tooth</i> – კბილი     |
| 78. <i>to smell</i> – ყნოსვა              | 90. <i>tree</i> – ხე         |
| 79. <i>smoke</i> – კვამლი                 | 91. <i>two</i> – ორი         |
| 80. <i>to stand</i> – დგომა               | 92. <i>to walk</i> – სიარული |
| 81. <i>star</i> – ვარსკვლავი              | 94. <i>water</i> – წყალი     |
| 82. <i>stone</i> – ქვა                    | 96. <i>what?</i> – რა?       |
| 83. <i>sun</i> – მზე                      | 97. <i>white</i> – თეთრი     |
| 84. <i>tail</i> – კული                    | 98. <i>who?</i> – ვინ?       |
| 85. <i>that</i> – ის (ჩვენ. ნაცვალსახელი) | 99. <i>woman</i> – ქალი      |
| 86. <i>this</i> – ეს (ჩვენ. ნაცვალსახელი) | 100. <i>yellow</i> – ყვითელი |

**15.9.** იმისათვის, რომ აღნიშნული სიის მიხედვით განსაზღვრულიყო სიღრმე დროში, საჭირო იყო ძირითადი ლექსიკის ჩანაცვლების სიჩქარის ცოდნა. როგორც აღვნიშნეთ, იყო მცდელობა, რომ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით გამოეთვალათ ამ ცვლილების მაქსიმუმი და მინიმუმი, რათა დაედგინათ ცვლილების სიჩქარის საშუალო მნიშვნელობა. კონკრეტულ ენობრივ მასალაზე ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ძირითადი ლექსიკის ჩანაცვლების სიჩქარე მუდმივია. თავდაპირველად განიხილეს ენათა ორი წყვილი: ერთი მხრივ, ინდიელების ორი ენა (*ნუტ-კა* და *კეაკიუტლი*), და მეორე მხრივ – *ინგლისური* და *გერმანული*. დადგინდა, თუ რა საერთო ლექსიკაა შემორჩენილი ენათა თითოეულ წყვილში და ძირითადი ლექსიკის რამდენ პროცენტს შეადგენს იგი. აღმოჩნდა, რომ ინდიელთა ამ ორ ენას შორის საერთოა ძირითადი ლექსიკის 30%, ხოლო ინგლისურსა და გერმანულში – 59%. რამდენადაც ცნობილი იყო, რომ ინგლისურისა და გერმანულის გამოყოფა მოხდა დაახლოებით 1100 წლის წინათ, შესაძლებელი გახდა ჩანაცვლების სიჩქარის დადგენა და, შესაბამისად, ინდიელთა ამ ორი ენის ასაკის განსაზღვრა, ე.ი. ამ ენების გამოყოფიდან განვლილი დროის განსაზღვრა.

შემდგომ ემპირიული მასალა გაფართოვდა და გამოიკვეთა, რომ ენაში ძირითადი ლექსიკის ჩანაცვლება მუდმივი სიჩქარით მიმდინარეობს, ე.ი. სიჩქარე არ არის დამოკიდებული არც დროზე და არც კონკრეტულ ენაზე. განხილულ მოდელში გამოთვლები ემყარება არა *სიჩქარის მუდმივას*, არამედ *შენარჩუნების ზომას*, რომელიც გვიჩვენებს, თუ დროის გარკვეულ პერიოდში (ვთქვათ, ერთ ათასწლეულში) ძირითადი ლექსიკის რა ნაწილის შენარჩუნება ხდება ენაში. როდესაც ძირითადი ლექსიკის ჩანაცვლების სიჩქარე მუდმივია, გასაგებია, რომ შენარჩუნების ზომაც *მუდმივას* წარმოადგენს.

15.10. როდესაც ვადარებთ ერთი ფუძე-ენიდან ჩამოყალიბებულ ორ განსხვავებულ ენას (ან ერთი ენის განვითარების ორ პერიოდს), შესაძლებელია დადგინდეს, თუ შესაძარებელი ძირითადი ლექსიკის რა ნაწილია შენარჩუნებული მონათესავე ენებში. თუ ვიცით შენარჩუნების ზომა, შეიძლება გამოვთვალოთ ამ ენების გამოყოფის დრო და ასევე შეიძლება დავადგინოთ, საერთოდ მონათესავეა ეს ენები თუ არა.

შენარჩუნების ზომის გამოთვლის პირველი ცდა ჩატარდა თანამედროვე ინგლისურისა და ძველი ინგლისურის მასალაზე, ერთი მხრივ, და თანამედროვე ესპანურისა და ლათინურის მასალაზე — მეორე მხრივ. აღმოჩნდა, რომ ლათინურიდან თანამედროვე ესპანურში შენარჩუნებული იყო ძირითადი ლექსიკის 70%, ხოლო თანამედროვე ინგლისურში ძველი ინგლისურიდან შენარჩუნებული იყო 85%. ცნობილია, რომ პირველ შემთხვევაში დროში განსხვავება 2000 წელია, ხოლო მეორე შემთხვევაში — 1000 წელი. თუ მეორე შემთხვევის მიხედვით ჩავთვლით, რომ შენარჩუნების ზომა უდრის 85%-ს (ე.ი. ყოველ ათასწლეულში შენარჩუნდება ძირითადი ლექსიკის 85%), მაშინ პირველ შემთხვევაში უნდა შემორჩენილიყო პირველი ათასწლეულის შემდეგ შენარჩუნებული 85%-ის 85%, ეს არის ამოსავალი ძირითადი ლექსიკის დაახლოებით 72%, ანუ ოდნავ მეტი, ვიდრე რეალურად არის შენარჩუნებული ესპანურში. თუ ესპანურის მონაცემებიდან ამოვალთ, მაშინ შენარჩუნების ზომა ინგლისურში გამოდის 84%-ზე ნაკლები, რაც ფაქტობრივად ერთი და იგივეა.

15.11. შენარჩუნების ზომის დასადგენად (თუ დასაზუსტებლად) გაანალიზებული იქნა იმ ენათა მასალა, რომელთათვისაც დროის მონაკვეთი ცნობილი იყო. შენარჩუნების ზომის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ გამოდის, რომ ყოველ ათასწლეულში ძირითადი ლექსიკის შენარჩუნება გეომეტრიული პროგრესიით კლებულობს, რაც შემდეგი ფორმულით გამოისახება:

$$(1) \quad c=r^t,$$

სადაც  $t$  აღნიშნავს დროს (ათასწლეულებში),  $c$  — ძირითადი ლექსიკის ნაწილს, რომელიც  $t$  დროის გავლის შემდეგ არის შენარჩუნებული ენაში, ხოლო  $r$  — შენარჩუნების ზომას.

ამგვარი გამოთვლებით დადგინდა, რომ 100-ერთეულიანი ლექსიკონისათვის შენარჩუნების ზომა შეადგენს 0,86-ს (200-ერთეულიანი ლექსიკონისათვის კი  $r=0,81$ ). გასაგებია, რომ (1) ფორმულით შეიძლება გამოითვალოს დრო, როცა  $c$ -სა და  $r$ -ის მნიშვნელობები ცნობილია:

$$(2) \quad t=\log c / \log r$$

ამ ფორმულის მიხედვით გამოითვლება დრო, რომელიც აშორებს მოცემულ ენას მისი წინაპარი ენისაგან (ან ერთი ენის განვითარების მოცე-

მულ პერიოდს უფრო ადრეული პერიოდისაგან), ე.ი. გამოითვლება დრო მონათესავე ენათა გენეალოგიურ ხეში ერთი განშტოების გასწვრივ.

ცნობილია, რომ წინაპარი ენიდან კონკრეტული ენის გამოყოფა განიხილება როგორც ამოსავალი ენის ცალკეულ დიალექტებად ან ენებად დაყოფის (დაშლის) შედეგი. როგორ გამოითვლება დრო, როცა ერთი ენიდან მომდინარე ორ ან რამდენიმე ენას ვუდარებთ ერთმანეთს? ორი ენის შემთხვევაში  $t$  გაორმაგდება, ხოლო  $n$  რაოდენობის ენათა შემთხვევაში  $t$  გამრავლდება  $n$ -ზე; შესაბამისად, (1) ფორმულა შემდეგ სახეს მიიღებს:

$$(3) \quad c = r^n,$$

საიდანაც დრო შემდეგნაირად გამოითვლება:

$$(4) \quad t = \log c / n \log r$$

**15.12.** ქართველურ ენათა მიმართ 100-სიტყვიანი საცდელი სიის მიხედვით ჩატარებულმა გლოტოქრონოლოგიურმა გამოთვლებმა ამ ენათა დიფერენციაციის აბსოლუტური ქრონოლოგიის შემდეგი სურათი მოგვცა: სვანურის გამოყოფა ფუძე-ენიდან უნდა დაწყებულიყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულის შემდეგ, მაშინ როდესაც ქართულ-ზანური დიფერენციაცია ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნისათვის ივარაუდება.

200-სიტყვიანი საცდელი სიის მიხედვით ჩატარებულმა გლოტოქრონოლოგიურმა ანალიზმა სხვადასხვა აბსოლუტური თარიღი გამოავლინა: სვანურის გამოყოფა — დაახლოებით ძვ.წ. X საუკუნე; ქართულ-ზანური დიფერენციაცია — ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე.

მიუხედავად საგრძნობი განსხვავებებისა დიფერენციაციის თარიღის აბსოლუტურ მნიშვნელობაში, ამ ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩატარებული გლოტოქრონოლოგიური ანალიზის შედეგები სიმპტომატურია იმ თვალსაზრისით, რომ ორივე საცდელი სიის გამოყენების შემთხვევაში ვიღებთ ერთსა და იმავე ქრონოლოგიურ მანძილს სვანურის როგორც დამოუკიდებელი ენობრივი ერთეულის ჩამოყალიბებასა და ქართულ-ზანური ერთიანობის დიფერენციაციას შორის: ორივე გამოთვლის მიხედვით სვანურის საერთო-ქართველურიდან გამოყოფა დაახლოებით ერთი ათასწლეულით წინ უსწრებს ქართულ-ზანური ერთიანობის დაშლას.

**15.13.** გლოტოქრონოლოგიური და, საერთოდ, ლექსიკოსტატისტიკური მეთოდებით კვლევას დიდი წვლილი შეაქვს *კულტურის ლინგვისტურ პალეონტოლოგიაში*, რომელიც ფაქტობრივად გულისხმობს რეკონსტრუირებული სიტყვების მიხედვით ისტორიამდელი *კულტურის* შესწავლას. ამავე დროს, ამგვარ კვლევათა შედეგად მიღებული დათარი-

ლებანი სასურველია შეუდარდეს არქეოლოგიის, გენეტიკისა თუ მეცნიერების სხვა დარგების მონაცემების საფუძველზე ნაგარაუდევ თარიღებს, რაც წინარეისტორიული კულტურების კვლევის შედეგებს სანდოობას მატებს.

15.14. შნდა აღინიშნოს, რომ გლოტოქრონოლოგიამ თანამედროვე ენათმეცნიერებაში მეთოდის დახვეწისა და სრულყოფის მიზნით გარკვეული სახეცვლილება განიცადა, რაც, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება ძირითადი ლექსიკის ჩანაცვლების სინქარის მუდმივობის საკითხს. ზემოთ აღწერილ მოდელში ივარაუდება, რომ შემოთავაზებული ძირითადი ლექსიკა არაერთგვაროვანია ცვლილების სინქარის თვალსაზრისით. ეს გასაგებია, რამდენადაც 200-ერთეულიანი ლექსიკონისათვის შენარჩუნების ზომა უდრის 0,81-ს, ხოლო 100-ერთეულიანი ლექსიკონისათვის — 0,86-ს. ირკვევა, რომ 100-ერთეულიანი ლექსიკონიც კი არაპროგნოზირება შენარჩუნების ზომის თვალსაზრისით და მასში ჩანაცვლების სინქარის მიხედვით განსხვავებული ზონები გამოიყოფა. ემპირიული მასალის საფუძველზე დადგინდა, რომ ჩანაცვლების სინქარე დამოკიდებულია დროზე, — რაც უფრო მეტია დრო, ანუ რაც უფრო მეტი დრო გადის, ძირითადი ლექსიკის ჩანაცვლების სინქარე მით უფრო კლებულობს (შდრ. ამ თვალსაზრისით ქართველურ ენათა დიფერენციაციის არაერთგვაროვანი აბსოლუტური თარიღები 100- და 200-სიტყვიანი სიების მიხედვით გამოთვლების შემთხვევაში).

გარდა ამისა, გამოითქვა ვარაუდი, რომ ყველა სიტყვას შენარჩუნების თავისი მახასიათებელი აქვს და მოცემული სემანტიკის მქონე სიტყვისათვის ეს მახასიათებელი განსხვავებული იქნება ენების მიხედვით, რამდენადაც იგი კულტურულ გარემოცვაზე უნდა იყოს დამოკიდებული. სათანადო ცვლილებების შეტანის შედეგად (1) ფორმულა წარმოდგენილი იქნა შემდეგი სახით:

$$(5) \quad N(t) = N_0 e^{-\lambda t},$$

სადაც  $N(t)$  არის შენარჩუნებული ლექსიკა (იგივეა, რაც  $c$  (1) ფორმულაში),  $N_0$  არის ამოსავალი ლექსიკონი და ფაქტობრივად უდრის 1-ს, ხოლო  $\lambda$  არის ჩანაცვლების ზომა ( $\lambda = 1 - c = 0,14$ ).

დროსთან დამოკიდებულება ამ ფორმულაში 100-ელემენტიანი ლექსიკონისათვის შემდგენიარად აისახა:

$$(6) \quad t = \ln N(t) / -\lambda$$

შემდგომ ამ ფორმულაში გარკვეული ცვლილება კვლავ იქნა შეტანილი იმის გათვალისწინებით, რომ ჩანაცვლების სინქარე დამოკიდებული აღმოჩნდა დარჩენილი სიტყვების წილზე და საბოლოოდ ფორმულამ შემდეგი სახე მიიღო:

$$(7) \quad t = \sqrt{\frac{\ln N(t)}{-\lambda N(t)}}$$

დაბოლოს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება უკავშირდება ძირითად ლექსიკონს. სწავდასსვა ტიპის ტექსტებში ძირების სინთურული განაწილების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ გამოთვლები შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერი ტექსტიდან ამოკრებულ 100 ძირზე (ერთადერთი მოთხოვნის დაცვით, რომ ეს ძირები მოცემული ენის კუთვნილება იყოს, არ წარმოადგენდეს ნასესხობებს); ამ შემთხვევაში კვლევა მართლაც სტატისტიკური კვლევის შინაარსს იქნის. ამ მეთოდს *ძირის გლოტოქრონოლოგიის მეთოდი* ეწოდება.

აღნიშნული მეთოდის მიხედვით ჩატარებული გამოთვლებიდან ჩანს, რომ იგი მეტი სიზუსტით ხასიათდება. ამასთანავე, ემპირიული მასალის საფუძველზე დადგენილია  $\lambda$ -ს რიცხვითი მნიშვნელობა ძირის გლოტოქრონოლოგიაში ( $\lambda = 0,035$ ). ძირის გლოტოქრონოლოგიის მოდელის მიხედვით კვლევა აუცილებლად გულისხმობს, რომ წინასწარ ჩატარებული უნდა იყოს საკვლევი ენის (ენების) ფაქიზი ისტორიულ-შედარებითი ანალიზი (*ს. სტაროსტინი*).

საზოგადოდ, გლოტოქრონოლოგიას დიდ ზიანს აყენებს მისი არასწორი გამოყენება ნაკლებად შესწავლილი ენობრივი მონაცემების მიმართ. იგარაუდება, რომ *გლოტოქრონოლოგია* დიდ როლს ითამაშებს ენათა შორეული ნათესაობის შემოწმებაში და მათ გენეტურ (გენეალოგიურ) კლასიფიკაციაში.

**მსოფლიოს ენები. ენათა არეალური და  
გენეალოგიური კლასიფიკაცია.  
ენობრივი კავშირები და ენათა  
ოჯახები**

**I. ენათა არეალური კლასიფიკაცია**

**1. ენობრივი კავშირი. ენათა კონტაქტები და ინტერფერენცია**

**1.1. მსოფლიოს ენათა კლასიფიკაცია სხვადასხვა პრინციპს ემყარება. ტიპოლოგიური კლასიფიკაციის გარდა, რომელიც ენებს აერთიანებს ცალკეულ ჯგუფებად გარკვეული სტრუქტურული ნიშნების მიხედვით, შესაძლებელია ისეთი ლინგვისტური კლასიფიკაციაც, რომელიც გულისხმობს შედარებით კომპაქტურ ტერიტორიაზე გეოგრაფიულად მომიჯნავე, ხანგრძლივი და მჭიდრო ისტორიული კონტაქტების მქონე ენათა საერთო ჯგუფში გაერთიანებას ამ კონტაქტებით გამოწვეული მსგავსი სტრუქტურული და მატერიალური ნიშნების ერთობლიობის საფუძველზე. ამგვარი ტერიტორიულად მომიჯნავე ენები საერთო არეალურ ჯგუფებს ქმნიან.**

სხვადასხვა ენათა არეალურ ჯგუფებში გაერთიანება მათ შორის არსებული სტრუქტურული მსგავსების საფუძველზე არის ენათა *არეალური კლასიფიკაცია*.

საერთო არეალურ ჯგუფში წარმოდგენილ ენათა სტრუქტურული მსგავსება შეპირობებულია მათ შორის არსებული ისტორიული *კონტაქტებით*, მათი ურთიერთგავლენით, რაც გამოწვეულია მეზობელ ენათა შორის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არსებული ურთიერთობებით. ასეთი ურთიერთგავლენის არეში მყოფი მეზობელი ენობრივი სისტემები შეიძლება დახასიათდეს როგორც *ადსტრატული ენები* (ლათ. *ad-* „თანა“ + *stratum* „ფენა“). ეს ურთიერთგავლენები გამოიხატება როგორც სიტყვათა სესხებაში ერთი ენიდან მეორეში, ისე გარკვეულ გარ-



დაქმნებში ენის ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და სხვა სისტემებში, რის შედეგადაც ერთ ენაში ჩნდება მეორე, მეზობელი ენისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ერთი ენა გარკვეული თვალსაზრისით ემსგავსება მეორეს.

თუ რომელიმე ენას არც განუცდია და არც მოუხდენია არავითარი გაყვენა სხვა ენაზე, რაც შესაძლებელია მოცემული ენის სრული გეოგრაფიული იზოლაციის პირობებში, იგი არ განეკუთვნება არც ერთ არეალურ ჯგუფს, ან უფრო ზუსტად, იგი განსაკუთრებული არეალური ჯგუფის ერთადერთი წარმომადგენელია. საერთო *არეალურ ჯგუფში* მოქცეული ენები გარკვეულ უწყვეტ ტერიტორიაზე გავრცელებულ ენობრივ ერთეულებს წარმოადგენენ; არეალური ჯგუფი გეოგრაფიულად უწყვეტია. ამგვარ არეალურ ჯგუფს *ენობრივ კავშირს* (გერმ. *Sprachbund*) უწოდებენ (*ნიკოლოზ ტრუბეტკოი*). იგი შეიძლება აერთიანებდეს როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენებს.

ამგვარი *ენობრივი კავშირი* წარმოადგენს ენათა არეალურ-ისტორიული ერთობის განსაკუთრებულ ტიპს, რომელიც ხასიათდება ერთიან გეოგრაფიულ სივრცეში მიმდინარე ხანგრძლივი და ინტენსიური *კონვერგენტული* განვითარების შედეგად შექმნილი მსგავსი სტრუქტურული და მატერიალური ნიშნებით. ასეთი ნიშნების არსებითი მსგავსება მუდამ ნდება უპირატესად სინტაქსურ კონსტრუქციებში, აგრეთვე მორფოლოგიური წყობის პრინციპებში, განსაზღვრული რაოდენობის კულტურული სიტყვების საერთო ფონდში, ზოგჯერ კი ბგერითი სისტემების გარეგნულ ანალოგიებშიც, ოღონდ კანონზომიერი ფონემური შესატყვისობების აუცილებელი თანხლებისა და უძველესი ელემენტარული ლექსიკური ფონდის სიტყვათა თანხვედრის გარეშე.

**1.2.** მნობრივი კავშირის ცნობილი ნიმუშია *ბალკანურ ენათა კავშირი*, რომელიც აერთიანებს ინდოევროპულ ენათა ოჯახის ოთხი სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებს. ესენია: ა) სლავური ენები: ბულგარული, მაკედონური და სერბულ-ხორვატული (ნაწილობრივ); ბ) აღმოსავლეთ-რომანული ენა – რუმინული; გ) ახალი ბერძნული და დ) ალბანური.

ვოლგისპირეთის (ვოლგა-კამის) ენათა კავშირში შედიან ფინურ-უგრული და თურქული ენები: ერთი მხრივ, მარიული და უდმურტული, და მეორე მხრივ – ბაშკირული, თათრული და ჩუვაშური. ცენტრალურაზიურ ანუ ჰიმალაიურ ენათა კავშირს განეკუთვნება პამირის, ჰინდუქუშის, ყარაყორუმის, ჰიმალაისა და მომიჯნავე ტერიტორიებზე გავრცელებული სხვადასხვა ოჯახებისა და ჯგუფების – ირანულის, ინდოარიულის, დრავიდულის, ჩინურ-ტიბეტურის – ენები.

1.3. სხვადასხვა ენობრივ კოლექტივებს შორის არსებული კულტურულ-ისტორიული კონტაქტები იწვევს სათანადო ენათა ურთიერთგავლენებს, რაც გამოიხატება ენობრივ ფორმათა სესხებაში. *სესხება* აქ გავებული უნდა იქნეს როგორც ერთი ენის მიერ მეორე ენიდან ამა თუ იმ ფორმის ან სტრუქტურის შეთვისება, რასაც მსესხებულ ენაში შესაძლებელია გარკვეული ფონეტიკური, გრამატიკული თუ სემანტიკური სახეცვლილებები მოჰყვეს.

ენობრივ სისტემებს შორის ამგვარ სესხებებსა და ურთიერთგავლენებს ენათა კონტაქტების პირობებში *ინტერფერენციას* (ინგლ. *interference* „ჩარევა“, შდრ. ლათ. *inter* „შორის“ + *ferio* „ეჭვები, გურტყამ“) უწოდებენ. *ინტერფერენცია* ჩვეულებრივი მოვლენაა *ბილინგვიშმის* (ორენოვნების) პირობებში.

ისტორიული ორენოვნების დროს ერთ-ერთი ენა შეიძლება „დაიკარგოს“ (ამ ენის მფლობელთა ასიმილაციის გამო), მაგრამ მისი კვალი დარჩეს „გამარჯვებულ“ ენაში ადრე არსებული *ინტერფერენციის* შედეგების სახით. ამგვარ „დაკარგულ“ ენას *სუბსტრატი* ენა ეწოდება (ლათ. *sub-* „ქვე“ + *stratum* „ფენა“).

თუ ინტერფერენციულ ურთიერთობაში მყოფი ენებიდან „იკარგება“ ის ენა, რომელიც ზეგავლენას ახდენს და ამასთანავე თავის კვალს ტოვებს „დარჩენილ“ ენაში, ასეთ ენას *სუპერსტრატი* ეწოდება (ლათ. *super* „ზე“ + *stratum* „ფენა“).

ინტერფერენციის ანუ ენობრივი სისტემების სხვადასხვა დონის ერთეულთა და სტრუქტურათა სესხებისა და ისტორიული ურთიერთგავლენების ილუსტრირება შესაძლებელია მსოფლიოს მრავალი ენის მაგალითზე.

1.4. ბერბერულში სიტყვები, რომლებიც ფარინგალურ ჰ ფონემას შეიცავენ, არაბულიდან არის ნასესხები. ეს აშკარად ჩანს იქიდან, რომ ჰ ფონემა ბერბერულში წარმოდგენილია მხოლოდ შესაბამისი არაბული სიტყვების ფონეტიკურ-სემანტიკურად მსგავს სიტყვებში, რომლებიც ჰ ფონემას შეიცავენ, მაშინ როდესაც ჰ ფონემა არა გვაქვს ისეთ ბერბერულ სიტყვებში, რომლებსაც არ მოეძებნებათ ფონეტიკურ-სემანტიკური ანალოგები არაბულში. მეორე მხრივ, არაბულში ჰ ფონემა გვაქვს ისეთ სიტყვებშიც, რომელთა მსგავსი არ დასტურდება ბერბერულში. აქედან კეთდება სრულიად კანონზომიერი დასკვნა: ჰ ფონემის შემცველი სიტყვები ბერბერულში არაბულიდან მომდინარეობს, არაბულიდან არის ნასესხები.

ფორმების ამგვარი სესხება ერთი ენიდან მეორეში ცალკეულ შემთხვევებში გარკვეულ ცვლილებებს იწვევს მსესხებელი ენის ფონოლოგიურ სისტემაში. ნასესხებ სიტყვებთან ერთად მსესხებელ ენაში შესაძლებელია შემოვიდეს ახალი ფონემური ერთეული, რომელიც, შესაბამისად, ცვლის ამ ენისათვის მანამდე დამახასიათებელ ფონემურ ერთეულთა შორის არსებულ მიმართებებს.

სისტემაში ახალი ფონემური ერთეულის ასეთი „შემოჭრა“ ნასესხებ სიტყვებთან ერთად უფრო შესაძლებელია, თუ იგი ავსებს მიძღები ენის ფონოლოგიურ სისტემაში არსებულ „ცარიელ უჯრედს“. ასე, მაგალითად, ინგლისურმა ადვილად აითვისა ნასესხებ ფრანგულ სიტყვებში არსებული /ʒ/ ფონემა და ბუნებრივად მოარგო იგი თავის ფონოლოგიურ სისტემას, რამდენადაც მასში იყო ყრუ შიშინა სპირანტი /ʒ/ მჟღერი /ʒ/ კორელატის გარეშე, მაშინ როდესაც სისინა სპირანტებისა და ხშულების რიგში არსებობდა დაპირისპირება მჟღერობა-სიყრუის მიხედვით: /s/-/z/, /t/-/d/, /p/-/b/ და ა.შ. ფრანგულ სიტყვებში წარმოდგენილი /ʒ/ ფონემა ბუნებრივად „ჩაჯდა“ /ʒ/-ს რიგში წარმოდგენილ ʒ ~ - „ცარიელ უჯრედში“.

სისტემაში ამგვარი „ცარიელი უჯრედების“ არსებობა არ არის აუცილებელი პირობა ენაში ახალი ფონემური ერთეულის გაჩენისათვის უცხო სიტყვათა სესხების გზით. ფრანგულიდან ნასესხებ სიტყვებთან ერთად ინგლისურში შევიდა თავიიდური /v/, /z/ და შეიქმნა ფონემური დაპირისპირებები: /v/-/f/, /z/-/s/.

1.5. ოუ ნასესხებ სიტყვაში წარმოდგენილი ფონემები უცხოა მსესხებელი ენისათვის, ისინი ხშირად იცვლება ამ უკანასკნელის ფონემებით, რომლებიც ფონეტიკურად მეტ-ნაკლებად მათი მსგავსია. ასე, მაგალითად, არაბულ ფარინგალურ ʕ-ს სიტყვის თავში ქართული /θ/-ს უნაცვლებს, ხოლო არაბულ ʕ-ს — /y/-ს: 'arak — ქართ. არაყ-ი ; kãdĩ — ქართ. ყადი და სხვ.; რუს. фронт — ქართ. ფრონტ-ი (ე.ი. რუს. ф → ქართ. ფ). ამგვარი „ადაპტაციის“ შემთხვევაში ნასესხები სიტყვები არ აჩენს ენაში ახალ ფონემებს და არ ცვლის სესხებამდე არსებულ ფონემურ მიმართებებს. შდრ. აგრეთვე ინგლისურიდან ნასესხებ სიტყვათა ადაპტაცია იაპონურში: ინგლ. violin „ვიოლინო“ → იაპ. waiorin (/l/ შეცვლილია /r/-თი, ხოლო ლაბიოდენტალური /v/ — ბილაბიალური /w/-თი, რამდენადაც იაპონურში /v/ როგორც დამოუკიდებელი ფონემა არ არსებობს).

1.6. მსესხებელი ენის ფონემური სტრუქტურა არსებით გავლენას ახდენს ნასესხები სიტყვის ფონემურ შედგენილობაზე. ამ თვალსაზრისით მეტად

საინტერესოა /t/ ფონემის შემცველი ინგლისური სიტყვების მოდიფიკაციები იაპონურში. [t] ხშული იაპონურში გვხვდება მხოლოდ [e], [a], [o] ხმოვნების წინ; [u]-ს წინ გვაქვს [ts], ხოლო [i]-სა და [y]-ს წინ — [tʃ]. ამიტომ ისეთი ინგლისური სიტყვა, როგორც არის tank „ტანკი“, შედის იაპონურში tanku-ს სახით, ხოლო რომელიმე touring „ტურიზმი“ — tsuringu-ს სახით; team „გუნდი“ ან tube „მილი“ იღებს tšiiimu და tšyubu ფორმების სახეს. [t], [ts], [tʃ] იაპონურში ერთი და იმავე ფონემის პოზიციურად შეპირობებულ ალოფონებს წარმოადგენენ და ინგლისური /t/ ფონემა იაპონურში იცვლება იაპონურის დისტრიბუციული ნორმების შესაბამისად. ასევე, [dʒ] შეიძლება გვექნოდეს იაპონურში მხოლოდ [i]-სა და [j]-ს წინ, მაშინ როდესაც [e], [a], [o] ხმოვნების წინ გვაქვს მხოლოდ [z] (ე.ი. [dʒ] და [z] დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაშია და ერთი ფონემის ვარიანტებს წარმოადგენენ). რომელიმე ინგლისური jet „ჯეტლი“ ამის გამო იღებს იაპონურში ან [zetto] ან [džietto] ფორმებს — ე.ი. მოდიფიკაციას განიცდის ინგლისური სიტყვის თანხმონითი ან ხმონითი ნაწილი.

1.7. ქრთმანეთთან კონტაქტში მყოფი ენების ამგვარი ურთიერთგავლენის შედეგად შესაძლებელია საგრძნობი ცვლილებები მოხდეს ენათა პირვანდელ ფონოლოგიურ სისტემებში. სწორედ ამით აიხსნება ის მსგავსებები ბევრით სისტემებში, რომლებსაც ტერიტორიულად ერთმანეთთან ახლოს განლაგებული სხვადასხვა ენა ამჟღავნებს.

ამ თვალსაზრისით ენის ფონოლოგიურ სისტემაში, გრამატიკულ სისტემაში და ლექსიკაში ორი ძირითადი ნაწილი გამოიყოფა: პირველადი ელემენტები და ნასესხები ელემენტები, რომლებიც შემოვიდა ენაში სხვა ენობრივი სისტემებიდან მათ შორის გარკვეული კონტაქტებისა და ურთიერთობის შედეგად. ენათა ამგვარი ურთიერთგავლენა სულ სხვადასხვა ხასიათისა შეიძლება იყოს — ინტენსიური ან უმნიშვნელო. ასე, მაგალითად, ფრანგულს გავლენა ინგლისურზე, რომელიც საკმაოდ ინტენსიური იყო, განსხვავდება არაბულის გავლენისაგან, საიდანაც ინგლისურში მხოლოდ ცალკეული სიტყვები შევიდა.

1.8. მნებს შორის არსებული კონტაქტები და ურთიერთგავლენები ცვლილებებს იწვევს ენის არა მარტო ფონოლოგიურ სისტემაში, არამედ მორფოლოგიურ სისტემაშიც — ერთი ენიდან მეორეში მორფოლოგიური, გრამატიკული მნიშვნელობების გამომხატველი ელემენტების სესხების შედეგად. სკანდინავიურიდან არის შესული, მაგალითად, ინგლისურში ისეთი სიტყვები, როგორიცაა they „ისინი“, them „მათ“, their „მათი“, then „შემდეგ“, both „ორივე“, same „იგივე“, till „სანამ“, though „თუმცა“.

იგივე წარმოშობა ივარაუდება მხ. რიცხვის III პირის მარცხენებელი /-s-  
-z--əz/ მორფებისთვის, რომლებმაც შეცვალეს ძვ. ინგლისური დაბოლო-  
ება: 'მდრ. არქაიზებული ინგლ. goeth „მიდის“, singeth „მღერის“ და სხვ.  
მაგრამ ამ ელემენტების შესვლას ინგლისურში არ გამოუწვევია რაიმე  
არსებითი სტრუქტურული ცვლილება გრამატიკულ სისტემაში. აქ უბ-  
რალოდ ძვ. ინგლისური ფორმები /hi/ „ისინი“, /híra/ „მათი“, /hím/ „მათ“  
შეიცვალა შესაბამისად სკანდინავიური წარმოშობის they, their, them  
ფორმებით, რომლებიც გარკვეულ პერიოდში საკუთრივ ინგლისური  
ფორმების პარალელურად იხმარებოდა. მაშასადამე, ფორმით ეს ნაც-  
ვალსახელები სკანდინავიურია, ხოლო ფუნქციით არ განსხვავდებიან იმ  
ელემენტებისაგან, რომლებიც მათ შეცვალეს. მსესხებელ ენაში ნასესხებ  
ელემენტთა არსებული სისტემისადმი შეგუების შემდეგ ეს ელემენტები  
გაიგება უკვე როგორც მოცემული ენის კუთვნილება. ასე, მაგალითად,  
ძველ ინგლისურში სკანდინავიური ფორმა báða sik (bathe oneself) „ბა-  
ნაობა“ შევიდა როგორც bask, ე.ი. როგორც მარტივი ზმნური ფორმა,  
მიღებული რეფლექსიური sik ნაწილაკის ფუძესთან შერწყმის შედეგად.  
რადგანაც ინგლისურში რეფლექსიური ნაწილაკები არ იხმარებოდა  
ზმნასთან. ასევე, ინგლისურში მწიგნობრული გზით შევიდა ლათინურისა  
და ბერძნულის ისეთი ფორმები, რომლებიც ერთმანეთს უბრისპირდებოდ-  
ნენ მხ. რ. ~ მრ. რ. თვალსაზრისით ბერძნულ-ლათინური მორფოლოგიური  
მარცხენებლებით: datum „მონაცემი“-data, skeleton „ჩონჩხი“-skeleta,  
maximum „მაქსიმუმი“-maxima, phenomenon „ფენომენი“-phenomena.  
სასაუბრო მეტყველებაში (არამწიგნობრულ ენაში) ეს ფორმები ახლა  
მრავლობითს აწარმოებენ ინგლისურისათვის ჩვეული {-s} სუფიქსით, გარ-  
და data „მონაცემები“ ფორმისა, რომელიც სამაგიეროდ გაიგება როგორც  
მხ. რიცხვის ფორმა: the data is... „მონაცემი არის“.

1.9. მრთი ენიდან მეორეში ელემენტების ამგვარი შესვლა, შეღწევა,  
როგორც ითქვა, ენათა შორის არსებული კონტაქტების შედეგია, რო-  
მელთაც საფუძვლად უდევს ამ ენების მფლობელთა მეტ-ნაკლებად ხან-  
გრძლივი კულტურულ-ისტორიული ურთიერთობა. ეს კონტაქტები  
სხვადასხვა ხასიათისა შეიძლება იყოს. ამის კარგ მაგალითს გვაწვდის  
ინგლისური ენის ისტორია.

ყველაზე ადრინდელი კონტაქტები ინგლისურს კელტურ ენებთან  
ჰქონდა. ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ტომებს ბრიტანეთის კუნძულებ-  
ზე შექრისას ჩვენი წელთაღრიცხვის V საუკუნეში დახვდათ კელტურ  
ენებზე მოლაპარაკე ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც მათ დაიმ-  
ყრეს. ადგილობრივმა კელტურმა მოსახლეობამ დროთა განმავლობაში  
თანდათან აითვისა ინგლისური; ამ ენამ საბოლოოდ განდევნა ხმარები-

დან კელტური და ოვი გახდა მთელი მოსახლეობის (დამპყრობი ინგლისელებისა და დაპყრობილი კელტების) საერთო ენა. ასეთ ვითარებაში ჩვენ უნდა ვივარაუდოთ *ორენოვნების* ანუ *ბილინგვიზმის* ხანგრძლივი პერიოდი ადგილობრივ მოსახლეობაში, რომელიც ერთნაირად ფლობდა როგორც კელტურს, ისე ინგლისურს. მაგრამ კელტური თანდათან გამოვიდა ხმარებიდან და მთელი მოსახლეობის ერთადერთი ენა ინგლისური გახდა. *ორენოვნების* პერიოდში ინგლისურში სიტყვების უმნიშვნელო რაოდენობა შევიდა კელტურიდან. დღეს მხოლოდ ბრიტანეთის კუნძულების ტოპო- და ჰიდრონიმიკა მოწმობს იქ ოდესღაც კელტური ენის ფართო გავრცელებას: London „ლონდონი“, Thames „ტემზა“, Dover „დუვრი“ და სხვ. კელტური ამ შემთხვევაში თამაშობს *სუბსტრათი* ენის როლს, რომელიც გადაშენდა აღნიშნულ ტერიტორიაზე, მაგრამ თავისი კვალი დატოვა გარკვეული გავლენის სახით ინგლისურზე როგორც *სუპერსტრათ* ენაზე.

ბრიტანეთის კუნძულების ეს ენობრივი ვითარება მეტად წააგავს იმას, რასაც ჩვენ ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე ვხვდებით. ინგლისური ისეთსავე დამოკიდებულებაშია კელტურთან, როგორშიც ამერიკული ინგლისური — ამერიკულ (ამერიკელ ინდიელთა) ენებთან. ამ ენებიდან ამერიკულ ინგლისურში შესულია არსებითი სახელების უმნიშვნელო რაოდენობა, მაგალითად: hammok „ჰამაკი“, skunk „სკუნსი“, და გეოგრაფიული ადგილების აღმნიშვნელი სახელები: Chicago „ჩიკაგო“, Missisipi „მისისიპი“, Kentucky „კენტუკი“, Michigan „მიჩიგანი“.

1.10. აშკარა სიტუაცია *ენათა კონტაქტების* შემთხვევაში, როდესაც ერთი ენა მეორიდან თითქმის არაფერს სესხულობს, სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორებით უნდა აიხსნებოდეს. ადგილობრივი, დამხვდური მოსახლეობა სწავლობს დამპყრობი, გაბატონებული ტომების ენას, რომელიც ამის გამო „პრესტიჟულია“, ამიტომ ისინი იძულებულნი არიან ეს ენა ხარვეზების გარეშე, ზედმიწევნით შეისწავლონ, ზუსტად იმ სახით, რა სახითაც ოვი გაბატონებულ ფენებშია გავრცელებული. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ამერიკის კონტინენტზე, სადაც იმიგრანტები, შესულნი სხვადასხვა ქვეყნიდან, ცდილობენ ზუსტად, ზედმიწევნით შეისწავლონ პრესტიჟული ინგლისური; ითვისებენ მას იმ ფორმით, რა ფორმითაც ოვი მათ ამ ქვეყანაში დახვდათ; ამავე დროს, მათი საკუთარი ენა ინგლისურის დიდ გავლენას განიცდის იმ მხრივ, რომ მასში იჭრება ინგლისური სიტყვების დიდი რაოდენობა. საინტერესოა ერთ-ერთი გერმანელი იმიგრანტის გამონათქვამი, რომელმაც დაახასიათა გერმანული ენა როგორც die schönste lengevitsch „ულამაზესი (ენა)“ (შდრ. ინგლ. language „ენა“). სწორედ ასეთი სიტუაცია უნდა გვექონოდა კელტურ-ინგლისური ენობრივი კონტაქტების შემთხვევაში. ადგილობრივმა მოსახლეობამ

უცვლელად აითვისა ძვ. ინგლისური როგორც სოციალურ-პოლიტიკური პრესტიჟის მქონე ენა იმ დროს გაბატონებული სოციალური ფენისა, რომელიც რაოდენობრივად, რასაკვირველია, ნაკლები იყო დამხვდურ კულტურ მოსახლეობაზე.

1.11. მეორე ტიპობრივ სიტუაციას ენობრივი კონტაქტების შედეგების თვალსაზრისით წარმოადგენს ინგლისური მე-11 საუკუნეში, როდესაც კუნძულებზე შეჭრილი ნორმანი დამპყრობლების შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფი ხელში იგდებს პოლიტიკურ ძალაუფლებას და ქვეყნის მმართველი ფენა ხდება. ამის მიუხედავად, ენობრივი შედეგები სრულიად განსხვავებული იყო იმ სიტუაციისაგან, რომელიც აქ V საუკუნეში შეიქმნა. ნორმანული ფრანგული ინგლისში გარკვეული ხნით გავრცელდა მოსახლეობის მცირერიცხოვან ჯგუფში და შემდგომ მთლიანად განიდეგნა ინგლისურის მიერ. ეს იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ადგილობრივი, დამხვდური მოსახლეობა ურთიერთობას განაგრძობდა ინგლისურ ენაზე, სადაც ფრანგული სიტყვები შეიჭრა მხოლოდ იმ კულტურული სფეროებიდან, რომლებშიც ადგილობრივ მოსახლეობას კონტაქტები ჰქონდა გაბატონებულ კლასებთან: ეს იყო ადმინისტრაციული მართვის ტერმინები. სწორედ ამ სფეროს სიტყვებია ინგლისურში ფრანგული წარმოშობისა, ფრანგულიდან შესული: შდრ. crown „გვირგვინი“, council „საბჭო“, country „ქვეყანა“, government „მთავრობა“, nation „ერა“, Parliament „პარლამენტი“, people „ხალხი“, state „სახელმწიფო“, minister „მინისტრი“; სხვადასხვა ტიტულები: prince „პრინცი, უფლისწული“, duke „ჰერცოგი“, count „გრაფი“; სამხედრო დარგიდან: armor „ჯაჯმანი“, army „ჯარი“, banner „დროშა“, navy „სამხედრო ფლოტი“; სასამართლოსთან დაკავშირებული სიტყვები: court „სასამართლო“, crime „დანაშაული“, judge „მოსამართლე“, jury „მსაჯულები“, plaintiff „მოსარჩელე“.

საჭმლის აღმნიშვნელი სახელები ინგლისურში კარგად ასახავენ იმ სოციალურ დიფერენციაციას, რომელიც არსებობდა ინგლისში ნორმანთა ბატონობის დროს; საკუთრივ ინგლისური სიტყვები აღნიშნავს ცოცხალ ცხოველებს: cow „ძროხა“, calf „ხბო“, ox „ხარი“, sheep „ცხვარი“, boar „ტახი“, swine „ღორი“, მაშინ როდესაც ფრანგული სიტყვები — ამ ცხოველთა ხორცს, ე.ი. ამ ცხოველებს როგორც საკვებს: beef „ძროხის ხორცი“, veal „ხბოს ხორცი“, mutton „ცხვრის ხორცი“, bacon „ბეკონი“ („შებოლილი ღორის ხორცი“), pork „ღორის ხორცი“; ასევე დაბალ სოციალურ საფეხურზე მდგომი ხელოსნების სახელები ინგლისურია: baker „ხაბაზი“, fisherman „მეთევზე“, miller „მეწისქვილე“, shepherd „მწყემსი“, მაშინ როდესაც ხელოსნები, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ მაღალ სოციალურ ფენებთან, ფრანგული წარმომავლობის ხელობის აღმნიშვნე-

ლი სიტყვებით სახელდება: carpenter „ხურო“, tailor „მკერავი“, painter „მხატვარი“.

ფრანგულიდანგაა შესული ზედსართავის მაწარმოებელი სუფიქსი -able/-ible: agreeable „სასიამოვნო“, excusable „მისატყვებელი“, რომელიც შემდგომ საკუთრივ ინგლისურ სიტყვებთანაც იხმარებოდა: eatable „რაც იჭმება“, drinkable „რაც ისმება“. განხილულ შემთხვევებში ნასესხები იყო არა საკუთრივ სუფიქსი, არამედ მთელი სიტყვა, და შემდეგ უკვე მასში შემაჯავალი სუფიქსი გამოყენებულია როგორც დამოუკიდებელი ერთეული.

ამგვარად, ფრანგულად მოლაპარაკე უცხოელების მცირერიცხოვანმა ჯგუფმა ხელთ იგდო პოლიტიკური ძალაუფლება, გაბატონდა მცირე დროით, მაგრამ თანდათან ასიმილირებულ იქნა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, თუმცა ფრანგულის პრესტიჟული მდგომარეობის წყალობით, ფრანგული სიტყვების დიდი რაოდენობა შევიდა ინგლისურში და მოახდინა ინგლისური ენის ფონოლოგიური სისტემის ერთგვარი მოდიფიკაცია მასში მთელი რიგი ახალი ფონემური ერთეულების შეტანის შედეგად.

განსხვავებული ვითარება უნდა გვექონოდა ქართულისა და არაბულის კონტაქტების დროს საქართველოში არაბთა ბატონობის პერიოდში: ქართულმა შეითვისა არაბული სიტყვები, მაგრამ მოახდინა მათი იმგვარი ადაპტაცია, რომ თვითონ არ შეცვლილა არც მორფოლოგიური და არც ფონოლოგიური თვალსაზრისით.

1.12. მნათა კონტაქტების მესამე ტიპობრივ სიტუაციას გვიჩვენებს კვლავ ინგლისურსა და სკანდინავიურს შორის არსებული ურთიერთობები, რომლებიც გრძელდებოდა მე-9-დან მე-11 საუკუნემდე, როდესაც ეს ენები ერთმანეთის გვერდით იყო წარმოდგენილი: შემდგომში სკანდინავიურის გავლენა კი შეწყდა, მაგრამ კელტურისაგან განსხვავებით სკანდინავიურმა ბევრი სიტყვა შესძინა ინგლისურს. ეს სიტყვები, ფრანგული სიტყვებისაგან განსხვავებით, განსაკუთრებით მაღალ კულტურულ სფეროებს კი არ განეკუთვნება, არამედ ენის საყოველთაოდ გავრცელებულ ლექსიკას ასახავს. ასეთი ინგლისური სიტყვებია, მაგალითად: sky „ცა“, skin „კანი“, wing „ფრთა“, gift „ძღვენი“, husband „ქმარი“, bloom „აყვავება“, whisk „ქნევა“, skirt „ბოლოკაბა“, get „მიღწევა“, give „მიცემა“, egg „კვერცხი“, wrong „მცდარი“, call „დაძახება“, die „კვდომა“, drown „ჩაძირვა“, low „დაბალი“, same „იგივე“, take „აღება“, want „ნდომა“, hit „დარტყმა“.

1.13. ინგლისურსა და სკანდინავიურს შორის არსებულმა კონტაქტებმა, შესაძლებელია, გამოიწვიო აგრეთვე ფლექსიური დაბოლოებების მოშლა ინგლისურში, რის შედეგადაც იგი სინთეზური ენიდან ანალიზურ ენად



იქცა. ინგლისურისა და სკანდინავიურის ზემოთ განხილული ურთიერთგავლენა კარგი ილუსტრაციაა ისეთი სიტუაციისა, როდესაც მოსახლეობაში გავრცელებულია თანაბარი პრესტიჟის მქონე ორი ენა. განხილული ტიპის სესხება *ორენოვნების* ხანგრძლივი პერიოდის შედეგია; საბოლოოდ დამკვიდრდა „ერთენოვნება“ სკანდინავიურის ხარჯზე, რომელიც უფრო მცირერიცხოვანი მოსახლეობის ენა იყო. ამ ორენოვნებიდან ინგლისური გამოვიდა როგორც გამარჯვებული ენა, თუმცა მნიშვნელოვნად შეცვლილი — ლექსიკისა და გამარტივებული გრამატიკული (მორფოლოგიური) სტრუქტურის თვალსაზრისით.

## 2. *პიჯინ*-ენები და კრეოლური ენები

2.1. პირთი ენიდან მეორეში ფორმათა სესხებისა და ენათა ურთიერთგავლენის უკიდურეს შემთხვევებს წარმოადგენს ე.წ. *პიჯინ-ენები* და *კრეოლური ენები* ისინი მიღებულია ევროპელი ვაჭრების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ინგლისური ენის გატანის შედეგად. ასეთი ენები უცხოელ ვაჭრებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის კომუნიკაციის საჭიროებამ წარმოშვა. *პიჯინ-ენები* ქმნიან სპეციფიკურ ენობრივ სისტემებს, რომელთა საფუძველს ერთ-ერთი ბუნებრივი (როგორც წესი, ინგლისური) ენა წარმოადგენს. ინგლისელმა და ამერიკელმა ვაჭრებმა შექმნეს ერთგვარი „დამახინჯებული ინგლისური“ იმ ვარაუდით, რომ ოგი უფრო გასაგები იქნებოდა ადგილობრივი ჩინური მოსახლეობისათვის, რომელთაც ისინი ვაჭრობას ეწეოდნენ. ადგილობრივი ჩინური მოსახლეობის მიერ ამ ენის გაცნობისა და ათვისების შედეგად ჩამოყალიბდა ე.წ. *ჩინური პიჯინ-ინგლისური*. სიტყვა *პიჯინ* (*pidgin*) ამ ენაში ნიშნავს „საქმეს“. ოგი სრულიად სახეცვლილი ინგლ. *business* „საქმე“ სიტყვაა.

ამგვარი ენები მაღალი სიჭარბით გამოირჩევა, ასე რომ ერთი და იგივე მორფემა შეიძლება ფონემათა სხვადასხვაგვარი კომბინაციებით დახასიათდეს. ლექსიკა მოიცავს ძირითადად ისეთ სიტყვებს, რომლებიც აუცილებელია სავაჭრო საქმიანობისათვის. ენის მორფოლოგიური სტრუქტურა, თუმცა მეტად მარტივი, მაგრამ მაინც რეგულარული ხასიათისაა, როგორც ყოველი ბუნებრივი ენის სტრუქტურა.

როდესაც *პიჯინ-ენა* მოსახლეობის გარკვეული ჯგუფის ერთადერთ ენად იქცევა, რომელსაც ბავშვობიდანვე ითვისებენ, ასეთ *პიჯინს კრეოლური ენა* ეწოდება. პიჯინის გადაქცევას კრეოლურ ენად აღნიშნავენ ტერმინით *კრეოლიზაცია*.

2.2. ღღესათვის ცნობილი პიჯინები გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ოკეანიაში, აფრიკაში, ამერიკაში. ლექსიკურ-გრამატიკული სისტემის ხასიათის მიხედვით განარჩევენ ამგვარ ენათა ორ ტიპს: 1. პიჯინები, რომლებიც ემყარება ერთ ენას, ან განსაზღვრული არეალის რამდენიმე მონათესავე ენას; 2. პიჯინები, რომლებიც წარმოიქმნა სხვადასხვა არამონათესავე ენათა ურთიერთქმედების შედეგად. პირველი ტიპის პიჯინები გვხვდება, მაგალითად, აფრიკაში: *ფანაგალო*, *ბულუ-აუნდუ* ქალაქური *ბემბა* და სხვა პიჯინები *ბანტუს* ჯგუფის ენათა საფუძველზე. მეორე ტიპის პიჯინები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში წარმოდგენილია ენებით, რომლებიც ჩამოყალიბდა ევროპული და ადგილობრივი ენების (შესაბამისად — *წარმომქმნელი ენებისა* და *სუბსტრატული ენების*) კონტაქტების გზით. ასეთ ენებს, ჩვეულებრივ, აქვთ წარმომქმნელი ენის ლექსიკა, რომელსაც ემატება ადგილობრივი სიტყვებიც გარკვეული რაოდენობით, და სუბსტრატული ენების გავლენით გამარტივებული გრამატიკა; ევროპული ენების სიტყვათა ბევრითი შედგენილობა მნიშვნელოვან მოდულიკაციას განიცდის ადგილობრივი მოსახლეობის მშობლიური ენების ზემოქმედების შედეგად. ყველაზე მეტად გავრცელებულია ინგლისური ენის საფუძველზე აღმოცენებული პიჯინები. ცნობილია აგრეთვე პორტუგალიური და ფრანგული ენების საფუძველზე წარმოქმნილი პიჯინები.

2.3. კრეოლური ენები გავრცელებულია აფრიკაში, აზიაში, ამერიკასა და ოკეანიაში. მათ საფუძველს წარმოადგენს ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ ან პორტუგალიურ ენებზე აღმოცენებული პიჯინები.

კრეოლური ენის ფონოლოგიური სისტემა, როგორც წესი, ყალიბდება წარმომქმნელი ენის ფონოლოგიური სისტემის გამარტივების შედეგად. ზოგჯერ მას შეიძლება დაემატოს რამდენიმე (ჩვეულებრივ, 2-3) ფონემა, რომლებიც არ არის წარმოდგენილი „მშობელ“ ენაში; ზოგან იზრდება ტონის სიმაღლის როლი. მაგალითად, კრიო ენაში (სიერა-ლეონე) მხოლოდ ტონის მეშვეობით განირჩევა ერთმანეთისაგან ისეთი მიმდევრობები, როგორიც არის *biŋ yài* (მაღალი ტონი — დაბალი ტონი) „დიდი თვალები“ (შდრ. ინგლ. *big eyes*) და *biŋ yái* (დაბალი ტონი — მაღალი ტონი) „სიხარბე“; იამაიკურ კრეოლურში მოდალური *can* ელემენტის უარყოფითი ფორმა იწარმოება უმთავრესად ტონური დაპირისპირებით: *im kyàn guo* (შდრ. ინგლ. *he can go*) „მას შეუძლია წავიდეს“ და *im kyáan guo* (შდრ. ინგლ. *he cannot go*) „მას არ შეუძლია წავიდეს“.

ღღესათვის აღწერილ კრეოლურ ენათა უმრავლესობის გრამატიკული წყობა ხასიათდება ფლექსიის უქონლობით. გრამატიკული მიმართებები გამოიხატება სიტყვათა ფიქსირებული რიგით, დამხმარე სიტყვებითა და შიდაფრაზობრივი პაუზებით. სიტყვების უმეტესობა ძირეული, ერთ-

მორფემიანია; ძირის სემანტიკა თავისთავად არ განსაზღვრავს სიტყვის სინტაქსურ ვალენტობას. პიჯინებსა და კრეოლური ენების უდიდეს უმრავლესობაში ლექსიკური შედგენილობის დაახლოებით 90%-ს „მშობელი“ ენის სიტყვები ქმნიან.

## II. ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია

### 1. მონათესავე ენები. ენათა ოჯახები

1.1. *ენათა ტიპოლოგიური და არეალური კლასიფიკაციის* გვერდით შესაძლებელია ენათა *გენეალოგიური კლასიფიკაცია*, რომელიც მიზნად ისახავს ენათა ცალკეული ჯგუფების გამოყოფას მათი საერთო წარმოშობის მიხედვით.

მსოფლიოს ენათა დაჯგუფებას, ჩვეულებრივ, სწორედ გენეტიური ნიშნის მიხედვით ახდენენ. გენეალოგიური კლასიფიკაცია შეიძლება შეიფასოს ტიპოლოგიური კლასიფიკაციით — იმის საჩვენებლად, თუ როგორ შეიცვალა ენის ტიპი (მაგალითად, უპირატესად ფლექსიური პროტოგერმანიკულიდან უპირატესად მაიზოლორებულ თანამედროვე ინგლისურამდე), ან იმ ნიშნების წარმოსაჩინად, რომლებიც საზიარო აქვთ ერთი ოჯახის სხვადასხვა შტოს ენებს (მაგალითად, კელტურსა და გერმანიკულს ინდოევროპულ ენათა ოჯახში).

1.2. ენათა ისტორიული შესწავლის შედეგად მიღებული ოჯახები სრულიად განსხვავებულია ტიპოლოგიური კლასებისაგან, რომლებიც ენათა მსგავსების საფუძველზე გამოიყოფა გრამატიკული სტრუქტურის ზოგიერთი ძირითადი ნიშნის მიხედვით. დროში ენის ცვლამ შეიძლება გამოიწვიოს მისი გადასვლა ერთი ტიპიდან (კლასიდან) მეორეში, მაგრამ ამ ენის წარმომავლობა არ იცვლება, იგი იმავე ისტორიული ოჯახის წევრად რჩება. ასე, მაგალითად, ლათინური ძალიან განსხვავებულია ფრანგულსაგან თავისი გრამატიკული სტრუქტურით; ფრანგული ენა გრამატიკული ტიპოლოგიის თვალსაზრისით თავის შორეულ ნათესავს, ინგლისურს უფრო უახლოვდება, ვიდრე უშუალო წინაპარს — ლათინურს.

ამგვარად, ენათა კლასიფიკაციის ორი სახეობა — ტიპოლოგიური და გენეალოგიური — სხვადასხვა მონაცემს ემყარება და თავიანთი მიზნებით ერთმანეთისაგან განსხვავდება. გენეალოგიური კლასიფიკაციის ძირითადი დასაყრდენია რეგულარული შესატყვისობები მსგავსი მნიშვნელობის

მქონე სიტყვებს შორის, ხოლო ტიპოლოგიურ კლასებს ენები ქმნიან ისტორიული კავშირებისაგან დამოუკიდებლად, გარკვეული სტრუქტურული ნიშნების მსგავსების საფუძველზე.

1.3. მოკლედ შევხვით ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციისათვის აქ მიღებულ ტერმინოლოგიას.

*ენათა ოჯახის* არსებობა, როგორც ითქვა, გულისხმობს ამ ენებში ურთიერთდაკავშირებულ სიტყვათა საკმაოდ დიდი სიმრავლის არსებობას. ენათა რამდენიმე ოჯახი შეიძლება გაერთიანდეს *ენათა ფილუმში* (ბერძნ. *phylon* „ტომი“, „გვარი“); იგი ენათა იმ ოჯახებს მოიცავს, რომელთა შორის ქრონოლოგიურად უფრო ღრმა გენეტური კავშირები შეიძლება ვივარაუდოთ (*ენათა ფილუმი* ზოგჯერ ენათა (*მაკრო*)*ოჯახად* მოიხსენიება, მაგალითად, „ქამიტურ-სემიტურ ენათა ოჯახი“, „რინურ-ტიბეტურ ენათა ოჯახი“). ფილუმის გამოყოფა არსებითად ისეთი გენეალოგიური კლასიფიკაციის შედეგია, რომელიც ნაკლებად მკაცრ კომპარატივისტულ კრიტერიუმებს ემყარება.

*იზოლირებული* ანუ *განკერძობებული ენა* ეწოდება ენათა ოჯახის ერთადერთ წარმომადგენელს. ასეთია, მაგალითად, *ბასკური*, *ბურუშასკი* ან გადაშენებული *შუბერული* შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ესა თუ ის იზოლირებული ენა რომელიღაც უცნობ ან გადაშენებულ, „მკვდარ“ ენებს ენათესავებოდა. ზოგიერთი განკერძობებული ენა კლასიფიკაციის გარეთ რჩება (მაგალითად, *აინუ* ენა იაპონიაში), ზოგი კი ვრცელი ფილუმის ფარგლებში გამოიყოფა ამ ფილუმში შემავალი ოჯახების გვერდით (მაგალითად, *კორეული* ზოგჯერ *ურალურ-ალთაურ ენათა ოჯახთან* ერთად საერთო ფილუმის წევრად განიხილება).

მსოფლიოს ენათა შედარებისა და დაპირისპირებისათვის მოსახერხებელია ცხრა გეოგრაფიული ზონის გამოყოფა. ამათგან ექვსი ევრაზიის განეკუთვნება; ესენია: *ევროპა*, *სამხრეთ აზია*, *ჩრდილოეთ აზია*, *სამხრეთ-დასავლეთ აზია*, *აღმოსავლეთ აზია* და *სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია*. *აფრიკის*, *ოკეანიისა* და *ამერიკის* ვრცელ პერიფერიულ ნაწილებთან შედარებით ევრაზიული სამყაროს ცენტრალური ნაწილები საკმაოდ კომპაქტურია.

## 2. ევროპის ენები

2.1. მეროპელთა დიდი უმრავლესობა ინდოევროპულ ან ურალურ (განსაკუთრებით ფინურ-უგრულ) ენათა მფლობელია. იმ ევროპელთა რაოდენობა, რომლებიც ხსენებული ოჯახების ენებზე მეტყველებენ, ამჟამად

ნაკლებია არაევროპულ ქვეყნებში მცხოვრებ ამ ენებზე მოლაპარაკეთა რაოდენობაზე.

ევროპა, სხვა კონტინენტებთან შედარებით, ენათა სხვადასხვა ოჯახის თვალსაზრისით მცირერიცხოვანია და ენებს შორის გენეტური განსხვავებებიც უმნიშვნელოა. ამ ენებში მრავლად გვხვდება ძველი ფორმები, რომლებიც სამწერლობო ტრადიციების არსებობის გამო შემორჩა. ძველი დამწერლობის მქონე ყოველი ევროპული ენიდან განვითარდა სულ ცოტა ერთი ნორმირებული ენა, რომელიც ხშირად თანაარსებობს ნორმირებულ ენებად აღიარებულ რეგიონულ ენებთან. რამდენიმე ევროპული ენა იხმარება როგორც *ლინგვა ფრანკა* — საერთაშორისო ურთიერთობების ენა. ტერმინი *ლინგვა ფრანკა* (იტალ. *lingua franca* „ფრანკული ენა“) მომდინარეობს იტალიურ-პროვანსული ჟარგონიდან; იგი წარმოადგენდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირა პორტებში ფართოდ გავრცელებული ენა-ჟარგონის სახელწოდებას.

**2.2. ინდოევროპული ენები.** ევროპაში მეტყველებენ ინდოევროპულ ენათა ოჯახის თითქმის ყველა შტოს ენებზე. თითოეულ შტოში ენათა რაოდენობა მერყეობს იმის მიხედვით, თუ რომელი კრიტერიუმები გამოიყენება და დროის რომელ პერიოდს ასახავს კლასიფიკაცია. კერძოდ, შეიძლება გაითვალისწინონ მეზობელ დიალექტებზე მოლაპარაკეთა შორის ურთიერთგაგებინების ფაქტორი, საერთო ან განსხვავებული ისტორიის ფაქტორი, ან ისეთი სოციალურ-კულტურული ფაქტორები, როგორიც არის განსხვავებული სამწერლობო ტრადიციები, პოლიტიკურად დამოუკიდებელ ერთეულთა ეროვნული ენების არსებობა და სხვ. ასე მაგალითად, ურთიერთგაგებინების მაღალი ხარისხის გათვალისწინებით *გერმანიკულ შტოში* გამოიყოფა მხოლოდ ხუთი ცოცხალი ენა: ინგლისური, ფრიზული, ნიდერლანდური გერმანული (*აფრიკაანსის* — აფრიკაში დასახლებულ ჰოლანდიელთა დიალექტისა — და *იდიშის* ანუ ახალბერაულის ჩათვლით), კუნძულების სკანდინავიური და კონტინენტური სკანდინავიური. სამწერლობო ტრადიციებისა და ეროვნულობის კრიტერიუმების გამოყენებისას უფრო გრძელი სია მიიღება; მასში შედის: „მაღალი“ (ნორმირებული) გერმანული, „დაბალი“ გერმანული, ფლამანდიური, აფრიკაანსი, ლუქსემბურგული, იდიში, ისლანდიური, ფარერული, ნორვეგიული, დანიური და შვედური.

ლინგვისტური (ურთიერთგაგებინების) კრიტერიუმის საფუძველზე *იტალიკური შტოს* რომანულ ქვეჯგუფში აერთიანებენ ცხრა ცოცხალ ენას: პორტუგალიურს, ესპანურს, ფრანგულს, კატალანურს, იტალიურს, რუმინულს, რეტორომანულს, ლადინურს (*Ladin*), ფრიულურს (*Friulian*); ბოლო ორს ეროვნული ენის სტატუსი არ გააჩნია, ისევე როგორც პროვანსულსა და სარდინიულს, რომელთაც აქვთ ტრადიციული დამწერლობა

ბა, რის გამოც ისინი შეიძლება დაემატოს ზემოთ მოყვანილ სიას. სურათს ის ართულებს, რომ სარდინია ერთ დროს პოლიტიკურად დამოუკიდებელი იყო, ანდორას კი, სადაც კატალანურად მეტყველებენ, ყოველთვის არ ჰქონია დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი.

*სლავური შტოს* ენებისათვის ლინგვისტური საზღვრების დადგენა ჭირს გარდამავალი დიალექტების არსებობის გამო. 13 სლავური სალიტერატურო ენა შეიძლება განაწილდეს სამ ზონად — შედარებით უკეთესი ურთიერთგაგებინების მიხედვით. ეს ზონებია: *აღმოსავლეთსლავური* (რუსული, ბელორუსული, უკრაინული); *დასავლეთსლავური* (პოლონური, კაშუბური, ქვემოსერბული, ქვემოლუჟიცური, ზემოსერბული, ზემოლუჟიცური, ჩეხური, სლოვაკური) და *სამხრეთსლავური* (სლოვენური, სერბულ-ხორვატული, მაკედონიური, ბულგარული).

ინდოევროპული ოჯახის დანარჩენ ევროპულ შტოებში საზღვრები ცოცხალ ენებს შორის უფრო მკვეთრია. *კელტურ შტოს* განეკუთვნება: უელსური, ბრეტონული, ირლანდიური გაელიკური და შოტლანდიური გაელიკური; *ბალტურ შტოს* — ლიტვური და ლატვიური; *ბერძნულ შტოს* — ახალი ბერძნული და ცაკონური (მათი განცალკევების საფუძველია განსხვავებული ისტორია და ურთიერთგაგებინების არარსებობა); *ალბანურ შტოს* — ალბანური.

ევროპაში ცხოვრობენ ინდოევროპულ ენათა *ინდოირანული შტოს* ორი ენის — *ოსურისა* და *აწინკურის* (ბოშათა ენის) მფლობელნი. აწინკური ამჟამად, როგორც ჩანს, მხოლოდ უელსში, ფინეთსა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები ბოშების ნაწილისთვის წარმოადგენს მშობლიურ ენას.

თანამედროვეთა ჩანაწერებიდან ცნობილია რამდენიმე გადაშენებული ინდოევროპული ენა, რომელთაგან სხვა ენები არ წარმოქმნილა. ასეთია იტალიკური შტოს ზოგიერთი ენა (*ოსკური, უმბრული, ფალისკური, გენეტური*), აღმოსავლეთ-გერმანიკული ენები (გოთური, აგრეთვე ბურგუნდიელების, ვანდალებისა და სხვათა ენა). მონაცემთა სიმცირის გამო დაუზუსტებელია ბევრი სხვა გადაშენებული ენის (ინდოევროპულისა და არაინდოევროპულის) კლასიფიკაცია.

**2.3. შინურ-უგრული ენები.** ევროპაში წარმოდგენილია *ურალური ოჯახის ფინურ-უგრული შტოს* ყველა ენა ორის გარდა; ამ ენათა რიცხვი ზუსტად დადგენილი არ არის. კლასიფიკაციის დროს ითვალისწინებენ როგორც ურთიერთგაგებინების არსებობა-არარსებობას, ისე ეროვნულ სახელმწიფოთა საზღვრებსა და გეოგრაფიულ საზღვრებს. ფინურ-უგრული შტოს *ფინურ ქვეჯგუფში* შედის: ფინური, კარელიური, ვეფსური, იჟორული, ლივური, ვოტიაკური და ესტონური; ისინი ერთმანეთს ხშირად „გარდამავალი“ დიალექტებით უკავშირდებიან. მათი უახლოესი მონათე-

საევა ლაპების ენა. სხვა ფინური ენები — მარი (ანუ ჩერემისული) და მორდოვული, აგრეთვე პერმის ქვეჯგუფის ორივე ენა — უდმურტული (ანუ ვოტიაკური) და კომი (ანუ ზირიანული) გაფრცელებულია ევროპული რუსეთის აღმოსავლეთ ნაწილში. უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობენ ურალური ოჯახის *სამოდური შტოს* ნენურ (ნენეცურ ანუ იურაკ) ენაზე მოლაპარაკენი; უნგრული ენა *ფინურ-უნგრულ ენათა უგრულ* ქვეჯგუფს განეკუთვნება.

2.4. მეროპაში წარმოდგენილი სხვა ოჯახების ენებიდან შეიძლება დავასახელოთ არაბულის *მალტური* დიალექტი, რომელიც ხანგრძლივად იყო იზოლირებული სხვა დიალექტებისაგან და იტალიურის იძენად ძლიერ შეგავლენას განიცდიდა, რომ ფაქტობრივად ჩამოყალიბდა *სემიტური შტოს* ცალკე ენად. ესპანეთისა და საფრანგეთის პირენეებში მეტყველებენ *ბასკურ* ენაზე, რომლის ნათესაობა სხვა ენებთან მეცნიერულად ჯერჯერობით დაუდგენელია.

*თურქული ოჯახის* ენებიდან თურქულის გარდა ევროპაში გაფრცელებულია შემდეგი ენები: ჩუვაშური, თათრული, ბაშკირული, გაგაუშური, ყარაიშული. ყირიმის თურქულად მოლაპარაკე მოსახლეობის დიდი ნაწილი II მსოფლიო ომის შემდეგ უზბეკეთში გადაასახლეს.

ბერძნულ და რომაულ წყაროებში მოხსენიებულია რამდენიმე გადაშენებული არაინდოევროპული ენა, რომლებზეც ევროპაში მეტყველებდნენ; შემონახულია ზოგიერთ ასეთ ენაზე შესრულებული წარწერებიც; იტალიაში ძვ. წ. VIII საუკუნიდან ახ. წ. IV საუკუნემდე მეტყველებდნენ ჯერჯერობით გაუშიფრავ *ეტრუსკულ ზე*, იბერიის ნახევარკუნძულზე ძველად გაფრცელებული იყო *იბერიული ენა*; კუნძულ კრეტაზე ნაპოვნი ე.წ. A-ხაზოვანი წარწერები, რომლებიც ჯერ არ არის ამოკითხული, არაინდოევროპულ *მინოსურ ენაზე* უნდა იყოს შესრულებული.

### 3. სამხრეთ აზიის ენები

3.1. ინდოეთის, ბანგლადეშის, პაკისტანისა და მათი მეზობელი ქვეყნების ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის დროს გამოიყოფა ინდოევროპულ ენათა ოჯახის *ინდო-ირანული შტოს* ორი ქვეჯგუფი — *ინდური* (ანუ *ინდოარიული*) და *ირანული ენები* აგრეთვე *ჩინურ-ტიბეტური ოჯახისა* და ენათა ზოგიერთი ადგილობრივი ოჯახის (მაგალითად, *დრავიდულის*) ენები, აგრეთვე რამდენიმე იზოლირებული ენა.

3.2. ინდო-ირანული ენები. *აწინკნურისა* და ზოგიერთი დარდული ენის გარდა, *ინდო-ირანული შტოს ინდური ქვეჯგუფის* ყველა ენა წარმოდგენილია სამხრეთ აზიაში. ამ ქვეჯგუფში საზღვრები ენებს შორის ძნელი დასადგენია, რადგან სალიტერატურო ენების ყოველი წყვილი „გარდა-მავალი“ დიალექტებით უკავშირდება ერთმანეთს; საქმეს ართულებს დიალექტების სიმრავლეც. ურთიერთგაგებინების კრიტერიუმის მიხედვით გამოიყოფა ოცზე მეტი ენა. კლასიკური ინდური ენა — *სანსკრიტი* რომელიც უძველესი წერილობითი ფორმით არის შემონახული, ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენს თანამედროვე ენათა ლექსიკურ შედგენილობაზე; ზოგ შემთხვევაში იგი ერთი ენის დიალექტების გამიჯვნის საშუალება-საც კი იძლევა. ეთნოლინგვისტური კრიტერიუმების გამოყენებისას ენათა სია შეიძლება გაიზარდოს.

*ინდურ ენათა* უმრავლესობაზე მეტყველებს მრავალი მილიონი ადამიანი. ეს ენებია: ურდუ, ბენგალური (ასამის ბენგალური), ბიჰარი, დასავლეთი ჰინდი, აღმოსავლეთი ჰინდი, მარათჰი, ლაჰნდა, მაითჰილი, გუჯარათი, ორია, სინდჰი, ნეპალური, სინგჰალეზური და სხვ.

*დარდული ქვეჯგუფის* ენები საკმაოდ განსხვავებულია სხვა ინდური ენებისაგან, რის გამოც მათ ზოგჯერ *ირანულ ქვეჯგუფში* ათავსებენ ან ცალკე ქვეჯგუფად გამოყოფენ. ამათგან სამწერლობო ტრადიცია მხოლოდ ქაშმირი ენას აქვს. სამხრეთ აზიაში მეტყველებენ ირანული ქვეჯგუფის ოთხ ან მეტ ენაზე, მათ შორის არის *ბალუჯი* და *პაშტო* ანუ *პუშტუ* (*აფღანური*).

3.3. დრავიდული ოჯახის ენები. ამ ენების მფლობელნი ძირითადად სამხრეთ ინდოეთში ცხოვრობენ, ხოლო ბრაჰუი ენაზე მეტყველებენ პაკისტანში. ოცზე მეტი დრავიდული ენიდან ოთხს ხანგრძლივი სამწერლობო ტრადიციები აქვს და მოლაპარაკეთა რაოდენობა საკმაოდ დიდია. ეს ენებია: გონდიური, ტულუ, კურუქჰი და სხვ. *დრავიდულ ოჯახსა* და ენათა სხვა ოჯახებს შორის ნათესაობის დადგენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

3.4. მუნდა ენები. დაახლოებით 16 მუნდა ენა დასტურდება მხოლოდ ინდოეთში. ამ ენებს ზოგჯერ ცალკე ოჯახად მიიჩნევენ, ზოგჯერ კი *ავსტრაზიურ ჯგუფს* მიაკუთვნებენ — ვიეტნამურ, მონ-ქჰმერ და ნიკობარულ ენებთან ერთად. ყველაზე უფრო გავრცელებული მუნდა ენაა *სანტალი*; მასზე რამდენიმე მილიონი ადამიანი მეტყველებს. საგრძნობლად ნაკლებია მუნდარი, ხო, სორა, ქჰარია და კორკუ ენებზე მოლაპარაკეთა რიცხვი.

ავსტრაზიურ ენებთან შორეული ნათესაობა შეიძლება აკავშირებდეს ნაჰალი და ქჰასი ენებს, რომლებსაც ზოგჯერ მუნდა ენებად მიიჩნევენ.



თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ისინი, *ბურუშასკი* ენის მსგავსად, განკერძოებულ ენათა რიცხვში შედიოდნენ.

**3.5. სინო-ტიბეტური ენები.** სამხრეთ აზიაში გვხვდება ამ ოჯახის სხვადასხვა განშტოების ენათა უმრავლესობა; მათ შორის არის: ბოდო (ბოდო-გარო), ნაგა (ანუ ტანგსა), კუკი (ანუ კუკი-ჩინ), კაჩინ და ბირმული (ანუ ბირმული-ლოლო) ენები. ტიბეტურ ენათა სხვადასხვა დიალექტი გაგრცელებულია ქაშმირიდან ბჰუტანამდე, სამხრეთით კი ინდოეთამდე. 50-მდე ჰიმალაიური (ანუ გიარუნგ-მიშმი) ენა კონცენტრირებულია ნეპალში. ჩინურ-ტიბეტური (სინო-ტიბეტური) ენების კლასიფიკაციის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს.

**3.6. ტაი ენები.** ერთ-ერთ ტაი ენაზე — ქამთიზე — ინდოეთში მეტყველებენ, კიდევ ერთი ტაი ენა — აჰომ — ჯერ კიდევ იხმარება სარიტუალო მიზნებისათვის.

მთელ პოსტკოლონიურ სამხრეთ აზიაში მოსახლეობის ერთი ნაწილი ფლობს ინგლისურ ენას, რომელიც იქ ფაქტობრივად საერთაშორისო ენის ფუნქციას ასრულებს, თუმცა მრავალ ინდოელს ურჩევნია ეროვნულ ენად რომელიმე ადგილობრივი ენის, მაგალითად, ერთ-ერთი *დრავედული* ენის ან *ჰინდის* აღიარება.

## 4. ჩრდილოეთ აზიის ენები

**4.1. ჩრდილოეთ აზიის ენათა უმრავლესობა** შედის ალთაურ ენათა ერთ-ერთ ოჯახში, ან ურალურ ოჯახში, ან კიდევ ინდოევროპულში. *პალეოაზიურ* (ანუ *პალეოციმბირულ*) ენებზე მხოლოდ ჩრდილოეთ აზიაში ლაპარაკობენ. სხვა ენებთან მათი ნათესაობა არ არის დადგენილი. ზოგიერთ პალეოაზიურ ენას ამერიკელ ინდიელთა ენებთან აკავშირებენ.

ჩრდილოეთ აზიის მკვიდრთა ენებს, პალეოაზიური ენების გამოკლებით, ზოგჯერ *ურალურ-ალთაურ ფილუმად* აერთიანებენ; მათ ბევრი საერთო ტიპოლოგიური ნიშანი ახასიათებთ.

**4.2. შრალური ენები.** ამ ოჯახის ფინურ-უგრული შტო ჩრდილოეთ აზიაში წარმოდგენილია მანსი (ანუ ვოგულური) და ხანთი (ანუ ოსტიაკური) ენებით, ხოლო სამოდური შტო — მასში შემავალი ყველა ენით; ესენია: ნენური, ნგანასანური (ანუ ტავგიური), სელკუპური (ოსტიაკური),

ენური (ენეცური) და კამასური (საიანური), რომელსაც, 1963 წლის მონაცემებით, მხოლოდ ერთი პირი ფლობდა.

4.3. პლთაური ენები: თურქული ოჯახი. მიუხედავად მათი ფართო გავრცელებისა მთელ ევრაზიაში, თურქული ენები ძალზე ერთგვაროვანია. ცენტრალურ აზიაში სხვებზე მეტად გავრცელებული თურქული ენებია: თურქმენული, უზბეკური, ყირგიზული, ყარაყალფაქური და ყაზახური. თურქულ ენათა ოჯახს განეკუთვნება აგრეთვე იაკუტური, რომელზეც ციმბირის ჩრდილოეთ ნაწილში მეტყველებენ.

4.4. მონღოლური ოჯახი. მონღოლური ენები მიმოხეულია ცენტრალურ აზიაში; ისინი ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ აზიის საკმაოდ დიდ ტერიტორიებზეც გვხვდებიან. ენათა შორის საზღვრების დადგენას ის ართულებს, რომ არამონათესავე ენებიდან სესხების გამო ზოგან დიალექტები ძალიან განსხვავებულია, ხოლო იქ, სადაც ვრცელ არეალებში ერთ-ერთი დიალექტი *ლინგვა ფრანკას* ფუნქციას ასრულებს, განსხვავებები დიალექტებს შორის მცირეა. ჩრდილოეთ აზიაში გვხვდება შემდეგი მონღოლური ენები: მოგოლური, მონგოლური, დაგურული, ორდოსული, ხარაჩინული, თირატული, ბურიატული. მონღოლეთის ოფიციალური ენა — *ხალხა* — *ლინგვა ფრანკას* როლს ასრულებს.

4.5. ტუნგუსურ-მანჯურიული ოჯახი. ამ ენების შესახებ ინფორმაცია არ არის ვრცელი; ენათა სახელები, ჩვეულებრივ, პოლიტიკურ-კულტურულ ჯგუფებად დაყოფას ასახავს და ლინგვისტურ ნიშნებს არ ითვალისწინებს. ენებს შორის განსხვავებას ნასესხობათა მრავალფეროვნება ზრდის. ტუნგუსურ-მანჯურიულ ენებზე ძირითადად ბილინგვები (ორენოვანი პირები) მეტყველებენ, ბევრი მათგანი მშობლიურ ენასთან ერთად რუსულს ან ჩინურს ფლობს. მანჯურიული ენის შემდეგ ჩინეთსა და მანჯურიაში ყველაზე ცნობილი ენაა ევენკიური. შედარებით ნაკლებია ევენურ (ანუ ლამუტურ), ნანაიურ და სხვა ენებზე მოლაპარაკეთა რიცხვი.

4.6. პალეოაზიური ენები. ეს ენები ქმნიან ოთხ ჯგუფს, რომელთა დაკავშირება ერთმანეთთან ან ენათა სხვა ჯგუფებთან ვერ ხერხდება. შედარებით დიდია *ლუორა-ვეტლანური ჯგუფი* რომელშიც შედის ჩუქჩური, კამჩადალური და კორიაკული ენები. *პალეოაზიურ ენათა* დანარჩენ სამ ჯგუფში თითო ცოცხალი ენაა. იუკაგირულ ჯგუფს ცოცხალი იუკაგირული ენის გარდა განეკუთვნება ერთი გადაშენებული ენა — ჩუვანური, რომელზეც მდ. ანადირის ნაპირებზე მეტყველებდნენ. ნივხთა (ანუ გილიაკთა) ენა სახალისზე და მდ. ამურის მიდამოებშია გავრცელებული; ამ ენის ნათესაობა სხვა ენებთან არ არის დადგენილი. კეიტთა ანუ ენი-

სეის ოსტიაკთა ენა შედის *ენისეის ჯგუფში* — გადაშენებულ კოტურ, ასანურ და არინულ ენებთან ერთად.

4.7. ცენტრალური აზიის ინდოევროპული ენები, რუსულის გარდა, წარმოდგენილია ირანული ქვეჯგუფის ენებით, კერძოდ, *ტაჯიკურით, ბალუჯი* ენითა და დიდი ხნის წინ გადაშენებული *ტოქარულით*.

დამწერლობის გავრცელება ჩრდილოეთ აზიაში ჩინეთიდან დაიწყო. ბოლო პერიოდში შემოიღეს დამწერლობები ზოგიერთი ალთაური ენისათვის, ხოლო პალეოაზიურ ენათა უმრავლესობა უმწერლობაა. *ლინგვა ფრანკას* როლს თანამედროვე ჩრდილოეთ აზიაში რუსული ენა ასრულებს.

## 5. სამხრეთ-დასავლეთ აზიის ენები

5.1. ირანის დასავლეთით, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, გავრცელებულია *სემიტური ინდოევროპული* და *თურქული ენები* სამხრეთ-დასავლეთ აზიის ორი უკიდურესი ქვეყნის — ავღანეთისა და თურქეთის, აგრეთვე კავკასიის ენები გენეტიური მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

ცივილიზაციის პირველი ენა ძველ ახლო აღმოსავლეთში იყო *შუმერული* რომელიც არც სემიტურ და არც ინდოევროპულ ენას არ წარმოადგენს და მხოლოდ წერილობითი ძეგლების სახით არის შემორჩენილი. სამხრეთ-დასავლეთ აზიის ცენტრალურ ნაწილში — შუმერთა ქვეყანაში, როგორც ვიცით, ჩაისახა უძველესი დამწერლობა. საერთაშორისო ურთიერთობისათვის ფართოდ გამოყენებული პირველი ორი ენა სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, როგორც ჩანს, *აქადური* და *ძველი სპარსული* იყო.

5.2. ინდოირანული ენები. სამხრეთ-დასავლეთ აზიაში წარმოდგენილია ირანული ქვეჯგუფის თითქმის ყველა ცოცხალი ენა, სახელდობრ: სპარსულის სამი ნორმირებული ვარიანტი (ისინი კონცენტრირებულია ირანში, ავღანეთსა და ტაჯიკეთში), პაშტო (ანუ პუშტუ), ქურთული, ბალუჯი; ირანისა და ავღანეთის მოსახლეობის ნაწილი *ბაქტრიულ, მუნჯა, შუგნი* ენებზე მეტყველებს, ხოლო *იაჯნობი* ენა მხოლოდ ტაჯიკეთში გვხვდება. კავკასიაში გავრცელებულია *ოსური, თათური* და *თალიშური*.

ავღანეთში მეტყველებენ *ნურისტანულ* (ქაფირულ) ენებზე, რომლებსაც ზოგჯერ დარდული ქვეჯგუფის წევრებად მიიჩნევენ. ზოგჯერ კი *ინდოირანულის* ცალკე განშტოებად. სამხრეთ-დასავლეთ აზიაში

გვხვდება აგრეთვე *ინდურ ქვეჯგუფში* შემავალი ლაჰნდა ენა და აწინ-კნურის ორი ძალიან განსხვავებული დიალექტი.

**5.3. ინდოევროპულ ენათა ცალკე შტოს ამ არეალში შეადგენს სომხური ენა.**

დიდი ხნის წინ გადაშენდა ინდოევროპული ოჯახის ანატოლიური შტოს რამდენიმე ენა, მათ შორის *ხეთური, ლუგიური* და *პალაური*.

**5.4. სემიტური ენები** სამხრეთ-დასავლეთ აზიაში გავრცელებულია აგრეთვე შემდეგი სემიტური ენები: არაბული, ებრაული, აღმოსავლეთ-არამეულისა და დასავლეთ-არამეულის დიალექტები და ახალი სამხრეთარაბული; გადაშენებულ სემიტურ ენებს შორის სხვებზე მეტად არის ცნობილი *ფინიკიური, აქადური (ბაბილონური და ასურული), უგარიტული* და *მოაბიტური*.

**5.5. თურქული ენები.** სამხრეთ-დასავლეთ აზიაში მეტყველებენ *თურქულ ენებზეც*, კერძოდ, თურქულზე, აზერბაიჯანულზე, ყუბუხურზე, ნოლაურზე და ყარაჩაულზე. უპირატესად ჩრდილო აზიაში გავრცელებული ენებიდან აქ გვხვდება უზბეკური, თურქმენული და ყირგიზული. *მონღოლური ოჯახის* წარმომადგენლებიდან სამხრეთ-დასავლეთ აზიაში დასტურდება *მოგოლური, ხოლო დრავიდული ენებიდან* — ბრაჰუი.

**5.6. ქავკასიის ენები.** თურქულ და ინდოევროპულ ენებთან ერთად ქავკასიაში წარმოდგენილია 30-ზე მეტი ენა, რომლებიც საკუთრივ *ქავკასიურ ენათა* ჯგუფს განეკუთვნება. ესენია *ჩრდილო-დასავლეთქავკასიური, ჩრდილო-აღმოსავლეთქავკასიური* და *სამხრეთქავკასიური ენები* ამ ენებს აგრეთვე *იბერიულ-ქავკასიურ* ან *პალეოქავკასიურ ენებს* უწოდებენ.

ერთადერთი ქავკასიური ენა, რომელსაც ხანგრძლივი სამწერლობო ტრადიცია აქვს, არის *ქართული სამხრეთქავკასიურ* ანუ *ქართველურ ენობრივ ოჯახს* ქართულის გარდა, განეკუთვნება *მეგრული ლაზური (ჭანური) [მეგრულ-ჭანური]* და *სვანური*.

*ჩრდილო-დასავლეთქავკასიურ* ანუ *აფხაზურ-ადიღურ ენებს* განეკუთვნება: აფხაზური, აბაზური, ადიღური, ყაბარდოული (ანუ ჩერქეზული) და უბიხური (ეს უკანასკნელი გადაშენების პირასაა, მას ბოლო დრომდე თურქეთში მცხოვრები რამდენიმე პირიღა ფლობდა).

*ჩრდილო-აღმოსავლეთქავკასიურ* ანუ *ნახურ-დაღესტნურ ენებს* განეკუთვნება:

ნახური ენები — ჩაჩნური, ინგუშური, ბაცბური (ანუ წოვა-თუშური);

დადესტნური ენები — ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ჯგუფი: ხუნძური; ანდიური ქვეჯგუფი : ანდიური, ბოთლისური, ღოდობერიული, ჭამალა-ლური, ბაგვალაღური, ტინდიური, კარატაული, ახვახური; დიდოური ქვეჯგუფი დიდოური, ხვარშიული, ჰინუსური, ბეჟიტური, ჰუნზიბური (კა-ბუჭური); ლაკურ-დარგუული ენება ლაკური, დარგუული, ყუბაჩური; ლეზგიური ქვეჯგუფი ლეზგიური, თაბასარანული, აღულური, რუთულური, წახურული, არჩიბული, კრიჭული, ბუდუსური, ჰინალულური, უდიური.

კავკასიის ენები გეოგრაფიული ნომენკლატურის თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ აგრეთვე როგორც აღმოსავლეთ ევროპის ენები; სამხრეთ კავკასიის ენები შესაბამისად დახასიათდება როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში გავრცელებული ენები.

## 6. აღმოსავლეთ აზიის ენები

6.1. ამ ენებზე ჩინეთში, იაპონიასა და კორეაში შეტყველებენ. ტრადიციულად აღინიშნება ამ ტერიტორიაზე გავრცელებული ენების გენეტური არაერთგვაროვნება, სახელდობრ: აინუ, კორეული და იაპონური მიჩნეულია განკერძოებულ ენებად, რომლებიც არ ენათესავენ არც ერთმანეთს და არც აღმოსავლეთ აზიის რომელიმე სხვა ენას; ჩინურ ენებსა თუ დიალექტებს ერთ ოჯახად განიხილავენ, ტაი ენებს — სხვა ოჯახად, ხოლო მიაო-იაო ენებს — კიდევ ერთ განსხვავებულ ოჯახად. ნაკლებ-მკაცრი კლასიფიკაციის მიხედვით აინუ განკერძოებული ენაა, კორეული და იაპონური ალთაურ ოჯახს განეკუთვნება, ხოლო აღმოსავლეთ აზიის ენათა სხვა ჯგუფები (ყოველ შემთხვევაში, ზოგი მათგანი) ჩინურ-ტიბეტურ ოჯახში შედის.

6.2. ჩინეთში წარმოდგენილია ჩრდილოეთ აზიის ენათა სამი დიდი ოჯახი. თურქული ენებიდან გვხვდება უიღურული და ყირგიზული, ხოლო ტუნგუსურ-მანჯურიული ენებიდან — ყველაზე უფრო ხანგრძლივი სამწერლობო ტრადიციის მქონე მანჯურიული (VIII საუკუნის შემდეგ ჩინეთის უდიდეს ნაწილში მანჯურიული თანდათან შეცვალა მანდარინულმა ჩინურმა).

6.3. ძორეული, იაპონური და აინუ, კორეულად შეტყველებენ კორეაში, ჩინეთსა და იაპონიაში; იაპონურს ფლობს ას მილიონამდე ადამიანი იაპონიაში და მცირე ჯგუფები ტაივანზე, ბრაზილიაში და ჰავაის კუნძუ-

ლებზე. იაპონური ენის ზოგიერთი დიალექტის წარმომადგენლებს ერთ-მანეთისა არ ესმით. აინუ ენაზე მეტყველებს დაახლოებით 16 ათასი ადამიანი კუნძულ ჰოკაიდოზე, სახალინსა და კურილოს კუნძულებზე. სხვა ენებთან ამ ენის შორეული ნათესაობაც კი არ არის ნაგარაუდევო.

**6.4. ჩინური ენა (ჩინური დიალექტები).** ურთიერთგაგებინების კრიტერიუმის მიხედვით ჩინურ ენებს შორის გამოიყოფა: მანდარინული ჩინური, კანტონური, სიან, ვან-ჰაკა და მინ ენები. ტრადიციული სახელმწიფო ენა — *მანდარინული ჩინური* — მშობლიური ენაა ჩინელთა დიდი უმრავლესობისათვის; ქვეყნის მოსახლეობის სხვა ნაწილისათვის იგი მეორე ენას წარმოადგენს. ჩინურ ენათა (თუ დიალექტთა) ის წარმომადგენლები, რომელთაც უჭირთ ერთმანეთის მეტყველებების გაგება, კომუნიკაციას დამწერლობის საშუალებით ამყარებენ (სწორედ ამიტომ შემორჩა ასათვისებლად რთული ჰიეროგლიფური დამწერლობა ოთხი ათასწლეულის განმავლობაში). *მანდარინული ჩინური* მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ენაა ამ ენის მფლობელთა რაოდენობის თვალსაზრისით.

ჩინურსა და ჩინეთში გავრცელებულ სხვა არაალთაურ ენებს აქვთ მრავალი საერთო ნიშანი, რომლებიც შესაძლებელია სესხების შედეგს წარმოადგენდეს.

**6.5. ტაი და მიაო-იაო ენები.** ტაი ოჯახის მონათესავე კამ-სუიური ჯგუფის ყველა ენა გვხვდება ჩინეთში; ამ ენათა ზოგიერთი დიალექტი გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაშიც. მიაო-იაო ენებზე მეტყველებენ ჩინეთში, ვიეტნამში, ლაოსსა და თაილანდში. *მიაო ენის* დიალექტებია: წითელი მიაო, თეთრი მიაო, მწვანე (ლურჯი) მიაო და შავი მიაო. *იაო ენათა* რიცხვს განეკუთვნება იაო (ანუ მიენ), ლაკა და პუნუ ენები. ტაი და მიაო-იაო ოჯახების ენებს ავსტრონეზიულ ენებთან შორეული ნათესაობის საფუძველზე ზოგჯერ აერთიანებენ *აუსტრო-ტაი ენათა ფილუმად*.

**6.6. ტიბეტურ-ბირმული ენები.** ტიბეტურ ენათა ჯგუფი შეიცავს მინიმუმ ორ საკუთრივ ტიბეტურ ენას — ცენტრალურ ტიბეტურს (რომლის დიალექტი *ლჰასა* ტიბეტში ნორმირებულ დიალექტს წარმოადგენს) და დასავლეთტიბეტურს; მათთან ასლო ნათესაურ კავშირშია ამ ჯგუფის კიდევ ბევრი ენა. ბირმული ჯგუფის ენები იყოფა ბირმულ (ბირმულ-ლოლო) და კაჩინ ქვეჯგუფებად.

## 7. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ენები

7.1. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კუნძულებზე გავრცელებული ყველა ენა, როგორც ჩანს, ერთადერთს — *ავსტრონეზიულ (მალაიურ-პოლინეზიურ) ოჯახს* განეკუთვნება. მატერიკზე წარმოდგენილია *ავსტრაზიური ტაი და ჩინურ-ტიბეტური ოჯახების* სხვადასხვა ენები.

პოლინეზიისა და მიკრონეზიის აბორიგენები მხოლოდ ავსტრონეზიული ენების მფლობელები უნდა ყოფილიყვნენ. ერთი ცოცხალი ავსტრონეზიული ენა — *მალაგასიური* (ანუ *მაღვაშური*) — მადაგასკარზეც კი გვხვდება. საინტერესოა, რომ ყველაზე უფრო განსხვავებულ ავსტრონეზიულ ენებზე ამჟამად მელანეზიაში ლაპარაკობენ. როგორც ჩანს, პროტო-ავსტრონეზიული ენები აქ ათასწლეულების წინ არსებობდა, ხოლო მათგან მომდინარე ენებს შორის განსხვავება მოსახლეობის ფართო მიგრაციების შედეგს უნდა წარმოადგენდეს; მოსახლეობის ერთი ნაწილი შექმდგომში წინაპართა მიწა-წყალზე უნდა დაბრუნებულიყო.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ქვეყნებისა და ეროვნულ ენათა სახელები, როგორც წესი, ერთმანეთს ემთხვევა; მაგალითად, ფილიპინების რესპუბლიკის ეროვნულ ენას (იგი ტაგალოგურს ემყარება) *ფილიპინო* ეწოდება. ყოფილ კოლონიზატორთა ენები — ინგლისური, ფრანგული, პოლანდიური, ესპანური — მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ნაკლებ „პრესტიჟული“ ხდება სხვა ენებთან შედარებით. პიჯინ-კრეოლური ნეომელანეზიური ანუ მელანეზიური პიჯინ-ინგლისური გამოიყენება *ლიბგვა ფრანკას* ფუნქციით, განსაკუთრებით — ავსტრონეზიული ენების მფლობელთა მიერ. ავსტრალიის ტერიტორიაზე ეს ენა ამჟამად ერთგვარი ხიდის როლს ასრულებს ინგლისურის დაუფლების მსურველთათვის.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მატერიკზე გავრცელებული ენები გენეტურად განსხვავებულია, მაგრამ მათ ბევრი საერთო ტიპოლოგიური ნიშანი ახასიათებთ.

7.2. ავსტრაზიური ენები. *მონ-ქჰმერ ჯგუფში* შედის 50-ზე მეტი ენა, რომლებზეც მეტყველებენ ბირმიდან მოყოლებული ვიეტნამამდე. კამბოჯაში ქჰმერ (ანუ კამბოჯური) ოფიციალურ ენას წარმოადგენს; იგი თაილანდშიც გვხვდება; ბირმასა და თაილანდში გავრცელებულია მონ ენაც.

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის მატერიკზე ყველაზე მეტი ადამიანი ვიეტნამურად მეტყველებს. ვიეტნამურის ახლომონათესავე მიონგ ენა ცალკე ენად არის მინიშნული. მონ-ქჰმერ ენებისაგან ზოგჯერ განასხვავებენ და *პალაუნგ-გა ოჯახად* აერთიანებენ ქჰმუ და პალაუნგ ენებს.

ავსტრალიურ ენებთან გენეტიურად აკავშირებენ მალაკურ ენათა სამ პატარა ჯგუფს — სემანგურ, სენოიურ (ანუ საკაი) და სემელაიურ (ანუ ჯაკუნ) ენებს.

7.3. ტაი და ჩინურ-ტიბეტური ენები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ტაი ოჯახის სულ ცოტა 12 ენა გვსვდება. ესენია: თაი (ანუ სიამური — თაილანდის ენა), ლაოსური, შანური, იუან, ქჰინ, ქჰამთი, შავი ტაი, თეთრი ტაი, ტვი, ნუნგ, თჰო, გელათ (ანუ კლაუ). ჩინურად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში რვა მილიონზე მეტი ადამიანი მეტყველებს. ჩინურ-ტიბეტური ოჯახის სხვა ჯგუფებიდან გავრცელებულია ბირმული (ანუ ბირმული-ლოლო; მასში შემავალი ბირმული ენა მქორე ენას წარმოადგენს დაახლოებით 90% ბირმელისათვის); *ლოლო ქვეჯგუფის* ენებიდან გვსვდება: ლისუ, ლაჰუ, აქჰა, მუნგ, პიენ, ფჰუნოი და სხვა ენები. *კარენულ* ენებს განეკუთვნება: სგო, პაო (ანუ ტაუნოიუ), ფჰო, პალაინჰი და სხვ. *კუკი-ჩინ ჯგუფის* ენათა უმრავლესობაზე ბირმაში მეტყველებენ.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კუნძულებზე გავრცელებულია ენათა პატარა ჯგუფი — *ნიკობარული* (მას ავსტრალიურ ენებთან აკავშირებენ), აგრეთვე *ანდამანური ოჯახი*, რომლის შესახებ გამოთქმულია ვარაუდი, რომ იგი შორეულ ნათესაურ კავშირშია მელანეზიის *პაპუა ენებთან*.

7.4. ავსტრონეზიული ენები. ავსტრონეზიულ (მალაიურ-პოლინეზიურ) ენათა ოჯახში შედის 500-მდე ენა, რომლებიც რამდენიმე მცირე და ორ დიდ ქვეჯგუფად — *დასავლეთავსტრონეზიულ* (ანუ ინდონეზიურ) და *აღმოსავლეთავსტრონეზიულ* (ანუ ოკეანიის) ქვეჯგუფებად იყოფა. აღმოსავლეთავსტრონეზიულ ქვეჯგუფში შედის *პოლინეზიური* ენები და სოგიერთი *მელანეზიური* და *მიკრონეზიული* ენა. მატერიკზე გავრცელებული ჩამ, მალაიური და კიდევ რვა ენა (იაგური, სუნდა და სხვ., აგრეთვე ინდონეზიის ეროვნული ენა — ბაჰასა ინდონესია) დასავლეთინდონეზიურ ენათა რიცხვს განეკუთვნება. მათთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ფილიპინებზე გავრცელებულ ენათა ქვეჯგუფი, რომელიც ასზე მეტ ენას შეიცავს; მათ შორის არიან: ტაგალოგური, ილონგო, ილოკანო, სებუანური და სხვ. დასავლეთინდონეზიურ და *ფილიპინურ ენებთან* ერთიანდება კიდევ რამდენიმე ენა, მათ შორის მალგაშური (მადაგასკარზე).

აღმოსავლეთი ოკეანიის ქვეჯგუფიც ასზე მეტ ენას შეიცავს. მასში გამოიყოფა *პოლინეზიური ენები* (მათ შორის მაორი, ტონგა, ჰავაი, ტაჰიტო), სოლომონის კუნძულების რამდენიმე ენა, ფიჯი და სხვები. კიდევ ერთ ქვეჯგუფს ქმნის სულ ცოტა შვიდი მიკრონეზიული ენა (ტრუკ, პონაპე და სხვ.). აღმოსავლეთ ოკეანიის ენებისაგან განასხვავებენ ახალ გვინეაში გავრცელებულ ასზე მეტ ენას და დაახლოებით ამდენივე ავსტრონეზიულ ენას (დობუ, ბანონი, პანაიატი და სხვ.) — მელანეზიის



უფრო მცირე კუნძულებზე. ის ენები, რომლებზეც ათი ათასი ადამიანი მაინც მეტყველებს, აქ *ლინგვა ფრანკას* როლს ასრულებენ. ავსტრონეზიულ ენებს შორის არის აგრეთვე ტაივანის კუნძულზე შემორჩენილი ენები: ამი, ატალაიალური, ჰაივან და ბუნან ენები. ავსტრონეზიულ ენათა კლასიფიკაცია სპეციალისტთა შორის დავას იწვევს.

7.5. ოკეანის არაავსტრონეზიული ენები. ახალი გვინეისა და ავსტრალიის არაავსტრონეზიულ ენათა გავრცელების არე სოლისებურად იჭრება სამ რაიონში: აღმოსავლეთით — *პოლინეზიაში* ჩრდილოეთით — *მიკრონეზიაში*, ხოლო დასავლეთით — *ინდონეზიაში* არამკაცრი კლასიფიკაციით დაშვებულია ინდონეზიაში გავრცელებული რამდენიმე ენისა და მელანეზიაში დადასტურებული მრავალი არაავსტრონეზიული ენის გაერთიანება ერთ ენობრივ კავშირად. ზოგჯერ ავსტრალიის ყველა ენას ერთმანეთის მონათესავედ მიიჩნევენ და ავსტრალიის ფარგლებს გარეთ არსებულ არც ერთ ენასთან არ აკავშირებენ. მკაცრი კლასიფიკაციის მიხედვით ოკეანიაში გამოიყოფა ბევრი საკმაოდ გავრცელებული ოჯახი, რომელთა საერთო სახელწოდებად „პაპუა ენების“ ხმარება არასწორად არის მიჩნეული. ავსტრონეზიული და არაავსტრონეზიული ენები მელანეზიაში ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტში იმყოფებიან; გავრცელებულია მრავალენოვანი საზოგადოებები, განსაკუთრებით ახალ გვინეაში, სადაც მშობლიური ენის გარდა ფლობენ უშუალო მეზობლების ენებს და/ან, უფრო ხშირად, ნეომელანეზიურს (პიჯინ-კრეოლურ ენას ინგლისურზე დაფუძნებული ლექსიკით). ავსტრალიელი აბორიგენების მიერ სხვა პიჯინ-ენებიც არის შექმნილი, მაგალითად, პოლის-მოტუ, რომელსაც *ლინგვა ფრანკად* იყენებენ პაპუას ერთ-ერთ ნაწილში (ამ ენას ავსტრონეზიული მოტუ ენა უდევს საფუძვლად). ავსტრალიაში არ ცდილობენ რომელიმე დიალექტისათვის ნორმირებულ ენის სტატუსის მინიჭებას, იქ მრავალენოვნებას უჭერენ მხარს.

7.6. პაპუა ენები. XX საუკუნის შუა წლებამდე უარყოფდნენ ნათესაობას პაპუა ენებს შორის; გამონაკლისს შეადგენდა ენები, რომლებზეც ერთმანეთის უშუალოდ მეზობლად მცხოვრები რამდენიმე მცირე ჯგუფი მეტყველებდა. მოგვიანებით გამოითქვა ვარაუდი მთიანი რეგიონის ენათა დიდ ჯგუფში შორეული ნათესაური კავშირების არსებობის შესახებ და ეს ენები ახალი გვინეის აღმოსავლეთი ნაწილის მთიანეთის ფილუმად გააერთიანეს. ამ კავშირთან შორეული ნათესაობა ახალი გვინეის სხვა ენებსაც აღმოაჩინდათ, რის გამოც შესაძლებელი გახდა *ცენტრალური ახალი გვინეის ენათა ფილუმზე* საუბარი. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ახალი გვინეის ყველა ენა და ყველა ოჯახი ერთმანეთის მონათესავე არ უნდა იყოს, თუმცა *ჯოზეფ გრინბერგის* კლასიფიკაციაში (1971) ყველა

ბაბუა ენა ინდო-პაციფიკურ (ინდურ-წყნაროკეანურ) ფილუმშია გაერთიანებული; იქვე შედის ანდამანური ოჯახიც.

7.7. პესტრალიელ აბორიგენტთა ენები. ავსტრალიელ მკვიდრთა ყველა ენას შორის დგინდება შორეული ნათესაობა. ორასამდე ავსტრალიური ენიდან მეტ-ნაკლებად ფართოდ არის გავრცელებული მხოლოდ რამდენიმე ათეული; მათ შორის არის: ტივი, ვალბირი, აგრეთვე „დასავლეთ უდაბნოს“ ორი ენა, რომლებზეც მეტყველებს საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე მიმოფანტული მოსახლეობის ოცზე მეტი პატარა ჯგუფი. ზოგიერთ ავსტრალიურ ენას მხოლოდ ხუთი-ექვსი ადამიანი ფლობს. ენებს შორის განსხვავებები განსაკუთრებით საგრძნობია ავსტრალიის უკიდურეს ჩრდილოეთსა და ჩრდილო-დასავლეთში; დანარჩენ ტერიტორიებზე გავრცელებული 177 ენა პაპა-ნიუნგა ოჯახს განეკუთვნება.

ტორესის სრუტის ჩრდილოეთით გავრცელებული არაავსტრონეზიული ენებისაგან განსხვავებით, ავსტრალიური ენები ერთმანეთთან ტიპოლოგიურ სიახლოვეს ავლენენ.

XIX საუკუნის ბოლომდე ტასმანიაში მეტყველებდნენ ორ-სამ ენაზე, რომლებიც არ ენათესავება ავსტრალიურ ენებს, მაგრამ შესაძლებელია ენათა იმავე ფილუმს განეკუთვნებოდეს.

## 8. აფრიკის ენები

8.1. მიღწეული დამოუკიდებლობის მიუხედავად, აფრიკის ქვეყნებში მრავალრიცხოვან ადგილობრივ ენებთან ერთად ჯერ კიდევ გამოიყენება კოლონიურ ეპოქაში შესული ევროპული ენები. მათ შეღწევას წინ უძღოდა აფრიკაში სამხრეთ-დასავლეთ აზიის ენათა გავრცელება. თუმცა კოლონიურ ეპოქამდე აფრიკის შიდა ნაწილი არააფრიკელთათვის უცნობი რჩებოდა, მისი ისტორიის ნაწილობრივი აღდგენა მაინც შესაძლებელია. მაგალითად, ვარაუდობენ, რომ მრავალრიცხოვანი ბანტუ ენების წინარე ენა ლოკალიზებული იყო კამერუნში და/ან მის მეზობელ ტერიტორიებზე დასავლეთ აფრიკაში; წინარეისტორიული მიგრაციების შედეგად ამ ენების მფლობელნი ცენტრალურ და აღმოსავლეთ აფრიკაში აღმოჩნდნენ. როგორც ჩანს, მათ ვიქტორიის ტბის მიდამოებიდან სამხრეთით, კალაჰარიში გააძევეს ბუშმენები და ჰოტენტოტები.

ყველა პოსტკოლონიური აფრიკელი ერი საერთაშორისო ენად ამჟამად არაბულს, ინგლისურს ან ფრანგულს იყენებს. იგივე ენები ეროვნულ ენათა როლს ასრულებენ. მრავალი აფრიკელი ერის გადაუჭრელ პრობლემად რჩება ის, თუ რომელი ადგილობრივი ენა უნდა იქნეს მიჩნეული

სტანდარტულ ენად, რომელი ენის განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი დამწერლობამ, რათა იგი გამოიყენონ ოფიციალურ ენად განათლებისა და პოლიტიკის სფეროში.

**8.2. ქამიტურ-სემიტური ენები. ქამიტურ-სემიტურ ანუ აფრაზიურ ენათა ფილუმი** შეიცავს ხუთ შტოს. ესენია: *სემიტური, კუშიტური, ჩადური, ბერბერული* და გადაშენებული *ეგვიპტურ-კომტური*. ჩადური შტოს ყველაზე უფრო გავრცელებული ენაა *ჰაუსა*.

*სემიტური ენებიდან* აფრიკაში გავრცელებულია თანამედროვე სასაუბრო არაბული, გურაგე, ტიგრინია, ამჰარული, ტიგრე; *კუშიტური ენებიდან* — გალა, სომალი, სიდამო, ჰადია, აფარ-საპო და სხვ. ეთიოპიაში გვხვდება ტრადიციულად კუშიტურ ენებად მიჩნეულ ენათა ერთი ჯგუფი, რომელსაც ზოგჯერ *ქამიტურ-სემიტურ ენათა ცალკე შტოდ — თმოტურ შტოდ* — გამოყოფენ. ველამო ენაზე გაცილებით მეტი ადამიანი მეტყველებს, ვიდრე არი, შაკო, ზაისე და ამ შტოს სხვა ენებზე.

*ბერბერული შტო* აერთიანებს შილჰ, ტუარეგ (ანუ ტამაშეკ), ტამაზიგთ ენებს; ამავე შტოს შეიძლება განეკუთვნებოდეს წინათ კანარის კუნძულებზე გავრცელებული *გუანჩური ენაც*.

**8.3. ნილოსურ-საჰარული ოჯახის ენები.** ზოგიერთი ნილოსურ-საჰარული ენა *შარი-ნილოსურ ენათა* ჯგუფს უდიდეს ქვეჯგუფში — *ადმოსაგ-ლეისუდანურში* — შედის. ამ ენათა ერთ ნაწილს ზოგჯერ ცალკე *ქამიტურ-ნილოსურ შტოდ* ან ცალკე *ოჯახდაც* კი მიიჩნევენ. ქამიტურ-ნილოსური შტო ზოგიერთ კლასიფიკაციაში შედის ქამიტურ-სემიტურ და არა ნილოსურ-საჰარულ ოჯახში. ადმოსაგლეისუდანურ ენათა ქვეჯგუფს განეკუთვნება ტესო, დინკა, ლუო, ლანგო და სხვა ენები. შარი-ნილოსური ჯგუფის *ცენტრალურ-სუდანური* ქვეჯგუფი დაახლოებით 30 ენას შეიცავს, მათ შორის არიან: სარა, ლუგბარა, ლენდუ, მანგბეტუ და სხვ. შარი-ნილოსური ჯგუფის გარდა ნილოსურ-საჰარულ ენებს განეკუთვნება *საჰარული ენები*, რომელთაგან ყველაზე უფრო გავრცელებულია კანუ ენა. *მაბა ჯგუფის* ენებს შორის არის მასალიტ ენა. ის ნილოსურ-საჰარული ენები, რომლებიც შარი-ნილოსურ ჯგუფში არ შედიან, ერთმანეთთან და ამ ჯგუფთან ასლო კავშირს არ ავლენენ. *სონღაი* და *ფურ* ენები ხშირად განკერძოებულ ენებად ითვლება.

**8.4. ნოგერ-კონგო ენები.** *ნოგერ-კონგო ოჯახის* ცხრაასამდე ენა ექვს ჯგუფად იყოფა. ამათგან *ბანტუ ენების* მფლობელთა რიცხვი (55 მილიონზე მეტი) ბევრად აღემატება სხვა ჯგუფების ენების მფლობელთა რიცხვს. სუაჰილი, რუანდა, რუნდი, სამხრეთი სოთო, ლუბა-ლულუა, კოსა და ზულუ ენებიდან თითოეულზე რამდენიმე მილიონი ადამიანი მეტყვე-

ლებს. ბანტუს ჯგუფში 15 ენაა, სხვა ჯგუფებში — ნაკლები. ამ ჯგუფებს შორის არიან: *მანდეური* (ბამბარა, მენდე, ვაი ენები), *გურ ენა* ანუ *ვოლტური* (მოსი და სხვა ენები), *დასავლეთატლანტიკური* (ფულანი, ვოლოფ, ტემნე და სხვ.), *აღმოსავლური ადამაუა* (სანგო, რომელიც *ლინგვა ფრანკად* იხმარება და სხვ.), *კვა* (ტვი ანუ აკან ენა, იორუბა, იგბო და სხვ.); *კორდოფანის ოჯახის ენებს*, რომლებზეც სუდანში მეტყველებენ. ზოგჯერ ნიგერ-კონგო ენებთან აერთიანებენ *ნიგერ-კორდოფანის ფილუმად*.

8.5. ხოისანური ენები. ამ ოჯახში შემაჯავალ ენათა რაოდენობისა და ჯგუფების შესახებ ზუსტი მონაცემები არ არსებობს. წინათ ითვლებოდა, რომ მათი უმრავლესობა გადაშენების პირას არის ან უკვე გადაშენდა. მაგრამ უახლესი ცნობების მიხედვით, *ბუშმენური* და *ჰოტენტოტური ჯგუფების* 50-მდე ენაზე მეტყველებს მრავალი ათასი ადამიანი. მათგან ყველაზე მეტი (40 ათასამდე) ფლობს ნამა ენას. ხოისანური ოჯახი კულტურული თავისებურებების საფუძველზე იყოფა ბუშმენურ და ჰოტენტოტურ ჯგუფებად. ამ ჯგუფების გარეთ რჩება ორი ხოისანური ენა — *სანდავე* და *ჰაძა*, რომელთაც ოჯახის სხვა ენებთან ახლო ნათესაობა არ აკავშირებს.

## 9. ამერიკის ენები

9.1. მანამედროვე ამერიკელი ინდიელების წინაპრებმა უძველეს ხანაში დატოვეს აზია და ამერიკაში დასახლდნენ. მათ ენებს ამერიკელ აბორიგენტთა ანუ *ამერიკულ ენებს* უწოდებენ. ზოგი რამ ცნობილია ამ ინდიელთა კულტურის შესახებ, მაგრამ მათი ენების შესახებ მხოლოდ ევროპულ ენებთან კონტაქტების დამყარების შემდგომდროინდელი მონაცემები არსებობს. დღესდღეობით ამერიკაში განათლებისა და ადმინისტრირების მიზნებს ექვსი ევროპული ენა ემსახურება (ინდიელთა ენებიდან ამ ფუნქციებს მხოლოდ პარაგვაის გუარანი ასრულებს); ოფიციალური სტატუსის მქონე ეს ენებია: *ესპანური, ინგლისური, ფრანგული, ჰოლანდიური, პორტუგალიური და დანიური*.

ლათინურ ამერიკაში კოლონიზაციამდე და მის შემდეგ ერთი-ორი საუკუნის განმავლობაში ოფიციალურ ან ნახევრად ოფიციალურ ენებად შეიძლება იქნეს მიჩნეული ამერიკელ ინდიელთა შემდეგი ენები: ნაჰუატლ (ნაჰუა) — აცტეკების ენა (მექსიკასა და ცენტრალურ ამერიკაში), ჩიბჩა-მუსკა (კოლუმბიაში), კეჩუა — ინკების ენა (ანდებში), ტუპი

(ბრაზილიაში) და გუარანი (პარაგვაიში და მის მახლობლად). გარდა ამისა, ოფიციალური სტატუსი აქვს ორ ჰიჟინ-კრეოლურ ენას — სრანან (სრანან-ტონგო) ენას (სურინამში) და პაპიამენტოს (კიურასაოზე).

ამერიკელ ინდიელთა ენების კლასიფიკაციის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს. გამოყოფენ ჩრდილოეთ ამერიკის ენათა 50-მდე ოჯახს, აგრეთვე — ენათა ექვს ფილუმს. სამხრეთ ამერიკის ენები ზოგჯერ ასზე მეტ ოჯახად იყოფა, ზოგჯერ — სამ ფილუმად. არსებული მრავალი კლასიფიკაციიდან ჩვენ წარმოვადგენთ შედარებით ახალ, არამკაცრ კლასიფიკაციას.

მას შემდეგ, რაც ამერიკელი ინდიელები ბილინგვებად იქცნენ, ჩრდილოეთ ამერიკაში ჰიჟინ-კრეოლურ ენათა უმრავლესობა აღარ იმ-მარება. ჯერ კიდევ შემორჩენილია ტრამალებში მცხოვრებ ინდიელთა უესტ-შიმიკის ენა.

**9.2. ჩრდილოეთ ამერიკის** ინდიელთა ენების კლასიფიკაციის დროს მოსახერხებელია შემდეგი ათი არეალის გამოყოფა: არქტიკა, სუბარქტიკა, ჩრდილო-დასავლეთი სანაპირო, პლატო, ტრამალები, პრერიები, აღმოსავლეთი, კალიფორნია, დიდი აუზი და სამხრეთ-დასავლეთი. ეს დაყოფა კულტურულ დაყოფას შეესაბამება.

არქტიკაში გავრცელებული ენები ახლოს არის ერთმანეთთან როგორც გენეტურად, ისე ტიპოლოგიურად. ენათა ერთი ოჯახი — *ესკიმო-სურ-ალეუტური* — გვხვდება შედარებით არაერთგვაროვან კულტურულ არეალში. სუბარქტიკაში გავრცელებულია ენათა ორი ტიპოლოგიურად და გენეტურად განსხვავებული ოჯახი — *ალგონკინური* და *ათაბასკური* ჩრდილო-დასავლეთი სანაპიროს და მისი მეზობელი პლატოს არეალების ენები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან გენეტურად, მაგრამ ტიპოლოგიურ ასპექტში ისინი საოცარ მსგავსებას ავლენენ. ტრამალებსა და დასავლეთ პრერიებში არც ერთი ოჯახის ენა, *კადო ოჯახის* ენათა გარდა, ამ არეალების მკვიდრთა ენების რიცხვს არ განეკუთვნება. ისინი ძალიან არაერთგვაროვანია როგორც გენეტურად, ისე ტიპოლოგიურად. აღმოსავლეთ არეალში გავრცელებული ენები მკვეთრად განსხვავებულია ერთმანეთისაგან გენეტურად, ხოლო ტიპოლოგიური თვალსაზრისით გარკვეულ მსგავსებას ავლენენ. კალიფორნიის ენები გენეტურად არაერთგვაროვანია, ხოლო ტიპოლოგიურად — ძალიან მსგავსი. დიდ აუზში წარმოდგენილი მცირერიცხოვანი ენები იყოფა ორ ოჯახად, რომლებიც ახლოს არის ერთმანეთთან როგორც ტიპოლოგიური, ისე გენეტური თვალსაზრისით. უჩვეულო სიტუაციაა სამხრეთ-დასავლეთ არეალში, სადაც მსგავსი კულტურის მქონე საზოგადოებათა ენები გენეტურად და ტიპოლოგიურად არაერთგვაროვანია, ხოლო განს-

ხვავებული კულტურის მქონე საზოგადოებათა ენები გენეტურადაც შორს დგანან ერთმანეთისაგან.

ესკიმოსურ-ალეუტური ენები ამ ოჯახის სამი ენა ჯერ კიდევ შემორჩენილია მათი გაფრცელების ოდინდელ ტერიტორიაზე გრენლანდიდან ციმბირამდე, აგრეთვე — კომანდორის კუნძულებზე.

ათაბასკური ენები ოცზე მეტი ათაბასკური ენა ახლაც გვხვდება ოთხ კულტურულ არეალში. კერძოდ, სუბარქტიკაში დასტურდება 17 ცოცხალი ენა (მათ შორის — ჩიპევიან-სლეიფ-იელოუნაიფ და კერიერ), ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე — ორი ცოცხალი ენა — ჰუპა და ჩასტაკოსტა; სამხრეთ-დასავლეთში აპაჩების ერთადერთ ენად შეიძლება ჩაითვალოს *ნაეახო* — დიალექტი, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკაში სხვა ენებზე მეტად არის გაფრცელებული. ბოლო დროს ტრამალებში სხვა არეალებიდან ორი ათაბასკური ენა — სარსი და კიოვა-აპაჩე გაფრცელდა. ათაბასკურთან შორეულ ნათესაობას ავლენს ჩრდილო-დასავლეთი სანაპიროს სამი განკერძოებული ენა: ეიაკ, ტლინგიტ და ჰაიდა; ისინი ქმნიან *ნა-დენე ფილუმს*, თუმცა ეიაკ ენა შეიძლება ათაბასკური ოჯახის განსხვავებულ წევრადაც ჩაითვალოს.

ალგონკინური ენები ეს ოჯახი 13 ცოცხალ ენას შეიცავს; მათ შორის არიან: კრი, ოჯიბვა, მიკმაკ, მალესიტე (სუბარქტიკის კულტურულ არეალში), ფოქს, პოტავატომი (პრერიებში), ბლექფუთ, ჩიეენ, არაპაჰო (ტრამალებში), შაუნი, დელავერული (აღმოსავლეთში, სადაც ალგონკინურ ენათა უმრავლესობა ან გადაშენების პირასაა მისული, ან უკვე გადაშენდა). ალგონკინურ ენებთან *მაკროალგონკინურ ფილუმს* ქმნიან ენები, რომლებზეც აღმოსავლეთი არეალის სამხრეთ ნაწილში მეტყველებენ. ესენია, კერძოდ, ჩოკტავ-ჩიკასავ და კრიკ-სემინოლ ენები *მუსკოგი ოჯახიდან*, აგრეთვე რამდენიმე გადაშენებული და ორი თითქმის გადაშენებული განკერძოებული ენა (ვიმოტ და იუროკ) ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, რომლებიც შედარებით უფრო ახლოსაა *ალგონკინურ ენებთან*.

მაკროსიუ ენათა ფილუმი ამ ფილუმში შემაგალი *სიუ ოჯახის* ენები სხვა ოჯახების ენებზე უფრო მეტადაა გაფრცელებული. ესენია: დაკოტა, კროუ; ვინებაგო, ომაჰა-ოსეჯ; გადაშენებულნი — ოფო, ბილოქსი და სხვები. *აროკეზულ ოჯახში* შედის ექვსი ენა, მათ შორის — ჩეროკი და მოჰაუკ ენები. *კადო ოჯახის* ენებია: კადო, კიტსაი, ჰაენი და სხვ.; განკერძოებული ენები *კატაება* და *იუჩი* შედარებით მეტ სიახლოვეს სიუ ენებთან ავლენენ.

ჰოკა ენათა ფილუმი ამ ფილუმში რამდენიმე პატარა ოჯახი და განკერძოებული ენაა გაერთიანებული; გამოიყოფა *ტლაპანეკური ტეკისტლატეკური* და *იუმა ოჯახები*.

პენუტიური ენების ფილუმი. სამხრეთ ამერიკის ენებთან მხოლოდ ამ ფილუმის ენათა ნათესაობაა ნამდვილად დადასტურებული. 24-ზე მეტი პენუტიური ენიდან ჩრდილოეთ ამერიკაში უმრავლესობა გადაშენების პირას არის ან უკვე გადაშენებულია, ხოლო ცენტრალურ ამერიკაში საკმაოდ ბევრი ადამიანი ლაპარაკობს, მაგალითად, *სოკე ოჯახის* მიწე ენაზე, *მაია ოჯახის* მაია, კიჩე, კეკიჩი, მამ, კაკიჩელ და სხვა ენებზე.

ტანო-აცტეკურ ენათა ფილუმი. ეს ფილუმი ორ ოჯახს აერთიანებს. *ტანო* (ანუ *კაიოფა-ტანო*) ოჯახში შედის კაიოფა, სანტაკლარა და ტანოელთა ენები; *იუტა-აცტეკურ ოჯახში* ოცამდე ენაა, მათ შორის: კაუილა, ლუისენიო, პაიუტე, შოშონე, ჰოპი, პიმა-პაპაგო, ნაჰუატლ (მექსიკანო) — აცტეკთა შთამომავლების ენა და სხვ. ნაჰუა ანუ ნაჰუატლ ენის ნაირსახეობებს მილიონზე მეტი ადამიანი ფლობს, რაც ბევრად აღემატება დანარჩენ იუტა-აცტეკური ენების მფლობელთა მთლიან რაოდენობას.

ოტო-მანგურ ენათა ფილუმი. ამ ფილუმში ხუთი პატარა ოჯახი შედის. შედარებით მეტად არის გავრცელებული ოტომი, მიშტეკ და საპოტეკ ენები.

ჩრდილოეთ ამერიკის ენათა ერთი დიდი ოჯახის — *სალიშურ ენათა*, აგრეთვე ზოგიერთი უფრო პატარა, მაგალითად, *ვაკაშური* და *ტარასკული ოჯახებისა* და რამდენიმე განკერძოებული ენის სხვა ენებთან კავშირები არ არის დადგენილი.

**9.3. სამხრეთ ამერიკაში ენათა დიდ რაოდენობას ასახელებენ (350-მდე), მაგრამ მათ შესახებ ინფორმაცია ხშირად მწირია. მონაცემებს ამ ენების შესახებ უმთავრესად სიტყვათა მოკლე სიების სახე აქვს, ზოგჯერ კი მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ორი ტომი ერთმანეთისგან განსხვავებულად მეტყველებს. სიახლოვის ხარისხის დადგენა, ე.ი. იმის დადგენა, მოცემული სისტემები დიალექტებია თუ ენები, ვერ ხერხდება, თუმცა ზოგი მათგანი ერთმანეთთან აშკარა სიახლოვეს აყვენს. ნათესაობის დადგენას ზოგჯერ (მაგალითად, მაღალგანვითარებულ კულტურათა — *ინკებისა* და *აიმარას ენების*, აგრეთვე ზოგიერთი მათი მეზობელი ენის შემთხვევაში) ხელს უშლის ურთიერთშესაბამისი, მსგავსი სიტყვების ისტორიული კვალიფიკაციის სირთულე.**

ანდურ-ეკვატორულ ენათა ფილუმი. ეს გაერთიანება მოიცავს ცოცხალი ენების დიდ რაოდენობას (თითქმის ორასს). ამათგან სამ ენაზე სამხრეთამერიკელ ინდიელთა დიდი უმრავლესობა მეტყველებს. ეს ენებია *კეჩუა*, *გუარანი* და *აიმარა*. ცოცხალი ანდურ-ეკვატორული ენები განაწილებულია 14-მდე ოჯახად, რომელთა გარეთ რჩება რამდენიმე განკერძოებული ენა. ყველაზე უფრო ფართოდ არის გავრცელებული *არა-ვაკული ოჯახი* — მასში დაახლოებით ასი ენა შედის; თითოეული ამ ენის

წარმომადგენელთა რიცხვი რამდენიმე ათასს არ აღემატება. ტუპი ოჯახში 24-ზე მეტი ენაა, მათ შორის არის: გუარანი (ანუ ტუპი-გუარანი), რომლის დიალექტებზე მილიონზე მეტი ადაპიანი მეტყველებს, და კერუა, რომლის დიალექტები იმდენად განსხვავებულია, რომ ცალკე ენებადაც შეიძლება ჩაითვალოს.

ჟე-პანო-კარიბულ ფილუმში დაახლოებით ორასი ცოცხალი ენა ერთიანდება, მაგრამ ამ ენებზე შედარებით მცირერიცხოვანი ტომები მეტყველებენ. სამოცამდე ცოცხალი ენაა კარიბულ ოჯახში, 25 ენაზე მეტი — მაკროჟე ოჯახში.


მაკროჩიბჩურ ენათა ფილუმი ამჟამად მხოლოდ 39 ენას აერთიანებს. ამ ფილუმის უდიდესი ოჯახი — ჩიბჩური — 16 ენას შეიცავს, მათ შორის არიან: კუნა, პაეს და გუაიმი.

## 10. მსოფლიოს ენათა კლასიფიკაცია

10.1. მომდევნო გვერდზე მოყვანილ რუკაზე — „მსოფლიოს ენათა კლასიფიკაცია“ — მოცემულია ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია და მათი გეოგრაფიული გავრცელების სურათი, რომელიც წარმოგვიდგენს თანამედროვე ენათმეცნიერებაში მიღებულ ერთ-ერთ თვალსაზრისს ენობრივი სისტემების გენეალოგიური და არეალური კლასიფიკაციის შესახებ (ჯოზეფ გრინბერგი, მერიტ რულენი). აღსანიშნავია, რომ ცნობილი გენეტური ჯგუფების უფრო ფართო მაკროოჯახებში — ფილუმებში — აქ წარმოდგენილი გაერთიანებები ზოგ შემთხვევაში არ არის საყოველთაოდ გაზიარებული, მაგრამ მთლიანობაში რუკა ადეკვატურად ასახავს მსოფლიოს ენათა კლასიფიკაციის თვალსაზრისით თანამედროვე მეცნიერებაში არსებულ ვითარებას.

წარმოდგენილი რუკა დართული განმარტებებით ლოგიკურად ასრულებს წიგნის დიაქრონიულ ნაწილს და მთელ ჩვენს „თქორიული ენათმეცნიერების კურსს“.





1

---

# ბიბლიოგრაფია

## ბიბლიოგრაფიის ინდექსი

<i>თავი</i>		<i>I.</i> ენა და მეცნიერება ენის შესახებ	639
<i>თავი</i>	<i>II.</i>	ფონეტიკა	652
<i>თავი</i>	<i>III.</i>	ფონოლოგია	655
<i>თავი</i>	<i>IV.</i>	მორფოლოგია	660
<i>თავი</i>	<i>V.</i>	სინტაქსი	669
<i>თავი</i>	<i>VI.</i>	სემანტიკა . ლექსიკოლოგია	674
<i>თავი</i>	<i>VII.</i>	ენათმეცნიერების ასალი დარგები	688
	<i>I.</i>	<i>ენათა სტრუქტურული ტიპოლოგია და ლინგვისტური უნივერსალიები</i>	688
	<i>II.</i>	<i>ტექსტის ლინგვისტიკა</i>	694
	<i>III.</i>	<i>სოცოლოგინგვისტიკა</i>	703
	<i>IV.</i>	<i>კომუნიკური ლინგვისტიკა</i>	710
	<i>V.</i>	<i>ფსიქოლინგვისტიკა . გოლინგვისტიკა</i>	712
	<i>VI.</i>	<i>ენათმეცნიერების გამოყენებითი დარგები</i>	717
<i>თავი</i>	<i>VIII.</i>	ენა და დამწერლობა	721
<i>თავი</i>	<i>IX.</i>	ენის ცვალებადობა და ენობრივი დიაქრონია	727
<i>თავი</i>	<i>X.</i>	მსოფლიოს ენები. ენათა არეალური და გენეალოგიური კლასიფიკაცია. ენობრივი კავშირები და ენათა ოჯახები	745



# ლაპატკბითი ლიტერატურა

## თავი I

### ენა და მეცნიერება ენის შესახებ

**ზოგადი და თეორიული ენათმეცნიერება. სტრუქტურული და დესკრიპციული ლინგვისტიკა. ენათმეცნიერების ისტორია. ენობრივი ნიშანი. კომუნიკაცია. შეტყობინება და ინფორმაცია. ლინგვისტიკა და სემიოტიკა. ლინგვისტიკა და ინფორმაციის თეორია.**

- გ. ახვლედიანი, ენათმეცნიერების შესავალი (ლექციები ხელთნაწერის მაგიერ), I—III, ტფილისი 1918: *«ფაშოცება უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობისა»*.
- გ. ახვლედიანი, ენათმეცნიერების შესავალი, I—III, ლექციები (ხელნაწერის მაგიერ), ტფილისი 1927: *«სახალხო საქმე»*.
- გ. ახვლედიანი, შენიშვნები ენის როგორც სამეტყველო მოქმედების საშუალებით ფუნქციის შესახებ (*«საოუბილო კრებული კორნელი კეკელიძის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად»*, თბილისი 1959: *«თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა»*, გვ. 59—64).
- ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბილისი 1970: *«მეცნიერება»*.
- ე. ბრეჯაძე, ნოვალისის ნიშნის თეორია (*«ენათმეცნიერების საკითხები»*, 1999, №1, გვ. 23—31).
- თ. გამყრელიძე, *«აკადემიკოსი ვიორჯი წერეთელი»*, თბილისი 1984: *«მეცნიერება»*.
- თ. გამყრელიძე, ახალი ქართული ენათმეცნიერების კლასიკოსი (ვიორჯი ახვლედიანის დაბადების 15 წლისთავის გამო), *«ენათმეცნიერების საკითხები»*, 2002, №2(14): გვ. 5—9.
- მ. გობრონიძე, შუა საუკუნეების არაბული ფონეტიკური თეორიის ძირითადი საკითხები (VII—XIII სს.), თბილისი 1980: *«მეცნიერება»*.
- ე. დანელია, ზ. სარჯველაძე, *«აკაკი შანიძე»* (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბილისი 1987: *«თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა»*.
- ნ. დოლიძე, ძირითადი ენათმეცნიერული ტენდენციები ანტიკურ ფილოსოფიაში და პლატონის *«კრატელოსი»*, თბილისი 1998: *«გამომცემლობა „ლიტერატურა“*.
- «ენათმეცნიერების შესავლის საკითხები»* (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბილისი 1972: *«თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა»*.
- მ. იანჭოშვილი, სიღრმისეული და ზედაპირისეული სტრუქტურების ურთიერთობის საკითხისათვის (*«თბილისის უნივერსიტეტის შრომები»*, №4, ენათმეცნიერება), 1975: გვ. 81—96).
- ა. კიზირია, მ. ქაღდანა, *«ვარლამ თოფურია»*. ცხოვრება და სამეცნიერო-მედაგოგიური მოღვაწეობა, თბილისი 1968: *«მეცნიერება»*.
- ლ. მამულაია, *«ოაკედირი»* არაბულ გრამატიკულ ლიტერატურაში (*«მაცნე»*, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, № 4: გვ. 141—146).
- გ. მაჭავარიანი, ა. შანიძის გრამატიკული კონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი სტრუქტურული ლინგვისტიკის თვალსაზრისით (*«თრონი»*, საოუბილო კრებული, მძღვენილია აკაკი შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბილისი 1967: *«თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა»*, გვ. 50—64).
- გ. ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი 1991: *«ვანათლება»*.

- ე. ნიკოლაიშვილი «ვაიოზ რექტორი „ქართული დრამატიკა“» (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ელენე ნიკოლაიშვილმა, თბილისი 1970: «მეცნიერება».
- თ. ულენტა დანტეს სისტაქსური თეორია («ენა და საზრისი», ნაწილი II, თბილისი 2000: «მეცნიერება», გვ. 33–51).
- გ. რაბიშვილი ენის ენერგეტული თეორიის საკითხები, თბილისი 1978: «ენათმეცნიერება».
- ა. რაბიშვილი კოპენჰაგენის სტრუქტურალისტური სკოლის ამოსავალი პრინციპები, თბილისი 1974: «მეცნიერება».
- დ. სვანო დამწერლობისა და ბგერითი სისტემის ურთიერთიმპარტიციპაციის ხარისხულ გრაბატიკოსებთან («მატენი», ენისა და ლიტერატურის სურათი, 1974, №2: გვ. 137–140).
- ფ. დე სოსურა, ზოგადი ენათმეცნიერების კურსი (თარგმანი ფრანგულიდან), თბილისი 2002: «ლინგვისტიკა».
- თ. უთურგაძე, ქართული ენის შესწავლის ისტორია, თბილისი 1999: «ქართული ენა».
- თ. უთურგაძე, ნიკო შარი ქართული ენის ფონემატური სისტემის შესახებ («ველათის მეცნიერებათა აკადემიის ყურნალი», 2003, №2: «გამომცემლობა „ინტელექტი“», გვ. 19–44).
- ა. ფოცხიშვილი ქართული ენათმეცნიერების ისტორია, I, თბილისი 1995: «ენათმეცნიერება».
- ა. ფოცხიშვილი ანტონ I ბაგრატიონი და ქართველი საზოგადოება, თბილისი 1996: «გამომცემლობა „ჯეფხისტიკაოსანი“».
- ა. ქობალაძე, „სისტემის“ ცნების ისტორიისათვის ენათმეცნიერებაში («იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება», XXVIII, თბილისი 1989: «მეცნიერება», გვ. 37–47).
- აღ. ღლონტი მოძღვრები, მეგობრები, შეგირდები, თბილისი 1998: «სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა».
- ბ. შანიძე, „სიტყუა ართრონათვის“. ძველი ქართული გრაბატიკული ტრაქტატი, თბილისი 1990: «თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა».
- თ. შარაძენიძე, თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები, თბილისი 1972: «მეცნიერება».
- თ. შარაძენიძე, «არნოლდ ჩიქობავა», თბილისი 1972: «მეცნიერება».
- თ. შარაძენიძე, ენისა და მეტყველების ურთიერთობის პრობლემა, თბილისი 1974: «მეცნიერება».
- თ. შარაძენიძე, აა. ბოდუენ დე კურტენეს ლინგვისტური თეორია და მისი ადგილი XIX–XX სს. ენათმეცნიერებაში, თბილისი 1978: «მეცნიერება».
- არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, I. პრობლემატიკული ნაწილი (მესამე შეესებულები გამოცემა), რედ.: გ. ახვლედიანი, თბილისი 1946: «სახელგამი».
- არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, II. ძირითადი პრობლემები, რედ.: გ. ახვლედიანი, თბილისი 1945: «თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა» (მეორე გამოცემა – თბილისი 1983: «თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა»).
- არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი 1952: «თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა».
- შ. ძიძგური, «აკაკი შანიძე» (მეორე გამოცემა), თბილისი 1977: «თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა».
- ღ. წერეთელი «ქართული ენის გრაბატიკა და ლექსიკონი» ლათინურ ენაზე («აღმოსავლური ფილოლოგია», II, თბილისი 1972: «მეცნიერება», გვ. 237–240).
- კ. ჭრელიაშვილი ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია, თბილისი 2001: «თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა».

მ. პაიჯევერა ყოფიერება და დრო (თარგმანი გერმანულიდან, წიხასიტყვაობა და კომენტარები გურამ თუე ზადისა), თბილისი 1989: «საქართველოს მწერალთა კავშირი მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობებს მთავარი სარედაქციო კოლეგია».

Алиатов В.М., «Грамматика Пор-Рояля» и современная лингвистика («Вопросы Языкознания», 1992, № 2: стр. 57—68).

Алиатов В.М., История лингвистических учений, Москва 2001: «Языки Славянской Культуры».

Амирова Т.А., Ольховиков Б.А., Роздественский Ю.В., Очерки по истории лингвистики, Москва 1975: «Наука». Главная Редакция Восточной Литературы.

Апресян Ю.Д., Идеи и методы современной структурной лингвистики, Москва 1966: «Просвещение».

Апресян Ю.Д., «Избранные Труды», тт. 1 и 2, Москва 1995: «Языки Русской Культуры».

Арно А., Лансло К., «Грамматика Общая и Рациональная Пор-Рояля» (Общая редакция и вступительная статья Ю.С. Степанова), Москва 1990: «Прогресс».

Арутюнова Н.Д., Язык и мир человека, Москва 1998: «Языки Русской Культуры».

Ахведиანი В.Г., Фонетический трактат Авиценны, Тбилиси 1966: «Мецნიერება».

Бенвенист Э., Общая лингвистика (Перевод с французского), Москва 1974: «Прогресс».

Блумфилд Л., «Язык» (Перевод с английского. Под редакцией и с предисловием М.М. Гухман), Москва 1968: «Прогресс».

Бодуэн де Куртენэ И.А., «Избранные труды по общему языкознанию», Москва 1963: «Наука».

Бокадорова Н.Ю., Французская литературная традиция XVIII — начала XIX века. Структура знания о языке, Москва 1987: «Наука».

Буачидзе М.Г., Искажение отношений между «означающим» и «означаемым» в лингвистических знаках при афазии («საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შობა», 1984, ტ. 116, № 2: გვ. 429—432).

Ван Дейк Т.А., Язык, познание, коммуникация (Перевод с английского), Москва 1989: «Прогресс».

Витгенштейн Л., Логико-философский трактат (Перевод с немецкого), Москва 1958: «Издательство Иностранной Литературы».

Гамкрелидзе Т.В., К проблеме произвольности языкового знака («Вопросы Языкознания», 1972, №6, стр. 33—39).

Гамкрелидзе Т.В., «Академик Георгий Васильевич Церетели» («Известия АН СССР», 1974, т.33, №2).

Гамкрелидзе Т.В., Елизаренкова Т.Я., Иванов Вяч. Вс., Лингвистическая теория Р.О. Якобсона в работах советских лингвистов (в «Roman Jakobson: Echoes of His Scholarship», Lisse 1977: «The Peter de Ridder Press», pp. 91—121).

Гвелесиани С.И., «Востоковед Георгий Церетели», Тбилиси 1976: «Издательство "Мерани"».

Глисон Г., Введение в дескриптивную лингвистику (Перевод с английского: Н.А. Gleason, Jr., An Introduction to Descriptive Linguistics, New York 1955), Москва 1959: «Издательство Иностранной Литературы».

- Гумбольдт В. фон, «Избранные труды по языкознанию» (Перевод с немецкого, под редакцией и с предисловием проф. Г.В. Рамшвили), Москва 1984: «Прогресс».
- Дзисаукян Г.Б., Общее и армянское языкознание, Ереван 1978: «Издательство АН Армянской ССР».
- Дондуа К.Д., Статьи по общему и кавказскому языкознанию, Ленинград 1975: «Наука».
- Ельмслев Л., Прологомены к теории языка («Новое в Лингвистике». Вып. I, Москва 1960: «Издательство Иностранной Литературы»), стр. 264—389).
- Есперсен О., Философия грамматики (Перевод с английского), Москва 1958: «Издательство Иностранной Литературы».
- Жинкин Н.И., Речь как проводник информации, Москва 1982: «Наука».
- Жирмунский И.М., Общее и германское языкознание, Ленинград 1976: «Наука».
- Звегинцев В.А., История языкознания XIX—XX веков в очерках и извлечениях, ч.ч. I и II, Москва 1964/65: «Издательство "Просвещение"».
- Звегинцев В.А., Теоретическая и прикладная лингвистика, Москва 1968: «Просвещение».
- Иванов Вяч. Вс., Очерки по истории семиотики в СССР, Москва 1976: «Наука».
- Иванов Вяч. Вс., Топоров В.Н., Славянские языковые моделирующие семиотические системы, Москва 1965: «Наука».
- «Исследования по Общей Теории Грамматики» (Отв. редактор: В.Н. Ярцева), Москва 1968: «Наука».
- «История Лингвистических Учений». Древний мир, Ленинград 1980: «Наука».
- «История Лингвистических Учений». Средневековый Восток, Ленинград 1981: «Наука».
- «История Лингвистических Учений». Средневековая Европа (Отв. редакторы: А.В. Десницкая, С.Д. Кацнельсон), Ленинград 1985: «Наука».
- Колмогоров А.Н., Три подхода к определению понятия “количества информации” (вв. А.Н. Колмогоров, «Теория информации и теория алгоритмов», Москва 1987: «Наука», стр. 213—223).
- Косериу Э., Синхрония, диахрония и история («Новое в Лингвистике». Вып. III, Москва 1963: «Издательство Иностранной Литературы»), стр. 143—343).
- Лайонз Дж., Введение в теоретическую лингвистику (Перевод с английского), Москва 1978: «Прогресс».
- Лекомцев Ю.К., Введение в формальный язык лингвистики, Москва 1983: «Наука».
- Лернер К.Б., Социальная природа языка и процесс языкового взаимодействия, Тбилиси 1989: «Мецниереба».
- «Лингвистический Энциклопедический Словарь», Москва 1990: «Советская Энциклопедия».
- Лосев А.Ф., Знак. Символ. Миф, Москва 1982: «Издательство Московского Университета».
- Маковский М.М., Лингвистическая комбинаторика. Опыт топологической стратификации языковых структур, Москва 1988: «Наука». Главная Редакция Восточной Литературы.
- Мамудян М., Лингвистика (Перевод с французского), Москва 1985: «Прогресс».





- Степанов Ю.С.**, В трехмерном пространстве языка. Семioticские проблемы лингвистики, философии, искусства, Москва 1985: «Наука».
- Тростников В.Н.**, Человек и информация, Москва 1970: «Наука».
- Трубецкой Н.С.**, «Избранные Труды по Филологии» (Под редакцией Т.В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванова и Н.И. Толстого), Москва, 1987: «Прогресс».
- «Труды по Знаковым Системам» (Сборник статей о Бахтине). Отв. редактор: Ю. Лотман, Тарту 1973.
- Ульдалль Х.И.**, Основы глоссематики. Исследование методологии гуманитарных наук со специальным приложением к лингвистике («Новое в Лингвистике». Вып. I, Москва 1960: «Издательство Иностранной Литературы», стр. 390—436).
- Урсул А.Д.**, Природа информации. Философский очерк, Москва 1968: «Издательство Политической Литературы».
- Флоренский П.А.**, Антиномия языка («Вопросы Языкознания», 1988, №6, стр. 88—125).
- «Фундаментальные Направления Современной Американской Лингвистики». Сборник Обзоров. Под ред. А.А.Кибрика, И.М.Кобозевой и И.А.Секериной, Москва 1997: «Издательство Московского Университета».
- Холодович А.А.**, Проблемы грамматической теории, Ленинград 1979: «Наука».
- Хомский Н.**, Логические основы лингвистической теории («Новое в Лингвистике». Вып. IV, Москва 1965: «Прогресс», стр. 465—576).
- Чикобава А.С.**, Проблема языка как предмета языкознания, Москва 1959: «Государственное Учебно-Педагогическое Издательство».
- Шадури Т.Н.**, Общее языкознание, Тбилиси 1983: «Издательство "Ганатлеба"».
- Шеннон К.**, Математическая теория связи («Работы по Теории Информации и Кибернетике», Москва 1963: «Издательство Иностранной Литературы», стр. 243—332).
- Широков О.С.**, Введение в языковедение, Москва 1985: «Издательство Московского Университета».
- Шрейдер Ю.А.**, Логика знаковых систем, Москва 1974: «Наука».
- Щерба Л.В.**, Языковая система и речевая деятельность, Ленинград 1974: «Наука».
- Яглом А.М., Яглом И.М.**, Вероятность и информация, Москва 1973: «Наука». Главная Редакция Физико-Математической Литературы.
- Якобсон Р.О.**, Лингвистика в ее отношении к другим наукам (об Р.О. Якобсон, «Избранные Работы», Москва 1985: «Прогресс», стр. 387—404).
- Янкошвили М.В.**, Сигнификат словесного знака как билатеральная структура («თბილისის უნივერსიტეტის შრომები». ენათმეცნიერება 7, 1983: გვ. 372—388).
- Adrados Fr.R.**, Estudios de lingüística general, Barcelona 1969: «Editorial Planeta».
- Aktajian A., Demers R.A., Farmer A.K., and Harnish R.M.**, «Linguistics». An Introduction to Language and Communication (5<sup>th</sup> edn.), Cambridge, Mass. 2001: «The M.I.T. Press».
- Amter K.**, Einführung in die Sprachwissenschaft, Bd. I, Halle (Saale) 1958: «VEB Max Niemeyer».
- «Approaches to Applied Semiotics» (Editor: Jean Umiker-Sebeok): «Mouton de Gruyter».

- «Approaches to Semiotics». *Cultural Anthropology. Education. Linguistics. Psychiatry. Psychology*, ed. by Thomas A. Sebeok, The Hague — Paris 1964: «Mouton & Co.».
- Arens H., Sprachwissenschaft. *Der Gang ihrer Entwicklung von der Antike bis zur Gegenwart*, Freiburg/München 1955: «Verlag Karl Alber».
- Auroux S., La philosophie du langage, Paris 1996: «Presses Universitaires de France».
- Bailey Ch.-J. N., Variation and Linguistic Theory, Arlington, Vir. 1973: «Center for Applied Linguistics».
- Baker M., The Atoms of Language. *The Mind's Hidden Rules of Grammar*, Oxford 2002: «Oxford University Press».
- Bally Ch., Linguistique générale et linguistique française, Berne 1965: «Éditions Francke».
- Battistella E.L., The Logic of Markedness, Oxford 1996: «Oxford University Press».
- Baudouin de Courtenay J., Einfluß der Sprachwissenschaft auf Weltanschauung und Stimmung, Warschau 1929.
- Beasley R. and Danesi M., Persuasive Signs. *The Semiotics of Advertising*, Berlin — New York 2002: «Mouton de Gruyter».
- Benveniste E., Nature du signe linguistique («*Acta Linguistica*», I, 1939: 23—29).
- Bertoni G. & Bartoli M.G., Breviario di neolinguistica, Modena 1925: «Società Tipografica Modenese».
- Bichakjian B.H., Language in a Darwinian Perspective («*Bochum Publications in Evolutionary Cultural Semiotics*»), Frankfurt am Main 2002: «Peter Lang GmbH».
- Bierwisch M., Strukturalismus. *Geschichte, Probleme und Methoden* («*Kursbuch*», 5, 1966: S. 77—152).
- Bloch B. and Trager G.L., Outline of Linguistic Analysis, Baltimore 1942 («*Special Publications of the Linguistic Society of America*»: Waverly Press, Inc.).
- Bloomfield L., *Language*, New York — Chicago — San Francisco 1965: «Holt, Rinehart and Winston, Inc.».
- Bohr N., On the notions of causality and complementarity («*Dialectica*», 2, 1948: 312—319).
- Bolinger D., Aspects of Language (2<sup>nd</sup> edn.), New York 1975: «Harcourt Brace Jovanovich».
- Bolinger D., *Language, the Loaded Weapon*, London 1980: «Longmans».
- Cassirer E., The influence of language upon the development of scientific thought («*Journal of Philosophy*», vol.39, 1942: pp. 309—327).
- Cassirer E., The Philosophy of Symbolic Forms, vol. 1. *Language*, New Haven 1953: «Yale University Press».
- Chafe W.L., Meaning and the Structure of Language, Chicago (1970) 1971: «University of Chicago Press».
- Chastaing M., Nouvelles recherches sur le symbolisme des voyelles («*Journal de Psychologie Normale et Pathologique*», I, 1964: 75—88).
- Cherry C., On Human Communication. *A Review, a Survey, and a Criticism*, New York 1957: «John Wiley and Sons, Inc.».
- Chomsky N., Cartesian Linguistics. *A Chapter in the History of Rationalist Thought*, New York and London 1966: «Harper & Row».
- Chomsky N., *The Architecture of Language*, Oxford 2000: «Oxford University Press» (India).

- Collinder B.**, Les origines du structuralisme («*Acta Societatis Linguisticae Uppsaliensis*», I, 1, 1962: 1–15).
- Collinder B.**, Sprache und Sprachen. Einführung in die Sprachwissenschaft, Hamburg 1978: «*Helmut Buske Verlag*».
- Collins B. and Mees I.M.**, «*The Real Professor Higgins*». *The Life and Career of Daniel Jones*, Berlin — New York 1999: «*Mouton de Gruyter*».
- «*Communications*». *The European Journal of Communication Research* (Editors: *Karsten Renckstorf and Keith Roe*): «*Mouton de Gruyter*».
- Coseriu E.**, Sincronía, diacronía e historia. *El problema del cambio lingüístico*, Montevideo 1958 («*Universidad de la Republica. Facultad de Humanidades y Ciencias. Investigaciones y Estudios*»).
- Coseriu E.**, Teoría del lenguaje y lingüística general, Madrid 1962: «*Gredos*».
- Coseriu E.**, L'arbitraire du signe. *Zur Spätgeschichte eines aristotelischen Begriffes* («*ARCHIV für das Studium der Neueren Sprachen und Literaturen*», Bd. 203, H. 2, 1967: S. 81–112).
- Crain S. and Lillo-Martin D.**, An Introduction to Linguistic Theory and Language Acquisition, Oxford 2001: «*Blackwell Publishers*».
- Crystal D.**, The Cambridge Encyclopedia of Language, Cambridge 1988: «*Cambridge University Press*».
- «*Current Trends in Linguistics*», ed. by *Thomas A. Sebeok*. Volume III: *Theoretical Foundations*, The Hague — Paris 1966: «*Mouton & Co.*».
